საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქართული ლიტერატურის ისტორია

ექვს ტომად

მთავარი რედაქცია:

გ. ლეონიძე (მთავარი რედაქტორი), გ. ახვლედიანი,
ალ. მარამაძე, დ. შენგელია, ჯ. ჯავახიშვილი.

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი 1960

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

კორნელი კეკელიძე

ქართული ლიტერატურის ისტორია


ტომი პირველი

ძველი მწერლობა

ტომის სარედაქციო კოლეგია:

აკ. მარჯმაძე (რედაქტორი), სოლ. ყუმანიშვილი, მახ. ჩიქოვანი.

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1960



რედაქციისაგან

ლიტერატურა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. მასში მკაფიოდ ასახულია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული, მისი ნაფიქრ-ნააზრევი, მისწრაფებანი, იდეალები. ამასთანავე ქართულმა ლიტერატურამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. თავისი შესანიშნავი მწერლობით ქართველმა ხალხმა გარკვეული წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ასეთი მნიშვნელობის მიუხედავად, დღემდე არ მოგვეპოვება ქართული მწერლობის სრული თანმიმდევრული მეცნიერული კურსი. ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად «ქართული ლიტერატურის ისტორიის» ექვსტომეული, რომლის გამოცემას წინამდებარე ტომით იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ექვსტომეული ემყარება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მთელ მონაპოვარს. იგი უპირატესად განკუთვნილია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. ამიტომ იწერება შედარებით ადვილად ასათვისებელი ენით, თხრობა არ იტვირთება ვიწრო სპეციალური საკითხების მიმოხილვით, ტექსტს არ ამძიმებს ვრცელი სქოლიოები და შენიშვნები, ზომიერადაა მითითებული პირველ წყაროებსა და ძირითად სამეცნიერო კრიტიკულ ლიტერატურაზე.

ექვსტომეულის მომზადებასა და გამოცემას საერთო ხელმძღვანელობას უწევს მთავარი რედაქცია. აგრეთვე ყოველი ტომისათვის შექმნილია სარედაქციო კოლეგია, რომელიც უშუალოდ წარმართავს საჭირო სამეცნიერო-სარედაქციო შუშაობას.

ექვსტომეულის პირველი ტომი მოიცავს ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას,

მეორე ტომი — XII — XVIII საუკუნეების ლიტერატურას,

მესამე და მეოთხე ტომები — XIX საუკუნის მწერლობას 90-იან წლებამდე,

მეხუთე ტომი — XIX საუკუნეს 90-იანი წლებიდან XX საუკუნის ოციან წლებამდის, ხოლო მეექვსე ტომი — საბჭოთა ლიტერატურას.

ამ გამოცემის II—VI ტომებს აღგენს ავტორთა კოლექტივები.

წინასიტყვაობა

წინამდებარე პირველი ტომი «ქართული ლიტერატურის ისტორიისა», რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენი შრომა «ძველი ქართული მწერლობის ისტორია», მხედველობაში იღებს უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ ახალ ლიტერატურულ მასალებს: ხოლო იმ მასალებმა, რომელნიც ამდენხანაც იყვნენ ცნობილნი, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებათა (ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე) საფუძველზე მოითხოვეს ახალი მიდგომა, რომელმაც, რასაკვირველია, გამოვლინება ამ შრომაშიც უნდა იპოვოს.

დღეს, პარტიის მითითებათა საფუძველზე, კატეგორიულად და მკვეთრად აღნიშნულია საჭიროება წარსული დროის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლინებისა და კრიტიკულად ათვისებისა. ვფიქრობთ, ამ მოთხოვნის შესრულებას და ცხოვრებაში გატარებას ოდნავ მაინც წინამდებარე შრომაც შეუწყობს ხელს, ამით ჩვენი წვლილიც იქნება შეტანილი საერთო, დიდსა და საპატიო საქმეში.

მართალია, ამ შრომას სკოლებშიაც იყენებენ, რადგან იმაში მოცემულია ის მასალა, რაც გათვალისწინებულია სკოლის, განსაკუთრებით უმაღლესის, სასწავლო პროგრამით, მაგრამ ის არაა სასკოლო სახელმძღვანელო ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ვიწრო გაგებით, — მას რომ ასეთი დანიშნულება ჰქონოდა, სხვა გეგმითა და მოცულობით დაიწერებოდა[1]. მას ისეთი მიზნები აქვს დასახული და ისეთი ფარგლები მოხაზული, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოსათვის სავალდებულო არაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მასალის შერჩევასა და დალაგებაში თავისი საკუთარი მიზნებიდან გამოდის. ეს კურსი არის ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული კვლევა-ძიებითი ხასიათის ნაშრომი, რომელმაც, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაარკვიოს და დაახუსტოს ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხები და მოამზადოს სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად ბაზა და საიმედო მასალა, ამასთან ერთად დააკმაყოფილოს მოთხოვნილებანი უმაღლესი და საშუალო სკოლის ლიტერატურის მასწავლებლებისა, ასპირანტებისა, მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებისა და საბჭოთა ინტელიგენციის დაინტერესებული წრეებისა.

ასეთი ხასიათი და მიზანდასახულობა შრომისა უნდა ამართლებდეს მის ორ მხარეს.

1. ამ კურსში ჩვენ ვჩერდებით, თავისთავად იგულისხმება, «მხატვრული ლიტერატურის» ნაწარმოებებზე, ესე იგი ისეთ თხზულებებზე, რომლებშიაც თავს იჩენს მხატვრული გაფორმების საშუალებანი. მაგრამ, ამასთან ერთად, ამა თუ იმ საზომით, ვეხებით «მწერლობის» ისეთ ძეგლებსაც, რომლებშიაც

---

[1] ამ გეგმით და მოცულობით მოცემული გვაქვს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია ა. ბარამძის თანავტორობით დაწერილ წიგნში: «ქართული ლიტერატურის ისტორია» ტ. 1, 1954 წ., გვ. 9 — 193.

მხატვრული ელემენტი მოცემულია არა წამყვანი სახით, იგულისხმება პოლიტიკური, ფილოსოფიური, თეოლოგიური, იურიდიული და სხვ. ძეგლები. ასე ვიქცევით იმისათვის, რათა წარმოდგენილ იქნეს ძველი ქართული მწერლობა მთელი თავისი მოცულობით. მართლაც, თუ სხვა, უცხო ერისა და ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში, სხვა რომ არა ვთქვათ, ეპიგრაფიკულ მასალებსაც კი ეთმობა ადგილი, რატომ ჩვენ არ უნდა აღვნიშნოთ ისეთი ძეგლები მაინც, რომელნიც მაჩვენებელი არიან ჩვენი წინაპრების ინტელექტუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებებისა, საზოგადოდ—ჩვენი კულტურული წარსულისა? ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობითს კულტურას და ვუჩვენოთ ე. წ. «დიდ» ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურტრეგერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასდროს არ შეადგენდა მათს მონოპოლიასა და პრივილეგიას, რომ ისეთ პატარა ხალხს, როგორიც იყო ქართველობა, არამცთუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში.

2. თავისთავად იგულისხმება, ლიტერატურის ისტორიის ობიექტია «ორიგინალური» ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიაც გამოვლინებულია ამა თუ იმ ერის უნარი ლიტერატურული შემოქმედების დარგში. მაგრამ ეს ისტორია მთლიანად გვერდს ვერ აუვლის ვერც ნათარგმნ ლიტერატურულ ძეგლებს. არა საგანგებოდ, მაგრამ გზადაგზა, ამა თუ იმ ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურის, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მიმოხილვისას, ისტორიკოსს ნათარგმნ ლიტერატურაზეც უხდება შეჩერება. განსაკუთრებით ეს ითქმის ძველი დროის საქრისტიანო-სასულიერო ხასიათის მწერლობის შესახებ. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა საერთაშორისო რელიგიაა, თავდაპირველად ბერძნულ-რომაულ სამყაროში აღმოცენებული და გავრცელებული, ამიტომ მისი ლიტერატურა, რომელიც თავიდანვე ბერძნულ ენაზე შეიქმნა და რომელშიაც აღბეჭდილია მისი დოგმები, მისი ფილოსოფია, მორალი, იურიდიული ნორმები, ლიტურგიკულ-საღვთისმსახურო წესები, სამოძღვრო ტრაქტატები და აგიოგრაფიული მოთხრობანი, ყველა საქრისტიანო ქვეყნისათვის, რომელსაც უნდოდა მართლმადიდებელ ქრისტიან ერთა ოჯახში ჰქონოდა ადგილი, ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო დ იყო მიჩნეული. აქედან დაიბადა საჭიროება და აუცილებლობა მისი გადმოთარგმნისა თითოეული ქრისტიანი ერის ენაზე (თუ მას ამისი შესაძლებლობა ჰქონდა), კერძოდ ქართულზედაც. რა მოცულობით ითვისებდნენ ამ ლიტერატურას, რას თარგმნიდნენ იქიდან და როგორ თარგმნიდნენ — მაჩვენებელი იყო ამა თუ იმ ერის კულტურული დონისა და პოტენციისა[1]. ამ მიზეზის გამო არც ჩვენ შეგვეძლო გვერდი აგვეცილა, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლებისათვის,

[1] ნათარგმნი ლიტერატურის შესწავლის საჭიროების შესახებ იხ. ჩვენი «ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», ტ. V, გვ. 5—7.

რომელნიც, სხვა რომ არა იყოს, წარმოადგენენ აუცილებელ საშუალებას ძველი ქართული ლიტერატურული ენის შესასწავლადაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს შრომა დამყარებულია უშუალოდ პირველწყაროების შესწავლაზე, საჭირო ცნობები ამოღებულია თითქმის ყველა დღესდღეობით ცნობილი ხელნაწერიდან, ზოგ შემთხვევაში უშუალოდ, ზოგჯერ კი, როდესაც ეს შეუძლებელი იყო, სხვადასხვაგვარ აღწერილობათა და კატალოგების დახმარებით. საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ აქვე ხელნაწერების ჩვენებისას ნახმარი ზოგიერთი ნიშნის განმარტება.

A-ხელნაწერი ყოფილი საეკლესიო და უნივერსიტეტის ფონდისა (ხელნაწერთა ინსტიტუტი).

S-ხელნაწერი ყოფილი «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის» ფონდისა (ხელნაწერთა ინსტიტუტი).

H-ხელნაწერი ყოფილი «საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის» ფონდისა (ხელნაწერთა ინსტიტუტი).

Q-ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი ფონდისა.

გელათ.-ხელნაწერები გელათის მონასტრისა, რომლებიც დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახებიან და ე. ნიკოლაძის მიერ არიან აღწერილნი, ტ. I, 1953 წ.

იერუსალ.-ხელნაწერი ჯვარის მონასტრისა პალესტინაში, რომელიც დღეს იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავის კუთვნილებას შეადგენს. ნომრები ამ ხელნაწერებისა ნაჩვენებია R. Blake-ს[1], პროფ. ა. ცაგარლისა[2] და ნ. მარის[3] კატალოგების მიხედვით.

ათონ.-ხელნაწერი ათონის ივერთა მონასტრისა, აკად. ნ. მარის[4], R. Blake-სა[5] და ა. ცაგარლის[6] აღწერილობათა მიხედვით.

სინ.-ხელნაწერი სინას მთის მონასტრისა, აკად. ნ. მარის[7], ი. ჯავახიშვილის[8], ა. ცაგარლისა[9] და G. Garitte-ს[10] აღწერილობათა მიხედვით.

---

[1] Catalogue des manuscrits de la Bibliothèque patriarcale grecque à Jerusalem Paris, 1924.

[2] Сведения о памятниках грузинской письменности, в. II, 1889.

[3] იერუსალიმის ქართული ხელნაწერების აღწერილობა, ე. მეტრეველის რედაქციით, 1955.

[4] Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, в. 1 и 2 (ЗВОР. АО, XIII, 1901).

[5] Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d' Iviron au mont Athos, Paris. 1931—1934.

[6] Сведения о памятниках грузинской щсьменности, в. I, 1896. ათონის ხელნაწერთა ჩვენებისას ხშირად ორ №-ს ვხმარობთ, მაგალითად: 20/29, 2/63, 7/61 და სხვ. პირველი მათგანი აღნიშნავს Blake-ს კატალოგის №-ს, მეორე ცაგარლისას.


[7] Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940.

[8] სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947.

[9] Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, 1889.

[10] Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai. Louvain, 1956.

შესავალი



1. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა

თითოეულ ერს, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია და კულტურული ზრდისა და განვითარების გარკვეულ საფეხურამდე მიუღწევია, თავისი საკუთარი მწერლობა შეუქმნია. მწერლობა, რომელშიაც აღბეჭდილია ამა თუ იმ ერის ყოფა, სულიერი ფიზიონომია, მისი აზრები, ფიქრები, გრძნობანი და განცდანი, მაჩვენებელია ამ ერის ისტორიული ცხოვრების პერიპეტიებისა, მისი ღირებულებისა და შინაარსისა. ამიტომ ერის ისტორიული ცხოვრების და წარსულის შესწავლა სრული და ამომწურავი არ იქნება, თუ გათვალისწინებული და შესწავლილი არაა მისი მწერლობის ისტორიაც. ასევე უნდა ითქვას, კერძოდ, ქართული მწერლობის შესახებაც, რომელიც, მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, თავისი განვითარების პროცესში დღემდე სამ მთავარ ხანას წარმოგვიდგენს: ფეოდალურს, ბურჟუაზიულსა და სოციალისტურს (საბჭოურს).

ფეოდალური ხანის მწერლობა არის ის მწერლობა, რომელსაც ჩვეულებრივ ძ ვ ე ლ მწერლობას ვუწოდებთ და რომელიც, მეხუთე საუკუნიდან დაწყებული, მეცხრამეტე საუკუნემდე გრძელდება. ეს მწერლობა შინაარსობლივად ორ მდიდარს და, მეცნიერული თვალსაზრისით, საინტერესო დარგს იძლევა: სასულიეროსა და საეროს. წინამდებარე პ ი რ ვ ე ლ ტ ო მ შ ი მიმოხილულია სასულიერო მწერლობა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნემდე ერთადერთი დარგია, ხოლო მეთორმეტე საუკუნიდან მეცხრამეტემდე — ერთ-ერთი[1]

---

[1] ლიტერატურის ისტორიის აგებისას ლაპარაკი ცალკე სასულიერო და ცალკე საერო მწერლობაზე შეიძლება სავალდებულო არც იყოს. ჩვენ ამ ტერმინებს ვხმარობთ პირობითად, რამდენადაც პირველი შვიდი საუკუნის მანძილზე საერო ხასიათის არცერთი ლიტერატურული ეგზემპლარი არ შენახულა, ხოლო მომდევნო საუკუნეებში საერო მწერლობასთან ერთად სასულიერო საკმაოდ ძლიერ ნაკადს წარმოადგენს.

ძველი სასულიერო მწერლობის შესწავლას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ქართველოლოგიური და ზოგად-მეცნიერული.

ყოველი ერი, რომელიც თავისი წარსულით, კერძოდ, ლიტერატურულით, დაინტერესებულია, სასულიერო მწერლობის ისტორიას შესაფერ ადგილს უთმობს თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში. ასევე შეუძლია მოიქცეს ქართველსაც, რომლის მწერლობაში მეცხრამეტე საუკუნემდე, როგორც ვთქვით, სასულიერო მწერლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკადს გვაძლევს. მართალია, იდეოლოგია სასულიერო მწერლობისა, მისი სარწმუნოებრივი ინტერესები და ფილოსოფია, მისი მისტიკურ-ასკეტიკური სოფლმხედველობა და იდეალები, კლასობრივ წინააღმდეგობათა მორიგების სურვილი ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს მწერლობა ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია და ამიტომ მეცნიერული შესწავლისა და დამუშავების გარეშე უნდა დარჩეს. ასეთი მიდგომა არ იქნებოდა მართებული, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ის არის მწერლობა ქრისტიანობისა, რომელიც «ემსახურებოდა ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას; ფეოდალიზმი კი, მონათმფლობელობასთან შედარებით, პროგრესული მოვლენა იყო. ქრისტიანობა აგრეთვე, გარდა იმისა, რომ, წარმართობასთან შედარებით, უფრო პროგრესული იდეოლოგია იყო, ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირის დაცვასა და განვითარებას ევროპის ქვეყნებთან»[1]. მეორე მხრივ, ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურის შეფასებისას ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით უნდა ვხელმძღვანელობდეთ და ვზომავდეთ მას არა იმისდა მიხედვით, რამდენად ის მისაღები თუ მიუღებელია ჩვენთვის, არამედ რამდენად უპასუხებდა ის იმდროის სოციალურ და ესთეტიკურ «დაკვეთას» და რამდენად პროგრესული იყო იგი თავის დროისათვის. ჩვენი დროის თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ ძველ სასულიერო მწერლობას, დავინახავთ, რომ ამ მწერლობას აინტერესებს ისეთი აქტუალური თემებიც, როგორიცაა პატრიოტიზმი, სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ტომობრივ-ეროვნული მთლიანობა, მოძალადეთა და დამპყრობელთა წინააღმდეგ, სამშობლოს დაცვის მიზნით, თავდადებული ბრძოლა, გმირობა-მამაცობა, ცოდნა-განათლების შეძენის საჭიროება. შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობა თითქოს გულგრილად უყურებს ამქვეყნიურ ცხოვრებას, მის მწერლობაში ჩვენ მკვეთრად გვესმის გამოძახილი კლასობრივი ბრძოლებისა, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში სარწმუნოებრივი იდეოლოგიის სამოსელში არიან გახვეულნი. ამ მხრივაც ეს მწერლობა ღირსია მეცნიერული ყურადღებისა; ის ჩვენ გვითვალისწინებს, რომ ჩვენი ძველი ცხოვრება არ მიმდინარეობდა «ერთიანი ნაკადით», რომ იმაში ადგილი ჰქონდა სოციალურ და პოლიტიკურ დაჯგუფებებს, აზრთა და შეხედულებათა სხვაობას, კულტურული ინტერესების შეჯახებას და ა. შ. ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, სასულიერო მწერლობამ, სხვათა შორის, მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა საერო მწერლობა; მან დაამუ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, 'საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედ., 1948 წ., გვ. 91.

შავა და ჩამოაყალიბა ის მდიდარი, ყოველმხრივ დახვეწილი და მოხდენილი ლიტერატურული ენა, რომლის შემდგომი განვითარების საფეხურზე დაიწერა შესანიშნავი «ვეფხისტყაოსანი» და მისი მომდევნო ბრილიანტები ქართული მხატვრული მწერლობისა. სასულიერო მწერლობის შეუსწავლელად ჩვენ ვერ გავითვალისწინებდით ქართული მწერლობის ისტორიასაც, თუ მწერლობის ისტორიად არ ჩავთვლით, როგორც ზოგიერთები სჩადიან, მხოლოდ საერო მხატვრული მწერლობის ისტორიას.

ზოგადი კულტურის ისტორიკოსებს, რომელნიც სასულიერო მწერლობის ისტორიის შესწავლასა და დამუშავებას სათანადო ყურადღებას აქცევენ, სჯერთ ერთი სენი, რომელსაც ცალმხრიობა ეწოდება. საქმე ისაა, რომ თავიანთი კვლევა-ძიების საგნად ისინი იხდიან უმთავრესად დასავლეთის — საბერძნეთ-რომის — ქრისტიანობასა და საქრისტიანო მწერლობას და შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქრისტიანული ხის აღმოსავლურ შტოს, რომელსაც ქართული ქრისტიანობა და სასულიერო მწერლობაც ეკუთვნის. თუ სხვა აღმოსავლურ ქრისტიან ერთა სასულიერო მწერლობას სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც ეთმობა პარაგრაფები და ხანდახან პატარა მონოგრაფიები, ქართული სასულიერო მწერლობა terra incognita-ს წარმოადგენს [1].

ასეთი უყურადღებობა მას არ უნდა დაემსახურებია. საქართველო კულტურის მხრივ დიდად საინტერესოა: აქ, ცხოვრების გარკვეულ სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში, ჩამოყალიბდა ის თავისებური რელიგიური სისტემა, რომელსაც ქართული ქრისტიანობა ეწოდება და რომელიც აღბეჭდილია ქართულ ორიგინალურსა და ნათარგმნ სასულიერო-ლიტერატურულ ძეგლებში. ქართულ ენაზე შემონახულა უმდიდრესი საუნჯე სასულიერო მწერლობისა, ისეთი ნაშთები და თხზულებები, რომელთა დედნები დაკარგულია და მეცნიერებისათვის საძიებელნი გამხდარან. მთელი სიცხადით ეს მხოლოდ მეოცე საუკუნეში შეიგნეს. 1902 წელს აღმოსავლეთში, იერუსალიმსა და სინას მთაზე, იქაური ქართული ლიტერატურული ძეგლების შესასწავლად იმოგზაურეს აყად. ნ. მ ა რ მ ა და ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა; 1903 წელს ნ. მარმა გამოსცა რუსულ ენაზე მოკლე წინასწარი ანგარიში ამ მოგზაურობის შესახებ [2]. როდესაც ეს ანგარიში გაიცნო ძველი საქრისტიანო მწერლობის ისეთმა ავტორიტეტმა, როგორიც იყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ჰ ა რ ნ ა კ ი, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში

---

[1] ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი მოვლენა: გერმანულ ენაზე გამოსული მეცნიერული სერიის, «Die Literaturen des Ostens»-ის, მეშვიდე ტომში (Geschichte der christlichen Literaturen des Orients, Leipzig, 1909) წარმოდგენილია ასურული, არაბული, სომხური, კოპტური და ეთიოპური ქრისტიანული მწერლობის ისტორია, ქართულის შესახებ კი კრინტიც არაა დაძრული. ალბათ ამის გასამართლებლად და ბოდიშის მოსახდელად პროფ. ბ რ ო კ ე ლ მ ა ნ ი წინასიტყვაობაში შენიშნავს: «Leider liess sich für die georgische Literatur kein sachkundiger und zugleich des Deutschen mächtiger Bearbeiter gewinnen».

[2] Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме в поездку 1902 г. («Сообщения Палестинского Общества» т. XIV, ч. 2, 1903 г.).

შემდეგი სიტყვები მოათავსა: ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯეო? [1]. ეს «საუნჯე» ყველასთვის მნიშვნელოვანია იქამდის, რომ დღეს არ შეიძლება ძველი ლიტერატურის ისტორიიდან დამუშავება არცერთი საკითხისა, თუ სათანადო ანგარიში არ გაეწია ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს.

უცხოელების უყურადღებობა ჩვენი ძველი მწერლობისადმი აიხსნება იმით, რომ ბევრმა მათგანმა არ იცოდა ქართული ენა, თან ქართველებზედაც იმდენად ბუნდოვანი და ქედმაღლური წარმოდგენა არსებობდა, რომ არც სჯეროდათ ძველი ქართული მწერლობის არსებობა. რაც შეეხება ძველს, მეფის დროის, რუსეთს, ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა ქართული ლიტერატურისა და წარსულის შესწავლას არ უწყობდა ხელს, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ასეთი შესწავლა ქართველთა შორის გამოიწვევდა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. მაინცდამაინც ბევრი რამ ამ დარგში არც ქართველ მკვლევართ და მეცნიერთ გაუკეთებიათ. ქართველი მეცნიერები მეცხრამეტე საუკუნეში უფრო სამოქალაქო ისტორიითა და მისი ძეგლებით იყვნენ დაინტერესებულნი და გატაცებულნი, ძველ მწერლობას, მით უმეტეს სასულიეროს, ისინი იმდენ ყურადღებას არ აქცევდნენ. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ ლიტერატურული ძეგლებით სარგებლობა, რაც conditio sine qua non არის ამ დარგში ნაყოფიერად მუშაობისა, დიდხანს ძნელი იყო ხელნაწერთა გაბნევისა და მათი სისტემატური კოლექციების უქონლობის გამო.

ნამდვილი პირობები ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერულად შესწავლისათვის შეიქმნა ცარიზმის დამხობისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. ამას ხელს უწყობდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგი გადასულ ეპოქათა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისებისა და შესწავლის შესახებ; ამას ხელს უწყობდა კომუნისტური პარტიისავე ნაციონალური პოლიტიკა, რომელიც დიდ საბჭოთა კავშირში შემავალ ყოველ ერს აძლევს თავისი წარსულისა და აწმყოს შესწავლის სტიმულს. ამას, დასასრულ, ხელს უწყობდა რევოლუციის შემდეგ ჩვენში ჩამოყალიბებული სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის დაწესებულება, სადაც ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლას წამყვანი ადგილი უკავია. ასეთებია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტები, სადაც იწვრთებიან და იზრდებიან კადრები ამ დარგში მომუშავე პირებისაც, მუზეუმები და სიძველეთსაცავები, სადაც თავს უყრიან, ინახავენ და მეცნიერულად ამუშავებენ ჩვენი დისციპლინისათვის საჭირო მასალას.

[1] Sitzungsberichte d. k. preussischen Akademie der Wissenschaften, XXXIX, 1903.

როგორიც არ უნდა იყოს მდგომარეობა წარსულში, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის, რაც ამ ხაზით გაკეთებულა ამდენ ხანს, აღინუსხოს ის ისტორიულ-ლიტერატურული მასალა მაინც, რომელიც შეუგროვებიათ და დაუტოვებიათ ჩვენს ძველ მწიგნობრებსა და ახალი დროის მეცნიერთა და მკვლევართ.

ამგვარი მასალა ჩვენ უძველესი დროიდანა გვაქვს; ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ჰქონიათ სინას მთის ქართველ მოღვაწეებს კატალოგი თავიანთი ლიტერატურული საგანძურისა, რომლის საშუალებით მკვლევარს შეუძლია ნაწილობრივ გაითვალისწინოს იმდროინდელი ქართული მწერლობის მდგომარეობა. ერთი ასეთი სამონასტრო კატალოგის ფრაგმენტი აღმოჩნდა ხელნაწერში № 92; ამ კატალოგში აღნუსხულია 22 სახელწოდება 52 ტომისაგან შემდგარი[1].

მეორე, ამგვარივე ხასიათის, დოკუმენტს წარმოადგენს ანდერძი იოანე ათონელისა, რომელშიაც ის ჩამოგვითვლის იმ თხზულებებს, რომელნიც, მისი ინიციატივითა და დახმარებით, უთარგმნია მის შვილს, ექვთიმე ათონელს[2]. აქ აღნიშნულია 26 ლიტერატურული ძეგლი, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ხელნაწერი ამ ანდერძისა ერთნაირად არ გადმოგვცემს ამ ნუსხას: ზოგი უმატებს და ზოგი აკლებს. ყველა, დღემდე ცნობილი, ცალი ამ ანდერძისა მომდინარეობს 1002 წელს დაწერილი ნუსხიდან, დიფერენციაცია მათი დაწყებულა ამ დროიდან.

ანალოგიური ხასიათის დოკუმენტს გვაძლევს ჩვენ მელქისედეკ კათოლიკოსის 1040 წლის გუჯარი, რომელშიაც ჩამოთვლილია 25 თავი წიგნი. რომელიც მას მოუპოვებია მის მიერ განახლებული და შემკობილი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისათვის[3]. დოკუმენტი საყურადღებოა როგორც მაჩვენებელი იმ ნაბიჯისა, რომელიც ჩვენს მწერლობას წაუდგამს წინ მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, თუმცა ზოგი რამ სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს იმაში. მაგალითად, აქ აღნიშნულია, სხვათა შორის, «სახარების თარგმანი: მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანეს თავისა». ამ დროს ქართულ ენაზე ცნობილი იყო ერთადერთი თარგმანება სახარებისა — იოანე ოქროპირისა, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილი. ოქროპირს კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ მათესა და იოანეს სახარების თარგმანება დაუწერია, ქართულადაც მხოლოდ ესა გვაქვს, ასე რომ მარკოზი და ლუკა აქ რაღაც გაუგებრობითაა შეტანილი.

შემდეგი ისტორიულ-ლიტერატურული ნაწყვეტი მოგვეპოვება ჩვენ ექვ-

---

[1] Н. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, стр. 44—45; Вместе, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, стр. 267—268.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 140—143; А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, стр. 87—88.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 182—184; II, 32—33. კ. კეკელიძე, მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ («ლიტერატურული მატიანე», № 3—4).

თიმე ათონელის ბიოგრაფიაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელის[1] მიერაა დაწერილი. გიორგი ჩამოთვლის ექვთიმეს შრომებს, თუმცა თვითონვე შენიშნავს, რომ მათი «აღრიცხვაჲ კნინღადა შეუძლებელარსო». მართლაც, როგორც თავის ალაგას ნაჩვენები იქნება, გიორგის ნუსხა სრული არაა; პირველ ნაწილში ის დამყარებულია იოანე ათონელის ზემოდასახელებულ ანდერძზე, მაგრამ ზოგიერთი საცილობელი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გადასაწყვეტად მეტად მნიშვნელოვანია.

ასეთივე ნაწყვეტი დაუტოვებია ჩვენთვის გიორგი მცირეს (ხუცესმონაზონს), რომელიც მისი მოძღვრის, გიორგი მთაწმიდლის, ბიოგრაფიაში გვაძლევს გიორგის შრომების ნუსხას[2]. ქვემოთ აღნიშნული იქნება, რომ ამ ავტორის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები არც სრულია და არც უცთომელი, მაგრამ საყურადღებოა, როგორც პირველი ცდა გიორგის სამწერლო მოღვაწეობის გათვალისწინებისა და შეფასებისა.

საყურადღებოა სია იმ წიგნებისა, რომელნიც გრიგოლ ბაკურიანისძეს დაუდგია მის მიერ გაშენებულ პეტრიწონის მონასტერში; ეს სია მოყვანილია მონასტრისადმი მიცემულ ტიპიკონში; იმაში ნაჩვენებია: 1) ექვსი სახარება (გამოკრებული და ოთხთავი, ამათგან ერთი «მრგულად წერილი»); 2) თარგმანება სახარებისა, იოანეს თავისა; 3) ღმრთისმეტყველი (გრიგოლი); 4) ითიკა ბასილ დიდისა; 5) მრავალთავი დიდი; 6) ცხოვრება წმიდისა სვიმეონისა; 7) ორნი წიგნნი მაქსიმესნი (აღმსარებლისა); 8) ორი კლემაქსი; 9) ორი წიგნი «ღმრთისმშობლის ცხოვრების», 10) სტოდიელი; 11) სათუეონი სამნი; 12) საგალობელი რვათა ჰმათაჲ; 13) სვინაქსარი; 14) სრული კურთხევანი; 15) ორი წიგნი «გამოკრებულნი პავლესნი»; 16) ჟამნი; 17) ეკლესიის კურთხევა; 18) პარაკლიტონი ოთხთა ჰმათაჲ; 19) წიგნი ისაკისი; 20) იადგარი გამოკრებული; 21) დავითნი[3]. სია უმთავრესად ათონელების შრომას შეიცავს.

XVI საუკუნეში ბაგრატ ბატონიშვილს დაუწერია მოკლე პოლემიკური შრომა, რომელსაც ეწოდება «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ», სადაც ავტორი ასახელებს ზოგიერთ ქართველ მწერალს. რამდენად გამოსადეგია ავტორის ლიტერატურული ცნობები, ადვილი წარმოსადგენია იქიდან, რომ ექვთიმე ათონელს, გიორგი მთაწმიდელსა და ეფრემ მცირეს ის მაჰმადის წინადროის მწერლებადა თვლის. ეს მოთხრობა XVII საუკუნეში ლექსად გადაუკეთებია იაკობ შემოქმედელს; იაკობს არავითარი ფაქტიური დამატება შიგ არ შეუტანია. სამაგიეროდ XVIII საუკუნეში რომელილაც ინტერპოლატორს ბაგრატის შრომისათვის დაურთავს დამატება, რომელშიაც ის ბაგრატის მიერ დასახელებულ მწერალთა შესახებ

---

[1] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901 წ., გვ. 27—29; ამ გამოცემას შემდეგ, ციტაციისას, ჩვენ აღვნიშნავთ ათონის კრებულ-ს სახელით.

[2] «თონის კრებული», გვ. 310 — 311.

[3] M. Tarchnisvili, Typikon Gregorii Bacuriani, p. 74 (ქართული ტექსტი). Louvain, 1954.

უფრო ნამდვილ ცნობებს იძლევა, თუმცა გიორგი მთაწმიდელს ის დავით აღმაშენებლის თანამედროვედა თვლის. XVIII საუკუნის მოღვაწეს ზაქარია გაბაშვილს ამ ინტერპოლაციაში შეუტანია თავისი ცნობები, ზოგიერთ შემთხვევაში მიუღებელი, როგორც, მაგალითად, ეფრემ მცირის მიერ დიდი სჯულისკანონის თარგმნა[1].

მეთვრამეტე საუკუნეში კათოლიკოსმა ანტონ პირველმა დაწერა, სხვათა შორის, თხზულება «წყობილ-სიტყვაობაზ», პლ. იოსელიანის მიერ გამოცემული თბილისში 1853 წელს. წიგნი შედგება შვიდი ნაწილისაგან და დაწერილია იამბიკოდ. ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით საყურადღებოა მეშვიდე ნაწილი, რომელსაც სათაურად აქვს: «თჳს ქართუჱლთა სიბრძნის-მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა». აქ ავტორს განუზრახავს მოგვცეს მოკლე მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა როგორც საეკლესიოსი, ისე საეროსი. ეს ნაწილი გაყოფილია 8 თავად; პირველ თავში მიმოხილულია 9 კათოლიკოსის სამწერლო მოღვაწეობა, მეორეში — რვა ეპისკოპოსისა, 3—7 თავებში — სხვადასხვა მამებისა, ბერმონაზვნებისა და სასულიერო პირთა, სულ ორმოცი კაცისა, მერვეში — საერო მწერალთა: მეფეთა, ბატონიშვილთა და სხვა დიდებულთა. მწერლები და მოღვაწენი ჩამოთვლილია უმთავრესად მეთერთმეტე საუკუნიდან ავტორის დრომდე; ავტორი მათ ახასიათებს სქოლასტიკურ-რიტორიკული იამბიკოებით და ზოგიერთ შემთხვევაში შრომასაც ასახელებს. აქ ჩვენ ბევრ ისეთ პირს ვხვდებით, რომელთაც, როგორც მწერლებს, სხვა წყაროდან არ ვიცნობთ. მართალია, ბევრი რამ ავტორს გარდამოცემისა და ზეპირსიტყვაობიდან შემოაქვს, ბევრი მისი ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ, როგორც პირველი ცდა ისტორიულ-ლიტერატურული სისტემატიზაციისა, თხზულება საპატიოა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს ჩვენს საეკლესიო მწერლობას ყურადღება მიაქცია ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა Fr. Alter-მა, რომელმაც 1798 წელს გამოსცა ვენაში თხზულება, «Ueber Georgianische Literatur», სადაც მან მოათავსა, სხვათა შორის, ნუსხა ქართული ხელნაწერებისა და წიგნებისა, რომელიც მაშინ რომსა და ვენაში იყო შეკრებილი. რასაკვირველია, ამ თხზულებაში ავტორი იმ დროს რაიმე თვალსაჩინოს ვერას მოგვცემდა, მით უმეტეს, რომ მან ქართული ენა არ იცოდა და სხვისი დახმარებით მუშაობდა, ამიტომ თხზულების უდიდესი ნაწილი (გვ. 26 — 118) დაკავებული აქვს ქართული ბიბლიის შედარებას ბერძნულს, სლავურსა და სომხურ ბიბლიასთან, და აქაც, ამ შემთხვევაშიაც, ხშირად ღალატობს ჰეშმარიტებას. რაც უნდა იყოს, ეს პირველი ნაბიჯი იყო ევროპელთა დაინტერესებისა ჩვენი ლიტერატურული წარსულით.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, 1802 წელს, თავის დროისათვის საყურადღებო მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა მოგვცა ცნობილმა რუსმა

[1] Н. Марр, Из книги царевича Баграта о грузинск. переводах духовных сочинений и героической повести Дареджаниани, Известия Академии Наук, 1899 г.; Февраль, т. X., № 2.

მეცნიერმა ე. ბოლხოვიტინოვმა შრომაში, რომელსაც ეწოდება «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном её состоянии (Петербург)». მიმოხილვა მოკლეა, არც თუ ყოველთვის ზუსტი, მაგრამ საინტერესოა, რომ ავტორმა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, მოახერხა იმ დროს რუსეთში მყოფ ქართველთაგან შეეკრიბა ის, რაც მან გადმოგვცა.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ღვაწლი ძველი ქართული მწერლობის წინაშე მიუძღვის თელავის სემინარიის ყოფილ რექტორს დავით მესხიშვილს (1745 — 1824 წ.), რომელსაც 1810 წელს შეუდგენია კატალოგი ძველი ქართული თხზულებებისა და მწერლებისა. ამ კატალოგში, რომელიც 1894 წელს დაბეჭდა პროფ. ა. ცაგარელმა («Сведения», III), მოცემულია სახელწოდება სამასამდე თხზულებისა და ავტორისა. ა. ცაგარელმა არ იცის, რომ ავტორი ამ კატალოგისა არის დავით რექტორი, ეს ცნობილი გახდა კატალოგის ავტოგრაფული ნუსხის აღმოჩენის შემდეგ[1]. ეს ძეგლი აღნიშნავს არაერთ საყურადღებო ლიტერატურულ ფაქტსა და სახელს; მაგალითად, აქ ნათქვამია, რომ «ვისრამიანის» მთარგმნელი არის თავადი საათაბაგოელი[2], რომ არსებობდა თხზულება «დავით-საულიანი»[3] და სხვ.

ჩვენამდე შენახულა ერთი თხზულება, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის». ეს თხზულება, რომელიც დაწერილია 1813—1828 წლებში იოანე ბატონიშვილის მიერ და შეადგენს მისი კალმასობის ნაწილს[4], ჩვენ გვაძლევს საკმაოდ ვრცელს, სისტემატურად დაწყობილს, ცნობებს ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა შესახებ, უმთავრესად მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული. თხზულება დაწერილია სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მაგრამ ყველაზე მეტად ავტორი სარგებლობს ანტონ კათოლიკოსის წყობილ-სიტყვაობით. მას ეს წიგნი წინ უდევს, იმავე რიგით აღნუსხავს მოღვაწეებსა და მწერლებს, ზოგჯერ პარაგრაფების სათაურსაც ისევე იწყებს. განსხვავდება ანტონის შრომისაგან იმით, რომ ის ხშირად მწერლის სახელთან მის ვინაობასაც აღნიშნავს და ნაშრომთა სიასაც იძლევა. თუმცა სწორედ აქ არის მისი სუსტი მხარე: მას თავის ნაშრომში შეპარვია თვალსაჩინო შეცდომები და მრავალი საეჭვო ცნობა. მაგალითად, თანახმად თავისი წყაროსა (ანტონი), ის ილარიონ ქართველის შესახებ ამბობს, რომ ილარიონი იყო «პირველი მთარგმნელი ელი-

[1] ტ. რუხაძე, ვინ არის 1810 წლის ძველი ქართული მწერლობის კატალოგის ავტორი? (ვაზ. «ლიტერატურული საქართველო» 1940 წ., № 3).

[2] ა. ცაგარელს (ალბათ აქედან მომდინარეობს ეს ცნობა ზ. ჭიჭინაძის შრომაში «ქართული მწერლობა XII ს.», 1887 წ., გვ. 24), შეცდომით დაბეჭდილი აქვს დავით საათაბაგოელი, ხელნაწერში კი, როგორც ტრ. რუხაძემ გაარკვია, ყოფილა თავადი საათაბაგოელი.

[3] «დავით-საულიანის» შესახებ იხ. კ. კეკელიძის „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა“ («თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები», XVI, 1940 წ., გვ. 105 — 106).

[4] «კალმასობა», ტ. II, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის გამოცემა, 1948 წ., გვ. 162—214.

ნურის ენისაგან ქართულით, რომელ ამის ჯერეთ არავის ეთარგმნა საღმრთო წერილიო», ანდა დიონისე არეოპაგელის თხზულებათა გადმოთარგმნას მიაწერს იოანე პეტრიწს და სხვ. უფრო საყურადღებოა მეორე ნაწილი ამ შრომისა, რომელიც მთლიანად ავტორს ეკუთვნის და რომელშიაც მიმოხილულია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის, ანტონ კათოლიკოსის დროიდან, და მეცხრამეტის დასაწყისის მოღვაწენი და მწერალნი. ეს ნაწილი დამყარებულია ავტორის მიერ შეკრებილ, ნახულ და გაგონილ ცნობებზე, რომელნიც, მართალია, არაიმვიათად ლეგენდური ელფერით არიან მოსილი, მაგრამ მაინც საინტერესო მასალას გვაძლევენ.

მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიული მიმოხილვის ცდა მოგვცა სოლომონ დოდაშვილმა (1805—1836 წ.). მისი შრომა, რომლის სათაურია «მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)», დაიბეჭდა მაშინდელ ქართულ სალიტერატურო ჟურნალში «სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათა» 1832 წ. № 1 და 2. ავტორი განიხილავს ქართული ლიტერატურის ოთხ პერიოდს; პირველი პერიოდისათვის საგანგებო სახელი არ დაურქმევია, რუსთაველისა და თამარის ეპოქის შესახებ ამბობს: «ესე საქართველოსა შინა იწოდების ოქროვან საუკუნედო». მომდევნო პერიოდის სახელია, მისი სიტყვით, «ზედდასხმანი გარეშეთა ბარბაროსთანი». ჩვენი «აღორძინების ხანა», მისი სიტყვით, არის «ეპოხა აღდგინებისა», რომელიც იწყება «ათხუთმეტსა საუკუნესა შინა». უძველესი პერიოდიდან ავტორი ჩერდება იოანე ქართველზე, რომელსაც ადარნასე მეფის თანამედროვედა თვლის, და იოანე პატრიკ-ყოფილზე, რომელიც მას იოანე პეტრიწად მიაჩნია. ეფრემ მცირის მოღვაწეობას დოდაშვილი პეტრიწის შემდეგ სდებს და ა. შ. «ოქროვან საუკუნიდან» ის ლაპარაკობს მოსე ხონელის, სარგის თმოგველის, რუსთაველისა და ჩახრუხაძის შესახებ, ხოლო «აღდგინების ხანიდან» — თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ანტონ პირველსა და სხვებზე.- ს. დოდაშვილის ამ შრომაში საყურადღებოა ცდა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა, რომელიც მიღებულ იქნა შემდეგში ა. ცაგარლის მიერ და სხვადასხვა ვარიაციით ზოგადად მომდევნო ხანის სამეცნიერო ლიტერატურაშიაც მეორდება[1].

ცნობილია, რომ დიდად განათლებულმა თეიმურაზ ბატონიშვილმა თავის სიცოცხლეში შეადგინა მეტად მნიშვნელოვანი კოლექცია ქართული ხელნაწერებისა და ძველად დაბეჭდილი წიგნებისა, რომელიც, მისი გარდაცვალების (1846 წ.) შემდეგ, ნიკოლოზ I ბრძანებით, გადაეცა მეცნიერებათა აკადემიის საარხიო მუზეუმს. კატალოგი ამ კოლექციისა თავდაპირველად თვით თეიმურაზს შეუდგენია, ის პირველად გამოსცა აკად. მ. ბროსემ[2], ხოლო მე-

1 ზ. ჭიჭინაძე, სოლომონ დოდაშვილი, 1893 წ. ავტორი ს. დოდაშვილის ზემოდასახელებულ შრომას უწოდებს «ისტორიული აღწერა რომელთამე მწერალთა და რომელთამე ამბავთა»-ს; ს. ხუციშვილი, «სოლომონ დოდაშვილის წერილები», შესავალი წერილით და შენიშვნებით, თბილისი, 1945 წ.

2 Catalogue des livres géorgiens tant imprimés que manuscrits, anciens et modernes, 1838.

ორედ — პროფ. ა. ცაგარელმა[1]; არც ერთი ამ გამოცემათაგანი სრული არაა. უფრო სრულად და ამომწურავად ეს კოლექცია აუწერია თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ვიღაც კატალოგიზატორს[2]. ამ უკანასკნელში მოცემულია აღწერილობა, მოკლე თუ შედარებით ვრცელი, 214 ხელნაწერისა და წიგნისა; მასალები კლასიფიცირებულია შინაარსის მიხედვით. ხელნაწერთა აღწერისას მოცემულია, ზოგიერთ შემთხვევაში, ანოტაცია თხზულების ავტორის, სათაურის, მთარგმნელის, მისი სადაურობის და სხვ. შესახებ. ეს ცნობები ყოველთვის ზუსტი და ეჭვმიუტანელი არაა, ხშირად აქ მსხვილ შეცდომებთანა გვაქვს საქმე. მიუხედავად ამისა, ეს კატალოგი მაინც საყურადღებოა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად.

როდესაც ლაპარაკია იმ პირთა შესახებ, რომელნიც ხელს უწყობდნენ ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლას, არ შეიძლება არ დავასახელოთ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი. მის საკმაოდ მრავალრიცხოვან შრომათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით: 1) გამოცემა «ქართლის ცხოვრების» მეორე ნაწილისა, 2) «ვეფხისტყაოსნისა» და 3) განსაკუთრებით «ქრესტომათიისა», რომლის პირველ ტომში დაბეჭდილია, მთლიანად თუ ექსცერპტების სახით, მრავალი ძეგლი ძველი ქართული მწერლობისა. ამ «ქრესტომათიამ» მტკიცე საფუძველი დაუდო ძველი მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ შესწავლას, რამდენადაც, ნაწილობრივ მაინც, ხელმისაწვდომი გახადა ისინი დაინტერესებულ პირთათვის.

უფრო სისტემატური მუშაობა ამ დარგში დაიწყო პლ. იოსელიანის დროიდან. მან გამოსცა მრავალი ძველი ტექსტი, როგორც, მაგალითად, ანტონ კათოლიკოსის წყობილ-სიტყვაობა, იონა გედევანიშვილისა და ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა და სხვ. ანტონის წყობილ-სიტყვაობას მან დაურთო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის სქოლიოები და შენიშვნები. თითოეული მწერლის ქვეშ ის უჩვენებს, თუ რა დაწერა ან თარგმნა მან. აგრეთვე მრავალრიცხოვან წერილებსა, შენიშვნებსა და მონოგრაფიებში ის გზადაგზა მრავალ საისტორიო-სალიტერატურო ცნობას იძლევა, მაგრამ ეს ცნობები ხშირად მცდარი და ყალბია, ავტორი უკრიტიკოდ იმეორებს იმ ლეგენდებსა და გარდამოცემათ ამა თუ იმ მწერლის შესახებ, რომლებიც ზეპირსიტყვაობით ცოცხლობდა თანამედროვე სამეცნიერო და სამწიგნობრო წრეებში, თხზულებათა და ხელნაწერთა განუხილველად; ამიტომ მისი ამგვარი ცნობებით სარგებლობა, წინდაუხედავად, სახიფათო და შეუძლებელია.

ჩვენი წარსულის დაუღალავმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა M. Brosset-მა, რომლის უურადღება განსაკუთრებით მიქცეული იყო ქართული საისტორიო მწერლობისაკენ, საკმაო ღვაწლი დასდო საზოგადოდ მწერლობის ისტორიის დამუშავებასაც, იმდენად, რასაკვირველია, რამდენადაც ეს მის დროს შესაძლე-

[1] Сведения о памятниках грузинской письменности вып. III, 1894 г., 149—186.

[2] კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, გამოცემა ს. იორდანიშვილისა, თბილისი, 1948 წ.

ბელი იყო. ბ რ ო ს ე გულმოდგინედ კრებდა და აქვეყნებდა ცნობებს ხელნაწერების შესახებ, მათ მინაწერებს. მან თარგმნა და ევროპელთათვის ხელმისაწვდომი გახადა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ძეგლი ქართული მწერლობისა. მანვე მოგვცა პირველი სისტემატური ნუსხა ყველა, მის დრომდე ცნობილ, სახულიერო მწერლობის ნაწარმოებთა; მაგალითად, მან თარგმნა ი ლ ა რ ი ო ნ ა თ ო ნ ე ლ ი ს კატალოგი ათონის ქართული ხელნაწერებისა, რომელიც 1867 წელს გამოსცა პ ა რ ი ზ ში ე. ლ ა ნ გ ლ უ ა მ. 1837 წელს ბროსემ გამოსცა ქართული ენის გრამატიკა[1], რომელშიაც მოათავსა ნუსხა იმ დროს ცნობილი ქართული მწერლობის ძეგლებისა[2], ხოლო 1838 წელს დაბეჭდა ვრცელი კატალოგი ამავე ძეგლებისა, რომელიც მან შეადგინა სხვადასხვა კატალოგის მიხედვით[3]. რასაკვირველია, თავის შრომებში ბროსე გვაძლევს უფრო მასალას მწერლობის ისტორიისათვის, ვიდრე ისტორიას, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მისი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები ახლა ზოგ შემთხვევაში მოძველებულია და უკრიტიკოდ მიუღებელი[4].

ბროსეს შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი მწერლობის წარსულის შესწავლის საქმეში გადადგა ალ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა, რომელმაც გამოსცა «Сведения о памятниках грузинской письменности» სამ ნაწილად. ეს შრომა, რასაკვირველია, არ არის მწერლობის ისტორია. ის წარმოადგენს იმ დროს ცნობილ ქართულ ხელნაწერთა კოლექციების, განსაკუთრებით სინა-ათონ-იერუსალიმის, აღწუსხვას და მოკლედ აღწერას. ავტორი ბევრ შეცდომას უშვებს როგორც ხელნაწერთა და ცალკე თხზულებათა დასახელებაში, ისე მათი თარიღის გარკვევაში, ამიტომ ის ისტორიულ-ლიტერატურული დასკვნანი, რომელთაც ავტორი აკეთებს, უმეტეს ნაწილად, მიუღებელია, ყოველ შემთხვევაში უკრიტიკოდ[5]. როგორც უნდა იყოს, ცაგარლის შრომამ ნათელი მოჰფინა ჩვენი მწერლობის უძველეს ხანას, მან გამოამჟღავნა ქართველთა ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტსა და ცენტრში და დაამყარა ცნობები, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგდროის მუშაკთა გამოკვლევებს, მოკლე შენიშვნებსა და მონოგრაფიებს[6].

დიდი ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის ისტორიის შემუშავებას განსვენებულმა თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ, რომელმაც თავისი ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი ს ორს წიგნში და სხვა თხზულებებში შეაგროვა ფასდაუდებელი ცნობები და ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტები, პირდაპირ ხელნაწერებიდან ამოღებული. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი «Описание рукописей Тифлисского Церковного Музея», ч. I—II, სადაც, მართალია, არასრული მეცნიერული სიზუს-

---

[1] Elèments de la langue Géorgienne.

[2] Tableau raisonné de la littérature Géorgienne.

[3] Catalogue des livres géorgiens tant imprimés que manuscrits, anciens et modernes.

[4] Bibliographie analytique des ouvrages de M. Brosset. 1887.

[5] იხ. ნ. მ ა რ ი ს შეფასება ა. ცაგარლის შრომისა, რომელიც შეიცავს ათონის ხელნაწერების აღწერილობას (Из поездки на Афон, ЖМН Пр., Март, 1899 г., გვ. 2).

[6] თ. ჯ ო ნ ი ა, ალ. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა, «ლიტერატურული ძიებანი», IV, 425 — 437.

ტით, მაგრამ სახელმძღვანელოდ აღწერილია №№ 800 საეკლესიო მუზეუმის[1] ხელნაწერებისა.

საყურადღებო მოვლენად ამ დარგში უნდა ჩაითვალოს ის შრომა აკად. ე. თაყაიშვილისა, რომელშიაც აღწერილია ხელნაწერები თბილისის მეორე საყურადღებო კოლექციისა, ეგრეთ წოდებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა[2]. მაგრამ ამ ორტომიან შრომაში — «Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузин» — მოცემულია აღწერილობა მხოლოდ საერო შინაარსის ხელნაწერებისა და საეკლესიო-სასულიერო ძეგლებს ის არ ეხება (შენიშვნები ასეთი ძეგლების შესახებ და თვით ძეგლები მას ცალკე აქვს მრავლად გამოცემული), რის გამო სასულიერო მწერლობის ისტორიკოსი იქ თავის მიზნებისათვის საჭირო მასალას ვერ იპოვის. ამ მხრივ, ამ შრომას რამდენადმე ავსებს დ. კარიჭაშვილის «კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა», თუმცა აქ მიღებული სისტემის მეოხებით ხელნაწერთა შინაარსი მთლიანად ამოწურული არაა.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის ასპარეზზე ბევრი უმუშავნია მ. ჯანაშვილსაც, რომლის შრომები გაფანტულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებსა და ცალკე სერიაში ნაშრომისა და ქართული მწერლობის სათაურით, აგრეთვე მესამე წიგნში «Описание рукописей Тифлисского Церковного Музея». ჯანაშვილი კითხულობს ძეგლებს, რომელთა შესახებ წერს, თვითონ ეცნობა მათ, იმათგან მოჰყავს ამონაწერები და, თუ დასკვნა მისი ყოველთვის მისაღები არაა ხოლმე, ეს იმიტომ რომ ავტორის საზოგადო ისტორიულ-ლიტერატურული ერუდიცია თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებას სავსებით ვერ აკმაყოფილებდა[3].

ქართული მწერლობის ისტორიაში მუშაობდა ზ. ჭიჭინაძეც, რომელსაც გამოუცია არაერთი და ორი ძეგლი ჩვენი ძველი ლიტერატურისა, თან მას უცდია სისტემატურადაც მიმოეხილა ეს ლიტერატურა. ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი მისი შრომები: «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», «ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე» და «ქართული მწერლობა XVII და XVIII საუკუნეში». საკმარისია ვთქვათ ამ წიგნაკების შეფასებისას, რომ მათ სკეპტიკურად უყურებს თითქოს თვით ავტორიც, როდესაც შენიშნავს: «ამ ცნობების წერა მე მხოლოდ ჩემს ყმაწვილობაში მეკუთვნისო»[4]. მართლაცდა, მათი ხელში აღება შესაძლებელია მხოლოდ პრინცი-

[1] ყოფილი საეკლესიო მუზეუმი 1921 წელს გადაეცა მოსავლელად და საპატრონოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც ის მოათავსა უნივერსიტეტის ძიძველეთა მუზეუმში; აქედან ის 1930 წ. გადავიდა საქართველოს მუზეუმში (ფონდი A).

2 1907 წელს შეიქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის მუზეუმში შეგროვდა საყურადღებო კოლექცია ხელნაწერებისა. როგორც ეს, ისე წერა-კითხვის კოლექცია, გადავიდა საქართველოს მუზეუმის შემადგენლობაში.

[3] ძ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები. მოსე ჯანაშვილი, «მნათობი» 1944, № 12, გვ. 84—96, აგრეთვე ცალკე კრებულში — «მოსე ჯანაშვილი».

[4] ქართული მწერლობა XVII და XVIII საუკ., გვ. 3.

პული წინასწარი უნდობლობით მათდამი; ავტორი ამ წიგნაკებში გადმოგვცემს ისეთ სახელებსა და ფაქტებს, რომელთაც არავითარი გასამართლებელი საბუთი არ მოეპოვება. ძალიან ხშირად, როგორც ამ შრომის სხვა ადგილსაც იქნება ნაჩვენები, ავტორს, არამც თუ სხვადასხვა ნაწერში, ერთსა და იმავე წიგნაკში დიამეტრალურად ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები მოჰყავს და, რაც უფრო გასაოცარია, არსად ის წყაროებს არ აღნიშნავს, თუ საიდან მოაქვს ესა თუ ის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა. ჩვენში იყვნენ ისეთი მკვლევარნი, რომელნიც სრულიად გულდამშვიდებით სარგებლობდნენ ამ წიგნაკებით; ასეთ მკვლევართა ჯგუფს ეკუთვნის, სხვათა შორის, განსვენებული ალ. ხახანაშვილიც.

ალ. ხახანაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი წერილებისა და საეურნალო სტატიებისა ამ ლიტერატურის სხვადასხვა საკითხის შესახებ ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. მას გამოუცია არაერთი და ორი ძეგლი ძველი ქართული ლიტერატურისა, გამოუცია ისე, როგორც ეს შესაძლებელი იყო მის დროს. ის გამოდიოდა ხოლმე მეცნიერული მოხსენებებით ორიენტალისტთა ყრილობებზე როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. შედეგები მისი მრავალმხრივი და დაუღალავი შრომისა ამ დარგში მოცემულია მის ოთხტომიან თხზულებაში, რომელსაც ეწოდება «Очерки по истории грузинской словесности». პირველი სამი ტომი ამ შრომისა (1895, 1897, 1901 წწ.) მიძღვნილია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ეს შრომა თავის დროსაც ვერ აკმაყოფილებდა მკაცრ მეცნიერულ მოთხოვნილებას, მას, როგორც პირველ ცდას ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატური კურსისას, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ამ შრომით ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას არა მარტო ქართველები, არამედ არაქართველებიც. თავდაპირველად, კარგახნის განმავლობაში, ის აკმაყოფილებდა ქართული სკოლის პირველ მოთხოვნილებასაც, ვინაიდან გადაკეთებულ იქნა სახელმძღვანელოდ, რომელსაც ეწოდებოდა: «ქართული სიტყვიერების ისტორია უძველესი დროიდან მეთვრამეტე საუკუნის გასულამდე» (1904, 1913, 1919 წწ.) და «ქართული სიტყვიერების ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა» (1913, 1917 წწ.).

ნაყოფიერი ხანა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლისა დაიწყო ეგრეთ წოდებულმა პეტროგრადის სამეცნიერო სკოლამ აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით. ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა, უმთავრესად ლინგვისტური მოსაზრებითა და მიზნებით, ხელი მოჰკიდეს თვით პირველწყაროების, ესე იგი ლიტერატურული ძეგლების, შესწავლასა და გამოცემას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ენერგიას თვით ნ. მარი იჩენდა. მან შექმნა პეტროგრადის უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში მთელი რიგი სერიებისა, როგორც მაგალითად: 1) «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», 2) «Bibliotheca Armeno-Georgica», 3) «Monumenta hagiographica Georgica», რომლებშიაც ათავსებდა და სხვებსაც ათავსებინებდა

ძველ ქართულ ტექსტებს; დააარსა სპეციალური ორგანო «Христианский Восток», რომელშიაც იბეჭდებოდა როგორც ტექსტები, ისე გამოკვლევანი ქართული მწერლობის ისტორიიდან. აკადემიის «Известия» და აგრეთვე «Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества» გულუხვად სარგებლობდნენ მარისა და მისი მოწაფეების ქართველოლოგიური შრომებითა და გამოკვლევებით.

ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება ნ. მარმა ტექსტების გამოცემით მყარ ნიადაგზე დააყენა. თავის უამრავ შრომებში, როგორც მსხვილ გამოკვლევებში, ისე მოკლე სტატიებსა და შენიშვნებში, მან გაარკვია ბევრი საცილობელი და საკამათო საკითხი, წამოაყენა ახალი საკითხები და სულ სხვანაირად გააშუქა უკვე მიღებული და დამყარებული დებულებანი. მართალია, ბევრი რამ მისი შეხედულებებიდან ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში ვითვალებულია, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართულ ხელნაწერთა კატალოგიზაციისა და ცნობაში მოყვანის საქმეში: მან იმგზავრა ათონზე და უფრო ვრცლად და მეცნიერულად აღწერა იქაური ქართული ხელნაწერები, ვიდრე ეს იყო გაკეთებული მისი წინამორბედების მიერ. 1902 წელს მან, პროფ. ი. ჯავახიშვილთან ერთად, იმგზავრა სინას მთაზე და პალესტინაში[1], სადაც ხელმეორედ აღწერა და, შეიძლება ითქვას, ზოგიერთ შემთხვევაში გადმოწერა კიდეც იქაური ქართული ლიტერატურული ძეგლები[2].

აკად. ივ. ჯავახიშვილმა «Христианский Восток»-ის პირველ ტომში მოათავსა სპეციალური შრომა შემდეგი სათაურით: «Материалы для истории грузинской патристической литературы» (стр. 6—29). მართალია, ეს შრომა არ ემყარება პირველ წყაროებს, ავტორს აღუნუსხავს საეკლესიო ლიტერატურის ძეგლები სხვადასხვა დარგისა იმ დროს არსებულ აღწერილობათა და კატალოგების მიხედვით, ამიტომ ის არც სრულია და არც სწორი ყოველთვის, — წყაროთა შეცდომები იმაშიაც გადასულა, — მაგრამ მნიშვნელოვანია როგორც პირველი ცდა და მოწოდება, განსაკუთრებით ქართული ენის უცოდინართადმი, ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიის შესასწავლად. ი. ჯავახიშვილის შრომათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისათვის მისი «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა» (პირველი გამოცემა 1916 წლისა, მესამე — 1945 წ.), რომელშიაც განხილულია, სხვათა შორის, ჩვენი ძველი ორიგინალური აგიოგრაფიის ძეგლები. მართალია, ეს ძეგლები განხილულია როგორც საისტორიო წყაროები, მაგრამ აქ ისეთი საკითხებიცაა აღძრული, რომელთაც ლიტერატურის ისტორიკოსიც ვერ აუვლის გვერდს. მე-

[1] H. Marr, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940. მ ი ს ი ვ ე — იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, 1955 წ.

[2] ა. ყ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, აკად. ნ. მარი და ქართული ლიტერატურის ისტორია («ცნობათბილი», 1946, № 11, გვ. 134 — 143).

ტად მნიშვნელოვანია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად «სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა», რომელშიაც განსვენებულს მთლიანი სახით მოუცია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ტექსტიც კი. შრომა გამოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ 1947 წელს. იმაში აღწერილია ნაწილი სინას მთის ქართული ხელნაწერებისა, მეორე ნაწილი აღწერილია ნ. მარის «Описание»-ში.

მეოცე საუკუნის მკვლევართა შორის, რომელნიც ძველი ქართული მწერლობით იყვნენ დაინტერესებული, უნდა დავასახელოთ აგრეთვე ს. გ ო რ გ ა ძ ე, ერთ-ერთი შემკრები, ორგანიზატორი და აღმწერელი საისტორიო-საეთნოგრაფიო და ნაწილობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმთა ფონდებისა. ის უფრო ისტორიკოსი იყო, მაგრამ ლიტერატურის ისტორიიდანაც მოეპოვება მრავალი მნიშვნელოვანი ნარკვევი. საყურადღებოა განსაკუთრებით მისი გამოცემა, რომელიც იმდროინდელ მეცნიერულ სიმაღლეზე იდგა, ნემესიოს ემესელის თხზულებისა «ბუნებისათჳს კაცისა» (1914 წ.). მან დაამზადა აგრეთვე კრიტიკული ტექსტი იოანე დამასკელის თხზულების «წყარო ცოდნისა»-ს ეფრემ მცირესეული თარგმანისა, რომლის გამოცემა, სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო. სასარგებლოა მისი «ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში» («ჩვენი მეცნიერება» №№ 2—3, 4—5, 1923 წ.) [1].

მეოცე საუკუნეში, განსაკუთრებით პროფ. A. H a r n a c k-ის მოწოდების შემდეგ, უცხოეთშიაც გაიღვიძა ინტერესმა ძველი ქართული მწერლობის მიმართ. აქაც გამოჩნდნენ მეცნიერები, რომელნიც უძველესი ხანის მსოფლიო ლიტერატურული ხარვეზების ამოვსებას ქართული მწერლობის დახმარებით ფიქრობენ და ამიტომ გულმოდგინედ სწავლობენ მას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა ბელგიელი ორიენტალისტი P. Peeters-ი, (გარდ. 1950 წ.), რომელიც ნაყოფიერად მუშაობდა აგიოლოგიის დარგში: ის თარგმნიდა ლათინურ ენაზე და იკვლევდა ჟურნალში «Analecta Bollandiana» ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებს როგორც ნათარგმნს (უმთავრესად ჩვენი გამოცემიდან — «Monumenta hagiographica Georgica», t. I), ისე ორიგინალურს. მის მიერ გადათარგმნილი და დაბეჭდილია «ცხოვრება» და «წამება» რაჟდენისა, შუშანიკისა, კონსტანტი კახისა, ილარიონ ქართველისა, სერაპიონ ზარზმელისა, გრიგოლ ხანძთელისა, ექვთიმე და გიორგი ათონელებისა.

მეორე უცხოელი მეცნიერი, რომელიც არანაკლებ ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებდა ძველი ქართული ლიტერატურის დარგში, იყო ამერიკელი ორიენტალისტი R. P. B l a k e, მოწაფე აკად. ნ. მარისა (გარდ. 1950 წ.), 1918-20 წლებში პროფესორი ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტისა, შემდეგ კი პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტისა (აშშ). მის კალამს ეკუთვნის მეც-

[1] ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ისეთ მკვლევარებზე, რომელნიც ცნობილნი არიან სასულიერო ლიტერატურის ძეგლთა სხვადასხვა მიზნით გამოცემებით და რომელნიც დღესაც განაგრძობენ მუშაობას; ამათ რიცხვს ეკუთვნიან პირველ რიგში პროფ. ა. შანიძე, პროფ. ილია აბულაძე და სხვ.

ნიერული აღწერილობა ქართული ხელნაწერებისა პალესტინაში [1] და ათონზე [2], აგრეთვე სოლიდური გამოკვლევანი და გამოცემანი ბიბლიოლოგიისა [3] და პატროლოგიის [4] დარგში.

საზღვარგარეთ იწერება მოკლე სისტემატური მიმოხილვებიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ასეთებია: Fr. N. Finck, Die georgische Literatur; ეს არის ესკიზი, მოთავსებული ისეთ სერიოზულ სამეცნიერო გამოცემაში, რომელსაც ეწოდება «Die Kultur der Gegenwart» (1, 7, 1906 წ.), «Die orientalischen Literaturen»-ის განყოფილებაში (S. 299—310). პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს, რომ ამ სერიაში, სადაც სხვა ერთა ლიტერატურას, თუ ტომები არა, ნახევარტომები მაინც აქვს დათმობილი, ქართული მწერლობა მხოლოდ 12 გვერდზეა მიმოხილული; ესეც დამახასიათებელია ქართველოლოგიის მდგომარეობისა უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. თავის ესკიზს ავტორი იწყებს ქართველთა ტომების ჩამოთვლით და მათი ურთიერთობის აღნიშვნით, მერე მიმოიხილავს თვით მწერლობის ისტორიას, რომელსაც ის ხუთ პერიოდადა ჰყოფს. პირველი პერიოდი (V—XI სს.), მისი სიტყვით, არის საეკლესიო მწერლობის ხანა, ხოლო სხვა პერიოდები ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს მათში საეკლესიო მწერლობის ხსენება ქრებოდეს. ამ პირველ პერიოდში, ან საეკლესიო მწერლობის ხანაში, ვერც ერთ ძეგლს; გარდა სინას მთის 864 წლის მრავალთავისა, ვერც ერთ მწერალს, გარდა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლებისა, ვერც ერთ მიმართულებას, გარდა ბერძნულისა, რომელსაც ქართველები სომხების საშუალებით ითვისებდნენო, ავტორი ვერ ასახელებს. ასე რომ, საეკლესიო მწერლობის ისტორია ამ შრომაში ამოიწურება მხოლოდ ერთადერთი შიშველი ფაქტის აღნიშვნით, რომ ქართველებს ასეთი მწერლობა ჰქონიათ, და ჰქონიათ მარტო მეთერთმეტე საუკუნემდე. ჩვენ არ გამოვუდგებით სხვა პერიოდების დახასიათების აღნიშვნას, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ეგრეთ წოდებულ დაცემის ხანაში (XIII—XVI სს.)

---

[1] Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothéque patriarcale Grecque à Jérusalem («Orient Chrétien», 3 série, t. III (1923—4) et cet.).

[2] Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliotheque de la Laure d'Iviron au Mont Athos («Orient Chrétien», 3 série, t. VIII (1931—2) et IX (1933—4). იხ. აგრეთვე «Catalogue of the Georgian Manuscrits in the Cambridge University Library».

[3] ეს გამოცემანი, რომელნიც მოთავსებულია ჟურნალში «Harvard. Theological Review», შემდეგია: 1) The Text of the Gospels and the Koridethi Codex (t. XVI, 3, 1923), 2) Ancient Georgian Version of the Old Testament (t. XIX, 1925; ეს არის გადმოკეთება მისი რუსულად დაწერილი შრომისა — «О древне-грузинских версиях Ветхого Завета» («Извест. Кавк. Отд. Москов. Археол. Общест.», вып. VI. Тифлис, 1921 г.), 3. The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscrit (t. XIX, 4, 1926), 4) The Caesarean Text of the Gospel of Mark (t. XXI, 4, 1928), 5) The Athos codex of the Georgian Old Testament და The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos MS. (t. XXII, 1, 1929), 6) ეერემიას ფრაგმენტები («Harvard Theolog. Rev.», t. XXV, 1932), 7) The Old Georgian version of the Gospel of Mark («Patrologia Orientalis», t. XX, fasc. 3, Paris, 1928), 8. Gospel of Matthew (იქვე, XXIV, fosc. 1, (1933), 9. უკანასკნელად იმავე ორგანოში მას გამოუცია იოანეს სახარებაც.

[4] «Epiphanius de Gemmis», London, 1934.

ავტორი ასახელებს ისეთ შრომებს, რომელთა მსგავსი ჩვენმა ისტორიამ არ იცის.

შემდეგ უნდა დავასახელოთ «Die georgische Literatur» პროფესორ A. Baumstark-ისა («Die christlichen Literaturen des Orients», Sammlung Göschen, II, Leipzig, 1911, S. 99—110), რომელიც გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე Finck-ის დასახელებული შრომა. ეს შრომა მიმოიხილავს, მოკლედ, ქართულ მწერლობას დარგების მიხედვით და რამდენადმე დამყარებულია მეცნიერული ქართველოლოგიის უკანასკნელი დროის მიღწევებზე. თუმცა აქაც ვხვდებით ისეთ ცნობებს, თითქოს «განყოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა» ეკუთვნოდეს არსენ იყალთოელს (S. 106), აქაც ადგილი აქვს Finck-ის ზოგიერთ მცდარ ცნობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ «Littérature géorgienne chrètienne» სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორის J. Karst-ისა[1]. ეს მოკლე მიმოხილვა (177 გვ.) შედგება ორი ნაწილისაგან; პირველში განხილულია საეკლესიო ლიტერატურა, მეორეში — საერო. საეკლესიო ლიტერატურა განხილულია 400—1150 წლების მანძილზე და გაყოფილია სამ პერიოდად (400—750, 750—975, 975 — 1150), მათი მოკლე დახასიათებით. აქვე დასახელებულია მსხვილი ლიტერატურული ფიგურები: ექვთიმე და გიორგი ათონელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის აღნიშვნით. მერე მიმოხილულია საეკლესიო მწერლობის დარგები: ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, ლიტურგიკა, დოგმატიკა, აპოლოგეტიკა, საეკლესიო სამართალი, ასკეტიკა, ჰომილეტიკა, აგიოგრაფია, ნათარგმნი და ორიგინალური, აგრეთვე ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია და ასტრონომია. აგიოგრაფიულ დარგში ცალკე თავად გამოყოფილია ციკლი ლეგენდებისა: ქართული (ნინო, კოლაელნი, რაჟდენი), სომხურ-ქართული (შუშანიკი, გობრონი), სირო-მესოპოტამურ-ქართული (აბო, 13 ასურელი მამები) და ქართული დიასპორასი (პეტრე მაიუმელი, ექვთიმე და გიორგი ათონელები). საერო ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორი ჯერ ლაპარაკობს სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ კათოლიკოსის, აგრეთვე ვახტანგ მეექვსის შესახებ, შემდეგ თვალს ავლებს ისტორია-გეოგრაფიას და იურისპრუდენციას, ამის შემდეგ იხილავს მხატვრულ ლიტერატურას: 1) XI—XIII საუკ. (აქ ლაპარაკობს «ბალავარის სიბრძნეზე»): ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი, ვეფხისტყაოსანი; 2) დაცემის ხანა (XIII—XVI სს.); 3) რენესანსის ხანა (XVII—XVIII სს.): თეიმურაზ I, არჩილი, იოსებ თბილელი, ფაშვიბერტყაძე, გურამიშვილი, ბესიკი, საჰათ-ნოვა, კალმასობა; 4) XIX—XX საუკუნეთა ლიტერატურა (ძალიან მოკლედ). წიგნს დართული აქვს ბიბლიოგრაფია, რასაკვირველია, არასრული. დასახელებულ თხზულებათაგან, ჩანს, ბევრი თვითონ არ უნახავს. მიმოხილვა შედგენილია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით, ის თითქმის მთლიანად დამყარებულია პროფ. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ორტომიან ისტორიაზე. ავტორს ბევრი რამ ამ სამეც-

[1] სერიაში — «Bibliothéque catolique des sciences religieuses», 1934.

ნიერო ლიტერატურაში ვერ გაუგია, ამით აიხსნება ის უამრავი lapsus-ი ისტორიულ-ქრონოლოგიური და ფაქტიური ხასიათისა, რომელსაც ადგილი აქვს წიგნში. მიუხედავად ამისა, უცხოელ მკითხველს, რომელსაც ჩვენი მწერლობა აინტერესებს, ის მისცემს საკმაო წარმოდგენას ამ მწერლობის შესახებ და გაუადვილებს შემდეგ მუშაობას.

დასავლეთ ევროპაში ძველი ქართული მწერლობის შესწავლის ხაზით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა დღეს ლუვენის (ბელგიაში) უნივერსიტეტის პროფესორი ჟ. გარიტი (G. Garitte). ის შედარებით კარგად ფლობს ძველ ქართულ ენას, კარგად ერკვევა ძველ ქართულ ტექსტებში და აქვეყნებს მათ, ცალკეულ საკითხებზე გამოკვლევასთან ერთად, უმთავრესად შემდეგს სამეცნიერო ორგანოებში: Le Muséon, Analecta Bollandiana, Revue d'Histoire Ecclesiastique, Corpus scriptorum christianorum orientalium (scriptores Iberici) და სხვ.; არას ვამბობთ ცალკეულ მონოგრაფიულ ნარკვევებზე ქართულ-სომხური ფილოლოგიის დარგში[1]. სხვათა შორის საინტერესოა ჩვენთვის მისი აღწერილობა სინას მთის ქართული ხელნაწერებისა[2], რომელშიაც ნამდვილი მეცნიერული სიზუსტით აღწერილია 37 ხელნაწერი, აქედან ნ. მარის შემდეგი ნომრები: 31, 32, 33, 42, 43, 44, 46, 50, 51, 52, 57, 58, 60, 62, 68, 71, 81, 85, 86, 91, ხოლო ი. ჯავახიშვილის: 6, 8, 11, 15, 16, 19, 22, 25, 29, 30, 35, 36, 38, 39, 78, 79, 97. სამწუხაროდ, ავტორს აუწერია მხოლოდ ბიბლიური, აგიოგრაფიული და პატრისტიკული ხელნაწერები, ლიტურგიკული და ჰიმნოგრაფიული გამოუტოვებია. ასე რომ ამ უკანასკნელთა ხაზით აღწერილობანი ა. ცაგარელის, ნ. მარის და ი. ჯავახიშვილისა კიდევ ძალაში რჩებიან.

მეორე მკვლევარი, რომელიც რომში მუშაობდა, არის მ. თარხნიშვილი, რომელსაც Corpus scriptorum christianorum orientalium ეწოდება, ქართული სექტორის ხელმძღვანელობა ებარა. მ. თარხნიშვილს მოეპოვება მრავალი ნარკვევი ქართველოლოგიის ცალკეულ საკითხებზე და სოლიდური გამოცემანი, როგორც, მაგალითად, Typikon Gregorii Pacuriani (Louvain 1954 წ.), ჟამის წირვა იაკობისა და სხვ. ყველაზე მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია მისი შრომა, რომელიც 1956 წლის დამდეგს გამოვიდა შემდეგი სახელწოდებით: Geschichte der kirchlichen georgischen Literatur auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze. Bearbeitet von M. Tarchnisvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg. შრომა მისალმების ღირსია, რადგანაც ის, ნაწილობრივ მაინც, ავსებს საზღვარგარეთული მეცნიერების შეუწყნარებელ ხარვეზს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ხაზით. ეს შრომა არის ოდნავ შემოკლებული თარგმანი აკად. კ. კეკელიძის პირველი ტომისა; მთარგმნელს ალაგ-ალაგ მოაქვს ამათუიმ საკითხის გამო თავისი

[1] M. Tarchnisvili, A propos des travaux de philologie géorgienne de M. Garitte, Le Muséon, t. LXVIII, 369—384 (აქ მოცემულია ზოგადი მიმოხილვა გარიტის შრომებისა).

[2] Catalogue des manuscrits Géorgiens litteraires du mont Sinai, Louvain, 1956. იხ. რეცენზია ამ შრომაზე J. Molitor-ისა Oriéns Christianus-ში, 1957, B. 41, S. 147—148.

მოსაზრებანი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს[1]. როგორც უნდა იყოს, ეს შრომა მისცემს მკითხველს ზოგად წარმოდგენას ძველი ქართული ლიტერატურის დარგში, ხოლო მკვლევარს შეუქმნის ბაზას შემდგომი მუშაობისათვის. ამ მხრივ დასაფასებელია, რომ ავტორი ამა თუ იმ საკითხის განხილვისას აპარატში უჩვენებს საზღვარგარეთულ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც ჩვენთვის ყოველთვის ხელმისაწვდომი არაა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში დღეს საკმაოდ გაღვივებულია ინტერესი ძველი ქართული ლიტერატურისადმი[2], რომელსაც ხელნაწერთა და ლიტერატურულ ძეგლთა რაოდენობით, შენახულობითა და ღირებულებით, ბევრი მწერლობა ვერ შეედრება.

წინამდებარე შრომას ჩვენ ვყოფთ, შესაველის გარდა, ორ უმთავრეს ნაწილად: პირველ, ასე ვთქვათ, პატროლოგიურ ნაწილში, ვიხილავთ, ქრონოლოგიური წესით, იმ მწერალთა ბიოგრაფიასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას, რომელნიც ცნობილი არიან ამა თუ იმ წყაროებით, ხოლო მეორეში მიმოხილულია თანდათანობითი განვითარება სასულიერო მწერლობისა, ჟანრებისდა მიხედვით, როგორც ეს მიღებულია საზოგადოდ ამგვარ შრომებში. აქ მხედველობაში მიღებულია როგორც ის თხზულებანი, რომელთაც პირველ ნაწილში ეხებით, აგრეთვე, უფრო ვრცლად და გამოწვლილვით, ისეთები, რომელთა ავ-

---


[1] ამ შრომის ხასიათის გათვალისწინებით, იმ სათაურის მაგიერ, რომელიც მისთვის მ. თარხნიშვილს მიუცია, უფრო სამართლიანი იქნებოდა შემდეგი:

K. Kekelidze — Geschicte der kirchlichen georgischen Literatur.

Übersetzung und Bearbeitung von M. Tarchnisvili ... გამოთქმა auf Grund იმდენად ზოგადია, რომ უცხო მკითხველი, რომელსაც კ. კეკელიძის ქართულად დაწერილი შრომა არ უნახავს, ოდნავადაც ვერ გაერკვევა ამ Grund-ის მოცულობაში, ის ვერ გაერკვევა, რა ეკუთვნის ამ შრომაში ავტორს და რა ეკუთვნის მის მთარგნელს; მან შეიძლება იფიქროს, რომ დედანში ყველაფერი ისეა, როგორც თარგმანში; არას ვამბობ იმაზე, რომ მეცნიერული ეთიკა მოითხოვდა მ. თარხნიშვილისაგან წინასწარ ნებართვა გამოეთხოვა ავტორისაგან მისი შრომის ამ ზომამდე და ამ სახით გამოკვეთებისა. (ამის შესახებ იხ. სხვათა შორის H. Vogt-ის რეცენზია მ. თარხნიშვილის თარგმანზე Orientalistische Literaturzeitung-ში 1957, Nr 11—12 S. 531—534 და J Molitor-ისა Oriens Christianus-ში 1957. Band 41, S. 145—148).

[2] როდესაც ლაპარაკია ქართული მწერლობის ისტორიის შესახებ უცხო ენებზე, აღნიშნული უნდა იქნეს ერთი შრომაც, სახელდობრ — Die alt-christliche Literatur in der georgischen Uberlieferung («Oriens Christianus», 1930—1932), რომელიც სიტყვა-სიტყვითი თარგმანია პროფ. კ. კეკელიძის შრომისა «უცხო ავტორები ძველი ქართულ წყარლობაში» (თბილისის უნივერსიტ. მოამბე VIII, 1927 წ., 99—202). ის მცირე მასშტაბის «ორიგინალობაა», რომელიც, ავტორების ჩამოთვლისას, მთარგმნელს გამოუჩენია ქართული ალფაბეტის რიგის უცხო ალფაბეტზე გადატანით და რამდენიმე შემთხვევაში ბიბლიოგრაფიის შევსებით, ეფიქრობთ, ნებას არ აძლევდა მას შრომისათვის წაეწერა: D-r G. Peradze, და ამით ის თავის საკუთრებად გამოეცხადებია. ძველი ქართული წწერლობის პრობლემებს ეხებიან აგრეთვე შემდეგი მეცნიერები: A. Palmieri, D-r H. Goussen, D-r F. Conybeare, Prof. H. Jordan და აგრეთვე Th. Kluge, M. Briere, H. Schuchardt, N. Bonwetsch, G. Deeters, Molitor J., M. Lang. მოკლე მიმოხილვა მოცემულია მ. თარხნიშვილის შრომაში: Kurzer Überblick über den Stand der georgischen Literatur forschung (Oriens Christianus, Band 37, 1953 და ა. გამყრელიძის სტატიაში: ძველი ქართული მწერლობის შესწავლა უცხოეთში) ჟურნ. «ცისკარი», 1957, № 2.

ტორნი ცნობილი არ არიან და რომელთაც ამიტომ პირველ ნაწილში ვერ შევეხებოდით. სასულიერო მწერლობის ისტორიის საზოგადო კურსებში, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენი შრომის მეორე ნაწილის შესატყვისს ვპოულობთ ხოლმე, პირველს, პატროლოგიურ-ბიოგრაფიულ ნაწილს, იქ არ აქვს ადგილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ რაც საზოგადო მწერლობის კურსებში შეიძლება საჭირო არ იყოს, ქართულისაში აუცილებელია: საზოგადო კურსებში ბიოგრაფიული მიმოხილვის შეტანა საჭირო არაა, ვინაიდან მწერალთა ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია იქ ცალკე მონოგრაფიებსა და შრომებშია მდიდრად წარმოდგენილი, ქართულად კი ასეთი მონოგრაფიები არ არსებობს, ჩვენი ძველი მწერლების ბიოგრაფია არამცთუ დამუშავებული არაა მონოგრაფიულად, ჩვენ ბევრი მათგანის ვინაობა სრულიად არ ვიცით. ეს კიდევ ცოტაა, ჩვენი ძველი მწერლობის ბედნიერ მკვლევარს სრულიად ახალი, უცნობი მწერლის აღმოჩენაც კი შეუძლია, იმდენად დაუმუშავებელია ჯერჯერობით ჩვენი წარსული.



2. ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული ლიტერატურისა

სახელწოდება «საქართველო» ჩნდება არაუადრეს მეთერთმეტე საუკუნისა. ეს სახელი აღნიშნავს უკვე პოლიტიკურად და კულტურულად შედუღებულ სხვადასხვა ტომობრივს, ძმურად მონათესავე ერთეულს, როგორიცაა: იბერები, მესხები, ქართები, სვანები, ჭანები, მეგრელები და სხვ. ქართველური ტომები უძველესი დროიდან დანაწილებული ყოფილან სხვადასხვა მონათესავე ენად, დიალექტად და კილო-კავად. ამ ტომობრივმა და ენობრივმა ერთეულებმა, ეკონომიურ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა ნიადაგზე თანდათანობითი გაერთიანების პროცესში, საფუძველი ჩაუყარეს საერთო სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის შექმნას. ამ შექმნის პროცესში ყველა ჩამოთვლილი ტომი ღებულობდა მონაწილეობას, თითოეულს საკუთარი წვლილი შეჰქონდა ამ საქმეში [1], ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები.

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ წამოაყენა მოსაზრება, რომ უძველესი დროიდან, არაბთა ბატონობის განმტკიცებამდე ჩვენში (VII ს.), დასახელებული ქართველური ტომები გაერთიანებული იყვნენ იბერთა სამეფოში და ქართულ სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ ენას საფუძვლად ედო იბერული კილო; ამ ენაზე, ქრისტიანობის მიღებასთან დაკავშირებით, შექმნილა სასულიერო-საეკლესიო მწერლობა, რომელიც ჩვენამდე თუ შენახულა, არა უცვლელად, არამედ შემდგომში გადაკეთებულ-გადამუშავებული

---

[1] აკად. ნ. მარი, ქართველთა ეროვნება (გადმოთარგმნილი გაზეთ «Рассвет»-იდან 1905 წ., №№ 68, 69 და გამოცემული ქუთაისში 1905 წ.), გვ. 8—10; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1913 წ., გვ. 4.

სახით. მეშვიდე-მერვე საუკუნიდან (ახალი წელთაღრ.), სხვადასხვა პირობის გამო, დაწინაურებულა ქართების ტომი, რომელიც სათავეში უდგება იბერთა პოლიტიკურ-კულტურულ მემკვიდრეობას და საფუძველს უყრის იმ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რომელსაც ქართლის სახელით ვიცნობთ[1]. ამიერიდან სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ ენად ხდება ის ენა, რომელსაც საფუძვლად უძევს ქართლური ან ქართული კილო[2].

როდესაც არ უნდა მომხდარიყო ქართლურის სახელმწიფოებრივ ენად გახდომა, აღნიშნული მოვლენის შემდეგ ჩვენი ცხოვრების ზრდა-განვითარება მიისწრაფვის იმისაკენ, რომ ტომობრივი და ენობრივი ტერმინი ქართიან, უფრო სწორედ, ქართლი, გახდეს ნაციონალურ-კულტურულ ტერმინად და საქართველოდ იქცეს. ქართლურის საერთო ლიტერატურულ ენად ქცევამ ეს პროცესი უფრო დააჩქარა. უეჭველია, გაცილებით უფრო ადრე შემუშავდა ის შეხედულება, რომელიც მერე, მეათე საუკუნეში, მკვეთრად გამოთქვა გიორგი მერჩულმა: «ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ღოცვაჲ ყოველი აღესრულების»[3], ესე იგი, საქართველოს არის ის ტერიტორია, რომელზედაც წირვა-ლოცვა, საზოგადოდ ღვთისმსახურება, ქართულად სრულდებაო, ხოლო საეკლესიო-საღვთისმსახურო ენად ჩვენში ლიტერატურული ენა იყო ყოველთვის.

ქართულ ენაში, რომელიც სახელმწიფოებრივ-ლიტერატურულ ენად რჩება დღევანდლამდე, სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პირობების გამო, ხდება აუცილებელი ცვლილებები ლექსიკური, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ხასიათისა. ერთ-ერთი ცვლილება, რომელიც ძველმა ქართულმა განიცადა, შემდეგში მდგომარეობს. საფიქრებელია, რომ ჰ-მეტობა, ესე იგი, პრეფიქსული ხმარება ჰ-სი ზმნებში არა მარტო თანხმოვანთა, არამედ ხმოვანთა წინაც, რომელიც თავს იჩენს ჩვენს სალიტერატურო ძეგლებში მეშვიდე საუკუნის გასულიდან თუ მერვის პირველი ნახევრიდან, დამახასიათებელი უნდა იყოს ქართული კილოსი, ამით ის განირჩეოდა, უნდა ვიფიქროთ, მის დრომდე გაბატონებული იბერულისაგან, რომელსაც, ალბათ, ახასიათებდა ხ-მეტობა[4]. ეს ჰ-მეტობა დაახლოებით მეცხრე საუკუნიდან გადაშენების გზაზე დგება, ამ დროიდან ჰ იკავებს იმ ადგილს, რა ადგილსაც მას ეხედავთ შემდეგი დროის კლასიკურ ტექს-


---

[1] ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? (ჟურნ. «მნათობი», 1948 წ. № 8, გვ. 89—106.

[2] ამ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა ენათმეცნიერების საქმეა.

[3] «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება», გამ. ნ. მარისა, გვ. 80.

[4] ე. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? «მნათობი», 1948 წ., № 8, გვ. 91 — 94. ხ-მეტობა როგ ერთი კილოს კუთვნილებაა, ხოლო ჰ-მეტობა მეორესი, ამ აზრს ა. შანიძეც იზიარებს («თბილ. უნ-ტის მოამბე», III, 361).



ტებში[1]. მეორე ცვლილება, რომელიც მიჯნად დაედო ძველსა და საშუალო ქართულს, თავს იჩენს XI — XIII საუკუნეში, საერო მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. მესამე მნიშვნელოვანი ცვლილება ქართულ ლიტერატურულ ენაში გამოიწვია მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში ევროპულ კულტურასთან უშუალოდ თუ რუსეთის მეშვეობით დაახლოებამ და ცხოვრების საერთო განახლებამ.

ყველაზე მეტად შესამჩნევ ცვლილება-განვითარებას ქართული ენა განსაკუთრებით ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ზეგავლენით განიცდის. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ ის, რასაც ი. სტალინი რუსული ენის შესახებ ამბობს: 30 წლის მანძილზე «შეიცვალა რამდენადმე რუსული ენის ლექსიკური შემადგენლობა, შეიცვალა იმ აზრით, რომ შეივსო ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომლებიც წარმოიშვნენ ახალი სოციალისტური წარმოების წარმოშობასთან, ახალი სახელმწიფოს, ახალი სოციალისტური კულტურის, ახალი საზოგადოებრიობის, მორალის გაჩენასთან დაკავშირებით, დასასრულ, ტექნიკისა და მეცნიერების ზრდასთან დაკავშირებით; შეიცვალა მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების აზრი, რომლებმაც ახალი აზრობრივი მნიშვნელობა მიიღეს; ლექსიკიდან ამოვარდა გარკვეული რაოდენობის მოძველებული სიტყვები»[2].

განვითარების უძველეს საფეხურზე ეს საერთო ქართული ენა უაღრესად წმინდაა, და ვინც ამ ენას შეისწავლის, ის მცოდნე იქნება საზოგადო ქართული ლიტერატურული ენისა, რა ეპოქისაც უნდა იყოს ის, ვინაიდან შემდეგი ცვლილება მას ესმის იმ ცოცხალი ენის შემწეობით, რომელიც მან უკვე იცის. ისეთი განსხვავება, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ძველსა და ახალ ბერძნულს, სომხურს და სლავურ-რუსულ სალიტერატურო ენათა შორის, ქართულ მწერლობაში არ მოიპოვება. ამ ერთადერთ სალიტერატურო ქართულ ენაზე იწერებოდა, საჭიროების მიხედვით, როგორც საეკლესიო, ისე საერო თხზულებანი. ქართველებს არ აქვთ საეკლესიო ლიტერატურული ენა, როგორც, მაგალითად, რუსებს სლავური. მათ აქვთ მხოლოდ ორი საწერი ანბანი, ენა კი ერთი, როგორც, მაგალითად, ასურებს ძველად სამი სხვადასხვა საწერი ანბანი

[1] ხ-მეტობისა და ჰ-მეტობის შესახებ იხ. ი. ჯავახიშვილი, ახლადაღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები («თბ. უნ-ტის მოამბე», II, 313 — 391); ა. შანიძე, ჰე-მეტობა ადიშის სახარებაში (იქვე, გვ. 417—424); მისივე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის («უნ-ტის მოამბე», III, 354—388); მისივე, ხანმეტი მრავალთავი («უნ-ტის მოამბე», VII, 98—160); მისივე, ქართული ხელნაწერები გრაცში, ხანმეტი ლექციონარი («უნ-ტის მოამბე», IX, 310 — 353; მეორე გამოცემა—სერიაში «ძველი ქართული ენის ძეგლები», ნაკ. I, თბილისი, 1944 წ.); ს. ჯანაშია, კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში («წელიწდეული», I, 117—118).

[2] ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, სახელგამი, 1950 წ, გვ. 4.

ჰქონდათ: ესტრანგელო, ნესტორიანული და იაკობიტური, მაგრამ ასურული სალიტერატურო ენა ერთი იყო [1].

ამრიგად, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებამ სამი პერიოდი იცის: ძველი, საშუალო და ახალი. ძველი ქართული ენა განსხვავდება ახლისაგან, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ძველი და ახალი ბერძნული, ძველი და ახალი სომხური, სლავურ-რუსული.

ასეთია საერთოდ წარმოშობა, ხასიათი და განვითარება იმ ენისა, რომელზედაც დამუშავებულა და შენახულა ქართული ლიტერატურა საზოგადოდ, კერძოდ ძველი ქართული მწერლობა.

ახლა უნდა დაისვას საკითხი: რა დროიდან შეიძლება დაწყებულ იქნეს ქართული მწერლობის ისტორია? [2] ეს საკითხი დაკავშირებულია ქართული ანბანის წარმოშობის საკითხთან.

ჩვენ ორგვარი ანბანი გვაქვს: ხუცური და მხედრული; ამ ორი ანბანით არის წარმოდგენილი ყველა ჩვენი ძველი ლიტერატურული ძეგლი [3]. ხუცური ანბანი თავის მხრივ ორნაირია: ასომთავრული და ნუსხური. უკანასკნელი, როგორც დღეს საბოლოოდ გარკვეულია პალეოგრაფიაში, პირველისგანაა განვითარებული. მეათე საუკუნის გასულამდე ქართული ძეგლები უპირატესად ასომთავრულით იწერება, მეთერთმეტე საუკუნიდან, როდესაც მხედრულის ჩანასახი იჩენს თავს, ბატონობს ნუსხა ხუცური, რომლის ელემენტებს მეცხრე საუკუნეში ეხვდებით (სინას მთის 864 წლის «მრავალთავი»).

ჩვენში განმტკიცებული იყო ისეთი შეხედულება, თითქოს ხუცური ანბანი შექმნილი იყოს საგანგებოდ ხუცებისათვის, ესე იგი ეკლესიაში სახმარებლად, საეკლესიო მწერლობისათვის, ხოლო მხედრული — სამხედრო ან საერო დოკუმენტებისა და მწერლობისათვის. ასეთი შეხედულება უსაფუძვლოა. საქმე ისაა, რომ ჩვენმა ძველმა მწერლობამ ამგვარი სახელწოდება არ იცის, ტერმინი «ხუცური» ხმარებაში შემოსულა საკმაოდ გვიან, პირველად ის გვხვდება 1365 წლის ძეგლში. ის არ შეესაბამება არც ისტორიულ-ლიტერატურულ სინამდვილეს: ვისაც ძველ ქართულ მწერლობასთან საქმე ჰქონია, ვინც ამ მწერლობის ძეგლებს შეხებია, იმან იცის, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, როგორც ხუცურის ბატონობისას, ისე მხედრულის

---

[1] აკად. ნ. მარი, ქართველთა ეროვნება (გადმოთარგმნილი გაზეთი Рассвет-იდან 1905 წ., №№ 68, 69 და გამოცემული ქუთაისში 1905 წელს), გვ. 8 — 10, 22 — 25; პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 4. ტფილისი, 1913.

[2] ვამბობთ «მწერლობის» და არა «ლიტერატურის», რადგანაც «ლიტერატურა», ფართოდ გაგებული, ხალხურს, ზეპირსიტყვიერებასაც გულისხმობს. ხოლო ასეთი «ლიტერატურა» განუკერძოებელია ქართველების არსებობასთან და მისი დასაწყისის ძიება ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

[3] საქართველოში ხმარებაში ყოფილა აგრეთვე საიდუმლო, კრიპტოგრაფიული ანბანი სხვადასხვაგვარი სისტემისა; მაგრამ ამ ანბანით მთლიანი ძეგლები, რასაკვირველია, არ იწერებოდა (Н. Марр, Один вид грузинской криптографии, «Христ. Восток», III, 205—207; ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, «საქ. მუზეუმის მოამბე» I, 63 — 68). ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერები, 1930, პარიზი.

Фрагмент (лицевая) стелы с изображением владыки Гатумилка.

№ 858

№ 858. III

Фрагмент верхней боковины (в 1/4 вел.)



მცხეთის ჯვრის მონასტრის ჭარიტერა (VI — VII ს.)

ჩამოყალიბების შემდეგაც (XI ს.) კარგა ხანს, ხუცურად უწერიათ არა მარტო ხუცური, ესე იგი საეკლესიო შინაარსის წიგნები, არამედ საერო, სიგელები, მატიანეები და მხატვრული ნაწარმოებიც. აგრეთვე მხედრული გაჩენის შემდეგ იმით უწერიათ არა მარტო მხედრული, ესე იგი საერო ხასიათისა და შინაარსის წიგნები, არამედ საეკლესიო მწერლობის ძეგლებიც, და ასეთი ჩვეულება მეთვრამეტე საუკუნეში უფრო განმტკიცებულია: ანტონ კათოლიკოსი თავის თთუენს ან სადღესასწაულოს მხედრულით აწერინებს. ამრიგად, ტერმინი ხუცური და მხედრული სწორი არაა და იმ აზრს არ გამოხატავს, რა აზრითაც მას ხმარობდნენ.

ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს რთული და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ანბანის პროტოტიპად თვლიდნენ ბერძნულს, არამეულს, ფალაურს, ავესტას, დევა-ნაგარას, სომხურს. მის წარმოშობას სდებდნენ სხვადასხვა დროს, დაწყებული მეშვიდე საუკუნით (ძველი წელთაღრ.) და გათავებული მეხუთით (ახალი წელთაღრ.). ამ საკითხს აკად. ი. ჯავახიშვილმა უძღვნა სპეციალური თავი «ქართული დამწერლობათმცოდნეობის ანუ პალეოგრაფიის» კურსში (1949 წ.. გვ. 194—238), რომელშიაც ის იმ აზრს ავითარებს, რომ ქართული ანბანი წარმოშობილია ფინიკურ-სემური ანბანიდან არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა (ძველი წელთაღრ.). განსვენებულ მეცნიერს თავისი შეხედულება მიაჩნდა ჰიპოთეზად, რომლის სიმართლის გამორკვეას ის მომავლისაგან მოელოდა (გვ. 228).

შემდგომი კვლევა-ძიება, მცხეთა-არმაზის გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერების გათვალისწინებით, მიმართულია იქითკენ, რომ ქართული დამწერლობა დაუკავშიროს არმაზის წარწერის ანბანს [1].

იმ ჰიპოთეზებიდან, რომელნიც ჩვენში თუ საზღვარგარეთ წამოუყენებიათ ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, უფრო მისაღებია ის, რომელსაც ეს ანბანი ბერძნულისაგან გამოჰყავს [2]. მართლაც, 1) საწერი იარაღის სახელი ქართულში ისეთივეა, როგორც ბერძნულში: კალამი — κάλαμος (3 იოან. 13), მელანი μέλαν (2 იოან. 12, 3 იოან. 13, 2 კორინთ. III, 3). თვით სიტყვა წიგნი უნდა მომდინარეობდეს ბერძნულ-ლათინური σῆγνον — signum-იდან, რაც ქართულ ნიშანს უდრის; ქართველებს გაუფართოებიათ მისი შინაარსი და ამ სიტყვით აღუნიშნავთ ბგერის გამომხატველი ნიშნებიც,

---

[1] გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა 1941 წ. Эпиграфические находки во Мцхете (Доклады на общем собрании Академии наук СССР, стран. 357 — 366, 1948 г.). Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита (Эпиграфика Востока, III, 59—71, 1949).

[2] ქართული ანბანის ბერძნულისაგან წარმოშობას იცავდნენ: საზღვარგარეთ ცნობილი პალეოგრაფი V. Gardthausen-ი, ჩვენში — ისტორიკოსები დ. ბაქრაძე და დ. კარიჭაშვილი.

ასოები. მართლაც, ასოს (γράμμα, буква) ძველს ქართულში ეწოდება წიგნი (რომ. II, 29, VII, 6, 2 კორინ. III, 6, 7), მერე კი ეს სახელი დარჩენილა იმასაც, რასაც ბერძნები βιβλίον და επιστολή -ს ეძახდნენ. 2) არცერთი სემური ალფაბეტი არ შეიცავს ხმოვან ასოებს, რომელიც ბერძნების მიერაა შემოღებული, ქართულს კი აქვს ისინი. 3) ჩვენ ვკითხულობთ და ვწერთ არა მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც სემურშია, არამედ, მსგავსად ბერძნულისა, მარცხნიდან მარჯვნივ. 4) ასოების რიგი და თანმიმდევრობა ქართულში ისეთია, როგორც ბერძნულში; მართლაც, ქართულ ანბანში ა-ნიდან მოყოლებული ჰ-ანამდე, იგივე 24 (ან უკეთ 25, თუ მხედველობაში გვექნება ბერძნული ου, რომელსაც უდრის ქართული ოუ) ასო გვაქვს, ორი გამონაკლისის გარდა (ჲ, ჟ-ჭ, ϙ), რაც ბერძნულში, და იმავე თანმიმდევრობით, როგორც ბერძნულში. ბოლოში, ჰ-ანის შემდეგ, ბერძნულის გაგრძელებად, მოთავსებულია სპეციფიკური, ბერძნულთან შედარებით, ქართული ბგერების გამომხატველი ნიშნები: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჴ, ჰ (თუმცა უკანასკნელი, შესაძლებელია შემოღებული იყოს როგორც შესატყვისი ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასო ω-ისა). სპეციფიკური ქართული ბგერაა აგრეთვე ჲ და ჳ, მაგრამ ისინი ატანილია საერთო ასოთა სვეტში, იმ ორი ბერძნული ასოს (ξ, ϙ) რიცხობრივი მნიშვნელობის შესატყვისად, რომელნიც ქართულში არ მოიპოვებიან. 5) ქართულ ასოებს შემოუნახავთ უცილობლად არა მარტო თანმიმდევრობა ბერძნული ანბანის ასოებისა, ჰ-ანამდე, არამედ მათი რიცხობრივი მნიშვნელობაც (ჲ და ჟ-ს შესახებ იხ. ზემოთ). ჰ-ანის შემდეგ, რომელიც ბერძნულშიაც 600 აღნიშნავს, დანარჩენი ასეულებისა და ათასეულების აღსანიშნავად გამოყენებულია ანბანის ბოლოში მოქცეული სპეციფიკური ქართული ასოები. 6) ანბანის სადაურობის გამორკვევისას ასთა შედარებითი მეთოდი არ ვარგა, ეს მეთოდი მეტად სუბიექტურია, მაგრამ, თუ მაინცდამაინც იმასაც მივმართავთ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი სჩადის, და ქართული ასოების (იგულისხმება თაედაპირველი ასომთავრული) მოხაზულობას IV—V საუკ. ბერძნული უნციალური ასოების მოხაზულობას შევადარებთ, ქართულს ბერძნულთან მეტი ნათესაობა აღმოაჩნდება, ვიდრე სხვა რომელიმე ერის ასოსთან [1].

ამდენხან ჩვენ ვლაპარაკობდით ქართული ანბანის წარმოშობის, მისი პროტოტიპის შესახებ; ახლა, ამასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვიკითხოთ: როდის მოხდა ქართული ანბანის შემოღება და რა დროიდან უნდა დავიწყოთ ქართული მწერლობის ისტორია? მეხუთე საუკუნემდე (ახალი წელთაღრიცხ.) ქართულ ენაზე არ მოიპოვება არცერთი ლიტერატურული ღინათუ ეპიგრაფიკული ძეგლი, ჯერ არ აღმოჩენილა არცერთი ქართული წარწერა არც დედამიწის ზედაპირზე, არც მის წიაღში. მცხეთა-არმაზის გათხრების შედეგთა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართველები თავიანთ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერ-

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე: ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ. «მნათობი», 1929 წ., №№ 5—6, 7.

ლობის საშუალებით. მეოთხე საუკუნის გასულს თუ მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა, ეს უაღრესად მწიგნობრული რელიგია, დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისა. როგორც არ უნდა იყოს, ლიტერატურულ ძეგლებზე დამყარებული ქართული მწერლობის მეცნიერული ისტორია მხოლოდ მეხუთე საუკუნის დამდეგიდან შეგვიძლია დავიწყოთ.

პირველი უტყუარი ცნობა საქრისტიანო ლიტერატურული ძეგლების არსებობის შესახებ მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. მემატიანე მოგვითხრობს, რომ არჩილ მეფის (422—432 წწ.) შვილის, მირდატის, მეუღლემ «საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რამეთუ ქმარმან მისმან მოგუარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესიო»[1], უთარგმნეს, იგულისხმება, ან ქართულად, ან ქართულიდან. იგივე მემატიანე მოგვითხრობს შემდეგ იმასაც. რომ არჩილ მეფეს ეპისკოპოსად დაუსვამს ვინმე მობიდანი, რომელიც, თურმე «ფარულად სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა»[2]. წერდა, რასაკვირველია, ქართულად, ვინაიდან მისი მიზანი იყო გაერცელება მაცთური მოძღვრებისა თავის სამწყსოში — ქართველთა შორის. აქედან, მაშასადამე, გასაკვირველი არაა, რომ მეხუთე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს ქართულ ენაზე დაწერილა ისეთი ორიგინალური თხზულება, როგორიცაა «შუშანიკის მარტვილობა» იაკობ ცურტაველისა. დასახელებული თხზულების დაწერამდე ქართულ მწერლობას ინტენსიური განვითარების გზა გაუვლია: ქართულ ენაზე ყოფილა როგორც ბიბლიური წიგნები ძველისა და ახალი აღთქმისა (იაკობის თხზულებაში მოხსენებულია «ეუანგელე» — სახარება, «პაულე» — ეპისტოლენი, და «ასერგასნი ფსალმუნნი» — დავითნი), ისე პროტოტიპი იაკობის შრომისა, «მოწამეთა წიგნი», რომელიც მის თხზულებაშივეა მოხსენებული.

ამრიგად, მეხუთე საუკუნეში ქართული სასულიერო მწერლობა უკვე ეჭვმიუტანელი და უტყუარი ფაქტია[3].

მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენ გვაქვს ესტატე მცხეთელის მარტვილობა, ხოლო მისი დასასრულიდან ცნობა სტეფანოზ პირველის შესახებ. როდესაც სტეფანოზს, შიომღვიმისათვის მამულების ჩამორთმევის გამო, მძიმე სენი ეწია, მან მოინდომა ცოდვის მონანიება და ამისთვის «მოუწოდა მწიგნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რათა დასწერნეს ორნი დაბანი, დაბათაგან სამეფოთა ურჩეულესნი; მერმე აღიღო კელითა თჳსითა ქარტაჲ იგი და დადგა საფლავსა ზედა წმიდისა შიოსსა... და დაამტკიცა უკუე კელითაჲ წერილი იგი კელითა თჳსითა და წარსცა ყოველსა შინა ქუეყანასა ქართლისასა»[4]. როგორც ვხედავთ, მეექვსე საუკუნის გასულს ჩვენში იწერე-

[1] ქართლის ცხოვრების მარიამისეული რედაქცია, გვ. 120.

[2] იქვე.

[3] ჩვენი საკითხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში 493 წლის ბოლნისის ცნობილ წარწერასაც.

[4] «ძეგლნი ქართველოს სამოთხე», გვ. 258.

ბოდა სიგელები და სხვა დოკუმენტები, რისთვისაც საგანგებო თანამდებობაც კი ყოფილა მ წ ი გ ნ ო ბ რ ი ს ა.

მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ქართული მწერლობის არსებობის დასამტკიცებლად უფრო მნიშვნელოვანია უცხოელთა ძოწმობა, რომელიც გვაჩვენებს, რომ ქართველთა მწიგნობრობა ამ დროს არ იყო შინაური, ოჯახური მოვლენა და ფაქტი, არამედ მას იცნობდნენ სხვებიც, მახლობელი თუ დაშორებული ერებიც. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ მეხუთე საუკუნის გასულის ცნობა, რომელიც დაცულია ასურულ თხზულებაში «წიგნი ერთა და ქუეყანათათჳს». ამ თხზულებაში ვკითხულობთ: «სემის, ქამის და იაფეტისაგან წარმოიშვა 73 ერი, ტომი და ენა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც იციან წერა-კითხვა; 15 ერია ასეთი, სხვები კი არ განირჩევიან ველურებისაგან და დაძრწიან როგორც უგუნურნი პირუტყუნიო». ამას ავტორი დასძენს: «წიგნის მცოდნენი არიან ასურელნი, ებრაელნი, ბაბილოველნი, სპარსნი, ელამიტელნი, მეგვიპტელნი, კუშიტები, ჰინდონი, ფინიკიელნი, იონელნი, ამორელნი, ალანნი, რომაელნი, სომეხნი, ტაონი, ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი» [1].

მეექვსე საუკუნის პირველი წლებიდან ჩვენ გვაქვს სომხური ცნობა, რომელიც შენახულა ეგრეთ წოდებულ ე პ ი ს ტ ო ლ ე თ ა წ ი გ ნ შ ი; აქ ნათქვამია, რომ ქართველებს, სომხებს და ალბანელებს თავისი საკუთარი ბწერლობა აქვთ (გვ. 51); აქედანვე ვტყობილობთ, რომ სპარსეთის მეფის კ ა ვ ა დ ი ს დროს 506 წელს, ქართველებსა და სომხებს მოუხდენიათ საეკლესიო კრება, რომელსაც დასწრებია ქართლის კათოლიკოსი გაბრიელი. აქტები ამ კრებისა, ქალკედონის კრების დადგენილებათა უარისმყოფელნი, დაწერილი ყოფილა ქართულ ენაზედაც (გვ. 182 — 184) [2].

უველაზე საყურადღებო მოწმობა მეექვსე საუკუნის პირველი მეოთხედიდან ჩვენ გვაქვს ბერძნულ მწერლობაში, ასეთია ს ა ბ ა გ ა ნ წ მ ე დ ი ლ ი ს «ანდერძი», რომელიც მან დაუტოვა სიკვდილის წინ (532 წ.) თავის მოწაფეს და წინამძღვრობაში მემკვიდრეს მ ე ლ ი ტ ე ს. საბა იყო დამაარსებელი პალესტინაში უდიდესი ლავრისა, რომელშიაც თითქმის უველა ქრისტიანი ერის წარმომადგენელნი მოღვაწეობდნენ; უმეტეს ნაწილს ბერძნები შეადგენდნენ, მაგრამ მათთან ერთად, სხვათა შორის, ყოფილან აქ, როგორც მისი ბიოგრა-

[1] Scriptores Syri, t. III, s. IV. Chronica minora, p. 3, 352, 354, 357; Н. Марр. Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, «Изв. Акад. Наук», 1911 г., стр. 218.

[2] Н. Марр, Исторический очерк груз. церкви, «Церков. Ведом.» 1907 г., № 3, прилож., стр. 116; И. Джавахов, История церковного разрыва между Грузиею и Арменией в начале VII в., «Известия Акад. Наук», 1908 г., стр. 443—444.

ფიიდანა ჩანს, ასურელნი, სომეხნი და ქართველნი. ჩანს, მათ შორის ეროვნული ჭიშპობა ყოფილა და ამით აიხსნება შემდეგი მუხლი ამ ანდერძისა:

Μὴ ἐχειν δὲ ἐξουσίαν μήτε τοὺς Ἰβήρ ς, μήτε τοὺς Σύρους λειτουργί ν τελείαν ποιεῖν ἐν τ ῖς ἐκκλησίαις οὐτῶν, ἀλλὰ συναθροιζομένοις ἐν οὐτ ῖς ψάλλειν τὰς ὥρας καὶ τὰ τυπικά, ἀναγινώσκειν δὲ τὸν Ἀπόστολον καὶ τὸ Εὐαγγέλιον τῇ ἰδίᾳ δι λέκτῳ, καὶ μετὰ ταῦτα εἰσέρχεσθαι εἰς τὴν μεγάλην ἐκκλησίαν κ.ὶ μετ λαμβάνειν μετὰ πάσης τῆς ἀδελ ότητος τῶν θείων καὶ ἁχράντων κ.ὶ ζωοποιῶν μυστηρίων[1].

არც იბერიელებსა და არც ასურებს უფლება არ უნდა ჰქონდეთ თავიანთ ეკლესიებში ჟამის წირვა ჭეასრულონ; მათ, ამ ეკლესიებში ჭეკრებილთ, ნება ეძლევათ წართქვან ჟამნი და სამხრისაჲ, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე, ხოლო ამის ჭემდეგ ისინი უნდა შეიკრიბნენ კათოლიკე ეკლესიაში და ყველა ძმებთან ერთად ეზიარნენ საღმრთოთა, უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა.

აქედან ჩანს, რომ ქართველებს მეექვსე საუკუნის დასაწყისს უკვე ჰქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ჟამნი, სამხრისაჲ, 1, 3, 6 და 9 ჟამნი; ცხადია, ყოველივე ეს მეექვსე საუკუნის დასაწყისს ვერ გაჩნდებოდა, არამედ ადრე შემუშავდებოდა.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან ცნობილი გახდა უკანასკნელ წლებში მოზაიკური წარწერა თეოდორე ტირონის მონასტრისა ბეთლემში (პალესტინაში) აქ სამი წარწერაა, რომელთაგან პირველი სხვებზე უკეთ შენახულა და იკითხება ასე[2]: «შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორჱსითა შეიწყალენ[3] ანტონი აბაჲ და იოსია[4], მომსხმელი ამის სეფისაჲ, და მამა-დედაჲ იოსიაჲსი. ამენ»[5].

---

[1] Проф. А. Дмитриевский, Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеках православного востока, т. I, стр. 222 — 223. E. Kurz, Das Typikon des heiligen Sabbas (Byzant. Zeitschr. III, 5. 169).

[2] V. Corbo—M. Tarchnisvili, Iscrizioni georgiane del monastero di S. Teodoro a Bir el-Qatt (Betlemme), in „La Terra Santa" 28 (1953), o. 181—186. V. Corbo Il monastero georgiano di S. Teodoro a Bir el-Qatt, იქვე. p. 279—284 M. Tarchnisvili Das neuaufgefundene Kloster der Georgier in Bethlehem, in «ბედი ქართლისა». 1954. № 16, S. 12—17, Paris. Მისივე, Le Iscrizioni musivé del monastero di Bir el Qatt, in P. V. Corbo, Gli scavi di Kh. Siyar el Ghanam e i monasteri del dintorni, p. 135—139, Gerusalemme, 1955.

[3] დედანში შნ; თუ ეს მართლა «შეიწყალენ» არის, სრული სახით ხანმეტთა იქნებოდა წარმოდგენილი (შეიწყალენ).

[4] ამ წარწერის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები VI.

[5] ეს თეოდორეს მონასტერი ხომ არაა ნაშთი იმ თეოდორეს მონასტრისა, რომელიც XVII ს. „აუშენებიათ", ესე იგი გაუახლებიათ ბეკან და ბაადურ ჩოლოყაშვილებს (Н. Чубинов, Описание крестного монастыря, А. Цагарели, Сведения, т. I, вып. 3, стр. 44).

მეექვსე საუკუნის გასულს, როგორც «ეპისტოლეთა წიგნიდან» ჩანს, ქართლში გაჩაღებული ყოფილა წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. ქართლის კათოლიკოსს კირიონს მიწერმოწერა ჰქონია არა მარტო სომხეთის, არამედ იერუსალიმისა და რომის პატრიარქებთან[1]. ასე რომ, რაც დრო გადიოდა, ქართული მწერლობა უფრო და უფრო მაგრდებოდა და იკიდებდა ფეხს. იმას სხვა ერებიც ეცნობოდნენ და აღიარებდნენ. მეცხრე საუკუნიდან ჩვენ გვაქვს ერთი ისეთი ცნობა, რომელიც ცხადყოფს, რომ ამ მწერლობის შესახებ შორეულ დასავლეთშიაც კი სცოდნიათ ცოტა რამ. სლოვენთა განმანათლებლის კონსტანტინეს (resp. კირილეს) ცხოვრებაში მოთხრობილია შემდეგი: როდესაც ის ვენეციაში იყო, რომში მგზავრობისას, შეიკრიბნენ მასთან ეპისკოპოსები, მღვდლები, ბერები და ჰკითხავდნენ მას: რა ნება გაქვს შენ სლავებს მწერლობა შეუქმნა, როდესაც ღვთისმსახურება შეიძლება მხოლოდ სამ ენაზე—ებრაულზე, ბერძნულსა და ლათინურზეო? კონსტანტინემ უპასუხა: «Мы же народъ много знаемъ книгы оумъюще и богоу славоу вьздающе кьждо своимь езыкомь: явъ же соуть си: армены, перси, а в а з г и, и в е р и, соугды, готфи, обри, турьси, козари, аравляне, египты и ины мнози»[2]. ესე იგი: ჩვენ ვიცით ბევრი ერი, რომელთაც წიგნი იციან და ღვთისადმი დიდებას აღავლენენ თავისი საკუთარი ენით, ასეთებია: სომხები, სპარსნი, ა ბ ა ზ გ ე ბ ი, ი ბ ე რ ე ბ ი, ზუგდები, გუთები, ობრები, თურქები, ხაზარები, არაბები, მეგვიპტელნი და სხვანი მრავალნიო[3]. შეიძლება ამ მოწმობაში ჩვენ

---

[1] მეექვსე საუკუნეში, პ რ ო კ ო ფ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ცნობით, მწერლობა თითქოს ლაზებსაც ჰქონიათ; მათი დესპანების სიტყვით, ლაზებს შენახული ჰქონიათ ზავის წიგნები და ხელშეკრულება-პირობათა წერილები, რომელნიც მათ ოდესმე სპარსელებთან დაუდვიათ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I3, 253). არ მგონია, რომ აქ იგულისხმებოდეს ლაზების საკუთარი მწერლობა, საკუთარი ლაზური თუ ბერძნული, ან ქართული ანბანით; უეჭველია, აქ იგულისხმება ბერძნულსა და სპარსულ ენაზე დაწერილი ზავის პირობები და ხელშეკრულებანი, რომლებსაც ლაზებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. «არც მეგრულს, არც სვანურს, არც აფხაზურ ენაზე მწერლობა ძველად არ ყოფილა. როცა ქრისტიანობა შემოვიდა ეგრისში, აქ იგი ბერძნულ მწერლობას ხმარობდა» (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1948 წ., გვ. 118).


[2] Zivot sv. Konstantina receného Cyrilla, P. S. S a f a r i k. Vpcaze 1868. стр. 21. строка 10—13; И. А. Л а в р о в, Материалы по истории возникновения древнейшей славянской письменности («Труды Славян. Комиссии Академии Наук», I, 30).

[3] ასეთივე აზრი გატარებულია მე-16 საუკ. ერთ სლავურ კრებულში: «Се ведите, яко на свете сем суть языкъ всехъ 72, половина правоверныхъ есть языкъ на свете: болгари, греци, сурьяне, и в е р и и руси: в тех суть три книги правоверных: грецкии и болгарскии и и в е р с к и и» (Н. Т и х о н р а в о в, Памятники отреченной русской литературы, II, 446. მერე ჩამოთვლილია სამოციქულო საყდრები: «место святого апостола Петра престоль фряжскии, место святого апостола Павла престоль арменскии, место святого апостола Ѳомы престоль Иверскии» стр. 447). სამხრეთ სლავურ მწერლობაში ქართველთა შესახებ კიდევ არის ცნობები; მე-15 საუკ. სერბიულ ხელნაწერში: «Се ведите братье на свету суть трiе царiе, якоже есть на небе святая троица: царство греческое, царство болгарское, царство и в е р с к о е. Вь греческом отец, в Иверском сын, вь

გვქონდეს გამოძახილი პტოლემეოსის გეოგრაფიის ასურული რედაქციისა, მაგრამ საყურადღებოა, რომ იბერთა და აბაზგთა (ალბათ, იგულისხმება ერთი და იგივე ქართული მწერლობა) [1] ლიტერატურა შორეულ სლაველებისათვისაც უეჭველი ფაქტი ყოფილა ამ დროს.

болгарском святый духъ» (стр. 440). XV საუკუნის ბულგარული ხელნაწერით სიბილა აჩვენებს 9 ნათესაეს: «первый род словене, второй И в е р и, третьи еллини, рекше грьци» («Жур. Мин. Народ. Просв». 1875 г., Апрель, стр. 293).

[1] სხვა ნუსხაში ИВЕРИ-ს მაგივრად სწერია АВЕРИ (Н. Я. Я с т р е б о в, Сборники источников Кирилла и Мефодия, 1911 г.; ციტატი ამოღებულია «Seminarium Kondakovianum»-იდან, I, 301); ვინაა ეს «ავერი»? ამაზე პასუხს იძლევა რუსული Толковая Палея, რომელშიაც «ავერი» განმარტებულია ასე: авер, иже суть обези, ავერი არის «обезиь»-ო, ესე იგი, აფხაზი — იევრიო (Повесть временных лет, II, 213).



3. პერიოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა

ფეოდალური ხანის, ან ძველ ქართულ, ლიტერატურას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს; საჭირო და აუცილებელია გარკვეულ იქნეს განვითარების ეტაპები ამ მწერლობისა ან, უფრო ნათლად, პერიოდები მისი ისტორიისა. შეიძლება კი ლაპარაკი ფეოდალური ხანის ლიტერატურის პერიოდიზაციაზე, რამდენადაც ფეოდალური ხანა თვითონ წარმოადგენს ერთ გარკვეულ პერიოდს მთლიანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში? შეიძლება და აუცილებელია. არსად, არცერთ ქვეყანაში, კერძოდ არც საქართველოში, ფეოდალიზმი გაქვავებული სახით არ გვევლინება, ფეოდალიზმსაც თავისი განვითარებისა და ცვალებადობის ეტაპები გააჩნია. მაშასადამე, ასეთივე ეტაპები შეიძლება ჰქონდეს მის ზედნაშენს — ლიტერატურასაც.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფისას ჩვენ გამოსაყალ პრინციპად ვიღებთ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ევოლუციას ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, განვითარების ეტაპებს თვით ფეოდალური ფორმაციისას, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ამისდა შესაბამისად ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ოთხ პერიოდად შეგვიძლია დავყოთ.

პირველი პერიოდი

ადრინდელი ფეოდალიზმის ხანა

პირველი პერიოდი გრძელდება დღიდან მწერლობის დაწყებისა მეათე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. ეს არის დასაწყისი ხანა ჩვენი მწერლობისა, როდესაც ის ფეხს იდგამს, მტკიცდება და გარკვეულ სახეს ღებულობს. ამ პერიოდში ქართული მწერლობის ასპარეზად გვევლინება აღმოსავ-

ლეთი საქართველო, დასავლეთი საქართველო ზოგად-ქართულ პოლიტიკურ-კულტურულ მშენებლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, ჯერ კიდევ ყოველ შემთხვევაში, VIII—X საუკუნემდე, აქტიურ მონაწილეობას ვერ იღებს. აღმოსავლეთ საქართველოში მეოთხე საუკუნის ნახევრიდან ფეხს იდგამს «აღმოსავლური», თავისი ტრადიციებით რომაულ-ბიზანტიურისაგან განსხვავებული, ნაკადი ქრისტიანობისა, რომელიც ასაზრდოებდა აღმოსავლეთის ქვეყნების — სირიის, სპარსეთის, სომხეთის, არაბეთის — ქრისტიანებს, მათთან ერთად ქართველებსაც. რადგანაც ქართული ქრისტიანობა და ის მწერლობა, რომელიც მის გავრცელებას, განმტკიცებასა და აყვავებას ემსახურება, თითქმის მეათე საუკუნის გასულამდე, აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციასთან იჩენს ნათესაობას. პირველი პერიოდის მწერლობას, ჩვეულებრივ, «აღმოსავლურ» ქრისტიანულ ტრადიციათა მატარებელ მწერლობას უწოდებენ. ამ მწერლობას მთელი თავისი მოცულობით, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში ჩვენში ადგილი ჰქონდა გააფთრებულ ბრძოლებს, რომელნიც ულმობელად ნთქავდნენ დამარცხებული მხარის ლიტერატურულ პროდუქციას, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გადაკეთება-გადამუშავების ობიექტად ხდიდნენ მას. ეს ბრძოლები სხვადასხვა ხასიათისა იყო, სახელდობრ:

1. ბრძოლა ტომობრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურულ-ლიტერატურული ჰეგემონიისათვის.

2. სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლა გარეშე მტრებისა და მოძალადეთა წინააღმდეგ, რომლის დროს ლიტერატურული ძეგლებიც იღუპებოდა.

3. ბრძოლა სოციალურ-კლასობრივი: ა) საზოგადოების დაბალი ფენებისა ფეოდალური და საეკლესიო-სამონასტრო ექსპლოატაციის წინააღმდეგ; ბ) სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის; გ) თეთრსა და შავ სამღვდელოებათა შორის.

4. ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობისა და კულტურული დამოუკიდებლობისათვის, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს მთელ ამ პერიოდს.

5. ბრძოლა წმინდა კონფესიური, დოგმატიკურ-ფილოსოფიური, რომელსაც აწარმოებდა ე. წ. «მართლმადიდებლობა» წარმართობისა და სხვადასხვა ქრისტიანული სექტის (არიანობა, ნესტორიანობა, ანტიქალკედონიტ-მონოფიზიტობა, პაულიკიანობა), აგრეთვე მაჰმადიანობის წინააღმდეგ.

რა პირობებში უხდებოდა ამ პერიოდში ქართულ მწერლობას ზრდა და განვითარება? ვგულისხმობთ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების პირობებს, აგრეთვე იმ კულტურულ გარემოცვას, რომელშიაც იმყოფებოდა ამ დროს ჩვენი ქვეყანა. ამ უკანასკნელს, კულტურული გარემოცვის საკითხს, ჩვენ ვერ ავსცდებით, რადგანაც ჩვენს ქვეყანას იზოლირებულად არ უცხოვრია არასდროს, მას ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა ჰქონდა სხვა, მახლობელ თუ შორეულ, ქვეყნებთან, მისი კულტურა და ლიტერატურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთზემოქმედების სფეროში.

მწერლობის დასაწყის ხანაში აღმოსავლეთი საქართველო საბოლოოდ გამოსული იყო გვაროვნული წყობილების გარსიდან; აქ არსებობდა მტკიცე პოლიტიკური ორგანიზმი, რომელშიც მკაფიოდ ჩანს სოციალური დიფერენციაციის ფესვები. მოსახლეობა ორ კატეგორიადაა გაყოფილი: საერონი და სამღვდელონი. საერონი არიან «აზნაურნი» და «უაზნონი». «აზნაურნი» წარმოადგენენ ბრძანებელთა, გაბატონებულ კლასს. მათ შორის განირჩევიან «აზნაურნი დიდებულნი» და, იგულისხმება, «აზნაურნი მცირენი». «უაზნონი» შეადგენენ დაბალ სოციალურ ფენებს, მბრძანებლობისა და ბატონობის ობიექტს. «სამღვდელონი» ან «სასულიერო წოდება», ფეოდალური საზოგადოებრიობის ისეთსავე გაბატონებულ ფრთას წარმოადგენდა, როგორსაც «აზნაურნი», განსაკუთრებით მისი მეთაური: «ეპისკოპოსთა თავი» ან კათოლიკოსი და ეპისკოპატი. ძირს, ქვედა საფეხურზე, აქ დგანან ხუცესნი და დიაკონნი, რომელთა მდგომარეობა დიდად არ განირჩეოდა «უაზნოთა» მდგომარეობიდან. «სამღვდელოთა» მეორე ფრთას ეკუთვნოდა შავი სამღვდელოება ან ბერმონაზვნობა, რომელიც ჩვენში ჩნდება მეექვსე საუკუნიდან, და საუკუნეთა განმავლობაში იმდენად ძლიერდება, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ჰეგემონის პრეტენზიებით გამოდის.

მწერლობის დასაწყის მომენტში იბერია ორ ნაწილად იყო (368 წლიდან) გაყოფილი; დასავლეთის სექტორი რომაელების პოლიტიკური გავლენის ზონაში იმყოფებოდა, ხოლო აღმოსავლეთის სექტორი, რომელსაც მეხუთე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დასავლეთის სექტორიც უერთდება, თანდათან ხდება ობიექტი სპარსეთის აგრესიული ზრახვებისა. მეხუთე საუკუნის დამდეგიდან, ბაკურ დიდის დროიდან, სპარსეთი თანდათან უპერს მას არტახებს, 532 წელს საბოლოოდ აუქმებს აქ მეფობას და თავის წარმომადგენლად «მარზპანს» ნიშნავს. სპარსელების ბატონობა ქართლში 643—645 წლებში შეიცვალა არაბთა და მათი «ამირას» ბატონობით, რაც მიმდინარე პერიოდის მიწურულში ყველგან კიდევ არ იყო მოსპობილი ჩვენში. შინაგანი მართვა-გამგეობის აპარატისათვის სპარსელებსა და არაბებს ხელი არ უხლიათ და ის ერისთავები, რომელნიც წინათ ამა თუ იმ ფეოდალურ ერთეულს — საერისთაოს განაგებდნენ, თავიანთ ადგილზე დარჩნენ. მხოლოდ, თუ წინათ ისინი ადმინისტრაციული პირები იყვნენ, ახლა მემამულეებად და თავიანთი ფეოდის—საერისთაოს სრულ ბატონ-პატრონად იქცნენ. ასე რომ, ეს ერისთავები შეიქნენ თავისებური მეფეები თავიანთ საბრძანებელში. ისინი ცხოვრობდნენ და ბატონობდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებით და დამოუკიდებლად, რაც, თუ გნებავთ, იქიდანაც ჩანს, რომ, არაბების შემოსევისას, თითოეული მათგანი ცალკე, როგორც სრული ბატონ-პატრონი თავისი სამფლობელოსი, მიდის არაბთა მხედართმთავართან და ხელშეკრულებას სდებს მასთან. ასე რომ, მეექვსე საუკუნიდან, ერთის ნაცვლად, აღმოსავლეთ საქართველოში იმდენი «სამეფო» გაჩნდა, რამდენიც წინათ საერისთაო იყო. მათ არაფერი საერთო ერთმანეთში არ ჰქონდათ გარდა ეროვნებისა, ენისა, სარწმონოებისა, სპარს-არაბთა წინაშე ყმობისა და ურთიერთშორის დაუნდობელი ბრძოლისა, როგორც ეს დამოწმებულია ისტორიკოსის შემდეგ სიტყვებში:

«იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა, და მტერ იქმნეს ურთიერთას»[1]. აღნიშნული ბრძოლისა და მტრობის პროცესში, არაბთა დასუსტების ზეგავლენით, მერვე-მეცხრე და მეათე საუკუნეთა განმავლობაში. ამ ფეოდალურ საერისთაო-სამთავროთა შორის ჩამოყალიბდა ოთხამდე ცოტად თუ ბევრად მსხვილი უჯრედი, ესენია: 1) «ქართველთა მეფის» საბრძანებელი ტაო-კლარჯეთში, 2) კახეთის საქორიკოზო, 3) თბილისის ემირატი და 4) აფხაზეთის სამეფო (დასავლეთი საქართველო). მეათე საუკუნეში იწყება პროცესი ამ ერთეულების გაერთიანებისა, რომელიც მთავარ ხაზებში დასრულდა ამ საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგისათვის «ქართლის» «საქართველოდ» ქცევით.

პირველი პერიოდი ქართული მწერლობისა მოდის, როგორც ვთქვით, სპარსთა და არაბთა ბატონობის ხანაზე. ეს ბატონები იმის ცდაში იყვნენ, რომ აქედან ხარკის სახით გაეტანათ ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლებოდა. ისინი ოდნავადაც არ ფიქრობდნენ ხელი შეეწყოთ ქვეყნის საწარმოო ძალთა და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისათვის. ეკონომიკაში ბატონობს კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა, უმთავრესად მიწის დამუშავებაზე დამყარებული. თითოეული კუთხე ან საერისთაო-სამთავრო, რომელიც მეორისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა, ჰქმნის მხოლოდ იმას და იმდენს, რაც და რამდენიც მისთვისაა საჭირო. ყოველივე ამით აიხსნება, რომ ქვეყანა, განსაკუთრებით არაბების დროს, მოიცვა სიღარიბემ და გაჭირვებამ, რასაც ასე უსვამს ხაზს აბო თბილელის მარტვილობა.

ასეთი იყო ზოგადად სურათი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობისა პირველ პერიოდში. ამ «მდგომარეობამ» შექმნა შესაფერისი «შეგნება» — იდეოლოგია, სახელდობრ, რელიგიურ-მისტიკური იდეოლოგია, რომელმაც გამოხატულება საეკლესიო-სასულიერო სტილის ლიტერატურაში პოვა. რა იყო, უფრო კონკრეტულად, მიზეზი ამ პერიოდში რელიგიური იდეოლოგიის გაბატონებისა და აქედან მწერლობაში სასულიერო-საეკლესიო სტილის დამყარებისა? ამის მიზეზი იყო:

1. სასულიერო წოდების ძალა საზოგადოებაში, როგორც შედეგი მისი ძალისა ეკონომიკაში. თეთრი და შავი სამღვდელოება შეადგენდა ფეოდალური კლასის ცალკე ფრთას, რომელმაც უაღრესი გავლენა მოიპოვა საზოგადოებაში. ეკლესია წარმოადგენდა ეკონომიურად უძლიერეს ორგანიზაციას, მის ხელში თავმოყრილი იყო უზარმაზარი მამული. საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობა იმდენად მძიმე უღელი, რომ, როგორც სერაპიონ ზარზმელის «ცხოვრებიდან» ვგებულობთ, ზოგიერთ ადგილას მემამულეები და გლეხები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ბერებს, რომელნიც მონასტრის გაშენების მიზნით გამოჩნდებოდნენ იქ. უმეფობის ხანაში ეკლესიას მეტოქე აღარავინ ჰყავდა, რადგანაც ის უფრო მდიდარი და ძლიერი იყო, ვიდრე თითოეული ცალკე საერისთაო. საერისთაო, როგორც ვიცით, ამ პერიოდში

[1] ქართლის ცხოვრების მარიამისეული ვარიანტი, გვ. 217.

მრავლად იყო ჩვენში, ეკლესია კი, როგორც ინსტიტუტი, ერთი; ამით აიხსნება, რომ ის არამცთუ ადვილად იგერიებს ერისთავთა შეტევას (სტეფანოზ I, მეექვსე საუკუნეში), იერიშითაც კი მიდის მათი უფლება-ძლიერების წინააღმდეგ (გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის დრო). ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი იქამდე ძლიერდებოდა, რომ ამა თუ იმ ადგილას ის მემამულე ერისთავის ფუნქციებსაც კი ითვისებდა; ასე, მაგალითად, მეცხრე საუკუნეში, როდესაც სამცხეში გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ დიდი მღელვარება დაიწყო, გიორგი მაწყვერელმა «ქელთიდეა განგებაჲ სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს იყო, და დაიპყრნა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი».

2. გონებრივი ინტერესების შემოფარგვლა, როგორც შედეგი ეკონომიური და პოლიტიკური პარტიკულარიზმისა. როდესაც თითოეული ხევი ან საერისთაო განცალკევებულ. შემოზღუდულ ერთეულს წარმოადგენდა, რომლის ზედაპირს არ არხევდა ფართო მასშტაბის სავაჭრო და საერთაშორისო ურთიერთობა, თავისთავად იგულისხმება, სარწმუნოებრივ ინტერესებს აქ წამყვანი ადგილი უნდა ჰქონოდა. ამას ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა პრიმიტიულობა, კუთხური წარმოება და კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა.

3. მეცნიერული ცოდნის უქონლობა. მეცნიერული აზროვნება იმ საუკუნეებში, რომელთა შესახებ ლაპარაკი გვაქვს, ყველგან თითქმის მიძინებული იყო, ამიტომ არც ქართლში შეეძლო მას ფრთების გაშლა. ეს გარემოება ჯარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობის პირობებში, ადამიანს ბუნების ძალთა მონადა ხდის, რომელიც მისთვის გაუგებარ ბუნების მოვლენებს უხილავი, ზეციური ძალის აღიარებამდე და მისი პრიმატობის ცნობამდე მიჰყავს.

4. გაბატონებული ფეოდალური კლასის, როგორც სასულიეროსი, ისე საეროსი, «სოციალური დაკვეთა» ყველაზე მეტ გამოხმაურებასა და გამართლებას მწერლობაში პოულობდა. ცნობილია, რომ რელიგია სანქციას უკეთებს იმ სოციალურ უთანასწორობასა და უსამართლობას, რომელზედაც დამყარებული იყო ფეოდალური საზოგადოებრიობა. ამ უთანასწორობის იდეოლოგიას სწორედ სასულიერო-რელიგიური მწერლობა ემსახურებოდა.

5. ქრისტიანული პროპაგანდისა და ქრისტიანული კულტის საჭიროებანი. ყველაზე ადრინდელი ლიტერატურული ძეგლების გაფორმება ქართულ ენაზე ემთხვევა ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებას. ქრისტიანული დოგმები, მისი მორალი და კულტის კოდიფიკაცია მოცემულია ბიბლიურ, პატროლოგიურ და ლიტურგიკულ წიგნებში, რომელთა გადაღება ქართულ ენაზე და პოპულარიზაცია მხოლოდ მწიგნობრობის საშუალებით იყო უზრუნველყოფილი. მწერლობაც პირველ პერიოდში, რასაკვირველია, ამ მიზანსა და მოთხოვნილებას ემსახურებოდა.

6. მწერლობის მესვეურის, ინტელიგენციის კადრებს (მთარგმნელებს, ავტორებს, მკითხველებს) იძლეოდა სამღვდელოება, რომლის მიზნებსა და საჭიროებას ემსახურებოდა პირველი სკოლები, ის სკოლები, რომელთაც თავისი პროგრამითა და მიმართულებით განათლება სარწმუნოებრივი გეზით მიჰყავდა. მართალია, ინტელიგენციის კადრებს საერო ფეოდალური წრეც

იძლეოდა, მაგრამ აქედან გამოსული მოღვაწენი იმავე საეკლესიო-სამონასტრო სწავლა-განათლების მატარებელი იყვნენ.

7. მორალური ავტორიტეტი ეკლესიისა, რომელიც მან მოიპოვა ამ პერიოდში, როდესაც იბერიაში მოისპო მეფობა და მასთან ეროვნული ხელისუფლება, ქვეყანა მრავალ პატარ-პატარა ფეოდალურ ერთეულებად დაიყო. ამ შემთხვევაში ეროვნული მთლიანობის სიმბოლოდ და მატაოებლად გაძღოლა ეკლესია, რომელიც, სპარსთა და არაბთა ბატონობისას, ქრისტიანობის დროშის ქვეშ, ეროვნული ფიზიონომიის შენარჩუნებას ქადაგებდა (იოანე საბანისძე, გიორგი მერჩული და სხვანი).

8. საერთაშორისო კულტურულ-ლიტერატურული გარემოცულობა. იმ საქრისტიანო ქვეყნებში, რომლებთანაც ქართველებს კულტურული კავშირი ჰქონდათ ამ პერიოდში (ბიზანტია, სომხეთი, სირია), გაბატონებული იყო სასულიერო-საეკლესიო მწერლობა; რაც შეეხება არაქრისტიანულ ქვეყნებს, განსაკუთრებით არაბეთს, არაბულ ენაზე ქართველებს ამ ხანაში ქრისტიან არაბების ლიტერატურა იზიდავდა.

აღნიშნული პერიოდის ქართველების ცხოვრება, რაც უნდა კარჩაკეტილი ყოფილიყო და შემოზღუდული ფეოდალური სალტეებით, საკვებით მაინც ვერ დააღწევდა თავს, ყოველ შემთხვევაში, მახლობელი ქვეყნების მაჯისცემას და. ნებსით თუ უნებლიეთ, გამოეხმაურებოდა მას. ის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამბები, რომელიც ამ დროს იშლებოდა აღმოსავლეთში, ჩვენს საზღვრებამდეც მოაღწევდა და თავისებურ გამოძახილს პოვებდა აქ. ამის გათვალისწინებით მთელი პირველი პერიოდი ორ ხანად შეიძლება გაყოფილ იქნეს.

ამ პერიოდის პირველ ნახევარს შეგვიძლია ეუწოდოთ იბერული ხანა ქართული მწერლობისა, რამდენადაც ის ვითარდება იბერიის სახელმწიფოებრივ ფარგლებში და იბერულ კილოკავზე. ეს ხანა ფაქტიურად გრძელდება დაახლოებით მერვე საუკუნის ნახევრამდე. ამ ხანაში უფრო შესამჩნევია ქრისტიანულ სომხეთთან კულტურულ-ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში დამყარდა «აღმოსავლური ქრისტიანობა» და ჩამოყალიბდა ეკლესია იმავე აღმოსავლური ტიპისა, როგორც წინა აზიაში, კერძოდ მეზობელ სომხეთში, რომელთანაც მას აკავშირებდა ერთი და იგივე საეკლესიო წესები, ზნე-ჩვეულება და ტრადიციები.

ქართული საეკლესიო-საღვთისმეტყველო აზროვნება პირველ ხანებში იზიარებდა არიანულ და ნესტორიანულ იდეოლოგიას. მერე სომხეთის ეკლესიასთან ერთად ის აუმხედრდება ქალკედონის კრების დიოფიზიტობას და მეექვსე საუკუნის ნახევრამდე, სომხებთან ერთად, მტკიცე დარაჯად უდგას ანტიქალკედონურ ან მონოფიზიტურ თეოლოგიას. მეექვსე საუკუნის ნახევრიდან. სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული პირობის ზეგავლენით, სომხეთსა და ქართლში იწყება პროცესი საეკლესიო ცხოვრების ნაციონალიზაციისა, რომელიც მეშვიდე საუკუნის დამდეგს (609 წ.) მთავრდება ამ ორი ეკლესიის ფორმალურად ერთიმეორისგან დაშორებით. მაგრამ ეკლესიათა ფორმალური დაშორებით არ წყდება ერთობა ლიტერატურული ტრადიციებისა. სომხეთის

ეკლესიაში განცალკევების შემდეგაც ძლიერი იყო ერთხნობით ქალკედონიტური ფრაქცია და მერვე საუკუნის ნახევრამდე ან, უფრო სწორედ, კათოლიკოსის იოანე ფილოსოფოსის სიკვდილამდე (728 წ.), იქ გვხვდება მთელი რიგი ქალკედონიტ-კათოლიკოსებისა, რომელნიც თავიანთ საეწყსოში კიდევ აღვივებდნენ ძველ ტრადიციებს. ამ ტრადიციების ნიადაგზე გრძელდება კულტურულ-ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა ქართველებსა და სომხებს შორის. ამ პერიოდის პირველ ნახევარში ეს კავშირი ისტორიულად აუცილებელი იყო. მეხუთე საუკუნე, როდესაც ქართული სასულიერო მწერლობა დაიწყო, ის ხანაა, როდესაც იბერიისა და სომხეთისათვის გამწვავებული ბრძოლა წარმოებს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. სპარსეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ეს ორი ქვეყანა კულტურულად ჩამოაშოროს ბიზანტიას. ამით აიხსნება სპარსეთის მხრივ ქრისტიანობისათვის დევნა სომხებისა და ქართველებისა. სომეხ ისტორიკოსთა ცნობების თანახმად, სპარსელები სომხებს აიძულებდნენ სარწმუნოებრივ-ლიტერატურული კავშირი დაეშვირათ არა ბიზანტიელ, არამედ ირანელ ქრისტიანებთან; ისინი მათ ნებას არ აძლევდნენ ბერძნული ენა შეესწავლათ და ამ ენიდან თხზულებები გადმოეღოთ თავიანთ ენაზე. თავისთავად ცხადია, რომ ამასვე მოითხოვდნენ ისინი ქართველებისგანაც. ასეთ პირობებში მაშინდელ იბერიაში კიდევაც რომ ძლიერი ყოფილიყო ბერძნული საეკლესიო-ლიტერატურული ორიენტაცია, ის ხორცს ვერ შეისხამდა, ამიტომ ქართველები იძულებული იქნებოდნენ ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა დაეშვირათ უმთავრესად მეზობელ სომხებთან და აღმოსავლეთის ქრისტიანებთან, კერძოდ ასურელებთან.

სომხურ მწერლობასთან კავშირი და ურთიერთობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველები მათთვის საჭირო და საინტერესო წიგნებს ზოგიერთ შემთხვევაში სომხურიდან თარგმნიდნენ. ასეთ ძეგლებს, როგორც ირკვევა, ახასიათებს დედანთან ზედმიწევნითი სიახლოვე, ეს შეიძლება გადმოსაღებ თხზულებათა ხასიათითაც აიხსნებოდეს. პირველ რიგში ახლადმოქცეული ერისა და ახლადჩამყალიბებული ეკლესიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა «საღმრთო წერილი». ესე იგი ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ან ბიბლია. დადგენილია, რომ ბიბლიის მთარგმნელები, სხვა დედნებთან ერთად, სომხურ დედანსაც მიმართავდნენ.

სომხებთან კულტურულ-ლიტერატურული კავშირი ცალმხრივი როდი იყო: სომხებიც ისე თარგმნიდნენ ქართულიდან, როგორც ქართველები სომხურიდან. სომეხთა ფილოსოფოსის დავით უძლეველის (VI ს.) ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენში ამისი მაჩვენებელია. ამის მაჩვენებელია ისიც, რომ სომეხთა ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი და მამიკონიანთა ოჯახის წევრები მეხუთე საუკუნეში იზრდებიან ქართლში აშუშა პიტიახშის კარზე. ყოველ შემთხვევაში, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ამ დროს ქართულიდან გადაუღიათ სომხურად ვრცელი რედაქცია შუშანიკის მარტვილობისა. გარდა ამისა, სომეხთა ისტორიკოსის უხტანესის ცნობით, ქართლის კათოლიკოსს კირიონს (VI — VII სს.) უთარგმნინებია სომხურად რაღაც «წიგნები» თუ «წერილი» ოთხთა. კრებათაჲ, რომელიც მას გაუგზავნია სომეხთა კათოლიკოსის აბრაამისათვის.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, კულტურულ-ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა ამ დროს ქართველებს სირიელებთან ან ასურელებთანაც უნდა ჰქონოდათ. ასურულ ენაზე საქრისტიანო მწერლობა შედარებით ადრე დაიწყო. ძველი აღთქმის ბიბლიური წიგნები ასურულ ენაზე ითარგმნა იმ ვაასირიელებულ ებრაელთათვის, რომელნიც ქ. ედესაში ცხოვრობდნენ. 135—140 წლების ახლო ხანებში. 173 წლის მახლობლად ცნობილმა ტ ა ტ ი ა ნ ე მ შეადგინა თავისი «დიატესარონი» ან ეკლექტიკური სახარება. 200 წლის ახლო ხანებში ითარგმნა «ოთხთავი», ხოლო მეხუთე საუკუნის ნახევარს, რაბულა ედესელის დროს, ეგრეთ წოდებული «პეშიტო». მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში ასურული მწერლობა უკვე საკმაოდ მდიდარი და განვითარებული იყო[1]. ქართულ-ასურულ ლიტერატურულ ურთიერთობას თავდაპირველად ადგილი ჰქონდა სირია-პალესტინის ქართულსა და არაქართულ სავანეებში, განმტკიცდა ის განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენში სირიიდან მოვიდნენ ე. წ. «ათცამეტნი ასურელნი მამანი». ასურულიდან მომდინარე თხზულებანი ბევრი არ მოგვეპოვება და არ ვიცით, არ ვიცით, შეიძლება იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ გარკვეული არაა ჩვენი ძველი მწერლობა ფილოლოგიურ-ლინგვისტური მხრით[2].

ამ ხანაში ჩვენს მწერლობას ბერძნულ მწერლობასთანაც ჰქონდა კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კავშირს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სპარსელები მეტად აფერხებდნენ. ასეთი კავშირი შესაძლებელი იქნებოდა იმთავითვე, თუ სისტემატურად არა, სპორადულად მაინც. ჯ ა ღ ი ს შესახებ, მაგალითად ნათქვამია, რომ ის იყო მთარგმნელი ბერძნული ენიდანაც. მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან, ერთი მხრით, სომხეთისაგან ეკლესიურად ჩამოშორების გამო, მეორე მხრით — ერეკლე იმპერატორის ჩვენში ომიანობისა და სხვა კულტურულ-ისტორიულ პირობათა გამო, რომელთა შორის იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მეექვსე საუკუნის გასულიდან მეზობელ სომხეთშიაც ელინოფილური მიმართულება დამყარდა, ქართველები ბერძნებს უახლოვდებიან და უფრო მეტად ეცნობიან.

ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დამდეგს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის მცველმა O. Lemm-მა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ხანაში ქართველებს, შესაძლებელია, კავშირი ჰქონდათ კ ო პ ტ ე ბ თ ა ნ ო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის უჩვენებდა: 1) პალადი ჰელენეპოლელის Historia Lausiaca-ს კოპტურ თარგმანში ევაგრე პონტოელის შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო შვილი ერთი მღვდლისა ი ბ ე რ ი ი დ ა ნ. 2) იაკობ დაჭრილის (intercisus) კოპტურ მარტვილობაში არის ერთი ადგილი, სადაც

[1] C. B r o c k e l m a n n, Die syrische und die christlich-arabische Litteratur («Die Litteraturen des Ostens in Einzeldarstellungen», B. VII, 2 Abteil. S. 1—66).

[2] სირიულიდან ნათარგმნი ყოფილა, როგორც ახლა ირკვევა, ცხოვრება სვიმეონ მესვეტისა და ეფრემ ასურისა (G. G a r i t t e, Vies géorgiennes de S. Syméon stylite l ancien et de S. Éphrem, Louain, 1957). ამავე G. Garitte-ს ცნობით, სირიულიდან ნათარგმნია, თითქოს, მარტვირი საბაწმიდელის თხზულებაც, «სინანულისათვს და სიმდაბლისა» (ამის შესახებ ქვემოთ).

ლაპარაკია პეტრე იბერის შესახებ. 3) «ცხოვრება» პეტრე ედესელისა, რომელიც მოთავსებულია არაბულ სვინაქსარში 1 Kilak-ის ქვეშ, არის «ცხოვრება» პეტრე იბერისა, რომელიც აქ შეცდომით ედესელად არის წოდებული. 4) ერთ კოპტურ ანდერძს ხელს აწერს ვიღაც მღვდელი ნაპარნუგიოს, რაც პეტრე იბერის საერისკაცო სახელი იყო. ამ მონაცემთა საფუძველზე Lemm-ი ფიქრობს, რომ ძველად ქართველებსა და კოპტებს შორის ახლო ურთიერთობა არსებობდა. ეს ურთიერთობა უნდა გაკვანძულიყო იერუსალიმში, სადაც ქართველებს ოდიდანვე ჰქონდათ თავიანთი მონასტრები. იქვე. მათ გვერდით, მოღვაწეობდნენ კოპტებიც. როგორც ეს ჩანს კოპტური წარწერებიდან იერუსალიმში [1]. ყველაფერი ეს მაჩვენებელია ქართველებსა და კოპტებს შორის ზოგადი კულტურული ურთიერთობისა, რომელიც, იერუსალიმის გარდა, შეიძლებოდა გაჩაღებულიყო თვით ეგვიპტეში, კოპტურ კულტურულ სამყაროში, სადაც პეტრე იბერს, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, კარგად იცნობდნენ კოპტები. მაგრამ ამ მონაცემებით ქართულ-კოპტური ლიტერატურული ურთიერთობა ვერ დამტკიცდება. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია წმინდა ლიტერატურული ფაქტები. მართალია, ამ მიმართულებით ძველი ქართული მწერლობა ჯერ შესწავლილი არაა, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი ახლაც შეიძლება ნაჩვენები იქნეს. პირველი: ქართულ ენაზე შემონახულია ერთი ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც ეწოდება «ცხოვრებაჲ და განგებაჲ ნისიმესი, რომელი იყო ასული მეფისა ეგვპტისაჲ» [2]. ამ ძეგლის შესწავლამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მისი დედანი დაწერილია კოპტურ ენაზე. საიდანაც ის უნდა ეთარგმნათ ქართულზედაც [3]. მეორე ფაქტი: ქართულ ენაზე შენახულა აგრეთვე «წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ფილეთეოსისი», რომლის დედანი, ჩვენი დაკვირვებით (ტექსტი დამზადებული გვაქვს გამოსაცემად), დაწერილია კოპტურ ენაზე, საიდანაც ის ნათარგმნი უნდა იყოს ქართულად.

ერთი სიტყვით, თუ კულტურული კავშირი კოპტებთან, განსაკუთრებით იმ ხანაში, როდესაც ქართლში მონოფიზიტობას ჰქონდა ადგილი, უტყუარი ფაქტია, შეუძლებელი მათ შორის არც ლიტერატურული კავშირი უნდა ყოფილიყო.

ამ ხანის ქართული ლიტერატურა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ის მხოლოდ თარგმანებით იკვებებოდა. მთარგმნელობასთან ერთად, რაც აუცილებელი იყო ახლად ჩამოყალიბებული საეკლესიო მწერლობისათვის, ადგილი ჰქონია საკმაოდ ინტენსიურს, როგორც ქვემოთ თავის ადგილას დავინახავთ, ორიგინალურ შემოქმედებასაც. მართლაც, მემატიანე გადმოგვცემს, რომ მეხუთე საუკუნეში ვინმე მობიდანი, რომელიც არჩილ მეფეს ეპისკოპოსად დაუსვამს, «სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურისასა». ვინც არ უნდა

---

1 Oscar von Lemm, Iberica, Memoires de l' Akadémie d. sciences de St.—Petersbourg, VIII série, classe hist. — philolog. Vol. VII, № 6, 1906.

2 გამოცემულია ჩვენ მიერ, კომენი, ტ. I, 202—214.

3 Кекелидзе К. Эпизод из начальной истории египетского монашества, Труды Киевской Духовной Академии, 1911, г. февраль—март, სადაც მოცემულია რუსული თარგმანი და გამოკვლევა ამ ძეგლისა.

იყოს ეს მობიდანი, ერთი ცხადია: თუ ის წიგნებს წერდა, რასაკვირველია, ქართულად, ვინაიდან მისი მიზანი იყო მის სამწყსოში, ქართველთა შორის, მაცდური მოძღვრების გავრცელება. მეხუთე საუკუნეშივე იაკობ ცურტაველს დაუწერია შესანიშნავი შრომა «მარტვილობა შუშანიკისა»[1]. მეექვსე საუკუნეში დაწერილია ესტატე მცხეთელის მარტვილობა, ამავე საუკუნეში მოღვაწეობს გამოჩენილი პოლემისტი კირიონ კათოლიკოსი.

მეორე ნახევარი მიმდინარე პერიოდისა იწყება დაახლოებით იმ დროიდან, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეში, ზემონაჩვენები ჰიპოთეზით, ექცევა საკუთრივ «ქართლი» და ქართული მწერლობის ენას საფუძვლად ედება «ქართლური» ან «ქართული» კილო. ეს ხანა არის ე რ ო ვ ნ უ ლ ი[2] ხანა ჩვენი მწერლობისა. ამ ხანაში დამუშავებული ლიტერატურული ძეგლები იმდენად არიან გამსჭვალული ეროვნული სულით და ხასიათით, რომ შემდეგი დროის, XI—XII საუკუნეთა, მწერლები მათ აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტექნიკურ ტერმინს — ქ ა რ თ უ ლ ი, მაგალითად— ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ხ ა რ ე ბ ა, ქ ა რ თ უ ლ ი დ ა ვ ი თ ნ ი, ქ ა რ თ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი და სხვა. ეს ხანა გრძელდება მერვე საუკუნის ნახევრიდან მეათე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე, ესე იგი, შეიცავს თითქმის $2^1/_2$ საუკუნეს. აღნიშნულ ხანაში მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ. სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისს, მოხდა, როგორც ცნობილია, სხვათა შორის, ეროვნულ-კულტურულ იდეოლოგიის საფუძველზედაც. ქართველები ამიერიდან მიზნად ისახავენ თანდათანობით განთავისუფლებას ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი საეკლესიო ტრადიციებისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან. რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიაც კი უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან და, წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, საკუთარი, გრიგოლ პართელისაგან დამოუკიდებელი მისიონერიც კი წამოაყენეს ნინოს პიროვნებაში. მეორე მხრით, მათ ეკლესიურ-კულტურულად და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ მსოფლიოსაც და ერთ-ერთი თავისი საუკეთესო წარმომადგენლის, იოანე საბანისძის, პირით თამამად გამოაცხადეს: «არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა... აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა

---

[1] აქვე შეიძლება დასახელებულ იქნეს მეხუთე საუკუნის მოღვაწე საზღვარგარეთ, პალესტინაში, ერთ-ერთი მებაირახტრე მონოფიზიტობისა, პეტრე იბერიელი ან ქართველი; ზაქარია რიტორის ცნობით, ის იყო მწერალი, თუმცა ჩვენამდე არ შენახულა არც ერთი მისი ნაწარმოები არც ქართულ, არც სხვა რომელიმე ენაზე.

[2] საჭიროდ ვთვლით შევნიშნოთ, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მანქილზე სიტყვას «ერი», «ეროვნული» ვხმარობთ პირობით, იმ ეთნიკური სუბსტრატის მნიშვნელობით, რომლისგანაც შემდეგ შეიქმნა ერი ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს გაგებით.

აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა, სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებულთაჲ». ეს იყო მერვე საუკუნის გასულს, ხოლო მეათე საუკუნეში ქართული ენის შესახებ ქართველებმა შექმნეს ერთგვარი თეორია, რომლითაც ქართული ენა არამცთუ გასწორებულია ბერძნულთან იქამდის, რომ «ისინი ორნი დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართაჲ, და მეგობარნი», არამედ უპირატესობაც კი აქვს მას მინიჭებული შემდეგ სიტყვებში: «ყოველი საიდუმლოჲ ამასა შინა დამარხულ არს»; არამცთუ უპირატესობა, საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც კია აღიარებული ის, ვინაიდან, ქართველთა რწმენით, «დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა უფლისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთთან ამხილოს ამით ენითაო»[1].

რამ შეუწყო ხელი აღნიშნულ ხანაში ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებასა და გაძლიერებას? სამი უმთავრესი მიზეზი იყო ამისი. პირველ ყოვლისა, არაბთა აუტანელმა ბატონობამ და მონობის მძიმე უღელმა ქართველები თავისი მდგომარეობის შესახებ დააფიქრა, სერიოზულად ჩაახედა თავის საკუთარ სულსა და გულში და დაანახვა, რომ ისინი დგანან ეროვნული გადაგვარების, დენაციონალიზაციის საშინელი კატასტროფის წინაშე, რომ ერთადერთი საშუალება ამ უბედურებისაგან თავის დაღწევისა არის საკუთარი ეკლესიის ფრთეთა ქვეშე ნაციონალურ-ქრისტიანული კულტურის გაღვივება. ასეთ რწმენას მისი განხორციელებისათვის თავდადებულნი მუშაკნიც გამოუჩნდებოდნენ, თუგინდ ისეთი, როგორიც იყო იოანე საბანისძე, რომლის თხზულებაში («მარტვილობა აბო თბილელისაჲ») მთელი სიღრმე-სიგანითაა წამოყენებული მოსალოდნელი კატასტროფის საშინელება და აუცილებლობა გარკვეული საშუალებისა მისი თავიდან ასაცილებლად.

მეორე მიზეზი იყო პოლიტიკური ხასიათისა. არაბთა ბატონობისაგან დაკნინებულ-დაბეჩავებულს, იქამდე, რომ მათი შიშით თავისთავს მეფეებსაც კი ვერ უწოდებდნენ, ქართლის ერისთავები მერვე საუკუნის გასულიდან თანდათან იმაგრებენ წელს, ფეხს იკიდებენ ტაო-კლარჯეთის კლდე-ციხეებში და მეცხრე საუკუნის გასულს ჯერ აქ აცხადებენ თავის თავს მეფედ, ხოლო მერე მუყაითად უდგებიან ეროვნულად დაკუწული სხეულის გამთელებას და მეათე საუკუნის გასულისათვის თითქმის ამთელებენ მას. პოლიტიკურად გაძლიერებამ და გამოსწორებამ, რასაკვირველია, კულტურულ-ეროვნული მთლიანობის სარგებლიანობა შეაგნებინა ყველას და სამშობლოსათვის ყველა მოჭირნახულე სამუშაო ასპარეზზე გამოიწვია.

მესამე მიზეზი იყო წმინდა საეკლესიო ხასიათისა. ჩვენ ვიცით, რომ მეშვიდე-მერვე საუკ. «ქართლის ეკლესიაჲ» მიიღტვის დასავლეთ საქართველოს თანამოძმეებისაკენ, რომელნიც ამდენ ხანს ბერძნულ-ბიზანტიურ ეკლესიის სფეროში და გამგებლობაში იყვნენ. აქედან აღმოსავლეთის ქართველები სდევნიან ბერძნულ ენას. ბერძნულ ვიწრო ეროვნულ კულტურას, შემოაქვთ და ავრცელებენ საკუთარს, ქართულ ენას, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ სა-

[1] იოანე-ზოსიმე, ქება ქართულსა ენისა: А. Цагарели, Сведения, II, стр. 61.

ეკლესიო-სამონასტრო წესებს. კულტურულ-ეროვნულად დასავლეთი საქართველო უფრო ადრე გაუერთიანდა აღმოსავლეთს, ვიდრე იერარქიულად და პოლიტიკურად. ქართულ ღვთისმსახურებასა და ქართულ ენას თან მოჰქონდა ქართული პოლიტიკურ-კულტურული იდეალი, ასე რომ მეცხრე-მეათე საუკუნის მოღვაწენი პირდაპირ ამბობდნენ: «ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცეაჲ ყოველი აღესრულებისო»[1], ესე იგი საქართველო იქცა, სადაც ქართული ენა ისმის ღვთისმსახურებაშიო.

რაში გამოიხატა ეროვნული მიმართულება ამ ხანის სასულიერო მწერლობისა? პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ორიგინალური ნაწერლობის განვითარებაში. არამცთუ წინა ნახევარში, როდესაც ქართული მწერლობა მხოლოდ იდგამდა ფეხს, შეიძლება ითქვას, თვით კლასიკურ ხანაშიაც ვერ ვხედავთ ჩვენ ორიგინალური საეკლესიო მწერლობის ისეთ მძლავრ ზრდა-განვითარებას, როგორც VIII—X საუკუნეებში. ამ პერიოდში შემუშავდა, პირველ ყოვლისა, ნაციონალური აგიოგრაფია, დაიწერა ცხოვრებანი ეროვნულ, ქართველ წმიდათა, რომელნიც მეათე საუკუნემდე მოღვაწეობდნენ. თუ რა ზომამდე მიაღწია ეროვნული აგიოგრაფიის განვითარებამ, სანიმუშოდ დავასახელებთ ორ ნაწარმოებს, ერთს ამ ხანის დასაწყისიდან—მარტვილობა აბო თბილელისა, იოანე საბანისძისა, და მეორეს დასასრულიდან — ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ სამაგალითო ნაწარმოებს, პირდაპირ მარგალიტს, მსოფლიო აგიოგრაფიის ისტორიაშიც იშვიათად შეეხვედებით. აგიოგრაფიასთან ერთად შემუშავდა ეროვნული ეორტალოგიაც, დაწესებულ იქნა წმიდა ქართული დღესასწაულები ეროვნული წმინდანებისა და სხვადასხვა მოვლენის აღსანიშნავად და სადიდებლად, რომელნიც შეუტანიათ კალენდრებსა, მაგ., იოანე-ზოსიმესაში, და ლექციონარ-კანონებსა, როგორიცაა იერუსალიმის განჩინება[2], და სხვადასხვა ლიტურგიკულ წიგნში. ზოგიერთი, მსოფლიო ეკლესიის წიაღში უძველეს დროს აღმოცენებული დღესასწაული, რომელიც ამ დროისათვის უკვე სახეშეცვლილი ან პრაქტიკიდან გამოსული იყო, ქართველებს უცვლელად შეუნახავთ, თავისი ეროვნული სული ჩაუბერიათ მათთვის, რის გამო შემდეგი დროის, XI საუკუნიდან, მწერლებს, რომელთაც მათი წარმოშობა უკვე ნათლად აღარ გაეგებოდათ, ქართულ დღესასწაულებად მოუნათლავთ. ასეთია, მაგალითად, ჯვარის დღესასწაული აღდგომის მეორე დღეს, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიაში იოანე ოქროპირის დროს კიდევ ცხოველი იყო და მხოლოდ ერეკლე კეისრის დროს შეიცვალა, საქართველოში კი ის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას. დღესასწაული წმიდა გიორგისა 10 ნოემბერს, რომლის შესახებ გიორგი მთაწმიდელი შენიშნავს თავის სვნაქსარში: «წმიდანო მამანო, ამას დღესა დაღა-

---

1 გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 80.

2 К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, VII в., груз. версия, Тифлис, 1912 г.; მისივე, იოანე ქართველის კალენდარი, «თბილ. უნივ. შრომები», XXXIX, 1950.

ცათუ ბერძენნი წმიდისა გიორგისათჳს არა დიად დღესასწაულობენ, არარაჲ არს ყენებაჲ, რათა ჩუენ ვდღესასწაულობდეთ, რამეთუ ჩუენ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულებაჲ»[1]. სატფურება იერუსალიმის ტაძრისა 13 სექტემბერს. რომელიც, თანახმად ევფერიას მოწმობისა, უდიდესი დღესასწაული იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში და რომელსაც X—XI საუკუნეში. გიორგი მთაწმიდლის სიტყვით, «საბერძნეთისა ეკლესია არა დიდად დღესასწაულობდა»[2], საქართველოში ძველებური ზეიმითა და ლიტურგიკული ხასიათით სრულდებოდა, რაც აღბეჭდილია ამ პერიოდის საღვთისმსახურო წიგნებში. ასეთივეა მამამთავართა (იოანე ალექსანდრიელის და მოდისტოს იერუსალიმელის) ხსენება ბზობის პარასკევს, რომლის შესახებ გიორგი მთაწმიდლის სჯნაქსარი შენიშნავს: «ბერძულად აქა მღვდელთმოძღვართაჲ არა არს, ქართულად კულა არს»[3]. როგორც იერუსალიმის განჩინებიდან ჩანს, ეს დღესასწაული წინათ ბერძნებისაც ყოფილა, მაგრამ მერე, დროთა ვითარებაში, მათ ის მიუტოვებიათ, ქართველებს კი შეუნახავთ და თავის საკუთარ ქართულ დღესასწაულად მოუნათლავთ. ასევე უნდა ითქვას იოანე მახარებლის ხსენების შესახებ დეკემბრის 29-ს, რომელიც, სინას მთის ხელნაწერით № 1, ფურც. 44a, ქართულად 8 მაისს სრულდებოდა. ახლა, ამ ხანაში, ქართველებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ «განგებაჲ სახარებისაჲ ბერძულსა წესსა ზედა»[4], შეუქმნიათ საკუთარი წესი და განგება სახარების საკითხავებისა, როგორც ეს ჩანს ხელნაწერთა ანდერძებიდან: «ესე წესი და განგებაჲ საბაწმიდისაჲ არს, ვის ქართული უნდეს, კანონსა მიუდგეს და მისგან ისწავე»[5]. შეუდგენიათ აგრეთვე საკუთარი განყოფაჲ კანონთაჲ ან ფსალმუნთა, როგორც ეს ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: «განყოფაჲ კანონთაჲ სამად გალობასა შინა, სადა „დიდებაჲ“ ითქუმის, ესრჱთ ცან, ვითარ ქართველნი განჰყოფენ... ხოლო ვითარ ბერძულნი და იჳრუსალიმელნი განყოფენ, ესრჱთ იხილე და ცან... და არიან რომელნიმე ერთფერად და სწორად იჳრუსალიმელთაჲ და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნიცა»[6]. ამავე ხანაში დაუმუშავებიათ ქართველებს საკუთარი, ქართული, სისტემა წელთაღრიცხვისა, – როგორც ეს ჩანს იოანე-ზოსიმეს სიტყვებიდან: «და არიან კუალად წელნი ადამისითგან ვიდრე ამაღლებამდე უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსა ჵფლდ და შემდგომად მისა ვიდრე დღევანდელად დღედმდე, ვითარ იგი იჳრუსალიმელნი ითუალვენ სათუალავითა მზისაჲთა შზ და ვითარ ქართველნი ითუალვენ ჩით, და შეკრებით, ვითარ ქართველნი ითუალვენ ხჳნბ, ხოლო იჳრუსალიმელნი ესრე ითულავენ შეკრებით წელთა ვიდრე აქამომდე ხჳმა ას და იბ წლითა წინათ ითუალვენ ქართველნი ქორონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მოც-

[1] «Иерусал. Канонарь», стр. 283.
[2] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 232.
[3] «Иерусалимский Канонарь», стр. 37.
[4] სინას მთის ხელნაწ. № 19, ფურ. 262a.
[5] «Иерусалимский Канонарь», стр. 37, прим. 1.
[6] А 38, ф. 251, 261; Ф. Жордания, Описание, I. стр. 32; «ქრონიკ.», I, 93—94.

თუნებითა»[1]; ანდა იმისავე შემდეგი სიტყვებიდან: დაესრულა ქორონიკონი, სრული ფლბ წელი, სათუალავითა ქართველთა და ბერძულთა... რომელი თჳთ სათუალავნი არიან, ქართულად არიან და რომელ ბერძულთა არიან ბერძულად არიან... და ქართულად ზედნადები მთოვარისაჲ და ბერძულად... ქართულად [დასაბამითგან] ჯუარცუმამდე უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსა წელნი ჵფლდ...»[2] მაგრამ ყველაზე მეტი თავისებურება და „ქართველობა“ ჩვენს წინაპრებს ამ ხანაში ლიტურგიკულ მწერლობაში გამოუჩენიათ. ცნობილია, რომ მთელი წლის მოძრავი ლიტურგიკული მასალა მოთავსებულია ოთხ დიდ წიგნში, ესენია: 1) პარაკლიტონი ანუ ოკტოიხოსი, ანუ, როგორც ამ პერიოდის ძეგლები სახელსდებენ, ოხტაიხონი ანუ ოქტაიხონი[3]; 2) სადღესასწაულო-თთუენი ანუ, ამ პერიოდის ტერმინოლოგიით, იადგარი[4]; 3) მარხუანი და 4) ზატიკი. სისტემა ამ წიგნებისა შემუშავებულია საბერძნეთში. მათში მოთავსებული მასალა შეთხზულია სხვადასხვა ჰიმნოგრაფის მიერ, ყველა მართლმადიდებელი თარგმნის ამ ჰიმნებს. ქართველებიც ასე მოქცეულან, მათ უთარგმნიათ თავიანთი ლიტურგიკული საჭიროების დასაკმაყოფილებლად ყველა, ამ წიგნებში მოთავსებული, ჰიმნი, მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ამ მეორე ნახევარში, მათ განუზრახავთ და დაუწერიათ საკუთარი ორიგინალური ქართული ჰიმნები ამ წიგნებისათვის, ესე იგი, შეუთხზავთ საკუთარი ქართული ოკტოიხოსი, იადგარი, მარხუანი და ზატიკი. ამ არაჩვეულებრივს, ისტორიაში ერთადერთ მაგალითს, განსაკუთრებით თავი უჩენია მეათე საუკუნეში გრიგოლ ხანძთელის, მიქელ მოდრეკილის, იოანე მინჩხის, იოანე მტბევრის, სტეფანე ჭყონდიდელის, იოანე ქონქოზიძის და სხვა ჰიმნოგრაფთა კალმის ქვეშ. ძველ ხელნაწერებში, რომელთა შინაარსი მომდინარეობს აღნიშნული ხანიდან, ჩვენ გვხვდება: «აქებდითისანი ქართულნი[5], დასდებელნი სატფურებისანი მზგეფსისანი და სადაცა გინდინ იანბიკონი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი»[6]; ძუელნი საგალობელნი, რომელნიც ქართულს ან გადაქართულებულ ჰიმნებს აღნიშნავს სინას მთის ხელნაწერში № 75 ოცდაშვიდჯერ გვხვდება[7]. გვხვდება ისინი აგრეთვე A ფონდის ხელნ. № 596, ფ. 64, სადაც ისინი დაუპირდაპირებიათ სხუა ახალი ჰიმნებისათვის[8]. ერთი სიტყვით, ამ ხანაში ქართველები დადგომიან ღვთისმსახურების სრული გაეროვნების გზას, არა მარტო ენის მხრით, არამედ შინაარსითაც, მაგრამ შემდეგმა პერიოდმა ეს მიმართულება შეაყენა.

ეროვნული შეგნება ამ ხანის ქართველებისა მჟღავნდება თარგმნის პროცესსა და ხასიათშიაც. ძველად ნათარგმნ თხზულებებში ქართველებს შეაქვთ

---

[1] M. Brosset, Etudes de chronologie technique, p. 6.

[2] სინას მთის ხელნაწ. № 38, ფ. 129b, 131a, 132—139.

[3] სინას მთის ხელნაწ. № 3, ფ. 80a, 110.

[4] სინას მთის ხელნაწ. № 1, ფ. 9a, 50b, 124a, 291b; № 5, ფ. 28b; К. Кекелидзе, Литургич. груз. памятники, стр. XXV; Висиев, Иерусалимский Канонарь, стр. 329.

[5] სინ. მთის ხელნ. № 1, ფ. 130a.

[6] იქვე, ფურც. 235b.

[7] პროფ. ა. ცაგარლის კატალოგი № 25.

[8] «Литургич груз. памятники», стр. 390.

საჭირო შესწორებანი, თარგმნიან· ახალს, მაგრამ არა მონურად, სიტყვა-სიტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად. ახალ მასალას ისინი უფარდებენ თავისი ეკლესიის შეხედულებასა და ტრადიციებს ან ავრცობენ მას ისეთი მასალით, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდათ მიღებული ძველი დროიდან, ან ამოკლებენ და სცვლიან ადგილ-ადგილ. ამ გზით ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელები იძლეოდნენ არა წმინდა თარგმანს რომელიმე თხზულებისას ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ახალ რეცენზიას ან რედაქციას ამ თხზულებისას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეთერთმეტესა და შემდეგ საუკუნეებში ამ პერიოდში თავისუფლად ნათარგმნ თხზულებებს, საღმრთო წერილის ტექსტი იქნებოდა ის თუ სხვა რამ, უკვე ქართულს ეძახდნენ, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი თანამედროვე ბერძნულს უკვე აღარ უდგებოდნენ. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ნათარგმნ დავითნს უპირდაპირებს ქართველთა დავითთა; ექვთიმე მთაწმიდელსო, შენიშნავს ის, «ქართულნი დავითნი თანაესხნანო»[1]. ანდა ამ პერიოდში ნათარგმნი იერუსალიმის კანონი ან განჩინება მეთერთმეტე საუკუნეში უკვე ქართულ კანონად იყო მიჩნეული.

ენა ამ ხანაში დაწერილ თხზულებათა შემდგარა ბუნებრივი განვითარების გზაზე როგორც ფონეტიკურად და გრამატიკულად, ისე ლექსიკურად. ამიტომაცაა, რომ IX—X საუკუნეების ქართული ლიტერატურული ენა სამართლიანად ითვლება წმინდა, კლასიკური ქართულის ნიმუშად.

ეროვნული მიმართულება მწერლობისა ეროვნულ სექტანტობასა და კარდახშულობას კი არ გულისხმობს. ქართველები თუ ამ ხანაში ეროვნული კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების გზას დაადგნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მეზობელ ერებს მათ ზურგი შეაქციეს და მათთან ყოველგვარი ლიტერატურული კავშირი შეწყვიტეს. პირიქით, ახლა უფრო· გაცხოველდა და გაფართოვდა მათი ურთიერთობა და კულტურული კავშირი სხვა ხალხებთან.

აღნიშნულ ხანაში ქართველებს კულტურულ-ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა აქვთ სომხებთან. საქმე ისაა, რომ ტაო-კლარჯეთში, რომელიც მეცხრე საუკუნის ნახევრიდან ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად გახდა, მოსახლეობდნენ ქალკედონიტი სომხებიც. აი სწორედ ამ წრეში, სადაც სომხები და ქართველები ერთმანეთს პირდაპირ ხვდებოდნენ, განაგრძობდა არსებობას სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ერთობა და კავშირი არა მარტო VIII—IX საუკუნეებში, არამედ მეათეშიც. მაგალითად, ჩვენამდე შენახულა ვინმე დაჩის წერილი, რომელიც მას მიუწერია მეათე საუკ. დამდეგს სტეფანე მტბევრისათვის და რომელშიაც ის აუწყებს თავის ადრესატს, რომ მან სომხურიდან გადმოიღო ეპიფანე კვიპრელის ფსალმუნების განმარტება[2].

შესამჩნევი და საყურადღებოა ამ ხანაში ქართველების კულტურული ზეგავლენა ტაო-კლარჯეთის ქალკედონიტ-სომხებზე, რომელთა შორის იწყება

[1] მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, 109—111.
[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 100.

ქართველებთან კულტურული ასიმილაციის პროცესი. ეს გამოიხატება იმაში, რომ, პირველ რიგში თავისი საკუთარი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ისინი თარგმნიან ქართულად სომეხ წმინდათა ცხოვრება-მარტვილობას[1]. ახლა უთარგმნიათ ქართულიდან სომხურად დიონისე არეოპაგელის ავტობიოგრაფიაც[2].

უფრო შესამჩნევი იყო ბერძნულ ლიტერატურასთან კავშირი და ურთიერთობა. ეს კავშირი იკვანძება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთულ სამწიგნობრო ცენტრებში. ის გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ ქართველები ითვისებენ ბერძნული მწერლობის ახალ მიღწევებს, არამედ იმაშიც, რომ ბერძნულის მიხედვით ასწორებენ ძველ თარგმანებს, რომელნიც სომხური ენიდან მომდინარეობდნენ. ასეთი შედარება-შესწორების გზით წარმოიშვა «ახალი თარგმანი». ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს პროფ. აკ. შანიძის მიერ აღწერილი წ უ რ ი მ ი ს (სვანეთშია) მეათე საუკუნის ი ა დ გ ა რ ი, რომელშიაც ზოგიერთ საგალობელთა დასაწყისი ბერძნულადაა მოყვანილი ქართული ტრანსკრიფციით, მაგალითად: «ტო კჳრიო იესუ (Τῷ Κυρίῳ Ἰεσοῦ), «ტონ ბასილეონ» (Τῶν Βασιλέων), «ტონ თეოტოკონ მარიამ» (Τὴν Θεοτόκον Μαριάμ), «ტონ პანკოსმონ» (Τὸν παγκόσμιον), «პართენიკი პანიჭური» (Παρθενική παγήγυρις), «შერუს ასქიტიკონ ალითოს» (Χαίροις ἀσκητικῶν ἀϊτὸς (?), დოქსა ენ უფსის» (Δόξα ἐν ὑψει), «ტისი პროსენენ» (?) და სხვ. ამ სათაურებს მერე მიჰყვება თვით ქართული ტექსტი საგალობელთა. ამავე მოვლენას რამდენადმე ადგილი აქვს აგრეთვე სინას მთის მეოთხესავე საუკუნის იადგარში № 1 (ი. ჯავახიშვილის აღწერილობით) და სინასაეე სხვა ხელნაწერებში: «დია ნისტიას კათართენი სპევსომენ» (№ 59), «ადეტე, «იდეტე» (იქვე) «ტო კჳრიო იჳს ჯენიოენტოს» (64), «ტონ ექს ანარხო» (65), «ო ენ არში ანარხოს ლოგოს» (65); «შერას ეკპეტასას» (65) და სხვ. ასე იქცეოდნენ, ალბათ, იმის აღსანიშნავად, რომ ეს საგალობლები პირდაპირ ბერძნულიდან და არა სხვა რომელიმე წყაროდან მომდინარეობს. ეს გარემოება რამდენადმე გამოწვეული იყო იმითაც, რომ ამ დროს, IX — X საუკუნეებში, წარმოებდა მწვავე ბრძოლა საეკლესიო-დოგმატიკური ხასიათისა ქართველთა და სომეხთა შორის, რაც აღვივებდა მათ შორის ურთიერთისადმი უნდობლობას. ვინ იცის, რამდენი საყურადღებო ნაწარმოები, ნათარგმნი და ორიგინალური, ბარბაროსულად დაიღუპა ამ დროს; ვინ იცის, რამდენად დაამახინჯეს ასეთი შეწამება-შესწორების პროცესში ძვირფასი ტექსტები, რომლებშიაც წარმოდგენილი იყო უძველესი ხანა ჩვენი მწერლობისა!..

ამ ხანაში ქართული მწერლობა კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფება აგრეთვე ქრისტიანულ-არაბულ ლიტერატურასთანაც. არაბული ენის წინაშე, რომელიც ისლამთან ერთად ვრცელდებოდა, თავი მოიდრიკა ყველა ადგილობრივმა დიალექტმა სირიასა, პალესტინასა და ეგვიპტეში. თუ სამღვ-

---

1 ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკ., 1944 წ.

2 P. Peeters: Analecta Bollandiana, t. 39, p. 247.

დელეგაციაში ეს დიალექტები კიდევ დიდხანს ცოცხლობდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში არაბულმა ენამ ბატონობა მოიპოვა. ვინაიდან ხალხი თანდათან ივიწყებდა სამშობლო ენას და არაბულად იწყებდა ლაპარაკს, სამღვდელოება იძულებული შეიქნა დათმობის გზას დადგომოდა: თუ მრევლს არ ესმოდა წირვა-ლოცვისა და საღმრთო წერილის ენა, ერთიცა და მეორეც უნდა მიეცათ მისთვის ახალ სალაპარაკო ენაზე—არაბულზე. ამნაირად, ქრისტიანულ-არაბული მწერლობა საჭიროებისა და აუცილებლობის პროდუქტია, იწყება ის არაუადრეს მერვე საუკუნისა[1]. არაბული ენით, როგორც ლიტერატურულით, სარგებლობდნენ სხვადასხვა აღსარების, ქვეყნისა და მოდგმის ქრისტიანები: მართლმადიდებელნი, მონოფიზიტები, არაბები, ასურელები, კოპტები და სხვები. არაბული საქრისტიანო მწერლობის ცენტრად ითვლებოდა საბას მონასტერი პალესტინაში და ეკატერინესი სინას მთაზე. არაბების ბატონობამ საქართველოში, მართალია, საგრძნობლად შეარყია ცხოვრების საფუძველი, მაგრამ ჩვენი ენა ვერ მოსპო და სამწერლო-საქრისტიანო ენად, რასაკვირველია, ვერ გახდა. ვინაიდან საბას ლავრაში და სინას მთაზე ქართველებიც მოღვაწეობდნენ და აქ ქართული ლიტერატურული ცენტრები იყო, არაბულ მწერლობასთან კავშირი აქ გაიკვანძა. ეს კავშირი გრძელდება მერვე საუკუნიდან მეათის დამლევამდე. გამოიხატა ის შემდეგში: ქართველები დასახელებულ ცენტრებში გულმოდგინედ სწავლობდნენ არაბულ ენასა და წერა-კითხვას; სინას მთაზე, მაგალითად, ნ. მ ა რ მ ა იპოვა არაბული ანბანი ქართველთათვის, რომელშიაც თითოეული არაბული ასო ახსნილია შესატყვისი ქართული ასოთი. იქვე, სინას მთაზე, მოიპოვება არაბული ხელნაწერები, რომლებშიაც რვეულებს გაკეთებული აქვს ქართული ნუმერაცია. მეორე მხრით, იქვე აღმოჩნდა ქართული ხელნაწერები არაბული ნუმერაციითა და სიტყვებით, აგრეთვე არაბულ ენაზე წარწერებითა და მინაწერებით, რომელიც ქართველებს გაუკეთებიათ[2]. საჭირო შემთხვევაში ისინი ამ ენიდან თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებასაც, განსაკუთრებით IX—X საუკუნეებში[3]. გადმოცემას არაბულ მწერლობასთან კავშირის შესახებ ჩვენ ვპოულობთ ბაგრატ ბატონიშვილის ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტში. სადაც ნათქვამია, რომ ძველმა მთარგმნელებმა, დავითმა და სტეფანემ, «გარდმოთარგმნეს არაბთა ენისაგან საღმრთონი წიგნნი მრავლითა შრომითაო»[4].

---

[1] B r o c k e l m a n n, Die syrische und die christlich-arabische Literatur («Die Literaturen Ostens in Einzeldarstellung», B. VII, 2 Abt), S. 67—75.

[2] Н. М а р р, Предварительный отчет, стр. 33; Крещение армян, грузин, абхазов Григорием, стр. 163; Пленение Иерусалима персами в 614 г., стр. 8.

[3] დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში არაბულიდან ნათარგმნი თხზულება საკმაო რაოდენობითაა ცნობილი; მაგალითისათვის დავასახელებთ: მარტვილობანი მიქელ საბაწმიდელისა, რომანოზ ახლისა, პანსოფი ალექსანდრიელისა და საბაწმიდელ მამათა (796 წლ.), ცხოვრება იოანე ურჰაელისა და სხვ.

[4] Н. М а р р, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений, стр. 234, 239, 242.

მეორე პერიოდი

განვითარებული ან პატრონყმური ფეოდალიზმი
(ფეოდალური მონარქიის ხანა)

მეორე პერიოდი გრძელდება მეათე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მეცამეტე საუკუნის ნახევრამდე. ეს არის ხანა ე. წ. «პატრონყმური» ურთიერთობისა, რომელიც ქართული ფეოდალიზმის ახალ სტადიაში გადასვლას წარმოადგენს და რომელიც დამახასიათებელია ჩვენი იმდროინდელი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისა [1].

ამ პერიოდში დამთავრდა პროცესი საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებისა. საქართველო წინა აზიაში შეიქნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ, რომელმაც შესაფერისი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოჯახში. მას პატივსა სცემენ და ანგარიშს უწევენ მეზობლები, მის შეწუხებას ადვილად ვეღარ ბედავენ მტრები. ქართველებმა შედარებით მოისვენეს გარეშე მტრებისაგან და შეუდგნენ შინაური აღმშენებლობას. ამის გამო უმაგალითოდ წაიწია წინ სახალხო მეურნეობამ, ქვეყანა წელში მომაგრდა ეკონომიურად, განვითარდა ვაჭრობა და საქალაქო ცხოვრება, მიწათმოქმედება და ხელოსნობა. ღრმავდება ამავე დროს სოციალური დიფერენციაცია და წინააღმდეგობანი. მართალია, სახელმწიფო, რომლის შედგენილობაში ეკლესიაც შედიოდა, მატარებელი იყო უფრო მეტი ძალისა და საერო ფეოდალური წრეები, რომლებზედაც ეყრდნობოდა ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ფეოდალური მონარქია, უფრო იწევენ წინ და სასულიერო-ფეოდალურ ფრთას ჩრდილავენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკლესიამ ამ პერიოდში თავისი განვითარებისა და ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ამისი მიზეზია: 1) ეკონომიური ბაზის განმტკიცება უამრავი მამულის, შეწირულებით თუ სხვა საშუალებით, ხელში ჩაგდების გამო; 2) საბოლოოდ მოსპობა XI საუკუნის ნახევარში ანტიოქიისაგან საეკლესიო დამოკიდებულებისა; 3) პოლიტიკურ გაერთიანებასთან ეკლესიურადაც გაერთიანება მთელი საქართველოსი; 4) პოლიტიკური ცენტრალიზმის ჩამოყალიბებასთან ერთად ეკლესიური ცენტრალიზმის დამყარება პატრიარქის ტიტულის დამკვიდრებით XI საუკუნის ნახევარში, რითაც საქართველოს ეკლესია გვერდში ამოუდგა აღმოსავლეთის პატრიარქატებს; 5) «შეუვალობის» ინსტიტუტის განმტკიცება, რითაც, შეიძლება ითქვას, ეკლესია «სახელმწიფოდ სახელმწიფოში» იქცა; 6) მორალური «წმენდა» თავისი რიგებისა, რომელსაც ეკლესია ახდენდა ამ პერიოდის კრებებზე, განსაკუთრებით კი რუის-ურბნისისაზე.

საწარმოო ძალთა განვითარებამ, სახალხო მეურნეობის დაწინაურებამ, სოციალური ურთიერთობის გართულება-გაღრმავებამ და პოლიტიკური ცხოვრების უმაგალითო სიმაღლეზე ასვლამ გამოიწვია არაჩვეულებრივი აყვავება კულტურულ-ლიტერატურულ სფეროში. პოლიტიკურად განმტკიცებულმა,

---

1 პატრონყმური ურთიერთობის რაობა გარკვეულია აკად. ი. ჯავახიშვილის შრომებში: «ქართული სამართლის ისტორია», I—II და «ქართველი ერის ისტორია», II.

შიგნით მოწესრიგებულმა და ეკონომიურად გაძლიერებულმა ქართველებმა იპოვეს დრო სულიერი კულტურის განვითარებისათვის. და მართლაც, ამ პერიოდში ბადრი მთვარესავით გადაიშალა მათი შემოქმედებითი ენერგია როგორც ლიტერატურაში, ისე სულიერი ცხოვრების ყოველ დარგში. ჩვენი ლიტერატურის ამ პერიოდს სამართლიანად ეწოდება «კლასიკური» ხანა. საქმე ისაა, რომ სასულიერო-ლიტერატურული შემოქმედება, რომელიც უკვე პირველი პერიოდის გასულს სავსებით ფეხმომაგრებულია, გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ და, გამდიდრებული ახალი მიმართულებითა და ჟანრებით, როგორიცაა: ჰეტაფრასტიკა, ისტორია, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, პოეზია, თავისი განვითარების კულმინაციურ პუნქტს აღწევს ამ პერიოდში არა იმდენად ნათარგმნს, რამდენადაც ორიგინალურ ძეგლებში.

ამ პერიოდის ჩვენს საეკლესიო მწერლობას ახლო კავშირი და ურთიერთობა აქვს ბიზანტიურ მწერლობასთან. ეს კავშირი გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ ჩვენში ახლა უხვად შეჰოდის ახალი მიღწეული ბიზანტიური ლიტერატურისა, არამედ იმაშიც, რომ ძველ შრომებს, რომელნიც წინა პერიოდში სხვა წყაროებიდან შემოსულან ჩვენში, მაგრამ თავისუფალი, არა სიტყვასიტყვითი თარგმანით, ადარებენ ბერძნულ ტექსტს და იმის მიხედვით ასწორებენ. ის სიტყვები, რომელნიც ეფრემ მცირეს კერძო შემთხვევის გამო უთქვამს: «ბერძნებისა შვილის შვილსა, ნუუკუე და არა უეჭუელსა, თჳთ უეჭვი და საკუთარი შვილი აღვირჩიეო»[1] — ეპოქის მთარგმნელობითი საქმიანობის ლოზუნგად იყო მიჩნეული: ბერძნული ტექსტი დედაა, ქართული თარგმანი, უშუალოდ ბერძნულიდან გადმოღებული, შვილია ბერძნულისა, ხოლო სხვა ენის საშუალებით — შვილიშვილი, შვილიშვილს კი ღვიძლი შვილი სჯობიაო. განსაკუთრებით კრიტიკულად უდგებიან ახლა სომხური ენიდან მთარგმნელობას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ წინა პერიოდის მეორე ნახევარში სიტყვასიტყვით მთარგმნელობას ყოველთვის არ ჰქონდა ადგილი ჩვენს მწერლობაში, უფრო ხშირად თავისუფლად გადმოსცემდნენ ხოლმე დედანს. ასეთი თარგმანი XI — XII საუკ. მწიგნობრებს არ აკმაყოფილებს, იმათ ის გარყვნილად მიაჩნიათ, ხოლო გამრყვნელად სომხებსა სთვლიან; შეითხზა ლეგენდა, ვითომც ჩვენ იმთავითვე წმიდა და უზადო წიგნები გვქონდა, მაგრამ მერე სომხებმა გაგვირყვნეს ისინიო. ამ შეხედულების მკვეთრი გამომხატველია გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, რომელიც ამბობს: «დაღაცათუ პირველითგანვე გუაქუნდეს წერილიცა და სარწმუნოებაჲ ჴეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და, ვითარცა ღუარძლნი რაჲმე, დათესულ იყვნეს ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევნებოდა: რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი, რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი».

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 227.

ახლა მიზნად დაუსახავთ ბერძნული დედანი ზედმიწევნითი სისწორით გადმოიღონ ქართულად. ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან დაახლოება თანდათან ვითარდება. ათონის სკოლა ჯერ კიდევ ანგარიშს უწევს ძველ ქართულ ტრადიციებს: მამათმთავარი ამ სკოლისა, ექვთიმე მთაწმიდელი, წინა ეპოქის მთარგმნელთა სკოლას ეკუთვნის, თავის თარგმანებში ის ნახევრად მთარგმნელია და ნახევრად ორიგინალური მწერალი. ექვთიმესთან შედარებით უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა ამ საქმეში მეორე მთაწმიდელმა, გიორგიმ, თუმცა, მიუხედავად მისი აკრიბიისა, იმანაც ვერ გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან. უფრო წაწია წინ ეს პროცესი შავი მთის სკოლამ და მისმა კანონმდებელმა ეფრემ მცირემ. ეფრემის მთარგმნელობითმა მოღვაწეობამ ქართულ საზოგადოებაში განხეთქილება გამოიწვია, ის ორ ბანაკად გაყო მან: ერთ მხარეზე იყვნენ ეფრემის თანამოაზრე პროგრესისტები, მეორეზე — კონსერვატიული პარტია, ძველი ტრადიციების მოთაყვანენი, რომელთაც ეფრემის მოღვაწეობა და ის ახალი მიმართულება, რომელიც მან მთარგმნელობაში დაამკვიდრა, იმდენად ეხამუშებოდათ, რომ მას ექვთიმესა და გიორგის უპატივცემულობას, მეტიჩრობასა და მწვალებლობასაც კი სწამებდნენ[1]. თუმცა, უნდა ითქვას, ეფრემიც არ იყო სრულიად თავისუფალი ქართული ტრადიციების ზეგავლენისაგან. ის ამბობს, რომ ვინაიდან ძველი თარგმანი ზეპირად ვიცოდი, ახლად თარგმნისას უნებლიედ მეპარებოდა ტექსტში ძველი სიტყვები და ფრაზებიო. უკანასკნელი სიტყვა ქართული თარგმანის ბერძნულ დედანთან დაახლოების პროცესში ეკუთვნის ეგრეთ წოდებულ პეტრიწონულ სკოლას. რით იყო შეპირობებული ბიზანტიასთან სიახლოვე და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა?

ბიზანტია იყო «მაღალი» და საერთოდ პროგრესული კულტურის მატარებელი ქვეყანა[2]. აქ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ, რომელმაც მეთერთმეტე საუკუნეში, კონსტანტინე მონომახის აკადემიისა და მის პროფესორთა ხელმძღვანელობით, ნამდვილი რენესანსის ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობამ გადმოხეთქა კონსტანტინოპოლისა და საკუთრივ ბიზანტიის საზღვრები და ეგრეთ წოდებული ქრისტიანი «ბარბაროსებიც» ჩაითრია და წარიტაცა. «ბარბაროსთა» ცოცხალი, შემოქმედი ძალები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მიიღტვიან ბიზანტიაში, აქ ეზიარებიან მის კულტურას და საკუთარი წვლილი შეაქვთ ამ კულტურის ზრდა-განვითარებაში. ამ საერთო და საყოველთაო მოძრაობასა და გატაცებას ქრისტიანული საქართველოც ვერ დააღწევდა თავს; თუ მეცხრე-მეათე საუკუნეში ის ბერძნებს უმთავრესად იმპერიის პერიფერიებზე ხვდებოდა, ახლა, XI—XII საუკუნეებში, ათონის, პეტრიწონის და სხვა მონასტერთა მეოხებით, შეიჭრა პირდაპირ

1 Н. Марр, Иоанн Петрицкий, стр. 36 — 39.

2 М. В. Левченко, Очерки по истории русско-византийских отношений, стр 443 и др. 1956 г.

ბიზანტიის კულტურის ცენტრში, სადაც მან საკუთარი თვალით დაინახა ყოველივე ის, რაც ყველა ქრისტიან ერს აინტერესებდა მაშინ.

ამას თან დაერთო ის გარემოება, რომ აღნიშნულ პერიოდში პოლიტიკურად გაერთიანებულ და ძლიერ საქართველოში უაღრესად განვითარდა ეროვნული თვითშეგნება და თავმოწონება. ეროვნული გათვითცნობიერების პროცესს, როგორც დავინახეთ, ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ პირველი პერიოდის მეორე ნახევარში, რომელსაც ამის გამო ვუწოდეთ ე რ ო ვ ნ უ ლ ი ხანა ჩვენი მწერლობისა. მაგრამ ამ პროცესის ხასიათი, მაშინდელთან შედარებით, ახლა სულ სხვანაირია. წინა პერიოდში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების შედეგი იყო ის, რომ ქართველები, როგორც ვთქვით, დადგნენ კულტურულ-ლიტერატურული დამოუკიდებლობისა და სეპარაციის გზაზე, მეორე პერიოდში კი საკმემ სხვა მიმართულება მიიღო. ბერძნებსა და ქართველებს შორის ახლა დაიწყო ერთგვარი მეტოქეობა[1], რომლის გამოძახილი უფრო მკაფიოდ გვესმის ჩვენ ქართველთა საზღვარგარეთულ სამონასტრო ცენტრებში. შურითა და გესლით აღბეჭდილი ბერძნები არავითარ საშუალებასა და ხრიკებს არ ერიდებიან, რომ ქართველები აღნიშნული ცენტრებიდან გამოაძევონ. მათ ისინი მედიდურად დაჰყურებენ ზევიდან, როგორც ბ ა რ ბ ა რ ო ს ებს, და იქამდეც მიდიან, რომ მწვალებლებადაც კი თვლიან მათ. ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავმოყვარეობისა და სახელის დასაცავად ქართველებს უნდა დაერწმუნებინათ ბერძნები და სხვებიც, რომ ისინი, თუ განსხვავდებიან ბერძნებისაგან, მხოლოდ ეროვნებით, კულტურისა და სარწმუნოების მხრით კი არც ბ ა რ ბ ა რ ო ს ე ბ ი არიან და არც, მით უმეტეს, მ წ ვ ა ლ ე ბ ლ ე ბ ი: მათ, როგორც ქრისტიანებს, იგივე რჯული უპყრიათ, იგივე საეკლესიო წესები, იგივე საღმრთო წერილი და საეკლესიო ლიტერატურა აქვთ, რითაც ასე ამაყობენ ბერძნები.

ვინაიდან ბიზანტინიზმი ამ დროს საქრისტიანო ქვეყნებში ყველგან თავისებურ «ბოდად» იყო გადაქცეული და კულტუროსნობის მაჩვენებლად, ქართველთა გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება თხოულობდა, რაც შეიძლება მეტად დაახლოებოდნენ ისინი ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობას. ამ დაახლოების პროცესშიც ქართველები შესამჩნევ აქტივობას იჩენდნენ, ისინი საგრძნობ წინააღმდეგობას უწევდნენ ბერძნულ იდეურ-პოლიტიკურ აგრესიას. ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი ცალმხრივი არ ყოფილა, ქართულ მწერლობასაც ბევრი რამ საყურადღებო მიუცია ბიზანტიური მწერლობისათვის და თავისი წვლილი შეუტანია ამ მწერლობის ისტორიაში. ვაჩვენებთ ამას ზოგადად: 1) ქართულ ენაზე შენახულა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანითაა შესაძლებელი; 2) ქართულ მწერლობაში შემონახულა ისეთი ცნობები ზოგიერთ ბიზანტიელ მწერალთა შესახებ, რომელნიც ავსებენ და

[1] ამის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს «კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ მწერლობაში», 1949 წ., გვ. 1—20.

სულ ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას; 3) ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ; 4) ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა ქართულ მწერლობაში გადმოსულა ისეთი ვარიანტებით, რომელნიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებთ; 5) ქართველებმა შესძინეს ბიზანტიურ ლიტერატურას ქართულიდან გადათარგმნილი არა ერთი თხზულება, მაგალითად, «ბალავარი, აბუკურა და სხუანი რომელნიმე»; 6) ქართველებს ბერძნულ ენაზე უწერიათ ორიგინალური თხზულებებიც, მაგალითად, ექვთიმე ათონელს დაუწერია ბერძნულად «წესი მარტოდმყოფის ცხოვრებისაჲ»[1].

ჩვენს საისტორიო მეცნიერულ მწერლობაში არის ისეთი შეხედულებაც, თითქო აღნიშნულ პერიოდში ქართული მწერლობის განვითარებაზე გავლენა ჰქონდა ლათინურ საეკლესიო მწერლობასაც. უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთ საქრისტიანოსთან ურთიერთობის შესახებ ქართულ ენაზე ლეგენდები შეუთხზავთ საკმაოდ ადრე. წმიდა ნინოს შატბერდულ ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ნინოს მამამ ზაბულონმა მოაქცია ქრისტეს სჯულზე ბ რ ა ნ ჯ ე ბ ი, პ ა ტ ა ლ ო ნ ი ს ელზე მათი დამარცხების შემდეგ. ბრანჯები არის გაარაბებული ფორმა ფ რ ა ნ კ ე ბ ი ს ან ფრანგებისა, ხოლო პ ა ტ ა ლ ო ნ ი ს ბ რ ძ ო ლ ა არის რემინისცენცია შალონის ბრძოლისა კამპანიაში 451 წელს[2]. რასაკვირველია, ასეთი ლეგენდების შექმნა, თუგინდ სხვა ენებიდან გადმოკეთება, დასავლეთ საქრისტიანოსთან რეალური ნაცნობობის ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო. მართლაც, მეექვსე საუკუნეში ჩვენ იმის ნამდვილი საბუთი გვაქვს, რომ ქართველ და რომაელ ქრისტიანთა შორის მისვლა-მოსვლა უეჭველად წარმოებდა; ჩვენამდე მოაღწია პაპის გრიგოლ დიდის წერილმა, რომელიც მას მიუწერია კათოლიკოს კირიონისათვის მის ერთ-ერთ დოგმატური ხასიათის შეკითხვაზე[3]. ეს მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა უფრო გავრცელებულა მეც-

---

[1] ქართული კულტურის სიმწიფე და ძლიერება, ბიზანტიელების გარდა, შესაძლებელი გახდარა ამ პერიოდში სომხებისათვისაც. ამ პერიოდის მიწურულში საქართველოს ფარგლებში მოქცეული დიოფიზიტური სომხური წრეებისათვის ვიღაც სვიმეონს უთარგმნია ქართულიდან სომხურად მთელი რიგი თეოლოგიურ-ფილოსოფიური თხზულებებისა, სახელდობრ: ა) «კაეშანი ღრთისმეტყველებითნი» პროკლე დიადოხოსისა, იოანე პეტრიწის კომენტარებითურთ; ბ) «წყარო ცოდნისა», იოანე დამასკელისა, არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი; გ) «ლიტყუჱს-გუჱნ ურიათა მიმართ»; დ) «თავნი სომეხთა წეალებისანი ოცდაათნი»: ე) ევსტრატი ნიკიელის «განყოფისათჳს ეკლესიათა» და ვ) იოანე სინელის ბიოგრაფია და მისი «კლემაქსი», პეტრე გელათელის მიერ თარგმნილი. [ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ე ნ ი მ კ ი-ს «მოამბე», III, 123—134; მ ი ს ი ვ ე, მხითარ გოშის ტრაქტატი «ქართველთათჳს» და მისი ლიტერატურული წყაროები, «თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები», VII, 105 — 106; მ ი ს ი ვ ე, Древнеармянский перевод еще одного памятника грузинской философской литературы эпохи Руставели, «Сборник Руставели», 1938 г., стр. 129 — 137].

[2] Н. Марр, Деяния трех святых близнецов — Сиевсина, Елесина и Меласина, стр. 319 — 323.

[3] ე. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 575—577.

რე საუკუნეში, როდესაც ცნობილმა ილარიონ ქართველმა იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში და ორ წელიწადს, ორი თავისი მოწაფით, თვით რომში ცხოვრობდა, სადაც ის ყველას აკვირვებდა თავისი ღვთისნიერი ცხოვრებით [1]. ლათინებთან ქართველები დაახლოვდნენ განსაკუთრებით მიმდინარე პერიოდის დამდეგს ათონის მთაზე: ექვთიმეს მამის იოანეს სიცოცხლეში ათონის მთაზე მოვიდა ბერი ჰრომთა ქუეყანისაჲ, რომელმაც აღაშენა მონასტერი წმ. ბენედიკტეს წესისა. ამ მონასტრის აშენებაში დიდი დახმარება გაუწიეს მას ქართველებმა, რის გამო ქართველნი და ამ მონასტრის ბერები ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს [2]. პროფ. ნ. მარი, ითვალისწინებს რა ასეთ პერსპექტივებს, ფიქრობს, რომ ტაო-კლარჯეთის წრე, საიდანაც გამოვიდნენ ათონის მოღვაწეები, წარმოადგენდა იმ ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი იყო ლათინთა ლიტერატურული გავლენა ქართველებზე [3]. როგორც უნდა ყოფილიყო ქართველ-ლათინთა ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი დოკუმენტი ჩვენამდე არ შენახულა, რომელიც მოწმობდეს ლათინთა ლიტერატურულ გავლენას ქართველებზე. მართალია, ჩვენს ხელნაწერებში არის ორი ცნობა, რომელიც თითქო ამ გავლენის სასარგებლოდ ლაპარაკობს: გიორგი მთაწმიდელის დიდს სჯნაქსარში შეტანილია დოროთეოზ ტვირელის თხზულება 70 მოწაფეთათვის, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: «ესე სამგზის სანატრელმან და ყოვლად შუენიერმან დოროთეოს ჰრომს მყოფმან რომაელებრ მეტყუელითა წერილითა მოსაკსენებლად დაუტევა, რომლისაგან ჩუენცა შევკრიბეთ და ბერძენთა ენასა ვთარგმნეთ და საცნაურ ყოველთა ვყავთო» [4]; ამბობენ, რომ დოროთეოზის აღნიშნული თხზულება გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია ლათინურიდან ბერძნულად და მერე ქართულადაცო [5]. ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია მარტო ბერძნულად თარგმნის შესახებ და არა ქართულად, თან ეს შენიშვნა იკითხება ამ თხზულების სლავურ თარგმანშიაც [6]; აქ ლაპარაკია არა გიორგი მთაწმიდელზე, არამედ ვიღაც ბერძენზე, რომელსაც ეს თხზულება ლათინურიდან ბერძნულად უთარგმნია და რომელსაც მიუწერია ეს შენიშვნა, შემდეგ გადმოსული ქართულსა და სლავურს თარგმანშიაც. მეორე: ათანასე ალექსანდრიელის თხზულების «აღსარებაჲ წმიდისა და უბიწოჲსა ქრისტეანეთა სარწმუნოებისაჲს» ქართულ თარგმანს, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის, დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: «ესე მართლისა სარწმუნოებისა აღსარებაჲ ჰრომთა წიგნისაგან გადმოვწერე: ვინ აღმოიკითხოთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისათჳს, რომელმან ესე ვთარგმნე». აქ თითქოს პირდაპირაა ნათქვამი, რომ ეს თხზულება გიორგიმ გადმოთარგმნა «ჰრომთა ენისაგან» ქართულად. მაგრამ ესეც გაუგებრობაა; პირველი ნახევარი შენიშვნისა: «ესე მართ-

---

[1] კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, გვ. 38—67.

[2] ათონის კრებული, გვ. 30—31.

[3] Деяние трех святых близнецов, стр. 306—307.

[4] ხელნ. A, № 222, გვ. 609.

[5] Ф. Жордания, Описание, II, стр. 245.

[6] სოფიის წიგნთსაცავის ხელნაწერი № 1343.

ლისა სარწმუნოებისა აღსარებაჲ ჰრომთა წიგნისაგან გადმოვწერე», დამოუკიდებელია, ის ეკუთვნის ბერძენ მწერალს, ხოლო მეორე ნახევარი — გიორგი მთაწმიდელს, რომელმაც მართლა გადმოიღო ის ბერძნულიდან. ამნაირად, ლათინურიდან ქართულად თარგმნას ამ პერიოდში ჩვენ არ ვიზიარებთ, ვინაიდან ჯერჯერობით ამისი საბუთები არაა აღმოჩენილი. ასეთ საბუთად ვერ ჩავთვლით მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს მოსაზრებას, თითქოს პეტრე მოციქულის ლიტურგია ილარიონ ქართველის მიერ იყოს ნათარგმნი ლათინურიდან[1], ეს არაფრით დამტკიცებული არაა. რატომ უნდა ეთარგმნათ ის ლათინურიდან, როდესაც ცნობილი იყო ბერძნულ ენაზედაც?

მ ე ს ა მ ე პ ე რ ი ო დ ი

ფეოდალური მონარქიის დაცემის ხანა

მესამე პერიოდი, რომელიც პატრონყმური ურთიერთობისა და მთელი სახელმწიფოებრიობის შერყევას ემთხვევა, გრძელდება მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთექვსმეტის დამდეგამდე. ამ ხანას ჩვენ გამოვყოფთ ცალკე პერიოდად არა იმიტომ, რომ მას მიეცეს ჩვენი საეკლესიო მწერლობისათვის რაიმე ახალი მიმართულება და ახალი იდეები, გაემდიდრებიოს ის ახალი და მნიშვნელოვანი ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოებებით, ანდა შეექმნას ახალი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრები, არამედ სულ საწინააღმდეგო მოვლენათა გამო: ეს არის პერიოდი სასულიერო მწერლობის დაკნინებისა და დაცემისა. თუ ამ მწერლობის წინაპერიოდი იყო მისი ზრდა-განვითარების კლასიკური ხანა, ეს მესამე პერიოდი შეიქნა «კლასიკური» ხანა მისი დაქვეითებისა. ამ მოვლენის მიზეზად, რასაკვირველია, ვერ ჩაეთვლით ჩვენ იმ გარემოებას, თითქოს წინა საუკუნეების კულტურულ-პოლიტიკურმა ზრდამ და განვითარებამ ქართველები ფიზიკურად და სულიერად მოქანცა, მათი შემოქმედებითი ენერგია ამოწურა და ზნეობრივად დასცა[2]. ჯერ ერთი, არც ფიზიკურად, არც სულიერად ისინი არ მოქანცულან; ამას მოწმობს, სხვა არა იყოს, ის გარემოებაც, რომ ამ აუწერელ უბედურებას, რაც მათ თავს დაატყდათ გარეშე მტერთა შემოსევით, ქართველები მამაცად და გმირულად იტანენ, თან ეროვნული დროშა იმდენად მაღლა უჭირავთ, რომ მათთან დამეგობრებას ეძებენ აღმოსავლეთის ძლიერი ბატონები და მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას ცნობენ ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი, როგორიც იყო ეგვიპტე. რაც შეეხება ზნეობრივად გახრწნა-დაქვეითებას, ამ გარემოებას, ჩვენ ვფიქრობთ, უფრო უნდა შეეწყო ხელი საეკლესიო-სასულიერო მწერლობის განვითარები-

[1] Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, S. 39.

[2] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, стр. 1. ეს დრეპერისებური შეხედულებაა, რომელიც ახლა გაბათილებულია, თან შემოქმედებითი ენერგია ქართველებისა ამ პერიოდში არ ამოწურულა მთლიანად. მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ ამ პერიოდშიც კეთდებოდა კულტურისა და მწერლობის დარგში ცოტა რამ. ამის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, «ეტიუდები», II, გვ. 314—324.

სათვის, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ დარგში, როგორიცაა მორალურ-ასკეტიკური და ჰომილეტიკური. მწერლობის დაქვეითება-დაცემაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების იმ აუტანელ პირობებს, რომელთა მეოხებით, პირველ ყოვლისა, იძულებული იყვნენ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ეზრუნათ და შემდეგ მწერლობის განვითარებისათვის. მეცამეტე საუკუნიდან საქართველოს განუწყვეტლივ აოხრებენ და ავერანებენ მონგოლები, XV საუკუნიდან ოსმალები. მათ გაანადგურეს ყოველგვარი ცენტრები მწერლობისა და სწავლა-განათლებისა. მესხეთი, ეს პირდაპირი აკვანი ჩვენი კულტურისა და მწერლობისა, გამაჰმადიანებისა და საქართველოდან ჩამოშორების გზაზე დგება. საქართველოში გარეშე მტრების თარეშმა და შინაურმა არეე-დარევამ სულ ერთიანად გაანადგურა საეკლესიო მწერლობის ცენტრები, რაც შეეხება საზღვარგარეთულ ცენტრებს, შექმნილი მდგომარეობის გამო, ისინიც დაეცნენ და დაკნინდნენ. ოსმალებმა მოსწყვიტეს საქართველოს არა მარტო ბიზანტია, არამედ ეს ცენტრებიც. მისვლა-მოსვლა საქართველოსა. და ცენტრებს შორის ძალზე გაძნელდა და შესუსტდა, ახალი კადრები საქართველოდან ამ ცენტრებს აღარ ემატებოდა, ძველი მოღვაწეები კი თანდათან იხოცებოდნენ. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთ ამ ცენტრში ქართველები სულ გადაშენდნენ, როგორც, მაგალითად, შავ მთასა და სინაზე, ზოგიერთებში კი, როგორც ათონი და ჯვარის მონასტერია, იმდენად შემცირდნენ, რომ მეტოქეობას ვეღარ უწევდნენ ბერძნებს, რომლებიც თანდათან დაეპატრონენ მათ ნაჭირნახულევს.

აი, ჩვენი აზრით, ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ქართული საეკლესიო მწერლობის დაცემა აღნიშნულ პერიოდში. ვინაიდან ამ პერიოდში ახალი მაინცდამაინც აღარ იქმნებოდა, ლიტერატურული შემოქმედება უმთავრესად წინა დროის თხზულებათა გადაწერაში, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, გამოიხატებოდა. ამის გამო ლიტერატურული ენა არც წინ წაწეულა და მაინცდამაინც არც წარყვნილა: ახლანდელი მწერლები, ძველ თხზულებებზე აღზრდილნი, ხშირად ამ თხზულებათა ენას ბაძავენ და მის თვისებებს იმეორებენ. ამით აიხსნება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ეპოქა გვაძლევს ჩვენ კლასიკური პერიოდის ნორმებით შესრულებულ ლიტერატურულ ძეგლებს.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, რასაკვირველია, ამ ეპოქაშიაც იქმნებოდა თუ ითარგმნებოდა ახალი თხზულებანი, მაგრამ ისეთი მცირე მასშტაბით, რომ ეს ვერ ცვლის ამ პერიოდის იმ დახასიათებას, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ[1].

---

[1] თუ იმ ცნობებს დავუჯერებთ, რომელნიც მოყვანილია ზ. ჭიჭინაძის წიგნში— «ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე» (თბილისი, 1885 წ.), უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული მწერლობა ამ პერიოდში არამცთუ დაქვეითების, პირიქით, პროგრესის გზაზე დამდგარა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ცნობები ეწინააღმდეგება არა მარტო ეჭვმოუტანელ ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტებსა და ქრონოლოგიას, არამედ ერთიმეორესაც. მაგალითად, არავითარი ცნობები არ შენახულა ეკვემონ კათოლიკოსის (გვ. 2), ნიკოლოზ კათოლიკოსის (3), პიმენ სალოსის (3), ელისე მთავარეპისკოპოსის (16), მიხეილ და არსენ კათოლიკოსების (16), მაკარი მღვდელმონაზონის, გიორგი არქიმანდრიტის (17), თევ-

მეოთხე პერიოდი

მოგვიანო ან ბატონყმური ფეოდალიზმი
(აღორძინების ხანა)

მეოთხე პერიოდი იწყება მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან და გრძელდება მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ოცდაათიან წლებამდე. ამ პერიოდს ეწოდება ქართული მწერლობის აღორძინების ხანა, ვინაიდან, შედარებით წინა, დაცემის, პერიოდთან, მწერლობა გამოცოცხლებისა და წინსვლის გზას დაადგა. რამ გამოიწვია ეს გარემოება?

სანამ ამ საკითხზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროა, ზოგად ხაზებში მაინც, გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ამ ხანაში.

მეთექვსმეტე საუკუნეში საქართველო გამოდის გაყოფილი სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ოთხ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია), რომელნიც ებრძვიან და ასუსტებენ ერთმანეთს. ამით სარგებლობენ სპარსეთი და ოსმალეთი, რომელთაგან პირველი აღმოსავლეთ საქართველოს აქცევს თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში, ხოლო მეორე — დასავლეთ საქართველოს. ეს გარემოება, აქედან გამომდინარე შედეგებით, თავის დაღს ასვამს ქვეყნის მდგომარეობას. ამას თან ერთვის თავადების გაუმაძღრობა, თავაშვებულება, თვითნებობა, ერთმანეთისა და ცენტრალური ხელისუფლების გაუტანლობა. ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად დააწვა კისერზე მწარმოებელ კლასს, გლეხკაცობას, რომელიც გაება ბატონყმობის მწვავე და აუტანელ უღელში. მდგომარეობა ამ ხანაში ისეთი მძიმე და აუტანელი იყო, რომ ხშირად კითხულობენ: ასეთ პირობებში განა შეიძლება ლაპარაკი კულტურისა და მწერლობის აღორძინებაზე? ავიწყდებათ, რომ ხელოვნება და ლიტერატურა ყოველთვის ფეხდაფეხ არ მისდევს პოლიტიკური ცხოვრების აყვავებას თუ დაცემას. არ იღებენ

დორე ეპისკოპოსის (21), აბრაამ კათოლიკოსის (22—23), ბასილ მთავარეპისკოპოსის (23), ზაქარია კათოლიკოსის (26), დომენტი პირველის (26), მიხეილ ბერის (30), იოსებ მიტროპოლიტის (30), დანიელ მღვდელმონაზონის (30), გერმანე ეპისკოპოსის (31), მელქისედეკ კათოლიკოსისა და ნიკოლოზ ბაგრატიონის (30) სალიტერატურო მოღვაწეობისა და მათი თხზულებების შესახებ. თუ მართლა არსებობდნენ ასეთი «ძწერლები», უკეთეს შემთხვევაში ისინი, შეიძლება ყოფილიყვნენ «გადამწერნი» ან შემკვეთელ-მომგებელნი მათ სახელთან დაკავშირებული თხზულებებისა, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მომტებული ნაწილი ასეთი თხზულებებისა არ იცის არც საზოგადო, არც ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორიამ, კერძოდ, «სელინის კრების (?) მეტაფრასტი» (გვ. 25). ზოგიერთი ამ პირის თხზულებას ავტორი სხვა ადგილას სხვებს მიაწერს, მაგალითად, ნიკოლოზ კათოლიკოსის «მოგება სულისა» (გვ. 21)—მამა ეზეკიელს (მ ი ს ი ვ ე. ქართული მწერლობა XI საუკუნისა, გვ. 25); ბასილ მთავარეპისკოპოსის «სიმონ კანანელის და ანდრია მოციქულის ცხოვრებას» (გვ. 23) — გიორგი ჯაონდიდელს («ქართული მწერლობა XI ს.», გვ. 29); აბრაამ ეპისკოპოსის «ბრწყინვალე კეირას» (22) — არსენ ბულმაისიმისძეს (გვ. 1). ყველა ამას თან ერთვის უცნაური ანაქრონიზმები, მაგალითად, აბრაამ კათოლიკოსს, რომელიც «ცხოვრობდ» მეცამეტე საუკუნეში», ავტორი მიაწერს, სხეთაშორის, წიგნს «ფლორენციის კრებისას» (გვ. 3), რომელსაც, როგორც ვიცით, «დგილი ჰქონდა 1438—1439 წლებში.

მხედველობაში, რომ «расцвет искусств и литературы далеко не всегда совпадает с расцветом политической жизни народа».

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მესვეურშა ფეოდალური კლასის საუკეთესო, პროგრესულმა ნაწილმა, რომელიც შექმნილ მდგომარეობას სერიოზულად უფიქრდებოდა, კრიზისის მიზეზად მიიჩნია ეროვნულ ძალთა დაქსაქსვა, მამაპაპეული ქრისტიანული კულტურის შესუსტება და მაჰმადიანობის გაძლიერება, რაც ეროვნული გადაგვარების გზაზე აყენებდა ხალხს, და გლეხკაცობის მემამულეთაგან უსაზღვრო ჩაგვრა-ექსპლოატაცია. ამისდა შესაბამისად, აღნიშნული ნაწილი ფეოდალური საზოგადოებისა იწყებს ბრძოლასა და გზების ძიებას მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; საქართველოს მთლიანობა, დამოუკიდებლობა და ეროვნული კულტურის დაწინაურება მისი მთავარი საზრუნავი საქმეა. ვახტანგ V-ისა და ვახტანგ VI-ის, აგრეთვე ერეკლე მეორის პოლიტიკა, საშინაო და საგარეო, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საქართველოს პოლიტიკურად გამოღვიძებას. შეგნებულ პირთა (ერეკლე მეორე აღმოსავლეთში, სოლომონ I დასავლეთში, გიორგი სააკაძე და სხვ.) ბრძოლამ ურჩი ფეოდალების თავაშვებულების წინააღმდეგ, მათმა მზრუნველობამ ბატონყმობის სისასტიკის შერბილებისა და გლეხთა აუტანელი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ქვეყნის საწარმოო ძალთა, ხელოსნობა-მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის, შედარებით განამტკიცეს მატერიალური ბაზა ცხოვრებისა და ხელი შეუწყვეს სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის წინ წაწევას იქამდე, რომ საქართველოში ამ დროს მყოფი ევროპელი მოგზაურებიც კი— არქანჯელო ლამბერტი, შარდენი და ტურნეფორი — საჭიროდ თელიან ხაზი გაუსვან ამ გარემოებას. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებას არ შეეძლო არ გამოეწვია სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესებაც.

მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად იდეური საშუალებანიც იყო მიჩნეული; საჭირო იყო ამ საშუალებათა პროპაგანდა, რაც უნდა ეკისრა, პირველ რიგში, ლიტერატურას, სასულიეროსა და საეროსაც ერთ-ერთი იმპულსი იყო მისი გამოცოცხლებისა და განვითარების გზაზე შედგომისა.

მწერლობის აღორძინებისათვის მნიშვნელობა ჰქონდა კულტურულ ფაქტორებსაც. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმის შემოღება და სტამბის გახსნა[1], რამაც გაამრავლა წიგნების რიცხვი, გააადვილა მათი შეძენა და ამით ხელმისაწვდომი გახადა ფართო მასებისათვის. შემდეგ უნდა დავასახელოთ სასკოლო საქმის გაუმჯობესება. ახლა მომრავლდა რიცხვი როგორც ელემენტარული, პირველდაწყებითი სკოლებისა, ისე საშუალო-სამეცნიერო სასწავლებელთა, რომელთაც შექმნეს მთელი თაობა მომზადებული ლიტერატურული მოღვაწეებისა. არა-

[1] საკმაოდ მდიდარ ლიტერატურას ქართული სტამბის შემოღების შესახებ შეიძლება მიეკითხოთ პატარა ცნობა, რომლის სათაურია «ასოების ისტატი» გაზ. «კომუნისტი» 1957 წ. №. 202. შეად. ჯ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, 1959.

ნაკლებ მნიშვნელოვანია ახალი, რუსული, კულტურის თანდათანობითი შემოჭრა ჩვენში, რასაც უეჭველად უნდა მოჰყოლოდა ლიტერატურული ინტერესების გაღვივება.

აი, დაახლოებით ის პირობები, რომელთაც გამოიწვიეს ჩვენში ამ პერიოდში მწერლობის წინსვლა და აღორძინება, ვიმეორებთ, შედარებით იმასთან, რაც გვქონდა წინა, დაცემის, პერიოდში. მართლაც, აღნიშნულ პერიოდში ქართველებში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ: გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, გაჩნდა ახალი ბუდე და წყაროები ლიტერატურული მუშაობისა, შემოღებულ იქნა წიგნის ბეჭდვის ხელობა, საფუძველი დაედო ისეთ წიგნსაცავებს, როგორიც იყო მცხეთისა და ანტონ კათოლიკოსისა, რომელთაგან უკანასკნელში 7000 ტომი ითვლებოდა [1], გაიზარდა წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი, განსაკუთრებით ქალთა შორის, როგორც ამას ამრწმებს კაპიტანი იაზიკოვი თავის მოხსენებაში: «Что же принадлежит до благородных женщин, они все писать умеют[2]». გაფართოვდა ლიტერატურულ მოღვაწეთა წრე: თუ წინათ საეკლესიო მწერლობას სათავეში მომეტებულ ნაწილად სამღვდელო-სასულიერო პირნი უდგნენ, ახლა ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს საერო პირებმაც და, რაც საყურადღებოა, სამეფო ოჯახისა და გვარეულობის წევრებმა, როგორც მამაკაცებმა, ისე დედაკაცებმა (მაკრინე, ერეკლე პირველის ასული). გამშვენდა ლიტურგიკული მხარე საეკლესიო ცხოვრებისა, დამუშავდა და აყვავდა საეკლესიო გალობა, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული «ჭრელი», რომელიც რუსულ კონცერტს უდრის [3]. გაიშალა და გაფართოდა ასპარეზი ქართველთა საერთაშორისო დამოკიდებულებისა, რამაც ხელი შეუწყო უცხო ენის მცოდნეთა გამრავლებას და სხვადასხვა ხალხთან და ქვეყანასთან კულტურულად დაახლოებას. ეს მოძრაობა მოედო ყველა წრეს, წოდებასა და მდგომარეობას საქართველოში, მისმა ნაკადმა გადმოლახა საქართველოს საზღვრები და ჰახლობელ მეზობლებსაც კი შეეხო. მაგალითად, ქართულიდან ითარგმნა სახარება სპარსულ ენაზე [4].

---

1 ერთი ცნობით, როდესაც ვახტანგ მეფემ თბილისის სტამბაში წიგნები დაბეჭდა პირველად, მან ისინი დაარიგა მთელ საქართველოში და სამაგიეროდ ხელნაწერები მოითხოვა; ვახტანგმა შეაგროვა მრავალი ხელნაწერი, რომელთათვის სიონის მახლობლად აგებულ იქნა წიგნსაცავი (იხ. «დროება» 1878 წ., № 111).

2 А. Цагарели, Сведения, III, стр. XXIV.

3 ამ დროს შექმნილა მთელი სკოლა მგალობლებისა, რომელნიც ავრცელებენ საეკლესიო გალობას საქართველოს ყველა კუთხეში; განსაკუთრებით ცნობილი ყოფილან: გერასიმე მღვდელმონაზონი (შემდეგ არქიმანდრიტი), რომელსაც 500 «ჭრელი» სცოდნია და გაუზრდია მთელი რიგი შეგირდებისა; მღვდელმონაზონი ლეონტი სოლოშვილი, ხუთასამდე «ჭრელის» მცოდნე; ისაია ხუცესკაცი, «მგალობლობითა სრული, რომელმან იცოდა «ჭრელი» ათას ერთი, და სხუანი მრავალნი» («ცხოვრებაჲ», II, 194, 198, 199).

4 მეფე დავით იმამ-ყული-ხანის მიერ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVII საუკუნეში, გვ. 11). S ფონდ. ხელნაწერი № 16 შეიცავს ქართულად ტრანსკრიბირებულ სპარსულ სახარებას, ის გადმოწერილია XVIII ს. დამდეგს იმ სპარსული ტექსტიდან, რომელიც გადმოთარგმნილი ყოფილა 1696 წელს არაბულიდან პოსეინ შაჰის დროს (მ. ხუბუა). ამ სახარების შესახებ იხ. Н. Марр, Описание персидского четвероевангелия, ЗВОАО, т. III, в. IV.

1739 წელს სახარება ქართულიდან თურქულ ენაზედაც უთარგმნიათ [1]. ახლა ამ პერიოდში, ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საღმრთო და საეკლესიო-მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე. ასეთი მოძრაობა დაიწყო XVI საუკუნეში, XVII-ში ის უკვე ფაქტია, მერე თანდათან იზრდება და ძლიერდება, მისი ტალღები მეცხრამეტე საუკუნეშიც კი გადმოდის.

აღორძინება მწერლობაში გამოიხატა, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ ამ ეპოქის მწიგნობრებმა ქართულ მწერლობას მოაცილეს ის ფერფლი, რომლითაც დაფარა ის დაცემის ხანის წყვდიადმა, და, ამნაირად, ხელი შეუწყვეს კლასიკური ლიტერატურის მითვლემილ ნაკვერცხალთა აღაპლაპებას. ახლა გულმოდგინედ დაეძებენ წინა პერიოდში ნათარგმნ თუ დაწერილ თხზულებებს და დაუღალავად იღებენ მათგან პირებს [2]. ამით აიხსნება, რომ აღნიშნული საუკუნეებიდან ჩვენამდე შენახულა ნუსხები ისეთი თხზულებებისა და ტექსტებისა, რომელნიც, თუ არა ამ გზით, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა; ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ბიბლიური ტექსტების (A 51, მოსკოვის გამოცემა) და ეგზეგეტიკურ-დოგმატიკური მწერლობის შესახებ. ტექსტებისა და ნუსხების დამზადების პროცესში შეიქმნა არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკალიგრაფიო სკოლა, ამათგან ყველაზე უფრო საყურადღებოა მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ თ ა სკოლა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ დეკანოზები: გ რ ი გ ო ლ ი, ა ლ ე ქ ს ი, გ ი ო რ გ ი, ს ო ლ ო მ ო ნ ი, დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი და ტ ა რ ა ს ი ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი. უფრო მძლავრად აღორძინების ნაკადმა თავი იჩინა ახალ თხზულებათა თარგმნაში და ორიგინალურ შემოქმედებაში. რა დარგიც უნდა ავიღოთ მწერლობისა, ყველგან ჩანან თავდადებული მუშაკნი, რომელნიც ამდიდრებენ მას სხვადასხვა ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებებით. გაჩნდა მწერლობის ახალი დარგიც, ეგრეთ წოდებული «მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ნ ი» წმიდა ადგილთა მოსახილველად და მოსალოცავად, რომელთაც ახასიათებს დაკვირვების ნიჭი და ერუდიცია. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული საეკლესიო მწერლობის პოპულარიზაციას; ამ მიზნით ახალი თხზულებები უმეტეს შემთხვევაში ითარგმნება და იწერება უბრალო, მარტივი და ლიტონი ხალხური ენით. გამონაკლისს შეადგენს ანტონ კათოლიკოსი და მისი სკოლა, რომელმაც მოინდომა პეტრიწონული სკოლის ენის აღდგენა და გაბატონება, მაგრამ ამ მისწრაფებამ თანამედროვე საზოგადოებაში ძლიერი პროტესტი გამოიწვია და ფართო მასაში ხორცი ვერ შეისხა. პოპულარიზაციის მიზნითვე ახალი თხზულებები იწერება ძალიან ხშირად პოეტური ფორმით, ლექსად, ეგრეთ წოდებული ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ი ს სახით. სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ელემენტითა და ტენდენ-

---

1 საქართვ. ცენტრარქივის ხელნაწერი № 401. 1818 წლის 25 სექტემბერს თეიმურაზ ბატონიშვილს გამოეცხადა მადლობა იმისათვის, რომ მას ბიბლიური საზოგადოების კომიტეტისათვის შეუწირავს მის მიერ სპარსულად და თათრულად თარგმნილი დავითნი (კატალოგი თეიმურაზის წიგნთსაცავისა, გამ. ს. ორბელიშვილისა, გვ. 79 — 80).

2 ტრიფილე არქიმანდრიტს გადაუწერია თავისი ხელით 500-ზე მეტი წიგნი («ქალმასობა». II, 193).

ციით გამსჭვალულია მრავალი, თვით საერო ხასიათის, ნაწარმოები, რომლებითაც ასე მდიდარია აღორძინების ხანა.

ამ ეპოქის სასულიერო მწერლობაში უფრო ძლიერად გამოსჭვივის ეროვნული მიმართულება, ვიდრე წინა პერიოდებში. ეროვნული ტენდენცია ასულდგმულებდა და ამოძრავებდა ხშირად ამა თუ იმ მოღვაწეს, უფრო კი უცხოეთში გადახვეწილს, როდესაც ის ასეთ სიტყვებს ამბობდა: «არ მომწყინდეს ბის თქუენთანა საუბარი, ჴ ქართველნო, სიბრძნისმოყუარენო; აღტეხილება მაქუს ნიჭად თქუენდა მომართ შრომად, უბნობად, წერად, მოშაირობად, ამად, ვითარმედ მიყუართ ჴეშმარიტებით»[1]. ეროვნულმა მიმართულებამ თავი იჩინა: 1) კაპიტალურ საისტორიო თხზულებებში, რომლებითაც ასე მდიდარია ეს ეპოქა, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნე[2]; 2) მამაპაპურ სიძველეთადმი ყურადღებაში, რომელსაც იჩენენ საქრისტიანო აღმოსავლეთში მოგზაურნი (ტიმოთე, იონა, გიორგი ავალიშვილი და სხვ.) და საქართველოს განაპირებში ქრისტიანობის ისტორიის მიმომხილველნი[3]; 3) ნაციონალურ აგიოგრაფიაში: იწერება ახალი რედაქციები ძველ წმიდათა ცხოვრებისა, ითხზვება ც ხ ო ვ რ ე ბ ა და მ ო ქ ა ლ ა ქ ო ბ ა ახალი, თანამედროვე მოწამეებისა, ვრცელდება ნუსხები აგიოგრაფიული ძეგლებისა; 4) ნაციონალურ საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში: ამ ეპოქაში გამოჩნდა მთელი რიგი ჰიმნოგრაფებისა როგორც სასულიერო, ისე საერო წრეებიდან, სამეფო ოჯახებიდანაც კი, რომელთაც დაწერეს ქართველ წმიდათა ახალი საგალობლები; ასე რომ ის ჰიმნები, რომლებითაც ამკობდა საქართველოს ეკლესია თავის ნაციონალურ წმიდანებს წინა ეპოქებში, ახლა, უმეტეს შემთხვევაში, შეიცვალა ახალ ავტორთა ნაწარმოებებით.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ქართველთა საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა წრე ამ პერიოდში შესამჩნევად გაფართოვდა. ამას მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მწერლობის ისტორიისათვისაც. ბერძნებსა და სომხებთან ტრადიციული ურთიერთობის გარდა, ქართული საეკლესიო მწერლობა განსაკუთრებულ კავშირს აბამს ახლა რუსულ მწერლობასთან.

მართალია, ბერძენთა სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურამ უკვე XIII — XV საუკუნეებში დაასრულა პროცესი თავისი ზრდა-განვითარებისა და ახლა ახალსა და ნოყიერ საზრდოს აღარ იძლევა, მაგრამ, თანახმად ტრადიციისა, საბერძნეთთან, როგორც ქრისტიანობის აკვანთან, ქართველები არ სწყვეტენ კავშირს არც ახლა. ახლაც, ამ პერიოდშიც, ისინი ხშირად დადიან ბერძნული აღმოსავლეთის მოსახილველად, სადაც ისინი უკვირდებიან

---

1 ა ნ ტ ო ნ კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი, წინასიტყვაობა «კატეხიზმოსი», სტროფი 828 «წყობილ-სიტყვაობისა».

2 ფარსადან გორგიჯანიძე, ვახტანგ მეფე და «სწავლულ კაცთა» კომისია, ვახუშტი ბატონიშვილი, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან მდივანბეგი ხერხეულიძე.

3 ვინმე იოანე ჩ ხ ა ტ უ რ ე ლ ს 1698 წელს დაუწერია ქობულეთში ქრისტიანობის გავრცელების და მერე თათართაგან აღმოფხვრის ისტორია; ასეთივე შრომა დაუწერია 1725 წ. მახლობლად მონაზონს პეტრე ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ს, ტრაპიზონში აღზრდილს, რომელსაც ანტონ კათოლიკოსი უწოდებს «მესტეირეს და მეშაირეს».

ადგილობრივ ზნე-ჩვეულებას, საეკლესიო ცხოვრებასა და მწერლობას. თვით ბერძნებიც მოდიან ჩვენში შეწირულების შესაკრებად თუ სხვადასხვა მისიითა და დავალებით. ზოგი მათგანი ხანგრძლივად რჩება საქართველოში, ქართულ ენას სწავლობს და საეკლესიო კულტურის დარგში შემაერთებელ ხიდად ხდება ქართველთა და ბერძენთა შორის. მაგალითად, მეთერამეტე საუკუნის დამდეგს ჩვენში ყოფილა პამფილიის მიტროპოლიტი პართენი, რომელიც ბერძნულ ენას ასწავლიდა ბატონიშვილ თეიმურაზს[1] (შემდეგში ანტონ კათოლიკოსი) და ერეკლე პირველის ასულს მაკრინეს. ერეკლე მეორე მის დროს გამოცემული პარაკლიტონის ა ნ დ ე რ ძ ი ში ამბობს, რომ ანტონ კათოლიკოსმა რუსეთში ყოფნისას ქართული პარაკლიტონი შეადარა ბერძნულ პარაკლიტონს, რომელშიაც სერობის საღვთისმშობლო კანონი არ არისო. «რომელნი ბერძენნი დროსა ჩუენსა იმყოფებოდენ, მათგან გუეუწყებოდა ესრეთ», რომ ბერძნებს საღვთისმშობლო კანონი, რაკი ხმისა, ცალკე წიგნად აქვთ და პარაკლიტონში ის არ შეაქვთო. ჩვენ «ფრიად ვიმეცადინეთ მათდამი, რათამცა გვეხილვა, და, ვინაჲთგან დროსა ჩუენსა აქა მყოფთა ბერძენთა არა აქუნდათ» ეს წიგნი და ჩვენს ქვეყანაში არც წინათ ვის ეხილვა ისო, დატოვება ვეღარ გავბედეთ აღნიშნული კანონისა, რადგანაც ქართველები ღვთისმშობლის წილხვედრილნი ვართ, და პარაკლიტონში შევიტანეთო[2]. აქედან ცხადია, რომ მაშინ ჩვენში ყოფილან განათლებული ბერძნები, რომლებთანაც წიგნების გამოცემისას ბჭობენ ჩვენი წინაპრები. ერთ-ერთ ასეთ პირს ერეკლე ასახელებს მის მიერ გამოცემულ ზატიკში. ის ამბობს ამ წიგნის ა ნ დ ე რ ძ ი ი: «წიგნი ესე ზატიკი ბერძნულსა ზატიკსა ზედა შევაწამებინეთ წინაშე ჩუენსა თანდასწრებითა სამღუდელოჲსა კრებისა ჩუენისაჲთა ნათესავით ბერძენსა, სახელით იოანეს ქსიფილინოსსა, რომელიცა განსწავლულ არს თჳსსა ენასა ზედა და ქართულსაცა შინა წერილსა დაკელოენებული-ო»[3]. რასაკვირველია, ჩვენ ვერ დავიჯერებთ კათოლიკე მისიონერთა ცნობებს, თითქოს ქართველებს ამ დროს ისინი უთარგმნიდნენ ბერძნულ ლიტურგიკულ წიგნებსა და წესებს[4]: ამის ნებას, სხვა რომ არ იყოს რა, მათ არ მისცემდა სამისიონერო მიზანი და კონფესიური რწმენა. მაგრამ, ცხადია, რომ ბერძნებთან ამ დროს ქართველებს უფრო მჭიდრო ლიტერატურული კავშირი ლიტურგიკულ დარგში ჰქონიათ. საღვთისმსახურო წიგნებს, როგორც ერეკლე მეფის ზემომოყვანილი სიტყვებიდანაც დავინახეთ, ისინი ადარებენ ბერძნულ დედანს, ზოგიერთ რამეს ახლად თარგმნიან, როგორც, მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს კ ვ ი პ რ ი ა ნ ე ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ მ ა ბერძნულიდან გადმოიღო კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი. ანტონ კათოლიკოსი მღვდელმთავრის ქირო-

---

1 პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, წყობილსიტყვაობა, გვ. V—VI. ამ პართენიოსის შესახებ ცნობა შემონახულია ერთ სიგელში (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 225—226).

2 პ ა რ ა კ ლ ი ტ ო ნ ი, მოსკოვში გამოცემული 1861 წ., გვ. ძჟთ.

3 ზ ა ტ ი კ ი, თბილისში გამოცემული 1788 წ.

4 ვ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 182, 184. pass.

ტონიის წესის წინასიტყვაობაში ამბობს: «ესე უკუე წესი გამორჩევისა და კელდასხმისა მღვდელთმთავრობითისა განიმართა ჩუენ მიერ წინადადებითა საბერძნეთისა და რუსეთისა ეკლესიისაგან პყრობილთა... განწესებათაგან... და ესრეთ უმჯობესისა აღმრჩეველმან ყოველი აღსარებაჲ სარწმუნოებისაჲ და ლოცვანიცა კელთდასხმითნი ბერძნულისაგან... ნათარგმანებსა შეეაწყუენონ»[1]. ბერძნულიდან სხვა დარგებშიაც თარგმნიდნენ, მაგალითად: საეკლესიო სამართალში, დასახელებული იოანე ქსიფილინოსი, დოგმატიკურში — «აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ» პეტრე მოგილასი[2], ისტორიულში — ბაგრატ სოლოლაშვილს «ხრონოგრაფი, — ისტორია დასაბამითგან სოფლისაჲთ», თეოდოსი მცირის მეფობის დასასრულამდე, გაიოზ რექტორს «წიგნი აღაპიტე კონსტანტინეპოლელ არქიდიაკონისა» და სხვ.

განახლდა და გაცხოველდა ამ პერიოდში, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში, სომეხ-ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობაც. ეს გამოიწვია, ერთი მხრივ, სომეხთა გარკვეული წრეების მისწრაფებამ აღედგინათ თავისი ეროვნულ-პოლიტიკური მთლიანობა და დამოუკიდებლობა ქართველების, კერძოდ ერეკლე მეორის, დახმარებით; მეორე მხრივ, სომეხთა სავაჭრო საქმიანობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, სარწმუნოებრივი პროპაგანდის გაძლიერებამ მათი მხრით ამ დროს ჩვენში. მოწინავე ქართველები საჭიროდ თვლიან შეისწავლონ სომხური ენა და ლიტერატურა, რათა მუდამ მზად იყვნენ ჯეროვანი პასუხის გასაცემად. ამ მიზნისათვის ისინი იყენებენ საქართველოში მცხოვრებ, თითქმის გაქართველებულ, სომხებს. ამათგან რამდენიმე პირი კარგადაა ცნობილი მეთვრამეტე საუკუნეში, მაგალითად: 1) ზაქარია ვართაპეტი მადინაშვილი, რომელიც იყო «ზედმიწევნილი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი და მკურნალობისა ჭელოვნებისაცა მეცნავი. ამან ასწავა მრავალთა ქართველთა და სომეხთა საფილოსოფოსო წერილნი და მან განუმარტა კავშირი ღვთისმეტყველებითი, პორფირის ფილოსოფოსისა ხუთი კმა და საზღვრისა წიგნი, დავით უძლეველისა ფილოსოფოსისა მიერ ქმნილი, სხვათა და სხვათა მოწაფეთა»[3]; 2) ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილი, ესეც «ზედმიწევნილი ფილოსოფოსი, მსგავსი ზემოკსენებულისა ვართაპეტისა; ამანაც მრავალნი მოწაფენი განსწავლნა და შეეწია რამოდენთამე წიგნთა თარგმანებათა შინა კათოლიკოსს ანტონი პირველს»[4]; 3) ტერ-პეტროზა, «მსგავსი ზემოკსენებულთა და მთარგმნელობასა შინაცა კარგი, რომელ შეეწია ამანაც კათოლიკოსსა ანტონის თარგმანებასა შინა წიგნთასაა». ამავე დროს იყვნენ «აგრეთვე კარგნი მთარგმნელნი სომხურისა ენისაგან ქართულად და კარგნი ღრამატიკოსდოღმატიკოსნი ტერ-დავითა და ტერ-სამოელ»[5]. ქართველთა შორის გამოჩნდნენ ამ დროს სომხური ენის კარგი მცოდნენი, რომელნიც თვალყურს ადევნებ-

[1] Ф. Жордания, Описание, I, стр. 227.
[2] A 529, 586, 239.
[3] «ცხოვრება», II, 204.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 205.

დნენ სომხურ მწერლობას და ხელს უწყობდნენ ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებას. მაგალითად, მსაჯული მზეჭაბუკ ორბელიანი, რომელმაც თარგმნა სომხურიდან «პერიერმანია» არისტოტელესი[1]; ეგნატე ონისიმეს ძე მარტყოფელი, პლატონ იოსელიანის მამა, რომელსაც ფილოსოფიის კურსი (იოანე დამასკელის დიალექტიკა და პროკლე დიადოხოსის კავშირნი) ახსნით ასწავა დასახელებულმა მზეჭაბუკ ორბელიანმა[2]; დოსითეოზ ნეკრესელი, რომელმან «უწყოდა სომხური ენა კეთილად და გადმოიღო სომეხთა ენისაგან მიხითარ ბრძნისა რიტორება»[3]; გლახა ნათიშვილი, «სომხურსა ენასა ზედა მიწევნილი, რომელმანცა გარდამოიღო სომხურისა ენისაგან სვიმეონ ჯულფელ ფილოსოფოსისაგან შემოკლებული კავშირი პროკლე დიადოხოსისა და ხუანიცა წერილნი»[4]. ქვემოთ, როდესაც ლაპარაკი გვექნება ანტონ კათოლიკოსის შესახებ, დავინახავთ, რომ ამ დროს თბილისში ერთგვარი მიმართულებაც კი დამყარებულა, რომელიც გატაცებული იყო, განსაკუთრებით ფილოსოფიაში, სომხურიდან ნათარგმნი თხზულებებით, უფრო კი სვიმეონ გარნელის ან ჯულფელის შრომებით, და მათ უპირატესობას აძლევდა ძველ თარგმანთა წინაშე, ისეთთა წინაშეც კი, როგორიც იყო იოანე პეტრიწი. ანტონი იძულებული იყო ლიტერატურულადაც გაელაშქრა ამ მიმართულების წინააღმდეგ და, მიუხედავად იმ დავალებისა და პატივისცემისა, რომელსაც ის გრძნობდა ზოგიერთ სომეხ მთარგმნელთადმი, კიცხავდა მათ შრომებს, რასაკვირველია, ძველ თარგმანთა ad majorem gloriam. სომხური ენიდან ანტონ კათოლიკოსმა ათარგმნინა «დრახტანკალი» ან «სამოთხე საწადელი» კათოლიკოს ლაზარე ჭუკელისა, იმაში გატარებული აზრების დასარღვევად, აგრეთვე «საუნჯე» კირილე ალექსანდრიელისა; ანტონ ცაგარელმა — «ღმრთისმეტყუელება შემოკლებითი». აღნიშნული პერიოდის სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ მარტო ქართველები თარგმნიდნენ სომხურ წიგნებს, ამასვე ჩადიოდნენ სომხებიც. ჩვენამდე შენახულა დოკუმენტი, ანასტასი ანტიოქელის კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება «სიტყუაჲ კითხვა-მიგებითი საღმრთოჲსა გულის ყოფისათჳს». ამ თხზულებას შემდეგი მინაწერი აქვს: «წიგნი ესე კონსტანტინოპოლისს ქართველმან ვინმე მეცნიერმან ბერძენთა ენისაგან სთარგმნა ქართულად ლიტონად» და მერე საქართველოს სომეხმა — სომხურად, რომელმაც თავის თარგმანში ბევრი თავისებურება შეიტანაო[5].

უფრო ძლიერი და უფრო ცხოველი აღმოჩნდა ამ პერიოდში რუსულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა. ერთმორწმუნე რუსებ-

---

1 «კალმასობა», II, გვ. 203.

2 იქვე, გვ. 201.

3 იქვე, გვ. 199.

4 იქვე, გვ. 195. ვინმე იოანე ჯენბაკურიან ორბელიანს და დავით მესხს 1712 წელს გადმოუთარგმნიათ სომხურიდან «წიგნი ღოცვათა განკითხვათასა. კლიტენი მხურვალედ ქმნილნი, რომელნი განახუმენ გულისა კარსა, დახშულსა ცოდვათა მიერ» (A 908).

5 S 2406, გვ. 121 — 171.

ში ქრისტიანმა ქართველებმა დაინახეს ბიზანტიისა და მისი კულტურის, მისი მისიის მემკვიდრენი, ამიტომ ისეთივე სასოებითა და რწმენით დაუწყეს მათ ცქერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი დაეცა, როგორითაც ბერძნებს უცქეროდნენ წინათ. რუსეთისადმი ღრმა ერთგულებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეთვრამეტე საუკუნეში, რუსების პოპულარობას ჩვენში ხელს უწყობდნენ განსაკუთრებით ის პირნი, რომელნიც რუსეთში გადასახლდნენ, ანდა იქ ცხოვრება უხდებოდათ სამსახურისა და სხვა რაიმე მიზეზით. ასეთებია, მაგალითად, მეფე არჩილი, ვახტანგ VI, ანტონ კათოლიკოსი, იოსებ სამებელი, მიტროპოლიტი რომანოზი, გაიოზ არქიდიაკონი, შემდეგ სემინარიის რექტორი და სხვანი. ისინი დაახლოებით ეცნობოდნენ რუსეთის ეკლესიურ მდგომარეობას, მის ტრადიციებს, მწერლობას და მერე, სამშობლოში დაბრუნებისას და თვით რუსეთშიაც, რუსულ მასალებს აქართულებდნენ. ისინი ცდილობდნენ გადმოენერგათ საქართველოში რუსული ტრადიციები, უფრო კი ლიტურგიკული. თარგმნიდნენ რუსულიდან როგორც ორიგინალურს (მაგალითად, გაბრიელ ჩ ხ ე ი ძ ე ს 1707 წ. უთარგმნია დიმიტრი როსტოველის «წვერის პარსვა ან განსაზღვრება ხატებისათჳს ღმრთისა და მსგავსებად კაცისა» — S 290), ისე ნათარგმნ თხზულებებს ყოველ დარგში [1], უკვე არსებულ ძველისძველ თარგმანებს ადარებდნენ რუსულ ტექსტს და იმის მიხედვით ასწორებდნენ. თუ წინათ XI — XII საუკ. ქართველები ცდილობდნენ თავისი ეკლესია ბერძენთა ეკლესიისათვის დაეახლოებიათ, ახლა, XVII — XVIII სს. მოღვაწენი ცდილობენ მას რუსული ფიზიონომია მისცენ. რუსეთში განმტკიცდა და გაიჩარხა ქართული სტამბა: 1705 წლიდან მოყოლებული მოსკოვის, მოზდოკის და პეტერბურგის ქართული სტამბებიდან გამოდის მრავალი წიგნი, საეკლესიო და საერო შინაარსისა, რომელთაც ბეჭდავენ, რასაკვირველია, რუსული წიგნების ყაიდაზე, და ამით ხელს უწყობენ რუსული გავლენის გაძლიერებას ჩვენს მწერლობაში. რუსულ სკოლებში, განსაკუთრებით მოსკოვის სლოვენურ-ლათინურ აკადემიაში და პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიაში და აკადემიაში განათლებას იღებენ ქართველი სასულიერო და საერო პირნი, რომელნიც მერე გამოდიან რუსული გავლენის მედგარ დამცველად და ერთგულ მატარებლად ქართულ ლიტერატურაში. ჩვენში ხსნიან პირველდაწყებითსა და საშუალო სკოლებს რუსულ სკოლათა მიხედვით, განსაკუთრებით ცნობილია თბილისისა და თელავის სემინარია, რომლებშიც გადმოინერგა მოსკოვის აკადემიის სქოლასტიკა. სახელმძღვანელოს ამ სკოლებისათვის უმეტეს შემთხვევაში რუსულიდან თარგმნიდნენ. ერთი სიტყვით, ქართველ მოზარდ თაობას

[1] მაგ., თავად სარიდონ ჩოლოყაშვილს, მოსკოვში ბატონიშვილებთან გაზრდილს, XVIII ს. რუსულიდან უთარგმნია «თელემაკი» ფენელონისა, «დარღეევა იერუსალიმისა ტიტესაგან» და «აღება კონსტანტინოპოლისა თურქთაგან» (A 293), თუმცა სხვა წყაროებით ორი უკანასკნელის თარგმნა მიეწერება ბერ პორფილე ბაგრატიონს, ანტონ კათოლიკოსის მხლებელს რუსეთში (Ц а г а р е л и, Свед., III, стр. 259). რომელსაც 1775 წ. ანტონ კათოლიკოსის ბრძანებით გადმოუთარგმნია თეოფანე პროკოპოვიჩის «ისტორია თჳის დაწყებისა და განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა თჳის გამოსვლისა სულისა წმიდისა» (S 4804).

აწვდიდნენ რუსეთიდან გადმოტანილ სულიერ საზრდოს და ბეჯითად ახორციელებდნენ ეკატერინე დიდის ლოზუნგს: чтобы тело было грузинское, а душа русская. რუსული გავლენა დაეტყო ქართულ ენას — ეტიმოლოგიას, სინტაქსსა და ლექსიკას — და არც შეიძლებოდა არ დატყობოდა, თუ გავითვალისწინებთ — რა პირობებში ხდებოდა ხშირად ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობა. ვალაპარაკოთ ამის შესახებ ანტონ კათოლიკოსი, რომელიც ერთ თავის შრომის წინასიტყვაობაში შენიშნავს: «მართალ არს და ცხად, ვითარმედ ქართულისა კიდე ენაჲ არა ვიცი და ვერცაღა მივსწუეთ ენასა სლავენურსა უმკუეთრეს, და ნუუკუე თქუას ვინმე, ვიდრემდე თუ ვითარ გადმოვიღე ესენი, მაგრამ უწყოდეს მან, ვითარმედ სლავენურისა თარგმანი მიეანდევ გაბრიილს ხუცესსა, თარგმანსა ჩემსა, რომელმან დაღათუ არა უწყოდა ღრამმატიკა არცა სლავენური, არცღა ქართული, არამედ ღრამმატიკოსნი მყუეს რუსნი კლირიკნი ეკლესიისა ჩემისანი, რომელთა ახლად დაესრულათ სკოლაჲ სინტაქსისა... და ოტეც გაბრიილ, პრეოღჩიკი ჩემი, მეტყოდა რა ქართულად, დიდითა გამოძიებითა თითოსა ლექსსაცა ვკითხვდი ღრამმატიკოსთა მათ რუსთა თუ რომლისა სიტყჳსა ნაწილი არს, და ეგრეთვე სიტყუასაცა უმკაცრეს, ვითარმედ სიტყუა ესე ვითარ შეთხზულ არს და რაჲ არს ჰაზრი მისი და მათ მიერ გულის ხმა ვჰყოფდი თარგმანებითა გაბრიილისათა, და ესრეთ დავსდებდი სიტყუათა და სიტყუათა შინა ლექსთა»[1]. მეო, ამბობს ანტონი, «სახელისაცა ბრუნვისა ცუალებასა უფრთხოდი და ზმნისა დროთა, დროთა უკუე ვიტყჳ წარსულთაცა, რომელნიცა სხუა და სხუა არიან, და არა რაჲმე ცუალება ჰაზრთა სიტყჳსათა იქმნების ცუალებითა მათითა, მე მათსაცა უფრთხოდი ცუალებასა, ვითარმედ ვითა სლავენურსა შინა იყო სითხზუესა, ეგრეთ ვმეცადინეობდ ჩუენთაცა შინა დადებად, თორე წარსულისა და ყოფადისა ზმნისა დროთა რაჲმეღა ვსთქუა უცუალებლობისა მეცადინობა. მრავალგზის აწმყოსა სლავენურსა აქუნდის ადგილი, ჩუეულებისამებრ ენისა ჩუენისა წარსულისა, და დიდითარე კრძალულებითა ვსცუალვიდი მას. ხოლო მრაელობითსა და მხოლობითსა უცუალებლად ვიპყრობდი, რომლითა ჰაზრსა სიტყჳსასა ვნებასა არა შეამთხუევდის... ხოლო ნაკლსახელთა და მიმღეობათა აგრეთვე კრძალულებით ვიქმარებდ, ვითა ზმნათა და სახელთა სხუათაცა სიტყჳს ნაწილთამებრვე, თჳნიერ ზმნისზედათა, რამეთუ სადაცა ზმნისზედა არს სიტყუასა შინა წერილსა სლავენურსა, ჩვენ შორის ხშირად აუშუერებს, აუგემურებს, აჰდენს»[2]. უფრო კი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩაღდა ინტენსიური მთარგმნელობა რუსულიდან მწერლობის ყოველ დარგში და ამ მუშაობამ გასტანა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, როდესაც ჩაქრა ლამპარი ძველი ქართული საეკლესიო მწერლობისა.

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზე. 1902 წელს თბილისში გამოვიდა სქელტანიანი შრომა (844 გვ.) რომში მოღვაწე კათოლიკე მღვდლის მიქელ თამარაშვილისა «ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის

[1] ქ. ქეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურღიკო მოღვაწეობიდან, გვ. 3—4, 7—8.
[2] იქვე, გვ. 7.

XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე», რომელიც თავისუფალი არაა კონფესიური ტენდენციებისაგან. ამ შრომაში ავტორი ეხება საკითხს, სხვათა შორის, იმის შესახებაც, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკეთა მისიას ქართული კულტურისათვის, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ე. წ. «აღორძინების» ხანის ქართული კულტურისა და მწერლობის განვითარება გამოწვეული იყო, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვნად მაინც, კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობით ჩვენში. რამდენადაც ამ შრომამ თავის დროს ხელი შეუწყო კათოლიკური მისიის საქმიანობის ისედაც იდეალიზირებული წარმოდგენის გაზვიადებას ჩვენში, საჭიროა განვიხილოთ საქმის ნამდვილი ვითარება.

ისტორია კათოლიკური მისიისა საქართველოში იწყება მეცამეტე საუკუნეში, რუსუდან დედოფლის დროიდან. ამ საუკუნიდან მოყოლებული ჩვენში მოდიან და ერთმანეთს ცვლიან სხვადასხვა ორდენის მისიონერები: დომინიკიანები, ფრანჩისკიანები, თეათინელნი და კაფუცინები, რომელნიც აარსებენ აქ საკუთარ ეპარქიას, იჩენენ საკუთარ ეკლესიებს, დაწესებულებებსა და იძენენ ქონებას. მისიონერების დახმარებით ქართველებს უნდოდათ დაემსახურებინათ რომის პაპების ყურადღება, ხოლო უკანასკნელთა საშუალებით — დასავლეთი ევროპის ხელმწიფეებისა, რომელთაგან ისინი შველას მოელოდნენ სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისიონერები, როგორც ცნობილია, ნამდვილად იყვნენ დახელოვნებული აგენტები დასაელეთი ევროპის კაპიტალისა და პოლიტიკურ-კოლონიური ექსპანსიისა აღმოსაელეთში, კერძოდ ჩვენშიაც. ჯვარისა და სახარების მატარებლებს უკან მოჰყებოდნენ სხვადასხვა ჯურისა და პროფესიის მოგზაურები, რომელნიც, გარკვეული მიზნით, თავიანთ მემუარებსა, მოხსენებებსა თუ შრომებში საგანგებო ინტერესს იჩენდნენ ჩვენი ქვეყნისა და მისი მდგომარეობის მიმართ. ასეთებია, მაგალითად, პეისონელი, შარდენი, ტურნეფორი და სხვები, თუგინდ შრომები ლამბერტისა, პეტრე დელავალესი, პეტრე ავიტაბლესი, სილოსი, კლემენტი გალანოსი, ვერიჩელისა და სხვ. ნდობისა და ყურადღების მოსაპოვებლად მისიონერები ცდილობდნენ დაახლოებოდნენ მოსახლეობას: დაბალ ფენებს უმთავრესად საექიმო და საქველმოქმედო დახმარებით, მმართველ წრეებს კი—მეფეებსა და დიდებულებს, პაპისა და ევროპის ხელმწიფეთა წინაშე გარეშე მტრების წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიზნით შუამდგომლობის დაპირებით.

თავისი საქმიანობის წარმატებისათვის მისიონერები ბეჯითად სწავლობენ ქართულ ენას და ცდილობენ ადგილობრივი მოსახლეობიდან მოამზადონ მათთვის საჭირო და გამოსადეგი კადრები. ამ მიზნისათვის მათ გამოიყენეს «პროპაგანდის კოლეგია» რომში, სადაც, სხვა აღმოსაელურ ენებთან ერთად, ქართულ ენასაც ჰქონდა დათმობილი ადგილი. ამ კოლეგიაში მისიონერები გზავნიდნენ მათ ქსელში გაბმულ ახალგაზრდებს, რომელნიც სწავლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდნენ და კათოლიციზმის საქმეს ემსახურებოდნენ. ამათგან ცნობილი არიან ჩვენს წარსულში: ანტონ თუმანიშვილი, მეფისაშვილი, დავით ტულუკაშვილი, მამულაშვილი, ხარისჭარაშვილი და სხვ. ქართული ენის უკეთ შესწავლისა და გამოყენების მიზნით მისი-

ონერები ადგენენ ქართულ-იტალიურ ანბანს, გრამატიკასა და ლექსიკონს, რომელთაც ბეჭდავენ, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დახმარებით რომში 1629 წელს შექმნილ, ქართულ სტამბაში. ამ სტამბაში 1629 წელს სტეფანე პაულინიმ, იმავე ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დახმარებით, დაბეჭდა ქართული ანბანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. 1643 წელს მისიონერმა მარი მაჯიომ დაბეჭდა ქართული გრამატიკა, რომელიც მეორედ 1670 წელს გამოიცა. ქართული ენისა და გრამატიკის სახელმძღვანელო შეუდგენია აგრეთვე პატრ ანტონ ჯარდინასაც.

კონფესიური მოსაზრებით მისიონერებს ქართულ ენაზე უნდა შეექმნათ პაპისტური საეკლესიო მწერლობა. საჭირო აღმოჩნდა ისეთი თხზულებების დაწერა ქართულად, კათოლიკობაზე მოქცეულთა გასამტკიცებლად, ხოლო მოუქცეველთა მოსანადირებლად, რომლებშიაც განმარტებული იქნებოდა ქრისტიანობა კათოლიციზმის თვალსაზრისით. მართლაც, ბერნარდე ნეაპოლელს, რომელიც ათი წელიწადი მოღვაწეობდა საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს, გადმოუღია იტალიურიდან კარდინალ ბელარმინოს «კატეხიზმო», რომელიც 1681 წელს დაუბეჭდავთ რომში. ამავე მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში მყოფ პატრს ქრისტეფორეს დაუწერია ქართულად «სიტურფე საღმრთო სიყუარულისა» და «განზრახვა ქრისტეს ვნებისათვს». მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს გადმოუღიათ ლათინურიდან თხზულება «მხურვალებისათვს სარწმუნოებისა». გორელ დავით ტულუკაშვილს, პროპაგანდის კოლეგიაში სწავლისას რომში, 1733 წელს გადმოუთარგმნია იტალიური ენიდან «საქრისტიანო მოძღურება გინა წურთნა შეიდთა საიდუმლოთა ზედა», რომელიც პირველად. დაიბეჭდა რომში მღვდელ ივანე ჯაგანანთის თაოსნობით 1741 წელს, ხოლო მეორედ 1797 წელს მღვდელ გრიგოლ ბაღინანთის ზედამხედველობით. 1734 წელს მასვე უთარგმნია თომა კემფელის «მიბაძვა ქრისტესი» ოთხ წიგნად («ივერია» 1903 წ., № 137)[1]. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში ქართულად უთარგმნიათ «სარწმუნოების აღსარება», ხოლო მდივანბეგ იოანე ორბელიანს გადმოუღია «კლიტენი მხურვალებისანი».


მისიონერთა და მათ მიერ მონადირებულ პირთა ასეთ მოღვაწეობასა და საქმიანობას არ ჰქონია და არც შეეძლო ჰქონოდა რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებაზე[2], ვინაიდან ყველაფერ ამას გასავალი მხოლოდ გარკვეულ ვიწრო წრეში ჰქონდა, ფართო პოპულარობით ქართველთა შორის ის არ სარგებლობდა, მით უმეტეს, რომ პოლიტიკური იმედები, რომელთაც მისიონერთა საქმიანობაზე ამყარებდნენ ჩვენში, ეფემერული და უნიადაგო აღმოჩნდა. მისიონერთა მოღვაწეობა მართლა ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მ. თამარაშვილს აქვს დახატული, თითქოს ისინი

---

1 ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 572.

2 ქართულ ენაზე დაიწერა მხოლოდ ერთი პაპისტური თხზულება; ეს არის «სამოთხის კარი» საბა-სულხან ორბელიანისა,

არავითარ იდეურ წინააღმდეგობას არ ხვდებოდნენ საქართველოში თავისი ზრახვების განხორციელებისას. პირიქით, მათ მოღვაწეობას, პრაქტიკულსა თუ ლიტერატურულს, თავისებური რეაქცია გამოუწვევია ქართველთა შორის, მოვიგონოთ, მაგალითისათვის, ანტონ კათოლიკოსის საქმე და მათი არაერთგზისი განდევნა საქართველოდან. საბრძოლო პოლიტიკური მიზნით მათ წინააღმდეგ დაიწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი და საყურადღებო შრომა, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; ესენია: «გრდემლი» ბესარიონ კათოლიკოსისა და რამდენადმე «მზამეტყველება» ანტონ კათოლიკოსისა.



4. სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში

იმ ფაქტორთა შორის, რომელნიც ხელს უწყობდნენ ძველი ქართული მწერლობის ზრდა-განვითარებას, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რასაკვირველია, ს კ ო ლ ა ს, როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელიც, მონასტრებ-ეკლესიებთან, სამღვდელმთავრო კათედრებთან თუ სრულიად განცალკევებით, მუდამ აღვივებდა კულტურის ნაპერწკალს და ინახავდა ლიტერატურული შემოქმედების ლამპარს.

შემოვიდოდა თუ არა რომელიმე ერში ქრისტიანობა, მას თან მოჰქონდა ხოლმე საქრისტიანო სკოლებიც, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამ მოვლენას ჩვენშიაც ექნებოდა ადგილი. ჩვენმა ქვეყანამ ქრისტიანობა მიიღო და საქრისტიანო მწერლობა გააჩაღა სწორედ იმ დროს, როდესაც ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს საქრისტიანოში, რომელსაც ქართული ქრისტიანობაც ეკუთვნოდა, გაბატონებული იყო ცნობილი ნ ი ზ ი ბ ი ნ ი ს სკოლა. მაშასადამე, თუ ჩვენში ამ დროს რაიმე სკოლა იყო, ის, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდა ნიზიბინის სკოლის ყაიდაზე, ხოლო ნიზიბინის სკოლის დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიციზმი, რომელიც გამოიხატებოდა სასწავლო მასალის შერჩევაში: განყენებულ სისტემატურ ცოდნას, არც ფილოსოფიურს, არც თეოლოგიურს, იქ არ მისდევდნენ. უმთავრეს სასწავლო საგნებად ითვლებოდა ეგზეგეტიკა, ესე იგი ბიბლიური ტექსტის შესწავლა და ახსნა-განმარტება, ჰომილეტიკა ან ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება, ლიტურგიკა ან ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა. ერთი სიტყვით, ნიზიბინის სკოლაში და იმ სკოლებში, რომლებიც V—VII საუკუნეებში მრავლად იხსნებოდა მონოფიზიტურ-ნესტორიანულ ეკლესია-მონასტრებთან, მხედველობაში ჰქონდათ პრაქტიკული მიზნები: ქრისტიანული დამოძღვრა და ეკლესიის მსახურთა

მომზადება. ამით აიხსნება, რომ ამ სკოლებში სწავლობდნენ როგორც ბავშვები, ისე მოზრდილები და ხანში შესულნი. ვიმეორებთ, თუ ქართველთა შორის ამ დროს, V—VII საუკუნეებში, სკოლები არსებობდა, ისინი, უეჭველია, მოწყობილი იქნებოდნენ ნიზიბინის სკოლის პროგრამაზე.

იყო თუ არა მაშინ ჩვენში სკოლები? სომეხ ისტორიკოსთა სიტყვით, საეკლესიო მწერლობის დაწყებასთან ერთად ჩვენში თითქოს სკოლებიც გაჩენილა. კ ო რ ი უ ნ ი ამბობს: მეფე ბაკურმა «უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯ ა ღ ი ს, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყესო». მ ო ს ე ხ ო რ ე ნ ე ლ ი ს გადმოცემით, მეფე ბაკურისა და ეპისკოპოსის მოსეს ინიციატივით შეუგროვებიათ სწავლების მიზნით ყმაწვილები, რომელნიც ორ ჯგუფად გაუყვიათ (III, 54). ეჭვს გარეშეა, მაშინდელი ქართული სკოლები იყო ელემენტარული, პირველდაწყებითი, სადაც უპირველესად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ და ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ. რაც შეეხება საშუალოს, და მით უმეტეს უმაღლეს სასულიერო სკოლას, ასეთი ჩვენში V—VII საუკუნეებში არ უნდა ყოფილიყო ეს, სხვათა შორის, სომეხ ისტორიკოსის უ ხ ტ ა ნ ე ს ი ს სიტყვებიდანაც ჩანს, რომლის ცნობით, ქართლის კათოლიკოსი კირიონი (VI—VII სს.) სწავლის დასამთავრებლად იძულებული გამხდარა წასულიყო მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში, სადაც 15 წელიწადი დაყო და საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა.

ასეთივე პირველდაწყებითი ელემენტარული სკოლები ყოფილა ჩვენში პირველი პერიოდის მეორე ნახევარშიაც, თუმცა გარკვეული ცნობები მათ შესახებ არც ახლა მოგვეპოვება. ამ სკოლებში, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისწავლებოდა «დაეითი და კმითა სასწაველი სწავლაჲ საეკლესიოჲ... და მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი» (გვ. ბ). ილარიონ ქართველს მისი მოძღვარი ასწავლიდა «წიგნთა სულიერთა ან ღმრთის სულიერთა»[1]. მაშასადამე, ამ სკოლებს ახლაც პრაქტიკული ხასიათი ჰქონდათ: სწავლობდნენ საღმრთო წერილსა და საეკლესიო-სამოძღვრო სწავლას, აგრეთვე გალობასაც, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი შესანიშნავი მგალობელი იყო. მაგრამ ამ პერიოდში, როგორც ჩანს, პროგრამა ცოტად თუ ბევრად გაფართოებულა: გრიგოლმა, აღნიშნულ საგანთა გარდა, შეისწავლა «მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ, რის გამო ის მრავალთა ენათა წურთილ იყო» (გვ. ბ, ით) და აგრეთვე «სიბრძნჱცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ» (იქვე). ესე იგი: მას შეუსწავლია უცხო ენები და ფილოსოფია, თუმცა, როგორც აგიოგრაფი შენიშნავს, ის «გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ».

სწავლას ბავშვებს ამ უძველეს პერიოდში ძალიან ადრე აწყებინებდნენ. პ ე ტ რ ე მ აი უ მ ე ლ ს, მაგალითად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, რაც, ცოტა არ იყოს, ძლიერ ეჭვს ბადებს, სამი წლისას დაუწყია სწავლა. ამ დროს ჩვეულე-

[1] «ათონის კრებული», გვ. 71.

ბა ყოფილა, რომ თავიანთ შვილებს, უფრო დიდებულნი და დიდგვარიანნი, გაბარებდნენ ხოლმე გასაზრდელად. რაც დენ პირველმოწამის ცხოვრებაში სწერია, რომ მას, რაჟდენს, «არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად... რომელსა მამამძუძედ უხმობდეს და დიდად რადმე პატივად ანიშებდეს»[1]. მამამძუძე ჰყოლია აგრეთვე შუშანიკ დედოფალსაც[2]; გრიგოლ ხანძთელი მიბარებული ყოფილა აღსაზრდელად თავისი მამიდის, ერისთავო-ერისთავის ნერსეს მეუღლის, სახლში («ცხოვრება», გვ. ბ-ბ). გაბარებულ ბავშვებს, რომელნიც სხვის სახლში იზრდებოდნენ, ეწოდებოდათ ძუძუს-მტე[3], ესე იგი ძუძუ, მოზიარე სხვა ბავშვებთან. ბიაბარებდნენ ბავშვებს აღსაზრდელად სასულიერო პირთაც. მაგალითად, ილარიონ ქართველი მისმა მამამ «მისცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა. რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი»[4].

სასკოლო საქმე შესამჩნევად დაწინაურდა მეორე პერიოდში, მეათე საუკუნის განულიდან, როდესაც ქართველებმა გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. ახლა ბევრი ქართველი, განსაკუთრებით დიდგვარიანი, დროებით ან სამუდამოდ სახლდება ბიზანტიაში და იქაურ სკოლებში იძენს ნამდვილ ბერძნულ სწავლა-განათლებას. მაგალითად, მეთერმეტე საუკუნის დამდეგს გადასახლდა ვაჩე კარიჭიძე, რომლის ოჯახმა, საბერძნეთის სკოლებში აღზრდილმა, მოგვცა ისეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორიცაა ეფრემ მცირე. ვიცით აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმიდელსაც საქართველოდან წაუყვანა ბიზანტიაში 80 ყმაწვილი. მართალია. მას განზრახვა ჰქონდა იქიდან ივერიის მონასტრის სამსახურისათვის აღეზარდა[5], მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, მათგან არა ერთმა და ორმა მიიღო შესაფერისი განათლება მაშინდელი ბიზანტიის სკოლებშიაც. სომეხ ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044—1047 წლებში დაარსებული აკადემია, რომელიც ბერძენთა რენესანსის კერად გადაიქცა, არა ერთ და ორ ქართველს იწყნარებდა თავის კედლებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის პირნი, რომელთაც მეთერთმეტე საუკუნეში სისტემატური სასკოლო განათლება მიუღიათ ბიზანტიაში, სწორედ ამ აკადემიაში გაიწვრთნენ; სხვათა შორის, აქ მიიღეს განათლება არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა.

ისეთ სკოლას, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში, თვით ქართველებიც აწყობენ როგორც საზღვარგარეთ, ბიზანტიაში, ისე საქართველოშიაც. პირველ რიგში აქ ჩვენ უნდა დავასახელოთ შესანიშნავი სემინარია პეტრიწონის ქართულ მონასტერში, რომელიც მონასტერთან ერთად დააარსა 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანისძემ და მოათავსა ნიკოლოზის ეკლესიაში. ოცდამეოთხე

[1] «საქართვ. სამოთხე», გვ. 171.
[2] ი. აბულაძის გამოც., გვ. 43.
[3] იქვე, გვ. 37.
[4] «თონის კრებული», გვ. 71.
[5] იქვე, გვ. 328.

ატენის ხეობის ზემო ნაწილი

პარაგრაფი სამონასტრო წესდებისა შეეხება სწორედ ამ სემინარიას, სადაც განსაზღვრულია პროგრამა, შედგენილობა და მიზანი სემინარიისა. გამომცემელი ამ წესდებისა, L. Petit-ი, გულახდილად შენიშნავს: «ჩვენ აქა გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება, ერთადერთი მაგალითი ბიზანტიაში სემინარიის არსებობისა ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობითო» [1]. სკოლის პირველი გამგე და მასწავლებელი იყო ცნობილი იოანე პეტრიწი, რომელიც მისთვის სახელმძღვანელოებსაც კი ამზადებდა.

პეტრიწონის სკოლის ტრადიციების შემწყნარებლად და გამგრძელებლად საქართველოში გამოდის გელათის მონასტერი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ გადმოსახლდა იოანე პეტრიწი. დაახლოებით რუის-ურბნისის კრების შემდეგ, განიზრახა რა აშენება გელათის მონასტრის დიდი ეკლესიისა, დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა შემოეკრიბნა «კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა სამეფოთა შინა ოდენ პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადღაცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სისრულე, სულიერითა და კორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკჳდრნა» [2], რათა იგი გამხდარიყო «მეორედ ათინად». და გელათი მართლაც რომ ათინად იქცა საქართველოში, როგორც ცენტრი სწავლა-განათლებისა და მწერლობისა. ტყვილად კი არ ამბობს მემატიანე, რომ გელათი «აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსაო» [3]. ამ მონასტრის მეშვეობით ჩვენში შემოდიოდა შესანიშნავი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებები ქრისტიანული აზროვნებისა. აქვე, ეუეს გარეშეა, მოწყობილი იყო სისტემატური სპეციალური სასწავლებელი, სადაც ადგილს პოულობდა თანამედროვე ბიზანტიის უმაღლესი სკოლის ტრადიციები.

გარდა გელათისა, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველომ თავისი პოლიტიკურ-კულტურული ზრდა-განვითარების უმწვერვალეს წერტილს მიაღწია, სკოლები იქმნებოდა სხვა პუნქტსა და კუთხეშიაც, მაგალითად, უმაღლესი აკადემია იყო აგრეთვე იყალთოში, არსენ იყალთოელის მიერ დაარსებული, და, გადმოცემით, გრემშიც, მაგრამ უკანასკნელის შესახებ უძველესი წერილობითი მოწმობა ჩვენ არ მოგვეპოვება.

ჩვენს სკოლებში სწავლობდნენ იმ საგნებს, რომელნიც შედიოდნენ ე. წ. trivium-quadrivium-ის ციკლში, სახელდობრ: დიალექტიკას ან ფილოსოფიას, რომელიც გულისხმობდა ღვთისმეტყველებასაც (ფილოსოფოსი იყო იგივე თეოლოგი, თეოლოგი იგივე ფილოსოფოსი), რიტორიკას, გრამატიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას (ფართოდ—პოეზია). უმაღლეს სკოლაში ამასთანავე გადიოდნენ იურისპრუდენციასაც.

---

[1] Typikon de Grégoire Pacourianos pour le monastère de Pétritzos (Backovo) en Bulgarie, «Визант. Временник», XI (1904), прилож. № 1, стр. XV.

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 293—294;

[3] იქვე, გვ. 295.

სწავლა-განათლებისა და მწერლობის საქმის წინ წაწევას, უეჭველია, ხელს უწყობდა მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი, რომელიც, რამდენადაც არსებული მასალებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, ამ პერიოდში უნდა წარმოშობილიყო. მოძღვართ-მოძღვარი სასულიერო პირი იყო. კარის გარიგების წარჩინებულ და დიდხარისხოვან მონაზონთა ოთხეულში მას პირველი ადგილი უკავია, მას მეტი პატივი აქვს სხვა ეპისკოპოსებთან, წარმოიდგინეთ, თვით კათოლიკოსთან შედარებით: მეფე მას მეტის კრძალულებით ექცევა, ვიდრე კათოლიკოსსა და ჭყონდიდელს. მოძღვართ-მოძღვარს, როდესაც ის გამოდის სადმე, თან ახლავს მოწაფეები. როგორც შენახული საბუთებიდანა ჩანს, მოძღვართ-მოძღვარი ცხოვრობს გელათში ეპისკოპოსის ხარისხით, ეს, ალბათ, იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ის უშუალოდ განაგებდა, ამ დროს გელათში იყო. მერე, საქართველოს დანაწილების შემდეგ, მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი სხვა სამეფოებსა და სამთავროებშიაც გაჩნდა, მაგრამ მისი ფუნქციები, რასაკვირველია, ისეთი ვერ იქნებოდა, როგორც მთლიანი საქართველოს მოძღვართ-მოძღვრისა, რომელიც, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმაროთ, განათლების მინისტრი იყო სახელმწიფოში. ტერმინი მოძღვართ-მოძღვარი გვაჩვენებს, რომ ყოფილან ამავე დროს მოძღვარნიც. ასე იწოდებიან, ალბათ, ის ოსტატები ან მასწავლებლები, რომელთა ხელში იყო სწავლა-აღზრდისა და განათლების საქმე. ის პატივი და ყურადღება, რაც დამსახურებული ჰქონდა მოძღვართ-მოძღვარს თავისი თანამდებობის ძალით, მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად აფასებდნენ საქართველოში სწავლა-განათლებასა და სასკოლო საქმეს[1].

საქართველოში უძველეს დროიდან არსებობდა ინსტიტუტი მწერლისა და მწიგნობრისა, ხოლო მეათე საუკუნიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა, — მწერალთ მთავრისა[2] და მწიგნობართ-უხუცესისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტი მწიგნობართ-უხუცესისა, რომელიც თავდაპირველად ერისკაცი იყო, მერე — სამღვდელო პირი: ჯერ უბრალო ბერმონაზონი, ხოლო 1103—1110 წლიდან — ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი. მწიგნობართ-უხუცესი იყო უპირველესი ვეზირი სახელმწიფოში; თუმცა მისი ფუნქციები უმთავრესად სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული და საკანცელარიო ხასიათისა იყო, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, იმას სწავლა-განათლებისა და სკოლის საქმეზედაც ექნებოდა უშუალო, პირდაპირი გავლენა. სხვა არა იყოს რა, მისი ხელქვეითი მწიგნობრები, რომელთა ხელში იყო მთელი სახელმწიფოს საქმისწარმოება, უნდა მომზადებულიყვნენ ამ თანამდებობისათვის უმთავრესად, რასაკვირველია, სკოლებში-მაშასადამე, მწიგნობართ-უხუცესისათვის უმნიშვნელო არ იქნებოდა ამ სკოლების ასეთი თუ ისეთი მდგომარეობა[3].

---

[1] მოძღვართ-მოძღვრის შესახებ იხ. «ქელ[ა]წიფის კარის გაროგება», გამოც. ე. თაყაიშვილისა, თბილისი, 1920 წ., გვ. XXIX—XXXIV.

[2] «ათონის კრებული», გვ. 286.

[3] მწიგნობართ-უხუცესის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია: ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, გვ. 126—142.

მესამე პერიოდში, როდესაც საქართველოს დაუდგა შავი დღეები და თითქმის ყოველივე კულტურული ნამოქმედარი განადგურდა, სკოლის საქმეც, რა თქმა უნდა, შეფერხდებოდა, თუმცა მოსპობით არ მოსპობილა[1]. მაგრამ მეოთხე პერიოდში, აღორძინების ხანაში, ის კვლავ გამოცოცხლდა. ამას ხელს უწყობდა ის პირობები, რომლებმაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოიწვიეს ჩვენში, საზოგადოდ, კულტურული რენესანსი. ჩვენში გამრავლდა რიცხვი ელემენტარული, პირველდაწყებითი სკოლებისა; ასეთი იყო, მაგალითად, თბილისში სიონის სკოლა იოსებ თბილელისა[2], კალოუბნის, ქაშვეთის, მეტეხის, ანჩისხატისა და ნეკრესის სკოლა დოსითეოზ ნეკრესელისა ერეკლე მეფის დროს. გაჩნდა საშუალო სასწავლებლებიც, ამ მხრივ უნდა დავასახელოთ, პირველ ყოვლისა, თბილისის სემინარია, გახსნილი უმთავრესად ანტონ კათოლიკოსის ინიციატივით. ის გაუხსნიათ 1755 წლის დამდეგს[3] და მოუთავსებიათ ანჩისხატის ტაძრის ეზოში «საეპისკოპოსოსა სახლსა შინა». მის პირველ რექტორად დაუნიშნავთ ფილიპე ყაითმაზაშვილი, როგორც ჩანს ანტონ კათოლიკოსის წერილიდან, რომელიც მას მიუწერია ასტრახნის ეპისკოპოსის მეთოდისათვის გაიოზ არქიმანდრიტის საქმის გამო. ამ სემინარიაში ასწავლიდნენ «აზნაურთა და თავისუფალთა ცნობათა», სახელდობრ, აქ ისწავლებოდა: ღრამმატიკაჲ, პიიტიკისა ქელოვნებაჲ, რეტორიკაჲ, ლოღიკაჲ ბაუმესტერისა, ქუეთქუმულებანი (კატიგორიები) ძველისა სხოლასტიკოსისა არისტოტელესნი, მეტაფისიკაჲ ბაუმეისტერისაეე, ფისიკაჲ სხუადასხუათაგან ფილოსოფოსთა ქმნილი, ფილოსოფიაჲ მორალი მისიეე ბაუმეისტერისა[4]. თბილისის მაგალითმა გამოძახილი პოვა კახეთში, სადაც ამ დროს მეფობდა «სწავლის მოყუარე» და ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული ერეკლე მეორე. დოსითეოზ ნეკრესელი გადმოგვცემს, რომ ქ. თელავში «ირაკლიმ შემზადა სხოლა თჳსსა პალატსა შინა სახელსა ზედა წმიდისა მღდელმთავრისა ვასილ კესარიელისასა წელთა მეფობისა თჳსისათა 14-სა, დასაბამითგან წელთა 7266[5], ქრისტეს აქეთ 1758, თუესა ოქტომბერსა 26, კსენებასა დიდისა მოწამისა დიმიტრისსა, დღესა კჳრიაკესა, ჟამსა მესამესა. იკურთხა ჩემ მიერვე, მდაბლისა ნეკრესელ ეპისკოპოსისა დოსითეოსისაგან. და შეკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თჳსისანი, ხოლო ყრმად ვიტყჳ უმეცრების ძალით და არა ჰასაკით: რომელნიმე ეპისკოპოსნი, რომელნიმე მღდელნი და რომელნიმე ახალ მოსწავლენი ეკლესიის მსახურნი, და ინება განმარტებად კეთილმეცნობისა. იწყო სწავებად თჳსთა და სხუათაცა ზემოთქმულთა მოსწავლეთა, რომელთა ინებეს

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში («ეტიუდები», II, 314—324).

[2] შემდეგ «საკათოლიკოსო სკოლად» წოდებული (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVIII საუკ., გვ. 32).

[3] პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 152—153.

[4] Н. Пальмов, К сведениям о личности архидиакона Гайоза, впоследствии архиепископа Астраханского и Ставропольского, Христиан. Восток, т. II, стр. 45 — 46.

[5] ხელნაწერში შეცდომით 7201 ზის.

და ეტრფიალნეს სიბრძნის მოყუარებასა»[1]. როგორც ვხედავთ, ამ სკოლაში სრულწლოვანებიც კი სწავლობდნენ, მაგალითად, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი და დოსითეოზ ნეკრესელი. უკანასკნელი ამბობს: ერეკლემ «შემოკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თჳსისანი და მეცა მდაბალი ვინმე ეპისკოპოსი ნეკრესისა დოსითეოზ თანეყვასებოდი მათ შეკრებილთა ბრძანებითა მეფისაჲთაო»[2]. პირველი რექტორი ან ს ხ ო ლ ა პ ე ტ ი ამ სკოლისა იყო, დოსითეოზისავე მოწმობით, ზემოდასახელებული ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელიც ერეკლეს თბილისიდან თელავში გადაუყვანია. ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი გადმოგვცემს, რომ თბილისში «ვიხილენ მრავალნი წარმატებულად ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლი მეორესა, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლაჲ ქალაქსა თელავს და მუნით წრთვნილ იყვნენ; და ამასვე მეფესა მოეპოვა სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჰარმანთა მღდელი ფილიპე, რომელი ღირს იყო ესევითარსა მოძღურებისა პატივსა. და ამა მოძღურისა მიერ და ამის ერთისა რჩეულისა მოწაფისა ზაქარიაჲს მიერ მიიღო უღირსობამანცა ჩემმა წვრთილებაჲ ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათაჲ»; აქედან ცხადია, რომ თელავის სკოლაში ფილოსოფიასაც გადიოდნენ და თანამედროვეთა თვალში ის თითქოს თბილისის სკოლაზე მაღლა მდგარა. დიდხანს არ უცოცხლია ამ სკოლას, მის ნანგრევებზე 1782 წლის 28 მაისს გაიხსნა, მოსკოვის სლავენურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის უკიდაზე, სემინარია, რომელშიაც ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, მათემატიკასა და ღვთისმეტყველებას. ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო გაიოზ არქიმანდრიტი. სემინარია სახსარს სახელმწიფო ხაზინიდან და კერძო თანამდებობის პირთაგან ღებულობდა. სწავლის მოწესრიგების სიმძიმე კისერზე დააწვა კათოლიკოს ანტონ პირველსა და რექტორებს: გაიოზსა და დავით ალექსიძე-მესხიშვილს. ამათ გადმოთარგმნეს თუ შეადგინეს ყველა საჭირო სახელმძღვანელო, რითაც დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მეცნიერებას და სწავლა-აღზრდის საქმეს. თელავის სემინარიამ იარსება რუსების საქართველოში შემოსვლამდე, მაშინ კი, 1801 წელს, იმასაც ბოლო მოეღო, როგორც ეს დამოწმებულია დავით რექტორის მიერ: «მას ჟამსა რუსნი მოვიდეს, იმპერატორებასა ალექსანდრე პირველისასა, ძისა პაველ პირველისა იმპერატორისა, და სხოლა შეურაცხყვეს და სადა სახელი ღუთისა იქადაგებოდა, ჰყვეს ქვაბ ავაზაკთა, ხოლო მე პირადპირადნი განსაცდელნი შემამთხვივნეს და მრავალნი ბოროტნი მოაწივნეს ჩემზედა. რექტორი დავით, თესია ივნისსა, ქოროწიკოსსა უპთ» (1801 წ.)[3].

1799 წლის 10 მაისს ბატონიშვილმა ი ო ა ნ ე მ თავის მამას, გიორგი მეფეს, მიართვა მოხსენება («წინადადებაჲ») სახელმწიფოში სხვადასხვა აუცილებელი რეფორმის შესახებ, სადაც, სხვათა შორის, სკოლისა და განათლე-

---

1 S 2564, გვ. 103 — 105.

2 S 1137, გვ. 7 — 9.

3 ქ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, თელავის სემინარია და დავით რექტორი («ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები», ტ. VI, 1946, 63—73).

ბის შესახებაც არის ლაპარაკი. მოვიყვანთ შესაფერისს ადგილებს ამ მოხსენებიდან:

«სამს ადგილს გაიმართოს სკოლა: ტფილისსა, გორსა და თელავსა შინა. მიეჩინოთ მუნ მცოდნენნი კაცნი, რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებსა ამის მეურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ესე აძლევდეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა. ამა სასწავლებლებში მიებარებოდნენ თავადაზნაურნი და პირველი მოქალაქეს შვილები. აგრეთვე იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები, დუქნები ან სახლები; იმას შინა ისწავლიდნენ მსახური კაცის შვილნი და მდაბალ ვაჭართა შვილები, აგრეთვე გლეხისაც, ვის როგორად შეეძლოსთ. სასწავლებლებსა მას შინა სწავლობდენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და, თუ შეიძლება, ბერძნულსა და ლათინურსაც. უკეთესი იქნების, ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თავეთ მშობელთ ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობადმდე. ესე სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყოს განწესებით, და ამის მეურნეობა აქვნდეს კათალიკოსს და სულიერს მთავარს [1].

იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯელ, აქედანაც იქმნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიან [2].

იყოს განათლების მოხელე, ესე იგი სკოლებისა, სხვა სასწავლებისა და სტანბების საქმეში, და ამასაც ჰყვანდნენ ხელქვეითნი [3].

იყოს მხატვრების უფროსი და ესე დასდებდეს ფასსა ხატთა, სახეებთა, ფერადებთა და ვარაყთა, და ამის სიტყვით იმუშავებდენ სხვიდამ მოსრულნი მხატვარნი და ეგრეთვე აქაურნი» [4].

წერილების საცავის სახლისათვის ანუ არხივისათვის იყოს დათარხანა. ყოველი საქმე შემოსავალი, გასავალი, სასამართლო, უცხო მხრის საქმეები, იმათი პირები და თითონ ის ნამდვილებიც, რომელიც დასაშთენია, ინახებოდეს ნამდვილ გადაწერით შემოწმებით და რაოდენისამე კარგის კაცით დაიბეჭდებოდეს, და ამაზედ იყოს ერთი კარგი გვამი მიჩენილი თავისის მოხელეების მწერლებით [5].

ბიბლიოტიკისათვის. აგრეთვე იყოს ბიბლიოთიკას სახლი. ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი, რაც შეიძლებოდეს, იქ იცვებოდეს. აგრეთვე სახეები და მაგალითები მხატრობებისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა. და ვისაც ენებოს, მივიდოდნენ და თავისის ხარჯით იქ გარდიწერდნენ და გარდაიღებდენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს» [6]...

როგორც ეხედავთ, სასკოლო-საგანმანათლებლო საქმე სწორსა და ურყევ გზაზე იყო დამდგარი XVIII საუკუნეში. ამას ხელს უწყობდნენ ისეთი მომზა-

---

[1] ხელნ. H 2155. «სჯულდება» იოანე ბაგრატიონისა. გამოცემა ივ. სურგულაძისა, გვ. 27. Проф. А. Цагарели, Сведения 1, стр. XXXVIII.

[2] «სჯულდება», ივ. სურგულაძის გამოცემა, გვ. 7.

[3] იქვე, გვ. 12.

[4] იქვე, გვ. 17.

[5] იქვე, გვ. 56.

[6] იქვე, გვ. 57.

დებული პედაგოგები, როგორიც იყვნენ: იასტო ანდრონიკაშვილი, მის მიერ აღზრდილნი თბილისის სკოლის მოძღვარნი — იოანე კალოუბნელი და ნიკოლოზ ხელაშვილი, ზაქარია ლალახანაშვილი, მოძღვარი კახეთის სკოლისა, გაიოზ რექტორი, დავით რექტორი[1] და სხვ. მაგრამ პოლიტიკური ვითარების შეცვლამ ეს გზა უკუაბრუნა და ქართულ სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეს სხვა გეზი უჩინა.

ასეთია მოკლედ ისტორია სკოლის საკითხისა ძველ საქართველოში. სკოლების გარდა საეკლესიო მწერლობის განვითარებისათვის ნიადაგს ჰქმნიდნენ და მის ზრდას ხელს უწყობდნენ მონასტრები, რომელნიც სამართლიანად არიან მიჩნეული ძველად კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობისა და შემოქმედების ნამდვილ ცენტრებად. საეკლესიო მწერლობა, როგორც ყველგან, ისე ჩვენშიაც, გაიზარდა ან მომწიფდა სწორედ მონასტრებში, ამიტომ საჭიროა გავარკვიოთ, სახელდობრ, რომელი მონასტერი უდგა სათავეში ამ საქმეს ჩვენში.

არავითარი საბუთი იმისა, რომ ჩვენში ეგრეთ წოდებული ათცამეტ ასურელ მამათა მოსვლამდე მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ყოფილიყო, არ არსებობს. პირველად მონასტრები ჩვენში დააარსეს აღნიშნულმა მამებმა, ხოლო მათ მოღვაწეობას ჩვენ ვაკუთვნებთ მეექვსე საუკუნეს[2]. ყოველ შემთხვევაში, მეშვიდე საუკუნეზე ადრე ეს მონასტრები ისე ვერ მოეწყობოდნენ და ვერც ჩამოყალიბდებოდნენ, რომ აქ შექმნილიყო მწერლობის განვითარებისათვის საჭირო პირობები. ქართველთა სამონასტრო ცენტრებს აღნიშნულ პერიოდში ჩვენ ვხედავთ უმთავრესად იქ, საიდანაც მათ ქრისტიანობა მიიღეს, სახელდობრ აღმოსავლეთის სხვადასხვა პუნქტში.

უახლოესი პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლეთისა, სადაც ამ დროს ქართველები სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდნენ, არის შავი ანუ საკვირველი მთა, ანტიოქიის მახლობლად, სირიაში. ამ დროს იქ მოღვაწეობდა სვიმეონ მესვეტე (გარდ. 596 წ.), რომლის სახელი დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ისტორიასთან. ეს ის სვიმეონია, რომლის დროს ჩვენში მოსულა ერთი ნაწილი «ათცამეტ ასურელ მამათა». სვიმეონთან, როგორც მისი ბიოგრაფიდან ვგებულობთ, ხშირი, მასობრივი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ქართველებს, რომელთაგან ბევრი იქვე, მის მონასტერში, რჩებოდა საბერმონაზვნო მოღვაწეობისათვის[3]. სვიმეონის დედის, მართას, ცხოვრებიდანაც ჩანს, რომ ქართვე-

[1] კალმასობა II, 191, 192, 201, 202.

[2] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ, «თბილ. უნივერ. მოამბე», VI, გვ. 82 — 107, «ეტიუდები» I, გვ. 19 — 50.

[3] K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. 260—261, 283—284, 286, 338; მისივე, Историко-агнографические отрывки, «Христ. Восток», т. II, 193—197.

ლები ამ მონასტერში დიდ როლს თამაშობდნენ [1]. მაგრამ სვიმეონის სავანე ამ ეპოქაში ქართველთა სამწერლობო ცენტრად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ ამ დროს აქ საზოგადოდ რაიმე ლიტერატურული მუშაობა წარმოებდა.

მეორე პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლეთისა, სადაც ამ დროს ქართველები მოღვაწეობდნენ, არის პალესტინა.

ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში მეხუთე საუკუნიდან იწყება. პეტრე მაიუმელის (V ს.) ცხოვრებაში სწერია, რომ პეტრემ იერუსალიმში «აღაშენა სახლი სასტუმროჲ ქალაქსა შინა და განუსვენებდა მოშავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთაო» [2]. მას აუშენებია აგრეთვე მონასტერი, რომელსა «ჰრქჳან ქართველისა მონასტერი» [3]. შეიძლება, ეს მონასტერი იყოს ის იბერთა მონასტერი, რომელიც, ლაზების მონასტერთან ერთად, პროკოპი კესარიელის თქმით, იუსტინიანე დიდს განუახლებია VI საუკუნეში [4].

მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში პალესტინაში, ბეთლემში, ქართველებს ჰქონიათ მონასტერი თეოდორე ტირონის სახელობისა, რომელიც მოზაიკებით შეუმკიათ ამბა ანტონისა და ვინმე იოსიას (იხ. ზემოთ გვ. 39 შენ.). ამ მონასტერს ხომ არ გულისხმობს სვიმეონ საკვირველთმოქმედის დედის, მართას, ბიოგრაფი, როდესაც მოგვითხრობს შემდეგს: «სამნი მონაზონნი ქართველნი იერუსალიმით მოვიდეს მონასტრად წმიდისა [სვიმეონისა], რომელთაგან ერთი, სახელით ანტონი, მღდელობისა პატივითა შემოსილი იყო და მამასახლისი მონასტრისა პატიოსნისაჲ და წინამძღუარი ძმათა სიმრავლისაჲ» [5]. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები მრავლად მოღვაწეობდნენ ისეთ შესანიშნავ ლავრებში, როგორიც იყო ხარიტონის, ექვთიმეს, თეოდოსისა და საბა განწმედილის ლავრები, სადაც ყველა ქრისტიანი ეროვნების წარმომადგენელთ ვხედავთ. განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ საბა განწმედილის ლავრის შესახებ: აქ რომ ქართველთა ელემენტი საკმაოდ თვალსაჩინო იყო, ეს ცხადია საბას ანდერძის იმ მუხლიდან, რომელიც ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზემოთ (გვ. 39). დასახელებულ სავანეთაგან, მართალია, საბას მონასტერი მნიშვნელოვანი კერა იყო საქრისტიანო მწერლობისა არა მარტო ბერძნულ, არამედ სხვა ენებზედაც, მაგრამ ჩვენი მწერლობა მაინც აქ არ დაწყებულა. ამას ჩვენ ვამბობთ არა იმიტომ, რომ ჩვენამდე არ შენახულა ისეთი ძეგლები, რომელთა შესახებ შეიძლებოდეს თქმა, რომ ისინი ნათარგმნი და დაწერილია საბას ლავრაში ჩვენი მწერლობის ისტორიის დასაწყის ხანაში, არამედ შემდეგი მოსაზრებითაც. ჯერ ერთი, იმთავითვე, მწერლობის შემოღები-

1 «Acta Sanctorum», Maii V, 418—425; H. Mapp, Агиографические материалы по грузин. рукоп. Ивера, I, 36—44.

2 ნ. მარის გამოც., გვ. 14—15.

3 იქვე, გვ. 16—17, R. Raabe, Petrus der Iberer, S. 46.

4 «De Aedificiis», V, 9, Migne, PG. t. 77, c. 521. ქართველთა შესახებ პალესტინაში იხ. R. Janin, Les Géorgiens a lérusalem (Echos d' Orient XVI, p. 32—38, 211—219, 1931).

5 «Acta Sanctorum» Maii V, p. 418; H. Mapp, Агиографические материалы по грузин. рукоп. Ивера, I, 38.

სას ქართველებს, უნდა ვიფიქროთ, შეძლება არ ექნებოდათ გამოეყოთ კულტურულ-ლიტერატურული ძალები საზღვარგარეთული პუნქტებისათვის. მეორე, ქრონოლოგიურადაც ეს შეუძლებელი იქნებოდა: საბამ თავისი მონასტერი დააარსა 483 წელს, ქართველები აქ მოვიდნენ არაუადრეს მეხუთე საუკუნის უკანასკნელი წლებისა, ვინაიდან, ჩვენ ვიცით, პირველი უცხოელი, რომელიც აღმოსავლეთიდან შეეფარა ამ სავანეს, იყო სომეხი იერემია თავისი ორი მოწაფით, პეტრეთი და პავლეთი, ეს კი მოხდა 491 წელს. მეხუთე საუკუნის გასულისათვის კი, როგორც დავინახეთ, ქართული მწერლობა უკვე ფაქტია: 476—483 წლებში ქართულ ენაზე იწერება ორიგინალური თხზულება, პუშანიკის მარტვილობა, საიდანაც ჩანს, რომ საღმრთო წერილი უკვე კარგახანი თარგმნილია ქართულად. ცხადია, მაშასადამე, რომ ეს მუშაობა ჩვენშივე შესრულებულა და ის ქართული წიგნები, რომელთაც გულისხმობს ზემომოყვანილი «ანდერძი» საბასი, ქართველ ბერებს სამშობლოდან მოუტანიათ საბას ლავრაში. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ქართული მწერლობა როგორც დაწყებულა ჩვენში, ისე პირველი პერიოდის პირველ ნახევარში ჩვენშივე მუშავდებოდა და ვითარდებოდა. შეგვიძლია დაახლოებით ვაჩვენოთ კიდევაც ის რაიონი, სადაც დაიწყო და სადაც ვითარდებოდა თავდაპირველად ჩვენი მწერლობა; ეს არის, მტკვრის სამხრეთით, ის სომხითი (ქართულად), გუგარქი (სომხურად), ან გოგარენე (ბერძნულად), სადაც ქრისტიანობამ უფრო ადრე მოიკიდა ფეხი და სადაც ეპიგრაფიკული მასალები გვაძლევენ იმ ხანმეტ ტექსტებს (ჯვარის მონასტერი და ბოლნისის სიონი), რომლებიც დამახასიათებელია ბიბლიური პალიმფსესტებისათვის, თავდაპირველი ჩვენი მწერლობის ამ უძვირფასესი ძეგლებისათვის. ალბათ ეს მწერლობა თავდაპირველად ვითარდებოდა კერძო პირთა, უფრო მეფე-მთავართა და ეპისკოპოსთა, კარზე, აგრეთვე ღირსშესანიშნავ ტაძართა გარშემო, ხოლო მეშვიდე საუკუნიდან, როდესაც განმტკიცდა სამონასტრო ცხოვრება, მონასტრებშიაც.

თუ პირველი პერიოდის პირველ ნახევარში ქართველები აღმოსავლურ ქრისტიან ქვეყნებთან იყვნენ დაკავშირებული, მეორე ნახევარში მათ პირი იბრუნეს დასავლეთისაკენ, ესე იგი ბიზანტიისაკენ, და აქაც გაიჩინეს სამონასტრო ცენტრები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი უთამაშნია ილარიონ ქართველს, რომლის სახელთან დაკავშირებულია ორი ქართული მონასტრის შექმნა ბიზანტიაში. ერთია ოლიმპის ან ულუმბოს მონასტერი მცირე აზიის ბითვინიაში, სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს. ოლიმპის მთაზე ქართველებს ჰქონდათ სამი ეკლესია: ქუაბი ან ეკლესია წმიდისა ღვთისმშობლისა, კოზმან-დამიანე და ლავრა კრანია. მეორე მონასტერი, რომელიც ილარიონის სახელთანაა დაკავშირებული, არის «ქართველთა მონასტერი ჰრომანას», იმპერატორ ბასილის მიერ აშენებული 876 წელს ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად. ამ მონასტერში გაჩაღებული იყო ქართული მწერლობა. ამას მოწმობს მრავალი ძეგლი, აქ გადაწერილი, რომელიც ჩვენამდე შენახულა, აგრეთვე ექვთიმე მთაწმიდლის ცხოვრება, სადაც ნათქვამია, რომ ექვთიმემ, რომელმაც კარგა ხანს დაყო ოლიმპზე, თავის მამასთან,

იოანესთან, ერთად, ულუმპოსა და სამეუფოსა ქალაქსა, ჰრომანას, რამდენიმე თხზულება თარგმნაო[1].

არც ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ თ ა ნ შეუწყვეტიათ ქართველებს კავშირი ამ ნახევარში. კერძოდ, საბას ლავრას სწორედ ახლა მოუპოვებია ის მნიშვნელობა, რომლითაც ის ცნობილია ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მართლაც, VIII—X საუკუნეებში აქ, შეიძლება ითქვას, დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება. უმეტესი ნაწილი იმ უძველესი ხელნაწერებისა, თარიღიანისა თუ უთარიღოსი, რომელნიც დღეს სინას მთაზე ინახება განსაკუთრებით, ამ ხანაშია დაწერილი და ნათარგმნი სწორედ საბას ლავრაში. ის რედაქცია საღმრთო წერილისა, რომელიც ს ა ბ ა წ მ ი დ უ რ ა დ ა ა ცნობილი, ამ ხანაში წარმოიშვა საბას ლავრაში. ამ დროს უნდა შემუშავებულიყო აქ ის ხელიც, რომელსაც ს ა ბ ა წ მ ი დ უ რ ს უწოდებენ ჩვენი ძველი ძეგლები. გრიგოლ ხანძთელის ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ ჩვენ ვგებულობთ, რომ ქართველებს საბას ლავრასთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი მეცხრე საუკუნეში ჰქონიათ: აქედან გრიგოლმა მოატანია ს ა ბ ა წ მ ი დ ი ს ა გ ა ნ გ ე ბ ა დ, აქ «წმიდასა ამას ადგილსა საბაწმიდას», ყოფილა ამ დროს გრიგოლის ორი მოწაფე, არსენი და მაკარი, რომელთაგან უკანასკნელს გადაუწერია 864 წლის მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი[2]. ქართველთა ლიტერატურული მუშაობა აქ არ შეწყვეტილა მეთერთმეტე საუკუნემდე, როდესაც პალესტინაში გაშენდა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა, ეგრეთ წოდებული ჯვარის მონასტერი.

აღნიშნულ პერიოდში ქართველებს მეორე ცენტრიც ჰქონდათ პალესტინაში, ეს იყო ხარიტონის ლავრა, ეგრეთ წოდებული ძ ვ ე ლ ი ლ ა ვ რ ა ან, როგორც ბერძნები ეძახდნენ, Παλαιὰ λ ύρα; აქედან წარმოდგა ტერმინი პ ა ლ ა ვ რ ე ლ ი, ესე იგი პ ა ლ ე ა ლ ა ვ რ ე ლ ი ან ძ ვ ე ლ ი ლ ა ვ რ ი ს მოღვაწე[3]. პალავრას ჩვენი მკვლევარნი ეძებდნენ ხან ტაოში[4], ხან ქართლში[5]. მართალია, თითქოს ქართლშიაც ყოფილა ასეთი სახელწოდების მონასტერი, მაგრამ მას ჩვენი მწერლობის ისტორიაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. პალესტინის პ ა ლ ა ვ რ ა შ ი გადაწერილია X საუკუნეში ერთ-ერთი, სინას მთაზე დაცული, აგიოგრაფიული კრებული № 11[6]. აქვე უნდა იყოს გადაწერილი იმავე საუკუნეში სვიმეონ მგალობლის მიერ თევდორე პალავრელის იძულებით სინას მთაზევე შენახული ი ა დ გ ა რ ი[7]; 968 წელს იოანე საფარელს აქ გადაუწერია იოანე ოქროპირის ცხოვრება[8].

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე», I, გვ. 64—65.

[2] «ცხოვრება», გვ. ა—ძა, ჲბ—ჲდ. გრიგოლ ხანძთელმა ახლად აშენებულ უ ბ ე ს მონასტერში მამასახლისად დააყენა იერუსალიმიდან მოსული ი ლ ა რ ი ო ნი, რომელსაც «აქუნდეს კეთილნი წიგნნი» (გვ. 38), უეჭველია, იქვე, იერუსალიმში, შეძენილი.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 188.

[4] B r o s s e t. Rappor. XII, 86.

[5] «ქართლის ცხოვრება», I, 221.

[6] ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს კატალოგით № 50.

[7] ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს კატალოგით № 67.

[8] სინას მთის ხელ. № 72, ა. ც ა გ ა რ ე ლ ი ს კატალოგით.

მეორე მნიშვნელოვანი პუნქტი ქრისტიანული აღმოსავლეთისა, სადაც ქართველთა სამწერლო-საგანმანათლებლო ცენტრი ღვიოდა ამ ხანაში, არის სინას მთა. ქართველთა სამონასტრო კოლონია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, აქ გაჩენილა არაუადრეს მეათე საუკუნის ნახევრისა. ეს კოლონია პირდაპირი გაგრძელებაა პალესტინის, უფრო კი საბას მონასტრის, ქართველთა მოღვაწეობისა. საქმე ისაა, რომ პალესტინის მონასტრები, განსაკუთრებით საბასა და ხარიტონის ლავრა, IX—X საუკუნეებში მეტად შეავიწროეს არაბებმა, ისინი არა ერთხელ აუოხრებიათ მათ და მათი მოღვაწენიც ამოუჟლეტიათ. სინას მთა კი, როგორც მივარდნილი კუთხე, შედარებით უფრო მოსვენებული იყო, ამიტომ, ჩანს, ქართველები ნაწილობრივ აყრილან და საბას ლავრიდან სინას მთაზე გადასახლებულან, სადაც მათ საკუთარი ეკლესიებიც კი ჰქონიათ. გაცხარებული ლიტერატურული მუშაობა აქ მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ღვიოდა. ვინაიდან სინას მთა, როგორც განცალკევებული და განშორებული პუნქტი, მტრების შემოსევისა და აოხრებისაგან შედარებით უზრუნველყოფილი იყო, აქ შენახულა უძველესი ჩვენი თარიღიანი და უთარიღო ხელნაწერები. სინას მთაზე შემუშავებულა საგანგებო ხელიც, რომელსაც სინას მთის ხელი ეწოდება, ეს მეტად ლამაზი და მოხდენილი მრგვალი ხელია. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ გადაწერას უფრო მისდევდნენ: წერდნენ არა მარტო ქართულ ხელნაწერებს, არამედ ბერძნულსაც და არაბულსაც; ეს იქიდან ჩანს, რომ ბევრ იქაურ ბერძნულ-არაბულ ხელნაწერს ქართული პაგინაცია აქვს. შემეტებული ნაწილი აქაური უძველესი ხელნაწერებისა საბას ლავრიდანაა გადმოტანილი. საზოგადოდ ჩანს და ირკვევა, რომ სინასა და პალესტინის, საბას ლავრის, ქართველ მოღვაწეთა შორის ხშირი და მტკიცე მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა წარმოებდა. სინას მთაზე პალესტინიდან გადადიოდნენ ქართველი მოღვაწენი, როგორც, მაგალითად, მიქელ კათამონელი (სინ. ხელ. № 9) და კვირიკე სოხასტერელი (№ 16). აქ, პალესტინაში, ამზადებდნენ სინას მთისათვის სხვადასხვა საჭირო ხელნაწერებსა და წიგნებს. მეათე საუკუნის მოღვაწეთა შორის აქ ცნობილია: იოანე-ზოსიმე, კვირიკე მიძნაძორელი, ბერის დათუას შეგირდი, ეზრა მღვდელმონაზონი და მესვეტე, ბერი კვირიკე სოხასტერელი, გაბრიელ, მიქელი, გიორგი, თეოდორე ჰკუდელელი, იოანე კუმურდოელი, გიორგი იწელი, ბასილი, იოსები, მაკარი და სხვ. ყველა ესენი იღებდნენ ამა თუ იმ მონაწილეობას ხელნაწერთა გამრავლებაში: ერთს ეკუთვნის თაოსნობა, მეორე შოულობს საწერ მასალას, მესამე წერს, მეოთხე თარგმნის, შეხუთე ყდას უკეთებს წიგნებს, მეექვსე ასურათებს მათ და ა. შ.

უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ცენტრები ამ ხანაში ჩვენ თვით საქართველოში გვაქვს, სახელდობრ, ტაო-კლარჯეთის მხარეში. ამ მხარეში სამონასტრო ცხოვრების მეთაურად შეიქნა გრიგოლ ხანძთელი თავისი მოწაფეებით, რომელთაც უკაცური და უდაბური ქვე-

ყანა გადააქციეს აყვავებულ კუთხედ. ეს მხარე დასახლებული ყოფილა ძველიდანვე ქართველთა მოდგმის ხალხით: ჰანებითა და მეგრელებით. VI—VII საუკუნეებში აქ, როგორც ქალკედონიტურ ქვეყანაში, თავი შეუფარებიათ სამშობლოდან დევნილ ქალკედონიტ-სომხებს, რომელთაც გაუშენებიათ აქ რიგი მონასტრები, სადაც კულტურულ-შემოქმედებითსა და ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰქონდა ადგილი. მერვე საუკუნის პირველ ნახევარში, მურვან ყრუს შემოსევით, ეს მხარე სულ ერთიანად აოხრდა, ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც მუსრი გაავლო მცხოვრებლებს[1]. ამით აიხსნება, რომ, როდესაც გრიგოლ ხანძთელი მოვიდა აქ, «მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შწნ იყო მათ ქუეყანათა, თჳნიერ ოპიზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შწნებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა; რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შაᲨეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშწნებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ»[2]. ამ უბედურებისა და აოხრების დროს დაცემულა და დაშრეტილა აქ არსებული მონასტრები. როდესაც გრიგოლი მოსულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპიზა. აღნიშნული უბედურების შემდეგ, სხვებთან ერთად ეს მონასტერიც მიუტოვებიათ, დარჩენილა აქ ერთი პატარა ეკლესია იოანე ნათლისმცემლისა. მერვე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები და მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელზე განუახლებიათ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ «აღეშენა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარიო»[3]. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნაჩვენებია სახელები ოპიზის პირველი სამი მამასახლისისა: სამოელ, ანდრია და გიორგი. გიორგის დროს მოსულა აქ გრიგოლი, მაშინ იქ «იყვნეს ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტჱს სიყუარულისათჳს, ვინაჲთგან პოვნილ იყო წმიდაჲ იგი მცირჱ ეკლესიაჲ წმიდისა ნათლისმცემლისაჲ»[4]. ოპიზა იქცა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების კერად. აქ მოღვაწეობდნენ მიქელ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი. მეცხრე საუკუნეში ის განუახლებია აშოტ კურაპალატის ძეს გუარამს, რომელიც «დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა»[5]. ოპიზა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ქართული მწერლობისა, აქ გადაწერილა ბევრი საყურადღებო ძეგლი ამ პერიოდის და შემდეგი დროის მწერლობისა. მაგალითად, აქ გადაწერილია, სხვათა შორის, 913 წელს ეგრეთ წოდებული ოპიზის სახარება.

---

[1] ეს იყო, ალბათ, 746 — 7 წლის ხოლერა, რომელმაც სულ ამოქლიტა სამხრეთ საბერძნეთისა და კონსტანტინოპოლის მცხოვრებნი და რომელიც იქიდან, მცირე აზიის გზით, ალბათ, ჩვენშიაც შემოვიდა (А. Васильев, Лекции по истории Византии, т. I, Петерб., 1917 г., стр. 224).

[2] «ცხოვრება», გვ. ᲘᲐ.

[3] კ. კეკელიძის გამოც., გვ. 150.

[4] «ცხოვრება», გვ. 3.

[5] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 225.

გრიგოლ ხანძთელმა ააშენა ხუთი მონასტერი: სამი მამათა და ორი დედათა. ამათგან მწერლობის ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შატბერდი. შატბერდი აშოტ კურაპალატმა «აგარაკად ხანძთისა» განაჩინა (გვ. Ოზ). აშოტის სიკვდილის შემდეგ გაეფდა მისი ძე ბაგრატი. გრიგოლი მივიდა მასთან და უთხრა: «ამას ვითხოვ შენგან: არს აშოტ კუროპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქმნების კეთილად მონასტრად; უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხორებელად სულისა შენისა... მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კუროპალატმან შენებად მისი და მისცა ყოველივე საჭმარი საშენებელად» (გვ. ᲫᲭ — Ძ). გრიგოლმა აქ გააშენა დიდებული მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე (გვ. მ), და «შეაერთნა ორივე იგი უდაბნონი (ხანძთა და შატბერდი) ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სიყუარულსა» (გვ. Ძ). ბაგრატმა ამის შემდეგ მოუწოდა გრიგოლს და «უბრძანა ადგილნი მარჯუენი აგარაკად შატბერდსა, და ყოველი, რაჲცა უკმდა, მისცა მისთჳს სრულიად საშენებელად» (გვ. Ძ). შატბერდი ერთი უდიდესი ცენტრი იყო ჩვენი ძველი მწერლობისა. აქ გადათარგმნილა და გადაწერილა ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელნიც სამართლიანად ამკობენ ჩვენს სიძველეთსაცავთ. აქაურ ძეგლებიდან ჩვენამდე შენახულა: ცნობილი შატბერდის კრებული (S 1141), 973 წლის ახლო ხანებში გადაწერილი; ეგრეთ წოდებული ჰადიშის სახარება, 897 წელს გადაწერილი; ჯრუჭის სახარება 936 წლისა[1], პარხლის სახარება 973 წლისა, იოანე ბერაჲს მიერ გადაწერილი[2], უდაბნოს მონასტრის მრავალთავი X საუკ.[3] და სხვ.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონია ჩვენი ძველი მწერლობისათვის აგრეთვე იშხანს. ის, გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიით, აუშენებია სომხის ქალკედონიტ კათოლიკოსს ნერსეს (VII ს.), მაგრამ არაბთა შემოსევის გამო დაქვრივებულა (გვ. ლ). ეს ქვრივობა გრძელდებოდა «წელიწადთა მრავალთა», მაგრამ გრიგოლის დროს «კუალად იქმნა სულიერი ჭორწილი და მეორედ აღეშენა (გვ. ლ) ის ნეტარისა საბა ან საბანის მიერ, რომელიც იყო «დედის დისწული» გრიგოლისა (გვ. ვ). გრიგოლს საბა წაუყვანია იერუსალიმში, იქიდან დაბრუნებისას, როდესაც მათ «მოიწინეს» იშხანს, «გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულებაჲ... და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ კელითა საბანისითა, და ეცნობა გზაჲცა მისავალად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი» იგი (გვ. ᲘᲗ). გრიგოლმა მისცა საბას ხანძთის მონასტრიდან «ორნი ძმანი» (გვ. Კ, ᲚᲕ) და მან ხელი მიჰყო იშხნის განახლებას, «ჴორციელად მოღუაწებითა ღმრთისა მსახურთა მეფეთაჲთა» (გვ. ლ). თუმცა იშხანში ეპისკოპოსი იჯდა, მაგრამ ის ამავე დროს მონასტრადაც ითვლებოდა. იქ გაჩაღებული ყოფილა მწერლობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ


---

1 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 89.

2 იქვე, გვ. 94—95.

3 A 1147.

სამხრეთ ფონის ქართველთა ბოძებები



შატბერდის მონასტერი

ხელნაწერი მრავალთავი A 95 «დაწერილია დედითა იშხნისაჲთა», ესე იგი მისი დედანი იშხანს ყოფილა დაწერილი. მეათე საუკუნის უკანასკნელ წლებში ილარიონ იშხნელს გადაუწერინებია აქ ისააკ ასურელის თხზულებანი [1].

გრიგოლ ხანძთელის დროსვე აშენებულია აგრეთვე წყაროსთავის მონასტერიც. ის აუშენებია დავით მიძნაძორელის მოწაფეს ილარიონს, რომელიც მერე «კათოლიკოზ იქმნა მცხეთას» (გვ. ლა). წყაროსთავი, რომელიც აშენებული ყოფილა მაცხოვრის სახელზე [2], მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში, თუმცა მომეტებული ნაწილი აქ გადაწერილი ხელნაწერებისა, რომელთა შესახებ ცნობები შენახულა, მეორე პერიოდს ეკუთვნის.

გრიგოლ ხანძთელისავე ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ მის დროს ყოფილა მონასტერი ტბა, რაც ტბეთს უდრის (გვ. ჲ), სადაც ზაქარიას, ანჩელ ეპისკოპოსს, რამდენიმე სასწაული შეუსრულებია. აშოტ კუხმა (გარდ. 918 წ.) ტბეთი გახადა საეპისკოპოსო კათედრად, მაშასადამე, ესეც იმის საბუთია, რომ მონასტერი იქ მანამდეც ყოფილა. ტბეთის ეპისკოპოსთა და სხვა პირთაგან, რომელნიც ხელს უწყობდნენ აქ მწიგნობრობის აყვავებას, ცნობილი არიან: პირველი მტბევარი სტეფანე, რომელმაც აღწერა გობრონის ან მიქელის ცხოვრება; დავით ტბელი, რომელიც მოხსენებულია მიქელ მოდრეკილის საგალობელში; იოანე, თანამედროვე მიქელ მოდრეკილისა, ცნობილი ჰიმნოგრაფი; მეორე იოანე, აკვილა, შაორის მოწამეთა ცხოვრებაში მოხსენებული 1002 წ.; საბა — 1028 წ.; ეფრემ მცირის თანამედროვე ანტონ ტბელი [3] და პავლე ტბელი, რომელსაც XII ს. გადაუწერინებია სახარება [4]. აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან ყველაზე საყურადღებოა ეგრეთ წოდებული ტბეთის სახარება 995 წლისა.

მეცხრე საუკუნის გასულს თუ მეათის დამდეგს აშენებულია მონასტერი ოშხი ან ოშკი, რომელიც თორთომის ხეობაში იმყოფება თორთომის ციხის მახლობლად. ის აშენებულია ადარნასე კურაპალატის მიერ (881—923 წწ.), რომელმაც ააგო აგრეთვე შესანიშნავი ბანას ტაძარი მდინარე ოლთისზე. დ. ბაქრაძის აზრით, რომელსაც პროფ. ა. ცაგარელი და თ. ჟორდანია იზიარებენ, ოშკის ლაერა იოანე ნათლისმცემლის სახელისა იმყოფება ათონზე, ივერიის მონასტრის მახლობლად. ეს აზრი შემცდარია: ათონზე მართლა ჰქონდათ ქართველებს იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, მაგრამ ის ოშკად არასოდეს ცნობილი არ ყოფილა. ეს ეკლესია ქართველებმა ააშენეს აქ ბარდა სკლიაროსის დამარცხების, ესე იგი 979 წლის შემდეგ [5], ხოლო ოშკში გადაწერილი ხელნაწერები ჩვენ გვხვდება 977 და 978 წლებშიაც. ასეთებია: შესანიშნავი, ერთადერთი ცალი უძველესი ჩვენი ბიბლიისა, რომელიც

[1] A 35: თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 91.

[2] იქვე, I. 231.

[3] იქვე, I, 114.

[4] «Материалы по Археологии Кавказа», вып. XII, стр. 155—156.

[5] «ათონის კრებული», გვ. 12—13.

გადაწერილია ორ წიგნად გიორგი, მიქელი და სტეფანეს მიერ 978 წელს; სამოთხე ანლიმონარი იოანე მოსხისა, ოქროპირისა და ეფრემ ასურის ქადაგებათა კრებულით, იოანე და სტეფანე დეკანოზის ხელით გადაწერილი 977 წელს; იოანე ოქროპირის ცხოვრება, გადაწერილი იოანე ჩირაქის ხელით 977 წელს[1].

მეათე საუკუნეში გაშენებულია შესანიშნავი ხახულის ღვთისმშობლის მონასტერი, რომელიც იმყოფება თორთომის წყლის მარცხენა ნაპირზე სოფელ ხახულს ან ხახულს. ვახუშტი ამბობს, რომ ეს მონასტერი ააშენა ორმოცდამერვე მეფე დავითმაო. ბროსეს აზრით, ეს ის დავითია, რომელიც მეფობდა 876—881 წლებში, მაგრამ მემატიანის სიტყვით, აქ იგულისხმება დავით კურაპალატი, რომელმაც ბაგრატ მესამე იშვილა; «ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა წმიდა ეკლესია ხახულისაო»[2]. ხახულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ხახულის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით ცნობილია ბაგრატ მესამის დროიდან (X—XI სს.) იოანე ხახულელი, რომელსაც გადაუწერია კირილე ალექსანდრიელის მოძღვრებანი[3] და თებერელის თთუენი[4]. ეს ის იოანე უნდა იყოს, რომელსაც მშვერმეტყველებისათვის ოქროპირი ეწოდა.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ხანძთას მოვიდა გრიგოლთან მისი მეგობარი მიქელ მიძნაძორელი, რომელიც «ეძიებდა მარტოდმყოფობასა და პოვა თავისა თჳსისა სამკჳდრებელი ბერთისა პარეხთა», სადაც დაემკვიდრა იგი (გვ. ლზ—ლყ). მაშასადამე, ბერთას მონასტერიც დაახლოებით გრიგოლ ხანძთელის დროს აშენებულა, ის იყო მოსაზღვრე ოპიზის მონასტრისა[5]. აქ გადაწერილ ხელნაწერთაგან დღეს ცნობილია ბერთას სახარება, რომელიც გელათის მონასტერშია დაცული (№ 41, დღეს ქუთაისის საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმში).

მეათე საუკუნეში უნდა იყოს აშენებული პარხალის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი ლაზისტანის ან პონტოს მთაგრეხილის აღმოსავლეთის კალთაზე, ჭოროხის ხეობაში[6], სადაც ინტენსიური მწერლობა წარმოებდა. აქ გადაუწერიათ «დედითა იშხნისათა» მრავალთავი № 95 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A). პარხალისათვის იოანე ბერაძს შეუწირავს მის მიერ შატბერდში 973 წ. გადაწერილი სახარება, რომელიც დღეს პარხლის სახარების სახელითაა ცნობილი[7].

---

1 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 245—246; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 107—109.

2 ქართ. ცხოვ., მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 237.

3 ჯვრის მონასტრის ხელნაწერი № 123 (ცაგარლით), № 151 (ბლეიკით).

4 ჯვრის მონასტრის ხელნაწ. № 35 (ცაგარლით).

5 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 171.

6 Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, стр. 119—120.

7 «Материалы по Археологии Кавказа», вып. XII, стр. 139—151; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 94—95.

ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში; აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილა ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და ძიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ი ვ ე რ ი ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მომდინარე ტრადიციებით.

მეორე პერიოდში საზღვარგარეთული ცენტრებიდან ს ა ბ ა ს ლ ა ვ რ ა მ პალესტინაში დაკარგა თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ სხვა ქრისტიანებისათვისაც, ვინაიდან ის გაეერანებული იყო არაბთა გამუდმებული თავდასხმისა, ძარცვა-გლეჯისა და მოღვაწეთა ულმობლად ჟლეტისაგან.

ს ი ნ ა ს მ თ ა ზ ე ქართველები ამ ეპოქაშიც განაგრძობენ მოღვაწეობას. დავით აღმაშენებელმა აქ, ქორების მთაზე, ააგო ახალი ეკლესია და სეხაკები ქართველ მოღვაწეთათვის, თამარ დედოფალი უხვ შეწირულებას უგზავნიდა აქაურ ქართველებსა და მათ სავანეებს, და მხოლოდ XV—XVII საუკუნეებში მიატოვეს ქართველებმა აქაურობა, როდესაც საქართველოშიც და აღმოსავლეთშიც, ოსმალთა მეოხებით, ისეთი პოლიტიკური სიტუაცია დამყარდა, რომ მათი აქ დარჩენა შეუძლებელი შეიქნა. თვით კონსტანტინოპოლში. სადაც ამდენ ხანსაც მოღვაწეობდნენ ქართველები, მაგალითად, ჰ რ ო მ ა ნ ა ს ა და ხ ო რ ა ს მონასტრებში, რამდენიმე ახალი ცენტრი გაიჩინეს მათ ამ პერიოდში. მაგალითად, ჩვენ გვხვდება ლიტერატურული ძეგლები, რომელნიც გადაწერილი თუ ნათარგმნია «ღმრთისმშობლის მონასტერსა ტ რ ი ა ნ ფ ლ ი უ ს ს»[1] და «მონასტერსა წმიდისა გიორგისასა მ ა ნ გ ა ნ ა ს»[2]. უფრო საყურადღებოა ამათგან მანგანას გ ი ო რ გ ი ს მონასტერი. ის დააარსა იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა შემდეგ პირობებში: კონსტანტინეს ჰყვარებია ფავორიტის სკლირენა, რომელიც მან ვერ მოიშორა მაშინაც კი, როდესაც გამეფდა. ავიდა

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 228—229.

[2] იქვე, გვ. 237.

თუ არა ტახტზე, მან გამოიწვია სკლირენა ბიზანტიაში და დაასახლა ვინმე კინიგის სახლში. რომ რაიმე, თითქოს პატივსადები, მიზეზი გაეჩინა სკლირენასთან მისასვლელად და მის სანახავად, კონსტანტინემ აქ დაიწყო სასახლის შენება და ხშირად დადიოდა, ვითომცდა მუშაობისათვის თვალყურის სადევნებლად. ცოტა ხნის შემდეგ გეგმა გაფართოვდა: სამეფო სასახლის გარდა ახლა აქ ააშენა ტაძარი და მონასტერი, მონასტერთან — სხვადასხვა დაწესებულება, როგორც ქსენონი, მოხუცთა და გლახაკთა თავშესაფარი, და, ბოლოს, 1044—1047 წლებში, უმაღლესი სკოლა, რომელსაც აკადემია ეწოდებოდა. ამ აკადემიამ დიდი როლი ითამაშა ბიზანტიაში სწავლა-განათლების საქმის მოწესრიგებაში, მას მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვისაც. საქმე ისაა, რომ ის ქართველები, რომელნიც ბიზანტიაში მიდიოდნენ უმაღლესი სწავლის მისაღებად, შედიოდნენ სწორედ ამ აკადემიაში, სადაც მეთერთმეტე საუკუნეში ბრწყინავდა მთელი რიგი შესანიშნავი პროფესორებისა, როგორც, მაგალითად, მიქაელ ფსელოსი, იოანე ნომოფილაქსი და სხვები. აქ მიიღეს განათლება: არსენ იყალთოელმა, რომელმაც აქვე თარგმნა ანასტასი სინელის წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი, იოანე პეტრიწმა და ყველა იმათ, ვინც ბიზანტიაში სისტემატურ სასკოლო განათლებას ეზიარა მეთერთმეტე საუკუნეში. უეჭველია ამ მონასტერსა და აკადემიაში ლიტერატურულ მოღვაწეობას, არსენის გარდა, სხვა ქართველებიც ეწეოდნენ, ყოველ შემთხვევაში ისინი ითვისებდნენ იმ ტრადიციებს, რომელიც აქ იყო გამეფებული.

ამავე დროს ქართველების სამონასტრო და, უნდა ვიფიქროთ, სამწერლო კოლონია ყოფილა კვიპრეს კუნძულზე. ჩვენ ვიცით აქ «ქართველთა მონასტერი ჟალია», resp. «გალია», სადაც გადაწერილია დ ა ვ ი თ ნ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი. ეს მონასტერი განუახლებია თამარ დედოფალს[1].

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და მსხვილ საზღვარგარეთულ ცენტრებად ამ პერიოდში სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ ი ვ ე რ ი ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ათონის მთაზე, ს ვ ი მ ე ო ნ ს ა ყ ი ვ რ ე ლ მ ო ქ მ ე დ ი ს სავანე შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ჯ ვ ა რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი პალესტინაში და პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს მონასტერი მაკედონიაში. ამ მონასტრების გაშენება შესაძლებელი გახდა და გამოწვეული იყო ჩვენი ქვეყნის დაწინაურებასა და პოლიტიკურად აყვავებასთან დაკავშირებით. საზღვარგარეთული მონასტრები, რომელნიც გაშენებული იყვნენ ბიზანტიური სწავლა-განათლებისა და საღვთისმეტყველო-საეკლესიო მწერლობის ყველა უმთავრეს ცენტრში, სადაც ისინი სრული ავტონომიით სარგებლობდნენ, საშუალებას აძლევდნენ ქართველებს უფრო ადვილად ედევნებიათ თვალყური მაშინდელი განათლებული კაცობრიობის წარმატებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდნენ მას[2].

ათონის ივერიის მონასტერი. ათონის ივერიის პორტაიტისის ღვთისმშობლის მონასტერი აშენებულია მეათე საუკუნის გასულს, 980—983 წლებში, ტაო-

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლ. ვარიანტი, 495; შეად. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 128, 130—131.

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949 წ., გვ. 314.

კლარჯეთის სავანეთა მოღვაწეებისაგან. მისი დამაარსებელი, ბარდა სკლიაროსის დამმარცხებლის, თორნიკეს, წარსაგებელით, არის იოანე, ხოლო ორგანიზატორი — მისი შვილი ექვთიმე ათონელი და, მის შემდეგ, გიორგი მთაწმიდელი. იოანე იყო სამცხიდან, დიდი ოჯახის შვილი [1]. მას ცოლად ჰყოლია ბიზანტიის იმპერატორთაგან მიღებული და პატიეცემული ვიღაც აბუჰარბის ქალი [2]. იოანეს ექვთიმე მთაწმიდელის ბიოგრაფი ასე ახასიათებს: «იყო შამაჲ ჩუენი იოანე მშობელთა დაპაპათაგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა შორის დაცით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა. მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა, და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისხმის ყოფითა და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა და ყოელითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ქსენებულისა დავით კურაპალატისაჲ» [3].

როდესაც ალი ქრისტეს სიყვარულისა მთელი თავისი სიძლიერით აენთო მის გულში, იოანემ მიატოვა სახლი, დიდება, ქონება-სიმდიდრე, ცოლ-შვილი და ნათესავები და ჩუმად წავიდა «ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასსა», სადაც იქაურ მოღვაწეთაგან, მოსე და გელასისაგან, ფარულად ბერად აღიკვეცა. აქ მან დაყო «ჟამ რაოდენიმე» მორჩილებასა შინა, და «ვინაჲთგან იწყო განცხადებად საქმემან მისმან», მიატოვა აქაურობა და გადასახლდა ულუმბოს მთაზე მცირე აზიაში, სადაც ქართველები კარგა ხანია მოღვაწეობდნენ. აქ ის ერთ მონასტერში «ჟამთა არამცირედთა» ჯორთა მსახურების ღვაწლს ეწეოდა, ამიტომ ის ცნობილია ხარტულარის სახელით. აქ მან მოიყვანა თავისი უმცროსი შვილი ექვთიმე და «შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი», გადავიდა ათონის მთაზე და დაემკვიდრა ლავრასა დიდისა ათანასესსა, რომელიც დედით იყო ლაზი და რომელმაც ის დიდი პატივითა და სიყვარულით მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ აქ მოვიდა ცნობილი თორნიკე, რომელიც მან ბერად აღკვეცა იოანეს სახელით. მას მოყვნენ სხვებიც. ასე რომ, ქართველთა რიცხვი აქ იმდენად გადიდდა, რომ შეუძლებელი შეიქნა მათი ათანასეს ლავრაში მოთავსება, ამიტომ უკანასკნელის რჩევით და ლოცვა-კურთხევით მათ ლავრის მახლობლად ააშენეს იოანე მახარებლის ეკლესია და სენაკები ქართველ ძმათათვის. რამდენიმე ხნის შემდეგ ბარდა სკლიაროსი აუ-

---


[1] ე. თაყაიშვილი მას აკავშირებს გენეალოგიურად სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოხსენებულ გიორგი ჩორჩანელთან («Археологические экскурсии, разыскания и заметки», вып. I, стр. 32—33), მაგრამ ეს გაუგებრობაა, წარმომდგარი იქიდან, რომ მან ზარზმის წარწერებში მოხსენებული ხურსიძეები, ვითომცდა წინაპრები იოანე ათონელისა, შეცდომით მიიღო გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეებად მისი დის ლატარი-თეკლას ხაზით. სამწუხაროდ, ეს შეცდომა გადმოვიდა ზოგიერთ ჩვენ ნარკვევშიაც.

[2] «ათონის კრებული», გვ. 7.

[3] იქვე. გვ. 5. თუმცა დავით კურაპალატის გამეფებას იოანე არ უნდა მოსწრებოდა, ის მანამდის წასულა მონასტერში (იხ. ამის შესახებ ჩვენი სტატია: ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში, კრებ. «ჩვენი მეცნიერება», № 2—3, გვ. 106, შენიშვნა 4).

ჯანყდა ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს, ბასილსა და კონსტანტინეს. რომელთაც დახმარებისათვის. იოანე-თორნიკეს საშუალებით, დავით კურაპალატს მიჰმართეს. დავითმა გამოგზავნა 12000 ახედაული თორნიკეს მეთაურობით, როგორც გამოცდილი და ახოვანი მხედართმთავრისა, რომელმაც სძლია ბარდას და ხელთ იგდო დიდი ნადავლი. ნაწილი ამ სიმდიდრისა, ათონზე მობრუნებისას. ირანე-თორნიკემ შეწირა ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს. ხოლო ნაწილი მისცა იოანეს და ააშენეს ქართველებისათვის საგანგებო მონასტერი. «რომლისა პაეროვნებაჲ და შუენიერებაჲ უაღრეს ქებისა აღმატებულ» იყო ასე რომ, ათონის მთაზე «დაღაცათუ ფრიადნი იყვნენ მონასტერნი. გარნა მსგავსი მისი არა იპოებოდა. და არა ხოლო მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთა»[1]. დამაარსებლებმა განიზრახეს ამ მონასტერში მარტო ქართველები ყოფილიყვნენ და ბერძნები არ შეეშვათ, მაგრამ დაბალი სამსახურისათვის, როგორიცაა მეზღვაურობა. მეეზოვეობა, მზარეულობა. ხაბაზობა. მეჯოროეობა და სხვ.. ქართველები ვეღარ იშოვეს და ბერძნები მოიწვიეს. რაც დრო გადიოდა, ბერძენთა რიცხვი თანდათან მრავლდებოდა მონასტერში, რომელმაც თავისი სიმდიდრითა და მშვენებით მათ ხარბ გულში აღძრა სურვილი ქართველების გაძევებისა აქედან და მისი ხელში ჩაგდებისა. თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ ამოირჩიეს მომენტი, როდესაც მესამე წინამძღვარი მონასტრისა. გიორგი ვარაზვაჩე. რომელმაც განსაკუთრებით გაამრავლა ბერძნები აქ. გარდაიცვალა მ ო ნ ო ე ა ტ ს ექსორიობაში ყოფნისას, სადაც ის გაგზავნეს პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. ბერძნები სამჯერ დაესხნენ თავს მონასტერს, გაძარცვეს ის და მოინდომეს სრულიად განედევნათ პატრონნი აქედან. ასე რომ ქართველები იძულებული შეიქნენ არა ერთხელ მიემართათ თხოვნით იმპერატორებისათვის. მოციქულებს გზავნიდნენ საქართველოშიც და საქმეში რევდნენ ქართველ მეფეებს, რომელნიც შესაფერ დიპლომატიურ შუამავლობას ეწევდნენ ხოლმე. ამჟამად მონასტერი გადაარჩინეს, მაგრამ ისინი გრძნობდნენ. რომ ბერძნები მათ მოსვენებას არ მისცემდნენ. ამიტომ სვიმეონ წინამძღვრის დროს მათ დაწერეს მ ო ს ა ს ე ნ ე ბ ე ლ ი, რომელშიც აღნიშნეს ისტორია მონასტრის აშენებისა. ქართველების უცილობელი უფლებები ამ მონასტერზე და წყევა-გუემა შეუთვალეს იმ ქართველებს, რომელნიც ოდესმე მოინდომებდნენ ან ხელს შეუწყობდნენ, ნებით თუ უნებლიეთ, აქ ბერძნების გამრავლებას, ქართველების დაჩაგვრას და მათ მონასტრიდან გამოძევებას. ეერც ამან გაჭრა. ბერძენთა რიცხვი აქ მაინც იზრდებოდა; განსაკუთრებით მეცამეტე საუკუნის გასულიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება თანდათან ძირს ეშვება, ქართველთა რიცხვი აქ შესამჩნევად კლებულობს, მათში ფეხს იკიდებს უთანხმოება და უწესობა, ასე რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის კ ა ლ ი ს ტ ე ს დადგენილებით. მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარში. მონასტერში წინამძღვრად და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ქართველებს უკვე აღარ ნიშნავენ. ამიერიდან, თუმცა ბატონ-პატრონად მონასტრისა ითვლებიან

[1] «ათონის კრებული», გვ. 65.



ათონის ქართველთა მონასტერი

ქართველები და საქართველოს მეფენი და მთავარნი მას მატერიალურ დახმარებას უწევენ, მაგრამ ფაქტიურად ბერძნები სჭარბობენ. მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური და საეკლესიო ერთეული, მოისპო, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ამ მონასტრიდან ქართველები, რომელთაც სამოციან წლებში ნება მისცეს დამკვიდრებულიყვნენ მახლობლად მონასტრისა იოანე მახარებლის სკიტში. მაგრამ ახლა, არც ისე დიდი ხანია, იქიდანაც გამოაძევეს ისინი და საბოლოოდ დაეპატრონენ ჩვენ წინაპართა ნაჭირნახულევს

ასეთია მოკლედ ისტორია ამ შესანიშნავი სავანისა, რომელიც მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა საბერძნეთში და რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო [1].

შავი მთა. ქართველთა სამონასტრო კოლონია შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში, ანტიოქიის მახლობლად, აღნიშნულ ხანაში არამცთუ არ შესუსტებულა, უფრო განვითარდა. განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნეში, რასაც, უეჭველია, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ 969—1084 წლებში აქ კვლავ ქრისტიანთა ბატონობა დამყარდა.

როგორც გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიდან ვგებულობთ, მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში აქ ყოფილა სამოცამდე ქართველი მოღვაწე. რომელნიც ბერძნებს აუთვალისწუნებიათ და მათი, სხვადასხვა ხრიკით, მონასტრიდან გამოძევება განუზრახავთ [2]. სვიმეონის მონასტერში ქართველებს ჰქონიათ თავისი ეკლესიაც, რომელსაც ისინი თ ო რ ნ ე დ უწოდებდნენ. ხოლო ბერძენნი — მ ო დ ა დ. აქვე. თუ სხვა ახლომახლო პუნქტში, მათ უმოღვაწნიათ საკუთარ თუ უცხოელთა მონასტერში, როგორიცაა: კასტანა, სადაც 1091 წლის მახლობლად წინამძღვრად ყოფილა ეფრემ მცირე; კალიპოსი, სავარ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა არსენ კალიპოსელი;

[1] ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, «თბილ. სახელმწ. უნივერ. შრომები», VI, გვ. 139—160; მ ი ს ი ვ ე, ეტიუდები, 11, 218—236.

[2] «ათონის კრებული», გვ. 312—316.

ვარლაამის, მამისა ეზრაძსი, სადაც ეფრემ მცირეს უთარგმნია ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა; ალექსანდრიის მონასტერი, «უდაბნო ლერწმის ხეივსა ზღვის პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევკიისა»[1]; თ უ ა ლ თ ა მონასტერი და სხვ. აქ, აღნიშნულ სავანეებში, მოღვაწეობდნენ ლიტერატურულ ასპარეზზე გიორგი მთაწმიდელი, მისი მოძღვარი და მოწაფე, რომელთაც აგრეთვე გიორგი ერქვათ, თეოფილე, ტარსუს მიტროპოლიტი, ეფრემ მცირე და მისი თანამშრომელნი და სულისჩამდგმელნი — ანტონ ტბელი, საბა სულაძსძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, გაბრიელ მღედელი, სტეფანე ჰუეველი, იოანე ფარნაკელი, იოანე მთავარაძსძე, კვირიკე ალექსანდრიელი, არსენ კალიპოსელი და სხვები, რომელთა სახელები გვხვდება ამ დროს გადაწერილ და ნათარგმნ თხზულებებში. ქართველებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ აქაურ, ადგილობრივ ბერძნულ-ასურულ-არაბულ ლიტერატურულ წრეებთან. მაგალითად, ეფრემ მცირეს მეგობრული განწყობილება ჰქონია ცნობილ ნ ი კ ო ნ შ ა ვ მ თ ე ლ თ ა ნ, რომელმაც დაწერა შესანიშნავი ტ ა ქ ტ ი კ ო ნ ი, და იოანე დამასკელის ცხოვრების არაბული ვერსიის ავტორ. მ ი ქ ა ე ლ თ ა ნ. ქართველების განკარგულებაში ყოფილა თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმეონწმიდას დაარსებული წიგნსაცავი, რომელშიაც ეფრემის დროს 420 წიგნი ყოფილა. ამასთანავე მათ ცხოველი კავშირი ჰქონდათ პალესტინისა და განსაკუთრებით ათონის ქართველ მოღვაწეებთან. მაგალითად, გიორგი მთაწმიდელს მისი მოძღვარი, გიორგი შეყენებული, აქედან გზავნის ათონზე სალიტერატურო მოღვაწეობისათვის. გიორგის მერეც არ შეუწყვეტია კავშირი შავ მთასთან, ის ორჯერ მოვიდა აქ ათონიდან. ათონისა და შავი მთის მწერალნი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ერთიმეორის სალიტერატურო მოღვაწეობას, უგზავნიდნენ ერთმანეთს თავიანთ ნაწარმოებებს და, ერთგვარი ეთიკის დასაცავად, ცდილობდნენ რაც უკვე ნათარგმნი იყო ერთ ადგილას, მეორე ადგილას არ გადათარგმნილიყო ნებით თუ უნებლიეთ[2]. აქ, შავ მთაზე, შემუშავდა განსაკუთრებული ლიტერატურულ-გრამატიკული სკოლა, რომლის იდეოლოგად ითვლებოდნენ ეფრემ მცირე და ბერი იოანე ფარნაკელი[3]. ამ სკოლამ თვალსაჩინო კვალი დატოვა ჩვენს მწერლობაში. მეცამეტე საუკუნეში შავ მთაზე კიდევ არსებობდა ქართული მონასტერი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, ხოლო ტაძარ-მონასტერი დანგრეულ-გავერანებულ იქნა, ქართველებიც იძულებული შეიქნენ იქაურობა სამუდამოდ მიეტოვებინათ.

ჯვარის მონასტერი პალესტინაში. მეცხრე-მეათე საუკუნეში საბას ლავრა და მისი მკვიდრნი ძალიან შეაწუხეს არაბებმა, აქ ცხოვრება და მოღვაწეობა გაძნელდა, ამიტომ ქართველთა რიცხვი ამ ლავრაში შესამჩნევად შემცირდა: ქართველებმა აირჩიეს უფრო მყუდრო და მიუვალი კუთხე მართლმადიდებელი აღმოსავლეთისა, სინას მთა, სადაც მეათე საუკუნის მეორე ნა-

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 208—209. A 845, ფ: 297ბ.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 224.
[3] ი ქ ვ ე. გვ. 218.

ხევარში დაემკვიდრნენ და თან გადაიტანეს საბას ლავრიდან როგორც სამონასტრო ტრადიციები, ისე იქ დამუშავებული და გადაწერილი წიგნების დიდი ნაწილი.

მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა; არაბებმა თავისი პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი, კერძოდ და განსაკუთრებით მონასტრებისადმი, რამდენადმე შეცვალეს, ასე რომ აქ შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრება. ამ გარემოებას უნდა გამოეწვია, ჩვენი აზრით, ქართველთა ჯვარის მონასტრის გაშენება აქ მეთერთმეტე საუკუნის სწორედ პირველ ნახევარში. ამ მონასტრის მაშენებელი იყო ვინმე პროხორე, რომელიც იყო შავშეთის ქვეყნიდან. ბავშვობაში ის დაემკვიდრა კლარჯეთის მონასტერში წყაროსთავში, სადაც მოღვაწეობდა მისი ძმა. როდესაც პროხორე წამოიზარდა და განისწავლა საკმაოდ, ის აკურთხეს დიაკვნად და მერე ბერად აღკვეცეს და მღვდლადაც აკურთხეს. ამის შემდეგ ის წავიდა პალესტინაში და დაემკვიდრა საბას ლავრაში, სადაც მან დაყო წელნი მრავალნი ყოველგვარ მორჩილებაში. მერე, ექვთიმე ათონელის ბრძანებით, მან იწყო შენება მახლობლად იერუსალიმისა, დასავლით კერძო მისა, საკანისა, «რომელსა უწოდიან ჯუარისა მონასტერი». აქ მან შემოკრიბა ოთხმოცამდე ძმანი, უზრუნველყო ისინი ყოველივე სახმარით. განუჩინა მათ «წესი და კანონი მონასტრისაჲ მსგავსადვე წმიდისა საბაჲს ლავრისა» და მერე «ფრიადისა შრომისა და სიბერისაგან» მოუძლურებული გარდაიცვალა დღესა კვირიაკესა 12 თებერვალს[1]. მონასტრის შენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმიდლის ბრძანებით, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს მაინც. ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერებით, რომელიც აქაა გადაწერილი, 1042 წლისათვის მონასტრის შენება თითქოს დამთავრებულია[2], მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ 1056 წლის გასულს, როდესაც გიორგი მთაწმიდელი პალესტინაში იყო, «ნეტარი მამა პროხორე მაშინ ოდენ ჯუარის მონასტერსა აშენებდა»[3]. უნდა ვიფიქროთ, რომ 1042 წელს დასრულებული იყო მთავარი ტაძრის შენება, ხოლო რაც შეეხება მის მორთვასა და სენაკების აგებას, ეს 1056 წელსაც არ იყო სავსებით დასრულებული, ასე რომ ეს მონასტერი შენდებოდა 1025—1060 წლებში. მაშასადამე, გარდაცვლილა პროხორე მეთერთმეტე საუკუნის სამოციან წლებში, სახელდობრ, 1066 წ., ვინაიდან 12 თებერვალი კვირა დღეს მოდიოდა 1066 წ. მონასტრის აშენებაში მას მატერიალურ დახმარებას უწევდა მეფე ბაგრატ მეოთხე და განსაკუთრებით დედამისი მარიამი, რომელმაც მას გიორგი მთა-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 523—524; А. Цагарели, Памятники грузинской старины в св. Земле и на Синае, стр. 89—111; პროხორეს ცხოვრება გამოსცა დ. ყიფშიძემ («Известия Кавказского историко-археологического Института в Тифлисе», II, 58—60).

[2] ბრიტანეთის მუზეუმის Addit. 11281; იხ. ჩუბინოვი — Житие и подвиги Иоанна, католикоса иранского, «Христ. Восток», т. II, вып. 3, стр. 308—310.

[3] «ათონის კრებული», გვ. 309.

წმიდლის ხელით დიდი შეწირულება გაუგზავნა[1]. თავდაპირველად, სანამ მონასტრის შენება დამთავრდებოდა, საჭიო წიგნებს აძ მონასტერს სწირავდნენ ათონის. კალიპოსის და სხვა მონასტერთა მოღვაწენი, მერე კი თვით ჯვარის მონასტერში გაჩაღდა ლიტერატურული მუშაობა. რომელიც უფრო სხვის მიერ დამზადებულ თხზულებათა გადაწერაში გამოიხატებოდა, ვიდრე დამოუკიდებელ თხზვაში. ქართული მწერლობა ჯვარის მონასტრისა, ხასიათითაც და შინაარსითაც, გაგრძელებაა ათონისა და საბას ლავრის ლიტერატურისა. ხელის სილამაზით აქაური ძეგლები, მართალია, ათონისა და საბას ლავრის ძეგლებს ვერ შეედრებიან, მაგრამ მაინც ძალიან ბაძავენ მათ და რამდენიმე მეტად საყურადღებო ნიმუშს გვაძლევენ. როგორც უნდა იყოს, მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეცხრამეტემდე, როდესაც აქ შეწყდა ქართული ელემენტი და სავანე ბერძენთა ხელში გადავიდა, ჯვარის მონასტერი იყო უმთავრესი ცენტრი პალესტინაში ქართული მწერლობისა.

ჯვარის მონასტრის გარდა. აღნიშნულ პერიოდში პალესტინაში ქართველები სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ სხვა მონასტრებშიც. მაგალითად, ძეგლებში მოხსენებულია შემდეგი მონასტრები: კაპათა, აშენებული მეთერთმეტე საუკუნეში დედოფალთა მართა და ბორენას მიერ, დელტავერდთა ქალების მონასტერი, წმიდა აღდგომა, დედათა მონასტერი დერთუფა[2], კატამონის მონასტერი, გეთსიმანია და სხვები. ამ პალესტინაში ქართველებს ჰქონიათ ოცამდე სავანე-მონასტერი, რომელშიაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან სულ ერთიანად გაქრა ქართველთა ხსენება.

პეტრიწონის მონასტერი. საზღვარგარეთულ ცენტრთა შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის ისტორიაში პეტრიწონის მონასტერს. ის გაშენებული იყო ბულგარეთში, სოფელ პეტრიწონში ან ბაჩკოვოში, სხვანაირად ვასილიკოსში, რომელიც მდებარეობდა ქ. ფილიპოპოლის მახლობლად, ჩრდილოეთით. მდინარე ჩეპელიარზე. ვინაიდან სოფელს პეტრიწონ ერქვა, მონასტერმა მიიღო სახელი პეტრიწონი (Петрицонитисса), ხოლო მისმა მოღვაწეებმა — პეტრიწონელი ან, მარტივად, პეტრიწი. ეს მონასტერი აუშენებია 1083 წელს მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილ გრიგოლ ბაკურიანისძეს. ამის შესახებ ცნობები დაუტოვებია ანა კომნინას[3], რომელიც მას სომხადა თვლის, თუმცა თვით გრიგოლი მონასტრის ტიბიკონში ან წესდებაში თავისთავს ქართველს უწოდებს და მონასტერს, რომელიც მან მხოლოდ და მხოლოდ ქართველთათვის ააშენა,

---

[1] «ათონის კრებული», გვ. 309.

[2] Н. Марр, Антиох Стратиг — Пленение Иерусалима персами в 614 году, стр. 63, прим.; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. X; კ. კეკელიძე. ქართველ ქალთა ძველებურ საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ეხიძკის «ძეთაძებე», ტ. XIII, 107—118.

[3] Alexiades, lib. II, 4.

ეძახის ქართველთა ან ივერიელთა მონასტერს (μονῆ τῶν Ἰβήρων), ეს გაუგებრობა გაჭრება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კრიგოლ ბაკურიანისძე, პროფ. ნ. მარის მოსაზრებით, იყო გაქართველებული ქალკედონიტი [1]. გრიგოლის მამა დიდი კაცი იყო, მას ორი ვაჟი დარჩა, გრიგოლი და ასპაზი [2], და რამდენიმე ქალი, რომელნიც მალე დათხოვდნენ. დედამ თავისი სიმდიდრე შვილების აღზრდას მოანდომა. ასპაზიმ მიიღო ბიზანტიის კარის მაგისტრობა და 1083 წელს, როდესაც გრიგოლი მონასტერს აშენებდა, ის უკვე გარდაცვლილი იყო. გრიგოლმაც მეტად სახელოვანი კარიერა შექმნა: განათლებული, ენერგიული და ჭკვიანი, ის ბედს დაეძებდა სომხეთში, საქართველოსა და სირიაში. ბოლოს მივიდა კონსტანტინოპოლს და საკუთარი მეცადინეობითა და ენერგიით აღემატა და გაბედიდრდა. იმპერატორის მიხეილ დუკას (1071—1078) და ნიკიფორე ბოტანიატის (1078—1081) დროს ის იყო ქ. ყარსის დუკად სომხეთში, არზრუმსა და მაკედონიის სმოლენაში. ამ დროს ის მოსულა ბანაში გიორგი მეფესთან და «მისცა მას კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა» [3]. იმპერატორმა ალექსი კომნენმა, რომლის გაეფეებას გრიგოლმა 1081 წელს დიდად შეუწყო ხელი, დანიშნა ის «დასავლეთის დომესტიკად», რომლის მოვალეობას შეადგენდა ბიზანტიელთა ჯარის ხელმძღვანელობა იმპერიის ევროპულ თემებში. ის დიდ დახმარებას უწევდა ალექსის მტრებთან ბრძოლაში და 1086 წ. გმირულად დაიღუპა პეჩენეგებთან ბრძოლაში ველიატოვოს მახლობლად. იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც გრიგოლსა და მის თანამემამულეთ მიუძღოდათ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრების თავგანწირულ დაცვაში, იმპერატორებმა მას დაუმტკიცეს ოქრობეჭდულით სოფელი პეტრიწო, სადაც მან, როგორც მიღებული იყო ბიზანტიის დიდ მოხელეთა და დიდებულთა შორის, მოხუცებულებაში, 1083 წელს, ააშენა მონასტერი. თავისი და თავისი საყვარელი ძმის ასპაზის ძვლების განსასვენებლად დაუზრუნველყო იგი უძრავი-მოძრავი ქონებითა და ყოველივე სახმარით. მთავარი ტაძარი მონასტრისა აშენებული იყო ღვთისმშობლის მიძინების, ხოლო სხვა ორი პატარა—იოანე ნათლისმცემლისა და მთავარმოწამის გიორგის სახელზე. 1084 წელს ამ მონასტერს დაუწერა წესდება ან ტიპიკონი, რომელიც შედგენილი იყო კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი. ვინმე ყოვლად წმიდის მიერ აშენებულის, მონასტრის (μονῆ Πναγίου) ტიპიკონის მიხედვით. ეს ტიპიკონი, რომელშიაც განსაზღვრულია ამ მონასტრის მკვიდრთათვის სავალდებულო წესები, დაწერილი იყო ბერძნულად, ქართულად და თითქოს სომხურადაც. ამდენ ხანს ცნობილი იყო მისი

[1] Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах халкедонитах, Петерб., 1905 г., стр. 17—24.

[2] ეს ასპაზი შეიძლება იყოს ის აბაზ ბაკურიანისძე, რომელსაც ათონის ივერიისათვის შეუწირავს პარაკლიტონი (ათონ. ხელნ. № 24, ფ. 192, კატალოგი Blake-სი, გვ. 139).

[3] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 281.

მხოლოდ ბერძნული ტექსტი, რომელიც გამოსცა 1904 წელს Louis Petit-მა[1]. მონასტერი აშენებული იყო ქართველთათვის ან სხვა ტომის ბერებისათვის, რომელთაც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდნენ. გამონაკლისს აქედან ბერძნები შეადგენდნენ. მათ შესახებ გრიგოლი პირდაპირ წერს (თ. 24. § 88): «გირჩევთ უველას, მონასტრის მკვიდრთ, და დაჟინებით მოვითხოვ, რომ ჩემს მონასტერში არ იქნეს მიღებული არასოდეს ბერძენი მღვდელი თუგინდ ბერი, გარდა ერთი ნოტარისა (საქმის მწარმოებელი), რომელიც ადგილობრივ არქონტებს აცნობებს ხოლმე წინამძღვრის გადაწყვეტილებას». ეს იმიტომ, ამბობს ის, რომ მე გამოცდილებით ვიცი, რომ «ვერაგი ბერძნები, ძალადობას, მტაცებლობასა და ანგარებას მიჩვეულნი, სარგებლობენ ხოლმე სხვა ეროვნების კერძოდ ქართველი ბერების, გულწრფელობითა და სიმარტივით და იტაცებენ მათ მონასტრებს, აყენებენ შიგ თავიანთ წინამძღვრებს და, ამა თუ იმ მიზეზით, აცხადებენ მათ თავის საკუთრებადო». ალბათ, გრიგოლს მხედველობაში ჰქონდა, სხვათა შორის, ათონისა და შავი მთის ბერძენი ბერების ოინები და მათი ცდა ქართველთა მონასტრების დაპატრონებისა. მონასტერი, რომელიც არ ემორჩილებოდა არც ერთ ადგილობრივ საეკლესიო და საერისკაცო ხელისუფალს, იყო კინოვიალური, შედგებოდა 50 ბერისაგან, რომელნიც კტიტორის, გრიგოლის, სიკვდილის შემდეგ, თვით ირჩევდნენ წინამძღვარს. მონასტერთან დაარსებული იყო სემინარია, რომლის შესახებ ლაპარაკია წესდების 31 პარაგრაფში (98). აქ ნათქვამია: «დაგვიდგენია, რათა უწვერულვაშო ბავშვები მოთავსებულ იქმნენ წმიდა ნიკოლოზის მონასტერში, მახლობლად ციხისა, სადაც მათ აშენენ, ასმენენ და ერთი ვინმე მოხუცებული მღვდელთაგანი, სავსე სათნოებითა და ცოდნითა, უხელმძღვანელებს და ასწავლის საღმრთო წერილს... ამ მოხუცებულ მღვდელს უნდა ჰყავდეს არა ნაკლებ ექვსი ბავშვისა, რომელთაც დიდი მონასტერი მისცემს საზრდოსა და ტანსაცმელს. ისინი უნდა დარჩნენ იქ, სანამ სრულიად არ გაიწვრთნებიან და სამღვდელო ხარისხისათვის არ მოემზადებიან. როდესაც წამოიზრდებიან და წვერს გაუშვებენ, ღირსი მღვდლობისა უნდა განწესებულ იქნეს მღვდელმოქმედად მონასტერში. ხოლო რომელნიც მღვდლობის ღირსად არ აღმოჩნდებიან, ისინი სრულიად გაძევებულ უნდა იქნენ (სემინარიიდან), თუმცა ექვსზე ნაკლები მოწაფე აქ არასოდეს არ უნდა იყოსო». თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს სემინარია ამზადებდა მღვდლებს მონასტრისათვის, რომელშიაც შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ისეთებს, ვინც ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდა, სწავლა ამ სემინარიაში, უეჭველია, ქართულ ენაზე წარმოებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ამ სემინარიის სასწავლო-საპროგრამო საჭიროებას აკმაყოფილებდნენ მანგანის აკადემიიდან გამოსული ქართველი

[1] «Византийский Временник», т. XI, 1904 г. ახლახან მოპოვებულ იქნა ქართული ტექსტიც, რომელიც სომხური ტექსტის შესახებ არას ამბობს. ქართული ტექსტი, ლათინური თარგმანით, გამოსცა მ. თარხნიშვილმა 1954 წ. Corpus scriptorum christianorum orientalium, vol. 143, Scriptores Iberici, t. III. Typikon Gregorii Bacuriani (ქართული ტექსტი), t. IV (ლათინური თარგმანი).

მოღვაწენი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ აქ მოღვაწეობდა ფილოსოფოსი იოანე, მისი პირველი რექტორი, რომელმაც ამ მონასტრისაგან მიიღო სახელი პეტრიწი.

აი, ეს პეტრიწონის მონასტერი გახდა ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად ჩვენი მწერლობისა, განსაკუთრებით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში. 1189 წელს ის გაძარცვეს და დაარბიეს ჯვაროსნებმა, მაგრამ ქართული ელემენტი აქ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგამდისაც იყო [1]. აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო სკოლა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პეტრიწონულ სკოლას და რომელმაც შემოიტანა ჩვენში ელინოფილური მიმართულება. განსაკუთრებული ყურადღება ამ სკოლაში მიქცეული ჰქონდა განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა დამუშავებას, რაჟაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო.

ჩვენ ჩამოვთვალეთ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საზღვარგარეთული ცენტრი, სადაც აღნიშნულ ეპოქაში ქართული მწერლობა ღვიოდა. თვით საქართველოშიაც იყო ამ დროს ისეთი პუნქტები, რომელნიც მწერლობის განვითარებას თვალსაჩინოდ უწყობდნენ ხელს. ამ მხრივ შეიძლება აღინიშნოს ტაო-კლარჯეთის ის მონასტრები, რომელნიც ასეთ როლს თამაშობდნენ ჩვენში წინა ეპოქაში. ეს მონასტრები — ხახული, შატბერდი, ხანძთა და სხვ.— ახლაც განაგრძობენ არსებობას, თუმცა, უნდა ითქვას, მათი მნიშვნელობა, როგორც ლიტერატურული ცენტრებისა, შესამჩნევად შემცირდა. ამ შემთხვევაში გავლენა იქონია საქართველოს პოლიტიკურმა ვითარებამ: მეთერთმეტე საუკუნიდან სცენაზე გამოვიდნენ სელჯუკიანები და ქართველთა სხვა მტრები, თუგინდ ბერძნებიც, რომელთაც განუწყვეტელი ომიანობა ჰქონდათ ამ საუკუნეში ქართველებთან. მათი მახვილი, პირველ ყოვლისა, გულში ხვდებოდა ტაო-კლარჯეთის მხარეს, ამან კი აქაური მონასტრები, მეცხრე-მეათე საუკუნესთან შედარებით, დააკნინა სულიერადაც და მატერიალურადაც, მაშასადამე, წაართვა მათ ის, რაც აუცილებელია ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობისათვის. მეორე მიზეზი უფრო კულტურული ხასიათისაა. როგორც ვიცით, მეათე საუკუნის გასულს ათონზე დაარსდა ახალი ცენტრი, ივერიის მონასტერი, რომლის მოღვაწენი და მოქმედნი უმთავრესად ტაო-კლარჯელები იყვნენ. ყველა ცხოველი და ნაყოფიერი ძალა აქედან, ამ მხარიდან, მიილტვის ათონზე, რის გამო ადგილობრივი მონასტრები თუ სრულიად არ დაცარიელდა, ყოველ შემთხვევაში, კულტურული ძალებით ძალიან გაღარიბდა. ამიტომ ის ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა, რომელიც IX—X საუკუნეებში წარმოებდა ტაო-კლარჯეთის მონასტრებში, მეთერთმეტე საუკუნიდან გადადის ათონზე. ტაო-კლარჯეთში ამიერიდან ჩვენ გვესმის წარსული

[1] А. Цагарели, Сведения, III, стр. XII—XIII. 1311 წელს შეუწირავს ორ ქართველ ძმას ღვთისმშობლის ხატი, როგორც ქართული წარწერიდან ჩანს. იხ. Архим. Иона, Бачковский монастырь, София, 1950 г., В. Николаев, Дата на типика установлена Григорием Бакуриани на неговото грузинской копие, София, 1951 г.

დიდების გამოძახილი და ისიც მხოლოდ სხვაგან ნათარგმნ და შეთხზულ ძეგლთა გადაწერაში.


მეთორმეტე საუკუნის დამდეგს საქართველოში ჩნდება ახალი სალიტერატურო ცენტრი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ეს არის დიდებული გ ე ლ ა თ ი ს მონასტერი, რომელიც დაკით აღმაშენებელმა ააგო. რუის-ურბნისის კრების ახლო ხანებშიო, ამბობს ბემატიასე. დაკითმა «მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიცა გამოარჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოველითურთ უნაკლულსა. რომელსა შინა მერმე ცაჲ გარდაართხა, ტაძარი ყოველად წმიდისა ღმრთისშობელისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინაწდელთა ქმნილობათა, რომელიც ზესთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა... და მუნვე შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შეძკულნი ყოველითა სათნოებითა, არა თჳსთა სამეფოთა ოდენ შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა: სადაცა ესმა ვიეთმე სიკეთე და სისრულე, სულიერითა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყუანნა და დ ა ა მ კ ვ დ რ ნ ა»[1]. და იგი «აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სასწაულოდ ყოველისა კეთილისა, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად. ფრიად უაღრესს მისსა, საღმრთოთა შინა წესად, კანონად ყოველსა საკლესიოჲსა შუენიერებისად»[2]. ამნაირად, დავით აღმაშენებელს გელათი განათლების ცენტრად გაუხდია საქართველოში. იგი მას დაუარსებია «მოძღურად სწავლულებისა, სხუად (ან მეორე) ათინად» ქართველთათვის. გელათი საქართველოსათვის გამხდარა აკადემიად. მსგავსად ათინის აკადემიისა, ამიტომ იმ დროის მეხოტბენი უწოდებენ მას ელადას: «ენატრი ელადსა, თჳით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა»[3]. ამ მონასტერმა, როგორც მემატიანეც ამბობს, იმთავითვე შემოიკრიბა თავის კედლებში საუკეთესო კულტურული ძალები როგორც საქართველოდან, ისე საზღვარგარეთიდან. ამიტომ, საკვირველი არაა, რომ ის მართლაც ა თ ი ნ ი ს ა კ ა დ ე მ ი ა ს დაემსგავსა ქართველებისათვის. აქ დაინთო ლამპარი ლიტერატურული შემოქმედებისა. რომელიც სავსებით არ ჩამქრალა საქართველოსათვის ბედშავ დროსაც კი, როგორიცაა XIV—XV საუკუნეები. ამ მონასტერში პოებდა გამოძახილს ლიტერატურული მოძრაობა. რომელიც განსაკუთრებით ათონსა და პეტრიწონის მონასტერში ღვიოდა. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ პეტრიწონის მონასტერში, სხვადასხვა პირობის გამო, მეცამეტე საუკუნიდან შესუსტებულმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ გაგრძელება პოვა სწორედ გელათს მონასტერში, სადაც გადმოტანილ იქნა ყველა იქაური ლიტერატურული ტრადიცია. აქ ითარგმნებოდა შესანიშნავი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებნი ქრისტიანული აზროვნებისა, რასაც ხელს უწყობდა საგანგებოდ აქ შექმნილი სპეციალური სასწავლებელი — აკადემია.

---

1 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 293—294.

2 ი ქ ი ე. გვ. 295.

3 **Н. Марр, Древне-грузинские одописцы, стр. 24, 105.**



პეტრიწონის ქართველთა მონასტერი



ჭალის ეკლესია

მესამე პერიოდში ახალ ცენტრებსა და ახალ ლიტერატურულ კერაზე ლაპარაკი აღარ გვიხდება: ახლა უკვეთესსა და უკეთეს შეთხზევაში აქა-იქ. სადაც მოახელთებენ, წინა დროის თხზულებათა გადაწერაში პოულობენ ნუგეშსა და საქაქას.

რაც შეეხება უკანასკნელ, მეოთხე, პერიოდს ჩვენი მწერლობისას, ამ პერიოდში ჩვენ არ შეგვიძლია ჩავთვალოთ მონასტრები საეკლესიო მწერლობის მნიშვნელოვან ცენტრებად არც შიგ საქართველოში. არც საზღვარგარეთ. შინაური მონასტრები, წინა ეპოქაში განადგურებულნი, ვერ გამოკეთდნენ ამ პერიოდში იმდენად, რომ მათ შესძლებოდათ გაეჩაღებიათ თავიანთ კედლებში გარდასულ ბრწყინვალე ჟამთა საგანმანათლებლო მოღვაწეობა; ისიც საკმაო იყო, რომ აქა-იქ არსებულ თხზულებათა გადაწერას ახერხებდნენ, ამ მხრივ ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის დავით გარეჯელისა და გელათის მონასტრებს.

ასეთი მუშაობა გელათში განსაკუთრებით მეთექვსმეტე საუკუნეში ყოფილა გაჩაღებული ორი კათოლიკოსის ხელმძღვანელობითა და მეთაურობით; ესენია: ე ე დ ე მ ო ნ I ჩ ხ ე ტ ი ძ ე (1560—1578) და ე ქ ვ თ ი მ ე I ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე (1579—1612). ეედემონი მეტად ენერგიული კაცი ყოფილა. მან მოხატა და გაამშვენა გელათის მონასტერი და, ვინაიდან «ფრიადი სურვილი აქუნდა ეკლესიათა ღა საღმრთოთა წერილთათჳს», გადააწერინა მრავალი საეკლესიო წიგნი, კერძოდ. იოანე ქსიფილინოსის შესანიშნავი აგიოგრაფიული კრებულის ორი წიგნი [1]. უფრო მეტად მოტრფიალე ყოფილა ლიტერატურული ძეგლებისა ექვთიმე საყვარელიძე. ამ მხრივ მას მშვენივრად ახასიათებს გელათის ერთ-ერთი ბელნაწერის ა ნ დ ე რ ძ ი. სადაც ნათქვამია: «ჴეშმარიტად იჴედვოდა საღმრთოთა წერილთა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა კახეთით. ქართლით. იმერეთით. ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროანსა და პატიოსანსა ყოველითურთ შემკობილსა წიგნებსა. და ჩუენ გუბოძებდა მათსა ალალსა მათითა კონდაკითა ნაშოებსა საქონელსა მრავალსა და აუ რაცხელსა და არა დასცჱრებოდა საღმრთოჲსა სურვილისაგან და ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა. სამ-სამისა და ორ-ორისა მწერლითა გვაწერინებდა და გუაშრომებდაო» [2]. მისი ბრძანებით გადაწერილ გელათის ხელნაწერთაგან ჩვენამდე შენახულა. სხვათა შორის, იოსებ ფლაბიოსის «მოთხრობანი იუდაბრივისა სიტყუადასაბამისანი» (№ 10), უზარმაზარი ჰომილეტიკური კრებული (№ 8), იოანე ქსიფილინოსის კრებულის ორი ტომი (№ 1, 2), მეტაფრაზების კრებული (Q 39) და ე. წ. ჭარტეილური გულანი (Q 87).

რაც შეეხება საზღვაგარეთულ მონასტრებს, აღნიშნული პერიოდის დასაწყისს ქართველების საკუთრებად ნომინალურად ითვლებოდა ჯვარის


---

[1] იხ. ხელნაწ. ამ მონასტრისა (დღეს ქუთ. მუზეუმის) №№ 4, 5.

[2] გელ. ხელნაწ. № 10, ფ. 1.

მონასტერი პალესტინაში და ივერიისა ათონზე, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ამათშიც ამოიფხვრა ქართველთა სახელი და მათ საბოლოოდ უცხოთესლნი დაეპატრონენ. ამ პერიოდის მწერლობა აღორძინდა მეფე-დიდებულთა სასახლეებში და კათოლიკოს-ეპისკოპოსთა სენაკებში. მწერლობა, რასაკვირველია, ინტენსიური, მონასტერთა კედლებიდან გამოვიდა და კერძო პირთა ხელსა და სახლში გადავიდა.

ნაწილი პირველი



1. იაკობ ცურტაველი

მეხუთე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლში ცნობილი ყოფილა ვიღაც ჯაღი ან ჯაღა, სომხური და ბერძნული ენებიდან მთარგმნელი. სამწუხაროდ, არც ვინაობა, არც ლიტერატურული შრომები მისი ჩვენ არ ვიცით, ასე რომ უძველეს მწერლად, რომლის ნაწარმოები ჩვენამდე შენახულა, უნდა მივიჩნიოთ იაკობ ცურტაველი; მას დაუწერია აგიოგრაფიული თხზულება, რომელსაც ეწოდება «წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ» [1].

თხზულებაში ნაჩვენებია ის მომენტი ჩვენი ცხოვრებისა მეხუთე საუკუნეში, როდესაც ირანის შაჰები, თავისი აგრესიული პოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად ქართლში, ეძებენ აქაურ ფეოდალთა შორის საჭირო აგენტებს, რომელნიც შეძლებდნენ ძირი გამოეთხარათ მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ამგვარი ტენდენციის ფონზე თხზულებაში ოსტატურად გადაშლილია მწვავე დრამა, რომელსაც ადგილი ჰქონია ქვემო ქართლის ერთ-ერთი პიტიახშის ოჯახში.

შუშანიკი იყო ასული სომეხთა სპასპეტის ან მხედართმთავრის ვარდანისა, რომელიც ცნობილი ისტორიული პირია, მამიკონიანთა საგვარეულოდან, სომეხთა კათოლიკოსის საჰაკ დიდის შვილიშვილი, ტარონიდან. ის ცოლად ჰყოლია ქართლის პიტიახშს ვარსქენს, რომელიც, ქრისტიანი იყო. ვარსქენი წასულა სპარსეთში და «რაჲთამცა სათნო ეყო მეფესა» სპარსეთისასა, ცეცხლთაყვანისმცემლობა მიუღია შაჰს, თანახმად მისი თხოვნისა, ცო-

---

1 მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 181—192; ს. გორგაძე, იაკობ ხუცესი — წამება წმიდისა შუშანიკისი, ქუთაისი, 1917 წ.; ი. ლ. აბულაძე, იაკობ ცურტაველი, 1938 წ.; ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 34—44. К. Кекелидзе, Памятники древнегрузинской агиографии, стр. 7—28, 1956.

ლად მიუცია მისთვის «ასული მეფისაჲ», რომელიც, სომხური რედაქციით, იყო სიდედრი მისი. ვარსქენს შაჰისათვის სიტყვა მიუცია, «ბუნებითს» ცოლს, ესე იგი შუშანიკს, და შვილებსაც, მოვაქცევო. როდესაც შუშანიკმა გაიგო ეს, მიატოვა მეუღლის სარეცელი და სასახლეში თავისთვის, განცალკევებულად, დაიწყო ცხოვრება. ვარსქენმა ამით თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია, თან თავისი განზრახვაც, შუშანიკის მოქცევა, ვერ განახორციელა, ამიტომ სამჯერ აუტანელი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას და ციხეში ჩასვა. ციხეში შუშანიკმა დაყო ექვსი წელიწადი და მეშვიდე წელს, დიდი ღვაწლისა და მოთმინებისაგან ძალამიხდილი, გარდაიცვალა იქვე, ცურტავს.

ყოველივე ეს აუწერია არამც თუ უბრალო თანამედროვესა და თანადახვდომილს, არამედ სასახლესთან მეტად დაახლოებულს და ამასთან შედარებით მომზადებულ პირს, ი ა კ ო ბ ს, რომელიც იყო კარის მღვდელი და მოძღვარი შუშანიკისა. იაკობი ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელიც ერთ წამსაც კი არ მოშორებია თავის სულიერ შვილს აუტანელი წამებისა და გაჭირვების დროს, მასთან იყო სასახლეშიც და მის გარეც, ეკლესიაშიც და, შეძლებისამებრ, ციხეშიაც. ის ანუგეშებდა და ამხნევებდა შუშანიკს, ის უამებდა მას როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ ტანჯვას. ამ კაცს, როგორც დაახლოებულს და შუშანიკის ცხოვრების ინტიმურ მხარეთა მცოდნეს, უკისრია მისი ღვაწლისა და მოთმინების აღწერა. პიტიახში ვარსქენი ჯერ არ დაბრუნებულიყო სასახლეში სპარსეთიდან, სადაც მან ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, როდესაც იაკობი, რომელიც წინასწარ გრძნობდა, თუ რა მოხდებოდა ცოლ-ქმარს შორის, მივიდა შუშანიკთან და უთხრა მას: «ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო», ამიტომ მაუწყე ყოველივე შენი თავგადასავალი, «რაჲთა ვუწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენიო». აქედან ნათლად ჩანს, რომ იაკობს შუშანიკის წამების აღწერა არ უკისრია ვისიმე წინასწარი შეკვეთითა და თხოვნით [1], ამის მზადებასა და თადარიგს ის ჯერ კიდევ ღვაწლისმძლე დედოფლის სიცოცხლეშივე შედგომია.

თხზულება რომ იაკობს მიერაა დაწერილი, ეს ჩანს თვით შრომიდან, სადაც ავტორი პირველი პირით ლაპარაკობს თავისთავის შესახებ: «და მეცა, ხუცესი დედოფლის შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას», «ხოლო მე ვჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა», «შუშანიკ მრქუა მე... და მე ვარქუ მას», «მოვიდა ყმაჲ ერთი და თქუა: იაკობ მანდა არსა? და მე ვარქუ ვითარმედ: რაჲ გინებს? და მან მრქუა: უწესს პიტიახში. და მე დამიკჳრდა თუ რაჲსა მე მიწესს ამას ჟამსა, და მივისწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: უწყია ხუცეს!»

ბიოგრაფიული ცნობები იაკობის შესახებ არ მოგვეპოვება; ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო კარის ხუცესი ან მღვდელი, მოძღვარი შუშანიკისა, რომელიც მისი ბედით ძალიან დაინტერესებული იყო. ყოველ შემთხვევაში, სიკვდილის წინ ის მის თავს აბარებს სახლის ეპისკოპოსს აფოცს: «შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი» აფოცსაო, ამბობს იაკობი (ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოც., XVIII, 3—4). როგორც ასეთს, თან ცნობილ იმ დროს მწერალს, მას

[1] როგორც ს. გ ო რ გ ა ძ ე ფიქრობდა, გვ: 25.

შეეძლო თვალსაჩინო საეკლესიო კარიერა გაეკეთებია. საფიქრებელია, რომ შემდეგში ის დადგენილ იქნა ცურტავის ეპისკოპოსად. 506 წლის დეინის კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა რიცხვში აღნიშნულია ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი, როგორც მეხუთე მღვდელმთავარი ამ კათედრისა აფოცის შემდეგ. ადამიანი, რომელიც მეხუთე საუკუნის ოთხმოციან წლებში კარის მღვდელი იყო, 506 წლისათვის უკვე შესძლებდა ეპისკოპოსობის ხარისხის მიღებას (შად. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, გვ. 060).

საფიქრებელია, რომ იაკობს, როგორც განათლებულსა და მომზადებულ პირს, შუშანიკის მარტვილობის გარდა, კიდევ დაეწეროს რამე. ყოველ შემთხვევაში, ამის საბუთს გვაძლევს ჩვენ თვით დასახელებული მარტვილობა, რომელიც იწყება, როგორც იტყვიან, ex abrupto: «და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ». გამოდის, თითქოს ეს მარტვილობა გაგრძელებას შეადგენს რომელიღაც სხვა ნაწარმოებისას. ამასვე გვაფიქრებინებს წინადადებაც: შუშანიკი იყო «მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა იგი თქუთ, სიყრმითგან თჳსით». არსად თხზულებაში არ მოიპოვება ცნობა შუშანიკის ღვთისმოშიშობის შესახებ ბავშვობაში. ცხადია, ავტორს სადღაც, რომელიღაც ნაწარმოებში, წინათაც ჰქონია ლაპარაკი შუშანიკის შესახებ. ეს წინადადება და აგრეთვე სიტყვები: «და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და ნეტარისა შუშანიკისა», საფუძველს აძლევს აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს იფიქროს, რომ იაკობის შენახული შრომა წარმოადგენს მეორე ნაწილს — შუშანიკის აღსასრულის მომთხრობელს, — ხოლო პირველი ნაწილი, რომელშიც ლაპარაკი იქნებოდა მისი ბავშვობის შესახებ, ავტორს ამ შემთხვევაში განგებ არ მოუყვანიაო [1]. შეიძლება ეს ასეც იყოს, თუმცა აგიოგრაფიული მწერლობის ტრადიციას ასეთი დანაწილება ერთი მთლიანი ნაწარმოებისა არ სჩვევია. უფრო საფიქრებელია, რომ პირველი ნაწილი რაიმე მიზეზით დაიკარგა. შეიძლება უფრო. ახლოს ვიქნეთ სიმართლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ იაკობს დაწერილი ჰქონდა რაღაც ისტორიული შრომა, რომელშიც შუშანიკის შესახებ გაკვრით იყო ლაპარაკი, ისე, როგორც გაკვრით იხსენიებს მას მემატიანე [2]. ვინაიდან ასეთი გაკვრითი მოხსენება ღირსშესანიშნავი პიროვნების მოწამებრივი აღსასრულისა მაშინდელ ეკლესიურად მოაზროვნე და განწყობილ საზოგადოებას ცნობისმოყვარეობას უღიზიანებდა, იაკობმა მერე ცალკე, საგანგებოდ ან დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი თ, როგორც თვითონ ამბობს, აღწერა მისი მარტვილობა [3].

როგორც აღწერილი ამბების თვითმხილველსა და თანამედროვეს, იაკობს თავის თხზულებაში შეუტანია ცნობები იქ მოხსენებულ პირთა ვინაობის შე-

---

1 ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 2, გვ. 25.

2 ჭართ. ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 188.

3 საფიქრებელია, რომ მას, როგორც თანამედროვეს, აღწერილი ჰქონდა ვახტანგ გორგასალის მეფობა, როდესაც ვარსქენ პიტიახშიც გარკვეულ როლს თამაშობდა. შესაძლებელია, ეს, დღეს დაკარგული, შრომა ერთ-ერთ წყაროდ ჰქონდა ვახტანგის მემატიანეს ოავისი ისტორიული თხზულების დაწერისას. რასაკვირველია, ამას ჩვენ ვამბობთ არა დაჟინებით, ბრამედ, როგორც ჰიპოთეზს.

სახებ, აღუნიშნავს მათი სახელები, თუმცა სპარსთა მეფის სახელი, ალბათ, შემდეგდროის გადამწერთაგან, მოთხრობაში ახლა გამოტოვებულია. მას დასახელებული აქვს აგრეთვე მოქმედების ყველა ადგილი, რითაც ჩვენი ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას ის თვალსაჩინო სამსახურს უწევს. ზოგიერთი პუნქტი ისეთი სიცხოველითა და ნიშანდობლობით აქვს აღწერილი, რომ უკეთესს საგანგებო აღწერილობაშიაც კი ვერ მოვიხოვდით. მაგალითად, იმ ადგილის ბუნებას, სადაც შუშანიკი იტანჯებოდა, ის ასე აგვიწერს: «ყამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჯურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალი მავნებელი, რომლისა მკჳდრნიცა მის ადგილისანი, სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწრეტილნი და დამშრალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხოვრებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ჭუეყანათა». ავტორს შეუმკია თავისი თხზულება ქრონოლოგიური ცნობებითაც, როგორც, მაგალითად, ვარსქენის სპარსეთს გამგზავრება, სპარსელების ომიანობა ჰუნებთან, შუშანიკის ტანჯვის დასაწყისი და ეტაპები, მისი ციხეში ყოფნა, გარდაცვალება და ხსენების დღის დაწესება. მას წარმოუდგენია ამ შრომაში ცოცხალი სურათი მაშინდელი ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა, ჩვენი უძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, საეკლესიო ორგანიზაცია და კერძო საოჯახო ცხოვრება. ასე რომ, ამ მხრივ მისი შრომა არ ეტევა საეკლესიო მიზნით დაწერილი, ისიც აგიოგრაფიული, თხზულების ჩარჩოებში და წმინდა ისტორიულ-ბელეტრისტიკული პროზის ხასიათი აქვს. კილო მოთხრობისა გამსჭვალულია თავიდან ბოლომდე გულწრფელობით, უშუალობითა და ბუნებრიობით: ავტორი ერთნაირი მიუდგომლობით გვიხატავს ჩვენ დადებითსა და უარყოფითს (გადაჭარბებული ასკეტიზმისაც კი) მხარეებს ყველაფრისა და ყველასას, ვისაც და რასაც კი ეხება ის თავის თხზულებაში. მოთხრობის ბუნებრივი მიმდინარეობა, რომელმაც არ იცის არც თემისაგან მოულოდნელი გადახვევა აგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებისა, არც გრძელი ტრაფარეტული ლოცვები და სასწაულთა აღწერილობანი, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი და მოხდენილი, ლაკონიური ენა მოთხრობისა ამჟღავნებს ავტორის უდავო ლიტერატურულ უნარიანობასა და მხატვრულ გემოვნებას. უკანასკნელი ნათლად ჩანს, თუ გნებავთ, ისეთი სახეებისა და მეტაფორა-შედარებებიდან, როგორიცაა: ვარსქენმა «უკუამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა, და სანთელი ჩემი დაშრიტა, და ყუავილი ჩემი დაჰჭნო, შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა». ნიშიერი ხელოვანის მიერაა მოხაზული შემზარავი სურათი შუშანიკის ცემა-ტანჯვისა და ციხეში ყოფნისა, რომელსაც უფრო აძლიერებს «მატლიცა იგი, წყლულთა მათზედა მისთა დასხმული, რომელ იგი აღიღო ჴელითა თჳსითა და უჩუენებდა» იაკობს.

ავტორის მიზანია განმტკიცება ქრისტიანობისა და სამშობლოსადმი, რომელსაც აწვება აგრესიულად განწყობილი ირანი, ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობისა. ის ხაზს უსვამს იმ თანაგრძნობას, რომელსაც იწვევს ადამიანის გულში მოწამებრივი ღვაწლი შუშანიკისა, და იმ ზიზღს, რომელიც

დაიმსახურა ვარსქენის ჯალათობამ, პოლიტიკურ-სარწმუნოებრივმა რენეგატობამ და სამშობლოს ღალატმა. მას, როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანს, სჯერა, რომ თუ ამ ქვეყნად არა, იქ, საიქიოს, მაინც მოეღება ბოლო მამაკაცისა და დედაკაცის უთანასწორობას. ვინაიდან იქ «არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ», იქ მე (შუშანიკმა) და მან (ვარსქენმა) «სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე» ქრისტესა.

თხზულება დაწერილია მეხუთე საუკუნეში, მაგრამ, სახელდობრ, როდის? ამისათვის საჭიროა გავარკვიოთ შუშანიკის წამების თარიღები. ს. გ ო რ გ ა ძ ი ს აზრით, რომელსაც მხარს უჭერს აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, შუშანიკი გარდაიცვალა 472 წლის 17 ოქტომბერს: ის ციხეში ჩასვეს მეფის პეროზის მერვე წელს (466), აქ მან დაყო ექვსი წელი და აღესრულა, მაშასადამე, 472 წელსაო. მაგრამ სომხური სინექსარის სინქრონოლოგიური ცნობით[1], შუშანიკი გარდაცვლილა 474—6 წლებში. აქ უფრო დაახლოებული ვართ სინამდვილესთან. საქმე ისაა, რომ თხზულებაში ნათქვამია: «და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ თთუესა აპინისისასა, მერვესა თთჳსასა და დღესა ოთხშაბათსა... და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა, და აღსრულებაჲ მისი თთუესა ოკდონბერსა ათჩვიდმეტსა, საკსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანწმსთა». აქ საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ორჯერ ნახმარია ძველი ქართული სახელწოდება თვისა — აპინისი, ვარდობა,—ერთხელ კი რომაული — ოკდონბერი. ყოველ ექვს გარეშეა, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც თავდაპირველ დედანში იყო ქართული სახელწოდება ს თ უ ლ ი ს აჲ. ამისი კვალი დარჩენილა ქართული ტექსტიდან მომდინარე სომხურ რედაქციაში, სადაც შუშანიკის აღსასრული დადებულია 17 ქ აღ ო ც ს. «ქაღოც» სიტყვასიტყვითი თარგმანია ქართული «სთულისა». მაშასადამე, შემდეგი დროის გლოსატორს თუ რედაქტორს სახელწოდება «სთულისაჲ» შეუცვლია მის დროს ხმარებული სახელით «ოკდომბერი»[2].

ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ კიდევაც, თუ როდის უნდა მომხდარიყო ასეთი შეცვლა. ვფიქრობთ, არაუადრეს მეათე საუკუნისა: შუშანიკის გარდაცვალების თარიღს — «ათჩვიდმეტსა ოკდომბერსა» — მიმატებული აქვს გლოსა: «საკსენებელსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანწმსთაა». ეს გლოსა მეცხრე-მეათე საუკუნეზე ადრე არ შეიძლებოდა გაკეთებული ყოფილიყო, ვინაიდან კოზმან და დამიანეს ხსენება 17 ოკდომბერს მხოლოდ მეცხრე-მეათე საუკუნიდან ჩნდება, მანამდე ის სხვა თვეებში იყო დადებული. ამრიგად, თვეთა სახელები თხზულებაში ყველგან ძველი ქართული ყოფილა

---

[1] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, გვ. 63.

[2] ეს მას იმიტომ ჩაუდენია, რომ, ლიტურგიკული მიზნით, საჭირო იყო შუშანიკის გარდაცვალება თანამედროვე საზოგადოებისათვის მისთვის გასაგებ ენაზე აღენიშნა; «აპინისი» და «ვარდობისა», როგორც თვეები შუშანიკის ტანჯვისა, მას არ შეუცვლია, ვინაიდან ლიტურგიკული თვალსაზრისით მათ მნიშვნელობა არ ჰქონდათ.

და ეს ბუნებრივიცაა: თვეთა რომაული სახელები მეხუთე საუკუნეში არამც თუ ჩვენში, კონსტანტინოპოლის კანცელარიებშიც კი მოულოდნელია [1].

შუშანიკის ტანჯვა-წამება დაწყებულა «თთუესა აპნისისასა რვასა, დღესა ოთხშაბათსა». «აპნისი» აქ უდრის ზუსტად, უმეტნაკლებოდ, იანვარს, ხოლო რვა აპნისი — რვა იანვარს [2], რვა იანვარი კი ოთხშაბათ დღეს მოდიოდა 469 წელს. ვარსქენი სპარსეთს წასულა პეროზის მერვე, ე. ი. 467 წელს, მობრუნებულა იქიდან, უნდა ვიფიქროთ, 468 წლის უკანასკნელ თვეებში, და აპნისის ან იანვრის რვას პირველად უწამებია შუშანიკი. მეორედ უტანჯნია ის «შემდგომად აღსებისა ზატიკსა, დღესა ოთხშაბათსა», ესე იგი 469 წლის აღდგომის ორშაბათს, 14 აპრილს (ვინაიდან 469 წელს აღდგომა 13 აპრილს მოდიოდა), და ციხეში ჩაუსვამს ის. ციხეში შუშანიკმა დაყო ექვსი სრული წელიწადი (469 წლის 14 აპრილიდან 475 წლის 14 აპრილამდე). ამ ხნის განმავლობაში ის დასნეულდა და, «ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა», ესე იგი იმავე 475 წლის «სთულის» თვის ჩვიდმეტს გარდაიცვალა კიდეც. ჩვიდმეტი «სთულისა», ესე იგი ოკდონბრისა, ვინაიდან «სთველი» აქაც ოკდონბრის ზუსტ შესატყვისადაა აღებული, 475 წელს მოდიოდა პარასკევ დღეს [3]. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ შუშანიკის ხსენება დაუწესებიათ, როგორც ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, არა იმავე დღეს, პარასკევს, არამედ ხუთშაბათს. რატომ? იმიტომ, რომ იმდროინდელი ეორტალოგიური პრაქტიკით, პარასკევ დღეს (აგრეთვე ოთხშაბათსა და კვირას) არ შეიძლებოდა წმინდანთა ხსენების დაწესება; თუ მათი აღსასრული ამ დღეს მოხდებოდა, ხსენება წინადღით, ესე იგი ხუთშაბათს იქნებოდა ხოლმე დადგენილი.

თავისთავად ცხადია, რომ თხზულება დაწერილია შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ (აქ აღწერილია მისი სიკვდილი და დასაფლავება). ისიც ცხადია, რომ დაწერილია იგი ვარსქენის სიკვდილამდე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 484 წელს [4], წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი უეჭველად აღნიშნავდა მის არაბუნებრივ სიკვდილს, თუ სხვა მოსაზრებით არა, როგორც ღვთისაგან მისდა სამაგიეროს მიგებას უკეთურებისათვის მაინც. მით უმეტეს, რომ ასეთ «მიგებას» ის თხოულობს შუშანიკის პირით, რომელსაც ათქმევინებს: ვარსქენს «მიაგოს უფალმან», რადგანაც მან ესა და ეს მიყო მეო., ამნაირად, შუშანიკის მარტვილობა იაკობ ცურტაველის მიერ დაწერილი უნდა იყოს 476—483.

---

[1] Проф. В. Болотов. Христианск. Чтение, Журналы Совѣта Петерб. Академии за 1896—7 гг., стр. 256—7.

[2] ავტორი მიმდევარია ე. წ. ინდიკტური წელიწადისა, რომლის პირველი თვე, ძველი ქართული სახელწოდებით «სახალწლისაჲ», სექტემბერს უდრიდა უმეტნაკლოდ. იმ დროს ჩვენში ყოფილა მიმდევარნი მეორე სისტემისაც, რომლითაც წელიწადი იწყებოდა აგვისტოს. თვით (ს. ყაუხჩიშვილი, ძველი ქართული წელიწადი, «თბილ. სახელმწ. უნივერ. შრომები», ტ. XVIII, 1941, გვ. 1 — 28).

[3] თხზულების ცნობა: «და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საკსენებელო წმიდისა შუშანიკისაჲ», უნდა გავიგოთ როგორც დღე მისი ხსენებისა, დღესასწაულისა, და არა გარდაცვალებისა.

[4] ი ვ. ჯავახიშვილი, ქართველთ ერის ისტორია, I², 221.

წლებში, მაშასადამე, ის მართლაც უძველესი ძეგლია ქართული ორიგინალური მწერლობისა.

არსებობს მეორე, მოკლე რედაქცია შუშანიკის მარტვილობისა, რომელიც ათონის ივერიის მონასტრის XI საუკუნის დამდეგის ერთ-ერთ ხელნაწერში (№ 57) აღმოაჩინა ნ. მარმა[1] და გამოსცა ა. ხახანაშვილმა[2]. ეს რედაქცია გადმოთარგმნილი ყოფილა სომხურიდან არა უგვიანეს 940 წლისა[3]. იმ რედაქციიდან, რომელიც დაბეჭდილია «სოფერჭ ჰაჲკაკანჭის» მეცხრე ტომში (გვ. 49—55). სომხური დედანი ამ მოკლე რედაქციისა გადმოკეთებული ყოფილა ვრცელი რედაქციიდან[4]. ხოლო ეს უკანასკნელი გადმოკეთებულია იაკობის შრომიდან[5]. ასე იყო წარმოდგენილი მეცნიერებაში აქამდე ურთიერთობა ქართულ-სომხური ტექსტებისა.

1935 წელს ბელგიელმა ორიენტალისტმა P. Peeters-მა გამოაქვეყნა შრომა «Sainte Sousanik, Martyre en arméno-géorgie»[6], რომელშიაც მან მოგვცა ლათინური თარგმანი, ვრცელი გამოკვლევით, შუშანიკის მარტვილობის ქართული და სომხური ტექსტებისა. ამ შრომაში ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქართული ტექსტი ფსევდოეპიგრაფიულია, ის არ ეკუთვნის შუშანიკის თანამედროვე იაკობს. მას საქმე ასე აქვს წარმოდგენილი: სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების, ესე იგი მეშვიდე საუკუნის, შემდეგ ქართველებს იმის დასამტკიცებლად, რომ შუშანიკი ქართველი წმინდანია, დაუწერიათ პირველი მარტვილობა მისი, რომელიც მალე დაკარგულა. ამის საპასუხოდ სომხებმა დაწერეს დღეს ცნობილი ვრცელი რედაქცია შუშანიკის მარტვილობისა, რომლის მიზანია დაამტკიცოს, რომ შუშანიკი სომეხია და სომეხთა წმინდანი. ქართული ფსევდოეპიგრაფიული, იაკობის სახელით ცნობილი, მარტვილობა შუშანკისა დაიწერა 940 წლის შემდეგ, გასაბათილებლად, ერთი მხრით, სომხურიდან 940 წელს თარგმნილი მოკლე სვინაქსარული რედაქციისა, მეორე მხრით, შესაძლებელია, უხტანესის საისტორიო შრომისაც, რომლებშიაც მოცემულია ქართველებისათვის შეუწყნარებელი ცნობა შუშანიკის სომხობის შესახებ. ამ ფსევდოეპიგრაფიულ შრომას, ამბობს მკვლევარი, რომელსაც ვერ უპოვია გამოხმაურება ვერც საისტორიოსა და ლიტურგიკულ მწერლობაში, ვერც ძველ ქართულ კალენდარში, ვერც «იერუსალიმის განჩინებასა» და მის გადამუშავებაში, ვერც შატბერდის სტიხირარსა და საგალობლებში, შემოუნახავს ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც სომხურ რე-

---

1 «Из поездки на Афон», ЖМНП, Март, 1899 г.; მისივე, Агиографические материалы, I, 64.

2 Материалы по грузинской агиологии, стр. 49—51; იხ. აბულაძე, მარტვლობა შუშანიკისი, გვ. 49—53.

3 P. Peeters: Analecta Bollandiana, t. 53, fasc. III—IV, p. 299; ნ. მარი კ არაუგვიანეს VIII საუკუნისა.

4 «სოფერჭ ჰაჲკაკანჭ», ტ. IX, გვ. 10—47; იხ. აბულაძის გამოკვლევით, მოკლე სვინაქსარული რედაქცია წინ უსწრებს ვრცელს («იაკობ ცურტაველი», გვ. 034).

5 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 2, გვ. 20—23.

6 «Analecta Bollandiana», t. 53, fasc. I — II და III —IV, 1935.

დაქციაშიც არის, ის აგრეთვე ამჟღავნებს, რომ სომხური რედაქცია ატარებს ქართულზე რაღაც დამოკიდებულების კვალს. ასეთია, მაგალითად, არევა სიტყვებისა: «გამოდევნა» და «გამოდენა» (fasc. I—II, p. 17, not. 3), «სახლი» და «სახელი» (p. 21, not. 1) და სხვ. (p. 20, not. 3, p. 23, not. 3). ამას ყველაფერს Peeters-ი ხსნის იმით, რომ, როგორც ფსევდოიაკობის შრომაში, ისე სომხურ რედაქციაში გამოყენებულია პირველი ქართული, დღეს დაკარგული, რედაქცია შუშანიკის მარტვილობისა (fasc. III — IV, p. 304).

ყველაფერი ეს აგებულია მეტი რომ არ ვთქვათ, სრულ გაუგებრობაზე. ჯერ ერთი, არაა მართალი, ვითომც იაკობის შრომა არ პოულობდეს გამოხმაურებას ძველ ქართულ ლიტერატურაში, შუშანიკს ჩვენი ძველი ლიტერატურა იცნობს, და კარგადაც იცნობს[1]. მეორე — ფსევდოიაკობისა და სომხური რედაქციის საერთო ადგილები, აგრეთვე კვალი სომხურის ქართულზე დამოკიდებულებისა, ახსნილია იმით, რომ ვითომცდა ორივენი სარგებლობენ პირვანდელი ქართული რედაქციით. მაგრამ, თუ ეს რედაქცია ჯერ კიდევ 940 წლამდე დაიკარგა, როგორ ისარგებლებდა იმით 940 წლის შემდეგ ფსევდოიაკობი? მესამე—არსაიდან არ ჩანს, რომ ფსევდოიაკობს თავისი შრომა დაეწეროს იმ აზრის გასაბათილებლად, რომ შუშანიკი სომეხია და სომხებთან დამოკიდებულება აქვს. პირიქით, ის ხაზგასმით ამბობს, რომ შუშანიკი «იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაპეტისაჲ». მასალის ერთობა და დამოკიდებულების კვალი მაჩვენებელია იმისა, რომ სომხური ვრცელი რედაქცია მომდინარეობს იაკობის შრომიდან პირდაპირ, რომ არ ყოფილა არავითარი, დღეს დაკარგული, ქართული შუალედი რედაქცია, ასე რომ პრიორიტეტი ყოველმხრივ იაკობის შრომას ეკუთვნის. ამის მაჩვენებელია, პირველ ყოვლისა, დეტალები ნაწარმოებისა: ა) ქრონოლოგიური: ვარსქენის სპარსეთს გამგზავრება პეროზის მერვე წელს, აღნიშნა შუშანიკის სამგზის ტანჯვის დროისა— 8 აპრილს, აღდგომის ორშაბათს, 19 ვარდობისას; ბ) გეოგრაფიული: ქუეყანა ჰერეთისა — საზღვარი ქართლისა, უდი — სასაფლაო ვარსქენის დედისა, შუშანიკის წამების ადგილის ბუნების ზედმიწევნითი აღწერილობა; გ) ყოფაცხოვრებითი: ქალისა და კაცის ერთად პურის ჭამა, მზითევის უკან დაბრუნება, ციხის რეჟიმის აღწერილობა. შეუძლებელია, ეს დეტალები გადმომთარგმნელს, იაკობს, შეეთხზა. გამოტოვება კი მათი თარგმნის პროცესში ქართულიდან სომხურად სავსებით დასაშვებია. ამის მაჩვენებელია შემდეგ ზემოაღნიშნული ცხოველი ტონი მოთხრობისა; ეს ტონი უფრო უდგება უშუალოდ მთქმელს, ვიდრე მთარგმნელს. დასასრულ, ქართულ რედაქციაში არსად ნაციონალური კვალი არ ჩანს: სომხური თაიდან ბოლომდე გაჟღენთილია ნაციონალური

[1] იხსენიებს მას კირიონი სომხებთან მიწერ-მოწერაში, «მოქცევაჲ ქართლისაჲ», ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი, არსენ დიდი საფარელი, მიქელ მოდრეკილი, იოანე-ზოსიმეს სვინაქსარი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ვერსია «იერუსალიმის განჩინებისა» და თვით «იერუსალიმის განჩინება» ჩვენი გამოცემით, მხოლოდ აქ ხელნაწერში სტრიქონი გადაჭრილი ყოფილა და ახლა იკითხება: «ქსენებაჲ კოზმანისი, რომელი ქართლს იწამაჲ», თავდაპირველად კი იკითხებოდა ასე: «ქსენებაჲ კოზმან-დიანეთაჲ და შუშანიკისი, რომელი ქართლს იწამაჲ».

«შუშანიკის მარტვილობის» XI ს. ხელნაწერი

ტენდენციით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იაკობის შრომა დაწერილია სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცხოვრებაში ნაციონალიზაციის პროცესის დაწყებამდე, ხოლო სომხური ამის შემდეგ, უფრო სწორად, მათ შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ.

ეს რომ ასეა, იაკობის შრომა რომ მართლაც სომეხ-ქართველთა საეკლესიო ერთობის ხანაშია დაწერილი, შემდეგიდან ჩანს: 1) დღესასწაულები მოძრავია: შუშანიკის ხსენება დაუწესებიათ არა მისი აღსასრულის დღეს, არამედ ხუთშაბათს; ასეთი პრაქტიკა ჩვენში სწორედ აღნიშნულ ეპოქაში იყო მიღებული და ის მდგომარეობდა იმაში, რომ მოწამეთა და წმინდანთა სახსენებელი თვის რიცხვთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ შვიდეულის დღესთან. ასე, მაგალითად, მირიანის დროს «დააწესეს დღესასწაული ძლევით შემოსილისა ჯუარისაჲ აღსებისა ზატიკისა ზატიკსა, დღესა კჳრიაკესაა» («Описание», II, 795), ანდა: «მარტჳლისა უკუანა ზატიკისა, დღესა ოთხშაბათსა» (იქვე და იოანე-ზოსიმეს კალენდარი); «და განაწესეს დღესასწაული ნეტარისა აბიბოსისი მეხუთესა ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა» [1]; «პირველსა ხუთშაბათსა შემდგომად ამაღლებისა—დავით გარეჯელისა» [2]; «პირველსა ოთხშაბათსა შემდგომად ამაღლებისა — დოდო გარეჯელისა» [3]; კჳრიაკესა მესამესა ზატიკთა — მცხეთის ჯუარისაჲ (იოანე-ზოსიმეს კალენდარი); «მესამესა ზატიკსა, დღესა შაბათსა, წმიდისა ნინოჲსი» (იოანე-ზოსიმეს კალენდარი). 2) ბიბლიური ტექსტის არქაულობა და თავისებურება: პავლე მოციქულის აზრი, რომელიც გამოთქმულია 1 კორინ. VII, 15-ში. აქ ოდნავი ცვლილებითაა გადმოცემული: «არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყუენენ». 3) ლიტურგიკულმა პრაქტიკამ ჯერ კიდევ არ იცის ჰიმნოგრაფიული ელემენტი, ის ფსალმუნების გალობითა და კითხვით ამოიწურება; შუშანიკის დაკრძალვის ღამეო, ამბობს იაკობი, «განვათიეთ და დავითის ქნარითა ყოვლად-ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს, ვადიდებდით». ასეთი იყო საქრისტიანო პრაქტიკა მეექვსე საუკუნემდე [4].

იაკობის შრომა ერთ-ერთი უძველესი ძეგლია ქართული ორიგინალური მწერლობისა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენამდე თხზულება შენახულია იმ სახით, რა სახითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა. ძეგლს ზოგიერთი ცვლილება განუცდია: 1) როგორც ნათქვამია, თხზულებას თავში უნდა აკლდეს; 2) გადაწერის პროცესში გამოტოვებულია სპარსეთის მეფის პეროზის სახელი [5]; 3) აღწერილობა შუშანიკის მესამედ წამებისა, რომელსაც, თხზულებით, «ვარდობის» თვეში ჰქონია ადგილი, ეს აღწერილობა სომხურ ტექსტს შემოუნახავს [6]; 4) მოთხრობა ვარსქენის შვილის წყალში დახრჩობის

[1] «საქართვ. სამოთხე», გვ. 216.

[2] იქვე, გვ. 265.

[3] იქვე, გვ. 292.

[4] К. Кекелидзе. Иерусалимский Канонарь VII в., стр. 322.

[5] თუ ზოგიერთ ხელნაწერში ფრაგმენტი სიტყვისა მრ... პეროზის სახელს არ შეიცავს (იხ. ილ. აბულაძის გამოც., გვ. 3, სტრიქ. 6).

[6] ილ. აბულაძის გამოც. გვ. 35—36.

შესახებ, რომელიც უტყუარი ამბის შთაბეჭდილებას ახდენს, ესეც სომხურ ტექსტში გადარჩენილა[1]; 5) შეცვლილია სახელწოდება «სთულისა» ოკდონბრად; 6) მიმატებულია გლოსა კოზმან და დამიანეს შესახებ; 7) ეჭვი არაა, თხზულებამ ენობრივადაც იცვალა სახე, ყოველ შემთხვევაში, იმაში აღარ ჩანს კვალი «ხანმეტობისა», რომელიც მეხუთე საუკუნის თხზულებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

9. შიო მღვიმელი

შიო იყო მოწაფე იოანე ზედაზნელისა; თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც მოცემულია მის «ცხოვრებაში»[2], ის იყო შვილი შეძლებულ, ღვთისმსახურ «აზნაურთა», რომელთაც ის «აღზარდეს მრავლითა მოღუაწებითა და ასწავეს მას ყოველი წერილი ძუელი და ახალი და თარგმანებაჲ მათი» (გვ. 71). როდესაც შიო 16 წლის შეიქნა, მის გულში თავი იჩინა ასკეტიკურმა სულისკვეთებამ, ამიტომ, როდესაც 20 წლის გახდა, მივიდა იოანესთან მის მონასტერში და გამოუმჟღავნა მას ეს სულისკვეთება. როდესაც მისი მშობლები მონასტერში დამკვიდრდნენ, შიოს საშუალება მიეცა თავისი სურვილი სისრულეში მოეყვანა, მივიდა ხელმეორედ იოანესთან და ბერად აღკვეცა მის სავანეში. ოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ აქ, ის, იოანესა და სხვა 11 მოწაფესთან ერთად, ქართლში წამოვიდა (გვ. 78—79). აქ ის კარგა ხანს მოღვაწეობდა იოანესთან ერთად ზედაზენში, მერე გადავიდა სარკინეთს (მცხეთის მახლობლად) და იქ დააარსა თავისი საკუთარი სავანე, რომელსაც ეწოდა შიო მღვიმელის მონასტერი, რადგანაც უკანასკნელი წლები ხანგრძლივი თავისი ცხოვრებისა აქ მან მღვიმეში გაატარა. ასეთია ზოგად ხაზებში ცხოვრება და თავგადასავალი შიოსი.

როდის მოვიდა შიო ქართლში? «მოქცეულა ქართლისაჲს»[3], მემატიანეს[4] და თვით «ცხოვრების» მონაცემთა[5] მიხედვით, როდესაც შიო ქართლში მოვიდა, აქ მეფედ ყოფილა ფარსმანი, ხოლო კათოლიკოსად ევლავიოსი. ჩვენ რომ გვქონდეს უცილობელი და ზედმიწევნით გარკვეული სია და ქრონოლოგია ქართლის კათოლიკოსებისა და მეფეებისა, დასმული საკითხის გადაწყვეტა ადვილი იქნებოდა. მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით ეს არა გვაქვს, თან უცილობელი არც ისაა, რომ ამ დროს მართლა არსებობდნენ მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ევლავიოსი, ამ ცნობას ვერ დავეყრდნობით და სხვა გამოსავალი წერტილი უნდა ვეძიოთ. ასეთია, ჩვენი აზრით, შემდეგი ადგილი შიოს «ცხოვრებისა». როდესაც შიო და მისი თანამგზავრები სირიიდან ქართლისაკენ წამოვიდ-

---

[1] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოც. გვ. 23.

[2] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 64—143.

[3] Такайшвили Е., Описание рукописей, II, стр. 723.

[4] ქართლის ცხოვრება მარიამისეული რედაქციისა, გვ. 187.

[5] გვ. 81, 108—109.

ნენ, «ამათ ჟამთა აღსრულ იყო დიდი მნათობი სჳმიონ საკჳრველთმოქმედი მთასა საკჳრველსა, გარნა არადა სუეტსა ზედა, არამედ თორნესა შინა მჯდომარე იყო, და ნეტარმან იოანე და მოწაფეთა მისთა იხილეს იგი და ლოცვაჲ მისი მოიღეს» (გვ. 81). დღეს გარკვეულია, რომ სვიმეონ მესვეტე, სვეტზე ასვლამდე, «თორნეში» იჯდა 541—551 წლებში[1]. რადგანაც იოანე და რამდენიმე მისი მოწაფე, მათ შორის შიოც, გამოექცნენ სირიაში მონოფიზიტების 540 — 542 წლების დევნულებას, შიოს მოსულა ჩვენში უნდა დავდოთ 543 წელს[2]. რადგანაც შიო ამ დროს 40 წლის იყო, დაბადებული ის მეექვსე საუკუნის პირველ წლებში.

შიო დიდი ხნის განმავლობაში უცხოვრია თავის მონასტერს, სადაც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში თავი მოეყარა ორი ათას ბერს (გვ. 113). ის მუდმივ და შეუნელებელ ასწავლიდა და მოძღვრიდა თავის მოწაფეებს, ის მათ უთვალისწინებდა ასკეტის ნამდვილ იდეალს. ამან გამოიწვია მისი ლიტერატურული საქმიანობა, ვინაიდან მისი სწავლა-მოძღვრება წარმოებდა არა ზეპირი მხოლოდ სიტყვით, არამედ დაწერილითაც. ეს დამოწმებულია თვით მის «ცხოვრებაში». «ძმანი», ნათქვამია აქ (გვ. 131), თხოვდნენ მას «რათა მისცნეს მათ სწავლანი მის მიერნი, რათა აღმოიკითხვიდნენ იგინი დღეთა შინა კჳრიაკეთა». ეს ნიშნავს: ბერები თხოვდნენ შიოს მისცეს მათ «სწავლანი მის მიერნი», ესე იგი, არა სხვისი, არამედ საკუთარი, ორიგინალური, მისცეს იმისათვის, რომ მათ იკითხონ, იგულისხმება — დაწერილი, ისინი. როგორ მოექცა შიო ამ თხოვნას? «ხოლო აღუწერა მათ ნეტარმან შიო ას სამეოცი თავი სწავლაჲ ყოველად შეუნიერი და ტკბილი, რომლითა განისწავლებოდეს ყოველნი იგი კრებულნი მარადის და ირწყუებოდეს, ვითარცა ნერგნი ღმრთივ-სულიერნი წყაროჲთა სამოთხისაჲთა და აღორძღებოდეს ნაყოფითა კეთილთა საქმეთაჲთა» (გვ. 131). ამ გზით წარმოშობილა 160 თავისაგან შემდგარი შრომა. ეს შრომა, რასაკვირველია, იყო ასკეტიკურ-მისტიკური შინაარსისა და ხასიათისა, ამგვარი ხასიათის «სწავლას» მოითხოვდა მისგან მისი აუდიტორია. საყურადღებოა, რომ ეს შრომა დაყოფილი ყოფილა თავებად, როგორც ჰყოფდნენ ხოლმე თავიანთ შრომებს ასკეტიკური მწერლობის სხვა წარმომადგენლებიც: ეფრემ ასური, დიადოხოს ფოტიკელი, ნილოს სინელი, თალასე მონოზონი და სხვ.[3]. ჩვენამდე არ შენახულა ისეთი კრებული ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობისა, რომელიც შიოს სახელს ატარებდეს. იქნება ის იმალებოდეს ასეთი მწერლობის იმ ამოუწურავ და ჯერ შეუსწავლელ ძეგლებში, რომელიც დაგროვილია მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში. მაგრამ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ზოგადი წარმოდგენა მაინც ვიქონიოთ შიოს ასკეტიკისა და მისტიკის შესახებ, რადგანაც მის «ცხოვრებაში» მოყვანილია საკმაოდ ვრცელი მოძღვრება მისი (125—128, განსაკუთრებით 131—138 გვ.), რომელიც ალბათ ანარეკლია მისი წერილობითი

---

[1] კ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 37).

[2] იქვე, გვ. 36

[3] ა. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I², 517 — 523

შრომისა. ამ მოძღვრების მთავარი თემაა: უქმ-სიტყვაობა, სიკვდილის მოლოდინი, სიმდაბლე-მორჩილება, უპოვარება, ანგარება, სიყვარული, ლოცვა, ტირილი, სოფლისაგან განშორება, მარხვა, სიწმიდე სხეულისა და გონებისა, წარმავალობა ამა სოფლისა, ღვთის სასჯელი. ავტორი არ აყენებს განყენებულ საკითხებს ასკეტიკისას, მისი «სწავლა» უფრო პრაქტიკული ხასიათისაა და მიზნად ისახავს შეაგნებიოს «ახალნერგ ქუეყანაში» ახლად ფეხადგმული სამონასტრო ცხოვრების წარმომადგენლებს ძირითადი პრინციპები ამ ცხოვრებისა.

შიოსაგან დარჩენილა ორი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებიც. ესაა ორი «ოხითაჲ». ერთი მათგანი მიმართულია ღვთისმშობლისადმი და განმსჭვალულია ღრმა ლირიზმით. მას, შიოს ანდერძის თანახმად, გალობდნენ ხოლმე ღვთისმშობლის ტაძარში ლიტანიით შესვლისას. მეორე «ოხითაჲ» წარმოადგენს ვედრებას სამებისადმი დაიცოს მონასტერი ბარბაროსთა შემოსევისა და ყოველივე გასაჭირისაგან. ამ ნაწარმოებს დაჰკრავს იერი მსოფლიო კრებათა ტრიოდოლოგიური ტენდენციებისა[1]

3. კირიონ ქათოლიკოსი

მეექვსე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იწყება სომეხ-ქართველთა შორის ეკლესიური განხეთქილება[2], რომელიც 607—609 წლებში დამთავრდა ამ ორი ეკლესიის ერთიმეორისაგან ფორმალური ჩამოშორებით. ამ ჩამოშორებას ადგილი ჰქონდა ქართლის კათოლიკოსის კირიონის დროს. ქართულ წყაროებში კირიონი ქარგად ცნობილი არაა, სამაგიეროდ სომხურ წყაროებს[3] საკმაო, თუმცა არაობიექტური, ცნობები შემოუნახავს მის შესახებ.

კირიონის საერისკაცო სახელი ყოფილა სვიმეონი. პირველდაწყებითი სწავლა მას მიუღია თავის სამშობლოში, ჯავახეთში, სოფელ სკუტრის სკოლაში, ხოლო დაუმთავრებია სწავლა საბერძნეთში მცირეაზიის ქალაქ კოლონიაში, რომელიც მდებარეობდა მდინარე ლიკუსზე, ქ. ნიკოპოლის მახლობლად. აქ კირიონს დაუყვია 15 წელიწადი და საფუძვლიანი ელინისტური განათლება მიუღია. სწავლის დამთავრების შემდეგ ის დაბრუნებულა ქალაქ დვინში სომხის კათოლიკოს მოსესთან, რომელსაც ის დაუნიშნავს მონასტრის კატეხიზატორად და შემდეგ ეპისკოპოსად უკურთხებია. მისი ეპისკოპოსობის მეხუთე წელს ქართლის მთავარმა დეპუტაცია გაუგზავნა მოსეს თხოვნით, რათა მას გამოეძებნა ქართლის ეკლესიისათვის, რომელიც იერარქიულად მის გამგებლობაში იყო, ახალი საკათოლიკოსო პირი, ვინაიდან ადგილი თავისუ-

---

[1] ეს ორი ნაწარმოები დაბეჭდილია პ. ინგოროყვას მიერ: ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. იუბ-იუგ.

[2] მიზეზები ამ განხეთქილებისა გარკვეულია აგად. ი. ჯავახიშვილის მიერ: «История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII в.» («Известия Академии Наук». 1908 г., стр. 433—446, 511—536).

[3] წიგნი ეპისტოლეთა და ისტორია უხტანესისა, X საუკ. შეად ნ. აინიანის სომხურ ენაზე დაწერილი შრომა, «Կիրիոն, Վրաց կաթողիկոսը», ვენა, 1910 წ.

ფალი იყო კირიონზე უკეთეს კანდიდატს მოსე ვერ იშოვნიდა და ამიტომ ქართლის კათოლიკოსად ის იყო არჩეული, — მოგვითხრობს უხტანესი, რადგან კირიონი აღზრდილი იყო საბერძნეთში დიოფიზიტურ ტრადიციებზე, რომელთაც ქართლში, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, უკვე სიმპათიები მოეპოვებიათ ამ დროს, ის ქართლში შემოსვლის შემდეგ გადაუდგა სომხურ მონოფიზიტობას; ამის გამო დაიწყო ქართლის ეკლესიასა და სომხებს შორის ცილობა და მწვავე მიწერ-მოწერა, რასაც საბაბი მისცა ცურტავის ეპარქიაში სომეხ ეპისკოპოსის მოსეს მაგიერ ისეთი ადამიანის დანიშვნამ, რომელმაც სომხურიც იცოდა და ქართულიც, იქაური შერეული მრევლის მოთხოვნილებათა თანაბრად დასაკმაყოფილებლად. ეს მიწერ-მოწერა შენახულია სომხურად. მართალია, კირიონის ყველა წერილი არ შეუნახავთ სომხებს, მაგრამ შენახულებიდანაც ნათლად ჩანს, რომ კირიონი განათლებული და ენერგიით სავსე ადამიანი ყოფილა [1]. ის მედგრად იცავდა ქალკედონის კრების ქრისტოლოგიას და ამით საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობასაც. როგორც პენტარქიული თეორიის მიმდევარი (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 179), კირიონი მუხლს იყრიდა ხუთი პატრიარქის ავტორიტეტის წინაშე, უველაზე მეტად კი იერუსალიმის. მას მიწერ-მოწერა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის გარდა რომის პატრიარქთანაც ამ მწვავე საკითხის გამო. რომის პაპს ის, სხვათა შორის, ნესტორიანთა შესახებაც შეკითხებია. ჩვენამდე შენახულა საპასუხო წერილი პაპის გრიგოლი დიდისა [2]. ერთი სიტყვით, კირიონი პირველი ქართველი მწერალია, რომელსაც დამოუკიდებელი პოლემიკა უწარმოებია ნესტორიანობა-მონოფიზიტობასთან. თუმცა მისი ქართული თხზულებები ჩვენამდე არ შენახულა, მაგრამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ ის დიდი პატრიოტია, რომელიც მედგრად იცავს სამშობლოს ინტერესებს სომხებთან კამათისა და ცილობის პროცესში.

4. მარტვირი. საბაწმიდელი

ქართულ ენაზე შენახულია ერთი თხზულება ასკეტიკურ-მისტიკური შინაარსისა, რომელსაც ეწოდება «სინანულისა და სიმდაბლისათჳს». ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელშიაც ეს თხზულება შენახულა და რომელიც მე-13 საუკუნეშია გადაწერილი, ნათქვამია, რომ ის ეკუთვნის მარტჳრი საბაწმიდელს, «რომელიც ქართველი იყოვო» (A 625). ამ შენიშვნის საფუძველზე თხზულებას ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად თვლიან [3]. მაგრამ ახლა G. Ga-

[1] შენახულია სომხურ ენაზე ოთხი დოგმატური შინაარსის წერილი (ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 166—167, 170—171, 178—179, 185—188).

[2] გ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 575—577. Epistolorum liber IX, p. 132, Epist. 61. P. Ewald—L. Hartmann, Gregorii I. Papae registrum epistolorum, Tomus II, pars I, 324—327 (Monumenta Germaniae Historica. Epistolae I—II, Berolini 1891—1893)

[3] კ. კეკელიძე, მარტვირი ქართველი და მისი შრომა «სინანულისა და სიმდაბლისათჳს». ლიტერ. ძიებანი, III, 261 — 313).

ritte-სა და A. Halleux-ის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ავტორი ამ შრომისა ყოფილა მარტვირი საჰდონა, ნესტორიანი ეპისკოპოსი ბეტ გარმაის დიოცეზისა, სირიელი მწერალი მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრისა. მას დაუწერია თხზულება Perfection; ქართული შრომა წარმოადგენს ექსცერპტს სირიული შრომის მეორე ნაწილის VII—XII თავებისას [1]. შეიძლება ეს ასეც იყოს და ქართული ნაწარმოები მართლაც ექსცერპტულ თარგმანს წარმოადგენდეს სირიული თხზულებისას. ჩვენ ეს გარემოება ხელს არ შეგვიშლის მოვიხსენიოთ ის ქართული მწერლობის ისტორიაში და მარტვირი ქართველი, საბაწმიდელი, თავისი სეხნიას, მარტვირი საჰდონას, მთარგმნელად აღვიაროთ, ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის დასახასიათებლად VI—VII საუკ. ეს იქნებოდა მეტად მნიშვნელოვანი წერილობითი ფაქტი. მაგრამ შეიძლება კი უყოყმანოდ გაზიარებულ იქნეს ეს შეხედულება? ზოგიერთი რამ საეჭვო და დამაფიქრებელია აქ: 1. ცნობა იმის შესახებ, რომ თხზულება დაწერილია ქართველის მიერ შემთხვევითი არაა; ის ეკუთვნის მე-13 საუკუნეს, როდესაც ფრანგები, სომხები და მაჰმადიანები პალესტინაში ქართველებს წმიდა ადგილებსა და მამაპაპეულ სიძველეებს ეცილებოდნენ და ართმევდნენ. თავისი უფლებების განსამტკიცებლად ქართველები გულმოდგინედ ჰკრეფდნენ ცნობებს პალესტინაში მომუშავე წინაპრების შესახებ, რომელთაც «წმიდა ქვეყანაში» ასეთი თუ ისეთი კვალი დაუტოვებიათ. მათ შეეძლოთ ამ შემთხვევაში მოეძებნათ ცნობა მარტვირი ქართველის საბაწმიდელის შესახებაც. 2. სირიელი მოღვაწის თხზულების შესატყვისი ნაწილი, P. Bedjan-ის გამოცემით [2], მოიცავს 157 გვერდს (262—419); ამათგან ქართველის მიერ ექსცერპტირებულია 52 გვერდამდე, დანარჩენი 105 გვერდი ხელუხლებელია. თუ ქართული თხზულების ხასიათს გავითვალისწინებთ, აგრეთვე მის აღნაგობასაც, ასეთი შეფარდება მოულოდნელია; ქართული შრომა არ სტოვებს აქა-იქ ამოკრეფილი და შეკოწიწებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას, ის მთლიანი, გამართული და მწყობრად ჩამოსხმული თხზულებაა. 3. მარტვირი ქართველი იყო მონაზონი, სირიელი ავტორი კი ეპისკოპოზი. 4. ქართველი მარტვირი იყო საბაწმიდელი, წმიდა, სირიელი ავტორი კი ბეტ გარმაის დიოცეზიდან, ნესტორიანი. 5. ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველებს მეშვიდე საუკუნეში ეთარგმნოთ, თუგინდ ექსცერპტულად, ნესტორიანი ავტორის თხზულება; თქმა იმისა, რომ მათ არ იცოდნენ ავტორის ვინაობაო, შეუძლებელია, რადგანაც ცნობილია, რომ ბრმად ისინი არაფერს არ თარგმნიდნენ. 6. ისიც არაა გამორიცხული, რომ ორივეს ერთი და იგივე წყარო გამოეყენებინოს.

ერთი სიტყვით, საკითხი არც ისე ადვილად წყდება. როგორც უნდა იყოს, ვიცნობთ თუ არა ამ თხზულებას ორიგინალურ თუ ნათარგმნ ძეგლად, ენის მი-

[1] Le sermon géorgien du moine Martyrius et son modelle syriaque, Muséon, t. LXIX, p. 243—312.

[2] S. Martyrii, qui est Sahdona, quae supesunt omnia, Paris et Leipzig, 1902.

ზედვით ის ერთ-ერთი ადრინდელი, არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნის ნახევრისა, ძეგლია ქართული მწერლობისა [1].

5. გრიგოლ დიაკონი

გრიგოლი პირველი ქართველი ისტორიკოსია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ჭელიშურ ვერსიაში, იქ. სადაც ლაპარაკია მცხეთაში ნინოსა და მირიანის დროს ჯვარის აღმართვის შესახებ, ავტორი შენიშნავს: «ვითარცა სწერია გრიგოლ დიაკონის მცირესა მას. მოკლედ აღწერილსა, წიგნსა ქართლისა მოქცევისასაო» (Е. Такайшвили, Описание рукописей, II, 714). აქედან ჩანს, რომ გრიგოლ დიაკონს დაუწერია ქართლის მოკლე მოქცევა. ვინ იყო ეს გრიგოლ დიაკონი, არ ვიცით.

გრიგოლის შრომა, თუ მთლიანად არა, ფრაგმენტული სახით უნდა გექონდეს ნინოს შატბერდული «ცხოვრების» მე-14 თავში (ჭელიშურ ვერსიაში ის არ მოიპოვება), რომელსაც ეწოდება «აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ» (Описание II, стр. 793—798). ამ თავს წინ უძღვის იაკობის მიერ დაწერილი მე-13 თავი (787 — 793) «პატიოსნისა ჯუარისათჳს», რომელშიაც ლაპარაკია სამი ჯვარის, მათ შორის მცხეთისაც, აღმართვის შესახებ. ეს ორი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებია, ისინი მატარებელნი არიან მცხეთაში ჯვარის აღმართვის შესახებ სხვადასხვა ტრადიციისა. მე-13 თავი იწყება მოულოდნელად წინა მოთხრობასთან კავშირის გარეშე: «და იყო რაჟამს მოეკუეთა ხჳ იგი ცხოველისმყოფელისა ჯუარისაჲ». სად «მოეკუეთა», რა პირობებში, ვის მიერ ან ვისი ინიციატივით, უცნობი რჩება. ხე მოჭრეს, ნათქვამია აქ, 25 მარტს, 37 დღის შემდეგ, პირველ მაისს, იმისგან გამოსჭრეს სამი ჯვარი და შვიდ მაისს აღმართეს ისინიც: ერთი მცხეთას, ერთი თხოთს და ერთი უჯარმოს. მე-14 თავში კი უბრალოდ და გარკვეულადაა ნათქვამი: «და იყო, რაჟამს მოიქცა ყოველი ქართლი» საბერძნეთიდან მოსულმა სამღვდელოებამ მირიანს ურჩია აღემართა მას ჯვარი. გაგზავნილმა ხუროებმა მოძებნეს შესაფერისი ხე, მოსჭრეს ის და გამოთალეს მისგან, ნაჩვენები ნიმუშის მიხედვით, ერთი და არა სამი ჯვარი, რომელიც აღმართეს ბორცვზე, მცხეთის მახლობლად, არა შვიდ მაისს, არამედ «დღესა კჳრიაკესა აღსებისა ზატიკისა ზატიკსა».

---

[1] დაწვრილებით იხ. კ. კეკელიძე, მარტვილი ქართველი და მისი შრომა «სინანულისა და სიმდაბლისათჳს» (ლიტერ. ძიებანი, III, 261 — 313), აქ გამოცემულია ტექსტიც. მეორედ ის გამოსცა იღ. აბულაძემ (მამათა სწაელანი, გვ. 166—182), მესამედ G. Garitte-მ (Muséon, t. LXIX, p. 243—312). უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი. G. Garitte თავის გამოცემაში (p. 244) ამბობს, რომ კ. კეკელიძე მარტვილი საპაწმიდელს აიგივებს მარტვილი კონსტანტინოპოლელთან, რომელსაც შიო მღვიმელის «ცხოვრება» დაუწერიაო საკვირველია, თუ საიდან ამოიღო მან ასეთი ცნობა. ჩვენ ასეთი რამე არც გვითქვამს და არც დაგვიწერია არასდროს. ეს არის აზრი არა ჩვენი, არამედ მ. თარხნიშვილისა (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, S. 88. 109), რაც, როგორც შიო მღვიმელის მეტაფრასული «ცხოვრების» მიმოხილვისას დავინახავთ, სიმართლეს არ შეესაბამება.

გრიგოლის მოთხრობა უფრო ძველი ჩანს. 1) ავტორმა არ იცის სახელი ქართლის განმანათლებლისა — ნინო, ის მას უწოდებს, თანახმად უძველესი ტრადიციისა, «ტყუეს». 2) აქ ნახმარია უძველესი ლიტურგიკულ-ეორტალოგიური ტერმინი — «აღესებისა ზატიკისა ზატიკსა». 3) შერჩენილია არქაული ფორმა ზმნისა, მაგალითად, მიელენედ, ადიდებედ, შეამთხუევედ, მოელენედ, ილოცევედ, მისცემედ, არიედ, ხადიედ, განიკურნებიედ. მაგრამ ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ ნაწარმოები ისე ძველია, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს აზრით, გრიგოლი არის მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის მწერალი, 380—400 წლებში მას დაუწერია ჯერ ბერძნულად და შერე ქართულად «მცირე მოქცევაჲ ქართლისაჲ», რომელიც თავის შედგენილობით და სიმარტივით წინ უსწრებს რუფინოზის მიერ დაცულ მოთხრობასო («საისტორიო ძიებანი», გვ. 64—72). ჯერ ერთი, «მოქცევაჲ ქართლისაჲს» თხრობა, რუფინოზის თხრობასთან შედარებით, არ არის უფრო მოკლე და მარტივი. მეორე— საეჭვოა, რომ მეოთხე საუკუნეში ჩვენში ყოფილიყოს მწერლობა, და ისიც იმდენად განვითარებული, რომ გრიგოლის შრომის მსგავსი ნაწარმოები დაწერილიყოს. მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, რადგანაც მცხეთის ჯვარის შესახებ მოთხრობა უნდა ცოდნოდა სომხის მწერალს ფილონ ტირაკს (686 თუ 696 წ.), გრიგოლის შრომა შედგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრისა, შეიძლება მეხუთე საუკუნეშიც[1]. ეს ძალიან ზოგადი და ნებისმიერი დათარიღებაა: მეშვიდე საუკუნიდან რატომ უნდა გადმოვიდეთ უთუოდ მეხუთეში და არა, ვთქვათ, მეექვსეში? მცხეთის ჯვრის შესახებ, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ქართველთა შორის, არამედ სომხეთშიაც, უეჭველია, არსებობდა არაერთი და ორი თქმულება, რომელთაც, გამორიცხული არაა, იცნობდა ფილონიც. მაშასადამე, ფილონი ვერ გაამართლებს ნაჩქარევ დათარიღებას.

გრიგოლის შრომა «საკითხავია» მცხეთის ჯვრის დღესასწაულისა (A 144), რომელიც დადებულია «იერუსალიმის განჩინებაში» ან კანონარში. როდესაც კანონარი ჩამოყალიბდა ქართულად და იმაში მცხეთის ჯვარის დღესასწაული შეიტანეს, საჭირო შეიქნა «საკითხავიც» ამ დღესასწაულისა, კანონარი კი დამუშავდა ქართულად არაუადრეს მერვე საუკუნის ნახევრისა. ამისდა მიხედვით, გრიგოლის შრომა დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით მერვე საუკუნის ნახევარში. მაშასადამე, გრიგოლიც ამდროის მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს.

გრიგოლი ეკუთვნის იმ მწერალთა ჯგუფს, რომელნიც წარმომადგენელნი არიან წმინდა ეროვნული მიმართულებისა VIII—X საუკუნეთა ქართულ მწერლობაში. ეჭვი არ არის, შატბერდულ-ჭელიშური «ქართლის მოქცევის» რედაქტორს თუ ავტორს გრიგოლის შრომიდან, მცხეთის ჯვრის აღმართვის გარდა, სხვა ცნობაც ექნება ნასესხები, მაგრამ დღესდღეობით იმაში ძნელია გამოყოფა იმისა, რაც გრიგოლს ეკუთვნის[2].

---

1 Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, S. 87. 88.

2 ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება, «ლიტერატურული ძიებანი», II, 1945 წ., გვ. 311—324.

6. იოანე საბანისძე

მერვე საუკუნის გასულს თბილისში აწამეს ერთი გაქრისტიანებული არაბი, ა ბ ო. ხალიფა მანსურის წინაშე დააბეზღეს ქართლის ერისთავი ნ ე რ ს ე, ის დაიბარეს ბაღდადში და 772 წელს ციხეში ჩასვეს. როდესაც გამეფდა მანსურის ძე მაჰდი, იმან ნერსე გაათავისუფლა და თბილისში გამოისტუმრა. ნერსეს თან წამოჰყვა არაბი აბო, რომელმაც სურნელებისა და საცხებელთა შემზადება იცოდა. აქ მან ზედმიწევნით გაიცნო ქრისტიანობა და ქრისტიანთა ზნე-ჩვეულება. ნერსე იძულებული შეიქნა ქართლი მიეტოვებია და თავისი ამალით, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა, გამგზავრებულიყო ხაზარეთს. მას თან გაჰყვა აბოც. აქ მან ნათლისღება მიიღო. აქედან ნერსე გადავიდა აფხაზეთს, ესე იგი დასავლეთ საქართველოში, სადაც მისი ოჯახობა იმყოფებოდა. მას აბოც თან წაყვა. იქიდან ნერსესთან ერთად დაბრუნდა თბილისს, სადაც არაბებმა ის ამირასთან დააბეზღეს, რომ «მამული სჯული» მიატოვა და ქრისტიანობა მიიღოო. აბო დაიბარეს, ბევრს ეცადნენ გადმოებირებინათ, მაგრამ ვერას გახდნენ. ამიტომ, 785 წლის 27 დეკემბერს ის ჩასვეს საპყრობილეში, რომელშიაც მან დაყო ათი დღე. 786 წლის 6 იანვარს ის გამოიყვანეს ციხიდან და «ქართა ზედა წმიდათა ორმეოცთა მარტჳრთა ეკლესიისათა» თავი მოჰკვეთეს, მერე მისი გვამი დაუდვეს ურემს, მიიტანეს ადგილსა, რომელსა ეწოდება «საგოდებელი», გადაასხეს ნავთი და დაწვეს, ხოლო ძვლები გაახვიეს ცხვრის ტყავში და მტკვარში ჩაყარეს. აბოს მოწამებრივ ღვაწლს ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია თანამედროვეებზე და ამიტომ ძალიან ადრე, არაუგვიანეს მერვე საუკუნის გასულისა, მისი მარტვილობა აღუწერიათ კიდევაც. ეს თხზულება გამოსცა პირველად მ. ს ა ბ ი ნ ი ნ მ ა[1], მეორედ—პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა[2], მესამედ — პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ[3].

ავტორი ამ მარტვილობისა არის ვინმე ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე[4], რომელიც თანამედროვე და თვითმხილველი, ამასთან დაახლოებული მეგობარი ყოფილა აბოსი. ეს, სხვათა შორის, ჩანს შემდეგი მისი სიტყვებიდან: «მეშინის მე დადუმებად, რომელ სანატრელითა მით ქრისტჱს მიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავღა სოფელსა ამას ჩუენსაო». ამ საქმისათვის მას ხელი მიუყვია შემდეგ პირობებში: თანამედროვე ქართლის კათოლიკოსს სამოელს (780—790 წწ.) აღძერია სურვილი, «რაჲთა დაიწეროს სანატრელი ამისიცა მარტჳრობაჲ, ვითარცა პირველთა ქრისტჱს მოწამეთაჲ, და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაკსენებლად ყო-

---

1 «საქართვ. სამოთხე», გვ. 333—350.

2 გამოცემა საეკლეს. მუზ. კომიტეტისა № 3, 1899 წ.

3 ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 7—96; უკანასკნელად ის დაბეჭდა ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა («ქრესტომათია», I, 55—71). იხილ. აგრეთვე რუსული თარგმანი თხზულებისა, რომელიც კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ეკუთვნის: Памятники древнегрузинской агиографической литературы, стр. 31—60, 1956 г.

4 სინ. მთის ხელნაწერში № 11 მას ეწოდება იოანე საბანეანი (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობა, გვ. 29).

ველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა». ამ საქმეს, მისი რწმენით, შეასრულებდა მხოლოდ იოანე საბანისძე, რომლის «წადიერებაჲ ღმრთისმსახურებისათჳს, ღმრთივმიმადლებული მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ და გულსმოდგინებაჲ კეთილთა საქმეთა მოღუაწებისათჳს უწყოდა» ან იცოდა სამოელმა. ამიტომ მას გაუგზავნია ხსართან მღვდლის ხელით მისთვის ეპისტოლე, რომელშიაც, შენიშნავს რა: «შენ თჳთ უწყი ახლისა ამის მოწამისა სანატრელისა ჰაბოჲსი, რომელი დღეთა მათ შინა ჩუენთა იმარტკლა მეოხად ჩუენდა და ყოელისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს», სთხოვს მას: «კელ უაე სრულიად გამოთქუმად კეშმარიტად ვითარ იყო და ვითარ შენ თჳთ უწყი და აღწერე მარტკროჲსაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი და აღწერილი ჩუენ მოგჳძღვანე». იოანეს, თანახმად ეპისტოლისა, დაუწერია შეკვეთილი თხზულება, რომელიც გაუგზავნია სამოელისათვის. მას თან დაურთავს საპასუხო წერილი, რომელშიაც ის მადლობასა სწირავს სამოელს ასეთი საპატიო დავალებისათვის და შენიშნავს, რომ, თუმცა ეს საქმე ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა, მაგრამ ვერ გავბედე ურჩობა და. მსგავსად ჭინჭველისა, რომელიც თავისთავზე უდიდეს ტვირთს მოიდებს ხოლმე ზურგზე და მიათრევს, ხელი მოვჰკიდე ამ საქმეს «და აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკლებული მარტკრობაჲ, ჴეშმარიტი და უტყუარი, წმიდისა მოწამისაჲ». ამნაირად, იოანე საბანისძეს ეს თხზულება დაუწერია სამოელ კათოლიკოსის შეკვეთითა და თხოვნით. ვინ იყო ეს იოანე, არ ვიცით. იმისი თქმაც არ შეგვიძლია დანამდვილებით, სასულიერო პირი იყო ის თუ საერო. სამოელის წერილში ერთი ადგილია: «მშჯდობაჲ იყავენ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთაჲ», რომელიც კომენტარებს თხოულობს. «სახლისა შენისა კრებულთა» შეიძლება გავიგოთ ისე. რომ სამოელს სახეში ჰყავს იოანეს ოჯახის წევრები, მისი ცოლ-შვილი. შეიძლება ისეც გავიგოთ, რომ «სახლად» ის უწოდებს «მონასტერს» და «კრებულად» მის ბერ-მონაზვნებს. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში იოანე იგულისხმება როგორც ოჯახის მამა, მეორეში — როგორც წინამძღვარი მონასტრისა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სამოელი ისეთი მორიდებით, კრძალვითა და პატივისცემით მიმართავს იოანეს, რომელსაც ის უწოდებს «უფალს, სულიერად შვილად წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და ჰაყუარელსა თჳსსა», როგორითაც ის სასულიერო პირს, და მით უმეტეს ბერს, არ მიმართავდა, უფრო ახლოს ვიქნებით სიმართლესთან, თუ იოანე საბანისძეს ჩვენ მივიღებთ იმ დროს ყველასგან ცნობილ, განათლებულ საერო პირად, რომელიც «საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი» ყოფილა.

იოანე მართლაც რომ განათლებული და ნიჭიერი კაცი ყოფილა. ამას ნათელჰყოფს აღნიშნული მისი თხზულება, რომელიც წარმოადგენს არა შაბლონურ ავიოგრაფიულ ნაწარმოებს, რომელიც სავსეა საღმრთო წერილის ტექსტებით, განყენებული ასკეტიკურ-მორალური და რელიგიურ-დოგმატიკური მსჯელობით, არამედ გარკვეული გეგმით დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც ავტორს იმდენად არ აქვს მიზნად აბოს პიროვნება დაგვისურათხატოს, მისი თავგადასავალი და გასამართლება-მარტვილობა გვიამბოს, რამდენად თვალწინ გადაგვიშალოს აზრი და მნიშვნელობა აბოს მარ-

ტვილობისა იმდროინდელ ქართველთათვის და მაშინდელი საქართველოს ცხოვრების ყოველი მხარე: პოლიტიკურ-სოციალური, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი და ეკონომიური. თავისი აზრის ცხოველსაყოფად ავტორი აქა-იქ პოეტურ სურათებსა და შედარებას მიმართავს ხოლმე, მაგრამ აქაც სასტიკ ზომიერებას იცავს და ყველაფერს მარტივად და გულწრფელად გვიშლის თვალწინ.

თხზულება ოთხი თავისაგან შედგება. პირველი თავია «ღმრთისმსახურთა და მარტკლთმოყუარეთა კრებულისათჳს თხრობაჲ და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჴსენებაჲ». ეს არის შესავლის მსგავსი ნაწილი, რომელშიაც ავტორი, აღნიშნავს რა, თუ როგორი ცვალებადობა და რყევა დაიწყო არაბთა ბატონობის გამო ქართლში, მოუწოდებს მსმენელთ—ყური დაუგდონ მის სიტყვებს და გაითვალისწინონ პიროვნება იმ ადამიანისა, რომელიც «უცხო უცხოჲთა სჯულითა მოვიდა და ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შეემეცნა», იმ ქრისტეს, რომლის სხვადასხვა სახელს, ესე იგი მოძღვრებასა და მესიანურ მნიშვნელობას ის განმარტავს და წარმოადგენს «წამებათა წიგნთაგან საწინაჲსწარმეტყუელოთა და მოციქულთა ქადაგებისაებრ და წმიდათა სახარებათა წერილთა და ნეტართა მამათა მოძღუართა მიერ განსაზღურულ სარწმუნოებას». მეორე თავი — «ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი» — მოგვითხრობს აბოს ქართლად შემოსვლას, მის გადასვლა-გადმოსვლას ნერსე ერისთავთან ერთად საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და მის მიერ ქრისტიანობის მიღებას. მესამე თავი — «წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი» — აგვიწერს აბოს გასამართლებასა და წამებას. მეოთხე თავი — «ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი» — წარმოადგენს აბოს შესხმას ან ხოტბას, რომელშიაც ავტორი აზოგადებს თავის აზრებს და ცდილობს გაარკვიოს მნიშვნელობა და სიდიადე აბოს ღვაწლისა და მარტვილობისა.

როდესაც ავტორს ხელი მიუყვია ამ თხზულების წერისათვის, იმას განუზრახავს ისეთი უბრალო და იმ დროს ჩვეულებრივი ფაქტი, როგორიც იყო აბოს მარტვილობა, გამოეყენებია დიდი და მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. ქართლი არაბების უღელ ქვეშ აუტანელ მდგომარეობაში იყო: პოლიტიკურად დამონებული და უფლებააყრილი, ეკონომიურად დაჩაგრული და გაღატაკებული ქართველები სულიერ გადაგვარების გზაზე დადგნენ. ისინი ირყეოდნენ, «ვითარცა ღერწამნი ქართაგან ძლიერთა», შეითვისეს ზნე-ჩვეულება არაბთა ან, როგორც ავტორი ამბობს, «აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულით განდგომილსა ქრისტჱსაგან, ნათესაჲსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელსა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ჱჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძებითა მათითა». ერთი სიტყვით, რჯულის შერყევამ ქართველები ეროვნულად შეარყია. ეროვნების გადასარჩენად, ავტორის აზრითა და შეგნებით, საჭირო შეიქნა სარწმუნოებრივი გრძნობის გაღვივება და გაძლიერება, საჭირო შეიქნა სარწმუნოებრივი შუაზღუდის ამართვა ქართველთა და მაჰმადიანთა შორის. ამიტომ ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აბო, რომელსაც ქართველებთან არაფერი საერთო ეროვნულად არ ჰქონია, რომელსაც შეეძლო დიდი პატივი და სიმდიდრე დაემსახურებია ქრისტიანობის

უარყოფისათვის, მტკიცედ დგას ქრისტიანობაზე და საკუთარი სისხლის დანთხევით იცავს ახალ რწმენას. ეს მაშინ, როდესაც ქართველები, რომელთა ქრისტიანობას ამ დროს ხუთასი წლის ისტორია ჰქონდა, ლერწამივით ირყეოდნენ და მაჰმადიანობისაკენ იხრებოდნენ. ასეთი კონტრასტით ავტორს სურდა გაეღვიძებია თავის თანამემამულეებში სარწმუნოებრივი გრძნობა და შეგნება ქრისტიანობის უპირატესობისა მაჰმადიანობის წინაშე, უნდოდა ნიადაგი განემტკიცებია ეკლესიისათვის, რომლის წიაღში, ის დარწმუნებული იყო, შესაძლებელი იქნებოდა ეროვნების გადარჩენა. ავტორს მიზნად ჰქონდა არა მარტო გადარჩენა ეროვნებისა, არამედ გაღვიძებაც და გაძლიერებაც ეროვნული გრძნობისა. ეკლესიურ-ეროვნული თვითშეგნება ქართველებისა ჯერ კიდევ საკმაოდ გაღვიძებული არ ყოფილა. კერძოდ, ქართველ წვინდანებს იმდენი ყურადღება და პატივი არ ჰქონიათ დამსახურებული, რამდენიც მსოფლიო ეკლესიისას. ავტორს უნდა დაუმტკიცოს თანამემამულეებს, რომ აბო ნამდვილი მარტვილია, რომ მისი სახით ქართლს მოევლინა ისეთი მფარველი და შუამდგომელი ღვთის წინაშე, როგორიც ჰყავდა სხვა ეკლესიას. მაშასადამე, ქართული ეკლესია არაფრით არ ჩამოუვარდება სხვებს, თუგინდ ბერძნების ეკლესიასაც. ჩვენ ბერძნებზე ნაკლები არა ვართ, «რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა... აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა სხჳთ მოსრულთა, ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებულთა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა». ამნაირად, იოანე საბანისძე, შეიძლება ითქვას, პირველი ქართველი მწერალია, რომელიც მკვეთრი ეროვნული ლოზუნგებით გამოვიდა მწერლობაში და რომელმაც ქართული ეროვნულ-ეკლესიური თეორია წამოაყენა ჩვენში.

თხზულებაში საუცხოოდაა დასურათხატებული, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ქართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიური და სარწმუნოებრივი მდგომარეობა მერვე საუკუნეში, და არა მარტო ქართლისა, არამედ მისი მეზობელი ქვეყნებისაც, როგორც, მაგალითად, ხაზარეთის, ოსეთის და განსაკუთრებით აფხაზეთის — დასავლეთ საქართველოსი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ თხზულებას საზოგადოდ მეცნიერებაში იშვიათი ყურადღება აქვს დამსახურებული [1].

---

[1] Акад. В. Васильевский, Русско-Византийские отрывки, Житие Иоанна Готфского, «Журн. Мин. Нар. Просвещ.», 1877 г., стр. 121 — 125; K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis, Texte und Untersuchungen, N. Folge XIII. 4; ავად. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 2, გვ. 39—52. დაწვრილებითი ანალიზი თხზულებისა იხ. პროფ. კ. კეკელიძის. გამოცემაში.

7. სეითი

იმ მწერალთა შორის, რომელნიც ცნობილი არიან ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდში, საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს ს ე ი თ ს. სეითი Σήθ სეთ, აქედან სწთ<სეთ<სეით, არის მოღვაწე მერვე საუკუნის მეორე ნახევრისა ან შეცხრის პირველი ნახევრისა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულ მწერლობაში საფუძველი ეყრებოდა იმ აგიოგრაფიულ კრებულს, რომელიც ცნობილია «მრავალთავის» სახელით და რომელიც შეიცავს წმინდათა ცხოვრების უძველესს, გადაუკეთებელ რედაქციას, ეგრეთ წოდებულ «კიმენს». ეს კრებული საუკუნეთა განმავლობაში თანდათან ივსებოდა და ფართოვდებოდა და მხოლოდ მეათე საუკუნის გასულს მიიღო მან ის სახე, როგორითაც ის წარმოდგენილია შედარებით სრულსა და დამთავრებულ ნუსხებში: ათონისაში № 57, ხელნაწერთა ინსტიტუტის A 95 და სხვ. [1] საფუძველი ამ კრებულისათვის დაუდვია, უნდა ვიფიქროთ, სეითს. არაეითარი ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის მოღვაწეობდა იერუსალიმში, უეჭველია, საბას ლავრაში, და მუშაობდა აგიოგრაფიულ დარგში. მართლაც, სინას მთაზე შენახულა კრებული მის მიერ გადმოღებული აგიოგრაფიული ტექსტებისა, რომელიც გადაწერილია მეათე საუკუნეში «პალავრას კელითა პავლწსითა». ამ კრებულის ფურც. 240a-ზე დარჩენილა ასეთი შენიშვნა: «ითარგმნა იერუსალწმს კელითა სეთ თარგმანისაჲთა» [2]. ამ სეითს ჩვენ ვთვლით პირველი პერიოდის მეორე ნახევრის მწერლად იმიტომ, რომ მისი ტექსტები ჩვენ გვხვდება თითქმის ყველა ცნობილ «მრავალთავში», რომელნიც მეცხრე-მეათე საუკუნეს ეკუთვნიან და რომლებშიაც ზოგიერთი ტექსტი სეითისა უკვე სხვა, უფრო ახალი, რედაქციითაა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ სეითს უმეტეს ნაწილად გადმოუღია იმ წმინდათა ცხოვრებანი და მარტვილობანი, რომელნიც მოღვაწეობდნენ იმპერატორ დეოკლიტიანემდე, უფრო კი რომელნიც მის დროს მისი ბრძანებით ეწამნენ. უნდა ეთარგმნოს სეითს ბერძნული ენიდან, ამას მოწმობს: 1) ბერძნული ფორმები საკუთარი სახელებისა: დიოკლიტიანოს, დიონისიოს, კორნელიოს, ლეონტიოს, მაქსიმიანოს, კლავდიოს, ლიკინიოს, თეტიმოს, ფილაგრიოს, თალალეოს, მანიბიოს, სტეფანია (ქალი), აგათონანგელოს; 2) ცალკე სიტყვები, როგორც, მაგალითად: სტრატიოტი, მყურჭუმებელი; 3) მთელი ფრაზა ბერძნულ ენაზე ქართული ტრანსკრიპციით: «დოქსა სოჳა თეოს». შეიძლება ზოგიერთი ტექსტი არაბულიდანაც იყოს ნათარგმნი, მაგალითად, 3,14 [3]. გადმოუღია სეითს სულ, აღნიშნული ხელნაწერით, 25 აგიოგრაფიული ტექსტი: 1) წმიდისა მენა ფრიგიელისა (11 ნოემბერს), 2) წმი-

---

[1] იხ. ა ბ უ ლ ა ძ ე, მრავალთავი, ე ნ ი მ კ ი-ს «მოამბე», XIV, 1944 წ., 241—244.

[2] ეს კრებული ა. ც ა გ ა რ ე ლ ი ს კატალოგში აღწერილია № 50 ქვეშ, ხოლო ა კ ა დ ე მ. ყ ა ე ხ ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობაში ის № 11-ით არის აღნიშნული.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტიკის გადმონაშთი ძველ ქართულ მწერლობაში, ე ნ ი მ კ ი-ს «მოამბე», ტ. IV, გვ. 117; P e e t e r s: Analecta, t. 39, p. 285 — 286.

დათა და კეთილად მძლეთა მოწამეთა გურია, სამონა და აბიბოსი [1] (15 ნოემბერს), 3) წმიდათა მოწამეთა ევსტრატისი, ევქუსანტისი, ევგენისი, ორესტისი და მარდარისი (13 დეკემბ.) [2], 4) წმიდისა ფოკასი [3], 5) წმიდისა მარინაჲსი (17 ივლისს) [4], 6) წმიდისა ანასტასიაჲსი (22 ოქტომბ.) [5], 7) წმიდისა დომენტისი (8 ნოემბ.) [6], 8) წმიდისა პანტელემონისა (27 ივლისს) [7], 9) საკვირველებანი წმ. ნიკოლოზისი (6 დეკემბ.), 10) წმ. პეტრე ალექსანდრიელისა (25 ნოემბ.), 11) წმ. იგნატი ანტიოქელისა [8], 12) დიონოსიოს ათენელ ეპისკოპოსისა [9], 13) წმ. ევგენიაჲსი [10], 14) კიდევ ევგენიაჲსი [11], 15) წმ. საკვირველმოქმედთა კჳროსისი, იოანესი და სამთა ქალწულთა (31 იანვ.) [12], 16) წმ. ლეონტისი (18 ივნისი) [13], 17) წმ. მოწამეთა პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყუასთა მათთა (2 იელისი) [14], 18) წმ. ათანასი კოლიზმელისა (19 ივლისს) [15], 19) წმ. თალალეოს, თოტიმოს, ასტერი და ფილაგრიოსისა (20 მაისი) [16], 20) პოვნა წმ. ანანია, აზარია და მისაელისი, 21) წმ. ბიქტორისი და სტეფანია დედაკაცისა [17], 22) წმ. სერგისა და ბაქოზისი (7 ოქტომბ.) [18], 23) წამება წმ. 45 მოწამეთა ნიკოპოლელთა [19], 24) წმ. აგათანგელე დამასკელისა. (7 თებერვ.) [20], 25) წმ. ილარიონ დიდის პალესტინელისა.

8. გრიგოლ ხანძთელი

მერვე საუკუნის გასულს და მეცხრის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის ქართულ ბერ-მონაზვნობასა და სამონასტრო ცხოვრებას, ააშენა რამდენიმე მონასტერი, სხვათა შორის — ხანძთის სავანე, საიდანაც მან მიიღო სახელწოდება ხ ა ნ ძ თ ე ლ ი. გრიგოლი ქართლელი იყო, თან დიდი კაცის შვილი: ქართლის ერისმთავრის ნერსეს ცოლს ძმისშვილად ხვდებოდა. ის აღუზრდიათ ნერსეს კარზე, მის სასახლეში. სწავლა-აღზრდის საქმეს თვით ნერსეს ცოლი ხელმძღვანელობდა. ბავშვმა შესანიშნავი გულისხმიერება გამოიჩინა, მან «მსწრაფლ დაისწავა დავითი და კმითა სასწაველი სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა... და საღმრთონი წიგნნი ზეპირით [21] მოიწუართნა». თან მან «მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ». ასე რომ, ვინაიდან ის «მრავალთა ენათა წურთილ იყო და მრავალმოსწავლჱ», ადვილად მოგზაურობ-

---

[1] არის ხელნაწერთა ინსტიტუტის A 95. [2] A 95, ათონ. ხელნაწ. № 50 (H. M a p p Агиограф. материалы, I, 6) სხვა რედაქციაა. [3] არის სინ. ხელნაწ. № 52 («Христ. Вост.», т. II, вып. 1) და ათონისაში № 57 (H. M a p p, Агиограф. матер., 1). [4] A 95, სინ. № 52. [5] A 95 სხვა რედაქციაა. [6] სინ. № 52. [7] არის ბოდლეს ხელნაწერში («Analecta Bollandiana, t. XXXI) და სინ. № 52. [8] A 95. [9] A 95, ათონ. № 57. [10] A 95, ბოდლ. № 24. [11] A 95, ბოდლ. A 25. [12] A 95, ათონ. № 57. [13] A 95, სინ. № 52, ათონ. № 57, ბოდლ. [14] A 95, სინ. A 52. ბოდლ. [15] A 95, სინ. № 62. ბოდლ. [16] ათონ. № 57, სინ. № 62. [17] სინ. A 62. [18] A 95. [19] A 95, სინ. № 62, ბოდლ. 20 სინ. № 62, გამოცემულია («Христ. Вост.», IV, вып. 3).

[21] მართლაც, მას ზეპირად მოჰყავდა ციტატები, სხვათა შორის, ეფრემ ასურის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და კირილე ალექსანდრიელის თხზულებათაგან.

და აღმოსავლეთის წმინდა ადგილთა მოსახილველად. ეს კიდევ ცოტაა, მან «სიბრძნ#ცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილადო»,— შენიშნავს მისი ბიოგრაფი. გრიგოლს, რომელიც ჯერ მღვდლად აკურთხეს, საეპისკოპოსოდ ამზადებდნენ, მაგრამ მან მიატოვა ქართლი და მოღვაწეობა დაიწყო ოპიზის მონასტერში [1], საიდანაც ორი წლის შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობას მიჰყო ხელი. იცხოვრა 102 წელიწადი და გარდაიცვალა 861 წ., დაბადებულა, მაშასადამე, 759 წელს. როგორც უკვე ვთქვით, ის ღრმად და საფუძვლიანად განათლებული კაცი იყო, «სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან, შენიშნავს ბიოგრაფი, ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანიო». უეჭველია, ასეთი მომზადებული ადამიანი ლიტერატურულ ასპარეზზედაც არ დარჩებოდა უსაქმოდ. მართალია, ჩვენამდე არ შენახულა არც ერთი თხზულება, რომლის შესახებ დანამდვილებით შეგვეძლოს თქმა, რომ ის გრიგოლის მიერაა დაწერილი ან ნათარგმნი, მაგრამ მისი ბიოგრაფის სიტყვები: «აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიანო»,— გვაფიქრებინებს, რომ ის მწერლობაში მართლაც რომ იღებდა მონაწილეობას. ფრაზა «ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისაა» უფრო ასე უნდა გვესმოდეს, რომ ეს ი ა დ გ ა რ ი ან ლიტურგიკული ჰიმნები მთელი წლისა მას თვით შეუთხზავს თითქოს «სული წმიდის შთაგონებით».

რა მოცულობისა იყო ეს იადგარი? მართალია, «საწელიწდო იადგარი» გულისხმობს მთელი წლის ჰიმნოგრაფიულ კრებულს, მაგრამ «საწელიწდოც» ყოველთვის ერთისა და იმავე მოცულობის ძეგლს არ გულისხმობს. ამ საკითხთან დაკავშირებულია საკითხი: რა და რამდენი «საგალობელი» დაუწერია გრიგოლს? უეჭველია, ის იადგარი, რომელიც გიორგი მერჩულის დროს ხანძთას ინახებოდა, ზუსტ პასუხს გაგვცემდა ამ საკითხზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჩვენამდე არ შენახულა. დღეს ჩვენ შეგვიძლია ამის შესახებ ვიმსჯელოთ მიქელ მოდრეკილის იადგარის მიხედვით, ვინაიდან, ლაპარაკი არ უნდა, ის შეიცავს, სხვათა შორის, გრიგოლის საგალობლებსაც, მაგრამ გასარკვევია, რომელს და რამდენს. მკვლევარმა პ. ინგოროყვამ მოინდომა ამისი გარკვევა (იხ. მისი «გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისაა», 1955 წ.). მიქელ მოდრეკილისა და სხვა უძველეს იადგართა დახმარებით მან გამოიანგარიშა, რომ რიცხვი გრიგოლის ჰიმნოგრაფიული შრომებისა სამასს თურმე აღემატება (გვ. 620). როგორ შეიძლება ამისი გამოანგარიშება, როდესაც სახელი გრიგოლისა არ შენახულა არც ერთ ჰიმნზე ან საგალობელზე; როგორ გავიგოთ, რომელი ნაწარმოები ეკუთვნის მას უზარმაზარ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში? პ. ინგოროყვა სულ უბრალოდ მოქცეულა: მიქელ მოდრეკილის იადგარში მას გამოუყვია სახელწარწერილი საგალობელნი: მიქელ მოდრეკილის, გიორგი მერჩულის, იოვანე მტბევარის, იოვანე მინჩხის, სტეფანე სანანოძისა, ეზრასი, იოვანე ქონქოზისძის, ბასილი ხანძთელის, კურდანაჲს, მაკარი ღეთეთელის და სხვა

[1] ქართლიდან მისი წასვლა დაკავშირებული უნდა იყოს ნერსეს მიერ ქართლის მიტოვებასა და ხაზარეთში გამგზავრებასთან, რაზედაც ამოს მარტვილობა მოგვითხრობს.

ჰიმნოგრაფებისა, რომელნიც იადგარში იხსენებიან, და რაც ამ გამოყოფის შემდეგ დარჩა, ის გრიგოლის კუთვნილებად უცვნია (გვ. 771). ამ გზით ასეთი საკითხის გარკვევა შეუძლებელია: ვინ იცის, ჩამთველილთ გარდა, რამდენი ანონიმი ჰიმნოგრაფის ნაწარმოებია ამ კრებულში, რომელნიც, თუ ამ გზას გავყვებით, გრიგოლის შრომად უნდა მივიჩნიოთ?! ამ გზის მცდარობა შემდეგი მაგალითიდანაც ჩანს: მკვლევარს გრიგოლის ნაწარმოებად მიუჩნევია ერთი «ლექსი», რომელსაც, მისი სიტყვით, ენათესავება ნ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვის“ ზოგიერთი სტრიქონი; ეს ლექსია «სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს» (გვ. 614). სინამდვილეში კი ეს ლექსი ნათარგმნია ბერძნულიდან, ის ამოღებულია კვირაღდის კანონიდან, ხმა VI, გალობა 6, ირმოსი და ღვთისმშობლიანი. ესევე უნდა ვთქვათ არაერთ სხვა საგალობელთა შესახებ, რომელნიც ბერძნულის თარგმანს წარმოადგენენ და მკვლევარს გრიგოლისათვის მიუკუთვნებია.

ერთი სიტყვით, დღეს ჩვენ არ მოგვეპოება საშუალება, რომ გრიგოლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ზუსტად გავარკვიოთ[1]. თავის მონასტრისათვის გრიგოლს მიუცია კ ტ ი ტ ო რ უ ლ ი ტ ი პ ი კ ო ნ ი, რომელიც შეუდგენია საბაწმიდის წესის საფუძველზე. მას, როგორც ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მწერლობის ისტორიაში. როგორც უნდა იყოს, გრიგოლმა აღზარდა მთელი რიგი მოწაფეებისა, რომელნიც ლიტერატურული ინტერესებით იყვნენ გატაცებულნი. ერთ მათგანს, ვინმე მ ა კ ა რ ი ს, პალესტინაში, საბას ლავრაში, 864 წელს გადაუწერია შესანიშნავი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი, რომელიც დღეს სინას მთაზე ინახება. მთელ თავის მოღვაწეობაში გრიგოლი გვევლინება თავდადებულ და შეგნებულ მომხრედ ეროვნული მთლიანობისა და ტაო-კლარჯეთში ახლად აღმოცენებული ეროვნული ხელისუფლებისა, რომელიც, მისი შეგნებით, საეკლესიო-სამონასტრო ინსტიტუტის მორალურ გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

9. არსენ დიდი საფარელი

ცნობები არსენ დიდის შესახებ მოცემულია გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრებაში». არსენი იყო სამცხიდან, შვილი დიდი ფეოდალის მირიანისა. როდესაც ის ექვსი წლის შეიქნა, მირიანის სახლში გამოიარა გრიგოლ ხანძთელის ორმა მოწაფემ, თეოდორემ და ქრისტეფორემ, რომელნიც ჩუმად აფხაზეთს, ესე იგი დასავლეთ საქართველოში, მიდიოდნენ იქ მონასტერთა გასაშენებლად. მირიანისა და მისი მეუღლის თხოვნით ბერებმა ბავშვი «შემოსეს სამოსლითა მოწესეთაჲთა», ესე იგი ბერად აღკვეცეს, და არსენი დაარქვეს. მერე, როდესაც თეოდორე და ქრისტეფორე გრიგოლ ხანძთელმა წამოიყვანა აფხაზეთიდან, მათ გამოუარეს მირიანს და თან წამოიყვანეს პატარა არსენი, რომელსაც გზაზე შემოუერთეს კიდევ ერთი ბავშვი, შემდეგში ე ფ რ ე მ დ ი დ ი, აწყურის ეპისკოპოსი სამცხეში. მონასტერში ბერებმა პროტესტი განაცხადეს

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს წერილი — ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ, «ლიტერ. ძიებანი», ტ. XI.

ბავშვების მოყვანის გამო, ვინაიდან ეს აკრძალული იყო სამონასტრო წესდებით, მაგრამ გრიგოლმა ამას უწოდა პირველი და უკანასკნელი გამონაკლისი და ბავშვები ჩააბარა აღსაზრდელად თეოდორესა და ქრისტეფორეს, რომელნიც განცალკევებულად ცხოვრობდნენ სენაკში. როდესაც არსენი წამოიზარდა, მამამისს, საეკლესიო და სამღვდელმთავრო კრების დაუკითხავად, მ ძ ლ ა ვ რ ო ბ ი თ, მხოლოდ სამცხის ერისკაცთა დახმარებითა და რამდენიმე ეპისკოპოსის თანადგომით, კათოლიკოსად დაუდგენია ის. ეს იყო საეკლესიო კანონების დარღვევა, ამიტომ ქართლის ეპისკოპოსებს ჩოჩქოლი დაუწყიათ, მათ მეთაურად გამოსულა ეფრემ დიდი, აწყურის ეპისკოპოსი, არსენთან ერთად აღზრდილი; მათთვის მხარი დაუჭერია მ-მფალს გ უ ა რ ა მ დ ი დ ს, რომელსაც ამ ინციდენტის გამოსარკვევად ჯავახეთში საეკლესიო კრება მოუწვევია. კრებაზე არსენის საქმე არასასურველად გათავდებოდა, გრიგოლ ხანძთელი რომ არ ჩარეოდა შიგ: იმან არწმუნა ეფრემს, გუარამს და სხვებს, რომ თვით ღმერთს უბრძანებია არსენის კათოლიკოსობა «სისრულისა მისისათჳს», თუმცა, მართალია, არაკანონიერი გზით, ამიტომ შეარიგა ისინი არსენს და მისი კათოლიკოსად დადგინება დაამტკიცებინა კრებას. არსენი კათოლიკოსობდა 27 წელს (860—887). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ ამოტ კუროპალატის გარდაცვალების წელს (836 წ.), როდესაც არსენი მონასტერში მოიყვანეს, ის 6 წლის იყო, მაშასადამე, დაბადებულა 830 წ., ვინაიდან ეპისკოპოსად დადგენის კანონიკური ასაკი 30 წელიწადი იყო, კათოლიკოსად ეკურთხებოდა ის არა უადრეს 860 წლისა. მართლაც, ამ წლის ახლო ხანებში უნდა დაეპყრა გუარამსაც ჯავახეთი, სადაც მან კრება მოიწვია არსენის საკითხის გამო. გარდაიცვალა ის, მაშასადამე, 887 წელს და «ღირსად ეწოდა დიდი არსენი, ქართლისა კათოლიკოსი და მცხეთისა გჳრგჳნი» [1], ვინაიდან «საყდარი მამათმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მაღლითა» [2].

აი, ამ არსენ კათოლიკოსს მივაწერთ ჩვენ ერთ ისტორიულ-პოლემიკურ თხზულებას, რომელსაც ეწოდება: «თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა არსენისაჲ, მცხეთელ კათოლიკოსისაჲ, რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა საფარით, განყოფისთჳს ქართლისა და სომხითისა». ეს თხზულება, რომელიც ორი ხელნაწერითაა ჯერჯერობით ცნობილი (A 691, 735), გამოსცა თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ [3] ეს ეხება ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი ურთიერთობისა და განზეთქილების ისტორიას და აზრადა აქვს გამოარკვიოს: ვინ უღალატა ჰეშმარიტ აღსარებას, გრიგოლ განმანათლებლის მიერ დანერგილს სომხეთსა და ქართლში, სომხებმა თუ ქართველებმა, და რამ გამოიწვია ეს ღალატი. თხზულება იწყება ა ღ ს ა რ ე ბ ი თ, ან მ რ წ ა მ ს ი თ, რომელიც შემოკლებული განმეორებაა ნი-

[1] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. ძბ. მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი, რომელიც ამოტ კუროპალატის გარდაცვალებას სდებს არა 836 წელს, როგორც ეს ახლა გარკვეულია, არამედ ძველებურად 826 წ., არსენის კათოლიკოსობას უჩენებს 850—877 წ. (Geschichte der kirchl. georgisch. Literatur, S. 99).

[2] ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. მთ.

[3] ქრონიკები I, 313—332. დიდი ნაწილი მისი დაბეჭდა G. G a r i t t e-ს თავის Narratio de rebus Armeniae, Louvain 152.

კია-კონსტანტინოპოლის ს ი მ ბ ო ლ ო ს ი. მერე ავტორი მოგვითხრობს «ვითარ განდგეს სომეხნი მართლისა სარწმუნოებისაგან» და თან დასძენს: «განყოფაჲ სომეხთაჲ ქართლისაგან უეჭველად აღვწერეო». დედააზრი თხზულებისა არის, რომ სომხებს თავდაპირველად იგივე სარწმუნოება ჰქონდათ, რაც ბერძნებს, მაგრამ მერე სპარსეთმა, პოლიტიკური მოსაზრებით, რათა მათ შორის შუაკედელი ამართა, მოსთხოვა მათ დაეტოვებინათ ბ ე რ ძ ე ნ თ ა ან მ ე ლ ქ თ ა შჯული და მიეღოთ ა ს უ რ თ ა ან ი ა კ ო ბ თ ა ჲ. ამნაირად, სომხები იძულებული შეიქნენ ეღალატნათ მამაპაპეული შჯულისათვის და გამდგარიყვნენ მართლისაგან სარწმუნოებისა, რაც გრიგოლ განმანათლებელსა და საჰაკ კათოლიკოსს წინასწარ ჰქონდათ მოსწავებული განცხადება-ხილვაშიო. არსენ კათოლიკოსი სომხებს ბრალსა სდებს არა მარტო ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომაში, არამედ იმაშიაც, რომ საეკლესიო დამოუკიდებლობაც უკანონოდ მოიპოვეს, წინააღმდეგ გრიგოლ განმანათლებლის ანდერძისა «უკუნისამდე არა განშორებად კესარიაჲ[ჲს] ეკლესიისაგან ჴელდასხმაჲ ეპისკოპოსისა სომხითისაჲო». მესამე ბრალდება სომხების წინააღმდეგ ეს არის მ ა ნ ა ს კ ე რ ტ ი ს კრების დადგენილებანი, რომელნი «არა ესწავა წმიდათა კრებათაგან პირველთა» და საღმრთო წერილიდან, სახელდობრ — უცომოჲს ან ბალარჯის დაკანონება და წყალგაურეველი ღვინის ხმარება ევქარისტიაში. განდგომილება სომხეთისა «მართლისა სარწმუნოებისაგან», არსენის თეორიით, დაწყებულა მეფე პეროზიდან (459—484) და დასრულებულა მანასკერტის კრებაზე (726 წ.). არსენი კვალდაკვალ იკვლევს ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული გ ა ნ დ გ ო მ ი ლ ე ბ ი ს პერიპეტიებს, ასე რომ, ნამდვილად რომ ვთქვათ, არსენის შრომა წარმოადგენს ისტორიას არა «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისაჲ», როგორც სათაურშია აღნიშნული, არამედ «განყოფისათჳს» ან. უკეთ, «განდგომისათჳს» სომეხთა მართლმადიდებლობისაგან, რომელიც 726 წელს დასრულდა მანასკერტის კრებაზე.

მართლა არსენ საფარელია ავტორი ამ თხზულებისა? ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ გამომცემელი ამ თხზულებისა, თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მას მიაწერს ა რ ს ე ნ ვ ა ჩ ე ს ძ ე ს, რომელსაც სახელდებს მეათე საუკუნის კათოლიკოს არსენ მეორედ.

ს. ქ ა ქ ა ბ ა ძ ი ს აზრით, ავტორი ამ თხზულებისა არის დღემდე უცნობი კათოლიკოსი მეშვიდე საუკუნის გასულისა არსენი[1]. მთავარი არგუმენტი მისი ასეთია:

1. თხზულებაში დასახელებულია ექვსი მსოფლიო კრება, მეშვიდის ხსენება კი არაა (გვ. 44). ეს ფაქტი არგუმენტად არ გამოდგება, რადგანაც მეშვიდე მსოფლიო კრება ხშირადაა ხოლმე აღუნიშვნელი გაცილებით უგვიანესი დროის ძეგლებში; ასე, მაგალითად, მას არ იხსენიებს ქართული რედაქცია იაკობის ჟამის წირვისა, რომელიც XI საუკუნის დამდეგს ეკუთვნის;

[1] «საისტორიო ძიებანი», თბილისი, 1924, გვ. 38—55.

არ იხსენიებს მას არც ბერძნული რედაქცია ამ ჟამისწირვისა, ეგრეთ წოდებული მესინის (X ს. გასულის), არც როსანის ნუსხა მისი (XI ს. გასულისა)[1].

2. თხზულება მოგვითხრობს სომხეთის ეკლესიის ამბებს ისრაელ კათოლიკოსამდე (გარდ. 673—677 წწ.), რომელმან «განახლნა» და «განაბნივნა» იოანე მაჲორგომელის მოწაფენი «აქა და იქი ქალაქთა და სოფელთა საცთურად ყოველთა კაცთა ვიდრე დღეინდელად დღედ და მოაქამომდე». მაშასადამე, არსენი თითქოს მოსწრებია იოანეს მოწაფეებსო (გვ. 53). მაგრამ ფრაზა «ვიდრე დღეინდელად დღედ და მოაქამომდე» ძველ ძეგლებში ყოველთვის არ არის თანამედროვეობის აღმნიშვნელი, ხშირი სიტყვებით აღინიშნება ხოლმე ისეთი ამბებიც, რომელნიც საუკუნეებით არიან დაშორებული იმ ფაქტს, რომელზედაც ლაპარაკია.

3. არსენი თავის შრომას ისრაელ კათოლიკოსზე არ შეწყვეტდა, არამედ განაგრძობდა მას, ყოველ შემთხვევაში, მოიხსენიებდა 726 წლის, იოანე კათოლიკოსის დროის, მანასკერტის კრებასო (გვ. 43). საქმე ისაა, რომ თხზულებაში მოხსენებულია იოანე კათოლიკოსიც და მანასკერტის კრებაც, რომელმაც «წყლისა რთვაჲ და პურისა ცომი გააშორა წმიდასა საიდუმლოსა და ბალარჯი დაუწყო» («ქრონიკები», I, 323). მართალია, ეს მოთხრობა თავის ადგილას არაა თხზულებაში, მაგრამ მოთხრობათა თანამიმდევრობის დარღვევა და აღრევა დამახასიათებელია ამ თხზულების ავტორისა თუ დღეს ცნობილი ნუსხის გადამწერისა.

სათაურში ამ თხზულების ავტორად დასახელებულია კათოლიკოსი არსენი, «რომელი იყო სანახებთაგან სამცხისთა საფარით». აქ ჩვენ არ შეგვიძლია ვიგულისხმოთ არც არსენ II, მეათე საუკუნის კათოლიკოსი, არც, მით უმეტეს, არსენ ბულმაისიმისძე, მეცამეტე საუკუნის მამამთავარი, ვინაიდან, წინაალმდეგ შემთხვევაში—1) ავტორს მოხსენებული ექნებოდა X—XIII სს. კრებებიც, რომელნიც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივ ურთიერთობას ეხებოდა, კერძოდ, ღრტილისა არტანუჯში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროისა; 2) იქ მოხსენებული იქნებოდა უხტანესის თხზულება, რომელიც იმავე თემას არკვევს, რასაც არსენისა; 3) ქართველთა განმანათლებლად გრიგოლ პართელი კი არ იქნებოდა დასახელებული, არამედ წმიდა ნინო და მოციქულები, ვინაიდან მეათე საუკუნიდან ჩვენში უკვე არსებობდა თქმულება წმ. ნინოსა და მოციქულთა ქადაგების შესახებ საქართველოში. ავტორი თხზულებისა არის კათოლიკოსი არსენ I დიდი, რომელიც, როგორც ვიცით, მართლაც სამცხის რაიონიდან იყო. მაშასადამე, თხზულება დაწერილია მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში. თხზულებაში მოხსენებულია უნიონალური კრებები იუსტინიანე მეორის, მავრიკი კეისრისა და ერეკლე იმპერატორის დროისა, მოხსენებულია აგრეთვე მანასკერტის კრებაც, რომელზედაც, როგორც ვიცით, ირჩეოდა გერმანე პატრიარქის წინადადება (ბერძნებთან შეერთების საკითხი), მაგრამ არაფერია ნათქვამი პატრიარქი ფოტისა და ზაქარია

[1] К. Кекелидзе, Литургич. грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908 г., стр 4.

კათოლიკოსის დროის Schirachavensis კრების შესახებ. მაშასადამე, თხზულება დაწერილია 862 წლის ახლოს[1].

რა მიზანი ჰქონდა არსენის, როდესაც ამ თხზულებას წერდა? მეშვიდე საუკუნის დამდეგს ქართველები და სომხები ეკლესიურად საბოლოოდ ჩამოშორდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ დაიწყო პაექრობა და ცილობა მათ შორის ამ განშორების მიზეზის და თვით სომეხ-ქართველთა სარწმუნოების შესახებ. განშორების მიზეზად ქართველები სომხებს თელიდნენ, სომხები კი ქართველებს. საჭირო შეიქნა ისეთი თხზულება, სადაც თავმოყრილი იქნებოდა საჭირო მასალა ამ საკითხის გასარკვევად, რათა ამ მასალით ესარგებლა ყველას, ვისაც სომხებთან პაექრობა მოუხდებოდა. ასეთმა საჭიროებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მეცხრე საუკუნის დამდეგს, როდესაც სომხეთში სასტიკი ბრძოლა წარმოებდა ქალკედონიტთა და ანტიქალკედონიტთა შორის. ამ ბრძოლის გამოძახილმა მოაღწია თვით საქართველომდეც, სადაც მას უფრო გამოეხმაურებოდა ტაო-კლარჯეთი, ვინაიდან ეს იყო მაშინ თავშესაფარი სომეხ-ქალკედონიტებისა, აქ უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს წარმომადგენელნი სომეხ ანტიქალკედონიტებისა და ქართველ-სომეხ ქალკედონიტებისა. აი, ამ უკანასკნელმა გარემოებამ, უეჭველია, აიძულა არსენ კათოლიკოსი, რომელიც სამცხე-ტაო-კლარჯეთიდან იყო, დაეწერა ისეთი თხზულება, სადაც დასახელებული თემა საკმაოდ გარკვეული იქნებოდა და რომელიც საჭირო სახელმძღვანელო შეიქნებოდა ქართველებისა და სომეხ-ქალკედონიტებისათვის ანტიქალკედონიტებთან ბრძოლაში. თხზულება მკვეთრი გამომხატველია იმ მწვავე იდეოლოგიური ბრძოლებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენში ამ დროს.

ავტორი თავის წყაროებს არ ასახელებს, მაგრამ, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია უკვე[2], მას ხელთა ჰქონია ქართული, ბერძნული და, უფრო კი, სომხური წყაროები[3]. სომხური წყაროებიდან მას უსარგებლია, კერძოდ, ქართველ-სომეხთა გაყოფის დროინდელი მიწერ-მოწერით (წიგნი ეპისტოლეთა) და აგრეთვე ლაზარე ფარპელის ისტორიით, ვინაიდან ლაზარეც, როგორც არსენი, სპარსელების პოლიტიკას უსვამს ხაზს ქართველ-სომეხ-ალბანელთა სარწმუნოებრივ შევიწროებაში. მომეტებული ნაწილი მისი სომხური წყაროებისა ქალკედონიტური ფრაქციიდან მომდინარეობს და ამიტომ არსენის შრომაში აღებული საკითხი სრული ობიექტურობით ვერ არის გაშუქებული.

ტექსტი თხზულებისა ძალზე დამახინჯებული უნდა იყოს. განსაკუთრე-

---

[1] Mansi, Sacrorum conciliorum nova et amplissima collectio, t. XV, p. 639—641.

[2] ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. II, გვ. 67—72.

[3] Dr. H. Gousseni-ი შენიშნავს, რომ ამ თხზულებას, რომელსაც ის, თანახმად თ. ყორდანიასი, მეათე საუკუნის არსენს მიაწერს, ბევრი რამ საერთო აქვს Combefis-ის მიერ გამოცემულ «Historia haeresis Monothelitarum» (Nov. Austuar II, p. 272). და მიჰაელ დიდის «ქრონიკასთანაც» (Die Georgische Bibelübersetzung, «Oriens Christianus», 6 (1906), S. 315).

ბით შერყვნილია ქრონოლოგიური თანამიმდევრობა; შეიძლება ამით აიხსნებოდეს, რომ მასში მრავალი ანაქრონიზმია:

1. არკადი კეისრისა (395—408) და არშაკ მეფის (392—396) დროს, ესე იგი 395—6 წელს, ბერძნებმა სომხებს დახმარება არ აღმოუჩინეს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ განუდგნენ მათ სომხები და შეუერთდნენ სპარსელებსაო («ქრონიკები», გვ. 314—315); ნამდვილად კი ეს განდგომა მოხდა 450 წელს. სომხებმა იეზდიგერდის წინააღმდეგ შემწეობა სთხოვეს თეოდოსი მცირეს, ის დაპირდა, მაგრამ მისმა მოადგილემ მარკიანემ, სპასპეტის ანატოლისა და ასური ელვარიანის რჩევით, უარი უთხრა მათ; ეს იყო მიზეზი ბერძენთაგან განდგომისა (ე ღ ი შ ე ვ ა რ დ ა პ ე ტ ი, III, 117—121).

2. პეროზ მეფემ (458 — 484) სომხებს გამოუგზავნა 9 კაცი მწვალებელი, მათ შორის იყო ს ე ვ ე რ ო ზ ი ც, რომელთაც თან ჰქონდათ წიგნი ი ვ ლ ი ა ნ ე ჰ ა ლ ი კ ა რ ნ ა ს ე ლ ი ს ა და ფ ი ლ ო ქ ს ე ნ ი ს ა ო (გვ. 316). სეეროსი და ფილოქსენი არიან მოღვაწენი მეექვსე საუკუნისა, ისინი მართლმადიდებლობას განუდგნენ 522 წლიდან. იმავე დროისაა ივლიანე ჰალიკარნასელიც.

3. როდესაც პეროზს სომხებისაგან მოუთხოვია ან სჯულის გამოცვლა ან გადასახლება, მაშინ კათოლიკოსად იყო ნერსე, რომელსა ეწოდა მ ე ჯ ი ნ ან შ უ ა (გვ. 316), ესე იგი ნერსე მეორე (524—553); სხვა ადგილას კი ამ ნერსეს ის თვლის ხვასრო I-ის (577—579) თანამედროვედ (გვ. 322—323).

4. ამ ნერსეს არსენი თვლის ქართლის კათოლიკოსის კირიონის თანამედროვედ და ამ დროს ქართველ-სომეხთა ეკლესიური ცილობის დამწყებად (გვ. 319—320).

5. ხ ა ჩ ე ც ა რ ი და ა ლ ა ჯ ო რ ი სომხებში შემოიღოო, ამბობს არსენი, კათოლიკოსმა ნერსე მეჯინმა, და ეს შემოღება თითქოს მომხდარა დვინის პირველ კრებაზე 527 წ. (გვ. 316—318), მაგრამ სხვა ადგილას აღნიშნავს (გვ. 323), რომ ეს მოხდა დვინის მეორე კრებაზეო (551 წ.).

6. ნამდვილად ხაჩეცარი შემოღებულია მეხუთე საუკუნის გასულს[1], ხოლო ალაჯორი უძველესი აღმოსავლეთის მარხვაა, რომლის ფესვები შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

7. წყალშეურევნელი ღვინო ზიარებისათვის შემოიღო იოანე კათოლიკოსმა მანასკერტის კრებაზეო 726 წ. (გვ. 323), ნამდვილად კი ამას, როგორც სომეხთა პრაქტიკის განმასხვავებელ მოვლენას, აღნიშნავს მეექვსე მსოფლიო კრების (692 წ.) აქტები.

მეორე თხზულება, რომელიც არსენს დაუწერია, არის «ცხოვრება და მარტვილობა ა ბ ი ბ ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს ა». ეს დამოწმებულია ამ თხზულების მეტაფრასულ რედაქციაში, რომელიც გამოცემულია მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ[2]. აქ სათაურში ეკითხულობთ: «თქმული არსენი დიდისა, ქართლისა კათო-

[1] ეპ. კ ა რ ა პ ე ტ ი, ჰჯჩ ჭաւաոոյ, გვ. LXXIII—LXXV.

[2] «საქართვ. სამოთხე», გვ. 213—216; უძველესი ხელნაწერი, რომელშიაც ის დეფექტურად და ოდნავი ცვლილებით შენახულა, არის A 832.

ლიკოსისაჲ». აკად. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს არსენის შრომად მიაჩნია საბინინის მიერ გამოცემული რედაქცია, ამიტომ სიტყვებში «ვითარცა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მისისა» (გვ. 216), ის ხედავს VI — VII საუკუნეებში დაწერილ წიგნს, რომელიც არსენის გამოუყენებია[1], მაგრამ საბინინის მიერ გამოცემული რედაქცია არ შეიძლება არსენის შრომა იყოს: 1) ის წმინდა მეტაფრასული ჟანრის ნაწარმოებია, ამ ჟანრის ყველა დამახასიათებელი თვისებით, არსენის დროს კი, მეცხრე საუკუნეში, მეტაფრასული მიმართულება არ არსებობდა. 2) არსენს მეცხრე საუკუნეში არ შეეძლო ეხმარა ტერმინები — «ივერია» და «საქართველო», რომელნიც მეთერთმეტე საუკუნეზე ადრე არ გვხვდება ქართულ მწერლობაში. არსენის თავდაპირველი შრომა შეიცავდა არა მარტო წამებას აბიბოსისას, არამედ, როგორც მეტაფრასტი ამბობს, სხვა მრავალ «საქმეთა, შრომათა და ღუაწლთა» მისთა, მაგრამ შენიშნავს მეტაფრასტი, «სხუათა მათ ყოველთა ვერ ძალმიც მოკსენებად» (გვ. 216). ამიტომ ის პირდაპირ მიუთითებს მკითხველებსა და მსმენელებს «წიგნსა მას წამებისა მისისასა», არსენის შრომას, რომელიც მის დროს, ჩანს, კიდევ არსებობდა. არსენის შრომა ძირითადად გადარჩენილია სიტყვებს შუა: «დაეპყრა ქართლი მეფესა სპარსთასა» (გვ. 213) და «და დაფლეს ადგილსა მას დიდებითა დიდითა» (გვ. 215). ამ ნაწილშიაც ცეცხლთაყუანისმცემლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკა (გვ. 215) მეტაფრასტის წვლილია. არსენის შრომაში გამოყენებული ყოფილა მის დროს უკვე არსებული, დიოფიზიტურ ბრძმედში გადადნებული, ტენდენციური სამონასტრო ცნობები ასურელ მამათა შესახებ. ის შეიცავდა ცნობებს აგრეთვე აბიბოსის სამისიონერო მოღვაწეობისა და იმ პოლიტიკური ცვლილების შესახებ ქართლში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეექვსე საუკუნის უკანასკნელ ათეულში.

10. დ ა ჩ ი

ჩვენამდე შენახულა «თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ»[2] ე პ ი ფ ა ნ ე ძ ვ ი პ რ ე ლ ი ს ა, რომელიც გადმოუღია სომხურიდან ვინმე დ ა ჩ ი ს. ვინ არის ეს დაჩი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ის არის მოღვაწე მეცხრე საუკუნის გასულისა და მეათის დასაწყისისა. ეს იქიდან ჩანს, რომ თავისი შრომა მას გაუგზავნია ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ რ ი ს ა თ ვ ი ს, რომელიც, როგორც თავის ადგილას გვექნება ლაპარაკი, დადგენილ იქნა პირველ ეპისკოპოსად აშოტ კუხის მიერ (გარდ. 918 წ.) დაარსებული ტბეთის კათედრისა. ამ შრომასთან ერთად დაჩის გაუგზავნია სტეფანესთვის წერილი, რომელშიაც ის მოიკითხავს სტეფანეს და ეუბნება, რომ დიდი ხანია მინდოდა შენი ხილვა, მაგრამ, სხვათა შორის, სიშორისაგან ვერ მოვახერხე ესო. მაშასადამე, ის ტბეთიდან სადღაც მოშორებით ყოფილა. მეო, ამბობს, «მრავალჟამითგან»

[1] ქართველი ერის ისტორია, I ³, 332—385. სამწუხაროდ, ამ დაუსაბუთებელ შეხედულებას ჯერ კიდევ ჰყავს მიმდევრები.

[2] S 1141, გვ. 515—518.

ვეძებდი ეპიფანე კვიპრელის მიერ აღწერილ «ფსალმუნთა თარგმანებას», მაგრამ ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა ისო. ბერძნულ ენაზე, მართალია, ვპოვე, მაგრამ ის ჩემთვის აღმოჩნდა «წყარო მიუწდომელი», ვინაიდან «ვერ შეუძლე ცნობაო». ამის შემდეგ ხელში ჩამივარდა ეს თხზულება «სომხურითა ენითა დაწერილი, სრულიად მითვე ბერძულითა განგებითა და მითვე რიცხვთა, და შემშურდა სომეხთათჳსო». მე სომხური ენა ვიცოდი და შემეძლო ამ ენიდან გადმოთარგმნა, მაგრამ შემეშინდა ამისი: საქმე ისაა, რომ, თუ წიგნი ერთხელ უკვე თარგმნილი, მეორედ მისი გადმოთარგმნა «დიდი ბრალობაა» არს, ვინაიდან მეორედ თარგმანებული «წინააღმდგომად გამოჩნდების» პირველი თარგმანისაო. და მხოლოდ მაშინ, როდესაც დავრწმუნდი, რომ ქართულად ეს თხზულება ჯერ გადმოთარგმნილი არ იყო, შევუდექი მის თარგმნას. ეპიფანეს განუმარტავს 150 ფსალმუნი, ამიტომ მისი შრომა მეტად დიდი გამოდგა. მე, უცალობის გამო, ვერც შევიძლებდი მთლად მის გადმოქართულებას და არც ვიცოდი—ეღირებოდა ეს თუ არა, ამიტომ 150 ფსალმუნიდან «მცირედი გადმოთარგმნე»: «შჯდნი ხოლო გამომიხუმან, რომელ არს აღმოთქუენი ოდენ სრულიად». ამ ჩემს შრომას გიგზავნი შენ «განსაკითხავად». თუ «რაჲმე არაღირსი» აღმოჩნდეს, დაწვი ის, ხოლო თუ მოგეწონოს, «განსრულებაჲ» მისი სიწმიდემან შენმან იკისროსო. ამასთან ერთად, ის აღნიშნავს, თუ რა ღირსება აქვს ეპიფანეს დასახელებულ შრომას[1]. მართლაც, ხელნაწერში მოყვანილია თარგმანება არა ყველა 150 ფსალმუნისა, არამედ მხოლოდ 15-ისა: 1, 2, 3, 4, 5, 6, 9, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 67. აქედან «აღმოთქუნ»-ის ჯგუფის, ესე იგი მეშვიდე «კანონის» ფსალმუნები მთლიანად, შვიდი ფსალმუნის (44—50) შემადგენლობით გადმოუღია მას, დანარჩენი ჯგუფები ან კანონები არამთლიანად: პირველი კანონიდან გადმოუღია 6 ფსალმუნი (1—6), მეორედან—ერთი (9), მეცხრედანაც ერთი (67)[2]. აქვე მოყვანილია მეორე წერილი დაჩისა, რომელიც მას მიუწერია მროველი ეპისკოპოსის ანტონისათვის[3]. ეს პატარა, მაგრამ რიტორიკული, ენაწყლიანი წერილი ცხადჰყოფს, რომ დაჩი განათლებული კაცი ყოფილა და ურთიერთობა ჰქონია ლიტერატურულ მეცნიატებთან, როგორიცაა სტეფანე მტბევარი და ანტონ მროველი, რომელსაც ის რაღაცას «სწირავს»[4].

11. გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი

მეცხრე საუკუნის გასულსა და მეათის დამდეგს ლიტერატურული მოღვაწეობით ცნობილი ყოფილა რამდენიმე პირი, რომელიც მოხსენებულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელის

---

[1] «Описание», II, стр. 640 — 641; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 99 — 102.

[2] ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა (IX—X ს.), გვ. 0182—0193, 197—199.

[3] «Описание», II, 644.

[4] კ. კეკელიძე, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველესი ქართული დავითნის ტერმინოლოგიისა და ტექსტუალური თავისებურებისა, ეტიუდები, III, 120 — 126, 1955 წ.

ბიოგრაფი, ამბობს: «რამეთუ ვჰგონებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა: დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გჳრგჳნი მისი. და ღმერთშემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი და ქრისტჱს მღდელმოძღუარნი ღირსნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი, და სხუანი მსგავსნი მათნი. და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინღა რჱცა განმეღჳძა უცებსა ამას და ფრიად ცოდვილსა კელყოფად და აღწერად ცხოვრებაჲ და სასწაულნი ესე, რომელ აწ გესმენ» (გვ. 6ბ). ეს ისეთი ცნობილი და განთქმული მწერლები ყოფილან, რომ, გიორგი მერჩულის რწმენით, ისეთი მნიშვნელოვანი პირის ბიოგრაფიის დაწერა, როგორიც იყო გრიგოლ ხანძთელი და ისეთი მსხვილი ფაქტის აღწერა, როგორიც იყო კლარჯეთის უდაბნოთა აღშენება, სწორედ მათ შეშვენოდათ და მათ შეეძლოთ. აქედან ჩანს, ამ პირთ მართლაც იცნობდნენ, როგორც აგიოგრაფიულ-ისტორიულ ნაწარმოებთა ავტორებს, თუმცა, სამწუხაროდ, სოფრონ შატბერდელისა და ილარიონ პარეხელის შესახებ არავითარი ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება. დანარჩენი ორი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი, ცნობილი პირნი არიან.

გ ი ო რ გ ი მ ა წ ყ უ ე რ ლ ი ს შესახებ ცნობები მოიპოვება სერაპიონ ზარზმელის ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი. გიორგი მაწყვერელს მიუწოდებია ბასილ ზარზმელისათვის უმთავრესი ცნობები სერაპიონის შესახებ. ბასილი ამბობს: «ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკუანაჲსკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის ვიტყჳ მაწყუერელსაო». მეორე ადგილას ის შენიშნავს: «ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიად საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყჳ უკუე გიორგის, ეპისკოპოსსა მაწყუერელსა, რომელი იგი აღმოსცენდა კევისაგან შუარტყლისა, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა; ხოლო აღიზარდა იგი განთქუმულსა მას უდაბნოსა ოპიზას». გიორგი მაწყვერელი მეტად დაახლოებული ყოფილა სერაპიონ ზარზმელთან, ის მის დასაფლავებასაც დასწრებია და მისი ცხოვრების დაწერისათვისაც ხელი შეუწყვია საჭირო მასალების მიწოდებით. იმას აწყურის კათედრა დაუჭერია გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების მეოთხე წელს, როდესაც გიორგის გვარში და სახლეულობაში, საერთოდ მთელ სამცხეში, დიდი მღელვარება, მტრობა და ნათესავთა შორის მკვლელობა იყო გამეფებული გიორგის მემკვიდრეობითი საკითხის გამო. «და კელთიდვა რა განგებაჲ სამცხისაჲ», ამბობს ბასილ ზარზმელი, მან «დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თჳსი, ვითარცა წეს იყო, და დაიპყრა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანეი». გიორგი მაწყვერელი უნდა გარდაცვლილიყოს მეათე საუკუნის პირველ მეოთხედში[1]. აი, ეს გიორგი მაწყვერელი ცნობილი მწერალი ყოფილა, თუმცა მას თხზულებათაგან ჩვენამდე არაფერი შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა.

[1] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 120—21.

უფრო ცნობილია, როგორც მწერალი, სტეფანე მტბევარი. ეს არის ჩვენებრე საუკუნის გასულისა და მეათის პირველი მეოთხედის მოღვაწე. როდესაც აშოტ ერისთავთა-ერისთავმა, რომელსაც ზედმეტ სახელად კუხი ერქვა, ტბეთის საეპისკოპოსო საყდარი დააარსა, მის პირველ ეპისკოპოსად სტეფანე დასვა, მაშასადამე, მეათე საუკუნის დასაწყისში, ვინაიდან აშოტ კუხი გარდაიცვალა 918 წელს. სტეფანე მართლა რომ სახელგანთქმული და ნაყოფიერი მწერალი ყოფილა. იმას, როგორც ჩანს, აინტერესებდა საეგზეგეტიკო მწერლობა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, დაჩის თავისი თარგმანი ეპიფანე კვიპრელის ფსალმუნთა განმარტებისა «განსაკითხავად», ესე იგი სარედაქციოდ და საცენზურიდ მისთვის გაუგზავნია; თან დაურთავს წერილი, რომელშიაც, აღნიშნავს რა «ღმრთივმოცემულსა მისდა სიბრძნესა», თხოვს მას: «უკუეთუ ჯერ არს განსრულებაჲ, სიწმიდემან შენმან განასრულენო» [1]. უფრო კი სტეფანე ცნობილი ყოფილა როგორც აგიოგრაფი. ეს ჩვენ ვიცით არა მარტო გიორგი მერჩულის ზემოამოწერილი სიტყვებიდან, არამედ იმ თხზულებიდან, რომელსაც ეწოდება, «წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყუელის ციხით» [2].

914 წელს საქართველოსა და სომხეთს შემოესია არაბთა სარდალი აბულ-კასიმი, რომელმაც საშინლად გაანადგურა ორივე ქვეყანა. მოკლა და ძელზე ჩამოკიდა სომეხთა მეფე სუმბატი. ამ დროს აბულ-კასიმმა ალყა შემოარტყა ყუელის ციხეს, რომელშიც იმყოფებოდნენ აზნაურნი და მათ შორის ერთი მთავარი, რომელსაც მიქელი ერქვა, ხოლო ზედნართაულად გობრონი. ის დაიჭირეს და მიჰგვარეს აბულ-კასიმს, რომელმაც მას მოთხოვა მაჰმადიანობის მიღება. გობრონმა უთხრა: შენს საბრძანებელში ბევრი ქრისტიანია, რომელნიც ერთგულად გემსახურებიან შენ, მეც მიმსახურე, როგორც გენებოს, მხოლოდ ქრისტეს უარისყოფას ნუ მომთხოვ; მაგრამ მისი არ ისმინეს და თავი მოჰკვეთეს 914 წელს. ამისი მარტვილობა აუწერია სტეფანე მტბევარს, როგორც თვითონ ამბობს, აშოტ კუხის ბრძანებით, მაშასადამე, 914—918 წლებში. მარტვილობა მაინცდამაინც გრძელი არაა, მაგრამ ისიც, რაც არის, მომეტებულ ნაწილად, წარმოადგენს გრძელ საღვთისმეტყველო ტრაქტატს, რომელიც საღმრთო წერილის ტექსტებითა და განყენებული მსჯელობითაა შეზავებული. ავტორის თვალსაზრისი საეკლესიო პროვიდენციალურია: მისი აზრით, უცხო და გარეშე მტრის შემოსევა, ომიანობა და ქვეყნის აწიოკება ღვთის რისხვაა და შურისძიება ადამიანთა უკეთურების გამო. მაგალითად, სომხეთის მოოხრებას აბულ-კასიმისაგან სტეფანე იმით ხსნის, რომ «მიწა იგი სომხითისა ამპარტავან და მკვდრნი მისნი ცუდად მზუაობრ, ანგარ, ლაღ და ცოდვისმოყუარე, ამპარტავან, უწყალო, უყუარული და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტჱსი, რომელთათჳს ქრისტე ცუდად მოკუდა» (გვ. 394).

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 99—101; Описание рукоп. Общества грамот., II, стр. 641.

[2] «საქართველოს სამოთხე», გვ. 393—400; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 80—85.

ეს თხზულება ტიპიური ნიმუშია იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთა, რომლებიც მეათე საუკუნიდან გაჩნდა ჩვენში და რომლებიც სომხებისადმი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხაზით სიმშვიდესა და ლოიალობას ვერ იჩენდა. მართლაც, თუ სომხების ის დახასიათება, რომელიც ამოვწერეთ, პოლემიკური თავგამოდებით არაა ნაკარნახევი, განა სტეფანე ვერ ხედავდა, რომ აბულ კასიმმა ქართველებს, რომელნიც, სტეფანეს შეხედულებით, აღნიშნულ უარყოფით თვისებებს მოკლებული არიან, არანაკლები უბედურება დააყენა? მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, ეს თხზულება საყურადღებო ნაწარმოებს წარმოადგენს. იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება სტეფანეს თუმცა მოკლედ, მაგრამ ცხოველად და მკაფიოდ აქვს დახატული. არაბების შემოსევა, მათი რიცხვი, შეიარაღება, ციხის ალყის შემორტყმა და ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა, უკანასკნელთა გასაჭირი, რომელიც იქამდე მიდიოდა, რომ ისინი, «ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანილოვანსა ქუეყანისასა» (გვ. 396), — ყველა ეს ისე ცხოველადაა აღწერილი, რომ საუკეთესო ისტორიკოსსაც კი შეშურდება. ამით აიხსნება ისიც, რომ ჩვენი მემატიანე, როდესაც აბულ-კასიმის შემოსევას მოგვითხრობს, უჩვენებს სწორედ გობრონის მარტვილობას[1], რომელიც ნამდვილი მატიანეა ქრისტიანთა დევნისა, შემუსვრისა და აკლებისა საქართველოში მეათე საუკუნის დამდეგს არაბთა ძალმომრეობის შედეგად.

12. ბასილ ზარზმელი

მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში სამცხეში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სამონასტრო ცხოვრებას. ამ საქმის მეთაური და სულისჩამდგმელი იყო სერაპიონი, რომელმაც ააშენა ზარზმაში მონასტერი. დაახლოებით მეათე საუკუნის პირველ მეოთხედში ზარზმაში წინამძღვრობა მიუღია სერაპიონის ძმისშვილს, ბასილს, რომელსაც ჯერ კიდევ წინამძღვრობამდე დაუწერია თავისი ბიძის ც ხ ო რ ე ბ ა[2]. მართალია, ეს უკანასკნელი, დღევანდელი მისი სახით, არ არის ბასილის ხელიდან გამოსული ნაწარმოები, ის წარმოადგენს ბასილის შრომის მეტაფრასულ გადაკეთებას, რომელიც შესრულებულია არაუადრეს XI საუკუნისა, მაგრამ, საბედნიეროდ, გადამკეთებელს, ყოველ შემთხვევაში შინაარსის მხრივ, ც ხ ო რ ე ბ ა შ ი ბევრი ცვლილება არ შეუტანია. ასე რომ, ამ გადამეტაფრასებული ნაწარმოებითაც შესაძლოა ნამდვილი, უტყუარი წარმოდგენა ვიქონიოთ ბასილის შრომის შესახებ.

1950 წლის «მნათობში» (№ 7) დაიბეჭდა პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს ნარკვევი, რომელშიაც ის ცდილობს დაამტკიცოს, სხვათა შორის, რომ სერაპიონის ცხოვ-

---

1 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 227.

2 ც ხ ო ვ რ ე ბ ა სერაპიონისა იპოვა და გამოსცა მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა («ქართული მწერლობა», II, თბილისი, 1909 წ., გვ. 1 — 46). მეორე მისი გამოცემა ეკუთვნის კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს («ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა», თბილისი, 1935 წ., გვ. 99—184). ამ გამოცემიდან ის შემოკლებით გადაბეჭდა ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა («ქრესტომათია», I, 86—98). К. К е к е л и д з е, Памятники древнегрузинской агиографии, стр. 63 — 101, 1956 г.

რებაში მოთხრობილია არა მეცხრე-მეათის, არამედ მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა ამბები და თვით ცხოვრება დაწერილია მეშვიდე საუკუნეში (გვ. 138—151). ჩვენ არ გამოვუდგებით ამ დებულების წვრილმანების განხილვას, არც შეფასებას მისი არგუმენტაციისას, რომელიც მდგომარეობს, უფრო ხშირად, სიტყვებში: «როგორც გაირკვა, როგორც ირკვევა, როგორც ჩანს», თუმცა ნაჩვენები არაა ხოლმე ყოველთვის, საიდან ირკვევა ან ჩანს ის, რასაც ამტკიცებს ავტორი. შევჩერდებით ამ დებულების მხოლოდ მთავარ საყრდნებზე. ასეთებია:

1. ცნობა იმის შესახებ, რომ მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის მეფობაში, აშენებული იქნა ოპიზის მონასტერი. მკვლევარს მ-ჰყავს ვახტანგის ისტორიიდან ასეთი ცნობა: «ხოლო ერისთავმან არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა და მონასტერი, რომელ არს ოპიზისა, და სამი ეკლესიანი». უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვები — რომელ არს ოპიზისა — იკითხება ვახტანგის ისტორიის მხოლოდ ერთ, ჭალაშვილისეულ, ნუსხაში, რომელშიაც ეს სიტყვები, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არც ერთ სხვა ნუსხაში იმათ ადგილი არ აქვთ, უნდა მიჩნეულ იქნეს გლოსად რომელიღაც სხვა დროის რედაქტორის თუ გადამწერისა, რომელიც შემდეგი მოსაზრებიდან გამოდიოდა: თუ ამ ციტატაში ნაჩვენებია სახელი ციხისა და სამი ეკლესიისა, რატომ მონასტრის სახელიც არ უნდა ყოფილიყო ნაჩვენებიო, და მან თვით «უჩვენა» ის. სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია, რომ საქართველოში მონასტრები ჩნდება მხოლოდ მეექვსე საუკუნიდან, ვახტანგის ისტორიაში, რომელსაც არა ერთი საეჭვო და ლეგენდური ცნობა შემოუნახავს, არაა გასაკვირი ისეთი ცნობა, ვიოთმც ჩვენში მეხუთე საუკუნეში მონასტერი აშენებულიყო.

2. სერაპიონის ცხოვრების სიტყვები: «აღეშენა რა წმიდა და დიდი უდაბნო ოპიზა... ამისა შემდგომად მოვიდა მუნით მიქელ და აღაშენა მცირე ეგუტერი, რომელსა პარეხ უწოდიან». მკვლევარს ჰგონია, რომ სიტყვებში — აღეშენა რა წმიდა და დიდი უდაბნო ოპიზა — იგულისხმება აშენება მისი მეხუთე საუკუნეში, რაც, როგორც დავინახეთ, სიმართლეს არ შეესაბამება. ნამდვილად კი აქ ნაგულისხმევია აღდგენა ან მეორედ აშენება ოპიზასი (დაახლოებით მეცხრე საუკუნის ნახევარში) იმ ნგრევა-რღვევისაგან, რომელიც მან, კლარჯეთის სხვა სავანეებთან ერთად, არაბთა შემოსევის დროს განიცადა.

3. ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს მიქელ პარეხელი იყო მოწაფე შიო მღვიმელისა. ეს ცნობა ეკუთვნის არა ბასილ ზარზმელს, არამედ მისი შრომის მეტაფრასტს, რომელიც ცხოვრობდა, თხზულების მიხედვით, არაუადრეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა. თუ რამდენად კომპეტენტურია ეს უკანასკნელი, იქიდანაც ჩანს, რომ სერაპიონის, მეექვსე საუკუნის მოღვაწის. თანამედროვეთ მიაწერს ციტატას მეშვიდე საუკუნის მიწურულში (688 წ.) დაწერილი თხზულებიდან (ცხოვრება გრიგოლ აკრაკანტელისა).

4. არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მკვლევარი მიქელ პარეხელის პიროვნებას, რომელიც მოხსენებულია როგორც სერაპიონის, ისე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში: ესენი სხვადასხვა პირიაო, ამბობს ის, ბასილ ზარზმელის

მიქელი მოღვაწეა მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრისა, ხოლო გიორგი მერჩულის — მეცხრისაო. რა საბუთები არსებობს ამის სასარგებლოდ?

ა) გიორგი მერჩულის მიქელი შავშეთიდან იყო, ხოლო ბასილის ქართლიდანო (გვ. 146). არსაიდან არ ჩანს, რომ ის ქართლიდან იყო (ის გარემოება, რომ მიქელი თითქოს მოწაფე იყო შიო მღვიმელისა, დაეუშვათ ეს მართალია, კიდევ არ ნიშნავს, რომ ის უთუოდ ქართლელი იყო და ქართლიდან მოვიდა ოპიზაში), ისე, როგორც არც ერთი წყაროდან არ ჩანს, რომ სამცხის ფეოდალი მირიანი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში იხსენიება, არის შთამომავალი გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრის (სერაპიონის ცხოვრებით) მირიანისა (გვ. 148), ეს ყველაფერი ad hoc მოგონილია.

ბ) ბასილი ზარზმელის მიქელს ჰყავს მრავალი მოწაფე, გიორგი მერჩულის მიქელი კი არის მარტოდმყოფი, ანახორეტი, დაყუდებული, მას შეგირდები არ ჰყავსო (გვ. 143 — 146). ეს არაა ფაქტობრივად სწორი: გიორგი მერჩულის მიქელს ჰყავს მოწაფეები; აქ ნათქვამია: «მიქელმა მოწაფედ თჳსი მიავლინა მამისსა ჭრიგოლისსა და აუწყა ყოველი». «ეშმაკი იგლოვდა ფრთჱ, რამეთუ ხედვიდა წმიდათა კაცთა განმრავლებითა ჟამისა თჳსისა შემოკლებასა» მიქელის პარეხშიო.

გ) როდესაც ბერად შედგებოდნენ ხოლმე, სახელს იცვლიდნენ, ახალ სახელად იღებდნენ მონასტრის დამაარსებლის სახელს. მაგალითად, ზარზმა დაარსებული იყო სერაპიონის მიერ, ამიტომ ამ მონასტრის მოღვაწეთა შორის სახელი სერაპიონი ხშირად გვხვდება. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე მიქელ პარეხელის ხაზითაცო, — ამბობს მკვლევარი (გვ. 149). ზარზმის სერაპიონების მაგალითი გასაგებია, ისინი სერაპიონის მიერ დაარსებულ მონასტერში იღებდნენ ალბათ ბერობას; გიორგი მერჩულის მიქელ პარეხელი პარეხის მონასტერში ხომ არ აღკვეცილა ბერად, მან ბერობა მიიღო მიძნაძორში, აქედან ხანძთას მისულა და ამის შემდეგ გადასულა პარეხში (აქ მას სახელი არ შეუცვლია), ასე რომ, აქ არავითარი ანალოგია არაა. მკვლევარის გადმოცემით, არსებობდნენ ორი მიქელ პარეხელი, ორი მათი მოწაფე ბასილი, ორი პავლე მამასახლისი, ეს შემთხვევითი დამთხვევაა სახელებისაო (გვ. 142). ამგვარი შემთხვევითობითი მოსაზრებით რომ ვიხელმძღვანელოთ, მთელი ისტორია შემთხვევითი ფაქტების კონგლომერატად უნდა მივიჩნიოთ.

დ) ალბათ ასეთი შემთხვევითი ხასიათის ფაქტად თვლის მკვლევარი იმასაც, რომ დიდად განსწავლულ გიორგი მაწყვერელს ჩვენ ვხედავთ როგორც სერაპიონის (მან მისცა ბასილს მასალა თავისი შრომისათვის), ისე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც. მართალია, მკვლევარი რატომღაც გვერდს უვლის ამ პირს, მაგრამ ერთხელ მაინც გაკვრით შენიშნავს, რომ სერაპიონთან დაახლოებული ყოფილა გიორგი მაწყვერელიო (გვ. 138). გაგვიჩნია კი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ მეექვსე საუკუნეში არსებობდა ისეთი მძლავრი და მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო კათედრა, როგორც სერაპიონის ცხოვრებაშია წარმოდგენილი აწყურის კათედრა? ეს უკანასკნელი არ ჩანს არც ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებულ კათედრათა შორის, არც 506 წლის საეპისკოპო-

სო ეპარქიათა შორის (ეპისტოლეთა წიგნი), სხვა წყარო კი ამისათვის არ მოიპოვება.

5. მართალია, ცხოვრებაში არაა ხსენება არც არაბების, არც ქართველთა მეფის, არც გრიგოლ ხანძთელისა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ silentium ყოველთვის არაა argumentum, შუშანიკის მარტვილობაში არაა ხსენება ვახტანგ გორგასლისა, ნუთუ ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს ის არ არსებობდა?

ერთი სიტყვით, დამტკიცება იმისა, რომ სერაპიონის ცხოვრებაში მოთხრობილია არა IX—X, არამედ VI—VII საუკუნეთა ამბები და თვით ცხოვრება დაწერილია VII საუკუნეში, პ. ინგოროყვას საბუთებით ყოველად შეუძლებელია. ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ ცხოვრებაში საუბარია ფერისცვალების ხატის შესახებ. ფერისცვალების დღესასწაული რ აგვისტოსი, როგორც ეორტალოგიის ისტორიიდან ვიცით, აღმოსავლეთში ფეხს იკიდებს საყოველთაოდ მერვე საუკუნიდან, ხოლო კონსტანტინოპოლში იმპერატორი ლეონ ბრძნის (886—912) დროიდან [1]. თან ეს ხატი პავლეს დროს, რომელიც მესამე მამასახლისი იყო ზარზმაში სერაპიონის შემდეგ, დაუსვენებიათ ეკლესიაში და, როგორც მისი წარწერიდან ვგებულობთ, 886 წელს შეუმკიათ. სერაპიონი გარდაიცვალა, გვარწმუნებენ, მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში, მესამე მამასახლისი კი მის შემდეგ 886 წელსაც ცოცხალია; ნუთუ ეს, თუ შემთხვევის თეორიით არ ვიხელმძღვანელებთ, შესაძლებელია?

სერაპიონი იყო კლარჯი. მის მშობლებს, რომელნიც ადრე გარდაცვლილან, დარჩათ სამი ვაჟი: სერაპიონი, იოანე და ერთიც უფროსი, რომლის სახელი მოხსენებული არაა. ოპიზის მონასტრის ერთ-ერთ მოღვაწეს, მ ი ქ ე ლ ს, აუშენებია სავანე პ ა რ ე ხ ი, სადაც იმას თავი მოუყრია მოწაფეთათვის: მიქელთან მისულა სერაპიონი თავისი ძმით იოანეთი და ბერად შემდგარა, ხოლო უფროსი ძმა სოფლად დარჩენილა და ცოლშვილს მოჰკიდებია. მიქელმა ჩ ვ ე ნ ე ბ ა შ ი ბრძანება მიიღო, რომ მას სამცხეს გაეგზავნა სერაპიონი და იოანე და იმ ადგილას, რომელიც სასწაულებრივ გამოეცხადებოდა მათ, მონასტერი აეშენებია. მართლაც, სერაპიონი და იოანე წამოსულან ოთხ სხვა ბერთან ერთად, თან წამოუღიათ ფერისცვალების ხატი და მოსულან ბ ე რ ა ს ჯ უ ა რ ს, სადაც შეჩერებულან «ხევსა უტყუსსა, ადგილსა ძინძედ წოდებულსა». ვინაიდან აქ არც სასწაული გამოეცხადა მათ, არც იმ ადგილის პატრონთ მოინდომეს, რომ აქ მონასტერი გაშენებულიყო, ისინი გადავიდნენ საბრძანებელში მთავრის გიორგი ჩორჩანელისა, «რომლისა ტაძარნი შჱნ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა». ბევრი ძებნის შემდეგ მათ პოვეს ადგილი ზარზმად წოდებული, და აქ, თვით გიორგი ჩორჩანელის გულმხურვალე მატერიალური და ზნეობრივი დახმარებით, სამი წლის განმავლობაში ააშენეს პატარა ეკლესია, რომელშიაც დაასვენეს ფერისცვალების ხატი. მალე აქ გაჩაღდა მონასტერი, რომლის ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა მიქელ პარეხელი. სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ წინამძღვ-

[1] Проф. В. Болотов: «Христиан. Чтение», 1883 г., ч. II, стр 644.

რობა მიიღო გიორგიმ, ხოლო გიორგის შემდეგ მიქელმა, რომლის დროს დაიწყეს შენება ახალი სამონასტრო ტაძრისა, რომელიც დამთავრდა შემდეგი წინამძღვრის — პავლეს დროს. პავლეს შემდეგ წინამძღვრობა მიიღო სერაპიონის უფროსი ძმის, რომელიც სოფლად დარჩა, შვილმა, სახელით ბასილმა, რომელიც ზარზმაში მოსულა სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ; მან განაშენა სერაპიონის სამარხი და განაწესა იქ ყოველწლიური ხსენება სერაპიონისა 29 ოქტომბერს.

აი, ამ ბასილს აღუწერია თავისი ბიძისა და ზარზმის მაშენებლის, სერაპიონის, ცხოვრება, რომელშიაც გადმოუცია ცნობები არამცთუ სერაპიონის დროისა, არამედ მისი სიკვდილის შემდეგ, თვით მის, ბასილის, დრომდე. ბასილის ავტორობას ამტკიცებს თვით ცხოვრების ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია: «რამეთუ თჳთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხოვრებაჲ ესე წმიდისაჲ აღწერა», ანდა — «მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისა... მივიწიე... ვიხილე... კელეჰყავ და შეეჰმზადე...»., ცხორებაში არც ერთი თარიღი არაა აქ აღწერილი ამბების გამოსარკვევად, მაგრამ მისი შინაარსისა და გრიგოლ ხანძთელის «ცხორების» მონაცემთა მიხედვით ირკვევა, რომ სერაპიონს მოღვაწეობა დაუწყია 850 წლის ახლო ხანებში, ზარზმა აუშენებია 861—868 წლებში, ხოლო გარდაცვლილა ის არაუადრეს 900 წლისა. სერაპიონის «ცხორება» მის ძმისშვილს ბასილს, რომელსაც წინამძღვრობა მიუღია პავლეს შემდეგ (დაახლ. 916 — 926 წწ.), დაუწერია დაახლოებით მეათე საუკუნის მეორე ათეულის მიწურულში, ოციოდე წლით ადრე, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის «ცხორება» დაიწერებოდა[1]. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გრიგოლის შესახებ აქ ხსენება არ არის. მართალია არც გრიგოლ ხანძთელის «ცხორება» იხსენიებს სერაპიონის «ცხორებას», მაგრამ ეს აიხსნება, ალბათ, იმით, რომ ავტორს, გიორგი მერჩულს, როდესაც ის თავის თხზულებას წერდა, ჯერ კიდევ არ ცოდნია, წაკითხული არ ჰქონია სერაპიონის ცხორება. საკმარისია ისიც, რომ გიორგი მერჩულს კარგად სცოდნია სერაპიონის ცხორების ერთი უმთავრესი მოქმედი პირი, — გიორგი მაწყვერელი, მის დროს უკვე კარგა ხნის მკვდარი, რომლის შესახებ ის ერთგვარ საყვედურსაც კი გამოთქვამს, რომ მას არ აღუწერია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება.

ბასილი ზარზმაში მოსულა, როგორც ვთქვით, სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ. ცნობები, საზოგადოდ მასალა თავის თხზულების დასაწერად, იმას სხვადასხვა წყაროდან უნდა ამოეღოს, სახელდობრ: 1) ცნობებს სერაპიონის ჩამომავლობაზე, მშობლებზე, ძმებზე, პატარაობასა და ჭაბუკობაზე ბასილი გაიგონებდა ან მამის ან სხვა თავისი საგვარეულოს წევრისაგან. 2) ყველაფერი ის, რაც სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ გაკეთებულა ზარზმაში, ბასილს საკუთარი თვალით ექნებოდა ნანახი, ხოლო ის, რაც მის დროს მოხდა და გაკეთდა იქ, პირდაპირ მის მიერაა აღნუსხული. 3) ბევრი მასალა მოუწოდებია მისთვის თავის დროს ცნობილსა და გამოჩენილს გიორ-

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძის გამოცემაში, გვ. 109—121.

გი მაწყვერელს: «ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ებისკოპოსობისა და უკუანასკნელ ეხილენეს — ამბობს ის — მომითხრნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის ვიტყჳ მაწყუერელსა»; ანდა: «ხოლო მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიად საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყჳ უკუე გიორგის ეპისკოპოსსა ჰაწყუერელსაჲ». 4) უსარგებლია მას აგრეთვე მიქელ პარეხლის ცხოვრებით, რომელიც ამ უკანასკნელის მოწაფეებს დაუწერიათ და რომლიდანაც მას ამოღებული უნდა ჰქონდეს ცნობები მიქელის შესახებ; იქიდანვე იქნება ამოღებული ცნობები სერაპიონისა და მისი მოწაფეების პარეხიდან ზარზმას წარგზავნის შესახებ. 5) ცნობები სამონასტრო ადგილის ძებნის შესახებ ბასილისათვის მიუწოდებია სერაპიონის თანამხლებელ ერთ-ერთ ძმათაგანს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ საუბარი პირველი პირითაა მოყვანილი. ზარზმის პირველი ეკლესიის აგების ამბავიც, დაწერილებით ნაამბობი, ბასილისათვის უნდა გადაეცა დამსწრე მონაწილე ძმას.

ის მასალა, რაც ბასილს ხელთა ჰქონია თავისი შრომის დაწერისას, საკმაოდ სანდო ყოფილა, ამიტომ ეს შრომა სამცხე-საათაბაგოს უძველესი ისტორიის შესასწავლად ფასდაუდებელია. აქ მშვენივრად არის აღწერილი ზარზმის მიდამოების ბუნება და მოსახლეობა, ზარზმის აგების ამბავი, გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო და სანადირო დაწესებულებანი, გიორგის სათნოებანი, ხასიათი. უფრო მნიშვნელოვანია ეს ძეგლი, რასაკვირველია, ამ მხარეში სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების შესასწავლად: თხზულებაში აღნიშნულია რამდენიმე მნიშვნელოვანი მონასტრის (ოპიზა, ზარზმა, პარეხი, ზანავი, იოანე წმიდა) არამცთუ სახელი, არამედ მოკლე ამბავიც. ცხოვრებას მნიშვნელობას მოკლებული არაა ჩვენი მწერლობის ისტორიის შესასწავლადაც, ვინაიდან აქედან ვგებულობთ, რომ არსებობდა მიქელ პარეხლის «ცხორება», აღწერილი მის მოწაფეთაგან. აქედანვე ვგებულობთ ჩვენ ვინაობას გიორგი მაწყვერელისას, რომელიც, როგორც გიორგი მერჩულის ცხოვრებიდან ჩანს, ცნობილი მწერალი ყოფილა[1]. თხზულებაში კარგადაა დასურათხატებული სამცხის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება: ქვეყნის ბატონ-პატრონად და გამგედ ითვლებიან დიდებული ფეოდალები, როგორც, მაგალითად, გიორგი ჩორჩანელი და მისი მემკვიდრეები. აეტორს მოუცია მკვეთრი სურათი ფეოდალური ცხოვრების ანომალიებისა, რომელიც საგვარეულო-მემკვიდრეობითს ნიადაგზე წარმოიშვებოდა ხოლმე (გიორგი ჩორჩანელის დის ოჯახი). აქ ისიც აღნიშნულია, რომ ასეთი არევ-დარევის დროს ქვეყნის მეთაურობასა და ხელმძღვანელობას ეკლესიის წარმომადგენელიც კი კისრულობდა ხოლმე (გიორგი მაწყვერელი). თხზულებაში, მართალია მკრთალად, საზოგადოების დაბალი ფენები, გლეხობაც კია გამოყვანილი. ეს გლე-

[1] დაწერილებითი ანალიზი თხზულებისა იხ. კ. კეკელიძის გამოცემაში, გვ. 125—137; მისივე, «ხუცე» ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში, «საქ. მეცნ. აკად. მოამბე», ტ. V, № 3, 1944 წ., გვ. 353—355.

ხობა თავგამოდებით ებრძვის სამონასტრო მიწათმფლობელობასა და ექსპლოატაციას, ამიტომ ძალადობასაც კი ხმარობს ბერებზე, რათა მათ საშუალება არ მისცეს მის მიერ დაკავებულ ადგილზე მონასტერი გააშენონ. ასეთ წინააღმდეგობას, როგორც ამავე თხზულებიდან ჩანს, ზოგიერთი ფეოდალიც კი უწევდა მონასტრებს. ერთი სიტყვით, თხზულება საყურადღებო ძეგლია, რომელშიაც გამოხმაურებას პოულობს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი კლასობრივი ბრძოლები.

18. გიორგი მერჩული

ზემოთ ჩვენ არაერთხელ დაგვისახელებია შესანიშნავი ჰოღვაწე VIII—IX სს. გრიგოლ ხანძთელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის კოლონიზაციას ამ მხარეში სამონასტრო ცხოვრების გაჩაღებითა და აყვავებით. გარდაიცვალა გრიგოლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ მის ბიოგრაფიაში, 102 წლისა, 861 წელს. მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, მაშასადამე, 951 წელს, ხანძთის მონასტრის მოღვაწეს, ვინმე გიორგი მერჩულს, როდესაც ხანძთაში წინამძღვრად ყოფილა თეოდორე, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის იოანეს დახმარებით, დაუწერია გრიგოლის ცხორება, რომელსაც ეწოდება: «შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მისთანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ». 958—966 წლებში ეს ცხორება განუახლებია, შეიძლება თვით ავტორის დახმარებითა და ხელმძღვანელობით, ბაგრატ ერისთავთერისთავს რამდენიმე სასწაულის ჩართვით, რომელიც წინათ თხზულებაში არ ყოფილა[1]. გრიგოლ ხანძთელის ცხორება პირველად, 1845 წ., აღმოაჩინა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა, ხოლო მეცნიერულად გამოსცა აკად. ნ. მარმა[2].

ეს თხზულება, მიუხედავად იმისა, რომ მას ფაბულური მთლიანობა აკლია, ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია ძველი ქართული მწერლობისა. მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ არაუცთუ აგიოგრაფიული, თუგინდ ისტორიული, არამედ სიტყვაკაზმული ნაწარმოები, ისეთი უნარითა და მეთოდითაა ის დაწერილი. მკითხველს აქ ხიბლავს ენისა და სტილის ვირტუოზობა, ფართო ისტორიული პერსპექტივები, სიუჟეტების რეალისტური და დრამატული განვითარება, ცოცხალი და სულწარმტაცი ფერადებით ბუნების სურათთა დახატვა და ბუნების კულტი, ერთგვარი თაყვანისცემა და ვაღმერთება მისი, რაც ძველი დროის, და ისიც ეკლესიურ, ნაწარმოებში იშვიათად გვხვდება. აქ ჩვენ ვხედავთ სურათის სისწორე-სიმართლითა და დეტალურად აღწერას.

[1] ეს ბაგრატი, «გულისხმისყოფითა ქებული», ამავე დროს ყოფილა «საღმრთოთა წიგნთა მეძიებელი და შემკრებელი», ესე იგი ბიბლიოფილი, მეცნიერი და, შეიძლება, ლიტერატორიც.

[2] Георгий Мерчул. Житие Григория Хандзтийского. «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии» кн., VII. Петерб., 1911. მეორედ ეს თხზულება გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა («ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია», I, 98—156), მესამედ — პ. ინგოროყვამ 1949 წ.

ასეთია გარეგანი, ლიტერატურული ფორმა და ღირსება ამ თხზულებისა. რაც შეეხება მის შინაარსს, ამ მხრივ ის წარმოადგენს საყურადღებო ისტორიას არა მარტო საქართველოს ეკლესიისას მერვე-მეცხრე საუკუნეებში, კერძოდ ბერ-მონაზვნობისას ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სინაზე, ტაო-კლარჯეთში, არამედ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისასაც [1]. პოლიტიკური მხრით, ამ თხზულებით, დასავლეთი საქართველო ბერძნების ხელშია. აქ, აფხაზეთში, ზის მეფე, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის უზენაეს პროტექტორატს განიცდიდა. აღმოსავლეთი საქართველოს ერთი ნაწილი არაბთა ხელშია. არაბთა ხალიფის წარმომადგენელი, ამირას სახელით, თბილისში ზის. შინაურ საქმეებში, რომელთაც ადგილობრივი ერისთავნი განაგებენ, ის არ ერევა, თუმცა ამ ერისთავთა ბედ-იღბალი იმის ნებისა და სურვილის ასრულებაზეა დამოკიდებული. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ტაო-კლარჯეთი, — მათგან თავისუფალია. ც ხ ო რ ე ბ ა შ ი წარმოდგენილია ის მომენტი პოლიტიკური ყოფისა, როდესაც საქართველოში იდეა ეროვნული მთლიანობისა გაღვივებულა და შედგომიან კიდევაც საქართველოს გაერთიანებისათვის ზრუნვასა და საქმეს, რომელიც დაწყებულა ტაო-კლარჯეთიდან, აქაური მამფლებისა და კურაპალატების თაოსნობით. საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, უმთავრესად ეროვნული ეკლესიის წიაღში, რაც შემდეგ სიტყვებშია გამოხატული: «ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეყსონი ბერძულად ითქუმის» (გვ. მთ). ის მხარე, საიდანაც ეს მოძრაობა დაწყებულა, ტაო-კლარჯეთი, გრიგოლ ხანძთელის დროს, როდესაც ის იქ მისულა, განადგურებული და გაუშენებელი ყოფილა, ვინაიდან მურვან ყრუს შემოსევასა და რბევა-წვას თან დართვია ჟამიანობა, რომელსაც მუსრი გაუვლია მცხოვრებთათვის. მცირე რიცხვი იმათი, რომელიც კი გადარჩენილიყო, მთებში იმალებოდა და იხიზნებოდა. გრიგოლის მისვლით, როდესაც აქ აყვავდა სამონასტრო ცხოვრება, მხარეც დასახლებულა და თანდათან აშენებულა.

უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი ამ თხზულებაში საქართველოს საეკლესიო მდგომარეობა. პირველად საქართველოს ეკლესია აქ გამოყვანილია როგორც ერთი მთლიანი ეროვნული და დამოუკიდებელი ორგანიზმი, რომელიც თვით განაგებს თავისთავს და არავის, არც ერთი უცხო პატრიარქის ბატონობას არ განიცდის და არ გრძნობს. ეკლესიის სათავეში დგას მამათმთა-

---

1 თუმცა გიორგი მერჩულს ერთი ისტორიული ხასიათის lapsus-ი მოსვლია. ის ამბობს: «ძუელი ხანძთისა ეკლესიაჲ არსენი კათოლიკოსმან აკურთხა» (გვ. მთ, სტრ. 165—6). ეს შეუძლებელია: ხანძთის ძველი ეკლესია დასრულდა აშოტ კურაპალატის სიკვდილამდე, დაახლოებით მაშინ, როდესაც არსენი 1—6 წლისა იყო; ვერ აკურთხებდა ის ვერც ახალ ეკლესიას, რომლის შენება დაიწყო აშოტ კუხმა. რომელიც გარდაიცვალა 918 წ. (გვ. ლბ, სტრ. 19—20), და დასრულა მისმა მემკვიდრემ გურგენმა (გვ. ბლ, სტრ. 38). მეორე lapsus-ი: გრიგოლი არქიმანდრიტად დაიდგინა ბაგრატის დროს (ლბ, 1—6); ამავე დროს ის არქიმანდრიტად გამოუყავს მას აშოტის დროსაც (ამ, 5 — 13).

ვარი—კათოლიკოსი, რომელსაც ირჩევს კრება, შემდგარი საერო და სამღვდელო წევრებისაგან, როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთაგან. საეკლესიო ცხოვრებაში ბატონობს, საზოგადოდ, კრებითი პრინციპი, რომლის ხელშეუხებლობას მედგრად იცავენ ეკლესიის წარმომადგენელნი.

დამოკიდებულება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის თითქოს კეთილგანწყობილებითია: ეკლესია არ ერევა წმინდა სახელმწიფო საქმეებში, ის მხოლოდ მტკიცე დარაჯად უდგას ახლადფეხადგმულ სახელმწიფოს განმტკიცება-გამაგრებას და შეუბრალებლად ამხელს ყველას, თუგინდ მეფესაც, ვინც კი ზნეობრივ პრინციპს ღალატობს. აღნიშნული მიზნით ამ სახელმწიფოს უზენაეს წარმომადგენელს, მეფეს, ბიბლიური წარმოშობილობის შარავანდედითაც კი მოსავს. მართლაც, გრიგოლ ხანძთელი ეუბნება აშოტ კურაპალატს: «დავით წინაჲსწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ქელქწიფეო!» (გვ. 0%, სტრ. 3—4) [1]. მეფე-დიდებულნი თავის მხრივ უზრუნველყოფენ ეკლესია-მონასტრებს უხვი შეწირულებით, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის მწვავე კონფლიქტებისა და ბრძოლის არსებობას მეფე-დიდებულთა და ეკლესია-მონასტერთა წარმომადგენლებს შორის. პირველები ერევიან საეკლესიო საქმეებში (მოვიგონოთ არსენის არჩევა კათოლიკოსად), მეორენი წინაღუდგებიან ასეთ ტენდენციას და თავის მხრით ცდილობენ თავისი გავლენის ქვეშ იყოლიონ ისინი და ჰეგემონები გახდნენ ზნეობრივად მაინც. მართლაც, ეკლესია ნებას არ აძლევს მეფესა და საეროთ სარწმუნოების საქმეში ჩაერიონ. გრიგოლ ხანძთელი პირდაპირ ეუბნება გუარამ მამფალს: «პირველთა მათ წმიდათა მამათა შეკრებასა ეპისკოპოსთა და წინამძღუართა წესისათჳ მონაზონთა თანა იყვნეს პირველნი მორწმუნენი მეფენი, არა თუ მათთანა შჯულისა მოძღურებასა იკადრებდეს, არამედ შჯულის გამოძიებასა მათსა იკითხიან და ითხოიან სიტყჳსა გამოცხადებაჲ... არა ბრძანებულ არს ერისკაცისაჲ ვითარმცა ეპისკოპოსთა და... მამათა განსაგებელსა შჯულისმოძღურებასა იკადრებდა გინა ახალსახიობასა მიიღებდა» (გვ. მზ), ესე იგი შჯულის გამოძიება ან საეკლესიო კანონების დასწავლა ერისკაცის საქმე არაა, თუგინდ ის მეფეც იყოს: «დაღაცათუ სამართლად სჯონებელ იყოს, არამედ შჯულისა და მღდელმოძღუართა შეურაცხებაჲ არსო»

[1] თუ ეს სიტყვები მართლა გრიგოლისაა და არა ბეტორის, გიორგი მერჩულისა, ბაგრატიონთა წარმომდინარეობა ებრაელთა მეფის — დავით წინასწარმეტყველისაგან, ჩვენში ჯერ კიდევ აშოტ კურაპალატის დროს ცოდნიათ; ამიტომ უარყოფილი უნდა იქნეს J. Marquart-ის მოსაზრება. რომ ეს შეხედულება პირველად გაჩნდა შაჰუშ ბაგრატუნის შემდეგ, ესე იგი არაუადრეს მეცხრე საუკუნის გასულისა, დაახლოებით «ქართველთა მეფის» ადარნასე დავითის ძის დროიდანო («Osteuropäische und ostasiatische Streifzüge», S. 403). აკად. ნ. მარი სწორედ ვერ თარგმნის ამ ადგილს: «Властитель, сын пророка Давида и господа помазанника, нареченный ими, Христос бог да даст тебе в наследие царствие свое», (рус. перевод, стр. 96, строка 37—38). უნდა ითარგმნოს ასე: «властитель, нареченный сыном Давида, пророка и помазанника божья, Христос бог да даст...».

(გვ. მზ) [1]. რაც უნდა «ახალი რაჲმე კეთილი წესი ერისკაცმან» მოიგონოს ან «იხილოს რაჲმე კეთილი წესი» იერუსალიმსა და სხვა წმიდა ადგილებში, ისეთი წესიც კი, «რომელ ქრისტიანობასა შეუნოდის და ჩუენ შორის არა იყოს», ანდა «წიგნთაგან წმიდათა გულისხმა იყოს», მაინც იგი «თავით თჳსით ერსა უსწავლელსა» არ უნდა «აუწყებდეს», არამედ უნდა გაჩუმებული იყოს, «უმჯობჱს დუმილი არსო». მაგრამ თუ «დუმილი ვერ ძალედვას», მაშინ «აუწყოს თჳსსა ეპისკოპოსსა და, თუ ჯერ იყოს, მან ასწაოს, თჳსით ქადაგებდესო». ხოლო ვინც თვითონ, უეპისკოპოსოდ, თანამოძმეთ აუწყებს და შემოიღებს ახალ რამეს, თუნდაც კეთილს, იგი «უფლისა წინააღმდგომთა თანა დაისაჯოსო» (გვ. მჱ). ბერებს მედიდურად ეჩვენათ თავი მეფეების წინაშეც. «ჴეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ქალმწიფებასა ქუეშე არიანო», — ამბობდა გრიგოლი (გვ. კე). როდესაც საბა იშხნელი კუროპალატმა წერილით თავისთან მიიწვია, ის არც თვითონ წავიდა, არც პასუხი გაუგზავნა. ასე რომ, გაგზავნილმა მეფეს მოახსენა: «არა ჰნებავს კაცსა მას... მოსლვაჲ აქაო» (გვ. კთ — ლ). ხოლო, როდესაც გრიგოლის საშუალებით კუროპალატმა იგი მიიყვანა და უსაყვედურა — «ჯერ არს ქალმწიფეთა მორჩილებაო», მან მედიდურად უთხრა: «დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ქალმწიფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ყოველთა დაბადებულთაჲ; შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფჱ ხარ, ხოლო ქრისტჱ საუკუნოჲ მეუფჱ... უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმან ბრძანა, ვითარმედ ვერვის ქალეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ»-ო (გვ. ლ).

ეკლესიის წიაღში ამ დროს დასმული ყოფილა საკითხი თეთრ და შავ სამღვდელოებას, ესე იგი ბერ-მონაზონთა და მსოფლიო მღვდელთა, შორის დამოკიდებულების შესახებ. აგიოგრაფი მედიდურად უყურებს მ ს ო ფ ლ ი ო თ ა ეკლესიის, ესე იგი სამრევლო ეკლესიების მსახურთ და მხოლოდ ბერები მიაჩნია პატივისცემის ღირსად. თვით გრიგოლ ხანძთელიც კი ეპისკოპოსობას «ჴორციელ დიდებად» თელიდა (გვ. ე), ამიტომ მან იმაზე უარი თქვა, ვინაიდან, მისი შეხედულებით, «მსოფლიოთა მათ წმიდათა საყდართა

[1] აქ გამოთქმული აზრები ძალიან გვაგონებს შინაარსს იმ წერილისას (21), რომელიც მედიოლანის ეპისკოპოზს ამბროსის (IV ს.) მიუწერია იმპერატ. ვალენტინიანე მეორისათვის. იმპერატორი იწვევდა ამბროსის საეკლესიო საქმეების გამო გამოცხადებულიყო საიმპერატორო კონსისტორიაში. რომელშიაც მსაჯულებად იყვნენ, იმპერატორის თავმჯდომარეობით, ერისკაცები. ამბროსი სწერს იმპერატორს: „სად გაგონილა, მოწყალეო ხელმწიფეე, რომ სარწმუნოების საქმეში ერისკაცები ეპისკოპოსთა მსაჯულად გამოდიოდნენ? ნუთუ ეპისკოპოსები ერისკაცთაგან უნდა განისწავლებოდნენ? გამოდის — ერისკაცი მსჯელობს და ეპისკოპოსი მას უსმენს! ნუთუ ვინმე უარყოფს, რომ სარწმუნოების საქმეში იმპერატორები კი არ არიან ეპისკოპოსთა მსაჯულები. არამედ ეპისკოპოსები ქრისტიანი იმპერატორებისა. აი, ღმერთი იზამს. და წამოიზდები. მაშინ შენ თვითონ შეიგნებ. თუ რა ფასი აქვს იმ ეპისკოპოსს, რომელიც თავის სამღვდელო უფლებას ერისკაცს ფეხებქვეშ უფენს. მამა შენი იტყოდა ხოლმე: «მე არ შემშვენის ეპისკოპოსთა მსაჯული ვიყოო», შენ კი ამბობ: «მე უნდა განვსაჯო ისინიო». არა, მე არ გამოეცხადები კონსისტორიაში, ეს მე არ შემიძლიაო!»

არა უმრწემჱს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანიო» (გვ. მ). მთელ თხზულებას აზის ბეჭედი ბერობის იდეალიზაციისა.

ცხორებაში წარმოდგენილია ინტიმური მხარეებიც VIII—IX საუკ. ქართული ცხოვრებისა. კლარჯეთის მოღვაწეთა ბიოგრაფიაში მოტანილია ეპიზოდები, რომელნიც გვიხატავენ იმ ეპოქის რეალური ცხოვრების საოჯახო მხარეს. «ცხორებაში» შეტანილია ქართული ფეოდალური ცხოვრების თავისებურად დამუშავებული რომანული ელემენტი, რომელიც მერე განვითარდა რომანტიკული ჟანრის საერო ლიტერატურულ ძეგლებში. ასეთია, მაგალითად, ეპიზოდი აშოტ კურაპალატისა და ადარნასეს საყვარელთა შესახებ, ასეთია ამბავი მამა ზენონის დის მიჯნურობისა. ამ რომანულ ნაწილში ავტორი არჩევს ქალისადმი ორგვარ სიყვარულს: წუთიერს, წარმავალს, კაცობრივსა და სამარადისოს, წარუვალს, თუმცა ის უკანასკნელსაც უარყოფითად ეკიდება. ამნაირად, სხვათა შორის, ამ თხზულებაშიც ვპოულობთ ჩვენ იმ ნიადაგს, რომელზედაც მერე, XI—XII სს. აღმოცენდა განსაკუთრებული კულტი, კულტი სიყვარულისა და ქალის გაღმერთებისა.

ცხორება საყურადღებოა აგრეთვე ჩვენი საეკლესიო წერლობის ისტორიის შესასწავლადაც. ვინაიდან აქ გაკვრით აღნიშნულია, თუ რას სწავლობდნენ მაშინდელი ქართველები, და მოხსენებულია ზოგიერთი თხზულება, რომელიც მაშინ ქართულ საზოგადოებაში ცნობილი ყოფილა. გრიგოლ ხანძთელის შესახებ ნათქვამია: «ხოლო გულისხმიერობაჲ სწავლისაჲ გასაკვრებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და კმითა სასწავლო სწავლაჲ, საეკლესიო სამოძღვროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ, და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწურთნა, ხოლო სიბრძნჱცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად» (გვ. ბ). მაშასადამე, უკვე იმ დროს ღებულობდნენ არა მარტო საეკლესიო, საღვთისმეტყველო სწავლა-განათლებას, არამედ საერო, ფილოსოფიურსაც. სხვადასხვა თხზულების შორის მოხსენებულია: «დაბეჭდულნი» წიგნნი ძველისა და ახლისა სჯულისანი, «დაუბეჭდველნი» წიგნნი წმიდათა მოძღუართა თქმულნი აღურაცხელნი (გვ. ლთ). იადგარი საწელიწდოჲ, თხზულებანი ეფრემ ასურისაჲ; გრიგოლ ღვთისმეტყველისაჲ, განძი კირილე ალექსანდრიელისაჲ, ცხორება ბაგრატ ტავრომენიელისაჲ (გვ. ჰჱ). აქვე მოხსენებულია მეცხრე-მეათე საუკუნის რამდენიმე მწერალი, რომელთაგან თანამედროვენი გამოელოდნენ გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიის აღწერას: სოფრონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი (გვ. ნბ). ავტორი იცნობს იპოლიტე რომაელის თხზულების «დავითისათჳს და გოლიათისათჳს განმარტების» ქართულ თარგმანს, საიდანაც მას ციტატი მოაქვს [1]. იცნობს ის აგრეთვე იოანე ოქროპირის «ცხორების» ქართულ თარგმანს, საიდანაც მას ამოღებული აქვს ერთი ადგილი [2].

[1] კ. კეკელიძე, ციტატი იპოლიტე რომაელიდან გიორგი მერჩულის შრომაში, «საქ. შეცნ. აკადემიის მოამბე», ტ. IV, № 3, 1943 წ., გვ. 269—272.

[2] იქ. აბულაძე, ქართული წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ქართულ მწერლობაში, ენიმკ-ს «მოამბე», XIV, გვ. 69.

გიორგი მერჩული ჰიმნოგრაფიც ყოფილა: მიქელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებულია მეხუთე ხმის აღდგომის კანონი, რომელსაც აწერია: «უცხონი მერჩულიულნი»[1]. მერჩულიულნი, ალბათ, გიორგის ავტორობას აღნიშნავს, თუმცა შესაძლებელია ამ ტერმინით «მერჩულისებური» ფორმა იგულისხმებოდეს.

პ. ინგოროყვა (გიორგი მერჩულე, გვ. 844—856), გიორგი მერჩულს მიაწერს საგალობელთა ორ ჯგუფს: საგალობელნი სამარადისონი რვა-ხმანი და საგალობელნი აღსებისანი რვა-ხმანი. საყრდენი ამ მოსაზრებისა მყარი არაა: მერჩულული მარტო გიორგის არ გულისხმობს, ასეთი ჰიმნები მიქელ მოდრეკილსაც ჰქონია, რაც შეეხება ალიტერაციულ ფორმას, ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ის მართლა გიორგის შემოღებულია და სხვა ჰიმნოგრაფი მას არ ხმარობს. საერთოდ სიფრთხილეა საჭირო იმის გარკვევისას თუ რა ეკუთვნის გიორგი მერჩულის კალამს. პ. ინგოროყვა მას აკუთვნებს, მაგალითად, საგალობელს «ნუ მტირ მე, დედაო, რაჲ ჟამს მიხილო მე. ძე შენი, საფლავსა დებული» (გვ. 855); ნამდვილად კი ის ბერძნული ჰიმნია (მეცხრე ირმოსი დიდი შაბათის ციპკრისა). არ ეკუთვნის მას, როგორც დავინახავთ, არც «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ».

14. კათოლიკოსი არსენ II

საქართველოს ისტორიაში ცნობილი არიან ეგრეთ წოდებული ასურელი მამები, რომელნიც ჩვენში მოსულან მეექვსე საუკუნეში შუამდინარიდან. მათ დიდი ღვაწლი დასდეს ქართლის ეკლესიის გაძლიერებას კერპთაყვანისმცემლობასთან ბრძოლაში, აგრეთვე სამონასტრო ცხოვრების და მისი ორგანიზაციის დამყარება-ჩამოყალიბებას. ამ მოღვაწეებს დაუმსახურებიათ დიდი ყურადღება, ნდობა და პატივისცემა თანამედროვე ქართველებში. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მათი ცხოვრება აღიწერებოდა და შთამომავლობას სახსოვრად დარჩენოდა[2]. მართლაც, ჩვენამდე მოუღწევია იოანე

---

[1] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტი—ტიზ.

[2] «სირიელ მოღვაწეთა» საკითხს ჩვენ ვერდსინით სპეციალური მონოგრაფია (საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. «უნივერსიტ. მოამბე». VI, 1926 წ.), რომელშიაც ვამტკიცებთ, რომ ეს მოღვაწენი ეროვნებით იყვნენ ქართველნი, სარწმუნოებით კი— მონოფიზიტები, ისინი გამოექცნენ სირიაში მონოფიზიტობის დევნას და ჩვენში მოვიდნენ სხვადასხვა დროს. ამ მონოგრაფიას გამოეხმაურა ჯერ გ. ფერაძე «Die Anfänge des Mönchtums in Georgien», Gotha, 1927), მერე ივ. ჯავახიშვილი («ქართველი ერის ისტორია», I², გვ. 324—347). ფერაძის შრომას, რომელიც აგებულია სრულ გაუგებრობაზე, ახასიათებს ქართული ენისა და წყაროების უცოდინარობა და ისტორიული ფაქტების უგულებელყოფა. მაგალითად, იერუსალიმი რომ პატრიარქ ილიას გარდაცვალების შემდეგ, კერძოდ, 520 წელს, მონოფიზიტების ხელში არ ყოფილა, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, საკმაოა გადაიკითხოთ საბა განწმედილის «ცხოვრებაში» ილიას მემკვიდრეების, იოანეს (516 — 524) და პეტრეს (524—544), დროის ამბები. ავტორს იმის სურვილიც არ ემჩნევა ყოველთვის, რომ სხვის ნათქვამს ჩაუკეირდეს; მაგალითად, ჩვენი დებულების საწინააღმდეგოდ ის აღნიშნავს, რომ ასკეტიკური მიმართულება დამახასიათებელი იყო არა მარტო მონოფიზიტებისათვის, არამედ სხვებისთვისაც, თუმცა ჩვენ ვლაპარაკობთ არა ჩვეულებრივ ასკეტიზმზე, არამედ იმ ექსცენტრულ, პირდაპირ ფსიქო-პათოლოგიურ მიმართულებაზე, რომელიც, სპეციალისტე-

ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელისა და აბიბოს ნეკრესლის სრულსა და ვრცელ ცხორებას, აგრეთვე ისე წილკნელის, იოსებ ალავერდელისა და ანტონ მარტყოფელის ცხორების სვინაქსარულ, შემოკლებულ რედაქციას. აღნიშნული ცხორებანი და სვინაქსარული საკითხავები გამოცემულია მ. საბინინის «საქართველოს სამოთხეში», ისინი წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ მეტაფრაზებს. იბადება საკითხი: იყო თუ არა ძველი, «ლიტონად და მარტივად» აღწერილი გადაუკეთებელი ცხორება აღნიშნული მამებისა? თვით ეს მეტაფრასული რედაქციები მოწმობენ, რომ ასეთი ძველი რედაქცია მართლაც ყოფილა თავის დროს. იოანე ზედაზნელის ცხორების შესავალში სწერია[1], რომ ზედაზნის უდაბნოს წინამძღვარს მიქაელს იმ კაცისათვის, ვისთვისაც მას შეუკვეთია იოანეს ახალი ცხორების აღწერა, გაუგზავნია «ქარტა წულილი», რომელშიაც აღწერილი ყოფილა «საქმენი მამისა ჩუენისა ზედაზნელისანი», ხოლო საბინინის გამოცემაში ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: «უწინარეს აღმწერელთა ცხოვრებისა მისისათა» («საქ. სამოთხე», გვ. 195); აბიბოს ნეკრესლის ცხორებაში სწერია: «ვითარცა წერილ არს წიგნსა მას წამებისა მისისასა» (გვ. 216); იოსებ ალავერდელისაში — «მიფარულ ჰქმნა ცხოვრებაჲ ამის ნეტარისაჲ და არღარა სადა იპოვა ჟამთა ჩუენთა» (გვ. 218); დავით გარეჯელისაში — «უკუეთუ ვინმე პირველ და ძუელ ოდესმე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკვრდების ესრეთ სიმარტივით აღწერაჲ» (გვ. 266). რას წარმოადგენდა ეს ძველი რედაქცია, შენახულა თუ არა ის, ან ვინ იყო მისი ავტორი?

ასეთი ძველი რედაქცია უნდა გვქონდეს ჩვენ ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხ ხელნაწერში — №№ 199, 707, 832 და 833 (ფონდი A), რომელნიც ნაწილებია ერთი და იმავე ხელნაწერისა. ეს ხელნაწერი გადაწერი-

---

ბის ცნობით, დამახასიათებელია მონოფიზიტური ასკეტიზმისა არა გამონაკლისის სახით, არამედ როგორც სისტემა. ჩვენს შეკითხვაზე—რად უნდა ესწაელა შიოს ასურული, თუ ის ასური იყოო, აეტორი გვიპასუხებს კონტრ-შეკითხვით: რად უნდა ესწაელა მას ქართული, თუ ის ქართველი იყოო? თუმცა ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ აგიოგრაფს, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ შიო ასური იყო და არა ქართველი, შეეძლო ეთქვა, რომ მან ქართული შეისწაელაო მაგრამ როგორ უნდა ეთქვა მას, რომ შიომ ასურმა. ასურული ენა შეისწაელაო? რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილს, ის არ იზიარებს ჩვენს მოსაზრებას ამ პირთა მონოფიზიტობისა და ქართველობის შესახებ უმთავრესად იმიტომ, რომ X—XII საუკუნეთა ძეგლებში ისინი სირიელებად და მართლის რჯულის, — დიოფიზიტობის, აღმსარებლად არიან წარმოდგენილია. ეს კიდევაც რომ ასე იყოს («მართალი რჯული» ყოველთვის დიოფიზიტობას არ უდრის). მკვლევარმა ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენ მიერ კატეგორიულად ბაზგასმულ ფაქტს, რომ ამ ძეგლებში, საუკუნეთა განმავლობაში წარმოებული კონფესიური ბრძოლებისა და დუღილის შედეგად. საქმის ვითარება ტენდენციურად შეცვლილი და შეკეთებულია, რომ ეს ძეგლები თეითონ თხოულობენ კრიტიკულ მიდგომასა და გაცხრილვას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ, მაგალითად, პეტრე მაიუმელის მონოფიზიტობის შესახებ მისი ქართული «ცხორება» არას ამბობს, მაგრამ ნამდვილად, როგორც ცნობილია სხვა წყაროებიდან, ის ბელადი იყო მონოფიზიტობისა. ასევე უნდა ითქვას სირიელ მოღვაწეთა შესახებაც.

[1] ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 4, 6, 1955 წ.

ლია მეცამეტე საუკუნის ხელით, და, სხვათა შორის, ქართველ წმინდანთა ცხოვრებას შეიცავს. აქ არის, მაგალითად, ც ხ ო რ ე ბ ა შემდეგი მამებისა: იოანე ზედაზნელისა, ისე წილკნელისა და შიო მღვიმელის (№ 199), დავით გარეჯელისა (№ 199) და აბიბოს ნეკრესლისა (№ 832). იოანე ზედაზნელის ცხოვრებას შემდეგი სათაური აქვს: «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისაჲ (sic) და მოწაფეთა მისთაჲ, რომელთა განანათლეს ქუეყანაჲ ესე ჩრდილოეთისაჲ, ხოლო აღწერა ა რ ს ე ნ ი ქართლისა კათოლიკოსმან სარგებელად რომელნი ისმენენ» (№ 199, გვ. 18). მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს «ცხორება» არა მარტო იოანესი, არამედ «მოწაფეთა მისთაჲ»: შიო მღვიმელისა და ისე წილკნელისა. მოხსენებული არიან და თითო-ოროლა ცხობა მოტანილია სხვა მოწაფეთა შესახებაც. მართალია, შიო მღვიმელის ც ხ ო რ ე ბ ა თითქოს გამოყოფილია, მას სინგურით სათაურიც აქვს წითლად წარწერილი: «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მამისა ჩუენისა შიოჲსი და ეგზარესი», მაგრამ მექანიკურად, ნამდვილად კი ორგანიულ და განუყოფელ ნაწილს შეადგენს იოანეს ც ხ ო რ ე ბ ი ს ა ს. ნაწარმოები იწყება იოანეს ბიოგრაფიით, აღნიშნულია მისი სამშობლო, მოღვაწეობა მისი ჯერ «თჳსსავე ქუეყანასა», მერე განშორებულ უდაბნოში, სადაც მან «განიზრახა წარსლვაჲ უცხოებად», როგორ წამოვიდა ქართლს, მოიწია მცხეთას, დაეშენა ზედაზენს, როგორ გაგზავნა აქედან მოწაფენი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, «რომელნიმე კახეთით, რომელნიმე კუხეთით, ხოლო სხუანი ზენასოფლით, ხოლო ხეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა და სხუანი გარემო ქალაქსა ჩუენსაო». მერე ჩამოთვლილია იოანეს სასწაულები და ამის შემდეგ ნათქვამია: «ხოლო აწ ნეტართა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყოდეთ, რომელნი განათლდეს მადლითა საღმრთოჲთა და სხუანიცა განანათლნეს და მონასტერნი აღაშენნეს. რომელნი ვიდრე აქამომდე ჰგიან, და კურნებანი იქმნებიან, რომელთაჲ თჳთოეულად მოთხრობაჲ გერ ძალგჳს. ერთმან მოწაფეთაგანმან, სახელით თათა, ქუეშე ძირსა მის მთისასა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაზონნი და ყოველთავე წესიერებითა იქცეოდეს, ხოლო სხუანი შემდგომად ამისსა მოვიკსენნეთ» (№ 199, გვ. 288). მერე ამას მისდევს შიოს ც ხ ო რ ე ბ ა: მოთხრობილია, როგორ დაემკვიდრა შიო მცხეთის მახლობლად «ქუაბსა შინა», როგორ იპოვა ის ეგზარემ, აღნუსხულია მისი სასწაულთმოქმედებანი და მერე ნათქვამია: «ხოლო ჯერ არს მოვიკსენოთ ერთი მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესი სახელით ი ს ე». მოთხრობილია, როგორ მისდა უნებურად, «შეიპყრა იგი წმიდამან მამათმთავარმან კათოლიკოსმან» და აკურთხა წილკნის ეპისკოპოსად, როგორ «მიჰმართა მან ჩრდილოჲთ კერძო, რამეთუ ჯერეთ მოუქცეველ იყუნეს და მტკიცედ ეპყრა კერპთმსახურებაჲ», და როგორ სასწაულთმოქმედებდა ის. ამ დროს იოანეს მოუნდომებია თავის შეგირდების მიმოხილვა, მისულა წილკანში ისესთან, იქ მიუწვევია შიოც, აღნუსხულია სასწაული ჰ ი ქ ი ს შესახებ, აგრეთვე შიომ რომ ხელის გულზე ნაკვერცხალი დაიდო, რომელსაც საკმეველი დაასხა. აღნიშნულია ისიც, თუ როგორ მოიყვანა ისემ ქსნიდან წყალი თავის საყდრამდის. ამის შემდეგ მოთხრობილია, როგორ მიიღო შიომ ნებართვა იოანესაგან ღაყუდებისა, როგორ და-

ეყუდა და როგორ მოღვაწეობდა საშინელ მღვიმეში. მერე შენიშვნაა: «ხოლო მოძღურისა მისისა იოანესთჳს ვიტყოდითო» და მოთხრობილია — როგორ გარდაიცვალა, სად დაასაფლავეს ის, წინააღმდეგ მისი სურვილისა, რა მოხდა ამის გამო და როგორ გადაასვენეს აქედან მის სავანეში. მერე მოკლედ მოხსენებულია იოანეს სხვა მოწაფეები, ვინ სად დაემკვიდრა და სად ააშენა მონასტერი. ასეთია მოკლედ შინაარსი ამ ნაწარმოებისა.

ეს ნაწარმოები უნდა იყოს ის პირვანდელი «კიმენური» თხზულება, რომლის ნიადაგზე მერე შეუქმნიათ მეტაფრასული ცხოვრება. ეს უკანასკნელი, მეტაფრასული ცხოვრება, ორი რედაქციით არის დღეს ცნობილი. პირველი, უფრო ადრინდელი, ვრცელი თეოლოგიურ-ფილოსოფიური პასაჟებით დამძიმებული, შემოუნახავს «ქართლის ცხოვრების» ანა დედოფლისეულ ხელნაწერს, ხოლო მეორე, რომელმაც კანონიკური ხასიათი მიიღო და მრავალი ხელნაწერითაა შემონახული (დაბეჭდილია «საქართველოს სამოთხეში») [1]. «კიმენური» რედაქციაში მოცემულია ფაქტობრივი მასალა და ჩონჩხი მეტაფრასულისა (ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს რედაქციით). რიტორიკული ელემენტი, მიხვევ-მოხვევა, გრძელი ლოცვები, მოსაზრებანი და ასკეტიკურ-მორალური მსჯელობანი აქ შედარებით მცირე მასშტაბითაა მოცემული. განსაკუთრებით მოკლედ წარმოდგენილია შიოს ც ხ ო რ ე ბ ა: ყველაფერი თავიდან იმ ადგილამდე, სადაც ნათქვამია, რომ შიო «წარემართა დასავლით კერძო მცხეთისათა» და დაჯდა ჭუაბშიო («საქ. სამოთხე», გვ. 219—228), აქ გამოტოვებულია. აგრეთვე გამოტოვებულია თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ «ძიება ყველს მეფემან და მთავართა» ევაგრესთვის და ეპიზოდი ფარსმანის შესახებ (გვ. 235—238), გამოტოვებულია შიოს გრძელი მოძღვრებაც მოწაფეთადმი (გვ. 246—249). იოანე ზედაზნელის ც ხ ო რ ე ბ ა შ ი შედარებით უფრო ვრცლადაა გადმოცემული სასწაული სვეტიცხოველის აღმართვის შესახებ, და აქ, სადაც დათვისა და სხვა მხეცთა დამორჩილებაზეა ლაპარაკი, ქადაგებისებური ტენდენციური მოძღვრებაა; ასეთივე მსჯელობაა შიოს ცხოვრებაშიაც, სადაც მოთხრობილია ეპიზოდი ვირის შესახებ.

თხზულება, როგორც სათაურშია აღნიშნული, «აღწერა არსენი ქართლისა კათალიკოსობამდე». ვინ იყო ეს არსენი? ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს აზრით, რომელმაც გამოსცა ეს ძველი რედაქცია ან, მისი ტერმინოლოგიით, არქეტიპები ასურელ მამათა ცხოვრებისა [2], დაწერილია 680 — 700 წლებში არსენი პირველის მიერ, ხოლო მეტაფრასული რედაქცია, მ. საბინინის მიერ გამოცემული, არსენ მეორის მიერ 903 — 910 წლებში [3]. ჯერ ერთი, საეჭვოა და პრობლემატური 680—700 წლებში არსენ კათოლიკოსის არსებობა, ეს არც ერთი წყაროთი ცნობილი არაა; მეორე — ყოვლად შეუძლებელია ეს არქეტიპები, სტილის მი-

[1] მეტაფრასული რედაქციები განხილული იქნება ამ შრომის მეორე ნაწილში.

[2] «ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები», თბილისი, 1928 წ. მიუხედავად იმისა, რომ ამ არქეტიპების შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვქონდა ლაპარაკი მის გამოცემამდე («ქართული ლიტერატურის ისტორია», I, 1923 წ., გვ. 154—6; უნივერსიტეტის «მოამბე», ტ. VI, გვ. 82—86); ს. კაკაბაძეს ისე გამოჰყავს, თითქოს ისინი მის მიერაა პირველად აღმოჩენილი.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 14 და 17.

ხედვით, მეშვიდე საუკუნეს მივაკუთვნოთ, მით უმეტეს, რომ იქ გამოყენებულია ნინოს შატბერდული «ცხორება» [1], რომელიც, ყოველ შემთხვევაში, მეშვიდე საუკუნის ძეგლი არაა. რაც შეეხება მეტაფრასულ რედაქციას, მისი დაწერა 903 — 910 წლებში მით უფრო შეუძლებელია. აღნიშნულ წლებში ჩვენში მეტაფრასული «ცხორების» დაწერა წარმოუდგენელია, რადგანაც მეტაფრასული მიჰართულება ბიზანტიაშიც კი, საიდანაც ის ჩვენში გადმოვიდა, მხოლოდ 982 წლიდან იწყება; მით უმეტეს, რომ, მაგალითად, დავით გარეჯელის მეტაფრასული ცხოვრება სავსეა ეგრეთ წოდებული პეტრიწონიზმებით, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება [2].

იოანე ზედაზნელის მეტაფრასულ «ცხორებას» დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: «შემდგომად ოთხას ოთხისა (ანა დედოფლის ვარიანტით — ო ც ი ს ა) წლისა გამოიკითხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი, ქართლისა კათოლიკოსმან» ცხოვრება მისიო (ხელნაწ. ინსტიტ. ფონდი A, № 170, გვ. 23). ჩანს, ის რედაქცია, რომელიც საფუძვლად დადებია მეტაფრასულს, დაწერილი ყოფილა არსენი კათოლიკოსის მიერ შემდგომად ოთხას ოთხის (თუ ოცის) წლისა იოანეს ქართლში მოსვლიდან. იოანე თუ მეექვსე საუკუნის, როგორც დღეს გამოანგარიშებულია, ორმოციან წლებში მოვიდა ჩვენში. 404 — 420 წელიწადი მოდის მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, და მართლაც ამ დროს ქართლში იყო კათოლიკოსი არსენ II (955—980 წწ.), კაცი განათლებული და მწიგნობარი [3].

---

[1] «ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები», თბილისი, 1928 წ. გვ. 20.

[2] ასეთი დათარიღება როგორც არქეტიპებისა, ისე მეტაფრასული რედაქციისა, გამოწვეულია იმ ბრმა ნდობით, რომელსაც მკვლევარი უცხადებს, ერთი მხრით, ზედაზნელ მამათა, მეორე მხრით, «მოქცევაჲ ქართლისაჲს» ბოლოში მოთავსებულ კათოლიკოსთა სიას. ყალბადაა გამოანგარიშებული ასურელ მამათა ქართლში მოსვლისა და ცხოვრების თარიღებიც. მას ჰგონია, რომ დავით გარეჯელი შეგირდია იოანე ზედაზნელისა, მაშასადამე, ის იოანესთან უნდა მოსულიყო ქართლში და მისი ცხოვრება იოანეს ცხოვრების შემდეგ უნდა დაწერილიყო (ჯერ მოძღვრის ბიოგრაფია უნდა დაეწერათ, მერე შეგირდისო). აბიბოსის წამება, მისი სიტყვით, 571 წლამდე უნდა მომხდარიყო და არა შემდეგ, რადგანაც 571 წლიდან, გურგენის აჯანყების შემდეგ, რომელსაც ადგილი 571 წელს ჰქონდა, ქართლი ბიზანტიელების ხელში იყოო (გვ. 16; შეად. მისივე წერილი «ქსაისტორიო კრებულში», I, თბილისი, 1928 წ., გვ. 127). ეს დასაშვები არაა, რადგანაც ჩვენ ვიცით ნუმიზმატიკური ფაქტებიდან, რომ მეექვსე საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართლში იჭრება სასანიანთა სიქის ფულები, რომელთაგან ზოგიერთს ამ გურგენის სახელი აწერია: მეორე მხრით, ისტორიულად ცნობილია, რომ 591 წელს ხოსრო შაჰმა მავრიკი იმპერატორს დაუთმო დიდი ნაწილი ქართლისა ქალაქ თბილისამდე. გურგენის აჯანყება 571 წელს და მისი კონსტანტინოპოლს გამგზავრება, რასაც თეოფანე ბიზანტიელი მოგვითხრობს, უეჭველად იმის მაჩვენებელი არაა, რომ სპარსელები 571 წელს აიბარგნენ ქართლიდან და მათი ადგილი იქ ბიზანტიელებმა დაიკავეს.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე უარყოფს საზოგადოდ მიღებულ აზრს არსენ II-ის 955—980 წლებში კათოლიკოსობის შესახებ, რადგანაც 964 წლის თმოგვის წარწერა კათოლიკოსად თითქოს გ ა ბ რ ი ე ლ ს იხსენიებს («ქსაისტორიო კრებული», I, 124—125; «ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები», გვ. 7. შენ. 3). ნამდვილად კი ის წარწერა, რომელსაც ს. კაკაბაძე გულისხმობს,

არსენის, უნდა ვიფიქროთ, ხელთა ჰქონდა რაიმე წერილობითი წყარო, როდესაც ის თავის შრომას შეუდგა; წარმოუდგენელიცაა, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში რამე არ ჩაწერილიყო ამ მამათა შესახებ. სხვა არა იყოს რა, ამას გვაფიქრებინებს ბასილ კათოლიკოსის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ შიო მღვიმელის სასწაულები «თითოსახედ, სხუათა და სხუათა მოსაჯსენებელთა შინა ჩემ მიერ პოვნილ არსო» («საქ. სამოთხე», გვ. 253). მაშ, უოფილა სხვადასხვა მოსახსენებელი, მატიანე და წერილობითი ცნობა ამ მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელნიც «გამოუკითხავს და გამოუძევია» კათოლიკოსს არსენის თავის შრომისათვის [1].

ხელნაწერში A 199 ცალკე მოთავსებულია აგრეთვე «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისაჲ». ასე რომ, ის არ შეადგენს ნაწილს იოანეს ც ხ ო რ ე ბ ი ს ა ს, მსგავსად შიოს ც ხ ო რ ე ბ ი ს ა. ესეც ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს გამოცემასთან შედარებით მეტად მოკლე რედაქციაა: დასაწყისი საბინინის გამოცემისა («საქ. სამოთხე», გვ. 265—269) აქ

ბროსეს. ვინმე კალისტრატესა და როსტომაშვილის ჩვენებით, არის არა თმოგვისა, არამედ კუმურდოს ტაძრისა ჯავახეთში, თან 964 წლის წარწერაში ხსენებაც არაა გაბრიელისა. აი ეს წარწერა, რომელიც მოთავსებულია სამხრეთის კედელზე. სტოაში, თაღქვეშა ქვაზე: «შენევნითა ღმრთისაჲთა დაჲნე ეპისკოპოსმან დადეა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ ჴელითა ჩემ ცოდვილისა სკცრისაჲთა (?) ლეონ მეფისაზ. ადიდენ ღმერთმან: ქორონიკონსა რპზ თუესა მაისსა დღესა შაფათსა ა მთოარისასა ერისთვობასა ზჯაჲსსა ესე ბალავარი მუნ დაიდგა. ქრისტე შეეწიე მონასა შენსა ამინ» (И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд и археологическом отношении, стр. 84: შეად. Brosset, Voyage archéolog. Rapport, I, p. 167; კალისტრატე: «ივერია» 1891 წ., № 239). როგორც ვხედავთ, აქ გაბრიელ კათოლიკოსი არსად არ ჩანს. ის წარწერა, სადაც ს. კაკაბაძეს გაბრიელ კათოლიკოსის სახელი ეჩვენება, მოთავსებულია სხვა ადგილას, თვით თაღის ქვაზე, და იკითხება ასე: «ქ. სახელითა ღმრთისაჲთა შე ეფრემ ეპისკოპოსმან დავდევ აღაპად გაბრიელ კა ესე ყუელიერისა პარასკეეი...» ქრისტე შეიწყალე სული გაბრიელ ასა» (И. Ростомов, стр. 86—87; Brosset, p. 168; კალისტრატე: «ივერია» 1891 წ., № 239). ამ წარწერის შესახებ უნდა შევნიშნოთ: 1) მას თარიღი ქორონიკონის ან სხვა სახით არ უზის, მაშასადამე, არ გვაქვს საბუთი ვთქვათ, რომ ის 964 წლისაა: 2) გაბრიელ ასა ბროსე კითხულობს როგორც Gabrielac. კალისტრატეს ის წაუკითხავს როგორც «კათალიკოსისაჲ». ასეთი წაკითხვა გაუმეორებია თ. ქორდანიასაც («ქრონიკები», I, 78, შენ. 156), რომელსაც ის თმოგვის წარწერად მიუჩნევია), ნამდვილად კი აქ ჩვენ გვაქვს «გაბრიელ კუმურდოელისა», ესე იგი გაბრიელ კუმურდოს ეპისკოპოსის და არა კათალიკოსის სახელი, როგორც ეს ჩანს ამავე კუმურდოს ტაძრის სხვა წარწერებიდან: «სახელითა ღმრთისაჲთა მე გაბრიელ (გბ'ლ) ეპისკოპოსმან დავდევ აღაპად ბზობის პარასკეეი მლზნს დღესასწაული წმიდათა მღდელთა» (Ростомов, стр. 87). ანდა: «სახელითა ღმრთისაჲთა მე გაბრიელ (გბლ) ეპისკოპოსმან დავდევ აღაპად დღე ეგნატესი გოლგოთელისა» (Ростомов. стр. 89); 3) აქ კიდევაც რომ იგულისხმებოდეს კათოლიკოსი გაბრიელი, ის მკვდრებში მოხსენებული, მას აღაპს უჩენენ, მაშასადამე. ეს წარწერა, მით უმეტეს, 964 წლის წარწერა, მისი თანამედროვე ვერ იქნებოდა.

[1] ახლახან პროფ. ილ. აბულაძემ გამოსცა ანასეული «ცხოვრება» იოანესი (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი რედაქციები, 1955 წ.) და გამოთქვა მოსაზრება, რომ ანა დედოფლისეული «ცხორება» წარმოადგენს უფრო ძველ რედაქციას, რომლის უბრალო შემოკლება გამოცემულია «არქეტიპად» წოდებულში. ეს შეხედულება ჯერჯერობით დასაბუთებულად ვერაა (ამის შესახებ იხ. ჩემი შრომა «ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», ტ. I, გვ. 44—50, 1956 წ.).

სულ არ არის. ცხორება იწყება პირდაპირ იმით, თუ როგორ დამკვიდრდნენ დავითი და ლუკიანე პარეხში ან გამოქვაბულში; ამის შემდეგ გადმოცემულია ყველა ფაქტი საბინინის გამოცემისა ბუბაქარის შვილის განკურნებამდე, აქ კი ცხორება წყდება დანარჩენი ფურცლების დაკარგვის გამო. ამ რედაქციაში არაა გრძელი, მიხვეულ-მოხვეული ადგილები, ლოცვები და ის ენაწყლიანობა, რასაც ადგილი აქვს საბინინის გამოცემაში. ვისი დაწერილია ეს მოკლე, უეჭველია თავდაპირველი, რედაქცია, ამისი თქმა ძნელია. ერთი კი ცხადია, რომ კათოლიკოსს არსენ II არ ეკუთვნის: ენა ამ ცხორებისა უფრო ძველია, ვიდრე არსენისა. მაგალითად, აქ ჩვენ ვხვდებით შემდეგ სიტყვებს: «და მწყერმარკილი უწკმა» (გვ. 158). საბინინისაში — «მანანა უწკმა» (გვ. 270), «პარეხი» (ხშირად) «ქუაბის ან გამოქუაბულის» მაგიერ, «ფაჩარი» (გვ. 155) «ფაფარის» მაგიერ, «იმსტკრვიდეს» (გვ. 157) «სცვიდეს» მაგიერ, «ყრმაჲ იგი კოკლი ბღუნვით მავალი» (გვ. 160) და სხვ. დავით გარეჯელის ცხორება, ჩანს, დაუწერია ვიღაც სხვა ავიორგაფს უფრო ადრე, ვიდრე არსენ კათოლიკოსს სხვებისა.

ამ ძეგლების მიზანია, გაგვაცნონ, როგორ იკიდებდა ფეხს ჩვენში სამონასტრო ცხოვრება და მონასტრები, რომელნიც გახდნენ კულტურულ-განმანათლებელ ცენტრებად. ამასთან ერთად, ისინი გვითვალისწინებენ იმ დაუნდობელ კონფესიურ-იდეოლოგიურ ბრძოლებს, რომელთა შედეგად ძველად დაწერილი თხზულებანი და თქმულებანი ძირფესვიანად იცვლებოდა შემდეგში და ახალი რედაქციით გამოდიოდა. საქმე იქამდე მისულა, რომ მონოფიზიტი მოღვაწეები დიოფიზიტებად უქცევიათ და გამოუცხადებიათ.

15. ბასილი საბაწმიდელი

მეათე საუკუნის სინას მთის ხელნაწერში № 65 (ნ. მარი) მოთავსებულია «ძუელნი ქართულნი» საგალობელნი საბა განწმედილის სახელობისა, რომელთა აკროსტიხად მოცემულია სახელი «ბასილი». ეს ორიგინალური ქართული საგალობლებია. მაშასადამე, ბასილი ქართველი ჰიმნოგრაფია, პალესტინაში მოღვაწე, შეიძლება თვით საბას ლავრაშიც. რადგანაც ამ საგალობლებს «ძუელნი» ეწოდება, ისინი მეათე საუკუნეს ვერ გადმოსცილდებიან, ამიტომ ბასილი მეათე საუკუნემდელი მწერალი უნდა იყოს, უფრო საფიქრებელია მეცხრე საუკუნისა. საბას სახელობის დასდებელნი გამოსცა ნ. მარმა[1], თუმცა მან აკრსტიხი ვერ შენიშნა აქ, ნაწყვეტი კი პ. ინგოროყვამ, რომელმაც მათში თავისებური პოეტური საზომი დაინახა[2], თუმცა არავითარი ასეთი საზომი მათ არ გააჩნია, გარდა სტროფული რეფრენისა, რომელიც პროზითს ჰიმნებსაც აქვთ ხოლმე ხანდახან. ამ ჰიმნების დაწერისას ავტორს გამოუყენებია საბა განწმედილის «ცხოვრება», რომელიც ქართულად მეშვიდე საუკუნეში უნდა იყოს გადმოთარგმნილი[3].

---

[1] Описание грузинских рукописей синайского монастыря, стр. 149—152.

[2] გიორგი მერჩულე, გვ. 732—733, 0100—0101.

[3] ქ. ძოძაძე, კიმენი II, 117—219.

16. იოანე-ზოსიმე

იმ ხელნაწერთა მიხედვით, რომელნიც უმთავრესად სინას მთაზეა დაცული, ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ლიტერატურული მოღვაწეობა ერთი ადამიანისა, რომელიც სათავეში ედგა ქართველების საზღვარგარეთულ სამონასტრო კოლონიას მეათე საუკუნეში. ეს ადამიანი, მის მიერ დამუშავებული ძეგლების «ანდერძში», წოდებულია ი ო ა ნ ე დ, თუმცა ხშირად ის ჩვენ გვხვდება ორმაგი სახელითაც: «იოანე-ზოსიმე» ან «იოანე ფრიად ცოდვილი ზოსიმე» [1]. ჩანს, ერთი ამ სახელთაგანი იყო საერისკაცო, ხოლო მეორე — საბერმონაზვნო. თავის სახელს იოანე ერთხელ კრიპტოგრაფიულადაც აღნიშნავს. მაგალითად, ერთ-ერთ მის მიერ გადაწერილ «დასდებელთა» წიგნში (№ 2. ფურც. 185a ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობით) ის შენიშნავს: «ქრისტე, შეიწყალე რხშჰ», რაც პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ აღმოჩენილი კრიპტოგრაფიული სისტემით [2], ნიშნავს ივნე. იოანე უბრალო ბერი ყოფილა, მღვდლის ხარისხი მას არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში არსად, არც ერთ ბინაწერში და «ანდერძში», სადაც აღნიშნულია მისი თანამშრომლების სახელები და ხარისხი, ის მღვდლად მოხსენებული არაა, ამიტომ ის თავისუფალი ყოფილა ისეთ თანამდებობათაგან, როგორიცაა მოძღვრობა, დეკანოზობა, მამასახლისობა, და მთელი თავისი დრო და ძალა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის შეუწირავს. რამდენადაც ის სულიერი ძალითა და ენერგიით აღსავსე ყოფილა, იმდენად ფიზიკურად სუსტი და მანკიერი: ხელნაწერთა «ანდერძებში» ის უჩივის თვალნაკლოვანებასა, ხაშმსა [3] და მოხუცებულობას. მართლაც, 956 წელს გადაწერილ ძეგლში იოანე ამბობს: «ფრიად ხაშმსა და თუალმორიდებითსა დამიჩხრეკიან წიგნი ესეო» [4]; 978 წლის «ოთხთავში» შენიშნავს: «დიად ხაშმმან და ბრჳმან და დიად უღონომან» დავჩხრიკე ესო (№ 15 — 8); ამასვე იმეორებს 979 წლის სახარებაშიაც (№ 38—12), აგრეთვე 982 წლის «კანონში»: «დავჩხრიკე ჴელითა ჩემითა ფრიად ცოდვილისაჲთა წიგნი ესე კანონი დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებისა ჩემისათა დიად ხაშმან და ბრმამან მრავლითა ჰირითაო» [5]. 983 წელს ის ამბობს, რომ ეს სახარება (№ 9) შეიმო-

---

[1] პროფ. ალ. ც ა გ ა რ ე ლ ს ამ სახელებში ორი პიროვნება დაუნახავს და ამიტომ სინას მთის ხელნაწერთა კატალოგში მათ ასე აღნიშნავს: «იოანე, ზოსიმე» (№ 9) ან «იოანე და ზოსიმე» (№№ 12, 37, 83).

[2] ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», № 1, გვ. 65.

[3] «ხაშმი» საბას განმარტებით «ხორცთა დამარღვეველ სენს» აღნიშნავს. დღეს ამ სიტყვით აღნიშნავენ ციებას. მალარიას. «ანდერძებში» ხაშმი ნახმარია, partic. pass.-ის მნიშვნელობით.

[4] № 34 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობით და № 19 ა. ც ა გ ა რ ე ლ ი ს. ჯავახიშვილის აღწერილობის №№-ები ცაგარლისას არ უდგება, ამიტომ ჩვენ იმ ხელნაწერს, რომელიც ორივეს აქვს აღწერილი, აღვნიშნავთ ორმაგი №-ით, სადაც პირველი მაჩვენებელი იქნება ჯავახიშვილისა, ხოლო მეორე ცაგარლისა, მაგალითად, № 34 — 19.

[5] А. Цагарели, Сведения, II, стр. 67—68. უკანასკნელი სიტყვები ა. ცაგარელს შეცდომით ასე წაუკითხავს: «დიდხანმან და ბრმამან მართლითა ჰირითაო».

სა «დღეთა ოდენ უგუნურად და ბოროტად მოხუცებისა ჩემისათაო»[1]. მით უფრო საკვირველია, რომ ფიზიკურად სუსტი იოანეს მოღვაწეობა ასეთი ხანგრძლივი ყოფილა: დღეს ცნობილ ხელნაწერებში, რომელნიც მას დაუწერია, სულ ადრინდელი 949 წელს ეკუთვნის (ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავისა). ხოლო უგვიანესი—987 წელს (№ 20—64). როგორც ზემოთაც დავინახეთ, იოანე ჯერ კიდევ 956 წელს უჩივის თვალებს სისუსტეს, ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, დაბადებულა ის, დაახლოებით, მეათე საუკუნის დამდეგს (თვალის სისუსტე ლიტერატურულად მომუშავე კაცს 40—50 წლებშიაც დაეწყება), გარდაცვლილა კი ღრმად მოხუცებული 987 წლის ახლო ხანებში, ვინაიდან ამ წლის შემდეგ მის სახელს უკვე ვერსად ვხედებით.

იოანეს ლიტერატურული მოღვაწეობა ორ პერიოდად განიყოფება: პირველ პერიოდში ის მოღვაწეობს პალესტინაში, საბა განწმედილის ლავრაში. ამ პერიოდიდან ჩვენ ვიცით მისი სამი ხელნაწერი: ერთი 949 წლისა[2], მეორე — «საგალობელნი» 954 წლისა (№ 26 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობით) და მესამე — «იადგარი» 956 წლისა (№ 34—19). ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს «იადგარი» საწელიწდოჲ (№ 1 ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით) მისი შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით. მეორე პერიოდში იოანეს ვხედავთ უკვე სინას მთაზე, სადაც ალბათ, გარდაიცვალა კიდეც. 956 წლიდან მოყოლებული, როდესაც მას საბას ლავრაში დაუწერია «იადგარი» № 34—19, 973 წლამდე ჩვენ აღარ გვხვდება მისი ნაშრომი; 973 წელს «მონასტერსა მაყლოვანსა» სინაზე მას «შეუმოსია» ერთი წიგნი (№ 55)[3]. უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც მეათე საუკუნის სამოციანი წლების გასულს საბაწმიდის ლავრიდან სინას მთაზე გადასულა ქართველ მოღვაწეთა კოლონია, იმაში იოანე-ზოსიმეც ყოფილა; მასთან ერთად ამ კოლონიაში ყოფილან კიდევ, სხვათა შორის, გიორგი, გაბრიელი და ბასილი, რომელთა სახელებს ვხვდებით ჩვენ როგორც საბას ლავრაში გადაწერილ «იადგარში» (№ 34—19), ისე სინას მთაზე 974—987 წლებში დამუშავებულ ხელნაწერებში (№№ 8, 12, 17, 30, 53, 81, 83, 92 ა. ც ა გ ა რ ლ ი ს კატალოგით). მათთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე კვირიკე დაბიქაელიც.

იოანეს მწერლობრულ-ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ყოფილა. მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ ძვირფას თვისებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ხელნაწერისათვის, რომელთანაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონია, მას დაურთავს «ანდერძი», რომელშიაც აღნიშნულია თარიღი (ქართული და ხშირად უცხოურიც) წიგნის გადაწერისა თუ «შეწოსვისა», ავტორის თანაშრომელნი და სინას მთის მოღვაწენი. ამ «ანდერძთა» მიხედვით იოანე ჩვენ გვეცნობება როგორც: 1) «გან-

[1] Л. Ц а г а р е л и, Сведения, II, стр. 58.

[2] დღეს იგი ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავში და აღწერილია M. Brosset-ის მიერ («Études de chronologie technique. Mémoire de l'Académie des sciences», t. XI, № 13).

[3] Л. Ц а г а р е л и, Сведения. II, стр. 70. თითქოს პირველი შრომა მისი სინას მთაზე უნდა იყოს ხელნაწერი № 53, რომელიც დათარიღებულია 972 წლით, მაგრამ ქეყნის გაჩენიდან თარიღი უჩვენებს 977 წელს (ibid., стр. 75).

მაცხოველებელი» ტექსტისა, ესე იგი გადასული და წაბღალული ადგილების აღმდგენელი; 2) «შემმოსელი» ან შემკინძველი და ყდის გამკეთებელი როგორც ახალი წიგნებისა, ისე ძველად გადაწერილებისა (№№ 9, 53, 55, 69, 70, 71, 73, 83 ა. ც ა გ ა რ ლ ი თ); 3) «შემკვეთელი» და «ჰომგებელი» ამა თუ იმ წიგნისა (№№ 6, 71) და 4) «დამჩხრეკი» ან «მჩხრეკელი», ე. ი. გადამწერი ტექსტისა, (№№ 11, 17, 30, 53, 64, 81, 92 ა. ც ა გ ა რ ლ ი თ და №№ 1, 20 ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი თ). საყურადღებოა, რომ იოანე, რომელმაც კარგად იცოდა ბერძნული ენა, მთარგმნელობას არ მისდევდა. ხელნაწერები, რომელნიც აღნიშნავენ მის მიერ «დაჩხრეკილ» ან გადაწერილ, «შემოსილ» და შეკეთილ შრომებს, ერთხელაც არ უჩვენებენ, რომ მას ეთარგმნოს რამე [1]. გადასაწერ თხზულებათა შერჩევისას იოანეს ინტერესები უფრო ბიბლიური და ლიტურგიკული ტექსტების გარშემო ტრიალებს.

რასაკვირველია, მხოლოდ ამით არ ამოიწურება მისი სამწერლო მოღვაწეობა, ის ამავე დროს ორიგინალურ მუშაობასაც აწარმოებდა. ორიგინალური მისი შემოქმედება გამოიხატება, პირველ ყოვლისა, სხვადასხვაგვარ კრებულთა შედგენაში უკვე არსებული თხზულებებიდან არა მარტო პრაქტიკულ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მეცნიერული მოსაზრებითაც. ამ მხრივ საყურადღებო და დამახასიათებელია «საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი ახალნი და ძუელნი სრულიად, და ქამნი ათორმეტნი სრულიად ქართულად და საბაწმიდურად. და ქორონიკონი სრულიად» (№ 34—19). ამ კრებულს, რომელიც იოანეს დაუწერია საბას ლავრაში «მეცნიერისა კაცისათჳს», ორი თარიღი აქვს: წმინდა ქართული — დასაბამითგან ხშჲ = 956 (6560 — 5604) და ბერძნული — «ქორონიკონი რჲგ» = 5508 + 780 + 160 — 5492 = 956. შინაარსი მისი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მეტად მრავალფეროვანია. ის თავისებურ ენციკლოპედიას წარმოადგენს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგიოლოგიისა და ლიტურგიკის ისტორიისათვის საზოგადოდ და ქართულისათვის კერძოდ. მეცნიერული ხასიათი იოანეს რედაქციული მუშაობისა მდგომარეობს იმაშიც, რომ თანამედროვე რედაქციასთან ერთად მას მოჰყავს უკვე ხმარებიდან გამოსული «ძუელი» რედაქცია ტექსტისა, მაგალითად, საგალობლებისა, მოჰყავს საგალობლები «ქართული» და «ბერძნული», აკროსტიქები ქართულისა და ბერძნული ანბანის რიგზე, აღნიშნავს ძველსა და ახალ დღესასწაულებს, აგრეთვე ლიტურგიკულ წესებს სპეციალურად ქართულ, ბერძნულ-კონსტანტინოპოლურ, იერუსალიმურ, საბაწმიდურსა და სინას მთისას. მის დროს აღმოსავლეთის პრაქტიკაში მიღებულ წმინდა აღდგომის «კანონში», რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული [2], შეაქვს ქართული ელემენტი და ქართული პრაქტიკით გამოწვეული ცვლილებანი და სხვ. ერთი სიტყვით, ის მუშაობს როგორც მეცნიერი არქეოლოგი, რომელსაც ამაეე დროს თვალწინ უდგას თანამედროვე ეროვნული მიზნები და საჭიროებანი.

[1] რასაკვირველია, თუ ტერმინი «დაჩხრეკა» მთარგმნელობასაც არ ნიშნავს.

[2] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912 г.

იოანეს ლიტერატურული შრომის ასეთი ხასიათი უფრო ნათლად ჩანს წმინდა ორიგინალურ ნაწარმოებებში, რომლებშიაც გამოსჭვივის ცხოველი პატრიოტული გრძნობა საზღვარგარეთ მომუშავე შეგნებული და იდეური მამულიშვილისა. ამ მხრივ, პირველ ყოლისა, უნდა დაეასახელოთ «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» ან «ქართულისა ენისათჳს», რომელიც მოთავსებულია სინას მთის ხელნაწერებში №№ 12, 71, 83[1]. აზრი ამ თხზულებისა შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა, ბერძნულთან შედარებით დღეს «მდაბალი და დაწუნებულია», ღაზარესაით «დამარხული» და «მძინარე», ის «შემკული და კურთხეულია»; ის ისეთივე «მეგობარი» ან თანასწორია ბერძნულისა, როგორი მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა უქადაგა სახარება ქართველებს, ხოლო მეორემ—ბერძნებს, ისინი «დებია», როგორც მართა და მარიამი. ქართულ ენას ბერძნულთან და სხვებთან უპირატესობაც აქვს: მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე განიკითხავს და ამხილებს მსოფლიოსო. როგორც ჩანს, იოანეს მაღლა ეპირა დროშა ეროვნული თვითშეგნებისა და ღირსებისა. ის, მსგავსად იოანე საბანისძისა, თამამად უპირისპირებს ერთიმეორეს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს უპირატესობასაც ანიჭებს მეორის წინაშე. არ შეგვეძლია არ აღვნიშნოთ ამასთანავე ისიც, რომ იოანე არ ყოფილა მაინცდამაინც ღრმად მცოდნე მისგან შექებული ქართული ენისა: კლასიკური ნორმები ძველი ქართული ენისა მის მიერ გადაწერილ ძეგლებში საკმაოდ შერყვნილია: ტექსტი სავსეა სხვადასხვაგვარი ვულგარიზმებით და სიტყვები ხშირად დამახინჯებულია. უკანასკნელი შეიძლება მისი თვალების სისუსტითაც აიხსნებოდეს; ალბათ, გადაწერისას ის კარგად ვერ არჩევდა ტექსტს და ერთი სიტყვის ან ასოს მაგიერ მეორესა წერდა.

მეორე შრომა იოანესი, რომელიც მოთავსებულია უკვე დახასიათებულ კრებულში № 34 — 19), ფურც. 25a — 33b, არის «კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ». ეს არის ერთგვარი კალენდარი, რომელშიაც აღნიშნულია არა მარტო წმინდათა ხსენება, არამედ მარხვებიც, მათი დასაწყისი და დასასრული, აგრეთვე — როდის შესრულდება ღამისთევა, «სპირინი». ესე იგი მწუხრი და ჟამისწირვა. ეს კალენდარი დიდად მნიშვნელოვანია პალესტინის სხვადასხვა მონასტრისა და წმინდა ადგილის გასაცნობად და შესასწავლად, ის შეიცავს ცნობებს მონასტრების წინამძღვართა და კტიტორთა, მათი ადგილმდებარეობისა და ისტორიის შესახებ, საერთოდ ძვირფას მასალას წარმოადგენს პალესტინის ტოპოგრაფიის, აგიოგრაფიისა და ლიტურგიკის შესასწავლად. ავტო-

[1] А. Цагарели, Сведения, II, стр. 61. გამოცემულია, აღდგენილი სახით, პ. ინგოროყვას მიერ (ჟურნ. «კავკასიონი», № 1 — 2, თბილ., 1924, გვ. 269. შ ი ს ი ე ე. გიორგი მერჩულე. გვ. 746—753). ეს «ქებაჲ» რომ იოანეს ეკუთვნის და არა გიორგი მერჩულს, ამის დამადასტურებელია, სხვათა შორის, ქართულ-ბერძნული წელთაღრიცხვის შედარება, მათ შორის არსებული განსხვავების აღნიშვნით (ციფრი 92, ნაცვლად 96-ისა, არის მექანიკურად გადმოტანილი დაბოლოება პანოდორეს 5492-წლიანი სისტემისა), რომლითაც ასე დაინტერესებული იყო სწორედ იოანე (კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ჰადიშის სახარება? «თბილ. უნივ. მოამბე», II, გვ. 392—397).

რი, იოანე, წერს: «ესე კრებანი (Συναξάριον) ოთხითა დედითა დამიწერიან: თავად კანონისაჲთა და საბერძნეთისაჲთა და იერუსალჳმისაჲთა და საბაწმიდისაჲთა»-ო. მაშასადამე, მას ხელთა ჰქონია ოთხი წყარო: კალენდარი კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, საბაწმიდისა და თვით «კანონი», ესე იგი წმიდასაფლავის კანონი ან განჩინება, რომელიც ჩვენ გამოვეცით[1]. მართლაც, ამ კალენდრის «კ'სენებანი» თითქმის სულ შეტანილია დასახელებულ «კანონში» ან განჩინებაში, რომელშიაც ისინი კალენდართან შედარებით უფრო დამახინჯებულან. კალენდარში ქართული წმინდანებიცაა შეტანილი, მაგალითად: აბო თბილელი (7 იან.), მეფე არჩილ ქართველი (15 იან.), კათოლიკოსი მამაჲ (3 მაისს), მანგლისის ჯვარი (20 მაისს), შუშანიკ დედოფალი (17 ოქტომბ.), «ყოველნი წმიდანი მოწამენი ქართლს შინა» (11 დეკემბ.), მცხეთის ჯვარი (ხატიკის მესამე კვირიაკეს და მარტვილის შემდეგ ოთხშაბათს). იმ კალენდართა შორის, რომელნიც დღესდღეობით ცნობილია მეცნიერებაში, იოანეს კალენდარს უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს[2].

მესამე შრომა იოანესი, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, არის «ცნობისათჳს და უწყებისა ჴშმარიტად, რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღუართა მიერ განსაზღურებულად, გამოძიებისათჳს ჟამთა და წელთა, თთუეთა და დღეთა, მცხრალისათჳს და დღის საძიებელისა, შვიდეულისათჳს და ნაკთა, მთოვარისა ზედნადებისათჳს და ხუთეულისათჳს და ექუსეულისა»[3]. ეს შრომა მთთავსებულია დღეს ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავში დაცულ ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია იოანეს მიერ, ქართული ანგარიშით, დასაბამითგან ხՓნბ წელსა, ქრონიკონსა რჲՕ, ესე იგი 949 წელს, ხოლო პანოდორესებური სათვალაჳთ — დასაბამითგან ხჳმა წელსა, ქრონიკონსა ნՓ, ესე იგი 949 წელს[4]. იგივე შრომა უნდა იყოს მოთავსებული იოანეს მიერვე 956 წელს «მოგებულსა და დაჩხრეკილს» კრებულში (№ 34—19, ფურც. 196b—202a), აგრეთვე 979 წლის სახარებაში (№ 38—12, ფურც. 132a—139b). ეს არის პასქალისტური შრომა, რომელშიაც გარკვეულია ყველა ის საკითხი, რაც სათაურშია ჩამოთვლილი, რასაკვირველია, თანამედროვე ბიზანტიური წყაროების მიხედვით. მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ავტორის ქრონოლოგიური სისტემა. პირველ ყოვლისა, ავტორი თვლის «დასაბამითგან» ან «ადამისითგან ჯუარცუმამდე უფლისა» ან «ვიდრე ამაღლებამდე», როგორც ამას ვხედავთ ნინოს შატბერდულ-ჰელიშურ ცხოვრებაში და ზოგიერთ სხვა ძეგლშიაც, 5534 წელს. ხოლო, თუ მის სათვალავს გადავიტანთ ჩვეულებრივ სისტემაზე, ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე ის თვლის 5500 წელს, მაშასადამე, მის-

---

[1] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в., Тифлис, 1912 г.

[2] Н. Марр, Предварительный отчет, стр. 41—42. პირველად გამოსცა ივ. ჯავახიშვილმა («ნინოს მთს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა», გვ. 200—226), ხოლო მეორედ. შესწორებული სახითა და გამოკვლევით, კ. კეკელიძემ (თსუ «შრომები», ტ. XXXIX, 1950 წ., გვ. 23—76), მესამედ გარიტმა.

[3] M. Brosset, Études de chronologie technique, p. 2—9.

[4] გაუგებარია, ამ თარიღებისათვის რატომ ბროსეს არ მიუქცევია ყურადღება და ძეგლის დაწერა 941—965 წწ. მიუკუთვნებია.

დევს იულიოს აფრიკელის ალექსანდრიულ სისტემას. მეორე მხრივ, ამ სისტემასთან ერთად იოანე აღნიშნავს «ქართველთა სათვალავს», რომელიც, მისი სიტყვითა და თარიღებით, «ას ათორმეტითა წლითა წინაჲთ» ითვლის. მაშასადამე, ქართველთა სათვალავს ავტორი უპირდაპირებს პანოდორე ალექსანდრიელის სისტემას, რომელთან შედარებით მართლაც 112 წლის განსხვავებას გვაძლევს ქართული ანგარიში[1] (5604—5492). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პანოდორეს სისტემა მართლაც ყალბ საფუძველზეა აგებული[2], გასაგები იქნება იოანეს სიტყვები, რომელიც ამ განსხვავებას «ვისისაგანეც მოცთუნებითია» სისტემას ეძახის. მიუხედავად ასეთი ქრონოლოგიური აკრიბიისა, იოანეს შეცდომებიც მოსდის: თარიღი «დასაბამითგან» და ქრონიკონი ხანდახან ერთიმეორეს არ უდგება მის «ანდერძებში», მაგალითად, № 53 (ა. ცაგარლით).

დასასრულ. უნდა დავასახელოთ ერთი ლექსი იოანესი, რომელიც ძოთავსებულია ზემოხსენებულ კრებულში (№ 34—19, ფ. 208a) და იკითხება ასე:

Ბუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ: მე უღირსი შეგივრდები,
რათა ვიყო მათთანავე შენგან უძაბ,
Ესე შესხმაჲ სულიერი, შენ მიერვე მოცემული კაცთა მიერ მოღუაწეთა ფრიად სიბრძნით
გამოთქუმით, შეიწირე ჩემ მიერცა, კაცთ მოყუარე,
Ოჩრთა მიერ ბრწყინვალეთა ღმრთისა კაცთა, სასურველთა სიღრმითა მით გულისაჲთა.
სათნოდ ღმრთისა შეკრებული, ვითარცა ოდეს მრგვალიტი ურიცხჳსა
სასყიდლისა, ჩუენ მოგუეცა, მორწმენენო,
რათა ჩუენცა ვიხარებდეთ შუენიერად, დატკბობილნი კმათა მაოჭა სიმრავლითა,
გალობითა ბრწყინვალეთა, შესხმითა მით წმიდათაჲთა,
რომლითაცა იდიდები შენ, სახიერო
Ბანგუმრაველე, ქველის-მოქმედ, განძი ესე სულიერი, მოცემული შენჳიერი,
ძალსა მისსა მყვენ მიმწ[დ]ომელ, რათა არა იყოს ჩუენდა აუბ:
Ოხარებდით მოძღურებითა სულიერად შესხმისაჲთა. ჲ კრებელო მსწაველულთაო,
ურთიდეთ რაჲ სიტყუათა მათ გალობითა კმეანითა,
რომელთაგან იდიდების კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი:.

კიდურწერილობა ან აკროსტიქი ორივე მხრივ, მარჯვნივ და მარცხნივ იძლევა სახელს ბეჭრბი. ამ «ბეორგის» აკად. ნ. მარი თელის ავტორად იამბიკოსი, რომელშიაც ის ხედავს საერო პოეზიის ჩანასახს[3]. ავტორი აქბობს, რომ ეს იადგარი ან ჰიმნების კრებული, რომელიც მას გადაუწერია, წარმოადგენს «სულიერ შესხმას», ფრიად სიბრძნით გაჯერებულს ღვთის შთაგონებით კაცთა მიერ მოღვაწეთა; ქართულ ენაზე ეს «სულიერი შესხმაჲ» ან ჰიმნები შეკრებილია ორთა მიერ კაცთა, რათა ჩვენცა ვიხარებდეთ მითო, და თხოვს

[1] კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ჯადიშის სახარება? «თბილ. უნივერსიტეტის მოამბე», II. 393—395

[2] Проф. В. Болотов, Лекции по исторіи древней церкви, I, 94—95.

[3] Н. Марр, Предварительный отчет, стр. 40.

ღმერთს—მისცეს ქართველებს ძალი მათ მისაწდომად ან გასაგებად. როგორც აკროსტიქიდან ჩანს, ლექსი იოანეს დაუწერია ვიღაცა გიორგის სახელობაზე თუ სახელით, და ამიტომ ბოლოში დაურთავს ასეთი შენიშვნა: «სახელად გეორგი, ძმაჲ ჩემი». შეიძლება ეს ის გიორგია, რომელიც იოანესთან ერთად მოღვაწეობდა საბას ლავრაში და რომელიც სინას მთაზედაც განუყრელადაა მასთან სიკვდილამდე, ანდა ერთი იმ ორ პირთაგანია, რომელთაც შეუგროვებიათ იოანესთვის ეს ჰიმნები. პროფ. პ. ბ ე რ ა ძ ე მ ამ იამბიკოში აღმოაჩინა ნიმუში რვამარცვლიანი ლექსისა ან 16-მარცვლიანი შაირის ჩანასახი. რომელიც გამოსცა კიდეც (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის «მოამბე», IV, № 6, 591) [1].

17. გრიგოლ ოშკელი

ოშკის ლავრაში, რომელიც მეათე საუკუნის ქართული მწერლობის პირველხარისხოვან ცენტრად ითვლებოდა, უნდა ემოღვაწოს იმ გრიგოლს, რომელიც ოშკელის სახელითაა ცნობილი ჩვენს ლიტერატურაში. სამწუხაროდ, არავითარი ცნობა მისი პიროვნებისა და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ის, რაც ჩვენ ახლა ვიცით მის შესახებ, მომდინარეობს ეფრემ მცირისაგან, ხოლო ეფრემს ეს ცნობა მიღებული ექნებოდა, უნდა ვიფიქროთ, მისი უფროსი თანამედროვის, თანამშრომლისა და ხელმძღვანელის. ეფრემ დიდისაგან, რომელიც აგრეთვე ოშკელი იყო. ეფრემ ოშკელი თუ თვით არ მოსწრებია გრიგოლს, ყოველ შემთხვევაში, უფრო ახლო იდგა მის ეპოქასთან, ამიტომ მისი ცნობა, როგორც ცოცხალი ტრადიციის გამომხატველი, ნდობის ღირსად უნდა იქნეს მიჩნეული. ეფრემ მცირეს გადმოუთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი და ერთი თხზულებისათვის, რომელსაც ეწოდება «ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყუელებისათჳს», ასეთი შენიშვნა დაურთავს: «ლოცვა ყავთ, წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო, ეფრემისათჳს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი; რამეთუ ნეტარისა გრიგოლ ოშკელისა მიერ სომხურისაგან თარგმნილი ესოდენ ვპოვე. ხოლო მე სომხურისა წილ ბერძნულისაგან კუალად მეორედ ვიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შვილსა და ბერძენისა შვილისშვილისაღა, ნუუკუე და არა უეჴველსა, თჳთ უეჴვი და საკუთარი შვილი აღვირჩიე» (ფონდი A, № 292, ფურც. 314). მართლაც, ხელნაწერთა ინსტიტუტის № 87 (ფონდი A) ჩვენ გვაქვს აღნიშნული საკითხავი გრიგოლ ღვთისმეტყველისა (გვ. 771—784), მაგრამ სხვა რედაქციით, და აშიაზე მიწერილია, რომ ის ეკუთვნის გრიგოლ ოშკელს. გრიგოლის თარგმანს აქ შემდეგი სათაური აქვს: «საკითხავი სამხილებელი არიანოსთა და ევნომიანოსთა ბოროტადუწუსოებისაჲ, რომელნი იგი მოსწრაფე იყვნეს წვალებისაებრ თჳსისა ცთომილად ღმრთისმეტყუელებად და წინაშე ურწმუნოთა საშჯელსა ჰყოფდეს მართლმადიდებელთა თანა და უღირსთა და ჭაბუკთა კაცთა მღდელად და ეპისკოპო-

[1] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 329.

სად კელთა დაასხმიდეს და სხუასა მრავალსა უწესოებასა იქმოდეს, რომელთაცა ამხილა წმიდამან გრიგოლი». ეფრემ მცირის ზემოამოწერილი სიტყვებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ გრიგოლს სომხური სცოდნია და ღვთისმეტყველის აღნიშნული საკითხავი სომხურიდან უთარგმნია, ამასთან ის. სასულიერო ხარისხის მატარებელი ყოფილა, ალბათ, ერთ-ერთი ძმათაგანი იქნებოდა ოშკის ლავრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის რომ ერისკაცი ყოფილიყო, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ, ეფრემი მას ნეტარს არ უწოდებდა. გრიგოლ ოშკელი დაინტერესებული ყოფილა თავისი თანამოსახელისა და მფარველის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, თხზულებებით და ამიტომ, საფიქრებელია, სხვა საკითხავებსაც გადმოთარგმნიდა ის ამ ღვთისმეტყველისას. ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ერთი შრომა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელსაც ვერ მივაკუთვნებთ გრიგოლ ღვთისმეტყველს ვერც ერთ ქართულად მთარგმნელს — ვერც ექვთიმე ათონელს, ვერც დავით ტბელსა და ვერც ეფრემ მცირეს, და რომელიც ენითა და სტილით გრიგოლ ოშკელის თარგმანს უფრო უახლოვდება. ესაა «ქებაჲ და შესხმაჲ ნეტარისა კესარიოს ძმისა თჳსისაჲ» [1]. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხავიც გრიგოლ ოშკელის ნათარგმნი უნდა იყოს.

18. იოანე მინჩხი

იოანე მინჩხი ეკუთვნის იმ პირთა ჯგუფს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ქართული ჰიმნოგრაფიის აყვავებას მეათე საუკუნეში. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო მოღვაწე მეათე საუკუნის პირველი ნახევრისა, თანამედროვე გიორგი მეფისა. სინას მთის ერთ-ერთ ხელნაწერში მოთავსებულია «გალობანი წმიდისა გეორგისანი, თქუმულნი ნეტარისა მინჩხისანი» [2], რომელთაც შემდეგი შენიშვნა აქვთ თანდართული: «ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გეორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებიან მინჩხისადა». დახასიათება გიორგი მეფისა იმ ზოგადი ეპითეტებით, რომელიც აქა გვაქვს, შეიძლება უფრო შეეფერებოდეს საქართველოს მეფეს გიორგი პირველს (1014 — 1027), მაგრამ ამ უკანასკნელის მეფობა მინჩხისათვის მეტად ნაგვიანებია. ამიტომ ამ მინაწერში ჩვენ ვგულისხმობთ აფხაზთა მეფეს გიორგის, რომელიც, მემატიანის სიტყვით, «იყო სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმჭნითა და ახოვნებითა, ღმრთისმოყუარე იყო უმეტეს ყოველთა, მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხუი და მდაბალი და ყოვლითა კეთილითა სათნოებითა სრული» [3]. აქ შეიძლება ერთი საკითხი დაიბადოს: რით აიხსნება, რომ მიქელ მოდრეკილის საგალობელში, რომელიც შედგენილია 978—988 წლებში, მინჩხის მრავალრიცხოვანი ჰიმნებიდან მხოლოდ ოთხია შეტანილი? რასაკვირველია, არა იმით, რომ ის ჰიმნები მინჩ-

[1] A 87, გვ. 785—824; S 1696.

[2] № 2, ფ. 3a—4b იხ. ჯავახიშვილის აღწერილობით.

[3] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 229.

ხისა, რომელნიც მიქელის კრებულში არ მოყვანენ, ამ კრებულის შემდეგაა დაწერილი და, ძალიანადაც, მინიხი ათას საუკუნის გასულის ან მეთერთმეტის დასაწყისის (გიორგი პირველის დროის) მწერალია, არამედ იმით, როა იოანე მინიხი მოღვაწეობდა და წერდა სინას მთაზე, რის გამო, შესაძლებელია, მიქელს, რომელიც საქართველოში აგროვებდა ბასალას თავის კრებულისათვის, ამ კრებულის შედგენისას, ოთხის გარდა, სხვა ჰიმნები საზღვარგარეთელი მოღვაწის, მინიხისა, ჯერ ხელთ არა ჰქონდა.

უმეტესი ნაწილი მინიხის ჰიმნებისა შენახულა სინას მთის ხელნაწერებში №№ 2, 5, 75, 77 (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აღწერილობით). ზოგ ათგანს აწერია: «მინიხნი, მინიხისანი, თჳთნი, თჳთხი არიან ძინიხანი». ასეთი საგალობლები, რა თქმა უნდა, იოანე მინიხისაა უცილობელად. მაგრამ არიან ისეთი ჰიმნებიც, რომელთაც აწერია «მინიხურნი». ეს ტეოთიხი, ალბათ, იმავე მითხვნელობისა და შინაარსისაა, როგორც ზემოთ აღნიშნული «მერიხულიულნი», და აღნიშნავს ისეთ ჰიმნებს, რომელნიც იოანე მინიხის საგალობლების ფორმისაა. ეს საგალობლები ზოგი პროზითაა დაწერილი, ზოგი კი იაამიკოთი. იამბიკოთი დაწერილი ჰიმნები მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში [1]. ესენია: ორი ჯგუფი «წმიდის აღდგომის დასდეიელთა», ესესაც — მეფის თეოდოსი დიდისა (379—395 წ.), რომელიც წმინდანადაა აღიარებული (ხსენება მისი ჩვეულებრივ 17 იანვარსაა დადგენილი, ხოლო «იეროუსალიმის განჩინებაში» და იოანე სინელის «კალენდარში», როგორც მინიხის კალენდარში—19 იანვარს), და მეოთხე — ექვთიმე დიდის, პალესტინელისა (გარდ. 473 წ.), რომლის ხსენება, მინიხითაც, 20 იანვარსაა დადებული. უკანასკნელი ორი ჯგუფის საგალობელნი (თეოდოსისა და ექვთიმესი) წარმოადგენენ, უეჭველია, ფრაგმენტს იანვრის თვის ჰიმნოლოგიური კრებულისას, რომელიც, ალბათ, ჩვენამდე არ შენახულა, ან ჯერ აღმოჩენილი არაა. სინას მთის ხელნაწერებში დაცული ჰიმნებიდან უნდა დავასახელოთ: უკვე ზემომოხსენებული წმიდა გიორგის საგალობლები, გიორგი მეფის თხოვნით აღწერილნი, რომელნიც არიან «თავედნი», ესე იგი აკროსტიქული, და იტყვიან: «წმიდაო გეორგი, შეეწიე გეორგი მეფესა წინაშე მეფეთა მეფისა და ადიდე». საგალობელთა ხელნაწერში ბოლო დაკარგულია, აკროსტიქი თავდება სიტყვა «წინაშე»-ზე. ხელნაწერში № 56 (ნ. მ ა რ ი ს აღწერილობით) მოთავსებულია «საგალობელნი ფერისცვალებისანი» მინიხისანი (ფ. 76), ხოლო ხელნაწერებში №№ 5, 75 — დიდმარხვის ეგრეთ წოდებულ წინამსრბოლ კვირიაკეთა (მეზვერისა და ფარისევლის, უძღების შვილის, ხორციელისა და ყველიერის). ყოველ შემთხვევაში, № 5-ის ფ. 26a იწყება «არაჯვართა», ესე იგი მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკის საგალობელთ. ხელნაწერში № 77 დარჩენილა საგალობლები დიდმარხვის 1, 2, 3, 4, კვირიაკეებისა. როგორც ჩანს, იოანე მინიხს უწერია საგალობლები მთელი წლისა იმ გეგმაზე, რა გეგმაზედაცაა აგებული საეკლესიო წელიწადი იერუსალიმის კანონში: ჯერ «ზამთრის კანონი», 20 დეკემბრიდან აპრილამდე (ამისი ფრაგმენტია თეოდოსისა და ექვთიმეს საგა-

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 108—ლვ.

ლობლები), და დიდმარხვის პერიოდი, მერე — «ზაფხულის კანონი», რომლის ნაშთად უნდა ჩაითვალოს ორი საგალობელი აღდგომისა ზატიკის პერიოდიდან, აგრეთვე წმ. გიორგისა და ფერისცვალების ჰიმნები თთუენიდან. ამავე კატეგორიას ეკუთვნის, ალბათ «დასდებელი წმიდისა მამისა ჩუენისა შიოანი», რომელიც იოანესავე სახელითაა შენახული [1]. იოანეს ჰიმნებს ახასიათებს ღრმა პატრიოტული გრძნობა და, როგორც ეს შეუნიშნავს აკად. ნ. მ ა რ ი ს [2], სუბიექტივობა, გულწრფელობა და უაღრესი სიმარტივე, რომელიც შორსაა ჩვეულებრივი ჰიმნოგრაფიული ენაწყლიანობისაგან. მისი ჰიმნები გაშიფრულია აკად. ი. ჯავახიშვილის მიერ [3].

19. იოანე მტბევარი

იოანე მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფთა ჯგუფს ეკუთვნის. ტბეთის სავანე, მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე დაარსებული, აშოტ კუხს (გარდაიცვ. 918 წ.) საეპისკოპოსო კათედრად გაუხდია და პირველ ეპისკოპოსად აქ სტეფანე მტბევარი გაუმწესებია. ჩანს, ლიტერატურული ტრადიციები ტბეთში საკმაოდ ძლიერი ყოფილა, ვინაიდან ტბეთიდან გამოსულა არა ერთი და ორი ცნობილი საეკლესიო მწერალი, რომელთა რიცხვს იოანეც ეკუთვნის. იოანე მეათე საუკ. გასულის მწერალია. ის ჯერ ტბეთის ეპისკოპოსად ყოფილა და მერე მაწყვეტრლობა მიუღია. ამას ჩვენ ვგებულობთ ტბეთის სახარების მინაწერიდან: «ქრისტე, ადიდე იოვანე მამამთავარი, პირველ მტბევარი და აწ შენ მიერ მაწყვეტრელ ეპისკოპოსი. დაიწერა საყდარსა შინა ტბეთისასა, ჭორონიკონსა სიმე» [4]. აქედან ჩანს, რომ 995 წელს იოანე უკვე მაწყვეტრელი ყოფილა. სხვა ბიოგრაფიული ცნობა მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ტბეთის სახარების ბოლოსიტყვაობიდან, რომელიც პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ე ს გაურჩევია, ვგებულობთ მხოლოდ იმას, რომ მის მშობლებს ეწოდებოდა არსენი და მარიამი. ვიცით ისიც, რომ 1002 წელს, როდესაც დაუწერიათ შაორის მონასტრის წმინდათა ცხოვრება, იოანე ცოცხალი ყოფილა, ვინაიდან აქ ეკითხულობთ: «და მეცა ცოდვილი იოვანე მტბევარი, ამის წიგნისა უცბად მხრეკელი, შემიწყალე» [5]. შეიძლება ითქვას, რომ ის განათლებული კაცი ყოფილა. თავისი ღირსშესანიშნავი ჰიმნები, რომელნიც მიქელ მოდრეკილის კრებულშია მოთავსებული, იოანეს დაუწერია მტბევრობისას. ამას ამტკიცებს ის, რომ ეს ჰიმნები წარწურილია იოანე «მტბევარის» სახელით და თან მოქცეულია 978 — 988 წლის ძეგლში. ხოლო მაწყვეტრელად ის გამხდარა 995 წლის ახლო ხანებში, შეიძლება მას მაწყვეტრლობაშიაც ეწეროს, მიქელის კრებულის შედგენის შემდეგ, მაგრამ ჯერ იმის მეტი, რაც აქ

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტაბ—ტიბ.

[2] Н Марр, Предварительный отчет, стр. 39.

[3] «სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა», გვ. 145—165. იხ. აგრეთვე ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ის «ქრესტომათიაში». I, 329—333.

[4] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები. I, 111—112.

[5] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, გვ. 249.

კრებულშია, ჩვენ არა ვიცით რა. მიქელის კრებულში შენახულია 15 ჯგუფი საგალობელ-დასდებელთა (პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. მმ — რნა) [1]. ამათგან მხოლოდ ერთია 12-მარცვლიან იამბიკოდ დაწერილი: 23 დეკემბერს წინადღესასწაული შობისა და ხსენება იოსებ მართლისა (გვ. ნე—ჲზ). ერთ საგალობელს აკროსტიქი აქვს: «ქრისტეს შობასა შევამკობდეთ ერნო» (გვ. ო—უ). ამ 15 ჯგუფთაგან ერთი არის «აღდგომისა» (გვ. რმბ—რნ), რომელშიაც შემკულია ქრისტეს აღდგომა, ის წარმოადგენს ოქტოიხოსის მეორე ხმის საგალობელს, 14 ჯგუფი ჰიმნებისა შეამკობს სხვადასხვა დღესასწაულს 21 დეკემბრიდან მოყოლებული 28 იანვრამდე. ჩანს, იოანე მტბევარსაც ძველებური ტიპის ს ტ ი ქ ი რ ა რ ი ს დაწერა განუზრახავს. ესენია: 1) დეკემბრის 21 — კრებაჲ სამწყსოსი, წინამსწავება შობისა, წინადღესასწაულობა და სახელით ხსენება ძველისა სჯულის მამამთავართა (გვ. მმ—ნე); 2) დეკემბრის 23—წინადღესასწაულობა შობისა და ხსენება იოსებ მართლისა (გვ. ნე—ჲზ); 3 — 4) დეკემბრის 24 — ქრისტეს შობის წინადღე (გვ. ჲზ—ჲთ, ჲთ—ო3); 5) დეკემბრის 25—კრება ბეთლემს, შობა უფლისა (გვ. ო3—უ); 6—7) იანვრის 1—ბასილი ნეოკესარიელისა (გვ. უ—უჱ, ჳჱ.—რბ); 8) იანვრის 3—კრება იორდანეს ენკენისა იოანე ნათლისმცემლისასა, ნათლისღება უფლისა (გვ. რბ—რი); 9) იანვრის 20—წმ. ევთიმესნი (გვ. რი—რკ), რომელიც შეამკო იოანე მინჩხმაც; 10) იანვრის 23 — წმ. კლიმისა (გვ. რკ — რკჱ); 11) იანვრის 25 — გრიგოლ ღვთისმეტყველისა (გვ. რკჱ—რლდ); 12) იანვრის 27 — იოანე ოქროპირისა (გვ. რლდ—რლე); 13—14) იანვრის 28 — ყოველთა მამათა მეუდაბნოეთა (გვ. რლე—რმბ, რმბ—რმბ).

ღრმა ღვთისმეტყველება, ფილოსოფიურ-თეოლოგიური სპეკულაცია, პოეტური აღმაფრენა და ლამაზი სტილი, დასრულებულ-ჩამოყალიბებული ენა, — აი, დამახასიათებელი თვისება იოანე მტბევარის ჰიმნებისა, აგრეთვე ტბეთის სახარების იმ ბოლოსიტყვაობისაც, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

20. მიქელ მოდრეკილი

ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ შემოქმედებას უმწვერვალეს განვითარებამდე მიუღწევია მ ი ქ ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი ს ხელქვეით. ეს არის ერთი უდიდესი და უნიჭიერესი ჰიმნოგრაფი, რომელსაც დაუტოვებია ჩვენთვის არამცთუ თავისი შესანიშნავი საგალობლები, არამედ მთელი უზარმაზარი კრებული, რომელშიაც მოთავსებულია სხვა ავტორთა ჰიმნებიც, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. ეს კრებული მას შეუდგენია 978 — 988 წლებში [2]. ამის შესახებ მიქელი ამბობს: «შეწევნითა დიდადსახიერისა ღმრთისაჲთა შე, გლახაკმან და ფრიად უდებებით ცხორებულმან, ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისაჲთა დაღონებულმან, მიქელ მოდრეკილმან ვიღუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვა-

[1] რამდენიმე ნაწარმოები იხ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს «ქრესტომათიაში», I, 334—337.

[2] S 425.

ჩუენე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთაჲ მ ე ხ უ რ ნ ი: ბერძნულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისამებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღაღატეყაეითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა»[1]. მეორე ადგილას: «შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელი იგი არს მიზეზი ყოველისა კეთილისაჲ, მე გლახაკმან მიქელ მოდრეკილმან, ძმისწულმან ღმერთშემოსილისა მაჲისა დავითისამან, ვიღუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთაჲთაჲ მეხუთნი: ბერძნულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, და დავწერენ წმიდასა ამას წიგნსა შინა»[2]. მიქელს არამცთუ შეუკრებია ეს ორიგინალური და ნათარგმნი ჰიმნები თვენისა და ოკტოიხოსისა, არამედ «დაუნიშნავს» კიდეცაც, ესე იგი გალობის ნიშნები მოუწერია მათთვის.

ვინ იყო ეს მიქელი და რას ნიშნავს მ ო დ რ ე კ ი ლ ი? «მოდრეკილი» უნდა ნიშნავდეს დაუუდებულს, მაშასადამე, მიქელი ბერი ყოფილა. განსვენებული თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ამტკიცებს. რომ მიქელ მოდრეკილი იყო მოღვაწე შატბერდისა, ძმა მარიამის, იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზვაჩეს დედისა, ესე იგი — ბიძა თორნიკესი და იოანესი და დიდედის ძმა ექვთიმესი[3]. ძნელი დასაჯერებელია, რომ მიქელ მოდრეკილი იყოს ბიძა თორნიკესი და იოანესი, ვინაიდან 978 — 988 წლებში, როცა მიქელს თავისი კრებული დაუწერია, იოანე და თორნიკე ღრმად მოხუცებული იყვნენ (თორნიკე 985 წელს «სიბერესა შინა» გარდაიცვალა კიდეც), და რაღა უნდა ყოფილიყო მაშინ მათი დედის ძმა, ეს ხომ რაღაც წარმოუდგენელია? ჟორდანიას ეს შეცდომა მოუვიდა იმიტომ, რომ ო შ კ ი ს ს ა მ ო თ ხ ი ს «ანდერძი», რომელიც ორი პირისაგანაა დაწერილი, იოანე-თორნიკესა და მიქელ მოდრეკილის დისწულის — დავითისაგან, ერთ პირს, დავითს, მიაწერა მან. ჩვენ გვგონია, რომ სიმართლესთან ახლოს ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ მიქელ მოდრეკილი არის ის მიქელი, ძე იოანე-ვარაზვაჩესი და ძმა ექვთიმე ათონელისა, რომელიც 978 წელს ოშკის ლავრაში ჩანს და რომელიც მოხსენებულია ათონის ბიბლიის ანდერძში ამნაირად: «მიქელ ძე ვარაზვაჩესი. დიდი სიტკბოებაჲ მიჩუენეს ამის წიგნის შრომასა». შეიძლება, მიქელი არის ერთ-ერთი გადამწერი ათონის ბიბლიისა, რომელსაც ეკუთვნის 12 წინასწარმეტყველთა წიგნის გადაწერა, როგორც ეს ჩანს სიტყვებიდან: «აქამდე გიორგისი, აქაჲთგან მიქაელისი წაღმართ» (წინ) და «აქამდე მიქაელისი, რომელსა ცთომილ ვიყო, ღმრთისაჲჳს შემინდვეთ და ლოცვასა მომიჯსენეთ»[4].

ექვთიმესა და ამ მიქელს ჰყოლიათ დაი, რომელსაც ორი შვილი შეძენია:

[1] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტნთ—ტჲ.
თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, I, 112.

[2] ო ქ ვ, გვ. 108—109.

[3] R. P. Blake, The georgian Text of fourth Esdras from the Athos MS, «The Harvard theological Review», XXII, I, 1929 წ., გვ. 46, 48, 50.

იოანე ბერაძე, გადამწერი შატბერდის კრებულისა, და დავითი, ერთ-ერთი ავტორი ოშკის სამოთხისა «ანდერძისა». ამნაირად, მიქელ მოდრეკილი არის ოშკის მოღვაწე, ძმა ექვთიმე ათონელისა, და ამით აიხსნება, რომ მისი კრებულის 491 გვერდის ქვემო არშიაზე სწერია: «უფალო, შეიწყალე ევთვმე ცოდვილი მწარედ». ის არის, ალბათ, უფროსი ძმა ექვთიმესი.

მიქელ მოდრეკილის ჰიმნები[1] შინაარსის მხრივ ორგვარია: ერთია სადღესასწაულო, რომლითაც ის შეაქებს ამა თუ იმ დღესასწაულს ან წმინდანს, როგორც ეროვნულს, ქართულს, ისე საზოგადოს. მომეტებულ ნაწილად იმას დაუწერია ჰიმნები ისეთი დღესასწაულებისა, რომელიც მოთავსებულია შობის წინადღესასწაულის (21 დეკემბერი) და ნათლისღების განტევების (20 იანვარი) შუაში, სახელდობრ: 1) დეკემბრის 24 — შობის წინადღისა, 2) იანვრის 1 ბასილი დიდისა, 3) იანვრის 6—აბო თბილელისა (2 ჯგუფი) და ნათლისღებისანი, 4) იანვრის 6—ნათლისღებისანი (7 ჯგუფი), 5) იანვრის 17 — ანტონი დიდისა, 6) იანვრის 22 — ყოველთა წმიდათა ძველისა და ახლისა შჯულისა, სულ 14 ჯგუფი საგალობელთა. ამათ გარდა, მიქელს შეუთხზავს თავისი საკუთარი პარაკლიტონი, სწორედ ის ნაწილი ამ წიგნისა, რომელიც საბერძნეთში ცნობილია ოკტოიხოსის სახელით, ესე იგი—საგალობელნი აღდგომისა ან კვირიაკის დღისანი, რვა ჯგუფისა, რვა ხმათა მიხედვით. მართალია, ეს წიგნი მეცხრე-მეათე საუკუნეში უკვე ნათარგმნი იყო ქართულად და მისი საგალობელნი, როგორც «ბერძნულნი», მიქელ მოდრეკილის კრებულშიაც არის მოთავსებული, მაგრამ, ჩანს, ისინი ქართველებს არ აკმაყოფილებდნენ და ამიტომ მიქელს თვით განუზრახავს შეთხზვა ამგვარი წიგნისა. მიქელის საგალობლები მდიდრდება შემკული სხვადასხვა აკროსტიქით და რამდენიმე ჰაითგანი იამბიკოთიც არის დაწერილი, მაგალითად, მესამე ხმის აღდგომის დასდებელნი დაწერილია იამბიკოდ, რომელშიაც «ყოველსა მუკლსა ჲ შეტყუებაჲ აქვს: ე ჯერ იბ»[2]. ხოლო 6 და 8 ხმის ყველა დასდებელნი და მესამის «უფალო ღაღატყაავსი», აგრეთვე დასდებელნი ნათლისღებისანი (გვ. ტპბ) და «კანონი» მისი (გვ. ტჟთ) დაწერილია არა სტრიქონთა, არამედ მუხლთა ან სტროფების შეფარდება-შებამლებით. მიქელის საგალობლებს თითქმის ყველას აქვს მიქელის სახელი ზედწარწერილი, ზოგს პირდაპირ მ ი ქ ე ლ ი, ზოგს კიდევ სიმბოლურად, რიცხობრივ. მაგალითად, იანვრის 22 — «დასდებელნი თქუმულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისა», აგრეთვე მესამე ხმის აღდგომის კანონს (გვ. ტჲთ) და ნათლისღებისას (გვ. ტპბ). ეს რიცხვები როგორ ასოებით გამოვხატოთ, მივიღებთ: 40=მ, 10=ი, 600=ქ, 1=ა, 5=ე, 30=ლ, ანუ მ ი ქ ა ე ლ[3]. რაც შეეხება მიქელის ჰიმნებს, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ისინი პოეტური აღმაფრენითა და საღვთისმეტყველო სპეკულა-

[1] გამოცემულია პ. ინგოროყვას მიერ: ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რჲმ—ტნთ; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 337—343.

[2] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტჲთ—ტოე.

[3] იქვე, გვ. XII. ეს გაშიფრულია პირველად პ. ქარბელაშვილს (ქართული საერო და სასულიერო-კილოები, გვ. 44, 1898 წ.) და არა პ. ინგოროყვას მიერ (ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. XII).

ციის სიღრმე-სიდიადით, აგრეთვე სტილის სილამაზითა და მოხდენილობით, არაჩვეულებრივ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს ძველ მწერლობაში და ამ მხრივ ისინი თუ არ სჭარბობენ, ჩამოვარდნით მაინც არ ჩამოუვარდებიან იოანე მტბევარის და სხვა ჰიმნოგრაფთა საგალობლებს.

21. ეზრა

ეზრას სახელით მიქელ მოდრეკილის კრებულში შენახულია ერთი საგალობელი, 20 იანვრისა, ექვთიმე დიდის, პალესტინელის, სადიდებლად. ამ საგალობელს აკროსტიქი აქვს დართული, რომელიც იკითხება: «ქრისტე, აღიდე საურმაგ და ძი მისი მირეან, ამენ» [1]. ალბათ, ეს საურმაგი და მირეანი არიან შემკვეთელნი ამ საგალობლისა. შეიძლება აქ იგულისხმებოდეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული «ეზრა, ღირსი, ანჩელი მამათმთავარი ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი» (გვ. ᲛᲗ). ის იყო თანამედროვე ბაგრატ ერისთავთა-ერისთვისა, რომელიც, სუმბატის ქრონიკით, გარდაიცვალა 966 წელს, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ეს ეზრა მეათე საუკუნის მწერალია და, მაშასადამე, ის არ არის უღირსი ეზრა, რომელსაც მეთერთმეტე საუკუნეში შეუთხზავს ექვთიმეს მამის, იოანეს, სადიდებელი კანონი [2].

22. იოანე ქონქოზისძე

იოანე ქონქოზისძე არის მწერალი ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლისა. თუმცა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ, ცხადია, ისიც მეათე საუკუნის მოღვაწეა, ვინაიდან მისი საგალობელი მოთავსებულია მიქელ მოდრეკილის კრებულში. ეს არის «გალობანი ქრისტეს ნათლისღებისანი და ჰაბო ისმაიტელუოფილისა ქართველისანი», რომელნიც იამბიკოთია დაწერილი. საგალობელი შედგება 28 მუხლისაგან, რომლებშიც რვა-რვა სტრიქონია, ხოლო თითოეულ სტრიქონში განსაზღვრული რაოდენობა «შეტყუებისა» ან მარცვლებისა [3].

23. კურდანაძ

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს კურდანაძ, რომლის სახელს იძლევა აკროსტიქი ან კიდურწერილობა «უფალო ღაღატყაე»-ის საგალობლისა, რომელიც მიქელ მოდრეკილის კრებულშია მოთავსებული მეშვიდე ხმის აღდგო-

[1] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რნᲛ—რამ; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 344—346.

[2] ეს კანონი მოთავსებულია 1074 წელს გადაწერილ ხელნაწერში, A 558; «ათონის კრებული», გვ. 191—196.

[3] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ᲚᲗ—ᲛᲔ; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 346—348.

ეის დასდებელთა შორის[1]. ვგონებ, რომ კურდანაჲ არის ავტორი ამ საგალობლისა და მწერალი არაუგვიანეს მეათე საუკუნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შრომა მიქელის კრებულში ვერ მოხვდებოდა.

24. ფილიპე

სინას მთის მეათე საუკუნის ორ ხელნაწერში (№№ 59, 64) შენახულა ცამეტსტრიქონიანი იამბიკო, რომელიც დაწერილია 16-მარცვლიანი სილაბურ-ტონური საზომით. იამბიკო ამასთანავე რითმიანია — ყველა სტრიქონი ასო Ო-ნით თავდება. აკროსტიქი ან კიდურწერილობა იამბიკოსი გვაძლევს «ფილიპე ბეთლემი», მაშასადამე, ავტორი ამ იამბიკოსი არის ვიღაც ფილიპე, რომლის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. იამბიკო შეასხამს ღვთისმშობელსა და მისგან ბეთლემის ბაგაში განხორციელებულს. მნიშვნელობა ამ იამბიკოსი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ საეკლესიო პოეზიის დარგში ის წინამორბედია შოთა რუსთაველის 16-მარცვლიანი სილაბურ-ტონური საზომისა. პირველად ეს იამბიკო გამოსცა აკად. ნ. მარმა[2], ხოლო მეორედ — პ. ინგოროყვამ[3].

საყურადღებოა ერთი ლეგენდა, რომელიც ჩაწერილია ს. გერგეტში 1945 წელს. ის ასე იწყება: «ფილიპე ბეთლემში იყო. განდეგილად ცხოვრობდა ბეთლემში...»[4]. რამდენადაც ამ ლეგენდაში მოხსენებულია «მთაწმიდელი», ის მეთერთმეტე საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს გაჩენილი. შეთხზულია ის, უნდა ვიფიქროთ, ამ იამბიკოს ნიადაგზე, რადგანაც იამბიკო, როგორც ვთქვით, გვაძლევს აკროსტიქს «ფილიპე ბეთლემი».

25—26. სტეფანე სანანოძისძე და დავით ტბელი

ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში ჩვენ ვხვდებით ერთად და განუყრელად ორ სახელს: დავითსა და სტეფანეს. «ძუელსა წიგნსა შინა მიხილავს მე, ზაქარია მოძღუარსა, და მისგნით გადმომიწერიეს: მრავლით ჟამითგან უწინარეს ეფთიმი და გიორგი, წმიდათა მამათა მთარგმნელთა, დავით და სტეფანე, ქართველთა გვარისანი, იერუსალიმს მოიწინეს და მუნ შეემეცნეს ელინთა ენამზეობასა: და პირველად მათ გადმოთარგმნეს რაოდენნიმე საეკლესიონი წიგნნი ბერძნულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა სამღრთონი წიგნნი გადმოიღეს მრავლითა შრომითა»[5]. ეს ამონაწერი, რომელიც

---

[1] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რაᲓ — რაᲔ.

[2] Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава, «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. XII, Петерб., 1910 г., стр. LVI.

[3] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ᲒაᲔ.

[4] ნ. მახათაძე, ი. ჯავახიშვილის «განდეგილის» ფოლკლორული წყაროები, გვ. 230—31.

[5] Н. Марр, Из книги царевича Баграта о грузин. переводах духовных сочинений..., «Известия Акад. Наук», т. X, № 2, стр. 234.

არაფერს არ გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ დავით და სტეფანე, როდის «მოიწინეს» იერუსალიმს და, სახელდობრ, რომელი საეკლესიო და საღმრთო წიგნები თარგმნეს, ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის მწიგნობარს, მოძღვარს ზაქარია გაბაშვილს. მეთექვსმეტე საუკ. მოღვაწე, ბატონიშვილი ბაგრატი, თავის შრომაში, რომელსაც «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთაჲ» ჰქვია, ამბობს: «იყვნეს უკუე უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმიდანი და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი, დავით და სტეფანე... რომელნი წარვიდეს იერუსალიმს... და გვითარგმნეს ჩუენ წიგნები ყოველი ბერძულისაგან ქართულად» [1]. როგორც ვხედავთ, არც ბაგრატი და არც იაკობ შემოქმედელი (გარდაიცვ. 1712), რომელმაც ლექსად გამოთქვა ბაგრატის შრომა [2], არ გვაძლევენ გარკვეულ ცნობას დავით და სტეფანეს ქრონოლოგიის შესახებ. ამით აიხსნება, რომ აკად. ნ. მარს terminus post quem მათი მოღვაწეობისა გადააქვს ხან მეშვიდე საუკუნეში [3], ხან მერვე-მეცხრეში [4], ხან მეათეში [5]. უფრო გარკვეულ და უტყუარ მასალას ამ საკითხის გასაშუქებლად ჩვენ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში ვპოულობთ. ეფრემ მცირე ერთ თავის შრომაში მოგვითხრობს, რომ სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრაზებიდან ქართულადაც «ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმიდისა არტემისა და კრიტელთაჲ და ელევთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდასა მამასა ჩუენსა დავით ტბელსა... ეგრეთვე სანატრელსა სტეფანეს სანანოძესა უთარგმნია საკითხავი დაუჯდომელთაჲ და ცხოვრებაჲ თეოქტისტე ლეზველისაჲ და სხუანიცა» [6]. რუის-ურბნისის ძეგლისწერაში ნათქვამია: «ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოსძისა საუკუნომცა არს კსენებაჲ და კუალხ.ად მათი» [7]. მიქელ მოდრეკილის საგალობელშიაც ვხვდებით ჩვენ სტეფანე სანანოსძისა და დავით ტბელის სახელებს ერთად [8]. ცხადია, ძუელნი თარგმანნი, დავით და სტეფანე, არიან დავით ტბელი ან მტბევარი, ეპისკოპოსი ტბეთისა, და სტეფანე სანანოსძე, რომელნიც თანამედროვენი ყოფილან და ამიტომაც ერთად იხსენიებიან. სტეფანე სანანოსძე არის ცნობილი სტეფანე, ჰყონდიდის ეპისკოპოსი, როგორც ეს ჩანს მიქელ მოდრეკილის საგალობლის ერთი მინაწერიდან: «ქ. სტეფანე ჰყონდი[დლისჲ]ა, ნეტარისანი სანანოს ძისანი [9]. თვით სახელწოდებანი — ტბელი, resp. მტბევარი, და ჰყონდიდელი ნათელყოფენ, რომ სტეფანესა და დავითს უნდა ეცხოვრათ და ემოღვაწნათ არაუადრეს მეათე საუკუნისა. ჩვენ შეგვიძლია უფრო დაახლოებით განვსაზღვროთ მათი ცხოვრების დრო. ექვ-

[1] Н. Марр, Из книги царевича Багратa о грузин. переводах духовных сочинений..., «Известия Акад. Наук», т. X, № 2, стр. 239.

[2] იქვე. გვ. 242.

[3] იქვე. გვ. 341, შენ. 1.

[4] Из поездки на Афон, «Журн. Мин. Нар. просв.», Март, 1899 г., стр. 5.

[5] «Агиографические материалы по груз. рукоп. Ивера», II, 106; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის თარგმანებათა ენითა და სტილით ხელმძღვანელობს.

[6] A 90. გვ. 312b—313a.

[7] მ. სა ბი ნი ნი, საქართველოს სამოთხე, გვ. 330.

[8] თ. ქორდანია, ქრონიკები I, 113—114.

[9] იქვე, გვ. 113; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რნა.

თიმე მთაწმიდელი გიორგი ბერის ერთ-ერთ შეკითხვაზე უპასუხებს: «ევსევი პამფილელის წიგნი... ქართულად ვისმე უთარგმნია... და სიცოცხლესა ნეტარისა მამისა იოანესსა მოეწერა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა ჴყონდიდისასა და ეკითხა, ვითარმედ შეაწუნარებელ არსა?»[1] შეკითხვას აძლევებ იოანე მთაწმიდელს, უპასუხებენ მამა და შვილი [«ჩუენ მიუწერეთ»]. ჩანს, სტეფანე სანანოსძე და მასთან ერთად დავით ტბელიც იოანე ათოსელის თანამედროვენი ყოფილან[2]. მაშ იმათი სამწერლო მოღვაწეობის დროდ მეათე საუკუნის მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ. ამას მოწმობს მათი თარგმანებათა ენაც, რომელიც მეტად მსუბუქია და თვალსაჩინო არქაიზმებს მოკლებული. უფრო დაახლოებით, მათ უმოღვაწნიათ მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მართლაც, თუ ეფრემის მოწმობით, მათ სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასებიც თარგმნეს ავტორისავე სიცოცხლეში, თავისთავად ცხადია, ისინი ყოფილან თანამედროვენი სვიმეონის მეტაფრასული მოღვაწეობისა, რომელიც, როგორც ახლა მტკიცედ დასაბუთებულია, 982 წელს დაიწყო[3].

სტეფანესა და დავითს უთარგმნიათ უმთავრესად აგიოგრაფიული ნაწარმოებნი, თუმცა სტეფანეს შეუთხზავს ორიგინალური ჰიმნებიც, რომელნიც მიქელ მოდრეკილის კრებულშია მოქცეული. კერძოდ, სტეფანეს დაუწერია ორი დასდებელი: ნათლისღებისა და წმიდისა მოწამისა ჰაბოჲანნი[4], აგრეთვე სტეფანე პირველმოწამისა — რითმოვანი, რომლის აკროსტიქი იძლევა სახელს ს ტ ე ფ ა ნ ე[5]. ხოლო უთარგმნია მას საკითხავი დაუჯდომელთაჲ, ეგრეთ წოდებული აკათისტო, რომელიც დიდმარხვის მეხუთე კვირიაკის შაბათს იკითხება[6], ცხორებაჲ თეოქტისტე ლეზველისაჲ (10 ნოემბერი, S ფონდი, № 384, გვ. 597 — 612), აგრეთვე, როგორც ერთი მინაწერიდან ჩანს, — «წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაჲ შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისაჲ» (გელ. № 5, ფ. 503 b — 514 a); ესენი ყველა მეტაფრასული რედაქციისაა. ჩამოთვლილთ გარდა, მას «სხუანიცა» უთარგმნია, როგორც ეფრემ მცირე ამბობს, მაგრამ რა და რომელი, ცნობები ამის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. დავით ტბელის აგიოგრაფიული შრომები ორ ჯგუფად განიყოფება: ერთია ძველი, კ ი მ ე ნ ი ს რედაქციის, ცხოვრებათა თარგმანი: ცხორებაჲ და მოქალა-

---

[1] მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 432—435; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საუნჯე შეათე საუკუნის, გვ. 29—30.

[2] როგორც თავის ადგილას დავინახეთ, თუ მიქელ მოდრეკილი, ძმისწული ღმერთშეშოსილისა მამისა დავით ტბელისაჲ (ს. ო რ ბ ე ლ ი ა, ქრონიკები, I, 112), ძმა იყო ექვთიმესი, დავითი ყოფილა ძმა თოთოხეკუაი და იოანე-ეკაოვეაიეაი.

[3] К. К е к е л и д з е, Симеон Метафраст по грузинским источникам, «Труды Киев. Акад.». 1910 г., февраль, стр. 9.

[4] პ. ი ნ გ ო რ ო უ ა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. რნა—რნე.

[5] ი ქ ვ ე. გვ. რნ3—რნზ.

[6] გელ. ხელ. № 8, ფ. 140 b—147; A 5, 140, 162, 272; გელათ. № 2, ფ. 275—282; Q 762, 47 — 72, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. К Материалам по истории и древностям Грузии и России, Тифл. 1912 г., стр. 107—145.

ჭობაჲ ნეტარისა მ ა რ თ ა ჲ ს ი, წმიდისა სჳმეონის დედისაჲ[1], ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბ ა რ ლ ა ა მ მ ო ღ უ ა წ ი ს ა ჲ, რომელი იყო მთასა კავკასსა[2], ცხორებაჲ და საკჳრველებანი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გ რ ი გ ო ლ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა ჲ, აკრაკანთელთა ქალაქისაჲ, რომელ არს სიკილოსაჲ[3]. მეორე — მეტაფრასული რედაქციისა: წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა ა რ ტ ე მ ი ს ა[4], წამებაჲ წმიდათა და ყოვლადქებულთა ა თ თ ა ქ რ ი ს ტ ე ს ჲ ო წ ა მ ე თ ა, რომელნი კრიტეს იწამნეს[5], წამებაჲ წმიდისა მღუდელმოწამისა ე ლ ე ფ თ ე რ ი ს ი[6]. დაეითს უთარგმნია აგრეთვე რამდენიმე თხზულება გრიგოლ ღეთისმეტყველისა, სახელდობრ: 1) შესხმაჲ და წამებაჲ წმიდისა მღუდელმოწამისა კჳპრიანესი[7], 2) შესხმაჲ დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი[8], 3) შესხმაჲ და ქებაჲ თაჳისა დისა ღორღონიაჲსი[9], 4) განდგომილისა იულიანესთჳს ძეგლის აღწერაჲ და განქიქებაჲ უშჯულოებათა მისთაჲ[10], 5) მიზეზი პონტოდ სიელტოლისა მისისაჲ და მოქცეულთჳს მიერ, კუალად სიტყჳს გებაჲ ხუცად კურთხეულისა მისისაჲ[11], 6) სწავლაჲ, რომელიც ასე იწყება: «მოეედით ძმანო ჩემნო საყუარელნო და ვისწრაფოთ სათნოყოფად ღმრთისა...» (S ფონდი, № 1696), 7) თქუმული ბორგნეულთა მწუალებელთა ევნომიოს და ნაეატ ფილოსოფოსის მიმართ[12], 8) თქუმული თაჳისა მამისა გრიგოლისა და ერისა მის ანძიანძორისა მიმართ ჟამსა მას, ოდეს ეეედრნეს მას, რათა თაჳს იდვას წინამძღურობაჲ და ღუწაჲ ანძიანძორისა საყდრისაჲ[13], 9) თქუმული ებისკოპოსთა მათ მიმართ ეგეპტით მომავალთა და ერთა[14], 10) ებისტოლე პირველი კლიდონიოს ხუცისა მიმართ[15], 11) თქუმული თაჳისა მამისა გრიგოლის და დიდისა ბასილის მიმართ, ოდეს ებისკოპოსად აკურთხეს იგი სასიმოსა საყდარსა[16], 12) თქუმუული მათდა მიმართვე მასვე

---

[1] ათონ. ხელნ. № 55; A 42; Н. Марр, Агиографические материалы по груз. рукоп. Ивера, I, 36—46; Ф. Жордания, Описание рукописей Тифл. церков. музея, I, 149. Peeters-ის აზრით ეს «ცხოვრება», რომელშიაც ქართველები შექებულნი არიან, ქართველის მიერ უნდა იყოს დაწერილი (Orient et Byzance. B Ilselles, 1950, S 16.)

[2] ათონ. ხელ. № 55; Н. Марр. Агиографич. материалы, II, 109—144. ეს «ცხოვრებაც», Пеетерсის აზრით, ქართველის მიერ უნდა იყოს დაწერილი (Miscelan. historica Alberti de Meyer, 1946, S. 380—389, Louvain).

[3] Проф. В. Бенешевич, О древнем Иерусалимском списке груз. Миней-Четьей, «Христианский Восток», т. I, вып. I, стр. 67; S 384, გვ. 771—856.

[4] ოქტ. 20, გველ. № 4. ფ. 485—510.

[5] დეკ. 23. A 90. გვ. 239—242; გველ. № 5, ფ. 391—395.

[6] დეკ. 15. A 90. გვ. 207—222.

[7] A 1, 87; S 383: სააზ. მუზ. Georg. № 149.

[8] A 16, 87; S 1696; H 351.

[9] A 16, 87; S 383; სააზ. მუზ. Georg. № 149.

[10] A 16, 87, 262; S 383.

[11] A 87; S 383, 1696.

[12] A 87; S 383.

[13] A 87; S 383; სააზ. მუზ. Georg. № 149.

[14] A 87; S 383; სააზ. მუზ. Georg. № 149.

[15] S 383, 1696; სააზ. მუზ. Georg. № 149.

[16] A 87; S 383; 1696; სააზ. მუზ. Georg. № 149.

ჟამსა [1]. სამ უკანასკნელ თხზულებას თანდართული აქვს დავითის მიერ ნათარგმნი «თარგმანებაჲ ძნიად გულისხმის საყოფელთა სიტყუათაჲ», რომელიც ეკუთვნის საეკლესიო მწერლობაში ცნობილს გრიგოლის თხზულებების ერთ-ერთ კომენტატორს. 13) «თავისა თჳსისა მიმართ და მათა მიმართ, რომელნი იგი იტყოდეს: ჰნებავს და ჰსურის მას კონსტანტინოპოლისა საყდარი» [2]. დავითისა და სტეფანეს დამსახურებას სამშობლოს წინაშე, ჩანს, თანამედროვენი დიდად აფასებდნენ, ამით აიხსნება, რომ რუის-ურბნისის კრება მათ სახელებს საგანგებოდ უსვამს ხაზს.

27. იოანე ბოლნელი

ბიოგრაფიული ცნობები იოანეს, ბოლნისის ეპისკოპოსის, შესახებ არ შენახულა. ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო თანამედროვე მეფის ბაგრატ მესამისა (980—1014), მაშასადამე, მწერალი მეათე საუკუნის გასულისა და მეთერთმეტის დასაწყისისა. დაახლოებით მეათე საუკუნეს მიუთითებს დიდმარხვის კვირიაკეთა სათვალავი, რომელსაც იოანეს ქადაგებებში ვპოულობთ. სწორედ ამ დროს, სხვადასხვა წყაროთი, ცნობილია ჩვენში ვინმე იოანე ხახულელი, რომელსაც, როგორც მჭევრმეტყველ მქადაგებელს, თანამედროვენი «ოქროპირს» უწოდებდნენ. პალესტინაში, ჯვარის მონასტერში, ინახება X—XI სს. ორი ხელნაწერი [3], ამ იოანესაგან გადაწერილი. ექვთიმე მთაწმიდლის ბიოგრაფიაში შენახულა ცნობა, რომ, როდესაც ექვთიმემ წინამძღვრობას თავი დაანება (1019 წელს), მასთან სამოღვაწეოდ მოვიდა, სხვათა შორის, ეს იოანე ხახულელი («ათონის კრებული», გვ. 62). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იოანე ბოლნელი და იოანე ხახულელი ერთი და იგივე პირია, რომელიც წინათ ბოლნისის ეპისკოპოსად ყოფილა, მერე ხახულის კათედრა მიუღია და 1019 წლის მახლობლად კათედრისათვის თავი დაუნებებია და ათონზე გადასახლებულა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იოანე ბოლნელი შესანიშნავი მქადაგებელი ყოფილა, მას შეშვენის სახელი ოქროპირი, სხვა მქადაგებელი კი ამ დროს წყაროებში არა ჩანს. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოებაც, რომ იოანე ბოლნელის ქადაგებანი შენახულა, სხვათა შორის, ათონის ივერიის მონასტრის X — XI სს. ხელნაწერში № 80 [4].

ბოლნისში ნაპოვნია თითქოს იოანე ბოლნელის საფლავის ქვა სათანადო წარწერით, რომელიც X საუკუნისად არის მიღებული (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, გვ. 337 — 338). აქედან ასკვნიან, რომ იოანე ბოლნისში გარდაიცვალა. ჯერ უნდა სათანადოდ დამტკიცდეს, რომ საფლავისქვის წარწერა უთუოდ X საუკუნისაა და ის უეჭველად ჩვენს იოანე ბოლნელს გულისხმობს.

პ. ინგოროყვას ლიტონი განცხადებით, იოანე მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა («ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა»),

[1] S 383, 1696, საზ. მუზ. Georg. № 149.
[2] S 383. საზ. მუზ. № 149.
[3] პროფ. ა. ცაგარლის კატალოგით №№ 35, 123.
[4] ა. ცაგარლის კატალოგით, ბლეიკით № 11.

ხოლო მ. თარხნიშვილის სიტყვით (Geschichte der kirchlichen georgicshen Literatur, S. 5.90), ის მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის; ანგარიშგასაწევი მოსაზრება ამის სასარგებლოდ მას არ მოჰყავს. მხოლოდ ერთ ადგილას შენიშნავს ის (S. 382, Anmen. 4): მეათე საუკუნის ხელნაწერი A 95 შეიცავს გამოუცლებლივ უძველეს ტექსტებს, იმაში მოთავსებულია იოანე ბოლნელის ქადაგებანიც, მაშასადამე, ეს უკანასკნელნი უძველეს დროშია აღმოცენებულიო. არაა სწორი, რომ ამ ხელნაწერში გამოუცლებლივ უძველესი ტექსტებია მოთავსებული; აქ ჩვენ გვაქვს (გვ. 1117—1158) მარტვილობა ევსტრატის, აქვსენტის, ევგენის, ორესტის და მარდარისა, რომელიც სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრაზს წარმოადგენს და ქართულად ექვთიმე ათონელის მიერაა გადმოთარგმნილი 1005 წლის შემდეგ. A 95 გადაწერილია XI ს. პირველ მეოთხედში (კ. კეკელიძე, ეტიუდები III, 199), ესე იგი, იმ ხანაში, რომელსაც ჩვენ იოანე ბოლნელს ვაკუთვნებთ.

დღემდე ცნობილ სხვადასხვა ხელნაწერში შენახულა ცამეტი ორიგინალური ქადაგება იოანე ბოლნელისა, ამათგან თორმეტი გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ[1]. ესენია: ქადაგება ხორცით აღების კვირიაკისა, დიდმარხვის 1 — 7 კვირიაკეთა, ახალი კვირიაკისა და «ღვინის მსმელთა და მომთვრალეთათჳს». ათონის ხელნაწერში, რომელიც მ. ჯანაშვილს ხელთ არა ჰქონია, პირველი და ორი უკანასკნელი ქადაგება არაა, სამაგიეროდ აქ ორი სხვა ქადაგებაა, რომელიც ჯანაშვილის ხელნაწერებში არ მოიპოვება: ქადაგება ფერისცვალებისა (ათონ. № 80, გვ. 151 — 153) და ენკენისა — 13 სექტემბერს (იქვე, გვ. 178—182). ჯანაშვილის გამოცემაში მეოთხე კვირიაკისათვის დადებულია იოანე ოქროპირის ქადაგება «უძღებისა მისთჳს შვილისა» (გვ. 32—47), ათონის ხელნაწერში ამის მაგიერ მოყვანილია სხვა ქადაგება იოანე ბოლნელისა, რომელიც ასე იწყება: «მოვედით საყუარელნო და ისმინეთ...» (გვ. 220 — 222). იოანეს ქადაგებანი მოთავსებულია სინას მთის ხელნაწერში № 44[2]. მერვე კვირიაკის ქადაგება (გვ. 75—78) ეკუთვნის არა იოანე ბოლნელს, არამედ იოანე ოქროპირს. უეჭველია, იოანეს სხვა ქადაგებანიც ექნებოდა დაწერილი, მაგრამ ისინი ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა. იოანე ბოლნელის ქადაგებანი რამდენადმე იოანე ოქროპირის ქადაგებებს უახლოვდება თავისი ზოგადი ხასიათით. ეს ქადაგებები წარმოადგენს სახარების ტექსტის განმარტებას მსგავსად ოქროპირისა; განმარტებულია, უმეტეს ნაწილად, «დასაწყისი» ლუკასა და მათეს სახარებიდან, რომელიც ამა თუ იმ კვირიაკეს იკითხება საეკლესიო კალენდრით. იოანეს ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური მეთოდი, როგორც იოანე ოქროპირისა, არის ალეგორიული, მორალური და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფილოლოგიური.

ყურადღებას იპყრობს მაშხილებელი ტონი ზოგიერთი მისი ქადაგებისა, მაგალითად, მდიდრისა და მთვრალი კაცის შესახებ.

---

[1] «იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი». საეკლ. მუზ. გამოცემა № 14. თბილ., 1911 წ.

[2] Н. Марр, Описание груз. рукописей Синайского монастыря, № 44, ცაგარ. 29 (G. Garitte-ს არ იცის, რომ აქ იოანეს ქადაგებანია, Catalogue, p. 163—165).

28. ექვთიმე მთაწმიდელი

ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი და ჩვენი კულტურული წარსულის ერთი უდიდესი პიროვნება, რომელმაც განსაკუთრებული კვ:ლი დატოვა ქართული მწერლობის ისტორიაში, არის ექვთიმე მთაწმიდელი ან ათონელი [1]. ცნობები ექვთიმეს შესახებ ჩვენ მოგვეპოვება საგანგებოდ დაწერილ ბიოგრაფიაში, რომელიც გიორგი მთაწმიდლის კალამს ეკუთვნის და ნამდვილ ისტორიულ ნაწარმოებს წარმოადგენს, სადაც დოკუმენტურადაა აღწერილი ათონის ივერიის მონასტრის აშენების ამბავი იოანესა და ექვთიმეს მიერ, მათი ცხოვრება და მონასტრის თავგადასავალი მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში [2]. როგორც ბიოგრაფიიდან ჩანს, ექვთიმე სულ უმცროსი შვილი ყოფილა იოანესი და, როდესაც იოანე, მისი მამა, ბერად აღკეცილა, ის მცირეწლოვანი დარჩენილა. ექვთიმეს საერისკაცო სახელი ჩვენამდე არ შენახულა. როდესაც იოანეს ოჯახი მიუტოვებია და ბერად შემდგარა «დიდებულსა ლავრასა ოთხთა ეკლესიისათა», მისი ცოლ-შვილი წაუყვანიათ თავისთან მის სიმამრს აბუჯარბსა და ცოლისძმებს. ამ დროს ბერძენთა იმპერატორმა დაჲით კურაპალატს დაუთმო «ზემონი ქუეყანანი» და «მძეველად აზნაურთა შვილნი ითხოვნა მისგან» («ათონ. კრებული», გვ. 6). ამ მძევალთა შორის მოხვედრილა იოანეს მცირეწლოვანი შვილი ექვთიმე, რომელიც იოანეს სიმამრსა და ცოლისძმებს კონსტანტინოპოლს წაუყვანიათ. ამ დროს იოანე ოლიმპის მთაზე იყო. როდესაც ეს მან გაიგო, წავიდა კონსტანტინოპოლს, პირადად ინახულა სიმამრი და ცოლისძმები, რომელთაც დიდი საყვედური უთხრა ასეთი გულქვაობისა და «ობლისადმი» უყურადღებობისათვის და, იმპერატორების ნებართვით, შვილი უკან დაიბრუნა და ოლიმპის მთაზე მოიყვანა. აქ მან ასწავლა მას «პირველად ქართული სწავლაჲ და მერმე ბერძულად განსწავლა ყოველითაჲ სწავლულებითა სრულებით» (გვ. 25). თავდაპირველად ბავშვობაში ექვთიმე ქართულად თავისუფლად ვერც კი ლაპარაკობდა თურმე. «ძნიად უბნობნ ქართულადო», — ამბობს იოანე, მამამისი, და «ამის პირისათჳს ფრიად მწუხარე ვიყავო» (გვ. 26). საჭირო შექმნილა, ბიოგრაფის სიტყვით, თითქოს ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედებითი გამოცხადება ექვთიმეს ავადმყოფობისას. რომ «აეხსნა» მისთვის ენა, ქართულად მეტყველი, და მართლაც, «მიერიდან», გვამცნობს იოანე, სიტყვა ქართული «დაუყენებლად, ვითარცა წყაროჲ, აღმოდინ პირისაგან მისისა უწმიდეს ყოველთა ქართველთასაო» (იქვე).

---

[1] კ. კეკელიძე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, «თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები», VI, გვ. 145. შეად. მისივე, ეტიუდები, II, გვ. 218—236. ახლად გამოთქმული მოსაზრება შ. ბერძნიშვილისა, რომელიც უარყოფს ეარაზვაჩეს მოშობას («ისტორიის ინსტიტუტის შრომები», I, 239—249), მეტ დასაბუთებას მოითხოვს.

[2] გამოცემულია შ. საბინინის მიერ, «საქართველოს სამოთხეში», გვ. 401—432; «ათონის კრებულში», გვ. 1—68 და 1946 წ. ი. ჯავახიშვილის დადგენილი ტექსტი ა. შანიძის მიერ, ბერძნულ ენაზე ექვთიმეს «ცხოვრება» მოთავსებული ყოფილა ათონის ივერის შოხასტრის ბერძნულ ხელნაწერებში №.347, 453, როგორც ეს ს. ლამპროსის კატალოგიდან ჩანს.

რასაკვირველია, ეს ეპიზოდი ეკვთიმეს ბიოგრაფიაში შეტანილია მკითხველთა დასაჯერებლად, რომ, თუ ღვთისმშობლის საგანგებო, სასწაულთმოქმედებითი საქმეში ჩარევით არა, ეკვთიმე ვერ ავიდოდა წარმატების იმ სიმაღლეზე, რომელზედაც მან «აღაყუაჲა ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲთა და ყოველნივე განაკვრნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ეჰგონებ თუ არცაღა გამოჩინებად არს» (გვ. 3, 26—27). ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ბავშვობაში მას ბერძნული ენა მართლაც უფრო ეხერხებოდა, ის მას პატარაობიდანვე შეუსწავლია საფუძვლიანად და ამით აიხსნება, რომ ის არამცთუ ბერძნულიდან თარგმნიდა შეუდარებლად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, ქართულიდანაც კი თარგმნიდა ბერძნულად. ოლიმპის მთიდან იოანე, როგორც ვიცით, თავისი შვილით და რამდენიმე მოწაფით გადასახლდა ათონის მთაზე და ათანასე დიდის ლავრაში დაემკვიდრა; ეს მოხდა 965 წელს[1]. აქედან ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით მაინც გავარკვიოთ ეკვთიმეს დაბადების დრო. დ. ბაქრაძის გამოანგარიშებით, რომელსაც იზიარებს თ. ჟორდანიაც («ქრონიკები», I, 124—125), 1028 წელს, როდესაც ეკვთიმე გარდაიცვალა, ის იყო 65 წლისა, მაშასადამე, დაბადებულა 963 წელს. მაგრამ საქმე სხვანაირად წარმოგვიდგება, თუ მხედველობაში მივიღებთ შემდეგს: იოანემ რომ მიატოვა «მეუღლე და შვილნი და ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა» (გვ. 6), ეკვთიმე მაშინ, როგორც ვთქვით, დაბადებული იყო და, მეტი თუ არა, ერთი ან ორი წლის მაინც იქნებოდა. ოთხთა ეკლესიათა ლავრაში იოანემ დაყო «ჟამ რაოდენიმე ღუაწლითა ძლიერითა მორჩილებასა შინა» (გვ. 6). აქედან ის წავიდა და «მთასა ულუმბოჲსასა მიიწია და მონასტერსა ერთსა შინა ჟამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი ახოვნად თავს იდვა» (იქვე). აქ მაშინ გაიგო, რომ მის სიმამრსა და ცოლისძმებს ეკვთიმე მძეულად გაუგზავნიათ ბიზანტიაში კეისრის კარზე. ის წავიდა კონსტანტინოპოლს, შვილი უკანვე დაიბრუნა და ოლიმპზე მოიყვანა, «ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმე ესე და ამის პირისათჳს... მთაწმიდას მოვიდა ლავრასა დიდისა ათანასესსა» (გვ. 7). აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროს ეკვთიმე, მეტი თუ არა, ათი წლის მაინც იქნებოდა. ასე რომ, ის დაბადებული უნდა იყოს 955 წლის ახლო ხანებში[2]. ათონზე მოსელის შემდეგაც განაგრძობდა, უეჭველია, იოანე თავისი შვილის ზრდა-განვითარების შესახებ ზრუნვას. როდესაც ეკვთიმე საკმაოდ წამოიზარდა და ქართულსა და ბერძნულში იმდენად დახელოვნდა, რომ თარგმნას შესძლებდა, მამამ უთხრა მას: «შვილო ჩემოლ ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან

---

[1] Порфирий Успенский, История Афона, ч. III, стр. 105. ათანასეს ლავრა დაარსებულია 963 წელს (Ph. Meyer, Die Haupturkünde für die Geschichte der Athosklöster, S. 24).

[2] უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ორი ეკვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, ჟურნ. «ჩვენი მეცნიერება» № 2—3, გვ. 103—108.

და მრავალნი წიგნნი აქლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა; აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან. და იგი, ვითარცა იყო ყოველსავე ზედა მორჩილ, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად» (გვ. 26). ლიტერატურული მოღვაწეობა ექვთიმეს 975—7 წლებში უნდა დაეწყოს, ვინაიდან ჩვენამდე შენახულა ერთი მისი შრომა, აპოკალიპსი იოანე მახარებლისა და თარგმანება მისი ანდრია კესარიელისა, 978 წელს ვინმე საბას ხელით გადაწერილი[1]. უმეტესი ნაწილი თავისი თარგმანებისა ექვთიმეს მამის სიცოცხლეში შეუსრულებია. დაამთავრებდა თუ არა რომელიმე შრომას, მყისვე მის ნუსხას დავით კურაპალატს გაუგზავნიდა ხოლმე საქართველოში (გვ. 27). 1005 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, ექვთიმე შეიქნა წინამძღვარი იერიის მონასტრისა. ამ თანამდებობამ ის ჩააბა პრაქტიკულ სამონასტრო საქმიანობაში. მას კისერზე დააწვა ზრუნვა არამცთუ ქართველთა იერიის, არამედ ბერძენთა მონასტრებისაც, უიმისოდ მთაწმიდის არც ერთი მონასტრის საქმე არ კეთდებოდა. თუმცა ყველა ამასთან ის «შრომასა თარგმანებისასა არა დააკადებდა, არცა სცემდა განსვენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოველდღე იქირვინ და ღამეთა ათევნ: რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა» (გვ. 30), მაგრამ ასეთმა პრაქტიკულმა საქმიანობამ მაინც დიდი გავლენა იქონია მისი ლიტერატურული მუშაობის ინტენსივობასა და ნაყოფიერებაზე. მისი მეგობრები და თანამშრომლები[2] ხე-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 122. ბასილი დიდის სწავლანი უთარგმნია ექვთიმეს 977 წელს (ათონ. ხელნაწ. 49. ცაგარლით, 32 ბლეიკით, გვ. მისი კატალოგისა 150—155). შად. მ. თარხნიშვილის Die Anfänge der Schriftstellerischen Tätigkeit des hl. Eutymius und der Aufstand von Bardas Skleros (Oriens Christianus Band 38. 1954).

[2] ექვთიმეს ბევრი გულითადი მეგობარი ჰყავდა ათონზე. ასეთები იყვნენ: იოანე გრძელისძე, არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი, ღირსი იოანე ხახულელი ოქროპირი და შვილი მისი იოანე, ნეტარი ბერი გრიგოლი, ახალი აბრაჰამ სტუმრის მოყუარე, და ზაქარია მირდატისძე, არსენი და სხუანი მობაძავნი მათნი (გვ. 62), როგორც მაგალითად, თეოფანე ხუცესი, «რომლისა მიმართ ღიდი სიყუარული ჰქონდა მამასა ეფთჳმეს, რამეთუ სიყრმითგან აქა (ათონზე) აღზრდილ იყო... და იყო მღდელი იგი სწაელული ფრიად და კელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა, რომლისათჳს წამებდა მამაჲ ეფთჳმე, ვითარმედ უფროჲს ათასჯერ ამისა დრაკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი შინა და გარე» (გვ. 56—57). განსაკუთრებით დაახლოებული ყოფილან ექვთიმესთან არსენი ნინოწმიდელი და იოანე გრძელისძე. ესენი მოღვაწეობდნენ ლაერასა შინა ოთხთა ეკლესიათასა იოანესთან ერთად. უკანასკნელის აქედან წასვლის შემდეგ ისინი გადასულან «კერძოთა პონტოჲსათა» და დამკვიდრებულან ერთ კარგად მოწყობილ მონასტერში (გვ. 31). როდესაც იოანემ იერიის მონასტერი ააშენა, მან მოიპატიჟა აქ თავისი მეგობრებიც. რომელთაც მხოლოდ მეორე წელს მოაღწიეს აქ (გვ. 22). «ესენი დიდად თანაშემწე ექმნეს წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს თარგმანებასა შინა წმიდათა წერილთასა და მოშურნე და მობაძავე წმიდათა სათნოებათა მისთა იქმნნეს და მრავალნი წიგნნი ეკლესიისანი ცემსა სიბერისასსა თჳსითა კელითა აღწერნესო», — ამბობს გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფი («ათონის კრებ.», გვ. 301). და მართლაც, ჩვენამდე შენახულა რამდენიმე თხზულება ექვთიმეს მიერ ნათარგმნი, რომელიც ამათ გადაუწერიათ (ერთი მათ მიერ გადაწერილი ხელნაწერი მოთავსებულია საქართვ. მუზ. A 1103). არსენისა და იოანე გრძელისძეს ანტონ კათოლიკოსი «წიგნთა» ან «წერილთა» თარგმანს უწოდებს («წყობილსიტყუაობა», 669, 698), თუმცა ის არ უჩვენებს — რა წიგნები თარგმნეს მათ. პ. იოსელიანი აღნიშნავს მათ

დავდნენ, რომ ექვთიმე «მიზეზითა მრავალფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა» (გვ. 56), ამიტომ მათი თხოვნით, 14 წლის წინამძღვრობის შემდეგ, მაშასადამე, 1019 წელს, ექვთიმემ მაჰასახლისობას თავი დაანება, «თჳსსა სენაკსა დაჯდა და წიგნთა საღვრთოთა თარგმანებასა შეუდგა» (იქვე). გარდაცვალა ღვაწლმოსილი მამა 1028 წლის 13 მაისს და გულწრფელად დატირებულ იქნა ყველასაგან, ვინც კი იცნობდა მას და ვისაც სიქველ ჰქონია მასთან. შემდეგში შეუდგენიათ მისი სახელობის საგალობელნი: ბასილ ათონელს, ზოსიმე ათონელს, ბასილ ბაგრატის ძეს (H 1710, ფ. 67 — 70), გიორგი ათონელს (H 1710, ფ. 64—66), ანტონ I კათოლიკოზს (მის სადღესასწაულოში).

ექვთიმეს ლიტერატურულ მოღვაწეობაში საყურადღებოა, რომ ის არა მარტო ბერძნულიდან თარგმნიდა ქართულად, არამედ, როგორც მისი ბიოგრაფი ამბობს, მან ქართულიდანაც ბერძნულად «რაოდენნიმე წერილნი» და მათ შორის «ბალაჰვარი» და «აბუკურაჲ» (გვ. 4) გადათარგმნა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ექვთიმემ იმდენად საფუძვლიანად იცოდა ბერძნული ენა, რომ მას მართლაც შეეძლო ეთარგმნა ესა თუ ის თხზულება ბერძნულად. მიუხედავად ამისა, ცნობა «ბალაჰვარისა» და «აბუკურას» შესახებ იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროა იმაზე საგანგებოდ შეჩერება.

დავიწყოთ **ბალავარიანით.**

რა თხზულებაა ეს ბალავარიანი?

ეს არის აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულება, რომელიც წარმოადგენს ბუდას ცხოვრების საქრისტიანო მოთხრობად გადმოკეთებას, არისტიდეს აპოლოგიის გამოყენებით[1]. გამოყენებულია აგრეთვე ზოგიერთი სხვა წყაროც, როგორც, მაგალითად, ცხოვრება არტემისა, მარტინიანესი, ტროფიმესი, ფილიპე ჰერაკლიელისა და «სამეფო ქარტა ანუ ტომარი» აღაპიტე კონსტანტინოპოლელისა (VI ს.)[2]. ის შეიცავს ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს. მეუდაბნოე ბალაჰვარმა მოაქცია ინდო-

---

ძიერ გადმოთარგმნილ თხზულებათაც. სახელდობრ, არსენის უთარგმნია: 1) ღვთისმეტყველება დაძასკელისა, 2) წიგნი გრიგოლ ნოსელისა და 3) მეტაფრასანი და საგალობელნი წმიდათანა; ხოლო იოანე გრძელისძეს: 1) დარღვევა მამამადიანთა სარწმუნოებისა, 2) შეიდთა მსოფლიოთა კრებათათჳის, 3) ისტორია ეკლესიური თეოდორიტესი არა სრულად და 4) საგალობელნი კახოსნი იერიისა ღვთისმშობლისა (იქვე). ეს ცნობა მტკნარი სიცრუეა: არც არსენის და არც იოანე გრძელისძეს არც ერთი აქ აღნიშნული თხზულება არ უთარგმნია, მათი მთარგმნელები თითქმის ყველანი ვიცით, აქ უბრალო არეულა ლიტერატურული ფაქტებისა. ასეთივე ღრანცხას წყარო ჰქონია ხელთ თეიმურაზ ბატონიშვილსაც, რომელიც თავისი წიგნსაცავის კატალოგში ამბობს: «დოღმატიკა, ღვთისმეტყველება იოანე დამასკელისა..., თარგმნილი.... არსენი ნინოწმიდელ ეპისკოპოსისა და იოანე გრძელისძისგან» (А. Цагарели. Сведения, III, 149). უეჭველია, თეიმურაზს სახეში აქვს დოღმატიკონი, გადმოთარგმნილი არსენი ვაჩესძისაგან ვინმე იოანე [რატეულის] დახმარებით: არსენ ვაჩესძე მას არსენ ნინოწმიდელად ძიუღია, ხოლო იოანე რატეული — იოანე გრძელისძედ.

[1] I. A. Robinson, Texts and Studies, 1891, 1893; K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur. S. 887—888, 2 Aufl.

[2] P. Peeters, La première traduction latine de «Barlaam et Iosaph» et son original grec, «Analecta Bollandiana», t. XLIX, fasc. III—IV, p. 276—312; R L. Wolff The Apology of Aristides, «Harward Theological Review» XXX, 233—247, 1937 წ.

ეთის მეფის შვილი იოდასაფი, ხოლო იოდასაფმა თავისი მამა, წინათ ქრისტიანობის მდევნელი, აბენესი, აგრეთვე როგორც თავისი, ისე მამის ქვეშევრდომნი. ქართული რედაქციის ეს სახელები ბერძნულში წარმოდგენილია შემდეგი სახით: აბენესი — აბენირ, ბალაჰვარი — ვარლაამ, იოდასაფი — იოასაფ. ორი უკანასკნელის — ვარლაამისა და იოასაფის — ხსენება, როგორც ინდოეთის განმანათლებლებისა, აღმოსავლეთის ეკლესიაში 19 ნოემბერსაა დადებული.

ეს «სულთამარგებელი» სასულიერო რომანი, თავისი მომხიბლავი, საინტერესო ფაბულითა და ღრმააზროვანი იგავებით, საშუალო საუკუნეებში ძალიან გავრცელებული და პოპულარული იყო, ის თითქმის ყველა საქრისტიანო მწერლობის ენაზეა თარგმნილი, კერძოდ ქართულზედაც [1].

როგორც დღეს მეცნიერებაში დადგენილია, ბუდას ცხოვრების ფალაური თუ არაბული რედაქცია, მოხვედრილი ქრისტიანთა წრეში, გადაკეთებულა ქრისტიანულ რომანად ერთ-ერთი ქრისტიანული მწერლობის ენაზე. რომელ ენაზე დამუშავდა ეს პირველი ქრისტიანული რედაქცია რომანისა, ჯერჯერობით მეცნიერებაში საბოლოოდ დადგენილი არაა. ჩვენ გასარკვევი გვაქვს წარმოშობა როგორც ბერძნულის, ისე ქართული რედაქციისა.

ბერძნულ ენაზე შემონახულა მხოლოდ ერთადერთი რედაქცია ამ რომანისა, რომელიც თავს იჩენს ბერძნულ ლიტერატურაში არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედისა [2]. ამ რედაქციის წარმოშობას მეტად რთული და ბუნდოვანი ისტორია აქვს. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებიდან ამ ისტორიის გასაშუქებლად ქართულ მწერლობასაც მიმართეს. ექვთიმე ათონელის «ცხოვრებაში», რომელიც დაწერილია გიორგი ათონელის მიერ 1042—1044 წლებში, ნათქვამია, რომ ექვთიმემ «ქართულისაგან ბერძნულად თარგმნა ბალაჰვარიო» [3], იგულისხმება ჩვენი რომანი.

გელათის მონასტრის ხელნაწერში № 20, რომელიც შეიცავს იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებას და 1047 წელსაა გადაწერილი (დღეს ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში), მოთავსებულია ექვთიმე ათონელის მამის, იოანეს, ცნობილი ა ნ დ ე რ ძ ი, რომელშიაც ჩამოთვლილია ექვთიმეს მიერ მამის სიცოცხლეში ბერძნულიდან ნათარგმნი თხზულებანი. აქ მეხუთე ადგილზე აღნიშნულია «თარგმანებაჲ ბალაჰვარისი», რაც არც

[1] ქართული მოკლე რედაქცია რომანისა სათაურით «სიბრძნე ბალაჰვარისა» სრულად სამჯერ გამოიცა: 1895 წ. ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, 1937 წ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით და 1946 წელს ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ («ქრესტომათია», I, 276—305). ნაწყვეტები მისი გამოცეს ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა («Балавар и Иодасаф», 1902 г.) და მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა («Описание рукописей церков. Музея», III, 28—44). არსებობს ქართული რედაქციის რუსული თარგმანიც ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს («Записки Вост. Отдел. Русского Археологич. Общества», XI, 1—48). უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა ქართულ ენაზე მეორე, სრული რედაქცია რომანისა, რომელიც გამოსცა 1957 წ. პროფ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ.

[2] გამოცემულია ეს რედაქცია B o i s s o n a d e-ს მიერ: Anecdota Graeca, 4, 1832, M i g n e PG. 96, ს ო ფ რ ო ნ ი ო ს ი ს მიერ, ათინა, 1885 წ.; W o o d w a r d — a n d H. Mallingly-სა 1914 წ.

[3] ათონის კრებული», გვ. 4.

ერთმა ამ ანდერძის სხვა ნუსხამ არ იცის. ამ ცნობით ისე გამოდის, თითქოს ქართული «ბალაჰვარი» იყოს ბერძნულიდან გადმოთარგმნილი ეკვთიმეს მიერ. ეს ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობაა.

რაშია საქმე?

უკანასკნელი დროის მუშაობამ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართულ ენაზე აღმოჩნდა მეორე რედაქცია რომანისა, ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მიგვიყვანა [1].

1. ინდოეთის ნესტორიანულ ეკლესიაში მეშვიდე საუკუნის ნახევარში, გარკვეული მიზეზების გამო, თავი იჩინა მძლავრმა სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელიც მიზნად ისახავდა სელევკია-ქტეზიფონის ნესტორიანული საკათოლიკოზოდან გამოყოფას. ამ მიზნის მისაღწევად პირველ რიგში უნდა გაბათილებულიყო ის ლეგენდური აქტები, რომელთა მიხედვით ინდოეთში ქრისტიანობა დაამყარა სირიელების განმანათლებელმა თომა მოციქულმა. ეს საქმე უკისრია ბუდას ფალაური «ცხოვრების» ნიადაგზე სირიულად დაწერილ «ბალავარიანს», რომლის ტენდენციაა დამტკიცოს, რომ ინდოეთის განმანათლებელია არა თომა მოციქული, არამედ ვარლაამი და იოსაფი.

2. ეს პირველი, სირიულად დაწერილი ქრისტიანულ-ნესტორიანული რედაქცია «ბალავარიანისა» მას შემდეგ, რაც მან თავისი დანიშნულება შეასრულა, დავიწყებას მიეცემია, თუ მთლიანად დაკარგულა. ასე რომ არ შეიძლება დაბეჯითებით ვთქვათ, ჰქონდა თუ არა მას დღეს ცნობილი ქრისტიანული რედაქციების წარმოშობის საქმეში რაიმე მნიშვნელობა, და თუ ჰქონდა, რა ზომისა იყო ეს მნიშვნელობა.

3. მეცნიერების განკარგულებაშია დღეს არაქრისტიანული არაბული რედაქცია რომანისა და ორი ქრისტიანული: ქართული და ბერძნული. «ბალავარიანის» ლიტერატურული ისტორიის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ამ რედაქციების დეტალური და არა ზერელე შეჯარების გზით.

4. ქართულ ენაზე შენახულა ორი რედაქცია ამ რომანისა: A (თბილისში გამოცემული) და B (ახლად აღმოჩენილი, იერუსალიმური), გადაწერილი არაუგვიანეს XI საუკუნის ნახევრისა. A დაწერილია არა უადრეს X საუკუნის მიწურულისა, B კი — მეცხრე-მეათე საუკუნეთა მიჯნაზე.

5 B რედაქცია მომდინარეობს არაბულ-ქრისტიანული რედაქციიდან, რომელიც შედგენილი ჩანს ფალაურიდან მომდინარე არაქრისტიანული არაბული რედაქციის ნიადაგზე.

6. A რედაქცია წარმოადგენს B რედაქციის შემოკლებასა და გადამუშავებას «პატერიკული» ჟანრის ლიტერატურის შესაბამისად.

7. ბერძნული რედაქცია არაა დაწერილი იოანე დამასკელის მიერ, არცთუ ეკვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის იგი.

8. უტყუარი ფაქტია, რომ ეკვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა «ბალავარიანი», მაგრამ მას უთარგმნია არა A რედაქცია ქართული

---

1 სრული გამოკვლევა «ბალავარიანის» შესახებ ჩვენ მიერ მოთავსებულია «ლიტერატურული ძიებანის» XI ტომში, 1957 წ.

რომანისა, არამედ B. ასე უნდა გვესმოდეს ქართულ-ბერძნულს თუ სხვა წყაროებში შენახული ცნობა ბერძნული რედაქციის ქართულიდან მომდინარეობის შესახებ ექვთიმე ათონელის მეშვეობით.

9. ბერძნული რედაქცია არის ე. წ. მეტაფრასული რედაქცია. ის შედგენილია ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანის ნიადაგზე, სხვა წყაროების გამოყენებითაც.

10. ამ მეტაფრასული რედაქციის ავტორი უნდა იყოს თვით სვიმეონ მეტაფრასტი, თანამედროვე ექვთიმე ათონელისა.

ახლა გადავიდეთ აბუკურაზე.

რა თხზულებაა ეს «აბუკურა»? ეს საკითხი ქარგახანია იპყრობს ჩვენი მეცნიერების ყურადღებას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან გამოთქვამდნენ ვარაუდს (დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, თ. ჟორდანია, ნ. მარი), რომ შეიძლება ამ სახელით აღინიშნებოდეს ერთ-ერთი ა პ ო კ რ ი ფ ი (ცნობილია, რომ ძველ ქართულ მწერლობაში აპოკრიფს სხვანაირადაც გამოთქვამდნენ: აბუკროფა, აპუკოროფა), ან რომელიმე თხზულება ხარანის ეპისკოპოზის თეოდორე აბუკურასი [1], თუმცა რომელი, ამაზე პასუხს არავინ იძლეოდა. ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვა 1918 წელს, როდესაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ ძველ ქართულ მწერლობაში შენახული ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება «წამებაჲ წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა» [2]. აი სწორედ ეს თხზულებაა ის თხზულება, რომელიც, გიორგი მთაწმიდლის ცნობით, ბერძნულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს. საიდან ჩანს ეს? აქ შესავალში პირდაპირაა აღნიშნული, რომ მიქაელის წამების ამბავს უყვება თავიანთ სტუმრებს, საბაწმიდელ ბერებს, თეოდორე აბუკურა, ერთ-ერთი სახელგანთქმული მოღვაწე იმავე საბას ლავრისა. თხზულების გამოცემის შემდეგ, 1930 წელს, P. Peeters-მა, რომელმაც ის ლათინურად თარგმნა, უძღვნა მას ვრცელი გამოკვლევა, თუმცა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა მასაც გაურკვეველი დარჩა [3].

შინაარსი ამ თხზულებისა მოკლედ ასეთია: ერთი ახალგაზრდა ბერი, სახელით მიქაელი, რომელიც საბას ლავრაში მოღვაწეობდა აბდალ-მალიქ ხალიფას (685—705) დროს, მიყვანილ იქნა უკანასკნელის მეუღლე სეიდასთან, ვითომცდა მის მიერ დამზადებული ნივთების სავაჭროდ. სეიდას ეს ლამაზი ახალგაზრდა ბერი ძალიან მოეწონა, მან მოიწდომა გათამაშება მასთან ეგვიპტელი პოტიფარის მეუღლის მიჯნურობისა (შესაქმ. XXXIX) მშვენიერ იოსებთან, ან აღმოსავლური იოსებზილიხანიანის რომანისა. რადგანაც მან თავის მიზანს ვერ მიაღწია, სეიდამ ის დააბეზღა ქმართან და მოითხოვა მისი დასჯა. ხალიფამ მოაყვანინა მიქაელი და ერთ განსწავლულ ებრაელთან ერთად გამართა მასთან

[1] H. Marr, Записки Восточн. отдел. Русск. Археолог. Общ-ва, т. XI, стр. 53, прим. 1.

[2] «კიმენი», ტ. I, გვ. 165—175.

[3] La passion de S. Michael le Sabaïte, Analecta Bollandiana, t. 48, fosc. I—II, p. 65—98.

პაექრობა ქრისტიანობის, იუდაიზმის და მაჰმადიანობის შესახებ. რადგანაც მიქაელმა სძლია ხალიფასაც და ებრაელსაც, პირველის ბრძანებით, ის შიშველი ფეხებით დააყენეს მხურვალე ღველფზე, მერე შეასვეს საწამლავი, რომელმაც ვერ ავნო მას, ამის შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს.

თეოდორე ხარანელი, ზედ წოდებით აბუკურა (მამა ნუგეშინისცემისა), არის მოღვაწე 740—820 წლებისა, ავტორი არაბულ ენაზე დაწერილი მრავალრიცხოვანი თხზულებებისა (ნაწილი მათი ქართულადაც არის თარგმნილი). ის ჯერ ცხოვრობდა საბას ლავრაში პალესტინაში, სადაც მას უამბნია საბაწმიდელ ბერებისათვის დაახლოებით 790 — 795 წლებში მიქაელის წამების «სულთამარგებელი ამბავი», რომელსაც (წამებას) ადგილი ჰქონია ხალიფა აბდალ-მალიქის (685—705) დროს; არაუგვიანეს მეცხრე საუკუნის პირველი ათეულისა, ეს ამბავი ჩაუწერია არაბულ ენაზე, როგორც თვითონ ამბობს, საბაწმიდის ლავრის მამასახლისს ბასილის. მეცხრე საუკუნეში, არაუადრეს საუკუნის მოცდაათიანი წლებისა, ეს თხზულება შეუტანია ვინმე ბასილ ეპეწელს მის მიერ დაწერილს თეოდორე ედესელის «ცხოვრებაში», შეუტანია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ვარიანტით [1].

ქართული თარგმანი «აბუკურასი» შესრულებულია უცნობი პირის მიერ არაბული ენიდან მეცხრე საუკუნის მიწურულშივე თუ მეათის დამდეგს; თარგმნილია ის თავისებური პოეტური საზომით. მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართული თარგმანი ამ თხზულებისა ხელში ჩავარდნია ექვთიმე ათონელს, რომელსაც ის უთარგმნია ბერძნულ ენაზე ბიზანტიური აგიოგრაფიისა და ლიტურგიკულ-კალენდარული ხარეზის ამოსავსებად.

მეორე რედაქცია ამ თხზულებისა, რომელიც შეტანილია თეოდორე ედესელის «ცხოვრებაში», ბერძნულიდან ეფრემ მცირეს უთარგმნია [2].

ჩვენთვის დიდად საინტერესოა ექვთიმეს ის მუშაობა, რომელიც გამოიხატა ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელობაში. ამ მთარგმნელობას ერთი რამ ახასიათებს, რასაც ხაზს უსვამს ცნობილი ეფრემ მცირეც, რომელიც თავის თავს თვლის ექვთიმეს შეგირდად, ხოლო თვით ექვთიმეს ლიტერატურულ მეფედ, ბუმბერაზად და ლომად ხადის. ექვთიმე მონურად არ მისდევს ბერძნულ ტექსტს, სიტყვასიტყვით არ თარგმნის ის მას: ის ავრცობს ან ამოკლებს ტექსტს [3], შეაქვს შიგ სხვადასხვა წყაროდან დამატებითი ცნობები, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც ქართველებს შეეხება, უშვებს დედანში მთელ

---

1 Помяловский И., Житие Феодора, архиепископа Едесского, Зап. историко-филологич. факультета Петербург. Университета, т. XXIX, 1892 г., მიქაელის წამებას აქ უკავია გვ. 17—36.

2 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჩვენი ნარკვევი: «რომანი «აბუკურა» და ორი მისი რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში», ეტიუდები, ტ. VI.

3 ვინაიდან მას «ქელეწიფებოდა შემატება და დაკლება სულისა მიერ წმიდისა». ეს სიტყვები ალბათ გამოწვეულია იოანე-ზოსიმეს შემდეგი განცხადებით: «არა შეჰგაცს და არცა კეთილ არს შემატებაჲ გინა დაკლებაჲ რაჲსამე უფროჲს განსაზღვრებულისა მის წმიდათა მამათა და ჴოძღუართაჲსა».

ადგილებს, უმატებს თავის კომენტარებს[1] და სხვ. ასე რომ, იშვიათი თხზულება უთარგმნია მას ისე, როგორც ის დედანშია წარმოდგენილი, უმეტეს ნაწილად ის იძლევა ახალ, დამოუკიდებელ, ასე ვთქვათ, გ ა მ ო კ რ ე ბ უ ლ[2] რეცენზიას ამა თუ იმ თხზულებისას. ექვთიმესო, ამბობს ეფრემ მცირე, «ძალითა სულისა წმიდისაჲთა კელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა»[3]. ვინაიდან მისი დროის ქართული საზოგადოება მოძღვრებული არ იყო ბერძნულიდან სიტყვასიტყვითი თარგმანი მოენელებია, ის «სიჩჩოებასა ჩუენისა ნათესავისასა. სძითა ზრდიდა და მხალითა, ხოლო აწ, მის მიერ აღზრდილი, მტკიცისა ბოქნე იქმნა». ის თავის მუშაობაში არ ივიწყებდა «ლიტონის ერის» საჭიროებას: «რაჟეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩკლ, ამისათვის რომელიმე თარგმანთაგანიცა წმიდათა სიტყუათა შინა განეზაჲაო»[4]. უფრო ნამდვილი მიზეზი ამისა იყო ის, რომ ექვთიმეს დროს ქართულ საზოგადოებაში კიდევ ძლიერი და შეურყეველი იყო ძველი ლიტერატურული ტრადიციები და მოგონებანი, რომლებიც მას ნებას არ აძლევდნენ სიტყვასიტყვით ეთარგმნა. და იძულებულ ყოფდენ ახალი თარგმანი ძველისათვის შეეფარდებია და ყოველივე ბერძნულ-მოელენას სიფრთხილით მოპყრობოდა.

ექვთიმე არა მარტო თარგმნიდა ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად, არამედ, როგორც დღეს გარკვეულია, ბერძნულ ენაზე ორიგინალურ თხზულებასაც კი სწერდა; ასე, მაგალითად, მას ბერძნულად დაუწერია თავისი ბერძენ მოწაფისათვის სამონაზენო ცხოვრების წესი (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეტიუდები I, 158 — 163).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმეს ერთგვარი ლიტერატურული მტრები ჰყოლია, რომელთაც მისი შრომების გარყვნა და დამახინჯება განუზრახავთ. ერთი მათგანის შესახებ ა თ ო ნ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი ს დამწერი მიქელ დღღალისონელი გადმოგვცემს: «ვიხილეთ საქმე საშინელი: ოზან ვინმე, რომელ

---

[1] ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ ადგილს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებიდან «ცხოვრება ბასილი დიდისა», რომლის ბერძნული ტექსტი, ეფრემ მცირის სიტყვა-სიტყვითი გადმოცემით (A ფონდი № 16. ფ. 286, № 292, ფ. 25) ამბობს: «არა მარტივ ნათესავ გჰპოებ სომეხთა, არამედ ფრიად დაფარულ რაჲმე და ზღუსკლდეჲ». ეს ადგილი ექვთიმეს თავის თარგმანში ასე განუცრია: «ვითარცა არს ნათესავი იგი სომეხთაჲ არა წრფელ, არამედ მზაკუვარი და გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხუასა იტყჳან იგინი და სხუაჲ უც გულსა მარადის და სარწმუნოებაჲ მათთანა არა არს. და რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ კაცსა ეცრუენენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუვარ და ბოროტად აღმსაარებელ» (A 1, გვ. 283, № 16, ფურც. 86). ამ სიტყვებით ექვთიმეს გამოუხატავს ის კონფესიური შეუწყნარებლობა, რომლითაც გამსჭვალული ყოფილან მაშინ საქართველოში საეკლესიო წრეები (შეად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, «ეტიუდები», II, 237 — 268).

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 218.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 216.

[4] რ. ბ ლ ე ი კ ი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, «მიმომხილველი», გვ. 169.

5. H. M a p p, Предварительный отчет, стр. 49—50.

შეცებულ არს, წმიდისა ეფთჳმეს სახარებისა თარგმანისაგან და დავითნისა და ღმრთისმეტყუელისაგან აუკოცია და ჩაურთავსო»[1]. აქედან ჩანს, რომ ვიღაც ოზანს გაურყვნია სახარების თარგმანი, იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილი, აგრეთვე დავითნი მისი. როგორ გარყვნა მან სახარების თარგმანი, არ ვიცით, რაც შეეხება ორ უკანასკნელ თხზულებას, მათ შესახებ სხვა მოწმობაც გვაქვს. გიორგი მთაწმიდელი ამბობს: «წმიდასა მამასა ეფთჳმეს ნუ ვინ იწამებს, წმიდამან მამამან დავითი თარგმანა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან განრყუნა და უკმარ ყო იგი»-ო[2]. უეჭველია, გიორგი აქ გულისხმობს იმავე ოზანს. ეფრემ მცირე გრიგოლ ღვთისმეტყველის ორი თქუმული შესახებ, რომელნიც ექვთიმეს გადმოუთარგმნია, შენიშნავს: «საცნაურ იყავნ, ვითარმედ ესე საკითხავი[3] ქართულსა შინა არს და ესრეთ იწყების: «რაჲსათჳს, ძმანო ჩემნო, უდებ იქმნენით»; ესე თავად დაუც და სიმცროჲსათჳს ამისსა «ვიძლიე»[4] თანადაურთავს. უკუანაჲსკნელ ვიძლიე კიდეგანად უთარგმნია, რომლისათჳსცა ამათ ყუედრებათა და სხჳსა თანა მოკრებათა აღსძრნეს სხუანი იძულებად და მძლავრებად ჩუენდა დიდსა მას კადრებასა მეორედ თარგმნისასა, რამეთუ სიგრძისაგან ჟამთასა არა ვიცით თუ მწერალთაგან შეხუდა ანუ თჳთ წმიდასა მამასა ეფთჳმის დედაჲ ესეგუარი მიხუდა, ანუ თუ რაჲმე განგებულებით ჰყო, ვით მას ჟამსა შეჰგუანდა». ყოველ შემთხვევაშიო, ამბობს ის, ამას «გუაყუედრებდეს ბერძენნიო»[5]. საქმე ისაა, რომ ორი სხვადასხვა სიტყუა გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელიც ექვთიმეს თავის დროს, უნდა ვიფიქროთ, ცალ-ცალკე უთარგმნია, ვიღაცას მერე შეუერთებია, მექანიკურად გადაუბამს ერთიმეორეზე. ეს ბერძნებსაც კი შეუნიშნავთ და ქართველები გაუკიცხავთ ასეთი აღრევისათვის. ეფრემმა არ იცის მიზეზი ამ გაუგებრობისა, მაგრამ, უეჭველია, ეს არის საქმე იმავე ოზანისა, რომელსაც ასეთი ოპერაციები უკეთებია ექვთიმეს შრომებში.

ექვთიმეს ბერმონაზვნებში არა მარტო ლიტერატურული მტერი ჰყოლია, არამედ ისეთებიც, რომელთაც მისი მოკვლაც კი განუზრახავთ; ერთი მათგანი სახელითაც კია ცნობილი: კოზმანი.

ექვთიმეს ნათარგმნ თხზულებათა ნუსხა მოთავსებულია მის ბიოგრაფიაში, თუმცა არა სრული. აქ შენიშნულია, რომ მის თარგმანთა აღრიცხვა «შეუძლებელია». ამიტომ იმათგან მხოლოდ «რაოდენიმე მოვიკსენეთო» (გვ. 27). და მართლაც, ნუსხის შემდეგ ბიოგრაფია ამბობს: «ესე ყოველნი და ამათსა ფრიად უძრავლესნი წიგნნი თარგმნა ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმანო» (გვ. 30). ყოველ შემთხვევაში ნუსხაში არაა აღნიშნული ის თხზულებანი, რომელნიც მას უთარგმნია ათონის მთის გარეშე, — «ულუმბოთა, სამეუფოსცა და გზასა სხუათა ესეეითართა ადგილთაა» (გვ. 27). ასეთივე ნაკლული ნუსხა

[1] «ათონის კრებული», გვ. 176.

[2] მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, 110—111.

[3] «შემდგომად ხუცად კურთხევისა მისისა»: A 87, 425—455.

[4] «თქმული მამისა მიმართ თჳსისა და ერისა»: S 1696.

[5] A 292, გვ. 282.

მოთავსებულია ხოლმე აგრეთვე ექვთიმეს მამის, იოანეს, ანდერძში, ამიტომ ამ წყაროთა ნაკლი უნდა შევსებულ იქნეს სხვადასხვა ხელნაწერის მინაწერებიდან.

არ არის არც ერთი დარგი სასულიერო მწერლობისა, რომელშიც ექვთიმეს არ ეთარგმნოს ესა თუ ის თხზულება, ამიტომ მის ნაშრომთა წარმოდგენის გასაადვილებლად უკეთესია ისინი ცალ-ცალკე დარგებად დავყოთ.

I. **ბიბლიოლოგია.** ჩვენს ისტორიულ მწერლობაში შეეხვდებით ისეთ მოსაზრებას, ვითომც ექვთიმეს მთელი ბიბლია ეთარგმნოს ქართულად, ზოგიერთებს ასეთ შრომად მიაჩნიათ ეგრეთ წოდებული ო შ კ ი ს 978 წლის ბიბლია, რომელიც ათონზე ივერიის მონასტერში ინახება. ეს აზრი უსაფუძვლოა. ექვთიმეს, დრო რომ არა ვთქვათ, საბაბიც არ ჰქონდა მთელი ბიბლია ეთარგმნა, ვინაიდან ის უკვე მის დრომდე ნათარგმნი იყო. კერძოდ, მას ხელთა ჰქონდა ზემოდასახელებული 978 წლის ბიბლია, რომელიც გადაწერილია საქართველოში, ოშკის ლავრაში, თორნიკესა და იოანეს შეკვეთით. ბიბლიაში მის ყურადღებას იპყრობდა ის წიგნები, რომელნიც ან გადმოთარგმნილი არ იყო ჯერ კიდევ, ანდა განსაკუთრებული მნიშვნელობა და ღირებულება ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით მას უთარგმნია: 1) გამოცხადება ან აპოკალიპსი იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც მანამდე ქართულად მართლაც არ ყოფილა თარგმნილი; 2) დავითნი და 3) სახარება-ოთხთავი. გიორგი მთაწმიდელი, გვამცნობს რა ვინმე ოზანის მიერ დავითნის გარყვნას, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ, უმატებს: «მიერითგან სხუაჲ არღარა სთარგმნა, არამედ ქართულნი დავითნნი თანაესხიან და სადაცა სიტყუაჲ ეკმარებოდის, მუნით იწამის. და ამათისა ჴეშმარიტებისა და სიმართლისა მოწმედ მყავს ყოველი საბერძნეთი და ყოველნი ბერძნულნი დავითნი, ვის არა ჰრწმენეს, შეაწაენო» [1].

როგორც აპოკალიპსი და დავითნი არ იხსენიება ექვთიმეს თარგმანთა არც ერთ ნუსხაში, ისე არც ო თ ხ თ ა ვ ი ა მოხსენებული, მაგრამ ექვთიმეს რომ სახარება უთარგმნია, ეს, სხვათა შორის, ჩანს ხელნაწერთა ინსტიტუტის, ფონდ A, მეთერთმეტე საუკუნის, ეგრეთ წოდებული ალავერდის, სახარებიდან (№ 484), რომელიც, თუ თვითონ არაა ექვთიმეს თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, 314 ფურცელზე მინაწერში ასახელებს «წმიდისა მამისა ეფთჳმეს სახარებას» [2]. და მართლაც, ეგრეთ წოდებული მ ე ს ტ ი ი ს სახარება 1033 წლისა, რომელიც განირჩევა როგორც ჰადიშის და სხვა ძველ სახარებათა, ისე გიორგი მთაწმიდელის რედაქციებისაგან [3], უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ექვთიმე მთაწმიდელს ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ იგი მ ო გ ე ბ უ ლ ი ან შეკვეთილია ი ლ არ ი ო ნ ი შ ხ ნ ე ლ ი ს მიერ, რომელსაც ერთგვარი ლიტერატურული კავშირი ჰქონია ექვთიმესთან. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ მას მ ო უ გ ი ა ნ შეუკვეთია გადაწერა ექვთიმეს მიერ ნათარგმნი თხზულების Ἀνδρῶν ἁγίων βίβλοις-ის

---

1 შ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, I, 110—111.

2 Ф. Жордания, Описание, II, 48, 50.

3 «Материалы по археологии Кавказа», вып. X, приложение, стр. 10, 11.

პირვანდელი რედაქციისა[1]. იოანეს, ექვთიმეს მამას, «ბრძანებითა ღმერთ-შემოსილისა მამათმთავრისა ილარიონისითა წარუმართნია შვილი მისი ეფთჳმე და უხარკია, რათა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სახარებისაჲ დაწეროს ენასა ჩუენსა»[2]. ექვთიმეს რედაქციას წარმოადგენს აგრეთვე ეგრეთწოდებული მ ე ტ ე ხ ი ს სახარება 1049 წლისა[3].

II. აპოკრიფები. ექვთიმე მთაწმიდელი პირველი მწერალი იყო ჩვენში, და, გვგონია, უკანასკნელიც, რომელმაც მეცნიერული, ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით შეხედა აპოკრიფულ მწერლობას და მიმოიხილა იგი. ჩვენამდე შენახულია, როგორც ვიცით, ექვთიმესა და გიორგი ჭყონდიდელს შორის კ ი თ ხ ვ ა-მ ი გ ე ბ ა, რომელიც შეიცავს ინდექსს ან ნუსხას იმ წიგნებისას, რომელთაც მართლმადიდებელი ეკლესია არ შეიწყნარებს. ექვთიმეს ეს ნუსხა გამოუგზავნია საქართველოში საგანგებოდ და იმით განუზრახავს არამცთუ გიორგის ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებია, არამედ გაეფრთხილებია ქართველი მკითხველი იმ წიგნებისაგან, რომლებიც საბერძნეთში აპოკრიფულად იყო მიჩნეული. უნდა გვეფიქრა, რომ ამით მან ომი გამოუცხადა ქართულად უკვე ნათარგმნ აპოკრიფებს და სხვებიც გააფრთხილა შემდგომში ამგვარ თხზულებათა თარგმნისაგან. ყოველ შემთხვევაში, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ თვითონ მაინც არ თარგმნიდა ამის მსგავს რამეს. მაგრამ ნამდვილად ჩვენ სულ სხვასა ვხედავთ: ექვთიმესაც თავისი წვლილი შეუტანია აპოკრიფული ლიტერატურის ქართულად თარგმნაში. მას უთარგმნია: 1) ა ვ გ ა რ ო ზ ი ან მიწერ-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მთავარ ავგაროზს შორის: «ებისტოლე ავგაროზ მეფისაჲ, რომელი მიუწერა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესსა». ეს აპოკრიფი მეტად გავრცელებულია მთელ საქრისტიანოში, მისი თარგმანი თითქმის ყველა ენაზეა ცნობილი[4]. ექვთიმეს ეს აპოკრიფი სახარებასთან ერთად უთარგმნია და სახარებისათვის ბოლოში დაურთავს, როგორც ეს მიღებული იყო სხვა საქრისტიანო მწერლობაშიც. ექვთიმეს ეს თარგმანი მოთავსებულია, მაგალითად, ზემოდასახელებულ ა ლ ა ვ ე რ დ ი ს სახარებაში[5] და წარმოადგენს უბრალო გადამუშავებას ბიზანტიელთაგან აღებული ტექსტისას ან მის სხარტ ფორმულირებას[6].

2) მეორე აპოკრიფული თხზულება, რომელიც ექვთიმეს უთარგმნია ბერძნულიდანვე, არის «ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლად-

[1] A 35.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 142.

[3] «Духовный Вестник грузинского Экзархата», 1892, № 10; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ქრონიკები, I, 203.

[4] B a r d e n h e w e r, Patrolog., S. 89—89; H. J o r d a n, Geschichte der altchristlichen Literatur, S. 77.

[5] A 484; А. Х а х а н о в, Очерки по истории грузин. словесности, вып. I, стр. 193—199; Л. М е л и к с е т-Б е г о в, Семипечатие и его толкование, «Христианский Восток», III, вып. I, стр. 44—50; вып. II, стр. 203—205.

[6] პროფ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, ექვთიმეს უნდა ეთარგმნოს ის ბერძნული რედაქცია ამ აპოკრიფისა, რომელიც დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 548 და ვენისა—Cod. hist. graec. XLV («ბექა ოპიზარი», გვ 14).

წმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა... მარიამისი და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისა მოქალაქობისა მისისაჲ შობითგან მიცვალებადმდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებლისაჲ». ეს აპოკრიფი, რომელიც ექვთიმეს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებლის, უექველია, სხვა თხზულებებთან ერთად (საფიქრებელია 980—990 წლებში), მთლიანად მოთავსებულია ხელნაწ. ინსტიტუტის, ფონდი A, ხელნაწერში № 40, რომელსაც ბოლოში ტექსტისაგე ხელით ასეთი მინაწერი აქვს დართული: «ქრისტე, მეუფეო დიდებისაო, მეოხებითა მშობელისა შენისა წმიდისა ქალწულისა მარიამისითა შეიწყალე და აცხოვნე სულითა გლახაკი ეფთჳმე, რომელმან წმიდაჲ ესე წიგნი, ცხორებაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, ბერძულისაგან ქართულად ითარგმნა მთასა წმიდასა ათონ[ნ]ას» [1]. ეს არის დიდი თხზულება, რომელშიც მოთხრობილია მთელი თავგადასავალი ღვთისმშობლისა: «ვინაჲ იგი გამოჩნდა და ვინ იყვნეს მშობელნი მისნი და ვითარ ზრდილობაჲ მისი და უბიწოჲ იგი მოქალაქობაჲ და რაჲდენი იგი დიდებულებაჲ მის ზედა აღესრულა შობითგან მიცვალებადმდე». აქ მაცხოვარზედაცაა ვრცელი მოთხრობა: «ხოლო უკუეთუ მეუფისაცა და ძისა მისისათჳს ვთქუათ რაჲმე ძალისაებრ ჩუენისა, ჲარავე გარეგან წესისა იყოს, რამეთუ ყოველივე იგი დიდებაჲ არს და ქებულებაჲ მისი, რამეთუ მისგან არს და მის მიერ ნეტარებაჲ და დიდებაჲ უბიწოჲსა მის დედისა მისისაჲ». აქვე, შესავალში, დასახელებულია ის წყაროები, რომლითაც უსარგებლნია ავტორს: «ყოველივე უკუე, რაჲდენიცა აღვწეროთ და ვაუწყოთ ღმრთისმოყუარეთა კრებულთა, მოწამეთაგან ჴეშმარიტთა მტკიცე არს და სარწმუნო. პირველად წმიდათა მახარებელთა და მოციქულთაგან, მერმე წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათაგან, რომელთა სიტყუანი ყოვლითა სიბრძნითა სავსე არიან და სულისა წმიდისა მადლითა აღწერილ, და საქმენი მათნი შუენიერ და სათნო ღმრთისა. ესე არიან გრიგოლი ნეოკესარიელი სასწაულთმოქმედი და დიდი ათანასი ალექსანდრიელი და ნეტარი გრიგოლ ნოსელი, დიონისე არეოპაგელი და სხუანი, მსგავსნი სათნოებისა მათისანი. და რავდენიმე დ ა ფ ა რ უ ლ თ ა წერილთაგან თუ ვთქუათ, იგიცა ჴეშმარიტ და უცთომელ არს, რომელი ზემოკსენებულთაცა წმიდათა მამათა შეიწყნარეს და დაამტკიცეს». და მართლაც, ამ შესავლის შემდეგ მარიამ ქალწულის მშობელთა შესახებ მოთხრობას ავტორი იწყებს გრიგოლ ნოსელის სიტყვებით: «ესრეთ იტყჳს ნეტარი გრიგოლ ნოსელი: ესრეთ აღმომიკითხავსო წიგნსა შინა დ ა ფ ა რ უ ლ ს ა, ვითარმედ წარჩინებულ იყო მოქალაქობასა მას შინა რჩულისასა და სახელოვან ქველის-საქმითა მამაჲ ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისა». ჩანს, ბიზანტიურ ლიტერატურაში ცნობილი ყოფილა კრებული ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფებისა, რომელიც, მეტი ავტორიტეტისათვის, წარწერილი ყოფილა მაქსიმე აღმსარებ-

[1] ამისი მეტაფრასული რედაქცია, რომელიც სვიმეონ ლოღოთეტს ეკუთვნის, გამოცემული აქად. ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი ს მიერ («Menologii anonimi buzantini», II, 347—383), ხოლო ქართული თარგმანი ამ მეტაფრასული რედაქციისა იხ. გელათ. № 1, ფ. 410—436.

ლის სახელით[1]; ამ გარემოებას, აგრეთვე იმას, რომ, როგორც ამოვწერეთ, შინაარსი ამ კრებულისა მოტანილია თითქოს საღმრთო წერილისა და წმიდა მამათა თხზულებათაგან, გაუბედვინებია ექვთიმესათვის ეთარგმნა მკითხველთათვის ეს შინაარსით საინტერესო კრებული. ხოლო რაც შეეხება ა ვ გ ა რ ო ზ ს, იმას ზოგიერთ ეპოქაში და ზოგიერთ წრეში კანონიკურ ღირსებასა და მნიშვნელობასაც კი აძლევდნენ, რის გამო, როგორც ვთქვით, მას სახარებაში ათავსებდნენ, და, მაშასადამე, გასაკვირველი არაა, თუ ექვთიმემ მისი თარგმნა გაბედა. ამით უნდა აიხსნას ის გაუგებრობა, რომ ექვთიმე, პრინციპული და შეგნებული მოწინააღმდეგე ქართულ მწერლობაში აპოკრიფების შეტანისა, თვით თარგმნის მწერლობის ამ დარგიდან რამდენიმე ნიმუშს.

აღნიშნულთ გარდა, ექვთიმეს უთარგმნია აგრეთვე აპოკრიფული აქტები მოციქულებისა, სახელდობრ: 3) ი ო ა ნ ე მ ა ხ ა რ ე ბ ლ ი ს ა, «აღწერილი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა, ერთისა შჳდთაგანისა, ძმისწულისა სტეფანე პირველმოწამისა», რომელიც იწყება ასე: «ეს კაცი ღმერთშემოსილი უზეშთაესი ანგელოზთაცა, შეყუარებული ყოველთა მეუფისა»[2]. პ ე ტ რ ე მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა; პეტრეს შესახებ ექვთიმეს უთარგმნია ორგვარი აქტები: 4) «თქმული წმიდისა და ნეტარისა მღვდელმოწამისა კლემენტოს ჰრომთა პაპისა და წმიდის მოციქულისა პეტრეს მოწაფისაჲ, თუ ვითარ სახედ დაემოწაფა იგი წმიდასა მოციქულსა პეტრეს, რომელი ესე მიუწერა ჰრომით იერუსალიმს წმიდისა იაკობის მიმართ ძმისა უფლისა ბრძანებითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა»[3]. აქ ჩვენ გვაქვს ნაწყვეტი ეგრეთ წოდებული კ ლ ე მ ე ნ ტ ი ნ ე ბ ი ს ა, რომელიც შეადგენს ნაწილს Κήρυγμα Πέτρου-ისას. 5) «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთასწორის ბაგრატისი, მღვდელმოძღურისა ტავრომენელთა ქალაქისა ჰალაქსა მის სიკილიისა, რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მოწაფემან მისმან»[4]; ამ აპოკრიფშიც, რომელიც გამოცემულია ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ[5], ლაპარაკია პეტრეს მიმოსვლის შესახებ. 6) ა ნ დ რ ი ა მ ო ც ი ქ უ ლ ი ს ა; ანდრიას აქტებიდან ექვთიმეს უთარგმნია «მოსაჴსენებელი მიმოსვლისათჳს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი», რომელიც გამოცემულია მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ[6] და რომელიც, მთარგმნელის სიტყვით (A ფონდი, № 1103), «შეკრიბა პირველ წერილთა მოსაჴსენებელთაგან ნიკიტა ღირსმან მონაზონმან და ფილოსოფოსმან», ესე

---

[1] სათაური ფსევდოეპიგრაფიულია. მაქსიმეს ეს თხზულება მიაწერეს, ალბათ, მისი რედაბილიტაციის მიზნით: ცნობილია, რომ მას ბრალსა სდებდნენ იმაში, თითქოს ის მარიამს ღვთისმშობლად არ თვლიდა.

[2] «ათონის კრებული», გვ. 111—175; «Bibliotheca Hagiographica Graeca»,[2] p. 127, № 916—917.

[3] ათონ. ხელნ. № 50, 169—249, № 73, 131—154; M i g n e, PG. t. II, col. 479—580.

[4] ათონ. ხელნ. № 50, გვ. 1—102; A 134, 424—591, № 382, 151—185, № 910.

[5] «Баграт, епископ Тавроменийский», «Труды по востоковедению Лазаревского Института», вып. XIX; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. რომანი «ტაერომენიანი» ძველ ქართულ მწერლობაში, «ლიტ. ძიებანი», I, გვ. 21—16.

[6] «საქართველოს სამოთხე», გვ. 24—47.

იგი ნიკიტა-დავით პაფლაღონელმან, მეცხრე საუკუნის პანეგირისტმა, თუმცა აქ ნიკიტაზე უფრო ექვთიმეს გამოუყენებია ეპიფანე მონაზონის რედაქცია [1]. 7) ამათ გარდა, ექვთიმეს უთარგმნია, როგორც აპოკრიფული ლიტერატურის მიმოხილვისას დავინახავთ, ზოგიერთი სტატია აპოკრიფული კრებულის მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ს ა.

III. ეგზეგეტიკა. 1) ყველაზე ადრინდელი ეგზეგეტიკური და ამასთანავე საზოგადოდ ლიტერატურული ნაწარმოები ექვთიმესი არის «თარგმანი იოანე მახარებელის ხილვისაჲ», რომელიც ეკუთვნის ანდრია კრიტელის ან კესარიელის კალამს [2] და რომელიც ექვთიმეს უთარგმნია «გამოცხადების» ან «აპოკალიპსის» ტექსტთან ერთად, დაახლოებით 975—977 წლებში. უძველესი ნუსხა ამ თარგმანისა, რომელსაც ბოლოს მიწერილი აქვს ტექსტის ხელით; «ქრისტე, ადიდე სულითა ეფთიმე, ამისი თარგმანი» [3], ჩვენ გვხვდება შიომღვიმის მონასტრის 978 წლის ხელნაწერში [4]. 2) მეორე, აგრეთვე ადრინდელი, ეგზეგეტიკური შრომა ექვთიმესი, შესრულებული დაახლოებით იმავე დროს, მაგრამ არაუგვიანეს 980 წლისა, არის «თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ», რომელიც იოანე ოქროპირის კალამს ეკუთვნის [5]. მათეს თარგმანების შესავალში იოანე ათონელი, მამა ექვთიმესი, რომლის ინიციატივითაა ნათარგმნი ეს თხზულება, ამბობს: «ხოლო ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყუნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა მის ქუეყანისანი ნაკლულევან, და არა ესოდენ წიგნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამისთჳს მე, გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოანე, მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან, და დიდი ხარკებაჲ და მოღუაწებაჲ ვჰჩუენე და შეილი ჩემი ეფთჳმე განესწაელე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად» [6]. ამ თხზულების თავდაპირველი ნუსხა, რომელშიაც მოყვანილი იყო ამოწერილი სიტყვები, დამზადებულია 1002 წელს; ეს უკანასკნელი საფუძვლად დადებია იმ ნუსხებს, რომელნიც საქართველოში გამრავლდნენ მერე, სახელდობრ, წ ა ყ ა რ ო ს თ ა ე ი ს 1033—1042 წწ., გელათის 1047—1055 წ. და სხვ. 3) იოანეს სახარების გარდა, ექვთიმეს უთარგმნია აგრეთვე, «თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ» [7]. ეს არის უკანასკნელი შრომა, რომელიც მას უთარგმნია მამის სიცოცხლეში 1002 წელს. «ჟამსა სიბერისა

[1] M i g n e, PG. t. 120, col. 216—260.

[2] ი ქ ვ ე, t. 106, col. 215—458.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 122—123; აგრეთვე X საუკ. ხელნაწერი A № 397.

[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ას სიტყვით, აქ იგულისხმება ექვთიმე გრძელი, X ს. მოღვაწე, და არა ექვთიმე ათონელი, მაგრამ ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია: «ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში», ჟურ. «ჩვენი მეცნიერება» № 2—3, გვ. 103—104.
M i g n e, PG. t. 59.

[6] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 140—141.

[7] M i g n e, PG. t. 57—58.

და უძლურებისა ჩემისა», ამბობს მამა ექვთიმესი იოანე, «ბრძანებითა ღმერთშემოსილისა მამათმთავრისა ილარიონისითა წარვჰმართე შვილი ჩემი ეფთჳმე და ვიხარკე, რაჟა თარგმანებაჲცა მათეს თავისა წმიდისა სახარებისაჲ დაწეროს ენასა ჩუენსა, რომელი იგი სიმრავლისათჳს შრომისა აქამომდე არა დაგუეწერა, რამეთუ, ვითარცა ხედავთ, დიდი წიგნი არს და ძნელი გამოსათარგმანებლად ბერძულისაგანო»[1]. 4) იოანეს სახარების კომენტარების შემდეგ ექვთიმეს გადმოუღია «თარგმანებაჲ ფსალმუნისაჲ» ბასილი დიდისა[2]. ის თარგმნილი ყოფილა 981 წლამდე, ვინაიდან ამ წელს იმავე საბას, რომელსაც გადაუწერია ზემოდასახელებული ა პ ო კ ა ლ ი პ ს ი ს თარგმანება, გადაუწერია მთარგმნელის მამის იოანესათვის ამ თხზულების ერთი ცალი[3]. ეფრემ მცირეც აღნიშნავს ერთ თაეის ნაშრომში, რომ ბასილი დიდის დასახელებული შრომა «უნაკლულოდ ითარგმნეს ენასა ამას ჩუენსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის მიერ. და წმიდისა ბასილის მიერ თარგმანებული სხუაჲ არა არს, თჳნიერ მისსა, რომელ იგი მოგუანიჭა წმიდამან ეფთჳმე, სიხარულისა სეხნამან და ყოველთა თარგმანთა თუალმან და წყარომან მეტყუელებისამან»[4]. ქართული თარგმანი შეიცავს შემდეგ ფსალმუნთა განმარტებას: 1, 7, 14, 28, 29, 32, 33, 37, 44, 45, 48, 59, 61, 114, 115. 5) ექვთიმეს ბიოგრაფიაში გიორგი მთაწმიდელი შენიშნავს, რომ ექვთიმემ გადმოიღო ქართულად «თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და პრომაელთა ეპისტოლისაჲ»[5]. ასეთ სათაურიან თხზულებას ჩვენ ვერც ერთ ხელნაწერში ვერ ვპოულობთ, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ის ასე უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თხზულება უნდა შენახულიყო იმ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება «თარგმანი ძნიად გულისხმის საყოფელთა მოციქულისა პაულჱსა სიტყუათაჲ, გამოკრებული წმიდისა იოანე ოქროპირისა თქჳულთაგან». საქმე ისაა, რომ ამნაირ გ ა მ ო კ რ ე ბ უ ლ რეცენზიებს ამა თუ იმ თხზულებისას იძლეოდა სწორედ ექვთიმე მთაწმიდელი. თან იმ ერთადერთ ხელნაწერში, რომელშიც შენახულია ეს თხზულება[6], ის დაკავშირებულია იოანე სინელის «კლემაქსთან», რომელიც ექვთიმეს 983 წლამდე უთარგმნია. აქ განმარტებულია ცალკეული თავები და მუხლები არა მარტო სათაურში მოხსენებულ ეპისტოლეთა, არამედ კორინთელთა, ეფესელთა, ფილიპპელთა, კოლასელთა, ებრაელთა, 2 ტიმოთესი 1 და 2 იოანესი, იუდასი და 1 პეტრესი. 6) ბიოგრაფის ცნობით, ექვთიმეს მამისავე სიცოცხლეში უთარგმნია გრიგოლ ნოსელის ორი ეგზეგეტიკური თხზულება: «წმიდისა მ ა მ ა ო ჩ უ ე ნ ო ჲ ს ა თარგმანი»[7] და «წმიდისა მოსე წინაჲსწარმეტყუელისა ცხორებისა თარგ-

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 141—143.
[2] M i g n e, PG. t. 29 col. 209—494.
[3] А. Цагарели, Сведения, I, 82; ხელნაწ. № 49.
[4] «ძველი საქართველო», ტ. III, განყ. 1, გვ. 245b.
[5] «ათონის კრებული», გვ. 29.
[6] A 445. იქნება ეს შრომა გვქონდეს ხელნაწერში A 56, გვ. 77—129.
[7] M i g n e, PG. t 44, 1119—1194.

მანი, სახედ დაყუდებისა, რომელი ძმასა ეისმე ეთხოა»[1]. პირველი ამათგანი, რომელსაც სათაური აქვს: «სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ მამაო ჩუენოჲსაჲ», შედგება ხუთი თავისაგან[2], ხოლო მეორის შესახებ. ნათქვამია ხელნაწერში[3], რომ ძმას ეთხოვა მისგან «სწავლაჲ სულიერი სისრულისათჳს და მან შემოიღო მოსეს ცხორებაჲ და მოუწერაო». 8) ქართულ ძეგლებში გვხვდება ერთი ნახევრად აპოკრიფული, ნახევრად ეგზეგეტიკური ნაწყვეტი: «გამოცხადებისათჳს მელქისედეკისა», რომელიც იწყება ასე: «შვა ასელა სალი. და სალამან შვა მელქინ, და მელქინ იყო წარმართი და ბილწი და აღასრულებდა გებასა კერპთა მიმართ»[4]. თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგში მე-13 ნომრის ქვეშ აღნიშნულია ბასილი დიდის ითიკა და ნათქვამია: «კუალად ამასვე შინა წიგნსა არს აღწერილი დიდის ვასილის მიერ მელქისედეკის გამოჩინებისათჳს და თუ რაჲსათჳს უმამოდ და უდედოდ იწოდა იგი». მელქისედეკის შესახებ ბიბლიაში ნათქვამია, რომ ის იყო «უმამო, უდედო, ნათესავმოუკსენებელი, არცა დასაბამი დღეთა, არცა აღსასრული ცხოვრებისა აქუს» (ებრ. VII, 3). ამ ნიადაგზე უკვე ძველ საეკლესიო მწერლობაში წარმოიშვა სხვადასხვაგვარი ცდა მელქისედეკის გენეალოგიის შედგენისა და მისი სამეფო ქალაქის, სალიმის, ადგილმდებარეობის გარკვევისა. ამ ცდას, თვით წმიდა მამათა და საეკლესიო მოძღვართა თხზულებაშიაც კი, აპოკრიფული ხასიათი აქვს ეგზეგეტიკურ პრეტენზიებთან ერთად. ერთ-ერთ ცდას წარმოადგენს ქართული ნაწყვეტი, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი ბასილ კესარიელს აკუთვნებს[5]. თუ ეს ნაწყვეტი მართლა შემადგენელი ნაწილია ბასილის ითიკისაჲ, რომელიც ექვთიმეს მიერაა ნათარგმნი, ის ექვთიმეს თარგმანად უნდა ჩაითვალოს. 9) ეგზეგეტიკური ხასიათისაა გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთი ტრაქტატი: «სიტყუათა მათთჳს წმიდისა სახარებისათა: რომელმან მეთევზურნი წინაჲსწარე იჩინნა იესო ქადაგად სიმართლისა და ჰეშმარიტებისად», რომელიც ჩვენ გვხვდება ექვთიმეს თარგმანთა შორის[7]. 10) დასასრულ, ექვთიმეს უთარგმნია მაქსიმე აღმსარებლის შემდეგი სამი საეგზეგეტიკო თხზულება: «თაღასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსაჲ სიტყუათათჳს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა ნეტარსა მაქსიმესაგან»[8], ვრცელი თხზულება, რომელშიაც განმარტებულია საღმრთო წერილის ძნელად გასაგები ადგილები და რომელშიაც, ჩანს, ექვთიმეს ბევრი რამ თავისი საკუთარი და სხვა წყაროთა მასა-

[1] «ათონის კრებული», გვ. 28; Migne, PG. t. 44, 297 — 430.

[2] A 108, 316—350.

[3] A 108, 350—412.

[4] A 381, 9—12, № 394, 302—303.

[5] აქ შეიძლება, ბასილ კესარიელი არეული იყოს ევსევი კესარიელთან, რომელსაც აქვს ტრაქტატი მელქისედეკის შესახებ. შეიძლება ჩვენ აქ გვქონდეს ათანასეს «ისტორია მელქისედეკისა» (Migne PG. XXVIII, col. 525—529).

[6] თუმცა ითიკის სხვა ნუსხებში, რომელიც ჩვენ ვიცით, ის არ გვხვდება.

[7] A 87, 245—261.

[8] მარტვილის მონასტრის ხელნ. № 1, 152—665; ჯრუჭის მონასტრის ხელნაწ. № 4, 150—541; A 636, 41—181.

ლები შეუტანია[1]. 11) «სიტყუანი სახარებისანი, გამოკრებულნი წმიდათა მამათა მიერ წმიდისა მაქსიმეს თქუმულთაგან», კითხვა-მიგების სახით[2]. 12) თარგმანებაჲ ძნიად გულისხმის-საყოფელთა ქრისტეს შობისა საკითხავისათა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა»[3], ახსნილია და განმარტებული დასახელებული ქადაგების ყველა ის ადგილი, რომელიც რაიმე სიძნელეს წარმოადგენს[4].

IV. დოგმატიკა და პოლემიკა. ამ დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: 1) გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი, რომელნიც ექვთიმეს უთარგმნია 983—991 წლებში. სულ გადმოუღია მას 24 თხზულება, რომლებშიაც გატარებულია დოგმატიკური მოძღვრება, მაგრამ ამათგან უდიდესი ნაწილი წარმოადგენს ქადაგებას და ამიტომ ისინი სხვა ადგილას იქნებიან დასახელებული. აქ კი აღვნიშნავთ გრიგოლის წმინდა დოგმატიკურ თხზულებებს, როგორიცაა: ა) «თქუმული სარწმუნოებისათჳს არიანოზთა და ევნომიანოზთა მიმართ მწვალებელთა»[5]; ბ) «თქუმული ძისათჳს პირველ საუკუნეთა მამისაგან შობილისა», თავი ა და ბ, რომლებიც წარმოადგენს 3 და 4 სიტყვას ღმრთისმეტყუელებისათჳს-იდან; გ) «თქუმული სულისა წმიდისათჳს სიტყუსგებაჲ ბოროტთა მწვალებელთა მიმართ»[6]. ეს არის მეხუთე სიტყვა აღნიშნული თხზულებისა ღმრთისმეტყუელებისათჳს. 2) მაქსიმე აღმსარებელისა: ა) «სიტყუსგებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესსა და პიროსი კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა მწვალებელისა»[7], რომელშიაც დარღვეული და განქიქებულია მონოფელიტური ქრისტოლოგია[8], ბ) «თავნი ათხუთმეტნი [ღმრთისმეტყუელებისათჳს]»[9]. 3) იოანე დამასკელისა: ა) როგორც ბიოგრაფიაში, აგრეთვე იოანეს ანდერძში აღნიშნულია ერთი თხზულება, ექვთიმეს ნათარგმნი, «სარწმუნოებისათჳს»[10]. ეს თხზულება, როგორც ჩვენ გამოვარკვიეთ[11], არის «წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა თქუმული სარწმუნოებისათჳს, სიტყუსგებაჲ უთაოთა მიმართ მწვალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა ქრისტესთა უარჰყოფენ»[12]. მოკლე შესაელის შემდეგ აქ ჩვენ ეკითხულობთ: «დაწუებაჲ წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების წინამძღუარი, თქუმული იოანე დამასკელისა». ამნაირად, ირკვევა, რომ სარწმუნოე-

[1] Migne, PG. t. 93, 243 — 786.

[2] A 128 850—867.

[3] Migne, PG. t. 91, 1031 — 1060.

[4] A 1, 201—257.

[5] A 1, 16, 87, 92; S 383, 1696.

[6] A 1, 16, 87, 92; S 1696.

[7] მარტ. ხელნ. № 1, 111—151; ჯრუჭის ხელნ. № 4, 117—150; A 636, 33—41; S 1128.

[8] Migne, PG. t. 91, col. 287—354.

[9] A 234, 39, 711.

[10] А. Цагарели, Сведенія, I, 88; «ათონის კრებ.», გვ. 28, სადაც შეცდომით ეს თხზულება აღნიშნულია ისე, თითქოს ის იყოს ეფრემ ასურის თხზულება.

[11] «Христ. Восток», III, 133—135.

[12] A 200, 240, 853 და სხვ. იოანე დამასკელის «ღეთისმეტყველებას» ეწოდება «Слово о правой вере» ბოლგარეთის ექსარხოსის იოანეს თარგმანშიაც.

ბისათჳს და წინამძღუარი ერთი და იგივე თხზულება ყოფილა. რა თხზულებაა ეს თხზულება? ამას განგვიმარტავს ჩვენ ეფრემ მცირე, რომელიც მის მიერ ნათარგმნი იოანე დამასკელის თხზულების — «გარდამოცემაჲ უცილობელი ბართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ»-ს შესავალში ამბობს: «რომელსა... მოკლე წინამძღუარი უნდეს წმიდისა მამისა ეფთჳმეს მიერ თარგმანებული, იგი შეიტკბოს, რამეთუ მას მადლითა სულისა წმიდისაჲთა კელეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა, ხოლო უკუეთუ ახალი ესე სწადდეს გარდაწერაჲ, მას ამასთანა ნუ გაჰრევს, ნუცა ამას მას თანა... ამას ყოველსა თანა ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ წინამძღუარი სახელად წმიდისა ანასტასი სინელისა თქუმულთათჳს მინაბაჲს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათჳს არასადა თჳნიერ ჭართულისა. ამისთჳსცა ესრეთ ჯერ უჩნდინ სიწმიდესა თქუენსა, რათა, ვითარ იგი ზედაწარწერილსა ამისსა შინა ითქუმის, გარდამოცემაჲ უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს, და წინამძღუარი მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელედებოდენ, რამეთუ თჳთ იგი ამისგანვე გამოკრებილი არს. ხოლო ესე არა უწყი, თუ თჳთ მამასა ეფთჳმეს გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია» [1]. აქედან ჩვენ ვგებულობთ, რომ ექვთიმეს მიერ ნათარგმნი თხზულება იოანე დამასკელისა სარწმუნოებისათჳს ანუ წინამძღუარი ყოფილა შემოკლებული რედაქცია დამასკელის გარდამოცემისა (Ἔκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως). ის შედგება ოცდაოთხი სტატიისაგან (ზოგიერთ ნუსხაში 25) და წარმოადგენს ნამდვილ Compendium-ს დამასკელის თხზულებებისას. აქ შეტანილია ექსცერპტები უმთავრესად გარდამოცემიდან და აგრეთვე შემდეგ თხზულებათაგან: Ἱερὰ παράλληλα, წვალებათათჳს, რთულისათჳს ბუნებისა, სამწმიდაობისა გალობისა და წმიდისა სამებისათჳს [2]. ბ) მეორე დოგმატიკური თხზულება დამასკელისა, ექვთიმეს მიერ თარგმნილი, არის «ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა» [3], რომელსაც ხელნაწერში შემდეგი სათაური აქვს: «ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისაჲ» [4]; ჩანს, ესეც კრებულს წარმოადგენს დამასკელის ანტიმონოფიზიტური და ანტიმონოფელიტური თხზულებებიდან ამოღებული ადგილებისას. 4) ექვთიმეს მიერ ნათარგმნ დოგმატიკურ თხზულებათა შორის უნდა აღინიშნოს მიქელ სვნკელოსის (IX ს.) სიმბოლო: «მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ უშობელი, და ერთი ძე...», რომელიც შეტანილია მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში, როგორც მაქსიმეს სიმბოლო [5]. დასასრულ, უნდა დავასახელოთ 5) გრიგოლ ნოსელის «ძიე-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 216 — 218.

[2] ამ თხზულების გადმოთარგმნას თ. ჟორდანია მიაწერს ექვთიმე გრძელს («ქრონიკები», I, 334), მაგრამ ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია: «ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში», ჟურ. «ჩვენი მეცნიერება», № 2—3, გვ. 114—120.

[3] «ათონის კრებ.» გვ. 28.

[4] A 205, 431—448, № 267.

[5] K. Kekelidze, Monumenta Hagiographica Georgica, t. I, p. 87—90.

ბაჲ სულისათჳს დისა თჳსისა მაკრინაჲს თანა»[1], რომელსაც ვპოულობთ ხელნაწ. ინსტიტ. ფონდი A, ხელნაწერებში №№ 55, 108, 142.

V. ასკეტიკა და მისტიკა. ამ დარგში ექვთიმეს უთარგმნია შემდეგ მწერალთა თხზულებანი: 1) გრიგოლ ღვთისმეტყველისა: ა) «სწავლანი სულიერნი» ას თავად[2], ბ) «ღმრთის სათნოყოფისათჳს». რომელიც იწყება ასე: «მოვედით ძმანო ჩემნო საყვარელნო და ვისწრაფოთ სათნოყოფად ღმრთისა, ვიხილნეთ ქველის-მოქმედებანი მისნი» (A ფონდის № 1101). 2) მაქსიმე აღმსარებლისა: ა) «სიტყჳსგებისათჳს ენებათაჲსა, მიწერილი მამისა თალასეს მიმართ»[3], ბ) «სწავლანი სულიერნი»; სულ 97 მოკლე სწავლაა ზნეობრივი ხასიათისა, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს ქრისტიანი, ამოკრებილია მაქსიმეს სხვადასხვა თხზულებისაგან[4]; გ) «სწავლათაგან მაქსიმე აღმსარებელისა, რომელი მეექუსისა კრებისაგან განბრწყინდა»; აქ ჩვენ გვაქვს კითხვა-მიგების სახით მთელი რიგი ახსნა-განმარტება ყოველდღიური ცხოვრების კაზუსებისა (ხელნაწ. ფონდი A, № 57, 1—204, № 116, 1 — 206); დ) «სწავლათაგან წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა», სადაც ლაპარაკია სულიერ მამისადმი მორჩილებაზე[5]. შეიძლება მაქსიმეს სწავლათა ეს სამი კრებული საგანგებოდ ექვთიმეს მიერ იყოს შედგენილი, შეიძლება ბიზანტიურ მწერლობაშიაც არსებობდა ამ სახით: ე) «სწავლაჲ მონისა ღმრთისა სერგის მიმართ მაგისტროსისა»[6]. 3) გრიგოლ, პრომთა პაჰის, «დიალოღონი», რომელიც მას უთარგმნია ქორონიკონსა სლა, ბერძულად დასაბამითგან წელთა ხჟიი, ესე იგი 1011 წელს (ხელნაწ. ინსტ. A 1103). ექვთიმეს ამ თხზულებაში ცოტა რამ თავისებურებაც შეუტანია; პეტრე იბერიელი ან ესპანელი, რომელიც ევაზში მოღვაწეობდა და რომელმაც ჯოჯოხეთი იხილა[7], მას ქართველად უქცევია: «მონაზონი ვინმე იყო სახელით პეტრე, ნათესავით ქართველი... და იგი მითხრობდა ცხოვრებისათჳს თჳსისა უმანკოდ, ვითარმედ ვიყავ რაჲ ქუეყანასა ქართლისასა»[8]. 4) წმიდა ზოსიმეს სწავლანი, რომელნიც 993 წელს უკვე თარგმნილი იყო[9]. 5) ამბა დოროთესი: ა) «სწავლანი სამონაზვნონი» — შედგება 15 თავისაგან, რომელთაგან 6—15 შენახულა ხელნ. ინსტ. A №№ 146, 126, ხოლო პირველი ხუთი თავის აღდგენა შეიძლება იერიონის მიერ შედგენილი ათონის ქართულ ხელნაწერთა კატალოგით[10]. ამ თხზულებაში უნდა გვქონდეს Διδασ-

---

[1] Migne, PG. t. 46, 11—160.
[2] A 1, 16, 80, 87, 224, 518; S 383, 1696.
[3] მარტვ. შონასტ. ხელნ. № 1, 666 — 850; ჯრუჭის ხელნ. № 4, 541 — 686; A 636, 181—232.
[4] A 126, 271—291, № 146, 65—90.
[5] A 57, 551—555.
[6] A 1139.
[7] Migne, PG. t. 77, col. 381—382.
[8] М. Джанашвили, Описание рукоп. Тиф. церков. музея, кн. III, стр. 21—22.
[9] Н. Марр, Агиографические материалы по грузин. рукоп. Ивера, I, 85—86.
[10] А. Цагарели, Сведения, I, დამატება, გვ. 9.

καλία ψυχοφελεῖς διαφορου[1]; ბ) «მორჩილებისათჳს და ნებისა დატევებისათჳს და ვნებათა და ცოდვათათჳს [2]; გ) «თქუმულთაგან წმიდისა დროთესთა გამოკრებული» [3]. 6) იოანე სინელის «კლემაქსი» [4], რომელიც 983 წელს უკვე თარგმნილი იყო [5]. 7) ბაკარი მეგვიპტელის «ებისტოლენი»-ს [6] ორი თავი და «სწავლანი ძმათა მიმართ»-ის [7] 28 თავი, სულ 30 თავი; მოთავსებულია ათონის ხელნაწერში, რომელიც გადაწერილია «ოლიმპზე ქუაბსა საყოფელსა ქართველთასა, ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა» ვინმე ისააკის ხელით 1030 წ. [8]. 8) ეფრემ ასურის «სწავლანი» რიცხვით ხუთი: ა) «იოვანეს მიმართ მონაზონისა და მამასახლისისა», ბ) «ნეოფიტეს მიმართ მონაზონისა», გ) ნეტარებაჲ მოღუაწეთაჲ», დ) «ლოცვაჲ პარასკევისაჲ», ე) «მხილებაჲ თავისა თჳსისაჲ და აღსარებაჲ» [9] 9) ისააკ განმორებულის, ასურის, «სწავლანი მოღუაწებითნი», შედგება 42 თავისაგან [10]; ბერძნულ ტექსტში ეს თხზულება შეიცავს 90 თავს. ჩანს, ექვთიმეს ესეც გამოკრებით უთარგმნია.

ექვთიმეს «ცხოვრებაში» ნათქვამია, რომ მან თარგმნა «წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა მამათა გამორჩეულნი სწავლანიო» [11]. ეს «გამორჩეული სწავლანი» სხუათა მამათანი, გარდა ზემოდასახელებული გრიგოლ ღვთისმეტყუელისა და მაქსიმე აღმსარებლისა, არიან შემდეგნი [12]: 9) ანდრია კრიტელი — «ამაოებისათჳს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთათჳს». 10) თეოფანე, მთავარეპისკოპოსი კესარია კაპადუკიისაჲ: ა) «სულისა მიმართ თჳსისა», ბ) «თავისა თჳსისა მიმართ», გ) «ლოცვაჲ სინანულისაჲ», დ) «შიშისათჳს ღმრთისა», ე) «მცნებათა ღმრთისა დაცვისათჳს». 11) იოანე ოქროპირი—«სწავლაჲ», რომელიც ასე იწყება: «გეუედრებით თქუენ, შვილნო ჩემნო და ძმანო, აიძულენით თავნი და გონებანი თქუენნი». 12) ისაია ხუცესი — «სათნოებისათჳს». 13) ნილო მონაზონი განმორებული — «სწავლანი» (ერთია), რომელიც იწყება: «თქუა წმიდამან მამამან ნილო: დაღაცათუ არავინ გდევნიდეს მძლავრი წარმართი, არამედ შენ მზა იყავ წამებისა მიმართ». 14) მარკოზ განმორე-

---

[1] Migne, PG. t. 88, col. 1009—1844.

[2] А. Цагарели, Сведения, II, 90.

[3] A 57, 389—409, № 116, 351—377.

[4] Migne, PG. t. 88, 631 — 1164.

[5] А. Цагарели, Сведения, I, 89.

[6] Migne, PG. t. 34, 449—822.

[7] იქვე, 405—446.

[8] А. Цагарели, Сведения, I, 83—84; Н. Марр, Агиограф. материалы, I, 84; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 170. თარგმანი ბერძნული დედნიდან განსხვაედება.

[9] A 1104, ფ. 298 — 337 და № 612, ფ. 563 — 637.

[10] A 35 და № 1101; სინ. № 87. მომგებელი მისი არსენი გოგოფაჲ, ეს იყო თანამედროვე წინამძღვრის გრიგოლისა, «რომელისა ლოცუითა და მოღუაწებითა მონასტერი გაუსაკუთრეთო» (A 1101).

[11] «ათონის კრებ.», გვ. 27.

[12] ხელნ. ინსტ. A 1101.

ბ უ ლ ი — «ეპისტოლე თუსისა მოწაფისა ნიკოლაჲს მიმართ». 15) კ ა ს ი ა ნ ე ჰ რ ო მ ა ე ლ ი — «თქმული რვათა მათ გულის სიტყუათათჳს ბოროტთა: ნაყროვნებისა და სიძვისა და ვეცხლის მოყუარებისა და რისხვისა და მწუხარებისა, მოწყინებისა და ცუდმზუაობრობისა და ამპარტავანებისათჳს [1]; ეს თხზულება რომ ექვთიმეს ნათარგმნია, დამოწმებულია მის ბიოგრაფიაშიც [2]. 16) «კითხვაჲ ძმისა ვისიმე ბერისა მიმართ თებაიდელისა; კითხვა: «ვითარ ჯერ არს დაყუდებაჲ სენაკსა შინა?» [3] 17) ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი: ა) «თითქა», წარმოადგენს კრებულს, რომელიც ქართულ თარგმანში შედგება ჰომილეტიკური, მორალური, ასკეტიკურ-მისტიკური და ეგზეგეტიკური ხასიათის 53 სტატიისაგან [4]; ამ კრებულის ცალკეული სტატია ჩვენ გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერშიაც [5]. S ფონდის ხელნ. № 376 ბოლოში აქვს მინაწერი, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ, როდესაც ეს თხზულება უთარგმნია ექვთიმეს [6] დავით კურაპალატის ბრძანებით, მისი პირის მოსატანად საქართველოდან ათონზე წასულა ვინმე იორდანე და მართლაც მოუტანია იგი. ბ) «თქუმული კაენის შჳდთა შურისგებათათჳს» [7]. 18) გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს: ა) «შემოსლვისათჳს წმიდათა მარხჳათაჲსა [8], ბ) «სწავლაჲ ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა» [9]. 19) ს ჳ მ ე ო ნ მ ე ს ო პ ო ტ ა მ ი ე ლ ი ს «სწავლაჲ სიკუდილისათჳს» [10]. 20) «წიგნი ცხორებისათჳს და მოქალაქობათა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა». ეს არის ასკეტიკური კრებული, ბერძნულ ენაზე Ἀνδρῶν ἁγίων βίβλοι-ის სახელით ცნობილი; შენახულა, სამწუხაროდ, დეფექტური სახით [11]. 21) დასასრულ, უნდა დავასახელოთ ერთი ასკეტიკური ხასიათის შრომა, რომელიც ექვთიმეს დაუწერია ბერძნულ ენაზე ბერძენი მოწაფისათვის და რომელიც მერე ქართულად უთარგმნიათ; ეს არის: «წესი, თუ ვითარ ჯერ არს ცხორებაჲ დაყუდებულისაჲ გინა მარტოდმყოფისაჲ». ის სამი ნაწილისაგან შედგება: ზოგადი ქცევა დაყუდებულისა, ლოცვა და სასმელ-საჭმელისათვს. ნაწარმოები შინაარსით საინტერესოა.

VI. ჰომილეტიკა. ამ დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: 1) გ რ ი გ ო ლ ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ს 17 ნაწარმოები, ამათგან 14 თ ქ უ მ უ ლ ი ან ს ი ტ ყ უ ა ა: აღსებისათვს და დაყოვნებისა პონტოდ, აღსებისათვს, ახალკვრიაკისათვს და სატფურებისა, ღვისა მეერგასისა ან მარტკლისათვს, წინადღესა ქრისტეშობისასა, შობისათვს მაცხოვრისა, ნათლისღებისათვს

[1] M i g n e, PL. I. 49.

[2] «ათონის კრებ.», გვ. 29.

[3] M i g n e, PG. 31, col. 653 — 870.

[4] A 100, 181, 394: S 376; ჯუარ. მონასტ., № 105; ათონის, № 44.

[5] მაგალ., 6—13 და 34 თ-კები მისი გვაქვს A 1101-ში ასეთი სათაურით: «სწავლანი წმიდისა ბასილისანი».

[6] 981 წელს ის უკვე თარგმნილი იყო (А. Ц а г а р е л и, Сведения, I, 82).

[7] ათონის «კრებ.», გვ. 29.

[8] A 50, 164—191.

[9] A 108, 292—304.

[10] A 1101, ფურც. 167—170.

[11] A 35.

დღესა განცხადებისასა, ნათლისღებისათჳს დღესა მეორესა, გრიგოლ ნოსელის მიმართ, 150 ეპისკოპოსთა მიმართ, წყლულებისათჳს სეტყჳსაგან მოწეულისა, გლახაკთ მოწყალებისათჳს, მამისა მიმართ თჳსისა და ერისა. სამი წარმოადგენს შესხმას ან ხოტბას ბასილ დიდისას, წმ. მაკაბელთა და ათანასე ალექსანდრიელისასა [1]. 2) გრიგოლ ნოსელისა: ა) «ცხოვრებისათჳს დისა თჳსისა მაკრინაჲსა» [2], ბ) «შესხმაჲ წმიდისა ბასილისი» [3], გ) «მარხვათათჳს» [4]. 3) იოანე დამასკელისა: «შობისათჳს წმიდისა ღმრთისმშობელისა» [5]. 4) ანდრია კრიტელისა: ა) «შესხმაჲ ნიკოლოზ საკჳრველთმოქმედისა და წმ. გიორგისა» [6], ბ) «თქუმული ამაოებისათჳს კაცობრიეთა საქმეთა და შესუენებულთათჳს», [7], გ) ამაღლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა: «ჯუარისა კრებასა აღჳსრულებთ» (ათონ. ხელნ. № 29 [ცაგარლით]. 20 [ბლეიკით] ფ. 184 — 187); აქ ნათქჳამია, რომ ეს ექვთიმეს თარგმანიაო (მიეწერება ბასილ კესარიელს). 5) ექვთიმეს უნდა ეკუთვნოდეს იოანე ოქროპირის «მარგალიტის» თარგმანიც; ყოველ შემთხვევაში, ამ თხზულების იმ ცალში, რომელიც პროფ. დ. ჩუბინაშჳილს ეკუთვნოდა, პირველი სტატია ექვთიმეს თარგმანია [8]. ამ კრებულის შინაარსი უმთავრესად ჰომილეტიკურია, თუმცა არის შიგ მორალურ-მისტიკური და ეგზეგეტიკური სტატიებიც. ასეთ კრებულებს წმიდა მამათა თხზულებებიდან უმთავრესად ექვთიმე ათონელი თარგმნიდა. ეფრემ მცირეც ადასტურებს, რომ ისეთი კრებულები, როგორიცაა მარგალიტი და ყუავილკრებული, ექვთიმეს თარგმანი არისო [9]. 6) თქუმული ჯუარცმისათჳს და დაფლვისა უფლისა გიორგი ნიკომიდიელისა (A 40, ფ. 282—333). 7) იოანე მმარხველისა — ტაძრადმიყვანებისათჳს ღვთისმშობელისა (H 1347, ფ. 125 — 137).

VII. ჰაგიოგრაფია. ამ დარგშიაც მეტად ბევრი უთარგმნია ექვთიმეს. ჯერ კიდევ ჰაპოკრიფულ თხზულებათა თარგმანების მიმოხილვისას დავინახეთ, რომ მას რამდენიმე ჰაპოკრიფულ-ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიც უთარგმნია, როგორც, მაგალითად, ცხოვრება ღვთისმშობლისა, მიმოსვლანი პეტრე მოციქულისა, იოანე მახარებლისა და ანდრია პირველწოდებულისა და ცხოვრება ბაგრატ ტავრომენიელისა. რაც შეეხება ექვთიმეს მიერ ნათარგმნ წმინდა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთ, ისინი ორ დარგად იყოფა. უმეტეს ნაწი-

---

[1] A 1, 16, 80, 87, 92, 178, 224, 518; S 383, 1696.

[2] A 55, 108, 142.

[3] A 108, 251—255, № 55, 54—58, № 394, 33—37; ათონ. № 73, 85—95.

[4] A 50, 164—191.

[5] გელ. № 4, 78—81; S 3648; А. Цагарели, Сведения, I, 57; «ათონ. კრებული», გვ. 28.

[6] A 140, 134, 161 (ნიკოლოზის); ათონ. 49 (ცაგარლით), ფ. 265—280 (გიორგისი).

[7] იერუს. ხელნ., № 2.

[8] А. Цагарели, Сведения, III, стр. 107.

[9] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 217. „მარგალიტი" თითქოს იოანე პეტრიწსაც უთარგმნია 1093 წელს, ერთი მისი ცალი, 1500 წელს გადაწერილი, ხელთ ჰქონია იოანე გვარამაძეს (ლიტერატურული გაზეთი, 1956 წ. № 36).

ლად მას უთარგმნია ძველი, კ ი მ ე ნ ი ს რედაქციის აგიოგრაფია, სულ 19 ნაწარმოები. აქედან მაჰის სიცოცხლეში 10: წამებაჲ და სასწაული წმ. მთავარმოწამისა დიმიტრისა, ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა სტეფანე ახლისა, ცხოვრება ბასილი დიდისა, ამფილოქე იკონიელის მიერ აღწერილი [1], ცხოვრება წმ. აკეფსიმაჲსი (ათონ. 21/54, ფ. 218—237), წამება წმიდათა მინა და ერმოგინესი, ცხოვრება ათანასე ათონელისა, წამება წმ. სამთა ყრმათა — ალფიოს, ფილადელფიოს და კვრინესი, ცხოვრება წმ. ონოფრე მძოვრისა, ცხოვრება და მოქალაქობა წმ. მაქსიმე აღმსარებლისა [2], ცხოვრება იოანე სინელისა, მაჰის სიკვდილის შემდეგ უთარგმნია 9: წამება წმ. ფებრონიაჲსა, წამება წმ. ანთიმოზისი, წამება წმ. ელასისი (ათონ. № 7/61, 20—26: დიდმან ამან დიდებულმან... 11 თებერ.), წამება წმიდისა თეოდორე სტრატილატისაჲ (გადმოთარგმნილია 1013 წ.), წამება წმ. თეოდორე პერგიელისა (იმავე წელს). წამება წმ. ევსტათისი და შვილთა მისთაჲ, წმ. მთავარანგელოზთა სასწაულნი, გერმანე კონსტანტინოპოლელის მიერ აღწერილნი [3], ცხოვრება გრიგოლ დიოღოღონისა, ჰრომთა პაპისა (1011 წ.) [4]. ამათ გარდა ექვთიმეს, ეფრემ მცირის ცნობით, უთარგმნია ს ვ ი მ ე ო ნ მ ე ტ ა ფ რ ა ს ტ ი ს ორი ნაწარმოები: 1) წამება წმ. კლემენტოს, ჰრომთა პაპისა [5], და 2) წამებაჲ წმ. მოწამისა პროკოპი დუქსისაჲ [6]; «ხოლო მოძღუარსა მას და ჩუენ ყოველთა მამასა და მნათობსა», ამბობს ამის შესახებ ეფრემი, «წმიდასა მამასა ეფთჳმის, ლოღოეტის შეკაზულთაგან კლემენტოსი ოდენ უთარგმნია და წმ. პროკოპისი, რამეთუ სხუათა წიგნთაგან უცალო იყო, რომელთა მიერ ფრიად განადიდა ნათესავი ჩუენიო» [7]. ეფრემს, ჩანს, არ ჰქონია სრული ცნობა ექვთიმეს მეტაფრასული შრომების შესახებ: დასახელებული ორის გარდა, მას უთარგმნია კიდევ შემდეგი მეტაფრასები: 3) წამებაჲ წმ. გიორგისი, «აღწერილი სვიმეონ ლოღოეტის მიერ, რომელი იკითხვების საბერძნეთის უმრაველესთა ეკლესიათა შინა, რამეთუ სიბრძნისათჳს იხუმევენ ამას, დასაწყისი: «ოდეს იგი კერპთმსახურებისა წყუდიადსა მოეცვა სოფელი» (ათონ. ხელნ. 990 წლისა № 79 [ბ ლ ე ი კ ი თ] და 72 [ც ა გ ა რ ლ ი თ], ფ. 98 — 128; BHG [2] 677). 4) მარიამ მეგვიპტელისა,

---

[1] იხ. A 1103, ფ. 118—130. ეს ც ხ ო ვ რ ე ბ ა განმეორებაა იმისა, რაც ჩვენ გვაქვს A 19, ფ. 266—306, არ არის მხოლოდ ბასილის სასწაულები, დანარჩენში შეცვლილია, გადასმული ან გამოტოვებული ზოგიერთი სიტყვა. ასე რომ, ეს ცხოვრება ან არ უნდა ეკუთვნოდეს ექვთიმეს. გიორგის ის მხოლოდ შეცდომით მიეკუთვნებია მისთვის, ანდა ექვთიმეს უმნიშვნელო ცვლილებით გადმოუკეთებია უკვე არსებული თარგმანი.

[2] K. K e k e l i d z e. Monumenta Hagiographica Georgica, t. I, p. 60—103.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში («ეტიუდები», II, 237—268).

[4] K. K e k e l i d z e. Monumenta Hagiographica Georgica, t. I, p. 125—132.

[5] H. M a r r, Агиографические материалы, I, 7.

[6] იწყება ასე: «მათ დღეთა შინა, ოდეს იგი დეოკლიტიანე და მაქსიმიანე იყვნეს მპყრობელ მეფობისა ჰრომთა...» (A 1103 და ბ ო დ ლ ე ს ი 117—241); ამის შესახებ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, II, 136—145.

[7] K. K e k e l i d z e, Monumenta Hagiographica Georgica, t. I, p. XVII.

სოფრონ იერუსალიმელის მიერ აღწერილი [1]. 5) ანტონი დიდისა [2]. 6) ევსტრატესი, ავქსენტისი, ევგენისი, ორესტისა და მარდარისა [3]. 7) კლიმი ანკვირელისა [4]. 8) ცხოვრება გრიგოლ ღვთისმეტყველისა, გრიგოლ ხუცის მიერ აღწერილი [5]. 9) ორთა ბევრთაჲ [6]. ასე რომ, მეტაფრასული რედაქციის პირველ წარმომადგენლად ჩვენს ლიტერატურაში ექვთიმე უნდა ჩაითვალოს. ექვთიმეს მიერ ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებათაგან ჯერჯერობით ხელნაწერებში არ ჩანს ცხოვრება და წამება ფებრონიასი და ათანასე ათონელისა. ექვთიმეს ქართულ აგიოგრაფიაშიც უნდა ემუშავნოს. როგორც ჩვენ უკვე გავარკვიეთ [7], ექვთიმეს უთარგმნია 991 წელს ბასილი ასკრიტის მიერ ბერძნულად აღწერილი და ჩვენამდე არ შენახული ენკომია ილარიონ ქართველისა, რომელიც მთარგმნელს გადაუკეთებია თავისებურად და ახალი მასალის შეტანით შეუვსია.

VIII. ლიტურგიკა. ამ მხრივ ექვთიმემ, 1) პირველ ყოვლისა, ყურადღება მიაქცია ათონის ივერიის მონასტრის დისციპლინარულ მხარეს და დაუდო მას გარკვეული წესი, რომელიც რეგლამენტაციას უკეთებს ბერ-მონაზონთა შინაურ სამონასტრო ცხოვრებას; ეს წესი შედგენილია საერთო სამონასტრო და უფრო კი მთაწმიდელთა პრაქტიკის მიხედვით, ის ექსცერპტულად მოუყვანია გიორგი მთაწმინდელს ექვთიმესა და იოანეს, ცხოვრებაში [8], მთლიანი, ცალკე ნუსხა მისი არ შენახულა. 2) დისციპლინარული წესის შემდეგ ექვთიმემ «დაუსხნა მონასტერსა თჳსსა საღმრთონი წესნი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჴნაქსარსა» [9]. მაგრამ ეს დიდი სჴნაქსარი მის დროს გადათარგმნილი არ ყოფილა, ექვთიმემ თარგმნა «სვინაქსარი საწელიწდოჲ, უმცროჲსი» [10]. «დაღაცათუ ეთარგმნა წმიდასა მამასა ეფთჳმეს სჴნაქსარი», ამბობს გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში, «გარნა ფრიად სულ მცირედ აღეწერა სხუათა წიგნთა თარგმანებისა უცალოებითა [11]. ეს «მცირე სჴნაქსარი» წარმოადგენს დიღა ეკლესიის, აია სოფიის, ტიპიკონის უძველეს რედაქციას, რომელსაც თთუენის

---

[1] A 1104, ფ. 25—87, № 272, ფ. 91—105, იერუს. № 2, ფ. 142—156, იერ. № 36, ფ. 62—77. თარგმნილია მამის, იოანეს სიცოცხლეში: «შემწე ეყავ მამასა იოანეს».

[2] A 79, 129, 689.

[3] გელ. № 5, ფ. 236—256, A 110, ფ. 114—126, ათონ. 2/53, ფ. 114—126.

[4] A 72, ფ. 677—748.

[5] A 1, ფ. 2 — 24.

[6] სინ. № 91, გელ. 5, A 90.

[7] ნაწყვეტები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე», I, გვ. 41—42. გამოცემულია ილარიონის ცხოვრება «ათონის კრებულში», გვ. 69—108; «სააქართველოს სამოთხეში», გვ. 371—392; ს. უბანეიშვილის «ქრესტომათიაში», I. 170—177.

[8] «ათონის კრებული», გვ. 35—52; К. Кекелидзе, Грузинские литургические памятники в отечественных книгохранилищах, стр. 375—483.

[9] «ათონის კრებ.», გვ. 35.

[10] იქვე, გვ. 28.

[11] იქვე, გვ. 297—298.

ნაწილის დალაგებაში იერუსალიმის ტიპიკონის გავლენა ეტყობა[1]. 3) ბიოგრაფიის ცნობით, ექვთიმეს უთარგმნია «დასდებელნი მარხვათანი სრულიად», ესე იგი ახლანდელი საღვთისმსახურო წიგნის მ ა რ ხ ვ ა ნ ი ს მსგავსი რამ; ამ წიგნში იქნებოდა მოთავსებული, რასაკვირველია, ანდრია კრიტელის დ ი დ ი კ ა ნ ო ნ ი, რომლის შესახებ დავით აღმაშენებლის თანამედროვე არსენ ბერი ამბობს, რომ ექვთიმემ ძალზე შეამოკლა ანდრიას დ ი დ ი კ ა ნ ო ნ ი, მან გამოტოვა ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ნ ი, ესე იგი ალეგორიები საღმრთო წერილისა, და მათ ნაცვლად შეიტანა შიგ საგალობელნი სინანულისანი, ვინაიდან ის უფრო ზრუნავდა სარგებელისათვის სულისა, ვიდრე წიგნის ძალის სავსებით გადმოცემაზეო[2]. 4) უთარგმნია მას აგრეთვე «მრავალთა წმიდათა გ ა ლობანი»[3]; აქ შეიძლება იგულისხმებოდეს, სხვათა შორის, ს ე კ ე ნ ბ რ ი ს თ თ უ ე ნ ი, რომელიც, გიორგი მცირის სიტყვით, ექვთიმეს «თჳთო გალობითა ეთარგმნა» და რომელიც მერე გიორგი მთაწმიდელმა «ს რ უ ლ ყ ო»[4]. 5) ექვთიმეს ერთ-ერთ მსხვილ და საყურადღებო ლიტურგიკულ შრომად უნდა ჩაითვალოს კ ურთხევანის გადმოღება. სამწუხაროდ, მთლიანი რედაქცია ამ შრომისა ჩვენამდე არ შენახულა, .ყოველ შემთხვევაში, ჯერ მიგნებული არაა. ამ წიგნიდან ჩვენამდე მოუღწევია შემდეგ სტატიებს სხვადასხვა კრებულსა და ხელნაწერში: ა) სქემის კურთხევაჲ ბერძული და მონაზონის კურთხევაჲ[5]; აქ სტატიას ხელნაწერებში ასეთი სათაური აქვს: «განგებაჲ მათ ზედა, რომელთა მოაქუნდეს დიდი სქემაჲ[6], ანდა — «კურთხევაჲ მონაზონისაჲ ბერძული, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი კესარიელისაჲ[7]. ეს წესი საყურადღებოა თავისი ვარიანტებით ბერძნულ დედანთან შედარებით[8]. ბ) «ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლეს შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, ოდესცა ესე წარიკითხეს სოფია-წმიდას პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასაჲ»[9]; აქ ჩვენ გვაქვს «მართლმადიდებლობის კვირიაკის სინოდიკი», რომელიც გამოცემულია აკად. თ. უ ს პ ე ნ ს კ ი ს მიერ[10]. ქართული რედაქცია არის უძველესი, რომელსაც ეს სინოდიკი პირვანდელი, გაუვრცობელი, სახით შეუნახავს, იმ სახით, როგორიც მას ჰქონდა მეათე საუკუნის გასულს, როდესაც ქართულად ითარგმნა ის. გ) «თქუმული წმიდისა ბასილი კესარიელი მთავარ-

[1] მ ც ი რ ე ს ჳ ი ნ ა ქ ს ა რ ი ე ექვთიმე ათონელისა დაწერილებით ვგაქვს განხილული და შესწავლილი ჩვენ გამოცემაში — Иерусалимский Канонарь VII в. (грузинская версия), стр. 297—310.

[2] Н. Марр, Исторический очерк грузин. церкви с древнейших времен, «Церковные Ведомости», 1907 г., № 3, прилож. 141.

[3] «ათონის კრებ.», გვ. 29.

[4] იქვე, გვ. 298.

[5] იქვე, გვ. 29.

[6] К. Кекелидзе, Литургич. грузин. памятники, стр. 43—46.

[7] იქვე, გვ. 62—69.

[8] იქვე, გვ. 451—456.

[9] იქვე, გვ. 33—36.

[10] «Синодик в неделю православия», Одесса, 1893 г.

ებისკოპოზისაჲ მარტკლიისა მწუხრისათჳს»[1], რომელიც ექვთიმეს ბიოგრაფიაში აღნიშნულია ასე: «ლოცვანი წმიდისა მარტკლიისანი»[2]. ეს არის წესი, რომელიც აღსრულება სულის წმიდის მოსვლის დღეს წირვის შემდეგ. ექვთიმეს რედაქცია უძველესი რედაქციაა, რომელიც ახლოს დგას ეგრეთ წოდებული ბარბარინისა და კრიპტოფერატის ბერძნულ ნუსხებთან[3]. დ) «წესი და განგებაჲ სატფურებისაჲ, რომელი არს კურთხეუაჲ წმიდისა ეკლესიისაჲ, რომელი თარგმნა იოანთა ენისაგან ნეტარმა ეფთჳმემ»[4]; ეს წესი უახლოვდება იმ ბერძნულ რედაქციას, რომელიც გამოცემულია Coar-ის მიერ[5]. ე) «კურთხეუაჲ წიგნის მკითხველისა და ფსალტისაჲ, კერძოდიაკონისაჲ, მთავარდიაკონისაჲ, ხუცობისაჲ და ეპიზკოპოსისაჲ»[6], რომლებიც შეიცავს ჭიროტონია-ქიროტესიის წესების საკმაოდ არქაულ რედაქციებს. ვ) სხვადასხვა მწუალებელთა მართლმადიდებლობით ეკლესიაში მიღების ან შემოერთების წესი, მეტად მოკლე მარტივი[7]. ზ) დასასრულ, ექვთიმეს უნდა ეთარგმნოს ყოველდღიურ შ ე დ ე გ თ ა და გ ა ნ გ ე ბ ა თ ა წიგნი, რომლებიც საღვთისმსახურო პრაქტიკაში ცნობილია ჟ ა მ ნ ი ს სახელით. მართალია, ჩვენამდე არ შენახულა ასეთი წიგნი, მაგრამ, ეჩვს გარეშეა, მის შინაარსს შეადგენდა, სხვათა შორის, ლიტურგიკული სტატიები, რომელთაც ექვთიმეს სახელით მოუღწევიათ ჩვენამდე. ასე, მაგალითად, მის ბიოგრაფიაში აღნიშნულია: ა) «შუაღამისანი ბერძულნი» და ბ) «ლოცვანი ბერძულნი მამისანი»[8]; პირველი გულისხმობს ეგრეთ წოდებულ Ακολουθια του μεσονυκτικου-ს, ანუ ქართულად «შუაღამის ჟამნს», ხოლო მეორე—სხვა ჟამნებს: პირველს, მესამეს, მეექვსესა და მეცხრეს. თ) ხელნაწერებში გვხვდება ჩვენ შვიდეულის «საეფდრებელნი ლოცვანი» იოანე დამასკელისა, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს უთარგმნია. ესენია: «დღესა სამშაბათსა—საეფდრებელი წმიდისა ნათლისმცემლისა და წინასწარმეტყუელთაჲ», «დღესა ოთხშაბათსა — შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობლისაჲ და ეფდრებაჲ», «დღესა ხუთშაბათსა — შესხმაჲ წმიდათა მოციქულთაჲ და ეფდრებაჲ», «დღესა პარასკევსა—ეფდრებაჲ ჯუარისაჲ», «დღესა შაბათსა საეფდრებელი წმიდათა მოციქულთაჲ და მამათაჲ». ესენი ამოღებული უნდა იყოს იოანე დამასკელის ოქტოიხოსიდან ან, უკეთ, პარაკლიტონიდან[9]. ი) ექვთიმეს ლიტურგიკულ დარგში ორიგინალური შრომაც დაუწერია. ეს არის ერთი გრძელი ლოცვა, რომელიც იწყება ასე: «უფალო ღმერთო ჩემო, სახიერო და მრავალმოწყალეო...» (საქ. ცენტრარქივის ხელნ. № 321, გვ. 121—124). შინაარსითა და

---

[1] К. Кекелидзе, Литург. груз. памятники, стр. 36—37.

[2] «ათონის კრებ.», გვ. 29.

[3] К. Кекелидзе, Литург. груз. памятники, стр. 465—466.

[4] იქვე, გვ. 37—41.

[5] Ενχολογια, p. 656 — 663.

[6] К. Кекелидзе, Литургич. грузин. памятники, стр. 40—42.

[7] იქვე, გვ. 46—48.

[8] «ათონის კრებ.», გვ. 29.

[9] К Кекелидзе, Грузинская версия арабского Жития Иоанна Дамаскина, «Христ. Восток», т. III, вып. 2, стр. 136.

ფორმით ის მეტად მდიდარია, ი"შეიათად მოიძებნება მეორე «ლოცვა», რომელიც აღსავსე იყოს ისეთი ღრმა გრძნობით, ფსიქოლოგიური განცდებით, მოხდენილი სახეებითა და შედარებებით, მჟევრმეტყველურად გამოთქმული აზრებით, როგორც ეს ლოცვაა. ხელნაწერებში ის ძალიან დამახინჯებულია, იქამდე, რომ ზოგიერთში ბასილ დიდსაც კი მიეწერება (ბასილს ამგვარი არაფერი აქვს).

IX. საეკლესიო სამართალი. ცხოვრებაში ექვთიმეს მიერ თარგმნილ შრომათა შორის ნაჩვენებია კანონნი[1]. ჩვენ გვგონია, რომ ამ სიტყვით აღნიშნულია საეკლესიო სამართლის ძეგლები, საეკლესიო კანონები, რომელნიც მას უთარგმნია საეკლესიო ცხოვრების მოსაწესრიგებლად. მართლაც, ექვთიმეს გადმოუღია შემდეგი ამგვარი ძეგლები:

1) «კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კონსტანტინოპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდა». ეს თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება: ა) კანონარი იოანე ბერისა და დიაკონისა, რომელსა შვილი მორჩილებისა ეწოდა, და ბ) კანონნი იოანე მმარხველისა, რომელსაც დართული აქვს, გ) კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი ბასილი დიდისა[2].

2) ამ შრომასთან ერთად ექვთიმეს უთარგმნია «მცირე რჩულის კანონი მეექუსისა კრებისაჲ», რომელშიაც მთარგმნელს თავისებურად დაულაგებია მეექვსე კრების კანონები და ისეთი მასალა შეუტანია შიგ, რაც ბერძნულ ტექსტში არ მოიპოვება. კანონებს თან დართული აქვს მეექვსე მსოფლიო კრების აქტები[3], რომლებშიაც შემოკლებით მოთხრობილია მეექვსე მსოფლიო კრების ისტორია. ამ ნაწილის მიმატება გამოუწვევია, ალბათ, იმ გარემოებას, რომ საზოგადოდ მსოფლიო კრებათა აქტები ქართულად თარგმნილი არ ყოფილა[4]. ეს ორი შრომა ექვთიმეს უთარგმნია მამის სიკვდილის შემდეგ. იგი თვით აღნიშნავს მათ ხასიათს, როდესაც ის მათ შემოკრებულს უწოდებს. აი მისი სიტყვები: «ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ეფთჳმე, თარგმანებად ბერძულისაგან მცირესა ამას რჩულის კანონსა, წჳდისა მის მეექუსისა კრებისა მიერ აღწერილსა და ყოველად ნეტარისა იოანე მმარხველისა მიერ კონსტანტინოპოლელისა მთავარეპისკოპოსისა განწესებულსა სასწავლებელად და სარგებელად სულისა, რომელნიცა იკითხვიდენ წინამძღუარნი და მოძღუარნი ეკლესიათანი, რამეთუ ყოველივე პირი და სახე სხუათა მათ პირველთა მამათა მიერ აღწე-

[1] «ათონის კრებ.» გე. 29.

[2] ეს უკანასკნელი ცალკეც გვხვდება ხშირად ხელნაწერებში, იხ., მაგალითად, A ფონდის ხელნ. № 404, 204—209. ქართული ტექსტი ამ თხზულებისა და მასთან ერთად პარალელურად ბერძნულ-სლავური გამოცემულია პროფ. ნ. ზაოზერსკისა და ა. ხახანაშვილის მიერ: Номоканон Иоанна Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской, Москва; 1902 г. ქართული ტექსტი, რომელიც თავისებურსა და, ბერძნულ-სლავურთან შედარებით, საყურადღებო რედაქციას წარმოადგენს, მეტად დამახინჯებულია ამ გამოცემაში და მისი რუსული თარგმანი უმეტეს ნაწილად მიუღებელია.

[3] Mansi, Conciliorum amplissima collectio, XI, 632C—640B, 656A—C, 657 C—D.

[4] ეს «რჩულის კანონიც» ალ. ხახანაშვილის მიერაა გამოცემული, იხ. Правила VI всел. собора, «Древности Восточные», т. II, вып. 3, Москва, 1903 г.

რილისა რჩულის-კანონისაჲ აქა შემოკრებულ არს და კეთილად განმარტებული»[1]. როგორც ანალიზიდან ჩანს, ამ შრომათა შინაარსი, მართლაც რომ სხვადასხვა კანონიკური კრებულიდან შეუზავებია ექვთიმეს, თანახმად მისი ლიტერატურული ჩვეულებისა.

3) მეცამეტე საუკუნის ერთ-ერთ კანონიკურ კრებულში[2] მოთავსებულია «მცნებაჲ და განგებაჲ მსოფლიოთა ხუცესთაჲ ბერძული, რომელი გარდამოსცა ქართულად დიდმა ეფთჳმი»; ეს კრებული შეიცავდა, ალბათ, დარიგებას მრევლის სამღვდელოებისათვის მწყემსობრივი მოვალეობის კანონიერად და ჯეროვნად შესრულების შესახებ.

4) იმავე კრებულში მოთავსებული ყოფილა ექვთიმეს კანონიკურ-ლიტურგიკული შრომა რომელშიაც განმარტებულია დისციპლინარული ხასიათის სხვადასხვა საკითხი, როგორც, მაგალითად, აკრძალულ წიგნთა შესახებ, მარხვათა, მუხლისდრეკის, სულიერი მოძღვრის, სქემის კურთხევის, ცოცხალთათვის ჟამისწირვის, სამონასტრო დეკანოზისა და სხვათა შესახებ. ეს დოკუმენტი გამოცემულია ორჯერ: მ. საბინინისა[3] და თ. ჟორდანიას[4] მიერ. საბინინის გამოცემას საფუძვლად უძევს ნიკოლოზ თბილელის მიერ არჩილ მეფისაგან რუსეთში გატანილი კურთხევანიდან გადაწერილი ნუსხა, ხოლო ჟორდანიას გამოცემას — ზემოაღნიშნული XIII ს. კრებული. საბინინის გამოცემა უფრო ვრცელია და ალაგ-ალაგ კარგად შენახულა მეორესთან შედარებით. ამ დოკუმენტში აღძრული საკითხების განმარტება ექვთიმესათვის უთხოვნია ჰყონდიდიდან გიორგი შეყენებულს. ექვთიმეს პასუხში ისმის გამოძახილი, განსაკუთრებით, სტოდიელთა დისციპლინური პრაქტიკისა, რომელსაც რამდენადმე ადგილი ჰქონდა ათონის მონასტერშიც. ამ მხრივ ეს დოკუმენტი ყურადღების ღირსია არა მარტო ძველი ქართული პრაქტიკის შესასწავლად, არამედ სტოდიელთა ტიპიკონისაც, რომელიც მთლიანი თავისი სახით ჯერჯერობით კიდევ საძებარია მეცნიერებისათვის.

ექვთიმე ათონელი თავისი ლიტერატურული საქმიანობით ორი პერიოდის მიჯნაზე დგას: პირველისა და მეორის. ამით აიხსნება, რომ მისი მემკვიდრეობა მატარებელია როგორც ძველი ტრადიციებისა, ისე ახალი ტენდენციებისა. ის უფრო მთარგმნელია, მაგრამ თავისებური: სათარგმნელი მასალის შერჩევისას და თარგმნის პროცესში მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა ინტელექტუალური მოთხოვნილებანი და განვითარების დონე თავისი თანამემამულეებისა, ამიტომ სათარგმნელ დედნებს ის ან უმატებდა, ან აკლებდა რამეს. ასე რომ, თითქმის არც ერთ მის მიერ ნათარგმნ თხზულებაში დედანი უცვლელად მოცემული არაა. თავის თარგმანებში ის იძლეოდა ახალ რედაქციას ამა თუ იმ თხზულებისას. ამდენად უცხო ძეგლები მის მიერ, შეიძლება ითქვას, გაქართუ-

[1] Заозерский и Хаханов, стр. 94.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 82—83; დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 258—259.

[3] «საქართველოს სამოთხე», გვ. 432—436.

[4] «ქრონიკები», II, 83—87.

ლებულია. როგორც უნდა იყოს, მან, როგორც ბიზანტიელთა შორის კარგად ცნობილმა და დიდად პოპულარულმა მოღვაწემ, ცხადად დაანახა ბერძნებს შემოქმედებითი უნარი ქართველებისა, დონე და დიაპაზონი ქართული კულტურისა და ის საპატიო ადგილი, რომელიც მის სამშობლოს მოპოვებული ჰქონდა მოწინავე ქრისტიან ერთა შორის.

29. გიორგი მთაწმიდელი

გიორგი მთაწმიდელს, ივერიის მონასტრის წინამძღვარს, ჩვენი მწერლობის ისტორიაში ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორიც ექვთიმე ათონელს, რომლის ტრადიციებს ის ბეჯითად იცავდა და აგრძელებდა. ამას ნათელყოფს მისი ბიოგრაფიც, როდესაც შენიშნავს: «ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ესევითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა, სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვგონებ თუ არცა გამოჩინებად არს» («ათონის კრებ.», გვ. 309). გიორგის ბიოგრაფია დაუწერია მის მოწაფეს, ათონისავე მოღვაწეს, გიორგი მცირეს[1]. უკანასკნელი განუშორებლივ თავის მოძღვართან იყო, ემსახურებოდა მას და დაწერილებით იცოდა მისი თავგადასავალი; თან ზოგიერთი ცნობა მისთვის მიუწოდებია გიორგის მოძღვარს ანტიოქიაში, გიორგი შეყენებულს. ამ ბიოგრაფიით, გიორგის სამშობლო იყო თრიალეთი, მის მამას ერქვა იაკობი, ხოლო დედას მარიამი. მათი შეუღლება ასე მომხდარა: «იაკობ იყო ერთგულთაგანი და საკუთართა ღმრთისმსახურისა მეფისა გიორგისთა და საქმისა რომელისათჳსმე საერთგულოჲსა მოციქულად წარიელინა მეფისა მიერ სპარსეთს» (გვ. 285). მოგზაურობისას იაკობი გაჩერებულა ერთ კეთილმსახურსა და ღვთისმოშიშ ოჯახში, სადაც გაუცვნია მეტად ღვთისნიერი და «შუენიერი ხატითა» ქალი, რომელიც მოსწონებია მას, მშობლებისაგან გამოუთხოვია და, სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, შეურთავს კიდეც. იაკობსა და მარიამს ექვსი შვილი მისცემიათ: სამი ქალი და სამი ვაჟი. უფროსი შვილი იყო ქალი, რომელსაც თ ე კ ლ ა უწოდეს, და, შვიდი წლის რომ შეიქნა «წარიყვანეს მონასტერსა სადედოსა სამცხეს, რომელსა ტაძრისი ეწოდებაჲ». აქ ის მიაბარეს მონასტრის წინამძღვარს — საბიანას. მეორე შვილი ვაჟი იყო, სახელით თ ე ვ დ ო რ ე; ხოლო მესამე, რომლის დაბადება მარიამს სიზმარში ეუწყა, იყო გ ი ო რ გ ი. თანახმად აღთქმისა და სიზმარში მიღებული ბრძანებისა, მშობლებმა ის განუკუთვნეს ღმერთს სამონასტრო სამსახურისათვის. ამიტომ, როდესაც გიორგი შვიდი წლის შეიქნა, ის მიიყვანეს იმავე ტაძრისის დედათა მონასტერში, სადაც იზრდებოდა მისი დი. აქ გიორგიმ დაყო სამი წელიწადი და, ათი წლის რომ გახდა, გადავიდა ხახულის მონასტერში, სადაც ამ დროს მოღვაწეობდნენ მისი ბიძები (მამის

[1] მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 437—483; «ათონის კრებ.», გვ. 279—351. ბერძნულ ენაზე გიორგის «ცხოვრება» მოთავსებული ყოფილა ათონის ივერიის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერში № 453 (S. L a m p r o s, Catalogue of the Greek Manuscripts on Mount- Athos, vol. II, Cambridge, 1900, გვ. 147).

ძმები) გიორგი მწერალი, «რომელი ყოფილიყო მწერალთა ზედა მთავრად კურაპალატისათა, და საბა, კაცი წრფელი და უმანკო (გვ. 288). ძმების წინადადებით, მიიყვანა თუ არა იაკობმა ათი წლის გიორგი ხახულში, ბიძებმა ის მიჰგვარეს ლოცვა-კურთხევის მისაღებად ხახულის მაშინდელ წინამძღვარს მაკარის და იქაურ მოღვაწეთ, — «ღმერთშემოსილ ანტონის და ჯიდსა მას ბასილის, ბაგრატის [მესამის] ძესა, რომელი-იგი მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაჲ» (გვ. 289). აღსაზრდელად და გასაწრთვნელად ბიძებმა ის მიაბარეს ილარიონ თუალელს, ესე იგი თუალის მონასტრის (ანტიოქიის მახლობლად) მოღვაწეს, რომელიც ამ დროს ხახულში ყოფილა დამკვიდრებული და რომელიც «ვითარცა მთიები ბრწყინვიდა კრებულსა შორის მამათასა». აქ მან გამოიჩინა განსაცვიფრებელი ნიჭი და გულმოდგინება, «გულად იხუნა ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუელისა და ახლისა სჯულისანი, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა». ხახულის მონასტერში. როგორც შემდგომი ფაქტებიდან მეღავნდება, გიორგი დიდხანს არ დარჩენილა. დაბა ტვარწატაფს ცხოვრობდა დიდებული ფერსოს ჯოჯიკისძე, რომელსაც ცოლად ჰყოლია ბაგრატ მესამის ქალი, დაი ზემოდასახელებული ბასილი მოღვაწისა და გიორგი პირველისა. როგორც ღვთისნიერ ადამიანს, ცოლ-ქმარს განუზრახავთ გონიერისა და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ბერის მიპატიჟება მასწავლებლად, უწესოების დამაყენებლად და სულიერისა და ხორციელის ცხოვრების საქმეთა გამგედ. მათი არჩევანი ხახულის მოღვაწე გიორგი მწერალზე შეჩერებულა. გიორგის წინადადება მიუღია და გადასახლებულა ფერსოს ოჯახში, სადაც პატარა გიორგიც მიუყვანია, როგორც კარგი მკითხველი და კანანახი. თუმცა ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ აქ «დაყვეს მრავალი ჟამი კეთილსა და ღმრთისა სათნოსა ცხოვრებასა შინაო» (გვ. 290), მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, ეს «მრავალი ჟამი» ერთ წელიწადს არ აღემატებოდა. ამ დროს «რისხვითა ბასილი მეფისაჲთა ფერსოსს თავი წარკუეთეს, რამეთუ განდგომილებაჲ დასწამეს». ფერსოს ქვრივი «ერითურთ თჳსით», მათ შორის გიორგი მწერლითა და პატარა გიორგით, «ბრძანებითა სამეფოჲთა» კონსტანტინოპოლს წაუყვანიათ. აქ ფერსოს ქვრივმა და გიორგი მწერალმა პატარა გიორგი «მისცეს სასწავლოდ კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორითაევე ცხორებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა». კონსტანტინოპოლში გიორგი სწავლობდა 12 წელიწადს, სანამ აქ ფერსოს ქვრივი იმყოფებოდა. გონების სიმახვილითა და ბეჯითობით გიორგის გაკვირვებაში მოჰყავდა ყველანი, კერძოდ, თავისი ამხანაგები — ბერძნები. აი, სწორედ აქ, ამ დროს გიორგიმ ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა, რითაც მან ასეთი ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის წარმატებას. თორმეტი წლის შემდეგ ფერსოს ქვრივი, მთელი თავისი ამალით, კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში, ტვარწატაფს, დაბრუნდა. გიორგი მწერალი აქვე დარჩა და თავისთან მიიწვია თავისი ძმა, გიორგის მამა, იაკობი, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო; ხოლო ახალგაზრდა გიორგი წავიდა

ისევ ხახულს, თავის მეორე ბიძა საბასთან, და ილარიონ თუალელის მიერ ბერად აღიკვეცა. ამ დროს ის 25 წლის იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგიმ განიზრახა იერუსალიმის მოლოცვა, ადგა და ჩუმად გაიპარა იქ: გზაზე მან შეუხვია შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტერში, და აქ «ნაპრალსა შინა კლდისასა» პოვა ერთი ქართველი ბერი, გიორგი შეყენებული[1], რომელსაც ის დაემოწაფა. გიორგი შეყენებულმა შეამჩნია ტალანტი, რომლითაც გიორგი დაჯილდოებული იყო — ნიჭი და ზედმიწევნითი ცოდნა ბერძნული ენისა. მან შეიგნო, რა სარგებლობის მოტანა შეეძლო გიორგის მშობლიური ეკლესიისათვის სამწერლო ასპარეზზე, ამიტომ ჯერჯერობით ის თავისთან დაიტოვა და რომანოზ მიდას მონასტერში დაამკვიდრა. სადაც ის სამ წელიწადს მოღვაწეობდა. ოცდაათი წლის რომ შეიქნა, გიორგიმ სქემა შეიმოსა და, თავისი მოძღვრის ნებართვით, იერუსალიმს გაემგზავრა. გიორგიმ მოილოცა წმინდა ადგილები, სადაც დაყო ჟამი მცირედი, და მერე უკანვე, შავ მთაზე, მობრუნდა თავის მოძღვართან. მოძღვარმა მას წინადადება მისცა ხელი მიეყო წიგნების თარგმნისათვის; თუმცა გიორგი წინააღმდეგი იყო ამისი, ვინაიდან თავის თავს ღირსად არ თვლიდა ამ წმინდა საქმისათვის, მაგრამ ბოლოს დაუთმო მოძღვარს და წარმოემართა «მთაწმიდას», იერიის მონასტერში, სადაც ამ დროს გაჩაღებული იყო ლიტერატურული მუ-

[1] გიორგი შეყენებულს თეალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მწერლობის ისტორიაში, მართალია, ის არ იყო ფილოსოფოსი (ანტონ კათოლიკოსის «წყობილსიტყვაობა», სტრ. 721) ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. მართალია, ის «ჯდა მახლობელად მონასტერსა წმიდისა სვიმეონ საკვირველთმოქმედისასა», სადაც ის «ნაპრალსა შინა კლდისასა» განმარტოვებულად დაყუდებულთა ცხოვრებას ატარებდა, — მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში ძლიერი ყოფილა ლიტერატურული ტრადიციები და მიდრეკილება, რის გამო მას მტკიცე კავშირი ჰქონია ქართველ მოღვაწეებთან ათონის მთაზე, საიდანაც, მისი სიტყვით, «სახიერმან და კაცთმოყუარემან ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი სიღმრთოებათა წიგნითა განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანნი ახლად შეამკენა». 1) მან, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული მოღვაწეობის გზაზე დააყენა გიორგი მთაწმიდელი. უეჭველად, შეიძლება, ჩვენ არ გვეყოლოდა ის გიორგი, რომელიც ჩვენი მწერლობის ისტორიამ იცის. «არცა სისაწყლე ჩემი უგულებელსყო ტბილმან და მრავალმოწყალემან ღმერთმან», შენიშნავს ის, «თქუენ ყოველთა მადლითა და შეწევნითა», სწერს ის ათონელებს, «არა დამიტევა სურვილიე და უნაწილოდ მაგათ საღმრთოთა წერილთაგან... არამედ ძმასა ჩუენსა გიორგი დეკანოზსაცა აღუღო პირითა». ამით ის ხაზს უსვამს თავის წვლილს გიორგის ლიტერატურულ სვე-ბედში. 2) იმან მისცა იდეა და ორგზითი წერილის მიწერით თითქმის აიძულა გიორგის შეგარდი, გიორგი მცირე, დაეწერა თავისი მოძღვრის ბიოგრაფია, რისთვისაც მას საჭირო მასალა მისცა. 3) მას თავისი წვლილიც შეუტანია ჩვენ მწერლობაში, ყოველ შემთხვევაში, სხვისი შრომების გადაწერით. მას გადაუწერია, მაგალითად, გიორგი მთაწმიდლის დეკანოზობაში (1042—1044 წწ.) დავით ტბელის ან მტბევარის მიერ ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ცხოვრება სვიმეონ საკვირველთმოქმედის დედის, მართასი, და ავრთვე წმიდისა ბარლაამ სიროკაჟაიელისა, რომელნიც მას მიუძღვნია ათონელ ქართველებისათვის, ვინაიდან ძას გაეგო, რომ აღნიშნული ცხოვრებანი «მთაწმიდას არა არს» (ანდერძი გიორგი დაყუდებულისა გამოცემულია აგრ. ნ. მარის მიერ, თუმცა მან არ იცის, რომ გადამწერი გიორგი არის გიორგი დაყუდებული: «Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера», I, 45—46). გარდაცვლილა გიორგი დაყუდებული, პლატონ იოსელიანის ცნობით («წყობილსიტყვაობა», შენიშვნა 131), რომელსაც იზიარებს ნ. მარიც («Иоанн Петрицкий», стр. 57), 1068 წელს, ესე იგი თავისი მოწაფის, გიორგი მთაწმიდლის, გარდაცვალების შემდეგ.

შაობა. მთაწმიდის ქართველებმა ის დიდი სიხარულითა და პატივით მიიღეს, მაგრამ გიორგიმ პატივს უპატიობა არჩია და რამდენიმე წლის განმავლობაში უკანასკნელი მოსამსახურისა და მორჩილის საქმეს ასრულებდა მონასტერში. გიორგი თავის მოძღვრის დავალებაზე იმდენად არ ზრუნავდა, რამდენადაც მონასტრის შეურაცხ სამსახურზე. ეს რომ გიორგი შეყენებულმა ჭაიგო, გაგზავნა ათონზე თავისი მოწაფე თეოდორე და «დიდი მდურვა მოუწყინა გიორგის არღა აღსრულებისათჳს ნებისა მისისა» (გვ. 297). ახლა კი გადაწყვიტა გიორგიმ უფრო ბეჯითად შედგომოდა დავალებულ საქმეს და ამისთვის წინასწარ, თანახმად თავისი მოძღვრისა და ათონელთა სურვილისა, მღვდლობის ხარისხი მიიღო. კურთხევის შემდეგ ის დაუყოვნებლივ «განიწესა მთავრად ეკლესიისა, უხუცესად მღვდელთა და მგალობელთა დაიდგინა» (გვ. 297), ესე იგი არჩეულ იქნა დეკანოზად, და სპეციალურად წიგნების თარგმნას შეუდგა. მაგრამ აქ სხვა დაბრკოლება აღმოჩნდა: რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც წინამძღვრის ადგილი განთავისუფლდა, გიორგი, მისი სურვილის წინააღმდეგ, წინამძღვრად აირჩიეს. ახლა ის შეუდგა სამონასტრო საქმიანობას. პირველ ყოვლისა, გადმოასვენა დიდ ეკლესიაში ექვთიმეს, არსენ ნინოწმიდელისა და იოანე გრძელიძის ნაწილნი. ვინაიდან მონასტერს სახუროაი გასცეეთოდა და წვიმა ჩასდიოდა, ისე რომ მხატვრობაც კი წაშლილიყო, გიორგი წავიდა კონსტანტინოპოლს და იმპერატორ კონსტანტინე მონომახს ტყვია გამოსთხოვა. ტყვიასთან ერთად სხვაც ბევრი წყალობა მიიღო მან მაშინ იმპერატორისაგან. ამ მგზავრობისას კონსტანტინოპოლში გიორგიმ ინახულა საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე და დედამისი მარიამი, რომელიც «ეკურთხა მის მიერ სქემითა» (გვ. 303). ამათგანაც და მათ ამალაში მყოფ ქართველებისაგან მან ბევრი სიმდიდრე მოუპოვა მონასტერს. ბაგრატ მეფემ გიორგის ჰყონდიდის საყდარიც კი შეაძლია, მაგრამ გიორგიმ კატეგორიულად უარი განაცხადა. ამის შემდეგაც, ჩანს, გიორგის არაერთხელ მოხდომია სამონასტრო საქმეების გამო ყოფნა კონსტანტინოპოლში. სხვათა შორის, მას ჩვენ აქ ვხედავთ, როდესაც ბაგრატის ასული მართა კონსტანტინოპოლს შემოიყვანეს, თეოდორა იმპერატრიცას აღსრულების წელს (30 აგვისტოს 1056 წ.). სამონასტრო ზრუნვამ გიორგი სულ ერთიანად შთანთქა, სხვა საქმისათვის მას თავისუფალი დრო აღარ რჩებოდა; «მაშინ გულისხმაყო და განიზრახა ღმრთისამიერითა განგებითა, ვითარმედ ღმრთივმინიჭებული იგი ტალანტი არა აღორძინდებოდა, რომელ არს ღმრთივსულიერთა წიგნთა თარგმნაჲ, იჯმნა წინამძღურობისაგან, შენდობა ითხოვა ძმათა ყოველთაგან» (გვ. 307), დაუტოვა მათ ყველა, დეკანოზობაში თუ წინამძღვრობაში, ნათარგმნი წიგნი, მოვიდა კონსტანტინოპოლს, ჯერ კიდევ აქ მყოფი მარიამის, ბაგრატის დედის, დახმარებით იმპერატორისაგან ნებართვა აიღო და შავ მთაზე წავიდა, სადაც წიგნების თარგმნას შეუდგა. მალე ანტიოქიაში მოვიდა მარიამი, რომელსაც განზრახული ჰქონდა იერუსალიმის მიმოსვლა და მოლოცვა. მაგრამ, ვინაიდან ეს, სხვადასხვა მიზეზისა და მოსაზრების გამო, უხერხული აღმოჩნდა, თავის მაგიერ იქ გიორგი გაგზავნა, მდიდარი შეწირულებით ქართველთა ჯვარის მონასტრის ამშენებლის პროხორესა და პალესტინის

სხვა მონასტრებისა და წმიდა ადგილებისათვის. იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი უფრო ბეჯითად შეუდგა წიგნების თარგმნას, რითაც მან ყურადღება დაიმსახურა თვით ანტიოქიის პატრიარქებისაც კი, როგორც, მაგალითად, პეტრესი (1053—1057 წწ.) [1] და თეოდოსისა (1057—1076 წწ.). უკანასკნელთან მას ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის შესახებ ცხარე კამათიც კი ჰქონია 1057 წ. და დიდი შთაბეჭდილებაც მოუხდენია. როდესაც ბაგრატ მეფემ გაიგო, «რომ სრულ იქმნა თარგმანებაჲ წიგნთა საღმრთოთაჲ» გიორგის მიერ, ის მან მიიპატიჟა საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. გიორგი წამოვიდა და, როდესაც მოადგა მდინარე ეფრატს, გაიგო, რომ «თურქთა დაუპყრიეს ყოველი შუამდინარე და ასურეთი და საბერძნეთი (გვ. 318). ამიტომ მან შეუხვია სევასტიაში, მაგრამ, ვინაიდან აქაც უკვე «მისრულ იყვნეს თურქნი», გადავიდა კესარიაში და აქედან ზღვით — ქალ. ევხაიტს, სამისონს (სამსუნი) და ფოთს, ფოთიდან მოვიდა ქუთაისს და ქუთაისიდან გადავიდა ქართლს ბაგრატ მეფესთან, რომელსაც სწორედ «მას ჟამსა შეეპყრნა წინააღმდგომნი თჳსისა მეფობისანი აბაზაჲს ძენი» (გვ. 319). საქართველოში გიორგი დარჩა ხუთ წელიწადს (გვ. 328), სანამ დაავალებული საქმე, ეკლესიის მართვა-გამგეობისა და შინაური ცხოვრების რეორგანიზაცია. არ დაამთავრა. მერე, მეფის ნებართვით, ის უკანვე გამობრუნებულა ათონზე. სადაც წამოუყვანია 80 უდედმამო და უპატრონო ბავშვი აღსაზრდელად და მონასტერში ქართველ ბერთა და მოღვაწეთა რიცხვის გასაძლიერებლად. საქართველოდან ის წამოსულა მაშინ, როდესაც თურქებმა ახალქალაქი ააოხრეს და «ოდეს მართა უფლის წული სძლად თჳსად კონსტანტინე დუკიწმან მოიყვანა დედოფლად სამეფოსა ქალაქსა» (გვ. 330), ესე იგი — 1065 წელს. კონსტანტინოპოლში მოსული, გიორგი გარდაიცვალა აქ, პეტრეპავლობის დღეს, 29 ივნისს. აქედან ყველასაგან, უფრო კი ქართველებისაგან, დატირებული, ის მთაწმინდას, ივერიის მონასტერში, გადაუსვენებიათ.

ასეთია მოკლედ ცხოვრება ამ შესანიშნავი მოღვაწისა. ცხოვრებაში, როგორცა ვთქვით და დავინახეთ, ქრონოლოგიური თარიღები არაა და ამიტომ ახლა უნდა შევუდგეთ ამ თარიღების გამორკვევას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ, როდესაც გიორგი ტაძრისის დედათა მონასტერში მიუყვანიათ, ის შვიდი წლისა იყო; აქ მან სამი წელიწადი დაყო და ათი წლისა მივიდა ხახულის მონასტერში, საიდანაც თავის ბიძასთან ერთად ფერსოს ჯოჯიკის ძის ოჯახში გადავიდა. ხახულის მონასტერში და ამ ოჯახში, სანამ ის კონსტანტინოპოლს გადასახლდებოდა, გიორგი დარჩენილა სულ სამი წელიწადი, ვინაიდან ცხოვრებაში ნათქვამია, რომ კონსტანტინოპოლში ის 12 წელიწადი დარჩა, ხოლო, როდესაც იქიდან დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა, 25 წლისა იყოო. ჩანს, კონსტანტინოპოლში გადასახლებისას ის ყოფილა 13 წლისა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მისი ხახულში მისვლიდან კონსტანტინოპოლს

[1] ბიოგრაფიაში სწერია ი ო ა ნ ე, მაგრამ ეს უბრალო გრაფიკული შეცდომაა: ხუცურად ეწერებოდა პ ე ტ რ ე ქარაგმით, პირველი და უკანასკნელი ასოთი, რაც ი ო ა ნ ე დ წაუკითხავთ მერე: ⳡⳏ→ⳡⳏ.

გადასახლებამდე სამი წელიწადი გასულა. კონსტანტინოპოლში გიორგი გაჰყვა ფერსოს ჯოჯიკის ძის ოჯახს, როდესაც ფერსოს განდგომილება დასწამა ბასილი იმპერატორმა და თავი მოჰკვეთა. როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი? სუმბატის ქრონიკითა და მატიანე ქართლისა-თ ეს მომხდარა მაშინ, როდესაც ბასილი იმპერატორს ქსიფე განდგომია: «მას ჟამსა შინა იქმნა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეიერთნეს ბასილის სპასპეტი და წარვიზი, ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფენ და მიიდგინეს მათ ყოველი აღმოსავალით-კერძო ქუეყანაჲ». ბასილიმ ხელში ჩაიგდო მეამბოხე ქსიფე, ექსორია ყო იგი ერთ კუნძულზე, და «მიმდგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკუეთა, რომელთა თანა იყო ფერსოს ჯოჯიკის ძე, ნათესაეით ტაოელი» [1]. ყოველივე ეს მოხდა 1022 წელს. მაშასადამე, ამ დროს, 1022 წელს, გიორგი 13 წლისა ყოფილა და, თუ ეს ასეა, ის უნდა დაბადებულიყო 1009 წელს. ახლა ადვილია სხვა თარიღების გარკვევა [2].

დაიბადა გიორგი 1009 წელს. შვიდი წლისა, ესე იგი 1016 წელს, ის მიიყვანეს ტაძრისში, ათი წლისა, 1019 წელს, — ხახულში, 1022 წელს ის ფერსოს ჯოჯიკის ძის ოჯახში გადავიდა. 13 წლისა, 1022 წელს, კონსტანტინოპოლს წავიდა, სადაც 12 წლის განმავლობაში სწავლობდა, 1034 წლამდე. 1034 წელს, 25 წლისა, ის სამშობლოში დაბრუნდა და ხახულის მონასტერში ბერად აღიკვეცა. ორი წლის შემდეგ, 1036 წელს, ის შავ მთაზე წავიდა და იქ დაემკვიდრა რომანას მონასტერში, სადაც სამი წელიწადი დარჩა— 1036 — 1039 წწ. სამი წლის შემდეგ, როდესაც ის 30 წლის იყო, მაშასადამე. 1039 წელს, მან სქემა შეიმოსა და იერუსალიმს გაემგზავრა, ხოლო იერუსალიმიდან მობრუნებული, ათონის მთაზე წარიგზავნა. იერუსალიმში მისვლა-მოსვლას, შავი მთიდან ათონზე გადასვლას ერთი წელიწადი მაინც მოუნდებოდა. ასე რომ, ათონზე მოსულა გიორგი 31 წლისა, 1040 წ. ბიოგრაფიის ცნობით, აქ თითქოს შვიდი წელიწადი (მაშასადამე, 1040—1047 წწ.) მან დაყო შეურაცხ სამსახურში და მერე, ესე იგი 1048 წ., ეკურთხა მღვდლად და დაინიშნა დეკანოზად, დეკანოზობის შემდეგ კი არჩეულ იქნა წინამძღვრად. მაგრამ ნამდვილად ეს ასე არაა. საქმე ისაა, რომ იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მიერ ათონისადმი 1045 წლის სექტემბერში მიცემულ ტიპიკონში ნათქვამია, რომ ათონიდან უნდა გაეძევებიათ უწვერონი და საჭურისნი თანახმად, სხვათა შორის, «იევრიის სავანის მონაზვნის და იგუმენის გიორგის» აზრისა

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 356, 249.

[2] გიორგის დაბადების თარიღის გარკვევით ჩვენ შეგვიძლია ერთი მნიშვნელოვანი კორექტივი შევიტანოთ მის ცხოვრებაში. მისი მშობლების დაქორწინებიდან გიორგის დაბადებამდე გასულა 7—10 წელიწადი: იაკობსა და მარიამს შეეძინათ პირველად ქალი თეკლა, რომელიც, შვიდი წლის რომ შეიქნა, მონასტერში წაიყვანეს. ამის შემდეგ ეყოლათ ეჟი თეოდორე და მერე გიორგი. ჩანს, დაქორწინებულან ისინი არა უგვიანეს 1000 წლისა. მაშასადამე, იაკობი ვერ იქნებოდა გიორგი პირველის «ერთგულთა და საკუთართაგანი» და მისი მინდობილობით ის ვერ წავიდოდა სპარსეთს, ვინაიდან გიორგი მხოლოდ 1014 წელს გამეფდა. უეჭველია, აქ იგულისხმება მეფე გურგენი (გარდ. 1008 წ.). დედანში აღბათ იყო შემოკლებულად «მეფისა გრგსთა», ესე იგი გურგენისთა, რაც შემდეგ წაიკითხეს გიორგისთა-დ.

და სურვილისა. ამ ტიპიკონს ბოლოში, ათონის სხვა მონასტერთა წინამძღვრებთან ერთად, ხელს აწერს ბერძნულად «გიორგი, მონოზონი და იგუმენი ივერთა მონასტრისა»[1]. როგორც ვხედავთ, 1045 წლის სექტემბერში «ივერის» იგუმენად ან წინამძღვრად გიორგია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგის წინამძღვრობა ჯერ კიდევ 1042 წელს მიუღია, როგორც ეს ნავარაუდევია «სტოდიერის» ერთ-ერთ ნუსხაში, სადაც ნათქვამია: «ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, გიორგისათჳს მთაწმიდელისა წინამძღუარისა... ვთარგმნე წმიდაჲ ესე წიგნი მე, გლახაკმან გიორგი, ახლად მთაწმიდას, ქართველთა მონასტერსა... ხოლო ითარგმნა მიხაელ[ისა] მეფობასა, ქორონიკონსა სჲბ»[2], ესე იგი 1042 წ. ამ წელს გიორგი წინამძღვრად ვერ იქნებოდა, რადგანაც ჯერ კიდევ 1043 წელს ივერიის წინამძღვრად ჩანს სტეფანე ხარტულარი, როგორც ეს აღნიშნულია ერთ სახარებაში: დაიწერა «მთასა წმიდასა ათონას... მონასტერსა ქართველთასა, მამობასა სტეფანე ხარტულარისა, მეფობასა კონსტანტინე მონომახისასა, ქორონიკონსა სჲბ»[3], ესე იგი 1043 წ. თუ 1043 წელს წინამძღვრად სტეფანეა, ხოლო 1045 წელს გიორგი, უკანასკნელის წინამძღვრად დადგინება 1044 წელს უნდა ვივარაუდოთ.

ამრიგად, გიორგი ათონზე მივიდა 1040 წლის დამდეგს და 1040—1041 წლები გაატარა შეურაცხ სამსახურში. მაშასადამე, ეს სამსახური გაგრძელებულა არა შვიდ წელიწადს, როგორც ბიოგრაფიაშია აღნიშნული, არამედ ორს[4]. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ 1042 წელს ის უკვე «დეკანოზია». მართლაც, «სტოდიერის» დაეით-გარეჯულ ნუსხაში ნათქვამია: «ლოცვა ყავთ, წმიდანო მამანო, გიორგისათჳს დეკანოზისა მთაწმიდელისა... ითარგმნა მიქაელის მეფობასა და დაინუსხა სიკუდილსა მისსა, ქორონიკონსა სჲბ»[5], ესე იგი 1042 წ. ამნაირად, დეკანოზობაში გიორგი დარჩენილა 1042—1044 წლებში. მაშასადამე, სწორია ბიოგრაფიის ცნობა, რომ გიორგი დეკანოზობამდე წიგნებს არ თარგმნიდა, რადგანაც არც ერთი მის მიერ ნათარგმნი თხზულება 1042 წელზე ადრინდელი არაა[6].

1044 წელს გიორგი, როგორც ვთქვით, იგუმენად ან წინამძღვრად დაუდგენიათ და ამ თანამდებობაზე ის დარჩენილა 1056 წლამდე, ერთი წლის გა-

---

[1] Ph. Meyer, Die Haupturkunden für die Geschichte der Athosklöster, SS. 155—162; П. Успенский, История Афона, III, 280, 172, 298, 179.

[2] A 500, ფ. 253.

[3] А. Цагарели, Сведения, I, 75—76, № 5; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 190.

[4] ალბათ, გადამწერს ხელთ ჰქონდა ხუცურად დაწერილი ტექსტი «ცხორებისაჲ», სადაც რიცხვი, «ორსაჲ» დაწერილი იყო არა სიტყვით, არამედ ასოთრივი ციფრით: «წელიწადსა ბ-სა; გადამწერმა ბ-სა, ხუცურში ბ-შ მსგავსების გამო, მიიღო შემოკლებულად, ქარაგმით დაწერილი «შჯულსა»-დ.

[5] გაზ. «ივერია», 1889 წ., № 30.

[6] დეკანოზობაში გიორგის უთარგმნია: 1) დიდი სვინაქსარი (1042 წ.), 2, სტოდიერი (1042 წ.), 3) პარაკლიტონი (1044 წ.), 4) დიდი კურთხევანი, 5) სახარება გამოკრებილი საწელიწდო, 6) საწინასწარმეტყველო საწელიწდო, 7) პავლე საწელიწდო, 8) პაელე სრული და კათოლიკენი, 9) თარგმანი დაბადებისაჲ, 10) სექდემბრის თუენი (საგალობლები) და 11) დაუწერია «ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი».

მოკლებით, როდესაც ის შავ მთაზე გაპარულა, 1054 წლის მახლობლად, როდესაც ბაგრატ IV დედითურთ კონსტანტინოპოლს შესულა[1].

გიორგი შესანიშნავი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში, მან თავისი კვალი აღბეჭდა ცხოვრების ყოველ დარგში; ის იყო უდიდესი პატრიოტი, რომელსაც არ ავიწყდებოდა სამშობლოს ინტერესები არც სამშობლოში, არც უცხოეთში, საქართველოს სახელი, დიდება მან გაიტანა შორს დასავლეთში. საყურადღებოა მისი პრაქტიკული საქმიანობაც. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი იმდროინდელი საეკლესიო და საერო ცხოვრების ანომალიების ვამოსწორება-აღმოფხვრაში. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომლისთვისაც დაბადებული იყო იგი. როგორც ექვთიმეს, მას «უფროჲსნი წიგნნი ღმით უთარგმნიან» («ათონის კრებ.», გვ. 305) და «ესრეთ შეუსვენებლად თარგმნინ», რომ «არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა — წიგნსა საღმრთოსა შურებოდა, რომელთა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და წმიდანი ეკლესიანი განაშუენნა და წერილთა თჳსთა ოქროჲთა განამდიდრნა უხვად და გარდარეულად» (გვ. 309—310). თარგმნიდა ის ყველგან, სადაც კი უხდებოდა ყოფნა; «რამეთუ არა თუ მთაწმიდასა და შავსა მთასა ოდენ თარგმნა», შენიშნავს მისი ბიოგრაფი, «არამედ სამეუფოსა გზასა, სულუმბრას, ანტიოქიას, სჳმონწმიდას და კალიპოსს» (გვ. 310). ამიტომ თავისი დაუღალავი შრომით მან «ყოველნი განაკჳრნა, არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენნიცა და ასურნი» (გვ. 312). თარგმნიდა თუ არა გიორგი რომელიმე წიგნს, იმწამსვე შეუდგებოდნენ მის გადაწერას საქართველოს ყველა კუთხეში და საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო-საეკლესიო ცენტრებში. «რამეთუ ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს» მისი წიგნებიო, ამბობს ბიოგრაფი (გვ. 366), «და უფროჲს ყოველთასა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან და თჳსისა მონასტრისა ბარლამ-წმიდისათჳს დააწერინაო».

რა გააკეთა საზოგადოდ გიორგიმ? ამაზე მისი ბიოგრაფია ასეთ პასუხს იძლევა: 1) «რომელნიმე წიგნნი, სრულიად არა ყოფილნი და ენისაგან ჩუენისა უცხონი, სიღრმეთაგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწყინვა»; 2) «ხოლო სხუანი, ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გადმოღებულნი, გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მჴმარებელთაგან დაგესლებულნი, ბრძოლისა მას შინა წმიდისა გონებისა თჳსისა გამოადენნა და გამოაკურვნა»; 3) «ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმეს მიერ თარგმნილნი და უცალობითა წუთ ვერ სრულქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცვნა»; 4) «და კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა და განაბრწყინვა» (გვ. 310). მაშასადამე, იმას გადმოუთარგმნია ჯერ კიდევ ქართულ ენაზე არარსებული წიგნები, უკვე ნათარგმნი და ხმარებისაგან გარყვნილნი გაუწმენდია და

[1] გიორგის ქრონოლოგიის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, «თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები», VI, გვ. 152—155.

გაუსუფთავებია, ექვთიმეს მიერ დაწყებული და დაუსრულებელი ან მოკლედ ნათარგმნი წიგნები ვრცლად და სავსებით უთარგმნია, და სხვები კიდევ ბერძნულისათვის შეუდარებია და ყოველივე ნაკლისაგან გაუწმენდია. ბიოგრაფი პირდაპირ განცვიფრებულია მისი სამწერლო მოღვაწეობის სიდიადით და შენიშნავს: «მოსაგონებლადცა დიდ არს, ვითარმცა ესეოდენნი წიგნნი ერთმან კაცმან მზანი თარგმნილნი ცხორებასა შინა თჳსსა აღწერნა, არა რათამცა ბერძულისაგან სრულიად თარგმნნაო» (გვ. 310).

გიორგის შრომები, რაც ჩვენ ვიცით, ნათარგმნია ბერძნული ენიდან. ამათი ნუსხა წარმოდგენილია მის ბიოგრაფიაში, მაგრამ არასრული, ასე რომ, ბევრ რამეს ჩვენ ვარკვევთ ხელნაწერთა და მათში შენახულ ანდერძთა საშუალებით. თუმცა, როგორც ამ შრომათა მიმოხილვა გვარწმუნებს, გიორგი ძალიან დაინტერესებული ყოფილა ქართველთა ლიტურგიკული პრაქტიკით და უფრო მეტი ლიტურგიკულ დარგში უმუშავნია, მაგრამ ამასთანავე მას არ დაუტოვებია უყურადღებოდ არც ერთი სხვა დარგი საეკლესიო მწერლობისა.

I. ბიბლიოლოგია. როგორც ექვთიმეს, ზოგიერთი მკვლევარი გიორგისაც მიაწერს ხოლმე ბიბლიის ქართულად თარგმნას. მაგალითად, განსვენებული თ. ჟორდანია ამბობს, რომ «ჩვენი ძველი დაბადება, მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელისაგან ხელახლად გადმოთარგმნილი და გასწორებული, არსად მოიპოვებოდა» [1] ამდენ ხანსო, და სიხარულს გამოთქვამს ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში, ერთი ძველი ნუსხის პოვნის გამო, რომელშიაც ის გიორგის თარგმანს ხედავს. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს ხელნაწერი, რომელიც ახლა ხელნაწერთა ინსტიტუტშია (№ 1108, A ფონდი), შეიცავს არა გიორგის თარგმანს, არამედ გაცილებით უგვიანეს დროისას [2]; ასეთი თარგმანი არც ყოფილა არასდროს. გიორგის უთარგმნია მხოლოდ ზოგიერთი წიგნი ბიბლიისა, როგორც: 1) «დავითნი», 2) «სახარება-ოთხთაევი» და 3) «პავლე სრული და საქმე მოციქულთა და კათოლიკენი მოციქულთანი», ესე იგი სრული სამოციქულო. დიდი შრომა გაუწევია მას დავითნის თარგმნისას. ეფრემ მცირე ამბობს, რომ გიორგის «არა ხოლო ერთგზის, არამედ ორგზისცა ეთარგმნა იგი ბერძულისაგან» [3], და საკვირველიც არაა, ვინაიდან, როგორც გიორგი მოწმობს, ექვთიმეს მიერ ნათარგმნი დავითნი გადამწერს განერყვნა, ექვთიმეს ხელმეორედ შრომა არ შეუსრულებია, მაშასადამე, ხმარებაში რჩებოდა ჯერ კიდევ შეუსწორებელი ძველი რედაქცია ან ქართული დავითნი, გიორგისავე ტერმინოლოგიით. ამ შრომის ანდერძში გიორგი ამბობს, რომ მას ის «მრავალთა ბერძულთა დედათა და დავითის თარგმანთა [4] შეუწამებია... რომელიც ჯერ იყო სიტყუა ჩაურთავს, რომელიც ჯერ იყო დაუკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა». ამიტომ, სთხოვს იგი

[1] «ქრონიკები», II, 37.

[2] კ. ქექელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტესი მიტროფანე ზმურნელისა, გვ. XXVII—XXX.

[3] «ძველი საქართველო», ტ. III, განყ. 1, გვ. 243 ბ.

[4] ერთ ნუსხაშია «ბერძულთა და დავითის თარგმანთაგანი».

გადამწერთ, «ნუცა დ ო ნ-ა ნ ს ა დააკლებთ, ნუცა რ ა მ ე თ უ ს ა, ვინაიდან დ ო ნ ა ნ ი ჩუენცა ვიცოდით, და თუმცა რას ავნებდა გინა იგი, გინა სხუაჲ რაჲცა სიტყუაჲ, არა დაუტეობდით, არცა აღმოვაკოცდითო». ვთხოვ ყველას, ვინც «კე (καί) იცოდის, ანუ ღ ა რ (γάρ) გინა ო ტ ი (θ-ί), ანუ ღ მ ე რ თ ი (Θεός) და უ ფ ა ლ ი (Κύριος), გინათუ რიტორიცა იყოს ანუ ფილასოფოსი, ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს», თუ უნდა თვით თარგმნოს ახლად დავითნი, თუ უნდა — ქ ა რ თ უ ლ ი დ ა ვ ი თ ნ ი გადაიწეროს, მხოლოდ ჩემ პიერ ნათარგმნი არ შეცვალოსო [1]. რაც შეეხება სახარებას, ამაზედაც არანაკლები შრომა გაუწევია გიორგის. როგორც ერთ-ერთ ნუსხაშია ნათქვამი, გიორგის იგი «ბერძულთა სახარებათადა შეემოწმა მესამედ, ორჯერ პირველ შეეჯოწმა» [2]. ეს საქმე ამნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: გიორგის აუღია ექვთიმეს სახარება, შეუწამებია ბერძნული ტექსტისათვის და, როგორც ექვთიმე—გიორგის რედაქციათა შედარება გვაოწმუნებს, ცოტათი შეუსწორებია იგი. ამიტომ მართალი იყო გიორგი, როდესაც თავის სახარების ა ნ დ ე რ ძ ი ს წერდა: «ესე ოთხთავი ა რ ა თ უ ა ხ ლ ა დ გვითარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ვიეთმე სულიერთა [ძმათაჲთა] ბერძულთა სახარებათადა შეგჳმოწმებიაო» [3]. რაც უნდა ყოფილიყო, გიორგიმ მოგვცა ახალი რედაქცია სახარებისა და, მსგავსად დავითნის ა ნ დ ე რ ძ ი ს ა, გადამწერთ სთხოვს: თუ გინდათ, ძველი რედაქციები გადაწერეთ, — ყველა ჩვენი სახარება, — ხ ა ნ ძ ე ტ ნ ი ც ა და ს ა ბ ა წ მ ი დ უ რ ნ ი ც, პირველითგანვე წმიდად და კეთილადაა ნათარგმნი, ხოლო ჩემსას ნურც შეცვლით და ნურც სხვებთან არეეთო [4]. თუ რამდენად კრიტიკულად ეპყრობოდა ის სახარების ტექსტს, ჩანს, იმ შენიშვნიდან, რომელიც მას გაუკეთებია სიტყვებისათვის «არცა ძემან» (მათე, 24,36): «ესე სიტყუაჲ სამთა ბერძულთა სახარებათა არა ეწერა, არცა მე დავწერე» [5].

ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო ს რედაქტირებისას გიორგის შემდეგი წესი მიუღია: თითოეულ ეპისტოლეს წინ უძღვის «უწყებაჲ მიზეზსა ეპისტოლისასა», სადაც მოკლედ გათვალისწინებულია როდის ან სად დაიწერა ეს ეპისტოლე, ვის და ვისი ხელით ეგზავნება ის და რამ გამოიწვია მისი დაწერა. წინასიტყვაობას მოჰყვება, ტექსტის შინაარსის მიხედვით, თავებად დაყოფა (არა ახლანდებუ-

---

1 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, I, 107—110; H 1717, ფ. 215—217.

2 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 209,

3 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 207, II, 173; «Христианский Восток», I, 120; ზოგიერთ ხელნაწერში ეს ა ნ დ ე რ ძ ი სულ სხვანაირად და სხვა აზრითაა გადმოცემული: «ესე ოთხთავი ა ხ ლ ა დ გჳთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერითაჲთა და ბერძულთა სახარებათა და შეგჳოწამებია ფრიადითა გამოწულლვით» (ა. შ ა ნ ი ძ ე: «თბილ. უნივ. მოამბე», II, 402—403). პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე უკანასკნელ რეცენზიას უჭერს მხარს, ის ამას თვლის გიორგის ნამდვილ ა ნ დ ე რ ძ ა დ, მაგრამ ამას ეწინააღმდეგება გიორგის ბიოგრაფის შემდეგი სიტყვები: «და კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შ ე ე წ ა მ ნ ა და ყოვლისა ნაკლულეულებისაგან განასრულნა... ვითარცა ოჳთ თავადი ს ა ხ ა რ ე ბ ა ო» (გვ. 310).

4 გიორგის სახარება, ათონ. ხელნაწ. 10/15.

5 H. M a r r, Житие Григория Хандзтийского, Дневник, стр. 190; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია», გვ. 011.

რად) მათი სათაურის მოყვანით, ამის შემდეგ იწყება თვით ტექსტი ეპისტოლესი, რომლის ბოლოს კვლავ აღნიშნულია რამდენიმე სტრიქონით — თუ საიდან ან ვისი ხელით გაიგზავნა ეს ეპისტოლე და რამდენ მუხლს ან სტრიქონს შეიცავს ის [1]. ეფრემ მცირის სიტყვით, მას მთლიანად ვერ გაუწყვეტია კავშირი ძველ ტექსტთან («მიმომხილველი», I, 162).

II. აპოკრიფები. აპოკრიფებიდან გიორგის უთარგმნია, სხვათა შორის. სახარებასთან ერთად: 1) ა ვ გ ა რ ო ზ ი ან მიწერ-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მეფე ავგაროზს შორის, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა უკვე ლაპარაკი. გიორგის რედაქცია, რომელიც მოთავსებულია გელათის ხელნაწერ სახარებაში XI საუკ., № 39, ფ. 286—291, განსხვავდება ექვთიმეს რედაქციისაგან, პირველ ყოვლისა, ბ ე ჭ ე დ თ ა ნიშნების ახსნა-განმარტებაში, მერე— გიორგის რედაქცია უფრო მოკლეა, ვიდრე ექვთიმესი, აქ გამოტოვებულია ზოგიერთი ადგილი და ფაქტი [2]. პროფ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, გიორგის რედაქცია წარმოადგენს თარგმანს იმ ბერძნული რედაქციისას, რომელიც დაცულია ვენის ხელნაწერში Cod. theol. graec. XII, № 315 [3].

მეორე აპოკრიფი, რომელიც გიორგის უნდა ეთარგმნოს, არის «წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან, და უწყებაჲ აღდგომისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და აღშენებისათჳს ეკლესიისა, რომელ იგი პირველ აღაშენა ლუდს შინა, ქალაქსა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისსა». ეს აპოკრიფი, რომელიც, ალბათ, წარმოადგენს ნ. მ ა რ ი ს მიერ გამოცემული ამგვარიეე ძეგლის [4] ხელმეორე თარგმანს, შეიძლება სხვა რედაქციითაც, მოთავსებული ყოფილა ათონის ხელნაწერში № 7 (ბ ლ ე ი კ ი თ) და გადაწერილია მეთერთმეტე საუკუნეში სიმეონ ხერკელის მიერ. როგორც ამ ხელნაწერის მოკლე აღწერილობიდან ჩანს [5], ეს აპოკრიფი იწყება ასე: «მეათცხრამეტესა წელსა...» გვერდის აშიაზე მას მიწერილი ჰქონია: «წმიდანო მამანო [და] ძმანო, ლოც[ვა] უათ გლახ[აკისა] გი'სთჳს, რ[ომელმან] ესე წმიდაჲ საკი[თხავი] ბურძულ[ისა]გან ვთარ[გმნე], რათა ლოცვით[ა თქუენი]თა ყოს ღმერთმან [წყალო]ბაჲ აურ[აცხელ]თა ცოდვათა[ჲ], და წერტი[ლსა] ჩუენსა ნუ შ[ე]ცვალებთ». თვით ა ნ დ ე რ ძ ი ს ხასიათიდანაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ამ აპოკრიფის ბერძნულიდან მთარგმნელი ბ'ი არის გიორგი მთაწმიდელი.

III. ე გ ზ ე გ ე ტ ი კ ა. ამ დარგში გიორგის უთარგმნია: 1) ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი ს «ექუსთა დღეთათჳს» [6], რომელშიაც განმარტებულია ბიბლიური კოსმო-

[1] A 584.

[2] «ეპისტოლე ავგაროზ მთავრისაჲ, ქალაქისა ედესისაჲ, რომელი მიუწერა უფალსა ღმერთსა ჩუენსა იესუ ქრისტესა და წარსცა ანანიაჲს მიერ მოციქულისა იერუსალემს» და «ეპისტოლე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი მოუწერა ავგაროზ მთავარსა და მიუძღუნა ქალითა ანანიასათა».

[3] «ბეჭა ოპიზარი», გვ. 14.

[4] «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», II, 1900 г.

[5] ეს აღწერილობა, რომელიც ახლა ხელნაწ. ინსტიტუტში ინახება (A 1141), ეკუთვნის აღნიშნული სკიტის მოღვაწე ილიას.

[6] Migne, PG. t. 29. ქართული ტექსტი გამოსცა მ. კ ა ხ ა ძ ე მ 1947 წ.

გონია ანუ თქმულება სამყაროს ექვს დღეში შექმნის შესახებ. როგორც ჩანს ამ თხზულების ა ნ დ ე რ ძ ი დ ა ნ: «ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად კეთილი აღმიპყრეს» [1], ის ძველადაც ყოფილა ქართულად თარგმნილი, თუმცა ვისგან ან როდის, არ ვიცით. ბასილი დიდს ამ თხზულებაში განუმარტებლად დაუტოვებია ბიბლიური თქმულება კაცის შექმნის შესახებ. ეს ნაკლი აღუვსია და, მაშასადამე, ბასილის თხზულება გაუგრძელებია მერე მის ძმას, ნოსელ ეპისკოპოსს გ რ ი გ ო ლ ს, შრომაში, რომელსაც ეწოდება «კაცისა შესაქმისათჳს» [2]. ეს თხზულება ძველადვე უთარგმნიათ ქართულად [3]. გიორგი მთაწმიდელს, როგორც მისი ბიოგრაფი მოგვითხრობს, სხვათა შორის, უთარგმნია «წიგნი გრიგოლ ნოსელისა, რომლისა შუენიერებაჲ და ქებაჲ ზეშთა არს ყოველისა მოთხრობისა» [4]. 2) ამ შემთხვევაში მას გადმოუღია აღნიშნული თხზულება გრიგოლ ნოსელისა, რომელსაც მის თარგმანში ასეთი სათაური აქვს: «რომელი იგი აკლდა აღწერასა ექუსთა დღეთასა, რომელი იგი წინაჲსწარ თქუა ნეტარმან დიდმან ბასილი და ვინაჲთგან დაბადებისათჳს კაცისა დაუშთა მას, ესე სრულყო წმიდამან გრიგოლი მართლიად და ღმრთივშუენიერად» [5]. 3) ამას გარდა, მას უთარგმნია აგრეთვე იმავე გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი ს «თარგმანებაჲ ქება-ქებათაჲ-სა» [6], რომელიც თავდება მეექვსე თავის მერე მუხლით [7], და 4) «განმარტებაჲ მომიკსენისაჲ» [8], რომელიც შეიცავს მათეს V—VII თავების ახსნას. 5) ბიოგრაფის სიტყვით, გიორგის უთარგმნია «დაბადებისაჲ თარგმანი იოანე ოქროპირისაჲ, რომელ არს ცხორებაჲ აბრაჰამისი» [9]. ამ თხზულებას დღემდე ცნობილ ხელნაწერებში ჩვენ ვერ ვხვდებით, შეიძლება ის შენახული იყოს ათონის ივერიის მონასტრის XIV—XVI სს. ხელნაწერში № 81 [10], რომელშიაც ჩვენ უნდა გვქონდეს ილარიონის მიერ აღნიშნული «ექუსთა დღეთათჳს, ადამის დაბადებისათჳს, აბელისათჳს, სეითისათჳს, ნოესთჳს და შეილთა მისთა, წყლით რღვნისათჳს და მერმე გამრაელებისათჳს კაცთა და ცთომილებისა მის გოდოლის შენებისა უბადრუკთა მათგან, და ენის შერყვნისათჳს» [11], ესე იგი «დაბადებისა თარგმანი» [12].

IV. დოგმატიკა. ამ დარგში, პირველ ყოვლისა, აღნიშნული უნდა იქნეს მთელი რიგი ს ი მ ბ ო ლ ო თ ა, რომლებიც წარმოადგენს, ასე ვთქვათ, მართლ-

---

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 291—292; მ ი ს ი ვ ე, Описание рукоп. Церковного Музея, I, 44, 73.

[2] M i g n e, PG. t. 44.

[3] S 1141 და A 6, 165.

[4] «ათონის კრებული», გვ. 311.

[5] A 55, 73, 108; S 1358, 5666, 120, 1799, 272.

[6] M i g n e, PG. t. 44.

[7] A 55.

[8] M i g n e, PG. t. 44.

[9] «ათონის კრებული», 298, 311.

[10] А. Ц а г а р е л и, Сведения, I, 93.

[11] ი კ ე ე, დამატება, გვ. 9, № 24.

[12] M i g n e, PG. t. 53—54.

მადიდებელთა credo-ს, სახელდობრ: 1) სიმბოლო ნიკია-კონსტანტინოპოლის კრებისა, რომელიც იწყება: «მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი»... ეჭვს გარეშეა, გიორგის მოუცია უკანასკნელი რედაქცია ამ სიმბოლოსი, რომელიც საქართველოში იყო მიღებული, 2) გრიგოლ საკვრველთმოქმედისა, ნეოკესარიის ეპისკოპოსისა: «ერთ არს ღმერთი მამად სიტყუსა ცხოველისაჲ» [1]... 3—4) ათანასე ალექსანდრიელისა — «უკუეთუ ვისმე ჰნებავს ცხორებაჲ»... და «კითხვა-მიგებაჲ», რომელშიაც ლაპარაკია მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა შესახებ: სად, როდის და რა მიზეზის გამო იყო მოწვეული ისინი. ამ უკანასკნელის მსგავსი რამ მოიპოვება მოსკოვის სინოდის წიგნსაცავის ერთ-ერთ ბერძნულ ხელნაწერშიაც [2], მხოლოდ ქართულში კრებათა შესახებ უფრო ვრცლადაა ლაპარაკი. ათანასეს სიმბოლო, რომელიც შეიძლება მართლაც არ ეკუთვნოდეს მას, მკვლევართა აზრით, საბერძნეთის ეკლესიაში ცნობილი იქნა მხოლოდ 1223 წ. რომის პაპის ელჩების მეოხებით [3], მაგრამ ამ აზრს არღევეს ქართული თარგმანი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეშია გადმოღებული ბერძნული ენიდან გიორგის მიერ. 5) სიმბოლოს ხასიათი აქვს ათანასესავე თხზულებას «ქალწულებისათჳს», რომელიც იწყება: «პირველ ყოველისა გრწმენინ ერთი ღმერთი, მამა ყოველისა მპყრობელი...», 6) სიმბოლო პატრიარქი ფოტისა — «ესრეთ მრწამს და აღვიარებ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა...», რომელიც წაადგავს მეხუთე თავს მისი ეპისტოლისას პაპის ნიკოლოზ პირველისადმი [4], 7) იოანე დამასკელის «სიტყუაჲ ღმრთისმეტყუელებისათჳს და შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა» [5], რომელსაც ჰომილეტიკური ფორმა აქვს, მაგრამ შეიცავს განყენებულ, დოგმატიკურ მსჯელობას ღვთაების შესახებ, 8) დოგმატიკური შინაარსისაა აგრეთვე სხვადასხვა ავტორის ეპისტოლენი, რომელნიც გიორგის უთარგმნია, სახელდობრ: ეპისტოლენი ეგნატე ღმერთშემოსილისა; ეგნატეს სახელით დარჩენილა 15 ეპისტოლე სხვადასხვა პირისა და საზოგადოების მიმართ, რომელთაგან შვიდი უცილობლად მას ეკუთვნის, რვა კი ყალბია, მხოლოდ წარწერილია მისი სახელით [6]. გიორგის ამათგან უთარგმნია მხოლოდ 12, რომელთაგან შვიდი ნამდვილია: ტრაელელთა, მაღნისიელთა, ეფესელთა, რომაელთა, ფილადელფიელთა, ზმირნელთა და პოლიკარპეს მიმართ, ხოლო ხუთი ყალბი: მარიამ კოსოოლელის, ტაოსიელთა. ფილიპელთა, ანტიოქელთა და ირონის მიმართ [7]. არ უთარგმნია გიორგის სამი ყალბი ეპისტოლე: ღვთისმშობლისადმი და იოანე ღვთისმეტყ-

[1] Migne, PG. t. 10.

[2] Архим. Владимир, Систематическое описание греческих рукописей Москов, синодальн. Библиотеки, № 317.

[3] Филаретъ, Историческое учение об отцах церкви, II, 1882 г., стр. 50.

[4] Βαλλεττα, 140—142; Fabricii, Bibl'oth. Gr. ed. Harles, XII, 349—351. ალ ნიშნული სიმბოლონი მოთავსებულია, სხვათა შორის, A 584 ხელნაწერში.

[5] ივერთ. მონასტ. ხელნაწ. № 5, ფ. 447—457.

[6] Проф. Д. Гусевъ, Чтения по патрологии, вып. I, стр. 156—192.

[7] A 55, 60, 66, 239; S 49, 1587.

ველის მიმართ ორი, ვინაიდან ეს სამი ეპისტოლე დარჩენილა მხოლოდ ლათინურ ენაზე, ქართული თარგმანი კი მომდინარეობს ბერძნული დედნიდან. 9) «ეპისტოლე ბასილი დიდისა სიმოლიკიაჲს მიმართ სეფექალისაა»[1], 10) წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებაჲ, კითხვა-მიგებითი ფორმით (H 215, ფ. 132—135).

V. ლიტურგიკა. ყველაზე მეტად, როგორც ვთქვით, გიორგის ლიტურგიკის დარგში უმუშავნია:

1) დ ი დ ი ს ჳ ნ აქ ს ა რ ი, რომელიც, მისი ბიოგრაფის აზრით, არის «საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თჳნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისაჲ, რამეთუ რომელსა ეკლესიასა სჳნაქსარი არა ჰქონდინ, დაღაცათუ ყოველნი წიგნნი ჰქონდინ, თაფლსა სჭამს, ხოლო სიტკბოსა სასა ვერა სცნობს», — გიორგის უთარგმნია, პირველ ყოვლისა, დეკანოზობაში (1042—1044), ვინაიდან მ ც ი რ ე ს ჳ ნ აქ ს ა რ ი ექვთიმესი მას და მის თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკას უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ეს ს ჳ ნ აქ ს ა რ ი დიდად საყურადღებოა როგორც წყარო, საიდანაც ჩვენ ვეცნობით სოფია-წმიდის, სტოდიელთა სავანისა და ათონის მონასტერთა ლიტურგიკულ პრაქტიკას[2].

2) «სახარებაჲ გამოკრებული საწელიწდო» (H 1299), და 3) «პაველე გამოკრებული საწელიწდო», ესე იგი ეგრეთ წოდებული ა პ რ ა კ ო ს ი ს ტიპის სახარება და სამოციქულო.

4) «თთუენი ათორმეტნიე სრულად ღმრთივბრწყინვალედ»[3]; ეს კაპიტალური შრომაა, რომელიც საყურადღებო რამეს წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში, ვინაიდან ამის მსგავსი სისრულით თ თ უ ე ნ ი ბერძნულ ენაზედაც კი არ არსებობდა. საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ წმინდანის ან დღესასწაულის სახელობაზე მრავალ ავტორს უწერია საგალობლები, ერთ ხელნაწერში ერთი რომელიმე ავტორის საგალობლებს აქვს ადგილი, მეორეში — მეორისას; გიორგის კი, შეძლებისამებრ, თავი მოუყრია ამა თუ იმ დღის წმინდანის ყველა ავტორის საგალობელისათვის, რომელიც კი ხელში ჩავარდნია მას. ასე რომ, მისი თხზულება წარმოადგენს ერთგვარ კრებულს მთელი წლის ჰიმნებისას. ამის შესახებ ეფრემ მცირე ამბობს: გიორგის «სათუეოჲ საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებილ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგოდენი საგალობელიო»[4]. ამიტომ ეს შრომა ფასდაუდებელია ზოგადი ჰიმნოგრაფიის ისტორიის შესასწავლად. თან ეს ჰიმნები ისეთი ხელოვნებით, პირდაპირ ვირტუოზულადაა ნათარგმნი, რომ განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. აქ აკროსტიქები იძლევა მთელ წინადადებებს, როგორც მაგალითად: «გიხაროდენ დომენტი, ღვაწლით განშუენებულო, ახოვანო» (5 ივლისს), «ჰიმენს, სამწყსოთა მწყემსსა, ყოველნი უგალობდეთ» (27 აგვისტოს). შთარგმნელს დაუცავს აკროსტიქებში ბერძნული წინადადებანი, რაც იშვიათია

[1] A 584, ფ. 247.

[2] К. Кекелидзе, Литургические грузин. памятники, стр. 228—316, 483—506; ათონ. ხელნაწ. № 28 (ც ა გ ა რ ლ ი თ), 30 (ბ ლ ე ი კ ი თ).

[3] «ათონის კრებული», გვ. 311.

[4] «ძველი საქართველო», ტ. III, განყ. 1, გვ. 248.

სხვა ძეგლში, როგორც მაგალითად: «ათლოფორო მარტირიე ებგენიე პრზვი ემონ» (25 ივლისს) [1], «ანიმნის ომინ პანტეს ევსებოს ევპრაქსიას» (25 ივლისს) [2], «ანიმნის ომი ევსებოს ანდრიანო კე ანატალო» (26 აგვისტოს) [3] და სხვ. ეს თარგმანი, ეფრემ მცირის მოწმობით, დიდად მ ი ს ა ნ დ ო ბ ე ლ ყოფილა აგრეთვე «წერტილითა მართლად განკუეთილობისათჳს» [4], ესე იგი პუნქტუაციის ნიშნების შემოღებით, რომელნიც, ალბათ, ამაევ დროს სამუსიკო ნიშნების როლსაც თამაშობდნენ [5].

გიორგის «თთუენში» შეუტანია აგრეთვე თავისი ორიგინალური ჰიმნებიც, მაგალითად, ექვთიმე ათონელისა (H 1710, ფ. 64—66) და იოდასაფ ინდოელისა (იქვე, ფ. 109—112, შეად. ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, Труды Тбилисского Педагогического института т. IX). თუ რამდენად ვირტუოზულად თარგმნიდა ის ჰიმნებს, ჩანს შემდეგიდან:

ქრისტესშობის «იამბიკური გალობანი» იოანე დამასკელისა გიორგის მეტად ორიგინალურად შეუწყვია, დამასკელის საგალობელი, ბერძნული ანბანის შესაბამისად, 24 სტროფს, ესე იგი, 120 ტაეპს (5×24) ან სტრიქონს შეიცავს. 120 ტაეპი გიორგის არ ეყოფოდა, რადგანაც მისი აკროსტიქი («ქებითა და გალობითა ყოლად წმიდითა ქრისტეს ღმრთისა ჴორციელად ზეშთა ცნობისა ბრწყინვალესა შობასა ყოელი სოფელი იხარებს და ანგელოზთა თანა წყალობათა მისთა ადიდებს და შეასხამს დღეს») 149 ტაეპს, ან 29 ტაეპით მეტს, თხოულობს. სიძნელიდან გამოსასვლელად და ზედმეტი 29 ტაეპის მისაღებად ის ასე მოქცეულა: საგალობელი მას მართლაც 24 სტროფად შეუწყვია, მაგრამ არა 120 ტაეპად, არამედ 149-ად. თითოეულ სტროფში ხუთი ტაეპი კი არ მოუცია (ხუთტაეპოვანი სტროფი აქ ნახევარია — 12), არამედ მეტი: 8 (ექვს სტროფში) და 7 (ექვს სტროფში). ამ შემთხვევაში ასეთი კომბინაცია გვაქვს: ერთი ტაეპი გაუყოფილია ორად (5 — 7 მარცვალი) ან ორი ტაეპი სამად (7 — 10 — 7, თუგინდ 5 — 10 — 9 მარცვალი). ამ კომბინაციაზე უფრო ნათელ წარმოდგენას 228-ე გვ. სქოლიოში მოყვანილი დიაგრამა იძლევა [6].

იძლევა თუ არა რაიმე კანონზომიერებას ეს ცხრილი? მხოლოდ სტროფების დაჯგუფებაში: ერთი კანონზომიერება გვაქვს სტროფში ტაეპებისა და უკანასკნელებში მარცვალთა რაოდენობის მხრივ 1—3 სტროფში, მეორე — 4—6-ში, მესამე —7—9-ში, მეოთხე —16—18-ში, მეხუთე —10—15 და 19—24-ში. უთუოდ მართალი იყო გიორგი, როდესაც ამბობდა, რომ ასეთი საგალობლის გამართვას «უფროჲსი ჭირი» აქვს და «დიდი შრომა» უნდაო. მთლიანად

---

[1] ἀθλοφόρε μάρτυς Εὐγένιε πρέσβευε ἡμῶν.

[2] ἀνάμνησον ἡμῶν πάντων εὐσεβῆς Εὐπραξία.

[3] ἀνάμνησον ἡμῶν εὐσεβεῖς Ἀδριανὲ καὶ Ναταλία.

[4] ш. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 218.

[5] ორი აკროსტიქული «გალობანი» ამ თხზულებიდან: ნათლისღებისა და შობისანი, გამოცემულია ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს «ქრესტომათიაში», I, 352—355.

ეს იამბიკო წარმოადგენს ლიტურგიკულ კანონს, რომელიც 8 «გალობადაა» გაყოფილი: I გალობა—1—3 სტროფი, III — 4 — 6, IV—7—9, V—10—12, VI—13—15, VII—16—18, VIII—19—21, IX—22—24.

5) «სტიქარონნი საწელიწდონი დღესასწაულისანი, რომელნი თთუეთაცა თანა სწერიან» (გვ. 311). ეს არის ნაწილი ზემოაღნიშნული თხზულებისა, მისგან გამოკრებილი ერთი ნაწილი, სახელდობრ, ის ჰიმნები, რომელთაც ეწოდება სტიქარონი ან ბერძნულად — სტიხირარიონ.

6) «სტიქარონნი თჳთაჳჯნი უძლისპირონი, ვითარცა არიან ბერძულად» (იქვე). ეს ისეთი ჰიმნების კრებულია, რომელნიც თჳთაჳჯნი, ესე იგი თჳთქმოვანნი არიან, იმათ თავისი საკუთარი კილო აქვთ და სხვა ჰიმნების კილოზე არ სრულდებიან, უძლისპირონი არიან, ვინაიდან თვითონ წარმოადგენენ ძლისპირს; ბერძნულად ასეთ კრებულს ეწოდება ირმოლოგიონი.

7) «კუალად იგივე სტიქარონნი ძლისპირთა ჭუეშე, რომელთა შინა სხუადაცა მრავალნი კეთილნი სწერიან და მათვე შინა მარხვათა სტიქარონნი» (იქვე).

8) «დიდი პარაკლიტონი, სამკაული ეკლესიათაჲ და სხჳთა მრავლითა კეთილითა აღსავსე» (იქვე); ადრინდელი ცალები ამ წიგნისა, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია, არის სინას მთის 1044 წლის № 60, იქაურივე 1061 წლისა (№ 17), ათონ. № 24 1077 წ. (ბლეიკით) და ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის 1093 წ. (№ 93). უკანასკნელი გადმოღებულია გიორგის დედისაგან, რომელიც «ეზომ წვრილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმას» ჰგვანდა».

9) «დიდნი მარხვანი».

10) «ზატიკნი მრავალფერითა კეთილითა აღსავსე» (იქვე). დიდ მარხვანში მოჰყვებოდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი, რომელიც გიორგის ვრცლად გადმოუღია: მას არამცთუ უთარგმნია ანდრიას ტექსტი სრულად, შეუტანია აგრეთვე ექვთიმეს დამატებანიც და ზედმეტი ადგილები; თუმცა მას კმანი არ შეუცვლია, მაგრამ არც იმას ცდილა, რომ შეეთანხმებია მათთვის შესაფერი ჰიმნები[1].

11) «საწინაჲსწარმეტყუელო საწელიწდო», რომელიც მას უთარგმნია დე-

ტეხების და მაწყვეტების რაოდენობა	სტროფები														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10—15	16	17	18	19—24
1	5	5	5	5	5	5	5	5	5	12	12	12	12	12
2	7	7	7	7	7	7	7	7	7	12	7	7	7	12
3	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	10	10	10	12
4	5	5	5	12	12	12	12	12	12	12	7	7	7	12
5	7	7	7	7	7	7	5	5	5	12	5	5	5	12
6	7	7	7	5	5	5	7	7	7	12	10	10	10	12
7	10	10	10	5	5*	5	12	12	12		9	9	**	
8	7	7	7	7	7	7								

* ამ სტრიქონში შვიდი მარცვალია.

** აქ ერთი სტრიქონი დაუკლია გიორგის.

[1] H. Марр, Исторический очерк грузин. церкви с древнейших времен, «Церковные Ведомости», 1907 г., № 3, прилож. ст. 141.

კანოზობაში (გვ. 298); ამის შესახებ ეფრემ მცირე ამბობს: «ვაქებ წესსა წინაჲსწარმეტყუელოთა წიგნთა მთარგმნელისასა, რომელთაგანი მცირედი რაჲ გაეგონების უსწავლელთა, გინათუ ზოგსრე სწავლულთა მიერ, გარნა სიტყუაჲ სიტყჳსა ნაცვალი შედარებულია ბერძულისა»[1].

12) «დიდი კურთხევანი», ესეც დეკანოზობისას უთარგმნია გიორგის[2]. კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი, მცირედ და შემოკლებულად, როგორც ვთქვით, ექვთიმეს ეთარგმნა, მაგრამ, ვინაიდან ის მის თანამედროვე ლიტურგიკულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, გიორგის განუზრახავს ახალი, უფრო სრული რედაქციის გადმოთარგმნა. ამ წიგნს საქართველოში მიუღია კანონიკური მნიშვნელობა, მისთვის სანქცია მიუცია რუის-ურბნისის კრებას, რომლის ერთ-ერთ კანონში ნათქვამია: «ხოლო წესი ჴელდასხმადთა სრულებისა ეგრეთ აღესრულებოდეს, ვითარცა ა ხ ა ლ თ ა შ ი ნ ა კ უ რ თ ხ ე ვ ა თ ა ნეტარებით მოკსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს. ეგრეთვე კურთხეუაჲ ეკლესიისაჲ და დამყარებაჲ საკურთხეველისა და წმიდაყოფა ღმერთმყოფელისა მირონისა ეგრეთ სრულიქმნებოდეს, ვითარცა მუნ შინა მოკსენებულ არს»[3]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გიორგის მოუცია ახალი თარგმანი იოანე ოქროპირის და ბასილი დიდის ჟამისწირვისა. მეთერთმეტე საუკუნის ერთ-ერთ კ ო ნ დ ა კ ში, რომელიც პირველად ჩვენ სეანეთში ვნახეთ და დღეს ხელნაწ. ინსტიტუტის S ფონდში შედის, მოთავსებულია ბასილის წირვა და მიცვალებულთა მოსახსენებელში ნათქვამია: «მოიჯსენე, უფალო, სული გიორგისა თარგმანისაჲ»[4]. კონტექსტი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გიორგი აქ მოხსენებულია არა საზოგადო მნიშვნელობით, არამედ როგორც წირვის წესის თ ა რ გ მ ა ნ ი ან გადმომღებელი. გიორგის უთარგმნია აგრეთვე გამოკრებილი სახარება (H 1299), სამოციქულო და საწინასწარმეტყველო (H 1350). ამნაირად, როგორც ვხედავთ, გიორგის გადმოუთარგმნია თითქმის მთელი კომპლექსი საღვთისმსახურო წიგნებისა და ამ მხრივ ქართული ეკლესია სავსებით უზრუნველუყვია.

VI. ჰომილეტიკა. ბიოგრაფი გადმოგვცემს, რომ გიორგიმ თარგმნა: 1) «წიგნი თეოდორე სტოდიელისაჲ, სწავლანი დიდთა მარხვათა საკითხაჲნი» (გვ. 311). აქ მოთავსებულია თეოდორე აღმსარებლის «სწავლანი სულიერნი თჳსთა მოწაფეთა მიმართ ყველიერისა კჳრიაკითგან ვიდრე დიდ:დ ოთხშაბათამდე, რომელნი წარიკითხვიან მარხვათა შემდგომად სერობისა და ისმენენ ძმანი ყოველნი ზემდგომნი და მდუმრიად ყოვლითაჲ ლ̈ობიერებითა» (A ფონდი, № 500). შინაარსი: შესავალი, 57 სიტყვა დიდმარხვის პირველ ოთხშაბათიდან ბზობის პარასკევამდე, ენების კვირიაკის ორშაბათისა და სამშა-

1 თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 216.

2 «ათონის კრებული» გვ. 298, 307—303. ამ კურთხევანის შემაღგენელი ნაწილი უნდა იყოს «ლოცვაჲ ლხინებისაჲ მათთჳს, რომელნი უვარისყოფისაგან მოჭცეულ იყუნენ ქრისტეანობად» (Coar, Euchol. 689—690). ამ ლოცვას მიწერილი აქვს: «ახლად თარგმნა ესე გიორგი (Христианский Восток, т. v, вып. 2, стр. 116).

3 მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 524.

4 К. К е к е л и д з е, Древне-грузинский Архиератикон, стр. XI, прим. 1.

ბათის, აღსების, შემდგომად აღსებისა და ხსენებისა წმ. დომენტისა, შემდგომად აღსებისა ოთხი სიტყვა. შუაზატიკის ამაღლების წინადღის, გარდამოსლვისათჳს სულისა წმიდისა, ყოველთა წმიდათათჳს, პირველი, მეორე და მესამე კვირიაკის, შემდგომად ხსენებისა წმ. თეოდორესი და შემდგომად ხსენებისა წმ. წინამორბედისა. ეს თხზულება, როგორც მისი «ანდერძიდან» ჩანს, გიორგის უთარგმნია დეკანოზობაში, სახელდობრ 1042 წელს, 2) სოფრონი ერუსალიმელის «სიტყუაჲ ხარებისათჳს», რომელიც იწყება ასე: «ხარებაჲ არს, ძმანო, ხარებაჲ»[1]. აქ ხელნაწერის აშიაზე აწერია გ˝ი, რაც ჩვენ გიორგი მთაწმიდლად მიგვაჩნია, 3) გრიგოლ ნოსელის «შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი»[2].

VII. აგიოგრაფია. გიორგის მიერ ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებანი არიან მეტაფრასული რედაქციისა. ესენია: 1) ნეკტარი კონსტანტინოპოლელის «წამებაჲ წმ. თეოდორე ტჳრონისა და სასწაულისა მისთჳს, რომელი იგი აღასრულა ყოვლადქებულმან უძლეველმან მოწამემან ჟამთა ივლიანე განდგომილისათა»[3], იკითხება დიდმარხვის პირველ შაბათს. 2) იოანე დამასკელის «უწყებათაგან პირველთა დიდითა გამოწულილვითა შეკრებილი საკითხავი ყოველად ქებულისა შობისათჳს უფლისა»[4], 3) დროთეოს ტვირელის «მოწაფეთა მათთჳს უფლისათა», რომელიც ძველადაც იყო ქართულად ნათარგმნი[5], გიორგის ხელმეორედ უთარგმნია ბერძნული ენიდან, ხოლო ბერძნული დედანი ლათინურიდან ყოფილა გადმოღებული[6]. 4) «თხრობაჲ მარგებელი, ძველთა თხრობათაგან შეკრებილი მაუწყებელად საკსენებელსა საკჳრელებითქმნილისა სასწაულისა, რაჟამს სპარსნი და ბარბაროზნი დედოფალსა ამას ქალაქსა ბრძოლად მოადგეს და წარტყუენეს საღმრთოჲთა ბჭობითა განშჯილნი, ხოლო ქალაქი ესე უვნებელად დაცული მეოხებითა ღმრთისმშობლისაჲთა, მიერითგან წლითიწლადსა გალობასა შესწირავს სამადლობელსა, დაუჯდომელ[ად] სახელმდებელი დღისა ამის». აქ ჩვენ გვაქვს დიდმარხვის მეხუთე შაბათის საკითხავი, ბერძნულად აკათისტოდ სახელდებული, რომელშიაც მოთხრობილია ამბავი კონსტანტინოპოლის მოცვისა სკვითებისა და ავარების მიერ 626 წელს. ეს თხრობა ქართულად სამი რედაქციითაა შენახული: მცირე[7], მოკლე, სტეფანე სანანოჲძის მიერ თარგმნილი[8], და ვრცელი[9], რომელიც გიორგის გადმოუთარგმნია[10]. 5) წამებაჲ წმი-

[1] გელათის ხელნაწ. № 8, ფ. 217—238.

[2] გელ. № 8, ფ. 73—84.

[3] A 5, 55, 129, 272; გელათ. № 8, ფ. 98—104.

[4] A 162; გელათ. № 5.

[5] A 95, 156—163, № 144, ფ. 320—334.

[6] A 139—223, 257 და სხ.

[7] A 347.

[8] A 5, 140, 162, 272; გელ. № 2.

[9] A 500, 518, 674.

[10] М. Джанашвили, Сказание об осадах Константинополя персами, скифами—русскими и арабами (Материалы по истории и древностям Грузии и России, Тбилиси, 1912 г., стр. 107—145); გამოცემა პ. კარბელაშვილისა, საეკლესიო მუზეუმის სერიის № 7, თბილისი, 1903 წ.

დისა და დიდისა' მოწამისა გიორგისი, 23 აპრილს, რომელიც იწყება ასე: «დიოკლიტიანე რომთა თჳთმპყრობელი უღირსებით მომხუმელი სკიპტრისაჲ [1]. 6) წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თეოდორე ტჳრონისაჲ (ფებერვალსა ი'ზ): «ტკბილ არს და საწადელ მოკსენებაჲ მოწამეთაჲ» (იერუს. № 2; A 276; გელ. № 1, ფ. 48—56); სასწაული თეოდორესი: «ესრეთ უკუე დაიუნჯა» (A 500, ფ. 253—266).

7) გიორგის ორიგინალური შრომაც დარჩენია აგიოგრაფიაში, სახელდობრ — «ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ» [2]. ეს თხზულება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ჩვენი ისტორიის შესასწავლად მეთერთმეტე საუკუნეში, მას დაუწერია «ვიდრეღა იყო დეკანოზად» [3], თუმცა მასალის შეკრება დაუწყია იმთავითვე, როცა ათონზე მისულა: «რამეთუ პირველითგანვე», ამბობს გიორგის ბიოგრაფი, «ვინაჲთგან მოვიდა იგი წმიდასა ამას მთასა, მოსწრაფებითა და წადიერებითა და გულსმოდგინედ გამოწულილვით გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ეფთჳმესთა უსხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებული ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ... და დიდებულისა ამის ღაერისა შენებაჲ და განგებანი, რომელნი წმიდასა მამასა ეფთჳმეს დაესხნეს, ესე ყოველნი აღწერით დაგჳტევნა» (გვ. 299). ამ თხზულების დაწერის ერთ-ერთი მიზანი აღნიშნულია შემდეგ სიტყვებში: ცხოვრება მათი გიორგიმ «ხატად ცხოველად და ძეგლად პირმეტყუელად მომავალთ ნათესავთა აღგჳმართნა, რომლისა იგი მკითხველ-მსმენელნი სულით და ჭორცით განათლდებიან» (იქვე), ესე იგი გიორგის განუზრახავს ივერიის დიდებულ მაშენებელთა ბიოგრაფიის დაწერა «ხატად ცხოველად და ძეგლად პირმეტყუელად» შემდეგი თაობისათჳს, რომელსაც ის მისაბაძად ექნებოდა მუდამ. ამ შემთხვევაში ის ერთგვარ ზნეობრივ ვალსაც იხდიდა დიდებულ მოღვაწეთა წინაშე მათი მოქმედებისა და თავგადასავლის აღწერით. ეკლესიაში მიღებული იყო ასეთი ადამიანების «ცხორების, ღუაწლის და შრომათა» აღწერა, და იოანე და ექვთიმე ხომ არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ სხვებს, ისინი «არარაჲთ უნაკლო იყუნეს პირველგამოჩინებულთა წმიდათასა» (გვ. 2). მაგრამ იყო სხვა მიზეზიც: როგორც ვიცით, ათონის ბერძნები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართველები გამოეძევებიათ ი ვ ე რ ი ი დ ა ნ, წაერთვათ მათთჳს ლავრა და მისი ჭონება და თჳით «სახელიც მაშენებელთა აღმოეხოცათ» (გვ. 63). გიორგისა და ათონელ ქართველებს უკეთეს საშუალებად მიუჩნევიათ ამ მაშენებელთა ცხოვრების აღწერა, რათა ის გამხდარიყო წერილობითი დოკუმენტი მათი უფლებისა ათონზე და «რათა ესევითარი ბოროტი, რომელი მოაწიეს მათ ზედა ბერძენთა, არა დავიწუებულ იქმნას და კუალად შემდგომად მათსა მომავალნი ესევითარსა ჭირსა შთაცჳვენ» (გვ. 61). ავტორი თავისი შრომის წყაროებსაც უჩვენებს:

[1] გელათ. № 7, ფ. 323—343.

[2] A 558. გამოცემულია «ათონის კრებულში», გვ. 1—68, «საქართველოს სამოთხეში», გვ. 401—432 და ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს და ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ 1946 წ.

[3] «ათონის კრებული», გვ. 299.

«ჩუენ თავით თჳსით არარაჲ აღგჳწერია, არამედ რაჲ იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილენეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან და სავსე მადლითა ზეგარდამოჲთა»[1], აგრეთვე «საქმეთაგან, რომელნი იგი დუმილით წამებენ და კმამაღლად ჰქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა, — ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული» (გვ. 3). მას ხელთა ჰქონია წერილობითი წყაროებიც. მაგალითად, ნუსხა იმისა, რაც ქართველებმა ათანასეს ლავრას შესწირეს. «ყოველი თჳთ წმიდისა მამისა ეფთჳმეს ჴელთა ნუსხისაგან დაგჳწერიაო», — ამბობს ის (გვ. 17), ანდა ათონის სხვა ეკლესია-მონასტერთადმი ბოძებული «ესეცა ყოველი მამათაჲ ჩუენთა დაწერილისაგან დაგჳწერიაო» (გვ. 18); სიკვდილის წინ იოანეს თავისი ა ნ დ ე რ ძ ი «აღწერით დაუტოვებია» და ეს დოკუმენტიც გიორგის განკარგულებაში ყოფილა (გვ. 24). ექვთიმეს მიერ ნათარგმნ თხზულებათა ნუსხა იმას ამოუღია იოანეს ა ნ დ ე რ ძ ი ს ა გ ა ნ, რომელიც «სახარებათა თარგმანებას» აქვს თანდართული და სხვა ხელნაწერებშიაც მოიპოვება. თხზულება, რომელიც დაწერილია გამართული მხატვრული ენით და გამთბარია უშუალო პატრიოტული გრძნობით, ნათლად წარმოგვიდგენს ქართული კულტურის სიმაღლეს და მის მეტოქეობას ბიზანტიურ კულტურასთან[2]. ეს თხზულება უაღრესი ნდობის ღირსია და პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლი[3].

VIII. საეკლესიო სამართალი. ამ დარგში გიორგის პირველ ყოლისა ხაზი გაუსვამს მღვდელმსახურთა მოვალეობისათვის და უთარგმნია დარიგება მღვდელთადმი, თუ როგორ უნდა ეჭიროთ თავი[4]. სახელდობრ: 1) «მცნებაჲ მღუდელთა მიმართ», რომელიც იწყება: «ეკრძალე თავსა შენსა და იხილე მსახურებაჲ. რომელი მიიღე, რათა აღასრულო იგი»[5]. 2) «მცნებაჲ წმიდისა ჟამის წირვისაჲ მღუდელთა მიმართ, რათა არა წირვიდენ დღესა შინა ორგზის, არამედ ერთგზის»[6]. 3) ბიოგრაფიაში აღნიშნულია «ეპისტოლენი წმიდისა კჳრილესნი და სხუათა წმიდათა მამათანი განკუეთისათჳს ნისტორ უსჯულოჲსა» (გვ. 311). ეს შეიძლება ამონაწერი იყოს მესამე მსოფლიო კრების აქტებიდან. სამწუხაროდ, ჩვენამდე ეს თარგმანი არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში, ჯერ აღმოჩენილი არაა. 4) ბიოგრაფიაე აღნიშნავს გიორგის მიერ ნათარგმნ წიგნთა შორის ერთს: «წიგნი მეექუსისა კრებისაჲ» (იქვე). ასეთი თხზულება ქართულად თარგმნა, როგორც ვიცით, ექვთიმე ათონელმა, გიორგის

[1] ამ პირებს გულისხმობს ნაცვალსახელი «ჩუენ», რომელიც გვხვდება «ათონის კრებულის» 58 — 67 გვერდებზე, და არა ავტორს ცხოვრებისას, გიორგი მთაწმიდელს; უკანასკნელს პირველი პირით მოთხრობილი ამბები უცვლელად, პირველი პირითვე. შეუტანია.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ ქართულ მწერლობაში, 1949 წ., გვ. 17—18.

[3] ამ შრომის შესახებ იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. 1, გვ. 73—84, გამოცემა 2, გვ. 125—137.

[4] ა თ ი ნ ი ს ი ნ ტ ა გ მ ა, IV, 391—392.

[5] Λ 584, ფ. 247—248.

[6] ი ქ ვ ე, ფ. 248.

რომ ეთარგმნოს ის, არაეითარი ქვალი ამისი არა ჩანს, არც თარგმანი შენახულა და არც რაიმე ცნობა იმის შესახებ. თუგინდ ხელნაწერთა მინაწერით და ბიბლიოგრაფიული შენიშვნის სახით. იქნება გიორგის ბიოგრაფს შეცდომაც მოუვიდა და ექვთიმეს შრომა გიორგის მიაწერა, თუ არა და საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ბიოგრაფის სიტყვით, გიორგიმ თარგმნა «წიგნი მეექუსისა კრებისა, ეპისტოლენი წმიდისა კჳრილესნი და სხუათა წმიდათა მამათა განკუეთისათჳს ნისტორ უსჯულოჲსა» (გვ. 311). შესაძლებელია აქ იგულისხმებოდეს ერთი თხზულება. სახელდობრ, იმ კრების წიგნი, რომელშიაც აღნიშნული ეპისტოლენი იყო მოთავსებული, ე. ი. მესამის. იქნება ხელნაწერში მ ე - ს ა მ ი ს აღსანიშნავად იყო ასომთაერული ხუცური ბ, რომელიც გადამწერს ასომთავრულსავე Ⴓ-სთან აერია და აქედან წარმოდგა მ ე ს ა მ ი ს მაგიერ მეექვსე.

ასეთია გიორგის მიერ ნათარგმნი თხზულებანი. რამდენადაც ჩვენ დღესდღეობით ვიცნობთ მათ. შეიძლება სხვაც ეთარგმნოს მას, მაგრამ ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. გიორგიმ ნაბიჯი წადგა წინ ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებაში, ის აღარ იჩენს თარგმნის პროცესში იმ თავისუფლებას, რომელსაც ექვთიმე იჩენდა. თუმცა იმანაც ვერ შეძლო სულ ერთიანად შეეწყვიტა ყოველივე კავშირი ძველ ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან და ამით აიხსნება ის გარემოება, როგორც ეფრემ მცირეც აღნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ გამოწულილით აწამებდა ქართულ თარგმანს ბერძნულს, სამოციქულო და დავითნი, მაგალითად, მაინც სიტყვასიტყვით ვერ შეუჯერებია ბერძნულ ტექსტთან და ამიტომ დავითნი ეფრემმა ხელმეორედ თარგმნა.

გიორგი არა მარტო მთარგმნელი იყო. იმას ორიგინალური თხზულებაც უწერია, როგორც, მაგალითად, ზემოგანხილული ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი. ამავე დროს ის პოეტიც ყოფილა. პოეტური ნიჭი მას გამოუჩენია ჯერ კიდევ საეკლესიო ჰიმნების თარგმნისას, რომელნიც. თუმცა პროზითაა გადმოცემული, მაგრამ პოეტური ელფერით არის მოსილი, რაც, სხვათა შორის. აკროსტიქთა ვირტუოზულად შექმნაშიაც გამოსჭვივის. მას იამბიკოც უწერია. მაგალითად. მის მიერ ნათარგმნ სახარებას თან ახლავს შემდეგი თორმეტმარცვლოვანი იამბიკო.

> ბანსაკრთომელთა ღმრთისა სამჭოთა წიგნი,
> ემბაზით მადლთაჲ აღმომშობელი ჩუენი,
> ოტკიერად გაქის ოფლით ნამოშაკევი.
> რომელთა გუყურის, სიუმდით წაალსა ცხოველსა,
> გარნა ჩემდაცა იოხდით, რომლისასა
> იტყჳან თაენი სტიხოსთანი სახელსა.
> (გელათ. № 39).

თ ა ე ნ ი ს ტ ი ხ ო ს თ ა ნ ი, ესე იგი აკროსტიქი, იტყვის ან ამბობს სახელს გ ე ო რ გ ი, რომელსაც ეკუთვნის ეს იამბიკო. მასვე დაუწერია «სამოცი-

ჭულოს» იამბიკური ლექსი, რომლის აკროსტიქია: «დაესრულა პაველე, ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი გეორგი»[1].

ა. კალინოვსკის სიტყვით, გიორგის ბერძნულადაც დაუწერია ერთი ლექსი, რომელიც თითქოს რუსულ ენაზე გადმოკეთებულია ი. კოზლოვის მიერ და იწყება ასე: «Вечерний звон, вечерний звон, как много дум наводит он!»[2], მაგრამ ეს აზრი სრულიად უსაფუძვლოა. ეს ლექსი, რომელიც ქართულად იწყება ასე: «რეკა მწუხრის ძელისა, მწუხრის ძელისა, რავდენს აღგვიძრავს იგი მოგონებასა» და რომელსაც გიორგის ნაწარმოებად თვლიან, თვითონ არის თარგმანი კოზლოვის ლექსისა და სტილის მიხედვით შეუძლებელია გადატანილი იქნეს მეთერთმეტე საუკუნეში. ის გადმოთარგმნილი უნდა იყოს XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში[3].

80. სტეფანე ათონელი

პლ. იოსელიანის ცნობით, სტეფანე გარდაიცვალა ათონზე 1069 წელს, მაშასადამე, ის თანამედროვე ყოფილა გიორგი მთაწმიდლისა. ანტონ კათოლიკოსი, რომელიც სტეფანეს «პატივსა სცემს» როგორც ფილოსოფოსსა და ბრძენს, ეუბნება მას: «მოძღვრობა საღმრთო წიგნთ-თარგმნობა წრფელად ვიცით, მამაო, შენიო»[4]. პლ. იოსელიანის სიტყვით, სტეფანეს უთარგმნია ბერძნულიდან იოანე ოქროპირის თხზულებებიდან ორი კრებული: კლიტე და ფუტკარი[5]. კრებული ოქროპირის თხზულებათა, რომელსაც «ფუტკარი» ეწოდება, სხვა ენებზედაცაა ცნობილი, თუმცა ქართულად მისი მთლიანი ნუსხა, გარდა ფრაგმენტებისა, არ შენახულა. რაც შეეხება «კლიტეს», ეს კრებული შეუდგენია მეთვრამეტე საუკუნის გასულს გაბრიელ მციერს და არა სტეფანე ათონელს. შეიძლება ასეთი შეცდომა პლ. იოსელიანს მოუვიდა იმის გამო, რომ ეს კრებული გაბრიელს შეუდგენია სტეფანე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის, რომელიც იოსელიანს სტეფანე ათონელთან აურევია. ბიოგრაფიული ცნობები სტეფანე ათონელის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

81. ეზრა მთაწმიდელი

1074 წ. გადაწერილ ეგრეთ წოდებულ «ათონის კრებულში»[6] მოთავსებულია საგალობელნი «წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ქართველისანი, რო-

[1] «საქმე მოციქულთაჲ», გამოცემა იც. აბულაძისა, გვ. 024—025.

[2] А Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. II. 81; შ. ჯანაშვილი, უკვდავთა ღაღადება, გვ. 86; ა. კვერძე, ერთი კურიოზი, «ივერია» 1904 წ., № 10.

[3] შეად. ტრ. რუხაძის სტატია «თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომებში», IX, გვ. 108—111. ამ ლექსის შესახებ იხ. Марич-ის რომანი «Северное Сияние», 1949 г., стр. 776—777. მისი ახალი თარგმანი იხილე «მნათობში», 1959 წ., № 7, გვ. 68.

[4] «წყობილსიტყვაობაჲ», სტროფი 729—730.

[5] იქვე, შენიშვნ. 135.

[6] А 558.

მელმან აღაშენა მთაწმიდის დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ[1]. კანონის საგალობლებს შემდეგი აკროსტიქი ან კიდურწერილობა აქვს: «იდიდებოდენ აწ მამაი იოანე უღირსისა ეზრაის მიერ». მაშასადამე, ავტორი ამ საგალობლებისა არის ვიღაც უღირსი ეზრა. ვინ იყო ეს ეზრა, ჩვენ არ ვიცით, უეჭველია, ის იყო იერიის მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწე. ამ საგალობლებში იოანესთან ერთად ის შეაქებს აგრეთვე მის შეილს, ექვთიმეს. ჰიმნოგრაფს უსარგებლია იმ მასალით, რომელიც ჩვენ გვაქვს იოანესა და ექვთიმეს ბიოგრაფიაში, აქედანაა ამოღებული ზოგიერთი არამცთუ აზრი და ფაქტი, არამედ სიტყვები და წინადადებანი. მაშასადამე, საგალობლები დაწერილია მას შემდეგ, რაც გიორგი მთაწმიდელმა იოანესა და ექვთიმეს ბიოგრაფია შეთხზა. აღნიშნული ბიოგრაფია გიორგის დაუწერია დეკანოზობაში, 1042—1044 წლებში, მაშასადამე, უღირს ეზრას თავისი საგალობლები შეუთხზავს 1044—1074 წლებში. ამნაირად, ირკვევა, რომ ეზრა იყო მწერალი მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა[2].

82. ბასილი

1074 წელს გადაწერილ ხელნაწერში (A 558) შენახულა საგალობლები ექვთიმე ათონელისა, რომელთა აკროსტიქი იძლევა შემდეგ წინადადებას: «ღმერთშემოსილსა ევთიმის გლახაკი ბასილი შეამკობს»[3]. ვინაა ეს ბასილი, გადაჭრით ვერ ვიტყვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის იყო ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მოღვაწე, რომელმაც ეს საგალობლები შეთხზა სანამ იოანესა და ექვთიმეს «ცხორება» დაიწერებოდა. საქმე ისაა, რომ საგალობლებს არ ატყვია გავლენა ამ «ცხორებისა».

ყოველ შემთხვევაში ეს ბასილი არ უნდა იყოს ის ბასილი, ბაგრატის ძე, რომელსაც აგრეთვე დაუწერია ექვთიმეს საგალობლები (H 1710, ფ. 67b—70a). ეს ბასილი იყო ძე ბაგრატ მესამისა (გარდ. 1014 წ.), მოღვაწე ხახულის ლავრისა, რომელსაც ლოცვა-კურთხევის მისაღებად წარუდგინეს ბიძებმა ხახულში მიყვანილი 10 წლის გიორგი (მთაწმიდელი). როგორც გიორგის ბიოგრაფი ამბობს, ეს ბასილი «მას ჟამსა შინა იყო მოძღუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისა». ამ ბასილის «დისიძე», ესე იგი დის ქმარი, იყო ცნობილი გიორგი ათონელის «ცხოვრებაში» ფერსო ჯოჯიკისძე[4]. «კალმასობის» ავტორი მას ასე ახასიათებს: «ბასილი ბაგრატოანი იყო საფილოსოფოსთა და ღვთისმეტყველებასა შინა ზედმიწევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან კეთილი და რიტორ-მომთხრობელი, და მაღალ ფრასასა ზედან დამთხზეელი, მონოზონებითა სრული, და განმანათლებელი ეკლესიათა, რომელსა უწოდეს ქართველთა ეკლესიათა სამკაულად»[5].

[1] «ათონის კრებ.», გვ. 187—201; ს. ყუბანეიშვილი, ჭრესტომათია, I, 355—357.

[2] არ ეფიქრობთ, რომ ეს ეზრა იყოს ის ეზრა ანჩელი, რომელმაც XI საუკ. პირველ ნახევარში ბაგრატ IV-ის ერთგულებით ისახელა თავი (ქართლ. ცხოვრება, მარიამ დედოფლ. გე. 255).

[3] «ათონის კრებული», გე. 209—215.

[4] იქვე, გვ. 289, 290.

[5] «კალმასობა», ტ. II, გვ. 172. ცნობილია კიდევ ერთი ბასილი ათონელი, ბიძა ექვთიმე ათონელისა, თანამედროვე პიმენ სალოსისა (მე14 საუკ. პირველი ნახევარი).

§3. ზოსიმე

ჩვენამდე შენახულა საგალობლები ილარიონ ქართველისა[1] და ექვთიმე მთაწმიდელისა[2], რომელნიც დაუწერია ვიღაც უღირსს ზოსიმეს. ამ საგალობლების შედგენისას ზოსიმეს, როგორც მიღებულია ჰიმნოგრაფიაში, უსარგებლია იმ მასალით, რომელსაც იძლევა ცხოვრება ექვთიმესი და ილარიონისი (უკანასკნელი — ძველი, ათონური რედაქციისა). ერთიცა და მეორეც, როგორც მინაწერიდან ჩანს, ზოსიმეს დაუწერია იაკობ მღვდლის იძულებით, რომელიც დეკანოზად ყოფილა ივერიის ლავრაში 1071 წლის შემდეგ (ამ წელს დეკანოზად ჯერ კიდევ ვიღაც ევსტრატი ჩანს)[3], გიორგი ოლთისარის მამასახლისობისას (1065—1077). ასე რომ, ზოსიმე მოღვაწეობს ათონზე 1072—1077 წლებში. ამ ზოსიმეს გადაუწერია, სხვათა შორის, გიორგი მთაწმიდლის მიერ გადმოთარგმნილი სტოდიერი[4]. მასვე გადაუწერია აგრეთვე გიორგი ათონელის ოქტომბრის თთუენი 1076 წელს გიორგი ოლთისარის მამასახლისობაში[5].

§4. ლეონტი მროველი

მეთერთმეტე საუკუნიდან ჩვენ გვაქვს რამდენიმე ნაწარმოები, რომელთა ავტორად ერთ-ერთი მინაწერი ლეონტი მროველს თვლის. სახელდობრ, მარიამ დედოფლის (აგრეთვე ანა დედოფლისაც) «ქართლის ცხოვრებაში» ერთ ადგილას აღნიშნულია: «არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა» (გვ. 211), და თან დამატებულია: «დედასა ესთენ ეწერაო». არავითარი სხვა, ან სხვა წყაროდან მომდინარე. ცნობა ლეონტი მროველისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება[6]. მაგრამ ასაკი იმ ნაწარმოებისა, რომელშიაც ამ მინაწერს ადგილი აქვს, თავდებია იმისა, რომ ის, თუ თანამედროვე არაა ლეონტისა, ძალიან მალე კია გაკეთებული მის შემდეგ. სიტყვები: «დედასა ესთენ ეწერაო», გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად, სანამ «ქართლის ცხოვრების» პირველი კრებული შედგებოდა, არსებობდა ცალკე კრებული ლეონტის შრომებისა აღნიშნული მინაწერით, რომელიც აქედან რედაქტორს, მართალია უადგილო ადგილას, «ქართლის ცხოვრებაშიც» ჩაურთავს.

---

[1] «ათონის კრებული», გვ. 177—186; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია I, 360—363.

[2] იქვე. გვ. 202—208.

[3] ათონის ხელნაწერი № 28 ცაგარლით, 30 ბლეიკით.

[4] «ათონის კრებული», გვ. 208, შენიშვნა.

[5] ათონის ხელნაწერი № 54, ბლეიკის კატალოგით.

[6] აკად. ნ. მარის სიტყვით, ათონის ერთ-ერთ XI—XII სს. ხელნაწერში № 61 მოხსენებული ყოფილა «Жизнеописание Георгия Мтацминдели» («Археографические материалы по грузин. рукописям Ивера», I, 84, ЗВОАО, XIII), «ლეონტი მროველი», როგორც ცოცხალი, მოხსენებულია აგრეთვე პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნ ოქროპირის განმარტებას მათეს სახარებისას და, აღმწერელის სიტყვით, XI საუკუნეს ეკუთვნის (ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, გვ. 42).

ტიტული მ რ ო ვ ე ლ ი გვაფრთხილებინებს, რომ ლეონტი ყოფილა რ უ ი ს ი ს მღვდელმთავარი: ეპისკოპოსი ან მთავარეპისკოპოსი. ის რომ მართლაც სასულიერო პირია, ამის თავდებია ნინოსა და არჩილ მეფის ც ხ ო ვ რ ე ბ ა, აგრეთვე მ ე ფ ე თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ზოგიერთი აზრი და წარმართობის განმაქიქებელი პოლემიკური და ქრისტიანობის განმადიდებელი აპოლოგეტური ტონი, რომელიც უფრო სასულიერო პირს შეშვენის.

როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლეონტი? ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. აკად. ნ. მ ა რ ი ს შემთხვევით გამოთქმული აზრის თანახმად, ლეონტი მერვე საუკუნის მწერალია[1]. ამ აზრს, რომელსაც მხარს უჭერს მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი[2], საფუძვლად უძევს, ალბათ, არჩილ მეფის მეტაფრასული ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს შემდეგი სიტყვები: არჩილის «ღირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილ არს, თჳნიერ მ ი ს ჟ ა მ ი ს წმიდისა ეპისკოპოსისა ლეონტი მროველისა, რომელსაცა მისი სანატრელი ცხორებაჲ და ღუაწლი ერცლად აღუწერია, ვითარცა მოგჳთხრობს მატიანე ქართველთა ცხოვრებისაო»[3]. მაგრამ, როგორც ის არაა მართალი, რომ ლეონტის არჩილის ცხოვრება «ერცლად აღუწერია», ისე არც ისაა მართალი, ვითომც ის, ლეონტი, «მის ჟამისა», ესე იგი არჩილის დროის, მაშასადამე, მერვე საუკუნის, მწერალია. აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევით, შეუძლებელია ლეონტი მროველს მეთერთმეტე საუკ. ადრე ეცხოვრა, ის მას თვლის ამ საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ[4]. ს. ‘ ყ ა ყ ა ბ ა ძ ე თავდაპირველად არსებითად ეთანხმებოდა აკად. ი. ჯავახიშვილს, თუმცა ლეონტის მოღვაწეობის ხანად მას მიაჩნდა მეთერთმეტე საუკუნის არა პირველი ნახევარი, არამედ დასასრული მისი, დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს მეფობა[5]. შემდეგ კი ლეონტის მოღვაწეობის დრო მან გადმოიტანა 900—920 წლებში ერთი გლოსის მიხედვით, რომელიც ლეონტის არჩილის «ცხოვრებაში» შეუტანია, სახელდობრ: ბერძენთა მეფე უთელის არჩილსა და მიჰრს: «დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარხდეს წელიწადნი მათნი სამასნი, რამეთუ ორას და მეერგასესა წელსა განეცლოს მეფობა მათი და განსრულებასა მესამასისა წელიწდისასა მოეცეს ძალი მეფობასა ჩუენსა და შევმუსრნეთ აგარიანნი». ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ი ს აზრით, რადგანაც აგარიანთა «განელთოლება» და მათგან შუამდინარის დაბრუნება 250 წლის შემდეგ ჰიჯრიდან, ესე იგი 880 წლის ახლოს, არ მომხდარა, ლეონტის ამ სიტყვების აღსასრული მესამასე წელიწადისათვის გადაუდია, მაშასადამე, თავისი სალიტერატურო მუშაობა მას უნდა ეწარმოებინა 930 წელზე უფრო ადრე, დაახლოებით 900—920 წლებშიო[6]. ჯერ ერთი, აღნიშნული გლოსა იკითხება არა ლეონტის მიერ დაწერილს არჩილის «ცხოვრე-

[1] «Кавказский Вестник», 1902 г., № 3.

[2] «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXXV.

[3] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, I, 258.

[4] «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა», პირველი გამოცემა, გვ. 113, მეორე გამოცემა, გვ. 170.

[5] «О древне-грузинских летописцах XI стол.», стр. 27.

[6] «საისტორიო ძიებანი», გვ. 182.

ბაში», არამედ ჯუანშერის ისტორიაში [1], მაშასადამე, ის ეკუთვნის არა ლეონტის, არამედ ჯუანშერს. მეორე — თუ ამ გლოსაში ჩვენ ჯერ კიდევ აუსრულებელ წინასწარმეტყველებას დავინახავთ აგარიანთა დასუსტებისა და შემუსვრის შესახებ, ლეონტის მოღვაწეობა ისეთივე უფლებით შეგვიძლია 250 წელზე ადრე ჰიჯრიდან დავდოთ, როგორითაც მესამასე წელზე. მართლაცდა, თუ მისი მოღვაწეობა ჰიჯრიდან სამასი წლის შესრულებამდე უნდა დაიდოს, რატომ მაინცდამაინც 900—920 წლებს უნდა მივაკუთვნოთ ის და არა მეცხრე, მერვე ან მეშვიდე საუკუნეს? მესამე — დღეს უკვე გამორკვეულია, რომ ამ გლოსაში ჩვენ გვაქვს არა ჯუანშერის და, მით უმეტეს, ლეონტის წინასწარმეტყველება ან მოლოდინი, არა რაიმე რეალური ისტორიული ფაქტის აღმნიშვნელი თარიღი, არამედ ასტროლოგიურ-კაბალისტიკური «ჰერმეს ტრისმეჯისტონის წიგნიდან» ამოღებული გამოანგარიშებისა და რიცხვთა კომბინაციების გამოძახილი [2], ამიტომ მათზე დაყრდნობით ყოველად შეუძლებელია ლეონტი მროველის მოღვაწეობის დათარიღება.

მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, ლეონტი მროველის ლიტერატურული საქმიანობა მერვე საუკუნის მეორე ნახევარს ვერ გადასცილდება [3]. უფრო ზუსტად, ის უნდა დაიდოს 6 — 7 საუკუნ., სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე [4]. რატომ? რადგანაც მისი სახელით ცნობილი შრომები ამ ეპოქას ეკუთვნიანო (S 92). მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ დასამტკიცებელია, განა შეიძლება ერთი უცნობით მეორე უცნობის გარკვევა? მ. თარხნიშვილს არც ის უშლის ხელს, რომ ლეონტის შრომაში იხსენიება ქ. ბაღდადი, — ეს, მისი სიტყვით, შემდეგი დროის დამატებაა, — არც ის გარემოება, რომ ამ შრომაში არაბთა ეპოქის კვალი ჩანს, ესეც, მისივე განცხადებით, ან მოგვიანო დროის ინტერპოლაციაა, ანდა არამეულ-სირიულის (??) გამოვლინება (S 407, შენიშვ.). ყველაფერი ეს ნაკარნახევია უფრო არქაიზაციის მიზნით, ვიდრე მკაცრი მეცნიერული მეთოდით. არც ლიტერატურული წყაროები ლეონტისა, რომელთაგან ზოგიერთი X—XI ს. ეკუთვნის, არცთუ მისი გეოგრაფია ასეთი განცხადების უფლებას არ იძლევა. არ იძლევა ამის უფლებას მისი საისტორიო შრომის მიზანდასახულება, განსაკუთრებით კი ენა თხზულებისა [5].

როგორც ქვემოთ, თავის ადგილას, დავინახავთ, ყველაზე ადრინდელი შრომა ლეონტისა არის «ნინოს ცხოვრება»; ამას ის იყენებს თავის მეორე შრომაში «მეფეთა ცხოვრებაში», რომელიც დაწერილია 1072 წლამდე. ხოლო მესამე მისი შრომა «მარტვილობა არჩილ მეფისა», შედგენილია 1072 წლის შემდეგ, ვინა-

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ვარიანტი, გვ. 205.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, «თბილ. უნივერს. მოამბე», ტ. V, გვ. 306—309.

[3] Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, S. 92.

[4] ibid. S. 407, Anmer, 3.

[5] მგონია, მ. თარხნიშვილს მხედველობიდან გამოჰპარვია ჩვენი უკანასკნელი ნაშრომი «მ საკითხის გარშემო: ნინოს ცხოვრების მატიანისეული რედაქციის ავტორი (ტფილელი II, 269—280). მ. თარხნიშვილზე ისე, როგორც მისი წინადროის მკვლევარებზე, რომელთა შეხედულებას ის იშეორებს ამ საკითხში, გავლენას ახდენს უმთავრესად ლეონტის არმენოფილური ტენდენციები; ამ ტენდენციების შესახებ ცოტა ქვემოთ.

იდან იმას იყენებს ჯ უ ა ნ შ ე რ ი. ასე რომ, ამისდა მიხედვით, ლეონტი ჩვენ გვესახება მეთერთმეტე საუკუნის სამოციანი-სამოცდაათიანი წლების მოღვაწედ[1]. დღეს უკვე «ქვანიც ღაღადებენ» ამ ჰეშმარიტებას. 1957 წლის ივნისში აღმოჩენილი იქნა თრეხვის გამოქვაბულში ქეაჯვარის ძეგლი, რომელსაც შემდეგი წარწერა აქვს:

წმიდაჲ მიქელ მთავარანგელოზი.

მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატი-სათჳს ღმრთებისა და დღესა ჴირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათჳს ჟამთა შინა ალფარსალან სულტანისაგან ოხრობისათა.

ქორონიკონსა სპვ[2].

აქედან ირკვევა, რომ ლეონტი მროველი თანამედროვეა ალფარსლან სულტანისა (1063—1072), და უკანასკნელის მიერ საქართველოს აოხრებასთან დაკავშირებით (1065 — 1068 წ.) 1066 წელს (ქორონიკონი სპვ) მას აუშენებია ქუაბი, რომელშიაც დასახელებული ძეგლი შენახულა.

როგორც მისი შრომებიდან ჩანს, ლეონტი საკმაოდ ნაკითხი და განათლებული კაცი ყოფილა: მას კარგად სცოდნია როგორც საეკლესიო (ბიბლია, აგიოგრაფია), ისე საერო (შაჰნამე), საისტორიო (ბიზანტიელი ისტორიკოსები, მოსე ხორენელი, აგათანგელოსი) და აპოკრიფული (ფსევდოეფრემი, ფსევდომეთოდი) მწერლობა. უცხო ენათაგან მან იცის ბერძნული ენა, რომლიდანაც თარგმნის ერთ აპოკრიფს და რომლის ნორმების მიხედვით აწარმოებს ქართველი ეთნარხოსების სახელებს, აგრეთვე სპარსული (ამ ენაზე მას მთელი წინადადება მოუყვანია თავის მატიანეში, გვ. 160) და, შეიძლება, სომხურიც.

ახლა განვიხილოთ მისი შრომები, რომლებიც ზემომოყვანილ მინაწერში არის ჩამოთვლილი. ესენია: ნ ი ნ ო ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, მ ე ფ ე თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა და არჩილ მეფის წ ა მ ე ბ ა.

I. ცხოვრება ნინოსი. ლეონტი მროველის დრომდე ჩვენს მწერლობაში არსებობდა ნინოს ცხოვრების ის რედაქცია, რომელიც შემოუნახავს ჩვენთვის შატბერდისა და ჭელიშის ხელნაწერებს და რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აი ეს რედაქცია აუღია ლეონტის და თავისებურად გადაუკეთებია. რაც ძველი რედაქციის თავში იყო მოქცეული, მას ბოლოში მოუთავსებია; პირველი პირის მოთხრობა მესამე პირისად გადაუკეთებია, ზოგიერთი პარაგრაფი ძველი მოთხრობისა გამოუშვია, ზოგი მიუმატებია, ფრაზები გაუვრცია და სიტყვები განუახლებია. უმთავრესი განსხვავებანი ლეონტის რედაქციისა ძველი რედაქციისაგან უკვე აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში[3], ამიტომ მათ აქ აღარ გავიმეორებთ; შევნიშნავთ ჰხოლოდ, რომ იქ

[1] დაწვრილებით კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს «ნინოს «ცხოვრების» მატიანისეული რედაქციის ავტორი» (ეტიუდები II, 269 — 280).

[2] იხ. გაზეთები «Заря Востока», 1957 წ. № 173, «კომუნისტი» 1957 წ. № 158.

[3] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XV—XXV. მხოლოდ ავტორი ამ ახალ რედაქციას აკუთვნებს არა ლეონტის, რომლის არსებობა მაშინ ცნობილი არ იყო, არამედ მეათე საუკუნის კათოლიკოსს ა რ ს ე ნ ს.

ადგილთა შორის, რომელნიც ლეონტის თვითონ შეუტანია, უფრო მნიშვნელოვანია ცნობა ნებრთთის წიგნის შესახებ (გვ. 86 — 87) და ამბავი კეისრისათვის საცოლოს ძებნისა და თრდატ, სომეხთა მეფისაგან, ნინოს თანამოგზაურ რიფსიმიანთა წამებისა (გვ. 63 — 67). პირველი ამოღებულია აპოკრიფიდან «თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ჭუეყანისა», რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, რაც შეეხება მეორეს, უკანასკნელი წლების სპეციალური გამოკვლევით (პროფ. ილ. აბულაძე), რიფსიმიანთა წამებისა და სომეხთა მოქცევის გადმოცემისას ლეონტის გამოუყენებია ერთი და იგივე წყარო, შემცველი როგორც წამებისა, ისე მოქცევისაც. ეს წყაროა ბერძნული, და ისიც ამ ენაზე დაცული ვრცელი ვარიანტი აგათანგელოსისა თუ არა, მისგან არც ისე დიდად დაშორებული[1].

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ვერც ერთი იმ ნაკლთაგანი, რომელიც ახასიათებს ძველს, შატბერდულ· რედაქციას ნინოს ცხოვრებისას, ლეონტის თავიდან ვერ აუცილებია და თავის შრომაში ნაბიჯი წინ ვერ წაუდგამს. ამით აიხსნება, ალბათ, ის სიტყვები, რომლითაც არსენ ბერი ახასიათებს აჲ შრომას: «ესე ნეტარისა ნინოჲს ცხორებაჲ შეუწყობელად, განბნეულად და აღრეულად ეწერა... ამისათჳს საეკლესიოთ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკმარ და ვერ საცნაურო[2]. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლეონტის შრომამ გამოდევნა სხვა ვერსიები ჩვენი მწერლობიდან და უცილობელი ბატონობა მოიპოვა, ალბათ, იმიტომ, რომ ის «ქართლის ცხოვრების» შემადგენელ ნაწილად იქცა.

ლეონტის ეს შრომა თავდაპირველად მეფეთა ცხოვრებაში შეტანილი არ ყოფილა, ის შეადგენდა დამოუკიდებელ შრომას, ისე როგორც არჩილის წამება. ეს რომ ასეა, შემდეგიდან ჩანს: 1) ის იწყება, როგორც მთლიანი და დამოუკიდებელი შრომა, სიტყვებით: «პირველად უკუე ვაკსენოთ ცხორება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა» (გვ. 55); 2) არაენ ბერი, ავტორი ნინოს მეტაფრასული ცხოვრებისა, ამბობს: ესე ნეტარისა ნინოჲს ცხორებაჲ შეუწყობელად და განბნეულად ჰამბავსა მეფეთასა თანა სწერიაო. მაშასადამე, მის დროს ყოფილა ისეთი ნუსხებიც ნინოს ცხოვრებისა, რომელნიც მეფეთა ცხოვრებაში კი არ ყოფილა შეტანილი, როგორც ახლა, არამედ მასთან ერთად ან მის გვერდით არსებობდა; 3) ავტორი გადმოგვცემს მირიანის ცხოვრებას ერცელ პარაგრაფში (გვ. 48 — 55), რომელსაც ათავებს მირიანის მიერ მოხდენილი სარწმუნოებრივი რეფორმის მოკლე აღწერილობით: «მას ჟამსა მოსრულ იყო წმიდა და ნეტარი დედა და ემბაზი ჩუენი ნინო და დაეყო მცხეთასა შინა სამი წელი და განაცხადა ქადაგება ქრისტეს სჯულისა და იქმოდა კურნებასა თჳნიერ წამალთა კმარებისა და კმამაღლად იწყო ქადაგებად ქრისტეს სჯულისა, ჰეშმარიტისა მის ღმრთისა ჩუენისა» (გვ. 55). ლეონტის მიზნებისათვის, ისტო-

[1] ერთი ფრაგმენტი აგათანგელოზისა გამოსცა G. Garitte-მ ქართულ, სომხურ და ბერძნულ ენაზე (Muséon, t. 61, 1—2, 1948).

[2] «ცხორება წმ. ნინოსი», საეკლ. მუზ. გამოცემა, № 10, გვ. 51—52.

რიის საზოგადო კურსში, ეს მოკლე ცნობაც საკმაო იქნებოდა; ამიტომ სრულიად ბუნებრივად მას თავისი მოთხრობა ამ სიტყვების შემდეგ ასე გაუგრძელებია: «მაშინ კეისარსა კონსტანტინეს რომელ ჰყუა მძევალი, ძე მირიანისი, რომელსა ერქუა ბაქარ, გამოუგზავნა მეფემან კონსტანტინე ნიჭითა დიდითა და მოუწერა ესე» (გვ. 109). მაგრამ შემდეგი დროის რედაქტორს სწორედ ამ აბზაცებს შუა ჩაუკერებია ცხოვრება ნინოსი, რომელშიაც უფრო ვრცლადაა გადმოცემული ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი მირიანის მეფობისა; 4) ლეონტის რამდენიმე შემთხვევაა ჰქონდა შეეტანა თავის შრომაში ესა თუ ის აგიოგრაფიული ნაწარმოები, მაგალითად, წამება რაჟდენ პირველმოწამისა (გვ. 170 — 180), ცხოვრება იოანე ზედაზნელისა (გვ. 187 — 188) და მარტვილობა შუშანიკისა (გვ. 188), მაგრამ ამას ის მორიდებია, როგორც დამარღუვეელს მისი საისტორიო მოთხრობის მთლიანობისას. შუშანიკის შესახებ, მაგალითად, ის პირდაპირ შენიშნავს, რომ «სიგრძისაგან არა დავწერენ ღუაწლნი» მისნი ჩემს შრომაშიო (გვ. 188). რაღა ნინოს ცხოვრებისათვის უღალატებდა ის თავის მეთოდს? როდის შეიტანეს ეს ცხოვრება მატიანეში, დანამდვილებით არ ვიცით. ერთი ცხადია, რომ, როდესაც ლეონტის მატიანე სომხურად უთარგმნიათ, მაშინ ის უკვე შეტანილი ჯოფილა იმაში[1]. ას. რომ, ის დაახლოებით მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შეტანილი მატიანეში, ესე იგი მაშინ, როდესაც ლეონტისა და ჯუანშერის შრომებიდან შეუდგენიათ ერთი კრებული, პირველი რედაქცია ქართლის ცხოვრებისა.

ნინოს ცხოვრება უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი ლეონტის მიერ, ვიდრე მეფეთა ცხოვრება. ამას, სხვათა შორის, გვაფიქრებინებს ერთი წინადადება, რომელსაც მეფეთა ცხოვრებაში ვკითხულობთ: «ნინო იქმოდა კურნებასა თჳნიერ წამალთა კმარებისა» (გვ. 55). ეს წინადადება ამოღებულია ნინოს ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია: «რეცათუ მიზეზითა წამალთა კმარებისაჲთა მრავალნი განუკურნებელთა სენთაგან შეჰყრობილნი განათაესუფლნა უძლურებათაგან მათთა» (გვ. 76) და «განკურნის განუკურნებელნი თჳნიერ წამალთასა» (გვ. 83). წინ უსწრებს ეს ცხოვრება ჯუანშერის შრომასაც, რომლის ერთი წინადადება — ქართველებმა «ნათელი მიიღეს ჴელთა ქუეშე» ბერძენთასა (გვ. 205), ამოღებულია ნინოს ცხოვრებიდან, სადაც ნათქვამია: «სიხარულითა აღიჳსებოდა მეფე და დედოფალი (ბერძენთა), რამეთუ ჴელსა მათსა ქუეშე ნათელს იღებდა ყოველი ქართლიო» (გვ. 97).

II. მეფეთა ცხოვრება. ეს არის საისტორიო ხასიათის შრომა ლეონტი მროველისა, რომელიც განხილული გვაქვს სხვაგან[2].

III. წამება არჩილ მეფისა არის პატარა, მოკლე ნაწარმოები, რომელიც «ქართლის ცხოვრების» პირველ რედაქტორს შეუტანია ჯუანშერის თხზულებაში (გვ. 211—215) იქ, სადაც ლაპარაკია არჩილის შესახებ, და თან

[1] M. Brosset, Additions et éclairssements. p. 20 — 32.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 252—259.

დაუმატებია: «წიგნი ესე იპოვა ესრეთ სულ მცირედ აღწერილი, რომელ ჟამთა შლილობითა ჯერისაებრ ვერვის აღუწერიაო» (გვ. 215). ლეონტი მროველის დრომდე, თუ არჩილის წამება არა, კულტი მაინც არსებობდა მისი. ეს იქიდან ჩანს, რომ იოანე-ზოსიმეს კალენდარში, რომელიც მეათე საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი, 15 იანვარს დადებულია ხსენება «არჩილისა, ქართველისა მოწამისაჲ».

ლეონტი მროველს ამ თხზულების დაწერისას ხელთა ჰქონია უმთავრესად ჯუანშერის შრომა. მართლაც: 1) დასაწყისი მისი: «ვითარ გარდაჴდეს წელიწადნი ორმეოცდაათნი კუალად მოვიდა...» განმეორებაა ჯუანშერის სიტყვებისა: სარკინოზნი «წელიწადსა ორმეოცდა ათსა არღარა შემოვიდოდეს» ქართლს (გვ. 211); 2) თანახმად ჯუანშერისა, ლეონტიმ იცის, რომ არჩილის პაპა არის ადარნასე ხ ო ს რ ო ი დ ი და არა ბაგრატიონი (გვ. 213); 3) იცის მან ისიც, რომ ერეკლე კეისარმა და სტეფანოზ მთავარმა ქართლში მიწასა შინა დაფლეს მრავალი საგანძური (გვ. 213 — 214), რაც მხოლოდ ჯუანშერს აქვს გადმოცემული (გვ. 199 — 200); 4) არაბთა მხედართმთავრად მათი პირველი შემოსევისას ჩენში ლეონტი თვლის ა მ ი რ ა ყ რ უ ს (გვ. 212, 214) და ამ შემთხვევაში იმეორებს ჯუანშერის შეცდომას (გვ. 200) [1]. საერთოდ, თხზულება ღარიბია შინაარსით. ჩანს, მეტი ცნობები ამ ეპოქიდან არც ლეონტის დროს არსებობდა, თორემ, თუ ის არა, ჯუანშერი მაინც შეიტანდა თავის ისტორიაში.

როდის ეწამა არჩილ მეფე? ეს საკითხი მეტად ბუნდოვანი და ძნელად გასარკვევია ჩვენს ისტორიაში. საქმე ისაა, რომ, გარდა ჯუანშერისა, სხვა ძველი ისტორიკოსები არჩილს არ იხსენიებენ. ამით აიხსნება, რომ მის გარდაცვალებას ჩვენი მკვლევარნი სხვადასხვა დროს უჩვენებენ: ვ ა ხ უ შ ტ ი ბატონიშვილით (მასთან ერთად ბროსეთი, ბაქრაძით, ჯანაშვილით) არჩილი (გამეფებული 668 წ.) გარდაცვლილა 718 წელს [2], მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი თ—744 წ. [3], აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მართალია, არჩილ მეფეს სულ არ იხსენიებს, მაგრამ, ვინაიდან მისი შვილის ჯუანშერის ამბავს 761 — 771 წლებში სდებს [4], არჩილის წამებას, მისი კონცეფციით, არაბთა მეორე შემოსევისას (გვ. 737 — 741) უნდა ჰქონოდა ადგილი. არჩილი მეფობს 50 წლის შემდგომ არაბების არა პირველ, არამედ მეორე, მურვან იბნ-მუჰამედ ყრუს დროს, შემოსევისას (737 წ.). არაბთა მხედართმთავარი ჰიშუმი. რომელსაც ა ს ი მ ეწოდება, არის, როგორც Marquart-მაც აღნიშნა [5], ჰაზიმ ხუზაიმა, რომელიც ალ-რაშიდმა დანიშნა მერვე-მეცხრე საუკუნეთა მიჯნაზე. არჩილი შვილია სტეფანოზისა, ეს შეიძლება იყოს სტეფანოზი აბო თბილელის მარტვილობისა. ასე რომ, არჩი-

[1] შესაძლოა ვინმემ პრიორიტეტი ამ შემთხვევაში ლეონტის მიაწეროს და არა ჯუანშერს, მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევს გენეალოგია ყ რ უ ა მ ი რ ა ს ი, რომელიც ჯუანშერს აქვს (გვ. 200), ლეონტის კი არა.

[2] ისტორია საქართველოსი, დ. ბ აქ რ აძ ი ს გამოცემა, გვ. 116—117.

[3] «საქართველოს სამოთხე», გვ. 332.

[4] ქართველი ერის ისტორია II, პირვ. გამოც., გვ. 352—353, მეორე გამოც., გვ. 77—78.

[5] «Osteuropäische und ostasiatische Streifzüge», S. 402.

ლის წამებას ადგილი ჰქონდა მერვე საუკუნის გასულს (737+50), 787 წლის შემდგომ [1].

IV. ჩამოთვლილი თხზულებანი ორიგინალური ნაწარმოებია ლეონტი მროველისა. უეჭველია, მას ნათარგმნი შრომებიც ექნებოდა, მაგრამ ამათგან ჩვენ მხოლოდ ერთი ვიცით, სახელდობრ: «თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას და ცუალება ნათესავთა». ეს არის აპოკრიფი, რომელიც წინ უძღვის ლეონტის საისტორიო შრომას, როგორც მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პროპედევტიკული ნაწილი [2]. ეს აპოკრიფი, რომელიც წარმოადგენს ასურული თხზულების გ ა ნ ძ თ ა ქ უ ა ბ ი ს ერთ-ერთ რედაქციას, გადმოთარგმნილია ბერძნულიდან, როგორც სტილიდან ჩანს, ლეონტის მიერ. ლეონტი, რომელსაც ეს აპოკრიფი სჭირდებოდა ქართული ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებლად, უხვად იყენებს მას თავის ისტორიაში. იმის მიხედვით შეუთხზავს მას თქმულება ნ ე ბ რ ო თ ი ს წ ი გ ნ ი ს შესახებ, ვინაიდან მასში ლაპარაკია ნებროთ გმირზე და მოხსენებულია ასტროლოგიური «წ ი გ ნ ი ხილვათა ნებროთისათა» [3].

85. თეოფილე ხუცესმონაზონი

ბიოგრაფიული ცნობები თეოფილეს შესახებ არ შენახულა, ამიტომ მისი ვინაობა საკმაოდ არ ვიცით. არსებობს ერთი ცნობა, ვითომც ის თანამედროვე იყო არსენ იყალთოელისა, ეფრემ მცირისა და იოანე ტარიჩისძისა, ესე იგი მწერალი იყო მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა, და მათთან ერთად 1114 წელს საქართველოში შემოსულა ან დაბრუნებულა. სახელდობრ: A ფონდის ხელნ. № 131, გვ. 247 და მარიამ დედოფლისეულ «ქართლის ცხოვრებაში» არშიაზე მიწერილია ტექსტის ხელით: «შე[მო]ვიდენ მთარგმნელნი წიგნთანი ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოანე ტარიჭისძე ქრისტეს აქეთ ჟორონიკონსა ჩრპდ» [4] (=1174), რაც შეცდომით ჩრიდ (1114)-ის მაგიერ უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან 1174 წელს არც ერთი ამ პირთაგანი ცოცხალი არ ყოფილა, — ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე ტარიჭისძე, დანამდვილებით ვიცით, არიან მოღვაწენი დაახლოებით 1114 წლისა. ანტონ კათოლიკოსის სიტყვითაც, თეოფილე «ბრწყინვიდა დროსა მას წინათ მყოფთა მამათასა», ესე იგი იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირისა [5]; ხოლო იოანე ბატონიშვილის «კალმასობაში» ნათქვამია: «ესე მამა თეოფილე იყო ქართველი და თანამედროვე ძველთა მამათა ქართველთა: არსენისი, ეფრემისი და იოანე ფილოსოფოსისა, სიბრძნის-

[1] მ ა რ კ ვ ა რ ტ ი მის წამებას სდებს 785—786 წლებში (იქვე, S. 420. Anmerk. 420—421).

[2] ქართლ. ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 786—846.

[3] დაწვრილებით იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. «თბილისის უნივ. მოამბე». III, 42—47.

[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 225, 241.

[5] «წყობილსიტყუაობა», სტროფი 749.

მოყუარებასა შინა სრული და ღმრთისმეტყუელი, საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი და მთარგმნელი ბერძნულიდან ქართულსა ზედა»[1]. ეს თეოფილე ზოგიერთებს მიაჩნიათ იმ თეოფილედ, რომელიც მოხსენებულია გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში. აქ გადმოცემულია, რომ 1057 წელს გიორგის კამათი ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსისთან (1053 — 1057) საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ. ქართველთა ავტოკეფალობის კანონიერების დამტკიცება გიორგის განუზრახავს იმ ფაქტით, რომ ქრისტიანობა საქართველოში ანდრია მოციქულის მიერაა გავრცელებული (იმ დროს ეს საკმაო საბუთი იყო), და ამიტომ ასეთი წინადადება მიუცია პატრიარქისათვის: «მოღებად ეც წიგნი მი[მო]სვლა ანდრია მოციქულისა და მუნით გეუწყოს საძიებელი თქუენიო. პატრიარქმან უბრძანა თეოფილეს, ნათესაით ქართველსა, რომელი იგი უკუანაჰსცნელ ტარსუს მიტროპოლიტ იქმნა, მოღებაჲ წიგნისაჲ მის»[2]. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, შემდეგიდან ჩანს: გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიის დაწერის დროს (1066 — 1068) აქ მოხსენებული თეოფილე უკვე ძიტროპოლიტი ყოფილა, ხოლო ის თეოფილე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, 1081 წელსაც უბრალო ხუცესმონაზონი იყო, როგორც ამას ერთ-ერთი მისი შრომა ნათელყოფს[3]. ამასთან, ტარსუს მიტროპოლიტი თეოფილე ქართული მწერლობის ისტორიაში არაფრით ცნობილი არაა და თუ ზოგიერთი მკვლევარი როგოროც. მაგალითად. პლ. იოსელიანი[4] და მ. საბინინი[5], იმას მოციქულების იაკობისა და პეტრეს ლიტურგიის და ბასილი ფილოსოფოსის მიერ დაწერილი ილარიონ ქართველის ცხოვრების გადმოთარგმნას აკუთვნებს, სრულიად უსაფუძვლოდ. ჩვენ ვიცით, რომ იაკობ მოციქულის ლიტურგია, მაშასადამე, პეტრესიც, რომელიც, სტილის მიხედვით, იმასთან ერთად უნდა იყოს გადმოღებული, უთარგმნიათ ქართულად არაუგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისა[6], ხოლო ილარიონის ცხოვრება ბასილი ასიკრიტისა გადმოუკეთებია ექვთიმე ათონელს[7]. თეოფილე ხუცესმონაზონი კი, რომელსაც ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია გიორგი მეფის ბრძანებით არაუადრეს 1073 წლისა, საკმაოდ ნაყოფიერი მწერალი იყო[8]. ერთ-ერთი მისი შრომის მინაწერიდან ჩანს, რომ ის გიორგი მთაწმიდლის შეგირდი ყოფილა. აქ ვკითხულობთ: «საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხეუაჲ ნეტარისა და წმიდისა მამისა, მზრდელისა და მოძღუარისა ჩემისა გიორგი მთაწმიდელისა,

---

[1] «ქალმასობა», II, 175.

[2] «ათონის კრებ.», 315.

[3] K. Kekelidze, Monumenta Hagiographica Georgica, I, t. 1, p. XXI—XXIII.

[4] «წყობილსიტყუაობა», შენიშვნა 138.

[5] Полное жизнеописание святых грузинской церкви, III, 116, пр. 19.

[6] К. Кекелидзе. Древне-грузинский Архиератикон, стр. IV—V.

[7] კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე». I, 41—52.

[8] მოღვაწეობდა ის კონსტანტინოპოლის ღვთისმშობლის მონასტერში, რომელსაც სახელად რქმევია ტრიანფლოუ (τριῶν φλλίων).

ახლისა ოქროპირისაჲ და მშობელთა მისთაჲ [1]. თეოფილეს შრომები შემდეგ დარგებად შეიძლება დაეყოთ:

I. **აგიოგრაფია.** თეოფილეს აგიოგრაფიული შრომები ყველა მეტაფრასული რედაქციისაა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს: 1) მთელი სექტემბრის თვის წმიდათა ცხოვრებანი სვიმეონ მეტაფრასტისა. ამას მოწმობს ივერიის მონასტრის მეთერთმეტე საუკუნის მეტაფრასი, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: «ითარგმნა უკუე წიგნი ესე მეტაფრასტი ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინოპოლს, მონასტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანფლიუს, დედისა ღმრთისასა, უღირსისა მიერ თეოფილეჲსა ხუცესმონაზონისა, მათვე კელითა მიერ გაინუსხა დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ხუთას ოთხმეოცდა მეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად, მეფობასა აღმოსაელეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისა, რომლისა ბრძანებითა ვიწყუ თარგმად წიგნთა ელლინურისაგან ქართულად, საბერძნეთს დედოფლობასა მართაჲ[სსა], მისიცე გიორგის დისასა, და მეფობასა ნიკიფორე ბოტონიატისა და ალექსი კომნინისათა. მას ჟამსა, ოდეს ბაგრატის ასული მარიამ დედოფალი აღმოსაელეთით კონსტანტინეპოლეს შემოვიდა [2]. როგორც ჩანს, სექტემბრის მეტაფრასები თეოფილეს 1081 წელს უთარგმნია. ამ წიგნის ერთი ცალია ათონის ივერიის მონასტერში, ის შეიცავს 26 ცხოვრება-ენკომიას [3]. 2) როგორც უკანასკნელად გაირკვა, თეოფილეს უთარგმნია ნოემბრისა და დეკემბრის თვის 16 მეტაფრასული საკითხაი [4]. 3) თეოფილეს უნდა გადაემეტაფრასებია აგრეთვე ე ლ ა რ ი ო ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ცხოვრება [5], რომელიც ექვთიმე ათონელს შეუდგენია ბერძენი ფილოსოფოსის ბასილი ასიკრიტის ამჟამად დაკარგული შრომის მიხედვით [6]. 4) თეოფილეს დაუტოვებია საინტერესო ცნობები სვიმეონ მეტაფრასტის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ [7].

II. **ჰომილეტიკა.** თეოფილეს ჰომილეტიკური შრომანიც მეტაფრასული რედაქციისაა. მას უთარგმნია ამ დარგში: 1) ე პ ი ფ ა ნ ე კ ე ი პ რ ე ლ ი ს «საკითხაი მუცლადღებისათჳს ანნაჲსა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისა» [8]. 2) ა ნ ა ს ტ ა ს ი ნ ე ლ ი ს «შემოსლვისათჳს მარხვათასა და მეექუსისათჳს ფსალმუნისა» [9]. 3) კ ი რ ი ლ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს «საკითხაი. თქუმული ყოველად წმიდისა ღმრთისმშობელისათჳს და წმიდათა მამათა-

1 A 1205, ფ. 333 ბ. მის მიერ გადმოთარგმნილი სექტემბრის თვის აგიოგრაფიული კრებულის წინასიტყვაობაში ის ამბობს: «მაღლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გიორგი მთაწმიდელისაგანთა» ვიწყუ თარგმანებაჲ წიგნთაჲ ბერძენულისაგან ქართულადო (ათონ. ხელნ. № 20 ბ ე ი კ ი ს კატ.), 29 (ც ა გ ა რ ე ლ ი თ), ფ. 3ვ.

2 А. Шагарели, Сведения. I, стр. 72 — 80; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, I. 228 — 229; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, «უნივერსიტ. შრომები», 1947 წ., XXX/1 ხ, გვ. 23 — 25.

3 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ბიზანტ. მეტაფრასტიკა..., გვ. 34 — 35.

4 ი ქ ვ ე, გვ. 31 — 32.

5 შ. ს ა ბ ა ნ ი ნ ი, საქ. სამოთხე, გვ. 371 — 392; A 130, 170, 176.

6 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, «თბილ. უნივერსიტეტის მოამბე», I, გვ. 52 — 57.

7 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, გვ. 23 — 24.

8 გელ. № 5, ფ. 123 — 130.

9 გელ. № 8, ფ. 104 — 111; A 733, № 129, ფ. 152 — 161.

თჳს ეფესოჲს კრებისა, რომელი შეკრბეს დამჯობისათჳს უშჯულოჲსა ნისტორისა»[1]. 4—6) იოანე ოქროპირის ოთხი სიტყუა ან საკითხავი: ბზობისათჳს[2], იუდაჲს მიერ განცემისათჳს და ვნებისათჳს უფლისა[3], «ვნებისათჳს უფლისა ჩუენისა და ვითარმედ დღესა, რომელსა განიცლინა ადამ სამოთხით, მასვე დღესა შევიდა სამოთხედ ავაზაკი»[4], და «განცემისათჳს უფლისა და მიცემისათჳს საიდუმლოთა»[5].

III. დოგმატიკა და პოლემიკა. 1) თეოდორიტე კვრელის «აღსარებაჲ მართლისა და უბიწოჲსა ქრისტეანეთა სარწმუნოებისაჲ»[6], რომლის ბერძნული დედანი ჯერ ცნობილი არაა. 2) ეპიფანე კვიპრელის «პასუხი ეპისტოლისაჲ, რომელი მიუწერეს მღუდელთავე მისთა აკაკიოს და პავლე თავთაოანებისათჳს ოთხთოცთა მათ წჳალებათაჲსა»[7], რომელშიც ჩვენ გვაქვს ეპიფანეს მიერ სამ წიგნად დაწერილი «წჳალებათა წინააღმდეგ» თხზულების შემოკლება ბერძნულად Ἀναλαίφαλαίωσις -ის სახელით ცნობილი[8].

IV. ასკეტიკა. ამ დარგში თეოფილეს უთარგმნია: 1) «წიგნი ცხორებისათჳს და მოქალაქობათა წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა», რომელსაც ბერძნულად ეწოდება Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος. ეს თხზულება, როგორც უკვე გვჳონდა ლაპარაკი, უთარგმნია ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმიდელს. თეოფილეს თარგმანი შეიცავს მეორე რედაქციას ამ თხზულებისას, რომელიც შედგება «შესავალი სიტყჳსა» და 24 თავისაგან. ექვთიმეს რედაქციასთან შედარებით ეს რედაქცია უფრო ვრცელია. ჯერ ერთი, აქ არის შესავალი და მეოთხმეტე თავი, რომელნიც ექვთიმეს რედაქციას აკლია, თან მოღვაწე მამათა და მათი აპოფთეგმა-თქმულებათა რიცხვიც მეტია. თეოფილეს რედაქცია მოთავსებულია A ფონდის ხელნაწერში № 1105, რომელსაც შემდეგი მინაწერები აქვს: «ლოცვა ყავთ წმიდანო მამანო, ცოდვილისა თეოფილჱ[სთჳს]. რჱცა თარგმანისათჳს, რამეთუ ცოდვანი ერთბამად მჭონან, და ბერი კლიმი აკურთხეთ ყოველთა, რამეთუ შემდგომად ღმრთისა და წმიდათა მისთა მოღუაწებითა ითარგმნების წმიდაჲ ესე სულთა საცხორებელი წიგნი» (ფურც. 163); «ღმერთმან შეიწყალენ ფრიად ცოდვილი თეოფილჱ» (ფურც. 11); «ღმერთმან შეიწყალენ ცოდვილი თეოფილჱ, ამისი თარგმანი» (ფურც. 231). 2) ასკეტიკონი იოანე ოქროპირისა[9], რომელიც შედგება მორალურ-ასკეტიკურ ჰომილეტიკური შინაარსის 19 თავისაგან. მეცამეტე თავის შემდეგ ვკითხულობთ: «თარგმანი თეოფილესი»[10].

V. ეგზეგეტიკა. «თარგმანებაჲ დაბადებისაჲ იოანე ოქროპირისა», ათონ. 81 (ცაგარლითი), 29 (ბლეიკითი), ავტოგრაფი.

[1] გელ. № 8, ფ. 432 — 439.
[2] გელ. № 8, 279 — 284; A 5, 317 — 322, № 129, 212 — 217, № 272, 125 — 134.
[3] გელ. № 8, 289 — 291; A 5, 360 — 363, № 129, 202, № 272, 135 — 136.
[4] გელ. № 8, 310 — 313; A 5, 386 — 394, № 129 და 272.
[5] A 5, 345 — 354; № 272, 136 — 143; გელათ. № 8, 291 — 298.
[6] გელ. № 8. 439 — 447; A 66, 496 — 502, № 140, 496 — 507.
[7] A 205, 287 — 298 (სადაც მიწერილია: «თფ თარგმანი»), № 64, 91 — 98.
[8] Migne, PG. t. 42, col. 833 — 886.
[9] იქვე, t. 47, col. 319 — 386.
[10] A 143, ფ. 100.

86. პროკოპი მღვდელი

საეკლესიო მწერლობის ისტორიაში ცნობილია ბასილი დიდის თხზულება, რომელსაც ასკეტიკონი ეწოდება. ეს თხზულება მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უთარგმნია ეფრემ მცირეს, რომელსაც შემდეგი ცნობა დაურთავს თავის თარგმანისათვის: როდესაც დავიწყე ამ წიგნის თარგმნა, გავიგე, რომ ის უკვე თარგმნილია ქართულად «პატიოსნისა მღდლისა პროკოპის მიერ», ამიტომ მაშინვე შევაჩერე ჩემი შრომა იმ იმედით, რომ პროკოპის თარგმანს როგორმე ვიშოვნიდიო. ველოდე თორმეტი წელიწადი. მაგრამ, ადამიანის დაუდეერობით თუ დროთა სიავით, ვერ მივიღე ის ვერც საქართველოდან, ვერც კონსტანტინოპოლიდან. ამიტომ, იმედგადაწყვეტილმა, ანტონ ტბელის ბრძანებით, განვაგრძე თორმეტი წლის წინათ დაწყებული და შეწყვეტილი შრომაო [1]. ამნაირად, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილა ვიღაც პროკოპი მღვდელი, რომელსაც უთარგმნია ბასილი დიდის ასკეტიკონი. შესაძლებელია ვიფიქროთ, ის იყო მოღვაწე კონსტანტინოპოლის რომელიმე მონასტრისა, ვინაიდან ეფრემი ამ წიგნს კონსტანტინოპოლიდანაც მოელოდა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ის წარმოადგენს ბერძნული დედნის სიტყვა-სიტყვითს თარგმანს, საკუთარ სახელთა ბერძნული ფორმების დაცვით და ბერძნული ფონეტიკის თვალსაჩინო ზეგავლენით, რასაც ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია აღგილი არამცთუ საქართველოში, არამედ ათონზედაც, და რასაც საფუძველი სწორედ კონსტანტინოპოლის ქართველმა მოღვაწეებმა ჩაუყარეს მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. პროკოპის შრომა შენახულია A ფონდის ერთადერთ ხელნაწერში № 63 და, წინასიტყვაობის გარდა (ფ. 1 — 8), შედგება რვა თავისაგან.

87. გიორგი მცირე

ჩვენი სახელოვანი მოღვაწისა და მწერლის გიორგი მთაწმიდლის ცხორება [2] დაუწერია მის მოწაფეს, გიორგი მცირეს, რომელსაც აგრეთვე ხუცესმონაზონსაც უწოდებენ. ეს გიორგი «თუალით მხილველ და კელითსახურ ყოფილა და ყურით მსმენელ სიტყუათა წმიდისა პირისა მისისათჳს» [3]. ანტიოქიასა თუ შაე მთაზე, იერუსალიმში, საქართველოში, კონსტანტინოპოლსა თუ ათონზე, — გიორგი განუყრელად თავის მოძღვართან იყო, ამიტომ მან დაწვრილებით იცოდა ყოველი თავგადასავალი დიდებული მოძღვრისა და სხვებზე უფრო კარგ პირობებში იდგა ამ თავგადასავლის აღსაწერად. გიორგი მთაწმიდლის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი ხეშტი კონსტანტინოპოლიდან ათონს გადაასვენეს, გიორგი მცირეც, რასაკვირველია, ათონზე გადავიდა და იქ სამუდამოდ დამკვიდრდა თავისი ღირსეული მოძღვრის საფლავთან ახლოს სამოღვაწეოდ. ჩანს, ისეთი შესანიშნავი პიროვნების ბიოგრაფიის დაწე-

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 39 — 40.

[2] «ათონის კრებული», გვ. 282 — 351; მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 437—488.

[3] «ათონის კრებული», გვ. 349.

რა, როგორიც გიორგი იყო. ბევრს ჰქონია მიჩნეული აუცილებელ საჭიროებად. უველაზე უწინ ამის შესახებ ხმა ამოუღია მის მოძღვარს, შავი მთის შეუენებულსა და მოღვაწეს გიორგის. ამ უკანასკნელს თვითონაც კარგად სცოდნია გიორგი მთაწმიდლის თავგადასავალი ბავშვობიდან სიპერემდე. ამიტომ მას ორგზის წერილობით უთხოვია გიორგი მცირისათვის აეწერა მხოლოდ ის პერიოდი, როდესაც ისინი მას, გიორგი შეუენებულს, მოშორდნენ, წმინდანის აღსრულებამდე. უფრო კი აღსრულება მისი. მაგრამ ათონზე ყოფილან ისეთი ძმები, რომელთაც ნდომებიათ აღწერილი ყოფილიყო გიორგის მთელი ცხოვრება. დაბადებიდან სიკვდილამდე გიორგი მცირეს აუჩენია უკანასკნელი გზა, რომელიც ორივე მხარეს დაეამაყოფილებდა. ავტორი ამბობს, რომ თავის შრომისათვის მას ხელი მიუუვია, სხვათა შორის, იოანე ჰყონდიდლის იძულებით მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მოვიდა «სამეუფოდ ქალაქად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფის მიერ სევასტოსისა»[1]. «ცხოვრების» დაწერა უნდა დაწყებულიყო ერთი წლის შემდეგ გიორგის გარდაცვალებიდან. ვინაიდან ავტორი ამბობს, რომ მისი გვამი «იყო ვიდრე წელიწადმდე ყოველთა წმიდათა ეკლესიასა» («ათონის კრებ.», გვ. 346). მაშასადამე, «ცხორება» დაწერილია 1066 წლის პირველი ნახევრის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 1068 წლისა, როდესაც გარდაიცვალა თხზულების შემკვეთელი გიორგი შეუენებული[2]. მაგრამ «ცხორების» ხელნაწერის ერთი ადგილის მიხედვით, ის დაწერილი გამოდის არაუადრეს მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგისა. როდესაც გიორგის გვამი კონსტანტინოპოლიდან ათონზე გადაჰქონდათ ურმით (1065 წ.), ურემმა შემთხვევით გადაუარა პატარა, დაახლოებით 7 — 8 წლის (ჩჩკლ), ბავშვს, მაგრამ არაფერი ავნო მას. ის ბავშვი, ნათქვამია «ცხორებაში», «აწ განმწუსებულ არს», ესე იგი დაუაბუკებული. დავაკაცებულია, «და თჳთ მიუთხრობს» ამ სასწაულებრივ ამბავსო («ათონის კრებული», გვ. 346, «განმწუსებულ»-ის მაგიერ აქ დაბეჭდილია «განმწუსებულ»). თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ის მიღებული აქვს მის შემკვეთელს, გიორგი შეუენებულს (იქვე, გვ. 349 — 350). აქედან უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი შეუენებული არ გარდაცვლილა 1068 წელს. როგორც ეს მიღებულია დღეს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ მის «ბერობასა» და მხცოვანებას გიორგი ათონელის მასთან მოსვლისას 1039 წელს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს ის კიდევ ცოცხალი ყოფილიყო. მაშ რაშია საქმე? თხზულების ბოლოში ავტორი წერს გიორგი შეუენებულს: ამ თხზულებას ბევრი «ნაკლულევანებაჲ» ახლავს თან, გთხოვ «სრულ ჰყო» იგიო, არამცთუ შენ, «კაცად-კაცადმან, რომელიცა შეემთხვოს, შესძინენ ნაკლულევანებასა ამას ზედა და განასრულენ»-ო (გვ. 350). ხომ არ არის ის აბზაცი, რომელშიაც ბავშვის «განმწუსების» ამბავია მოთავსებული, შემდეგი დროის ერთ-ერთ ასეთ «შენაძენთაჲ» ან «შენამატთაგანი»? მართლაც, ეს აბზაცი ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. წინა აბზაცში

[1] «ათონის კრებული», 280.

[2] პლ. იოსელიანი, წყობილსიტყვაობა ანტონ კათოლიკოსისა, შენიშვ. 131; **Н. Марр, Иоанн Петрицкий — грузинский неоплатоник XI—XII вв., стр. 57.**

ფოთოლი ფსალმუნისა (11 ს.)

გაბოთქმულია განცვიფრება ბავშვის სასწაულებრივი გადარჩენის შესახებ: «ეჰა ზეშთა ბუნებისა ქელის-პყრობაჲ და შეწევნაჲ ღმრთისა სახიერებისაჲ და მადლი იგი კაცისა ძის ღმრთისაჲ!» (გვ. 345 — 346). რაღა საჭირო იყო ამის მომდევნო აბზაცში განმეორება უკვე გამოთქმული გაკვირვებისა: «ეჰა მადლი წმიდისა მის გუამისაჲ, ვითარმედ აღუსუბუქა საკვრველად მძიმე იგი ურმისა თუალი» და შემდგომი? ასეთი განმეორება თხზულების ავტორს არ ახასიათებს, შეიძლება «ცხორების» ახალი ნუსხის დამმზადებელმა, რომლის დროს ის ბავშვი მართლაც «განმწუსებული» იყო და რომელიც მას იცნობდა, აღნიშნული სიტყვები, «შეძინებისა» და «განსრულების» სახით, მოათავსა ან თვით ტექსტში, ან აშიაზე, ხოლო მისი ნუსხიდან ის სხვა ნუსხაშიც გადავიდა შემდეგ. როდის გარდაიცვალა თვით ავტორი ც ხ ო რ ე ბ ი ს გიორგი მცირე, დანამღვილებით არ ვიცით, ცნობილია მხოლოდ, რომ 1083 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ვინაიდან ამ წელს მას გადაუწერია თავისი მოძღვრის მიერ ნათარგმნი ს ა მ ო ც ი ქ უ ლ ო [1]. ავტორს არ გადმოუცია დეტალები გიორგის ცხოვრებისა, არამედ მხოლოდ მსხვილი და საყურადღებო ფაქტები. მის ნაწარმოებში ჩვენ თვალწინ გვეშლება მნიშვნელოვანი მომენტები ბაგრატ მეოთხის მეფობისა და მაშინდელი საქართველო-ბიზანტიის ურთიერთშორის დამოკიდებულებისა. ნაწარმოების ენა მეტად მარტივი და მასთან მომხიბლავია, განსაკუთრებით გიორგის გარდაცვალების აღწერისას ის პირდაპირ შედევრს წარმოადგენს [2].

მიუხედავად მრავალი ღირსებისა, გიორგი მცირის შრომას ზოგიერთი დეფექტიც ახლავს თან. პირველ ყოელისა, ის არ უჩვენებს მის მიერ გადმოცემული ამბების წელიწადს, ფაქტებს ის მხოლოდ ამა თუ იმ პირთა სახელების აღნიშვნითა და ხანგრძლიობით ათარიღებს. აქ კი მას ხანდახან, შეიძლება უნებლიედ, შეცდომა მოდის. მაგალითად, როგორც უკვე ვთქვით, გიორგი მთაწმიდლის დაბადებას ის გიორგი I-ის მეფობას მიაკუთვნებს (თუ ეს შემდეგი დროის გადამწერთა კორექტურული შეცდომა არაა), ნამდვილად კი ამას უფრო ადრე ჰქონდა ადგილი, შემდეგ ვერ აქვს მას აგრეთვე სისწორით გარკვეული გიორგის სამწერლო მოღვაწეობა: ის არ გვაძლევს ჩვენ სრულ ნუსხას მისი შრომებისას და ერთ შემთხვევაში გიორგის ისეთ შრომასაც კი მიაწერს («წიგნი მეექუსისა კრებისაჲ»), რომელიც ნამდვილად გიორგის არ ეკუთვნის.

წერის მანერაში გიორგი მცირე ბაძავს თავის მოძღვარს, რომელმაც ექვთიმეს ბიოგრაფია დაწერა. ამ მხრივ ჩვენ ხაზს არ გავუსვამთ მაინც-დამაინც წინადადებას: «ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ», რომელიც ორიენ თხზულებაში გვხვდება [3] და რომელიც შაბლონურია აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, აღვნიშნავთ შემდეგ ადგილებს:

---

[1] A 584.

[2] გიორგი მცირე როგორც ისტორიკოსი, განხილულია აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს თხზულებაში «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა», გამოც. I, გვ. 84 — 91, გამოც. მე-3, გვ. 137—145.

[3] «ათონის კრებული», გვ. 25, 286, 295, 309 და სხვ.

«რამეთუ ეგვითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩენილ არს ენასა ჩუენსა და ეჰგონებ თუ არაცაღა გამოჩინებად არს»; «რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღმით სანთლითა უთარგმნიან» (ექვთიმეს ცხოვრება: «ათონის კრებული», გვ. 26, 30).

«რამეთუ ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგვითარი თარგმანი, თჳნიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა, სხუაჲ არა გამოჩენილ არს ენასა ჩუენსა და ეჰგონებ თუ არცა გამოჩინებად არს. და უფროჲსნი წიგნნი ღმით უთარგმნიან» (გიორგის ცხოვრება: «ათონის კრებული», გვ. 309).

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი მცირე დიდად განათლებული კაცი ყოფილა და მას, უეჭველია, თარგმანებიც ექნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით მათ ჩვენ არ ვიცნობთ.

88. ეფრემ მცირე

ეფრემ მცირე არის შესანიშნავი მეცნიერი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ამავე დროს მთარგმნელი. მან ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი ეპოქა, რომელმაც დიდებულად დააგვირგვინა ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდლების სამწერლო ღვაწლი. ეფრემის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ნაკლებად შენახულა. ზაქარია გაბაშვილი, თეიმურაზ მეფის მოძღვარი, ამბობს, რომ მან ძველ წიგნებში ამოიკითხა, ვითომც ეფრემი იყო სამცხიდან, მოწაფე იოანე პეტრიწისა, მოღვაწეობდა შავ მთაზე და იერუსალიმში[1]. საიდანაც უნდა იყოს ამოღებული ეს ცნობა[2], ის სავსებით სიმართლეს არ შეეფერება: ეფრემი იოანე პეტრიწის შეგირდი არასოდეს ყოფილა, ის უფროსი თანამედროვე იყო მისი და, მეტი თუ არა, 20 — 25 წლით ადრე გარდაიცვალა, ვიდრე პეტრიწი. ისიც საეჭვოა, რომ ეფრემს იერუსალიმში ემოღვაწნოს ხანგრძლივ. მიუხედავად ბიოგრაფიულ ცნობათა უქონლობისა, ჩვენ შეგვიძლია, რამდენადმე მაინც, გავითვალისწინოთ ეფრემის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ეტაპები.

მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიასა და საქართველოს შორის დიდი ცილობა ატყდა «ზემო ქუეყანათა», ან ტაო-კლარჯეთის მიწების გამო. ეს მიწები ბიზანტიის იმპერატორმა მეათე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულში მეორედ დაუთმო დავით კუროპალატს. «რათა თჳსსა სიცოცხლესა ჰქონდინ»[3], იმ სამსახურისათვის, რომელიც მან გაუწია იმპერატორს ბარდა სკლიროსის აჯანყების ლიკვიდაციის საქმეში. დავითის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) იმპერატორი ბასილ II მოვიდა ამ მხარეს, სადაც მას მოწიწებით შეეგებნენ მეფე გურგენ და ბაგრატი. ბასილმა ეს მხარე დროებით ჩააბარა გურგენსა და ბაგრატს. ბაგრატ მეფემ და მერე მისმა შვილმა გიორგი პირველმა სრული ბატონ-პატრონობა მოიხდომეს აქ. ამიტომ ბასილი იძულებული შეიქნა იარაღის საშუალებით დაებრუნებია უკანვე გიორგისაგან

[1] თ ქ ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, I, 225.

[2] Н. Марр. Из книги царевича Багратя о грузинских переводах духовных сочинений, «Известия Академии Наук», г. X. № 2

[3] «ათონის კრებული», გვ. 12; ქ. ძ ე ძ ე ლ ი ძ ე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, «ჩვენი მეცნიერება» № 2 — 3, გვ. 104 — 106.

ეს მხარე, რომლისაგან მან შექმნა ცალკე, ივერიის, თემი[1]. ამ არევ-დარევის დროს თვით ადგილობრივ მკვიდრთა შორის, უფრო კი არისტოკრატიაში, დაწყებულა განხეთქილება: ერთი ნაწილი ბიზანტიის ორიენტაციას იზიარებდა. მეორე საქართველოსას. ბერძნები არავითარ საშუალებას, ქრთამსა და მოსყიდვასაც კი, არ ერიდებოდნენ, რომ ქართველი დიდებულები იმპერატორის მხარეზე გადაებირებინათ. იმათ ისინი ბიზანტიაში იწვევდნენ, მიწა-წყალსა და ადგილ-მამულებს ურიგებდნენ იქ. დიდ თანამდებობასა და «ჩინ-ორდენებს» აძლევდნენ. ხოლო მათ ქონებასა და აულადიდებას საქართველოში თვითონ ეპატრონებოდნენ და ივერიის თემს უერთებდნენ[2]. ასეთმა ვერაგულმა მოქმედებამ განსაკუთრებით თავი იჩინა მცირეწლოვანი ბაგრატ მეოთხის გამეფებისას. ბაგრატის ტახტზე ასელის პირველსავე წელს, 1027 წ., ივერიის თემის გამგის ნიკიტას მეცადინეობით, «წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭისძე და ბანელი ეპისკოპოზი იოანე, მათთანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა»[3]. ეფრემი, რომლის გვარი კარიჭიძე ყოფილა[4], ჩვენ მიგვაჩნია ამ ვაჩე კარიჭისძის შვილად. კონსტანტინოპოლში ეფრემს, სადაც ის თუ არ დაბადებულა, ყოველ შემთხვევაში, სულ მცირეწლოვანი მაინც მისულა. მიუღია ბერძნული განათლება და ზედმიწევნით შეუსწავლია ბერძნული ენა. ამის შემდეგ წასულა შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, და დაუწყია იქ მოღვაწეობა[5]. საკითხავია, კონსტანტინოპოლში გაზრდილმა ეფრემმა რატომ

---

[1] Проф. М. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, стр. 201 — 203.

[2] იქვე გვ. 201; Акад. В. Латышев, К истории христианства на Кавказе, стр. 14.

[3] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 254.

[4] ქატალოგი ჯუარის მონასტრის ქართული ხელნაწერებისა, პროფ. ა. ცაგარელისა, № 138 (Сведения, II, გვ. 33); ბელიკის კატალოგით № 16 (გვ. 44).

[5] ამ მოსაზრებას თითქოს მხარს არ უჭერს თვით ეფრემი, რომელიც თავის «მოსაკსენებელში» ამბობს: შავი მთის მოღვაწემ, საბა თუხარელმან «ქრისტეს მიმსგავსებულთა სახიერებითა მიტკბა ჟამსა სიუცხისა და სიჭაბუკისა ჩემისასა და სხუათაევე ქველისმოქმედებათა თანა ესეცა აჩუენა ჩემზედა, რომელ ბერძულისაცა წიგნისა სწაელაჲ იღუაწა ჩემთჳს ადგილს, შინა ჯეროვნად მომზადებელსა, რომელ არს მონასტერი წმიდისა სუმეონ საკუთველთ-მოქმედისაჲ, რომლისა მეოხებითა... ვისწავე რაჲმე, დაღაცათუ არა შემსგავსებულად ღუაწლთა და წარსაგებელთა წმიდისა მის ბერისათა, არამედ ფრიად უმეტესი ძალისა და მოსწრაფებისა ჩემისაჲ». ამის მიხედვით, თითქოს ისე გამოდის, რომ ეფრემს განათლება მიუღია და ბერძული ენა შეუსწავლია არა კონსტანტინოპოლში, არამედ შავ მთაზე საბა თუხარელის ხელმძღვანელობით. რასაკვირველია, შავ მთაზე, ქართველთა წრეში, ეფრემმა ბევრი რამ შეისწავლა და შეითვისა, მაგრამ საეჭვოა, რომ ის განათლება და ცოდნა, რომელიც მას ჰქონდა, მას შეეძინოს კერძოდ და არა სკოლაში. გამოთქმა — «ჟამსა სიუცხისა და სიჭაბუკისა ჩემისასა», შეიძლება ასე გაეგოთ: როდესაც ეფრემმა კონსტანტინოპოლში სწავლა დაამთავრა და შავ მთაზე საბას დაეწყოფაა, ის ჯერ კიდევ ჭაბუკი, ახალგაზრდა იყო და ამავე დროს, როგორც ასეთი, უცები, არაფრის მცოდნე, რასაკვირველია, ბერული სიმდაბლითა და კრძალულებით გაგებული. უფრო დამაფიქრებელია გამოთქმა: იღუაწა ჩემთჳს «ბერძულისაცა წიგნთა კითხჳსა სწაელაჲ», მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ბერძნული წიგნის კითხვა, ანბანი, ეფრემმა საბასაგან შეისწავლა. ნათქვამია არა «ბერძულთა წიგნთა კითხვაჲ», არამედ «წიგნთა ბერძულის კითხჳსა სწაელაჲ». აქ იგულისხმება, რომ თითოეული საეკლესიო წიგნი — სახარება, სამოციქულო, დაეითნი, საწინასწარმეტყველო, მამათა ცხოვრება და სხვ.

შავ მთაზე არჩია წასვლა და არა მახლობელ იერიის მონასტერში, ათონზე? ჩვენ გვგონია, ამის მიზეზი იყო ის გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც სწორედ ამ ხანებში დამყარდა ათონზე ქართველ და ბერძენ ბერებს შორის და რომელმაც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ათონის ქართველობა. როდესაც ათონზე ქართველები ასეთ გაჭირვებაში იყვნენ, შავ მთაზე, სადაც მათი რიცხვი ამ დროს სამოცამდე ადიოდა, ისინი შედარებით მყუდროდ ცხოვრობდნენ. მართალია, როგორც გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან ჩანს, აქაც მოდიოდათ მათ ბერძენ ბერებთან შეტაკება, მაგრამ ეს 1057 წლამდე, მერე კი, გიორგი მთაწმიდლის ცნობილი დისპუტის შემდეგ, პატრიარქი ანტიოქიისა მათ მფარველობასაც კი უწევდა[1]. შავ მთაზე, ანტიოქიაში, გიორგი მთაწმიდლის იქ ყოფნისას, როდესაც მას კამათი ჰქონდა პატრიარქთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ, ეფრემი აქ ჯერ კიდევ არ ყოფილა მისული, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა არც პატრიარქის შეკითხვას: «არავინ არსა ნათესაესა მათ შორის (შავი მთის ქართველებში) ბერძულისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული?», არც პასუხს: «ჰე, არის ერთი ვინმე მონაზონი ღრამატიკოსი, ბერძულთა წიგნთა ქართულად თარგმნის», ესე იგი გიორგი[2]. მერე, დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნის სამოციანი წლების დამდეგს, ეფრემი აქ დამკვიდრებულა, მწერლობა დაუწყია და ლიტერატურულ-მეცნიერული კავშირი დაუჭერია ფილოსოფოსებთან და მიტროპოლიტთან და თვით ყველაზე მეტად განსწავლულ «წმიდა მეუფე-პატრიარქთან ანტიოქიის ქალაქისა», რომლის ნებართვით ის სარგებლობდა სვიმეონწმიდის უდიდესი და უმდიდრესი წიგნსაცავით[3]. სხვათა შორის, მას აქ კავშირი და ნაცნობობა ჰქონია ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილ კანონისტ ნიკონ შავმთელთან, პანდექტებისა და ტაქტიკონის[4] ავტორთან, რომელსაც საქართველოს საეკლესიო საკითხის გასარკვევად ხელში ჰქონია იგივე წყაროები, რაც ეფრემს. ასეთივე ნაცნობობა უნდა ჰქონოდა ეფრემს აგრეთვე იოანე დამასკელის ცხოვრების არაბულად აღმწერელ მიქაელ ბერთან და, შეიძლება, ამ ცხოვრების ბერძნულ ენაზე მთარგმნელ, ადანის მიტროპოლიტ, სამუელთან, რომლის შრომა მან ქართულად თარგმნა[5]. შავი მთის ქართულ კოლონიაში ამ დროს საკმაოდ განვითარებული ყოფილა სალიტერატურო ინტერესები, აქ შემდგარა მთელი წრე, რომელიც განსაკუთრებით მწერლობითა და მისი განვითარებისათვის ზრუნვით ყოფილა გატაცებული. ამ წრეს ეკუთვნოდ-

---

თავისი გარკვეული წესით იკითხებოდა და მას შესწავლა სჭირდებოდა. ეს წესი საქართველოშიც შემოდიოდა და ცნობილი იყო. (ს. ყ ა ყ ე ლ ი ძ ე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, «თბილ. უნივ. შრომები», XXX/I ს, გვ. 36, შენ. 2).

[1] «ათონის კრებული», გვ. 312 — 316.

[2] იქვე, გვ. 313.

[3] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 217; H. M a r r, Предварительный отчет, стр. 30.

[4] F a b r i c i i, Bibliotheca Graeca, XI, 276 Ang Mali, Collect. veter. auctor., p. 4 158. Филарет, Историческое учение об отцах церкви, III, 242, прим.

[5] К. К е к е л и д з е, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, «Христ. Восток», III, 119 — 126.

ნენ: გიორგი მთაწმიდელი, კვირიკე ბერი, ანტონ ტბელი, საბა სულაჲსძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოანე მთავარაჲსძე, რომელმან «თეინიერ მცირედთა წიგნთაჲსა ყოველნივე მისითა საქმარითა და წარსაგებელითა ათარგმნინა»[1] მას, კირილე ალექსანდრიელი[2] და სხვ. განათლებული, ენერგიული და მომზადებული ეფრემი მოყოლია ამათ წრეში და მათ ჯეროვნად გამოუყენებიათ მისი ცოდნა და მომზადება, მისთვის წიგნების თარგმნა დაუვალებიათ. მთარგმნელობას ეფრემს ასწავლიდნენ საბა თუხარელი და ანტონ ტბელი, რომელნიც გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს მის სამწერლო მოღვაწეობას და სხვადასხვაგვარი ტექნიკური რჩევა-დარიგებით ეხმარებოდნენ მას. პუნქტუაციის წესის შემოღება მას უკარნახა «საღმრთო ფილოსოფოსმა» იოანე [პატრიკ-ყოფილმა] ფარნაკელმა, რომელსაც, ანტონ კათოლიკოსის სიტყვით[3], ეფრემი თავის მასწავლებლად თვლიდა და რომელიც შემდეგი დროის მკვლევართა ბრალეულად მიიღეს. გაბრიელ მღვდელი მას ამოურჩევია ხოლმე სხვადასხვა თხზულებას გადმოსათარგმნელად[4]. შავი მთა, სადაც 1091 წლის ახლო ხანებში ის კასტანას მონასტრის მამად ან წინამძღვრად იყო[5], ეფრემს სიკვდილამდე არ დაუტოვებია. ეფრემი უნდა გარდაცვლილიყო მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში, ყოველ შემთხვევაში. რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) აქტები მას მიცვალებულთა რიცხვში იხსენიებენ. ამიტომ მიუღებელია ის ცნობა, თითქოს 1114 წლის ახლო ხანებში ის სამშობლოში დაბრუნდა თეოფილე ხუცესმონაზონთან, არსენ იყალთოელთან და იოანე ტარიჭიძესთან ერთად[6], მით უმეტეს, რომ მეორე ადგილას, სადაც ეს ცნობა გამეორებულია[7], ეფრემის სახელი უკვე აღარაა.

ეფრემი შესანიშნავი მეცნიერია და მისი ღრმა ერუდიცია ჩანს ყოველ დარგში, უფრო კი წიგნების თარგმნაში. მან შექმნა საკუთარი თეორია მთარგმნელობისა, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგი დროის ქართულ მწერლობას. ეფრემი იმის მომხრეა, რომ თხზულება დედნიდან ითარგმნებოდეს პირდაპირ და ითარგმნებოდეს ისე, როგორც დედანშია, მთლიანად, შეუმოკლებლად და შეუმატებლად. «ზედაწარწერილის» ან სათაურის შეუცვლელად. იმისი აზრით, მთარგმნელს მუდამ უნდა ახსოვდეს თვისება ქართული და ბერძნული ენისა და იმას კი არ უნდა ზრუნავდეს, რომ სიტყვასიტყვით გადმოიღოს დედანი, მაშინ თარგმანი უხეში და ულაზათო გამოვა, არამედ

---

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 33, შენიშვნა.

[2] ნიშანდობლივია იმისა, თუ რა შეცდომებთან გვაქვს საქმე ზოგიერთ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროში, დავასახელებთ განათლებულ იოანე ბატონიშვილს, რომელიც ამბობს, რომ საბა თუხარელი და ანტონ ტბელი «ცხოვრობდნენ ალექსანდრიასა შინა დროსა კირილე ალექსანდრიელისასა» («ქალმასობა», 11, 183). ჩანს, ქართველი მოღვაწე კირილე, რომელიც მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად მონასტერში, მას მიუღია მეხუთე საუკუნის კირილედ, ხოლო ანტიოქიის მახლობლად მდებარე ალექსანდრია — ეგვიპტის ალექსანდრიად.

[3] «წყობილსიტყუაობა», სტროფი 748.

[4] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 214—22°; ერთი შრომა მას უთარგმნია «ბრძანებითა კალიპოსელთა წინამძღურის ბასილისათა» (S 384, 643).

[5] იქვე, გვ. 215.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 225.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 241.

ეშას, რათა სიტყვა იმდენად დაახლოებულიყოს დედანთან, რომ არსებითი და «მართებითი», ესე იგი საჭირო, არ აკლდეს თარგმანსო. თვითონ ის სხვადასხვა «ლექსიკონთა» საშუალებით ჯერ არკვევდა პირვანდელ აზრსა და მნიშვნელობას დედნის რომელიმე ძნელი და ძველი სიტყვისას და მერე უძებნიდა მას ქართულ შესატყვისს, და, თუ მოხდებოდა, რომ ქართულ ენაზე შესაფერისი სიტყვა არ მოიპოვებოდა, ის ბერძნული სიტყვის «დაგდებას» ან გამოტოვებას ისევ უთარგმნელად მიღებას ამჯობინებდა. სხვების მიერ ნათარგმნის შესწორებისას ეფრემი მეტად ფრთხილად იქცეოდა, ის ირკვევდა — რატომ არ უდგებოდა ეს თარგმანი მის თანამედროვე ბერძნულ ტექსტს. და იმისდა მიხედვით თავის შესწორებას, თუ საჭიროდ დაინახავდა, აშიაზე ათავსებდა. თანახმად მისი ხელმძღვანელი ბერების რჩევისა, ეფრემი, როდესაც რამეს თარგმნიდა, დედნის სიტყვებს «მარტივად, შეუზავებლად და შეუხებელად» გადმოსცემდა ხოლმე, მაგრამ აზრის ნათელსაყოფად ის აშიებზე ურთავდა განმარტებასა და სქოლიოებს, რომლებითაც მოჭარბულია ხოლმე ძირითადი ტექსტი ნათარგმნი თხზულებისა. ბერძნულ წიგნებშიაც ასე არისო.— შენიშნავს იგი. იმავე მიზნით, ესე იგი დედნის აზრის შესაგნებლად და გასაადვილებლად, მან შემოიღო საკუთარი სისტემა პუნქტუაციისა — ერთწერტილი. ორწერტილი, სამწერტილი და ექვსწერტილი — რომელიც ქართულ მწერლობაში დაკანონდა კიდეც[1]. ის დიდი სიფრთხილით აიღებდა ხოლმე ხელში ამა თუ იმ თხზულებას სათარგმნელად. პირველ ყოვლისა ცნობებს ჰკრეფდა, ხომ არ არის ეს თხზულება ქართულად ნათარგმნიო. თუ გაიგებდა, რომ ის უკვე ნათარგმნი იყო, სანამ ამ თარგმანს დაწერილებით არ გაიცნობდა, კალამს ხელში არ აიღებდა. მაგალითად, მას განუზრახავს ბასილი დიდის «ასკეტიკონის» გადმოთარგმნა, გაუგია, რომ ეს წიგნი უკვე პროკოპი მღვდელს უთარგმნია; ის 12 წელიწადი ელოდებოდა ამ წიგნის მიღებას და მერე, ვინაიდან ამას ვეღარ ეღირსა, მართლაც გადაუთარგმნია ის. ასეთივე შემთხვევა ყოფილა გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების თარგმნისას. ეფრემს სცოდნია, რომ ეს ცხოვრება გიორგი მთაწმიდლის მიერ უკვე იყო ნათარგმნი, მაგრამ, ვინაიდან ის მას ვერ მიუღია, თვითონ უთარგმნია ხელახლა[2]. ერთი სიტყვით, თხზულებანი, რომელნიც მისი ხელიდან ჯამოდიოდნენ, დამუშავებულია სასტიკი და რთული ფილოლოგიური მეთოდებით, არაფერი აქ უგულებელყოფილი არაა; არც დადგენა და კრიტიკა ტექსტისა, არც სისწორე და სინამდვილე თარგმანისა, არც შედარება სხვადასხვა სწავლული კომენტატორის აზრებისა. ამ მხრივ, როგორც შეგნებული მეცნიერ-მთარგმნელი, ეფრემი იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში.

ეჭვს გარეშეა, ეფრემი, როგორც ფილოსოფიურად მომზადებული და განათლებული კაცი, მიმდევარი იყო რომელიმე ფილოსოფიური სკოლისა. მისი შრომები ამჟღავნებს მის სიმპათიას არისტოტელიზმისადმი. ეს სხვათა შორის, ჩანს იქიდან, რომ ის თარგმნის იოანე დამასკელის გარდამოცემას. რათა მის მიერ «წინააღდგებოდნ შეილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 218.
[2] იქვე, გვ. 224.

ფილოსოფოსთა და მათითაე ისრითა განგურემდენ მათ»[1]. ინტერესებს მას აგრეთვე ნეოპლატონიზმიც, რომელიც მის დროს დიდ ნაბიჯს დგამდა განათლებულ ქართულ წრეებში; ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ მას უთარგმნია ფსევდოდიონისე არეოპაგელის თხზულებანი. იმას იზიდავს პრაქრისტიანული კულტურა, თუგინდ ეკლესიის მამათა საშუალებით, რომელნიც ახლოს იდგნენ ანტიკურ ქვეყანასთან და მძლავრად განიცდიდნენ მის სიმშვენიერეს. რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ეფრემს გადმოუღია «ზღაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი». ზოგიერთი მისი თანამედროვე სასულიერო და საერო პირი ეფრემს, მის მოქმედება-მოღვაწეობას, ეჭვის თვალით უყურებდა. არ მოსწონდათ, ჯერ-ერთი, მისი ფილოსოფიური სულისკვეთება, რომელიც გამოიხატა ქართულ მწერლობაში პლატონური იდეების შემოტანა-პოპულარიზაციაში. მერე ის გარემოება, რომ ეფრემი ძველ ტექსტებს, რომელზედაც ისინი აღზრდილი იყვნენ, ასწორებდა, წარმოიდგინეთ — ექვთიმესა და გიორგი მთაწმიდელებისასაც კი, ზოგიერთ მათ მიერ ნათარგმნ წიგნს ხელმეორედ თარგმნიდა, რასაც მას მეტიჩრობაში არ მოუვედნენ და, ბოლოს და ბოლოს, მის მართლმადიდებლობაშიაც კი ეჭვი შეჰქონდათ. ამაზე ეფრემი იძულებული იყო განეცხადებია, რომ ის ქედს იხრის ექვთიმესა და გიორგის წინაშე[2], რომელთაც თავის მასწავლებლადა თელის, მაგრამ, თუ იმათ ნამუშაკებში მას კორექტივი შეჰქონდა, ამისი მიზეზი თვით იმდროინდელ ქართველთა სულიერსა და გონებრივ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთო. მე მზადა ვარო, ამბობს ის, პასუხი გავცე ყველას და შეეაჩენებე ყოველგვარ მწვალებლობასა და წმიდა მამათა და მართლმადიდებელ კრებათა წინააღმდგომთაო[3].

გარდა ფილოსოფიური ხასიათისა და მომართულების მწერლობისა, ეფრემმა წინ წასწია ჩვენში ეგრეთ წოდებული მეტაფრასული აგიოგრაფია, რომელიც ბიზანტიაში მეათე საუკუნის გასულს დამყარდა და რომელსაც პირველად ექვთიმე ათონელმა გაუკაფა ჩვენსკენ კვალი. ეფრემი არამცთუ თვითონ თარგმნიდა ამ დარგში, მან დაგვიტოვა ფასდაუდებელი ცნობები ამ დარგის მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ როგორც საბერძნეთში, ისე ჩვენში[4]. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ეფრემს ჩვეულებად ჰქონია თავის ნაშრომებისათვის ლიტერატურულ-ისტორიული ცნობები და შენიშვნები დაერთო, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მკვლევარისათვის[5].

---

[1] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, გვ. 216.

[2] პროფ. რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან. «მიმოხილველი», I, გვ. 160 — 162.

[3] იქვე, გვ. 167 — 168.

[4] К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, «Труды Киевской Академии», 1910 г., февраль, стр. 172 — 191.

[5] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, გვ. 214 — 228; Н. Марр, Церковные ведомости за 1907 г., № 3, прилож., стр. 101—106; Висиев, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме, стр. 28—31; Висиев, Иоанн Петрицкий — грузинский неоплатоник XI—XII вв., стр. 35—40; იე. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. I გამოც., გვ., 91 — 111; კ. კეკელიძე. Симеон Метафраст по грузин. источникам, «Труды Киевской Академии», 1910 г., февраль, стр. 172—191); Висиев, Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христиан. Восток», I, вып. 3.

ეფრემ მცირის შრომანი, ორიგინალური და ნათარგმნი, შემდეგ დარგებად შეგვიძლია დავყოთ:

I. ბიბლიოლოგია. ამ დარგში ეფრემის მიერ რედაქტირებულია სამოციქულო, ესე იგი: საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლენი და ეპისტოლენი პავლე მოციქულისა. ცნობებს ამის შესახებ ჩვენ ვპოულობთ იერუსალიმის ხელნაწერში № 25: უწყოდეთ, ვისაც ეს წიგნი ჩაგივარდეს ხელში, რომ, როგორც ფსალმუნთა განმარტებისას[1], ისე სამოციქულოს თარგმნის დროს, მარადხსენებულის დიდის მოძღვრის და ყოველთა მნათობის გიორგი მთაწმიდლისადმი მე, მის მოწაფეს და უხმარ მტვერს მისი ფეხებისას, ეფრემ მცირეს, არ დამირღვევია შეგირდის მოვალეობა. ჩემ წინ იდვა მის მიერ თარგმნილი «საქმე მოციქულთა, კათოლიკენი და [პავლეს] ეპისტოლენი. სიღრმისაც ეწერდი ტექსტს, რათა არ ეფიქრა ვინმეს, რომ სამოციქულო მეორედაა თარგმნილი. მაგრამ ბერძნული ენა ღრმაა, ვით უფსკრული, ერთი და იგივე სიტყვა მისი სხვადასხვა აზრს გამოხატავს... ასეთ შემთხვევაში ხანდახან საჭირო ხდებოდა ქართული ტექსტის შეცვლა და გადასხვაფერება... იქ, სადაც სიტყვებს ვცვლიდი, არშიაზე, სტრიქონის გასწვრივ, ვსვამდი «იოტას», ხოლო შიგნით ტექსტში შესწორებული სიტყვის წინ — საგანგებო ნიშანსაო»[2]. ეფრემი აღნიშნავს გიორგის თარგმანის სუსტ მხარეს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გიორგიმ ვერ გაწყვიტა კავშირი ძველ ქართულ ტექსტთან და ზუსტად ვერ გადმოსცა ქართულად ბერძნული დედანი. მიუხედავად ამისა, ის მოითხოვს არ შეიტანონ გიორგის ტექსტში მისი, ეფრემის, შესწორებანი. ეფრემის «სამოციქულო» ჩვენ გვაქვს ხელნაწ. ინსტიტუტის A ფონდის ხელნაწერებში №№ 137 და 482.

II. ეგზეგეტიკა. 1) ქართულ ეგზეგეტიკურ მწერლობას ეფრემ მცირემდე საგრძნობლად ემჩნეოდა ეპისტოლეთა კომენტარების უქონლობა, ვინაიდან ექვთიმეს მიერ თარგმნილი კომენტარები იოანე ოქროპირისა მეტად შეკუმშული იყო და შემოკლებული. ამ ნაკლის შევსება უკისრია ეფრემს იმავე ოქროპირის კომენტარების გადმოღებით. ეფრემის ეს შრომა, რომელიც ბიბლიურ ტექსტთან ერთად არის გადმოღებული, დაცულია იერუსალიმის ხელნაწერში № 25 და ხელნაწ. ინსტიტ. № 390 (A ფონდი)[3], უკანასკნელში დეფექტურად. ამ თხზულების თარგმნისას მას ხელთა ჰქონია ლექსიკონები, ესე იგი კრებული ძნელი სიტყვებისა ანბანის რიგზე, და აგრეთვე «სამი თუ ოთხი თარგმანი» პავლეს ეპისტოლეთა, რომელთაც. ალბათ, ის მიმართავდა, როდესაც რომელიმე ადგილი განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა. იოანე ოქროპირი ეფრემს არ უთარგმნია არც იმ სახით და არც იმ სისრულით, როგორც ბერძნულ დედანშია ის წარმოდგენილი. ის მას გაუხდია მხოლოდ ხელმძღვანელად და მოკლედ, ეგზეგეტიკური მეთოდით, გადმოუცია მისი აზრები. ასე რომ, ეს თარგმანება წარმოადგენს ეფრემ მცი-

[1] აქედან ჩანს, რომ სამოციქულოზე ეფრემს უმუშავნია დავითნის განმარტების შემდეგ, ესე იგი არაუადრეს 1080 წლისა.

[2] «მოშმხილეული», I, გვ. 160 — 161; H. Марр, Предварительный отчет, стр. 28—29.

[3] აგრეთვე ათონის ხელნ. № 82 (ცაგარლით), 18 (ბლეიკით).

რის შრომას, იოანე ოქროპირის მიხედვით დაწერილს. ყოველ შემთხვევაში, ეგზეგეტიკური მწერლობის ისტორიაში ჩვენ ვიცით ისეთი ავტორები, რომელთაც თავიანთ შრომაში იოანე ოქროპირით, თუ მეტად არა, ნაკლებ არ უსარგებლნიათ, ვიდრე ეფრემ მცირეს, და, მიუხედავად ამისა, შრომა თავისი საკუთარი სახელით გამოუშვიათ. ამ მხრივ ეფრემს უფრო მეტი თავმდაბლობა და ავტორული თავდაჭერილობა გამოუჩენია, ვიდრე სხვებს. 2) მეორე მნიშვნელოვანი ეგზეგეტიკური შრომა ეფრემისა არის **თარგმანება და ავითნისა**, რომელიც მას დაუწერია 1080 წლამდე. ამ თხზულების ღირსშესანიშნავ წინასიტყვაობაში[1] ეფრემი ამბობს, რომ მას აუღია გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი ტექსტი დავითნისა, რომლისათვისაც მას დაურთავს განმარტება ან ახსნა. მაგრამ ეს განმარტება მისი საკუთარი, ორიგინალური კი არაა: «რაოდენიცა იყვნეს წიგნისსაცავსა სჯმეონ წმიდისასა, გვამცნობს ავტორი, თარგმანნი დაეითისანი, ყოველივე დედად მჭონდეს და ფრიადითა შრომითა მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელი ოდენ იპოვებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებულიო»[2]. ეს «მართლმადიდებელნი თარგმანნი», ეფრემის ცნობით, არიან ათანასე და კირილე ალექსანდრიელნი, რომელთაც ორ-ორი რედაქციით აღუწერიათ დავითნის განმარტება — ვრცელითა და შემოკლებულით, ბასილი დიდი, ევსუქი იერუსალიმელი, ასტერი ამასიელი და იოანე ოქროპირი[3]. როგორ უსარგებლნია ამ პირთა შრომებით ეფრემს? ათანასესა და კირილეს თხზულებათაგან, რომელნიც, მისი სიტყვით, მას ხელთა ჰქონია, პირდაპირ, უშუალოდ, ამოუკრებია საჭირო მასალა და აზრები. ამნაირადვე უნდა ესარგებლნა ბასილი დიდის თხზულებითაც, რომელიც უკვე ექვთიმე ათონელის მიერ იყო ნათარგმნი[4], ხოლო ამათ გარდა მას ჰქონია «კუალად სხუანი წიგნნი ორნი, რომელნი ყოველთავე დავითისა თარგმანთაგან ერთად შემოკრებულნი იყვნეს»[5], ესე იგი მას ხელთა ჰქონია დავითნის ეგრეთ წოდებული «კატენების» ორი წიგნი, რომლებშიაც, სხვათა შორის, შეტანილი ყოფილა ციტატები ათანასეს, კირილეს, ევსუქის, ასტერისა და სხვა ეგზეგეტთა თხზულებებიდან[6]. ამნაირად, შინაარსით, აზრებითა და, საზოგადოდ, მასალით ეს თხზულება ორიგინალური არაა, ხოლო არქიტექტონიკითა და გეგმით, რომელიც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევაში და მათ დალაგებაში, ის ეფრემის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს. ერთი სიტყვით, ეფრემის შრომა არის დამოუკიდებელი რეცენზია დავითნის კატენებისა, მნიშვნელოვანი არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ საზოგადო ეგზეგეტიკური ლიტერატურის ისტორიაში[7].

[1] «ძველი საქართველო», ტ. III, განყ. 1, გვ. 243 — 269.
[2] იქვე, გვ. 247.
[3] იქვე, გვ. 244 — 246.
[4] იქვე, გვ. 245
[5] იქვე, გვ. 247.
[6] იქვე.
[7] ეფრემის აღნიშნული თხზულება შენახულა ოთხ ხელნაწერში: მარტვილისაში XI ს. (S 37), გელათისაში XII—XIII სს. (№ 29), ჯრუჭისა და ხელნ. ინსტ. A ფონდისაში (№ 14). XIX საუკუნისა.

3) ძველი აღთქმის ბიბლიურ წიგნთა შორის ქრისტიანულ მწერლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა «ეკლესიასტე» სოლომონისა. ამით აიხსნება, რომ სხვადასხვა ავტორს დაუწერია თარგმანება ან განმარტება მისი, როგორც, მაგალითად, იერონიმეს, იპოლიტეს, ორიგენს, გრიგოლ ნოსელს, დიონისე, ათანასე და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელთ, პროკოპი ღაზელს, გრიგოლ აკრაკანტელსა და მიტროფანე სმირნელს. ხოლო ნეოკესარიის ეპისკოპოსს გრიგოლ საკვირველთმოქმედს (გარდ. 270 წ.) შეუდგენია ეგრეთ წოდებული Μετάφρασις εἰς τὸν Ἐκκλησιαστὴν Σολομῶντος, რომელიც წარმოადგენს მოკლესა და ცოცხალ მოთხრობას ეკლესიასტეს შინაარსისას, ბერძნულ სეპტანტაზე დამყარებულს [1]. წინათ ამ თხზულებას გრიგოლ ღვთისმეტყველს აკუთვნებდნენ. ვინაიდან ხელნაწერებში ის მოთავსებულია ხოლმე უკანასკნელის თხზულებათა შორის. ეს თხზულება ქართულ ენაზედაც შენახულა. ის გადმოუთარგმნია ეფრემ მცირეს და მოთავსებულია ხელნაწ. ინსტიტუტის ხელნაწერში № 292 (ფონდი A), გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის, სათაურით: «მეტაფრასი ეკლესიასტესი» (ფ. 323 — 331). 4) ასეთივე ხასიათი აქვს მოკლე ეგზეგეტიკურ ნაწყვეტს, რომელსაც «მეტაფრასი ეზეკიელისა» ეწოდება. ისიც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შორის არის მოთავსებული და შეიცავს ეზეკიელ წინასწარმეტყველის ხილვის განმარტებას (თავი I). ეს ნაწყვეტიც ეფრემ მცირეს უთარგმნია (ხელნ. ინსტიტ. № 292, ფ. 322, ფონდი A) [2].

III. დოგმატიკა და პოლემიკა. ამ დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ: 1) გრიგოლ ღვთისმეტყველის ოთხი ნაწარმოები: სიტყვა ივლიანეს განმაქიქებელი [3], «სიტყუა არიანოსთა მიმართ და თავისა თჳსისა» [4], «ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყუელებისათჳს წინაგანბჭობა» [5].

2) ყველაზე მნიშვნელოვანი შრომა ამ დარგში არის იოანე დამასკელის Πηγὴ γνώσεως, წყარო ცოდნისა, რომელსაც ეფრემის თარგმანში ეწოდება «გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ», რაც უდრის ბერძნულ Ἔκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως-ს. ეფრემის თარგმანი შეიცავს აღნიშნული თხზულების ორ ნაწილს: დიალექტიკას, 50 თავად, და თვით გარდამოცემას 100 თავად. მეორე ნაწილი ამ თხზულებისა, რომელსაც ბერძნულად ეწოდება «წვალებათათჳს», ეფრემს არ გადმოუთარგმნია, ალბათ, იმისათვის, რომ მისმა თანამედროვემ, თეოფილე ხუცესმონაზონმა, გადმოთარგმნა წყარო დამასკელისა ამ ნაწილში, ეპიფანე კვიპრელის ე. წ. პანარიონის შემოკლება — Ἀνακεφαλαίωσις. თარგმანისათვის ეფრემს დაურთავს შესავალი, რომელშიაც ის განგვიმარტავს ფილოსოფიური ნაწილის, დიალექტიკის, მნიშვნელობას: «მის მიერ წინაღუდგებიან შჳენი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განგურემენ მათ, რა-

[1] Migne, PG. t. 10. col. 987 — 1018.

[2] ეფრემის ეგზეგეტიკური შრომების შესახებ იხ. კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჳრნელისა, გვ. XIX — XXII, XXV — XXVI, XXXI.

[3] A 292, ფ. 202 — 218.

[4] იქვე, 305 — 311.

[5] იქვე, 311 — 314.

მეთუ თჳნიერ ამათ სიტყუათასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყჳსგებაჲ წინაალმდგომთაჲ, სიტყუას გვიგებდენ რაჲ გარეშენი იგი განუკუეთელთათჳს, რომელ არს გუამი, და ბუნებისათჳს». იოანე დამასკელს ამ ნაწილის «ეკლოვნებითა მოუზღუდავს ნაყოფთა შუენიერებაჲ; ვენაკისა ამისა თჳსისა», ესე იგი მეორე ნაწილის — გარდამოცემაჲ-სო. მერე თავის «გარდამოცემას» ადარებს ექვთიმეს მიერ ნათარგმნ «წინამძღუარსა», რომელიც შეიცავს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასახელებული თხზულების შემოკლებას და თხოვს მკითხველს— ნუ გარევს ერთმანეთში ამ ორ თარგმანს. ეს თხზულება ეფრემს უთარგმნია გაბრიელის ბრძანებით და ამასთან არსენ იყალთოელის, იოანე ხუცისა და სტეფანე დიაკონის დახმარებით XI საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. შენახულა მხოლოდ ერთადერთი ცალი მისი (ხელნაწერში A 24). 3) ეფრემს გადმოუღია აგრეთვე იოანე დამასკელისავე «სიტყუაჲ სიტყჳსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა» [1].

IV. ასკეტიკა და მისტიკა. ასკეტიკურ-მისტიკურ დარგში ეფრემს გადმოუთარგმნია ექვსი მნიშვნელოვანი მწერლის თხზულება. ესენია: 1) ა ს კ ე ტ ი კ ო ნ ი ბასილი დიდისა, ი თ ი კ ი ს გამოკლებით, რომელიც ექვთიმე ათონელს უთარგმნია [2]. ეს თხზულება, როგორც ვიცით, ეფრემზე ადრე პროკოპი ხუცესს ეთარგმნა [3]. შეუდგა თუ არა ეფრემი მის თარგმნას, გაიგო, რომ არსებობდა პროკოპის თარგმანი. ამიტომ იმწამსვე შეწყვიტა მუშაობა და 12 წლის განმავლობაში ელოდა პროკოპის შრომას. ვინაიდან მან ის ვერ მიიღო, თანახმად ანტონ ტბელის ბრძანებისა, იძულებული შეიქნა გადმოეთარგმნა ის ბერძნული ენიდან «ამით გულის-სიტყჳთა, რომელ, უკუეთუ ოდესმე მოიწიოს მისი (პროკოპის) თარგმნილი, მისი იპყრათ», მიმართავს ეფრემი თავის მკითხველებს, უფრო კი შავი მთის ქართველებს, «ვითარცა უხუცესისაჲ, და ესე, ვითარცა უმრწემესისაჲ, და რომელი რაჲმე მუნ ჰმატდეს, გინა აქა, ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ; და სხუებისაჲ ნუვე გიკჳრს: რამეთუ თჳთ ბერძულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედაჲ პოვოს, ეგრე გარდაიწერებიან, და თჳთ ორთა წიგნისსაცავთა სჳმეონწმიდისათა ასკიტიკონნი სხჳთა და სხჳთა ჰმატდეს ურთიერთას; ამისთჳს თუალისაჲცა მოვიღეთ და თჳთ მათვე ბრძენთა უბრძნესთა და უსულიერესთა კითხვითა ძალისაებრ სისრულე და სიმართლე ვიხარკეთ» [4]. როგორც ჩანს, ეფრემს ხელთ ჰქონია რამდენიმე ორიგინალური ტექსტი ამ თხზულებისა, ორი სჳმეონწმიდის წიგნსაცავიდან და ერთიც თ უ ა ლ თ ა მონასტრისა; ცნობები ამ წიგნის შესახებ მას შეუკრებია აგრეთვე ადგილობრივ მეცნიერთაგან, ასე რომ, მისი თარგმანი მეცნიერული, კრიტიკული შრომაა. ის დარწმუნებულია, რომ მის საკუთარსა და პროკოპი მღვდლის თარგმანთა შორის განსხვავება იქნება, ამიტომ წინასწარ ამზადებს

[1] გელათის ხელნ. № 8, ფ. 156 — 174.

[2] M i g n e, PG. t. 31, col. 889 — 1306.

[3] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ეს საიდანღაც გაუგია, რომ ბასილის ა ს კ ე ტ ი კ ო ნ ი «ქართულად უთარგმნია ბერძნულიდან აგრეთვე მეჩვიდმეტე საუკუნის გასულის მოღვაწეს ი ო ს ებ კ ა ნ დ ე ლ ა კ ს, რომელიც აღიზარდა გელათში და შემდეგ ათონზე ცხოერობდა («ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნისა», გვ. 12).

[4] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 39 — 40.

ამისათვის მკითხველს. მართლაც, მათ შორის განსხვავება თვალსაჩინოა: ეფრემის რედაქცია შედგება 14 ნაწილისაგან[1], ხოლო პროკოპისა[2]—წინასიტყვაობითურთ ცხრისაგან. ეფრემს აქვს ზედმეტი 10, 11, 12 და 13 ნაწილები: «კანონი ბრალეულთანი», «მეკანონისა მიმართ», «განსაზღვრებაჲ წამებულთა წმიდათა წერილთაჲთა» და «სიტყუაჲ მოღუაწებითი განშორებისათჳს სოფლით ⳕა სრულყოფისათჳს». მეთორმეტე ნაწილი ეფრემის რედაქციაში შედგება 30 თავისაგან, პროკოპისაში კი — 28-საგან, უკანასკნელს არ აქვს ეფრემის 27 და 28 თავები. თვით მიმდევრობა თავებისა სხვადასხვაა ამ რედაქციებში. 2) ა ს კ ე ტ ი კ ო ნ ი ეფრემ ასურისა[3] შედგება ორი წიგნისაგან, რომელთაც ეწოდება ეფრემ პ ი რ ვ ე ლ ი და ე ფ რ ე მ მ ე ო რ ე. პირველი შეიცავს 18 თავს, მეორე — 32. ასე ყოფილა ის გაყოფილი, როგორც თვით ეფრემი ამბობს ა ნ დ ე რ ძ ი. სვიმეონწმიდის და თუალთა მონასტრის ბერძნულ ნუსხებშიაც. ჩანს, ამ თხზულებასაც ისეთივე ყურადღებით მოპყრობია ეფრემი, როგორც ბასილის ა ს კ ე ტ ი კ ო ნ ს. 3) ეფრემსვე უთარგმნია დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი ხუთი თხზულება: ა) «საღმრთოთა სახელთათჳს» (13 თავი), ბ) «ზეცათა მღვდელმთავრობისათჳს» (15 თავი), გ) «საეკლესიოჲსა მღვდელმთავრობისათჳს» (7 თავი), დ) საიდუმლოდ ღმრთისმეტყუელებისათჳს» (5 თავი) და ე) «ეპისტოლენი თითოსახენი» — გაიოსის მიმართ მოწესისა (4 ეპისტ.), დოროთეს მიმართ (1), სოსიპატროჲს მიმართ მღუდელისა (1), პოლკარპოჲს მიმართ მღუდელთმთავრისა (1), დიმოფილოჲს მიმართ მოწესისა (1), ტიტეს მიმართ მღუდელთმთავრისა (1) იოანეს მიმართ ღმრთისმეტყუელისა (1)[4]. 4) კ ა ს ი ა ნ ე ჰ რ ო მ ა ე ლ ი ს «თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგჳპტისა აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოსათა»[5] და «მიწერილი ლეონტის მიმართ მოქალაქობისათჳს წმიდათა მამათა სკიტისათა»[6]. 5) პ ა ლ ა დ ი ჰელენოპოლელის «ლავსაიკონი»[7], რომელიც მრავალ ხელნაწერში გვხვდება ჩვენ[8], შეიცავს მ ე უ რ ს ი ს შემოკლებულ რედაქციას[9] და 72 თავისაგან შედგება. 6) თ ე ო დ ო რ ი ტ ე კჳრელის «ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ. გინათუ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ», რომელსაც ბერძნულად Θεοφιλὴς ἱστορία ეწოდება, შეიცავს წმიდა მამათა ცხოვრებას, «რომელნი განბრწყინდეს ანტიოქიას და გარეშოსა სანახებთა»[10]. «ამას წიგნსაო», ამბობს ეფრემი, «ეწოდების ფილოთეონ ისტორიაჲ, რომელ არს ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ; რამეთუ, ვითარ იგი კლემაქსსა და დიოლოღონსა იგივე ბერძული სახელი უწოდიან ქართულადცა, აგრეთვე ამის-

[1] A 132, 689.

[2] A 63.

[3] A 62, 154, 166, 196, 673; გელ. № 8, ფ. 478 — 951.

[4] A 110, 163, 169, 189, 684.

[5] De institutis coenobiorum: M i g n e, PL. t. 49.

[6] Collationes XXIV, M i g n e, PL. t. 49, col. 477 — 1328; A 154, 196, 362, 400, 682.

[7] Λαυσαϊκόν resp. Λαυσιακόν: M i g n e, PG. t. 34, col. 995 — 1278.

[8] A 143, 154, 164, 196, 362, 400, 682 და სხვ.

9 Проф. И. Т р о и ц к и й, Обозрение источников начальной истории египетского монашества, стр. 189.

[10] თ. ც ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 220.

თჳს უსაკუთრეს არს წოდებად ფილოთეონ ისტორიაჲ, რომელი ესე თჳთ აღმწერელისა ამისისა თეოდორიტესაგან სახელდებულ არს ამისდა»[1]. ეს თხზულება ეფრემს უთარგმნია ბრძანებითა და ლოცვითა ანტონ ტბელისა, რომელი მ ო ს უ რ ნ ე ყოფილა ამ წიგნისა· ამა წიგნსა, შენიშნავს ეფრემი, აქვს «ფრიადი სიღრმე სიტყუათაჲ, რომლისა შეცვალებაჲ და გამარტივებაჲ არა ძნელი იყო». მაგრამ მე ეს არ ვქენი, ვინაიდან «ესე უკმარ არს მათთჳს, რომელნი ჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობისაჲთა და მიწევნულ ჰასაკსა მტკიცისა საზრდელისაჲსა»[2]. ქართული რედაქცია ამ თხზულებისა ოცდაათი თავისაგან შედგება[3]. ამ თხზულებას ქართულ თარგმანში დართული აქვს თეოდორიტესვე «სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს», რომელიც თითქოს წინა თხზულების დასასრულს შეადგენს.

V. აგიოგრაფია და ისტორია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფრემმა წინ წასწია ქართული მეტაფრასული მწერლობა, რომლის პირველმა შუქმა მეათე საუკუნის გასულს შემოანათა ჩვენში. ამ დარგში ეფრემს უთარგმნია: 1) ცხოვრება თეოდოსი დიდისა, თეოდორე პეტრა-არაბიელის მიერ აღწერილი[4], 2) ცხოვრება პელაგია ანტიოქელისა[5], 3) წამება დიმიტრისი[6], 4) წამება იერონისი და მისთანათა, რომელნი იწამნეს მელიტინეს სომხითისასა[7], 5) წამება მინა მეგვიპტელისა, რომელი იწამა ქალაქსა კოტჯაოს[8], 6) ცხოვრება წმ. იოანე ოქროპირისა[9], 7) ცხოვრება გრიგოლ ნეოკესარიელისა, გრიგოლ ნოსელის მიერ აღწერილი[10], 8) ცხოვრება იოანე დამასკელისა, არაბულად აღწერილი მიქაელ ხუცის მიერ და ბერძნულად თარგმნილი სამუელ ადანელის მიერ[11], 9) თხრობაჲ დიდებულისა სასწაულისა, რომელ იქმნა წმიდასა მას ზედა ჯურღმულსა დიდისა ეკლესიისასა სოფიაწმიდას საუფლოჲსაგან და პატიოსნისა ხატისა უფლისა იესუ ქრისტესა და მუნ მოსრულისა მისთჳს პატრიკისა და ქრისტეს მოყუარისა მწიგნობრისა მისისა[12], 10) თხრობაჲ სულთა სარგებელი სასწაულისა მისთჳს, რომელი იქმნა ხალკუპრატიას ხატისა ქრისტესისა, რომლისა მიზეზისათჳს ეწოდა მას თავსმდებ, და თეოდორესთჳს მენაჳსა და აბრაჰამ ჰურიისა[13], 11) სპირიდონ ტრიმითუნტელისა[14].

ეფრემს ორი ორიგინალური ისტორიულ-აგიოგრაფიული შრომაც დაუ-

---

1 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 40—41.

2 იქვე, გვ. 42.

3 A 682, 689.

4 A 79, 26 — 105.

5 გელ. № 4, 409 — 414; S 384, გვ. 167.

6 გელ. № 4, 593 — 602; S 384, გვ. 477 — 488.

7 S № 384, გვ. 590 — 597.

8 იქვე, გვ. 635 — 643.

9 ნოემბ. 13. S 384, გვ. 1—61, თავში აკლია; A 188.

10 S 384, გვ. 682—721.

11 К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина, «Христ. Восток», III, 142 — 174.

12 გელ. № 8, ფ. 125 — 129; A 129, 162, 272.

13 გელ. № 8, 130—141; A 162, 276.

14 A 90, გვ. 327—367.

წერია. ესენია: 12) «მოსაკსენებელი მცირე სჳმეონისათჳს ლოღოთეტისა და თხრობაჲ მიზეზსა ამათ საკითხვათა თარგმანისასა» [1]. ამ თხზულებაში ეფრემს შეუკრებია ცნობები სვიმეონ ლოღოთეტის ცხოვრებისა, ლიტერატურული მოღვაწეობისა და მისი მეტაფრასების შესახებ. ამ მხრივ მას მოაქვს სრულიად ახალი მასალა აღნიშნული საცილობელი საკითხის გადასაწყვეტად [2].

13) «უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების [3]; ეს თხზულება ეფრემს დაუწერია შავი მთის ქართველთა ეკლესიარხის, იოანე-კვირიკეს, დავალებითა და ბრძანებით. იოანეს მიუნდვია მისთვის დაეწერა «მოსაკსენებელი ოდეს მოქცევისა ჩუენისაჲ და თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა ჴსენებულ არს იგი, უკმდეს თუ ვისმე გამოჰძიებელთაგანსა ცნობად» [4], ესე იგი ეფრემს უნდა დაეწერა სახელმძღვანელო წიგნი, სადაც ბერძნული წყაროებიდან ამოკრეფილი ექნებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ როდის მოიქცნენ ან გაქრისტიანდნენ ქართველები. სწორედ ამ დროს, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ანტიოქიის საპატრიარქოში დაისვა საკითხი ქართველთა საეკლესიო დამოუკიდებლობის კანონიერებაზე. ანტიოქიისა და შავი მთის ბერძნები ამ კანონიერებას, სხვადასხვა მიზეზით, არ სცნობდნენ. ეფრემს ამ თხზულებაში ყველა მათი საბუთი უნდა გაებათილებია. საჭირო ცნობები მას «ბერძნულ» წიგნებიდან უნდა ამოეღო, ვინაიდან ბერძნები ქართულ წყაროებს არ ენდობოდნენ, ისინი მხოლოდ იმ საბუთებს შეიწყნარებდნენ, რომელნიც მათი, ბერძნული, წიგნებიდან იქნებოდა მოტანილი. ეფრემი მთავარ ყურადღებას აქცევს საკითხს, როდის მოიქცნენ ქართველები. ქართველები მოიქცნენო, ამბობს ის, ნინოს მიერ კონსტანტინე დიდის დროს. ამ შემთხვევაში ის იმოწმებს თეოდორიტე კვირელის ისტორიის ოცდამეოთხე თავს, სადაც ლაპარაკია ამის შესახებ. რაც შეეხება აფხაზების გაქრისტიანებას, ამის შესახებ ეფრემს ცნობა მოაქვს ევაგრეს ისტორიის ოცდამეორე თავიდან, სადაც აფხაზთა მოქცევაა აღწერილი. თეოდორიტე და ევაგრე კარგად ცნობილი ისტორიკოსები იყვნენ ანტიოქიაში, როგორც ანტიოქიაში და ანტიოქიის საპატრიარქოში მცხოვრებნი და მოღვაწენი, ამიტომ სხვა ცნობები ეფრემს არ მოჰყავს. ბერძნები უარყოფდნენ ქართველთა ეკლესიურ დამოუკიდებლობას, სხვათა შორის იმიტომ, რომ საქართველოში თითქოს არც ერთ მოციქულს არ უქადაგნიაო. ამაზე ეფრემი უპასუხებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და ბართლომემაო. იმის დასარღვევად, თითქოს ქართველებმა თვითნებობით დაისვეს კათოლიკოსი, ეფრემი იმოწმებს ანტიოქიურ ქრონოგრაფს, სადაც ნათქვამია, რომ ეს უფლება ქართველებს მიანიჭა მერვე საუკუნეში ად-

[1] გელ. № 5, ფ. 576—579; A 90, ფ. 310—314. გამოცემულია ჩვენ მიერ: ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, «უნივერ. შრომები», XXX/1 B, გვ. 37—40.

[2] К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, «Труды Киевской Академии», 1910 г., № 2; Васильевъ, Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христиан. Востокъ», I, 325—347.

[3] ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XXXVIII — LVII; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 33—37, 47, 53 — 54.

[4] ე. თაყაიშვილის დასახ. შრომა, გვ. XXXVIII.

გილობრივმა კრებამ პატრიარქ თეოფილაქტეს თავმჯდომარეობითო. არც მირონის შემზადება დაუწყიათ ქართველებს თვითნებობითო, ამბობს ეფრემი, ამისი უფლება მიანიჭა მათ, სხვებთან ერთად, ქალკედონის კრებამო. ეფრემის ცნობები მის თხზულებაში აღძრული საკითხების შესახებ, არსებითად რომ გავსინჯოთ, ლეგენდარულია, ვინაიდან ლეგენდარული იყო ის წყაროები, საიდანაც ეს ცნობები ამოუღია მას. მაგრამ ეს წყაროები სრულიად ჭეშმარიტად ჰიჩნეული იყო ანტიოქიაში, ანტიოქიელებს ისინი აკმაყოფილებდა და ეფრემს მეტი არა უნდოდა რა. მას კიდეეაც რომ სცოდნოდა მათი ლეგენდარობა, მის მიზანს არ შეადგენდა მათი კრიტიკულად განხილვა, მისთვის საკმაო იყო მხოლოდ გადმოცემა მათი, ეს კი მან ჩინებულად შეასრულა. აღნიშნული თხზულების შეკვეთა და დაწერა შედეგი უნდა იყოს იმ კამათისა, რომელიც 1057 წელს მოხდა გიორგი მთაწმიდელსა და ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსის შორის. როგორც ვიცით, სწორედ მაშინ წამოიჭრა საკითხი იმ წყაროების შესახებ, სადაც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ეფრემის მიერ წამოყენებული თეზისები. გიორგი მთაწმიდელმა მაშინ მხოლოდ ერთი წყაროს დასახელება მოახერხა — ანდრია მოციქულის «მიმოსვლისა». მაგრამ ეს არ იყო საკმაო და ამიტომ ამ საქმის მეცნიერულად შესრულება და საესებით ამოწურვა შავი მთის ქართველებმა მიანდვეს ეფრემს, რომელიც, გიორგის აქედან წასვლის შემდეგ, მედგრად აგრძელებდა და ამტკიცებდა მის ლიტერატურულსა და საეკლესიო-პრაქტიკულ ტრადიციებს. «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს» უნდა გულისხმობდეს ეფრემის დასახელებულ შრომას, როდესაც გადმოგვცემს, რომ ეფრემმა «აღწერა ცხოვრება წმიდისა ნინოსი და ქართველთა კერპთმსახურებისაგან მოქცევა; ამან უქადაგა აფხაზთა და მოქცევისა მათისა აღწერა ისტორია და ამან ასწავა თავისუფლებისათჳს არხიეპისკოპოსთა, რომელ ქართველნი არა უტევებდენ თავისუფლად არხიეპისკოპოზთა. ამან ქმნა წერილი ავტოკეფალოს წოდებული, რომელ არს თავისუფლება ეპისკოპოზთა»[1].

VI. ჰომილეტიკა. ეფრემის ჰომილეტიკური შრომანიც იგივე მეტაფრასული, ესე იგი გამშვენებული რედაქციისაა, როგორც ჰაგიოგრაფიული, ამ დარგში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჩვენ 1) გრიგოლ ღვთისმეტყველის ოცდა ექვსი «სიტყუანი», «თქმულნი» და «შესხმანი». გრიგოლ ღვთისმეტყველი, როგორც ვიცით, წინათაც უთარგმნიათ ქართულად — გრიგოლ ოშკელს, დავით ტბელს და განსაკუთრებით, ექვთიმე მთაწმიდელს. ამის შესახებ თვით ეფრემი ამბობს, რომ მან, «ვითარცა ძაღლმან, მოლოკა ნაბიჭევისაგან დაცვნებულისა წმიდათა მათ პირთაგან ეფთიმი მთაწმიდელისა და დავით ტბელისა ნეშტი საკითხავთა ამათ, რომელნი აკლდეს ერგასისთა მათ თავთა მიერ შესრულებულსა წიგნსა წმიდისა გრიგორი ღმრთისმეტყუელისასა», რათა ქართულადაც «უნაკლულო ყოფილიყო რიცხჳ საკითხავთა მისთა, ვითარ იგი ბერძნულად»[2]. მაშასადამე, ეფრემს მოუნდომებია, პირველ ყოვ-

[1] «ქალწასობა», II, 174—175. შეად. ანტონ კათოლიკოსის «წყობილსიტყუაობა», სტროფი 746 — 747.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 227.

ლისა, გადმოეთარგმნა ჯერ კიდევ გადმოუთარგმნელი თხზულებანი გრიგოლისა. მართლაც, 29 ნაწარმოები მხოლოდ მის მიერაა ნათარგმნი, წინათ ისინი არავის უთარგმნია. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მან ისეთებიც თარგმნა, რომელნიც წინათაც იყო ნათარგმნი, თვით ექვთიმეს შრომებსაც კი შეეხო, რისთვისაც მას თანამედროვენი მეტიჩრობასა და მწვალებლობას სწამებდნენ [1]. აქ რაღა მოტივით ხელმძღვანელობდა ის? ამაზედაც იძლევა ეფრემი პასუხს. ის ერთ ადგილას შენიშნავს, რომ მას სურდა, რათა ქართულად გრიგოლის თხზულებანი არამცთუ იმ შემადგენლობისანი ყოფილიყვნენ, როგორისაც ბერძნულად, არამედ ისიც, რომ ისინი გადმოღებული ყოფილიყვნენ «ყოველივე ბერძულისაგან» [2]. მართლაც, გრიგოლ ოშკელის მიერ სომხურიდან ნათარგმნი ღვთისმეტყველის ერთ-ერთ «სიტყვას» შესახებ, რომელიც მან მეორედ თარგმნა, ეფრემი შენიშნავს: «მე სომხურისა წილ ბერძულისაგან კუალად მეორედ ვიიძულე თარგმნად. რამეთუ სომეხისა შვილსა და ბერძნისა შვილის-შვილსა, ნუუკუე და არა უეჭველსა თჳთ უეჭვი და საკუთარი შვილი აღვირჩიველ» [3]. რაც შეეხება ექვთიმეს შრომათა განმეორებას, აქ სულ სხვა მოტივები ჰქონია ეფრემს. ექვთიმეს მიერ ნათარგმნ რედაქციაში ორი სიტყუა გრიგოლისა — ხუცად კურთხევის შემდეგ, აღდგომა დღეს, და პონტოდ წასვლის გამო — მექანიკურად შეერთებული და ერთიმეორეზე გადაბმული ყოფილან; თუმცა მეორე მათგანი ცალკეც, ან როგორც ეფრემი ამბობს, კიდეთაგან ყოფილა ნათარგმნი. «სიგრძისაგან ჟამისა არ ვიცითო», შენიშნავს ეფრემი, «თუ მწერალთაგან შეხუდა ანუ თჳთ წმიდასა მამასა ეფთჳმის დედაჲ ესეგუარი მიჰხუდა ანუ თუ რაჲმე განგებულებით ყო, ვითა მას ჟამსა შეჰგუანდაო». როგორც უნდა იყოს, ამ მოვლენას «ჩუენ გუაყუედრებდეს ბერძენნიო და მათთა ყუედრებათაგან ბერმან კჳრილე ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მმძლავრა და კადნიერ მყო მე ახლად თარგმნად ათექუსმეტთა სადღესასწაულოთა და ამას ერთსა აპორიტთაგანსა, რომელნი ესე არა ქართულისა შუენებითა, არამედ ბერძულისა შედარებითა გვაქმნევიესო» [4]. ყოველ შემთხვევაში, ეს კერძო ფაქტი იყო, უფრო ზოგადი ხასიათის მოტივი აღნიშნულია ეფრემის თარგმანთა იერუსალიმის ნუსხაში № 34, სადაც ეფრემი სწერს კვირიკე ეკლესიარხს: ნურავის უკვირს, რომ წმიდამან მამამან ჩვენმან გვერდი აუარა ზოგიერთ საეკჳო ადგილს, ის რძითა ზრდიდა ჩვენს უსუსურ ერს, რომელიც დღეს, მის მიერ აღორძინებული, მისივე მადლით უფრო მაგარ საჭმელს თხოულობს. ექვთიმე წმიდასა და მაგარ ღვინოს, რომელსაც გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნი შეიცავდა, აზავებდა წყლით და, ვინაიდან ჩვენი ერი მაშინ ლიტონი და უსუსური იყო, მოძღვრის ნამუშაკევს ავრცობდა; ამიტომ მან შეაზავა წმიდა მამის სიტყვათა განმარტებაც. მაგრამ შენ თვითონ, კვირიკე, მოისურვე, რომ გამომეგდო მთარგმნელის დამატებანი და ზედმეტი ადგილები

---

[1] H. Марр, Предварительный отчет, стр. 29—30.
[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 227.
[3] იქვე.
[4] A 292, ფ. 282; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 226.

და გადმომეღო მხოლოდ გრიგოლის სიტყვანიო[1]. ეფრემი დიდი სიფრთხილით შედგომია ექვთიმეს რედაქციის შეცვლას. მე იმას ვადარებდი ბერძნულსო, ამბობს ის, «არა თავის, ჩემისა მინდობითა, არამედ კითხვითა და გამოკითხვითა კაცთა ბრძენთა და სულიერთა»[2]. სხვათა შორის, ვკითხავდი ხოლმე დიდი ანტიოქიის საპატრიარქოს, ნასწაელ მიტროპოლიტებსა და თვით მას, ყველაზე უბრძნეს მეუფე პატრიარქსო. რადგანაც ძველი თარგმანი მე ზეპირად ვიცოდი, თარგმნისას ძალაუნებურად ძველი სიტყვა შევეპარებოდა, რაც ბერძნულს დედანში არ იყო, მაგრამ მე დაუზარებლივ იმწამსვე წავშლიდი მას და ვწერდი რაც საჭირო იყოო[3]. ბერძნული ტექსტიც, რომლიდანაც მას უთარგმნია, დიდი მეცადინეობით უშოვია ეფრემს. ის გასწორებული ყოფილა და კრიტიკულად დადგენილი ვინმე «ბასილ გრამატიკოსისა» მიერ[4]. ეს ბასილი, ალბათ, ის ბასილი გრამატიკოსია, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს მეთერთმეტე საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოში გამოუგზავნია, ეფრემისავე ცნობით, «წვალებისათჳს აკაკიანსა»[5]. სულ ეფრემს გადმოუთარგმნია «ერგასი თავი», ესე იგი 50 სხვადასხვა ნაშრომი გრიგოლისა[6]. ზოგიერთი მათგანი მას უთარგმნია «სიტყუადართჳთ», ესე იგი სქოლიოებით, რომელნიც მიწერილია ხელნაწერთა აშიებზე, მაგალითად ხელნ. ინსტ. A ფონდის № 109 და იერუსალიმის № 34. ამ 50 თავიდან «თექუსმეტი სადღესასწაულოთანი» ყოფილა[7], ესე იგი სხვადასხვა დღესასწაულისა და წმიდათა ხსენების «სიტყუანი». სქოლიონი სწორედ ამათ აქვთ დართული და ისინი უნდა ეკუთვნოდნენ ეფრემის თანამედროვეს ნიკიტა სერონელს ან ჰერაკლიელს. წმიდა ჰომილეტიკური ხასიათის ნაშრომი სულ 26 უთარგმნია ეფრემს, ესენია: სიტყუა ირონის მიმართ ფილოსოფოსისა, ექსორიობით აღმოსლვისა, კეთილწესიერებისათჳს მეტყუელებათასა, შეერთებისათჳს მონაზონთასა დასამშჳდებელი, — სამი სიტყუა. მოქალაქეთათჳს შეშინებულთა და მთაჲრისათჳს განრისხებულისა, თქმული ჟამსა მოქცევისა თჳსისა აგარაკით საყდრად კონსტანტინოპოლისა. სწავლა ქალწულისა მიმართ, ომილია ხელდასხმისათჳს დროელთასა. სიტყუა შობისათჳს მაცხოვრისა, სიტყუა წინადღესა ქრისტესშობისასა აღწერისათჳს, სიტყუა ნათელთათჳს, ნათლისღებისა მიმართ მაწუეველობითი, პასხაჲსათჳს ორი სიტყუა, ახალკჳრიაკისათჳს, და არისა და ენკენისთჳს, მეერგასისათჳს და სულისა წმიდისა, მოწამეთათჳს, დიდისა ათანასესათჳს. ასერგასისა მიმართ ეპისკოპოსთა სიტყუაჲ ჯმნისაჲ, გლახაკთმოყუარებისათჳს, წყლულებისათჳს სეტყჳსმიერისა. მაკაბელთათჳს, კჳპრიანესათჳს მღუდელმოწამისა, სიტყუა მათდა მიმართ, რომელთა მოუწოდეს მას შემდგომად ხუცობისა, — აღსებისათჳს, — და არა წინადაემთხჳნეს მას. სიტყუაჲ პასუხისგებითი

[1] H. Marr, Предварительный отчет, стр. 30; რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან «მიმომხილველი», 1, გვ. 169.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 227.

[3] H. Marr Предварительный отчет, стр. 30.

[4] იქვე, გვ. 30 — 31.

[5] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 76, სახელდობრ 1042 წელს, როგორც ნიკონ შავმთელი მოწმობს.

[6] ყველა ესენი მოთავსებულია A 292 ხელნაწერში.

[7] A 292, ფ. 292; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 226.

პონტოდ მიმართ ლტოლვისათჳს და კუალად უკუმოქცევისათჳს[1]. სხვა ჰომილეტიკური ნაწარმოებნი, რომელნიც ეფრემს უთარგმნია, შემდეგია: 2) ამფილოქე იკონიელის სიტყუა მიგებებისათჳს მაცხოვრისა[2]; 3—4) გიორგი ნიკომიდიელის ანუ წიგნის მკითხველისა: სიტყუაჲ ყოელად წმიდისა ღმრთისმშობლისათჳს[3], სიტყუაჲ ტაძრადმიყუანებისათჳს ღმრთისმშობლისა[4]; 5) ევსუქი იერუსალიმელის შესხმაჲ ხარებისათჳს ღმრთისმშობლისა[5]; 6) თეოდორე სტოდიელის შესხმა ნათლისმცემლის თავის პოვნისა[6]; 7—9) სოფრონ იერუსალიმელის სამი სიტყუა: მიგებებისათჳს მაცხოვრისა[7], ამაღლებისათჳს უფლისა[8], წმიდისა გრიგოლ ღვთისმეტყუელისათჳს[9]; 10—13) იოანე ოქროპირის — შესხმა წმ. რომანოზისა[10], შესხმა სტეფანე პირველმოწამისა[11], ორი სიტყუა ამაღლებისათჳს უფლისა[12]; 14) ანასტასი სინელის — შესუენებულთათჳს[13]; 15—17) იოანე დამასკელის — შესუენებულთათჳს[14], სიტყუა ლეღვისათჳს განხმელისა და იგავისათჳს ვენახისა[15] და სიტყუა მეორედმოსვლისათჳს უფლისა (გელ. 8., ფ. 933—937; A 162, 172, 182); 18) ბასილ დიდის — მარხუათათჳს[16], 19) გერმანე კონსტანტინოპოლელის — სიტყუა ჯუარისათჳს და წმიდათა ხატთა[17]; 20) იოანე თესალონიკელის—სიტყუა განკაცებისათჳს უფლისა და ხარებისათჳს ღმრთისმშობელისა[18]; 21) ანდრია იერუსალიმელის — სიტყუა ბზობისათჳს და იერუსალიმად შესლვისათჳს უფლისა[19]; 22) პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა—თხრობაჲ სასწაულისა მის, რომელი აღესრულა ბივრიტიას ხატისა მიერ მაცხოვრისა და სიტყუაჲ სწავლისაჲ მარხვისათჳს და მოწყალებისა[20]; 23) ქებაჲ ეკლესიად მომავალთა და კეთილწესიერებისათჳს დიდებისმეტყუელებათა შინა[21].

VII. ეპისტოლენი. 1) ეპისტოლეთაგან იოანე ოქროპირისა ექსო-

[1] ესენი მოთავსებულია A 109, 292 ხელნაწერებში.
[2] A 162, 182, 186; გელათ. № 1, ფ. 30—36.
[3] S 384, გვ. 750—763; A 128; S 1276.
[4] A 128, 182, 382.
[5] A 5, 272; გელათ. №№ 2, 8.
[6] A 162, 182.
[7] გელ. № 1, 1—13; A 129.
[8] გელ. № 8, 401—432; A 129.
[9] S 1276, 213—230.
[10] S 384, 649 — 659.
[11] გელ. № 5, 514 — 516.
[12] გელ. № 8, 335 — 401; A 129, № 272,171 — 175.
[13] A 129, 132 — 137, № 272, 22 — 32.
[14] A 129, 162, 180.
[15] გელ. № 8, 284 — 289; A 129.
[16] A 129, 161—171, № 272.
[17] გელ. № 8, 111 — 117; A 162, 134 — 143.
[18] იქვე, 215—217.
[19] იქვე, 268—279; A 162, 172, 182.
[20] გელ. 8, 117—124; A 162, 275.
[21] A 5, 276

რიობით მოწერილი ოლუმპიადს მიმართ დედათა დიაკონისა[1]; 2) ოცდახუთი ეპისტოლენი ბასილი დიდისა, გრიგორი ღვთისმეტყუელისა და სხვა პირთადმი[2]; 3) ეპისტოლენი გრიგოლ ღვთისმეტყველისა: ათი ვასილის მიმართ დიდისა, ოცდარვა სხვადასხვა პირთადმი[3], ერთი ნექტარი კონსტანტინოპოლელის მიმართ[4].

VIII. ეპიტაფიები. ეს იგივე ჰომილეტიკური ნაწარმოებებია, საფლავზე წარმოთქმული, მაგრამ ფორმა მისი სხვაა: 1) მამისა თვსისა გრიგორი ანძიანძორელი ეპისკოპოსისა, რომელი აღმოსთქუა საფლავსა ზედა მისსა მუნ ყოფასა დიდისა ვასილისსა[5]; 2) ეპიტაფიად ბასილისსა სტიხოსნი იროიკონი, პარაფრასნი ნიკიტა ფილოსოფოსისანი (სერონის მიტროპოლიტისა XI ს.)[6]; 3) სიტყუა ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს[7]; 4) ეპიტაფია ძმისა თვსისა კესარიოსისათჳს[8].

IX. ფილოსოფია. იოანე დამასკელის გარდამოცემის პირველი ნაწილის შესახებ ეფრემი ამბობს: «ესე ერგასნსნი თავნი გარეშეთა წიგნთა და საფილასოფოჲსა სწავლულებისაგანი არიან... ენასა ჩუენსა სხუაჲ; არარაჲ ოდეს თარგმნილა საფილასოფოსოთა წიგნთაგანი»[9]. ამნაირად, იოანე დამასკელის დიალექტიკის გადმოთარგმნით ეფრემმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენი ფილოსოფიური მწერლობის განვითარებას. ეფრემის ფილოსოფიურ სულისკვეთებასა და ანტიკურ კლასიციზმისადმი მიდრეკილებას ამტკიცებს «ზღაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი»[10] და «ზღაპრობანი კუალად იესუჲანი»[11], რომლებშიაც ვრცლადაა გადმოცემული და განმარტებული ელინთა სხვადასხვა მითოლოგიური თქმულება, გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ მოხსენებული მის თხზულებებში[12].

X. სჭოლიონი. ეფრემს, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ჩვეულება ჰქონია — თითქმის ყველა მის მიერ ნათარგმნი თხზულებისათვის არშიაზე დაერთო ამა თუ იმ სიტყვის ან ადგილის განმარტება, რომელსაც ის «სიტყუადართულობას» უწოდებს. «ყოველსა თარგმანსა — ამბობს ის — უკჳს შემატებაჲ, რეცა განმაცხადებელად ძალისა». ჩემი მოძღვარი, ბერი. «მიბრძანებდის, რათა წმიდისა სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებლად და შეუხებელად ეთარგმნო და უკეთუ რაჲმე ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილადგილ და შესავალსა შინა თავსა წიგნისასა დაეწეროო»[13]. ასე იქცევიან ბერ-

[1] გელ. № 8, 199—206, სულ ექვსი ეპისტოლეა: 6—10, 13.
[2] A 292, 346—358.
[3] იქვე, 332—346.
[4] იქვე, 318 — 319.
[5] იქვე, 367—387.
იქვე. 54—56, № 109, 139—142, № 16; 306—311. ქუთაისის მუზ. № 9.
[7] იქვე, 16—54, № 16, 280—309, № 109, 29—37.
[8] იქვე, 359—367.
[9] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 215—216.
[10] A 109, 81—89.
[11] იქვე, გვ. 89—97, 527.
[12] Н. Марр, Предварительный отчет, стр. 31
[13] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 217.

ძენნიცო: «თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმონწმიდას შეწირულ 420 წიგნებს «საჭიროჲსა სიტყჳსა თარგმანი პატივთა ზედა უწერიაო», ხოლო «შეისწავენი და განსაზღვრებაჲ განჩინებითურთ და სამეცნიეროჲ ესე ყოველთა წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რათა რაჟამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოვრებული ჟამი ანუ ყოვლისავე გარდაკითხვაჲ» (იქვე). ამ სქოლიოებით, რომელთაგან «რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელნიმე დედისაგან» (იქვე), მოქსოვილია ძირითადი ტექსტი, ხანდახან სქოლიო თვით ტექსტს აღემატება. განსაკუთრებით ბევრი და დიდი სქოლიოები დართული აქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის [1] 16 სიტყვას. ეკუთვნის ისინი, როგორც ვთქვით, ნიკიტა სერონელს ან ჰერაკლიელს, აგრეთვე დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანს. უკანასკნელის სქოლიოები ეკუთვნის გერმანე კონსტანტინოპოლელსა და მაქსიმე აღმსარებელს. სქოლიოები, საზოგადოდ, სხვადასხვა ხასიათისაა: გრამატიკული, ისტორიული, ლექსიკოგრაფიული, ეგზეგეტიკური, ფილოსოფიური და სხვ.

XI. ლიტურგიკა. ავტორი თხზულებისა «მცირე უწყება ქართველთა მწუალთათჳს» ეფრემის შესახებ, სხვათა შორის, ამბობს: «ამან გარდამოიღო ე თ ი მ ო ნ ი, რომელ არს დიდმარხვის სამწუხრო მსახურება ეკლესიისა» [2]. «მეთიმონი» არის «დიდი სერობის» შედეგი, რომელიც მართლაც დიდმარხვაში სრულდება. ეს სიტყვა ქართული გამოთქმაა ბერძნული Μεϑ ἡμων-ისა, რომლითაც იწყება დიდი სერობის ჰიმნი: «ჩუენთანა არს ღმერთი, სცანით წარმართთა და იძლიენით». შეიძლება ეფრემს ეკუთვნოდეს ახალი რედაქცია ამ «შედეგისა», თორემ თარგმნილი ის წინათაც იქნებოდა უეჭველად. სინას მთის ხელნაწერში არის «ლოცვაჲ ლხინებისაჲ მათ ზედა, რომელნი ზიარებისაგან განყენებულნი ანუ დაყენებულნი ახლად ეზიარებოდინ» [3]. მას აწერია: «ეფრემის თარგმნილი». მასვე უთარგმნია, «უსაკუთრესითა სიტყჳთა» ანტონი ტბელის ბრძანებით აღდგომის «კანონი» — «აღდგომისა დღე არს» (ქუთაისის მუზეუმი, № 79, ფ. 230—232).

XII. იამბიკონი. ეფრემისაგან იამბიკონიც დარჩენილა, ამათგან ზოგი ნათარგმნია, ზოგი ორიგინალური. მაგალითად, მას ცალკე წიგნად უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის 19 ა პ ო რ ი ტ ა ან საიდუმლო ჰიმნები, რომელთაგან ხშირად გვხვდება ხელნაწერებში «მუკლები იამბიკოჲ სასწაულოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენნის ქრისტიანენი იულიანე განდგომილნი», ას სტროფად [4]. აქ გაერთიანებულია ორი შრომა გრიგოლისა: Γνωμολογίαι Τετράστιχοι და Γνωμικὰ Δίστιχα: თვითეული ოთხ და ორ ტაეპი ეფრემს გადმოუღია ხუთ ტაეპოვან იამბიკოდ. «იამბიკონი მოციქულთა საქმისა და მათთანა მათ კა-

[1] იერუსალ. ხელნ. № 34; A 109.

[2] «კალმასობა», II, 175.

[3] 38 (ცაგარლით), 73 (ჯაგახაშვილით), ფურც. 233—234 მასვე, ეფრემს, უთარგმნია წესი გამაჰმადიანებული ქრისტიანის მოქცევისა (იერუს. ხელნაწერთა აღწერილობა ნ. მარისა, ე. მეტრეველის გამოცემა, გვ. 85).

[4] A 85, № 109, 527—534, № 711, 83—87; S 348, 3731.

თოლიკეთა და პაელეს ებისტოლეთანი ბერძნულნი», რომელიც იწყება: «აღემართების წიგნი ესე რჩეული სუეტად უძრავად» [1].

მეორე ორიგინალური იამბიკო, რომელსაც «თჳთ ეფრემ მეტყუელებს», ასეთია:

Სახედ სიბრძნისა გიწესს, მოვედ და შეედ ხოლო სართულსა მისსა პაელე შეამკობს
და განიცადე წიგნი სამოციქულოჲ, შენაკებითა ოქროცხებულებითა,
ვითარ მოქმედებს მას შინა იატაკად რათა შჳდობაჲ კათოლიკეთაჲ დაჰრთოს
ღუკა საქმესა ქრისტეს მოციქულთასა, ებისტოლეთა მიერ მრჩობლ შჳდეულთა.
და იაკობ და პეტრე იოვანეთერთ ამათი თჳსაო განმასაკუთრებელი,
შეუდგმენ შჳდთა სუეტთა იუდაჲს თანა, უფალო, თჳსად შენდა განისაკუთრე [2].

ორიგინალური, საკმაოდ ვრცელი იამბიკო უძღვნია ეფრემს აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყუელისათვის მისი თხზულების ბოლოს. ეს იამბიკო აკროსტიქულია, პირველი და უკანასკნელი ასოები სტრიქონისა იძლევა შემდეგ წინადადებას: «ჭ ფრიადო, მოძღურებისა უფსკრულთაგან სრულითა მით საზომითა სრულქმნილითა შემწე ჩემდა იქმენ დღესა განშჯისასა, რომლისათჳს გხადი უნდოდ მცირე ეფრემი» [3].

ასეთია ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობა. ჩვენ ჩამოვთვალეთ ეფრემის მხოლოდ ის შრომანი, რომელთა შესახებ დანამდვილებით ვიცით, რომ ისინი ეფრემს უთარგმნია თუ დაუწერია. ამათ გარდა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მას სხვაც ბევრი აქვს ნათარგმნი, განსაკუთრებით აგიოგრაფიასა და ჰომილეტიკაში, მაგრამ დანამდვილებით ვერ დავასახელებთ, ვინაიდან ეფრემის სახელით ისინი წარწერილი არ არიან, როგორც სხვები.

39. ბასილ ვაჩესძე

ეს ბასილი, «ძე დიდისა პატრიკისა ვაჩესი», შეიძლება ვაჩე კარიჭიძის შვილი და ეფრემ მცირის ძმა იყოს. თუ ეს მოსაზრება საფუძვლიანია, უნდა ვიფიქროთ, სწავლა-განათლება მას ბიზანტიაში, კონსტანტინოპოლში, ექნება მიღებული. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ: ბასილი კარგად ჩახედული ყოფილა ბერძენთა ცხოვრებაში და მათი ეროვნულ-კულტურული და საეკლესიო-ლიტერატურული იდეალები და მისწრაფებანი კარგად ცოდნია. ეს შემდეგიდან ჩანს: ათცამეტ ასურელ მამებმა იმდენი ნიში და საკვირველებანი აჩვენესო, ამბობს ის, რომ, იმათ რომ ბერძენთა შორის ჰქონოდა ადგილი, უკანასკნელნი «ძლითმცა აღსარიცხველ წერილებს შექმნიდენ», ესე იგი დასწერდნენ ამის შესახებ, ჩვენში კი არავინ იზრუნა ამისათვის, ვინაიდან «ნათესავი ქართველთა არს მარტიე და ამასთან ლიტონიცაო» [4].

[1] A 137, 16—17, № 482; S 379, გვ. 189—191. ზოგიერთი იამბიკო ეფრემისა დაბეჭდილია ს. ყუბანეიშვილის «ქრესტომათიაში», I, 363—373.

[2] S 379, გვ. 191; A 137, ფ. 17.

[3] A 292, ფ. 406.

[4] «საქართველოს სამოთხე», გვ. 253.

რასაკვირველია, ასეთი კონტრასტი გადაჭარბებულია, მაგრამ ერთი ლიტერატურული მოვლენა სწორედ აღუნიშნავს ბასილს: ბიზანტიის აგიოგრაფიაში არსებობდა ისეთი მიმდინარეობა, რომელიც ამა თუ იმ ცხოვრებაში სასწაულთმოქმედებათ განსაკუთრებულ ხაზს უსვამდა და მათ ცალკე თავებად გამოყოფდა ხოლმე. ამგვარ ცხოვრებათა ნიმუშები ქართულადაცაა ნათარგმნი, მაგალითად, ცხოვრება ტიმოთე საკვირველთმოქმედისა, სვიმეონ მესუეტისა, მაკარი მეგვიპტელისა და სხვა მრავალი. ბასილს უნდოდა სწორედ ამისი მსგავსი რამ ყოფილიყო ქართულ აგიოგრაფიაშიაც, ვინაიდან მის დროს არსებული ცხოვრებანი ათკამეტ მამათა, არსენ კათოლიკოსისა (X ს.), და მეტაფრასულიც, თუმცა სასწაულებსაც შეეხებოდნენ, მაგრამ გაკვრით, არასპეციალურად, ყოველ შემთხვევაში, აღნიშნულ მიმართულებასა და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ. ამიტომ ბასილს განუზრახავს თავი მოეყარა შიო მღვიმელის სასწაულთმოქმედებათა შესახებ ცნობებისათვის და დაუწერია «თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოსთა. რომელი ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოჰკრიბა»[1] მან. განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც გამოუჩენია ამ შემთხვევაში ბასილს შიო მღვიმელის სახსენებელისადმი, გვაფიქრებინებს, რომ ოდესღაც კათოლიკოსობამდე (მისი კათოლიკოსობა მოდის დაახლოებით 1090—1100 წლებში), ის შიომღვიმის სავანეში მოღვაწეობდა. ეს თხზულება თავდაპირველად შედგებოდა 18 თავისაგან: თითოეულში მოთხრობილი იყო ერთი რომელიმე სასწაული შიოსი, ამათგან დარჩენილა მხოლოდ 1, 7, 8, 9, 11 და 12 თავები, სხვები კი, უნდა ვიფიქროთ, დაკარგულია. თუმცა აქ მართლა სასწაულებია აღწერილი, მაგრამ ბევრი საყურადღებო ისტორიული ფაქტიცაა აღნიშნული და ისტორიულ პირთა სახელები, რომელთაც სხვა წყაროებში ვერ ვხვდებით. ასეთია, მაგალითად, ბართლომე კათოლიკოსისა და სტეფანოზ ერისმთავრის შორის მომხდარი ინციდენტი, რომელიც საფუძვლად დაედო სტეფანოზის საეკლესიო-სამონასტრო პოლიტიკას (სასწაული 8), აგარიანთა ან არაბთა თარეშობა ქართლში სამეულ კათოლიკოსის დროს (სასწაული 9), ცნობა იოანე, ქართლის კათოლიკოსის, შესახებ, «რომელი ყოველთურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა» (სასწაული 11)[2], შიოს დღესასწა-

[1] საქართველოს სამოთხე, გვ. 253 — 264.

[2] ეს იოანე უნდა იყოს იოანე II (ოქროპირი: 1031 — 1039, 1045 — 1049). ბასილის სიტყვით, ის იოანე, «იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკუნითუ ვისმე უნდინ ცნობად, მითიღებ ქედ მისთჳს აღწერილი წიგნი და მუნით სცნობდინ». («საქართვ. სამოთხე», გვ. 262). ზოგიერთ ჩვენ მკვლევარს ჰგონია, რომ თაეის დროზე დაწერილი ყოფილა ამ იოანე კათოლიკოსის ბიოგრაფია («ქრონიკები», I, 60—61, შენიშვნ.), მაგრამ ბასილის სიტყვები: «მითიღებ ქედ მისთჳს აღწერილი წიგნი», შეეხება არა იოანე კათოლიკოსს, არამედ იოანე ოქროპირს, რომლის ბიოგრაფია მართლაც იყო მის დროს ორი რედაქციით: კიმენისებურითა და მეტაფრასულით. თუ რამდენად ნაკლებ ვიცნობთ ჩვენს ლიტერატურულ წარსულს, ჩანს იქიდან, რომ პლ. იოსელიანი («წყობილსიტყვაობაჲ», შენ. 100) და მ. სბაღინი («საქართვ. სამოთხე», გვ. 26*, შენ.) იოანე კათოლიკოსს მიაწერენ ანასტასი (შეცდომით — ათანასი) ანტიოქელის წინამძღურისა და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმანს; ნამდვილად კი პირველი თარგმნა არსენ ვაჩესძემ, ხოლო მეორე —

ულის აღწერა სარმიანე კათოლიკოსის დროს (სასწ. 12) და სხვ. ეს თხზულება, რომელშიაც არა ერთი რეალური, ყოფაცხოვრებითი სურათი გვაქვს, ხაზს უსვამს (სასწაული 8) იმ კონფლიქტს, რომელსაც ადგილი ჰქონია მეშვიდე საუკუნის გასულს სტეფანოზ მთავარსა და შიომღვიმის ბერ-მონაზონთა შორის იმის გამო, რომ უკანასკნელთ მეტი ყურადღება და პატივისცემა აღმოუჩენიათ კათოლიკოსისათვის, ვიდრე სტეფანოზისათვის. ეს კონფლიქტი გამოძახილია იმ ბრძოლებისა, რომელიც წარმოებდა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის როგორც ძალაუფლებისათვის, ისე სამონასტრო-საეკლესიო ქონებათა გამო. ეს კონფლიქტი, როგორც მოსალოდნელი იყო თხზულების ავტორისაგან, ეკლესიის წარმომადგენელთა გამარჯვებით მთავრდება.

ამავე ბასილს უნდა ეკუთვნოდეს «ბასილ კათოლიკოზის» სახელით ცნობილი «დასდებელი» შიო მღვიმელისა, რომელიც «ნიშებსა და სასწაულებს» უსვამს ხაზს [1].

40. დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებელი, გამოჩენილი მეფე (1089—1125), რომლის მეთაურობით შეიქმნა კულტურული და პოლიტიკური ძლიერება საქართველოსი, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს «უსწავლელს» და «სწავლულებისა და მეცნიერებისაგან» დაშორებულს ეძახის, როგორც მისი მატიანედან ჩანს [2], ყოფილა განათლებული კაცი და მეგობარი სწავლა-განათლებისა და ლიტერატურისა. მას საკმაოდ შეთვისებული ჰქონია საერო მეცნიერება, სხვათა შორის, ვარსკვლავთმრიცხველობა, «გადასრულთა საქმენი» ან ისტორია (გვ. 318), მაჰმადიან პოეტთა და მეცნიერთა თხზულებანი. უფრო საფუძვლიანად მას შესწავლილი ჰქონია საეკლესიო მწერლობა და ღვთისმეტყველება არა მარტო ქრისტიანული, არამედ მაჰმადიანურიც, სხვათა შორის, ზემოიწევნით ცოდნია ყურანი. მთელ თავისუფალ დროს ის წიგნების კითხვას ანდომებდა: «შემდგომად სერობისა, ნაცულად ძილის ანუ სხუ[ა]სა რა[ა]სამე საქმისაა», ჩვეულებად ჰქონდა «კითხუა წიგნთაა», რომელნიც თან დაჰქონდა ყოველთვის, სადაც უნდა წასულიყო. ნადირობისას, მიმოსვლისას თუ ლაშქრობისას, ყოველთვის «წიგნები ეტჳრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და სადა გარდაკდის ჰონესა, პირველ ყოველისა წიგნი მოაქუნდიან ქელითა» (გვ. 315). წიგნების კითხვით იმდენად იყო გატაცებული, რომ ერთხელ ლაშქრობისას. გრიგოლ ღვთისმეტყველის წიგნის კითხვით მოხიბლულმა, კინაღამ განსაც-

---

გრიგოლ ოშკელმა, დავით ტბელმა, ექვთიმე ათონელმა და ეფრემ მცირემ. ზ. ჭიჭინაძე კიდევ უფრო შორს მიდის: იმას ბასილ კათოლიკოსი გადმოყავს XIV საუკუნეში და შიო მღვიმელის სასწაულების გარდა მიაწერს კიდევ შემდეგ წიგნებს: «სამოთხის გასაღები» და «აღწერა მთელი ხმელეთის უდიდესთა ქალაქთა», რომელნიც მას თითქოს ბერძნულიდან უთარგმნია («ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან შეთექვსმეტე საუკუნემდე», გვ. 13).

1 პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტბ.

2 ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 326 — 327.

დელში ჩააგდო თავისი ჯარი (გვ. 318), რასაც მერე აყვედრიდნენ კიდევაც მეომარნი. როდესაც თვითონ დაიღლებოდა კითხვით, სხვას გადასცემდა წიგნს საკითხავად და თვითონ უსმენდა. განსაკუთრებით ჰყვარებია მას «წიგნი სამოციქულო», რომელიც, ისტორიკოსის სიტყვით, წელიწადში 24-ჯერ წაეკითხა (გვ. 316). წიგნების კითხვას დავითი ეწაფებოდა არა გასართობად, არამედ სულიერი საზრდოს მოსაპოვებლად: იმას ჩვეულებად ჰქონდა ჩაფიქრებოდა წაკითხულს, მის სიღრმეში ჩაეხედა და ყოველმხრივ გამოეკვლია ის. დავითი ყოველ ღონეს ხმარობდა ხელი შეეწყო სწავლა-განათლებისა და მწერლობის განვითარებისათვის საქართველოში და ქართულ ენაზე. ამისთვის საზღვარგარეთულ მონასტრებს, სადაც ქართული მწერლობა ღვიოდა, საბერძნეთში, ბულგარეთში, ასურეთში, შავ მთაზე, პალესტინაში, კვიპროსზე, ის უხვ შეწირულებას უგზავნიდა, «მთასა სინასა ზედა აღაშენა მონასტერი და წარსცა ოქრო მრავალი ათასეულნი და წიგნები საეკლესიონი სრულებითა» (გვ. 321). საქართველოში მან «მდიდრად შეკრიბნა საღმრთონი წერილნი, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართლისასა სხუათა ენათაგან ძუელნი და ახალნი» (გვ. 314), ხოლო რუის-ურბნისის კრების შემდეგ, ქრონიკონს ტძვ, 1106 წელს, «მოიგონა აღშენება მონასტრისა და ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოველითურთ უნაკლულსა» ააგო გელათის დიდი ტაძარი, «აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა» (გვ. 293—294). ამ მონასტერში საქართველოსა და უცხოეთში მყოფ ქართულ სხვადასხვა მონასტრიდან «შემოკრიბნა და დაამკჳდრნა კაცნი პატიოსანნი ცხორებითა და შემკულნი ყოველითა სათნოებითა, სიწმიდითა, სისრულითა და კორციელთა აღსავსეობითა» (გვ. 294). ამნაირად გახადა ის საქართველოს კულტურის, მწერლობისა და სწავლა-განათლების უმაღლეს ცენტრად, «ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სასწაულოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისს» (გვ. 295). სწორედ მისი მოპატიჟებით უნდა დაბრუნებულიყვნენ აღმოსავლეთიდან საქართველოში 1114 წელს თეოფილე ხუცესმონაზონი და არსენ იყალთოელი, და მათთან ერთად ზოგიერთი სხვა მოღვაწეც. დავითის მეცადინეობითა და აღნიშნული თვისებებით აიხსნება ის მოვლენა, რომ მის მეფობაში ქართული საეკლესიო მწერლობის ასპარეზს ამკობს მთელი რიგი გამოჩენილ მუშაკთა. ასე რომ, ამ მხრივ ამ ეპოქას ბადალი არა ჰყავს ჩვენს ისტორიაში. როგორც ჩანს, დავითი თვითონაც იღებდა მონაწილეობას ქართულ მწერლობაში. მაგალითად, ჩვენამდე შენახულა მის მიერ დაწერილი «გალობანი სინანულისანი» [1], რომელსაც ახასიათებს აზრთა და გრძნობის სიღრმე და სიტყვაკაზმულობა. დავითის გ ა ლ ო ბ ა ნ ი, რომელნიც ნათლად მოწმობენ მის საფუძვლიან საღვთისმეტყველო განათლებას, საინტერესოა აგრეთვე როგორც მაჩვენებელი მისი ცხოვრების ზოგიერთი ინტიმური მხარისა და ავტორის ფსიქოლოგიურ-რელიგიური განცდისა.

---

1 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 104 — 107; მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 513—518; ს. უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, კრესტომათია, I, 374—376.

41. არსენ იყალთოელი

მეთერთმეტე საუკუნის გასულსა და მეთორმეტის დამდეგს ჩვენ გვხვდება რამდენიმე არსენი: არსენ იყალთოელი, არსენ ვაჩესძე და არსენ კალიპოსელი. ნამდვილი და ეჭვმიუტანელი ცნობები მათ შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, მხოლოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსენ იყალთოელი და არსენ კალიპოსელი ერთი და იგივე არაა, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ. არსენ იყალთოელი ცნობილი მწერალია, ხოლო არსენ კალიპოსელი, რომელმაც ასეთი სახელი მიიღო, ალბათ, იმიტომ, რომ კალიპოს მონასტერში მოღვაწეობდა ანტიოქიის მახლობლად. როგორც ლიტერატორი, ძეგლებით დამოწმებული არაა, თუმცა თანამედროვეთაგან დიდად პატივცემული ყოფილა; ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრება მას მრავალ ქებას ეუბნება, როგორც «სჯულიერს მოღუაწესა»[1]. რაც შეეხება არსენ იყალთოელსა და არსენ ვაჩესძეს, მათი სახელით ცნობილი თხზულებების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ერთი და იგივე პიროვნებაა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღნიშნულია მისი სამშობლო ან მოღვაწეობის ადგილი, იყალთო, კახეთში, მეორეში კი გვარი ან მამის სახელი — ვაჩესძე[2].

როგორც მისი ლიტერატურული შრომებიდან ჩანს, არსენს მიღებია ღრმა და საფუძვლიანი განათლება, ჩვენი აზრით, კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ აკადემიაში—მანგანის წმ. გიორგის მონასტერში, სადაც შემდეგ უთარგმნია მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება. მხოლოდ მიქაელ ფსელოსისა და იოანე ნომოფილაქსის მიერ მანგანის აკადემიაში შექმნილსა და განმტკიცებულ ტრადიციებს შეეძლო აღეზარდა არსენ იყალთოელის პიროვნებაში ის ფილოსოფოსი და იურისტი, რომელიც გამოსჭვივის უკანასკნელის ფილოსოფიურ-იურიდიულ ნათარგმნ თხზულებებში და მის მიერ, გადმოცემით, დაფუძნებულ იყალთოს აკადემიაში. სწავლის დამთავრების შემდეგ არსენს მოღვაწეობა დაუწყია შავ მთაზე ეფრემ მცირის იქ ყოფნისას. ეს უნდა მომხდარიყო მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში, ვინაიდან მისი სახელი დაკავშირებულია ეფრემის ორ შრომასთან, რომელნიც ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებშია ნათარგმნი: სამოციქულოსა და იოანე დამასკელის გარდამოცემასთან[3]. სამოციქულოს შან საკუთარი იამბიკოც კი უძღვნა. შავ მთაზე მისვლისას არსენი, როგორც ეფრემზე უმცროსი, უკანასკნელის «მზრდელთა და მსახურთა» რიცხვში ითვლებოდა[4] და მისი ხელმძღვანელობით მთარგმნელობას სწავლობდა. ამიტომ ეფრემი თავის თავს

[1] «საქართვ. სამოთხე», გვ. 530.

[2] იყალთოს სიძველეთა მიხედვითა და მაყაშვილთა საგვარეულოს ტრადიციებით, არსენი, წმიდათა რიცხვში ჩარიცხული, გვარად თითქოს მაყაშვილი ყოფილა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, თბილისი, 1907; გვ. 254, 256).

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 219.

[4] იქვე, გვ. 219.

უწოდებს მ ო ძ ღ უ რ ა დ არსენისა[1] და ერთ-ერთი მისი შრომის გამო (ც ხ ო ვ რ ე ბ ა გურია, სამონა და ახიბოსი), რომელიც, მისი სიტყვით, არის «მესამე ნაყოფი არსენისა», გამოითხოვს ქართველთა ნათესავისათვის «წარმართებასა თარგმნობისა მისისასა»[2]. შავი მთიდან, ალბათ, თავისი მ ო ძ ღ ვ რ ი ს — ეფრემის, სიკვდილის შემდეგ არსენი დაბრუნებულა მანგანის მონასტერში, სადაც ის სწავლობდა. ეს უნდა მომხდარიყო მეთორმეტე საუკუნის დამდეგს, როგორც ამაში დაერწმუნდებით მისი დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი ს ანალიზის დროს. მანგანის მონასტრიდან ის სამშობლოში გადმოსახლებულა, ალბათ, დავით აღმაშენებელის მოწვევით, როდესაც ის გელათის მონასტრისა და სასწავლოსათვის საუკეთესო მოღვაწეებს იწვევდა საზღვარგარეთიდან. როგორც უკვე იყო ზემოთ აღნიშნული, ის 1114 წელს უნდა შეხვედროდა საქართველოში თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭიძესთან ერთად. რამდენ ხანს დარჩა ის გელათში, არ ვიცით, ერთი კია, რომ აქ მას უთარგმნია «დიდი სჯულის კანონი», შემდეგ აქედან ის გადასულა კახეთში და იყალთოს აკადემია ჩამოუყალიბებია, თუ ამის შესახებ არსებული თქმულება მართალია, საბოლოოდ კი ის შიომღვიმის მონასტერში დამკვიდრებულა, სადაც «დოღმატიკონს აწამებდა და ცკლისა სოფია წმიდასა მარტოჲ იქმოდა»[3]. ის იქ ძალიან დაახლოებია დავით აღმაშენებელს, სხვათა შორის, დასწრებია იმ კრებას, რომელზედაც სომხებსა და ქართველებს პაექრობა ჰქონდათ დავითის მონაწილეობით[4]. ფიქრობენ, 1103 წელს არსენ იყალთოელი უკვე მკვდარი იყო, ვინაიდან რუის-ურბნისის კრების აქტთა ზოგიერთი ნუსხა მას, როგორც მიცვალებულს, «საუკუნო ხსენებას» უთელისო[5], მაგრამ ეს მართალი არაა. უძველესი ნუსხა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერისა არსენ იყალთოელს სულ არ იხსენიებს არც მკვდრებში, არც ცოცხლებში[6], თან ზემოდასახელებული პაექრობა სომხებისა და ქართველებისა, რომელშიაც არსენისაც მიუღია მონაწილეობა, უნდა მომხდარიყო გაცილებით გვიან, ვიდრე რუის-ურბნისის კრება, არაუადრეს 1123 წლისა, როდესაც დავით-მა ქალაქი ანისი აიღო და როდესაც მან, მ ა თ ე უ რ ჰ ა ე ლ ი ს სიტყვით, სომეხთა ეპისკოპოსნი, ხუცესნი და მოწესენი საზეიმოდ შეკრიბა[7]. ასე რომ, როდის გარდაიცვალა არსენი, ჯერჯერობით გადაჭრით თქმა ძნელია, ცხადია, დავითის მეფობას ის ბევრით ვერ გადასცილებოდა. დავითის გარდაცვალებას კი არსენი უეჭველად მოესწრო. ეს იქიდან ჩანს, რომ, კ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს გ ა რ ე გ ბ ი ს ცნობით, მას დაუწერია ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა ოთხტაეპოვანი ლექსით, რომელიც ასე იწყებოდა: «ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს». აქ პირდაპირაა ნათქვამი: «მამა არსენი იყალთოელი, ეგეთი კაცი,

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 224.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 223.
[3] ი ქ ვ ე. გვ. 246, 311.
[4] ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 326.
[5] «საქართველოს სამოთხე», გვ. 530; ს. ჯ ო რ ბ ა ძ ე: კრებ. «მიმომხილველი», I, 176—177.
[6] გელათის მონასტრის სჯულის კანონი, № 17.
[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II 2, 280.

მტყუანი როგორა ეგების? ამა შაირსა არა იგი იტყჳსო?»[1] ზოგიერთი ჩვენი მკვლევარი არსენ იყალთოელს ანიჭებს არამცთუ უბრალო ეპისკოპოსის, არამედ კათოლიკოსის ხარისხსაც[2], მაგრამ ეს გაუგებრობაა: არსენი არასდროს ეპისკოპოსად არ ყოფილა, არც ერთი ცნობა ამის შესახებ არ მოიპოვება.

არსენი დიდად განათლებული კაცი ყოფილა; ამას დავით მეფის ისტორიკოსიც ამოწმებს. როდესაც ამბობს, რომ დავითმა სომეხ-ქართველთა პაექრობაზე დასასწრებლად, სხეთა შორის, მოუწოდა «არსენ იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა»[3]. ეს მისი თარგმანებიდანაც ნათლად ჩანს: მის ყურადღებას იზიდავს, უმთავრესად. განყენებული დოგმატიკურ-ფილოსოფიური და იურიდიული ხასიათის თხზულებანი, რომელნიც გადმოცემულია შესაფერისად დახუშავებული და ჩამოყალიბებული ქართული ენით, განმარტებულია ეფრემისებური სქოლიოებითა და ა ნ დ ე რ ძ ე ბ ი თ, რომლებშიაც ავტორი თვალწინ გადაგვიშლის ბერძნული და ქართული ენის ხასიათსა და თვისებას. მაგალითად, ანასტასი სინელის წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი ს ბოლოს არსენი შენიშნავს: ჩემს თარგმანს «თუ სიბნელე რაჲმე სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს. იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერმეცნიერობისაგანო»[4]: ანდა: «შეისწავე, ვითარმედ რომელი იგი ჩუენთა ქართულთა სახარებათა შინა გ ა რ ნ ა დ წერილ არს ამას ადგილასა, — ა რ ც ა ძ ე მ ან, გ ა რ ნ ა მ ა მ ა მ ა ნ, — და ჩუენ აქა ყოველგან თ ჳ ნ ი ე რ ი დაგვიწერია ნაცვლად გ ა რ ნ ა ჲ ს ა. ბერძულად ესრეთ არს ვითარმედ ჲ მ ი (ἐγώ), რომელი ესე გ ა რ ნ ა ს ა ც ა მოასწავებს და თ ჳ ნ ი ე რ ს ა ც ა... ხოლო ერთისა არა რომლისაგან გარეშეიცვის ქართულისა სიტყჳსა, ვითარმცა ერთი რაჲმე დაჰმართე და სხჳსა მიმართ არღა ჰქონდა კუალი განსავალი სიტყუასაო»[5]. არსენი ერთერთი პიონერთაგანია იმ ლიტერატურული მიმართულებისა. რომელიც გაჟურჩქნა პეტრიწონის მონასტერში მანგანისაე აკადემიაში აღზრდილი იოანე პეტრიწის კალმის მეოხებით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ლიტერატურული ენის შესახებ: ელემენტები პეტრიწონული სკოლის ლექსიკისა და მორფოლოგია-სინტაქსისა არსენის თხზულებებშიაც გვხვდება, სახელდობრ: გრძელი პერიოდები, მიმღეობის სამუალებით შემოკლებული წინადადებები, ზედსართავ სახელთა ნაწილაკი თი-ს დახმარებით წარმოება, როგორც: მაგალითად, «მიმღეობითი. შემოყუანილობითი, წარმკითხველობითი» და სხვ. რთული სიტყვები და ასეთი ფორმები: «ვიდრემე, ეგერა, ძლითი». ენა მისი საერთოდ ხელოვნურია,

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, გვ. 12. ეს ლექსი, რომელსაც ზოგიერთები თამარ დედოფლის ეპიტაფიად თელიდნენ (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 11, 52), გამოსცა. როგორც სახალხო პოეზიის ნაშთი, მესხეთში გაგონილი, პროფ. დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ მ ა («ქრესტომათია», 11, 212).

[2] გ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართვ. სამოთხე, გვ. 530.

[3] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 326.

[4] Ф Жордания, Описание, I, стр. 233.

[5] S 1463, ფ. 159.

განსაკუთრებით განყენებულ დოგმატიკურ-ფილოსოფიურ თხზულებებში, აგიოგრაფიულ-ისტორიულში კი შედარებით მარტივი და ლიტონია

ლიტერატურული მოღვაწეობა არსენი იყალთოელისა სამ პერიოდად იყოფა. პირველია შავი მთის პერიოდი, როდესაც ის ეფრემ მცირესთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით თარგმნიდა წიგნებს. ამ პერიოდში, დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში, მას უნდა ეთარგმნოს აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური თხზულებანი, რომელთა ენა შედარებით მარტივია. ესენია: 1) «იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ დიდისა შაბათისათჳს»[1], 2) «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა ღირსისაჲ მწყემსისა ქრისტესა ევგენიასისა და მშობელთა მისთაჲ»[2], 3) «წამებაჲ სამთა აღმსარებელთაჲ: გურია, სამონა და აბიბოჲსი, და თხრობაჲ სასწაულსა ეფემიაჲს ზედა ქალისაჲ»[3], რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირე თელის არსენის მთარგმნელობის «მესამე ნაყოფად». შეიძლება არსენს სხვა აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ნაწარმოებიც ეთარგმნოს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინაიდან საჭირო ბიბლიოგრაფიული ცნობები და მინაწერები ჯერჯერობით არ აღმოჩენილა.

4) ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ, როდესაც ეფრემ მცირემ მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში სამოციქულო გადმოთარგმნა, მას თან დაურთო ორი იამბიკო, ერთი ბერძნულიდან ნათარგმნი და ერთიც თავის საკუთარი, ორიგინალური. ასეთი იამბიკო დაურთავს ამ შრომისათვის, როგორც მის ნუსხებიდან ჩანს[4], მაშინ შავ მთაზე ეფრემთან მყოფ არსენ იყალთოელსაც. მისი იამბიკო, რომლის აკროსტიქი ამბობს «წიგნი სამოციქულო» და რომელსაც წარწერა აქვს «არსენ მეტყუელებს ამათ იყალთოელი», იკითხება ასე:

წმიდა მყოფელი მიითუალე საუნჯე.
იყნოსე მისთა მიპრონთა სულნელებაჲ,
ბანწყობილისა იხილე ეითარებაჲ,
ნიეთ უბრწყინვალეს ოქროჲსა გექმენინ შენ,
ინებოს რაჟამს უწყებად შენდა ღუკა
საქმე სიტყჳსა მოწაფეთაჲ, და მიერ
აღეკედ იაკობ უფლისა ძისა ბრძნისა;
მან წარგაელინოს ძისა მიმართ ტჳედისა.
ორთა ამათ რაჲ თანაწარკჳდე, გეზრახოს
ცაჲ პირმეტყუელი და თავი ღმრთისმეტყუელთაჲ;
იუდაჲს მიერ შჳდეულად სრულ იქმნენ
ჭადაგთა ოთხთა შჳდნი კათოლიკენი;
უშინაგანეს შეხჳდე თუ, გეპოვნენ
ლოდნი ათორმეტ რიცხუნი პატიოსანნი,
ორღანოჲსა მის ღმრთისა ებისტოლენი.
იყუნედ ესენი ნათელ ალაგთა შენთა[5].

[1] გელ. ხელ. № 8, 313 — 328.
[2] დეკ. 24. გელ. ხელნ. № 5, 395 — 412, № 6, 10 — 31.
[3] დეკ. 15. S 384, 658 — 679.
[4] A 137, 482.
[5] A 137, ფ. 17 — 18; S 379, გვ. 192; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 376—377.

უფრო მეტი შრომა არსენ იყალთოელს გაუწევია თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდში, როდესაც ის, ჩვენი აზრით, მანგანას წმ. გიორგის მონასტერში ცხოვრობდა კონსტანტინოპოლს, დაახლოებით მეთორმეტე საუკუნის პირველ ათეულში (1114 წლამდე). აქ, პირველ ყოვლისა, უნდა ეთარგმნოს მას, ენის მიხედვით, გიორგი ჰამარტოლის ხრონოგრაფი, რომელსაც შემდეგი ანდერძი აქვს: «დაესრულა ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისაჲ... და ესეცა მცირედ შესაკსენებელად ღმრთივსულიერთა წერილთა ძალისა და ჩემისა უხდოებისად გაქუნდინ და წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ნუ დამივიწყებთ, ქრისტესმოყუარენო ძმანო და მამანო, უღირსსა მონასა თქუენსა არსენის, რომელმან ესე ბერძულისაგან ქართველთა ენად ვთარგმანე»[1]. განსვენებულ თ. ჟორდანიას ეს არსენი მიაჩნია ხან მეათე საუკუნის არსენ კათოლიკოსად[2], ხან არსენ კალიპოსელად[3]. მაგრამ მეათე საუკუნისათვის ამ თხზულების ენა პირდაპირ ანაქრონიზმია, ხოლო არსენ კალიპოსელის ლიტერატურული მოღვაწეობა, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ძეგლებით დამოწმებული არაა. თან კალიპოს-ანტიოქიის სალიტერატურო სკოლაში, როგორც ვიცით, ადგილი არ ჰქონია იმ პეტრიწონიზმებს, რომელიც ახასიათებს ამ შრომას. ბერძნულ ენაზე არსებობს სამი რედაქცია გიორგის ხრონოგრაფისა: ვრცელი, მოკლე და საშუალო[4]. ქართული თარგმანი, ზოგიერთი განსხვავებით, მისდევს მოკლე ძირითად რედაქციას, რომელიც წარმოდგენილია ხრონოგრაფის უძველესი ხელნაწერებით (Coislianus 310 და 134), და ამავე დროს საშუალებას გვაძლევს ამ ძირითად ტექსტშიაც თვალსაჩინო შესწორებანი და დამატებანი შევიტანოთ[5]. ქართული თარგმანი შედგება ცხრა წიგნისაგან და მოგვითხრობს ისტორიას ადამიდან თეოდოსი დიდამდე, ამის მეფობაზე წყდება.

აქვე, მანგანას მონასტერში, არსენის დაუწყია თარგმნა ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებულისა, რომელსაც ქართულ მწერლობაში დოგმატიკონი ეწოდება. ეს კრებული ხშირად გვხვდება ქართულ ხელნაწერებში, მაგრამ სხვადასხვა სისრულითა და შედგენილობით: ყველაზე სრული ნუსხა არის S 1464[6]. ხელნაწერთა ანალიზიდან ჩანს, რომ დოგმატიკონის შედგენილობა არსენის შემდეგ თანდათან ივსებოდა სხვა პირთა მიერ ნათარგმნი თხზულებების შეტანით. დოგმატიკონში იმ შედგენილობით, რა შედგენილობითაც ის არსენიმ თარგმნა, მოთავსებული ყოფილა ცხრა ისეთ ავტორთა ნაწარმოები, რომელთა სახელი ცნობილია, ხოლო თერთმეტი ანონიმისა.

---

[1] ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა, თბილისი, 1920 წ., გვ. VIII.

[2] „Описание", I, стр. 171, № 165.

[3] «ქრონიკები», I, 224.

[4] Проф. В. Бенешевич, Очерки по истории Византии, вып 3. стр. 103.

[5] ს. ყაუხჩიშვილი, გვ. VIII. დაწვრილებით იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I. თბილისი.

[6] სხვა ნუსხებიდან შეგვიძლია დავასახელოთ A 64, 65, 205, 267, 269; გელათის მონასტრის №№ 23, 24; S. 155, 401. 248, 312; მარტვილის № 17 («ძველი საქართველო», ტომი III, განყ. I, გვ. 89 — 90).

აქ თავმოყრილი თხზულებანი შინაარსით შემდეგნაირად შეიძლება დავყოთ: 31 პოლემიკური ხასიათისაა, ამათგან 6 მიმართულია სესტორიანთა წინააღმდეგ, 6 იაკობიტთა ან მონოფიზიტთა, 3 სომეხთა, 6 ურიათა, 9 მაჰმადიანთა ან სარკინოზთა, 2 ორიგენიანთა წინააღმდეგ; 16 დოგმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსისაა, 5 მორალური ხასიათი, დანიშნულება და მნიშვნელობა ამ კრებულისა თვით მთარგმნელს გაუთვალისწინებია, როდესაც ამ კრებულში პირველ ადგილზე მოთავსებული ანასტასი სინელის «წინამძღვრის» შესახებ ის ამბობს, რომ ეს წიგნი «ნამდვილი წინამძღუარი არს წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაჲ და თუალი, რომლითა ჰხედავს, და პირი, რომლითა ზრახავს, და სასმენელი, რომლითა ესმიან ღმერთშემოსილთა მამათა უცთომელნი მოძღურებანი, და საყნოსელი, რომლითა იყნოსს სულნელებასა ღმრთივესულიერთა წერილთა ყუაჲნიასა, და მარჯუენე მკლავი, რომლითა ესრვის და სდევნის სამწვალებლოთა მჴეცთა გესლიანსა სიბოროტესაო»[1]. ამ კრებულში ქართველებს ჰქონიათ თავმოყრილი ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო მათთვის ქრისტიანობის დოგმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსის შესაგნებად და სხვადასხვა სარწმუნოებისა და მწვალებლობის პირის დასაყოფად; ამ მხრივ გადმომთარგმნელს ფასდაუდებელი განძი მიუცია მათთვის. ეფიქრობთ, ინიციატივა ამ კრებულის შედგენისა ეკუთვნის თვით მთარგმნელს, ბერძნულ ენაზე ასეთი სახელმძღვანელო ჯერჯერობით ცნობილი არაა, და, რაც უფრო საყურადღებოა, ყველა მისი შემადგენელი სტატია, თუმცა ზოგიერთი მათგანი მანამდეც იყო გადმოღებული, მას თვითონ დამოუკიდებლივ უთარგმნია.

დოგმატიკონი რომ არსენის მიერ არის შედგენილი და იმაში მოთავსებული თხზულებებიც მის მიერაა ნათარგმნი, ეს შემდეგიდან ჩანს: 1) ანასტასი სინელის წინამძღუარს თავში ჯვარედინად აწერია: არსენი თარგმანი, ხოლო ბოლოს ანდერძი აქვს დართული: «ღირს ვიქმენ მე, უუნდოესი ყოველთა დაბადებულთა შენთაჲ, მდაბალი მონაზონი არსენი, ბერძულისაგან ქართულად თარგმანებასა წმიდისა ამის წიგნისასა»[2]; 2) იოანე დამასკელის გარდამოცემაჲ-ს ბოლოს მიწერილია: «დასასრული შრომათა იოვანე მანსურისთაჲ, ხოლო ითარგმნა არსენისაგან ვაჩეს ძის»[3]; იოანე დამასკელისავე «სიტყუასა სარწმუნოებისათჳს დასამხობელად ნესტორიანთა» აწერია: «თარგმნილი მამისა არსენისი»: 3) «ჰურიათა მიმართ სიტყჳსაგებას» ორი მინაწერი აქვს: «საკუნოდმც კსენებულ ხარ მამაო ესოდენებრ ძნისა მარწმუნებლობისათჳს, რომლითა მეცა ელვარედ ცისკროვნმყოფ გულისხმიერთა ხედუათა ფერებითა. არსენი. რაჲმე. ნაცვალი ქველყოფისაჲ მიგაგო ესოდენ მდიდრად შეუბულმან ყოველად ბრძენთა გულისხმის საყოფთ შთამიერ, გარნა თუ უაღსასრულოდ დამჴარხვაჲ კსენებისაჲ. არსენი»[4]; 4) ნიკიტა სტითატის სომეხთა განმაქიქებელ ხუთ სიტყვას S ფონდის ხელნაწერში № 1463 შემდეგი შენიშვნა აქვს: «ამის წიგნისა დედასა ბერძულსა ესრე ეწერა, ვითარცა ესერა აქა დამი-

[1] Ф. Жордания, Описание, I, стр. 232.

[2] იქვე.

[3] S 1463, ფ. 102 b.

[4] იქვე, ფ. 228, 241.

წერია, არა თუ ანუ ბერძული ვერ გამიგონებია ანუ წერილისა სიტყუაჲ არა მკსოვნებია; შემინდეთ თავისა მართლებისათჳს» (ფ. 264), ხოლო გელათის ხელნაწერში: «ლოცვა ყავთ, მამანო, არსენისათჳს თარგმანისა და დავითისათჳს, პეტრიწონელისა მონაზონ-ხუცისა, რომლისა იძულებითა ბერძულისაგან გადმოუქართულებიან ხუთნი ესე სიტყუანი სომეხთა განმაჭიქებელნი: საუკუნოდმცა არს კსენებაჲ, არსენისა. ამინ» [1]; 5) ამავე ნიკიტა სტითატის თხზულებას—«სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრივისა», დართული აქვს ბოლოს ორი იამბიკო, რომელთა აკროსტიქი იძლევა სახელებს ნ ი კ ი ტ ა და ა რ ს ე ნ ი. აი, ეს იამბიკო:

ნათელთა წყაროდ პირველად ნათლად მიმართ
იმსთობდ მესამე მეორეთა ძღუანითა,
ძრეტსაბმელი რაჲ კორცთა სიზრქისაჲ განჰვლე,
ისრაელქმნილმან უსაბოთა ხედჳთა
ტაძრისა შორის ქცევად ამაღლებათა.

ამას ჩემთჳსცა იოხდ, ჴ საკვრველო,
რომელმან შენთა სიტყუათა უფსკრულისა
სივრცისა კერძოჲ ფრიად შრომით წავსლე,
ელღენურსა რაჲ ქართველთა ენად ვსცვლიდი,
ნიშებმოსილთა მამათა სიქადულო.

6) თეოდორე აბუკურას თხზულების «სიტყჳსგებაჲ მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა» ბოლოს მიწერილია: «ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდე, არსენი. უნდომან მეცა მიერვე ვამეორე, იოანე». 7) თხზულებას «მეტყუელთა მიმართ ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს ქორცთასაა», ბ.ილოს დართული აქვს შემდეგი იამბიკო:

საუკუნოდმცა იჴსენიების არსენი:
აქა დასრულდა ერთბამად განჭიქებაჲ
ელღინებრისა სულთა პირველუოფისაჲ
და თანად ორთა უფსკრულისა ევშათა,
ორიგენის და მანენტოჲს, საცთურისაჲ.

მოყვანილი ადგილები, ვფიქრობთ, ეჭვს არ ტოვებენ, რომ დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი არის არსენ ვაჩესძის ნაშრომი. ამ კრებულის ერთ ნაწილს, რომელიც ნიკიტა სტითატს ეკუთვნის, შემდეგი ა ნ დ ე რ ძ ი აქვს: «აღიწერა წიგნი ესე... თთუესა იჲვარსა, ინდიქტიონსა სამსა დასაბამითგან წელთა ხ̃ϥ̃ლ̃ϑ̃»; ამისდა მიხედვით თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს დოგმატიკონის მთარგმნელი გადაჰყავს მეათე საუკუნეში (6538 — 5604 = 934) და მის თარგმანს მიაწერს არსენ კათოლიკოსს, რომელიც, მისი სიტყვით, 961 წლის ახლო ხანებში დამჯდარა კათოლიკოსად [2]. მაგრამ, ჯერ ერთი, ხ̃ϥ̃ლ̃ϑ̃ გვაძლევს არა 934 წელს, არამედ 1030 (6538 — 5508 = = 1030), მეორე—თ. ჟორდანია თვითონ ამბობს: ამ ანდერძის პირდაპირ არშიაზე

[1] გელ. № 23, ფ. 266 ა.
[2] «ქრონიკები», I, 310—311.

შავი მელნით აწერია: «თჳით ამის ღირსისა მამისა, საკითხავთა ამათ გამომეტყუელისა, არს ანდერძი ესე», ესე იგი ნიკიტა სტითატისა, რომელიც 1030 წლის ახლო ხანების მწერალია, და არა მთარგმნელისა. ამნაირად, არსენ ვაჩესძე არაა არსენ კათოლიკოსი მეათე საუკუნისა, არც არსენ ნინოწმიდელი, მეათე საუკუნის გასულისა და მეთერთმეტის დამდეგის ათონის მოღვაწე (ე.არდ. 1018 წლის ახლოს), როგორც თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ჰგონია [1]. არსენ ნინოწმიდელი, ექვთიმე ათონელის გულითადი მეგობარი, ცნობილია როგორც გადამწერი წიგნებისა და არა მთარგმნელი [2].

როდის ითარგმნა ეს კრებული? როგორც მისი მეთაური სტატიის, ანასტასი სინელის წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი ს, ანდერძიდან ჩანს [3], არსენ ვაჩესძეს ამ კრებულზე მუშაობა დაუწყია «კონსტანტინოპოლს მონასტერსა შინა წმიდისა გიორგისასა მანგანას», ნ.შასადამე, არაუადრეს 1042 წლისა, როდესაც გამეფდა ამ მონასტრის ამშენებელი იმპერატორი კონსტანტინე მონომახი [4]. თარგმანის პეტრიწონიზმები, ერთი მხრით, და დავით პეტრიწონელის ხსენება, მეორე მხრით, ეჭვს არ ტოვებენ, რომ თხზულება გადმოთარგმნილია არაუადრეს 1083 წლისა, როდესაც საფუძველი ჩაეყარა პეტრიწონის მონასტერს. ამნაირად, დ ო გ მ ატ ი კ ო ნ ი ს შედგენა და თარგმნა არსენის დაუწყია მეთერთმეტე საუკუნის გასულს მანგანას მონასტერში და, ვინაიდან ეს საქმე საკმაოდ რთული და ძნელი იყო, გაუგრძელებია და დაუმთავრებია ის საქართველოში შიომღვიმის მონასტერში. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მინაწერი კრებულისა: «არსენისსა მისრული მღუმეს იტყჳს დავით მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ჭამა; მარჯუენესა გუერდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვიდა და დოღმატიკონსა აწამებდა და ცკლისა სოფიაწმიდასა იგივე მარტჲა იქმოდა» [5]. არსენის, როგორც ზემომოყვანილი მინაწერებიდან ჩანს, დამხმარეც ჰყოლია ამ საქმეში: დავით პეტრიწონელი მონაზონ-ხუცესი, რომლის იძულებით მას სომეხთა განმაქიქებელნი ხუთნი სიტყუანი უთარგმნია, და ვიღაც იოანე, რომელიც არსენის შენიშვნას — «ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდეო», დასძენს: «უნდომან მეცა მიერვე ვამეორეო». ვინაა ეს იოანე, ძნელია გამოცნობა; შეიძლება ის იყოს «ბერი იოვანე რატეული», რომლის ლოცვით არსენის უთარგმნია ანასტასი სინელის წინამძღუარი [6].

შედგენილობა დ ო გ მ ატ ი კ ო ნ ი ს, არსენის რედაქციით, ასეთია:

1) ა ნ ა ს ტ ა ს ი ს ი ნ ე ლ ი ს, ანტიოქიის პატრიარქის, «წინამძღუარი» (Ὁδηγὸς), რომელიც მიმართულია მონოფიზიტობისა და მისი სხვადასხვა ფრაქციის წინააღმდეგ.

---

[1] А. Цагарели, Сведения III, 149.

[2] იხ. ამის შესახებ ექვთიმე ათონელის ბიოგრაფია, «ათონის კრებული», გვ. 21, 52, 56.

[3] Ф. Жордания, Описание. I, стр 232.

[4] Проф Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, стр. 450—452.

[5] S—ის, ფ 181. თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 246, 311.

[6] Ф. Жордания, Описание, I. стр. 232. ყოველ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი საბუთი იმისათვის, რომ ეს იოანე ტარიჩისძესთან გაეიგივეთოთ.

2) იოანე დამასკელის ან მანსურის, ოქრონექტარად წოდებულის: ა) Πηγὴ γνώσεως-ის ორი ნაწილი: «დიალექტიკა» და «გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ» (Ἔκδοσις ἀκριβὴς τῆς ὀρθοδόξου πίστεως). ეს თხზულება, როგორც ვიცით, გადმოთარგმნა ეფრემ მცირემ, ორიენ თარგმანი ზოგადად თითქოს ერთი და იმავე რედაქციისაა, განსხვავება მათ შორის არც ისე დიდია, «დიალექტიკაში», — თაეების დალაგების წესრიგში; თან ეფრემის თარგმანი არსენიანზე ცოტათი უფრო ვრცელია. ისმება საკითხი: რად თარგმნა არსენიმ მეორედ ეს თხზულება, რომელიც რამდენიმე ათეული წლით ადრე უკვე ნათარგმნი იყო ისეთი მეცნიერისაგან, როგორიც ეფრემ მცირეა, ნუთუ არ იცოდა არსენიმ მისი არსებობა ქართულ ენაზე? არამცთუ იცოდა, თვით მის თვალწინ თარგმნიდა მას ეფრემ მცირე, რომელიც თარგმანის ბოლოს შენიშნავს: «ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისათჳს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი, და კეთილთა მოღუაწეთა ჩემთა და განმაძლიერებელთა, ამასთანა მზრდელთაცა და მსახურთა არსენი იყალთოელისა, იოვანე და იოვანე ხუცეսთა, სტეფანე დიაკოხისათჳს»[1]. ეს გასაგები გახდება ქვემოთ, როცა იოანე პეტრიწის შესახებ გვექნება ლაპარაკი, ახლა კი აღვნიშნავთ, რომ არსენის თარგმანმა განდევნა ხმარებიდან ეფრემის თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, ეფრემის თარგმანს მხოლოდ სამი ხელნაწერით მოუღწევია ჩვენამდე[2], არსენისას კი მრავალით. თან, უკანასკნელი დაიბეჭდა კიდეც მოსკოვში 1744 წელს[3]; ბ) ორი «სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს» დასაძხობელად ნესტორიანთა; გ) «სიტყუაჲ დასამკობელად ღმრთისმოძაგებულისა წვალებისა იაკობთაჲსა»; დ) «ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳსებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა»); ე) «სიტყუანი წმიდათა მამათანი, ესე იგი არს გამოკრებანი წამებათანი»[4].

3) კირილე ალექსანდრიელის: ა) «თარგმანებაჲ ათორმეტთა თავთაჲ, ესე იგი 12 ანათემატიზმებისა, და ბ) ნაწყვეტები მისი «საუნჯისაგან»: ეპისტოლე ნუკესონის მიმართ, «განკაცებისათჳს მხოლოდშობილისა, რაოდენ სახედ ვიტყჳთ შეერთებასა, უსხეულოჲსა ღმრთეებისა სხეულ იქმნნეს კორცნი, იესუ ქრისტედ სახელიდების განკაცებული სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ღმრთისმშობელად გულისხჳა-იყოფების წმიდაჲ ქალწული».

4) თეოდორე აბუკარასი, ხარანელ ეპისკოპოსისა, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს აგრეთვე «ყოველად ღმრთისმოყუარე მონაზონად და უფროჲსად ბრძენ ფილოსოფოსად»: ა) «თუ ეითარ სათანადო არს გულისხმისყოფაჲ სჯულმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ» (10 სიტყვა):

---

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 219.

[2] A 24, 406; S 1358.

[3] არსენის რედაქცია ამ თხზულებისა ვიმეე სეიმეონს ქართულიდან სომხურადაც კი უთარგმნია (ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე (ენიმკის «მოამბე», III, 111 — 122).

[4] Ἱερὰ παράλληλα: Migne, PG. t. XCV—XCVI.

ბ) «ეპისტოლე, მჭონებელი წმიდისა და უბიწოჲსა სარწმუნოებისაჲ, წარცემული ნეტარისა თომაჲს მიერ, იერუსალიმელ პატრიარხისა, სასომხეთოჲსა. მწვალებელთა მიმართ», რომელსა შინა წერილ არს, რომ მხოლოდ ქალკედონის კრების განსაზღვრებაჲ შეიცავს ჴეშმარიტებას. ეს თხზულება არაბულად დაუწერია თეოდორე აბუკურას, არაბულიდან ბერძნულად უთარგმნია მიხეილ სვინკელოსს იერუსალიმელს (IX ს.), ხოლო აქედან გადმოღებულია ქართულად; გ) «განგებულებისათჳს და განკორციელებისა და ვითარმედ გუამი განკორციელდა, ხოლო ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ შეუერთდა კაცობრიჲსა ბუნებასა გუამსა შინა სიტყჳსა ღმრთისასა»; დ) «ნესტორიანისა მიმართ სიტყჳსგებაჲ»; ე) «სიტყჳსგება მწვალებლისა და მართლმადიდებელისაჲ»; ვ) «სიტყჳსგება მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა, რომელმან ითხოვა მისგან, რათა მოპოვნებითა გულისა სიტყუათა მიერ გამოაჩინოს და უჩჳენოს მას, ვითარმედ არს ღმერთი». (კითხვა-მიგება ურწმუნოსა და მორწმუნეს შორის, კითხვა აგარიანისა, სიტყჳსგება ურიის, ნესტორიანისა და ორიგენიანის მიმართ); ზ) «მოძღურებაჲ შემოკლებული საღმრთოთა სახელთათჳს საზოგადოთა სამებისათა და განთჳსებულთა თჳთეულისა გუამისათა»; თ) «განრჩეულ და განჭეშმარიტებაჲ ფილოსოფოსთა მიერ მოკსენებულთა ქმათაჲ და მხილებაჲ უთაოთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთგანმხრწნელისა წჳალებისაჲ»; თ) «სარკინოზთა მიმართ აიტყჳსგებისაგან» სხვადასხჳა დოგმატიკურ-პოლემიკური საკითხის გამო.

5) ეპისტოლენი პეტრე ანტიოქელის მმურკნელის მიმართ ანტეონოს არსენელისა, გელასი რომაელისა, პამფილე ავინდელისა, ასკლიპიადოს ტრალელისა, ფავსტეს აპოლონიადოჲსა, კჳნტიანე ასკულანელისა და ფილიკე რომაელისი შემატებისათჳს «რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს».

6) ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტითატისა: ა) ხუთი «სიტყუაჲ განსაჭიქებელი მგმობრისა მისწჳალებისა სომეხთაჲსა»; ბ) «სათნოებითთა აღსავალთათჳს; ეპისტოლენი ევსევი მონაზონის, ნიკიტა ხარტოფილაქსის სჳნკელოსისა კორონიდისა და ბასილი მესიბრძნისადმი; გ) «სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრივისაჲ» (15 სიტყჳა); დ) «სამოთხისათჳს»; ე) «სიტყუაჲ მაწუეველი სინანულისა მიმართ და სიტყჳსა მისთჳს მოციქულისა, ვითარმედ რომელნი წინაჲსწარ იცნა, ესენი წინაჲსწარცა განაჩინნა და შემდგომი, და გარდამქცეველთათჳს ამისთა და ყოვლისა, საღმრთოჲსა წერილისათაჲ» (7 თავისაგან).

7) ლეონ პაპის ეპისტოლე ფლაბიანეს მიმართ კონსტანტინოპოლელისა.

უსახელო ავტორთა შრომანი დოგმატიკონში შემდეგია:

8) წინაგანსაწყობად ჰურიათა წამებანი წერილებრნი, ვითარმედ სამებასა შინა ღმრთეებაჲ წერილთა მიერ საიდუმლოდ იქადაგების.

9) სიტყჳსგებაჲ ჰურიათა მიმართ.

10) სიტყჳსგებისაგან ქრისტიანისა და ჰურიისა, წამებანი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთჳს წმიდათა წერილთაგან.

11) შეკრებაჲ შჯულთაჲ ასოეული იოანეს მიმართ ყოველად ღირსისა ეპისკოპოსისა ლაოდიკიელისა.

12) «თითოსახეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხვათაჲ აღსნაჲ ქრისტესმიმართისა კეთილად მსახურებისათჳს და თანად მხილებაჲცა და უკურღეველად ღმრთებისა მიმართ და კაცებისა ქრისტესისა უთავოთა ურთიერთას წინააღდგომისა წვალებისაჲ ნესტორისაგან და სეჳეროზისა ბოროტად მსახურთაჲსა და სიტყჳსგებაჲ უარისმყოფელთა მიმართ წმიდისა კრებისა ხალკიდონისითა მოძღურებისაგან ღმრთივმოცემულთა წმიდათა მამათა ჩუენთაჲსა», — კითხვა-მიგების სახით, სულ 17 კითხვა-მიგებაა.

13) საზღვარი წმიდისა და მსოფლიოჲსა ხალკედონის კრებისა.

14) თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი.

15) წინაჲსწარმეტყუელებანი კორიელისა განგებულებისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა ადამისითგან ვიდრე ზაქარიაჲსამდე.

16) მეტყუელთა მიმართ ვითარმედ «სულნი კაცთანი პირველივე იყუნეს კორცთასა» (ეს შეიძლება მიქელ ფსელოსის თხზულება იყოს).

17) «რომელთათჳს ფილოსოფოსნი შთამოელენ ქმათა და მხილება უთაოთა სეჳერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთ-განმხრწნელისა წვალებისა».

როგორც თავშიაც ვთქვით, არსენის დოღმატიკონში შემდეგი დროის გადამწერთ მრავალი დამატებითი სტატია შეუტანიათ და ყველაზე უფრო ადრე — ევსტრატი ნიკიელის ანტიკათოლიკური თხზულება ეკლესიათა განყოფის შესახებ და აგრეთვე ეკლესიაში მიღების წესი გაქრისტიანებული ურიების, მაჰმადიანებისა[1] და მოქცეული იაკობიტ-სომხებისა.

XII — XIII საუკუნეებში, როდესაც ნაწილი სომხეთისა საქართველოს ფეოდალური მონარქიის ფარგლებში მოექცა, დიოფიზიტური სომხური წრეებისათვის უთარგმნიათ ქართული «დოღმატიკონიდან» ის სტატიები, რომელნიც ჩვენ მიერ ნაჩვენებია შემდეგი ნომრების ქვეშ: 2, 9, 14, ევსტრატი ნიკიელის შრომა და სომეხთა შეჩვენება. მათი მთარგმნელია ვინმე სვიმეონი, ეჭვს გარეშეა, ის სვიმეონი, რომელმაც გადაიღო სომხურად ქართული თარგმანი პროკლე დიადოხოსისა, იოანე პეტრიწის კომენტარებით[2].

მესამე პერიოდში, როდესაც არსენი საქართველოში ცხოვრობდა, მას უთარგმნია დიდი სჯულისკანონი. ეს დამოწმებულია გელათის მონასტრის ერთ-ერთ ნუსხაში (№ 25), რომელშიაც ვინმე გრიგოლ ჩახრეხაძს-

---

[1] საუუძველად უძევს ორი შრომა: Πρὸς Μουαμέδ, თხზულება XI ს. უცნობი ავტორისა, და Κατὰ Σαρ κηνῶν ექვთიმე ჩიღაბენისა (Migne, PG. t. CXL, col. 124 — 136; А. Яблоков. Чин принятия от сарацин обращающихся, «Православный Собеседник», 1871, Март).

[2] ი. აბულაძე, მხითარ გოშის ტრაქტატი «ქართველთათვის» და მისი ლიტერატურული წყაროები, «თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები», VII, 105 — 106; მისივე. რესთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენამკ-ს «მოამბე», III, 123 — 134.

ძე ამბობს: «გულმოდგინებითა გადავწერე თჳსითა ჴელითა ქრისტიანეთა წისამძღუარი, დიდი ესე სჯულისკანონი საუკუნოდ მოჴსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს ფრიად ჭირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელის თარგმნილი» (ფ. 296). აქ ჩვენ გვაქვს 14-ტიტლოანი სჯულისკანონი პატრიარქ ფოტის რედაქციისა, ბერძნულ ნუსხებთან შედარებით განსხვავებული ვერსიით. ანალიზი ამ შრომისა და აღნუსხვა მისი შემადგენელი სტატიებისა ეკუთვნის პროფ. ვ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ს [1], რომელსაც კანონები პავლესი და აგრეთვე პეტრე-პავლესი შეცდომით მიუჩნევია თავდაპირველ ნაწილად ქართული სჯულისკანონისა, — ეს კანონები არსენის არ უთარგმნია, ისინი, როგორც სხვა ზოგიერთი სტატია. მერეა ჩამატებული მის შრომაში. რუის-ურბნისის კრების დროს, 1103 წ., ეს სჯულისკანონი ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი, რაც იქიდან ჩანს, რომ შედგენილობა სჯულისკანონისა რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერით განირჩევა არსენის თარგმანის რედაქციისაგან. მაგალითად, ძეგლისწერაში არაა აღნიშნული სარდიკიის კრება. არსენის თარგმანში სხვანაირადაა ჩამოთვლილი ბასილის ეპისტოლენიც. ცხადია, თხზულება ნათარგმნია საქართველოში დაბრუნების, 1114 წლის, შემდეგ.

ამ არსენის უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე «მცნება ბასილი დიდისა მღუდელთა მიმართ» [2], რომლის ერთი რედაქცია გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს უთარგმნია წიხათ.

იოანე ბატონიშვილი, რომლის სიტყვით არსენი «იყო ღუთისმეტყუელი, ფილოსოფოსი, ფიზიკოსი, ანატომოსი, ალიღორიულთა შეთხზვათა შინა ქებული უცხო და მაღალი მესტიხე და საეკლესიოთა ტიბიკონთა მეცნიერი», გადმოგვცემს, რომ მან, როგორც «საღმრთოთა საგალობელთა კეთილად დამთხზველმან, ქმნა დასდებელნი რომელნიმე ქართველთა წმიდათანი» [3]. ჩვენ გვგონია, აქ არეულია სახელები: ავტორი არსენ იყალთოელს პრევს ერთ შემთხვევაში არსენ ბერთან, რომელმაც შიომღვიმეში შემოიღო სვიმონწმიდის წესი ან ტიბიკონი [4], ხოლო მეორე შემთხვევაში — კათოლიკოს არსენ ბულმაისიმისძესთან, რომელიც, მართლაც, ცნობილია როგორც მ ქ მ ნ ე ლ ი ან შემთხზველი ქართველ წმიდათა საგალობლებისა.

42. იოანე პეტრიწი

მეთერმეტე საუკუნის გასულსა და მეთორმეტის დამდეგს ქართულ სამწერლო ასპარეზს ამშვენებს იოანე პეტრიწი. გარკვეული ბიოგრაფიული ცნობები იოანეს შესახებ არ მოგვეპოვება. აღორძინების ხანაში მისი პიროვნების

---

[1] Грузинский великий Номоканон по спискам Тифлисского Церковного Музея, «Христианский Восток», тт. II и IV.

[2] A 1426, ფ. 72 — 75, № 633, 221 — 228.

[3] «კალმასობა», II, 175.

[4] К. К е к е л и д з е, Литургические грузинские памятники, стр. 509.

გარშემო ითხზება მთელი ციკლი ლეგენდებისა, მიუხედავად ამისა ჩვენ შეძლება გვაქვს გავითვალისწინოთ როგორც დრო მისი მოღვაწეობისა, ისე ზოგიერთი ეტაპი მისი ცხოვრებისა [1].

სწავლა-განათლება იოანემ მიიღო საბერძნეთში, მაგრამ არა ათინაში, როგორც ამბობს იოანე ბატონიშვილი [2], — ათინა ამ დროს განათლების ცენტრად არ ითვლებოდა საბერძნეთში, — არამედ იმპერატორ კონსტანტინე მონომახის მიერ 1044 — 1047 წლებში დაარსებულ აკადემიაში, რომელიც ელინთა რენესანსის კერად გადაიქცა [3]. კონსტანტინოპოლში ის ჩაება იმ ფილოსოფიურ წრეში, რომლის მეთაურად და რეგულატორად ითვლებოდნენ მისი მასწავლებლები, მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი. ამ უკანასკნელებთან ერთად ის შეიქნა აქტიურ ძალად აღნიშნული ფილოსოფიური მოძრაობისა და ბიზანტიური რენესანსისა, ამიტომ იმათთან ერთად მან დაიმსახურა დევნა-შეეიწროება ოფიციალურ-კონსერვატიულ წრეებისა [4] და, უეჭველია, 1075—1076 წლებში, როდესაც მიქაელ ფსელოსი საზოგადოებრივი სცენიდან ჩამოვიდა, ხოლო სხვებს, ამ მოძრაობის მეთაურთ, ნამდვილი დევნა დაუწყეს, ის სამშობლოში დაბრუნდა [5]. სამშობლოშიაც ვერ პოვა მან ის, რასაც დაეძებდა. საქმე ისაა, რომ 1081 წლის დიდმა თურქობამ და მისმა მომდევნო მიწისძვრამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს; როდესაც აქ ეკლესია-მონასტრები, ქალაქ-დაბა-სოფლები დაინგრა და მოოხრდა, როდესაც აქ დამყარდა აუტანელი პირობები სამწერლო-სამონასტრო ცხოვრებისა, და თან, საფიქრებელია, ზოგიერთი წრისათვის, თავისი წარსულით, ის საეშვოც აღმოჩნდა, პეტრიწი საბერძნეთს დაუბრუნდა და, ვინაიდან მას აღარ ეცხოვრებოდა კონსტანტინოპოლში, საიდანაც 1082 — 1084 წელს გააძევეს იოანე იტალი და მისი თანამოაზრენი [6], ის დამკვიდრდა ბულგარეთში ქართველთა პეტრიწონის მონასტერში, რომელიც 1083 წელს ააშენა გრიგოლ ბაკურიანისძემ. ამ უკანასკნელს იოანე ან საბერძნეთში გაიცნობდა, ან თვით საქართველოში, ვინაიდან 1080 წლის ახლო ხანებში გრიგოლი ბანას მოვიდა გიორგი მეფესთან დიპლომატიურ-პოლიტიკური მისიით [7]. პეტრიწონის მონასტერში, სადაც სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში, იოანემ დაყო ოციოდე წელიწადი. ასე რომ, უმნიშვნელოვანესი და უკეთესი ხანა მისი სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობისა პეტრიწონის მონასტერთანაა დაკავშირებული, ამი-

---

[1] ლიტერატურა საკითხისა იხ. ჩ ე ნ ს გამოცემაში: თარგმანებად ეკლესიასტესად მიტროფანე, ზმურნე მიტროპოლიტისაა, ტფილისი, 1920 წ., გვ. LVIII, შენიშვ. 15, აგრეთვე — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, გვ. 252, 1956, 107 — 122.

[2] «კალმასობა», II, 174.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, ჟურნ. «ჰორმეთე, 1918 წ., № 1, გვ. 62—64.

[4] ყველაფერ ამას გვაფიქრებინებს იოანე იტალის წერილი ვინმე «აფხაზ» ფილოსოფოსთან და გრამატიკოსთან. როგორც ფიქრობენ — იოანე პეტრიწთან, რომელსაც ის ხატავს როგორც თავის მეგობარსა და თანამოაზრეს (H. M a p p, Иоан Петрицкий. стр. 47—56; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 463 — 465).

[5] შეად. H. M a p p, Иоанн Петрицкий, стр. 47—56.

[6] H. M a p p, Иоанн Петрицкий. стр. 52.

[7] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 286.

ტომ საკვირველი არაა, რომ მან ამ მონასტრისაგან მიიღო პეტრიწის სახელწოდება. ჩანს, მისი წარსული, მისი თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნება და აღზნებული სამეცნიერო სულისკვეთება, რომელსაც პეტრიწონის მონასტრის წესდება არ თხოულობდა, გახდა მიზეზი იმისა, რომ, როგორც თვით იოანე ჩივის, აქაც დევნა აუტეხიათ მისთვის და იძულებული გაუხდიათ სხვა ადგილის მოძებნაზე ეფიქრა. ამ დროს, დაახლოებით რუის-ურბნისის კრების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, გელათში შექმნა სალიტერატურო ცენტრი, რომლისათვის ღირსეულ მოღვაწეებს საზღვარგარეთიდანაც იწვევდა. ცხადია, ამ შემთხვევაში ის ვერ დაივიწყებდა და გვერდს ვერ აუვლიდა პეტრიწონის მონასტერში მოღვაწე იოანეს, რომლის სწავლა-განათლება და სამეცნიერო სტაჟი იმ დროს საბერძნეთშიაც კი იყო ცნობილი, და იმას ის უეჭველად მიიწვევდა გელათის მონასტერში, მით უმეტეს, რომ, როგორცა ვთქვით, პეტრიწონის მონასტერში ამ დროს იმას უკვე აღარც კი ედგომებოდა. მართლაცდა, ჩვენ ვიცით, რომ მეთორმეტე საუკუნის პირველ ათეულში იოანე სამშობლოში დაბრუნებულა, დამკვიდრებულა «კელლინსა შინა გაენათისასა» და აქ უთარგმნია რამდენიმე საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება [1]. ამნაირად, იოანე პეტრიწის სამწერლო-სამეცნიერო და საეკლესიო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაწყებულა მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, თუ ტრადიციას დავუჯერებთ — 1069 წლიდან [2]. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, ბევრით დავით აღმაშენებლის მეფობას ის ვერ გადასცილდებოდა [3]. ხოლო მისი სამწერლო მოღვაწეობა რომ უმთავრესად დავით აღმაშენებლის ხანას ეკუთვნის, ეს თვით პეტრიწის სიტყვებიდან ჩანს, როღესაც ის ამბობს, რომ, ვერმპოვნელი ქართველთა შორის «თანადგომისა», ის მუშაობს «დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილი» [4]. ჩანს, მისი მოღვაწეობა დავით აღმაშენებლის მხრივ დახმარებასა და წაქეზებას პოულობდა.

იოანე პეტრიწის შრომები შემდეგ დარგებად შეიძლება დაეყოთ:

ისტორიული. ამ დარგში იოანეს უთარგმნია «იოსიპოსის წიგნი პურიისაჲ», რომელსაც ეწოდება «მოთხრობანი იუდაებრიელისა სიტყუადასაბამობისაჲ» ან «დასაბამსიტყუაობისაჲ», თუგინდ «ძეულსიტყუაობაჲ». პეტრიწის თარგმანი შეიცავს ამ თხზულების მხოლოდ 15 წიგნს, დანარჩენი ხუთი წიგნი ან დაიკარგა, ან არ უთარგმნია მას [5]. ყველა არსებული ნუსხა პეტრიწის თარგმანისა მომდინარეობს აფხაზეთის კათალიკოსის ე ქ ვ თ ი მ ე ს ა ყ ა რ ე ლ ი ძ ი ს ნუსხიდან, რომლის შესავალში ეკითხულობთ: «იწყებიან სახელითა ღმრთისაჲთა და წადინე-

[1] ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი, ბუნებისათვის კაცისა, გამოც. ს. გ ო რ გ ა ძ ი ს ა, გვ. VIII — XV.

[2] H. M a p p, Иоанн Петрицкий, стр. 52.

[3] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ მიტროფანე, ზმურნელ მიტროპოლიტესაჲ, გვ. I.VIII — LXI.

[4] «იოანე პეტრიწის შრომები», II, 222.

[5] გელ. ხელ. № 10; A 675; S 315 — 319.

ბა-ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოელისა საქართველოჲსა პატრიარხისა კათალიკოზისა პატრონისა ეფთჳმისითა». ალბათ, ამ სიტყვებმა ათქმევინა დ. კარიჭაშვილს, რომ აღნიშნული თხზულება «თარგმნილია აფხაზეთის და ყოელის საქართველოს პატრიარხის ევთიმეს მიერო»[1]. პეტრიწის მიერ აღნიშნული თხზულების გადმოთარგმნას ადასტურებს იოსებ ფლაბიოსის მთარგმნელი XIX საუკუნეში დავით ინანაშვილი შემდეგს იამბიკოში:

ეშუერ დღე და ღამე და ვიქმენ ესრეთ მსრულავ
იოსიფოსსა, რომელი არს ნაშრომი
თარგმანებითა ელინურისა ენით
საქებელისა წოდებულის პეტრიწი,
უძველეს მთხზველის ვითარ ელლადიმ
ძეელებრთა თქმათა ჩუენთა იეერიანთა
ღრმად გასაგონთა აწინდელისა ენის
უცხოთ ნათხზაეთა ეითა რიტორისაგან[2].

გრამატიკული. იოანე პეტრიწს ქართული გრამატიკის შედგენასაც მიაწერენ: ანტონ კათოლიკოსი[3] და მასთან ერთად მ. ბროსე, შეგრენი და ცაგარელი[4] პეტრიწს გრამატიკოსად თვლიან, თუმცა მისი გრამატიკა ჩვენამდე. სამწუხაროდ, არ შენახულა. შესაძლებელია, ამ გადმოცემაში ჩვენ გვქონდეს გამოძახილი პეტრიწის მიერ პროკლე დიადოხოსზე დაწერილი კომენტარების ბოლოსიტყვაობისა, სადაც მას. აგონდება რა «უკანონოჲ წერაჲ და უკანონოჲცა და უქცელოჲნოჲ კითხვაჲ», მოჰყავს საკმაოდ ერცელი გრამატიკული ხასიათის მოსაზრებანი. ყოველ შემთხვევაში მისი საგრამატიკო ხასიათის ინტერესები დამოწმებულია იოანე იტალის მისდამი მიწერილ წერილში, რომელშიაც ავტორი ესაუბრება მას გრამატიკის საკითხებზედაც[5].

ასკეტიკური. ასკეტიკურ დარგში იოანე პეტრიწს უთარგმნია იოანე სინელის კლემაქსიან კიბე ლექსად, იამბიკოდ. გადმოუღია მას მარტო კლე-

---

[1] კატალოგი ქართველთა შორის წ.-ქ. გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა, თბილისი, 1905. გვ. 209. № 83.

[2] S 332. ეს ინანაშვილი არის დაეით დადიანის კარის მღედელი, რომელსაც 1835-6 წელს უთარგმნია ხორნაბუჯს (S 320, 321) რუსულიდან დანარჩენი ხუთი წიგნი (16 — 20) იოსებ ფლაბიოსისა. მისი რუსული დედანი გადმოღებული ყოფილა ლათინურიდან კარის მღედლის მიხეილ სამეულოვის მიერ და წარმოადგენდა მეოთხე გამოცემას, რომელიც გამოსულა პეტერბურგს სამეცნიერო აკადემიაში 1818 წ. პირველი 15 წიგნი ფლაბიოსისა პეტრიწის მიერ თარგმნილი, იმავე ლათინურიდან მომდინარე რუსული ტექსტის მიხედვით. შეუსწორებია დაეით ინანაშვილს (S 315 — 319) და გადაუწერია 1840 წელს ახელ ბაშბეუჭოეს (S 372 — 374). ეს შესწორებული ტექსტი ალაგ-ალაგ შეუსწორებია დაეით დადიანს. დაეით ინანაშვილს უთარგმნია აგრეთვე ფლაბიოსის «ბრძოლისათვის იუდელთასა» 1836 — 7 წლებში რუსულიდან (S 322 — 4), რომელიც გადმოღებული ყოფილა ლათინურიდან ვიღაც მიხეილ ალექსისძის მიერ და გამოცემული სამეცნიერო აკადემიაში 1804 და 1818 წლებში.

[3] «წყაობილსიტყვაობაჲ», სტროფი 740.

[4] მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II გვ. XII.

[5] ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 465.

მ ა ქ ს ი, ხოლო მეორე ნაწილი, რომელსაც ეწოდება მ წ ყ ე მ ს ი ს ა დ მ ი, დაუტოვებია[1]. ამ თარგმანს თავში დართული აქვს შემდეგი იამბიკო:

იოანესგან სინელისა სამ ათნი
ბუარნი კიბისა აღსავალთაებრ თქუმულნი,
მინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მოწევნულ ხარ,
ესენი თჳთო თავისაგან ათ მეხლად
მე იოანე დავლექსენ პირისპირად.

ზოგიერთ ნუსხაში ამას მიჰყვება შემდეგი აკროსტიქული იამბიკო:

ბნებავს გაჲოხუალ თუ ოდესცა ამას ჰყოფ,
აწსცა ვით ხედაჲ ოჴმეცარ არ მართალ
მარადის მხედი საუკუნოსა მეტრფი
ოჳწყით მუნ აღვალს სულთა მამისა მიმართ
საგზოდ ვინა აქა ოჳფროს მოიგო ესე.
(H 1737, ფ. 1).

აკროსტიქი: «გამოსლვისათჳს სოფლით».

კ ლ ე მ ა ქ ს ი ს იამბიკოდ გადმოღებას იოანე პეტრიწს მიაწერენ როგორც ანტონ კათოლიკოსი[2], ისე რექტორი დავით ალექსისძე-მესხიშვილი. უკანასკნელი მის მიერ გადაწერილ ნუსხაში (A 342) შენიშნავს: «აღწერე მცირე ესე კლემაქსი იოანე ფილოსოფოსისაგან იამბიკოდ გალექსული, ოცდაათნი კიბენი, თითონი ათთა სტიხთა შინა, რომელსა წოდებულ ჰყოფენ პეტრიწად».

ა გ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი. იოანე ბატონიშვილი ამბობს, რომ იოანემ, «ჳრავალნი, წმიდათა ცხოვრებანი გარდამოიღოო»[3]. მართლაც ჩვენ ვიცით, რომ მას აღუწერია «საკჳრველის მშუენიერის ენამზეობით ც ხ ო ვ რ ე ბ ა თეოდორა ალექსანდრიელისა»[4], სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასებიდან უთარგმნია ცხოვრება მერკჳირისა, მოწამისა ბარბარესი[5] და ზოსიმე მოწამისა[6]. ამათ გარდა, იოანეს გადმოუღია იამბიკოდ ქრისტეფორე მიტილენელის[7] ეგრეთ წოდებული «გალექსილი კალენდარი», რომლისათვისაც მას დაურჭვევია «გალობანი ყოველთა წმიდათანი»[8]. აქ გალექსილია მთელი წლის, სექტემბრიდან აგვისტომდე, წმიდათა სახელები, ის იწყება ასე: «ღირსი სჳმეონ, მამაჲ, ანთიმოზ, ბაბილა, ზაქარია, ჲიხაილ, სოზონტ». ქრისტეფორეს ისედაც მცირე შრომა იოანეს უფრო შეუმოკლებია; ზოგიერთი სახელი გამოუშვია, ამასთანავე წმიდანების ეპითე-

[1] A 342, 711; S 130, 1597, 3731.

[2] «წყობილსიტყჳაობა», სტროფი 739.

[3] «კალმასობა», II, 174.

[4] А. Цагарели, Сведения, III, 158.

[5] K. Kekelidze, Monumenta Hagiographica Georgica, I, p. XXIV.

[6] ცენტრარქივის ხელნაწ. № 468, ფ. 48 — 53.

[7] 1000—1050 წ. K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, S. 737 — 741, Aufl. 2.

[8] A 85, 290; S 379.

ტებიც; მთელი თხზულება იოანეს წარმოუდგენია ლიტურგიკული კანონის სახით; თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შრომაში იოანეს ეკუთვნის პირველი ნახევარი, «კურთხეულ არსამდი», ესე იგი 1 — 6 გალობა ან სექტემბერი — მარტი, ხოლო მეორე ნაწილი — «კურთხეულ არსი, აკურთხევდითი და ადიდებდითი» ან 7 — 9 გალობა, ესე იგი აპრილ — აგვისტოს წმიდანები, დაუწერია იოანეს ძმას პავლეს[1]. იოანე პეტრიწი ეკუთვნის აგრეთვე პროლოღი იამბიკოდ პატივად იმ მსოფლიო წმიდანებისა, რომელნიც იხსენიებიან სვინაქსარში ენკენისთვიდან იანვრამდე[2]. ამგვარი შრომა ბერძნულ ენაზე პირველად იმავე ქრისტეფორე მიტილენელმა დაწერა, მაგრამ იოანეს შრომა არც ქრისტეფორეს, არც სხვა რომელიმე ბერძნული პროლოგის თარგმანს არ წარმოადგენს, ის ორიგინალურია, მხოლოდ შედგენილი ქრისტეფორეს შრომის მიბაძვით. უნდა ვთქვათ, რომ ის შინაარსით, ფორმით, ენაწყლიანობითა და ეპითეტების სიმდიდრით ქრისტეფორეს «პროლოღსა» არ ჩამოუვარდება. ამ შრომას საფუძვლად უნდა ედოს კალენდარული სისტემა სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასებისა, რომელთა თარგმნა სწორედ პეტრიწის დროს და მისი მონაწილეობით დამთავრდა.

ლიტურგიკული. იოანეს რომ ლიტურგიკულ დარგშიაც უმუშავნია, ეს ანტონ კათოლიკოსის თთუენის წინასიტყვაობიდანაც ნათლად ჩანს. იქ ავტორი ამბობს: «მეხილვა ოდესმე იოანეს მიერ ფილოსოფოსისა, დღეთა ქართლსა შინა ყოფისა ჩემისასა, გულანსა შინა მცირესა ნაკუეთითა, დაღათუ არამცირესა წერილითა, სამსაგალობელნი წინათქმულთა დღესასწაულთანი და ვიხარკე დიდითა მეცადინეობითა, რაოდენ შესაძლებელ იყო, ეგეგითარსა მას ენითსაქცევსა ზედა გარდამოღებად იგი»[3]. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შენახულა ეს მცირე გულანი, რომელშიაც იოანე ფილოსოფოსის ან პეტრიწის სამსაგალობელნი ყოფილა მოქცეული, სამაგიეროდ ანტონს დასახელებულ თთუენში შეუტანია ზოგიერთი ჰიმნი იოანე ფილოსოფოსისა, სახელდობრ: ცისკარზე სათქმელი აქებდითსა ზედა დასდებლების აწდა შემდეგი დღესასწაულებისა: ჯვართამაღლების წინადღესასწაულისა — 13 სექტემბერს[4], ტაძრადმიყვანების წინადღესასწაულისა — 19 ნოემბერს, 2 დეკემბერს — წინადღესასწაულისა, ნათლისღების დღესასწაულისა — 8 იანვარს, ღვთისმშობლისა 19 იანვარს, ღვთისმშობლისა—7 მაისს და დიდება აქებდითსა ზედა დასდებლებისა კვიპრიანესა და იუსტინას სახელისა — 2 ოქტომბერს. ეს ჰიმნები, რომლებიც დაბეჭდილ თთუენში ან სადღესასწაულოშია მოთავსე-

---

[1] A 290. არაეითარი ცნობა ამ პაულეს შესახებ არ მოგვეპოვება. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ის იყო მოღვაწე გელათის მონასტრისა.

[2] A 85, ფ. 196—212, № 67, ფ. 92—105, № 415, ფ. 26a; S 379.

[3] ქ. ქეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიო მოღვაწეობიდან, გვ. 12.

[4] ეს ჰიმნი ბოლოში გადაკეთებულად ჩანს, ვინაიდან აქ მოხსენებულია ქეთევან დედოფალი, თეიმურაზ I-ის დედა.

ბულია, დაწერილია ხუთსტრიქონიან იამბიკოდ, ამათგან 19 იანვრისა და 7 მაისის ჰიმნი იწყება ასე: «ქალწულთა შორის დედა ხოლო დედათა» [1].

ბიბლიოლოგიური. ანტონ კათოლიკოსი თავის «სპეკალში» ამბობს, რომ იოანემ გადმოიღო ქართულ ენაზე «საღმრთოჲ წერილიო» (თბილ. სახ. უნივ. «შრომები», 1, 136, 139). შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მას ეკუთვნის ბიბლიური ტექსტი იმ კატენებისა, რომელიც მოთავსებულია A 1108-ში. ყოველ შემთხვევაში თავისი კომენტარების ბოლოსიტყვაობაში (პროკლე დიადოხოსისა) ის ხაზგასმით ლაპარაკობს მოსეს წიგნების შესახებ (გვ. 218 — 219). ამ კომენტარებიდანვე ჩანს, რომ მას უნდა დაეწერა სოლომონის «იგავთა» განმარტება. იოანე პეტრიწს იამბიკოდ დაუწერია საღმრთო წერილის კ ა ნ ო ნ ი ორ მუხლად:

1. ერთ-ოთხნი, ორ-აკლს იოანე, სამ-მარკოზ,
ოთხ-ულუკაოდ, ხუთ-მათე ლუკა ხოლო,
მათე მარკოზ ექეს, ზჳდ მათე იოანე,
მარკოზ ლუკა რეა, ცხრა ლუკა იოანე,
ათ ოთხთაჲ თჳსთჳს აღწერილი კანონი[2].

2. პრომ, კორი კორი, გალატ. ეფეს, ფილიპელ,
კოლას, თესალო, თესალონიკ, ტიმოთე,
ტიმოთე, ტიტე, ფილ, ებრაელ, ათოთხმეტ,
იაკობ, პეტრე ორ და სამ იოანე,
ხოლო იუდა შჳდ, შემდგომად «საქმეთა» [3].

პირველი მუხლი წარმოადგენს სახარებათა აღრიცხვასთან ერთად მათ «სიმფონიას» ან პარალელურ ადგილთა მაჩვენებელ «კამარებს». მართლაც, ძველ სახარებებში ცხრა კამარაა მიღებული, რომელთაგან პირველში ოთხი მახარებელია, 2 — 4 სამ-სამი, 5 — 9 ორ-ორი. მეორე მუხლში, რომელსაც ხელნაწერი A 342 დიმიტრი მეფეს მიაკუთვნებს, მოყვანილია წინა მუხლში მოხსენებული «ათოთხთაჲს კანონი», ესე იგი 14 ეპისტოლეთა სახელები დასაწყისი მარცვალის აღნიშვნით.

ასტრონომიულ-ასტროლოგიური. იოანე პეტრიწის ღვაწლს ასტრონომიულ დარგში აღნიშნავს ანტონ კათოლიკოსი, რომელიც ამბობს:

ასტრონომოსებ კეთილგანუგმობელად
ასტროლოღიათ ჴეშმარიტი გარდმომცემი-ო[4].

რა ასტრონომიული შრომა აქვს მხედველობაში ანტონს, არა ჩანს, ჩვენ გვგონია, რომ ის უნდა გულისხმობდეს შემდეგ მოკლე ხაწარმოებთ:

---

[1] A 290, ფ. 241 ა; ჟურნალი «ჯუარი ვაზისა», 1906 წ., № 8, გვ. 8 — 9. ეს «პროლოდიდანაა» ამოღებული, 17 სექტ. ჩვენ არ ვიცით, ესა თუ სხვა «ხუთმუხლედი დასდებელი» აქვს მხედველობაში ანტონ კათოლიკოსს, როდესაც ის ამბობს: «ქართველთა შორის დიდმან ღვთისმეტყველმან და სიბრძნის მოყუარემან იოანემან თქუა პეტრიწმან: მეძიებელთა ეპოების მათ ღმერთი მისგან შექმნულთა რომელთაცა დასისა»-ო («მზამეტყველება», გვ. 3).

[2] A 290, ფ. 241 ა.

[3] S 379, გვ. 192.

[4] «წყობილსიტყუაობა», სტროფი 738; Н. М а р р, Иоанн Петрицкий, стр. 5.

1. «სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაჲსა წინაჲსწარმეტყუელებად ჟამთა და შენებათა წელიწდისა მოწევნადთათჳს, თუ ვითარნი იყვნენ»; აქ გარკვეულია, როგორი ამინდი და მოსავალი იქნება ამა თუ იმ ზედნადებიან წელიწადს.

2. «კალანდაჲ თქმული ეზრა წინაჲსწარმეტყუელისაჲ»; აქ გარკვეულია ამინდი და მოსავალი იმისდა მიხედვით, თუ შვიდეულის რომელ დღეს დადგება იანვარი ამა თუ იმ წელს.

3. «ძრვისა და ქუხილისა გამოცხადებაჲ»; აქ აღნიშნულია დამახასიათებელი თვისებანი ამა თუ იმ წლისა, როდესაც ძრვასა და ქუხილს ადგილი აქვს ერთ-ერთ ათორმეტ თვეთაგანში.

4. «მთოვარისა დღენი სათუალავნი», არკვევს როგორი შედეგები ექნება ამა თუ იმ საქმეს ან მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს ერთერთ მთვარის რიცხვს [1].

ეს ასტრონომიულ-ასტროლოგიური სტატიები ქართულად ძველათაც, მეათე საუკუნემდე, ყოფილა თარგმნილი[2], მაგრამ პეტრიწს ისინი ხელმეორედ უთარგმნია, როგორც შედარებიდან ჩანს[3], სხვა რედაქციით. და თუ ეს სტატიები არა აქვს მხედველობაში ანტონ კათოლიკოსს, უნდა ვიფიქროთ, იმას პეტრიწის ასტრონომიულ-ასტროლოგიურ შრომად მიუღია ამ სტატიათა პირდაპირ აშიაზე მიწერილი «კკმატნი იამბიკრდ თქმულნი პეტრიწისაგან» [4]. თუმცა ტექსტი სრულიად გადასულია, მაგრამ, ჩანს, იამბიკოში აღნიშნული ყოფილა რამდენი კვიმატი დღეა ამა თუ იმ თვეში სექტემბრიდან მოყოლებული აგვისტომდე.

იამბიკონი. ყურადღებას იქცევს ერთი ბუნდოვანი, შეიძლება გადამწერთა მიერ დამახინჯების გამო, იამბიკო პეტრიწისა[5]:

მტერობა ღმრთისა არს მას ქუენაჲთთამი
მგებ მდგომისაგან ამოდ აღმდგომთამი
კოდ წისქჳლთასც არსს უქმობ და ემუშუნებ
ეთერ ღრუბლისცა სულთმიდგმ ზღუდეთ ღმრთისამი
დავითი ორი ეზეია სამოცდა სამ
სამოცდა სამ შჳდ ლითეთხუ ელაჳია.

ფილოსოფიური. უფრო საყურადღებოა ფილოსოფიური მემკვიდრეობა იოანე პეტრიწისა, რომელიც სულით, გულითა და მოწოდებით იყო ნამდვილი ფილოსოფოსი, ღრმად მცოდნე არა მარტო თანამედროვე ბიზანტიური ფილო-

---

[1] A 290, ფ. 254 — 259. ამგვარი თხზულებანი პეტრიწს შეეძლო გადმოეღო ბასილი დიდის მიხედვით, რომელმანო, ამბობს ის, «ცნობაჲ ოთხთა ჟამთა კეცუელებისაჲ, თუ ვითარ იქმნებიან განწესებულისა მისგან მნათობთა მოძრაობისა... და მნათობთა მათ ნიშნებისა გამომკლეველობაჲ, რომელნი ნოტიობასა ცხად ჰყოფენ ანუ უნოტიობასა, გინა ქართა მძრველობასა ანუ სხუასა რასმე ესევითარსა, არა განაგდო, არამედ შეიწყნარაო» (პროკლეს კომენტარიების ბოლოსიტყუაობა. «პეტრიწის შრომები» II, გვ. 225).

[2] H. Mapp, Предварительный отчет, стр 32

[3] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 236: M. Brosset, Etudes de chronologie technique, Mem. de l'Acad. t. XI, № 13 p. 2—9.

[4] A 290, ფ. 257.

[5] S 379; «პეტრიწის შრომები», II, გვ. 192—193.

სოფიური მწერლობისა, არამედ ანტიკური ფილოსოფოსებისაც, რომელთაც ის დედნებში კითხულობდა. ფილოსოფიური მწერლობის დარგში მას უთარგმნია: 1) «ბუნებისათჳს კაცისა» ნემესიოს ემესელისა, საშუალო საუკუნეებში ცნობილი თეოლოგიურ-ფსიქოლოგიური თხზულება[1], 2) «კაჳრნი ღმრთისმეტყუელეთანი» პროკლე დიადოხოსისა, 3) Τὰ τοπικὰ არისტოტელისა, 4) Περὶ ἑρμηνείας მისივე: უკანასკნელი ორი თხზულების თარგმანს ჩვენ ვერ ვპოულობთ. ცნობა მათი გადმოთარგმნის შესახებ ეკუთვნის აღორძინების ხანას, უფრო კი XVIII საუკუნეს, მაშასადამე, ეს უფრო გადმოცემაა. ვიდრე დამოწმებული ლიტერატურული ფაქტი. უფრო მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური მემკვიდრეობა. ამ მხრივ საგანგებო ყურადღებას იქცევენ ის განმარტებანი ან კომენტარები, რომელნიც მან დაურთო პროკლე დიადოხოსის «კაჳრნირნი ღმრთისმეტყუელებითნი»-ს თარგმანს[2]. ამ თხზულებაში ის ჩვენ გეველინება პირველხარისხოვან მოაზროვნედ, რომელიც მთლიანად დაუფლებია ანტიკური და თანამედროვე ბიზანტიური ფილოსოფიის მწვერვალებს. მეორე მის ორიგინალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ნაშრომად ჩვენ მიგვაჩნია ერთადერთი ხელნაწერით შემონახული ტრაქტატი, რომელიც წარწერილია მიქაელ ფსელოსის სახელით, თუმცა მას ფსელოსის შრომათა შორის, რომელნიც ამჟამად ცნობილია, ვერ ვპოულობთ[3]. ეს არის: «დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაჲ მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიტყუასა მას ღმრთისმეტყუელისსა, მეტყუელსა: ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს იჩინა ყოფად». ეს ტრაქტატი შემდეგ შეუტანია ვიღაცას არსენ იყალთოელის «დოლმატიკონის» ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია გელათის მონასტერში (№ 23, ფ. 361 — 364). ის რომ იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომი უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იმაში განმეორებულია მრავალი ისეთივე აზრი და დებულება, რომელიც მოცემულია იოანე პეტრიწის საკუთარ კომენტარებში და ნემესიოს ემესელის თარგმანში.

იოანე პეტრიწი ერთი იმ პირთაგანია, რომელნიც XI — XII სს. ცდილობდნენ ქართულ ნიადაგზე გადმოენერგათ ბიზანტიური ფილოსოფიის მიღწევანი და ხელი შეეწყოთ ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და მწერლობის განვითარებისათვის. ამ მხრივ, უნდა ვთქვათ, იოანე პეტრიწს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში. იმან შექმნა ჩვენში არა მცთუ ფილოსოფიური აზროვნება, არამედ მთელი ფილოსოფიური სკოლაც; მან შექმნა შესაფერისი ფილოსოფიური ენა, ტერმინოლოგია და სტილი. ეგრეთ წოდებული პეტრიწონული ლიტერატურული სკოლა ჩამოყალიბებულია უმთავრესად იოანე პეტრიწის მიერ. მისი ენა მეტად ხელოვნური, ღრმა და განყენებულია. ის ქმნიდა ახალ ტერმინებ-

---

[1] გამოც. ს. გორგაძის მიერ: ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, თბილისი, 1912 წ.

[2] «იოანე პეტრიწის შრომები», ტ. II, თბილისი, 1937.

[3] შად. K. N. Sathas, Βεσσαιωνίκης βιβλιοθήκη vol. V, Paris 1876, გვ. na. №195. Cod. Paris. Graec. № 1182, fol. 296, სადაც მოყვანილია ზსგავსი ნაწარმოები.

სა და სიტყვებს, რათა ბერძნული დედანი სისწორით გადმოეცა, ის მუდამ იმას ზრუნავს, რომ ბერძნულ სამეცნიერო-ფილოსოფიურ ტერმინს ქართული შესატყვისი მოუძებნოს ან, თუ ასეთი არ მოიპოვება, ქართული ძირიდანვე შექმნას. ის ბაძავს ბერძნულ დედანს ფრაზებისა და ნაწილაკების დალაგებაშიაც, რათა ქართული ენა გახადოს ფილოსოფიური აზროვნების ისეთ იარაღად, როგორიც იყო ბერძნული. მისი სურვილი მარტო ის კი არ იყო, რომ «ხედეაჲ ფილოსოფოსთა განცდისაჲ ეარისტოტელურა და ღმრთისმეტყუელებაჲ ნივთისაგან მიუხებელი წარმოეყენა», არამედ ისიც, რომ «ენაჲცა [ქართული] ენისადა გაეწყო» [ბერძულისა]. ის მოსურნე იყო «რიტორობისა» და «ღრაჰმატიკოსობისა», რომელი «მომხუეწელ არს ენისაგან ყოველსავე ბარბაროზებრობასა» და რომელი არს «გამომცდელი მოქმედთაჲ ანუ აღმწერელთაჲ... და გამოაჩინებს... თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმაჲ, და ენათმეტყუელებათა და მატიანთა მთქუმელობასა გარდასცემს და მზამეტყუელებათა» [1].

დასასრულ, საჭიროა გაირკვეს ის ადგილი, რომელიც იოანე პეტრიწს უკავია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობის განვითარებაში. ამ ადგილის გარკვევისას თვალწინ უნდა გვქონდეს საქმის შემდეგი ვითარება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობის გამოსელას ისტორიის ასპარეზზე ბერძნული ფილოსოფია მტრულად შეხედა. არც ქრისტიანობა შეხვედრია მას მეგობრულად, პირიქით, მოციქული პავლეს პირით მან განაცხადა: «განაცოფა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისაჲ» (1 კორინ. I, 20) [2]. აპოლოგეტები, არღვევენ რა ბერძნულ-რომაულ წარმართობას და ფილოსოფიას, ხმამაღლა აცხადებენ, რომ, თუ წარმართ ფილოსოფოსთა მოძღვრებაში ჭეშმარიტების ნამცეცი შენახულა, ეს, ერთი მხრით, იმით აიხსნება, რომ კაცობრიობის შეგნებაში, ქრისტიანობის გარეშეც, უნებლიეთ შენახულა ნაპერწკალი ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა, მეორე მხრით იმით, რომ ფილოსოფოსებმა ეს ნამცეცები პირდაპირ მოიპარეს ქრისტიანთა საღმრთო წერილიდან, კერძოდ მოსეს წიგნებიდანო. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა, აღმოცენებული ბერძნულ-რომაული კულტურის გარემოში, თანდათან ეგუება ამ კულტურას და მის ფილოსოფიას. მეორე საუკუნის გასულიდან იწყება მკვეთრი ელინიზაცია ქრისტიანობისა, რომელიც მეოთხე საუკუნისათვის ძირითად ხაზებში დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქრისტიანობას თვით ქრისტიანები «სიბრძნის მოყვარებად» ან «ფილოსოფიად» აცხადებენ. აპოლოგეტების ზემომოყვანილ აზრს ავითარებენ და აღრმავებენ იქამდე, რომ აცხადებენ: ღვთაებრივი ჭეშმარიტება შესაძლოა აღმოჩენილ იქნას არა მარტო მოსესა და პავლეს წიგნებში, არამედ ფილოსოფოსთა მოძღვრებაშიც. განსაკუთრებით ისეთ ფილოსოფოსთა, როგორიც იყვნენ სოკრატი, პლატონი და არისტოტელე, ისინი თავისი მოძღვრებით რამდენადმე ამზადებდნენ კიდეც ქრისტიანობასო. ამით აიხსნება, რომ სოკრატის, პლატონისა და არისტოტელეს გაპოხიერებას, როგორც ქრისტიანობის

[1] «იოანე პეტრიწის შრომები». ტ. II, თბილისი, 1937, გვ. 222, 223.

[2] ამ სიტყვებს ხშირად იმეორებენ შემდეგი საუკუნის საეკლესიო მწერლები, კერძოდ, ის მეორეხარისხოვანი გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრებაშიც» (ნ. მარის გამოცემა, გვ. ბ. სტრ. 46 — 48).

წინამორბედებისას, ხშირად ეკლესიის კარიბჭეშიც კი ათავსებდნენ. დაიწყო ბერძენ ფილოსოფოსთა და პოეტთა თხზულებების შესწავლა, ასე რომ, როდესაც იულიანე განდგომილმა აუკრძალა ასეთი შესწავლა ქრისტიანებს, უკანასკნელნი, გულდამშვიდებით არ შეხვედრიან ამ გარემოებას. ეს შესწავლა რომ ჯეროვან ფარგლებსა და კალაპოტში ყოფილიყო ჩაყენებული, ბასილი დიდი (IV ს.) სპეციალურ ტრაქტატსაც კი წერს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იკითხონ ახალგაზრდებმა და რა უნდა იკითხონ წარმართული პოეზიიდან და ფილოსოფიიდან. იწერება საგანგებო თხზულება «თუ ვითარ სათანადო არს გულისხმის-ყოფაჲ საღმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსისა სიტყჳსაჲ» (თეოდორე აბუკურა, IX ს.).

ბერძნულ ფილოსოფიას ქრისტიანები ეწაფებიან არა თავისთავად, არამედ საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისათვის გამოყენების მიზნით, რათა გაამართლონ და დაასაბუთონ ქრისტიანობა ლოგიკურად, დიალექტიკურად, და ეკამათონ «გარეშე» ფილოსოფოსებს მათთვის გასაგებ ენაზე. განსაკუთრებით არისტოტელე, მისი დიალექტიკა და სილოგისტიკა, შეიქნა გამოსადეგი ამ მიზნისათვის, ვინაიდან მისი ლოგიკური, ანალიტიკური და სილოგისტიკური ფორმულები წარმოადგენდნენ უკვე ჩამოყალიბებული ქრისტიანული დოგმატების სხვადასხვაგვარი სქოლასტიკური კომბინაციების საუკეთესო საშუალებას. კლასიკური მაგალითი მისი გამოყენებისა მოგვცა იოანე დამასკელმა (VIII ს.) თხზულებაში, რომელსაც «წყარო ცოდნისაა» ეწოდება და რომელიც საშუალო საუკუნეებში ყველგან სახელმძღვანელოდ იყო მიღებული სასკოლო-აღმზრდელობით სისტემაში. თუ არისტოტელეს დიალექტიკას მიმართავდნენ ხოლმე უმთავრესად როგორც მტკიცება-დასაბუთების ტექნიკურ საშუალებას, ე. წ. ნეოპლატონიკოსებმა, მის გვერდითა და პარალელურად, შესაძლებლად დაინახეს გამოყენება აგრეთვე პლატონის ფილოსოფიისა არა მარტო დიალექტიკურად, არამედ შინაარსობლივადაც. პლატონის გამოყენება ქრისტიანობაში გარკვეული ბანაკისათვის, უმთავრესად არისტოტელიკებისათვის, საშიში და მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან პლატონის ფილოსოფია, მდიდარი ისეთი იდეებით, რომელნიც ქრისტიანობასთან საკმაოდ დაახლოებულნი არიან, ხელს უწყობდა აზროვნების მძლავრ ამოძრავებას, ხოლო ასეთი ამოძრავება ბევრს სარწმუნოებისათვის სახიფათოდ მიაჩნდა. აქედან წარმოიშვა ის დაუსრულებელი და გაფთრებული ბრძოლა არისტოტელიზმსა და პლატონიზმს შორის, რომელსაც საქრისტიანო ეკლესიაში მეტად რთული ისტორია აქვს. ნეოპლატონიკოსები ცდილობდნენ პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის მორიგებას ან «სიმფონიას». ამისი ნიმუში მოგვცეს თეოლოგიური აზროვნების ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორიც იყვნენ ნემესიოს ემესელი (IV — V სს.), ფსევდოდიონისე არეოპაგელი (VI ს.) და მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.). შემდეგი დროის ბიზანტიური აზროვნება, განსაკუთრებით რენესანსის დამდეგამდე, პლატონსა და არისტოტელესთან უშუალოდ კი არ მიდის, არამედ დასახელებულ საეკლესიო მოაზროვნეთა მეშვეობით, მათი გამოყენების შედეგებით სარგებლობს. მეთერთმეტე საუკუნეში ორმა დიდმა მოაზროვნემ, მიქაელ ფსელოსმა და იოანე იტალმა, მოინდომა, ეკლესიური ავტორიტეტების გვერდის ავლით, პლატონ-არისტოტელესთან უშუალოდ მისვლა,

მათი ნააზრევის თანხმობაში მოყვანა და ქრისტიანობის მიზნებისათვის საკუთარი მეთოდით გამოყენება; მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, ჯეროვანი ზომიერება ვერ გამოიჩინეს, მიღებულ ფარგლებს გადასცდნენ და თავისი წამოწყების მსხვერპლი გახდნენ, განსაკუთრებით იოანე იტალი.

საქრისტიანო ქვეყნებიდან საქმის ამგვარმა მდგომარეობამ გამოხმაურება პოვა საქართველოში, სადაც საფუძველი ეყრება ფილოსოფიურ მწერლობას. პირველ პერიოდში ჩვენ ვერ ვპოულობთ ასეთი მწერლობის ნამდვილ კვალს, ის ჩვენში იწყება მეორე პერიოდიდან. მისი დამწყები და მამამთავარი არის იგივე ექვთიმე ათონელი, რომელმაც ათონის სალიტერატურო სკოლით სულ ახალი მიმართულება მისცა ქართულ მწერლობას. ფილოსოფიური მწერლობა ჩვენში შემოვიდა «ეკლესიის მამათა», ესე იგი თეოლოგიის კორიფეების შრომებში. ამით აიხსნება, რომ მეთერთმეტე საუკუნის მიწურულში ეფრემ მცირე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ქართული ფილოსოფიური მწერლობისა, ხმამაღლა აცხადებს: ჩვენ, შემდგომნი თარგმანნი, «არა საღრამატიკოსოთა, არცა საფილოსოფოსოთა, არამედ პირველდამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებითო». აქედან, მაშასადამე, ნათელია, თუ რა ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს მწერლობა, რა უნდა ყოფილიყო მისი მიზანი და იდეალი. ეს მიზანი იყო «თეოლოგიის სამსახურში» დადგომა, გამოყენება მისი ქრისტიანული აზროვნების ინტერესებისათვის, დაცვა ქრისტიანული დოგმატისა და მისი ფილოსოფიური დასაბუთება. ეს იყო იდეალი ყველა მიმართულებისა, რა სხვადასხვაობაც არ უნდა ეჩინა თავი განსახორციელებელი გზების ძიებაში. ეფრემ მცირე, თარგმნის რა იოანე დამასკელის «დიალექტიკას», ამბობს: ავტორს «ეკლოვნებითა მოუზღუდავს ნაყოფთა შუენიერებაჲ ვენაჯისა ამის თჳსისაჲ. ამის მიერ განგურემენ მათ, რამეთუ თჳნიერ ამათ სიტყუათასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყჳს-გებაჲ წინააღმდგომთაჲ, სიტყუას გუიგებდენ რა გარეშენი იგი განუკუეთელთათჳს, რომელ არს გუამი, და ბუნებისათჳს». არსენ იყალთოელიც არსებითად ამასვე გულისხმობს, როდესაც მის მიერ თარგმნილ ანასტასე სინელის «წინამძღურის» შესახებ ამბობს: ეს წიგნი არის «მარჯუენე მკლავი, რომლითა ესრეის და სდევნის სამწუალებლოთა მკეცთა გესლიანსა სიბოროტესაო».

ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საშუალო საუკუნეებში არისტოტელიზმსა და პლატონიზმს შორის და, ამასთან დაკავშირებით, სურვილი მათი მორიგებისა ან «სიმფონიისა» ნეოპლატონიზმის ნიადაგზე, მკვეთრად იჩენს თავს ჩვენს ფილოსოფიურ მწერლობაში. ჩვენშიც ჩამოყალიბებულა არისტოტელიზმი და პლატონიზმი, რომელთა მორიგებას ცდილობს ნეოპლატონიზმი, თუმცა უკანასკნელი ვერ აკმაყოფილებს სავსებით არისტოტელიკებს, რამდენადაც ამ «სიმფონიაში» ადგილი აქვს პლატონიზმის ელემენტებს.

ექვთიმე ათონელი, პირველი წარმომადგენელი ჩვენში ფილოსოფიური მწერლობისა და პლატონიზმ-არისტოტელიზმის სიმფონიისა, თარგმნის ორ თხზულებას: 1) იოანე დამასკელის «ცოდნის წყაროს», როგორც არისტოტელიზმის გამომაელინებელ თხზულებას თეოლოგიაში, და 2) შრომებს ნეოპლატონიკის მაქსიმე აღმსარებლისას, რომელმაც თავის ნაწარმოებებში თვალსაჩი-

ნო ადგილი დაუთმო პლატონურ მისტიკას. დღეს საკმაოდ ცნობილია თავისებური ხასიათი ამ თარგმანებისა[1], რომლებშიაც ექვთიმე დედნების თავისებურ კომბინაციას იძლევა და იმდენად ფილოსოფიური ელემენტებით არაა დაინტერესებული, რამდენადაც თეოლოგიურით. მიუხედავად ამისა, არისტოტელურ მიმართულებას, რომლითაც დაწყებულა ჩვენში თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნება, ვერ მოუთმენია პლატონური ტენდენციები მაქსიმე აღმსარებლის შრომებისა და ისეთი ბუმბერაზისა და ავტორიტეტისათვისაც კი გამოუცხადებია ბრძოლა, როგორიც ექვთიმე იყო. მხოლოდ ამ ნიადაგზეა გასაგები ის მტრობა ექვთიმეს მიმართ და ის შურისძიება, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ზოგიერთები, კერძოდ ვიღაც ო ზ ა ნ ი, ექვთიმეს თარგმანებს, გადაწერის პროცესში, რყვნიდნენ და ამახინჯებდნენ იქამდე, რომ, როგორც ეფრემ მცირე ამბობს, დამახინჯებული რედაქციისათვის «გუაყუედრებდეს ბერძენნიო». ექვთიმეს შემდეგ, როგორც ვიცით, იოანე დამასკელის დიალექტიკა გაღმოთარგმნა, უფრო ზუსტად, შეურევნელად და შეუმოკლებლად, ეფრემ მცირემ, რომელმაც ამის გეერდით გადმოიღო აგრეთვე ფსევდოდიონისე არეოპაგელის შრომები, რომელნიც, როგორც ცნობილია, ნამდვილი შუამავალი შეიქმნენ ნეოპლატონიზმსა და ქრისტიანულ თეოლოგიას შორის. თუ არისტოტელიკებმა ექვთიმესაც კი არ აპატიეს უფერული ზოგადად და მორიდებული ცდა პლატონური იდეებისა და ელემენტების შემოტანისა ქართულ მწერლობაში, მით უფრო აუმხედრდებოდნენ ისინი ეფრემს, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში შემოიყვანა ისეთი მსხვილი ადეპტი პლატონიზმისა, როგორიც იყო ფსევდოდიონისე არეოპაგელი. ის ამისათვის პირდაპირ «განდგომილად» და «მწვალებლად» გამოაცხადეს. ასე რომ, ეფრემს საჯაროდ მოუხდა, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურული გზით, თავის მართლება და თავისი მართლმადიდებლობითი credo-ს მტკიცება. ერთი სიტყვით, განმეორდა პატარა მასშტაბით ის, რასაც იმავე ხანებში ადგილი ჰქონდა მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალის მიმართ[2].

---

[1] ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, «ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში» და «ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში».

[2] თავისი კომენტარების ბოლოში პეტრიწი ამბობს: «ყოველშან იტალიელთა წვალებამან, ვითარცა ქალწულსა, პატივსცა და მიემსხურა» (11, 217). ამდენად გაერცელებული იყო შეხედულება, თითქო «იტალიელთა წვალება» აღნიშნავს იოანე იტალის მწვალებლობას. ნამდვილად კი ამ სიტყვებს არავითარი კავშირი არ აქვს იოანე იტალთან და მის წვალებასთან. აქ იგულისხმებიან პითაღორელები, რომელნიც ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილნი არიან (არისტოტელე, ნეტარი აგვისტინე და სხვ.) იტალიელებად. მათ ჰქონდათ საგანგებო მოძღვრება რიცხვის «შვიდის» შესახებ. ამ რიცხვს ისინი უწოდებდნენ «ქალწულს», ვინაიდან, მათი შეხედულებით, ის «არცა შობს და არცა იშობების». «შვიდი» არის მესამე კენტი რიცხვი (3, 5, 7), რომელიც, საწინააღმდეგოდ 3 და 5-ისა (3×2=6,3×3=9.5×2=10) ახალს რიცხვს დეკადაში არ იძლევა, არ შობს. ამიტომ ისინი ამ რიცხვს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ (გ. ბ. თ ე ზ ა ძ ე. პეტრიწის ბოლო სიტყვების ერთი ადგილის გაგებისათვის, საქართვ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ ო ა მ ბ ე, ტ. XVI, № 9, 1955). თუ რამდენად საჭიროა პეტრიწის მართებული გაგებისათვის ცოდნა, ერთი მხრით, მისი მეტად რთული ენისა, მეორე მხრით, ქართულ-ბიზანტიური თეოლოგიის ელემენტებისა მაინც, ჩანს იმ მარცხისაგან, რომელიც განიცადა შ. ხ ი დ ა შ ე ლ მ ა თავის ნაშრომში «იოანე პეტრიწი». ამის შესახებ იხ. თ. ქ უ კ ა ე ვ ა ს სარეცენზიო წერილი ჟურნალ «ცისკარში», 1957, № 3, გვ. 131 — 133.

არისტოტელიზმის აპოლოგეტად საქართველოში გვეელინება არსენ იყალთოელი. არ გასულა ორ თუ სამ ათეულ წელზე მეტი, რაც ეფრემ მცირემ იოანე დამასკელის დიალექტიკა გადმოიღო, ისიც არსენის დახმარებით, და იგივე არსენი თვითონ, ხელმეორედ, თარგმნის ამ დიალექტიკას. რად დასჭირდა ეს იმას? რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ექნებოდა, ერთი მხრით, იმ გარემოებას, რომ ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის შრომებისათვის ჩვენში დაკანონდა პეტრიწონული სტილი, რომლითაც ეფრემი არ წერდა და რომელიც დამახასიათებელი შეიქნა არსენისათვის; მეორე მხრით იმასაც. რომ საჭირო აღმოჩნდა უფრო ზუსტი თარგმანი დამასკელის დიალექტიკისა, ვიდრე ეს მოცემული იყო ეფრემ მცირის მიერ, ვინაიდან ეფრემი, როგორც თვითონ ამბობს, თარგმნის პროცესში ყოველთვის ვერ ადიოდა ნამდვილი აკრიბიის სიმაღლეზე. თან ისიცაა ყურადღებაში მისაღები, რომ იოანე დამასკელის ეს შრომა დედანში სხვადასხვა რედაქციით არსებობდა. შეიძლება იყალთოელს არ აკმაყოფილებდა ეფრემის რედაქცია და მან საჭიროდ დაინახა სხვა რედაქციის გადმოღება, ამის გამოსარკვევად საჭიროა შედარებითი შესწავლა ამ ორი რედაქციისა. მაგრამ მთავარი მიზეზი ამისა უნდა ყოფილიყო იდეოლოგიური გარდატეხა, რომელიც არსენის შეგნებაში მომხდარა. თავდაპირველად, ყოველ შემთხვევაში იმ დროს, როდესაც ეფრემი დამასკელს თარგმნიდა, არსენი არისტოტელიზმისა და პლატონიზმის სიმფონიის იმავე პოზიციებზე მდგარა, რომელზედაც ეფრემი იდგა, შეიძლება პლატონიზმისაკენ გადახრილიც. მის ამდროინდელ სიმპათიებს პლატონისადმი ამჟღავნებს ის გარემოება, რომ მას მანგანის აკადემიაში დაუწყია თარგმნა გიორგი ამარტოლის «ხრონოგრაფისა», რომელიც, როგორც ცნობილია, გაჟღენთილია პლატონისადმი განსაკუთრებული მიკერძებით[1]. სწორედ ამ თხზულების თარგმნის პროცესში, იოანე იტალის ბედის ზეგავლენით, რომელიც დაახლოებით იმ ხანებში იყო გასამართლებული, თუ სხვა რაიმე მიზეზით, მასში მომხდარა აღნიშნული გარდატეხა. ეს იქიდან ჩანს, რომ მას ამ თხზულების თარგმნა არ დაუსრულებია, თეოდოსი მცირის მეფობაზე შეუწყვეტია და იმავე მანგანის აკადემიაში დაუწყია შედგენა «დოღმატიკონისა», რომელიც გაუხსნია «ზომიერი» არისტოტელიკის, ანასტასი სინელის (VII ს.), თხზულების «წინამძღუარის» თარგმანით. გადახრა არისტოტელიზმისადმი თანდათან ძლიერდება საქართველოში, სადაც არსენი «დოღმატიკონს» ასრულებს. საყურადღებოა, რომ ამ «დოღმატიკონში» მას არ შეუტანია არც ერთი ნეოპლატონური ხასიათის შრომა, პირიქით, თითქოს საგანგებოდ შეტანილია შიგ ისეთი ანტიპლატონური ან, როგორც თვითონ ამბობს, «ელლინებრისა სულთა პირველუყოფისა» განმაჟიქებელი თხზულება უცნობი ავტორისა, როგორიცაა «მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს პორცთასა». ამგვარი განწყობილებისას არსენი ვერ შეიტანდა თავის კრებულში თარგმანს ისეთი ადამიანისას, რო-

[1] იხ. ქართული გამოცემა. ხრონოგრაფისა, პროფ. ს. ყაუხჩიშვილისა, გვ. 35 — 36.

მელიც თავის მიმართულებით ნეოპლატონიზმის ნიადაგზე იდგა და პლატონურ ტენდენციებს არ გაურბოდა [1].

არისტოტელიზმის გამახვილებამ ლიტერატურაში გამოიწვია იმავე მეთორმეტე საუკუნეში რეაქცია მაქსიმე აღმსარებლის შრომების ხელმეორედ თარგმნის სახით. ეს თარგმანი შესრულებულია თანახმად დედნისა, ზუსტად და არა კომბინირებული სახით, როგორც ეს წინათ ექვთიმემ მოგვცა, შესრულებულია ის პეტრიწონული ლიტერატურული სკოლის ნორმებით, ჩვენი აზრით, ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ. მიუხედავად ამისა, ინტერესი არისტოტელისადმი მაინც არ შენელებულა, მას თავი უჩენია საერო მხატვრული პოეზიის ისეთ ძეგლშიაც კი, როგორიც არის «თამარიანი». ღვთაებრივი თამარის შემქებელად «ქმდა» არა პლატონი, არამედ «არისტოტელი» (III, 17), თამარს ვერაფერს შემატებს პლატონის (სოკრატისა და ეფრემის დართვით) ძნობა, მხოლოდ «არისტოტელმან მეძიებელმან თავი თვით მისცა საძიებლად» (XI, 21, 24), უარისტოტელოდ წარმოუდგენელია თამარის ნამდვილი ქება: «უმიროს, პლატონ, სიტყვა დამატონ, თვით ვერა მიჰხვდენ შესატყვიერსა», ამისათვის არისტოტელია საჭირო: «არისტოტელი, ბრძენთა ტომელი, თუ არ, რა შესძლებს ენა-ძლიერსა?» (I, 4 — 5).

აი, ზოგად ხაზებში, ის იდეოლოგიური და ლიტერატურული გარემო, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა და მოღვაწეობა იოანე პეტრიწს. ზემოაღნიშნულ ბრძოლაში ის დგება ნეოპლატონიზმის ნიადაგზე და არისტოტელესა და პლატონის ძორიგებას ცდილობს ჯერ ნემესიოს ემესელის საშუალებით — ის თარგმნის უკანასკნელის თხზულებას, რომელსაც «ბუნებისათჳს კაცისა» ეწოდება. მაგრამ ანგარიში არ გაუმართლდა: ნემესიოსმა უფრო მეტად ვერ დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე ბანაკი, ვიდრე ფსევდოდიონისე არეოპაგელმა და მაქსიმე აღმსარებელმა, პირიქით, უფრო ნაკლებ, რაც იქიდან ჩანს, რომ, შედარებით

---

1 ამ ბოლო დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ, როდესაც XI — XII ს. ჩვენში ჩამოყალიბდა აზროვნების სფეროში კონსერვატორთა და პროგრესისტთა ბანაკი, პირველთა სათავეში მოექცა არსენ იყალთოელი, როგორც მათი ლიდერი; ის, როგორც დამცველი თეოლოგიური დოგმატიზმისა და ფილოსოფიის თეოლოგიის სამსახურში დამყენებელი, გახდა ანტიპოდი პროგრესისტების ლიდერის იოანე პეტრიწისა, რომელიც საერო ფილოსოფიის ნიადაგზე დგას. ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად დავითის მიწერეისა, არსენი გელათის აკადემიის მოღვაწეთა შორის არ ჩანს. ამას იმითა ხსნიან, რომ გელათში იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა. შეიძლება, ორი აკადემიის არსებობა XII საუკუნის საქართველოში, რომელთაგან ერთი—იყალთოს აკადემია. არსენ ი.ქალთოელის სახელს უკავშირდება, ხოლო მეორე. გელათის, იოანე პეტრიწისას, იმის მაჩვენებელი იყოს, რომ პირველი კონსერვატიული აზროვნების ცენტრი იყო, ხოლო მეორე—რენესანსისაო («იოანე პეტრიწის შრომები», II, გვ. CVI—CVII). ეფიქრობთ, მოყვანილი მოსაზრებით ეს დებულება ვერ დამტკიცდება. ჯერ ერთი, როგორც დავინახავთ, იოანე პეტრიწი ისეთივე დამცველია «თეოლოგიური დოღმატიზმისა» და მისი, სხვათა შორის. დიალექტიკა-ფილოსოფიით გამამართლებელი, როგორც არსენ იყალთოელი. მეორე, არ არის ფაქტიურად მართალი, თითქოს არსენ იყალთოელს გელათში არ ემოღვაწნოს, ჩვენ ვიცით, რომ «დიდი სჯულისკანონი» მან გელათში გადმოთარგმნა. თუმცა, კიდევაც რომ მართალი იყოს ეს, განა ამით დამტკიცდება ის, რის დამტკიცება სურთ? რასაკვირველია, არსენი მართლაც კონსერვატორთა ბანაკის მეთაურად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ «კონსერვატორობად» ჩაითვლება არისტოტელიზმის მიმდევრობა. ხოლო «პროგრესისტობად» — პლატონიზმისა. საჭიროა წინასწარ ამ ცნებებში შეთანხმება და გარკვევა.

მაქსიმე აღმსარებელთან და დიონისე არეოპაგელთან, მისი თხზულების თარგმანის ნუსხები ძალიან მცირე რაოდენობით მოიპოვება, რაც მისი ნაკლები პოპულარობის მაჩვენებელი უნდა იყოს. ამის შემდეგ მას გადაუწყვეტია გეერღი აუაროს «ეკლესიის მამების» ნიმუშებს, თვითონ უშუალოდ მიეიდეს პლატონთან და არისტოტელთან და მოგვცეს საკუთარი ცდა მათი მორიგებისა ან «სიმფონიისა». ამ მიზნით იოანე პეტრიწი თარგმნის პროკლე დიადოხოსის თხზულებას «კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი», რომელშიაც პლატონისა და არისტოტელეს «სიმფონია» სანიმუშოდ და სამაგალითოდ არის მოცემული. იმდენად სანიმუშოდ, რომ «ეკლესიის მამები», განსაკუთრებით ფსევდოდიონისე არეოპაგელი, ნეოპლატონიზმს პროკლეს შრომიდან ითვისებდნენ[1]. მაშასადამე, ჩვენმა ფილოსოფოსმა უშუალოდ «სიმფონიის» პირველწყაროს მიმართა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროკლე შუაკედლად აღდგა პეტრიწსა და პლატონ — არისტოტელეს შუა. არა, ის იმავე დროს პლატონსა და არისტოტელეს თვით დედნებში სწავლობს. ასე რომ, მათს ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ის სრულ ბატონ-პატრონად გრძნობს თავს[2]. მაგრამ იოანე პეტრიწს პროკლეს «კავშირნი» რომ გადმოეთარგმნა და ამაზე შეჩერებულიყო, ის მიზანს ვერ მიაღწევდა: მისი თანამედროვე ქართველები, რომელთა «უმეცრებას» ის ასე უჩივის, მას ვერ გაიგებდნენ, განსაკუთრებით პეტრიწის სქოლასტიკურ-მწიგნობრულ თარგმანში, და, სარგებლის მაგიერ, მას, შესაძლებელია, ზიანი მოეტანა. ტყვილად კი არ ამბობდა XVIII საუკ. ცნობილი ტიმოთე გაბაშვილი: «პროკლე დიადოხოსი პლატონისი წიგნი იპოვების საქართველოთა შინა; უკუეთუ მართლმადიდებლობით სძებნიდე, ღვთისმეტყუელება მაღალი და ჭეშმარიტი გეპოვოს, და უკუეთუ ვერ კეთილად და უგულისხმოდ ეძიებდე, ჰპოვნე მას შინა ღელვანი და მთხრებლნი არიოზისნი და ორიგენისნი»[3], ამიტომ პეტრიწს თავის თარგმანისათვის დაურთავს საკუთარი კომენტარები და განმარტებანი. აი, ამ კომენტარებში გამოიჩინა მან თავისი ფილოსოფიური უნარი, ალღო და ერუდიცია, ღრმა ცოდნა პლატონის, არისტოტელესი და ანტიკის სხვა ფილოსოფოსებისა.

რა მიზანს ისახავს პეტრიწი ამ შრომაში? იოანე პეტრიწი ურყეველად აგრძელებს ქართული ფილოსოფიის წინადროის ხაზს: ის ფილოსოფიას ქრისტიანობის სამსახურში აყენებს, მას სურს ქრისტიანობა ან «საღმრთო განცხადება» ფილოსოფიურად დაასაბუთოს და გაამართლოს, გაამართლოს რო-

---

[1] პროკლეს «კავშირნი» საქრისტიანო ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აღმოსავლეთში ფსევდოდიონისეს გარდა, მას იყენებდა იოანე დამასკელი, ხოლო დასავლეთის, რომის ეკლესიაში. თომა აქვინელის დროს, ოფიციალური სავკლესიო ხელისუფლების მიერ ის აღიარებულ იქნა ქრისტიანობისათვის მეტად სანაბარო და გამოსადეგ თხზულებად.

[2] თუ რამდენად იცნობს იოანე პეტრიწი პლატონსა და არისტოტელეს, ამის შესახებ იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 25—32. 463—465.

[3] არსებითად ეგეევე აზრი გამოუთქვამს ვიღაც მწიგნობარს, რომელსაც «კავშირნი»-ს ხელნაწერებში ასეთი სიტყვები მიუწერია: «ძმის წუხნისაგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ და ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიგეს ღმრთისმეტყუელებისა სახელი: დიდია ბრძენთა დიონისი და ღრიღორი და ბასილი და სხუათაცა კეთომე. შენ გონებაჲ განწმედილი მოიგე ღმრთისაჲ მიმართ და საჭღვართა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰკლნდები და არა საცთურ გექმნეს» («იოანე პეტრიწის შრომები», II, 9, შენიშვნა).

გორც შინაარსეულად, იმის აღნიშვნით, რომ «საღმრთო ჭეშმარიტებას» წარმართი ფილოსოფოსებიც ეთანხმებიან და გამოთქვამენ, ისე დიალექტიკურად, ლოგიკურად. ვინც ქრისტიანული დოგმატების ისტორიაში ერკვევა, ვისაც უნარი აქვს პეტრიწის ენაში გაერკვეს და მის ნაწერებში სწორედ ის ამოიკითხოს, რასაც ავტორი ამბობს, სხვანაირ დასკვნას ვერ გამოიტანს. არავითარ გადახრას ქრისტიანული დოგმატებიდან, არავითარ გადახრას წარმართობისაკენ, იქნება ის ბერძნული თუ ქართული, იმაში ადგილი არ აქვს [1]. გაუგებარი და მოულოდნელიც იქნებოდა ასეთი რამ იმ ადამიანისაგან, რომელიც ქართულად თარგმნის ბიბლიურ წიგნებს მათი ტექსტის ზუსტად დადგენის მიზნით, თარგმნის წმიდათა «ცხოვრებებს», თხზავს ოფიციალური საღვთისმსახურო წიგნებისათვის ლიტურგიკულ ჰიმნებს, რომლებიც მაღალფარდოვან სიტყვებში თითქმის ვულგარული თეოლოგიის დებულებებს გამოთქვამენ, თარქმნის და ლექსავს მისტიკური ხასიათის შრომას «კლემაქსს», რომელშიაც მოცემულია 30 ხარის-

[1] ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ ჩვენში პეტრიწის შესახებ ისეთი აზრიც გამოითქვა, თითქოს ის მოტრფიალე იყო ქართველ «ულუმჰიანთა», ესე იგი წარმართული ღმერთებისა, რომელთა შორის პირველ ადგილზე დაყენებული იყო ღვთაება «არდი» ან «მზე». ამის საბარგებლოდ უჩვენებენ კომენტარების ბოლოსიტყვაობის შემდეგ ადგილს: სიტყვა რომ არ გამოგრძელდებოდეს, მე თქვენ «გიჩუენებდით თქვენთა ულუმჰიანთა ძლევანი» (II, 219), და — თანდაურთავს, «ყოველთა ხელით-ქმნელთა და იდოლებიერთა არდი უჩინო-ყოფასა» (II, 212). «ულუმჰიანი» ოლიმპის მთის წარმართ ღმერთებს კი არ ნიშნავს, არამედ, როგორც 12 — 13 საუკ. სხვა ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიაც, უმაღლესს, უდიდესს, უპირატესს, უზენაესს. ამ წინადადების აზრი ასეთია: სიტყვის გაგრძელების რომ არ მერიდებოდეს, ამბობს პეტრიწი, მე თქვენ, ქართველებს, გიჩუენებდით თქვენი დიდი ადამიანების, ავტორიტეტების, შეცდომას და აქედან ძლევასო. რაც შეეხება სიტყვას «არდი», რომელსაც პეტრიწი სხვაგანაც ხმარობს 40, 28, 130, 7), ის მზეს კი არ აღნიშნავს. არამედ ბერძნული სიტყვაა — "αρτι — და ნიშნავს, როგორც თვით კომენტარების ტექსტშია აღნიშნული, «ძუის» (40, შენ. 2), იმწამსვე, თვალისდახამხამებაში. წინადადების აზრი ასეთია: ხელოვნებაში ან გაკეთებულ კერპს თვალისდახამხამებაში უჩინო ყოფს. ესეც იმის მაჩვენებელია, თუ რა საფრთხილო და საპასუხისმგებლოა პეტრიწუ ლაპარაკი, მისი ენისა და სტილის გაუთვალისწინებლად. პეტრიწის წარმართობას იმითაც კი ასაბუთებენ, რომ ის თითქოს მთვარეს კრონოსის გვერდით აყენებს და ამით მის მნიშვნელობას მაღლა სწევს, რაც ვითომდაც ქართული წარმართობის შედეგია (გვ. LXXIII). სამწუხაროდ, პეტრიწის ტექსტი ვერ არის გაგებული. პეტრიწის წარმოდგენით, არსებობს ყველაფრის შემქმელი («გარემოვრთხებელი ყოველთა»), «უცთომელი სფერო»; ის, რაც უფრო ახლოა ამ «უცთომელ სფეროსთან», უფრო სრულია, უფრო ღვთაებრივია, ვიდრე ის, რაც მისგან დაშორებულია (გვ. 89, სტრ. 26 — 29). მნათობთა სისტემა კი ასეა განლაგებული (აღმავალი რიგით): მთვარე, აფროდიტი, ერმი, მზე, არია, დიოსი, კრონოსი, ამის შემდეგ — «უცთომელი სფეროა» (გვ. 20, სტრ. 11 — 13). მაშასადამე, მნათობთა ჯაჭვში კრონოსი პირველი რგოლია, ყველაზე უახლოესი «უცთომელ სფეროსთან». მთვარე კი შეადგენს უკანასკნელ რგოლს, ყველაზე მეტად დაშორებულს «უცთომელი სფეროსაგან». აქედან პეტრიწი კითხულობს: «სფეროსა დიდისა კრონოსასა და მთვარისასა რაჲზომი განყოფილება მოაქუს თჳს შორის?» (გვ. 89. სტრ. 27—28), ესე იგი: იცით თუ არა, რა განსხვავებაა, რა მანძილია კრონოსისა და მთვარის შორისო? როგორც ეხებათ, პეტრიწი მთვარეს კრონოსის გვერდით კი არ აყენებს, იმას, როგორც ყველაზე მეტად დაშორებულს «უცთომელი სფეროსაგან», ის ყველაზე დაბალ მნათობად თვლის. არაფერს ამას ქართულ წარმართობასთან და ქართველთა წარმოდგენასთან მთვარეზე საერთო არა აქვს. პირიქით, აქ განმეორებულია ბერძნული შეხედულება, რომელიც მოცემულია, სხვათა შორის, მიქაელ ფსელოსის თხზულების «Διδασκαλία πανδαπή»-ს მეასე თავში—«De ordine stellarum» (Migne, Patr. Graec., t. 122, col. 748 B).

ხი ადამიანის სულის ღვთაებისადმი მიახლოებისა, მსგავსად ქრისტეს ცხოვრების 30 წლისა. მოულოდნელი და გაუგებარი იქნებოდა ქრისტიანული დოგმატებიდან გადამდგარი ადამიანის იმ სიმაღლეზე დაყენება, რა სიმაღლეზე დააყენა პეტრიწი ეკლესიური დოგმატიზმის «ულტრადამცველობითმა» ხანამ, როგორიცაა ე. წ. «აღორძინების» ხანა ჩვენი ისტორიისა, როდესაც პეტრიწი თეოლოგიურ-ფილოსოფიური აზროვნების სფეროში ისეთ ავტორიტეტად და მისაბაძ მაგალითადაა გამხდარი, როგორც რუსთაველი პოეზიის დარგში. ისეთი უკიდურესი რიგორისტიც კი, როგორიც იყო ტიმოთე გაბაშვილი, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერიდან დავინახეთ, ამბობდა, რომ პეტრიწის შრომაში (პროკლეს თარგმანის კომენტარები) «ღვთისმეტყველება მაღალი და ჭეშმარიტი იპოვებაო». ისეთი «კონსერვატორი და დამცველი», როგორადაც ცნობილია ანტონ I კათოლიკოსი, პეტრიწს სხვანაირად არ ახსენებს, თუ არა: «ჩემი იგი ღვთისმეტყველი», «ქართველთა საღმრთო მზე», «საღმრთო ფილოსოფოსი», «მზე ნათესავისა ჩვენისა», «გონება-მზე და დრასტირიონი». ამ ხანაში არამცთუ ახალ-ახალ ნუსხებს იღებენ პეტრიწის ამ შრომისას, სომხურიდანაც კი თარგმნიან მას ხელმეორედ, მისი შესწავლა და იმაზე აღზრდა თეოლოგიასა და ფილოსოფიაში უმაღლესი გემოვნებისა და განათლების მაჩვენებელი იყო.

იოანე პეტრიწი ისეთივე დამცველია ეკლესიური დოგმატიზმისა, როგორც მისი წინამორბედნი თუ თანამედროვენი. ეს ჩანს შემდეგიდან: 1) ქრისტიანული შეგნება სოლომონ ბრძნის სამს წიგნში — ეკლესიასტეში, იგავნსა და ქება-ქებათაში — ხედავდა ფილოსოფიის სამ დარგს: ბუნებითს — ეკლესიასტეში, ეთიკურს — იგავნში და მეტაფიზიკურს — ქება-ქებათაში. ასე იქცევა პეტრიწიც, როდესაც ამბობს: «სამნი არიან უზესთბრძნესისა სოლომონის მოფარდულობანი: თანად «იგავი» და «ეკლესიასტე» და «ქებაჲ ქებათაჲ». არამედ იგავი უკუე წურთაჲ არს ქცევითაჲ და ვნებათაგან აღმართებაჲ და საქმართა წინადადებანი კრძირნი. ხოლო «ეკლესიასტე», ბუნებისმეტყუელებისა შემხები, გამოაცხადებს აწინდელისა ცხოვრებისა ამაოებასა. ხოლო «ქებაჲ ქებათაჲ» გუარსა აჩუენებს სულთა სისრულისასა, სახისა მიერ სიძისა და სძლისასა ღმრთისა და სიტყჳსა მიმართ სულისასა წარმომაჩინებელი საკუთრებასა» (II, 226). 2) პროკლეს შრომის განმარტებას პეტრიწი აპირებს, როგორც თავისი კომენტარების შესავალში ამბობს, «შეწევნითა პირველისა სიტყჳსა უფლისა ქრისტესითა» (II, 6) [1]. ამით ის გარკვეულად ხაზს უსვამს თავისი შრომის მიზანდასახულობას. სხვა ადგილას ის მიმართავს ქრისტეს შეწევნასა და თანადგომას: «ხოლო ჩუენ თანადგომითა და პირველისა ათინაჲსითა აღეძრათ ჩუენშორისი ერმი, რათა მოვიდეს ჩუენდა ქრისტეს მიერ პრომითიაჲ» (II, 51 — 52).

საეკლესიო ოფიციალურ მოძღვრებას პეტრიწი იცავს ქრისტიანული დოგმატიზმის ისეთი ბუმბერაზი ავტორიტეტის სიტყვებით, როგორიც იყო გრიგოლ

---

[1] ამ სიტყვებს ადგილი აქვს აღნიშნული შრომის ყველა ხელნაწერში, გამოუკლებლივ, ამიტომ გამოგდება მათი გამოცემიდან დაუშვებელი და გაუმართლებელია; ეს იქნებოდა პეტრიწის ტექსტის გადაკეთება საკუთარი გემოვნების მიხედვით.

ღვთისმეტყველი ნაზიანზელი. უკანასკნელს ეკუთვნის «ცხოვრება» და «ეპიტაფია» მეორე დიდი საეკლესიო ავტორიტეტის ბასილი კესარიელისა. ამ თხზულებებიდან, რომელნიც ორჯერ იყო ქართულად თარგმნილი, ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ, პეტრიწს მთელი აბზაცები მოაქვს თავის კომენტარებში. საილუსტრაციოდ ამოვწერთ ზოგიერთ ნიმუშს:

იოანე პეტრიწი:

ხოლო ღმრთისმეტყუელი... იტყჳს დიდისა ბასილისათჳს, ვითარმედ ვინ იყო ეგოდენ რიტორებრივ, რამეთუ ცეცხლებრითა ძალითა მბრეველობდა... რიტორი იყო ყოველთაჳე რიტორებრივეთა უპირატესად სრულმყოფელი, თჳნიერ ჩუეულებისა მათისა...

ანუ ვინ იყო ეგეოდენ ღრამატიკოსობასა შინა, რომელი ესე მომხუეწელ არს ენისაგან ყოველსაჳე ბარბაროზებრობასა. და თანამბრძოლ და შემწე და გუარიანმყოფელ ქუმნების ელადელთა კმასა და მოთხრობათა შეკრებს... და გამოაჩინებს... თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმა...

გინა ვინ იყო ეგეოდენ ფილოსოფოსობითა, ესე იგი არს რაჲდენი რაჲ არს საქმითი და რაჲდენი მხედველობითი ფილოსოფოსობისა. ვის აქუნდა ეგოდენი და რაჲდენი შთამოვალს სიტყჳერთა მოქმედებათა მოსარჩლეობისათჳს და წინააღმდგომობითთა წინადადებათა და გამოსაჩინებელთათჳს, რომელსა განმსიტყუელობითად ქელოვნებად სახელსდებენ, რომელი იგი ეგრე განიხილა და დაისწაჳა დიდმან ამან, ვიდრე უადეილესმცა ვინ შეუძლო განჳლაჲ განთქუმულისა მის კრიტეს შინაჲსა ლავჳრინთოჲსა.... ვიდრე განლტოლჳაჲ საგდებთაგან და ბადეთა დიდის ბასილის სიტყუათასა, უკუეთუმცა სადმე საქმარ მისდა იქმნა ესე...

ხოლო ვარსკულავთ მრიცხუელობისაჲ და ქუეყანის მზომელობისაჲ და მრიცხუელობითისაგან ესეოდენი შიიღო, რაჲდენ ვერ შებრკოლებადმი მათ შორის ბრძენთა მათ და მჳვერთაგან. და სხუანი მეტნი განსთხინნა, ვითარცა ყოვლადუკმარნი ქრისტეანეთათჳს... ესენი, ვითარცა ამაონი, მოიძაგნა, რათა ამათ მიერ ორკერძოჳე სწორებით სადმე ვინმე აჳოს დიდი ბასილი აღრჩეულთაგანცა, რამეთუ უკეთესნი შემოიკრიბნა და დატეჳებულთაგანცა, რამეთუ უდარესნი დაუტეჳნა.

გრიგოლ ღვთისმეტყველი
(ეფრემის თარგმანით):

ვინმე რიტორებრივი ესოდენ ცეცხლმბერეელი მოიპოვა, დაღათუ სახე მისი არა რიტორებრივ იყო?

ვინმე ღრამმატიკოსობაჲ ელლენ ყოფად ენათა და შემოკრებად თხრობათა დასაბამის დადებად და სჯულის დებად გამოთქუმათა?

ვინმე ფილოსოფოსობაჲ ნამდჳლე მაღალი იგი და აღმართმაჲალი, რაოდენი საქმითი არს და ხედჳითი და რაოდენი სიტყუათა გამომაჩინებელი და წინადადებითი და განწყობითი, რომელსა სიტყჳსგებითად სახელსდებენ, ვიდრეცა უადეილეს იყო განლტოლჳაჲ ლაეჳრინთოჲსა, ვიდრეცა განლტოლჳაჲ მისთა ბადეთა ბადისაგან, უკუეთუმცა ესე ჯერ იყო.

ხოლო ვარსკულავთ-მრიცხუელობისა და ქუეყნისმზომელობისა და რიცხუთა შემოკრებისაჲ ესეოდენი მიიღო, რაოდენ არა შეირყუოდა მას შინა ნამეტნავთაგან, ხოლო ნამეტნავი იგი განაგდო, ვითარცა უკმარი კეთილმსახურების მნებებელთათჳს, ვიდრეცა უფროჲს დაკჳრვების ღირს არს აღრჩეული იგი დატეებულისაჲ და უფროჲს დატეებული აღრჩეულისაჲ.

ხოლო ქორცთა უძღურებამან, პირველით პასაკითვე ვიდრე სიბერედმდე მას თანა აღზრდილმან, და ღუძლისა ბოროტმდებარეობამან და ამათ ზედა მოქენებამან სენთ-მოურნეობისაგან საჭირო მისსა ყვეს მკურნალობაჲ, რომელიცა მკურნალობისა სიტყჳერობით ვიდრემე მოიპოვა ფილოსოფოსობამან, ხოლო საქმიერობით ტკიეილთ-მოყუარებამან... ამისთჳს უკუე მიმღებელმან თაეისა თჳსისა სენთმოურნეობად ანაგებად მოეიდა მკურნალობითისა კელოვნებისა. არა მაშინ სახილველისა სენისა და კელთა შინა ქონებელისა და უნდოჲსა გამოძიებასა ჰყოფდა მდაბიურთა და უსიტყუოთა მკურნალთაებრ, არამედ მოძღურებულთაებრ ჰყოფდა და ფილოსოფოსურად... გარნა რანი არღა რაედენნი ესე წარმომითქუმან ჩუეულებათა და ქებულებათა მიმართ ამის მამრისათა. რამეთუ ამას თანა ცუდ და ამაო სადმე იქმნენ მინიოსი იგი და რადამანთჳ... მინოს უკუე მიიღო განმკაცრებული სჯულისმდებლობაჲ, რომელნი ესე ღირს ყუნეს პლატონიელთ სამოთხეთა ასფოდელოები, რომელ არს ყოველად სარგებლიან შეუნიერები ნერგები, ასფოდელოდ სახელდებული. ხოლო ღირს ყუნეს იგინი ეელთაცა იღუსიოსთა, ესე იგი არს ქუეყანასა რასმე სამეებსა უბრწნელსა... ხოლო ესრეთ ამათ სახელსდეეს ჩუენისა სამოთხისაგან გამოსწაელელთა მპარეელობითგან მოსეანთა წიგნთაგან, დაღათუ სახელითა სამოთხისაჲთა განსხუაჰმაედეს, რაჟამს უწოდეს მას ველად იღუსიოსად და სამოთხედ ასფოდელოსად (1I, 223 — 226).

ხოლო მკურნალობაჲ და ქორცთა უძღურებისა სენთ-კურნებაჲ სიბრძნის-მოყუარებისა და ტკიეილთ-მოყუარებისა ნაყოფმან საჭირო საქმარ მისსა ყუნეს, ვინაჲცა იწყო და გუარად განმტკიცებელად კელოვნებისა მის მიიწია. და ესე არა თუ რაოდენ სახილველსა ამას აჳუს და ქუემდებარესა, არამედ რაოდენი სჯულდებელი არს და სიბრძნის მყუარებელი. არამედ რაჲ. არიან ესე. დაღათუ ესოდენნი არიან წესიერებისა მისთა კაცისა ამის სწაელულებისა, ვინაჲცა სიჩქარ იყო კაცისა ამის თანა მეცადინობად. მინოსი იგი და რადამანთჳ, რომელნი იგი ასფოდელოჲსა სამოთხეთაგან და იღუსიოჲსა ეელთაგან ღირს იჩინნეს ეელენთა უცნების მღებთა ჩუენისა მის სამოთხისაჲთა, ვითარ ეჰკრნებ მოსეანთაგან და ჩუენთა წიგნთა. დაღათუ სახელისდებასა რასმე ზედა შეიცვალნეს სჯჳთა სახელებითა რაჲ ესე აუწყეს (A 16, ფ. 288 a—b, შეადარე იქვე ფურც. 90. ეგეეე ადგილი ეჰჯთომეს თარგმანით ხელნწ. A 1, ფურც. 278 — 279, 291 — 293).

ბოლო სტრიქონები მოტანილი ამონაწერისა საყურადღებოა სხვა მხრივაც. როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანობის წარმომადგენელნი ძველი დროისა მიუთითებდნენ, რომ ქრისტიანული მოძღვრების ნამცეცები წარმართ ფილოსოფოსთა მოძღვრებაშიც მოიპოვება, და ამას ისინი იმით ხსნიდნენ, რომ ეს ნამცეცები ფილოსოფოსებმა ქრისტიანთა საღმრთო წიგნებიდან, კერძოდ მოსეს წიგნებიდან მოიპარეს. ასე უყურებდნენ ამ საქმეს, როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ბასილი დიდი და გრიგოლ ნაზიანზელი, ისინიც პირდაპირ მიუთითებენ მოსეს წიგნების გაჭურდეას პლატონიელთა მიერ. იმეორებს რა ამ სიტყვებს, პეტრიწი იზიარებს იმ შეხედულებას, რომ ბერძნებს თავიანთი მითოლოგიური სამოთხის სახე მოსეს წიგნებიდან მოუპარავთ.

პეტრიწს მოჰყავს სურათი «განთჳსულად», ესე იგი ცალ-ცალკე მდგომი გოდლებისა, რომლებზედაც გარდართხმულია ერთი, «ყოველთა შემკვრელი ლოდი». ასეთივეა, მისი აზრით, საღმრთო ჰეშმარიტება: ეს ჰეშმარიტება სხვადასხვა დროს «სულისა მჳერ წმიდისა» ეუწყებოდა ხოლმე კაცობრიობას, როგორც

აბრაამის, დავით წინასწარმეტყველის, რომელსაც ის «ორფეოსს» უწოდებს[1], და პაულეს (რომელიც არის «მეცნიერე ჩუენისა ამის ეკლესიისაჲ») მიერ, ისე «ხალდეველთა და კუალად ელლენთა მიერ»; ხოლო ამ ცალკეულად მდგომ «გოდოლთა» შემკვრელ «ლოდად» გამოჩნდა ქრისტეო (გვ. 208).

ამ უკანასკნელ დებულებას ჩვენი ავტორი მერე კონკრეტულად ნათელყოფს ქრისტიანობის ძირითად დოგმატებზე.

მთელი მისი კომენტარები არის დემონსტრაცია, ფილოსოფოსთა მოძღვრების ნიადაგზე, პირველ ყოვლისა, მთავარი ქრისტიანული დოგმატის — ღვთაების ერთობის შესახებ. ღვთაება, ღმერთი, არის «სირასა შორის ერთი», «მხოლოჲ ერთთაჲ», «მზე ერთთაჲ», მზე — მეტაფორულად და არა იდენტურად: თითოეულ «გუარს» თავისი «ერთი» ჰყავს, მაშასადამე, «ერთი» მრავალია, ღმერთი კი არის ყველა «ერთთა» მზე — უმაღლესი, უდიდესი, უპირატესი, უაღრესი «ერთი». იგი არის «ყოველთაგან ზესთმდებარე, უცნაური, ერთი და კეთილობაჲ, რომელსაც, მისთვის პატივისცემის სურვილით, ადამიანის ენამ, «მამაჲ» უწოდა (გვ. 8).

ეს «ერთი» ღმერთი არის «სამება»; ამ სამებას, რომელსაც თავიანთ მოძღვრებაში გვითვალისწინებენ პავლე, პლატონი, ატტიკელი ფილოსოფოსი (გვ. 209 — 210), ამტკიცებს ადამიანთა ცოდნის ისეთი დარგები, როგორიცაა: გეომეტრია, მათემატიკა, მუსიკა და საპხედრო ტაქტიკა (გვ. 215 — 218). დამახასიათებელია სამებისა: «უშვიერლობაჲ მამისაჲ. შობაჲ ძისაჲ და გამოელენაჲ სულისა წმიდისაჲ, და ერთობაჲ ბუნებისაჲ განსხუებულებითა გუამოვნებათაჲთა» (გვ. 217). ძე არის «პირველსაფკუნეთა ყოველთა მამისშორისი, რომელ არს დასაბაჲი თჳსშორისა სიტყჳსაჲ, ეითარ დისკოჲ, თუალი მზისაჲ, შარავანდედთად» (გვ. 219).

შემდეგი დოგმატი, რომელსაც ავტორი აღნიშნავს და რომელიც, მისი სიტყვით, დამტკიცებულია არა მარტო ბიბლიაში, არამედ ისიოდეს, პლატონის, პროკლე დიადოხოსისა და არისტოტელეს მოძღვრებაშიაც, არის დებულება, რომ ერთი და კეთილი ღმერთი არის მიზეზი ყველაფრისა და ბოროტი საწყისი არ არსებობს (გვ. 212 — 214).

უკანასკნელი ქრისტიანული დოგმატი, რომელიც, პეტრიწის სიტყვით, გამოვლინებული ყოფილა როგორც დავით წინასწარმეტყველის, ისე «ფილოსოფოსების», კერძოდ ატტიკელის, მოძღვრებაში, არის დოგმატი «განგებისათჳს» (გვ. 210 — 212).

ახლა, თუ თავს მოვუყრით ყველაფერს, რაც პეტრიწის შესახებ ითქვა, მისი პიროვნება და მოღვაწეობა ასე წარმოგვიდგება:

1. იოანე პეტრიწი უეჭველად დიდი ერუდიტი და ღრმა მოაზროვნეა სულ, შუალო საუკუნეთა ქართულ სინამდვილეში, კერძოდ — ის ზედმიწევნით მცოდნეა ბიზანტიური თეოლოგიისა და ბერძნული ფილოსოფიისა.

---

[1] V. Schultze, Orpheus in der frühchristlichen Kunst («Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft», t. XXIII (1924), S. 172—183).

2. მისი ფილოსოფიური მოღვაწეობის მთავარი მიზანია ქრისტიანული თეოლოგიის გამართლება ფილოსოფიის გამოყენებით როგორც ფორმალურად — დიალექტიკურად, ისე შინაარსობლივადაც, იმის აღნიშვნით, რომ ქრისტიანული ჭეშმარიტების ნამცეცები ფილოსოფოსთა მოძღვრებაშიაც კი იჩენს ხშირად თავსო.

3. კერძოდ, მისი განზრახვაა ნეოპლატონიზმის, კონკრეტულად პროკლე დიადოხოსის, მოძღვრების საფუძველზე მოგვცეს «სიმფონია» პლატონიზმისა და არისტოტელიზმისა, რასაც დაჟინებით მოითხოვდა იმდროინდელი აზროვნება როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოში.

4. ამ განზრახვის სისრულეში მოყვანისას მან შეგნებულად გვერდი აუარა ნემესიოს ემესელის, ფსევდოდიონისე არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებლისა და შემდეგი დროის სხვა საეკლესიო ავტორიტეტების ანალოგიურ ცდებს და უშუალოდ (იყენებდა რამდენადმე «დიდ კაბადოკიელთა» შრომებს) მიეიდა ანტიკურსა და ელინისტურ ფილოსოფიასთან მისი გამოყენების მიზნით. ამაშია მისი ორიგინალობა არა მარტო ქართული სინამდვილის, არამედ ბიზანტიური თეოლოგიის თვალსაზრისითაც.

5. ეს განზრახვა მან სისრულეში მოიყვანა გაცილებით უკეთ, ვიდრე ეს მოახერხეს ზემოჩამოთვლილმა ეკლესიის ავტორიტეტებმა ან სხვა რომელიმე მოაზროვნემ ბიზანტიასა თუ საქართველოში. თუ «ეკლესიის მამათა» შრომებში ფილოსოფიური ელემენტი უნდა ეძიო, აქ, იოანე პეტრიწთან, საქმე სხვაგვარადაა წარმოდგენილი. მან ჯერ თარგმნა მთლიანად პროკლე დიადოხოსი, მერე მას დაურთო საკუთარი განმარტებები, მდიდრად შემკული ფილოსოფოსთა თხზულებებიდან მოტანილი ციტატებით. ყველაფერი ეს მან გამოიყენა როგორც ფილოსოფიურ-პროპედევტიკული ნაწილი თავისი თეოლოგიური სისტემისა, რომელიც მისი კომენტარების ბოლოსიტყვაობადაა მოცემული.

6. მისმა ცდამ და მოღვაწეობამ გარკვეული მიმდინარეობა, თავისთავად იგულისხმება პლატონიკებისა, უეჭველად დაკმაყოფილა. ეს ჩანს, თუგინდ იქიდან, რომ ამავე კლასიკურ ხანაში მისი შრომა გადათარგმნეს თავის ენაზე სომეხ-დიოფიზიტებმა. მაგრამ, თუ ჩვენი ავტორი ამ ხანაში მაინც ათვალისწინებულადა ჩანს და მას გაფთრებით ებრძვიან, როგორც ამას ის ხაზგასმით აღნიშნავს, არა ქრისტიანული ორთოდოქსიიდან გადახვევისათვის, რასაც სინამდვილეში ადგილი არა ჰქონია, არამედ იმისათვის, რომ მის მოწინააღმდეგეთ, რომელთაც თვალწინ ჰქონდათ იოანე იტალის ამბავი ბიზანტიაში, საშიშრად. დაუშვებელად და ცთუნებად მოეჩვენათ ისეთი მკვეთრი და ვაშიშელებული გამოყენება პლატონიზმისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის თხზულებაში [1].

---

[1] ეკ. მიხეილ შენგელიას მოპყავს მედიცინის ისტორიიდან შემდეგი ფაქტი: მე-11 საუკუნეში სალერნოს სამედიცინო სკოლაში ცნობილი იყო შრომა Practica Petrinelle ან Petroncelli. ის საკითხს სვამს: ხომ არ გვაქვს აქ საქმე იოანე პეტრიწთან ან პეტრიწონელთანო? (ლიტერატურა და ხელოვნება, 1951 წ. № 29. მნათობი, 1959, № 7. გვ. 139—141). საჭიროა სათანადო კვლევა-ძიება, რომელშიაც პირველ რიგში მედიცინის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

48. იეზეკიელი

ბიოგრაფიული ცნობები იეზეკიელის შესახებ არ მოგვეპოვება. ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, ის ცხოვრობდა 1105 — 1149 წლებში, აღიზარდა ათონის მთაზე, იმგზავრა იერუსალიმში და მერე სამშობლოში დაბრუნდა[1]. ჩვენ არ ვიცით, საიდანაა ეს ცნობები ამოღებული, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იეზეკიელი იოანე პეტრიწის თანამედროვეა და პეტრიწონული ლიტერატურული სკოლის მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის, თუმცა ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ ის რომელიმე ფილოსოფიური მიმართულების შეგნებული და აქტიური მიმდევარია. ანტონ კათოლიკოსი მას, როგორც ღვთისმეტყველს, პიიტიკოსს, რიტორსა და ფილოსოფოსს, ადარებს არსენი იყალთოელსა და პეტრიწს[2]. რაც შეეხება მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, არც ამის შესახებ ვიცით ბევრი რამ. ზ. ჭიჭინაძე მიაწერს მას შემდეგ თხზულებებს: ლექსნი წმიდათა მამათა შესახებ აკროსტიხურნი, დაუჯდომელი და მოგება სულისა[3]. ამათგან უკანასკნელი, მოგება სულისა, საეჭვოა, მით უმეტეს, რომ სხვა ადგილს ზ. ჭიჭინაძე ამ თხზულებას მიაკუთვნებს XV საუკუნის მოღვაწეს ნიკოლოზ კათალიკოსს[4]. რაც შეეხება დაუჯდომელს, ამას პლ. იოსელიანიც უპირებს მხარს და ათონის ჭითის ძველს დაუჯდომელს იმოწმებს[5], თუმცა არ აღნიშნავს, სახელდობრ ვისი «დაუჯდომელი» ეკუთვნის იეზეკიელს. «ლექსნი წმიდათა მამათა შესახებ აკროსტიხურნი» უნდა ჰქონდეს მხედველობაში ანტონ კათოლიკოსსაც, როდესაც ამბობს: «შენნი შაირნი, იეზეკიელ დიდო, აკროსტიხურნი, იასპ-სჭვრუენ სარდიონ, მარგარიტებენ ურთიერთას კიდულნი»[6]. ამ შაირთა გარდა, მაშასადამე, ანტონმა სხვა თხზულება იეზეკიელისა არ იცის, თორემ სხვებსაც მოიხსენიებდა. ეს «აკროსტიხურნი, ურთიერთას კიდულნი» შაირები ჩვენამდეც შენახულა[7]. ეს არის სამი იამბიკო, რომელთაგან ორი შეამკობს იოანე სინელის კლიმაქსს, იოანე პეტრიწის მიერ გალექსილს, ხოლო მესამე ვიღაც წმიდა სჳმეონს, საფიქრებელია — მესვეტეს. პირველი ორი მართლაც აკროსტიქულია, თითოში თითო სტროფია, სტროფში ხუთი სტრიქონი, თითოეული სტრიქონი პირველი იამბიკოსი ორ ნაწილადაა გაყოფილი, ხოლო მეორისა ოთხად. პირველი და უკანასკნელი ასოები თითოეული ნაწილისა, წითურად დაწერილი, გვაძლევს აკროსტიქს, რომელიც შეადგენს უკანასკნელ სტრიქონს ტაეპში. აი პირველი იამბიკო:

ძძლევნ საცემნ	ი	ორფევის ჴმათ დამჴსნელნ	ი
ნათელმყოფელ	ო	ალთა გულისაჲთა	ო
ნივთთაკერძ;	ხ	მუსიკათ ჴმ.თასა ზესთ	ა
ცხე მიიღ	ე	აღმონაშენი მშობელმა	ნ
შენნი ღოხე	ნ	მამაო იოან	ე

[1] «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 25.
[2] «წყობილსიტყჳაობა», ტაეპი 766—767.
[3] «ქართული წერილობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 25
[4] «ქართული მწერლობა XIII—XVI საუკ.» გვ. 21.
[5] «წყობილსიტყჳაობა», შენიშვნა 143.
[6] იქვე. სტროფი 767.
[7] A 711, ფ. 105.

შავი ასოები რომ შევაერთოთ, მივიღებთ აკროსტიქს: «შენნი იოხენ მამაო იოანე», ესე იგი, უკანასკნელ სტრიქონს იამბიკოსას. მეორე იაპბიკო ძალიან ულაზათოა, მარცვალთა რაოდენობაც კი არაა დაცული: პირველ ორ სტრიქონში 17 მარცვალია, მესამესა და მეოთხეში — 20, უკანასკნელში 19, სიტყვები დამახინჯებულია (უფლისყ, ალისდ), აზრი ბუნდოვანი, ერთი სიტყვით — ნაძალადევი:

ბუნებ თა	მთ	აღძრავდა ეს	ე	აწ წამებრით	ა	ო უფლის	ყ
ელვა მედღეს	ე	თ თ ნათელ ღყო		თვალთა თუ ნამდვ	ლ	ნ	ო
თხემოვანთ ც	ა	მთენ უკეთუ შენ		ნივთთ ხესთ მბრწყინავი		იქმნე კეთილმორ	ფ
ნათ.ზ.ა ოა ამათ		ცსკ.ითართ	ა	უტკბილმოწყალე	ხ	ჩემდ ჰკოფდე თუმითა	
ანათებ თეათ	ა	ჩეთთა ეონა	დ	მუნთ ალის	დ	უჩინო ყოფა	დ

აქაც შავი ასოები გვაძლევს აკროსტიქს, რომელიც უკანასკნელ სტრიქონს შეადგენს: «ანთებ თეათა ჩემთა ეონად მუნთა ალისდ უჩინო ყოფად».

მესამე იამბიკო უაკროსტიქოა:

ნათელსა შორის უღამოსა მბრწყინავემან
დაუვალისა მზისა ელვარებითა
უმიმწუხრო, მართალთა საშეებელსა თან,
შეებელება მითხოვე უფლის, სჳმონ,
მოსავსა შენსა მრწემსა იეზეკიელს
და ანისაცა ღელვიანისა ზღჳსა
შფოთთა მშჳდობითა ღირსმყაე განწიაღებად.

44. იოანე ტარიჭისძე

მეთორმეტე საუკუნის დამდეგს ჩვენ გვხვდება მწერალი იოანე ტარიჭისძე. ჩვენ უკვე ზემოთ მოვიყვანეთ ერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა იმის შესახებ, რომ 1114 წელს საქართველოში დაბრუნებულა თეოფილე ხუცესმონაზონთან და არსენი იყალთოელთან ერთად იოანე ტარიჭისძეც[1]. მაშასადამე. ისიც თანამედროვე ყოფილა დავით აღმაშენებლისა. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენამდე არ შენახულა. ანტონ კათოლიკოსი უწოდებს მას სიბრძნის-მოყვარეს, ღვთისმეტყველს, რიტორსა და პიიტიკოსს[2], ხოლო ავტორი «მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათჳს» ამბობს: «იოანე ტარიჭისძე იყო ქართველთა აზნაურთაგანი; ამან სიყრმესავე შინა შეისწავლა ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და ენა ბერძენთა, რომელმანცა მრავალნი საღმრთონი წერილნი გადმოიღო ქართულსა ენასა ზედა, იყო ფრიად რიტორი და ეკლესიათა შემამკობელი, უცხო პიიტიკოსი და მოშაირე, რომელმანცა მრავალნი ქართველნი განსწავლნა სიბრძნის მოყუარებასა შინა»[3]. საიდანაა ეს ცნობები ამოღებული, ჩვენ არ შეგვიძლია

[1] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 225, 249.

[2] «წყობილსიტყჳაობა», ტაეპი 763.

[3] «ქალმასობა», II, 177; აქ მას ეწოდება ტაიჭისძე.

ვთქვათ, არ ვიცით არც ის, საიდან წარმომდინარეობს პ. იოსელიანის ცნობა[1], რომელსაც იმეორებენ ვ. ჯანაშვილი[2] და ზ. ჭიჭინაძე[3], ვითომც იოანე ტარიჭისძე ქართველოში ათონიდან მოვიდა, აქ დააარსა სასწავლებელი ყრმათათვის და მიმართულებით იყო ნეოპლატონიკი.

პ. იოსელიანის გადმოცემით, იოანეს უთარგმნია: 1) საგალობელნი წმიდათანი და 2) სამი ფილოსოფიური თხზულება: დიალექტიკა, პორფირის შეყუანილება და კატიღორია დამასკელისა[4]. პირველი თხზულების შესახებ არა ვიცით რა, ეფიქრობთ, აქაც შეცდომა მოუვიდა პლ. იოსელიანს და იოანე პეტრიწის საგალობლები იოანე ტარიჭისძეს მიაკუთვნა. ფილოსოფიური თხზულებების აღნუსხვაშიაც შეცდომა მოსვლია მას: საქმე ისაა, რომ დიალექტიკა იოანეს არ უთარგმნია არასოდეს[5]. ორი დანარჩენის სახელი სისწორით ვერ აღუნიშნავს: იოანე ტარიჭისძემ გადმოთარგმნა არა პორფირის შეყუანილება[6], არამედ ამმონიოს ერმისის (V — VI სს. ნეოპლატონიკი) «მოსაკუნებული ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა»[7]; აგრეთვე არა დამასკელის კატიღორია, არამედ იმავე ამმონიოსის «მოსაკუნებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისათა»[8]. ეს თხზულებანიც ჩვენამდე შენახულა არა ძველი, არამედ, უმთავრესად, XVIII ს. ნუსხებით. მიმართულებით ის მართლაც ნეოპლატონიკადა ჩანს, მისი შრომების გათვალისწინებით.

---

[1] «წყობილსიტყუაობა». შენიშ. 14.

[2] «ქართული მწერლობა», II, გვ. XX.

[3] «ქართული მწერლობა XII საუკუნისა», გვ. 27.

[4] ამათ გარდა, იოსელიანისავე სიტყვით, იოანეს თითქოს უთარგმნია ეპიფანე კვიპრელის «ათორმეტთა ქუათათჳს»; მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან დანამდვილებით ვიცით, რომ ერთადერთი ქართული რედაქცია დასახელებული თხზულებისა ნათარგმნია გაცილებით უფრო ადრე და ის გუხედება მეათე საუკუნის შატბერდულ კრებულში.

[5] ამ იოანეს მიაწერენ შეცდომით ზოგიერთები, მათ შორის პროფ. ნ. ვარიც («Иоанн Петрицкий». стр. 58), ერთ, მეთვრამეტე საუკუნის ნუსხებში დარჩენილ, დიალექტიკას, რომელიც ნამდვილად ეკუთვნის სვიმეონ ჯულფელს და ქართულად ნათარგმნია სომხურიდან ანტონ კათოლიკოსის მიერ (ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, «ჩვენი მეცნიერება», № 2—3. გვ. 145—146).

[6] პორფირის შეყუანილება შეიძლება ძველადაც, XII ს., ეთარგმნოს ვინმეს ქართულად. მხოლოდ ეს ძველი თარგმანი არ შენახულა. დღესდღეობით ცნობილი თარგმანი მისი გადმოღებულია სომხურიდან და ეკუთვნის ზურაბ შანშოანს, რომელსაც ის შეუსრულებია 1735 წ. ვახტანგ მეფის ბრძანებით (იკვე, გვ. 144 — 145).

[7] ს. გორგაძე, თანახმად ანტონ კათოლიკოსისა, მზადაა ეს თარგმანი იოანე პეტრიწს მიაწეროს (იკვე, გვ. 142 — 143), მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევს ხელნაწერთა ტრადიციები.

[8] ს. გორგაძე ამაშიც იოანე პეტრიწის თარგმანსა ხედავს (იკვე, გვ. 143 — 144). c

45. არსენ ბერი

არსენ ბერი ან ბერმონაზონი, თანამედროვე დავით აღმაშენებლისა და დიმიტრი მეფისა, არ არის არსენ იყალთოელი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის სახელით ჩვენამდე შენახული თხზულებანი იმდენად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ენით, რომ შეუძლებელია ეს ორი სახელი ერთი და იმავე პიროვნების აღმნიშვნელად მივიჩნიოთ. არსენ ბერის შრომებში ადგილი არა აქვს პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის ელემენტებს, რაც, როგორც აღვნიშნეთ უკვე, დამახასიათებელია არსენ იყალთოელის ენისა. ეს არსენ ბერი ჩვენ გვხვდება ოთხ დოკუმენტში, ესენია: 1) ანდერძი დავით აღმაშენებლისა სიკვდილის წინ[1], 2) ანდერძი მისივე, შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული[2], 3) «ცხოვრება მეფეთ-მეფისა» ან დავით აღმაშენებლის ისტორია[3] და 4) ტბეთის სახარების (XII ს.) ანდერძი[4], სადაც მოხსენებულია, სხვათა შორის, «არსენი, დიმიტრის მეფის მწირეველი», რომელიც, ეჭვს გარეშეა, ჩვენი არსენ ბერი უნდა იყოს. ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ არსენი ყოფილა დისწული ტბეთის ეპისკოპოსის პაველისი, რომელსაც გიორგი მესამის მეფობაში გადაუწერია დასახელებული ტბეთის სახარება. მას ჰყოლია ძმები: ნიკოლოზი, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, იოანე, ანჩელი მთავარეპისკოპოსი, ცნობილი მწერალი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, და ანტონი, ოპიზის მონასტრის წინამძღვარი. თუ მართალია პ. ცხვედელის მოსაზრება, რომ ოპიზის წინამძღვარი ანტონი არის ანტონ საღირისძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომელმაც თამარ მეფის კორონაციისას მას გვირგვინი დაადგა თავზე[5], უნდა ვიფიქროთ, არსენი ბერიც საღირისძე ყოფილა გვარად. დავითი ამ არსენს უწოდებს თავის «სასოს და განმანათლებელს» (თ. ჟორდანია, გვ. 10); ის უჩენს ლიტურგიკულ დისციპლინარულ წესს შიომღვიმის ლაერას (იქვე, გვ. 10, 13), მას მინდობილი აქვს მეფისაგან «საშუალ მონასტრისა» ეკლესიის აშენება, მისი მოხატვა და გამშვენება (იქვე. გვ. 10 — 11); მას აბარია მეფის ნადავლი და ფული, აგრეთვე ეკლესიის ჭურჭელნი და სამკაულნი და მეფის მიერ ნაშოვნი «ადგილნი უმკვდრონი და უმამულონი»[6]; ის აცის «მლოცველი» მეფისა და «მღდელი, მაკსენებელი მეფისა შეუცვალებლად» მონასტრის სოხასტერში[7]. ის ამასთანავე უნდა იყოს «მოძღუარი» დავითისა «სულიერის ბე-

---

[1] «საქართვ. სამოთხე», გვ. 512 — 513.

[2] Ф. Жордания, Завещание Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре, стр. 9 — 15.

[3] ქართ. ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 281 — 361.

[4] პ. ცხვედელი: გაზეთი «იერია», 1900 წ., № 229; Е. Такайшвили, Материалы по Археологии Кавказа, вып. XII, стр. 151 — 158.

[5] ქართ. ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 400.

[6] თ. ჟორდანია, გვ. 11, 12; «საქ. სამოთხე», 513.

[7] «საქ. სამოთხე», გვ. 512; თ. ჟორდანია, გვ. 12.

რის» იოანეს შემდეგ (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, გვ. 10). მაშასადამე, მოძღვრება მას დიმიტრის მეფობაშიაც შეუნარჩუნებია. არსენი მეტად დაახლოებული პირია დავითთან: ის არ სცილდება მას არასდროს, არც გზაში, არც ლაშქრობისას და არც ნადირობისას; ის თავისუფლად შედის მის სასახლეში და სინჯავს მის წიგნებს, რომელთაც შენიშვნებს უკეთებს[1]; მან იცის არამცთუ ყველასათვის ცხადი დიდნი საქმენი მეფისანი, არამედ მისი სულისკვეთება, გულისნადები და ინტიმური მხარეები მისი ცხოვრებისა[2]. ის განათლებული კაცია და საფუძვლიანად იცის არა მარტო ღვთისმეტყველება, არამედ საერო ძველი ბერძნული წარმართული და ფილოსოფიური მწერლობა; ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა აგრეთვე ბერძნული ენაც. არსენი ბერი თვალსაჩინო მწერალიც ყოფილა, მას ეკუთვნის: 1) «ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა», როგორც მისი დასაწყისიდან ჩანს: «გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე დავით დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსვლისა მისისათა ჩუენ მიერ უნდოჲსა და უღირსისა მლოცველისა შამისა ბერისა პირითა»[3].

2) სტილითა და ზოგიერთი აზრით ეს ა ნ დ ე რ ძ ი ძალიან წააგავს დავითის მეორე ა ნ დ ე რ ძ ს, რომელსაც ის სიკვდილის წინ შიომღვიმის ლავრას უტოვებს; «სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენიმ მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერაო», — ამბობს დავითი[4]. ორივე ა ნ დ ე რ ძ ი, ჩვეულებისამებრ, დაწერილია დავით მეფის სახელით, ამიტომ მათი ავტორი მესამე პირით იხსენიება მათში; დაწერილია ისინი, უნდა ვიფიქროთ, დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში. ამ ძეგლებში, განსაკუთრებით მეორეში, შენახულა რამდენიმე საყურადღებო ცნობა, რომელიც დავითის მატიანეს ავსებს და, კერძოდ, სამონასტრო წესწყობილებას გვისურათებს[5].

3) ამ ა ნ დ ე რ ძ თ ა შემდეგ არსენის უნდა დაეწეროს «ცხოვრებაჲ მეფეთა მეფისაჲ» ან ისტორია დავით აღმაშენებლისა[6].

4) არსენ ბერს ეკუთვნის «ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა რუის-ურბნისის კრებისა»[7]. ეს იმიტომ, რომ დასახელებული შ ე ს ხ მ ა გაგრძელებაა ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ი ს ა და მისი ორგანული ნაწილი, თან ერთშიაც და მეორეშიაც დავითი ერთგვარი ენამზეობითა და ეპითეტებითაა შემკობილი და დახასიათებული; ორივეში ნახმარია ეპითეტები: მხნე, ბრძენი, მშჯდი, ტკბილი, უბრძოლველი, გმირი, ბრწყინვალე, ვითარცა ცისკარი[8]. ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ა საყურადღებო იურიდიული ძეგლია საქართველოს ეკლესიისა და გამომხატველი

---

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 293, 316.

[2] იქვე, გვ. 320, 323.

[3] «სააქართვ. სამოთხე», გვ. 312.

[4] Ф. Ж о р д а н и я, Завещание..., стр. 10.

[5] იქვე, გვ. 1 — 9.

[6] ქართ. ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 281—361. ანალიზი ამ შრომისა იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ქართული ლიტერატურის ისტორიის II ტომში, 1958 წ., გვ. 262—265.

[7] «სააქართვ. სამოთხე», გვ. 518 — 528; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 56 — 72.

[8] შეად. «სააქ. სამოთხე», გვ. 522 — 523 და 528 — 529.

დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკისა. ის შედგენილია იმ ყალიბზე, როგორითაც იწერებოდა მსოფლიო და ადგილობითთა კრებათა აქტები. კრებას «დაუსხამს» ან შეუდგენია 15 კანონი, რომელიც ეხება ყველა იმ არანორმალურ მოვლენას თანამედროვე სოციალური ცხოვრებისას, რომელთა აღმოფხვრა შეადგენდა დავითის საზრუნავ საქმეს. როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ა შედგენილია მაშინ, როდესაც ქართულ ენაზე «დიდი შჯულის-კანონი» კიდევ არ იყო თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ. ამით აიხსნება, რომ შედგენილობა შ ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს ა, ძეგლისწერაში აღნუსხული, სხვაა, ვიდრე არსენ იყალთოელის თარგმანში.

5) რადგანაც ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ა რუის-ურბნისის კრებისა ეკუთვნის არსენ ბერს, მასვე უნდა მივაკუთვნოთ მეტაფრასული ც ხ ო ვ რ ე ბ ა ნინოსი[1].

ეს თხზულება დაწერილია დიმიტრის მეფობაში (1125 — 1154 წ.) და ეკუთვნის არა არსენ დიდს კათოლიკოსს, როგორც გამომცემელს ჰგონია, ამის მსგავსი კათოლიკოსი დიმიტრის მეფობაში არც ყოფილა ვინმე, არამედ ჩვენს არსენ ბერს. ეს შემდეგიდან ჩანს: ენა ამ თხზულებისა და არსენ ბერის სხვა შრომებისა, უფრო კი რუის-ურბნისის ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ი ს ა, ერთი და იგივეა, აზრებითაც ისინი ძალიან უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგალითად: 1) თავში მაცხოვრის მოსვლა ქვეყნად დ· ეოწაფეთა ღვაწლი თითქმის ერთნაირადაა ორივეში გადმოცემული[2]; 2) ორივეში აღნიშნულია, მხოლოდ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი უფრო ვრცლად, ანდრია მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობა ჩვენში[3]; 3) ერთნაირად გადმოგვცემს ორივე ნინოს მოსვლას ჩვენში ანდრიას შემდეგ, მის კაბადოკიელობასა და ტყვეობას[4]; 4) ესტატე ანტიოქელის მოსვლას ჩვენში, მის მიერ მეფისა და ერის მონათლას, ეკლესიის აშენებასა და კურთხევას და კათოლიკოსის დადგინებას[5]; 5) ძალიან წააგავს ერთმანეთს შემდეგი ადგილები რუის-ურბნისის ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ი ს ა და ნინოს ცხოვრებისა: «გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეეხებოდა, ნუ იყოფინ ესრე, არა გეცრუენეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ, მოწამე არს ჳეშმარიტება[6]; და — «ხოლო ჩუენ ზედა, ქართველთა, ღმრთისა მიე-

---

[1] «ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ჩრდილოეთისასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ», გამოცემა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტისა, № 10, პ. კ ა რ ბ ე ლ შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, თბილისი, 1902 წ. ეს თხზულება რომ არსენის ეკუთვნის, ეს ა ნ დ რ ძ ი ა ც ნათქვამია: «ვიკადრე... უდებად ცხოვრებულმან და არარაჲსა პატივისა ღირსმან არ[სე]ნი ბერმან აღწერად ამისა მეფობასა დიმიტრისსა».

[2] «სჰაქართვ. სამოთხე», გვ. 519—520; «ცხორება», გვ. 3—4.

[3] «სჰაქ. სამოთხე», 520; «ცხოვრება», 4 — 6.

[4] ი ქ ვ ე, 520; «ცხოვრება», 7 — 14.

[5] ი ქ ვ ე, 520; «ცხოვრება», 35 — 36.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 523.

რითა მოხედვითა მარადის და ზედამდგომელობითა ყოველად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა პარიამისაჲთა, ვინაჲთგან ვიცანთ პეშმარიტებაჲ და აღვიბეჭდენით სულისა მიერ წმიდისა ნათლისღებითა და ვისწავეთ მართალი სარწმუნოებაჲ, არაოდეს მიდრეკილ ვართ გზისა მისგან წრფელისა, არცაოდეს შესრულ არს გესლი სიბოროტისა მათისაჲ გულსა ჩუენსა, არცა ბიწი შეგვინებისაჲ მიუღია სასმენელთა ჩუენთა ოდესცა ბოროტთა მათ მწვალებელთა მრავალშზრახველობისაჲ[1]. აეტორი ცხოვრებისა მის ბოლოში გვაცნობს, თუ როგორ წარმოიშვა ეს შრომა: «წმიდაო მამანო და ძმანო, ესე ნეტარისა ნინოჲს ცხორებაჲ შეუწყობელად და განბნეულად ქართლისა მოქცევასა თანა და ჰანბავსა მეფეთასა თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით, რომელიმე თჳთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისაგან, სხუაჲ იაკობ მღდელისაგან, სხუაჲ აბიათარისაგან. სხუაჲ კუალად სიდონიაჲსაგან, გარნა წინაჲ უკან და უკანაჲ წინ, იგივე და ერთი პირი; და ამისათჳს საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკმარ და ვერ საცნაურ; ამის პირისათჳს დაფარულად მდებარე იყო და თანა წარვჰქდებოდეთ მოთხრობასა ღუაწლისა მისისასა დღესა კსენებისა მისისასა, რომელი ესე დიდი ზღეევაჲ არს ყოველთა მორწმუნეთათჳს და უფროჲსად ჩუენ ქართველთა სასწაულთა, შრომათა და ღუაწლთა მისთა დავიწყებასა მიცემაჲ» (გვ. 51 — 52). ნინოს ცხოვრებას მისი ხსნების დღეს კითხულობდნენ ეკლესიაში, მაგრამ, ვინაიდან არსებობდა ორი რედაქცია ამ ცხოვრებისა, ერთი ქართლისა მოქცევასა თანა და მეორე ჰანბავსა მეფეთასა თანა, ესე იგი ლეონტი მროველისა, არ იცოდნენ რომელი წაეკითხათ, მით უმეტეს, რომ აქ. ამ რედაქციებში. ამბები არეულ-დარეული იყო ერთიმეორეში, სხვადასხვა ავტორს ჰქონდა მიწერილი ის ამბები, რომელნიც ერთსა და იმავე ისტორიას მოგვითხრობდნენ. ისეთ უხერხულობას განიცდიდნენ მორწმუნენი ამ მხრივ, რომ სულაც აღარ კითხულობდნენ ნინოს ცხოვრებას, ვინაიდან იგი ყოფილა «ფრიად საწყინო, უკმარ და ვერ საცნაურ», ეს კი დიდი დანაკლისი იყო მათთვის. აი, ამ გარემოებას იძულებული უყვია არსენ ბერი შეედგინა ნინოს «ცხორების» ახალი რედაქცია, რომელშიაც მისი თავგადასავალი და მოციქულებრივი ღვაწლი დალაგებით და მარტივად, მოთხრობის სახით, იქნებოდა გადმოცემული და ეკლესიაში საკითხავად გამოდგებოდა. არსენის შრომა წარმოადგენს არსებულ ცხოვრებათა გადაკეთება-გადამუშავებას, რათა ღვაწლი, სასწაულნი და ქადაგებანი ნინოსი მსმენელთათვის არ ყოფილიყო «საწყინო, უკმარ და ვერ საცნაურ». არსენი თვით ამბობს: «მიწყივა ლიტონითა სიტყჳთა [აღწერად] იგი პირ., რომელი ძუელსა შინა სწერია, არცა შემომატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყჳსაჲ და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს და მრავალკეცსა და მასვე თანაარღეულობასა ჰანბავისასა თანაწარ-

[1] «ცხოვრება», გვ. 51.

ჭდილ ვარო» (გვ. 52). მართალია, რომ მას თავისი შრომა დაუწერია «მარტივითა და ლიტონითა სიტყჳთა; ენაწყლიანობა, რომელიც მეტაფრასებს ასე ახასიათებს, იმას მიზნად არ დაუსახავს; მართალია ისიც, რომ არ დაუკლია მისთვის; რაც ძუელსა შინა ეწერა, ის სავსებით ამოუწურავს, მაგრამ ვერ დაეეთანხმებით ავტორს, როდესაც ამბობს, რომ ძუელისათჳს არა შემიმატებია რაო. შემატებული მას ბევრი აქვს როგორც ფაქტობრივი მასალა, ისე განყენებული მსჯელობა, ღოცვა და საუბარი ამა თუ იმ საგნის შესახებ. როდესაც თავის შრომას წერდა, არსენს ხელთ ჰქონია, როგორც თვითონ ამბობს, მოქცევაჲ ქართლისაჲ და ჰანბავი მეფეთაჲ, ანლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომი, და ამათში დაკული ნინოს ცხოვრება გადაუმეტაფრასებია. ამათ გარდა, მას ჰქონია კიდევ: 1) მიმოსელები და ქადაგებანი მოციქულთანი, უფრო ანდრია მოციქულისა, ექვთიმე მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი, საიდანაც ამოუღია ცნობები ანდრია, სიმონ, თადეოზ და მატათას ქადაგების შესახებ (გვ. 5—6). 2) გიორგი კაბადოკიელის წამება (გვ. 7). 3) ეფრემ მცირის «უწყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისათაჲ», საიდანაც იმას ამოუღია ცნობები ესტატე ანტიოქელის საქართველოში მოსვლისა და საქართველოს ეკლესიის ანტიოქიასთან დამოკიდებულების შესახებ (გვ. 37—38, 49). 4) ლეონტი მროველის ისტორია, საიდანაც ამოუღია ცნობები ვახტანგ გორგასლის შესახებ (გვ. 46—48). 5) გიორგი მთაწმიდლის დიდი სჳნაქსარი, საიდანაც ამოღებულია ცნობები იოანე გუთელის შესახებ (გვ. 51). 6) რუისურბნისის ძეგლისწერა, საიდანაც ამოღებულია ზემოამოწერილი სიტყვები ქართველთა მიუდრეკელობის შესახებ «გზისა მისგან წრფელისა» (გვ. 51). მიუხედავად თავისი მიზნისა, არსენის ამ შრომას მოქალაქობა ვერ მოუპოვებია ჩვენში და ხმარებიდან ვერ გამოუდევნია ნინოს ცხოვრების არსებული რედაქციები, ბატონობა შერჩენია ლეონტი მროველის რედაქციას, რომელიც მრავალ ხელნაწერშია წარმოდგენილი, თან ქართლის ცხოვრებაშიაც მიღებული. არსენის შრომა კი შენახულა მხოლოდ ორი ხელნაწერით, რომელთა მიხედვით ის გამოცემულია (A 518, 707)[1]. შემდეგში ვიღაცას ეს შრომა ცოტათი შეუმოკლებია და მოუცია მისი თავისუფალი პერიფრაზი, ალაგ-ალაგ რამდენიმე ახალი ცნობის ჩართვით[2].

ჩამოთვლილი თხზულებანი უნდა ჩაითვალოს არსენ ბერის საკუთარ ორიგინალურ შრომებად. უეჭველია, მას ნათარგმნიც ექნებოდა ბევრი რამ, თუმცა მისი ამგვარი შრომები ჩვენ დღეს არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ მას უთარგმნია ლიტურგიკულ დარგში. ასეთია, მაგალითად, ანდრია კრიტელის დიდი კანონი, რომელიც მას გადმოუღია დავით აღმაშენებლის ბრძანებით, ვინაიდან უკანასკნელს არ აკმაყოფილებდა ამ კანონის წინანდელი რედაქციე-

[1] არის აგრეთვე მესამე ნუსხაც, ხელნაწერ. ინსტიტუტის Q 53.

[2] ეს შემოკლებული პერიფრაზი გვაქვს მეცნ. აკად. საბჭოთა მუზეუმის XIII ს. ხელნაწ. № 39, ხელნ. ინსტ. A 587 და ცენტრარქივის № 20-ში; გამოცემულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, იხ. ქრესტომათია I, გვ. 216—231.

ბი — არც ექვთიმესი, არც გიორგი მთაწმიდლისა. ექვთიმემო, ამბობს არსენი, ძალზე შეცვალა და შეამოკლა ანდრიას კანონი, გამოტოვა სახისმეტყველებანი საღმრთო წერილისანი და სამაგიეროდ შეიტანა შიგ სინანულის საგალობელნი, რადგანაც ის ზრუნავდა სულის სარგებლისა და არა სისრულისათვის წიგნისა; ამაღე დროს ექვთიმეს თურმე კ მ ა ნ ი ც ა და ძ ლ ი ს პ ი რ ე ბ ი ც შეუცვლია. გიორგი მთაწმიდელმა კი ძალზე განავრცო ეს კანონი, ვინაიდან მან თარგმნა ის მთლიანად და ექვთიმეს მიერ მიმატებული საგალობელნიც არ გამოტოვა; და. თუმცა მას კ მ ა ნ ი არ შეუცვლია, მაგრამ მაინც არ ცდილა შეეფარდებია მათთვის ესა თუ ის საგალობელიო. ამნაირად, საქართველოს ეკლესიას მძიმე ტვირთად აწვა ეს ორი თარგმანი, ამიტომ არსენ ბერმა, ბრძანებითა დავით აღმაშენებლისა, მესამედ გადმოიღო ის ხმათა შეუცვლელად და მათთან საგალობელთა შეფარდებით. დავითმა მე მომანდოო, ამბობს არსენი, ტექსტის გადმოთარგმნა, ხოლო კათოლიკოსს იოანეს, სასულიერო გალობის მცოდნეთა მეთაურს, უბრძანა შეექმნა მისთვის კილო, ვინაიდან ძველი კილო მისი ჩვენი ენისათვის უცხო იყოო [1]. გარდა ამისა არსენს გადმოუთარგმნია, როგორც ხელნაწერებიდან ჩანს [2], ხორციელის შაბათის საგალობელნი თეოდორე სტოდიელისა, აგრეთვე ყველიერის ხუთშაბათისა და დიდმარხვის პირკელი შაბათისა [3]. მას უთარგმნია აგრეთვე «გალობანი მეორედ მოსვლისანი» (ქუთ. მუზეუმ. № 79, ფ. 19 — 24).

46. დიმიტრი მეფე

დიმიტრი მეფე (1125—1154), შვილი დავით აღმაშენებლისა, არა მარტო სახელმწიფოს პოლიტიკურ აღმშენებლობასა და გაძლიერებაში ჰბაძავდა თავის დიდებულ მამას, არამედ მწერლობაშიაც. თავისი შვილის დავითის მიერ ტახტმიხდილი და ბერად აღკვეცილი დ ა მ ი ა ნ ე ს სახელწოდებით, ის დავითგარეჯის უდაბნოში მოღვაწეობდა, სადაც მისი სახე გამოხატული ყოფილა კედელზე როგორც ა ნ ტ ო ნ კათოლიკოსის, ისე პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს დროს [4]. ანტონ კათოლიკოსი უწოდებს მას «სიბრძნისმოყუარეს, მარტივ ღვთისმეტყველს, ბრძენს, რიტორს და პიიტიკოსს» და ამბობს, რომ ის «გამომთქმელ იყო სტიხთა მაღალშაირთა, რომელნიც დღესაც ჩანან აღწერილადო» (სტროფ. 781 — 782). დიმიტრის იამბიკონი ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ს აც უნახავს ქვაბთახევის

---

[1] Н. М а р р, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме, стр.42. მისივე — Древнейшая история грузинской церкви (Церковные Ведомости за 1907 г. № 3, приложение, стр. 141—142), მისივე — Описан. рук. Син. мон. стр. 203—204.

[2] А 431, ფ. 10, № 629.

[3] А 431, ფ. 62. К. К е к е л и д з е, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, стр. XXII.

[4] «წყობილსიტყვაობა», სტროფი 781, შენიშ. 150.

მონასტერში[1]. სამწუხაროდ, არც ანტონ კათოლიკოსი აღნიშნავს და არც ზ. ჭიჭინაძე ასახელებს — რა იამბიკონი ნახეს მათ დიმიტრი მეფისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელს ხელთ ჰქონდა ქვაბთახევის მონასტერში იერონიმე ალექსიშვილის ხელნაწერი, რომელიც შემდეგ ტარასი არქიმანდრიტის ხელში გადასულა და დღეს ხელნაწ. ინსტიტუტს ეკუთვნის (№ 342, ფონდი A). აქ. მართლაც, ვკითხულობთ: «საქართველოს მეფის დიმიტრისაგან თქმულნი იამბიკონი, მუკლი ათორმეტი» (ფ. 43 — 45). აი, ეს იამბიკონი:

1. შიო მღვიმელისა:

შენის დაფნისა იშოებს ასურსა,
ოსავსებს ქართლი ნილოსსა ნაკადულთებრ,
ორბობს მოხეცი, მღუმე ფართობს სამყაროდ,
ბერწისწულებს მრავლად უდაბნოს ესე,
სულს აღთისებს, მტევრისა მტევრად დამტევი[2].

2. მისივე:

ცასა ბეწვთა ეკიდა, ენახე, კაცი,
და მასვე კაცსა შუბის წუერს ედგნეს დარბაზნი,
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა, —
და ზღუასა ზედა მოარბევდა ცხენითა,
და ესრეთ ღაღადებდა: ღმერთო, შენ ქურთხეულ ხარ!

3. ღვთისმშობლისა:

ღვთისმშობელი და ყოველად პატიოსანი
დედა, ქალწული, შვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი:
შენგან იშვების მეფე გკრგვნოსანი,
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალყმოსანი.

4. ღვთისმშობლისა:

შენ ხარ ვენაკი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თაეით თუსით მზე ხარ გაბრწყინვებული.

[1] «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 28.
[2] აკროსტიქი: შ ი ო ს.

ეს იამბიკოები გამოცემულია ჟურნალში «ჯუარი ვაზისა», რომელიც თბილისში გამოდიოდა 1906 წ. (№ 8, გვ. 10), მაგრამ აქ შესამჩნევად დამახინჯებულია მათი ტექსტი: გამომცემელს დაურთავს, წყაროს აღუნიშნავად, ერთი ზედმეტი იამბიკოც, რომელსაც ეპიტაფიის ხასიათი აქვს:

5. ნაშრომი საშრომ, მშრომელი უშრომ,
მეფეთაგან მცნობი, აწ ვერ საცნობი,
ვიშეე ვისადვე, შეეედ მისადვე.

მესამე და მეოთხე ზემომოყვანილ იამბიკოთაგან შეტანილია დაბეჭდილ «საღღესასწაულოშიაც», როგორც აწდას საგალობელი ღვთისმშობლის აქებდითსა ზედა დასდებელისა 13 მაისსა და 12 ივლისს (მეოთხე) და 27 ივნისს (მესამე).

47. იოანე ჯიმჯიმელი

ჩვენამდე შენახულა თხზულებები, რომლებიც ნათარგმნია ფილოსოფოსის იოანე ჯიმჯიმელის მიერ. ვინ იყო იოანე ჯიმჯიმელი? ჩვენი მწერლობის მკვლევარნი, რომელნიც ამ საკითხს შეხებიან ძველად თუ ახლად, სპეციალურად თუ შემთხვევით, ხშირად იოანე ჯიმჯიმელს იოანე პეტრიწად თვლიან. სახელწოდება ჯიმჯიმელი, resp. ჯირჯიმელი, ზოგიერთებს ესმის როგორც გეოგრაფიული ტერმინი, აღმნიშვნელი იოანეს სამშობლოსი სამცხეში, ზოგიერთებს კი როგორც ეპითეტი — ზეციერი[1]. მაგრამ ეს მართალი არაა: ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ,რომ იოანე პეტრიწის მოღვაწეობა, ყოველ შემთხვევაში, დაჟით აღმაშენებლის მეფობას დიდად ვერ გადასცილდებოდა. რაც შეეხება ფილოსოფოსს იოანე ჯიმჯიმელს, იმის სახელს ჩვენ ვხვდებით თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში. ამ თხზულების შესავალში ნათქვამია, რომ «იოანე ფილოსოფოსისა ჯიმჯიმელისა შესხმა-მოთხრობა აღმოაჩენს დიმიტრისა, მჯნესა კდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინაო[2]. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იოანე ჯიმჯიმელს შესხმის სახით აუწერია დიმიტრი მეფის ქველობა და მხნეობა. თავისთავად ცხადია, იოანე პეტრიწი დიმიტრი მეფის (1125 — 1154) თავგადასავალსა და საგმირო საქმეებს ვერ აღწერდა, თუ, რასაკვირველია, იმას პატრიარქალურ დღეგრძელობასა და მათუსალობას არ მივაწერთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ უნდა გავიგოთ ისტორიკოსის სიტყვები — «იოანე იტყჳს ჯიმჯიმელიო», როდესაც ის, თამარის სიკვდილისა

[1] ზედმეტი არაა ვაცნობოთ მკითხველებს შემდეგი: ათოკრიფში, რომელსაც ეწოდება «კითხვა-მიგებაჲ იესოსი და განრღუეულისაჲ». იესო ქრისტე ეუბნება განრღუეულს, რომ შენი განკურნებისათვის «ვითხოვ შენგან თუალსა პატიოსანსა, მეორედ ჯიმჯიმელსა, მესამედ კიმკიმელსაო» (A 153, გვ. 293), აგრეთვე პეტრე ლარაძის «დილარიანშიაც» სწერია: «თვით ესე ნება ჯიმჯიმელსა ზედა გაცისკარებულისა მიერ მოუღიეს» (გვ. 369).

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 364.

და დასაფლავების აღწერისას, ასახელებს რამდენიმე პირს, სხვათა შორის, იოანე ჰიმჰიმელსაც, რომელთაც მის ცხედარზე სიტყვა წარმოუთქვამთ?[1] განა წარმოსადგენია, რომ იოანე პეტრიწს თამარის გარდაცვალებაზე (1215 წელს) ეთქვა სიტყვა? მაშასადამე, უცილობელი და ეჭვმიუტანელია, რომ იოანე ჰიმჰიმელი და იოანე პეტრიწი ორი სხვადასხვა პირი და სხვადასხვა დროის მოღვაწეა. პეტრიწი, როგორც მოღვაწე, თანამედროვეა გიორგი II-ისა და დავით აღმაშენებლისა, ხოლო ჰიმჰიმელი — გიორგი III-ისა და თამარ მეფისა, ისინი მთელი საუკუნით არიან ერთმანეთს დაშორებული[2]. მართალია, იოანე ჰიმჰიმელს ეგზეგეტიკური მწერლობის დარგში უმუშავნია, მაგრამ ეს გარემოება არ ართმევს მას «ფილოსოფოსის» სახელწოდებას: მისი ფილოსოფიური სულისკვეთება და მიდრეკილება მის მიერ ნათარგმნ ეგზეგეტიკურ თხზულებათა შერჩევაშიაც ნათლად ჩანს. იოანეს თარგმანთა ენა ამეღვენებს, რომ ის არის პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის მიმდევარი, რომელსაც ზედმიწევნით შეუთვისებია და გაუმტკიცებია ყველა თვისება ამ სკოლისა.

მის მიერ ნათარგმნ თხზულებათაგან ჩვენამდე შენახულა: 1) «თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ» მიტროფანე ზმჟრნელისა, რომლის ბერძნული დედანი ჯერჯერობით ცნობილი არაა[3]; 2) «თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ» ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა, რომელიც, გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით[4], საყურადღებო ვარიანტებს იძლევა[5]; 3) «თარგმანებაჲ მარკოზის სახარებისაჲ» თეოფილაქტე ბულღარელისა და 4) «თარგმანებაჲ ლუკას სახარებისაჲ» იმავე თეოფილაქტესი[6]. მისთვისვე შეიძლება მიგეეკუთვნებია თეოფილაქტე ბულღარელის «თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ»-ც, რომელიც ერთადერთი ხელნაწერით შენახულა[7], რომ ერთი გარემოება არ იყოს: გადმომთარგმნელი ამ უკანასკნელი თხზულებისა ზმნათა მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში ხშირად ხმარობს ნაწილაკს ᲗᲔ, რაც ჰიმჰიმელის უცილობელს შრომებში არ გვხვდება[8]. იოანე ჰიმჰიმელის თარგმანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე სალიტერატურო წრეებში. ვინაიდან ის აჩვენებდა მკითხველებს განუვნებულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მსჯელობას, თავისი აზრების სხარტად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას და ამდიდრებდა მათ ახლად შექმნილი სიტყვებითა და ტერმინებით. იმათში დაცული გვაქვს მრავალი საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური და, თუ გნებავთ, საგრამატიკო სიტყვა, რომელიც წარმოადგენს

---

[1] ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 535. ჰიპოთეზური მოსაზრებებით ძეგლის პირდაპირი ჩვენებას უარყოფა მართებული არაა (ი. ლოლაშვილი: «ლიტერატურა და ხელოვნება», 1950 წ., № 35).

[2] კ. კეკელიძე. თარგმანი ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჟრნელ მიტროპოლიტისა, გვ LVIII — LXI.

[3] გამოცემულია ჩვენ მიერ წინადასახელებულ შრომაში.

[4] Migne. PG. t. 93, col. 477—623.

[5] კ. კეკელიძე. თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, LXI—LXIV.

[6] კ. კეკელიძე. იოანე პატრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, ჟურნალი «ჭრომეთე», 1918 წ., № 1; მხოლოდ აქ იოანე ჰიმჰიმელი იოანე პეტრიწადაა მიღებული.

[7] A 52.

[8] კ. კეკელიძე. თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, გვ. XXIV.

იმ ახალ სატერმინოლოგიო მუშაობის განვითარებას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში. როგორც ეგზეგეტიკურ თხზულებებში, ჰიმჰიმელის თარგმანში უფრო მდიდრულადაა წარმოდგენილი ეგზეგეტიკური ტერმინები, რომელთაც მიზნად აქვს ეგზეგეტიკის მეთოდების გათვალისწინება[1].

მარიამ დედოფლისეულ «ქართლის ცხოვრებაში» იოანე ჰიმჰიმელს მიეწერება შემდეგი იამბიკო:

მეფე მთავარი, სიონი და წყარონი,
ჰაბუკსა სწორი ებგური საებგურო,
აღვრი, კიცკ, თუალნი და ისრაელი,
გოდოლი, მენავე, სახლი და მამაცა,
და მეგჳპტელი ცხენი, ღაზარე, ჭედი[2].

48. ნიკოლოზ გულაბერისძე

ნიკოლოზი იყო კახელი, ძმისწული სვიმეონ კათოლიკოსისა (1142 — 1146). ის განათლებული და ნიჭიერი კაცი ყოფილა, მიმდევარი პეტრიწონის სალიტერატურო სკოლის ტრადიციებისა, როგორც ეს მის მიერ დაწერილი თხზულებიდან ჩანს. ვინაიდან ის განათლებულ და მომზადებულ კაცად იყო ცნობილი, ეკლესიის მეთაურად აურჩევიათ, და კათოლიკოსობდა დაახლოებით 1150 — 1178 წლებში. მატიანე მოგვითხრობს, რომ მან «სიმდაბლისა ძლით იჯმნა კათოლიკოზობისაგან» და იერუსალიმს წავიდა. გამეფდა თუ არა თამარი, პირველ ყოვლისა, მან ეკლესიის საქმეთა მოსაწესრიგებლად იერუსალიმიდან გამოიწვია ნიკოლოზი, რომელიც უნდოდა კათოლიკოსად დაეყენებია მიქელის მაგიერ (1178 — 1190), ვინაიდან უკანასკნელი თავის დანიშნულებას არ შეეფერებოდა და ყველასაგან შეძულებული და ათვალისწინებული იყო. ნიკოლოზმა კათოლიკოსობაზე უარი თქვა, მაგრამ ის საეკლესიო კრება, რომელიც თამარმა მოიწვია და რომელმაც საეკლესიო ცხოვრებაში საჭირო «წმენდა» მოახდინა, წარმოებდა მისი თავმჯდომარეობით. გარდაიცვალა ნიკოლოზი 1190 წლის ახლო ხანებში.

ნიკოლოზ კათოლიკოსისაგან, როგორც უცილობელად ნიჭიერი კაცისაგან, არა ერთი თხზულება უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე შენახულა მხოლოდ ერთი, სახელდობრ: «საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ»[3]. ნიკოლოზის მიზანი ყოფილა აღეწერა ამ თხზულებაში ის სასწაულები, რომელნიც სვეტიცხოველის მიერ სრულდებოდა ქართველების მოქცევისას და შემდეგშიაც. ვინაიდან სვეტიცხოველის ამბავს ცენტრალური ადგილი უკავია ნინოს ცხოვრებაში, თავისთავად ცხადია, ავტორი ვერ ასცდებოდა ვერც ნინოს ცხოვრების აღწერას.

[1] კ. კეკელიძე, თარგმანებაი ეკლესიასტისაჲ, გვ. LXIV — LXXV.

[2] ხელნაწ. S 379-ში (გვ. 192 — 193) ეს იამბიკო მიეწერება იოანე პეტრიწს.

[3] გამოცემულია ორჯერ: «საქართველოს სამოთხეში», გვ. 69 — 118 და ვასილ კარბელაშვილის მიერ 1908 წელს თბილისში.

მაგრამ მას განუზრახავს გადმოცემა ნინოს მოღვაწეობისა საქართველოში; რაც შეეხება მის ცხოვრებას საქართველოში მოსვლამდე, «ვინაობასა და სადაობასა მის ნეტარისასა», ის ამას თითქოს სულ არ ეხება. ამის შესახებ, ამბობს ის, «წიგნი იგი კელად მიიღეს, აღწერილი მოწერილობით მოთხრობისათჳს ქართველთა ცხოვრებისათჳს, და მისგან გეუწყოს ყოველივეო»[1]. მაშასადამე, ნინოს ცხოვრებას ნიკოლოზი გადმოგვცემს ისე, როგორც მოთხრობილი აქვს ლეონტი მროველს ქართველთა ცხოვრებაში. იმას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია იმ სასწაულებისათვის, რომელნიც სვეტიცხოველის გარშემო სრულდებოდნენ, ვინაიდან, როგორც ის ჩივის, ქართველებს, ჩვეულებისამებრ, ამისთვის წინათ ყურადღება არ მიუქცევიათ. ეს სასწაულები ნაწილობრივ თვით მას შეუკრებია, ზოგი მათგანი თვით მას უხილავს, ზოგი კიდევ გაუგონია «სარწმუნოთა და ჭეშმარიტთა კაცთაგან». მიუხედავად ასეთი მიზნისა, ნიკოლოზის თხზულება მეტად საყურადღებო ისტორიულ ცნობებს შეიცავს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან და დიდ ინტერესს წარმოადგენს იდეური მხრითაც. ავტორი იწყებს თხზულებას ვრცელი წინასიტყვაობით, სადაც ის, ფილოსოფიური მოსაზრებითა და ბუნების წიაღში ღრმა ჩაკვირვებით, არკვევს საკითხს ღვთის სიბრძნისა და ყოვლადშემძლებლობის შესახებ. ამ შემთხვევაში ის იყენებს ბასილი დიდის თხზულებას «ექუსთა დღეთაჳს». აღნიშნავს რა, რომ ქართველები მოაქცია დედაკაცმა ნინომ, ის სვამს ასეთ საკითხს: «რაჲსათჳს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართო»? (გვ. 41). ეს სრულიად ახალი საკითხი იყო ჩვენს მწერლობაში, მანამდე არავის ის არ წამოუყენებია, წინა დროის მწერლები და ისტორიკოსები იკვლევდნენ — ვინ გაავრცელა ჩვენში ქრისტიანობა, და დაამყარეს ის აზრი, რომ ჩვენი განმანათლებელი იყო ნინო. არავის აზრად არ მოსვლია ეკითხა — რატომ ქალი ამოარჩია ღმერთმა ამ მიზნის განსახორციელებლად და არა მამაკაცი? ეს საკითხი პირველად ნიკოლოზმა წამოაყენა და თავისებურადაც გადაჭრა ის. პირველი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში დედაკაცი, ნინო, მოიელინა, იყო ის, ამბობს ავტორი, რომ საქართველო «ნაწილი იყო დედისა ღმრთისაჲ», მას თვითონ სურდა აქეთკენ წამოსვლა და ქრისტიანობის დამყარება, მაგრამ, ვინაიდან «ძემან მისმან დააყენა ის ამის საწადელისაგან, გამოთხოვითა და ხუაშნითა დედისა თჳსისაჲთა» მაცხოვარმან, მის მაგიერ, დედაკაცი წარმოავლინა ჩვენშიო (გვ. 41). ამნაირად, პირველი საფუძველია საქართველოში გავრცელებული ტრადიცია, რომ ჩვენი ქვეყანა ღვთისმშობლის, ქალის, წილხდომილია, მაშასადამე, ქალს უფრო შვენოდა მისი მოქცევაო. მეორე მიზეზი ამისა არის ის, რომ, ვინაიდან ქართველები ყველაზე უველურესი იყვნენ, ღვთაებამ, თავისი ძლიერების გამოსაჩენად, აირჩია არა ძლიერი, ენამჭევრი და შეუდრეკელი მამაკაცი, არამედ სუსტი ქალიო: «ვინაჲდან ყოველთა ნათესავთა უმძჳნვარესნი და უველურესნი იყვნეს ესე ნათესავნი, ამისთჳსცა დედაკაცი წარმოავლინა, რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს ძალი ღმრთეებისა მისისაჲ და არავისი ენაჲ კადნიერ იქმნეს ამაოჲსა მთხზველობისათჳს ცუდისა მეტყუელე-

[1] ვას. კარბელაშვილის გამოც. გვ. 43.

ბად, ვითარმედ სიმკნეშან და სიბრძნით ფილოსოფოსობამან, გინა ენარიტორობამან მის ვისმე მამაკაცისამან დააცხრო ბოროტბორგნეულობაჲ მათიო, ამისათჳს უკუე ნარნარად მდინარითა წყლისა ნეკტარითა დაშრიტა სიმძაფრე საკმილისა მკურნალჱან მან კელოვანმან... რამეთუ არა ვიდრემე სხჳლბარკალთა მამაკაცთა სათნო იჩენს ღმერთი სახიერი... ამისთჳსცა უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედფიცხელობაჲ ულმობელთა მათ და უგლიმთა ნათესავთაჲო» (გვ. 1 — 43). ამ სიტყვების ავტორს იმდენად საქმის ნამდვილი ვითარება არ ალაპარაკებს, რამდენადაც სურვილი — გაამართლოს ღმერთის ყოვლადშემძლებლობა. მესამე მიზეზი — ღირსება დედათა პატივისა: ღვთაება თვით არჩევს დედაკაცს, განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს მას, ამიტომ თვით მაცხოვრის აღდგომა პირველად ეუწყა დედაკაცს და მის მიერ სხვებს ეხარაო (გვ. 3). აი, სამი მიზეზი, თუ რატომ მოიცლინა დედაკაცი ჩვენშიო. «ამისთჳსო», განაგრძობს ავტორი, «დაიყავნ პირი ბოროტად და ამაოდ დამკნინებელი ქადაგებისა და მოქცევისა ჩუენისათჳს ბუნებისა მიერ დედობრივისა, არამედ უფროჲსად და უმეტესად ვჰოხარულობდეთცა და ვჰოქალაქობდეთ მაუუედრებელთა მათ ჩუენთა მიმართ უგუნურების მომზრახთაო» (გვ. 43). აქედან ჩანს, რომ ასეთი საკითხი ავტორს თითქოს იმიტომ წამოუყენებია, რომ ვიღაც «უგუნურნი» დასცინოდნენ ქართველებს, რომ ისინი დედაკაცის მიერ იქმნენ მოქცეულნი, ამით ისინი ამცირებდნენ და წუნსა სდებდნენ თვით მათ ქრისტიანობასაც. ჩვენს წარსულში რომ ამგვარ რამეს ადგილი ჰქონოდეს, ეს ჩვენ არ ვიცით, შეიძლება მიზეზი ასეთი საკითხის წამოყენებისა სულ სხვა იყო. ეს ის დრო იყო, როდესაც თამარი ტახტზე ავიდა. საქართველოს ისტორიაში ეს პირველი მაგალითი იყო, რომ დედაკაცი გამეფებულიყოს. მართალია, დიდებულთა საგანგებო ბჭობამ თამარი მამაკაცის თანასწორ უფლების ღირსად სცნო, მაგრამ, უეჭველია, ყველა არ იქნებოდა არამცთუ საქართველოში, ამ ბჭობაშიაც, ამისი მომხრე [1], და ზოგიერთ წრეში ბუნებრივად დაისმოდა საკითხი «ღირსებისათჳს დედათა პატივისა». თამარმა ტახტზე ასვლისას, როგორც ვიცით, იერუსალიმიდან გამოიწვია ნიკოლოზ კათოლიკოსი და მას მიანდო საეკლესიო საქმეების მოწესრიგება. ნიკოლოზმა, ალბათ, თამარის ტახტისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად დაწერა ეს თხზულება და მასში საგანგებოდ ხაზი გაუსვა იმ დედაკაცის მოღვაწეობას, რომელიც თვით განგებამ აირჩია ჩვენი ქვეყნის განმანათლებლად. აქედან ბუნებრივი იქნებოდა შემდეგი დასკვნა: რა გასაკვირველია დედაკაცი მეფედ გვყავდეს, როდესაც განგებამ დედაკაცის, ღვთისმშობლის, წილხდომილი გვყო და დედაკაციევე, ნინო, ირჩია ჩვენდა მოსაქცევად და გასაქრისტიანებლადაო.

საყურადღებოა ნიკოლოზის შემდეგი დებულება: როგორც ცალკეულ, კერძო ინდივიდუმს, ისე თითოეულ ეროვნულ ერთეულს აქვს საკუთარი თანდაყოლილი ნიჭი და მიდრეკილება, მაგალითად, ბერძნებს — ენამჭევრობა და ფილოსოფოსობა, ხოლო ქართველები «ბუნებით სადაგნი და მარტივნი და გო-

[1] იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II2, 246.

ნებით წრფელნი, სიმართლისა ცხოვრებისასა და უღელსა უმანკოებისასა მზიდველნი, მხოლოდ ღმრთისა ოდენ და მკლავისა თჳსისა მოსავნი», ფილოსოფოსობას, სწავლულობის გამოძებასა და ენამჭევრობას მოკლებული არიან. რა საკვირველია, ასეთი დაპირისპირება, რომელშიაც ბასილი კათოლიკოსის შეხედულების გავლენა გამოსჩვივის, მართლებული არაა, ამის წინააღმდეგ შეგეიძლია თვით ამ დებულების ავტორი წამოვაყენოთ, ეს მხოლოდ პოლემიკური მიზნითაა ნაკარნახევი, მაგრამ თვით იდეა, რომ «განყოფილებანი არიან მადლთანი ყოველთავე შორისო», დამახასიათებელია თავისთავად იმ დროისათვის.

ნიკოლოზი ამასთანავე ყოფილა კრიტიკული ნიჭით აღჭურვილი მწერალი და ისტორიკოსი. ამას ის, მაგალითად, იჩენს საკითხში: როგორ შეეთანხმოთ ერთმანეთს ანტიოქიელ და ქართველ მწერალთა და წყაროთა თქმულება, რომელთა მიხედვით საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად და ახლადდანერგილი ეკლესიის მოსაწყობად მოვიდა ან ესტატე, პატრიარქი ანტიოქიისა, ან ეპისკოპოსი იოანეო? ამაზე ნიკოლოზი თავის პასუხს იძლევა და მისი ახსნა ამ პრობლემისა თითქმის მეოცე საუკუნემდე იყო გაბატონებული ჩვენს საისტორიო მწერლობაში (გვ. 87—88). მართალია, ის ცდება, როდესაც ამბობს, რომ ესტატეს საქართველოში მოსვლასა და მოღვაწეობას თეოდორიტე კვირელი მოგვითხრობსო, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ მას ვერ გაუგია კარგად თავისი წყარო — ეფრემ მცირის «უწყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისათა». მართალია, ნიკოლოზი თავის თხზულებაში სვეტიცხოვლის სასწაულებს აგვიწერს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმაში ბევრი საყურადღებო ფაქტიცაა გადმოცემული, რომელნიც სხვა წყაროდან არ ვიცით. ასეთია, მაგალითად, ამბავი თურქთა შემოსევის დროიდან ჩვენში (გვ. 107 — 109), კოზმან ბერის ნაამბობი (გვ. 109), ცნობები ნიკოლოზის ბიძის სვიმეონ პატრიარქისა (გვ. 110), დავით აღმაშენებლის ჩვენება, რომელიც მან იოანე კათოლიკოსს უამბო (114 — 115), ფიცი ეპისკოპოსთა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკლესიის იერარქიის ისტორიისათვის და სხვ. ავტორს ამ თხზულების დაწერისას ხელთ ჰქონია, ზეპირთქმულებათა გარდა, წერილობითი წყაროებიც, როგორც, მაგალითად, მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ, ლეონტი მროველის ისტორია და ზემოდასახელებული წერილი ეფრემ მცირისა. თუმცა პირდაპირ დასახელებული არაა, მაგრამ იმას უნდა ჰქონოდეს ავრეთვე არსენ ბერის მეტაფრასული ცხოვრება ნინოსი, ვინაიდან ცნობა ესტატე ანტიოქელის მოღვაწეობის შესახებ საქართველოში, რომელსაც ნიკოლოზი კრიტიკულად იხილავს, არსენ ბერის თხზულებაშიაც იკითხება.

ნიკოლოზ კათოლიკოსს შეუთხზავს არა მარტო ს ა კ ი თ ხ ა ვ ი სვეტიცხოვლობისა, არამედ მთელი გ ა ნ გ ე ბ ა ამ დღესასწაულისა, ესე იგი როგორც წესი ღვთისმსახურების შესრულებისა ამ დღეს[1], ისე საგალობლები მწუხრისა და ცისკრისა. იმ სამ საცისკრო კ ა ნ ო ნ თ ა გ ა ნ, რომელიც მოყვანილია კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემაში, ნიკოლოზს უნდა ეკუთვნოდეს პირველი (გვ. 19—24), ვინაიდან წ ე ს შ ი სწორედ ეს კ ა ნ ო ნ ი ა აღნიშნული და

[1] ვას. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, გვ. 2.

ნაჩვენები. ნიკოლოზ კათოლიკოსი ამავე დროს მთარგმნელიც ყოფილა ბერძნული ენიდან; მას უთარგმნია, მაგალითად, მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი დოგმატიკური შინაარსისა: ა) ეპისტოლენი თალასეს მიმართ ხუცისა, გიორგი ეპარხოსისა, პიროზას მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა, იოვანეს მიმართ კუვიკულარისა, პეტრეს მიმართ იღლუსტრიოსისა, მარინოზას მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა, გიორგის მიმართ ხუცისა და წინამძღვრისა, ნიკანდროზას მიმართ ეპისკოპოსისა, იოვანეს მიმართ მთავარეპისკოპოსისა, კჳზიკოელისა და იორდანეს მიმართ ხუცისა[1]; ბ) ორასეული — ღმრთისმეტყუელებისათჳს და ჴორციელად განგებულებისათჳს ძისა ღმრთისა[2]. ეგზეგეტიკური შინაარსისა: ა) «თალასეს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა და წინამძღურისა თითოსახეთა უღონოებათათჳს წმიდისა წერილისათა, — სიტყჳსდაწყებაჲ პატივსა შინა გუერდით მდებარეთა სხოლიოთათჳს», რომელშიაც ჩვენ გვაქვს მაქსიმეს «De variis scripturae sacrae quaestionibus ac dubiis ad Thalassium»[3]. ბ) «ლოცვისათჳს მამაო-ჩუენოჲსა ქრისტეს მოყუარისა ვისმე მიმართ თარგმანებაჲ შემოკლებული», რომელიც შეიცავს მაქსიმეს «Orationis Dominicae brevis expositio»-ს[4]. ორივე ეს თხზულება მოთავსებულია გელათის ერთადერთ ხელნაწერში № 14. პოლემიკური შინაარსისა: ა) პიროსის და მეგისტეს სიტყჳსგებაჲ (გელათ. № 14), ეს ის თხზულებაა, რომელიც წინათ ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა[5]; ბ) მოკლე პოლემიკური ტრაქტატები მონოფიზიტთა და მონოფელიტთა წინააღმდეგ[6]. სქოლასტიკური ნორმები პეტრიწონული სალიტერატურო სკოლისა, რომელთაც ჩვენ სვეტიცხოველის საკითხავშიაც ვამჩნევთ, ნათარგმნ თხზულებებში მთელი მათი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. ზ. ჭიჭინაძე კათოლიკოს ნიკოლოზს მიაწერს აგრეთვე შემდეგი თხზულებების თარგმნას: გრიგოლ ღვთისმეტყუელისას. ბასილ დიდის კაცისა შესაქმისათჳს-ას და გრიგოლ ნოსელის განმარტებაჲ ქებაჲ ქებათაჲს-ა[7]; მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ორი უკანასკნელი გიორგი მთაწმიდლის მიერაა ნათარგმნი, პირველი კი ექვთიმე ათონელის, დავით ტბელისა და ეფრემ მცირის მიერ.

49. იოანე ანჩელი

იოანე იყო ანჩის მთავარეპისკოპოსად თამარ დედოფლის მეფობაში. მეთორმეტე საუკუნის გასულსა და მეცამეტის დამდეგს. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ის იყო ძმა არსენ ბერისა (იხ. § 45) და ქუთათელ მთავარეპისკოპოსის ანტონ

[1] გელ. ხელნაწ. № 14; Migne. PG t. 91, col. 363 — 650.
[2] A 711; Migne, PG. t. 90. col. 1083 — 1176.
[3] Migne, PG. t. 90. col. 243 — 786.
[4] იქვე, col. 871 — 910.
[5] იქვე, t. 91, 287 — 354.
[6] გელათ. ხელნ. № 14; Migne. t. 91, 9 — 286. Opuscula theologica et polemica.
[7] «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», 26 — 27.

„საღირაძისა[1], მაშასადამე, თვითონაც საღირაძე. მას იხსენიებს წარწერა ანჩისხატის ღვთაებისა: «ბრძანებითა და ნიეთის ბოძებითა ღმრთიეგვრგვნოსანისა დიდისა დედოფალთდედოფლისა თამარისაჲთა მე იოანე ანჩელმან რკინაელმან კელეყაე საშინელისა ამის ხატისა პატივით მოქედად»[2]. ანჩისხატი, რომელიც დღეს თბილისში ინახება, შეადგენდა უდიდეს სიწმინდეს მთელი კლარჯეთის მხრისას და, კერძოდ, იოანეს ეპარქიისას, ამიტომ საკვირველი არაა, თუ იოანემ არამცთუ მოაჭედინა ეს ხატი, საგანგებო საგალობლითაც კი შეამკო ის. გალობანი ანჩისხატისანი, რომელთა თაესი იტყჳან: «საშინელსა ანჩისა ხატსა უგალობ უნდო იოანე ანჩელი», მოთავსებულია A ფონდის ხელნ. № 1040[3]. გ ა ლ ო ბ ა ნ ი წარმოადგენს ლიტურგიკულ კ ა ნ ო ნ ს, რომელიც გამსჭვალულია გრძნობითა და კრძალულებით. აქ ავტორი ამბობს: «ქრისტე ღმერთო, ინებე რა მოქცეეაჲ ჩუენი, ურწმუნოთაჲ, სარწმუნოებად, ხატი განკაცებისა შენისაჲ მოციქულისა ანდრიაჲს მიერ გამოგვბრწყინვე», ამისათჳს «ანდრიაჲ, თაჳ მოციქულთაჲ, პირველწოდებული მოწაფე მეუფისა დიდისაჲ, იდიდებოდენ ყოველთაგან უღაღთა ღადოთა კლარჯეთისათა. ერაპოლით მოიდა და ხატი ესე საშინელი ჩუენ, მოსავთა მისთა, მოგუანიჭა». ამნაირად, იოანეს სიტყვით, ანდრია მოციქულს, რომელიც იერაპოლიდან შემოსულა კლარჯეთში, თან მოუტანია არა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ჩვილედი ხატი, როგორც ეს გადმოცემულია მატიანეში, არამედ მაცხოვრის ხატი. შეიძლება იოანეს სხვაც რამე ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ამის მეტი ჯერჯერობით არაფერი ვიცით. იოანე ანჩელის გალობანი გამსჭვალულია თბილი მაბულიშვილური გრძნობით.

60. იოანე შავთელი

სახელოვანი მგოსნის იოანე შავთელის შესახებ ძალიან ცოტა ცნობები მოიძებნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს მიერ შედგენილ ფანტასტიკურ ბიოგრაფიას, რომლის მიხედვით იოანეს უსწავლია ჯერ შიომღვიმეში, მერე ათენში და ათონის აკადემიაში(?), ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ უმოგზაურია ეგვიპტე-ფინიკიაში, დაბოლოს, სამშობლოში დაბრუნებულა[4]. თვით დრო, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იოანე შავთელი, საეჭვოებელია. თუ ამდენ ხანს ჩვენს მწერლობაში თითქმის ყველა იმ ახრისა იყო, რომ შავთელი თამარ მეფის მგოსანია, მიმდინარე საუკუნის დამდეგს აკად. ნ. მ ა რ მ ა წამოაყენა თეორია, რომ ის დავით აღმაშენებლის თანამედროვე და შემამკობელია[5]. არგუმენტაცია ნ. მ ა რ ი ს ა, რომელიც მას ა ბ დ უ ლ-

---

[1] ს. ც ხ ე ი ლ ო ე ლ ი: გაზეთი «ივერია» 1900 წ., № 229; «Материалы по археологии Кавказа», вып. XII, стр. 151 — 158.

თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები. I, გვ. 293.

[3] М. Джанашвили, Описание рукописей Тбил. церковного музея, III, стр. 308 — 312; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია. I, 381 — 383.

[4] «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნისა». გვ. 14 — 23.

[5] Древне-грузинские одописцы: «Тексты и разыскания». кн. IV, Пет., 1902.

მესიანის შინაარსიდან მოჰყავს, მთლად დამაჯერებელი ვერაა, ასე რომ, ტრადიციული შეხედულება ჯერჯერობით შეურყეველი რჩება. სახელწოდება შავთელი უნდა იყოს შემოკლებული შავშეთელი, ეს კი ეთანხმება იმ ცნობას, რომელიც პლ. იოსელიანს «აბდულ-მესიანის» ძველ ხელნაწერში ამოუკითხავს, რომ ის იყო «ადგილთაგან საათაბაგოსთა»[1]. ქართლის ცხოვრებით იოანე ყოფილა «ყოველად განთქმული და საკრველი მოღუაწებათა შინა და ღეჭ-თა გამომთქუმელი»[2]. პლ. იოსელიანის მიერ მოტანილი ცნობით, შავთელი იყო მდივანი თამარ მეფისა, ხოლო «შემდგომ იქმნა მონაზონ და უწოდეს სახელი იოანე, რომელმან მოიგო ცხოერება თჳსი გელათისა მონასტერსა შინა»[3]. და მართლაც, შავთელი თვითონ უწოდებს თავის თავს «მწირად და მსხემად»[4], ძაშასადამე, ის მართლაც ბერი ყოფილა. 1206 წელს ის თამართან იყო ბოლოსტიკის ომის დაწყება-გათავებისას[5]. იოანე, მატიანის სიტყვით, «კაცი ფილოსოფოსი, რიტორი», ამასთანავე ყოფილა «ღეჭ-თა გამომთქუმელიც», ერთი სიტყვით — განათლებული მოღვაწე და მწერალი. მის კალამს ეკუთვნის «გალობანი ეარძიისა ღმრთისმშობლისანი». ეს არის ლიტურგიკული კანონი სახით დაწერილი სამადლობელი იამბიკო ღვთისმშობლის პატივად იმ გამარჯვების გამო, რომელიც წილად ხვდა ქართველებს ბოლოსტიკის ომში. ეს იამბიკო შენახულია გელათის ხელნაწერში № 22, რომლის ზანდუკში ან სარჩევში ის იოანე შავთელის ნაწარმოებადაა აღნიშნული[6]. იამბიკოს აკროსტიქი აქვს, რომელიც ამბობს: «ზესთა დიდებისა აღმატებულო და ანგელოზთა და კაცთა დიდებად შენდა ვითარ შობისა და ქალწულებისა შემაერთებელო ყოველადწმიდაო ღმრთისმშობელო ეარძიისა მოსახელესა ტაძარსა შენსა შინა[7] მგალობელი ვინმე შენი მაცხოვნე და მიკსენ მე სულიერისა ტყუეობისაგან» (ფ. 209 — 212). იამბიკო მეტად ორიგინალური ფორმითაა დაწერილი. ის, როგორც ლიტურგიკული კანონი, გაყოფილია რვა «გალობად»: I, III. IV, V, VI, VII, VIII, IX. თითოეულ «გალობაში» მოცემულია ოთხი სტროფი, სტროფში ხუთი სტრიქონი; სტრიქონი შეიცავს 12 მარცვალს, მაგრამ არა ყველა: ზოგი სტრიქონი გატეხილია ორად (5 — 7, 6 — 10), ზოგი სამად (7 — 10 — 7 = 2 სტრიქონი), ზოგი ოთხად (5 — 3 — 7 — 9 = 2 სტრიქონი). ასეთი დამტვრევა სტრიქონებისა გამოწვეულია საჭიროებით — იამბიკოში იმდენი სტრიქონი ყოფილიყო, რამდენი ასოც არის იმის აკროსტიქში. ასე რომ, სტროფში ყოველთვის 5 სტრიქონი კი არ გვაქვს, არამედ მეტიც: 5, 6, 7, 8, 9. კანონზომიერება დაცულია მხოლოდ იმ მხრით, რომ

---

[1] «აბდულმესია», 1838 წ. გამოცემა, გვ. 6.

[2] ქართლის ცხოერება, მარიამ დედოფლის ეარიანტი, გვ. 501.

[3] «აბდულმესია», გვ. 6.

[4] იქვე. გვ. 54.

[5] ქართლის ცხოერება, მარიამ დედოფლის ეარიანტი, გვ. 501, 507.

[6] იხ. აგრეთვე A 518. ფ. 537—539; S 379, გვ. 155—162. გამოცემულია ს. ყუბანეიშვილის «ქრისტომათიაში», I. 384 — 386.

[7] აქედან ჩანს, რომ იოანეს ერთ დროს ეარძიაში უმოღვაწნია.

თითოეული «გალობის» სტროფს ახასიათებს ყოველთვის ერთი და იგივე რაოდენობა სტრიქონებისა. ეს ნათელი გახდება შემდეგი ცხრილიდან[1].

გალობანი

სტრიქონთა რაოდენობა და მათში მარცვალთა რაოდენობა	I	III	IV	V	VI	VII	VIII	IX
1	5 | 1	12	5 | 1	12	12	5 | 1	12	12
2	7 |	12	7 |	12	12	7 |	12	12
3	12	12	12	12	12	7 |	12	12
4	5 | 1	7 | 1	12	12	12	10 | 2	12	12
5	7	5 |	5 | 1	2 | 1	12	7 |	12	12
6	7	12	7 |	10 |		5		
7	10 2		12			3 | 2		
8	7 |					7 |		
9						9		

ასეთი სურათი გვაქვს თითოეული გალობის ოთხსავე სტროფში. როგორც ზემოთ, გიორგი ათონელის მოღვაწეობის მიმოხილვისას დავინახეთ, იამბიკურ გალობათა აღნაგობის პრინციპში იოანე შავთელი რამდენადმე გიორგი მთაწმიდელს უახლოვდება, თუმცა მათ შორის განსხვავებაც მნიშვნელოვანია.

იოანე შავთელს მიაწერდნენ «ასურული კუნძლოსის» განმარტებას, რომელიც მოთავსებულია A 85-ში და გამოცემულია M. Brosset-ის მიერ[2]. მაგრამ ეს განმარტება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სულ სხვა პირს ეკუთვნის. იოანეს ეკუთვნის მხოლოდ «საძიებელი» და «მასწავლებელი» ამ კუნძლოსისა, რომელიც «იამბიკოდაა თქუმული» მის მიერ. ეს «საძიებელი და მასწავლებელი» იწყება ასე: «რიცხჳ თუეთა და კჳრიაკეთა, დღეთა, ჟამთა და მარცუალთაჲ», ხოლო თავდება სიტყვებით: «ერთრიცხუად ყოველნი მარცუალნი ჟამთანი ოთხ ბეურ სამ ათასდა რეაას»[3]. ეს არის, ასე ვთქვათ, შესავალი ამ კუნძლოსის განმარტებისა, რომელიც უკანასკნელის ავტორს განგებ მოუტანია აქ. მერე, თავისი ტრაქტატის დასასრულს, მას მოჰყავს იამბიკო შავთელისა. რომელშიც წარმოდგენილია კეინტესენცია კუნძლოსის ან პასქალისტური სისტემისა. ეს იამბიკო იწყება ასე: «ხოლო კუნძლოსისა ამის ასურულისა კითხვაჲ ესრეთ უწ-

[1] ხელნაწერებში იამბიკო გადამწერთა მიერ დამახინჯებულია, ზოგ სტრიქონში მარცვალთა რაოდენობა შერყვნილია. ცხრილი შედგენილია კრიტიკულად დადგენილი ტექსტის საფუძველზე.

[2] «Etudes de chronologie technique», p. 24—39.

[3] Brosset, იქვე, გვ. 24.

ყოდე», თავდება კი სიტყვებით: «ესეცა საკმარად რაჲ დღისად აღიწერა შორიელთა მათ დღეთა ძიებისათჳს»[1].

უველაზე უფრო საყურადღებოა იოანეს ო დ ა ან ხოტბა, რომელსაც ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა ეწოდება*.

51. არსენ ბულმაისიმისძე

არსენი, რომლის კათოლიკოსობის ზუსტი თარიღი ჯერ გარკვეული არაა, თვალსაჩინო მოღვაწეა მეცამეტე საუკუნის მეორე მეოთხედისა; ის თანამედროვეა რუსუდან დედოფლის მეფობისა, როდესაც, ჯალალ-ედინისა და მონგოლების შემოსევასთან დაკავშირებით, საქართველოში დიდ ძერებს ჰქონდა ადგილი. მას, როგორც განათლებულ კაცს, მჭიდრო კავშირი ჰქონია იმ დროის მეცენატებთან: ვარდან და აბუსერ აბუსერიძეებთან, რომელნიც იყვნენ შვილნი ერისთავთ-ერისთავის ივანესი. ეს სამი პირი, ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულნი, აღტყინებული პანეგირისტები არიან «ქართველთა სამეუფეოს» სიმტკიცისა და დამოუკიდებლობისა. მათი ასეთი განწყობილება გამოწვეულია მონგოლთა შემოსევის «ჟამთა სიავით». ერთ დროს არსენი გელათშიაც ყოფილა, ვინაიდან ერთი მისი წერილი აბუსერის მიმართ გამოგზავნილია გელათიდან[2]. ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის აფხაზეთის კათოლიკოსია, როგორც უკანასკნელად გამოითქვა მოსაზრება (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი: ე ნ ი მ კ ი-ს «მოამბე», V— VI, 402, 409). მისი საგალობლებიდან ჩანს, რომ ის «ქართლისა სამეფოჲსა მოქალაქეა». არსენი საკმაოდ ნაყოფიერი მწერალია. ზოგიერთი მისი თხზულება დაწერილია აბუსერისა და ვარდანის შეკვეთით. ის არის უმთავრესად ჰიმნოგრაფი, მას დაუწერია საგალობლები როგორც ქართველ წმიდათა და დღესასწაულთა სადიდებლად, ისე მსოფლიო ეკლესიისა. სხვა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება. ჩვენამდე შენახულა შემდეგი ნაწარმოებნი არსენ ბულმაისიმისძისა:

1) სჳნაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი: ფებერვლის, მარტის, აპრილისა და მაისის, რომელთა გამოთქმა უთხოვია მისთვის აბუსერ აბუსერიძეს[3]. ეს გაგრძელებაა იოანე პეტრიწის იამბიკური სჳნაქსარისა, რომელიც მოყვანილია ფებერვლამდე (სექტემბრიდან), დაწერილია პეტრიწისავე სტილითა და მეთოდით, ქართველ წმიდათა ხსენება შიგ არ არის.

2) «უფალო ღაღატჳყავსი», სტიქარონნი, წარდგომა, კანონი და «აქებდითი» ხელთუქმნელისა და უხილავისა ხატისა, ვარდან აბუსერიძის თხოვნით გამოთქმული[4]. აქ ჰიმნოგრაფი შეამკობს ჩვენში ანტონ მარტყოფელის მიერ ედესით ხელთუქმნელი ხატის მოტანას, რაც გამოწვეული იყო, ერთი მხრით,

---

* დაწვრილებით ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1958 წ., გვ. 233 — 247.

[1] B r o s s e t, ი ქ ვ ე, გვ. 37 — 38.

[2] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 11, 108 — 110.

[3] A 65, ფ. 233 — 245.

[4] ი ქ ვ ე, ფ. 287 — 293.

იმით, რომ «ანტონის ღმრთივმსწავლულსა ეძკნებოდა ღმრთისმბრძოლისა ნესტორის შვილთა პყრობად უხრწნელსა ხატსა». ხოლო, მეორე მხრით — მაცხოვრის «დიდის სიყვარულით ნათესავისა მიმართ ჩუენისა». ავტორი ამის გამო ქება-დიდებას შეასხამს ანტონ მარტმყოფელსა და მაცხოვარს და უჩვენებს დედააზრს ხატთა თაყვანისცემისას: «თჳთ პირმშოჲსა ხატისა მიმართ აღიწევის პატივი ქრისტეს ღმრთისა ხატისაჲ, ვითარცა ჰკრთს ნეტარი და დიდი მღდელთმოძღუარი ბრძენი ბასილიო». ხელთუქმნელი ხატის ქართლად შემოსელა, ჰიმნოგრაფის აზრით, არის მომასწავებელი იმისა, რომ ქართველები წარმოადგენენ «ერსა საზეპუროსა» და «ქართველთა სამეუფეო არასადა უმრწემეს ყო» ღმერთმან, ამისათვის ის გულის სიღრმიდან წამოიძახებს: ერნო ქართლისანო, გიხაროდენ და აღიპყრენით კელნი და მადლობაჲ შესწირეთ ხატსა ამას ყოვლადუხრწნელსა კელითუქმნელსა, რამეთუ ესე არს სამეუფოჲსა ამის სიმტკიცე, ძალი და დიდებაჲ, და ხმობდით: მოსწიე მეფესა ჩუენსა ძლევაჲ, ქრისტეს ღმრთისა ხატო საშინელო».

3) ძლისპირნი ზესთგამოთქუმისა კელთუქმნელისა ხატისანი 16 აგვისტოჲსა, — სრული კანონი, დაწერილი არსენის მიერ აბუსერ აბუსერიძის შეხვეწით [1]. წინა საგალობელში ავტორი შეამკობდა, როგორც ვთქვით, ხელთუქმნელი ხატის ქართლად მოტანას ედესია ქალაქით ანტონ მარტმყოფელის მიერ. ეს ფაქტი, უცილობელი და ურყეველი ქართლის ეკლესიის რწმენით, ჰიმნოგრაფს აგონებს მაცხოვრის მიერ თაბორის მთაზე «ბუნებრივი ხატის» ცვალებას, და ამიტომ ამ ჰიმნებს 6 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, გალობდა საქართველოს ეკლესია. ამავე დროს მსოფლიო ეკლესია 16 აგვისტოს დღესასწაულობდა სწორედ იმავე ხელთუქმნელი ხატის ედესია ქალაქიდან კონსტანტინოპოლს გადასვენებას. ქართველები, თავისთავად იგულისხმება, ამ დღესასწაულს ვერ უარჰყოფდნენ. ამიტომ საკვირველი არაა, რომ არსენის ამ დღესასწაულისათვისაც დაუწერია ჰიმნები, რომელთაც უფრო დოგმატიკური ხასიათი აქვთ: ავტორი აქაც არკვევს ხატთა თაყვანისცემის დედააზრს, მიმოიხილავს მსოფლიო მამათა მოძღვრებას ამ ჩვეულების შესახებ, არკვევს მაცხოვრის ღმერთკაცობრივ ბუნებას, მაგრამ მას, ჩანს, მაინც აინტერესებდა საკითხი: როგორ მოხდა, რომ ერთი და იგივე ხატი ჩვენშიაც მოიტანეს და კონსტანტინოპოლშიაც, რაიმე სიყალბე ხომ არ არის აქაო? არა, «ქალაქთა ბჭეთან (კონსტანტინოპოლმა) ტ ი ლ ო ჲ, ხოლო ქართლთან კ ე ც ი დაიმკჳდრა სიმდიდრედ საცხოვრებლად» კელთაგან ანტონისათაო, — ამბობს ის. მართლაც, ისტორიული მხარე ხელთუქმნელი ხატისა და მისი მისვლა-მოსვლა ჰიმნოგრაფს წინასაგალობლებში ასე აქვს წარმოდგენილი: ქრისტემ-«დაჰსნილსა ავგაროზს ტილოსა ზედა დაუბეჭდა უცვალებლად ხატი თჳსი, რომელმან კეცი დატჳფრა და კეცმან კუალად მსგავსი დაჰბეჭდა, რომელი ღირსისა ანტონის მიერ მოღუაწებითა ზენაჲთა ქართლად მოგუენიჭა ჩუენო». მაშასადამე, კონსტანტინოპოლში გადაუტანიათ ედესია ქალაქიდან თვით ტილოზე აღბეჭდილი ხატი, ხოლო ქართლში მოუტანიათ ამ ტილოდან კეცზე გადმობეჭდილი პირი ამ ხატისა. ეს გა-

[1] A 85, ფ. 294 — 302.

რემოება საბუთს აძლევს ჰიმნოგრაფს ახლაც თქვას: «სიხარულით აღიტყუელენ ჴელნი, ჴ ქართველთა სამეუფეოო, არასადა უმრწემეს ხარ ქალაქთა შორის ახლისა ისრაილისათა; ქართველთა მეფობაო, იხარებდ და განცხრებოდე», და მიმართოს მაცხოვარს ვედრებით: «მეფე მორწმუნე, შენ მიერ გკრგჳნოსანი, განამკნევე ძლევად მტერთა და გამოაჩინე იგი მძლედ ბარბაროზთაო». ამ პატრიოტული გრძნობით ნაკარნახევი სიტყვების მიზანი უნდა იყოს მონგოლებისა და ჯალალ-ედინის შემოსევის გამო სულით დაცემული ქართველების გამხნევება.

4) ებისტოლე, მიწერილი გელათიდან აბუსერი აბუსერიძის მიმართ[1]. როდესაც აბუსერ აბუსერიძეს უთხოვნია არსენისათვის ზემოდასახელებულ 16 აგვისტოს საგალობელთა დაწერა, არსენის საპასუხოდ გამოუგზავნია მისთვის ეს წერილი, რომელიც მაჩვენებელია მისი ელინური განათლებისა და ენაწყლიანობისა. ის ეუბნება აბუსერს: შენი წინადადება მე მაცვიფრებს, მე «ჭევი ვარ ურწყული უდაბნოსა», შენ კი ჩემში «ჰგონე მდინარე და მღიდროობა ნილოსჲსაო». განა ის, ვინც მოჯდომია «ტრაპეზსა აღსავსესა, გლახაკისა უბეთაგან სასოებს განძღომასა»? ანუ «ვინ დაუტევნა ოდესცა სამეფონი საწდეენი. ტაიუჯნი და ფიალანი აღსავსენი, და გულთ-უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა შთაწრედად? ვინ თქუას დატევებად წყალთა პონტოჲსათა და მისწრაფებად ფრეათა უქმთა არაბიაჲსთა»? მე თუმცა ვიცი, «ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ. რომელსამე საქებელ ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად უმეცრებისაჲ», ვიცი ესიც, რომ, იოანე ოქროპირსა არ იყოს, «რომელთა არა სულისა წმიდისა მიერ მიეღოს და რიტორობდენ, მსგავს არიან ბრმისა, კედელთა მფეშუებელისაჲ», მაგრამ «ვიძლიე» და შენს თხოვნას ვასრულებო.

5) საგალობელნი შიო მღვიმელისა: ა) მოკლე დ ა ს დ ე ბ ე ლ ი[2], ბ) დ ა უ ჯ დ ო მ ე ლ ი მისი და გ) კ ა ნ ო ნ ი[3]; მასვე უნდა ეკუთვნოდეს შიო მღვიმელის მოკლე სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც გამოცემულია თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ[4].

6) საგალობელნი ნინოსნი: დასდებელნი «უფალო ღაღატეყაჳისანი» და კანონი, რომელსაც შემდეგი აკროსტიქი აქვს: «ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი»[5]; ეს საგალობლები დაბეჭდილს ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო შ ი ა ც შესულა, ეს არის იამბიკური «გალობა», რომელიც 33 ხუთსტრიქონიანი სტროფისაგან შედგება.

7) ა წ დ ა აქებდითსა ზედა წმ. გობრონისა და ესტატე მცხეთელისა (ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო შ ი).

8) იამბიკო ღვთისმშობლის სახელობისა.

---

[1] A 85, ფ. 302 — 303; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 108 — 110.

[2] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ტაბ-ტაბ.

[3] H 1349; A 385.

[4] «ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა», თბილისი, 1896, გვ. 70.

[5] H 1349, ფ. 3 — 9; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, კრესტომათია, I, 388 — 390.

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით[1], არსენის დაუწერია კიდევ თითქოს კრება, რომელიც შეიცავს მსოფლიოთა და ადგილობითთა კრებათა ისტორიას, და ბრწყინვალე კვირა, რომელიც განმარტავს აღდგომის ბრწყინვალე მნიშვნელობას ქრისტიანეთათვის. მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი თხზულებანი არ ვიცით არსაიდან, მეორე და უმთავრესი: აღნიშნულ შრომებს სხვა თაყის თხზულებებში ზ. ჭიჭინაძე სულ სხვა მწერლებს მიაკუთვნებს: კრებას — მიხეილ კათოლიკოსს[2], ხოლო ბრწყინვალე კვირას—აბრაამ ეპისკოპოსს[3]. ასე რომ, ეს ცნობა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია.

52. საბა სვინგელოზი

საბა სვინგელოზი ყოფილა კარის (ყარსის?) ეპისკოპოსი, თანამედროვე კათოლიკოსის არსენ ბულმაისიმისძისა და ძმათა აბუსერიძეთა: ვარდანისა და აბუსერისა. ჩვენ არ ვიცით, ეს საბა სვინგელოზი ჰყავს მხედველობაში ზ. ჭიჭინაძეს, თუ სხვა, როდესაც გადმოგვცემს, რომ ის იყო ჯავახეთიდან, 1102—1158 წლებში, მოღვაწეობდა ათონზე და დაწერა: 1) კანონი მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი წესებისა, 2) ცხოვრება დავით აღმაშენებლისა და 3) გადმოთარგმნა ელინურიდან ირმოლოგიონი[4]. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს საბაზე, კარის ეპისკოპოსზე, ეს არ ითქმის. არც პლ. იოსელიანია მართალი, თუ ჩვენს საბას გულისხმობს, როდესაც შენიშნავს, რომ საბა სვნგელოზი ცხოვრობდა 1150 წელს და გადმოიღო ბერძნულიდან ირმოლოგი, ანუ ძღვნისპირი, რომელსაც ხმარობს აწ ეკლესია ქართველთაო[5]. საბა სვინგელოზის, კარის ეპისკოპოსისაგან, შენახულა მხოლოდ «გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი», რომელთა აკროსტიქი ამბობს: «ქრისტე ღმრთის ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს»[6], ესე იგი, ვარდან აბუსერიძეს, რომლის შეხუეწით, როგორც საგალობელთა წარწერაშია აღნიშნული, შეუთხზაკს მას ისინი. ამის მეტი არც ანტონ კათოლიკოსსა სცოდნია საბას შრომებიდან. ვინაიდან ის პირდაპირ ამბობს: «საბასგან ქმნილი ვნახე კანონი რამე, ქელითუქმნელის ხატისათჳს ძნობილი»[7]. ამ კანონში ლაპარაკია მაცხოვრის განკაცების შესახებ, როდესაც მან გვიჩვენა ჩვენ ბუნებითი მამული ან პირმუო ხატი თვისი. ეს ხატი ან. უკეთ რომ ვთქვათ; განკაცება მაცხოვრისა, ჰიმნოგრაფს აგონებს ხელთუქმნელ ხატს, რომელიც «აღმოყვანებულ იქმნა ედესით ქართლად ქრისტეს საკუთარის» ან მეგობრის ანტონის მიერ. კანონი, როგორც კათოლიკოსი ანტონიც შენიშნავს, «საკჳრველი, მშუენიერი» ფრასითაა დაწერილი და «უხვმკობით განკარგული».

---

[1] «ქართული მწერლობა. XIII — XVI სს.», გვ. 1 — 2.
[2] «ქართული მწერლობა XII ს.», გვ. 24 — 25.
[3] «ქართული მწერლობა, XIII — XVI სს.», გვ. 24 — 25.
[4] «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 27 — 28.
[5] «წყობილსიტყვაობა», გამოც. პლ. იოსელიანისა, შენიშვნა 142.
[6] A 85, ფ. 293 — 297; ს. ყუბანეიშვილი, კრესტომათია, 1, 391 — 393.
[7] «წყობილსიტყვაობა», სტროფი 764.

58. აბუსერიძე ტბელი

აბუსერიძე ტბელი ყოფილა დიდგვარიანი კაცი, ძე ხიხთა-აჭარის ერისთავთ-ერისთვის ივანესი და ძმა ზემოხსენებულთ ვარდანისა და აბუსერისა. სახელწოდება ტბელი გვაფიქრებინებს, რომ ის იყო მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი; ის ამასთანავე ნიჭიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალი ყოფილა. მის თხზულებათაგან ჩვენამდე შენახულა შემდეგი:

1) «სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი»[1]. აქ აღწერილია: ა) ოპიზის მახლობლად ვინმე ბასილის ან ბაჩილას, ანდა ბოლოკ-ბასილას მიერ, წმინდა გიორგის ბრძანებით, მის სახელზე ეკლესიის აშენების ამბავი. ბ) ალაველრდის წმ. გიორგის სასწაულთმოქმედება. გ) ადამიანის დახსნა ტყეეობიდან წმ. გიორგის მიერ. დ) ხვარაზმელთა შემოსევა საქართველოში და ქვეყნის აოხრება. ე) ხიხთა ეკლესიის აგება, გაფართოება და შემკობა. ზოგი რამ, რაც აქ აუწერია აბუსერიძეს, მიუთხრეს მას ბაჩილას შვილიშვილმა იოსებმა და მისმა მახლობლებმა. მართალია, ავტორს მიზნად ჰქონია წმ. გიორგის სასწაულთმოქმედების აღწერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს თხზულება საყურადღებო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმაში წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათები[2].

2) «ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა»[3]. რომელსაც, რაღაც გაუგებრობით, ზოგიერთნი ამდენ ხანს იოანე შავთელს მიაწერდნენ. იოანეს ის არ ეკუთვნის. ვინაიდან ავტორი მისი პირდაპირ ამბობს, რომ მან თავის შრომას თავსა და ბოლოში დაურთო იამბიკონი იოანე შავთელისა. ამას გარდა, შიგ თხზულებაშიც იხსენიებს ის «სანთელსა სულიერისა ფილოსოფოსობისასა, წმიდასა შავთელსა, შეწყობითა იამბიკოჲთა კეთილად და ღმრთივშუენიერად წარმომაჩინებელსა» ზოგიერთი მისთვის საინტერესო, აზრისას[4]. ეს არის ვრცელი ტრაქტატი, რომელშიაც განმარტებულია ეგრეთ წოდებული ასურული კვნკლოსი. ტრაქტატი მდიდარია სხვადასხვა კალენდარული, არითმეტიკული და. განსაკუთრებით, ასტრონომიული ტერმინებით. ასე რომ, სრული საბუთი ჰქონდა ბროსეს ეთქვა ამ შრომის გამო: «ქართველებმა 1233 წელს (როდესაც დაუწერია ის აბუსერიძე ტბელს) უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შედგომოდა კალენდრის შესწორებას. საყურადღებო უფრო ისაა, რომ ავტორი ცდილა შეეფარდებია ერთიმეორისათვის ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვა და პასქალისტური სისტემა და შეძლებისდაგვარად შეეთანხმებია ისინი. ამ შრომაში წარმოდგენილია 532-წლიანი დიდი ინდიქტიონი, რომელსაც შემდეგი განმარტე-

---

[1] A 85, ფ. 351 — 362; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 112 — 122. უკანასკნელი, 1941 წლის გამოცემა ეკუთვნის ლ. მუსხელიშვილს.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამ. I, გვ. 191. ვ. ჩიქოვანმა ამ თხზულებაში აღნიშნა ფოლკლორული ელემენტები (საქ. მეცნ. აკად. «მოამბე», ტ. V, № 7, 1944 წ.).

[3] A 85, ფ 317 — 345; M. Brosset, Études de chronologie technique, p. 24 — 37.

[4] Brosset, იქვე, გვ. 33.

ბანი აქვს დართული: 1. ზედნადებისათჳს. 2. უწყებაჲ დიდისა მცხრალისა. თუ რაჲთა დაიყენების დიდი პასექი და ცხოველსმყოფელი აღდგომაჲ. 3. დიდისა მცხრალისათჳს. 4. მარხვის დაყენებისათჳს. 5. უწყებაჲ დღ[ე] საძიებელთათჳს, თუ რაჲსა მიზეზისაგან შეიქმნებიან. 6. მიზეზისათჳს, თუ რად მოიქმარებიან ზედნადებნი. 7. უწყებაჲ დასაბამითგანთა წელთაჲთგან მასწავლებელი. 8. ძიებისათჳს და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალ[ავ]ისა. თუმცა, როგორც დავინახეთ, ამ ტრაქტატში, სხვათა შორის, დ ღ ი ს ა ძ ი ე ბ ე ლ თ ა თ ჳ ს ა ც არის ლაპარაკი, მაგრამ ავტორს საჭიროდ მიუჩნევია «უგანცხადებულესადრე გამოთქუმაჲ» მისი და ამიტომ საგანგებოდ განუმარტავს ეს მუხლი სხვა ადგილას[1]. ამ შრომაში საყურადღებოა აბუსერიძე ტბელის ესკატოლოგიური რწმენა იმის შესახებ, რომ ქვეყნის გაჩენიდან შვიდი ათასი წლის განსრულების შემდეგ, სახელდობრ, 1396 წელს, მეორედ მოსელა და ქვეყნის აღსასრული უნდა მოხდეს[2].

3) აბუსერიძე ტბელს შეიძლება ეკუთვნოდეს აგრეთვე გალობანი სამთა იოანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა, «ერთმოსეხნეობისათჳს» მათისა[3], ყოველ შემთხვევაში, ის ამბობს, რომ ეს საგალობელნი მის მიერაა «შემატებულნი» ხელნაწერში (A 85), რომელშიაც მას სხვა ავტორთა ნაწარმოებნიც მოუქცევია.

54. პეტრე გელათელი

პეტრე გელათელის შესახებ, რომელსაც მეორე პერიოდის მწერალთა შორის ქრონოლოგიურად უკანასკნელი ადგილი უკავია[4], ბიოგრაფიული ცნობები არა გვაქვს. ანტონ კათოლიკოსი პეტრეს უწოდებს ფილოსოფოსს, რიტორსა და

---

[1] A 85, ფ. 231 — 232.

[2] ქ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ესკატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, «ჩვენი მეცნიერება», I, გვ. 59 — 65.

[3] A 85, ფ. 218 — 230; გელათ. № 22, ფ. 1 — 2.

[4] იმ მწერალთა გარდა, რომელნიც ჩვენ ჩამოვთვალეთ მეორე პერიოდიდან, ა ნ ტ ო ნ კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი თავის «წყობილსიტყვაობაში», პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი «წყობილსიტყვაობის» სქოლიოებში და ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე თავის თხზულებაში «ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში» უჩვენებენ რამდენიმე პირს, რომელთაც თითქოს მწერლობის ასპარეზზე უმოღვაწნიათ. სამწუხაროდ. ისინი არ აღნიშნავენ წყაროებს, საიდანაც ასეთი ცნობები ამოუღიათ, თხზულებები კი, რომელნიც მათ აქვთ ჩამოთვლილი, ან სრულიად არ შენახულან ჩვენამდე, ანდა, დანამდვილებით ვიცით, სულ სხვა პირთ ეკუთვნის. ასეთებია მათი ცნობით: 1) ზ ა ქ ა რ ი ა მ ი რ დ ა ტ ი ს ძ ე, რომელსაც ანტონ კათოლიკოსი უწოდებს «წიგნთ მეთარგმანესა» და რომელიც პლ. იოსელიანის ცნობით, 1008 — 1014 წლებში ცხოვრობდა («წყობილსიტყვაობა», სტროფი 702, შენიშ. 123). ბ. იოსელიანი ამბობს, რომ ზაქარიამ აღწერა ს ტ ო დ ი ე რ ი, შეტაფრასი ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა და ღვთისმშობლის მიძინებისა და ს ა უ ნ ჯ ე კირილე ალექსანდრიელისაო. თუ «აღწერა» გადმოწერას ნიშნავს, ეს ცნობა, შეიძლება, მიღებულ იქნეს, ვინაიდან ზაქარია მირდატისძეს ჩვენ ვიცნობთ როგორც ერთ-ერთ დაახლოებულ პირს გქვთიმე ათონელთან («ათონის კრებული», გვ. 62). რომელიც თაეის დროს უმთავრესად წიგნების გადაწერას ანდომებდა; ხოლო «აღწერა» თუ თარგმნას გულისხმობს, ეს ცნობა უკეგდებულ უნდა იქნეს, ვინაიდან ჩამოთვლილი თხზულებანი სულ სხვა პირთა მიერაა თარგმნილი.

ღვთისმეტყველს და ადარებს მას იოანე პეტრიწს, არსენ იყალთოელსა და ეფრემ მცირეს («წყობილსიტყვ.», 768 — 769). პლ. იოსელიანის სიტყვით, პეტრეს, რომელიც 1250 წლის ახლო ხანებში ცხოვრობდა და გელათის მონასტერშია დასაფლაებული, დაუწერია თუ უთარგმნია, შემდეგი თხზულებანი: 1) სიტყვა განხორციელებისათვის ძისა ღვთისა, 2) «ქალწულებისათჳს» ბასილი დიდისა, 3) «მოწამეობისა გჳრგჳნი» განსამხნევებლად აგარიანთაგან დევნილ ქართველებისა, 4) გრიგოლ ნაზიანზელის 186-მუხლიანი სიტყვა სტიხად (S 379, გე.

---

2) გიორგი ოლთისელი, პლ. იოსელიანის ცნობით, გარდაიცვალა ათონის მთაზე 1072 წელს. მან გადმოთარგმნა ბერძნულიდან ტიბიკონი საბა განწმედილის მონასტრისა. სიტყვანი მაქსიმე აღმსარებელისა და ოქროს წყარო იოანე ოქროპირისაო. გიორგი ოლთისელი არის ცნობილი წინამძღვარი ათონის იერარიის მონასტრისა, რომელიც ამ თანამდებობაზე აყვანილ იქნა გიორგი მთაწმიდლის გარდაცვალების შემდეგ. ის არამცთუ 1072 წელს, 1077 წელსაც ცოცხალი იყო. ხელნაწერთა მინაწერებიდან ვგებულობთ, რომ გიორგის ბრძანებით ხშირად გადაწერებოდა ხოლმე ესა თუ ის თხზულება, მაგრამ იმას რომ თვითონ ეთარგმნოს რამე, არსაიდან ჩანს. კერძოდ, ტიბიკონი საბა განწმედილისა ქართულად ითარგმნა არაუადრეს მეთორმეტე საუკუნისა (К. Кекелидзе, Литургические грузин. памятники. стр. 507—510); «სიტყუანი» ან თხზულებანი მაქსიმე აღმსარებლისა გადმოღებულია ექვთიმე ათონელისა და ნიკოლოზ გულაბერიძის მიერ. რაც შეეხება იოანე ოქროპირის ოქროს წყაროს (S 2436, 2600, 3650), ის შედგენილია XVIII საუკუნეში გაბრიელ მცირის მიერ და საბუთს იმისას, რომ ის გიორგი ოლთისელის მიერაა ნათარგმნი, ვერსად ვპოულობთ. 3) იოანე პატრიკ ყოფილი, ანტონ კათოლიკოსის ცნობით, იყო დიდებული მთავარი, რომელიც მერე ბერად შემდგარა. ამასთანავე «წიგნთა თარგმანი», «ფილოსოფოსი საღმრთო» და «ბერძენთა შორის ქება-სხმა განსმენილი» («წყობილსიტყვაობა», სტროფი 725 — 726). ეს იოანე მოხსენებულია გიორგი მთაწმიდლის ბიოგრაფიაში, სადაც ნათქვამია, რომ მას «ფრიადითა შრომითა და გულსმოდგინებითა» აღუწერია გიორგის მიერ თარგმნილ თხზულებათა «ზანდუკი და ანდერძი», «რაჟამს იგი თაყისა თჳსისათჳს გარდაიწერნა წმინდანი ესე წიგნნი» («ათონის კრებ.», გვ. 311). მაგრამ მას რომ თვითონ ეთარგმნოს რამე, არსაიდან ჩანს, პლ. იოსელიანიც კი არას ამბობს ამის შესახებ. 4) ანტონი მცირე, რომელიც პლ. იოსელიანის ცნობით, გარდაიცვალა 1085 წელს, ანტონ კათოლიკოსის სიტყვით, ყოფილა «წიგნთა თარგმანი, სიბრძნისმოყუარე. ღვთისმეტყუელი და რიტორი» («წყობილსიტყვაობა», სტროფი 715—716). პლ. იოსელიანი გვამცნობს, რომ ანტონს დაუწერია ექვთიმე ათონელის საგალობლებიო. ექვთიმეს საგალობლები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუწერიათ ზოსიმეს, ბასილსა და გიორგი ათონელს. შეიძლება ანტონსაც შეეთხზას რაიმე ამის მსგავსი, მაგრამ ვერსად ასეთ საგალობლებს დღესდღეობით ჩვენ ვერ ვპოულობთ. 5) მიხეილ კათოლიკოსი, რომლის შესახებ ცნობები მხოლოდ ზ. ჰიპინაძეს დაუბეჭდავს («ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში», გვ. 24 — 25), აღზრდილი ყოფილა საქართველოში, უმჯზაერია იერუსალიმში, ათონის მთაზე და საშობლოში დაბრუნების შემდეგ თავი გამოუჩენია როგორც სომეხთა წინააღმდეგ პოლემისტს. მიხეილს, რომელიც, ჰიპინაძის ცნობით, 1114 — 1171 წლებში ცხოვრობდა, დაუწერია «მამათა კრება», — მოთხრობა მსოფლიო კრებათა შესახებ, რომელიც თითქოს მეთორმეტე საუკუნეში დაკარგულა, «გჳრგჳნი», რომელიც მეცამეტე საუკუნეში დაკარგულა და მერე სხვას უთარგმნია ხელმეორედ, ცხოვრება სოფრონ პალესტინელისა და დაუით აღმაშენებლის ძის, დიმიტრი მეფისა. მეთორმეტე საუკუნეში ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი კათოლიკოსი მიხეილი (1178 — 1186 წლებში), რომელიც ცნობილია მხოლოდ თავისი უარყოფითი მხარეებით და არაფერი მწერლობაში არ გაუკეთებია. საეკლეო თვით სია მიხეილის თხზულებათა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს მწერლობაში რომ «მამათა კრებისა» მსგავსი თხზულება არ ყოფილა, ამას ამოწმებს, სხვათა შორის, ტიმოთე მიტროპოლიტი თავისი «მარწყუხისა» შესაბამში, თან ამ თხზულების თარგმანს ზ. ჰიპინაძე სხვა ადგილას («ქართული მწერლობა, XIII — XVI სს.», გვ. 1 —2)

103 — 119), 5) დასდებელ-საგალობელნი წმიდათანი და 6) ლექსი იამბიკოდ ღვთისმშობლის პატივად[1].

ვერ ვიტყვით, რამდენად სანდოა ეს ნუსხა, ვინაიდან აქ ჩამოთვლილი თხზულებანი, გარდა მეოთხისა, არსად არ შეგვხვედრია. თუ მეოთხე მართლა პეტრეს ეკუთვნის, იმასვე უნდა მივაკუთვნოთ ის 24 იამბიკო გრიგოლ ღვთისმეტყველისა, რომელიც ჩვენ გვაქვს S 379 ხელნაწერში.

ერთადერთი შრომა პეტრესი, რომელსაც მისი სახელი აწერია, არის თარგმანი იოანე სინელის კ ლ ე მ ა ქ ს ი ს ა პატრიარქ ფოტის სქოლიოებითურთ (A 39). ამ თარგმანს ბოლოში დართული აქვს იამბიკო, რომლის კიდურწერილობა ამბობს: «კიბედ ვინაჲ ცად მიმავლენ, წარმიმართეთ». აგრეთვე მას აქვს ორი მრგვლიეწარწერა, ერთი იამბიკოს გარშემო, რომელიც ასეთ ფრაზას გვაძლევს: «კიბე განსთალე გელათს ნაგები», მეორე — «პეტრე წერად ვეცადე». უფრო მკაფიოდ პეტრეს ბთაგმნელობას ამცნევენებს შემდეგი იამბიკო:

ასა შენთაცა, დიდო, იქართლეს კუალად
კიბე ხარისხთა, ცად მყუანთა, იოანნი,
თნებისა ღ[ა]თა, ქრისტეს ჭეუსწორ ქამ-რიცხვთა

აკუთვნებს კათალიკოს არსენი ბეღმაისიმისძეს. 6) თ ე ო დ ო რ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ცხოვრობდა 1101 — 1181 წლებში; ის აღიზარდა იერუსალიმში ჯვარის მონასტერში. ზედმიწევნით შეუსწავლია ბერძნული ენა. ასე რომ ბერძნებს ნაკოშიდიის კათედრაზე აუყვანიათ ეპისკოპოსად. თეოდოროს უთარგმნია შემდეგი წიგნები: სახარება ლუკასი და მარკოზისი, სამოციქულო, სტოდიერის მონასტრის მარხეული, წიგნი «ფუტკარი» და «მარგალიტიდან» გამოკრებილი ადგილები («ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში». გვ. 27). თეოდოროს პიროვნებასაც რომ დავანებოთ თავი. თვით სია მის მიერ ნათარგმნ თხზულებათა პირდაპირ ფანტასტიკურია. ქართულ მწერლობაში სახარებისა და სამოციქულოს უკანასკნელი თარგმანი ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირისა და იოანე ჭიმჭიმელს, არც ერთ იოანეს ან სხვა ვინმეს ისინი მერე არ უთარგმნია. «სტოდიერის მარხეანი» გადმოთარგმნა გიორგი მთაწმიდელმა. «ფუტკარი». როგორც უკვე აღნიშნეთ, სტეფანე ათონელმა. ხოლო «მარგალიტის» ზოგიერთი ნაწილი უნდა ეთარგმნოს ექვთიმე ათონელს. ყოველ შემთხვევაში, ეფრემ მცირის ცნობით, «მარგალიტი» (სინას მთის ხელნ. № 85; A 50) უკვე მეთორმეტე საუკუნეში იყო გადმოთარგმნილი (თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, I, 218), 7) გ ი ო რ გ ი ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი გამორჩენილი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწეა მეთორმეტე საუკუნის დასაწყისისა; ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუის-ურბნისის კრების «ძეგლისწერაც» მას აღიარებს «თჳალად წმიდისა ამის კრებისა» (თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 71). 1103 — 1110 წლებში გიორგის ჰყონდიდლობა მიეღია, ვინაიდან 1103 წელს რუის-ურბნისის კრება მას ჯერ კიდევ უბრალო «მონაზონად» იხსენიებს, ხოლო სამშვილდისა და ძერნას აღებისას, 1115 წელს, ის უკვე ჰყონდიდლადაა მოხსენებული (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. II. 511). გიორგი რომ გამოჩენილი მეცნიერი და მწიგნობარი ყოფილა ამას მისი თანამდებობა «მწიგნობართ-უხუცესობა» ჯეელაზე მეტად ამტკიცებს და ამისათვის სრულიად საჭირო არაა მას მიეწეროთ რაღაც «აღაპი» და «სიმონ კანანელისა და ანდრია მოციქულის ცხოვრება». როგორც ამას ჩადის ზ. ჭიჭინაძე («ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში». გვ. 29). მით უმეტეს, რომ თავის მეორე თხზულებაში «სიმონ კანანელისა და ანდრია მოციქულის ცხოვრების» დამწერად ზ. ჭიჭინაძე მეთუთხმეტე საუკუნის მოღვაწეს, ვიღაც ბასილ მთაწმიდელ ეპისკოპოსს, თელის («ქართული მწერლობა, XIII — XVI სს.», გვ. 23).

[1] «წყობილსიტყვაობა», შენიშვნა 144; ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა, XIII — XVI სს., გვ. 2.

შენ სულსახელმან, შენ ღუწამან ინებე რა
სძლის ყვანა მათი, პეტრესგან ნერგეულისა[1],

თუმცა იოანე სინელის კლემაქსი ნათარგმნი იყო ექვთიმე ათონელის მიერ, მაგრამ ის ჩვენი მწერლობის მეორე პერიოდში განსაკუთრებით პეტრიწონულ სალიტერატურო წრეებში, მკითხველებს არ აკმაყოფილებდა, ვინაიდან სიტყვასიტყვით კი არ იყო ნათარგმნი, არამედ ექვთიმესებურად. თავისუფლად და მარტივად. ამიტომ პეტრეს კვლავ გადმოუთარგმნია იგი გელათში («კიბე გელათს ნაგები») და დედნად აუღია ისეთი რედაქცია, რომელსაც თანდართულ ჰქონდა ფოტი პატრიარქის სქოლიოები. ამ თარგმანიდან ნათლად ჩანს, რომ პეტრე მიმდევარი ყოფილა პეტრიწონული სკოლისა, რომლის ნორმებს ჩვენ ვხედავთ ამ თარგმანის ყოველ სტრიქონში.

55. მაკარი მღვდელი

XIII—XV საუკუნეში უთარგმნიათ თუ გადმოუკეთებიათ ქართულად «ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა»[2]. პეტრე იყო ძე მეფის ვარაზ ბაკურისა[3] და ერისკაცობაში მურვანოზი ერქვა. დაიბადა ის 412 წელს და, როდესაც 12 წლისა შეიქნა, თეოდოსი იმპერატორმა კონსტანტინოპოლს გაიწვია მძევლად. რათა ქართველები სპარსელებს არ მიჰკერძებოდნენ. აქ, სასახლეში, მან შეისწავლა ბერძნული ენა და ყოველგვარი მეცნიერება, მაგრამ, ვინაიდან სასახლის ცხოვრება მას არ აკმაყოფილებდა, ადგა ღამე და გაიპარა იერუსალიმში, სადაც სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობდა. მეხუთე საუკუნის ნახევარში ის აირჩიეს მ ი უ მ ი ს ან მაიუმის, იგივე ღ ა ზ ი ს, ეპისკოპოსად. ის ცნობილი იყო, როგორც მიმდევარი მონოფიზიტთა იდეოლოგიისა, თუმცა აქტიურ მებრძოლად არასდროს არ ყოფილა. გარდაიცვალა პეტრე 488 წელს. მისი ცხოვრება მეხუთე საუკუნის გასულს თუ მეექვსის დამდეგს აღუწერია, თუ ქართულ ვერსიას დაეუჯერებთ, მის მოწაფესა და თანამხლებელს ზ ა ქ ა რ ი ა ს, ქართველს, ასურულ ენაზე («ცხორება», გვ. 2—3)[4]. ხოლო ქართულად უთარგმნია-

[1] A 39, № 711, ფ. 105. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია I, გვ. 394. პეტრეს ეს შრომა, 21 თავიდან, სიმეონ ხუცესმონაზონს უთარგმნია, უსპოლიოდ, სომხურ ენაზე, ხოლო იოანე სინელის ბიოგრაფია მას გადაუთარგმნია ექვთიმე ათონელის თარგმანიდან (ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ე ნ ი მ კ ი-ს «მოამბე», III, 128 — 130).

[2] H. M a r r. Житие Петра Ивера, царевича-подвижника и епископа Майюмского, «Православ. Палест. Сборник», т. XVI, вып. II, Петерб. 1896 г.; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 256 — 272.

[3] ნამდვილად ბუზმარიოსისა და დიდი ბაკურის ქალის ბაკურდუხტისა (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნალი «მნათობი» 1929, № 7, გვ. 148).

[4] ნამდვილად კი ზაქარია რიტორს, ისაიასა და სევეროზ ანტიოქელის ცხოვრებისა და ცნობილი «საეკლესიო ისტორიის» ავტორს, დაუწერია ბერძნულად პეტრე მაიუმელის ცხოვრებაც; ეს ბერძნული «ცხოვრება» არ შენახ ლა, დარჩენილა მხოლოდ ფრაგმენტები ასურული თარგმანისა, იმ თარგმანისა, რომელიც საფუძვლად უძევს ქართულ ვერსიას (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, იქვე, გვ. 137 — 178). ზაქარია რიტორი მაკარის ზაქარია ქართველად უქცევია.

გადმოუკეთებია ვიღაც მღვდელს მ ა კ ა რ ი მ ე ს ხ ს. ამის შესახებ ც ხ ო რ ე ბ ა ში ნათქვამია: «ესე ცხორება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა ამას კურთხეულსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესსა, ასურებრითა აღეწერა, ვინაჲდან ფრიად მეცნიერ ყოფილა მათსა ენასა და კუალად რამეთუ პალესტინეს ასურნი მრავალნი არიან და დიდ და უფროსად ქალაქსა მაიუმისასა. სადა იგი წმიდა პეტრე მღდელთმოძღურობდა. ხოლო მე, გლახაკმან მაკარ ხუცესმან მესხმან[1], გადმოვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ ფრიად მეცნიერ ვიყავ მეცა მათსა ენასა.

მაკარის შრომა ჩვენამდე პირვანდელი სახით არ შენახულა, მისთვის რედაქცია გაუკეთებია ვიღაც პ ა ვ ლ ე დეკანოზს, რომელიც ამბობს: „წმიდანო ღმრთისანო და მამანო ღმერთშემოსილნო... ღოცვა ყავთ ჩემთკსცა პავლე ხუცისა და დეკანოზისა, დაღაცათუ წერა არა ვიცოდი, არამედ გულისჰოდგინება ფრიად მაქუნდა... ღმერთმან უწყის, თუ რა ჴირი მინახავს ამის წმიდისა... ცხორების› წერასა და ნუ შემიწუხებით—გადამივრცელებია შესავალითაცა და სასწაულთა მიწყებითა და ბოლოსა კეთილად დასრულებით» (გვ. 53). ყოველივე ეს პავლეს ჩაუდენია იმიტომ, რომ დედანი, რომლიდანაც ის წერდა, ამლილი და უთავბოლო ყოფილა, საეკლესიოდ საკითხავი წიგნი კი «არა აშლილი კამსო», ამბობს ის. მართლაც, პავლეს უნდა ეკუთვნოდეს ბოლოსიტყვაობა (თ. 1 და 70). პავლეს რედაქციიდან ვიღაცას გადმოუკეთებია მოკლე სვინაქსარული რედაქცია და ამ უკანასკნელიდან ვახტანგ მეექვსეს, როდესაც ის ჯერ კიდევ გამგებელი იყო, მაშასადამე, 1711 წლამდე, შეუტანია ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ში (გვ. 139).

როდის თარგმნა მაკარი მღვდელმა ასურული ც ხ ო ვ რ ე ბ ა ქართულად? ც ხ ო რ ე ბ ა ში მოხსენებულია «ნიკიტა სალმრთო ფილოსოფოსი» (გარდაიცვ. 890 წ.). თხზულება «მიმოსლვანი და ქადაგებანი» ანდრია მოციქულისანი (ვ. 3), რომელიც ქართულად ბეთე საუკუნის გასულს ითარგმნა ექვთიმე ათონელის მიერ; აქვე გეხვდება ცნობა ნინოს ქადაგების შესახებ (გვ. 3), რომელიც IX — X სს. იკიდებს ფეხს ჩვენში; მას შემდეგო, ნათქვამია აქ, «არა მიდრეკილ არს ქუეყანა იგი ქართლისა წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან და არცა მიედრკეთ უკუნისამდე მადლითაჲ წმიდისა სამებისაო» (გვ. 3 — 4). ეს ადგილი გვაგონებს რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) ძ ე გ ლ ი ს წ ე რ ი ს სიტყვებს: «არცა განგცეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომელსა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ქმნილ ვართ»[2]. ამ ადგილების მიხედვით, რომელთაც, რასაკვირველია, ზაქარიას ვერ მივაკუთვნებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცხოვრება იმდენად ნათარგმნი არაა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რამდენადაც გადმოკეთებულია; გადმოკეთებულია ის რუის-ურბნისის კრების შემდეგ. ენის მიხედვით, ნ. მ ა რ ი მას XIII—XIV სს. აკუთვნებს (გვ. XX — XXI), თუმცა სიტყვა მ ე ბ ო ს ტ ნ ე, რომელიც მას,

[1] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, გვ. 272.
[2] «ნაქართე. სამოთხე», გვ. 523.

სხვათა შორის, მოჰყავს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, გაცილებით ადრე გეხვდება სხვადასხვა ძეგლში. ის უნდა გადმოკეთებული იყოს მეცამეტე საუკუნეში, როდესაც მ ა მ ლ ი უ კ თ ა შეეწროების გამო პალესტინელ ქართველებში ერთგვარი მოძრაობა დაწყებულა. მათ ეჰ დროს ჯვარის მონასტერსაც კი ართმევდნენ და, თავის უფლების დასამტკიცებლად იერუსალიმისა და საზოგადოდ პალესტინის სიწმიდეებზე, მათ, სხვათა შორის, ეს ცხოვრებაც გადმოუკეთებიათ. მაკარის შრომა არ არის გადმოკეთება-თარგმანი იმ ასურული «ცხოვრებისა», რომელიც გამოსცა R. R a a b e-მ[1]. რაც შეეხება პ ა ვ ლ ე დეკანოზს, მისი რედაქცია (ნ. მარის გამოცემა) განირჩევა მაკარის რედაქციისაგან (ყუბანეიშვილის გამოცემა) მხოლოდ ბოლო ანდერძით, არც წინასიტყვაობით, არც «სასწაულთა მიწყებით» ისინი არ განსხვავდებიან. ასე რომ, პაველ დეკანოზი, თუ კი მართლა ჩაიდინა მან ყველაფერი ის, რასაც ამბობს ანდერძში, უნდა იყოს მოღვაწე არა უგვიანეს XV საუკუნისა.

თუმცა ეს თხზულება ორიგინალური არაა, მაგრამ მასში შენახულა მრავალი საყურადღებო ცნობა ქართველთა წარსულიდან, მაგალითად, მეფის ვარაზბაკურის დახასიათება, ქართულ ენაზე მეხუთე საუკუნეში სამრთო წერილის არსებობა (გვ. 5), აღნიშნავ კავშირისა, რომელიც ამ დროს არსებობდა თურმე ქართლისა და სპარსეთის ეკლესიათა შორის[2], და აგრეთვე იერუსალიმსა და წმიდა ადგილებში მოგზაურობის ჩვეულებისა. საყურადღებოა ცნობა, რომ იერუსალიმში უკვე მეხუთე საუკუნიდან დამყარებულა ქართველთა ახალშენი: აქ მომავალი ქართველებისათვის პეტრეს აუშენებია «სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა განსასუენებლად მომავალთა ძმათა ქართველთა» (გვ. 14 — 15), აქვე აუშენებია მას მონასტერი, რომელსა ჰრქუან «ქართველისა მონასტერი» (გვ. 16 — 17), ასეთივე მონასტერი აუშენებია მას იორდანის უდაბნოშიაც (გვ. 17).

56. ნიკოლოზ, ქართველთა მნათობი

ამ ნიკოლოზის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ჩვენ არა გვაქვს. პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს სიტყვით, ის ცხოვრობდა მეფის ვახტანგ, დიმიტრის ძის, დროს (1301 — 1308 წწ.), მაშასადამე, მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს. ანტონ კათალიკოსი გვამცნობს, რომ ნიკოლოზი არის «ავქსონი კანონთ, მრავალ აკოლოთიათ», და უჩვენებს მის ერთ ასეთ თხზულებას: «ამან უზომოდ წუხისა გარდამოსვლის დასაყენები შექმნა აკოლოთია, მხურვალსაეფრი ღვთისადმი ერისაგან, მაღალგამოთქმით»[3]. ეს ა კ ო ლ ო თ ი ა ნიკოლოზის სახელით მართლაც გეხვდება ქართულ კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ შ ი, როგორც ხელნაწერს, ისე ნაბეჭდშიაც[4],

[1] Petrus der Iberer, Leipzig, 1895.

[2] აქ ნათქვამია: «მათ ჟამთა იწამნეს წმიდანი მოწამენი სპარსეთს, ხოლო ქრისტეანეთა მათ. რომელნი იყუნეს მუნ, წარმოგზავნეს ნაწილნი იგი წმიდათანი წინაშე მეფისა ვარაზბაკურისა» (გვ. 7).

[3] «წყობაბილსიტყვაობა», სტროფი 779 — 780.

[4] მოსკოვის გამოცემა, 1826 წ., გვ. ფნბ — ფნთ.

მაგრამ მართლა არსებობდა თუ არა კიდევ სხვა «მისნი სრულნი საგალობელნი», რომელნიც პლ. იოსელიანს თითქოს იერიის მონასტრის წიგნებში უნახავს [1], ამისი თქმა ძნელია. შეიძლება, როგოროც ლიტურგისტს, მას ეკუთვნოდეს ის წესები, კერძოდ. «განგება წყლის კურთხეისა», ჩომელნიც 1306 — 1316 წლებშია ნათარგმნი ქართულად ბერძნულიდან [2].

57. ბაგრატ ბატონიშვილი

ბაგრატ ბატონიშვილი, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ცხოვრობდა 1511 — 1573 წლებში [3]; ძატიანის სიტყვით, 1539 წელს ის ბერად აღკვეცილა [4]. სხვა ბიოგრაფიული ცნობა მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. ბაგრატისაგან დარჩენილა ერთი პოლემიკური ანტიმაჰმადიანური თხზულება, რომელსაც ეწოდება «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ». თხზულება იწყება მაჰმადის მოკლე ბიოგრაფიითა და მისი მოღვაწეობის წარმოშობის ამბით, რომელსაც მისდევს ელემენტარული ცნობები ძველისა და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიიდან, ცნობები ისმაიტელთა შესახებ აბრაამიდან ერეკლე კეისრამდე, მიმოხილვა მაჰმადის სასწაულებისა და ყურანისა და შენიშვნა, რომ ქრისტიანობის ჰეშმარიტებას ადასტურებს მრავალი წიგნი ძველისა და ახალი აღთქმისა, აგრეთვე ეკლესიის ღვთივგანბრძნობილ მამათა თხზულებანი, ხოლო მაჰმადიანთ სურთ მხოლოდ ერთი წიგნის, ბილწი ყურანის, საშუალებით დაგვიმტკიცონ თავიანთი სარწმუნოების ჰეშმარიტებაო. ამის შემდეგ იწყება «წინაგანწყობა მართლისა სარწმუნოებისა». ამ ნაწილს ავტორი იწყებს ღვთაების შესახებ დოგმატიკური მოძღვრებით, უმთავრესად ძველი აღთქმის ბიბლიური წიგნების მიხედვით. მაჰმადიანის შეკითხვაზე — საიდან იცი შენ, წარმართმა და არა ებრაელმა, ეს მოძღვრებაო, — ავტორი გადმოგვცემს ისტორიას პტოლემეოსის დროს ებრაელთა ბიბლიის ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნისას და აგრეთვე — რომელმა მოციქულმა რომელი წიგნი და რა ენაზე დაწერა. მაჰმადიანის შეკითხვაზე — შეხ. ქართველს, რომელიც არც ებრაელი ხარ, არც წარმართი-ელინი, ვინ მოგცა ეს წიგნებიო,— გადმოგვცემს მოკლესა და არეულ-დარეულ ცნობებს «ძველ მთარგმნელთა» ჟესახებ, რომელთაც ელინური თუ სხვა ენიდან ქართულად გვითარგმნეს წიგნები. ამის შემდეგ ავტორი არღვევს მაჰმადიანთა რწმენას ყურანის წარმოშობის შესახებ, გადმოგვცემს ნამდვილ ბიბლიურ თქმულებას ადამისა და ევას შეცდომების შესახებ წინააღმდეგ მაჰმადიანთა რწმენისა, თითქოს ისინი პურის ხორბლის გამო შეცდნენო, და ანალიზს უკეთებს ყურანს — ეთანხმება თუ არა ის ქრისტიანთა წიგნებს. მერე ავტორი იძლევა პასუხს მაჰმადიანთა შემდეგ საკითხზე: რაოდენ ღმერთსა სცემ თაყვანს, იესო ღმერთად გრწამს თუ კაცად, რაისათვის განხორციელდა ქრისტე, რატომ აცვეს ის ჯვარს. — გზადაგზა ის არღვევს მაჰ-

[1] «წყობილსიტყვაობაჲ» შენიშვნა 149.

[2] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 57, 150.

[3] «ქართული მწერლობა, XIII — XVI სს.», გვ. 27.

[4] «ქართლის ცხოვრება», II, 23, 271.

მადიანთა თქმულებას, — თითქოს ჯვარს იესო კი არ აცვეს, არამედ სხვა ვინმე, რომელიც მას ჰგავდაო, — ლაპარაკობს და ათავებს ღორის ხორცის ჭამისა და მაჰმადიანთა ყოველდღიური განბანის შესახებ მსჯელობით. როგორც ვხედავთ, ავტორს მიზნად დაუსახავს მაჰმადიანობის განქიქება მიღებულ ყაიდაზე. ზოგიერთი დეტალისა და მაჰმადიანური ტერმინის სპარსული ფორმის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაგრატს სახეში ჰყავს სპარსელი მაჰმადიანები — შიიტები. ამ თხზულებას ბევრი მკითხველი ჰყოლია ძველად და არა ერთ ავტორს უპარგებლნია იმით თავის შრომის დაწერის დროს[1].

სხვათა შორის, ეს თხზულება გაულექსავს მეფე გიორგი XI ბრძანებით შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ დუმბაძეს (1647 — 1713 წწ.) შემდეგი სათაურით: «უსჯულოჲსა მუჰამედის და ქრისტიანეთა გაბაასება». ბაგრატთან შედარებით, იაკობი მეტ ორიგინალობას იჩენს აპოლოგეტიკურ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მაცხოვრის განკაცების, ხატთა თაყვანისცემის, ევქარისტიისა და იესო ქრისტესა და მაჰმადის ურთიერთობის შესახებ. ნუსხები ამ თხზულებისა ხშირად გვხვდება ჩვენს სიძველეთსაცავებში.

ამ თხზულების დაწერა და გალექსვა გამოწვეული იყო მაჰმადიანობის პროპაგანდის გაძლიერებით როგორც ბაგრატ ბატონიშვილის, ისე იაკობ დუმბაძის დროს.

58. კვიპრიანე სამთავნელი

კვიპრიანე, სამთავისის ეპისკოპოსი, ყოფილა თანამედროვე დომენტი კათოლიკოსისა (1704 — 1729), რომელიც მას უწოდებს «ბერძნულს ენაში დახელოვნებულს». ის დიდგვარიანი კაცი იყო, არაგვის ერისთავთა ოჯახიდან, და თან განათლებულიც. ცოდნა ბერძნული ენისა, რომელიც შეუსწავლია იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოზთან, მას გამოუჩენია სხვადასხვა თხზულების თარგმნაში. მის შრომათაგან, რომელნიც ჩვენ ვიცით, მნიშვნელოვანია კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი, გადმოღებული ბერძნულიდან დომენტი კათოლიკოსის დავალებით. ეს კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი ორი რედაქციით გავრცელდა საქართველოში: ვრცელითა და მოკლეთი. სლავური კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი ს მიხედვით ის არ შეუსწორებიათ და ბოლომდის დარჩა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში[2]. პლ. იოსელიანი კვიპრიანე სამთავნელს თვლის იოანე ბოლნელის (X — XI სს.) მოწაფედ და კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ს — იოანესა და კვიპრიანეს კოლექტიურ შრომად[3], მაგრამ ეს არის ფაქტების ჩვეულებრივი აღრევა, რაც გაუგებრობაზეა დამყარებული და ასე ახასიათებს პლ. იოსელიანის ისტორიულ-ლიტერატურულ ექსკურსებს. კვიპრია-

[1] Акад. Н. Марр, Из книги царевича Багратa о грузинских переводах духовных сочинений и героической повести Дареджаниани, «Известия Академии Наук», т. X, февраль, 1894 г., стр. 235—244; ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა, XIII—XVI სს., გვ. 27; А. Хаханов, Очерки по истории грузин. словесности, вып. III, стр. 323.

[2] К. Кекелидзе, Грузинские литургические памятники, стр. XVII—XVIII. კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი პირველად დაიბეჭდა თბილისში 1713 წ.

[3] «წყობილსიტყუაობა», შენ. 110.

ნუსვე უთარგმნია ბერძნულიდან, კათოლიკოს დომენტის ბრძანებით, «განმარტება ეკლესიისა და კურთხევა მისი», რომელიც 1719 წელს დაიბეჭდა კიდეც[1]. მასვე უთარგმნია 1703 წელს ბერძნულიდან «საქმენი შეიდთა სასიკუდინეთა ცოდვათანი[2]. სქემა თხზულებისა ასეთია: დახატულია ხე, რომლის ძირში ესა თუ ის მომაკვდინებელი ცოდვაა მოთავსებული, ხოლო წვერში — მისი განმაჭარწყლებელი მადლი; «ხის ძირს», ან მომაკვდინებელი ცოდვიდან, «აღმოეცენებიან და მისდევენ სხუანი ათნი ცოდვანი», ხუთ-ხუთი აქეთ-იქით. ტექსტში, რომელიც დართული აქვს სურათს, განმარტებულია მომაკვდინებელი ცოდვა და მადლი.

ჩვენამდე შენახულა აგრეთვე კვიპრიანეს მიერ 1711 წელს დაწერილი გუჯარი, რომელსაც აძლევს დოდოს წინამძღვარი ზაქარია ბატონიშვილ სიმონს მონასტრისათვის ვენახის შეძენის გამო[3].

50. ნიკოლოზ რუსთველი

ნიკოლოზ რუსთველი გვარით იყო ჩერქეზიშვილი. ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება, მხოლოდ აქა-იქ სიგელ-გუჯრებში გვხვდება მისი სახელი და ამ გზით შესაძლებელია გავითვალისწინოთ ზოგიერთი ფაქტი მისი ცხოვრებისა. რუსთაველ მიტროპოლიტად ნიკოლოზი დაუდგენია კახეთის მეფეს დავით იმამყულიხანს, როგორც ეს ჩანს 1722 წლის გუჯრიდან[4], ვხოლოდ როდის, რომელ წელს, ეს არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი 1703 წელზე ადრე ვერ დაიდება. ასე რომ, ის «ნიკოლოზ რუსთველი», რომელიც ხელს აწერს ერთ, დავითგარეჯის, 1690 წლის სიგელს[5], ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი არ უნდა იყოს. 1711 წელს კათოლიკოს დომენტის, იმავე დავით იმამყულიხანისა და ვახტანგ მეფის შუამდგომლობით, ნიკოლოზისათვის, რადგანაც «რუსთველი დროშის პატრონი და სარდალი იყო», ბისონი ჩაუცვეთია[6]. 1721 წელს ის კიდევ რუსთველია, ვინაიდან ამ წელს მას დაუწერია ალავერდის ტაძრის ერთ-ერთი სიგელი[7]. რუსთველია ის 1722 წელსაც, როგორც ამას ნათელყოფს დავით იმამყულიხანის ზემოდასახელებული 1722 წლის სიგელი. 1724 წელს ის უკვე რუსთველად აღარ ჩანს, ვინაიდან კახეთის სამღდელოების 1724 წლის თხოვნას იმ-

---

[1] «ძველი საქართველო», III, 98, 291 — 292.

[2] A 1134, ფურც. 56 — 64.

[3] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 39, 40.

[4] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, I, 1913 წ.; Д. П у р ц е л а д з е, Грузинские церковные гуджары, стр. 2.

[5] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 9 — 11.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 195, 250 — 252.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 232 — 234.

პერატორ პეტრე დიდის სახელზე ხელს აწერს ბესარიონ რუსთველი[1] და არა ნიკოლოზი. მისი დამდგინებლისა და კეთილისმყოფელის დავით ღმამყულიხანის გარდაცვალების შემდეგ (1723 წ.) ნიკოლოზს კათედრისათვის თავი დაუნებებია და 1724 წელს ვახტანგ მეექვსეს, იმ ხუთ ეპისკოპოსთა შორის, რომელნიც მას რუსეთს გაჰყვნენ, იმერეთს გადაჰყოლია[2]. როგორც ქვემოთ დავინახავთ, იმას რუსეთს წასვლა გადაუფიქრნია, იმერეთსავე დარჩენილა და თავი შეუფარებია მეფის ალექსანდრე მეხუთისა და აფხაზეთის კათოლიკოსის გრიგოლ მეორისათვის. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ამბობს, რომ ნიკოლოზ რუსთველი, რომელიც მას ორბელიანად მიაჩნია, მეფე ვახტანგს გადაჰყვა რუსეთს და იქ მოკვდა 1728 წ. ივლისის 19-ს[3], ხოლო პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი მის სიკვდილს 1729 წ. უჩვენებს[4]. პირველ ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ნიკოლოზ რუსთველი ვახტანგს რუსეთში არ გაჰყოლია. ის ნიკოლოზი, რომელიც მართლაც გადაჰყვა ვახტანგს რუსეთში, იყო ნიკოლოზ ორბელიანი, თბილისის მიტროპოლიტი. ეს ნათლადა ჩანს ვახტანგ მეფის 1730 წ ორბელიანებისადმი ბოძებული წყალობის წიგნიდან, სადაც ის პირდაპირ ამბობს, რომ, «როდესაც რუსეთს წაჰოვედით, თან გუიახლა თბილელ მიტროპოლიტი ნიკოლოზიო»[5]. ამასვე ადასტურებს სინოდის არქივის საქმეებიც, რომლებიდანაც ჩანს, რომ 1727 წელს პეტრე მეორეს კორონაციაში მონაწილეობას ღებულობს თბილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ხოლო 1728 წელს მას, თბილელ მიტროპოლიტ ნიკოლოზს, აძლევენ 300 მანეთს[6]. არც ისაა მართალი, ვითომც ნიკოლოზ რუსთველი გარდაცვლილიყოს 1728 თუ 1729 წელს. მართლაც, ჩვენამდე შენახულა აფხაზეთის კათოლიკოსის გრიგოლ მეორის «იადგარი მამულისა და შემწირველობისა», ბიჭვინთის ტაძრისათვის ბოძებული, რომელიც მისი ბრძანებით აღუწერია ნიკოლოზ რუსთველს «ქრისტეს აქეთ ჩღლბ, ქორონიკონსა შკბ», ესე იგი 1733 წელს[7]. ამნაირად, ის 1733 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. აი ყველაფერი, რაც შეგვიძლია ჯერჯერობით ვთქვათ ნიკოლოზ რუსთველის ცხოვრების შესახებ.

ნიკოლოზი განათლებული კაცი ყოფილა. ჯერ კიდევ დავით იმამყულიხანი შენიშნავს ზემოდასახელებული 1722 წლის გუჯარში: «მე შეეამკე რუსთაველი ეკლესია და დავადგინე მიტროპოლიტად რუსთაველის ეპარქიისა ნიკოლოზ ჩერქე-

---

[1] Б р о с с е, Переписка грузинских царей с иностранными государями, стр. 170—172.

[2] B. M. Hist.—Phil. III. 63: B r o s s e t. Hist. Georg., II, I, p. 598.

[3] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 195

[4] ა ნ ტ ო ნ კ ა თ ო ლ ი კ ო ს ი, წყობილსიტყვაობა, შენიშვნა 144.

[5] «საქართველოს სიძველენი». ტომი II. გვ. 357. ამასვე ადასტურებს თვით ნიკოლოზ თბილელი; A 849 д 853 ხელნაწერებში (М. Д ж а н а ш в и л и, Описание рукоп. церков. Музея, III. стр. 71, 78 — 79).

[6] «Описание документов и дел, хранящихся в архиве св. Синода», т VII, 1827 год, стр. 325, прим. 1; том VIII, 1828 г., стр. 461.

[7] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასაელეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი, I, თბილისი, 1921, გვ. 131 — 147.

ზიშვილი, კაცი ცნობილი ფილოსოფიური განათლებითო»[1]. როგორც მწყემსი, ის გამოჩენილი მქადაგებელიც იყო. ანტონ კათოლიკოსი შენიშნავს, რომ მის ქადაგებებს, რომელთა ქება მას სიჭაბუკეში სმენია, «ჰრაცხდეს მის დროსა შინათა ყოველთა თქმულთა უმაღლეს უმჯობესად»[2]. ამ დროს კი, მართლაც, სხვა გამოჩენილი მქადაგებლებიც ყოფილან. როგორც, მაგალითად, იობი, პიტარეთის მონასტრის წინამძღვარი, შესანიშნავი მგალობელი, და მღვდელმონაზონი გერმანე (გარდ. 1748 წ.). ნიკოლოზი ლიტურგისტიც იყო, რასაც ადასტურებს ანტონ კათოლიკოსიც, როდესაც ეუბნება მას: «აკოლოთიას გიქებ, რაჲცა ჰქმენო»[3]. დოდორქელ ხუცესმონაზონ გრიგოლთან ერთად ნიკოლოზს დაუწესებია ანტონ მარტყოფელის ხსენება 17 იანვარს და, საფიქრებელია, დაუწერია ამავე დროს მისი ა კ ო ლ ო თ ი ა ც[4]. მასვე შეუთხზავს აგრეთვე «საგალობლები წმიდა დოდოსი»[5]. ამავე დროს ნიკოლოზი ერუდიციით აღჭურვილი და ჭკვიანი ღვთისმეტყველიც ყოფილა, როგორც ეს ნათლად ჩანს მის მიერ გრიგოლ კათოლიკოსის ბრძანებით 1733 წელს აღწერილი ბიჭვინთის იადგრიდან ან სიგელიდან. თავში იადგარს დართული ჰქონდა იამბიკო[6], რომლის აკროსტიქი ამბობს: «ნიკოლოზ რუსთველი ვმუსიკობ». ის წარმოადგენს ქ ე ბ ა ს ღვთისას ოთხმუხლად და კათოლიკოსი გრიგოლისას. იამბიკოს შემდეგ იწყება ვრცელი საღვთისმეტყველო ტრაქტატი, რომელიც შედგება შვიდი წ უ ო ბ ი ს ა ან თავისაგან; პირველ თავში ლაპარაკია ღვთაების ერთგვაროვნებისა და სამპიროვნების შესახებ, მეორეში წარმოდგენილია ღვთისმეტყველება ორი ბუნებისათვს, მესამეში — «შესხმა ანგელოზთათვს», მეოთხეში გვაქვს მოძღვრება «კაცთა დაბადებისათვს», მეხუთეში — «მღუდელთმოძღუართათვს», მეექვსეში — «მოწამეთათვს», მეშვიდეში — «მამათათვს». ამ უკანასკნელ თავში ავტორი, შენიშნავს რა, რომ წმიდა მამებმა «იმარტკლეს თჳნიერ სისხლისა დათხევისა», განაგრძობს: მეფეებმა და მდიდრებმა იწყეს მათ სახელზე ეკლესიათა აგება და განმშვენება, რომლებშიაც ღვთისა და «მამათა» სადიდებლად «განაგეს მღუდელთმთავარნი, პატრიარქნი, მთავარეპისკოპოსნი, მღუდელნი და დიაკონნი. ხოლო ამათ განწესებულთა და სამღუდელოთა დასთა და კრებულთა თავად და მწყემსად და ზედამდგომელად განეჩინნეს კათალიკოსნი, რათა ამათ მიერ განწმედენ. განათლდენ და სრულიქმნენ ერი ქრისტიანეთა, რომლისათჳს დიდად ეღვაწათ მეფეთა, მთავართა და დარბაზიერთა განდიდებაჲ ცათაჳმობაძეისა კათოლიკე ეკლესიისა ბიჭვინთისა ღუთისმშობლისა და სამოციქულოჲსა საყდრისა და მას ზედა ჴელდმარისა კათალიკოსისა ამაღლებაჲ, რათა შეკერითა და განკსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე

---

[1] ს. ყ ა ყ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, I, 1913 წ.; Д. П у р ц е л а д з е, Грузинские церковные гуджары, стр. 2.

[2] «წყობილსიტყჳაობა», სტროფი 679.

[3] ი ქ ვ ე, სტროფი 690.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, გვ. 10.

[5] ნიკოლოზის დროსვე სხვა ლიტურგისტებიც ყოფილან, მაგალითად, იესე, ქსნის ერისთავი (გარდ. 1739). რომელსაც შეუდგენია «აკოლოთია» წმ. მოწამეთა შალვა, ელიზბარ და ბიძინასი.

[6] იამბიკოები მას ამერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის სახელზედაც უწერია, როგორც «ქართლის ცხოვრების» ერთ-ერთი ნუსხიდან ჩანს («Описание», II, стр. 49 — 50).

ლიხთამერისა, აფხაზეთისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიისანიო». ეს ქვეყნებიო, ამბობს ის, პოქცეულია ანდრია პირველწოდებულის მიერ «ჩინებითა წმიდისა ღვთისმშობლისადთა», რომლის წილხდომილნი ვართ ჩვენო. კათოლიკოსები მუდამ ცდილობდნენ ბიჭვინთის შემკობას, ამიტომ მას სწირავდნენ სოფლებს, აგარაკებს, ჯვრებს, ხატებს და სხვა ყოველგვარ სამკაულებსო. მათი მიბაძვით, ამბობს გრიგოლ კათოლიკოსი, მეც ცოტა რამ შევმატე მის დიდებასო და ჩამოთლის დაწვრილებით, რაც კი მართლა შეუწირავს მისთვის. თავდება იადგარი საკმაოდ ვრცელი წყევა-კრულვით მათდამი, ვინც ამ შეწირულებას შეეხება. ჩამოთვლა შეწირულებისა და თვით წყევა-კრულვა ნიკოლოზის დაწერილი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი — ენა ამ ნაწილისა შესამჩნევად განსხვავდება საღვთისმეტყველო ტრაქტატის ენისაგან, თან ფორმულა წყევა-კრულვისა განმეორებულია გრიგოლ კათოლიკოსის 1706 წ. სიგელში, რომელიც ბიჭვინთისავე სახელზეა დაწერილი[1]. უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგოლმა ნიკოლოზს მიანდო ამ მნიშვნელოვანი იადგარისათვის შესაფერის სახით საღვთისმეტყველო ტრაქტატის დაწერა, რომელსაც მერე დაუმატა სია შეწირულებათა და სტერეოტიპული ფორმულა წყევა-კრულვისა.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლოზ რუსთველი თანამედროვეთაგან ცნობილი ყოფილა სიგელ-გუჯრების შედგენაში დახელოვნებულ მწერლად: მართლაც, ბიჭვინთის სიგელის გარდა, ჩვენამდე შენახულა 1717 წელს მისი ხელით დაწერილი «მზითევის წიგნი» დავით იმამყულიხანის დის ხვარაშნისა[2] და ალავერდის ტაძრის სიგელი 1721 წლისა[3].

60. გრიგოლ დოდორქელი

მეჩვიდმეტე საუკუნის გასულსა და მეთვრამეტის დამდეგს ცნობილია გრიგოლ ვახვახიშვილი, დოდორქის მოღვაწე, კახეთის ბაზიერთუხუცესის შვილი. ის განათლებული და განსწავლული კაცი ყოფილა. ამით, სხვათა შორის, აიხსნება, რომ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს, 1703 წელს, კახეთის დედოფლის ანას ინიციატივით ჩატარებულ საეკლესიო-კალენდარული რეფორმის საქმეში მას, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილ რუსთველთან ერთად, წამყვანი როლი უთამაშნია. დომენტი კათოლიკოსთან ერთად ის უნდა იყოს ერთ-ერთი ინიციატორი იმ საქმისა, რომელიც გამოიხატებოდა ქართველი წმიდანების ცხოვრება-მარტვილობათა შეკრებასა და მათგან თავისებური «მრავალთავის» ან «მეტაფრასის» შედგენაში.

გრიგოლის სახელთან დაკავშირებულია თხზულება, რომელსაც ეწოდება «წამებაჲ ყოვლადდიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისაჲ, რომელი იწამა

---

[1] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I, გვ. 89 — 96.

[2] «Акты Кавказской Археографической Комиссии», I, стр. 34—35.

[3] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 232 — 234.

სპარსთა მეფისა შაჰაბაზ უსჯულოჲსა მიერ ქალაქსა შირაზისასაჲ». მასვე ეკუთვნის ჩინებული ჰიმნოგრაფიული შრომა, რომელშიაც შექებულია აგრეთვე ქეთევან დედოფლის ღვაწლი; ამ შრომას ეწოდება «აკოლოთია» და ორი ნაწილისაგან შედგება.

«ქეთევანის წამებაჲ» დაწერილია 1703 — 1713 წლებში და წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ თხზულებას, რომელშიაც ეს ტრაგიკული ფაქტი ჩვენი წარსულისა უფრო ამომწურავად, ან, როგორც ანტონ I ამბობს, «ვრცლად და წესიერად, ბრწყინვალედ, არა ბნელად» არის გაშუქებული, ვიდრე სხვა შრომებში, რომელნიც ამავე ფაქტს ეხებიან. გრიგოლის შრომაში გადმოცემულია ისეთი ამბები და ფაქტები, რომელნიც სხვა საისტორიო წყაროში არ მოიპოვება. ამ შრომის ღირებულება იმდენად იყო მიჩნეული, რომ მომდევნო ხანის ისტორიკოსები მას გვერდს ვერ უვლიან და ჭარბად სარგებლობენ მისი მონაცემებით. ასეთებია: ე. წ. «პარიზის ქრონიკის» ავტორი, ვახუშტი, ანტონ I და, საფიქრებელია, ბერი ეგნატაშვილი.

გრიგოლი ამ შრომაში გამოიყურება როგორც გულწრფელი პატრიოტი. ის მწვავედ განიცდის იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელმაც გამოიწვია შირაზის ტრაგედია. ამავე დროს ცდილობს გაამხნეოს თანამედროვენი და ჩაუნერგოს გულში იმედი უკეთესი მომავლისა. თხზულება გამსჭვალულია უსაზღვრო მრისხანების გრძნობით და ზიზღით ისეთი მტარვალისა და მოძალადის მიმართ, როგორიც იყო სპარსეთის სისხლისმსმელი მეფე აბას [1].

21. მაკრინე მონაზონი

იმ ქალთა შორის, რომელთაც თავისი წვლილი შეჰქონდათ ქართული მწერლობის სალაროში [2], ერთ-ერთი საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს მაკრინე მონაზონს. მაკრინე იყო ასული მეფის ირაკლი პირველისა და მისი მეუღლის ანა ჩოლოყაშვილისა. დაბადებულა ის კახეთში რამდენიმე წლით ადრე მისი ძმის თეიმურაზ მეორის დაბადებამდე, დაახლოებით 1696 — 1698 წლებში; ერობაში მას მარიამი ეწოდებოდა. მარიამი ადრე დაქორწინებულა, — ის ცოლად შეურთავს 1714 წლის მახლობლად კახთა მეფის სახლთუხუცესს ედიშერ ჩოლოყაშვილს. 1715 წელს ედიშერი მომკვდარა ლეკებთან ბრძოლაში. ამის შემდეგ ის უმალვე მონაზვნად შემდგარა მაკრინეს სახელით და თავისი ძმის, კახთა მეფის დავით იმამყული ხანის ნებართვით, ალავერდის ტაძართან დამკვიდრებულა. 1743 — 1744 წლებში ის ჯერ კიდევ ცოცხალია, უნდა გარდაცვლილიყოს არაუადრეს მეთრამეტე საუკუნის ნახევრისა.

---

[1] დაწვრილებით იხ. ტრ. რუხაძის ნარკვევში: «ახლად აღმოჩენილი ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა» («ლიტერატურული ძიებანი», V, 229 — 267), სადაც მოცემულია თხზულების ტექსტიც.

[2] კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ენიმკის მოამბე, ტ. XIII, 107 — 119.

მაკრინეს ნამდვილი ეროვნული ქართული სკოლა გაუვლია; თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ის «იყო სწავლული ქართულსა ენასა ზედა ფრიად», იცოდა უცხო ენებიდან ფრანგული, სომხური და ბერძნული. უკანასკნელს მას ასწავლიდა იმ დროს ჩვენში მყოფი პამფილიის მიტროპოლიტი პართენიოსი.

მაკრინე ისეთ ხანაში ცხოვრობდა, როდესაც ჩვენი კულტურული ცხოვრება შეუნელებლივ დუღდა. ეს იყო ხანა ვახტანგ VI-ის და მისი სკოლისა, ხანა სულხან-საბა ორბელიანისა, კათოლიკოზ დომენტისა, დასაწყისი ხანა ანტონ პირველის მოღვაწეობისა. საეკლესიო სფეროში ამ დროს შეინიშნება განსაკუთრებული მოძრაობა ქართული ეროვნული დღესასწაულების მოგვარებისა და მათთვის შესაფერი საგალობლებისა და «აკოლუთიის» შედგენისათვის; ხდება გადასინჯვა საეკლესიო კალენდრისა და წარმოებს კოდიფიკაციური მუშაობა აგიოგრაფიის დარგში. ეპოქის ასეთ მრაველმხრივსა და ინტენსიურ მუშაობას ჩაუთრევია ახალგაზრდა, განათლებული და სამშობლოს მოყვარული მაკრინეც.

მაკრინეს ჯერ კიდევ შემონახვნობამდე გამოუმჟღავნებია სიყვარული ქართული მწერლობისადმი იმით, რომ მისი ბრძანებით და წარმავებელით გადაუწერიათ ალავერდში მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი «სადღესასწაულო» (შენახულა სამ ხელნაწერში A 366, 379, 380). მას საკუთარი ხელითაც მრავალი ძეგლი გადაუწერია, განსაკუთრებით ცნობილია მეორე ნაწილი ე. წ. «ღვთაების გუჯრისა».

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა მაკრინეს ორიგინალური შრომები. ამ მხრივ პირველყოვლისა შეგვიძლია დავასახელოთ იამბიკური «შესხმა», რომელიც მას დაურთავს ბოლოსიტყვაობის სახით მის მიერ გადაწერილი საბას ლექსიკონისათვის (H 1740). ეს «შესხმა» შემკულია ხელოვნურად შეწყობილი აკროსტიქით: «მაკრინა არის გადმომწერელი ლექსიკონისა ამისა» და წარმოადგენს ღვთისშობლის «ქებას».

უფრო მნიშვნელოვანია მაკრინეს «სტიხნი საეკლესიონი», იგულისხმება საგალობელნი ან ჰიმნები იოსებ ალავერდელის სახელობისა. ეს ჰიმნები (A 387, S 3269. H 1672, 2077, გელ. 36) შეიცავენ 102 პროზაულ სტროფს, ამათგან უფრო მნიშვნელოვანია ორი «კანონი» (თვითეულში 40 სტროფი); ერთ მათგანს ახლავს აკროსტიქი: «მაკრინა, შემსხმელი შენი, შემიწყალე, წმიდაო» [1].

მაკრინეს ჰიმნებში პატრიოტული მოტივი ერთ-ერთი მთავარი მოტივია. ავტორი აღტაცებულია შეგნებით, რომ იოსებ ალავერდელმა ჩვენ ქვეყანაში, ღვთისშობლის მიერ მოვლენილმა. განამტკიცა და განაახლა ნინოს მიერ ქადაგებული ქრისტიანობა, რითაც მან ხელი შეუწყო ქართველების ზნეობრივ განსპეტაკებას და გაკეთილშობილებას. მოიწია რა «ქუეყანასა საქართველოსასა», ის შეიქმნა «საძკაული კაეთისა და განმანათლებელი დაბისა ალავერდისა». იმ კეთილისათვის, რომელიც მან დათესა ჩვენში, «იხარებს დღეს ერი ქართველთაჲ» და «განცხრების ქუეყანაჲ» კახეთისაჲ. მაკრინე იმ ხანაში ცხოვრობდა, როდესაც ჩვენს ქვეყანას ულმობელად სწიწკნიდნენ, ერთი მხრით, სპარსელები,

[1] ეს ჰიმნები გამოსცა ლ. ასათიანმა («ძველი საქართველოს პოეტი ქალები», 1936), მას აკროსტიქი ვერ შეუნიშნავს.

მეორე მხრით, ოსმალები და, მესამე მხრით, ლეკები. ამიტომ სრულიად ბუნებრივია გულმოკლული და მორწმუნე ავტორის მიმართვა თავის გმირისადმი: «დაგვიფარენ ჩვენ ყოველთა განსაცდელთაგან და მეფესა ჩუენსა ძლევაჲ მომადლე მტერთა ზედა», «მართლმადიდებელთა მეფეთა ჩუენთა შარავანდედი წარმართე და სკიპტრა განაძლიერე და დაეც მტერი ქუეშე ფერჴთა მათთა». ავტორა მხედველობაში უნდა ჰყავდეს კახეთის მეფე თეიმურაზ II, თავისი საკუთარი ძმა, მაშასადამე, ჰიმნები დაწერილია დაახლოებით 1733 — 1735 წლებში.

ჰიმნები არცთუ პოეტურ ღირებულებასაა მოკლებული. ავტორს ემარჯვება მოხდენილი ეპითეტები, შედარებანი, მეტაფორანი და პარალელიზმები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს: იოსებმა, რომელიც არის «ებანი სულისა, ქნარი სიტყუსა და საყვირი მამისა», «იქუხნა ქმაშეენიერად სიტყუანი» ქადაგებისანი და «მოინადირა მოძღურებათა ბადითა სანახები ესე ჩრდილოჲსაჲ». მან «მოჰხნა გულნი დაკორდებულნი და დასთესა თესლი ღმრთისმსახურებისაჲ». «ვითარცა რა ვარდი და შროშანი სუნნელი და მირონი მრავალსაყიდლისაჲ, მთათა შინა და ღელეთა მსოფლიოთა გამოგირჩია მჴსნელმან და დაემკჳდრა შენ შორის, და იშვა რა, სულნელებითა აღავსო ყოველი სოფელი». ერთი სიტყვით, იდეური სიმახვილით, გრძნობათა სიღრმით და პოეტური აღმაფრენით მაკრინე არ ჩამოუვარდება ქართული ჰიმნოგრაფიის ცნობილ წარმომადგენლებსაც კი.

გარდა ჰიმნოგრაფიისა მაკრინეს აგიოგრაფიის დარგშიც უნდა ემუშაოსოს. მეთვრამეტე საუკუნემდე, თვით მაკრინეს დროშდე, იოსებ ალავერდელის «ცხოვრება», არც ვრცელი, არც შეჯოკლებული, სვინაქსარული, ხელნაწერებში არ ჩანს, არ ყოფილა ის არც მაკრინეს დროს. იოსების «ცხოვრება» შედგენილი უნდა იყოს თვით მაკრინეს მიერ [1]. ამას ჩვენ გვაფიქრებინებს იდეურ-შინაარსობლივი და ფრაზეოლოგიური ნათესაობა ამ ნაწარმოებისა მაკრინეს ჰიმნებთან. ორსავე ნაწარმოებში გატარებულია შემდეგი აზრი: ქართველთა შორის ათორმეტ მოციქულთაგანს არ უქადაგნია, ამიტომ ისინი ურწმუნოების წყვდიადში იმყოფებოდნენ. მართალია, შემდეგ ნინომ შემოიტანა ჩვენში ქრისტიანობა და საეკლესიო ორგანიზაცია, მაგრამ «ჯერეთ ურწმუნოებაჲ არასადა დამცხრალ იყო». ამიტომ ჩვენში მოვლინებულ იქნენ ღვთისმშობლის მიერ ქრისტეს 12 მოწაფეს მიმსგავსებულნი ასურელი მამები, მათ შორის, იოსებიც, რომელთაც «განამტკიცეს და განაახლეს ნინოს მიერ ქადაგებული» სარწმუნოება. «ცხოვრების» ავტორი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც იოსები ალავერდის ტაძარში იქნა დაკრძალული, მეფეებმა «სურვილითა მისითა და მინდობითა შეწევნათა მისთა, შეახლებისათჳს გუამისა მისისა სამარხოსა მისსა» თავის სასაფლაოდ გადააქციეს ეს მონასტერიო. ამასვე ამბობს ჰიმნოგრაფიც: «დიდებულ არს დაბაჲ მცირე ალავერდი და მეფენი სასოებითა შენითა სამარხად თჳსად შემზადებენ, რათა შენთა გუამთა მათთა დადებითა პოვონ ბრალთა შენდობა». ეპიზოდი «სამეუფეო» კაცთან შეხვედრისა, მისი მოქცევისა და მის მიერ მონასტრისადმი ყუ-

[1] საქართველოს სამოთხე, გვ. 217 — 218.

რადღებისა შედგენილია ანალოგიური ეპიზოდის გამოყენებით შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის და ანტონ მარტყოფელის «ცხოვრებათაგან». დავით გარეჯელისა და ანტონ მარტყოფელის «ცხოვრებიდან» არის ამოღებული ეპიზოდი აგრეთვე ირმებისა, რომელნიც იოსებთან მოდიოდნენ ხოლმე და რძით ასაზრდოებდნენ მას. ჩანს, მაკრინეს კარგად სცოდნია ორიგინალური ქართული აგიოგრაფია.

ამრიგად, მაკრინესაგან ჩვენამდე დარჩენილა:

1. მისი ხელით გადაწერილი საბას ლექსიკონი და რამდენიმე სიგელგუჯარი, კერძოდ მეორე ნაწილი «ღვთაების» გუჯრისა.

2. მისი საფასით გადაწერილი «სადღესასწაულოს» მხატვრული გაფორმება.

3. აკროსტიქული «შესხმა» ღვთისმშობლისა.

4. საგალობელნი იოსებ ალავერდელისანი.

5. მოკლე, სვინაქსალური ცხოვრება იოსებისა [1].

62. ნიკოლოზ თბილელი

ნიკოლოზი, გვარით ორბელიანი, იყო ნათესავი ვახტანგ მეექვსისა და ძმა სულხან-საბა ორბელიანისა. დაიბადა ის 1672 წელს. ვინაიდან 1703 წლის დოკუმენტებში ის მ ღ ვ დ ე ლ მ ო ნ ა ზ ვ ნ ა დ ჩანს, ბერად შეიძლება ცოტა უფრო ადრეც იყოს შემდგარი. 1715 წელს მიიღო მროველობა, რომელსაც 1717 წელს ურბნელობაც შეუერთდა. 1726 წელს, როდესაც გარდაიცვალა პავლე თბილელი, ვახტანგ VI, რუსეთში ყოფნისას, მის ადგილას ნიკოლოზი დანიშნა. 1724 წელს ის გადაჰყვა ვახტანგს რუსეთში, სადაც გარდაიცვალა 1732 წელს.

ნიკოლოზი იყო ერთგული თანამოღვაწე ვახტანგ მეფისა, ჯერ კიდევ ბერმონაზვნობაში მან ბევრი შრომა გასწია თბილისში სტამბის მოწყობისა და წიგნების ბეჭდვის საქმეში. ის ამასთან ნაყოფიერი მწერალიც იყო; უმთავრესად მას ლიტურგიკულ დარგში უმუშაენია. აქ მას, თანახმად ანტონ კათოლიკოსის ცნობისა[2], აღუწერია, მღვდელმონაზვნობისას, ტროპარნი და კონდაკნი ქართველი წმიდანებისა[3] და, როდესაც პირველად ქამნ[1] ბეჭდავდნენ, შიგ შეუტანია თავისი შეხედულებით ქართველ წმიდათა ხსენების დღე. გარდა ამისა, მას დაუწერია «აქებდითსა ზედა დასდებელნი» აბო თბილელისა, ესტატე მცხეთელისა და არჩილ და ლუარსაბისა და მოკლე, ხუთსტრიქონიან იამბიკოებად ცისკრის «აქებდით»ა ზედა დასდებელთა» უკანასკნელი მუხლი, რომელსაც «დიდებაჲ» ეწოდება, შემ-

---

[1] უფრო ვრცლად იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მეთვრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, «ლიტერატურული ძიებანი», ტ. VIII, 1953.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, გვ. 12.

[3] «სადღესასწაულოში» შეტანილია კონდაკი ქეთევან დედოფლისა და არჩილ მეფისა.

დეგი წმიდანებისა: ნინოსი, რაჟდენ პირველმოწამისა, ესტატე მცხეთელისა, შუშანიკ დედოფლისა, იოანე ზედაზნელისა, შიო მღვიმელისა, დავით გარეჯელისა. ისე წილკნელისა, აბიბოს ნეკრესელისა, ანტონ მარტყოფელისა, არჩილ მეფისა, აბო თბილელისა, დავით და კონსტანტინესი, ილარიონ ქართველისა, გობრონისა, იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებისა, დავით აღმაშენებლისა, ერისთავთა — შალვა, ბიძინა და ელიზბარისა, მეფე ლუარსაბისა და ქეთევან დედოფლისა [1]. ამ იამბიკოთაგან ჩანს, რომ ნიკოლოზი პოეტი ყოფილა. მას, ალბათ, სხვა ლექსებიც ექნებოდა დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, ხელნაწერთა ინსტიტუტ. A 342 (ფურც. 46 — 54) შენახულა შვიდსტროფიანი იამბიკო «თქმული ნიკოლოზ ტფილელისა», რომელიც, დარიგების სახით, მიმართულ უნდა იყოს რომელიღაც მეფისადმი:

1. ბრძნად ბრძენი უბრძნეს, ერთობ ძმანი დანებით,
ბრძენი სიგრძეს ზომდ, უძრავად განიბანებით,
განსპერიტენ გულით, სჭიდენ თითნი დახებით,
ჩჩჯლნი კლდესა ჰკარ, მტერთა მახეილ დანებით
სუფევ მტუერგანყრით, მარად შუებით და ნებით.

2. იანკელს სწორჰყოფს, საჭიროს ეფართო-ვრცელებს.
უძლოსა ძალ-უძს კაპანსა გზად საალად,
მეძებმან ჰპოვის. კაკუნითა განიღოს,
მთხოეი შოობდეს, ეწყალოს იმწყალობლებს
წესიერ მეყმი, თჳთ ბრძანებს უსწორო მზე.

3. გიხილაენ დიდნი, ლართა დიდთა მჭონებნი,
არა თჳთ იხენის, არ სხჳს ნიჭთა მშოებჱ,
სამღილპარაეთად დაუნჯუასა იწონებნი,
ამასღამ უსულ ვის, რომელ ხარ მგონებნი,
მიწა ილებო, ლოდი გესაბანებნი.

4. ღმერთსა სთნაეს ქმნადი ესე შენგან მეფისა:
სიმდაბლე კეციანთა, ფრენა მაღლადმი.
სიმშჳდე კეთილ, საგარი უკორცოთა თან,
სულგრძელება აღეთისებს ფარილის მწყალესა,
ამას ჰყოფდ, სუფევდ მტეერისა მტერად დამტევი.

5. არ ქრთამით სჯიდე. მოწყალე იყავ დიდი,
ჰყუარობდ ყეელა ღეთისა სამკჳდრებელად,
მსაჯულს ტაბილგიყოფს, სამჯავროდ ჭირეულსა,
მგზავრს მელამპრებს მეორე სუფევამდი
აბრაამისა წიაღსა აღიწიე.

6. ესრეთ მოქმედებდ სამსა ჩინებულთაღმი:
სიტკბო წესიერ, სერ უქმენ უშფოთველი,

[1] დაბეჭდილია «სადღესასწაულოსა» და მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს «საქართველოს სამოთხეში» დ. სახელებული წმიდანების ბიოგრაფიის წინ.

მკუდართა სტიროდე, ვით თანამოგზაური,
თანმოხარულთა იხარებდ, გიხმობს პავლე,
ას წელ დაფლული ხუალ ყოველთა წინაშე.

7. კარსა ნუ დაუხშავ ქრისტეს, მთხოველად შეცელილსა,
დესპანით უძღენი მას მფლობელის შეთვლილსა,
ახარ-გახაროს, ვითა ვაზმან მესთელისა,
შენც რეკდ მსასოე, სუფეედ მომავლისა,
ნეტარ გარდახდად აქა-იქის ვალისა.

ხელთნ. S 3723 ამ შვიდს სტროფს ერთვის კიდევ ორი ზედმეტი სტროფი. ცნობილია კიდევ ერთი ლექსი, რომელიც ნიკოლოზს გაუგზავნია ასტრახანიდან პეტერბურგში მყოფ ვახტანგ მეფისათვის. ის ექვსი სტროფისაგან შედგება და ასტრახანში მყოფი ქართველების გაჭირვებას ავგიწერს[1].

დოგმატიკურ დარგში ნიკოლოზს რედაქცია გაუკეთებია საბას შრომისათვის «სამოთხის კარი», რომელშიაც კათოლიკური ტენდენცია და აზრები ამოუგდია მართლმადიდებლობის შესაბამისად, და დაუმზადებია კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება «სარწმუნოება შემოკლებითი»[2]. ამ თხზულებამი უბრალოდ და მარტივადაა წარმოდგენილი საფუძველნი საქრისტიანო დოგმატიკისა და მორალისა. ნიკოლოზს რედაქცია გაუკეთებია აგრეთვე არჩილ მეფის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი პეტრე მოგილას კატეხიზმოსათვის და მოუმზადებია ის დასაბეჭდად. აქ ჩვენ ვკითხულობთ: «ღმერთო, აცხოვნე ამ წიგნის ქართულ ენაზე გამწყობი ტფილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ ორბელიშვილი»[3]. ჩამოთვლილთ გარდა, ჩვენამდე შენახულა ერთი შრომა ნიკოლოზისა, რომელსაც ეწოდება «შჯდთა მათ მომაკუდინებელთა ცოდვათა და შჯდთა მადლთათჳს»[4]. სქემა თხზულებისა ასეთია: ჯერ დასახელებულია და განმარტებული მომაკვდინებელი ცოდვა და ჩამოთვლილია ის 10 ცოდვა, რომელიც ამისგან წარმოდგება, თითოეული მათგანის ახსნა-განმარტებით. ამის შემდეგ აღნიშნულია და გარკვეული ამ მომაკვდინებელი ცოდვის «აღმომფხვრელი და დამარღვეველი» მადლი, ჩამოთვლილია 10 მადლი, რომელიც ამისგან აღმოეცენების, და განმარტებულია თითოეული მათგანი. შჯდი მომაკვდინებელი ცოდვა და შჯდი მადლი, ნიკოლოზის აღრიცხვით, ასეთია: 1) ამპარტავნება — სიმდაბლე, 2) არაწმიდება — სიწმიდე, 3) ნაყროვნება — მარხვა, 4) მცონარება — სიმხნე, 5) მრისხანება — სიმშვიდე, 6) შური — სიყვარული, 7) ანგარება — მოწყალება. როგორც ვხედავთ, ეს იმგვარივე თხზულებაა. როგორიც წინათ კვიპრიანე სამთავნელს დაუწერია. კვიპრიანეც და ნიკოლოზიც ერთსა და იმავე მომაკვდინებელ ცოდვასა და მადლს ასახელებენ, მხოლოდ სხვადასხვა რიგით ჩამოთვლიან მათ და, ზოგიერთ

[1] ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში, «ლიტერატურული ძიებანი» XI, 1958 წ., გვ. 72—73.

[2] გამოცემულია თბილისში 1885 წელს მღებრიშვილის, კარბელაშვილისა და მოლოდინშვილის მიერ.

[3] A 586, გვ. 119.

[4] A 342; S 348, გვ. 214 — 248.

შემთხვევაში, სხვადასხვა ტერმინით აღნიშნავენ. განსხვავდებიან ისინი ერთიმეორისაგან იმით, რომ კეიპრიანე არ ასახელებს ათ მაღლს, რომელიც გამომდინარეობს უმთავრესი მაღლისაგან, ხოლო ათი ცოდვა, რომელიც მომაკვდინებელი ცოდვისაგან წარმოდგება, მათი ნუსხით სხვადასხვაობს. თხზულების მიზანია იმდროინდელი საზოგადოების მორალურად წვრთნა და წარმატება.

63. რომანოზ მიტროპოლიტი

რომანოზი იყო შვილი არაგვის ერისთვის გიორგისა. მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ განვლო რუსეთში, მოსკოვს, სადაც მას, იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის დროს «მწირობასა და რუსეთსა შინა სტუმრობასა საქართველოს მეფის შკილის ბაქარისსა», 1745 წელს დაუწერია თხზულება, რომელსაც ეწოდება წ ი ნ წ ი ლ ა ღ ა ღ ა დ ე ბ ი ს ა. ეს წიგნი, ამბობს ავტორი, «ტეხილია მეხიანი მათთჳს, რომელთა მტკიცედ არა უპყრიეს სიტყუანი ქრისტესნი და მამათა და მოწამეთანი, არამედ თჳსთა მუცლითა მეზღაპრობენ და გარეშეთ წიგნებთა იმოწმებენ და ეძიებენ და გამოეძიებენ ცუღთა და ამაოთა საძიებელთა», და ის «არა თუ თჳსითა მუცლითა და სიბრძნითა ნაზღაპარი, ანუ თუ ჩემობითა და მოგონებითა ახალი რამე და თჳსაგან ნასიბრძნი», არამედ საბარების, სამოციქულოს, დავითნისა და წინასწარმეტყველთაგან ამოკრებილ ადგილებს შეიცავსო. ეს ადგილებიო, განაგრძობს ავტორი, ამოვკრიბე მე «მაცილობელთა პირის დასაფარავად». ერთი კერის განმავლობაში აღვნუსხე «ძველისა და ახლისა წიგნებისა მოწმობა და სწავლა რომელთამე საჭიროთა საქმეთა და ცილობათათჳს, რომელი იქმნების მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორისო»[1]. მართლაც, ეს საკმაოდ მოზრდილი თხზულება შეიცავს სახარება-სამოციქულოსა და დავით-საწინასწარმეტყველოდან ამოკრებილ ადგილებს ამა თუ იმ დოგმატიკური თუ მორალური ხასიათის დებულებათა შესახებ. თხზულება მიმართულია თავისუფალი აზროვნების წინააღმდეგ. რომელმაც ფეხი გაიდგა ქართველთა მოწინავე წრეებში მეთვრამეტე საუკუნეში საერთოდ კულტურულ გარდაქმნებთან დაკავშირებით.

64. ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი

ბესარიონი, როგორც თვითონ ამბობს ერთ-ერთი ხელნაწერის ა ნ დ ე რ ძ შ ი (A 105), ყოფილა «ნათესაჲთ ბარათაშვილი, ტომობით ორბელიშვილი». ბერად აღკვეცის შემდეგ ძა ს უმოღვაწნია დავითგარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში და 1730 წელს კათოლიკოსობა მიუღია. გარდაიცვალა ის 1737 წელს. უდაბნოში ყოფნისას მას ჩვეულებად ჰქონია ძველი ხელნაწერებისა და თხზულებების გადაწერა, უფრო ასკეტიკური შინაარსისა[2]. ბესარიონს საკუთარი,

[1] A 150, გვ. 22 — 35.

[2] კ ლ ე მ ა ქ ს ი, ლ ა ვ ს ა ი კ ო ნ ი, კ ა ს ი ა ნ ე რ ო მ ა ე ლ ი და სხვ.

ორიგინალური თხზულებანიც უწერია. უფრო საყურადღებოა ბესარიონის საპოლემიკო თხზულება გრდემლი. ეს თხზულება მას დაუწერია ჯერ კიდევ ბერ-მონაზვნობისას, როდესაც ის დავითგარეჯის უდაბნოში მოღვაწეობდა, მაშასადამე, 1729 წლამდე, იმ დროს თბილისში მყოფ ლათინთა მოძღვრის ფრანცისკო ბოლონიელის კაფუცინის დახმარებით. როგორც შესავლიდან ჩანს, ამ თხზულების დაწერა გაძოუწვევიათ იმ ახალმოვლინებულ «ფილოსოფოსებს», რომელნიც ენამჭევრობენ, გამოიკვლევენ გ-მოუკვლეველსა და გამოიძიებენ გამოუძიებელს, რომელთა ნებავს «ახალი რაჲმე სჯულისდება და ახალი სარწმუნოება». ავტორს სახეში აქვს კათოლიკობის პროპაგანდა საქართველოში, რომელიც მის დროს შესამჩნევად გაძლიერებული და რომელსაც მიმდევრები აღმოჩენიან ჩვენში. თხზულება სწორედ მიმართულია კათოლიკობისა და რომის ეკლესიის წინააღმდეგ და შეიცავს მის დოგმატთა და საეკლესიო წესთა განქიქებას. აქ, სხვათა შორის, წარმოდგენილია ისტორიული სურათი რომის ეკლესიის თანდათანობითი განდგომისა აღმოსავლეთის ეკლესიისაგან ვიდრე ფლორენციის კრებამდე. ნათესავი ჩვენიო, ამბობს ავტორი თავის შრომაში, რაც რომ განათლებულა ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს ქადაგებით, «მიერ დღითგან არღარა ოდეს მიდრეკილ არს ურწმუნოებად... არა დაგვიკლიეს და არცა შეგვიმატებიესო»[1]. ბესარიონს ლიტურგიკულ დარგშიაც უმუშავნია. მას დაუწერია: «კანონი საეკლესიო მღუდელმთავრისა» — ისე წილკნელისა (2 დეკემბ.), «კანონი საგალობელი საუფლოჲსა კუართისაჲ» და «კანონი საგალობელი პირველმოწამისა რაჟდენისაჲ». რომელნიც დაბეჭდილ სადღესასწაულოშიაც არიან შეტანილი. «ბესარიონის ქებული კანონი კუართისა», ანტონ კათოლიკოსის სიტყვით, «არის სულით თქუმული, ღუთისმეტყუელ რიტორებრი» («წყობილსიტყუ.», სტ. 666). თუ მხედველობაში მივიღებთ ანტონისავე სიტყვებს, რომ ბრძენთაგან საქებელ არის, სხვათა შორის, ბესარიონის მიერ «ტიპიკონთ პოვა, მკობა დღესასწაულთა» (სტ. 666), ბესარიონს უნდა ჰქონდეს შეტანა.

ბესარიონი გამოჩენილი მქადაგებელიც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ანტონ კათოლიკოსი მას მიმართავს: «ქადაგებანი შენნი, ნეტარ მამაო, წრფელნი ნაუბნი, გარნა მსგავსებანი პაულეს... საწად იყვნეს მსმენელთა (სტ. 665); ეს ქადაგებანი ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა.

დიდად საყურადღებოა ბესარიონის მუშაობა აგიოგრაფიის დარგში. მის დროს იწყება ჩვენში შედგენა ქართული აგიოგრაფიული კორპუსისა, ესე იგი, ისეთი კრებულისა, რომელშიაც თავმოყრილი იქნებოდა ქართველ წმიდათა ცხოვრება-მარტვილობანი, და შეესება მისი იმ წმიდათა თავგადასავალით, რომელთა «ცხოვრება» მანამდე დაწერილი არ ყოფილა. ამ საქმეში წამყვან როლს ასრულებს

[1] ავტორი სარგებლობს ევსტრატი ნიკიელის პოლემიკური თხზულებით. ალაგ-ალაგ საბუთები საქართველოს წარსულიდანაც მოჰყავს. მაგალითად, იმის დასამტკიცებლად, რომ პეტრე არ იყო თავი მოციქულთა, ის გადმოგვცემს გიორგი მთაწმიდლის პაექრობას ანტიოქიის პატრიარქთან. ანდა, იმის გასათვალისწინებლად, რომ ქალებს ნება არ აქვთ ნათლისღება შეასრულონ, უთითებს წმ. ნინოს, რომელმაც ვერ იკისრა მის მიერ მოქცეულ ქართველთა მონათლვა და საბერძნეთიდან გამოაწვევინა ამისათვის სამღვდელოებაო.

თვითონ ბესარიონი. მას დაუწერია მ ე ტ ა ფ რ ა ს უ ლ ი მარტვილობანი რაჟდენ პირველმოწამისა, არჩილ მეფისა, ლუარსაბ მეფისა, ბიძინა ჩოლოყაშვილისა. შალვა — ელიზბარ ერისთავებისა და «ცხოვრება» ისე წილკნელისა (S 3269). ანტონ კათოლიკოსი მის აგიოგრაფიულ შრომებს «ქართველ წმიდათა მოთხრობა-ისტორიას» უწოდებს (სტ. 665). ეს თხზულებანი ბესარიონს დაუწერია ოცი წლის მანძილზე, 1713 — 1733 წლებში: 1713 წლის აგიოგრაფიულ კრებულში (A 130) ისინი ჯერ არ ჩანან, ხოლო წარმოდგენილნი არიან 1733 წლის კოდექსში (A 170). რაჟდენ პირველმოწამისა და არჩილ მეფის მარტვილობანი რომ ბესარიონს ეკუთვნის, ეს დამოწმებულია, როგორც ამას პირველად ყურადღება მიაქცია «ხელნაწერთა ინსტიტუტის» თანამშრომელმა მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა მ, ანტონ კათოლიკოსის «მარტირიკაში». თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ფაქტი ბესარიონის მიერ არჩილ და ლუარსაბ მეფეთა მარტვილობის დაწერისა აღუნიშნავს ჯერ კიდევ ვ. ს ა ბ ი ნ ი ნ ს (ს:ქართვ. სამოთხე, გვ. 332, შენ. 2, 581, შენ. 1). განვიხილოთ ეს თხზულებანი ცალ-ცალკე.

რაჟდენ პირველმოწამის მარტვილობა. რაჟდენი, წარმოშობით სპარსი, რომელიც მოვიდა ქართლში ვახტანგ გორგასლის დროს, აწამეს სპარსელებმა ქრისტიანობის მიღებისათვის. როგორც ამ მარტვილობიდან ჩანს, რაჟდენის სიმხნე და მოთმინება ძველად აღწერილი არ ყოფილა, ამიტომ ბესარიონს ძველი მასალა კი არ გადაუკეთებია, სულ ახალი შრომა დაუწერია. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ანტონის სიტყვები «მარტირიკაში»: «ღუაწლსა პირველ მოთხრობილსა განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ მამათმთავარი» რას ნიშნავს «განგვიახლებს»? აქ იგულისხმება «განახლება» იმ მოთხრობისა რაჟდენის შესახებ, რომელიც მოცემულია ვახტანგ გორგასალის ისტორიაში[1]. გრძელი შესავალი, პათოსური ადგილები და მოთხრობის თემიდან გადახვევა-გადმოხვევა დამახასიათებელი თვისებაა მისი, როგორც ყველა მეტაფრასული ნაწარმოებისა. ავტორს ხელთა ჰქონია ც ხ ო ვ რ ე ბ ა ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ი, რომელსაც ის აგრეთვე ძ ვ ე ლ ს მ ა ტ ი ა ნ ეს ეძახის. აქედან მას ამოუღია უმთავრესი ფაქტები ვახტანგ გორგასალისა და სპარსელების ურთიერთშორის დამოკიდებულებისა, რომელმაც იმსხვერპლა რაჟდენი. ხელთა ჰქონია მას აგრეთვე დავით და კონსტანტინეს მარტვილობაც, აგრეთვე ბასილი დიდის სიტყვა 40 სებასტიელ მოწამეთა შესახებ და ადრიანესა და ნატალიას «ცხოვრება». ესენი ყველაფერი დამოწმებულია თვით თხზულებაში. გამოცემულია თხზულება მ. საბინინის «საქართველოს სამოთხეში» (გვ. 323 — 330)[2] და თარგმნილია ლათინურად P. Peeter-სის[3] მიერ.

არჩილ მეფის მარტვილობა. როდესაც ლეონტი მროველის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვითვალისწინებდით, აღვნიშნეთ, რომ მას, სხვათა შორის, დაუ-

---

[1] ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 179 — 180.

[2] შემოკლებით გამოცემულია სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს «ქრესტომათიაში», I, გვ. 233 — 240.

[3] Analecta Bollandiana. t. XXXIII, p. 294—317.

წერია «წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისა» [1]. ეს არის «სულ მცირედ აღწერილი» (გვ. 215) თხრობა, რომელიც მერე ბესარიონ კათოლიკოზს გაუვრცელებია და გაუმშვენებია. ამ გადაკეთებულს ან გადამეტაფრასებულ რედაქციას, რომელიც გამოცემულია მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ [2], ეწოდება «შესხვაჲ და წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, მეფისა მის ქართველთაჲსა». შ ე ს ხ მ ა იწყება ერცელი შესაველით, რომელიც შედგენილია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრების შესაველის ზეგავლენით. აქ ავტორი გვაწვდის ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას არჩილის ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს შესახებ: მისი აზრით, არჩილის ერცელი «ცხოვრება» აუწერია მის თანამედროვე ლეონტი მროველს, მაგრამ ეს შრომა «ჟამთა მომყოვრებითა» დაკარგულა და ახლა გვაქვს მხოლოდ ის, რაც ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი შენახულა «სულ მცირედ დაწერილიო» (გვ. 258). ეს, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეესაბამება: ჩვენ ვიცით, რომ ლეონტი მროველი არ ყოფილა არჩილის თანამედროვე და მას იმის მეტი, რაც ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ა, არაფერი არჩილის შესახებ არ დაუწერია. მერე ავტორი იწყებს არჩილის ისტორიას, რომელსაც ის სწყვეტს ფეოდალური ხანის აზროვნებისათვის დამახასიათებელი შენიშენით მისი მოწამეობრივი ღვაწლის სიდიადის შესახებ: «არა სადა სჳენილ არს თჳთმპყრობელთა მეფეთა მოწამეობაჲ, სხუაჲ არს სისხლი მეფისა და სხუაჲ მთავრისა და სხუაჲ მონისაო» (გვ. 260—261). პირველი ნაწილი არჩილის ისტორიისა შედგენილია დავით და კონსტანტინეს მარტვილობის მიხედვით (გვ. 262 — 266). აქ თითქმის სიტყვასიტყვით გამეორებულია მურვან ყრუს საქართველოში მოსვლის შესახებ ყველაფერი ის, რაც დავით და კონსტანტინეს მარტვილობაშია მოთხრობილი. მურვან ყრუ აქაც მახმადის დისწულადაა გამოყვანილი, როგორც დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში. ამის შემდეგ მოყვანილია, თითქმის უცვლელად, ლეონტი მროველის მიერ აღწერილი «ცხოვრება არჩილისა» (გვ. 266—290). ისტორია თავდება მოკლე დარიგებით: ვნატრიდეთ გვირგვინოსანი მეფის ღვაწლს და ვბაძავდეთ მას (გვ. 290 — 292).

ისე წილკნელის ცხოვრება. ისე წილკნელის შესახებ ბესარიონ კათოლიკოსამდე ჩვენ ვიცოდით მხოლოდ ის, რაც გადმოცემულია ასურელ მამათა «ცხოვრებაში» და რაც გამოცემულია მ. საბინინის მიერ (საქართველოს სამოთხე, გვ. 209—211). თავისებური აკროსტიქით შეუმკვია ისე წილკნელი მეჩვიდმეტე საუკუნეში ქ'ნის ერისთავს იესეს (იქვე, გვ. 211—212). ჩანს, ეს ცნობები არ აკმაყოფილებდა მკითხველ საზოგადოებას, რომელიც უფრო ვრცელ ცნობებს მოითხოვდა. ეს მოთხოვნა დაუკმაყოფილებია ბესარიონს, რომელმაც გამოიყენა ის მასალა, რაც მის დრომდე იყო ცნობილი და ზოგი რამ თვითონაც დაუმატა. პოლემიკა, რომელსაც ისე აწარმოებს ცეცხლთაყვანისმცემლების წინააღმდეგ, და მისიონერული საქმიანობა, რომელსაც ის მთებში ეწევა, ამ შრომას ერთ-ერთ

[1] ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 211 — 215.

[2] „ჭართული მწერლობა" 1, 253 — 292. სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, კრესტომათია 1, 247—252 (შემოკლებით).

მნიშვნელოვან ნაწარმოებად ხდის ქართულ მწერლობაში. ეს შრომა ჯერ გამოცემული არაა. ისე წილკნელის ხსენებას წინათ ასრულებდნენ ჩვენში 18 აგვისტოს, მაგრამ კათოლიკოზ ანტონს ის გადმოუტანია 2 დეკემბერს. 2 დეკემბერს წინათ დღესასწაულობდნენ პეტრე იბერიელის ხსენებას, მაგრამ, როდესაც პეტრეს ხსენება, როგორც მონოფიზიტისა, მეთვრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში საეკლესიო კალენდრიდან ამოიღეს და 2 დეკემბერი განთავისუფლდა, ეს დღე დაიკავეს ისეს დღესასწაულით.

ლუარსაბ მეფის მარტვილობა. ლუარსაბ მეფე, როგორც ცნობილია, გახდა მსხვერპლი შაჰ-აბაზ პირველის ცბიერებისა და ძალადობისა, რომელმაც ის შირაზის ციხეში 1622 წელს მშვილდის საბლით მოაშთო. ბესარიონ-მდე ჩვენში ტრიალებდა სვინაქსარული რედაქცია ლუარსაბის მარტვილობისა, რომელშიაც სულ მოკლედ იყო აღწერილი ღაწვლი ლუარსაბისა (საქართველოს სამოთხე, გვ. 580 — 582). ეს ღაწვლი იმდენად დიდი, დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი იყო ქართველების ცხოვრებაში, რომ საჭირო გამხდარა მისი დაწვრილებით გაშუქება როგორც ფაქტიური. ისე იდეური მხრით. და, აი, ბესარიონს უკისრია ამგვარი შრომის დაწერა [1]. ის შეიცავს მეტად საყურადღებო ცნობებს შაჰ-აბაზის შემოსევის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ ცნობათაგან ბევრი რამ უცნობია ისტორიისათვის. ზოგი რამ შესამჩნევად განსხვავდება არსებული ცნობებისაგან [2]. თხზულება იწყება საკმაოდ გრძელი შესავალით, რომელიც აზრებითაც და ფრაზეოლოგიითაც ძოგვაგონებს ბესარიონის სხვა აგიოგრაფიულ თხზულებას—რაჟდენ პირველმოწამის და არჩილ მეფის «მარტვილობას» (საქართვ. სამოთხე, გვ. 169). ანტონ კათოლიკოსამდე ლუარსაბის ხსენებას დღესასწაულობდნენ ან 1, ან 20 მარტს, ანტონს ის გადმოუტანია 21 ივნისს, რადგანაც დიდმარხვაში, რომელიც მარტსა და აპრილში მოდის ხოლმე, ეკლესიის მამებს აო განუწესებიათ წმიდათა და მარტვილთა ხსენებანი [3].

ბიძინა, შალვა და ელიზბარის მარტვილობა. ამ თხზულებაში აღწერილია ის უბედურება, რაც თავს დაატყდა აღმოსავლეთ საქართველოს მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში შაჰ-აბაზ მეორის შემოსევის გამო. აქ მრავალი საყურადღებო ცნობაა ამ უბედურების შესახებ, რაც ოფიციალურმა ისტორიამ არ იცის. დამშვიდებით არ შეიძლება დახედოს კაცმა იმ გულშემზარავ სურათს ქვეყნის გაერანებისა და ამ სამი თავდადებული პატრიოტის ტანჯვა-წამებისას, რომელიც აქ მოცემულია. ამ სამმა გმირმა თავი დადო სამშობლოსათვის. ღაწვლი მათი ავტორს აუწერია, რათა ეს გმირები «შემდგომთათჳს სიმხნისა და ახოვნებისა ძეგლ იქმნეს და ჩუენ გეიტეგეს ვითარცა ხატი და სახე აღუხოცელი სიჭველისა მათისა» (საქართ. სამოთხე. 601). ავტორს, მის დროს არსებული საისტორიო მასალების გარდა გამოუყენებია, შედარების მიზნით, აგიოგრაფიული

[1] გამოცემულია სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 407 — 416.

[2] შეად. კ. კეკელიძე, ქართველი ქალები შაჰ-აბაზ პირველის ქარზე, ეტიუდები IV, 217 — 226.

[3] კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის ლიტურგიკული მოღვაწეობიდან, ეტიუდები IV, 181.

ლიტერატურის ფაქტები, მაგალითად, ბიძინას გვამის ასო-ასოდ დაშრა მას ადგონებს «იაკობ დაჩრილს», რომელი «გამობრწყინდა მათვე სპარსთა შორის» (საქართ. სამოთხე, გვ. 607—608). შალვას შვილიშვილს იესეს (გარდ. 1739 წ.) შეუდგენია მათი «აკოლოთია» ეკლესიაში სახმარებლად [1].

ჩამოთვლილი აგიოგრაფიული თხზულებანი ბესარიონისა დაწერილია ერთი და იმავე სტილით, რომელიც მიზნად ისახავს არა ენაწყლიანობას, არამედ ისეთი სურათების დახატვას, რომელიც ადამიანის სულსა და შეგნებას აღელვებს სამშობლო ქვეყნის უბედურების წარმოდგენით. ავტორს ეს ზედმიწევნით ეხერხება. მისი ენა არის ეპიური, დარბაისლური, რომელსაც ალაგ-ალაგ ელეგიური კოლორიტი დაჰკრავს, განსაკუთრებით ქვეყნის რბევა-აოხრების და ადამიანთა ტანჯვა-წამების აღწერისას. ავტორი დიდად ნაკითხი და მცოდნე ყოფილა აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, მის მოთხრობასა და მსჯელობაში ყოველ ნაბიჯზე ხვდებით აგიოგრაფიული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ ფრაზებს, აზრებს და წინადადებებს, აგრეთვე მხატვრული ენის აქსესუარს და მხატვრულ სახეებს. უსაზღვრო პატრიოტიზმი დამახასიათებელია ყველა ამ თხზულებისა. ავტორი ამ შრომების ფაქტიურ მხარეზე ამყარებს თავისი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებების მონაცემებს, როგორც, მაგალითად, რაქდენ პირველმოწამისა და ისე წილკნელის სახელობის „კანონებში“.

65. ტიმოთე გაბაშვილი

ტიმოთე იყო მოწაფე ბესარიონ კათოლიკოსისა, ის ერთი საუკეთესო მღვდელმთავარია მეთვრამეტე საუკუნისა როგორც ჰკუით, ისე განათლებით. თავდაპირველად მას ეკავა სამიტროპოლიტო კათედრა ქუთაისში, საიდანაც 1738 წელს მეფე ალექსანდრემ გაგზავნა რუსეთს დიპლომატიური მისიით, რომელსაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. უკან დაბრუნებული ტიმოთე ჩერქეზებს ჩაუვარდა ტყვედ და, ბევრი ვაი-ვაგლახის შემდეგ, ძლივს მოაღწია იმერეთში, საიდანაც ის შემდეგ გადავიდა ქართლში და 1743 წ. მახლობლად მიიღო კათედრა ქართლის მთავარეპისკოპოსისა, რომელსაც პირველი ადგილი ეჭირა კათოლიკოსის შემდეგ [2]. თავისი რწმენით, მსოფლმხედველობითა და იდეალებით ის ახლოს იდგა კათოლიკოს ანტონისთან. როდესაც ანტონის პიროვნების გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა და მღელვარება ატყდა, 1755 წელს, მაშასადამე ანტონის საბოლოოდ გასამართლებამდე და სამშობლოდან გაძევებამდე, ტიმოთემ (საფიქრებელია ამ ამბებთან დაკავშირებით) ეპარქია მიატოვა და აღმოსავლეთს გაემგზავრა წმიდა ადგილების მოსალოცად და მოსახილველად. აღმოსავლეთიდან დაბრუნდა 1759 წელს და ერთხანს დავითგარეჯის უდაბნოში ცხოვრობდა, რამდენიმე ხნის შემდეგ კი რუსეთს გაემგზავრა და გარდაიცვალა ასტრა-

[1] თხზულება გამოცემულია სოლ. ყუბანეიშვილის კრებულში 1, 407—416.

[2] ანტონ კათოლიკოსის «სპეკალის» წინასიტყვაობაში ტიმოთე თავის თავს უწოდებს «სამთავროსა და გორისა მიტროპოლიტს».

ბანს 1764 წელს. ამის მეტი ცნობა ტიმოთეს შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

ტიმოთეს თხზულებათაგან ჩანს, რომ ის მართლაც განათლებული კაცი ყოფილა. საფუძვლიანად სცოდნია ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, განსაკუთრებით პროკლე დიადოხოსის კ ა ვ შ ი რ ნ ი, საეკლესიო ისტორია და ოსმალურ-თურქული ენა, საკმაოდ სცოდნია ბერძნული ენა და რამდენადმე რუსულიც. ადამიანი, უაღრესად მოყვარული თავისი სამშობლოსი, როგორც ეს ჩანს მისი «ძიმოხილვიდან», და ეროვნულ-კულტურული იდეალებით გატაცებული, ის ამავე დროს მატარებელი იყო კრიტიკული სულისა, რომელიც ულმობლად ამაიარაბებდა და ამხელდა ყოველგვარ ნაკლს თავისი სამშობლოს წარსულისა და აწმყოისას. ასეთ კრიტიციზმს ის იჩენდა განსაკუთრებით ლიტურგიკულ სფეროში, ამ მხრივ ის წინამორბედი იყო იმ შესწორება-შედარებითი მიმართულებისა, რომელიც დამყარდა ჩვენში, სამწუხაროდ, უფრო ვიწრო მასშტაბით, ალექსი მესხიშვილისა და ანტონ კათოლიკოსის დროიდან. ჩვენში რომ შესაფერისი პირობები და ნიადაგი ყოფილიყო, შესაძლოა, ტიმოთეს ჩვენს საეკლესიო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთივე რამ გამოეწვია, რაც გამოიწვია რუსეთში პატრიარქი ნიკონის ანალოგიურმა სულისკვეთებამ ლიტურგიკულ მწერლობასა და სფეროში.

ტიმოთეს თხზულებათაგან, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ «მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსაელეთისა ადგილთა», გამოცემული თბილისში 1852 წელს პლ. იოსელიანის მიერ[1]. ამ თხზულებას, რომელშიაც ტიმოთეს აუწერია თავისი მოგზაურობა აღმოსაელეთში, შემოკლებით ეწოდება «ტიმოთიანი». «მაწუეედა მე შინაგანთა ჩემთა სიყუარული ძმობისა და ერთსულობისა ქუეყანისაგანთა ჩუენთა და კუალად დაეიწუებისათჳს მათგან მპყრობელობისა წმიდათა ამათ ადგილთასა», ამბობს აეტორი შესაეალში, და «ამისათჳს მელმოდა თუ ეითარ მეფენი საქართეელოჲსანი ჟამთა მათ შინა მეპატრონე და მპყრობელი სრულიად იერუსალიმისა და პალესტინისა ქვნილ არიან, და მაღალ და ძლიერ ყოფილ არიან ჲათესავნი საქართეელოჲსანი და ესოდენ დაკნინებულ არს», «რომ გარეშემონი ჩუენსა მპყრობელნი სიტყჳსა რაჲსამე ჩუენდა მოცემად არა მკადრე არიანო» (გვ. 9 — 10). თხზულება 26 თავისაგან შედგება და შეიცავს უმთავრესად ათონისა და პალესტინის სიძველეთა აღწერილობას, განსაკუთრებით კი ქართული ნაშთებისას. გზადაგზა აეტორი აგეიწერს ყეელა იმ პუნქტს, სადაც მას გაუელია, მოგეითხრობს — თუ რა საეკლესიო-ისტორიული მოგონებაა შეერთებული ამა თუ იმ ადგილთან, აგეიწერს შესანიშნავ ტაძრებს, მონასტრებს, სკოლებს, სასახლეებს. ყეელგან და ყეელაფერში ის იჩენს გასაოცარ ცნობისმოყვარეობას, რომლის დასაკმაყოფილებლად, ხშირად მაშინაც კი, როდესაც საკითხი თვით საქართველოს ეხება, ის საჭიროდ თელის მიმართოს თავის თანამოსაუბრე განსწავლულ ბერძნებს.

[1] მეორე მისი გამოცემა გაუთვნის ე. მ ე ტ რ ე ე ე ლ ს — ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლეა. 1956.

მაგალითად, სხოლარ ევგენიოსისაგან[1] ის გამოიძიებს, რატომ ეწოდებათ ქართველებსა და ესპანელებს «იბერიელნი» და რას ნიშნავს ქართველთა სახელწოდება გეორგია, კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაჰკიცხავს ცნობებს ქართველთა მოქცევის შესახებ, იერუსალიმის პატრიარქისაგან მოისმენს კურიოზულ მოთხრობას საქართველოში სამი საკათოლიკოსოს დაარსების შესახებ (კვ. 106 — 107) და სხვ. მისი ისტორიული გაშუქება ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენისა ხშირად შემცდარია და დღეს მიუღებელი, მაგრამ ამაში ტიმოთეს ბრალი არ მიუძღვის, ის მტკიცედ დგას ვახტანგ მეფის მიერ შემუშავებული ქართლის ცხოვრების ნიადაგზე.

მეორე შესანიშნავი თხზულება ტიმოთესი, ისტორიულ-პოლემიკური ხასიათისა, არის მარწუხი. მარწუხი ნიშნავს მაშას, რომლითაც ნაკვერცხალს აიღებენ ხოლმე. ავტორს ასეთი სახელი ამოუღია ბიბლიიდან: ერთმა ანგელოზთაგანმა, ნათქამია ისაია წინასწარმეტყველის წიგნში (თავი VI), მიიღო მარწუხითა ნაკვერცხალი და შეეხო ისაიას ბაგეს, ამით მან გასწმინდა წინასწარმეტყველი და პირში ჩაუდო სიტყვა, რომელიც ხალხისათვის უნდა ექადაგნა მას. რად გამოძებნა ტიმოთემ ასეთი სიმბოლური სახელი? თხზულებაში ლაპარაკია შვიდ მსოფლიო კრებათა შესახებ, რომელთა დადგენილებანი და კანონნი გასწმენდნენ ქვეყანას უკეთურებისაგან, როგორც ისაია განწმიდა ნაკვერცხალმა, და ასწავლიან მას ჭეშმარიტების სიტყვას. მაშასადამე. წიგნი, რომელშიაც გარკვეულია ეს საგანი, არის მარწუხი, მიმწოდებელი ქვეყანისათვის განწმენდილისა და განმანათლებელი ნაკვერცხლისა. შესავალში ავტორი ამბობს: «მრავალგანთქმული ესე მართლმადიდებლობითა დიდი იერია მრავალგზის წარმართთა აოხრებათა მიერ შეძკირებული იყო ამა წიგნიდგან და ეკლესიათანი საგანძურნი დაცარიელებულ იყუნეს საღმრთოთა წერილთაგან. და კრებისა ესე წიგნი სრულებით არღარასადა იპოებოდა: თუ ქრისტეს აქეთ რაოდენსა ჟამსა იქმნნეს წმიდანი კრებანი; ანუ ვინ რომელნი სუფევდენ, ანუ პაპანი რომელნი ცხოვრობდენ და პატრიარქნი[2] რომელნი მოიწეოდენ კრებასა და ანუ პატრიარქნი რომელნი ჰმწყსიდენ მას ჟამსა და ანუ რომელსა ქალაქსა იქმნებოდენ კრებანი ანუ წინააღმდგომნი მწვალებელნი ვინა იყუნენ: ეპისკოპოსნი, მღუდელნი თუ ერისკაცნი თუ ვითარ სცვალებდენ ანუ რომელთა სიტყვათა იტყოდიან წვალებათა, ანუ მართლმადიდებელნი ვითა პირსა უყოფდენ საწინააღმწარმეტყუელოჲთა და სამოციქულოჲთა მოძღურებითა, და ანუ ვითა სწავლითა დაუყენეს პირნი მათნი და შეაჩუენნეს, ანუ მწვალებელთაგან ვითარ იტანჯნეს მართლმადიდებელნი. ანუ კანონნი რაოდენნი დასხნეს სჯულისანი კრებასა. ესენი, რჩეულნო, ზედმიწევნით არა უწყოდითო». აი, ამ ნაკლის შევსება განუზრახავს ტიმოთეს ჩვენს მწერლობაში და მართლაც ღირსეულად შეუსრულებია ეს. «ხოლო მე, მდაბალი ქუთათელ-არხიეპისკო-

[1] ეს არის გამოჩენილი იმ დროს ევროპული მასშტაბით თეოლოგი და ფილოსოფოსი, რექტორი ათონის ეატაპედის აკადემიისა. ევგენიოს ბულგარისი, რომელიც გარდაიცვალა რუსეთში 1806 წელს. (ე. მეტრეველი, გვ. 138 — 144).

[2] ამ სიტყვას ტიმოთე თვით განმარტავს: «დადგილს მცველნი პაპისანი, რომელნი პატრიარქად ბერძულებრ სახელ-იდებიან».

პოზი ტიმოთე», ამბობს ის. «ვიწყე შეკრებად საღმრთოთა წერილთაგან, რომელნი თჳთ მაშინვე კრებასა ნათქუამნი და ზოგი შემდგომად კრებისა აღწერილნი წმიდათა მამათაგან, არა თუ ჩემით შემიწყუეს რაჲმე წმიდასა ამას კრებასა, არამედ თჳთ ღირსთა პირისათა ნაბიჭევნი აღმომიჩინეს, და ეუწოდე წიგნსა ამას „მარწუხი", მტკრთველი შჳდთა ნაკუერცხალთა ნამდვილი ესაიასებრ ბაგე». ავტორს განხილული აქვს ყველა მსოფლიო კრება, გათვალისწინებული აქვს საკითხები ამ კრებათა შესახებ, მოყვანილია ექსცერპტები მწვალებელთა მოძღვრებისაგან და მათი დამარღუეველი საღმრთო წერილისა და წმიდათა მამათა თხზულებებიდან, კერძოდ, სადაც პირველი მსოფლიო კრების შესახებაა ლაპარაკი, ტიმოთეს მოჰყავს ერთი ადგილი პროკლე დიადოხოსის კ ა ვ შ ი რ ი დ ა ნ, იოანე პეტრიწის განმარტებითურთ, უჩვენებს აგრეთვე ციტატას, რომელიც ყოფილა «დიდისა ნერსესისა, სომეხთა კათოლიკოზისა, წიგნსა შინა ისუს ეორდოსისასა». დასასრულ, მოყვანილია ამა თუ იმ კრების მიერ დ ა ს ხ მ უ ლ ნი კანონნი და ი რ ო ი კ ო ანუ იამბიკო ამ კრების შესახებ. თხზულება დაწერილია (1753 წლის მახლობლად) პირველწყაროების დახმარებით. ავტორს ხელთა ჰქონია კრებათა აქტები, არ ვიცით მხოლოდ რა ენაზე, წმინდა მამათა თხზულებანი და შესაფერი საისტორიო ნაწარმოებნი.

ტიმოთეს დაუწერია კიდევ ერთი კაპიტალური შრომა, რომლის შესახებ ამდენ ხანს ჩვენ არა ვიცოდით-რა. ეს არის «გარდამოცემული ერთობისათჳს და სიყუარულისა წმიდათა ეკლესიათასა სარწმუნოებასა შინა ქრისტიანეთასა აღმომდინარისა მის ტკბილნაკადულისა წყაროჲსა, განმწჳედელისა გულისჴმის ყოფათასა წმიდათა წერილთაგან»[1]. ეს საკმაოდ მოზრდილი დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულება წარმოადგენს კრებულს, რომელიც 15 თავისაგან შედგება. პირველი თავი თითქოს შესავალია მთელი კრებულისა და შეიცავს ტრაქტატს «საღმრთოთა სჯულთათჳს». სხვა თავების შინაარსი კი ასეთია: 2 — ჴანურდომისათჳს და დატევებისა ჰურიათა, 3—წარმართთა წოდებისათჳს და ახლად ისრაელად სახელდებისათჳს მათისა, 4 — განკორციელებისათჳს მაცხოვრისა, 5 — ჯუარცმისათჳს უფლისა. 6 — დაფლვისა და ჯოჯოხეთად შთასლვისა, 7 — აღდგომისათჳს, 8—ჰურიათა მოსალოდებელის ანტისათჳს, 9—აგარიანთათჳს, 10 — ეკლესიათათჳს თუ ვითარ განხეთქილებითა და განწჳალებითა მტრად აღდგომილ არიან ურთიერთას, 11 — 12 — განწჳალ-განხეთქილებისათჳს ეკლესიათა და წჳალების მთავართათჳს, 13 — რა მდგომარეობაში არიან ცოდვილნი და მართალნი ქრისტეს მეორედმოსვლამდე, 14 — უღმრთოჲსა ნესტორისა წჳალებისათჳს და არიოზისათჳს საძაგელისა, 15—განყენებული მსჯელობა დოგმატიკურ-მორალური ხასიათისა. აღნიშნულ საკითხთა გასარკვევად ავტორს მოჰყავს მოსაზრებანი დოგმატიკური და ფილოსოფიურ-ისტორიული. როგორც 11 — 12 თავში, სადაც ლაპარაკია განსაკუთრებით მათთვის, რომელნიც «უარჰყოფენ ფილოსოფიას და განსაზღჳრებას» და ამტკიცებენ, რომ «საკმაოა ლექსი სამოციქულო სახარებისა ადამიანის ცნობისმოყუარების» დასაკმაყოფილებლადო: უფრო მეტ არგუმენტაციას ავტორს აძლევს საღმრთო წერილი, საიდანაც იმას უხვად შემოაქვს ციტატები. საყურადღებოა ავტორის

[1] S 3244, გვ. 258—596. ქუთაისის მუზეუმის № 48, გვ. 315—559.

მსოფლმხედველობისა და პიროვნების გასათვალისწინებლად ერთი ადგილი, რომელიც მიმართულია მის თანამედროვე ქართველებისადმი. «ხოლო გეტყჳ შენ, ძმანო და ერთგულნო საქართველოჲსანო, რამეთუ, იკითხვიდი რა წიგნთა საღმრთოთა, შიშით განსჩხრიკედი და ყოველთა კრძალულებით დაიტევდი საკმართა. გეედრები—წიგნთა უძველესთათჳსცა ნუ ირწმუნებ ყოველსაჲე, თუ სწორედ სარწმუნო არიან, რამეთუ მრავალნი მართლმადიდებლობით აღუწერიათ და მრავალნი დაფარულად წვალებანიცა შთაუსხამთ, და მრავალთა მთარგმნელთა ბერძენთა ენასა ვერ შეუწამებიათ ქართულნი და წვალებად გამოსრულ არს, მრავალნი მწერალთაცა გაურყუნიათ. და კიდალად პროკლე დიადოხოსი პლატონისი წიგნი იპოვების საქართველოთა შინა. უკუეთუ მართლმადიდებლობით სძებნიდე, ღეთისმეტყუელება მაღალი და ჰეშმარიტი გეპოვოს, და თუ უკუეთუ ვერ კეთილად და უგულისხმოდ ეძიებდე, პოვნე მას შინა ღელვანი და მთხრებლნი არიოზისნი და ორიგენისნი. აწ სახეცა შემოვიღოთ ამისათჳს, ვითარ იგი უთარგმნიათ ქართულებ: «და მკედარნი სცკჳდეს უხრწნელსა გუამსა შენსა», და კუალად: «შეუნიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოჴსნა უხრწნელი გუამი შენი, ქრისტე». იხილე ბოროტი თარგმანი და ნესტორიანი! ანუ ამისათჳს გამოვიძიოთ, თუ ვითარ იტყჳს: «უხრწნელი გუამი» არს ძისა ღმრთისა, რომელი გუამ ექმნა ჴორცთა, და არა გუამი კაცისა მიიღო, არამედ გუამოვნებით შეერთდა და თჳთ გუამოვანი სიტყუაჲ, სიტყუა მამისაჲ, იქმნა თესლი საღმრთო და გუამ და, ქალწულებრივთა სისხლთა მიმღები, შეიერთებს ჴორცთა და თანაღმერთ ჰყოფს. აწ ეკითხებოდედ მთარგმნელსა მას: თუ კაცისა გუამი იყო, ვითარ იქმნებოდა უხრწნელ, და თუ სიტყჳსა ღმრთისა გუამი იყო, ვითარი ქება არს «უხრწნელი გუამი» ღმრთისა? არამედ ხორცნი განღმრთობითა უხრწნელად თქუა; ვინაცა ბერძენნი არა ესრეთ იტყჳან, არამედ «ახრანტუ სომა», ესე კეთილად არს, ვითარმედ «უხრწნელი ჴორცი» ესრეთ მოვა... და კუალად შობისა გალობაში უთარგმნიათ: «და ეზიარე გუამსა უძლურსა»; უკუეთუ გუამსა უძლურსა კაცისასა ეზიარა გუამი სიტყჳსა ღმრთისა, ორი გუამი ყოფილა ქრისტესი და შეეიქმნებით ნესტორიანი, არამედ ბერძენნი იტყჳან ამა სიტყუასა ესრეთ: «და ეზიარე ჴორცსა უძლურსა», ჰეშმარიტი ლექსი არს ესე». და კუალად მოციქულისაცა მას სიტყუასა ვიტყოდეთ: «რაჟამს და იმღერნიან სქესნიო», ბერძულებრ ასეა... ხოლო ქართულად აღუწერიათ: «რაჟამს და იმღერნიან ქრისტესნი» იგიო... კუალად ბერძენთა და რუსთა ენასა ზედა «ევლოგისონ» და რუსულებრ «ბლაღოსლოვი», ესენი ითარგმნება ქართულებ «ქველმსიტყჳე» გინა «კეთილმსიტყჳე», ხოლო მოუღია მთარგმნელს «გვაკურთხენ», არაფერი სიტყჳა არა არს და არცა ესე ვიცი, თუ ვითარ უქნიათ. და კუალად პარაკლიტონის მუკლები კჳრაძლობისა სამი დამასკელის თქმული და სამი ანატოლი პატრიარქისა; ანატოლი «აღმოსავლეთად» უთარგმნიათ და ჰგონებენ საქართველოსაგანნი, ვითარმედ «აღმოსაველური» თქუმულ იყოს სამი მუკლი იგი... და მრავალი ესეგითარი შეცთომილი რამ უთარგმნიათ, ამათი ძიება და განრჩევა საკმარ არს (გვ. 494—489). რასაკვირველია, მთლიანად ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ სასტიკ კრიტიკას: 1) ბერძნული ωμα ქართულად «გუამადაც»

იხმარება, 2) «ქრისტესნი» «სქესნი»-ს მაგიერ უბრალო გრაფიკული შეცდომაა, რომელიც ტიმოთეს დროს, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, თავისებური შეხედულების არგუმენტაციადაც მოყავდათ, 3) «ანატოლის» «აღმოსაელურად» თარგმანში არა მარტო ქართველნი არიან დანაშაული, ასეთი ბრალი მიუძღვით სლავებსაც, რომელთაც ანატოლის მაგიერ «восточны» უხმარნიათ, 4) ხოლო «გუაკურთხენ»-ის შეცვლა «ქველმსიტყვე»-თი, რომელიც პეტრიწონელების მიერაა შემოღებული, არც ისე აუცილებელია. მაგრამ საყურადღებოა არა მაგალითები, არამედ თვით აზრი აეტორისა, საკითხის დასმა, რომელიც გზას უკაფავდა ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში კრიტიციზმს [1].

თხზულების 15 თავთაგან შინაარსის მხრივ უფრო საინტერესოა მეცხრე — აგარიანთათვს (გვ. 358 — 414), რომელიც მთლიანად ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ ნაწარმოებს წარმოადგენს, ამასთან ორიგინალურს. შინაარსი მისი ასეთია: მოიხსენებს რა მაცხოვრის მოსვლასა და ამქვეყნიურ ცხოვრებას, მის ზეცად ამაღლებასა და სულის წმიდის გადმოსვლას, აეტორი აგვიწერს თუ რა სასწაულებს იქმოდნენ ქრისტიანობის გასავრცელებლად მოციქულები და წმიდანები. სხვათა შორის — «ნინო საქართველოთა ბნელწუკდიადობასა ნათლად უბაზმაკებდა და არმაზის კერპსა ჯუარითა შემუსერიდა, ბარბაროზთა მათ მეფეთა და უძლეველთა მქედრობათა საქართველოჲსათა სულ მცირე იგი ენკრატისი ბრძანებითა შეაშინებდა და ნათლად ღმრთისმსახურებისა აღმოიყვანდა» (გვ. 363 — 364). საკვირველებათ იქმოდნენ წმიდათა ნაწილებიც კი, «ვითარცა ქართლადცა იხილეების ძვალი წმიდისა ევსტათისი მონასტერსა სახელად ერთაწმიდას საკჳრველად წარმდევნელი ეშმაკთა» (გვ. 364), გავრცელდა და დამყარდა ქრისტიანობა, მაგრამ ჟამითჟამად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ცრუმოძღვარნი, რომელნიც აშახინჯებდნენ მას. ერთი ასეთი ცრუმოძღვარი იყო მაჰმადიცო. მერე აეტორი მოგვითხრობს მაჰმადის წარმოშობას აგარისა და ისმაილისაგან, მის ცხოვრებას, რელიგიური სისტემის შექმნას ებრაულ-ქრისტიანული ელემენტებისაგან და ყურანის შედგენას, არჩევს მაჰმადიანთა თქმულებას ქრისტეს შესახებ და მათი მოძღვრების ზოგიერთ დებულებას, აღნიშნავს როგორ გავრცელდა მაჰმადიანობა აზიასა და აფრიკაში და რატომ ვერ მოიკიდა მან ფეხი ევროპასა და ამერიკაში. საყურადღებოა მისი აზრი ამის შესახებ: ძველი გეოგრაფებიო, ამბობს ის, დუნიას სხვადასხვა ნაწილს ცხოველთა სახით წარმოიდგენდნენო: აზია სახეა ლომისა სისხლისმსმელისა, აფრიკა — ხარისა, ამერიკა—მელისა, ხოლო ევროპა—ადამიანისაო. «ევროპა არს სახე დედაკაცისა ნარნარი და, ვითარცა ადამეანი სიბრძნეშემოსილი და მეცნიერი თჳთეულთა სახეთა», არ შეიწყნარებდა ასეთ უგუნურ სწავლასო. «ამერიკამან, ვითარცა ვერაგმან მელის სახე ან მცბიერმან, არა შეიწყნარა ქადაგება მისი; ამერიკა ესოდენ დამმალველ იქმნა თაეისა, სოფლისა შესაქმეთა აქეთ არავინ უწყოდა თუ არს, ვინაჲთგან პოვნილ იქმნა ამერიკა, მას აქეთ წელნი არიან გარდასულნი 250 და უწოდენ თურქნი ამერი-

[1] კრიტიკული მიდგომით კითხულობდა და ასწორებდა ტიმოთე იოანე დამასკელის «გარდმოცემისა» და პროკლე დიადოხოსის «კაშირნის» ქართულ თარგმანებსაც.

კას იენგი დუნია». აზია და აფრიკა კი, ვითარცა სახე პირუტყუსა და უგუნურისა მხეცისა, «მიეზავა ბარბაროზისა მაჰმადის სჯულთმოძღურებასაო». ეს იმას კი არ ნიშნავსო, განაგრძობს ავტორი, რომ ღმერთმა წინასწარ განუწესა ამა თუ იმ ერს კარგი ან ცუდი, არა — ბუნება ადამიანისა ერთია, მაგრამ ადამიანთა სხვადასხვაობა ჰავასა და ბუნებაზეა დამოკიდებულიო, მაგალითად, «ქართლისა სანახებთაცა შინა სხუა არიან მთიულნი და სხუა ბარის ალაგისანი ნებითაო» (გვ. 396). ამის შემდეგ ავტორი გვითვალისწინებს იმ განსხვავებას, რაც სპარსეთისა და ოსმალეთის მაჰმადიანთა შორის არსებობს, აღნიშნავს, რომ «მოადგილედ და ვექილად» მაჰმადისა ითვლება სულტანიო და აგვიწერს ცერემონიას მისი სასახლიდან გამოსვლისა და ხალხის შეხვედრისას. ყველა ეს ისეთი ზეიმით, მედიდურობითა და ამპარტავნობით ხდება, რომ სულტანი განსახიერებად უნდა ჩაითვალოს ანტექრისტეს ამპარტავნებისაო. ასეთია ხასიათი და შინაარსი ამ ანტიმაჰმადიანური პოლემიკური თხზულებისა, რომელშიაც იმ მასალის გარდა, რასაც იძლეოდა არსებული ლიტერატურა, ავტორს შეუტანია ზოგი რამ აღმოსავლეთში მოგზაურობისას გაგონილი მაჰმადიანთა შესახებ, როგორც, მაგალითად, შემდეგი, ვითომდა, რწმენა მაჰმადიანებისა: მაჰმადიანთა სამოთხის კარებში დგას ფატმანი, როდესაც მოადგებიან კარებს მაჰმადიანები, ის გაშლის ფეხებს და ლაჯებს შუა გაატარებს მათ, ხოლო, თუ ქრისტიანები მოვლენ და იმავე გზით მოინდომებენ სამოთხეში შესვლას, ფატმანი «წყვილთაგან თჳსთა» გამოუშვებს წყალს ქრისტიანების თავზე და მოაშთობს მათო.

ტიმოთეს კალამს ეკუთვნის კიდევ ერთი თხზულება «დღესასწაულისათჳს ღმრთისმშობლისა მარიამისა»: ამ შრომაში, რომელიც გამსჭვალულია ანტიმაჰმადიანური სულით, ტიმოთე ჩამოთვლის არანორმალურ, მორალური თვალსაზრისით, მოვლენებს XVIII საუკუნის ქართველთა ცხოვრებაში, რომელთათვის ღმერთმა მოუვლინა მათ ის უბედურებანი, რაც მათ თავს დაატყდათ ამ დროს. შემდეგ ღვთისმშობელს მიმართავს პატრიოტული სულით აღსავსე ვედრებით.

ენა ტიმოთეს თხზულებებისა ისტორიულ-მოთხრობითს ნაწილში მარტივია, ხოლო იქ, სადაც განყენებულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მატერიებთან გვაქვს საქმე, მეტად ხელოვნური, ასე რომ, ანტონის ენას არ ჩამოუვარდება. მისი მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად მეტად მნიშვნელოვანია მისი «მიმოხილვა», სადაც ასეთ ადგილებს ვხვდებით: «უკუეთუ ვისმე უძლურება არა სჳრს, შემძლებელ არს სლვად და არა არს ფრიად გლახაკ და არ მოიწევს ხილვად იერუსალიმისა, მას ქრისტიანობა განგრილებულად უტჳრთავს... ხოლო რომელთა უძლევს და არცა მოხუცებითა და არცა სნეულებითა და არცა ნამეტნავითა სიგლახაკითა შეპყრობილ არიან, არამედ უდებებით და დაზარებით გარდახდიან ცხოვრებასა თჳსსა და იტყჳან: ღმერთი ყოველგან არს და არა საჭირო არს აღსლვა იერუსალიმად, ესენი წანაღმდგომად გამოჩნდებიან ბრძანებისა ღვთისა» (გვ. 168—169 იოსელიანით; 88 მეტრეველით).

66. ალექსი მესხიშვილი

მესხიშვილთა გვარმა, რომელსაც ეკუთვნოდა დეკანოზი ალექსი, მისცა ქართულ მწერლობას მთელი რიგი გამოჩენილ მოღვაწეთა, რომელთაც შექმნეს შესანიშნავი კალიგრაფიული სკოლა და ხელი შეუწყეს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას XVIII—XIX საუკ. როგორც ახალ თხზულებათა თაოგმნით თუ დაწერით, ისე უკვე არსებულთა გადაწერით. ასეთია დეკანოზი გრიგოლი, ალექსი, გიორგი, სოლომონი, დავით რექტორი, იერონიმე და ტარასი არქიმანდრიტი. ალექსი იყო, როგორც თვითონ ამბობს, «ძე ტფილურთა მოქალაქექმნულის კელოანის მხატვრის გრიგოლ მღუდელის დეკანოზისა»; ის იყო დეკანოზი ანჩისხატის ტაძრისა მეთერამეტე საუკუნის ნახევარში, თანამოღვაწე ანტონი კათოლიკოსისა ან მწერალი მისი[1]. ანტონი კათოლიკოსთან მას აერთებდა გულწრფელი მეგობრობა, ამიტომ, როდესაც ანტონი გაასამართლეს, მისთვისაც მიუყენებიათ რაღაცა შეურაცხყოფა, მგონი—გაუკრეჭიათ. ეს იქიდან ჩანს, რომ მოსკოეს მიმავალი ანტონ კათოლიკოსი მას გზიდან წერილსა სწერს 1756 წ. 6 აგვისტოს. ამ წერილში ის ამბობს: ჩვენს მტრებს ეგონათ, «ძალნი მღვდელობისა ჩუენისანი რათა იყუნესმცა კოწოლსა შინა თმათა ჩუენთასა; გარნა არა ეგრეთა» (S 1158). როგორც განათლებული კაცი, ის თვალსაჩინო როლს თამაშობდა თანამედროვე საზოგადოებაში, და მწერლობაშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა. მას, როგორც დახელოვნებულ კალიგრაფს, მრავალი ხელნაწერი გადაუწერია და საკუთარი წელილიც შეუტანია ჩვენი მწერლობის სალაროში. ამ მხრივ, პირველ ყოელისა, უნდა დავასახელოთ მისი «სათეო განგება», ან «თთუენი». ჩვენ ვიცით, რომ XI საუკ. გიორგი მთაწმიდელმა გადმოიღო ბერძნულიდან «თთუენი ათორმეტნი სრულიად», რომელმაც უცილობელი ბატონობა მოიპოვა ჩვენს ლიტურგიკულს პრაქტიკაში. შემდეგი დროის გადამწერნი ამ შრომისა ამა თუ იმ წმინდანის ხსენების დღეს ხან ერთ ჯგუფს მოათავსებდნენ საგალობლებისას, ხან მეორეს, ხან მესამეს, ვინაიდან, როგორც ვიცით, გიორგის «სათეო» საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებილ» იყო. ამან გამოიწვია «თთუენის» რედაქციების სხვადასხვაობა, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მეთერამეტე საუკუნის ნახევარში. საქმე ისაა, რომ ამ დროს ჩვენს ლიტურგიკულ პრაქტიკაში განმტკიცებული იყო რუსოფილური მიმართულება და გატაცება, ჩვენში ცდილობდნენ უცელელად გადმოენერგათ რუსული საღეთისმსახურო წესები და ტრადიციები. ქართული თ თ უ ე ნ ი ს შედარებამ რუსულთან გამოამეღავნა ორი რამ: 1) ზემოაღნიშნული მიზეზის გამო რუსულ თ თ უ ე ნ შ ი ვერ პოულობდნენ ყველა იმ საგალობელს, რომელსაც ქართულში ჰქონდა ადგილი, 2) ქართულ თ თ უ ე ნ შ ი ვერ პოულობდნენ ტიპიკარულ შენიშვნებს, ან ამა თუ იმ დღეს ღეთისმსახურების შესრულების წესრიგის აღნიშვნას, რასაც რუსულ თ თ უ ე ნ შ ი ამ

[1] მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს: «კალმასობა», II, 200.

დროს ფართო ასპარეზი ჰქონდა მოპოვებული. ამან გამოიწვია სურვილი, სხვა წიგნებთან ერთად, ქართული თ თ უ ე ნ ი ც შესწორებული ყოფილიყო რუსულთან შედარებით. ეს შრომა ორი მიმართულებით სრულდებოდა: საქართველოსა და რუსეთში. საქართველოში ის უკისრია ალექსი მესხიშვილს. მოგვყავს ბოლოსიტყვაობა მისი ს ა თ ვ ე ო გ ა ნ გ ე ბ ი ს ა: «ესენი სრულიად აღგვწერიეს რუსულს ტიბიკონზე კმასაყოფელნი წმიდისა ეკლესიისანი ტიბიკონის განწესებისაებრ... ამას საწადელსა და სასურველსა წიგნსა წერად კელვჰყავ ტფილურთა მოქალაქექმნილის კელოანის მხატვრის გრიგორ მღუდლის დეკანოზის ძემან თჳთ უღირსმან მღუდელდეკანოზმან ალექსიმ, რომელსა ფრიადი შრომა დამიც, ვინაჲთგან რომ დღესადმე რუსული ტიბიკონი ქართლში არა გვეპოებოდა, ამისთჳს კეთილად ვერ გამოეძიებინათ ტიბიკონის წესით მწერალთა აღწერად წიგნთა და რაჲოდენიცა აღეწერათ წიგნი, თავის ნებაზედ განერყენათ დასდებელნი და საგალობელნი და ეკლესიისა წესნი და განწესებანი სრულიად დაეშთინათ; რადგან დედანი არა ჰქონდათ, ამისთჳს რომელსაც როგორც ჰნებოდათ, ისრე ეწერათ. მერმე, როდესაც რუსული ტიბიკონი ვნახეთ, «აღვწერე მე გლახაკმან და ყოველთა უუნდოეს მან რაჲცაოდენ შემეძლო მაღლითა და ძალმწყობითა ღმრთისაჲთა. გულსმოდგინებით მრავალჟამ ვძებნე და გამოვიძიე მრავალთა ძველთა წიგნთა შინა ხილვითა და მრავალთა მიფარულთა ადგილთა, დაძველებულთა, დაშლილთა და დაყრილთა ფურცელთა შინაცა ვჰპოვე დიდის შრომითა და ძიებით და საეკლესიოთა საგალობელთა, სადაც რომ იპოებოდა და მივსწვდი, უნახავ არა დამიშთა და სხუათაცაგან გამოწულილვით გამოვიძიე და ესრეთ ტიბიკონთა შემოწმებით ვწერდი და რომელნიცა არა შეემოწმნის მუხლნი დავაცადი, სანამ სადამე არა ვპოი, არღარა აღვწერდი, როდემდის არა შეემოწმის ტიბიკონსა. უწყის უფალმან და თქუენმან სიწმიდემან, რომ მრავალზის გამოვიძიე, რომ უფროს ამისსა აღარ ეგებოდა ჩემებრ მდაბალთაგან, და ოდეს აღვწერე, ჯერეთ ჩემს წინაშე რუსულს ტიბიკონზე სხუას არავის აღეწერნეს, და სამი თუე: სეკდენბერი, ოკდონბერი და ნოენბერი რუსულის სადღესასწაულოს წიგნიდან დაიწერა, და ეს, ცხრა თუე, ნამუშაკევი ჩემი, დეკენბრიდან ვიდრე აგუსტომდე, მე ვიშრომე და შეავწყევ, ვითარცა ზემორე ვთქუ. და რომელნიც ამას ნაშრომსა ჩემსა ზედა მიემთხუენეთ, გინა სწერდეთ, ნურვინ ბრძნობთ, და რომელსაცა უკეთ შეგეძლოსთ, მან სხუაჲ აღწერენ, და ესე ჩემებრ უცებისათჳს იყავნ... წელნი იყვნეს ადამისითგან ქსჲმ და ქრისტეს განკორციელებითგან ჩ‹ნ‹ზ და ქორონიკონსა ᲨᲛᲔ [1]. ამნაირად, ალექსი დეკანოზის შრომა, რომელიც მას დაუმთავრებია 1758 წელს, იმაში მდგომარეობდა, რომ, როდესაც მას ხელთ ჩავარდნია რუსული ტიბიკონი და ამ ტიბიკონზე მოწყობილი თ თ უ ე ნ ი, ტიპიკარული შენიშვნები გადმოუტანია ქართულ თ თ უ ე ნ შ ი და საგალობლებიც რუსულთან შეუთანხმებია. მას ამ შრომაში, რუსული წმიდანებისა და დღესასწაულთა მაგიერ, შეუტანია ქართული, ძველი, ანტონ კათოლიკოსის წინადროის სისტემითა და საგალობლებით, სახელდობრ: 13 სექტემბერს—ქე-

[1] A 1093, ფ. 727ᵢ

თევან დედოფალი, 1 ოქტომბერს—სვეტიცხოველი, 10 ნოემბერს—კონსტანტი ქართველი, 19 ნოემბერს—ილარიონ ქართველი, 2 დეკემბერს—პეტრე ქართველი (მაიუმელი), 14 იანვარს — წმ. ნინო, 20 მარტს — არჩილ და ლუარსაბი, 7 მაისს — იოანე ზედაზნელი, 13 მაისს — ექვთიმე ათონელი, 29 იელისს — ევსტატე მცხეთელი, 3 აგვისტოს — რაჟდენ პირველმოწამე და 28 აგვისტოს — შუშანიკ დედოფალი. ალექსი დეკანოზი ცდილა მისი შრომა დაახლოებული ყოფილიყო რუსულ ღედანთან. ეს, სხვათა შორის, ჩანს იმ შენიშვნიდან, რომელიც მას 3 ნოემბრის ქვეშ მოუთავსებია: «წმიდისა ამის დიდებულისა მოწამისა გიორგის დღესასწაულსა ვინაცა აპრილსა 23 აღვასრულებთ, ვინაჲთგან მას დღესა სრულყო ღუაწლი მოწამეობისა თჳსისა, ხოლო ნოემბერსა 3 განახლება არს ტაძრისა მისისა, სადა დაიდვა მრავალმოღუაწე წმიდაჲ გუამი მისი... ხოლო აპრილსა 23 ბრწყინვალედ დღესასწაულობს წმიდაჲ ეკლესიაჲ ბერძენთა ღა რუსთაჲ... ხოლო სხუათა დღეთა საეკლესიოდ განწესებული დღესასწაული წმიდისა გიორგისა ვერსადა ეპოეთ. არცა ბერძნისა და არცა რუსისა წერილსა შინა. ვითარ ჩუენ ქართველნი ვდღესასწაულობთ ნოემბერსა ათსა და სხუასა და სხუასა ადგილსა სხუათა და სხუათა დღეთა, შემდგომად აღსებისა ყოველთა კჳრიაკეთა ვიდრე ყოველთა წმიდათა კჳრიაკემდე, რომელსამე ქაშუეთად უწოდენ, რომელსამე კალობნად, რომელსამე ზღუდრად, თჳთ საუფლოსა ღრესა ამაღლებისასა თელეთობად სახელსდებენ. მე ესრეთ ვგონებ, ესენი არცა ერთი სათნო ღმრთისაჲ იყოს, არცა დიდისა მოწამისა გიორგისა, არამედ ყოველი მოპოვნებული და საეშმაკო» (იგივე ხელნაწერი) [1]. გვტაცება რუსული დედნით იქამდის მისულა, რომ მთელი რუსული ფრაზები შეუტანია ალექსის თავის შრომაში ქართული ტრანსკრიფციით, მაგალითად, 3 ნოემბრის კანონს აწერია: «იეღოეე კრაეღრანესიე» — его же краегранесіе, ანუ ქართულად — «რომლისა კიდურწერილობაჲ». როგორც უნდა იყოს, ალექსის შრომა თთუენის ისტორიაში თვალსაჩინო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

თთუენის გაწყობა რუსული ტიბიკონის წესზე, რომლითაც ასე გატაცებული ყოფილა ალექსი, გამოწვეული იყო იმით, რომ სწორედ იმ ხანებში შესწორებულ იქნა ანტონ კათოლიკოსის მიერ ქართული ტიბიკონი რუსულის მიხედვით. ეჭვი არაა ამ შესწორებაში თვით ალექსიც იღებდა რაღაც მონაწილეობას, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე შენახულა ორი ცალი ამ შესწორებული ტიბიკონისა[2], ალექსის ხელით გადაწერილი, რომელთა ბოლოსიტყვაობა ძალიან მოგვაგონებს თთუენის ზემოამოწერილ ბოლოსიტყვაობას. ყოველ შემთხვევაში. გამოსულა თუ არა ეს ტიბიკონი, ალექსის მის ნიადაგზე და საფუძველზე დაუწყია თთუენის შესწორება.

---

[1] ეს შენიშვნა, რომელსაც პღ. იოსელიანი ანტონ კათოლიკოსს მიაწერს, შეტანილი ყოფილა დაბეჭდილ «სამთოუენში» (ტფილისს «მოგზაურობა», გვ. 136—137, შენ.). ეს გამოცემა უნდა გვქონდეს იმ წიგნში, რომელიც «ქართულ წიგნში» 41 ნომრითაა აღნიშნული.

[2] A 399 და 459.

ალექსი მესხიშვილი ერთ-ერთი აქტიური წევრია იმ ჯგუფისა, რომელიც ცდილობს საქართველოში რუსული კულტურა გადმოიტანოს და ქართული მწერლობა რუსულს დაუახლოოს.

67. ფილიპე ყაითმაზაშვილი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (გვ. 73 — 74), რომ მეთვრამეტე საუკუნეში გაცხოველდა ქართველ-სომეხთა ლიტერატურული ურთიერთობა. იმ პირთა შორის, რომელნიც ცდილობდნენ ამ ურთიერთობის გაღვივებას, პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ფილიპე ყაითმაზაშვილს. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა მეთვრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის, თუმცა, სამწუხაროდ, ვინაობა მისი გარკვეული არაა [1].

დოსითეოზ ნეკრესელის ცნობით, ფილიპე იყო «ჰარმანთა მღდელი ადგილობითისა ნათესაობისა სქესითა ქართველი და ტომობითისა სქესითა ძე აზნაურთა» [2], ანდა: «მღდელი ჰარმანთა, ჰარმანთავე გვარისა, თემისაგან ქართველთასა, ტომისაგან აზნაურთასა» [3]. სომეხთა ან ჰარმანთა მღვდლად და ხუცად ფილიპეს ასახელებენ აგრეთვე ანტონი კათოლიკოსი, მდივანბეგი იოანე ორბელიანი და ანტონი ცაგერელ-მყონდიდელი. ანტონი კათოლიკოსის სიტყვით, «მღდელი ვინმე ნათესავით ერმანიანი (რომელ არს ჰაოსიანი), სახელით ფილიპე ყაითმაზაშვილი, გუარითაცა აზნაური. იყო დიდ თავდთა ორბელიანთა სამთავაროთაგანი» [4], მაშასადამე, გასაგებია იოანე ორბელიანის სიტყვები, რომ «სომეხთა მღდელი ფილიპე იყო აზნაურთა ჩუენთაგანიო» [5] ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ფილიპე ყოფილა ტომით და წარმოშობით ჰარმანი ან სომეხი, და მასთან ქართველი აზნაური, გვარით ყაითმაზაშვილი, ორბელიანთა სამფლობელოდან, ესე იგი გაქართველებული სომეხი, და, როგორც ასეთი, თანახმად დოსითეოზ ნეკრესელისა, «ქართველთა ენისა ქცევისათა ფრიად მეცნიერი» [6]. როგორ მოხვდა თბილისში ფილიპე ან რა პირობებში, ამის შესახებ არა ვიცით რა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ის გაემწესა აქ ერთ-ერთ სომხის სამრევლოში მღვდლად. მდივანბეგი იოანე ორბელიანი გადმოგვცემს შემდეგს: «მოვიდა სამეფოდ საქართველოჲასად, ქალაქად ტფილისად. სომეხთა კათოლიკოსისა მიერ ეპისკოპოსად და ებგურად წარმოვლენილი საქართველოსა შინა მყოფთა სომეხთა ზედა ყოლად ბრძენი ავეტიქ ეპის-

[1] რამდენიმე ცნობა ფილიპეს შესახებ გამოაქვეყნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა: ნაკვეთი XVIII ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (ფილიპე ყაითმაზაშვილი), «ლომისი». 1922 წ., № 16; მისივე. К биографии священника Филиппа Кайтмазова, «Христ. Восток», т. VI, стр. 281—284.

[2] S 1137, გვ. 6.

[3] S 2564. გვ. 103.

[4] A 785 გვ. 3—4.

[5] S 192, ფ. 7.

[6] S 1137, გვ. 6; № 2564, გვ. 103.

კოპოსი, რომელი იყო ქუეყანისაგან ნახიჯევანდისაგან, სოფელ-ქალაქით ჯაუკით, კაცი ფრიად საქო და განსწაელული ხედვითისა და საქმითისა მეცნიერებითა... მიევედ მე მოწაფედ სწავლისა ზემოკსენებულისა ეპისკოპოსისა... და მოვიდა თანამესხოლედ ჩემდა ნიკოლაოს მღვდელი კახთა მეფის კარისა და კუალად სიყრმით სიჩჩოდთგან მოწაფე ყოელად ბრძნისა მის ეპისკოპოსისა გიორგი ნათლისძე, რომელიცა განსწაელა წიგნითა და ენითა სწაელისმოყუარებითა სომეხთაჲთა, და სომეხთა მღდელი ფილიპე, ახნაურთა ჩუენთაგანი, ტრფიალი სწაელისაო» [1]. როგორც ჩანს, ფილიპე ყაითმაზაშვილი, ზოგიერთ ქართველთან ერთად, დამოწაფებია თბილისში ახლად განწესებულ ეპისკოპოსს აევტიქს და მისი ხელმძღვანელობით განუვრცია და გაუღრმაევებია თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცოდნა, რომლითაც რამდენადმე წინათაც ყოფილა აღჭურვილი. მართლაც, იმდენად დაწინაურებულა ფილიპე სწავლა-მეცნიერებაში, რომ ის მიუწვდომელ და შეუდარებელ ავტორიტეტად ითვლებოდა თბილისის ქართულ-სომხურ წრეებში. დოსითეოზ ნეკრესელი ამბობს, რომ ფილიპე იყო «ფრიად გონება ვრცელ-მაღალი და კეთილმეცნი პლატონურთა, არისტოტელ და პითაღორებრთა სიბრძნისმეტყუელებათა ჰარმანულითა ენითაო» [2]. ამიტომ ის მას იხსენიებს დ ო კ ტ ო რ ი ს სახელით[3], ხოლო ავტორი თხზულებისა «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს», უწოდებს მას «ზედმიწევნილ ფილოსოფოსად» [4]. რასაკვირველია, ასეთი განათლებული და მომზადებული კაცი უსაქმოდ არ დარჩებოდა მაშინდელ თბილისში, როდესაც 1755 წელს ანტონ კათოლიკოსმა აქ საღვთისმეტყველო-საფილოსოფიო სემინარია გახსნა, მის ს ხ ო ლ ა პ ე ტ ად, ესე იგი რექტორად. დანიშნა ფილიპე მღვდელი. თბილისიდან ის გადაუყვანია თელავში ერეკლე მეფეს და დაუნიშნია ს ხ ო ლ ა პ ე ტ ა დ ან რექტორად მის მიერ 1758 წელს გახსნილი საფილოსოფიო-სათეოლოგიო სკოლისა. ამას მოწმობენ დოსითეოზ ნეკრესელი [5] და ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, რომლის სიტყვით «ბრწყინვალესა ირაკლი მეორესა, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლაჲ ქალაქსა თელავს და მიუპოვა სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჰარმანთა მღდელი ფილიპე, რომელი ღირსი იყო ესევითარსა მოძღურებისა პატიჳსა» [6]. ამნაირად, ფილიპეს მოღვაწეობა ჩვენში იყო, პირველ ყოელისა, პედაგოგიური: როგორც სხოლაპეტმა და მოძღვარმა თბილისისა და თელავის სკოლებისაჲ, მან «მრავალნი მოწაფენი განსწაელნა» [7], სხვათა შორის — დოსითეოზ ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი და სახელოვანი ვიღაც ზაქარია. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ფილიპეს ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ქართულ ენაზე გადმოღებული ყოფილიყო საუკეთესო ფილოსო-

[1] S 192, ფ. 2.
[2] S 2564, გვ. 103.
[3] S 250, ფ. 2.
[4] «ჯალმასობაჲ», II, 204.
[5] S 1137, გვ. 7.
[6] ხელნაწ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა.
[7] S 1137, გვ. 7.

ფიური და თეოლოგიური თხზულებანი სომხური ლიტერატურისა. ფილიპე ამ შემთხვევაში მუშაობდა არა მარტო დამოუკიდებლივ, არამედ რომელიმე გამოჩენილ პირთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, ანტონ კათოლიკოსი, მდივანბეგი იოანე ორბელიანი, ნიკოლოზ კახელი, დოსითეოზ ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი და სხვ. ამ პირთა შეკვეთითა და დავალებით ის თარგმნიდა ხოლმე სომხურიდან ამა თუ იმ თხზულებას. თუმცა ქართული ენა მან, როგორც ზემოთაც ვთქვით, კარგად იცოდა, მაგრამ დასახელებული პირნი მის თარგმანს მაინც აშალაშინებდნენ სტილისტიკურად და აწყობდნენ მას ქართული ენის კანონზე. არსებულ და დღესჯღეობით ცნობილ ხელნაწერთა მიხედვით, სულ ადრინდელი შრომა ფილიპესი ეკუთვნის 1750 წელს. ზოგადი მიმოხილვა ფილიპეს შრომებისა ჩვენ გვაქვს ანტონი ცაგერელ-ჭყონდიდლის დიდს ლოგიკაში. სადაც ის ამბობს: ფილიპე «ბრძანებათაებრ საღმრთოჲსა უშურუელად მისცემდა ყოველთა სიბრძნესა წერილთასა; ამას მეთქუეობასა მიმტკიცებს ხილეაჲ მისთა გარდამონაცემთა წიგნთაჲ. რომელი გარდმოიცა ამის ფილიპეს მიერ ბრძანებითა უბრწყინვალესისა საქართველოჲსა ირაკლი მეორისა მეფისაჲთა: სიმეტნე ღრამმატიკისა, უერცელესიცა ღრამმატიკა მიხითარისა, მცირე დიალექტიკა სიმეონ ჯულფელისა, ხუთი კმა პორფირისა თჳსითა განმარტებითურთ, პერიარმენია, ნათჳზი არისტოტელის მიერ, ვრცლად ნათქუა რიტორიკა მიხითარის მიერ, წიგნიცა ღვთისმეტყუელებითი პროკლე პლატონურისა ფილოსოფოსისა, რომელ არს „კავშირი“, უკანასკნელ ამათსა კუალად დიალექტიკა მცირე ანტონი კოვიდისა. ესე ყოველი გარდმოიცა ამის ფილიპეს მიერ ბრძანებითა ზემოჴსენებულისა დიდისა ბრწყინვალისა მეფისაჲთა». მერე ანტონი ასახელებს ორ თაეის შრომას, რომელიც ფილიპესთან ერთად დაუმუშავებია მას, სულ, მაშასადამე, ათ შრომას [1]. ეს სია ფილიპეს შრომებისა არც სწორია და არც სრული, ამიტომ ჩვენ ჩამოვთვლით მათ არსებულ ხელნაწერთა მიხედვით.

I. როგორც ვთქვით, განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ფილიპე ანტონ კათოლიკოსთან, რომელსაც ის, თანახმად მისივე ცნობისა, ძალიან დაუახლოებია თავისთან და დაუმეგობრებია. 1) პირველ ყოვლისა, ფილიპე ანტონის ეხმარებოდა მ ზ ა მ ე ტ უ ე ლ ე ბ ი ს შედგენისას 1750—1752 წლებში. «შემეწეოდა მე ფილიპე ხუცესი, სომეხთა გვარისაგანი, თარგმანებითა სომეხთა წერილთაჲთა»,—აღწერს ანტონი [2], ესე იგი ფილიპე უმზადებდა მას მასალებს სომხური წყაროებიდან. 2) «უწინარეს იმპერიად როსსიისა წარსლვისა ჩემისა», ამბობს ანტონი კათოლიკოსი, «გადმოღება ეყავ ფილიპესთანა ხუცისა სომეხთაგანისა დიალექტიკისაო» [3]. ის არაფერს ამბობს, ვისი იყო ეს დიალექტიკა, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, აქ ჩვენ გვაქვს «მცირე დიალექტიკა სიმეონ ჯულფელისა», რომლის გადმოთარგმნას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ფილიპეს მიაწერს ანტონი ცაგერელ-ჭყონდიდელი. ეს თარგმანი, რომელიც შესრულებუ-

[1] S 250, ფ. 174—176.

[2] «წყობილსიტყჳაობა», გვ. 4—5.

[3] S 4839; «მოამბე» 1898 წ., № 9, გვ. 93.

ლია 1755 წელს, ზოგიერთებს მიაჩნიათ იოანე ტარიჭის ძის ნაწარმოებად. მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ [1]. 3) «შემემთხუა მე». გვამცნობს ანტონი, ფილიპე ხუცესი, რომლისა თანა «ძიებასა ვყოფდი სიტყუათასა დღითი-დღე ურთიერთას და ფრიად მეგობარ ვიქმენ მისი; ჯერეთ ორთა ნაწილთა არისტოტელის შესმენათასა ვყაენ სომეხთა ენისაგან გადმოთარგმნად, ესე იგი შეთხზუაობისა და შესატყუობისა, რომელ არს სილოგიზმო» [2]. აქ, უეჭველია, იგულისხმება ათნი კატიღორიანი არისტოტელებრნი, რომელნიც ანტონის, «სხჳთა და სხჳთა მაგალითებითა განუკარგუნია», როგორც თვითონ გადმოგვცემს, ფილიპეს დახმარებით [3]. 4) ამასთან ერთადო, ამბობს ანტონი, გადმოვათარგმნე ფილიპეს, «კუალად ხუთნი კმანი, ზიარებითურთ და განყოფით, პორფირიოს ფინიკიელისანი და რომელნიმე მცირეს შინა ნაჭუნა შეეწუედიენ და რომელნიმე განეაჳრცენეო» (იქვე). სამი უკანასკნელი შრომა (2—4) შესრულებულია 1753 წლამდე, როგორც ეს ანტონის სიტყვებიდან ჩანს. 5) ვინაიდან, ანტონის სიტყვით, «ფილიპე მღდელი ჭრიად ზედმიწეუნილი იყო ღრამატიკისა ჴელოვნებასა ზედა», მას გადმოუთარგმნია მეხითარ სევასტიელის გრამატიკა, რომლის მიხედვითა და მთარგმნელის დახმარებით ანტონიმ 1753 წელს შეადგინა ქართული გრამატიკა შემდეგი სათაურით: «ღრამატიკა სომხურიდამ შედგუნილი მიხითარისა ღრამატიკისა წესით» [4]. 6) ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის ცნობით, ფილიპემ გადმოიღო «სიმეტნე ღრამატიკისა», ესე იგი ის დახმარებია ანტონი კათოლიკოსს «ღრამატიკა სიმეტნეს» შედგენაში, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1763 წლამდე, როდესაც ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი ნუსხა მისი (A 415). 7) 1764 წ. ანტონის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ფილიპეს გადმოუღია მისთვის შემოკლებულად «მხითარ ყოვლადბრძნისა მოძღვრისა სომეხთასა სევასტიელისა ქმნილი წიგნი რიტორიკა», რომელშიაც ანტონის მაგალითები ქართულიდანაც მოუყვანია [5]. 8) 1776 წელს ფილიპეს გადმოუთარგმნია I, II და III მსოფლიო კრებათა აქტები (A 618), რომლის იამბიკურ წინასიტყვაობაში იოანე ოსესძე ამბობს: «რამეთუ ამათ აწვიაცა ხუცესსა ეკლესიისა სომეხთასა ფილიპეს, კაცსა ბრძენსა და მეცნიერსა ქართველთა ენასა ზედა გარდმოღებისასა. რამეთუ ესერეც მოსწრაფებად ჰსუროდა, რომლისა ღუაწლნი და შრომანი მრავალნი ჰქონან თჳთ მისის უწჱიდესობის თანა მრავალთა წიგნთა გარდამოღებასა შინა ქართულსა ზედა სომეხთა ენისაგან და დამაშურალ არს დამსახურებად ამისად» (ფურც. 3). 9) იმავე ფილიპეს უნდა გადმოეთარგმნა ანტონისათვის «საუნჯე» კირილე ალექსანდრიელისა (A 3), რომელსაც ანტონი, მისი სიტყვით,

---

1 მოთავსებულია S 43, 131, 255, 271, A 185, 329, 340. შეად. ს. გორგაძე: კრება «ჩვენი მეცნიერება», № 2—3, გვ. 145—146.

2 A 785, ფ. 3.

3 «მოამბე» 1898 წ., № 9, გვ. 93.

4 A 785; S 1137 გვ. 6; А. Цагарели, О грамматической литературе грузинскаго языка, стр. 6 — 7.

5 А. Цагарели, Сведения, III, стр. 118; «მოამბე» 1898 წ, № 9, გვ. 93.

დიდი ხანია ეძებდა. 10) აგრეთვე «დავით სიბრძნისმოყუარისა ახსნა პორფირის შეყვანილებისადმი რეათა თავთა შერთვითა» (S 203).

II. როდესაც მდივანბეგი იოანე ორბელიანი და ფილიპე ყაითმაზაშვილი დამოწაფებიან თბილისში ავეტიქ ეპისკოპოსს, ისინი დაინტერესებულან პროკლე დიადოხოსის თხზულებით «კავშირნი ღვთისმეტყუელებითნი», რომელიც მათ ჰქონდათ როგორც ქართულ ენაზე (იოანე პეტრიწის თარგმანი), ისე სომხურზე (სვიმეონ ჯულფელის რედაქცია). ჩვენ ვიცოდითო, ამბობს იოანე, რომ ქართული და სომხური რედაქციები ერთმანეთს ენათესაებოდნენ, მიუხედავად ამისა, მათ შორის ვამჩნეებდით დიდ განსხვავებას, რომლის მიზეზი ვერ გაგვეგო. ამიტომ «ვეებერე ჯსენებულსა მას ფილიპე ხუცესსა, რომელმან კეთილად უწყოდა ენა ქართული, რამეთუ სხუანნი წიგნიცა ეთარგმნეს ენასა ზედა ჩუენსა, და ურთიერთას სათნოყოფითა ვიწყეთ ზოგადრე თარგმანებად და უმრავლჯერეს ქელითა ჩემითა ვსწერდი და ოდესმე ნიკოლაოს აღსწერდისო»[1]. ამნაირად, 1757 წელს გადმოუღიათ მათ პროკლე დიადოხოსის აღნიშნული თხზულება სვიმეონ ჯულფელის რედაქციიდან.

III. ავეტიქ ეპისკოპოსს თბილისში, როგორც ზემოთაც იყო მოხსენებული, იოანე ორბელიანსა და ფილიპესთან ერთად დამოწაფებია «ნიკოლაოს მღდელი კახთა მეფის კარისა». დოსითეოზ ნეკრესელი გადმოგვცემს, რომ ამ «მღდელმან ნიკოლაოზ ქიზიყელმან გარდამოიღო არისტოტელის თხზჳთნი ფილასოფობანი, რომელ არს პ ე რ ი ე რ მ ე ნ ი ა და კუ ლად სისივე ფილოსოფოსისა ნათქუსა ჯზრი, რომელ არს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა, თარგმანებითა მისივე მღდელისა ფილიპესითაო» (S 1137, გვ. 7)[2]; რომელ წელს ითარგმნა ეს თხზულებები, არა ჩანს.

IV. ფილიპეს შრომა გამოუყენებია აგრეთვე ნეკრესის ეპისკოპოსს დოსითეოზ ჩერქეზიშვილს. როგორც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, დოსითეოზმა და ფილიპემ სომხურიდან გადმოთარგმნეს დავით უძლეველის: 1) «წიგნი საზღვართა», 2) «ახსნა პორფირისა შეყვანილებისადმი», ორივე 1758—62 წლებში, 3) რეტორიკა მეხითარ სევასტიელისა 1761 წ., 4) «შემოკლებითი ახსნა პერიერმენიასი დავით უძლეველისა» 1762 წელს და 5) «მცირე ლოღიკა» ანტონი კოვიდისა 1764 წ.

V. როგორც თავის ადგილას გავარკვევთ, ფილიპეს ცოდნა გამოუყენებია აგრეთვე ანტონი ცაგერელ-ჭყონდიდელს. მას ფილიპესათვის გადმოუთარგმნინებია 1775 წელს თავისი ძმის, სამეგრელოს მთავრის, კაცია დადიანის ბრძანებით «წიგნი ჭეშმარიტებითისა ღმრთისმეტყუელებისა» ყოვლად ბრძნისა ალფერდისი[3], ხოლო 1776 წელს — «ლოღიკა დიდი ანტონი კოვიდისა».

დასასრულ, 1775 წელს «მღდელმან, მისის სიმაღლის მოძღუარის იოანეს ძემან, გაერიელმა», ანტონი კათოლიკოსის ბრძანებითა და «თანაშრომითა

---

[1] S 192, ფ. 7—11.

[2] ეს დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა გვაქვს ხელნაწ. A 329, შეად. S 131, ფურც. 33 — 148.

[3] S 250, ფ. 176.

ჰარმანთა ენისა მღუდელის ტერ-ფილიპესაგან» სომხურიდან თარგმნა თხზულება გრიგოლ ნარეკელისა «ქებაჲ და შესხმაჲ ქალწულისა უფალაისი»[1]. ამნაირად, ფილიპეს მეცნიერულ-მთარგმნელობითი ხელი ატყვია, როგორც ვხედავთ, 21 კაპიტალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომას. ვინ იცის, ამათ გარდა რამდენი უწერია და უთარგმნია კიდევ მას, მაგრამ არსებულ მასალათა მიხედვით ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვით.

68. დოსითეოზ ჩერქეზიშვილი

დოსითეოზ ნეკრესელი, გვარად ჩერქეზიშვილი, ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწეთაგანია ქართული მწერლობის ასპარეზზე მეთერამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ის თანამედროვეა კათოლიკოსის ანტონი პირველისა და ტრიალებს იმ ლიტერატურულ სფეროში, რომელიც შექმნა და რომელსაც ასულდგმულებდა დასახელებული კათოლიკოსი. საჭირო ბიოგრაფიული ცნობები დოსითეოზის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება, არ ვიცით როდის მიიღო მან ნეკრესლობა ან როდის დატოვა ის. 1746 წ. ნეკრესის კათედრაზე ჯერ კიდევ ენისელი მოურავის შვილი იოანე ზის[2], ხოლო დოსითეოზის სახელს, როგორც ნეკრესელისას, პირველად ვხვდებით, მგონია, 1758 წელს, როდესაც მას, მისივე სიტყვით, უკურთხებია ერეკლეს მიერ თელავში გახსნილი საფილოსოფიო საღვთისმეტყველო სკოლა[3]. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ის საკმაოდ გაწვრთნილი ყოფილა განსაკუთრებით ქართულ მწერლობაში, დოსითეოზი ჩაწერილა ამ სკოლის პირველ მსმენელთა რიცხვში, რათა უფრო დახელოვნებულიყო მეცნიერებაში. ამის შესახებ დოსითეოზი გადმოგვცემს შემდეგს: ერეკლემ მის მიერ გახსნილს სკოლაში «შემოიკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თჳსისანი, ხოლო ყრმად ვიტყჳი უმეცრებისა ძლით და ჰასაკით რომელნიმე ეფისკოპოზნი, რომელნიმე მღდელნი და რომელნიმე ახალ მოსწავლენი ეკლესიის მსახურნი[4]. და მეცა, მდაბალი ვინმე ეპისკოპოზი ნეკრესისა დოსითეოზ, თანვედასებოდი მათ შეკრებულთა ბრძანებითა მეფისაჲთა»[5] ასე რომ, შევიქენი «თანამესხოლე პირველთა მათ მესხოლეთაო»[5]. როგორც სწავლა-განათლებისათვის გულშემატკივარსა და სამწყსოსათვის თავდადებულ იერარქს, მას თავის ეპარქიაში გაუხსნია პირველდაწყებითი სკოლა. 1762 წელს მეფე ერეკლე ეკითხება მას, რა მდგომარეობაშია ეს სკოლა. «იცოდეთ, სწერს მას მეფე, რომ მე მეტად სასიამოვნოდ დამჭირჩება, თუ თქვენ ბეჯითად იზრუნებთ იმისათვის»[7]. სიგელ-გუჯრები, სხვადასხვა საქმის გამო, მას

[1] S 379. გვ. 65—81.
[2] Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, стр. 40.
[3] S 2564, გვ. 103 — 104.
[4] იქვე.
[5] S 1137, გვ. 7—9.
[6] S 2564. გვ. 103—105.
[7] Д. Пурцеладзе, стр 40.

იხსენიებს 1762, 1784, 1785 და უკანასკნელად 1789 წელს[1]. მართალია, 1797 წელს კიდევ ვხვდებით მას, მაგრამ არა როგორც ეპარქიის გამგეს, ვინაიდან 1794 წლიდან ნეკრესელად უკვე ამბროსია დადგენილი. როგორც განათლებული კაცი, დოსითეოზი დაახლოებია თანამედროვე ლიტერატურულ წრეებს, განსაკუთრებით თელავის სკოლის სხოლაპეტს ან რექტორს ფილიპე ყაითმაზაშვილს. ლიტერატურული მუშაობა დოსითეოზს ჯერ კიდევ თელავის სკოლაში ყოფნისას დაუწყია. მეცო, ამბობს ის, «მეწრბნეს ნაძნი ქართველთა ენისა ძუელთა წერილთანი და მწერლობათაჲცა»[2]. მისი ლიტერატურული მუშაობა მიმართული იყო უმთავრესად სომხურისა და ქართული მწერლობის ურთიერთდაახლოებისაკენ. ამაში ხელს უწყობდა მას. ერთი მხრით, ის გარემოება, რომ მან, როგორც ნათქვამია ერთ დოკუმენტში, „უწყოდა სომეხთა ენა კეთილად»[3], მეორე მხრით — ისეთი განსწავლულისა და მომზადებული კაცის მეგობრობა, როგორიც იყო ფილიპე ყაითმაზაშვილი. დოსითეოზი ცდილობდა გადმოეღო სომხურიდან ისეთი წიგნები, რაც ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა. «არა დავსცხრებოდი მე მდაბალი მუშაკობასა გადმოღებისასა ფილოსოფოსობითა ნათქუთასა, რომელნი აკლდეს ენასა ჩუენსაო», — ამბობს ის[4]. დოსითეოზი და ფილიპე ერთად მუშაობდნენ, ფილიპე თარგმნიდა სომხურიდან, ხოლო დოსითეოზი მის თარგმანს ასწორებდა და აშალაშინებდა სტილისტიკურად. «მებრძანა მე თანამწეობაჲ თარგმანებისა მისისაჲ (ფილიპესი) კეთილწყობითა ლექსთაჲთა, ქართველთამებრ ენისა კანონისათაო» — გვამცნობს ის[5].

დოსითეოზს მომეტებულ ნაწილად ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები შემოაქვს ჩვენს მწერლობაში. ერთ-ერთი თხზულების ანდერძში ის ამბობს: «აჰა იპყართ კელად ორი და ორი და იქმნებიან ოთხნი, რომელ არიან რიტორებაჲ, საზღვრისა წიგნი, პორფირისა ახსნა და ახსნა პერიერმენიასი»[6]. ორი უკანასკნელი შრომა: «ახსნა პორფირისა», ესე იგი «პორფირის შეყვანილებისა», და «შემოკლებითი ახსნა პერიერმენიასი წიგნთა» გადმოღებულია 1762 წელს. პირველი ამათგანის ნუსხა გვაქვს ხელნაწერებში S 203, 266, 334, 794. მეორეს, წინასიტყვაობის სახით, წამძღვარებული აქვს 17 ხუთსტრიქონიანი სტროფი, რომელთა აკროსტიქი ამბობს: «დოსითეოს ნეკრესელი». აქ ნათქვამია, რომ «სიბრძნე იგი, რომელი სტაგირელსა ესიბრძნა პირველ, ებრძანეს თარგმნად აწ ენად ჩუენურსა ენამზე მღდელსა ფილიპეს ჰარმანულთაგან ერაკლეს მიერ მეფისა ქართველთმფლობელისაო»[7]; ეს თხზულებაო, ამბობს ის, «ეგანმარტნეთხზა დავით ჰარმანთა ბრძენსაო». ქართული ტექს-

---

[1] Д. Пурцеладзе, გვ. 40—43; თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 258—259.

[2] S 2564, გვ. 104—105.

[3] მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს: «კალმასობაჲ», II, 199.

[4] S 1137, გვ. 8—9.

[5] S 2564, გვ. 104 — 105.

[6] S 278.

[7] იქვე.

ტი წარმოადგენს ამ «თარგმანისა თარგმანს»[1], რასაკვირველია, შემოკლებულს. მესამე ფილოსოფიური შრომა, რომელსაც დოსითეოზი ასახელებს, არის «რიტორებაჲ ანუ რიტორიკა» მეხითარ სევასტიელისა. მის შესახებ ანტოხი კათოლიკოსი გადმოგვცემს შემდეგს: «დროსა როსსიასა შინა ყოფისა ჩუენისასა ზემოჩსენებულისა თანა ფილიპე ხუცისა სომეხთაჲსა გარდამოღებად ექმნა რიტორიკაჲ ქართულად ყოელადსამღდელოსა დოსითეოზს, ეპისკოპოსსა ნეკრესელსა ჩერქეზსა, რომელიცა დიდითარე ღუწითა გარდამოეღოყე... გარნა იგი გრძელ არს და მოძღუართათჳს ნუუმე ფრიად საკმარ, გარნა მოწაფეთათჳს მოკლე უმჯობეს»[2]. თვით დოსითეოზი ამბობს: „კელევახე გარდამოღებად [ესე] მდაბალმან ეპისკოპოზმან ნეკრესისამან დოსითეოს ბრძანებითა მეფისა ირაკლისაჲთა... მღდელი ფილიპე მსახურ იყო თარგმანებისა, ხოლო მე ჩუენთა ენისა კილოსა ზედა წყობასა ვმეცადინობდიო»[3]; მისი თარგმნა დაუსრულებიათ 1761 წლის 18 იანვარს. მეოთხე ფილოსოფიური თარგმანი, რომელსაც დოსითეოზიც უჩვენებს, არის «წიგნი საზღვართა» დავით უძლეველის ფილოსოფოსისა. ამ წიგნის გადმოთარგმნა უბრძანებია ფილიპესა და დოსითეოზისთვის ერეკლე მეფეს თელავის სკოლის გახსნისთანავე, მაშასადამე, გადმოღებულია 1758 — 9 წლებში[4]. ამათ გარდა უნდა დავასახელოთ კიდევ «ფილოსოფოსობა მებრ უცთომელ და უბრკმელ მოძღურებისა თომასი, რომელი ქმნილ არს ანტონი კოვიდისა ლევმოაკელისა ღუთისმეტყუელ მოძღურისა ფარეზ ქალაქსა». ეს არის «მცირე ლოღიკა» ან «მცირე დიალექტობაჲ», თუგინდ «მცირე ნაცვალსიტყუაობაჲ», რომელიც გადმოთარგმნილია ფილიპე მღედლის მიერ ერეკლე მეფის ბრძანებით, «თანაშრომითა და თანტკივილმრავლობითა განმკაცვრით ლექსთ-წყობათათჳს და ქსეთა წესდებისა მდაბლისა ეპისკოპოსისა დოსითეოს ნეკრესელისაჲთა ახალქალაქსა შინა თელავს დასაბამითგან წელთა 6272, ჭოისტეს აქეთ 1764 წელსა»[5]. ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი გადმოგვცემს, რომ დოსითეოზს უნდოდა «დიდისა ლოღიკისაჲ» გადმოღება, მაგრამ «ვერ ეწიფა წადილსა ამას რომელთამე გარეშეთა მიზეზთა გამო», ამისათვის მან გადმოიღო მხოლოდ «მცირე ლოღიკა» ან მცირე დიალექტობაჲ[6]. ეს მცირე ლოღიკა შედგება სამი ნაწილისაგან: 1) პირობისათჳს და კიდურთა, 2) განსჯისათჳს და წინადადებათა, 3) მტკიცე ზრახვისათჳს და კელხებისათჳს.

დასახელებული ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა გარდა, დოსითეოზს, ალ. ხახანაშვილის ცნობით, სომხურიდან გადმოუღია აპოკრიფები, სხვათა შორის, «სიყრმე უფლისა»; ამ აპოკრიფთა ნუსხა ჩვენ პირადად ჯერ

---

[1] არისტოტელეს «პერიერმენია» ან ქართულად «განმარტებისათჳს», თარგმნილი და განმარტებულ- დავითის მიერ, ჰარმანთა ფილოსოფოსისა, უძლეველად სახელდებულისა, ქართულ ენაზედაც არის (S 278). გადმოღებულია სომხურიდან ქართულად 1762 წ. დოსითეოზ ნეკრესელისა და ფილიპე ყაითმაზაშვილის მიერ.

[2] S 4739; «მოამბე» 1898 წ., № 9, გვ. 93.

[3] S 1137, გვ. 7—9.

[4] S 2564.

[5] S 250, ფ. 2 — 171.

[6] იქვე, ფ. 174.

არ ვიცით. დოსითეოზი ცნობილი ყოფილა ამასთანავე როგორც ნიჭიერი და მშევრმეტყველი მქადაგებელი და მოძღვარი თავის სამწყსოსი[1].

§9. კათოლიკოსი ანტონი პირველი

ანტონი იყო შვილი მეფე იესესი, ვახტანგ მეექვსის ძმისა, და ერეკლე პირველის ასულის ელისაბედისა, ან, როგორც სხვა წყაროებშია, ელენესი, თეიმურაზ მეორის დისა. მ ზ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ბოლოში ანტონი შენიშნავს, რომ 1752 წელს, 11 მარტს, როდესაც მას ეს თხზულება დაუსრულებია, ის 31 წლისა და 4 თვისა იყო, მაშასადამე, დაბადებულა ის 1720 წლის 11 ნოემბერს[2]. ერისკაცობაში მას სახელად თეიმურაზი ერქვა. როდესაც ანტონი 7 წლის შეიქნა, მას მამა მოუკვდა და თავისი ორი დით, ანასტასიათი და მარიამით, რომელნიც, ანტონისაგე სიტყვით, «ყრმანი წარსულან აქაჲთ», ესე იგი ბავშვობაშივე გარდაცვლილან, დარჩა ქვრივი დედის ამარა. მისი აღზრდა უკისრია მის ნათლიას, დავითგარეჯის წინამძღვარს, არქიმანდრიტ სპირიდონს, რომელმაც, თავად ნოდარ ხერხეულიძის, იოსებ ფალავანდიშვილისა და მაჰმადიანობისაგან მოქცეულის მირზა ალი-ისპაანელის დახმარებით, შეასწავლა მას საღმრთო წერილი, ელემენტარული ფილოსოფია და ღვთისმეტყველება და, თითქოს, სპარსული და თათრული ენებიც[3]. ამავე დროს მას ბერძნულ ენასაც ასწავლიდა თბილისში მყოფი პამფილიის მიტროპოლიტი პართენი[4]. 15 წლის რომ შეიქმნა, თეიმურაზი დაინიშნა გივი ამილახვრის ასულზე და ოჯახური ცხოვრებისათვის ემზადებოდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ ძირფესვიანად შეცვალა მისი ცხოვრება და სულ სხვა გზაზე დააყენა ის: სპარსეთის მეფემ, ნადირ-შაჰმა, გივი ამილახვარს პოსთხოვა ანტონის დანიშნული თავის «სადედოში». უმწეო მამა იძულებული იყო ბრძანება უყოყმანოდ შეესრულებია, რამაც ახალგაზრდა და თავმომწონე თეიმურაზს თავზარი დასცა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ის. სულიერი წყლულების დასამებლად თეიმურაზი ჯერ დავითგარეჯის უდაბნოს შეეხიზნა, მაგრამ, ვინაიდან აქ მან ვერ პოვა კურნება, იმერეთში გადავიდა გასართობად. აქედან 1738 წელს მან თავის დედასთან ერთად მოინდომა რუსეთს წასვლა, და ასტრახანამდის მივიდა კიდეც. ასტრახანში მოსკოვს გამგზავრების ნებართვა მხოლოდ დედამ მიიღო, ამიტომ თეიმურაზი გამოეთხოვა მას და სამშობლოში დაბრუნდა, სადაც გელათის მონასტერში 1739 წელს, კათოლიკოსის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით, მიტროპოლიტის ექვთიმეს მიერ ბერად აღიკეცა ანტონის სახელით. დედას, რომელსაც სულ სხვა გეგმები ჰქონდა და რომელიც

---

[1] А. Хаханов, Очерки по истории грузин. словесности, III, 409, прим.

[2] ხელ. A 123-ის ცნობით, ანტონი დაბადებულა 1720 წ. 17 ოქტომბერს, ხოლო მისი ახლად აღმოჩენილი «სპეკალის» ცნობით, 1720 წლის 12 ოქტომბერს (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I («თბ. უნივერსიტეტის შრომები», 1, 127—135).

[3] «წყობილსიტყვაობა», პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გამოც., გვ. V.

[4] იქვე.

სულ სხვა რამესთვის ამზადებდა თავის შვილს, მისი ასეთი ნაბიჯი არ მოეწონა და საყვედურის წერილიც კი მოსწერა მას, მაგრამ ანტონისათვის სხვა გზა აღარ დარჩენილიყო. განათლება და გვარიშვილობა ხელს უწყობდა ახალგაზრდა ანტონის იერარქიული კარიერის საქმეში: ძალიან მალე მან მიიღო წინამძღვრობა გელათისა, ხოლო 1740 წ., 20 წლისა, ის აყვანილ იქნა ქუთათელი მიტროპოლიტის ხარისხზე, ტიმოთე გაბაშვილის ადგილზე, რომელიც 1738 წ რუსეთს გაიგზავნა დიპლომატიური მისიით. ქუთათელობისას, როდესაც ის დროებით თელავში იმყოფებოდა, კათოლიკოსის დომენტი მესამის გარდაცვალების შემდეგ, მას შესთავაზეს მცხეთის ეკლესიის საჭეთმპყრობლობა, რაზედაც ანტონიმ კატეგორიული უარი განაცხადა და მალე ისევ ქუთაისს დაბრუნდა. 1743 წელს ანტონიმ დატოვა იმერეთი და დაბინავდა დავითგარეჯის უდაბნოში, სადაც სამონასტრო მოღვაწეობისას თვალყურს ადევნებდა აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების ჩარხის ტრიალს საქართველოში. 1744 წლის 11 აგვისტოს ტარიელ თამაზაშვილმა ხანჯლით განგმირა კათოლიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე და ამის შემდეგ დაქვრივებულ კათედრაზე მოწვეულ იქნა კვლავ ანტონი. ახლა მან უარი არ თქვა და გაწოდებული სამწყემსთმთავრო კვერთხი ღირსეულად აიღო ხელში. ამიერიდან იწყება ანტონის ინტენსიური საეკლესიო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. საეკლესიო მიზნების მისაღწევად მან მოინდომა მეფის უფლების განმტკიცება-გაძლიერება და მისი ავტორიტეტის ამაღლება, რათა მერე დაყრდნობოდა ამ ავტორიტეტს და საეკლესიო სფეროშიაც, მისი სახელით, ადვილად გაეტარებინა და განეხორციელებინა თავისი განზრახვანი. გასაკეთებელი და განსახორციელებელი კი ბევრი რამ იყო. ეკლესია, შეიძლება ითქვას, კრიზისს განიცდიდა ამ დროს: მას ჩამოგლეჯილი ჰქონდა ერთი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო, რომელიც ამ დროს თითქმის სულ გამაჰმადიანებული იყო. შიგ ქართლში ფეოდალურმა განკერძოებამ და სულისკვეთებამ იერარქიაშიაც იჩინა თავი და ბევრი მღვდელ-მთავარი ჯეროვან მორჩილებას არ იჩენდა კათოლიკოსისადმი. ეკლესია-მონასტრები დანგრეული იყო. სკოლები დახურული. ყველა ამას თან დაერთო სომეხთა ეკლესიის სარწმუნოებრივი პროპაგანდა, ასე რომ, საჭირო იყო ენერგიული, მტკიცე ნებისყოფის განათლებული კაცი, რათა საეკლესიო ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო. ასეთი იყო სწორედ ანტონი, მაგრამ მის მოღვაწეობას ბოლო მოუღო შემდეგმა გარემოებამ. ანტონიმ, საქართველოში კულტურის შემოტანის მიზნით, ორიენტაცია აიღო დასავლეთ ევროპაზე და მტკიცე კავშირი დაიჭირა იმ დროს თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან, რომელთა გამოყენებას ის განსაკუთრებით სასკოლო საქმის მოწესრიგებაში ფიქრობდა. ამ მიზანს მან შეწირა თავისი რწმენა და კარიერა: ეს დაკავშირება და დაახლოება დამთავრდა იმით, რომ ანტონიმ კათოლიკობა მიიღო [1]. მის განზრახვას წინაღუდგა ანტიკათოლიკური პარტია ნი-

[1] ეს უნდა მომხდარიყო 1754 წლის ივნისში, როგორც შემდეგიდან ჩანს: 1755 წლის 16 დეკემბრის კრებამ მას, ხარისხის ჩამორთმევასთან ერთად, აუკრძალა 18 თვის განმავლობაში წირვა, ვინაიდან «ესეოდენი თვენი დაგეყენეს განდრეკილებასა შინა ღათინთა მიმართ» (ს ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, «იერარქია», გვ. 154—155).

ნოწმიდელი მთავარეპისკოპოსის საბას და კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის მეთაურობით, რომელნიც გამოვიდნენ მართლმადიდებლობის დამცველად. მათ თეიმურაზ მეფეს მცხეთაში მოაწვევიეს საეკლესიო კრება, რომელზედაც 1755 წლის 16 დეკემბერს ანტონი გადაყენებულ იქნა კათოლიკოსობიდან და მღვდელმსახურებისაგან დაყენებულ, ხოლო მისი თანამოაზრენი სასტიკად იქნენ დასჯილი. მეორე კრება მოხდა 1756 წლის 4 აპრილს. ამ კრებაზე ანტონიმ გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, უარყო კათოლიკობა და ნება გამოითხოვა რუსეთში წასვლისა, მხოლოდ ისე კი, რომ ის ღვთისმსახურების უფლებაში აღდგენილი ყოფილიყო. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა კრებისაგან და ანტონი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ამ დროს ცხოვრობდნენ ვახტანგ მეექვსის მემკვიდრენი, რომელნიც იმედს არ კარგავდნენ ქართლის ტახტის დაბრუნებისას. ამრიგად, ცხოვრების უკუღმართმა მსვლელობამ, რომელსაც მნიშვნელოვნად წარმართავდა ქართლ-კახეთის დინასტიური ინტრიგებიც, ანტონი ჯერ მიიყვანა მონასტრის კედლებში, მერე კი შორეულ რუსეთში. მოსკოვიდან ანტონი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც წარუდგა უწმიდესს სინოდს, იმართლა თავი და დაამტკიცა თავისი მართლმადიდებლობა, რის შემდეგ 1757 წლის 1 დეკემბერს დანიშნულ იქნა მთავარეპისკოპოსად ვლადიმირის ეპარქიისა, რომელსაც ის განაგებდა 1762 წლამდე. ვინაიდან მან «სუსტად იცოდა რუსული ენა», თარჯიმნად დაუნიშნეს მას ქართველი მღვდელი გიორგი დავითაშვილი ქალაქ სვიაჟიდან, ამასთან მას მეორე თარჯიმანიც ჰყოლია, რომელსაც ანტონი უწოდებს «პრეევოდჩიკ ოტეც გაბრიილ»-ს. რუსეთში ყოფნამ ტყუილად არ ჩაუარა ანტონის: აქ მან შეისწავლა რუსული და რამოდენადმე ლათინური ენა, საფუძვლიანად გაიცნო რუსული და ევროპული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურა, გაიცნო რუსული საეკლესიო დაბალი, საშუალო და მაღალი სკოლის ტიპები, დაამზადა მთელი რიგი სასკოლო სახელმძღვანელო, შეისწავლა დაწვრილებით რუსეთის ეკლესიის წყობილება, ასე რომ, რუსეთიდან დაბრუნებისას, მან საქართველოში წამოიღო დიდი და მდიდარი მარაგი გამოცდილებისა და ცოდნისა საეკლესიო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ბეჭდვითობის გასამდიდრებლად. როდესაც თეიმურაზ მეორის სიკვდილის შემდეგ ქართლისა და კახეთის სამეფო ერეკლე მეორემ გააერთიანა, უკანასკნელმა რუსეთიდან გამოიწვია ანტონი, რომლის სიახლოვეს ის დიდად აფასებდა. 1764 წ. დამდეგს ანტონი მართლა დაბრუნდა სამშობლოში, სადაც საკათოლიკოსო ტახტზე ის შეუდგა ყველა იმ მასალის განაღდებას, რაც რუსეთიდან მოიტანა. პირველ ყოვლისა, მან ყურადღება მიაქცია მის მიერ გახსნილ ორ სემინარიას, თბილისისას (1755) და თელავისას (1782), სადაც სწავლა გაჩაღებული იყო რუსეთის სასულიერო სემინარიის ყაიდაზე. მათთვის მან დაწერა თუ სხვებს დააწერინა, თითქმის ყველა საჭირო სახელმძღვანელო, მოახდინა საეკლესიო მართვა-გამგეობაში ისეთი ცვლილებანი, რომელნიც, რუსეთის ეკლესიის მიხედვით, საჭიროდ მიაჩნდა მას, თარგმნა და შეთხზა მთელი რიგი საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო და ლინგვისტური შრომა. ამავე დროს ის დიპლომატიურ ასპარეზსაც არ ტოვებდა. 1772 წელს ერეკლე მეორემ ის გაგზავნა რუსეთს

საგანგებო მისიით, რომელმაც მოამზადა 1783 წლის ცნობილი ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს შორის. აუტანელი, ზედმეტი და გადაჭარბებული შრომით დაღლილი და დაქანცული კათოლიკოსი გარდაიცვალა 1788 წლის 1 მარტს და დასაფლავებულ იქნა სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში.

ასეთია მოკლედ თავგადასავალი ამ შესანიშნავი იერარქისა, შესანიშნავის არა მარტო ქართლის, არამედ, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში. ის იყო როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული, კაბინეტური მოღვაწე და XVIII საუკუნეში გამოჩენილი მეცნიერი. მისი კალამი, მისი ღრმად განვითარებული გონება თანაბარი ნაყოფიერებით ქმნიდა და მუშაობდა ცოდნისა და მეცნიერების მრავალ დარგში. ჩვენ ახლა განვიხილავთ მის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას, განცვიფრებაში მოვდივართ — როგორ შეძლო ერთმა კაცმა, რომელიც ამასთანავე პრაქტიკული საქმიანობით იყო დატვირთული, ამდენ თხზულებათა თარგმნა და შეთხზვა. მით უმეტეს საკვირველია ეს, რომ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას საგრძნობლად აფერხებდა ორი გარემოება, რომლის აღნიშვნა აქ საჭიროდ მიგვაჩნია. პირველ ყოვლისა, ანტონის სამწერლო მოღვაწეობას, როგორც ჩანს, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია ლიტერატურულსა და მოწინავე წრეებშიაც. ბევრი, შურით შეპყრობილი, მის ასეთ მოღვაწეობას ანგარებას უკავშირებდა, რაც, სხვათა შორის, ჩანს «თთუენის» წინასიტყვაობიდან, სადაც ანტონი ამბობს, რომ ეს შრომა ჱე «მიზდისა», ესე იგი სასყიდლისათვის კი არ მიკისრიაო, «მიზდსა არარას მოველი თანამოჟამეთაგან ჩემთა ქართველთა», მე ვიცი, მწარედ შენიშნავს ის, რაც «მიზდი» მომეცა ღრმატიკის, სადღესასწაულოსა და საღმრთო ლიტურგიის შექმნა-განმართვისათვის, იმასვე მივიღებ ახლაცო. სახელდობრ რას? «ესე საზღვარდებულება არს კაცთა ვიეთმე სამღუდელოთა, თავკედთა და ყოველად უმეცართა ჩუენ შორის», ამბობს ის, «რამეთუ ვისაცა იგი მეცნიერების მიმართად გამოაჩენენ თუ რასმე, ჭარსა ბორბალსა აღადგენენ მას ზედა და საშესა ცხოვრებისასა განუტეხენ და მისცემენ ღელუათა წარტაცებად უფსკრულთა-მიო» [1]. ასეთი ადამიანებისაგან ანტონის, უნდა ვიფიქროთ, საკმაოდ უგემია. სხვები კიდევ უარყოფით ეკიდებოდნენ ანტონის სამწერლო მოღვაწეობას იმიტომ, რომ ის მათთვის გაუგებარი იყო, განსაკუთრებით მისი ენა და სტილი. «ღვთისმეტყველების» შესავალში ანტონი ამბობს, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელნიც «სძულობენ და სიმწარით გარეშეიქცევიან ბრწყინვალებასა ფრასისასა, რეცა რიტორებისა მაქებელნი და მეტყუელნი: უმჯობეს არს წერილთა შინა რათა იყვნენმცა ესევითარნი სისტემანი ლექსთა და ჰაზრთან.ი, რომელნი დიდითა შრომითა გულისხმა იყოფებიანო». მეორე გარემოება, რაც, უეჭველია, შესამჩნევად აფერხებდა ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას, იყო ის, რომ მან, ქართულის გარდა, სხვა, უცხო, ენა, თავდაპირველად მაინც,

[1] კ. კეკელიძე. ანტონ კათოლიკოსის სალიტურღიკო მოღვაწეობიდან, თბილისი, 1914 წ., გვ. 6.

არ იცოდა. თ თ უ ე ნ ი ს წინასიტყვაობაში ის პირდაპირ ამბობს: «მართალ არს და ცხად, ვითარმცა ქართულისა კიდე ენაჲ არა ვიცი და ვერცაღა მივსწუეთ ენასა სლავენურსა უმკუეთრეს»[1], ხოლო მ ზ ა მ ე ტ უ ე ე ლ ე ბ ი ს შესავალში შენიშნავს: «რამეთუ მე ქართულისა ენისა კიდე სხუაჲ არარაჲ უწყოდი ენაჲ, გარნა მხოლოდ წიგნი ოდენ სომეხთა უწყოდი და იგიცა ფრიად მცირედ და მოკლედო» (გე. 5). რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან უცხო ენები სრულიად არ იცოდა, არ იცოდა საფუძვლიანად, თორემ «მცირედ და მოკლედ», როგორც სომხური სცოდნია, უეჭველია იცოდა სლავურ-რუსული, ბერძნული, ლათინური და სპარსულ-თათრულიც. ადვილი წარმოსადგენია, მაშასადამე, ის გაჭირვება, რასაც განიცდიდა ანტონი, როდესაც მას საქმე ჰქონდა უცხო ენებიდან გადმოსაღებ მასალასთან, ის ამ შემთხვევაში მიმართავდა ხოლმე სხვათა დახმარებას. მ ზ ა მ ე ტ უ ე ე ლ ე ბ ი ს შესავალში ის ამბობს: «შემეწეოდა მე ფილიპე ხუცესი, სომეხთა გუარისაგანი, თარგმანებითა სომეხთა წერილთათა, ხოლო ლათინთა წერილთა თარგმანებასა ზედა— იოანე ვინმე ხუცესმონაზონი ლათინთაგანიო» (გე. 4—5). ღ რ ა მ ა ტ ი კ ი ს წინასიტყვაობაში ამბობს: «როსიასა ყოფასა ჩემსა ვიკითხვდი ელინურისა და ლათინურისა და ფრანციულისა და იტალიანურისა და გერმანულ-ისა და რუსულისა ენათა ძეცნიერთად. კუალად ვითარიმე იყო გუარი კმარებად ნაწილთა სიტყუსათა და სახეთა მათთა ენათა მათ შორის თქუმულთა, და მომიგებდიან და საცნაურ ჰყუანო» (გე. 2). ხოლო თ თ უ ე ნ ი ს წინასიტყვაობაში უფრო რეალურ სურათს გვიხატავს: «სლავენურისა თარგმანი მივანდეც გაბრიილს ხუცესსა, თარგმანსა ჩემსა, რომელმან დაღათუ არა უწყოდა ღრამატიკა, არცა სლავენური და არცა ქართული, არამედ ღრამატიკოსნი მყუეს რუსნი კლირიკნი ეკლესიისა ჩემისანი, რომელთა ახლად დაესრულათ სკოლაჲ სინტაქსისაჲ... და ოტეც გაბრიილ, პრეოდშჩიკი ჩემი (რომელ არს თარგმანი), მეტყოდა რა ქართულად, დიდითა გამოძიებითა თითოსა ლექსსაცა ვკითხდი ღრამატიკოსთა მათ რუსთა. თუ რომლისა სიტყჳსა ნაწილი არს, და ავრეთვე სიტყუასაცა უმკაცრეს, ვითარმედ სიტყუა ესე ვითარ შეთხზულ არს და რაჲ არს ჰაზრი მათი, და მათ მიერ გულისხმა ვჰყოფდი თარგმანებითა გაბრიილისათა და ესრეთ დავსდებდი სიტყუათა და სიტყუათა შინა ლექსთა»[2]. მაგრამ ანტონიმ სძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და დაგვიტოვა მთელი რიგი დიდი მნიშვნელობისა და ღირსების თხზულება.

ანტონის მიერ ნათარგმნი და შედგენილი თხზულებანი ჩვენ შეგვიძლია შემდეგ დარგებად დავყოთ:

I. ე გ ზ ე გ ე ტ ი კ ა. 1) «თარგმანებაჲ რომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ». სამწუხაროდ, ნუსხები ამ თხზულებისა აღარ გვხვდება, ამიტომ ძნელია თქმა— ნათარგმნია ის თუ ორიგინალური. 2) «განმარტებაჲ მიწყალესი» ან მეერგასისა ფსალმუნისა, რომელიც ორიგინალურ შრომას წარმოადგენს. ანტონის მოწინააღმდეგემ, ზაქარია მოძღვარმა, მოინდომა ამ თხზულების გამოყენება

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურღიკო მოღვაწეობიდან, გვ. 7.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 8.

ანტონის კათოლიკობის დასამტკიცებლად და ამ მიზნით ერთი ცალი მისი რუსეთის სინოდშიაც კი გაგზავნა. ამ გარემოებამ გამოიწვია ქართველებში დიდი მითქმა-მოთქმა და შფოთი, რომელიც დამთავრდა ზაქარიას მღვდლობიდან განკვეთითა და შეჩვენებით. ეს წიგნი, ზაქარიას ცნობით, ანტონის ელადიმირში დაუწერია და მეფე თეიმურაზისათვის გამოუგზავნია სკოლებში სახმარებლად. იმაში ანტონის გამოუჩენია «რაც მეცნიერება ჰქონდა», და «დიახ გრძლადაც აღუწერია... დაეთნზე ბეერით უდიდესიაო», — ამბობს ის. მაგრამ, რადგანაც ის პაპისტების მოძღვრებას შეიცავდა, საქართველოში ჯერ დამალეს და მერე დაწვეს.

II. დოგმატიკა და პოლემიკა. ამ დარგში ანტონის კალამს ეკუთვნის: 1) «კატეხიზმოა», 1757 წელს დაწერილი; ესეც ორიგინალური თხზულებაა, ჩვეულებრივი კატეხიზმოების, უფრო კი რუსეთის ეკლესიის გეგმაზე აგებული; იმაში გარკვეულია მართლმადიდებელთა აღსარების უმთავრესი დოგმატიკურ-მორალური დებულებანი; წიგნი დაწერილი იყო სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოდ.

2) წიგნი «აღსარებისაა». ალბათ, დაწერილი მაშინ, როდესაც ანტონის მოუხდა თავის მართლება და სარწმუნოებრივი credo-ს წარმოთქმა რუსეთში, სინოდის წინაშე, და თვით საქართველოში, ზაქარია მოძღვრისა და სხვათა ბრალდების გამო.

3) «ღვთისმეტყველება» სამნაწილედი, ოთხ ტომად,—შესანიშნავი თხზულება, 1779 წელს დამთავრებული ანტონის მიერ. პირველი ტომი შეიცავს დოგმატიკურ ღვთისმეტყველებას და სამი ნაწილისაგან შედგება: ა) ერთობითი ღვთისმეტყველება, სადაც ლაპარაკია ღვთაების ერთობაზე და მის არსებითს თვისებებზე; ბ) სამწმიდაობითი ღვთისმეტყველება, — ეხება ღვთაების სამპიროვნებას, თითოეული პიროვნების საკუთარ თვისებებს და ქალწული ნარიამის ღვთისმშობლობას; გ) ზედდადგინებანი საქმეთა ღვთისათა, — აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ღმერთს საზოგადოდ ქვეყანასთან და კერძოდ ადამიანთან (შექმნა, განგება, მართლმსაჯულება, მადლი, გამართლება, განწმედა, განახლება, ცოდვათა მოტევება და წინაგანსაზღვრება). მეორე ტომი შეიცავს მისტიკურ ან საიდუმლო ღვთისმეტყველებას და ისიც სამი ნაწილისაგან შედგება: ა) უხილავთა არსთათვს (ანგელოზი, სამოთხე, წინასწარი განსჯა, ორიგენის მოძღვრება სასჯელის დროებითი ხასიათის შესახებ, ანტექრისტე); ბ) ეკლესია და მისი საიდუმლონი; გ) «მოცემულთათვს», ესე იგი გარდამოცემა: პირჯვრის წერა, ღვთისმშობლისა და წმიდათა მოწოდება, ჯვრის, ხატებისა და წმიდა ნაწილების პატივისცემა, მარხვა, დღესასწაულები, საღმრთო წერილი, კრებანი და მათი კანონები, იერარქია, ცხება მეფობისა, ბერ-მონაზვნობა. მესამე და მეოთხე ტომი შეიცავს «ყოფაქცევითი ღვთისმეტყველებას»; ეს ღვთისმეტყველება განიყოფება ორად: ა) ღვთისმეტყველება ყოფაქცევითი სათნოებითი (მესამე ტომშია), ის სამი ნაწილისაგან შედგება: ა) თეოლოგია პრაქტიკა, კაცობრიეთა საქმეთათვის, ბ) თეოლოგია ზომიერებითი — თანანადებნი ქრისტიანეთანი ღვთისადმი თავოანნი, გ) თეოლოგია ითიკა — სათნოებათათვს საზოგადოდ: სარწმუნოება,

სასოება და სიყვარული. в) ღვთისმეტყველება ყოფაქცევითი უთნოებითი (მეოთხე ტომშია), ესეც სამი ნაწილისაგან შედგება: ა) გამოსულებისათჳს სულისა წმიდისა, ბ) განმართლებისათჳს შეცოდებულისა კაცისა იესო ქრისტეს მიერ, გ) ცოდვათათჳს სასიკუდინეთა და მოსატევებელთა. ასეთია საზოგადოდ შინაარსი ამ «ღვთისმეტყველებისა», რომელსაც ავტორი უწოდებს «სხოლასტიკებრ» ღვთისმეტყველებას. ამ სახელწოდების განსამარტებლად ანტონი ამბობს, რომ ღვთისმეტყველება ორგვარიაო: «დადებითი», როდესაც სარწმუნოებას გამოჳჩენთ და ვამტკიცებთ საღვთო წერილით, წმ. მამათა თხზულებებითა და კრებათა დადგენილებებით, და «სხოლასტიკებრი», როდესაც ყველა ამას თან დაერთვის ფილოსოფიური დამტკიცება, — დიალექტიკისა და სილოგიზმის საშუალებით. ვინაიდან მისი თხზულება დამყარებულია ყველა ზემოჩამოთვლილ საფუძვლებზე, ის არის როგორც დადებითი, ისე ფილოსოფიურ-სქოლასტიკური. ავტორს მრავლად მოაქვს ციტატი ამა თუ იმ დებულების დასამტკიცებლად როგორც საღვთო წერილიდან, ისე წმ. მამათა თხზულებებიდან, და აგრეთვე «ტრაქტატები», ესე იგი ფილოსოფიური მოსაზრებანი. თხზულება დაწერილი უნდა იყოს სკოლაში მოწაფეთათვის სახმარებლად, რაც ჩანს წინასიტყვაობიდანაც, სადაც ნათქვამია: «ჩუენ უკუე, მოცალეთა დროსა ამასა შინა სხუათა საქმეთაგან და მხოლოდ განსჯელთა ოდენ ღმრთისმეტყუელებისათა, თანაგუაძს ჩუენებად მოწაფეთა მი ღმრთისმეტყუელებითისა ცნობისათა თუ ვითარმე განისჯების ღმრთისმეტყუელებაჲ». თხზულება ავტორს დაუწერია სხვადასხვა წყაროს, ა5, როგორც თვით ამბობს, «სხუათა აქსონთა წერილთა» მიხედვით, მაგრამ ყველაზე მეტად მას უსარგებლნია ერთი თხზულებით, რომლის შესახებ ის ამბობს: «მხილველთა [ენ]ციკლოპეტიისაგანთა წერილთა, რომელიცა ყოვლისა ფრანციისა მონარ, ხობითსა დიდსა შინა რეზიდენცია ჭალაქსა პარიზს დიდსა აკადემიასა შინა დაბეჭდილ არს ფრანცისულისამებრ ენისა, ვსაჯეთ ვითარმედ კმა არს იგი განსჯისათჳს ღვთისმეტყუელებისა, რომლისათჳს აქ დავსდეეით რაჲცაღა აღმოვიკითხეთ მისგან და გულისხმა ვყავთ და ესენი შემდგომთა შინა პარალრაფთა იჩუენებინო». მაშასადამე, უმთავრესი წყარო ანტონისა ყოფილა ფრანგულ ენაზე გამოცემული საღვთისმეტყველო ენციკლოპედია, რომლიდანაც ჰას მოხერხებულად გამოუგდია ყველა ის ადგილი, რომელნიც მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას განასხვავებენ ერთიმეორისაგან[1].

4) «მზამეტყველება»[2], ეს უზარმაზარი დოგმატიკურ-პოლემიკური შრომა, ანტონს დაუწყია 1750 წლის 1 ოქტომბერს და დაუსრულებია 1752 წლის 11 მარტს. ეს თხზულება არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არამცთუ ქართულ მწერლობაში, არამედ მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარების ისტორიაში. თხზულება მიმართულია

[1] ერთადერთი ცალი ამ ღვთისმეტყველებისა შენახულია S ფონდის ხელნაწერებში: ტომი I, № 3657; ტომი II, № 3658; ტომი III, № 3659; ტომი IV, № 3660.

[2] გამოცემულია თბილისში 1892 წ. ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით და პ. კარბელაშვილის რედაქტორობით.

მონოფიზიტთა, კერძოდ, სომეხთა, წინააღმდეგ და მიზნად აქვს დასახული განქიქება მონოფიზიტური იდეოლოგიისა როგორც ისტორიულად, ისე დოგმატიკურად, და განმარტება-განვტკიცება მართლმადიდებლობითი დოქტრინისა. ის სამ წიგნად იყოფა: პირველი წიგნი «წინააღუდგება» ნესტორიანობას, რამდენადაც ის დაკავშირებულია მონოფიზიტობასთან ისტორიულად თუ იდეურად; მეორე წიგნში მოთხრობილია ისტორია ეფესოსა და ქალკედონის კრებისა, მონოფიზიტობის წარმოშობის და მისი შეპრისა სომხეთში; მესამე წიგნში გარჩეულია მუხლ-მუხლად მონოფიზიტთა დოგმატიკა, სომეხთა ეკლესიის წესნი და ჩვეულებანი და ნაჩვენებია მათი სიყალბე. ამ თხზულების შედგენა ანტონის დაუწყია შემდეგ პირობებში: მის დროს, განსაკუთრებით 1744 — 1749 წლებში, ჩვენში გაძლიერებულა სომეხთა სარწმუნოებრივი პროპაგანდა, რომელიც დიდ ხიფათს უქადდა მართლმადიდებლობას საქართველოში. პროპაგანდა წარმოებდა როგორც სიტყვიერი, ისე ლიტერატურული. ანტონი თვით ამბობს, რომ მე ვიხილე წიგნები სომეხთა მოძღვრებისა: იოანე ოძნელისა, პაველ ტარონელისა, სტეფანე სიუნელისა, გოშიკ ვანაკანელისა, ვარდანისა, სერგისა, მაშტოცისა, იოანე ოროტნელისა, გრიგოლი ტათეველისა, გრიგოლ კესარიელისა, ანგელისა, იაკობისა და ჩვენი თანამედროვე კათოლიკოსის ლაზარე ჰუკელისა, რომელმაც დაწერა «დრახტანკალ» ან «სამოთხე საწადელი»; ყველა ეს თხზულება სავსე იყო გმობითა და უკეთურებითა, ამიტომ მე «ვიწყე წინაგანწყობად ზემოთქმულთა ამათ მწვალებელთაო». მონოფიზიტთა და, კერძოდ, სომეხთა «წინაგანსაწყობი» ლიტერატურა საკმაოდ მდიდარი იყო ქართულ ენაზე. ანტონის განსაცვიფრებელი ერუდიცია გამოუჩენია და მეტად ხელოვნური კომბინაცია მოუხდენია იმ მასალისა, რასაც ეს ლიტერატურა იძლეოდა. ასე რომ, აზრებით ეს თხზულება ორიგინალური არაა: მეტად უხვად სარგებლობს ანტონი ანასტასი სინელის «წინამძღუარით», იოანე დამასკელის «გარდამოცემით», კირილე ალექსანდრიელის «საუნჯით» და ლეონ დიდის, რომის პაპის, «ტომოსით», საზოგადოდ იმ მასალით, რომელიც თავმოყრილია არსენ იყალთოელის «დოღმატიკონში». აღნიშნული ავტორებიდან მას მთელი გვერდებით მოაქვს ციტატები. მიუხედავად ამისა, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ღირსებით, ეს თხზულება შეგვიძლია ერთ დონეზე დავაყენოთ ბიზანტიის დოგმატიკურ-პოლემიკური მწერლობის საუკეთესო ნაშრომებთან.

5) «საუნჯე» კირილე ალექსანდრიელისა, რომელიც წინათაც იყო ნათარგმნი «განძის» სახელით; ამ თხზულების იამბიკოდ დაწერილ წინასიტყვაობაში ანტონი ამბობს, რომ ის დიდ ხანს დაეძებდა ამ წიგნს და, რადგან ვერსად იპოვა, ხელახლა თარგმნა სომხურიდან და დაურთო სულ მოკლე სქოლიოები და განმარტებანი [1].

III. ლიტურგიკა. ანტონი კათოლიკოსს დიდი ღვაწლი მიუძღვის ლიტურ-

[1] ცნობილია თორნიკე ათონელის ინიციატივით მიჭაელ მწერლის მიერ 981 წელს «ქუეყანასა კარინისასა» (თეოდოსიოპოლი-არზრუმი) გადაწერილი ნუსხა მისი (P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le moine, «Analecta Bollandiana», t. 50 (1932), p. 359—360).

გიკულ მწერლობაში, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მან შეადარა ქართული საღვთისმსახურო წიგნები რუსულ წიგნებს და შეასწორა იმათი მიხედვით. ამ შემთხვევაში ანტონიმ ის მოინდომა, რაც მეთერთმეტე საუკუნეში ათონელმა მამებმა ჩაიდინეს. როგორც ათონელებმა მოაცილეს ჩვენს ლიტურგიკულ პრაქტიკას «აღმოსავლური» ელფერი და ის ბიზანტიის საღვთისმსახურო პრაქტიკას დაუახლოეს, ისე ანტონიმ მოინდომა მიეცა მისთვის, ბიზანტიური ნაცვლად, რუსული ფიზიონომია. შესწორებულ წიგნთა შორის, პირველ ყოელისა, უნდა დავასახელოთ «ტიპიკონი» [1]. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში ნათარგმნ ტიბიკონში მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს ბესარიონ კათოლიკოსმა შეიტანა სლავური ტიბიკონის შენიშვნები. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში რუსეთის ეკლესიაში ახალი, შესწორებული რედაქცია გამოვიდა ტიბიკონისა, რომელსაც ბესარიონის საქმე ვერ ამოსწურავდა, ამიტომ ანტონი კათოლიკოსს განუზრახავს მისი შესწორება. ეს საქმე მას თითქოს 1757—1762 წლებში შეუსრულებია, კინიდან თავისი «ღრამატიკის» წინასიტყვაობაში ის შენიშნავს, რომ «როსიასა შინა ყოფასა» გარდამოვიღე ტიბიკონიო (გვ. 2). ეს შენიშვნა შემცდარია, ტიბიკონი ანტონის რუსეთში წასვლამდე, თვით საქართველოში უნდა შეესწორებინა. ეს შემდეგიდანა ჩანს: რუსეთში ანტონი გაემგზავრა 1756 წლის აპრილს და იქ ლიტერატურული შრომა დაიწყო არაუადრეს 1757 წლისა, ხოლო მის მიერ შესწორებული ტიბიკონის ერთ-ერთი ნუსხა, რომელიც ალექსი მესხიშვილს ეკუთვნოდა, გადაწერილია 1756 წლის 13 თებერვალს [2]. პროცესი შესწორებისა, რომელიც მომხდარა 1749 — 1756 წლებში, შეგვიძლია გავითვალისწინოთ ხელნაწერით A 122 [3]. შეუსწორებია ანტონის აგრეთვე კონდაკი, მღვდელმთავრის კურთხევის წესი და «პარაკლიტონი» («ღრამატიკა», გვ. 2), ეს უკანასკნელი, როგორც ანდრიდან ჩანს, — ბერძნული დედნის მიხედვით. მაგრამ ყველაზე მეტი შრომა მან დასდო «სათთუეოთა წიგნის» (იქვე) შესწორებას. ჩანს, რუსეთში მყოფმა, მან არ იცოდა, რომ ასეთ შრომას საქართველოში ალექსი მესხიშვილი აწარმოებდა უკვე და ამიტომ იმ მოსაზრებათა გამო, რომლებითაც ალექსი ხელმძღვანელობდა, ანტონისაც დაუწყია თთუენის შესწორება. პროცესი ამ შესწორებისა დაწვრილებით აქვს მას აწერილი ამ შრომის წინასიტყვაობაში [4]. მსოფლიო წმინდანების საგალობლები მას სიტყვასიტყვით შეუფარდებია სლავური ტექსტისათვის, ტიპიკარული შენიშვნების თანდართვით, ხოლო, რაც შეეხება ქართველ წმინდანებსა და დღესასწაულებს, მათი «აკოლოტიანიო», აბობს ის, «რაჲცა ვპოვენ, დავსდუენ, და პოებულთა თუ რაჲმე აკლდა, ახლად გამოთქმითა შევმზადენო და რომელნიმე სრულიად აკლდაყე აკლოტია ქართ-

[1] ჯერ კიდევ ტახტზე ასვლისთანავე მას შეუდგენია წესი მეფის კურთხევისა და ამ წესით უკურთხებია მეფე თეიმურაზ II («ქართლის ცხოვრება», II, გვ. 382—386). ეს არის ახალი რედაქცია აღნიშნული წესისა, რუსეთის ეკლესიის ზეგავლენით შედგენილი.

[2] A 399.

[3] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 512—513.

[4] კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, თბ., 1914 წ.

ველთა წმიდათა, ახლად გამომითქუამნო». ზოგიერთი საგალობელი სრულიად გამოცვალე, ვინაიდან ისინი «არცა მოთხრობა იყუნეს, არცა გალობაო». ბოლოსდაბოლოს, მას შეუდგენია საგალობლები თითქმის ყველა ქართველი წმინდანისა და დღესასწაულისა, ამათგან «აქებდითსა ზედა დასდებელნი» იამბიკოდაა დაწერილი. თან ზოგიერთ წმინდანთა ხსენება მან სხვა დღეებზე გადაიტანა წინანდელთან შედარებით. ასე რომ, მან მოგვცა ახალი რედაქცია თ თ უ ე ნ ი ს ა, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე ალექსი მესხიშვილისა: იმაში უფრო მეტია რიცხვი მსოფლიო და ქართველი წმინდანებისა; მსოფლიო წმინდანების საგალობელთა ტექსტი ორიენტირებულია ერთი და იგივეა, ხოლო ქართულისა სხვა, ვინაიდან ანტონიმ ამ შემთხვევაში უმთავრესად საკუთარი ჰიმნები მოათავსა თ თ უ ე ნ შ ი [1].

IV. ჰომილეტიკა. იონა ხელაშვილი თავის ქადაგებათა კრებულის წინასიტყვაობაში ამბობს, რომ ანტონიმ «მრავალი ქადაგებანი» დატოვაო; და მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ კათოლიკოსი ანტონი შესანიშნავი მქადაგებელი იყო და განუწყვეტლივ ჰმოძღვრიდა თავის სამწყსოს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ «სიტყვა» მირქმის დღესასწაულისა და «შესხმა» შიო მღვიმელისა და აბიბოს ნეკრესელისა.

V. ასკეტიკა. ამ დარგში ანტონის დაუტოვებია იოანე სინელის «კლემაქსი», იამბიკოდ გალექსილი, რომელშიაც ავტორი ამბობს:

იოანემან სინელმან სხოლასტიკოს
კიბე ცადმყუანი ქმნა სამ ათ აღსაეალნი,
ამათნი თაენი. ათ სტიხთა შინა თჳთო,
აკროსტიხოთა გარდა მესამის თავის
ანტონი ვლექსე, უქმობის დასახსნელად.

აქ გალექსილია უკანასკნელი ნაწილიც «კლემაქსისა», რომელსაც ეწოდება «მწყემსისა მიმაროა» [2].

VI. კანონიკა. ამ დარგში ანტონის ფილიპე ყაითმაზაშვილის დახმარებით სომხურიდან უთარგმნია 1776 წელს პირველი სამი მსოფლიო კრების აქტები (A 618), ხოლო 1768 წელს შეუდგენია და, ერეკლე მეფის ნებართვით, დაურიგებია მღვდელმთავართათვის «კანონიკური ეპისტოლე», რომელიც შეიცავს სხვადასხვა ხასიათის დარიგებას საეკლესიო პრაქტიკიდან [3].

VII. აგიოგრაფია. აგიოგრაფიულ დარგში საყურადღებო შრომას წარმოადგენს «პროლოღი» სამი თვისა: იენისის, იელისისა და აგვისტოსი, სადაც იამბიკოდ წარმოდგენილია სახელები და ღვაწლი აღნიშნულ თვეთა წმინდანებისა. ეს შრომა გაგრძელებაა იოანე პეტრიწისა და არსენი ბულმაისიმისძის. ამგვარივე შრომებისა. საყურადღებოა აგრეთვე «მარტირიკა», 1769 წელს და-

[1] როგორც ამ «თთუენის» წინასიტყვაობიდან ჩანს, ანტონს წინასწარ «სადღესასწაულო» უნდა დაეწერა, ესე იგი მხოლოდ დიდ დღესასწაულთა «შედეგნი» და «აკოლოთიანი».

[2] A 226. 711. 799.

[3] ვ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 179—184.

წერილი, რომელიც შეიცავს ღვაწლსა და ცხოვრებას 29 ქართველი წმინდანისას და გრიგოლ პართევნელისას [1].

VIII. ისტორია. ანტონის საისტორიო თხზულებათა შორის ყველაზე საყურადღებოა: 1) «წყობილსიტყვაობა», პლ. იოსელიანის მიერ გამოცემული თბილისში 1853 წელს. წიგნი შედგება შვიდი ნაწილისაგან და დაწერილია იამბიკოდ; საისტორიო ხასიათი და მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ სამ ნაწილს (5—7), პირველი ოთხი კი უფრო დოგმატიკური შინაარსისაა. I ნაწილი შეიცავს «ღვთისმეტყველებას» — სამება, ერთარსებობა, განკაცება, ვნება, აღდგომა მაცხოვრისა, ევქარისტია, შვიდთა მსოფლიოთა კრებათათვის. II ნაწილი — ღვთისმშობლის შესახებ, III ნაწილი — ჯვარისა და საღმრთო კვართისათვის, IV ნაწილი — ყოველთა წმიდათათვის, V — ქართველ წმიდათათვის, ჩამოთვლილია ქართველი წმინდანები მოკლე ცნობათა თანდართვით, VI — ქართველ ჩინებულ მეფეთათვის, VII — ქართველთა სიბრძნისმოყუარე კაცთა მწიგნობართათჳს; ამ უკანასკნელი ნაწილის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი შესავალში (გვ. 14—15), სადაც ქართული მწერლობის ისტორიის დამუშავებაზე ვლაპარაკობდით; 2) «მოკლე ისტორია საქართველოსი», სკოლებში სახმარებლად შედგენილი; 3) «ქართველ მეფეთა შთამომავლობა», რომელიც ანტონიმ დაწერა ყიზლარის კომენდანტის ფრაუნდორფის დავალებით (1756—1760 წ.); 4) «ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა», კვინტოს კურციოსისაგან ქმნილი ათ წიგნად («ღრამატიკა», გვ. 2).

IX. ლინგვისტიკა. ანტონის დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ენის ისტორიაში. მართალია, ის წერდა მეტად განყენებული, ხელოვნური ენით, იოანე პეტრიწის სკოლის სტილით, რომელსაც მისი თანამედროვენი მაინცდამაინც არ თანაუგრძნობდნენ, მაგრამ მან შექმნა თეორია სამგვარი სტილისა და თავისი წელილი შეიტანა ქართული ფონეტიკისა და გრამატიკის ისტორიაში. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მისი «ღრამატიკა», გამოცემული თბილისში 1885 წელს რ. ერისთავის რედაქტორობით. ანტონიმ ორჯერ დაწერა გრამატიკა: პირველად 1753 წელს სომხური, მხითარ სევასტიელის, გრამატიკის გამოყენებით (A 785), მერე, 1760 წელს, შეადგინა საკუთარი გრამატიკა (რომელიც გამოცემულია), საკუთარი სისტემით. სიტყვიერების თეორიის შესასწავლად სკოლაში ანტონიმ 1764 წელს დაწერა «რიტორება», ქმნილი მხითარის რიტორების გვარზე, რომელშიაც მას მაგალითები ქართულიდანაც მოუყვანია [2].

X. ფილოსოფია. ანტონი გამოჩენილი ფილოსოფოსია მეთვრამეტე საუკუნისა, მან გააცოცხლა ჩვენში ტრადიციები კლასიკური ხანის ფილოსოფიური აზროვნებისა და ფილოსოფოსებისა, უფრო კი იოანე პეტრიწისა. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში გაიღვიძა ჩვენში ფილოსოფიურმა აზროვნებამ და მუშაობამ, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ ხარბად დაეწაფნენ ძველი ფილოსოფიური მწერლობის შესწავლას: ეძებენ ძვე-

[1] S 3638, 1272, 2988; H 178.

[2] А. Цагарели, Сведения, III, 118.

ლად ნათარგმნ თხზულებებს, იღებენ პირს ძველი ხელნაწერებისას, თარგმნიან ახალ-ახალ თხზულებებს სხვადასხვა ენიდან. ამ მოძრაობას სათავეში ედგა თვით ანტონი კათოლიკოსი, თუმცა მას საკუთარი გზა ჰქონდა არჩეული. ჩვენ ვიცით, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა პროკლე დიადოხოსის კავშირი, რომელსაც თავისი საკუთარი კომენტარები დაურთო. ქართული ენიდან ეს შრომა 1248 წელს, იოანეს კომენტარებითურთ, თარგმნა სომხურად სვიმეონ ბერმა. 1651 წელს სვიმეონ, გარნი'ის ეპისკოპოსმა, შეაღგინა კომენტარები პროკლეს კავშირისა. 1757 წ. სომხურიდან ეს თხზულება და სვიმეონის კომენტარები თარგმნა ქართულად ფილიპე ყაითმაზაშვილმა იოანე ორბელიანის დავალებით. ამნაირად, ქართულ ენაზე გაჩნდა ორი თარგმანი პროკლეს თხზულებისა: იოანე პეტრიწისა, ბერძნულიდან, და ფილიპესი — სომხურიდან [1]. უკანასკნელ თარგმანს თანამედროვენი და თვით ანტონიც «ახალს კავშირს» უწოდებენ, ანტონი უარყოფით ეკიდება მას: «ღვთისმეტყველების» წინასიტყვაობაში ის ამბობს: «აღამაღლებენ უდიდესითა ქებისიტყუაობითა ახალსა კავშირსა, რომელ არს მეტაფისიკაჲ, სტოიკელთაჲ განრყუნილი ვისგანმე სომეხთა ხუცისა, რამეთუ განაგდეს ვიეთმე თჳთ იგი მეტაფისიკაჲ სტოიკელთაჲ ახალთა ბრძენთა ქართველთა, თარგმანებული იოანესაგან ფილოსოფოსისა ჩუენისა, და განრყუნილი იგი ტერტერაჲსა ვისგანმე მეტაფისიკაჲ თარგმანებულ ჰყვეს ენისაგან სომეხთასა ჩუენსა ზედა ენასა და უგულსმოდგინესითა მოსწრაფებითა შეუდგეს მას. ხოლო განმარტებაჲ მისი ჯუღელისა ვისგანმე ვარდაპეტისა შეიწყნარეს უმწუერვალესითა სურვილითა, მისდამი უგულსმოდგინესითა, სულთა შინა თჳსთა... უკუეთუ მეტაფისიკაჲ აღმაღლებული იგი ჩუენგანთა ვიეთგანმე ღირს არს ესოდენისა ზაღალადდიდებისა, რად სადმე განიგდების ნამდვილ ჰეშმარიტ მეტაფისიკაჲ იგი სტოიკელთაჲ, რომლისასა თჳთ იგი მაცთურნი წინასიტყუაობასა შინა ახლად თარგმანებულსა მეტაფისიკისასა სწერენ, ვითარმედ ქართულისაგან სომეხთა ენათაღ ითარგმნა ესე? ხოლო ვინაჲთგან ესე ესრეთ არს და ვიცით, ვითარმედ ყოვლითურთ სხუაობს ახალი იგი ძუელისაგან, რად სადამე საჭირო არს ვისდამი ახალი იგი სწავლად და არა ძუელი, რომელიცა ურიტორ:ესითა ფრასითა თარგმანებულ არსო?» ამავე დროს ქართულად უთარგმნიათ, როგორც აღნიშნული წინასიტყვაობიდან ჩანს, იმავე ჯუღელის ან სვიმეონ გარნელის მეორე თხზულებაც. «განამდიდრესო», ამბობს ანტონი, «ქებაჲ სომეხთა ენისაგან ახლად თარგმანებულისა ცნობისა, მპყრობელისა თჳს შორის პირველსა ნაწილსა შინა კატიღორიითა არისტოტელებრთა, ხოლო მეორესა შინა ქუემდებარისა მიმართ შესმენილისა მოკიდებასა. ხოლო მესამესა შინა სილოგიზმითა... აქუნდა ვიდრემე ქართველთა თარგმანებული ორთაგან გრამატიკოსთა ჩუენთა, ესე იგი სანატრელისა ევთიმისაგან და ეფრემისაგან მცირისა, კატიღორია არისტოტელებრი, ქმნილი გარდამოცემით წმიდისაგან და-

[1] აეტორი «მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათჳს» ამბობს, რომ «სვიმეონ ჯუღელ ფილოსოფოსისაგან შემოკლებული კავშირი» პროკლესი გადმოიღო სომხური ენიდან და «შეთხზა მაღალსა ქართულსა ენასა ზედა სასკოლო სასწავლებლად» გლახა ნათიშეილმა, ერეკლე მეორის კარის დიაკვანმაო («ჯალმასობა», II, 195).

მასკელისა; ხოლო განსჯისათჳს 49 თავსა შინა და გამოჩინებისათჳს 50 თავსა შინა იტყჳს იგივე დამასკელი. ამისთჳს არ საკჳრველ არს და სადიდებელ ჯუღელისა იგი განდიდებული ვიეთგანმე სიბრძნისმოყუარებაჲ». როგორც ვხედავთ, იმდროინდელ ზოგიერთ ქართველ ფილოსოფოსს ზურგი აუხვევია ჩვენი ძველი ფილოსოფიური მწერლობისათვის და სომხურიდან დაუწყია თარგმნა იმისა, რაც უკვე გვქონდა ნათარგმნი ბერძნულიდან. ანტონი ამას არამცთუ არ თანაუგრძნობდა, გაულაშქრნია კიდეც ამის წინააღმდეგ და მედგრად გამოსარჩლებია ძველ თარგმანთა და ფილოსოფოსთა ავტორიტეტს. თვით ანტონს ბევრი უმუშავნია ფილოსოფიურ დარგში. მისი ფილოსოფიური შრომები ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, როდესაც ფილიპე ყაითმაზაშვილის შესახებ გვქონდა ლაპარაკი, და ხელმეორედ იმათ აღარ ჩამოვთვლით. იმათ გარდა მას უთარგმნია კიდევ: 1) «წიგნი კატიღორია. სიმეტნეჲ. დასჯილი მისგან კმასა ზედა არისტოტელისა შეღგომითვე მის[ი]თა, მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღვრებათაგან და გარდამოცემათა მოღებულ, ხოლო წინადადებული თჳსისა სხოლისა მოწაფეთად», დასრულებულია 1767 წ. (S 52). ლოღიკა ქრისტიან ბაუმეისტერისა; 3) მეტაფიზიკა ბაუმეისტერისავე; 4) ითიკა და «საზღვარი ფილოსოფიისა» მისივე («მოამბე» 1898 წ., № 9, გვ. 93). ანტონი ამბობს, რომ ბაუმეისტერის ჩამოთვლილი თხზულებანი «ლათინთა ენისაგან გარდმოღებად იმხარკა» (იქვე), ამასვე მხარს უჭერს ბატონიშვილი თეიმურაზიც [1]. მაგრამ სხვა წყაროებით [2], ისინი თითქოს რუსული ენიდან არის ნათარგმნი; 5) ფიზიკა, თეორია ვოლფიუსისა; 6) ახლახან აღმოჩნდა ერთი ახალი ფილოსოფიური შრომა ანტონისა, რომელსაც «სპეკალი» ეწოდება (A 1743). ნამდვილი სათაური თხზულებისა, რომელიც იკითხება პირველი თავის წინ, არის შემდეგი: «გარდამოცემაჲ ფოლოსოფოსებრი პლატონის და არისტოტელის და პორფირის და ეკლესიისა ფილოსოფოსთა-მიერთა გამოთქუმათა». თხზულება ანტონს დაუწერია, როგორც იმაში აღნიშნულია, ქ. გორში ყოფნისას 1752 წლის 1 იელისს — 14 ოქტომბერს, და მიუძღვნია თავისი ბიძაშვილის. ერეკლე მეორისათვის. შრომას წინ უძღვის წინასიტყვაობა, რომელიც ეკუთვნის ანტონის გულითად მეგობარს — ტიმოთე გაბაშვილს. თხზულება, რომელიც 153 თავს შეიცავს, შედგება სამი განყოფილებისაგან: 1) კატიღორია (თ. 1—87), რომელსაც ავტორი სხვა თხზულებაში უწოდებს «ქუეთქუმულებანი». 2) «ადგილნი დიალექტიკისანი» (თ. 90 — 119), ესე იგი არისტოტელეს «Τὰ τοπικά», რომლის ბოლო ნაწილს (თ. 108 — 119) ეწოდება «მაცთურნი»; 3) «სულისათჳს» (თ. 121 — 149), ესე იგი ფსიქოლოგია. მეორე და მესამე ნაწილი კატიღორიისა შედგენილია სვიმეონ ჯულფელის დიალექტიკის მიხედვით. ამავე დიალექტიკის მიხედვით შედგენილია აგრეთვე «ადგილნი დიალექტიკისანი», ხოლო მესამე განყოფილებაში, სულისათვის, გამოყენებულია შრომები: იოანე დამასკელისა, ნემესიოს ემესელისა, მაქსიმე აღმსა-

[1] А. Цагарели, Сведения, III, стр. 174.

[2] იქვე. გვ. 259.

რებლისა, განსაკუთრებით ხშირად კი ციტირებულია ორი ავტორი: იოანე პეტრიწი და ალბერტ დიდი ბოლშტედელი (1243—1280), კომენტატორი არისტოტელესი. დასახელებულია თხზულებაში აგრეთვე «ლათინთა ფილოსოფოსები» და «სომეხთა მოძღუარი ზაქარია» ვართაპეტი მადინაშვილი. «სპეკალი» მეტად საყურადღებო შრომაა ანტონი კათოლიკოსისა, რომელიც ამჟღავნებს ავტორის ღრმა ფილოსოფიურ ერუდიციასა და მის მსოფლაიდველობას [1].

ანტონი კათოლიკოსმა აღზარდა რიგი მოწაფეებისა, რომელთა შორის უფრო საყურადღებოა: მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი, კათოლიკოსი ანტონი მეორე, გაიოზ და დავით რექტორები, ამბროსი ნეკრესელი, მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი, იოანე ოსეშვილი, მიხეილ თბილელი, არქიმანდრიტი გამალიელ ოსყოფილი, ღერეკასი სამთავნელი მაჭავარიანი, გაბრიელ ჯვარის დეკანოზი, ტრიფილე არქიმანდრიტი, მთარგმნელი სლავურიდან «სამადლობელი პარაკლისისა» [2] და სხვ. ესენი იყვნენ მატარებელნი, გამგრძელებელნი და განმამტკიცებელნი ანტონის ლიტერატურული ტრადიციებისა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონი კათოლიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში.

70. იონა გედევანიშვილი

1

იონა, რომელსაც ერისკაცობაში ივანე ეწოდებოდა, იყო შვილი კათოლიკოსის სარდლის გაბრიელისა, დაიბადა ის 1737 წელს და აღიზარდა ანტონ კათოლიკოსის კარზე, რომელმაც 1753 წელს, მაშასადამე 16 წლისა, იეროდიაკონად აკურთხა ის. ანტონი რომ რუსეთს გადასახლდა, იეროდიაკონი იონაც თან გაჰყვა მას და ერთ წუთსაც არ დაშორებია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონიმ ის აკურთხა მცხეთის ჯვარის მონასტრის არქიმანდრიტად, ხოლო 1785 წელს არჩეულ იქნა რუისის სამიტროპოლიტო კათედრაზე. 1780 წელს რაღაცა დანაშაულისათვის, ერეკლე მეფის განჩინებით, საეკლესიო კრებამ მას ჩამოართვა ეპარქია. მღვდელმოქმედება აუკრძალა და დავითგარეჯის უდაბნოში დაამწყვდია. აქედან ის ჩუმად გაიქცა იმერეთს, მაგრამ აქ არ შეიწყნარეს და უკანვე გამოგზავნეს თბილისს, სადაც ქაშვეთის ეკლესიის გალავანში მიუჩინეს საცხოვრებელი ბინა, იონა აქედანაც გაიპარა და გადავიდა ახალციხეს, საიდანაც ფაშის დახმარებით კონსტანტინოპოლს წავიდა. აქედან მან შემოიარა მთელი სამართლმადიდებლო აღმოსავლეთი, პატრიარქებს აღადგენია თავისი თავი მღვდელმთავრის ხარისხში და მერე, ევროპაში შემოსვლის შემდეგ, ვენით გადავიდა მოლდავეთში, სადაც თავადი

[1] დაწერილებით «სპეკალის» შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, «თბილისის უნივერსიტეტის შრომები», I, 127—140.

[2] А. Шагарели, Сведения, III, стр. 259 და აგრეთვე. 1784 წელს, ეკლესიის კურთხევის წესისა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, თბ., 1907 წ., 118).

პოტიომკინის კარზე შეხვდა ერეკლე მეფის ელჩს, არქიმანდრიტ გაიოზს. 1792 წელს იმპერატრიცა ეკატერინე დიდმა მას დაუნიშნა ყოველწლიური პენსიად 600 მანეთი «за усердие к Россия», ხოლო უწმინდესმა სინოდმა ნება მისცა კიევში ცხოვრებისა. კიევში იონამ სამი წელიწადი დაჰყო და 1795 წელს, სინოდისავე ნებართვით, გადასახლდა მოსკოვს, სადაც საცხოვრებლად ჩუდოვის მონასტერი აირჩია. აქ, მოსკოვში, ის კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდა, ყოველ შემთხვევაში, ცნობილი ემიგრანტი იმ დროისა, დიმიტრი ბაგრატიონი, მის შესახებ წერს:

> საღმრთოთ წერილთა ტრფიალი სტამბით გვიმრავლებს ლოცვებსა,
> წამკითხველთაგან გულმხურვალედ ცოდვათა აღსახოცებსა,
> მადლობა შეესძღვნათ სანეტფოდ ამის შრომრთმეფსა, მბოძებსა,
> იონას მიტროპოლიტსა, სიუხვით გასაოცებსა [1].

გარდაიცვალა ის 1821 წელს, ოთხმოცდაოთხი წლისა, ღრმა მოხუცებული.

თავისი ხანგრძლივი მოგზაურობა იონას 1805 — 1810 წ. აღუწერია ცალკე წიგნად, რომელიც 1852 წელს გამოსცა თბილისში პლ. იოსელიანმა შემდეგი სათაურით: «მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისაჲ». თხზულება იწყება თბილისიდან კონსტანტინოპოლამდე მგზავრობის აღწერით, ამას თან მიჰყვება მიმოხილვა კონსტანტინოპოლისა და მთაწმიდის მონასტერთა. მერე ავტორი აგვიწერს იერუსალიმამდე მგზავრობას, იერუსალიმსა და ქრისტეს საფლავს, არქიპელაგოსის კუნძულებს, ვენეციას და მისთა გარემოთა, ალექსანდრიასა და ეგვიპტეს, სინას მთას, ქალაქ ვენას, პოლონეთსა და მის ქალაქებს, მოლდავეთს და, კერძოდ, იასის ქალაქს. ამის შემდეგ იწყება მიმოხილვა და აღწერა რუსეთის იმ ქალაქებისა, სადაც მას მოუხდა ყოფნა: კიევის, მისი დიდებული ლავრითურთ, და მოსკოვისა.

ეს თხზულება საინტერესო შრომას წარმოადგენს; მას ატყვია ბეჭედი ნამდვილი ტურისტის ნაწარმოებისა: იონა გვიხატავს ბუნების სურათებს, ვაჭრობა-მრეწველობას, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას, შესანიშნავ შენობებსა და ნაშთებს, მოგვითხრობს ყველა საყურადღებო ამბავს, რომელიც ამა თუ იმ ადგილთანაა დაკავშირებული. ხანდახან ის კრიტიკულ ნიშსაც იჩენს: ყველაფერი, რაც მას გაუგონია, ბრმად როდი სჯერა, ხან ვრცლად მოგვითხრობს, ხან მოკლედ, მაგრამ შემთხვევას არ უშვებს რომელიმე ღირსშესანიშნავ ადგილს ან ფაქტს შეეხოს. ენა მისი საკმაოდ მხატვრულია, მას ეტყობა რუსულის მძლავრი გავლენა. თხზულებაში გვხვდება ისეთი რუსული სიტყვები, როგორიცაა: «ლოდკა, კროვატი, კარეტა, ოსტროვი, პრიხოდი, რუნკა, ოტკა, აფონსკი, პეჩერსკი, კნიაზი» და სხვ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ერუდიციითა და მეცნიერული ორიენტაციის მხრივ იონას შრომა საყურადღებო და მნიშვნელოვანია ანალოგიურ თხზულებათა შორის.

[1] S 303, გვ. 159; A 100.

71. გაიოზ რექტორი

უკანასკნელ წლებამდე გამოურკვეველი იყო გაიოზის ბიოგრაფია და თავგადასავალი, განსაკუთრებით საქართველოში ყოფნისა და მოღვაწეობის პერიოდიდან. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს[1], ჩვენ დანამდვილებით არ ვიცოდით გაიოზის არც დაბადების, არც გარდაცვალების წელი და არც სხვა, მისი ცხოვრებიდან მნიშვნელოვანი, ფაქტის თარიღი. საკმაოა მოვიგონოთ, რომ, როდესაც ზოგიერთები მას თავად ბარათაშვილად ნათლავდნენ (თეიმურაზ ბატონიშვილი, ეპ. კირიონი, ალ. ცაგარელი, ი. სავინკი), სხვები — აზნაურ ნაცვლიშვილად (მთავარელიშვილი, ხახანაშვილი), იყვნენ ისეთებიც, რომელნიც მას თ-ლიდნენ თაყაიშვილად (ბატონიშვილი ბაგრატი, დ. ბაქრაძე და იოანე ბატონიშვილი, ავტორი «მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათჳს»). ნამდვილი საარქივო ცნობები გაიოზის ცხოვრების დასაწყისი პერიოდიდან გამოაქვეყნა 1913 წელს პროფ. ნ. ნ. პალმოვმა[2]. ამ ცნობების მიხედვით, გაიოზის ბიოგრაფია ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. მოსკოვის კანტორაში გაიოზმა 1774 წელს განაცხადა, რომ ის 28 წლისაა, მაშასადამე, დაბადებულა გაიოზი 1746[3] წელს და არა 1739-ს, როგორც გამოდის მისი საფლავის ქვის წარწერიდან, არცთუ 1748 წელს, როგორც ნათქვამია სინოდის ერთ-ერთ საქმეში გაიოზის მემკვიდრეობის შესახებ. რაც შეეხება მის წოდებას, თავადობას თუ აზნაურობას, და გვარს, ეს ისტორიისათვის გამოურკვეველი რჩება. ანტონი კათოლიკოსი თავის საპასუხო წერილში, რომელიც მას მიუწერია 1776 წელს თბილისიდან ასტრახნის ეპისკოპოსის მეთოდისათვის გაიოზის შესახებ უწმიდესი სინოდის შეკითხვის გამო, ამბობს: «მე დიაკონისა მის აზნაურყოფისა, რომელსა ჰსწამებს თავისა თჳსისათჳს, ესე მიმიღიეს უწყებად ეითარმედ დიაჩოქმან რომელმანმე ტფილისელმან, სახელით ზედწოდებულმან ზაქარია, აღზარდა დიაკონი იგი კსენებული გაიოზ შეილად და მემკჳდრედ მცირისა საკუთრებელისა თჳსისა». აქედან ცხადია, რომ გაიოზი არ ყოფილა თავად. ანტონ კათოლიკოსს, როგორც ვხედავთ, მისი აზნაურობაც კი საეჭვოდ მიაჩ-

---

[1] ნ. მთავარელიშვილი, თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი («ივერია» 1881 წ., ადისტო.), Иеромонах Нестор: «Тифлисский Духовный Вестник», 1865 г., Январь; А. Цагарели, Сведения, III, стр. LII—LVII; А. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности. III. 276—284; Еп. Кирион, Краткий очерк истории грузин. церкви и экзархата за XIX ст.; Прот. И. Сапицкий. Историческая записка об Астраханской епархии за 300 лет ее существования, Астрахань, 1903., «მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგისძის მიერ», თბილისი. 1905 წ., გვ. 55, 157 — 158.

[2] К сведениям о личности архидиакона Ганоза, впоследствии архиепископа Астраханского и Ставропольского, «Христианский Восток», т. II, вып. I, стр. 36—53.

[3] ამასვე ადასტურებს ბაგრატ ბატონიშვილიც, რომელიც ამბობს: 1821 წელს გარდაიცვალა გაიოზი 75 წლისაო («მასალები...», გვ. 158).

ნია. კათოლიკოსის სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ გაიოზი უბრალო, ღარიბი, შეიძლება უპატრონოც, ყოფილა და, როგორც ასეთი, აუყვანია გასაზრდელად ვიღაც თბილისელ დიაჩოქს. ანტონის მისი გვარი, ალბათ, არ სცოდნია სრულებით, თორემ ამასაც აღნიშნავდა. რაც შეეხება კერძოდ იმ მოსაზრებას, თითქოს გაიოზის გვარი ნ ა ც ე ლ ი შ ვ ი ლ ი იყო, ეს უბრალო გაუგებრობაა. გაიოზის დაი სალომე ითხოვებია ვიღაც თადეოზ ნაცვლიშვილს, ამათ შეძენიათ შვილი გურგენი, რომელსაც მემკვიდრეობით დარჩენია, გაიოზის გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი ქონება და ავლა-დიდება; ამ ქონებიდან წიგნსაცავი, რომელიც 273 ნომრისაგან შედგებოდა, გურგენს 1822 წელს შეუწირავს ასტრახანის სასულიერო სემინარიისათვის. დიაჩოქ ზაქარიას გაიოზისათვის უსწავლებია წერა-კითხვა მხოლოდ. როდესაც ანტონი კათოლიკოსი რუსეთიდან დაბრუნდა საქართველოში, მას «უხილავს» თბილისში 16 წლის ჰაბუკი გაიოზი და შეუნიშნავს, რომ ხელსაყრელ პირობებში მას შეეძლო შეეთვისებია «აზნაურნი და თავისუფალნი ცნობანი». ამიტომ მას მიუღია ის თავის სახლში და სხვა ჰაბუკებთან ერთად მოუსმენინებია მისთვის თბილისის სემინარიაში ღრამატიკა, პიიტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, «ქუეთქმულებანი» ან კატიღორიები არისტოტელესი, მეტაფიზიკა, ფიზიკა და ფილოსოფია. 1765 წელს ანტონის ის აღუკვეცია ბერად და უკურთხებია ჯერ დიაკვნად და მერე არქიდიაკვნად, თან სულიერ მამად, მოძღვრადაც, გაზდომია მას. როდესაც 1772 წელს პეტერბურგს გაემგზავრა დიპლომატიური მისია მეფე ერეკლესი კათოლიკოს ანტონისა და ბატონიშვილ ლეონის მეთაურობით, ამ მისიაში გაიოზიც მოყოლია, მაგრამ არა «ასისტენტად», როგორც ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ამბობს, პირიქით, მას იმდენად უმნიშვნელო ადგილი ეკავა ამ მისიაში, რომ არც კი ცოდნია მისი დანიშნულება და დარწმუნებული ყოფილა, თითქოს ანტონი რუსეთს თავის საკუთარ საჭიროებათა გამო მიდიოდა. ალბათ, კათოლიკოსმა ის წაიყვანა როგორც არქიდიაკონი, პირადი სამსახურისათვის წირვა-ლოცვის დროს, და საჭიროდ არ დაუნახავს გაეცნო მისთვის ნამდვილი მიზანი და დანიშნულება ამ მისიისა. პეტერბურგში ყოფნისას გაიოზს დრო ტყუილად არ დაუკარგავს; მას აქ, ალექსანდრე ნეველის სემინარიაში, ქ. ტვერის მთავარეპისკოპოსის პლატონის ზეგავლენით, დაუწყია რუსულის, ' ლათინურისა და ბერძნული ენების შესწავლა. პეტერბურგიდან მობრუნებული მისია მოსკოვში გაჩერებულა და აქ გაიოზი 1775 წელს შესულა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში «სწავლისათჳს ლათინურისა და რუსულისა». როგორც თვითონ ამბობს, ანტონ კათოლიკოსის ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით. ნამდვილად კი, თანახმად ანტონის ცნობისა, ეს საქმე მას ჩაუდენია მისდა დაუკითხავად. მე უკანასკნელ დრომდე არც კი ვიცოდი მისი განზრახვა, მხოლოდ მოსკოვიდან გამოსვლის დღეს მომიგზავნა მოციქულები ამის შესახებ, მაგრამ მე კატეგორიული უარი ვუთხარიო, — ამბობს ანტონი. 1774 წელს, 18 ივნისს, რუსეთის საეკლესიო სფეროთა და კათოლიკოსს ანტონს შორის დაწყებულა მიწერ-მოწერა გაიოზის პიროვნებისა და მისი მოსკოვში დარჩენის გამო. სანამ ეს მიწერ-მოწერა გათავდებოდა, გაიოზმა კიდევაც დაასრულა კურსი მოსკოვის აკადემიაში 1778 წელს და გამოწვეულ

იქნა ერეკლეს მიერ თბილისში, სადაც მან დააარსა სკოლა რუსული ენის შესასწავლად. 1779 წელს ის მღვდელმონაზვნად აკურთხეს, 1780 წელს გაწვეულ იქნა რუსეთში და აქ იგუმენობა მიიღო. 1782 წელს ის გამოგზავნეს საქართველოში ერეკლესთან პოლიტიკურ საქმეთა გამო მოსალაპარაკებლად [1]. ამავე წელს გაიხსნა თელავში სემინარია, ალბათ, გაიოზის ინიციატივით, და მის პირველ რექტორად დაინიშნა თვით გაიოზი, რომელმაც ამ თანამდებობაზე დაყო ერთი წელი. 1783 წ. ის დაინიშნა წევრად იმ კომისიისა, რომელმაც ქ. გეორგიევსკში შეკრა რუსეთთან 1783 წლის ცნობილი ტრაქტატი. აქ მან დაიმსახურა ყურადღება კავკასიის მმართველის პ. ს. პოტიომკინისა, რომელმაც მერე ხელი შეუწყო მის კარიერას. 1784 წელს ის პეტერბურგში, იმპერატრიცას თანადასწრებით, არქიმანდრიტად აკურთხეს და მას შემდეგ აღარც დაბრუნებულა სამშობლოში. ის გაჰყვა გენ. პოტიომკინს ჯერ უკრაინაში, სადაც 1785—1789 წლებში ქალ. კრემენჩუგში ცხოვრობდა, მერე—მოლდავეთში და აქ, 1790 — 1792 წწ. მიტროპოლიტს იონა გედეონიშვილს შეხვდა. 1793 წელს დაარსდა მოზდოკის ეპარქია, რომელშიაც ეპისკოპოსად დაინიშნა გაიოზი, მასვე ჩააბარეს გამგებლობა ოსებში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიისა. ოსების განათლებას გაიოზმა დიდი ღვაწლი დასდო: შეადგინა ანბანი, რომელსაც საფუძვლად დაუდო სლავური ანბანი, და გადათარგმნა «პირველდაწყებითი საქრისტიანო მოძღვრება». 1799 წლის 16 ოქტომბერს გაიოზი დანიშნეს ეპისკოპოსად სარატოვისა და პენზის ეპარქიისა, რომელსაც განაგებდა 1808 წლამდე. 1808 წელს დაინიშნა ასტრახნისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსად. გარდაიცვალა ის 1821 წლის 21 თებერვალს ასტრახანში, სადაც მან დაიმსახურა თავისი სამწყსოს წრფელი სიყვარული.

ამგვარად, მომეტებული ნაწილი თავისი ცხოვრებისა გაიოზმა რუსეთში გაატარა; ის ცხოვრობს ხან პეტერბურგს, ხან სოატოვსა და პენზაში, ხან ასტრახანში, ხან კიდეე მოლდავეთში, ამიტომ მისი ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო რუსული მწერლობის ზეგავლენით ვითარდებოდა. მისი თხზულებანი, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია, რუსულიდანაა ნათარგმნი მცირე გამონაკლისის გარდა, როგორც, მაგალითად, «წიგნი ქმნილი აღაპიტ არქიდიაკონის მიერ კონსტანტინოპოლელისა დიდისა ეკლესიისა, მირთმეული ბერძენთა იმპერატორისა დიდისა იუსტინეს მიმართ, ოდეს იგი მიიღო მან საყდარი კონსტანტინეპოლისა», თარგმნილი ბერძნული ენიდან [2]. ბაგრატ ბატონიშვილი ამბობს: «ესე იყო ფრიად განსწავლული რუსულისა, ქართულისა და სომხურისა ენასა ზედა. ამან თარგმნა რუსულიდან უმრავლესნი წიგნნი, ვითარცა სამოქალაქო, ეგრეთვე საეკლესიონი, ვიდრე 400-მდე» («მასალები,..», გვ. 157). აი, დაახლოებითი სია გაიოზის შრომებისა; 1) თხზულებანი ამბროსი მედიოლანელისა,

[1] ს. კაკაბაძის ცნობით, გაიოზი ამ დრომდე თითქოს თბილისის ფილოსოფიის სემინარიის რექტორად იყო («საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა», თბილისი, 1922 წ., გვ. 217—218). არ ვიცით, რაზეა დამყარებული ეს ცნობა.

[2] ასეა აღნიშნული ა. ცაგარელის მიერ დაბეჭდილ კატალოგში («Сведения», III, 174); ხელნაწერებით კი (H 39, 70, 125; S 71, 83) ის აღნიშნულია რუსულიდან გადმოთარგმნილად 1776 წ.

გადმოთარგმნილნი ქ. კრემენჩუგში 1789 წ.[1]; 2) ღვთისმეტყველება მოსკოვის მიტროპოლიტის პლატონისა 1791 წ.; 3) «წიგნი ზნეთსწაელულებაჲ» მარკოზ ავოელიოზისა (1795 წ.); 4) «კიტაის სიბრძნე», — ზნეთსწაელულებანი, მირთმეული მეფის ასულის ანასთვის, გადმოთარგმნილი 1777 წელს მოსკოვში და დაბეჭდილი თბილისში 1784 წელს; 5) თარგმანება სოლომონის სიბრძნეთა; 6) ეპისტოლენი ბასილი დიდისა (მოზდოკში, 1799 წ.); 7) საღმრთო ისტორია (მოზდოკში, 1799 წ.), 8) დილის ლოცვანი (კრემენჩუგში, 1786 წ.); 9) ბოროტთა ანგელოზთათვის, გადმოთარგმნილი 1792 წ. იასაში[2]; 10) რეღლამენტი პეტრე დიდისა; 11) ძველი აღმოსავლეთის ისტორია (1783 წელს); 12) «ისტორია ეგვიპტისა» დიოდორესი და ჰეროდოტესი; 13) ლექსიკონი ევროპის ქალაქებისა; 14) ველიზარი მარმონტელისა; 15) კანონი და დაუჯდომელი იეზო ტკბილისა (A 813); 16) უთარგმნია მას საღმრთო წერილის წიგნებიც, უფრო ახალი აღთქმისა, 1814 — 1817 წლებში, ეს თარგმანი ინახება პეტერბურგის ყოფილი სასულიერო აკადემიის წიგნსაცავში. გაიოზს ორიგინალური თხზულებანიც დაუწერია, ასეთია: მოკლე ქართული ღრამატიკა, წინასიტყვაობა ანტონ კათოლიკოსის «წყობილსიტყვაობისა» და «საძიებელი» მისი «ღვთისმეტყველებისა», ისტორია საქართველოსი, ქადაგებანი და მოძღვრებანი და «ქრისტიანობრივი სწავლა ანუ ჰეშმარიტი სიტყვა ღმრთისა», დაწერილი კრემენჩუგში 1788 წელს.

72. ამბროსი ნეკრესელი

ბიოგრაფიული ცნობები საჭირო სისრულით ამბროსის შესახებ არ მოგვეპოვება, ეიცით, რომ მისი გვარი მიქაძე იყო. ამბროსი იყო მოწაფე ანტონი კათოლიკოსისა, ეპისკოპოსობაში ის განაგებდა ნეკრესის კათედრას კახეთში დოსითეოზის შემდეგ 1794 — 1812 წლებში. 1801 წელს ის დავით ბატონიშვილის ბრძანებით, დროებით, სანამ თავს არ გაიმართლებდა, გადაყენებულ იქნა ეპარქიის გამგებლობისაგან რაღაც პოლიტიკურ საქმეში მონაწილეობისათვის. ამბროსი ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია როგორც ნაყოფიერი მქადაგებელი. 1886 წელს თბილისში გამოიცა კრებული მისი ქადაგებებისა, რომელიც შეიცავს 38 მოძღვრებას. ეჭვი არაა, რიცხვი მისი ქადაგებებისა უფრო მეტია, მაგრამ ჯერ ცნობაში არაა მოყვანილი. მას ჩვეულება ჰქონდა თავისი ქადაგება რამდენიმე ცალად გადაეწერა და სოფლებში დაეგზავნა მღვდლებისათვის ეკლესიაში წარმოსათქმელად. მისი ქადაგებები ორგვარია: დოგმატიკური და პუბლიცისტური. ისინი სქოლასტიკური ხასიათისაა: ქადაგებაში ხშირად გეხვდება იამბიკოები, აკროსტიქები, ვიღაც ფილოსოფოსების ხსენება, კერძოდ, ბაუმეისტერისა, ვრცელი ფილოსოფიური ტრაქტატი, რომელსაც ხშირად კავშირი არ აქვს მთავარ აზრთან, დანაწი-

[1] A 796; S 378.

[2] А. Цагарели, Сведения, III, LV.

[3] ს. ყუბანეიშვილი, ამბროსი ნეკრესელი (ცხოვრება და საღიტერატურო მოღვაწეობა), «ლიტერატურული ძიებანი» III, 1947 წ., გვ. 225 — 253.

ლება ამა თუ იმ საგნისა და რიტორიკული ფორმა ქადაგებისა, — ყველა ეს მაჩვენებელია ანტონი კათოლიკოსის სქოლასტიკური სკოლის გაულენისა ჩვენს მქადაგებელზე. უფრო საყურადღებოა მისი პუბლიცისტური ქადაგებები, რომლებშიაც ის ეხება მისი თანამედროვე საზოგადოების, უფრო თავისი სამწყსოს, ზნეობრივ სიღუხჩირესა და ნაკლს, განსაკუთრებით ხალხში გავრცელებულ ცრუმორწმუნეობას, ანდა საქართველოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ვითარებას. მძიმე იყო იმ დროს კახეთის მდგომარეობა: დარბეული ქვეყანა, გაღატაკებული ხალხი, მაჰმადიანთა თარეშობა და ისლამის გაძლიერება, რამაც გამოიწვია ხალხში ქრისტიანული ზნე-ჩვეულების შერყევა, — მდიდარ მასალას აძლევდა ორატორს მჭუხარე სიტყვებით მიემართა სამწყსოსადმი და მოეგონებია მისთვის მაღალი ღირსება ადამიანისა და ქრისტიანისა, ანდა მღუღარე ცრემლები ეფრქვია გაევრანებული სამშობლოს სურათის დანახვაზე. ამბროსის ქადაგებებს დიდი მორალური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მორწმუნეთათვის და, კერძოდ, ნეკრესის ეპარქიისათვის.

ამბროსის პოეტური ცდებიც აქვს, მას დაუწერია როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის ლექსები [1].

78. ანტონი ცაგერელ-ჭყონდიდელი

ანტონი, რომლის საერისკაცო სახელი ჩვენ არ ვიცით, იყო შვილი სამეგრელოს მთავრის ოტია დადიანისა (1728 — 1744) და რაჭის ერისთვის შოშიტა მესამის ქალის გულქანისა. მამის გარდაცვალების შემდეგ ის იზრდებოდა თავისი ძმის, კაცია დადიანის (1744 — 1788) კარზე, თავისი ღვთისნიერი დედის ზეგავლენით. დედამ მას გულში ჩაუნერგა სეკულესიო-სარწმუნოებრივი აღზრდის ელემენტები, შეასწავლა საღმრთო წერილი და თათრული ენა. როდესაც ასაკში შეიდა, ანტონი ბერად შედგა და, საეკლესიო განათლების წყურვილი რომ მოეკლა, მიმართა მარტვილის ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობით წმ. მამათა თხზულებებს ეცნობოდა. განათლების შესავსებად მას მოჰგვარეს ფრანგთა მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა შეესწავლებიათ სქოლასტიკური ფილოსოფია. ეს ბერები ანტონიმ მალე დათხოვა, ვინაიდან მან შეუძლებლად დაინახა მათი მოძღვრებისა და მართლმადიდებლობის შეთანხმება-შერიგება. ამ დროს სამეგრელოში გაიგეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არის გახსნილი საფილოსოფიო სკოლაო, და ამიტომ 1757 წლის ახლო ხანებში ანტონი გაემგზავრა თბილისს, ერეკლე მეორის კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა დარეჯანი. თბილისში ანტონის უხილავს «მრავალნი წარმატებულად ხედვითა შინა ფილოსოფოსობათა», რომელთაც განათლება მიეღოთ ერეკლეს მიერ თელავში დაარსებულ სკოლაში. აქ ის სწავლობდა ფილიპე ყაითმაზაშვილისა და მისი მოწა-

[1] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, «ბაბულ-მესიანის» ახლად აღმოჩენილი სტროფები, საქართველ. სსრ. აკად. «მოამბე», ტ. V, № 8, 1944 წ., გვ. 849 — 854; მ ი ს ი ე ვ, ამბროსი ნეკრესელი, «ლიტერატურული ძიებანი» III, გვ. 250—253.

ფის ზაქარიას[1] ხელმძღვანელობით. სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ, 1761 წელს, ანტონიმ მიიღო ცაგერლობა, 1777 წელს ის დანიშნულ იქნა ჭყონდიდის კათედრაზე, რომელზედაც დადიანები, მისი მნიშვნელობის გამო, მუდამ თავის სახლისკაცს ნიშნავდნენ. ანტონი ჭყონდიდლობდა 1788 წლამდე, როდესაც კათედრა დატოვა და უბრალო ბერად მის მიერ გაშენებულ ნახარეობუს მონასტერში დამკვიდრდა, თუმცა საეკლესიო საქმეები მას შემდეგაც არ მიუტოვებია. მაგალითად, მისი ინიციატივით მოწვეულ იქნა 1792 და 1794 წლებში საეკლესიო კრება, რომელზედაც, ანტონის თავმჯდომარეობით, სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხი ირჩეოდა. გარდაიცვალა ანტონი 1815 წელს და დაიმარხა ნახარეობუს მონასტერშიეე. ანტონი მეტად ღვთისნიერი, მარტივი და ნამდვილი ასკეტიკური სულის მატარებელი ადამიანი იყო, მას დიდად შესტკიოდა გული თავისი სამწყსოსათვის, ცდილობდა ამოეფხვრა მასში სხვადასხვა მანკი, განსაკუთრებით ტყუეთა ყიდვა-გაყიდვის ჩვეულება, და მშვიდობიანობა დაემკვიდრებია მეგრელებსა და გურულებს შორის.

ჩვენს მწერლობაში ანტონი ცნობილია, პირველ ყოვლისა, როგორც გამოჩენილი მქადაგებელი. მქეერმეტყველი ორატორის სახელი მან ჯერ კიდევ ცაგერის კათედრაზე მოიპოვა და 1765 წელს ქართლ-კახეთიც დაარწმუნა ამაში, როდესაც თბილისში, კაცია დადიანის ქორწილზე, სულიწმიდის დღეს, ექსპრომტად წარმოთქვა ისეთი შესანიშნავი სიტყვა, რომ ანტონი კათოლიკოსიც განცვიფრებაში მოიყვანა. კრებული მისი ქადაგებებისა გამოიცა 1898 წელს ქ. ფოთში თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს რედაქტორობით. ამ კრებულში ყველა მისი ქადაგება არ შესულა. აქ მხოლოდ 34 მოძღვრებაა. ამათ გარდა, როგორც თ. ჟორდანია ამბობს, კიდევ არსებობს მეორე კრებული დიდმარხვის დღეებში წარმოსათქმელ ქადაგებათა, რომელთა დაბეჭდვა მას ვერ მოუსწრია. ანტონის ქადაგება ყველა ზნეობრივ თემაზეა წარმოთქმული. განყენებული დოგმატური ხასიათის თემებს ის გაურბოდა, ალბათ, ის უფარდებდა თავის მოძღვრებას მსმენელთა წრეს. ამით აიხსნება, რომ მისი ქადაგებანი მარტივი, გასაგები და მდაბიური ენითაა დაწერილი, თუმცა სხვა თხზულებას, თეოლოგიურსა და ფილოსოფიურს, ის გადმოგვცემს მაღალი, სჭოლასტიკური, ანტონისებური სტილით. ორატორი დგას საღმრთო წერილის ნიადაგზე, არგუმენტები მოჰყავს უმთავრესად ბიბლიიდან, მოკლედ და თავისუფალი გადმოცემით. ამავე დროს ის წმ. მამათა თხზულებებითაც სარგებლობს, ციტატები მოჰყავს გრიგოლ ღვთისმეტყველის, ოქროპირის, ბასილი დიდის, იოანე სინელის, თეოდორიტე კვირელის, თეოდორე სტოდიელის, კირილე ალექსანდრიელის და სხვ. თხზულებებიდან. ერთ ადგილას მას სვიმეონ ჯულფელის დიალექტიკიდანაც მოჰყავს ციტატი (გვ. 18), რაც მაჩვენებელია ამ მწერლისა და ფილოსოფოსის პოპულარობისა იმ დროს ჩვენში. ხანდახან «სოფილოსოფოსო» მაგალითსაც მიმართავს ორატორი (გვ. 25, 69) და თავის საკუთარ მოსაზრებასაც არაიშვიათად გვაჩვენებს, თუმცა ყოველთვის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ.

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს ის მიაჩნია ზაქარია გაბაშვილად, რომელიც ანტონი კათოლიკოსმა გააძევებინა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.

ანტონი ცნობილია_აგრეთვე როგორც გადმომკეთებელი სომხური ენიდან სხვადასხვა შრომისა. ერთ ამგვარ თხზულებას ეწოდება «წიგნი ჴეშმარიტებითისა ღმრთისმეტყუელებისაჲ», ის შენახულა ერთადერთ ხელნაწერში (ქუთაისის საბელმწიფო ისტორიული მუზეუმისა № 95). თხზულებას დართული აქვს წინასიტყვაობა, რომელსაც მოვიყვანთ in extenso:

«გარდამოვეც წიგნი ესე ღმრთისმეტყუელებისა... მრიდებელმან სასჯელისა ტალანტის დამფვლელისასა და მოშიშმან ამის თქუმისამან, რომელ იტყჳს: მოჰკუეთე, რაჲსათჳს ქუეყანაცა დაუპყრიეს უქმად? ესევითთა მიზეზთათჳს ჴელჰყავ ესეებრთა ჴელხებათა. ხოლო ჴელყოფაჲ იქმნა ესრეთ: «საეგრელოჲთ წარვედ რომელთამე მიზეზთათჳს შორსა სოფელსა, სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, არა განბნევად სიმდიდრისა, რამეთუ დამიცავ მე უფალმან ანგელოსისა მიერ თჳსისა, არამედ მიმხედველმან ფუტკრისამან, ვინებე მიბაძვაჲ: ვითარ იგი, წარვლის რაჲ შორით და მუნით ყუავილთაგან ჰყოფს საგრძნოთა საამოსა გოლსა თაფლისასა, ეგრეთვე მუნით მომღებმან ყუავილთაგან სიბრძნისათა, მეცა ეჰყავ სულიერთა საგრძნოთა საამნი ესე, რომელი უტკბილეს არს უფროჲს თაფლისა და გოლეულისა. მივიწიე რა ზემოკსენებულსა ქალაქსა, ვიხილენ მრავალნი წარმატებულად ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლი მეორესა, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლაჲ ქალაქსა თელავს და მუნით წრთვნილ იყუნენ. და ამასვე მეფესა მოეპოვა სხოლაპეტად და მოძღურად სიბრძნისა ჰარმანთა მღდელი ფილიპე, რომელი ღირს იყო ესევითარსა მოძღურებისა პატივსა. და ამა მოძღურისა მიერ და ამის ერთისა რჩეულისა მოწაფისა ზაქარიაჲს მიერ მიიღო უღირსებამანცა ჩემმან წვრთნილებაჲ ხედვითთა შინა ფილოსოფოსობათა. და ამის მოძღურისა მიერ და ამის მოძღურისა მოწაფექმნილთა ყოველთა მიერცა მასმიოდა საკჳრველებით ქებაჲ ამის წიგნისაჲ, გარნა ვიხილენ რა, ჩუენსა ზედა ენასა კანონებრივ ვრაცხე თქუმად ამისთჳს სიტყუაჲ საბაჲს დედოფლისაჲ, რომელი თქუა სოლომონისთჳს ბრძნისა, და ვიტყჳ მე ესრეთ: არა არს ნახევარი ამისა, რომელი იგი მომითხრეს მე ამისთჳს. ხოლო პირველ ვიდრე ხილვადმდე და გარდამოცემად ამის წიგნისა, მასმიოდა რა ესევითარი ქებაჲ, არამცირედი მჭონდა ურვაჲ თუ სადაჲთცა მეპოვა მკურნალი ურვისაჲ ამის ჩემისა, და მყის ესევითარსა შინა ძიებასა, რომელი იტყჳს: ეძიებდით და ჰპოოთო. მანვე მცა მკურნალი ამის ურვისაჲ, და ვპოვე ზემოკსენებული იგი მღდელი ჰარმანი ფილიპე სხოლაპეტი და შეეთჳენით გარდამოცემად ამის წიგნისა. გარნა მის ჟამისა შეთქუმულებაჲ, რომელმანმე საცთურმან და ზრუნვამან ამის სოფლისამან შეაშთო და უნაყოფო ქმნა. გარნა საღმრთოჲთ მადლით სულისამან არა უტევა სრულიად უნაყოფო ყოფად: და მოუწოდე მასვე მღდელსა ჰარმანთასა ფილიპეს, რათა ჯერჩინებითა დიდისა მთავრისა, ძმისა ჩემისა, სამეგრელოჲსა და თაკუერისა მპყრობელისა, დადიანისა კაციაჲსითა დავიწყოთ გარდამოცემად ესრეთ, რამეთუ იგი მღდელი ჰარმანითა გარდამოსცემდა ჰარმანულთაგან ენათა ჩუენსა ზედა ენასა, რაჲდაღსა ძალედ ჯ, და მეცა შეძლებისაებრ ჩემისა წესიერ კანონითა ვჰკარგევდი ჩუენსა ზედა ენასა, ვითარცა აწ იხილვების. ხოლო თუ მაბრალებდეს ვინ მწუალებელთა

წიგნთა გარდამოცემისათჳს, მაქუს წინაყოფად მისდა ოქრონეკტარისა იოანე დამასკელისა მიერ გარდამოცემად კატიღორიისა წიგნისა, რამეთუ მანცა იოანე მიღო წიგნი ესე მათ კაცთაგან, რომელნი არა თანახმა იყუნენ ჩუენისა ეკლესიისა მოძღურებასა ზედა. კუალადღა თუ მეტყოდეს — წიგნი იგი გახკაზა იოანე დამასკელმან თანაჴმად ჩუენისა ეკლესიისა, მეცა არა წინააღმდგომად, არამედ უფროჲსად თანაჴმად ჩუენისა ეკლესიისა განაზმულ ვყავ წინამდებარე ესე წიგნი. დაღათუ არა იოანესებრ მაქუნდაჲ წიდაყოფაჲ სინიდისისა და ცხოვაჲ ჭერილითაჲ. რათა მისებრ ყოველითურთ თანაჴმად ჩუენისა ეკლესიისა განვეკაზმა და არა დამეშთინამცა რაჲვე სიხენეშე, გარნა მამაჲცა იგი ზეცათაჲ არა ითხოვს უმეტესსა ძალისასა, არამედ ეითარ იგი შემძლე არს თითოეული ვინ. და თქუენცა ებრეთ თანაგაც მხილველთა და მსმენელთა ამის წიგნისათა, ეითარ იგი თქუა მაცხოვარმან იტყუ: იყვენით სრულ, ეითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს. და ესეცა სცანთ ჴეშმარიტი: რაჲდენისაცა ძალმედვა სწორებრივ განსჯაჲ, არარაჲ დამიშთენიეს წჳალებაჲ აღუკოცელად ამას წიგნსა შინა, და თუ რაჲმე დამიშთამცა უნებლიეთ, თქუენ ჴეშმარიტთა განმრჩეველთა განარჩიეთ და გარეგანთხიეთ ღჳარძლი იგი წჳალებისაჲ, ხოლო იფქლი წმიდაჲ, რომელ არს სიტყუაჲ სარწუნოებისაჲ, დამარხეთ საუნჯესა შინა გულისა თქუენისასა, რათა ესევითარითა მექმეობითა იმადლთაყუანისცემებოდეს მომცემელი ამათ ყოველთა კეთილთაჲ, მადლი სულისა ყოვლად წმიდისაჲ, აწდა უკუნისამდე, ამინ! აღესრულა ღმრთისმეტყუელებითი წიგნი ესე ქრისტეს აქეთ ჩ̣ღ̣ჳე, ივლისსა ⳇ» (1 — 6).

არც სათაურში, არც წინასიტყვაობაში აღნიშნული არაა — ვის ეკუთვნის ეს თხზულება, მაგრამ მეორე თხზულებაში, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ნათქვამია, რომ ეს არის «წიგნი ღმრთისმეტყუელებითი ბრძნისა ა ლ ფ ე რ დ ი ს ი ი». მართლაც, წიგნს ბოლოში დართული აქვს «აღსწანი ძველ გასაგონთა და ღვთეებითა სიტყუათა ა ლ ფ ე რ დ ი ს ა თ ა, დაჭსულნი მიხითარ სევასტიელისა ვარდაპეტისა მიერ, გონებისა და გზისაებრ თონა აქვინელისა და სხუათა სოფლიოთა მნათმოძღუართა». თხზულება შედგება შვიდი წიგნისაგან და წარმოადგენს დოგმატიკურსა და ზნეობითს საღვთისმეტყველო სისტემას.

მეორე, ამგვარიეე ხასიათის თხზულება ანტონისა, არის «ფილოსოფოსობა მებრ უცთომელ და უბრკმელ მოძღურებისა თომასი, რომელი ქმნილ არს ანტონი კოვადისა ლევმოაკელისა ღვთისმეტყუელ მოძღურისა ფარეზ ქალაქსა». ამ თხზულებას ანტონი სხვანაირად უწოდებს «ლოღიკა დიდი, დიალექტობა დიდი, ნაცვალმეთქუეობაჲ დიდი». წინასიტყვაობაში ანტონი გადმოგვცემს შემდეგს: «ვინებე მე სუმად სასუმელი ესე და ჴელჰყავ გარდამოცემად დიდისა ამის ლოღიკისა... ყოველად სამღვდელოსა თანაძმასა ჩემსა დოსითეოს ნეკრესელსა ეწადა კეთილობაჲ ამის წიგნისა. რათა სრულეყომცა ნაცვალმეთქუეობაჲ ესე დიდი, და ვერ ეწიფა წადილსა ამას რომელთამე გარეშეთა მიზეზთა მიერ, ხოლო მე აღვავსე წადილი მისი, რამეთუ გარდამოვეც ლოღიკა ესე... ხოლო დოსითეოს თანაძმასა ჩემსა ესურვა «მცირისა დიალექტიკისა» სიტყბოჲსა გემებაჲ, რამეთუ თჳთცა გარდამოეცა, მაშასადამე, ამის უდიდესისაცა სიტყბოსა სურვიელ იყო. კუალად იგი სურვიელ იყო ამის წიგნისა გარდამოცე-

შად, ვითარცა ითქუა, ხოლო რომლისათჳს მას სუროდა; მე დავშუერ და გარდამოვეც წიგნი ესე... ხოლო გარდამოღებად ვყავ ენასა ზედა ჩუენსა დიდისა სხოლაპეტისა ჰარმანთა მღდლისა ფილიპეს მიერ, რომელი ბრძანებისაებრ საღმრთოჲსა უშურველად მისცემდა ყოველთა სიბრძნესა წერილთასა. და ამას მეთქუეობასა მიმტკიცებს ხილეად მისთა გარდამონაცემთა წიგნთაჲ, რომელი გარდამოიცა ამის ფილიპეს მიერ ბრძანებითა უბრწყინვალესისა საქართუელოჲს ირაკლი მეორისა მეფისაჲთა (მერე ჩამოთვლის იმ რვა წიგნს, რომელიც ფილიპეს ბიოგრაფიაშიაც აღნიშნეთ ზემოთ)... ხოლო წიგნი ღეთისმეტყუელებითი ბრძნისა ალფერდისი და წინამდებარე ესე ლოღიკა დიდი გარდამოვეც მე ამის ფილიპეს მიერვე ბრძანებითა დიდისა მთავრისა, ძმისა ჩემისა, დადიანისა კაციას მიერ» (S 250, ფ. 176). წიგნი ანტონის სახელმძღუანელოდ განუზრახავს, როგორც შემდეგი სიტყუებიდან ჩანს: «ხოლო აწ მოძღუართა და მოწაფეთა თანაგაც ლოცუა ჩემ უღირსისათჳს; მოძღუართა — რამეთუ ორღანო არს თქუენი სიბრძნის-მოყუარებისა ესე წინამდებარე წიგნი; მოწაფეთა — რამეთუ უმკუეთრეს ჰყოფს გონებასა თქუენსა ხეჲვითისა სიბრძნისა მიმართ». წიგნის თარგმნა დაუსრულებიათ 1776 წლის 17 თებერვალს.

შედგება ეს «დიდი ლოღიკა», რომელიც მოთავსებულია ხელნაწ. S 250, ფ. 174—410, სამი ნაწილისაგან: 1) სიტყჳსა მყოფისათჳს, რომელი სჳეტეტს პირველსა გონებისა მოქმედებასა, 2) სიტყჳსა მყოფისათჳს, რომელი სჳეტეტს გონებისა მეორესა მოქმედებასა, 3) სიტყჳსა მყოფისათჳს, რომელი არს წარმართებელ მესაძე გოსების მოქმედებისა ანუ ჴელხებისათჳს.

ანტონისაგან დარჩენილა აგრეთვე «ანდერძი», რომელიც მას მიუცია ნახარებოუს მონასტრისათჳს[1], აქ აღნიშნულია, თუ როგორ გადააკეთა ანტონმა სამრეკლო ეკლესია ნახარებოუს მონასტრად და ჩამოთვლილია, რა აღგილმამული, გლეხები და წიგნები დაუტოვა მან მონასტერს.

74. იოანე ქსიფილინოს-პაპუწისშვილი

იოანე მიხეილის ძე ქსიფილინოსი იყო ნათესაჲთ ბერძენი და ეკუთჳნოდა საქართველოში მყოფ ბერძენთა ჯგუფს, რომელიც ანტონი კათოლიკოსისაა და ერეკლე მეფის დროს თავგამოდებით მუშაობდა ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის ასპარეზზე. ერეკლე მეფეს ის «მჲუცია განსასწავლად ქართულსა ზედა ჴმასა» სიონის დეკანოზის იოანე ოსეს ძისათჳს[2],

[1] გამოცემულია თ. ჲუსკიევაძის მიერ გაზეთ «ცოლხიდაში» 1912 წ., №№ 39. 40.

[2] იოანე ოსეს ძე, resp. ოსეშვილი, იყო «იკონომოს დეკანოზი ტფილისის სიონისაა» და რექტორი თბილისის სემინარიისა, გარდაიცვალა 1801 წელს. იოანე უფრო ცნობილია როგორც გადამწერი ხელნაწერებისა. მას გადაუწერია, მაგალითად, ნაწილი ტიბიკონისა (A 122) და გრიგოლ ღეთისმეტყველის თხზულებანი, ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი (A 292). საყურადღებოა ამ უკანასკნელის მინაწერი: «ვიდეგნებოდით რა ტფილისით სპარსთაგან ქამად და ქამად და აღგილით-აღგილად ვიცვალებოდით და მიმოვეკეთებოდით, ვიწყე წერად ამისა აღგილსა შინა მწირობისა ჩემისასა ქალაქსა დუშეთს, საუფლისწულოდ საპყრობელსა... საქართველოჲს მეფის ძის

რომელიც მას ენას უსწორებდა და თარგმნაში ეხმარებოდა; ამიტომ ქსიფილინოსი მას თელის «თანაშემწედ და მოძღურად» თვისად [1]. საქართველოში ყოფნისას იმას არამცთუ შეუსწავლია ქართული იმდენად, რომ თავისუფლად თარგმნის ბერძნულიდან, არამედ გაქართველებულა თითქმის და ზოგიერთ თავის ნაწარმოებში თავისთავს ბერძნული გვარით ქ ს ი ფ ი ლ ი ნ ო ს ი თ კი არ იხსენიებს (ასე მას უფრო ხშირად თვით ქართველები ეძახიან), არამედ პ ა პ უ წ ი ს შ ვ ი ლ ად. ერეკლე მეფე და ანტონი კათოლიკოსი დიდად აფასებდნენ მას და განსაკუთრებულ მფარველობასაც უწევდნენ, ამიტომ თვით იოანე ქსიფილინოს-პაპუწისშვილიც უაღრესი კრძალულებით იხსენიებს ხოლმე კათოლიკოსისა და მეფის სახელს და სიხარულით ასრულებს ყოველივე მათ ბრძანებას. იოანეს მართლაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ ერეკლე მეფის დროს გამოცემული ხატიკის ანდერძი, სადაც ნათქვამია: «წიგნი ესე ზადიკი ბერძულსა ზადიკსა ზედა შევამოწმებიეთ ნათესავით ბერძენსა, სახელით იოანე ქსიფილინოსსა, რომელიცა განსწავლულ არს თჳსსა ენასა ზედა და ქართულსაცა შინა წერილსა დახელოვნებულიო» (ხ ა ტ ი კ ი თბილისში გამოცემული 1788 წელს). ნათქვამიდან ჩანს, რომ იოანე მუშაობდა ლიტურგიკულ დარგში. ამავე დარგში მას 1785 წელს ბერძნულიდან გადმოუღია, იოანე ოსეს-ძის დახმარებით, «აღსარება კეთილთა საქმეთა, წინაალმდგომთა ცოდვისათა» [2]. ეს თხზულება შედგება 7 ნაწილისაგან: პირველში ჩამოთვლილია ის ცოდვები, რომელნიც წინააღუდგებიან სარწმუნოების კეთილთა საქმეთა, მეორეში — სასოებისას, მესამეში — სიყვარულისას, მეოთხეში — მეცნიერებისა და განათლებისას, მეხუთეში — სიმხნისა ან დიდსულობისას, მეექვსეში — სიწმინდისა ან მრთელცნობობისას, მეშვიდეში — სიმართლისას. ეს არის სახელმძღვანელო, რომელშიაც აღნიშნულია «ცოდვანი აღსარებად საჭირონი მონანულთაგან», მაშასადამე, ერთ-ერთი რედაქცია ეგრეთ წოდებული პენიტენციალისა; როგორც ასეთს, მას არა მარტო

ვახტანგ აღმასხანისსა». იოანე ოსეს-ძე ეხმარებოდა იოანე ქსიფილინოს-პაპუწისშვილს წიგნების თარგმნაში, ალბათ, უსწორებდა მას ენასა და სტილს. მას სომხური ენა ცოდნია, რაც ჩანს, რომ სომხურიდან გადმოუთარგმნია «სინმბოლონი და მსგავსებანი წმიდისა ღუთისმშობლისანი ძეულსა შინა აღთქუმასა» (П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, стр. 119, 164). იოანეს ორიგინალური თხზულებაც დაუწერია. მაგალითად, «განმარტებაჲ მამაოჩუენოჲსაჲ» (А. Шагарели, Сведения, III, 109). დაუწერია, მას აგრეთვე იამბიკონიც, რომლებითაც შეუმკია მის მიერ ნათარგმნი თუ დაწერილი თხზულებანი; მაგალითად, ანტონ კათოლიკოსის ბრძანებით, მას დაუთავს იამბიკოდ ერცელი წინასიტყვაობა ანტონის მიერ სომხურიდან ნათარგმნ პირველი ოთხი მსოფლიო კრების აქტებისათვის (А 266). ზოგიერთი მისი აკროსტიქი გვაჯერებს მის საკუთარ სახელს, მაგალითად: «იოანე ხუცესი დეკანოზი ოსესძე» (А 292, გვ. 407) ანდა «იოანე» (А 711, ფ. 10 b). ამასთან ერთად იოანე ცნობილი მჭედებელიც ყოფილა. ჩვენს მწერლობაში ცნობილია ავრეთვე მეორე ო ს ე შ ვ ი ლ ი იასე, 1729 წელს დაბადებული, რომელსაც დღიურის მსგავსად აღუწერია «ანდერძი» (გამოცემულია «ცისკარში» 1871—72 წწ. და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მიერ). თხზულება მეტად საყურადღებოა ავტორის დროინდელი ქართლ-კახეთის მდგომარეობის შესასწავლად (А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, стр. 312—316).

[1] А 711, ფ. 10.

[2] იქვე, ფ. 1—8.

ლიტურგიკული ხასიათი აქვს, არამედ რამდენადმე კანონიკურიც. ის, ალბათ, დანიშნული იყო სამღვდელოებისა და მორწმუნეთათვის, რათა მათ აღსარება ეთქმევინებინათ და ეთქვათ აქ წარმოდგენილი სისტემით. თუმცა შენიშნულია: «არა ვიტყვთ, ვითარმედ რაოდენთაცა სცოდვენ კაცნი, ყოველნი არიან დაწერილ; ამისთჳს თანა-აძს მონანულსა, რათა რაოდენნიცა აჴსოვდეს ცოდვანი,. აღიარნეს სულიერისა მამისა მიმართ, თჳნიერ ყოველისა დაფარვისაო» (ფ. 7).

უფრო საყურადღებოა მეორე თხზულება, რომელიც ქსიფილინოს-პაპუწისშვილს გადმოუთარგმნია იოანე ოსეს-ძის დახმარებითვე, 1785 წლის აგვისტოს 10 თუ ოქტომბრის 17 [1]. ეს არის წმინდა კანონიკური შრომა «ქორწინებისა თავთავჳს», რომელიც გადმოუღია მას «ბერძნული ენით ქართულებრ კურთხევითა საქართველოჲსა ეკლესიისა მზისა და თავისა, უნეტარესისა და უწმიდესისა პატრიარქისა, უწმიდესისა სინოდის ჩლენისა, მეფის ძის ანტონისაჲთა» [2]. თარგმანი მას მიურთმევია მეფე ერეკლესათვის, რომელსაც ეუბნება: «ხოლო უკუეთუ სთნეს ესე უმაღლესსა მეფობასა თჳუენსა და ინებოთ სხუათაცა წიგნთა გარდამოღებაჲ ბერძულით ქართულსა ზედა ენასა, მზა ვარ ყოველსავე ბრძანებულისა აღსრულებასაო» (ფურც. 10). ეს თხზულება შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში აღნიშნულია ხუთი სახე ნათესაობისა (სისხლის, მძახლობის, სამნათესავობის, ნათლისღების და შეილად სახელდებულის), ხოლო მეორეში წარმოდგენილია დიაგრამები ან ცხრილები—თუ რომელ ნათესაობაში რომელ ხარისხამდე შეიძლება ქორწინება. ეს არის იმდროინდელ მართლმადიდებლობითს აღმოსავლეთში მიღებული სახელმძღვანელო ქორწინებითი სამართლისა, რომელიც ეკუთვნის «უბრძნესსა და უსიტყუჳერესსა დიდსა ხარტოფილაქსსა უწმიდესისა ქრისტეს დიდისა ეკლესიისა კონსტანტინუპოლისა იეროდიაკონსა უფალსა მ ა ნ უ ი ლ ქ ს ა ნ თ ი ნ ო ს ს». მანუილ ქსანთინოსს (Ξανθινος) ეს შრომა დაუწერია იერემია პატრიარქის (1525 — 1540) ბრძანებით, ხოლო გამოუცია ის პირველად ვენეციაში 1564 წ. მღვდელს ზ ა ქ ა რ ი ა ს კ ო რ დ ე ვ ი ლ ო ს ს. პირველი ნაწილი, სადაც განხილულია სხვადასხვა სახე ნათესაობისა, მანუილს ამოუღია უმთავრესად მათე ბლასტარის ს ჳ ნ ტ ა გ მ ი დ ა ნ, ხოლო მეორე ნაწილი, — დიაგრამები ნებადართულ და დაყენებულ ქორწინებათა, თეითონ შეუდგენია [3]. მართლაც. ქართულ თარგმანში პირველი ნაწილი ამ შრომისა წარწერილია მ ა თ ე ს სახელით და სჳპა-ტჳ თავების აღნიშვნით [4], ხოლო მეორე ნაწილი, დიაგრამები, მანუილის სახელითაა მონათლული (ფურც. 18 — 24).

---

[1] A 595, 711, 787, 988.

[2] A 711, ფურც. 10.

[3] Проф. А. П а в л о в, 50-я глава Кормчей Книги, как исторический и практический источник русского брачного права, Москва. 1887 г.: проф. М. Г о р ч я к о в. О тайне супружества. Происхождение, историко-юридическое значение и каноническое достоинство 50-й главы Кормчей Книги, Пб., 1880 г.

[4] A 711, ფურც. 11—17.

ამავე იოანეს შეუმოწმებია «ბერძულსა ზედა ლექსითი-ლექსად, ორგზის და სამგზის», კათოლიკოსის ანტონ მეორის ბრძანებით იესო ტაბიელის «დაუჯდომელი დასდებელით, კანონით და კუალად კონდაკ-იკოსით თჳსით», რომელიც რუსულიდან გადმოუთარგმნია რუსეთში ყოფნისას გაიოზ რექტორს [1].

75. გაბრიელ მცირე

გაბრიელ მცირე იყო მოწესე ნათლისმცემლის მრავალმთის მონასტრისა. მის მიერ აღწერილი «გკრგჳნის» ერთ-ერთ ნუსხას, რომელიც დაცული იყო მოსკოვში, ლაზარაანთ ინსტიტუტში, განსვენებული ალ. ხახანაშვილის კოლექციაში (№ 17, გვ. 479—481), დართული აქვს გადამწერლის, მეფის გიორგის ძის, ბაგრატის მიერ შემდეგი ბიოგრაფიული ცნობები გაბრიელის შესახებ: «ესე ნეტარი გაბრიელი იყო მცხოვრები თფილისით მოქალაქეთაგანი და ხელოვნებითა მკერვალი, რომელმანცა დაუტევა ღმრთისა სიყუარულისათჳს სახლი, დედა და ძმანი და მეგობარნი თჳსნი და ყოველი მონაგები და წარვიდა მონასტერსა ზემოჴსენებულსა და აღიკვეცა და იქმნა მონაზონ [2] და ისწაელნა საღმრთონი წერილნი შეწევნითა დ. ნიჭითა სულისა წმიდისაჲთა და ფრიად ღუაწლა და მარხეასა შინა, რომლისაცა სათნოებანი არცღა თუ რიცხჳთა შესაძლებელ არს აღწერად. ხოლო კეთილის მოძულემან ეშმაკმან, იხილა რა სათნოებანი ამა წმიდისა მამისა მაღალნი, ვერა დამთმენი, ისწრაფდა ფრიად ვნებასა და დაბრკოლებასა მისსა ესევითართა კეთილთაგან, გარნა უქმ იქმნა სივერაგე მისი. და ამისა ძლით აღძრა გული მთავარდიაკონისა იოვანე ჩუბინისძისა [3], რომელიცა მას ჟამსა შთასრულ იყო ტფილისით მონასტერსა მას შინა, რათა განატაროს მოღუაწებითა დღენი წმიდათა დიდთა მარხჳათანი. გარნა აღძრა იგი დიაკონი ყოველადბოროტმან ეშმაკმან და მარადის აგონებდის ცოლთა და შვილთა და მიქცევად სახიდ თჳსად, რომელმანცა ვერღარა უძლო მონასტერსა მას შინა ყოფა და აიძულა წმიდასა მას ღმრთისასა გაბრიელს რეცა მოგზაურობად მისთანა ტფილისამდის. და ამისთჳს დასდო სული თჳსი მეგობრისათჳს. ხოლო წარსულნი მუნით, მიჳდენ მრავალწყაროსა ხევსა შინა და მუნ დახვდენ ლეკთა მხედრობანი; ხოლო ესე წმიდაჲ მამა გაბრიელ მათ მიერ მოიკლა და შეირაცხა იგი რიცხჳსა წმიდათა მღვდელმოწამეთასა [4], და ეგრეთვე საწყალობელი იგი დიაკონიცა იოანე მოიკლა მათ მიერ წელსა 1802. ხოლო გვამი ნე-

[1] A 813, ფ. 119.

[2] იოანე ნათლისმცემელის 1774 წლის ერთ-ერთ სიგელს ადასტურებს, როგორც. მოწმე, «მღვდელმონაზონი მამა გაბრიელ». უეჭველია, ჩვენი გაბრიელი (თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, გვ. 130).

[3] ამის პირდაპირ აშიაზე ტექსტისავე ხელით მიწერილია: «ქარის საყდრის მღვდლის დავითის ძე. ამა დავით მღვდელს ეწოდა ზედშესრული სახელი სიმშვიდისა გამო და სათნოებისა ბაკაკა».

[4] აშიაზე ტექსტისავე ხელით: «და მრავალნი სხვანიცა საღმრთო წერილნი აღწერნა სულისა სარგებელნი და დაგვიტევნა ჩუენ».

ტარისა მამისა მის მოიღეს ძმათა მის მონასტრისათა და დაფლეს მუნვე მონასტერსა შინა, რომელიცა სუფევს ქრისტეს ღმრთისა თანა და მეოხ არს სულთა ჩუენთათჳს».

გაბრიელ მცირეს თავისი წვლილი შეუტანია ქართული ბწერლობის ისტორიაში მეთვრამეტე საუკუნის გასულს. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა იწყება, რამდენადაც არსებული ხელნაწერებით შეგვიძლია გავითვალისწინოთ, 1780 წლიდან. ეს მოღვაწეობა გამოიხატება, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ მას საკუთარი ინიციატივით თუ სჩვადასხვა გამოჩენილი პირის — მაგალითად, მეფის ძეთა ბაგრატისა და ფარნავაზის, აგრეთვე ენისელთ მოურავის ძის ნინოწმიდის მიტროპოლიტისა და რუსთავის მთავარეპისკოპოსის სტეფანეს — შეკვეთით გადაუწერია მშვენიერი მხედრული ხელით მრავალი სხვადასხვა შინაარსის ხელნაწერი, რომელთაც უმეტეს ნაწილად დართული აქვს როგორც გადამწერლის სახელი, ისე წელი და თვის რიცხვი გადაწერისა [1]. მერე მას ორიგინალური შრომებიც დაუწერია. ამ მხრივ აღსანიშნავია:

1) «მღდელმთავრისა ლიტურღიისა განმარტებაჲ სახისმეტყუელებითი, ვითარმედ ყოველსავე მღდელმოქმედებასა მისსა საიდუმლოებითი ძალი უპყრიეს» [2]. აქ მოკლედ განმარტებულია ტაძარი, მისი ნაწილები, ცერემონიული მხარე მღდელმთავრის წირვისა, მისი შემოსვისა და სამოსელისა, აგრეთვე წირვის სხვადასხვა მომენტისა. ავტორს გამოუყენებია მის დრომდე ქართულად ნათარგმნი თხზულებები გერმანე კონსტანტინოპოლელისა [3] და სვიმეონ სოლუნელის ან თესალონიკელისა [4]. აშიაზე ნაჩვენებია ციტატები საღრთო წერილიდან და წმ. მამათა თხზულებებიდან. დაუწერია ის მას სტეფანე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის, რომელსაც სწერს: დიდიხანია მინდოდა შენი ნახვა პირადად, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე, «ვინაჲთგან ცოდვათა ჩემთათჳს ვდგევარ უდაბნოსა შინა დილეგსა», ამიტომ «ესე მცირე რაჲმე მღდელმოძღვრობისა თქუენისა შესაბამი სახისმეტყუელებაჲ აღვწერე» მე, გაბრიელ მცირემაო.

2) მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონისათვის (ექვთიმე ათონელის თარგმანი), რომელიც მას გადაუწერია იმავე ნინოწმიდელ-რუსთველისათვის 1791 წ., გაბრიელს დაურთავს ვრცელი «მაჩვენებელი» და ბოლოსიტყვაობა, რომელიც ინტერესს არაა მოკლებული [5].

დასასრულ, საყურადღებოა გაბრიელის ლიტერატურული მოღვაწეობა იმ მხრივ, რომ მას, როგორც ნაკითხსა და ერუდიციით აღჭურვილ მწიგნობარს, პოპულარიზაციის მიზნით, ხელი მიუყვია სხვადასხვაგვარი კრებულის

---

[1] მაგალითად, A ფონდის კოლექციაში გვაქვს შემდეგი ნაშრომები გაბრიელისა №№ 224, 225, 226, 227, 228, 229, 232, 233, 234, 238, 240, 244, 352 და სხვ. არის აგრეთვე S ფონდშიაც, მაგ.. №№ 54, 77, 120, 127, 128, 1380, 2331, 2436, 2600, 3630 და სხვ.

[2] A 228, ფურც. 198—221; Проф. А. Цагарели, Сведенія о памятникахъ грузинской письменности, вып. III, стр. 6, № 73.

[3] A 432, 450, 691.

[4] A 642.

[5] A 229, ფურც. 200—207.

შედგენისათვის ამა თუ იმ მამათა თხზულებებიდან, შეგროვილი მასალა მას დაუყვია თავებად და საკითხავებად და დაურთავს მათთვის სიმბოლური ახსნა-განძარტების შემცველი ბოლოსიტყვაობა. ამნაირად, მას დაუტოვებია რაძღეხიძე ასკეტიკურ-ჰოძილეტიკური კოებული, რომელიც უმთავრესად ეკლესიაძი დასამოძღვრადაა განკუთვნილი. აი ეს კრებულები, რომელთა ნუსხები ჩვენამდე შენახულა:

I. «ღმრთივშუენიერნი თხრობანი, სულისა ფრიად სარგებელნი, რომელსა ეწოდების გვრგვნი»[1], შედგება ხუთი თავისაგან: 1) მღუდელმოქმედებათათუს და საიდუმლოთა გამოცხადებისა (თხრობა 1—20); 2) სასწაულთმოქმედებათათუს და საკვრველებათა (თხრობა 21—40); 3) ქველისმოქმედებათათუს და მოწყალებისა (თხრობა 41 — 60); 4) სინანულით განათლებულთათუს და ლმობიერებისა (თხრობა 61 — 80); 5) სულთა, საზომით სრულთა, მიცვალებისათუს (თხრობა 81 — 100). კრებულს ბოლოში შემდეგი «ბეჭედი» აქვს დართული: «...ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების გვრგვნი ამათ ესევითართა მიზეზთათუს, რამეთუ, ვითარცა გვრგვნი პატიოსანი შემკობილ არს მრავალფერთა პატიოსანთა ნივთთა და თუალთა მარგალიტთა მიერ, აგრეთვე ესე გვრგვნი სულისა შეწყობილ არს და შემკობილ მრავალთა საღმრთოთა კეთილთხრობათა მიერ. იგი გვრგვნი შუენიერ ჰყოფს თავსა ღირსთა მისთასა და ესე აბრწყინვებს სულსა აღმასრულებელთა ოჳსთასა, რომელსა ჰქონან თჳს შორის თავნი ხუთნი, მსგავსად ხუთსაგრძნობელთა ჩუენთა, რომელნი იპოებიან თავსა შორის ჩუენსა. ხოლო სულიერთა თხრობათა რიცხჳ არს ასი, მებრ იგავისა, რომელსა ედგა ასი ცხოვარი, და მოსურნეთა ნაყოფიერ გვყოფს ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად». «თხრობანი» უმეტეს ნაწილად ამოღებულია ძველად ნათარგმნ მეუდაბნოეთა ცხოვრება-სიტყვებიდან. ეს კრებული რომ გაბრიელს შეუდგენია, ამას, სხვათა შორის, მოწმობს ხახანაშვილისეული ნუსხა მისი (№ 17) გადაწერილი ბაგრატ ბატონიშვილის მიერ «მწირობასა მყოფობასა მისსა როსიას» 1815 წელს, რომელშიაც ვკითხულობთ: «ესე წმიდაჲ სულისა გვრგვნი აღწერილი არს გაბრიელის მიერ მღდელმონაზონისა».

II. «ღმრთივგანთლებულნი თხრობანი, სულისა ნაყოფიერ მყოფელნი, რომელსაც ეწოდების ს ა მ ო თ ხ ი ს ყ უ ა ვ ი ლ ი»[2], შედგება ის ათი თავისაგან[3], თითოეული თავი ათი «თხრობისაგან», ასე რომ წიგნში ასი თხრობაა. კრებულს თან ერთვის შემდეგი «ბეჭედი»: «ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების ს ა მ ო თ ხ ი ს ყ უ ა ვ ი ლ ი მით, რამეთუ წიგნისა მისგან მამათაჲსა, რომელ არს «სამოთხე», რჩევით აღმოწერილ არს და დატკბობილ საღმრთოჲთა სიტყუებითა და განათლებულ სარგებელად სულთა ღმრთისმოყუარეთა; ვითარ იგი კაცი ბრძენი, შერავალნ მტილსა წალკოტთასა და მოარჩევნ ყუ-

[1] A 228, 341, 427, 537, 723; S 1380, 2331; გამოცემულია თბილისში 1892 — 1895 წლებში ვასილ ყ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ.

[2] A 244, 588, 852, 854; S 128; გამოცემულია თბილისში ვასილ ყ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ 1896 წ.

[3] ჩამოთვლა თავებისა იხ. Д ж а н а ш в и л и, Описание, III, стр. 77.

ავილთა შუენიერთა და შეჰკრავენ ერთად კეთილსულნელებითა საყნოსელად მოსურნეთა; და ვითარცა ყუავილთაგან შეამზადებს ბრძენი ფუტკარი თაფლსა, სასისა დამატკბობელსა, და ცვლსა, ღმრთისა მიმართ შესაწირავსა ძღუენად, ეგრეთვე ესე სათნოებათა ყუავილი მოატყუებს კაცსა კეთილცხოვრებასა კორცითა და ნაყოფიერებასა სულთათა». ამის შემდეგ სიმბოლურად ახსნილია— თუ რად არის დაყოფილი წიგნი 10 თავად და 100 თხრობად[1]. როგორც მოყვანილი ადგილიდანაც ჩანს, კრებულის მასალა ამოღებულია იოანე მოსხის «სამოთხიდან»; მას უფრო ჰომილეტიკური დანიშნულება აქვს, ვინაიდან, როგორც მისი «სარჩევი» ან «ზანდუკი» ამჟღავნებს, მის «თხრობებს» კითხულობდნენ ეკლესიაში მთელი წლის განმავლობაში კვირიაკე დღეს, თვითო კვირიაკეს თვითო «თხრობას». მისი შედგენა რომ გაბრიელ მცირეს ეკუთვნის, ეს ჩანს ერთ-ერთი მისი ნუსხიდან (S 128), სადაც ნათქვამია: «სასურველი ესე სწავლა აღიწერა კურთხეულის გაბრიელის მიერ».

III. ს უ ფ ე ვ ა[2]. შედგება 12 თავისაგან, რომლებიც წარმოადგენენ ბასილი დიდის «ითიკიდან» უმთავრესად და სხვა მის თხზულებათაგან ამოღებულ მასალას. აი სათაურები ამ სტატიებისა: 1) სარწმუნოებისათჳს (=2 თავს ითიკისას). 2) სიყუარულისათჳს. 3) სურვილისათჳს ღმრთისა (=8 თავს ითიკისას). 4) სიმდაბლისათჳს (=47 თავს ითიკისას). 5) სამარადისოჲსა ღოცვისათჳს და მადლობისათჳს ღმრთისა. 6) მოწყალებისათჳს გლახაკთა (=41 თავს ითიკისას). 7) ანგართა მიმართ. 8) მოვახშეთა მიმართ. 9) მრისხანეთა მიმართ (=39 თავს ითიკისას). 10) მოშურნეთა მიმართ (=20 თავს ითიკისას). 11) სინანულისათჳს (=7 თავს ითიკისას). 12) ღმობიერებისათჳს (=11 თავს ითიკისას). კრებულს დართული აქვს შემდეგი «ბეჭედი»: «ღმრთივსულიერი და პატიოსანი ესე წიგნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა ბასილი დიდისა მრავალთა და ვრცელთა სწავლათაგან რჩევით აღმოწერილ არს... და ეწოდების ამას «სუფევა» მით, რამეთუ ვინაჲთგან წიგნსა მას საგალობელსა ფსალმუნსა ეწოდების მთქუმელისა მის სახელი «დავითი» და საღმრთოჲსა დიონოსიოსის წიგნს «დიონჳსიოს», და გრიგორის ღმრთისმეტყუელის წიგნსა «ღმრთისმეტყუელი» და სხუათა მრავალთა ესრეთვე. ვითარ იგი «ეფრემი» და «დამასკელი», ამისთჳს ამასცა ღირსად და სამართლად შუენიერად ეწოდა «სუფევა», რამეთუ «ბასილი» «სუფევად» გამოითარგმანების, და ჰქონან თჳს შორის სწავლანი ათორმეტნი მსგავსად იესო ტკბილისა მოძღურისა, რაჟამს, იყო რაჲ იგი ათორმეტის წლისა ტაძარსა შინა მჯდომარე, სიტყუას უგებდა და განაკჳრებდა ყოველთა, და შემდგომად გამოირჩიენა ათორმეტნი მოციქულნი და წარავლინნა ქადაგებად და სწავლად, და ესეცა ამცნო ღეთივშუენიერად მეტყუელმან: არა ათორმეტნი ჟამნი არიანა დღისანი? რომელი ვიდოდეს ამათ რიცხუთა სწავლათა შინა, არა წარსცეს ფერჴი საბრჴეთა ეშმაკისათა, რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ჰხედავს, რომელ არს მეტყუელი: მე ვარ ნათელი სოფლისა და მერმესა მას შეებასა დასხდეთ თქუენცა ათორმეტთა საყდართა განსჯად ათორმეტთა ტომთა ისრაილისათა».

[1] ე. ქ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 293—294.
[2] A 22, 232; S 54.

IV. «ღმრთივშუენიერნი სწავლანი, რომელსა ეწოდების ოქროჲსწყაროჲ»[1]. ეს კრებული შედგება 33 თავისაგან, თითოეული თავი შეიცავს 3 «სწავლას», თავში, შესავლის სახით, მათ მიუძღვის ერთი «სწავლა» («წმიდათა წერილთა კელად მოღებისათჳს»), ასე რომ სულ კრებულში 100 «სწავლაა». 1 თავი—ეკლესიისათჳს, 2—ღოცვისათჳს, 3—მღვდელთათჳს, 4—აღსარებისათჳს, 5—ზიარებისათჳს, 6—ღმრთის სიყუარულისათჳს, 7—კაცთა სიყუარულისათჳს, 8—მოწყალებისათჳს, 9—რათა არა ნატაცებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა, 10—სათნოებისათჳს, 11—წმიდათა წერილთა კითხვისათჳს, 12—ქრისტეს მცნებათა დამარხვისათჳს, 13—მოთმინებისათჳს, 14—არა ბოროტის ყოფისათჳს მტერისა, 15—სიმდაბლისათჳს, 16—ამპარტავნებისათჳს, 17—ცუდად მზუაობრობისათჳს, 18—ვერცხლის მოყუარეობისათჳს, 19—მრისხანეობისათჳს, 20—შურისაჳს, 21—ნაყროვნებისათჳს, 22—მარხვისათჳს, 23—სინანულისათჳს, 24—საქმეთათჳს კეთილთა, 25—გლახაკთ მოყუარებისათჳს, 26—ღუთის სათნოყოფისათჳს, 27—სიმართლისათჳს, 28—კეთილდმსახურებისათჳს, 29—სასუფეველისა დიდებისათჳს, 30—ქრისტეანეთათჳს ჴეშმარიტისა, 31—ქრისტეანეთა მიცვალებისათჳს, 32—შემდგომად სიკუდილისა მოწყალებისათჳს, 33—მეორედ მოსლვისათჳს. კრებულს ბოლოში დართული აქვს შემდეგი «ბეჭედი»: «ღმრთივსულიერსა ამას წერილსა ეწოდების ოქროჲს წყაროჲ მით, რამეთუ ოქროსპირისაგან ოქროს წყაროჲსა ჯერ არს წარმონაკადულებად, არა მომრწყველად ყუავილსულნელისა, არამედ მაცხოვრად კაცთა სულებსა; რომელსა ჰქონან თჳს შორის თავნი ოცდაათსამეტნი, მსგავსად იესო ღმერთმამაკაცისა ჰასაკსრულისა ოცდაათსამეტ წლისა. ხოლო თჳთეულსა თავსა შინა სამი სწავლაჲ, ვითარმედ ორისა და სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცების ყოველი სიტყუაჲ; და სწავლისა ასეული რიცხჳ იგავისაებრ, რომელსა ედგა ასი ცხოვარი. და აღმასრულებელთა ნაყოფი გამოიღონ ოცდაათეული, სამოცეული და ასეული სადიდებელად ძისა ღმრთისა ცხოველისა. ამინ». ამნაირად, კრებული შეიცავს იოანე ოქროპირის თხზულებათაგან ამოკრებილს მასალას; ის რომ გაბრიელ მცირეს ეკუთვნის, ეს, სხვათა შორის, ჩანს შემდეგი «ანდერძისაგან»: «ყოვლადის სურვილით ტკბილსიტყვაობისათჳს ოქროპირის მწუერალი ამისი გეევდრები ყოველთა, ლოცვასა მომიხსენეთ ყოველად უღირსი იერომონახი გაბრიელ მრავალმთის უდაბნოს გარესჯისასა მონასტერსა ნათლისმცემლისასა».

V. «კლიტე»[2], ეს კრებული შედგება 30 თავისაგან, შინაარსი მისი ამოღებულია იოანე ოქროპირის თხზულებათაგან, კერძოდ იმ კრებულისაგანაც, რომელსაც «ასკეტიკონი» ეწოდება; სახელდობრ, მისი მე-8 თავი უდრის ასკეტიკონის მე-6 თავს, 1=5, 15=12, 16=2, 17=3, 24=7; ესეც ასკეტიკურ-ჰომილეტიკური კრებულია.

---

[1] S 2436 (1794 წ.), 2600 (1795 წ.), 3650 (1795 წ.), გამოცემულია 1905 წ. პ. კარბელაშვილის მიერ.

[2] A 227; S 127.

VI. «სამასეული» [1], შედგება სამი ნაწილისაგან, თითოეული ნაწილი 100 მოკლე თავისაგან ან, უკეთ რომ ვთქვათ, აფორიზმისაგანაა შედგენილი. პირველი «ასეული» ან ასი თავი შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის აფორიზმებს, მეორე — ბასილი დიდისას, ხოლო მესამე — მაქსიმე აღმსარებლისას.

VII. «მანანა», ორმეოცნი შესხმანი ღვთისმშობლის, იესო ტკბილის, ჯუარის, ანგელოზის, ნათლისმცემლის, მოციქულების, მოწამეების, მღვდელმოძღვართა და ღირსთა მამათა. ამ წიგნს, როგორც ბოლოსიტყვაობაში ამბობს ავტორი, ეწოდება «მანანა» ღვთისმშობლის სიყვარულისათვის, ვინაიდან მისგან მივიღეთ ჩვენ ჰეშმარიტი პური ცხოვრებისა — იესო ტკბილიო. ის შეიცავს 40 თავს იმის მომსწავებლად, რომ 40 დღის წყლითთრღვნისაგან ნოე კიდობანში გადარჩა, 40 დღე მოსე გაბრწყინდა ღვთის ხედვითა, ილია 40 დღე მარხულობდა, იესო ქრისტე მეორმოცე დღეს ტაძრად მიიყვანეს. მან 40 დღის მარხულობის შემდეგ ეშმაკი განდევნა და მეორმოცე დღეს ამაღლდაო [2].

76. იონა ხელაშვილი

იონას ერისკაცობაში ერქვა იოანე [3], ის იყო ქიზიყელი, სოფელ ვაქირიდან. ერთ-ერთი მისი წინაპართაგანი ერეკლე პირველის მეუღლეს ანას მოუყვანია [4] თავის სასახლეში, აღუზრდია სამღვდელოდ და შემდეგ დაუდგენია თელავის კარის ეკლესიის «პროთოიერეიდ» («რომელ არ ჩვენებრ მღდელთ დეკანოზობაჲ»). ეს თანამდებობა ამ ოჯახში შვილიდან შვილზე გადადიოდა, ცნობილი ყოფილან თავის დროს დეკანოზები: იოსებ, გიორგი და დავითი — იონას პაპა (მამის მამა), რომელიც თეიმურაზ მეორესა და ერეკლეს ხლებია სპარსეთში ნადირ-შაჰის კარზე და დიდი სამსახური გაუწევია მათთვის. მეფეთათვის ერთგულად უმსახურნია იონას მამასაც, გიორგის, ამიტომ მისი სიკვდილის შემდეგ (თითქოს ლეკებთან ომში დაიღუპა შედარებით ახალგაზრდა), მისი ობლები — იონა, სოლომონი და გიორგი, ერეკლეს აღსაზრდელად თავისთან გადაუყვანია. თავდაპირველად იონა მიუბარებიათ სწავლისა-

[1] A 224; S 77, 127.

[2] A 403, 522; H 1748; პროფ. დ. ჩუბინაშვილის აზრით, გაბრიელ მცირე არის თანამედროვე იოანე და ეკუთვნის ათონელთა. მეოთხე წინამძღვარი ათონის ივერიის მონასტრისა; «მანანა», მისი სიტყვით, ეკუთვნის სწორედ ამ გაბრიელს (Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, стр. 408).

[3] ბიოგრაფიული ცნობები ამოღებულია «ქადაგებათა» კრებულისა და თხზულებათა «ღვთისმეტყველება» და «ქორწინებისათვის» წინასიტყვაობათაგან, აგრეთვე «მოწმობის წერილიდან», რომელიც იონასთვის მიუცია 1832 წლის 17 მარტს დედოფალს მარიამს და ბატონიშვილებს ბაგრატს, თეიმურაზს, ილიას, ოქროპირს, მიხაილსა და ირაკლის. ეს დოკუმენტი, რომლითაც უსარგებლნია ნ. ბარნაბიშვილსაც (ბერი იონა ხელაშვილი, «სახალხო გაზეთი» 1911 წ., №№ 347, 348), ხელში ჩავარდნია ყოფილ სტუდენტს გიორგი საგინაშვილს, რომელმაც ჩვენც მოგვცა საშუალება გამოგვეყენებინა იგი.

[4] საიდან მოიყვანა, სათანადო დოკუმენტში ნაჩვენები არაა. ამასთან ხომ არაა დაკავშირებული ნ. ბარნაბიშვილის ცნობა, ვითომც იონას წინაპარნი, მეხელეშვილები, წინათ ხოდაშენს ცხოვრობდნენ; ერთ-ერთი მათგანი თეიმურაზ მეორის დროს თითქოს ვაქირში გადასახლდა, აქ ის ჩაესიძა ერთი გლეხის ოჯახს და მიიღო გვარი ხელაშვილი.

თვის თითქოს ბოდბეს, წმიდა ნინოს სასწავლებელში, მაგრამ 1793 წელს ერეკლეს ის იქიდან ისევ თბილისში დაუბრუნებია და ჩაუბარებია თავის მოძღვრის, მეტეხის დეკანოზის იესესა და მისი შვილის, კარის ხუცესის, მწიგნობრისა და მგალობლის ზაქარიასთვის. თბილისის უკანასკნელად აოხრების შემდეგ ერეკლეს ის თელავს წაუყვანია და 1796 წელს მიუბარებია აქაური კარის მღვდლის, მწიგნობრის იოანე კალატოზიშვილისათვის. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მას პატრონობას უწევს გიორგი მეფე, რომელსაც 1798 წელს მიუბარებია ის «თელავისა თავადთა და აზნაურთა სასწავლებელსა შინა» (იგულისხმება, ალბათ, თელავის სემინარია) რექტორის ან «დირექტორის» დავით ალექსიშვილისათვის. ამით აიხსნება, რომ «კალმასობაში» იონა თავის თავს დავითის მიერ აღზრდილად თელის (გამოცემა 2, გვ. 68), ხოლო სვიმონ მდივანი ეუბნება მას: «ბატონ რექტორს რომ ებარენით» (გვ. 71). დავითის შემდეგ, იმავე «კალმასობის» ცნობით (გვ. 71), «დანაშთი სწავლა მას შეუსრულებია» იმ დროისათვის ცნობილ პედაგოგ იასტოს ერასტიშვილთან. 1800 წელს მან დატოვა სასახლე და ქვაბთახევის მონასტერში ბერად აღიკვეცა, რის შემდეგ იწყო მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში პრაქტიკული თუ მეცნიერული მიზნით. ეს იყო გარდამავალი ხანა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში; ამ დროს ისეთი ნიჭიერი და მომზადებული კაცი, როგორიც იონა იყო, უსაქმოდ ვერ დარჩებოდა: ის ხან ერთ ბატონიშვილთანაა, ხან მეორესთან, ხან მესამესთან. ბოლოს ის ფარნაოზ ბატონიშვილს რუსეთში გაყვა და მიაცილა მოსკოვამდის, სადაც მის გარშემო თავი მოიყარა სამეფო ოჯახის ყველა იქ მყოფმა წევრმა, რომელთა ერთ-ერთ ნუგეშს იონა შეადგენდა. ბატონიშვილებმა ის მოსკოვიდან «საჭიროებისათვის სწავლისა» პეტერბურგს წარგზავნეს, სადაც ის მისულა, როგორც ერთ-ერთ თავის თხზულებაში შენიშნავს ის, «მეცხრამეტისა საუკუნისა მეექუსესა წელსა, იანვარსა ოცსა», ის შეიწყნარეს ბატონიშვილებმა დავითმა, იოანემ და მიხეილმა, რომელთაც განუმარტეს მას გრამატიკა, რიტორიკა, ლოღიკა და მეტაფიზიკა. «ხუაიშნობით» ან შუამდგომლობით დავით ბატონიშვილისა, იმპერატორის ალექსანდრე პირველის ბრძანებით, პეტერბურგის მაშინდელმა მიტროპოლიტმა ამბროსი პოდობედოვმა (1800 — 1816 წ.) ის მიიღო ალექსანდრე ნეველის აკადემიაში 1809 წლის 24 აპრილს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასში. აკადემიაში სწავლისას იონა სასმელ-საჭმელს ღებულობდა მიტროპოლიტ ამბროსის კარზე, ხოლო ტანისამოსისათვის მას ყოველწლივ აძლევდნენ იმპერატორის კაბინეტიდან 250 მანეთს. კურსი დაამთავრა იონამ 1812 წლის მარტში. მოწმობაში, რომელიც მას მისცეს, სწერია: «საქართველოს იპოდიაკონმან იონა ხელაშვილმან ისწავლა ს.-პეტერბურღის სემინარიასა შინა კითხვა რუსული და სლავენური, და წერა, და ღვთისმეტყველება, და დოღმატიკა, და მორალი, საღმრთო ისტორია, ღრამატიკა რუსული, ფილოსოფია და არითმეტიკა დია მოსწრაფებითა, არს კეთილ ყოფაქცევისა და იყო ყოველთა ღიეთა პატიოსანი». კურსის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში მყოფ ქართველ მღვდელმთავარს დოსითეოზს ის უკურთხებია 1812 წლის 5 ოქტომბერს, ან, როგორც იონა ამბობს თავის «ქადაგებათა» წინასიტყვაობაში,

«პირველსა შეიდეულსა ოქტომბრისასა», დიაკვნად, ხოლო 10 ოქტომბერს— მღვდლად. ამაზე ზევით ის იერარქიის კიბეზე არ ასულა. მღვდელმონაზონი იონა გამოითხოვა თავის მოძღვრად ბატონიშვილმა დავითმა, რომელსაც ის ემსახურებოდა, როგორც მოძღვარი, «მრავალ ჟამ». შემდეგ «ჟამ რაოდენმე ის ემსახურებოდა, როგორც მოძღვარი, პეტერბურგში მცხოვრებ იმერეთის დედოფალს ანას, რომელსაც მოხუცებულობის გამო არ შეეძლო «შორსა ეკლესიასა სვლად» და ამიტომ თავის სადგომ სახლში ჰქონდა საყდარი. როდესაც მეფის ძემ თეიმურაზმა თავის სასახლეში გამართა ეკლესია, ბატონიშვილმა დავითმა მწირველ-მლოცველად და მოძღვრად მას იონა დაუთმო. ამაევ დროს ის, როგორც მოძღვარი და მღვდელი, ემსახურებოდა სასახლის ეკლესიაში «მოწაფესა თვისსა», სრულიად იმერეთის დედოფალს მარიამსაც; ამით აიხსნება, რომ მას უწოდებდნენ «დედოფალთა მოძღვარს». იონა შეიქნა სული და გული პეტერბურგის ქართული კოლონიისა [1], განსაკუთრებით კი ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებისა, რომელთაც ის დიდ, დაუფასებელ სამსახურს უწევდა ცხოვრების ყოველ დარგში. ასე, მაგალითად, როდესაც 1831 წელს პეტერბურგში იფეთქა საშინელმა სენმა — ხოლერამ, რომელმაც იმსხვერპლა ბატონიშვილის ბაგრატის მეუღლე ეკატერინე, იონა არ ერიდებოდა მას, თავგამოდებით უვლიდა, სიკვდილის წინ აზიარა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მიწას მიაბარა. ეს მაშინ, როდესაც უფრო მახლობელი პირები, სენისაგან ძალზე შეშინებულნი, მიმოიბნენ და საერთოდ ქალაქს თავს არიდებდნენ. ყველა ამისათვის ბატონიშვილებიც დიდად აფასებდნენ მას, მის ცოდნას, ჭკუასა და გამოცდილებას.

რა პატივით ეპყრობოდნენ ისინი მას, ჩანს იმ იამბიკოთაგან, რომელნიც მისთვის მიუძღვნიათ თეიმურაზს, მირიანს, იოანეს, პეტრე ლარაძესა და სოლომონ რაზმაძეს [2]. აი, იონა ბატონიშვილის იამბიკო:

> დღეს აღმოცენდა ძირთაგან ხელაანთა
> მთიები დიდი, ბერი მამა იონა;
> გუხმს ჩუენ ვიშუებდეთ შობის მაგის დღისათჳს
> ვინადგან გუძებს ტაბლასა სულიერსა.
> ამისა გამო ჩუენც შეესეამთ სადღეგრძელოსა.
> იონა ბერსა, მონაზონთა გურგუნსა,
> ახალ რიტორსა, ღეთისმეტყველების ჭურსა,
> წიგნთა ხელმხებსა, ქადაგების აქსონსა
> და ყოფაქცევით ძველ მამათ შენადარსა
> მონაზონების კანონთა სრულ დამცველსა.

1832 წლის 17 მარტს იონასათვის მიცემულ «მოწმობის წერილში» ნათქვამია, სხვათა შორის, შემდეგი: «დღე და ღამე არ დასცხრები შენ შრომი-

[1] არსებობს მოსაზრება, რომ იონა იყო თუ აეტორი არა, რედაქტორი მაინც იმ დოკუმენტისა, რომელსაც ეწოდება «აკტი გონიერი» და რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ბატონიშვილების მიერ ინსპირირებული 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი (ზ. ჭიჭინაძე, ფარული საზოგადოება, გაზ. «ტრიბუნა» 1922 წ., № 194; დ. გამეზარდაშვილი, გიორგი ერისთავი, 1949 წ., გვ. 17 — 19).

[2] S 279.

სათჳს და შესთხზე შენ წიგნნი საღთისმეტყველონი, საღმრთოთა წერილთა რომელთამე განმარტებანი, ქადაგებანი სადღესასწაულონი წელიწადისა და კჳრიაკეთა დღეთანი, ლექსიკონი ერცელი ქართულისა ენისა, შესხმანი და სხვადასხვანი სასარგებლონი წიგნნი და ეპისტოლენი სასულიეროთა მიმართ და სიბრძნისმოყუარეთა კაცთადმი და კუალადცა არა ატარებ დღეთა შენთა უქმად და მარადჟამ შრომობ». 1837 წელს, როდესაც იონა თავის სამწერლო მაგიდაზე უკანასკნელად ფურცლავდა თავის დამთავრებულ ლექსიკონს და შიგადაშიგ სიტყვებს ასწორებდა, მას ცხვირიდან სისხლი წასკდა და იქვე განუტევა სული.

იონა ერთი საყურადღებო მოღვაწეთაგანია ჩვენი საეკლესიო მწერლობის ასპარეზზე, ეს რამდენადმე ზემომოყვანილ იამბიკოდან და სიგელიდანაც ნათლად ჩანს, მაგრამ მის დამსახურებას ამ მხრივ უფრო ნათლად წარმოვიდგენთ, თუ მის შრომებს გავითვალისწინებთ. სია მისი შრომებისა ჩვენ გვხვდება ზოგიერთი მისი თხზულების წინაფურცელზე. აი ეს სია ხელნაწერით S 279: 1) ღვთისმეტყველება სამნაწილედი, 2) ქადაგებანი კვირიაკეთა და დღესასწაულთანი, 3—5) კატეხიზმო დიდი, ვრცელი და შემოკლებული, 6—13) განმარტებანი: მოსეს ხუთთა წიგნთა, ისუ ნავესი და მეფეთა წიგნთა, ნეშტთა წიგნისა, იობისა, იგავთა სამი წიგნითურთ, ისო ზირაქისა, ათექვსმეტთა წინასწარმეტყველთა და ფსალმუნთა, 14) ათი მცნების და ცხრა ნეტარების წიგნი, 15) ქართულსა ენასა ზედა წირვა-ლოცვის მოსმენის წიგნი, 16) წიგნი ამაოებისა, 17) წიგნი ქორწინებისა, 18) წიგნი უხრწნელის საზრდელისა, 19) იფქლ-ღუარძლის განმარტების წიგნი, 20) არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თჳსსა მამულსა, 21) ქრისტეს მოყუარის მხედრობის წიგნი, 22) სარკე სულიერი მემხოლოეთი, 23) მაკაბელთა წიგნების გასაღები, 24) უსვინდისოჲას მხილების წიგნი, 25) არაგანკითხვის წიგნი, 26) ღაიკანელთა ნერსესისადმი სიტყჳსგება, 27) წირვის განმარტების წიგნი, 28) მელქისედეკის მღვდელობის წიგნი, 29) მოძღვრისაგან სულიერ მოწაფის სარჩევლა, 30) იონა მოხუცებულის წიგნი, 31) ასოთა და გუამთა განმარტების წიგნი, 32) ალფა-ვიტა, ანბანზე ასხმული წიგნი, 33) მეფის ძის იოანეს 34 შეკითხვის წიგნი, 34) ორენა კაცის წიგნი აკრძალვისა, 35) წიგნი წყლულებისა, ესე იგი არს ხოლერისა, 36) წიგნი კაცის ცნობისა, 37) ლექსიკონი შავად დაწერილი, 38) ხელმძღვანელი სიბრძნისადმი, 39) ანდერძიერი გინა კურთხევიერი, 40) წიგნი მასწავლისაგან მოსწაულისადმი, 41) წიგნი სოფლით ცხოვრებისა, 42) გოდება (H 313), 43) რონინი (S 288), 44) ასოთა და გუამთა განმარტების წიგნი, 45) ალფავიტა ანბანზე ასხჳული წიგნი (224 ქუთ. მუზ.).

საყურადღებო თხზულება იონასი არის «ღვთისმეტყველება სამნაწილედი», დაწერილი 1815 წელს. ის მართლაც სამი ნაწილისაგან შედგება: ბუნებითი ღვთისმეტყველება, განცხადებითი ღვთისმეტყველება და ზნეობითი [1].

[1] A 13.

შედგენილია ალექსანდრე ნეველის აკადემიის პროფესორთა ლექციებისა და საერთოდ იმდროინდელი რუსული ღვთისმეტყველების ძლიერი ზეგავლენით.

საყურადღებოა აგრეთვე ქადაგებანი იონასი; შენახულა სულ 54 ქადაგება-მოძღვრება [1], რომელთაგან 10 სხვადასხვა შემთხვევის გამოა წარმოთქმული, ხოლო 44—კვირა დღეებზე, აღდგომიდან ვნების კვირიაკემდე. ეს ქადაგებები მას წარმოუთქვამს პეტერბურგს, დედოფალთა და ბატონიშვილთა კარის ეკლესიაში. ქადაგებები სქოლასტიკურია, როგორც აწყობით, ისე ენითა და ტექნიკით; ავტორი სარგებლობს საღვთო წერილით, დოგმატიკითა და ფილოსოფიით.

წიგნი «მართლმადიდებელთა ქორწინებისა», ამბობს ავტორი შესავალში, «მეტყუელებს საღვთოთა შეუღლებულთათჳს საღვთოთა თანაშრომებათა» (ხელნაწერი S 279), ის იონას შეუდგენია 1832 წელს იანვარში და მიუძღვნია იოანე ბატონიშვილისათვის. თხზულება წარმოადგენს საღმრთო წერილიდან ქორწინების შესახებ ციტატების ამოწერას და მათ განმარტებას.


თხზულებაში, რომელსაც ეწოდება «ორმეოცთათჳს შეკითხვათა მიგებანი, სრულიად იამბიკოდ თქმულნი», შეკითხვები ეკუთვნის იონას, ხოლო «მიგებანი»—გიორგი მეფის ძეს თეიმურაზს, მაგრამ გალექსილია ისინი იონას მიერ. «ესე კითხვა-მიგებანი არიანო», ამბობს თეიმურაზი, «საღმრთოთა წერილთაგან აღმორჩეულნი ღვთისმეტყველებანი ფილოსოფიურნი და ისტორიანი და სხუათა საგანთათჳსო» [2]. გამოსარკვევია მხოლოდ, რა დამოკიდებულება აქვს ამ თხზულებას იონას იმ შრომასთან, რომელსაც, ზემომოყვანილი ნუსხით, ეწოდება «მეფის ძის იოანეს ოცდაათოთხმეტთა შეკითხვათა წიგნი»?

---

[1] A 7, 1182.

[2] А. Цагарели, Сведения, III, 168—169.

ნაწილი მეორე



1. ბიბლიოლოგია

ბიბლიური წიგნების თარგმნა. ე ვ ა ნ გ ე ლ ე ან ს ა ხ ა რ ე ბ ა. ორი მისი უძველესი რედაქცია: ხ ა ნ მ ე ტ ი და ს ა ბ ა ნ წ მ ი დ უ რ ი. დ ა ვ ი თ ნ ი და მისი რედაქციები. წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ უ ე ლ თ ა წიგნი. მთლიანი ბ ი ბ ლ ი ა, მისი უძველესი, დღესდღეობით ცნობილი, რედაქციები. რა ენიდან ითარგმნებოდა ქართული ბიბლია? ბიბლიური კ ა ნ ო ნ ი. ქართული ბიბლიის გამოცემანი. ბიბლია, როგორც ლიტერატურული ძეგლი.

ყოველ ქრისტიან ერს, რომელსაც თავის ენაზე სასულიერო მწერლობა ჰქონია, ეს მწერლობა დაუწყია «საღმრთო წერილის» ან ბ ი ბ ლ ი ი ს, ქართულად — დ ა ბ ა დ ე ბ ი ს, თარგმნით. ეს გამოწვეული იყო უფრო პრაქტიკული მოსაზრებითა და საჭიროებით: საღმრთო წერილი შეადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს ლიტურგიკული პრაქტიკისას და უიმისოდ, განსაკუთრებით ძველად, როდესაც ღვთისმსახურებაში ჰიმნოგრაფიული ელემენტი ჯერ განვითარებული არ იყო, არავითარი წესის შესრულება არ შეიძლებოდა. ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც, საქართველოში, მით უმეტეს, რომ ქართული საეკლესიო მწერლობა დაიწყო მაშინ, როდესაც, ეფრემ მცირის სიტყვით, ეკლესიას «არარაჲ აქუნდა სხუაჲ საგალობელად საეკლესიოჲ, თჳნიერ ფსალმუნ̃თა წიგნისაჲ»[1]. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, საღმრთო წერილი ყველაზე ადრე ითარგმნა ქართულად. მართლაც, თუ პ ე ტ რ ე მ ა ი უ მ ე ლ ი ს ცხოვრებას დავუჯერებთ, პეტრემ ჯერ კიდევ შინ, კონსტანტინოპოლს გამგზავრებამდე, ესე იგი 424 წლამდე, «დაისწავა ყოველივე სწავლა და გულის-ხმის ყოფით აღმოიკითხაენ წმიდათა წერილთა და იწურთინ მათ დღე და ღამე»[2]. ეს ცნობაც რომ უბრალო აგიოგრა-

[1] «ძველი საქართველო», ტ. III, განყ. 1, გვ. 245.

[2] ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, გვ. 5.

ფიულ შაბლონად და რიტორიკად ჩაეთვალოთ, მატიანეს ცნობაც რომ უყურადღებოდ დავტოვოთ, ვითომც ვახტანგ გორგასალმა შეამკო მდიდრულად სახარება, რომელიც მეექვსე საუკუნეში ფარსმან მეფემ შიომღვიმის მონასტერს შესწირაო, ი ა კ ო ბ ცურტაველის თხზულება «მარტვილობა შუშანიკისი», ნათლად გვიმტკიცებს, რომ მეხუთე საუკუნის ნახევარში ქართულად უკვე არსებობდა ე ვ ა ნ გ ე ლ ი ან სახარება, პავლე მოციქულის ეპისტოლენი, საიდანაც იაკობს ციტატები მოჰყავს, და ასერგასი ფსალმუნისაგან შემდგარი დ ა ვ ი თ ნ ი. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ გვაქვს საბა განწმედილის ცნობა, რომ ქართველებს მის მონასტერში ნება ჰქონდათ თავის ენაზე სახარება-სამოციქულოს და ჟ ა მ თ ა შ ე დ ე გ ი ს, ანუ დავითნის, კითხვისა, აბაიორად, ყოველ ეშვს გარეშე უნდა იყოს, რომ უპირველესი და უძველესი ნაშთი ჩვენი მწერლობისა არის «საღმრთო წერილი», რასაც ურყეველად ადასტურებს ახლახან ნაპოვნი პალიმფსესტები, რომელნიც ბიბლიურ ტექსტებს შეიცავენ.

ბიბლია ორი ნაწილისაგან შედგება: იმაში მოთავსებულია ახლა 22 ძველი აღთქმის წიგნი, რომელნიც დაწერილი არიან ებრაულ ენაზე დაახლოებით IX საუკუნიდან (ძველი წელთაღ.) მესამემდე (ახალი წელთაღრ.) და 27 ახალი აღთქმისა (II — IV საუკ.). ქრისტიანებისათვის უფრო მნიშვნელოვანი იყო და არის ახალი აღთქმის წიგნები. ახალი აღთქმის წიგნების პირველ ნაწილს შეადგენს ოთხი ავტორის თხზულება: მათეს, მარკოზის, ლუკასი და იოანესი, რომელთა აღსანიშნავად ქართულად ორი ტერმინი იხმარება: ე ვ ა ნ გ ე ლ ი, რაც ბერძნული სიტყვაა, და ქართულად ს ა ხ ა რ ე ბ ა ს ნიშნავს; უკანასკნელი ტერმინი უფრო მიღებულია. როდესაც ოთხივე ავტორის ნაწარმოები ერთ წიგნშია მოქცეული, მაშინ თითოეული ამ ნაწარმოებთაგანი ც ა ლ კ ე თ ა ვ ა დ არის მიღებული და მთელ წიგნს ეწოდება «სახარება ოთხთავი». თავისთავად ცხადია, უველაზე ადრე ქართულად სახარება უნდა ეთარგმნათ. მართლაც, ახლახან აღმოჩენილი პალიმფსესტები უმთავრესად სახარების ტექსტს შეიცავს. შუშანიკის მარტვილობაშიაც ვკითხულობთ, რომ, როდესაც შუშანიკი წაიყვანეს პიტიახშ ვარსქენთან, მან «თანაწარიტანა ევანგელი თჳსი» [1], მაშასადამე, მას უკვე ჰქონია სახარება. პირველი პერიოდიდან ჩვენამდე შენახულა შემდეგი ნუსხები სახარებისა: შატბერდის ან ჰადიშის (897 წ.), ურბნისის (906 წ.), ოპიზის (913 წ.), ჯრუჭის (936 წ.) [2], სინას მთის ოთხი ცალი (Garitte-ს კატალოგით № 15 (978 წლისა) №№ 30, 38, (979 წლისა). № 16 (X ს.), წყაროსთავის X ს. ნახევრის (A 98); ქსნის X ს. ნახევრის (A 509) [3], პარხლის (973 წ.), სინას № 3 (978 წ.), ბერთას (988 წ.), ტბეთის (995 წ.), ცენტრარჩივის X ს. № 107.

რაც შეეხება სახარების ტექსტის რედაქციებად დაყოფას, ჯერ ამის გარკვევა მოუსურხებელია, ვინაიდან აღნიშნული ნუსხები შესწავლილი არაა. შეგვიძლია დავასახელოთ ორი ტიპილისტური რედაქცია მისი. გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ნათარგმნ სახარების ა ნ დ ე რ ძ ი ა ამბობს: «ჩუენნი ყოველნი სახა-

[1] ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, გვ. 16.

[2] ადიშის, ჯრუჭისა და პარხლის სახარებათა ტექსტი გამოსცა აკად. ა. შ ა ნ ი ძ ე მ («ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია», თბილისი, 1945 წ.).

[3] ი. ა მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქსნის ოთხთავის რედაქცია («ლიტერატ. ძიებანი», V, 291 — 321),

რებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა». ქართულ სამეცნიერო მწერლობაში ბევრი ულაპარაკნიათ ამ ტერმინების შესახებ. ხანმეტი ესმოდათ ჯერ როგორც გეოგრაფიული ტერმინი (ურდანია, ბაქრაძე), მერე როგორც ქრონოლოგიური (კ. კეკელიძე), უკანასკნელად, როგორც მუხლი, ტაეპი, სტიქი[1], მაგრამ გასაღები ამ ტერმინის გასაგებად მოგვცა ჩვენ ახლადაღმოჩენილმა პალიმფსესტებმა, რომელთა დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ფონეტიკურ-მორფოლოგიურად ხმარება ასო ხან-ისა (ხ), პრეფიქსის სახით ზმნებისა და შედარებით ფორმებში. როგორც პროფ ა. შანიძემ გამოარკვია, გიორგი თავის ანდერძში გულისხმობს სწორედ ასო ხ-ანით ზედმეტად (ხან+მეტი) შემკულ ტექსტებს[2], რომელნიც, რამდენადაც აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, IX საუკუნეში არ გადმოსულან. მაშასადამე, ხანმეტი არის ერთ-ერთი, შეიძლება ერთადერთიც, რედაქცია პირველი პერიოდის პირველ ნახევარში არსებული სახარებისა და, საზოგადოდ, ბიბლიური ტექსტისა. რაც შეეხება საბაწმიდურს, აქ იგულისხმება ის ტექსტი, რომელიც შემუშავდა საბაწმიდის ლავრაში, პალესტინაში, IX საუკუნიდან, როდესაც ქართული ლიტერატურის ცენტრი დამყარდა და გაიფურჩნა საბას ლავრაში[3]. მართალია, გიორგის ანდერძი სახარების შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ ტერმინებით ხანმეტი და საბაწმიდური აღინიშნებოდა, უეჭველია, ბიბლიისა და სხვა ჟანრის წიგნებიც. საბაწმიდური ტექსტი სახარებისა (საზოგადოდ ბიბლიისა), ჩვენ ვფიქრობთ, განირჩეოდა ხანმეტისაგან უმთავრესად ფონეტიკურად, იმაში ხ-ანები უკვე აღარ იხმარებოდა, ტექსტუალურად კი მათში განსხვავება ან არ ყოფილა, ან თუ იყო, იმდენად და იმ მიზეზით, რამდენადაც და რა მიზეზით თვით ხანმეტ ტექსტებში[4]. შესაძლებელია, ამ საბაწმიდურ ტექსტებს ფონეტიკურად ახასიათებდა ხ-ანის მაგიერ ჰ-აეს ხმარება.

ჩვენი მწერლობის ისტორიის მეორე პერიოდში ძველად ნათარგმნი სახარების ტექსტმა განიცადა ძირითადი ცვლილება. ვინაიდან აღნიშნული რედაქციები, უეჭველია, ბევრ რამეში განსხვავდებოდნენ იმ დროს კონსტანტინოპოლის ეკლესიაში მიღებული რედაქციისაგან, საჭიროდ დაუნახავთ დაახლოება ამ რედაქციებისა ბერძნულ ვერსიებთან. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია

---

[1] მსგავსად სპარსული chan, სემიტური beth, სომხური tunq-ისა, რაც სახლს ნიშნავს (ნ. მარი, «Христ. Вост»., I, 121).

[2] უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, «თბილ. უნივ. მოამბე», II 398 — 416.

[3] ოთხთავის გარდა საეკლესიო-საღვთისმსახურო პრაქტიკამ უძველესი დროიდან შეიმუშავა საგანგებო ტიპი სახარებისა, რომელსაც ეპარაკოსი ეწოდება (ბერძნული ტერმინი, შემოღებული არაბერძნებისაგან); ის წარმოადგენს ოთხთავიდან ამოკრებილ ადგილებს, კუპაურებს, ამა თუ იმ დღესასწაულზე წასაკითხავად. ეპარაკოსები ქართულ ენაზედაც ბევრი შენახულა, თუმცა პირველი პერიოდიდან იმდენი არა.

[4] მაგალითად, მათ VII. 5 — 15 ხანმეტ ტექსტში ორი სხვადასხვა რედაქციითაა წარმოდგენილი. ივ. ჯავახიშვილი, ახლადაღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, «თბილ. უნივერ. მოამბე», II, გვ. 376 — 380.

ექვთიმე ათონელმა, რომელსაც მოუცია ახალი რედაქცია სახარების ტექსტისა[1]. ექვთიმეს შრომა გაუგრძელებია გიორგი მთაწმიდელს. გიორგის სახარების ტექსტი სამჯერ შეუმოწმებია ბერძნულ ტექსტთან და მოუცია ახალი, დამოუკიდებელი, რედაქცია, რომელმაც საქართველოში მოიპოვა კანონიკური ღირსება და მნიშვნელობა ქართული ვულგატისა[2]. გიორგის შემდეგ იყო კიდევ ერთი ცდა სახარების ტექსტის გადმოღებისა, ის ეკუთვნის იოანე ჭიმჭიმელს, რომელსაც გადმოუღია ოთხივე მახარებლის თხზულება. მისი შრომა გამოწვეული იყო არა წმიდა ბიბლიოლოგიური მოსაზრებით, არამედ სპეციალური ეგზეგეტიკური: მან, როგორც ვიცით, გადმოთარგმნა თეოფილაქტე ბულგარელის «განმარტება სახარებათა» და განმარტებასთან ერთად თვით ტექსტიც გადმოიღო. ამ შრომას, როგორც შემთხვევითი ხასიათისას, თან მეტად მძიმე და ხელოვნური, წმინდა პეტრიწონული ენით შესრულებულს, არ შეეძლო რაიმე მეტოქეობა გაეწია გიორგის რედაქციისათვის და ამიტომ ის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა ჩვენს მწერლობაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გაიოზ რექტორის ცდას ახალი აღთქმის წიგნების, მათ შორის სახარების, თარგმნისას რუსული ენიდან, რომელსაც საქართველომდე, მგონი, არც კი მოუღწევია, ჩვენ სხვა ცნობები არა გვაქვს, რომ ვისმეს კიდევ ეთარგმნოს ქართულად სახარება.

მეორე ნაწილს ახალი აღთქმის წიგნებისას ეწოდება სამოციქულო. იმაში მოთავსებულია: საქმე მოციქულთა, შვიდი პატარა, ე. წ. კათოლიკე ეპისტოლე, 14 ეპისტოლე პავლე მოციქულისა და აპოკალიპსი ანგამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა. უკანასკნელი ქართულად X საუკ. გასულამდე არც კი ყოფილა თარგმნილი, რაც შეეხება პირველ ორს, ძველად, პირველ პერიოდში მაინც, ისინი ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყვნენ. ამით აიხსნება, რომ ძველ, პირველი პერიოდის, ძეგლებში ჩვენ გვხვდება ამ ეპისტოლეთა აღსანიშნავად ორი ტერმინი: კათოლიკე და პავლე. პირველი აღნიშნავს წიგნს, რომელიც შეიდ პატარა ეპისტოლეს შეიცავს, მეორე — პავლე მოციქულისას.

---

[1] A 484. მესტიის სახარება 1033 წ. და მეტეხის სახარება 1049 წ.

[2] საინტერესო დეტალებს გადმოგვცემს ჩვენ გიორგის სახარების შესახებ ეგრეთ წოდებული ვანის სახარების (A 1335) მინაწერი. აქ ნათქვამია, რომ, როდესაც გიორგიმ სახარება გადმოთარგმნა, მისი საკუთარი ავტოგრაფი დადვეს იერიის მონასტრის დიდსა წიგნსაცავსა და მას ტყუილუბრალოდ აღარ ეხებოდნენ, ხოლო ავტოგრაფისაგან გადმოღებული პირი დადვეს ეკლესიაში ღვთისმსახურებისას საკითხავად და სახმარებლად და მას უწოდეს «საეკლესიო სახარებაჲ». ყველა ქართული სახარება, «მთაწმიდით აღწერილნი და გამოსრულნი». მომდინარეობენ არა გიორგის ავტოგრაფიდან, არამედ «საეკლესიო სახარებიდანაო». ამ ნუსხაში კი ბევრი ცვლილებაა გიორგის ავტოგრაფთან შედარებით, რომელიც ან მწერლის უნებლიეთი შეცდომაა, ანდა «სჯულობით», ესე იგი განზრახ, განგებ ვისგანმე შეტანილია. ამას გრძნობდნენ საქართველოში, ამიტომ ვინმე ზაქარია ბერს მთაწმიდაზე ყოფნისას მოუხერხებია გიორგის ავტოგრაფის ხელში ჩაგდება და გადმოწერა. ზაქარიას ნუსხიდან გადმოუღია პირი შატბერდელ ბერ სტეფანეს, ხოლო სტეფანეს ნუსხიდან გადმოუწერიათ ვანის სახარება XII საუკუნეში (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი, თბილისი. 1907 წ., გვ. 15 — 16). აქ მხოლოდ ერთი გაუგებრობაა: რად უნდა გადმოეღოთ გიორგის ოთხთაგიდან პირი «საეკლესიო სახარებაჲ», როდესაც ღვთისმსახურებაში სახმარებლად მან სიგანგებო ტიპის სახარება, აპრაკოსი, დაამუშავა და დაგვიტოვა?

ცვანის ხახარებაი (XII ს.)

და, მართლაც, უძველესი ნუსხა სამოციქულოჲსა[1], შეიცავს მხოლოდ პავლეს ეპისტოლეთ: რომაელთა, კორინთელთა 1 და 2, ებრაელთა, ტიტეს მიმართ, ტიმოთეს მიმართ მეორე, ფილიმონის მიმართ, ტიმოთეს მიმართ 1, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა და თესალონიკელთა მიმართ. ამ სამოციქულოჲს წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ მოციქულ პავლეს გარდაცვალებიდან მიმდინარე წლამდე, რომელიცაა მეოთხე წელიწადი არკადი კეისრის მეფობისა, ხოლო მესამე — ჰონორისა, გაეიდა 335 წელიწადიო. მაშასადამეო, ასკვნის თ. ჟორდანია[2], სამოციქულო ქართულად უთარგმნიათ არკადის მეოთხესა და ჰონორის მესამე წელს. ესე იგი 399 წელს ქრისტე შემდგომ. მართალია, როგორც შუშანიკის მარტვილობიდან ვგებულობთ, პავლეს ეპისტოლენი ქართულად V საუკუნეში უკვე ყოფილა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი 399 წელს ითარგმნა. საქმე ისაა, რომ ზემოთმოყვანილი დათარიღება ეკუთვნის არა ქართველს, არამედ იმ ბერძნული ნუსხის გადამწერს, რომლიდანაც მომდინარეობს, უშუალოდ თუ რომელიმე თარგმანის საშუალებით, ქართული ტექსტი. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ ამგვარი წინასიტყვაობა ჩვენ გვხვდება სხვა მწერლობაშიაც, მაგალითად. სომხურსა და სლავურში[3]. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ევთალი ალექსანდრიელის ეგრეთწოდებულ სტიხომეტრიასთან, რომელიც ქართულშიაც გადმოსულა (Migne, PG. t. 85, col. 713 — 714)[4].

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი პერიოდიდან სამოციქულოს ნუსხები ნაკლებად შენახულა ჩვენამდე, ამიტომ მისი ტექსტის შესასწავლად ისეთ პირობებში არ ვიმყოფებით, როგორც სახარებისა[5]. X საუკუნის გასულს ექვთიმე ათონელს თავისი კვალი სამოციქულოშიაც აღუბეჭდია. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მას გადმოუთარგმნია 975—975 წლებში აპოკალიპსი ან გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა, რომელიც წინათ ქართულ ენაზე არ ყოფილა. მასვე უთარგმნია გალატელთა, თესალონიკელთა და რომაელთა მიმართ ეპისტოლეთა ტექსტი მათ განმარტებასთან ერთად. ექვთიმეს მუშაობას ამ სფეროში შემთხვევითი ხასიათი აქვს, უფრო სერიოზული და თან სპეციალური შრომა გიორგი მთაწმიდელს გაუწევია აქ. მას, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, უთარგმნია «პავლე სრული და საქმე მოცი-

[1] A 345, ახლა S 1138.

[2] «Описание рук. Тиф. церкв. муз.», I, 330.

[3] «Описание славянских рукописей синодальной библиотеки», Москва, 1865 г., стр. 148—150, 151, 269, 320, 323, 325; «Описание рукописей Соловецкого монастыря», ч. I, стр. 176, 188.

[4] H. Goussen, Die georgische Bibelübersetzung, „Orlens Christianus", 1906. Sechster Jahr., S. 313 314.

[5] გარდა ზემოდასახელებული ნუსხისა, ჩვენ გვაქვს მეათე საუკუნის კიდევ შემდეგი ნუსხები სამოციქულოსი: ათონის № 42 (963 — 969 წლისა), სინ. მთის № 39, 974 წლისა (Garitte p. 152, 156) 977 წ. (Garitte p. 189—197), S 407, 1398, სეელისა (XI ს. ჭუთაისის მუზეუმის № 176). სამოციქულოდან გამოცემულია «საქმე მოციქულთა» 1) ფ. გარიტის მიერ და 2) ილ. აბულაძის მიერ (1950 წ.), ავრეთვე ქ. ლორთქიფანიძემ გამოსცა «ქართლიკე ეპისტოლეთა ვერსიები» (1956 წ.).

ქულთა და კათოლიკენი მოციქულთანი» (A 584). ხასიათი ამ თარგმანისა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, როდესაც გიორგის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვარკვევდით. გიორგიმ მთლიანად ვერ გასწყვიტა კავშირი ძველ ქართულ ტექსტთან და ბერძნული დედანი სისწორით ვერ გადმოსცა ქართულად. ეს მოხდაო, ამბობს ეფრემ მცირე, არა რაიმე სხვა მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ მას ზოგიერთი სიტყვა ძველი თარგმანისა «ძუელისა პავლისა წაყოლისაგან დაუტოვებიაო» («მიმომხილველი», I, 162). ამიტომ ეფრემს ზოგი სიტყვა გიორგისა შეუცვლია, მაგრამ ტექსტში კი არ შეუტანია, არამედ აშიაზე «იოტითა» გამოუტანია. ეფრემის რედაქციას ვერ განუდევნია ხმარებიდან გიორგის ტექსტი და არც ჰქონია მას ასეთი პრეტენზია. ასე რომ, კანონიკურ ტექსტად ჩვენში მაინც გიორგის ტექსტი დაიჩა.

ძველი აღთქმის ბიბლიური ტექსტიდან ჩვენ მოგვეპოვება სხვადასხვა ცალკეული წიგნი, როგორც, მაგალითად, წინასწარმეტყველები. მთლიანი ბიბლია 978 წლამდე არ გვხვდება, მაგრამ ის რომ ყოფილა, იქიდან ჩანს, რომ სინას მთის X საუკუნის ხელნაწერს № 92-ს ყდაზე გადაკრული ჰქონია ასომთავრულად დაწერილი ფურცელი ბიბლიის პირველი წიგნისა[1]. ახლადაღმოჩენილი პალიმფსესტები შეიცავს, სხვათა შორის, ფრაგმენტებს შესაქმეთა წიგნისას და იერემია წინასწარმეტყველისას. თავისთავად ცხადია, სანამ მთლიანად გადმოითარგმნებოდა ბიბლიის ძველი აღთქმის ნაწილი, გაჩნდებოდა მისი ცალკეული წიგნები.

ყველაზე ადრე ძველი აღთქმის წიგნებიდან, ეჭვს გარეშეა, უნდა გადმოთარგმნილიყო დ ა ვ ი თ ნ ი, ვინაიდან ძველად ღვთისმსახურებაში, სანამ ჰიმნოგრაფიული ელემენტი გაჩნდებოდა, ფსალმუნური სჭარბობდა, ღვთისმსახურება უმეტეს ნაწილად ფსალმუნთა გალობიდან შედგებოდა. შუშანიკის მარტვილობაში ვკითხულობთ, რომ მან «კელთა აღიხუნა დავითნი და მცირეთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნაო»[2]. მაშასადამე, V საუკუნეში ეს წიგნი ქართულად უკვე არსებობდა.

IX საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს პაპირუსზე დაწერილი ნუსხა დავითნისა, რომელიც ყველაზე უძველესად ითვლება. ამდენხანს ის სინას მთაზე ინახებოდა, დღეს კი დაკარგულია, გარდა რამდენიმე ფურცლისა, რომელიც პ ო რ ფ ი რ ი უ ს პ ე ნ ს კ ი ს წამოუღია სინას მთიდან 1850 წელს და ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო წიგნსაცავშია დაცული. პროფ. ა. ც ა გ ა რ ლ ი ს აღწერილობითაც შეგვიძლია დავინახოთ[3], რომ ფსალმუნები აქ წარმოდგენილია ჩვეულებრივი ზედწარწერით, აღნიშნულია თუ ვის ეკუთვნის ის (მაგალითად, «ფსალმუნი დავითისა»), რა მიზეზის გამოა დაწერილი («ფსალმუნი დავითისი დღესა მას, რომელსა იგი იქსნა უფალმან ქელთა[გან] საულისათა და ყოველთაგან მტერთა»), ნაჩვენებია მოკლედ შინაარსი ფსალმუნისა, მაგალითად, «მოლოდებაჲ სულისა წმიდისაჲ», «თქუა ეკლესიათა გამორჩევაჲ და დგომაჲ», «ქრისტჱს სიკუდილისათჳს და საფლავისა დაპყრობისათჳს და ერთა

[1] H. M a r r, Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме..., стр. 14; ვ ი ს ი ე ვ, Описание грузин. рукописей Синайского монастыря, стр. 267—8.

[2] ი ო. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა გვ. 35.

[3] «Сведения», II, стр. 51—53.

ყოველთა დაპყრობისათჳს», «წინაჱსწარმეტყუელებაჲ ქრისტჱს ვნებისაჲ და ჩინებაჲ წარმართთაჲ». ფსალმუნებს თანასდევს მათი აღრიცხვა. აგრეთვე იმაში ადგილი აქვს ეგრეთ წოდებულ «კანონებად» და «დიდებად» ლიტურგიკულ დაყოფას, რომელსაც ძველ ქართულ დავითნებში «განსუენებაჲ» ეწოდება [1].

მეორე უძველესი რედაქცია ქართული დ ა ვ ი თ ნ ი ს ა ჩვენ გვაქვს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერში A 38, რომელიც 904 წელსაა (და არა 974) გადაწერილი ასომთავრულად [2]. ეს მეტად საყურადღებო რედაქციაა იმ მხრივ, რომ ის წარმოადგენს დავითნის ერთგვარ სამეცნიერო გამოცემას, რომელიც გასაოცარი გულმოდგინებითაა შესრულებული. დავითნს წინ უძღვის «დავითის თქუმული»: «უმცირჱს ვიყავ მე ძმათა ჩემთა», მერე «თქუმული ნეტარისა ათანასი მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ, ვითარ იგი დიდითა წადიერებითა გულსმოდგინე ყოფილ არს გამოკულევად ძალსა ფსალმუნთასა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტოდმყოფი, სასჱ მადლითა სულისა წმიდისაჲთა, და მისაგან ზედამიწევნულ არს ძალსა ფსალმუნთასა დავითისთა გულისხმის ყოფადაჲ». ამ სტატიაში, რომელიც ბერძნულიდანაა ნათარგმნი [3], ჩვენ გვაქვს ისაგოგიკური ცნობები დავითნის შესახებ, თუ რა «ძალი» და მნიშვნელობა აქვს, ან რა სარგებლობა მოაქვს ამ წიგნს მკითხველთათვის, გაკეთებული აქვს ანალიზი მას შინაარსის მხრივ და გარკვეულია, რომელი ფსალმუნი ადამიანის ცხოვრების რომელ შემთხვევას შეესაბამება. მაგალითად, «უკუეთუ გინდეს, რაჲთამცა მოინატრე ვინმჱ», აიღე დავითნი და გამოირჩიე ის ფსალმუნები, რომლებიც იწყება სიტყვებით: «ნეტარ არს». ასეთებია: 1, 31, 40, 111, 118 და 127 ფსალმუნები. მოყვანილია ფსალმუნების «ზედწარწერანი», რომლებშიც ნაჩვენებია მათი ავტორები და საბაბი დაწერისა, აგრეთვე აღნიშნულია რამდენი ფსალმუნია დავითნში, რამდენი მუხლი თითოეულში და ყველაში ერთად. მოყვანილია აგრეთვე ლიტურგიკული გაყოფა დავითნისა, რომელსაც თანდართული აქვს შენიშვნა, რომელშიც მოხსენებულია, «ბერძული და იერუსალიმული» გაყოფა, ესე იგი ბიზანტიური და აღმოსავლური, ასეთი დასასრულით: «და არიან რომელნიმე ერთფერად და სწორად იერუსალიმელთაჲ და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნიცა». დავითნი თავდება ეგრეთ წოდებული «ბიბლიური ჰიმნებით», პასქალურ გამოანგარიშებათა თეორიით და ეპიფანე კვიპრელის თხზულებიდან ამოღებული ნაწყვეტით ებრაულ თვეთა და ძველი აღთქმის წიგნთა შედგენილობისა და გაყოფის შესახებ [4].

ყოფილა კიდევ მესამე განსხვავებული რედაქცია დავითნისა ქართულ ენაზე, როგორც ეს ჩანს შატბერდის კრებულში (X ს.) მოთავსებული ორმოცდამეათე

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველესი ქართული დავითნის ტერმინოლოგიისა და ტექსტუალური თავისებურებისა (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 120 — 122).

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მცხეთის დავითნის თარიღისათვის («ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», II, 339). აგრეთვე «ეტიუდები» III, 122 — 124.

[3] Epist. ad Marcellin.: M i g n e, PG. t. 27, col. 11—46.

[4] ვ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, I, 139 — 191; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 93 — 94; «Описание рукописей Тифл. церков. муз.», I, 29 — 34.

ფსალმუნიდან, რომლის ტექსტი არ უდგება ზემოაღნიშნულებისას. მაშასადამე, უკვე მეათე საუკუნეში ცნობილი ყოფილა რამდენიმე სხვადასხვა რედაქციის დავითნი, რომელთაც, როგორც ზემომოყვანილი სიტყვებიდან ჩანს, ქ ა რ თ უ ლ ი დ ა ვ ი თ ნ ი ეწოდებოდა [1]. ამრიგად, მართალი იყო გიორგი მთაწმიდელი, რომელიც ექვთიმე ათონელის შესახებ ამბობდა, რომ «მოიხუნა ქართული დავითნიო» და თავის საკუთარ დავითს უპირისპირებდა «ქართულ დავითს».

ამ ქ ა რ თ უ ლ ი დავითნის შეცვლა-გარდაქმნაზე უმუშაენია ჯერ კიდევ ექვთიმე ათონელს. გიორგი მთაწმიდლის მოწმობით, ექვთიმეს გადმოუთარგმნია «დავითნი» და მიუცია გადასაწერად ვიღაც მწერლისათვის, რომელმაც «განარყუნა და უკმარყო» იგი. ამის შემდეგ მას მეორედ აღარ უთარგმნია ის და, როდესაც დასჭირდებოდა, ქ ა რ თ უ ლ დავითნს მიმართავდა ხოლმე. ამიტომ მის შემდეგ ამ საქმისათვის ხელი მიუყვია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც, როგორც თავის ადგილას ვაჩვენეთ, დიდი გულმოდგინებით შეუწამებია ქართული ტექსტი ბერძნულისათვის და მოუცია ახალი რედაქცია დავითნისა, რომელმაც ეულგატის მნიშვნელობა მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში.

მეორე ძველი აღთქმის წიგნი, რომლის უძველესი თარგმანი შენახულა ჩვენამდე, არის წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ თ ა წიგნი, გადაწერილი პალესტინაში, ჯვარის მონასტერში, მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში [2]. ჩვენ ამ, შედარებით ახალ, ხელნაწერში გვაქვს თარგმანი არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა და, შეიძლება, უფრო ადრინდელიც. აქ მოყვანილია ჯერ 12 მცირე ან პატარა წინასწარმეტყველთა წიგნები და მერე ოთხი დიდისა, რომელთაც თან მისდევს წიგნი ბარუქისა, ნეემიასი და ეზდრასი.

ბიბლიის მთლიან ნუსხათაგან, რომლებიც ჩვენამდე შენახულა, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ეგრეთ წოდებული ათონის ბიბლია, გადაწერილი 978 წელს [3]. მ ო მ გ ე ბ ე ლ ი ამ ბიბლიისა, როგორც მისი მინაწერებიდან ჩანს, არის იოანე, თორნიკ-ყოფილი, ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელი და ათონის ივერიის მონასტრის ამშენებელი. ის გადაწერილია «ლავრასა შინა დიდსა უშჯს (=ოშჯს, სამცხეში და არა ათონზე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ) საყოფელ-

[1] მეათე საუკუნიდან სინას მთაზე ცნობილია ორი ცალი «დავითნისა» №№ 22, 29 (Garitte).

[2] А. Цагарели, Сведения, II, стр. 1—10.

[3] R. P. Blake, The Athos Codex of the Georgian Old Testament («Harvard Theolog. Review», XXII, 1929). 1849 წ. ათონზე საგანგებოდ წაიღეს პლ. იოსელიანი. რათა, მაშინდელი კავკასიის მმართველისა და სინოდის კანტორის დავალებით, გადმოეწერა ეს ბიბლია. მაგრამ, ვინაიდან იქ ამ დავალების შესრულება შეუძლებელი შეიქნა, მან გამოითხოვა ეს ხელნაწერი და მოიტანა საქართველოში, სადაც მისგან გადმოღებულ იქნა ორი პირი: ერთი სამეგრელოს მთავრის დაითი დადიანისათვის და მეორე სიონის საკათედრო ტაძრისათვის. დადიანის ნუსხა ინახება S ფონდში (№ 422), ხოლო სიონის ტაძრისა — A ფონდში (№ 471). უკანასკნელი უფრო სრული, ვიდრე დადიანისა. ორივე ნუსხა გადაწერილია 1851 წელს: სიონის — ნიკოლოზ კაკარავას მიერ, ხოლო დადიანისა — პეტრე ტაბლიაშვილის, მღვდელმონაზონ გრიგოლისა და იმავე ნიკოლოზ კაკარავას მიერ. გადაწერის შემდეგ დედანი დაუბრუნებიათ უკანვე ათონზე, სადაც დღესაც ინახება. მიმდინარე საუკუნის მეორე ათეულში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმმა ამ ხელნაწერიდან გადმოაღებინა ფოტოგრაფიული პირი, რომელიც აღნიშნულ მუზეუმში ინახება. ამ უკანასკნელიდან გადმოღებული პირი ჩვენშიაც მოიპოვება.

სა წმიდასა ნათლისმცემლისასა», სამი მწერლის ხელით: მიქელის, გიორგისა და სტეფანეს. გადაწერილია ის ასომთავრული ანბანით ორ წიგნად. მას აკლია შემდეგი წიგნები: რიცხვთა, მეორე სჯულისა, ისო ნაესი, ნეშტი, დავითნი და მაკაბელთა. სხვა წიგნებიდანაც, ფურცლების ამოცვენის გამო, საკმაო რიცხვი თავებისა დაკარგულია. წესრიგი წიგნების დალაგებისა და მათი თანმიმდევრობა სხვანაირია, ვიდრე ჩვეულებრივ ბიბლიაში. თავებად და მუხლებად წიგნები დაყოფილი არაა, წიგნი «ქება-ქებათაჲ» წარმოდგენილია დიალოგური ფორმით. ათონის ბიბლია არის ერთი უძველესი დათარიღებული ნუსხა, რომელიც ქართულ ენაზე შენახულა.

მეორე ძველი რედაქცია ქართული ბიბლიისა არის 1743 წელს ბაქარის მიერ მოსკოვში დაბეჭდილი ტექსტი. ამ გამოცემას საფუძვლად უძევს ისეთი ხელნაწერები, რომელთაც დაუცავთ უძველესი აღმოსავლურ-სირიული ტრადიციები ბიბლიის ტექსტისა. რა ხელნაწერები იყო ეს ხელნაწერები, სადაური ან როდის გადმოთარგმნილ-გადმოწერილი, ჩვენდა სამწუხაროდ, გამომცემელს ეს არ აღუნიშნავს.

მესამე, აგრეთვე ძველი რედაქცია ქართული ბიბლიისა შენახულა ეგრეთწოდებულ მცხეთის ბიბლიაში, რომელიც დღეს საქართვ. მუზეუმში ინახება (A ფონდი, № 51) და გადაწერილია მეთრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. გადაწერილია ის უძველესი ხელნაწერიდან, რომელშიაც ბიბლიის ტექსტი დაყოფილი არ ყოფილა თავებად და მუხლებად. ტექსტის შესახებ უნდა შეენიშნოთ, რომ ის აღმოსავლურ-სირიული ტრადიციების მატარებელია, თუმცა უფრო ხშირად ბერძნულ სეპტანტას მისდევს[1].

ბიბლიური ტექსტის განსაკუთრებულ რედაქციად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ორი ტექსტი, რომელიც შენახულა ხელნაწ. ინსტიტ. A ფონდის ხელნაწერებში № 570 (1460 წ.) და № 646 (XVI ს.). ამ ხელნაწერებში გვაქვს შემდეგი წიგნები: მეფეთა (ოთხივე), ნეშტთა (ორივე), ესთერის, ტობიასი, იუდითისი, ეზდრა-ზორობაბელისი და ნეემიასი. ალაგ-ალაგ ამათში მოყვანილია აკვილასა და სვიმახოსის ვარიანტები. თუმცა ამ ორი ხელნაწერის ტექსტი ზოგიერთ შემთხვევაში ერთიმეორისაგან განსხვავდება, მაგრამ, საერთოდ, ეს ერთი და იგივე რედაქციაა, რომელიც უფრო უახლოვდება მცხეთის ბიბლიას, ვიდრე ათონის ან მოსკოვის გამოცემისას[2].

ჩამოთვლილთ გარდა, ჯერჯერობით ჩვენ სხვა რედაქცია ბიბლიისა არ ვიცით. ასე რომ, ამთავად შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი რედაქციები ქართული ბიბლიისა, რომელნიც პირველი პერიოდიდან მომდინარეობენ, უმეტეს შემთხვევაში ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი წყაროებიდან, შეუსწორებლად, ანდა ბერძნული სეპტანტის შეჯერებით, რასაკვირველია, სხვადასხვა საზომით: იერუსალიმული (წინასწარმეტყველები), ათონური (978 წლისა), მცხეთური (A 51), მოსკოვური (1743 წ. დაბეჭდილი) და ჯანაშვილისეული (A 570, 646).

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, მიტროფანე ზმირნელ მიტროპოლიტისაჲ, გვ. LXXXI.

[2] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ნაშრომი, III, გვ. 37 — 70.

მეორე პერიოდში, მართალია, ექვთიმე და გიორგი ათონელებს, როგორც თაყის ადგილას აღვნიშნეთ, წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებისა, მთელი ბიბლია არ უთარგმნიათ, მაგრამ ცდა კი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი წიგნის გადმოთარგმნისა, რასაკვირველია, ბერძნული ენიდან. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ის ხელნაწერი, რომელიც განსვენებულმა თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა მ იპოვა თითქოს ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში, და რომელიც დღეს ხელნაწ. ინსტიტუტში ინახება (A ფონდი, № 1108) [1]. ეს ყოფილა დიდი წიგნი, გადაწერილი ქაღალდზე, in folio, მეთორმეტე საუკუნის ნუსხა ხუცურით, რომელშიაც საკმაოდ გამოსჭვივის ელემენტები მხედრული ანბანისა. ეს ხელნაწერი, რომელსაც ახლა აკლია თავშიც, შუაშიც და ბოლოშიც, მეტად დაზიანებულია. არის იმისი ნიშნები, რომ თავდაპირველად ის შეიცავდა ძველი აღთქმის თითქმის ყველა წიგნს, რომელთაგან დღეს დარჩენილა მხოლოდ «ლევიტიდან რუთამდე» და «წინასწარმეტყველები», ხსვა — დაკარგულა. ეს არ არის, ასე ვთქვათ, წმინდა ბიბლიოლოგიური ნაშრომი, ის უფრო ეგზეგეტიკურია, — წარმოადგენს დასახელებულ წიგნთა განმარტებას კ ა ტ ე ნ ე ბ ი ს სახით. აქ ასეთი სქემაა მიღებული: ხელნაწერის გვერდი, მთლიანად ან ნაწილობრივ, დაკავებულია ბიბლიური ტექსტით, რომელსაც აქ კ ი მ ე ნ ი ეწოდება და რომელსაც უკავია გვერდის ან შუანაწილი, ან მთელი განი, ხოლო მას მისდევს ამ ტექსტის განმარტება. სტილის მიხედვით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ტექსტი ნათარგმნია ეგრეთ წოდებული პეტრიწონული სკოლიდან გამოსული მწიგნობრის მიერ, შესაძლოა, თვით იოანე პეტრიწის მიერაც.

მეორე ამგვარი შემთხვევა და ამავე ხასიათის ცდა ჩვენ გვაქვს მიტროფანე სმირნელისა და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკურ თხზულებათა «თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ»-ს ქართულ თარგმანში, რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული[2]. ამ თხზულებაში განმარტებულია ეკლესიასტეს ტექსტი. ქართველ მთარგმნელს, ეგზეგეტიკურ ნაწილთან ერთად, ბერძნულიდან გადმოუღია ბიბლიური ტექსტიც. მთარგმნელი, რომელიც ჩვენ იოანე ჰიმჰიმელად მიგვაჩნია, არის მიმდევარი პეტრიწონული სკოლისა, რომლის ლიტერატურული ნორმები აქ უფრო ხაზგასმითაა წარმოდგენილი, ვიდრე ზემოაღნიშნულში. წიგნი ნათარგმნია სიტყვასიტყვით, როგორც ესა სჩვევიათ პეტრიწონული სალიტერატურო სკოლის მიმდევართ. ამ რედაქციაში შენახული ბერძნული ტექსტი და ის ტექსტი, რომლის გავლენა ოშკის ან ათონის რედაქციის ბიბლიას განუცდია, ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იმავე ბიბლიური ტრადიციის მატარებელი ყოფილა. მაგალითად, ეკლესიასტეს წიგნის პირველი თავის მეჩვიდმეტე მუხლში პეტრიწონისა და ოშკის რედაქციებმა არ იციან სიტყვები: καὶ καρδία μου ἰδεν πολλὰ σοφίαν καὶ γνῶσις [3]; არ იციან მათ აგრეთვე მეორე თავის მეხუთე მუხლის მეორე ნახევარიც.

[1] Р. П. Блэйк, О древне-грузинских версиях Ветхого завета, «Известия Кавказского Отделения Московского Археолог. Общества», вып. VI, Тифлис, 1921; მისივე, Ancient Georgian Version of the Old Testament («Harvard Theolog Review» XIX, 1926).

[2] თარგმანებაჲ ეკლესიასტესი მიტროფანე სმირნელისაჲ», 1920 წ.

[3] Migne, PG. t. 93, 492 C.

მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც რუსეთში გადატყორცნილი ქართველი მამულიშვილები იქ ქართული ბიბლიის გამოცემის თადარიგს იჭერდნენ, იმათ წინასწარ ქართული ტექსტი შეუდარეს სლავურ ტექსტს და იმის მიხედვით შეასწორეს ის, ხოლო ზოგიერთი წიგნი, რომლის თარგმანი ქართულ ენაზე მათ ვერ იპოვეს, ხელახლა თარგმნეს სლავურიდან, როგორც, მაგალითად, წიგნი ისო ზირაქისა და მაკაბელთა.

ამდენ ხანს ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ბიბლიის მთლიან ტექსტზე, მაგრამ მთლიანი ტექსტისა და წიგნების გარდა არსებობს ლიტურგიკული კრებულები, რომლებშიაც ამა თუ იმ წიგნიდან გამოკრებილი ადგილებია შეტანილი. როგორც სახარება-სამოციქულოდან ადგენდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურებისას სახმარებელ გამოკრეფილ ეგრეთწოდებულ აპრაკოსებს, ისე ძველი აღთქმის წიგნებიდანაც ადგენდნენ ღვთისმსახურებისას საკითხავ კრებულებს, რომელთაც სახელად ერქვა ლექციონარი, ანდა პროფიტოლოგიონი, ქართულად საწინასწარმეტყველო. ამგვარი ლექციონარის ნიმუშს წარმოადგენს, სხვათა შორის, ჩვენ მიერ გამოცემული «იერუსალიმის განჩინებაჲ და განწესებაჲ»[1]. ასეთი კრებული — საწინასწარმეტყველო, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმიდელმაც გადმოთარგმნა. ამ კრებულებში იშვიათად შეჰქონდათ მზამზარეული თარგმანიდან ადგილები, უფრო ხშირად მათ ხელახლა, დამოუკიდებლივ თარგმნიდნენ ხოლმე, მომეტებულ ნაწილად ბერძნული ენიდან. ასეთ კრებულებს ბიბლიის ტექსტის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ასეთია რედაქციები ქართული ბიბლიისა, ესე იგი ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წერილის წიგნებისა. ახლა უნდა დაისვას ერთი კარდინალური საკითხი: რა ენიდანაა გადმოთარგმნილი ქართული ბიბლია? რასაკვირველია, ეს საკითხი შეეხება პირველი პერიოდის ბიბლიურ ტექსტს და არა შემდეგი დროისას, როდესაც, დანამდვილებით ვიცით, ბიბლიურ წიგნებს ასწორებდნენ თუ თარგმნიდნენ ბერძნული დედნის მიხედვით, ხოლო უკანასკნელ დროს სლავურისა. პირველად ამ საკითხს შეეხო პროფესორი ბერძნული ენისა ვენის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის დოქტორი Fr. K. Alter-ი თავის გამოკვლევაში «Ueber georgianische Literatur», რომელიც 1798 წ. გამოვიდა. ალტერს აუღია მოსკოვის ბიბლია 1743 წლისა და თითოეული წიგნიდან, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმისა, მოუყვანია რამდენიმე ადგილი და შეუდარებია ბერძნულ, სომხურ და სლავურ ტექსტებთან. ჩანს, ალტერს ქართული ენა არ ცოდნია, როგორც საჭირო იყო ამ შემთხვევაში, და დაუხმარებია გრიგოლ ბაღინათი, ქართველი, რომელიც ქართულ ენას ასწავლიდა რომში, იქაურ საკონგრეგაციო სკოლაში de propaganda fidei. ამ შედარებიდან ალტერს გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ქართული ბიბლია გადმოთარგმნილია ბერძნული სეპტანტისა ანუ 70 თარგმანთა ტექსტიდან და გასწორებულია შემდეგში სლავური ბიბლიის მიხედვითო. ალტერის შემდეგ ქართული ბიბლიის საკითხს შეეხო ჰოლმეზი თავის «Praefatio ad Pentateuchum»-ში[2], რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ ქართული თარგმანი ძალიან ახლოს დგას ეგრეთ წოდებულ editio Romana ან სიქ-

[1] «Иерусалимский Канонарь VII века, груз. версия», Тифлис, 1912 г.

[2] «Vetus Testamentum», c. 4.

ს ტ ე ს გამოცემათა ტექსტთან, რომელთაც საფუძვლად უძევს ცნობილი ვატიკანის კოდექსიო. ამავე საკითხს მერე, შემთხვევით და არა სპეციალურად, შეეხო M. B r o s s e t--ი[1], რომლის აზრით ქართული ბიბლია, როგორც სლავური, ნათარგმნია ბერძნული სეპტანტიდან. პროფ. ა ლ. ც ა გ ა რ ლ ი ს აზრით, ქართული ბიბლია ნათარგმნია ბერძნული სეპტანტიდან, თუმცა მთარგმნელნი დროგამოშვებით, ალაგ-ალაგ, სომხურ ტექსტშიაც იხედებოდნენო[2]. ქართული ბიბლიის ბერძნული ტექსტიდან თარგმნას იცავდნენ ადგილობრივი მკვლევარნიც შემდეგი დროისა. იყო ჩვენს მეცნიერებაში მეორე შეხედულებაც, თითქოს ქართული ბიბლია სომხურიდან იყოს ნათარგმნი. პირველად ეს აზრი გამოთქვა, თუმცა ჯეროვნად ვერ დაასაბუთა, ისტორიკოსმა დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ[3].

ამ საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტისათვის საჭიროა შემდეგი პირობები: 1) საფუძვლიანი ცოდნა ძველი, კლასიკური ეპოქის ქართულისა, აგრეთვე ებრაულის, ასურულის, სომხურისა და ბერძნულისა. 2) ყოვლად შეუძლებელია ამა თუ იმ ტექსტთან შედარების დროს ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ნაბეჭდი ტექსტით, იქნება ის ქართული თუ უცხო. საქმე ისაა, რომ ნაბეჭდი ტექსტი ქართული თუ უცხო ბიბლიისა უცილოდ არ შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც ან რომლიდანაც გადმოთარგმნეს თავდაპირველად ბიბლია ჩვენმა წინაპრებმა. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ შემდეგ საუკუნეებში ქართული, ასურული და სომხური ბიბლია არაერთხელ შეუსწორებიათ ბერძნული ტექსტის მიხედვით, მაშასადამე, მეთოდოლოგიურად სწორი არ იქნება, თუ ახლანდელ, რამდენჯერმე შესწორებულ ქართულ ტექსტს ჩვენ შევუდარებთ უძველესს ასურულ-სომხურსა, ან, პირიქით, ახლანდელ ასურულ-სომხურს დავუპირისპირებთ უძველეს ქართულ ტექსტს. ჩვენ ხელთ უნდა გვქონდეს უძველესი, თუ პირველანდელი არა, მასთან დაახლოებული მაინც, ტექსტები, შეძლებისდაგვარად კრიტიკულად გამოცემული, ამ პირობებში შედარებაც მეცნიერული და მეთოდოლოგიურად მისაღები იქნება.

ამგვარ მუშაობას ხელი მოჰკიდა ნ. მ ა რ მ ა, რომელიც, როგორც დიდი ხნიდან დაინტერესებული ამ საკითხით, გაკვრით არაერთხელ შეხებია მას. უფრო გულდადებით ამ საკითხს ის შეეხო 1899 და 1903 წლებში, ათონსა და სინას მთაზე სამეცნიერო მოგზაურობის ანგარიშში, ხოლო სპეციალურად მისი რკვევა მან დაიწყო აკადემიურ ორგანოში «Христианский Восток», სადაც მოათავსა «Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин»[4]. მკვლევარი შედარების პროცესს აწარმოებს უპირატესად უძველესი ტექსტების ფარგლებში და შემდეგ დასკვნამდის მიდის: თავდაპირველად, არაუადრეს მეხუთე საუკუნისა, ბიბლია ქართველებს უთარგმნიათ ეგრეთ წოდებულ ს ვ ა ნ-მ ო ს ხ უ რ დიალექტზე, რომელიც ამ დროს, თუ სრულიად არა,

[1] Notice sur la Bible géorgienne imprimée à Moscou en 1742 an, «Journ. Asiatiq.» t. II, p. 42—50.

[2] «Сведения», I, 13 — 17.

[3] «ისტორია საქართველოსი», გვ. 172 — 174.

[4] ХВ., II, стр. 163—174, 263—274, 378—388; т. III, 249—262; т. IV, 229—245.

თვალსაჩინოდ მაინც გ ა ქ ა რ თ ე ბ უ ლ ი იყო. ეს ს ვ ან-მ ო ს ხ უ რ ი დიალექტი შეიცავდა ელემენტებს, ლექსიკურსა და ფონეტიკურ-მორფოლოგიურს, აწ არარსებული მესხური, აგრეთვე სვანური, ქართული და სომხური ენებისას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართული ბიბლიის უძველეს ტექსტებში ჩვენ ვპოულობთ როგორც სვანურ (მაგალ., ადიშის სახარება), ისე სომხურ სიტყვებსო [1]. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნ. მარმა თავისი შეხედულება ასე შეცვალა: ბიბლია, საღმრთო წერილი, პირველად ითარგმნა მეექვსე საუკუნეში ი ბ ე რ უ ლ ენაზე; ამ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგანაც შემდეგში ი ს გ ა დ ა ა ქ ა რ თ უ ლ ე ს ო [2]. ჩვენთვის ამ შემთხვევაში იმდენად საინტერესო არაა ნ. მარის ჰიპოთეზი ჩვენი პირვანდელი ბიბლიის სვან-მოსხურობის თუ იბერულობის [3] შესახებ. რამდენადაც დასკვნა მისი, რომ ენა, რომლიდანაც ქართული ბიბლია ითარგმნა თავდაპირველად, არის ს ო მ ხ უ რ ი ო. ამას, მისი აზრით, ამტკიცებს: 1) სომხური ფორმები საკუთარი სახელებისა, 2) მრავალი სომხური სიტყვა, უცვლელად და უთარგმნელად გადმოტანილი სომხური ტექსტიდან. 3) სომხური კილოს ფრაზები და 4) სომხური ტექსტუალური ვარიანტები. ნ. მარის მიერ განხილული ხელნაწერები შეიცავს, მისი სიტყვით, იმის დამამტკიცებელ საბუთებსაც, რომ ხელნაწერებში თავდაპირველი სომხური სიტყვები შემდეგი ეროის შემსწორებელთ წაუშლიათ და ზემოდან დაუწერიათ ან ქართული, ან ბერძნული შესატყვისები. მაგალითად, მათე XVIII, 24 სომხური ქ ა ნ ქ ა რ ი ს მაგიერ ბერძნული ტ ა ლ ა ნ ტ ი, ანდა იმავე მათე V, 26 დ ა ნ გ ი ს ა კ ო ტ ო რ ი გადასწორებულია კ ო დ რ ა ნ ტ ე დ. ასეთია ნ. მარის შეხედულება ბიბლიის ქართული თარგმანის შესახებ. ეს შეხედულება მცდარია: არ შეიძლება ისეთი წიგნის გადმოთარგმნისას, როგორიცაა ბიბლია, ქართველები დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ სომხური დედნით და არ მიემართათ, ი მ ი ს დ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ, თ უ ს ა დ ი თ ა რ გ ნ ე ბ ო დ ა შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი მ ი ს ი ნ ა წ ი ლ ე ბ ი, სხვა ენისთვისაც, განსაკუთრებით ბერძნულისათვის, რომელზედაც პირველად ითარგმნა (ძველი აღთქმა) და დაიწერა (ახალი აღთქმა) ბიბლიური წიგნები. მართლაც, უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ, უძველესი ბიბლიური ტექსტების გამოცემა-შესწავლასთან დაკავშირებით, გამოამჟღავნა ქართული ბიბლიის თავდაპირველ თარგმანში ბერძნული ელემენტებიც [4]. გამორიცხული არაა თარგმნის პროცესში სირიული დედნის გამოყენებაც.

---

[1] H. Marr, Из поездки в Сванию, «Христианский Восток», т. II, стр. 20—24; Грузинская поэма «Витязь в Барсовой шкуре» Шоты из Рустава и «новая культурно-историческая проблема», «Известия Академии наук», 1917 г., стр. 439—442; К дате эмиграции Мосохов из Армении в Сванию, «Известия Академии Наук», 1917 г., стр. 1689 — 1691.

[2] Die Georgische Sprache.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, «თბილ. უნივერ. მოამბე», II, გვ. 354 — 360.

[4] იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები, ე ნ ი მ კ ი-ს «მოამბე», XIV, გვ. 93 — 117.

მეოცე საუკუნეში ევროპაშიაც ცხოველი ინტერესი გააღვიძა ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნის საკითხმა. ამ საკითხს წერილი უძღვნა 1904 წელს ჟურნალ «B e s s a r i o n e»-ში

საუკუნეთა განმავლობაში ქართული ბიბლია არაერთხელ შესწორებულა. ეს შესწორება დასრულდა მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი ათონელის ხელ-ქვეით.

ბერძნული სეპტუაგინტა (ბერძნული თარგმანი ძველი აღთქმის წიგნებისა, შესრულებული გადმოცემით მესამე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე ქ. ალექსანდრიაში იქაური ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელთათვის 70 მთარგმნელის მიერ) პირვანდელი სახით არ შენახულა, ის დაყოფილა სამ უმთავრეს რედაქციად. ბიბლიოლოგიის ყურადღება ახლა მიქცეულია იქითკენ, რომ ეს თარგმანი როგორმე აღდგენილ იქნეს, ამას კი შესაძლებლად ცნობენ სხვადასხვა ენაზე ნათარგმნ ტექსტთა მეოხებით, რომელთაც, უეჭველია, საფუძვლად დაედო ერთერთი ქვემოდასახელებულ სამ რედაქციათაგან. ეს რედაქციებია: ორიგენის ჰექზაპლები (ἑξαπλᾶ), რომელიც პალესტინაში იყო გავრცელებული, ლუკიანეს, ანტიოქელი მღვდელმოწამისა მეოთხე საუკუნეში, რომელსაც ეწოდება κοινή და მიღებული იყო ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, და ისეიქი ალექსანდრიელისა, რომელიც ალექსანდრიაში იყო მიღებული. ამ სამი რედაქციისაგან რომელს იღებდნენ საფუძვლად ქართუ-

---

(ser. II, 6) ცნობილმა A. Palmieri-მ, რომელიც ემყარება ალ. ხახანაშვილის ცნობებს ქართული ბიბლიის ბერძნულიდან წარმოშობის შესახებ. უფრო ვრცლად და საფუძვლიანად საკითხი განიხილა Dr. Goussen-მა, რომელმაც 1906 წ. «Oriens Christianus»-ში (sechster Jahrgang) მოათავსა წერილი: «Die georgische Bibelübersetzung»-ი (S. 300 — 318). ავტორი ემყარება მხოლოდდამხოლოდ ნ. მარის შრომებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ქართული ბიბლია სომხურიდანაა ნათარგმნი. ამ გარემოებას ის იყენებს იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ ქრისტიანობა და საეკლესიო ცხოვრება საქართველოში სომხეთიდან შემოვიდა. Goussen-ის აზრი 1910 წ. გაიმეორა T. Kluge-მ, რომელმაც დაუმატა, რომ ქართული ბიბლია უთარგმნიათ არა მარტო სომხურიდან, არამედ შემდეგში (შეიძლება უფრო ადრეც) ბერძნულიდანაცო («Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft», 1910, Elfter Jahrg. Heft. 2, S 161 — 166). Dr. F. Gonybeare-მ თავის სტატიაში — «The Georgian Version of the NT», რომელიც იმავე წელს მან მოათავსა დასახელებული ჟურნალის მესამე ნაკეთში (S 232 — 239), გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული ბიბლია გადმოთარგმნილია სირიულიდან და მერე შესწორებულა ბერძნულის მიხედვით. აზრი ქართული ბიბლიის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ საბოლოოდ განმტკიცდა ევროპაში და ის ადგილს პოულობს ისეთ სახელმძღვანელოებშიაც კი, როგორიცაა, მაგალითად, პროფ. Her. Jordan-ის «Geschichte der altchristlichen Literatur» (1911), S. 434 — 435. ნ. მარის შეხედულებას ქართული ბიბლიის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ არსებითად იზიარებდა პარეარდის უნივერსიტეტის პროფესორი R. P. Blake-ც თავის ბიბლიოლოგიურ შრომებში, რომელნიც შესავალში ჩამოვთვალეთ. მას ქართული სახარების ტექსტი, ადიშისა და ოპიზა-ტბეთის სახარებათა მიხედვით, გამოჰყავს ე. წ. კესარიული ტექსტიდან «via syriaca et armeniaca (The Caesarean Text of the Gospel of Mark («Harv. Theologic. Review», XXI, 1928), და The Old Georgian of the Gospel of Mark («Patrolog. Orientalis», XX, 3, 1928). ქართული სახარების შესახებ იხ. აგრეთვე Dr. Gr. Peradse. Die Probleme der georgischen Evangelienübersetzung («Zeitschrift fur die neutestamentliche Wiessenschaft», 1930, 29 Band., Heft 3/4. S. 304—309). Joseph Molitor, Die georgische Bibelübersetzung. Ihr Werdegang und ihre Bedeutung in Reutiger Sicht (Oriens Christian. Band 37); მისივე — Das Adysch-Tetraevangelium. Neu übersetzt und mit altgeorgischen Parallentexten verglichen (Oriens Christianos B. 37, 38, 39, 41).

ლი ბიბლიის თარგმნისას ან გასწორებისას? ვინაიდან ქართულ ეკლესიას იმთავითვე კავშირი ჰქონდა სირია-ანტიოქიასთან და VII — VIII საუკუნეებიდან კონსტანტინოპოლთანაც, სადაც მიღებული იყო ლუკიანეს რეცენზია, აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელებს თუ შემსწორებლებს ხელთა ჰქონდათ ამ რეცენზიის ტექსტი. ამ მოსაზრებას თვით ქართული ტექსტის შესწავლა ამართლებს: 1899 წელს გამოვიდა რუსი მეცნიერის М. Благовещенский-ს დისერტაცია «Книга Плач, Опыт исследования исагогико-экзегетического», რომელშიაც ავტორი არკვევს იერემიას გოდებას. ავტორს შეუსწავლია ყველა თარგმანი ამ წიგნისა და, სხვათა შორის, ქართული ტექსტიც ათონის 978 წლის ბიბლიიდან. მას ქართული ტექსტი შეუდარებია სამივე რეცენზიისათვის და იმ უცილობელ დასკვნამდე მიდის, რომ ქართულ თარგმანს საფუძვლად უძევს სომხური ტექსტი და ბერძნული ლუკიანეს რეცენზიითაო (стр. 192 — 221)[1]. ამრიგად, ქართული ბიბლია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ლუკიანეს რეცენზიის აღსადგენად.

გარდა სეპტანტისა, ესე იგი 70 მთარგმნელთა ტექსტისა, ბერძნულ ენაზე შემდეგშიაც უთარგმნიათ ებრაულიდან ბიბლია. ასეთ თარგმანთაგან ცნობილია მეორე საუკუნის სამი თარგმანი: აკვილასი, სვიმახოსისა და თეოდოტიანესი. ბერძნული ბიბლიის ისტორიაში ამ თარგმანებსაც მნიშვნელობა ჰქონდათ. სეპტანტის ხელნაწერების არშიებზე, ამა თუ იმ ადგილის გასწვრივ, ხშირად ვხვდებით მინაწერებს იმის შესახებ, თუ როგორ იკითხება ეს ადგილი უკანასკნელ თარგმანებში. ქართული ბიბლიის ხელნაწერებიდან ჩანს, რომ, როდესაც ქართულ ტექსტს ბერძნულს უდარებდნენ, ასეთი შენიშვნები ქართულშიაც გადმოჰქონდათ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, მაგალითად, 4 — მეფეთა, X, 30 აქვს აკვილას ვარიანტი (A' 570, 646, X, 27 — სვიმახოსისა, XI, 4— აკვილა-სვიმახოსისა, XI, 8 — აკვილასი, XI, 18 — აკვილასი, XI, 19 — აკვილასი XII, 5 — აკვილასი და სვიმახოსისა, XIV, 29—აკვილა-სვიმახოსისა, XV, 5— აკვილასი, XVII, 9—10 — აკვილა-სვიმახოსისა 3 XVIII, 4— სვიმახოსისა[2] და სხვ.

ერთ-ერთ უმთავრეს ბიბლიოლოგიურ საკითხად ითვლება საკითხი საღმრთო წერილის კანონის შესახებ, ესე იგი — როგორ შეიქმნა კანონი, როდის დასრულდა ის და რა შემადგენლობისა იყო? აღნიშნული საკითხი ქართველებ-

[1] გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენში ორიგენის პეგზაპლებსაც იცნობდნენ ჯერ კიდევ მეათე საუკუნის გასულამდე. მართლაც, არსენ იყალთოელი გიორგი მონაზონის «ქრონოგრაფის» თარგმანში, მოიხსენიებს რა ორიგენის «ექუსკეცად სახელდებულთა მათ წიგნთა, ესე იგი — პეგზაპლებს, შენიშნავს სქოლიოში ««ექუსკეცად» მათ წიგნთა იტყჳს ორიგენისთა, რომელთა ქართულად «ექუსშთასაველედ» იტყჳან, ხოლო «ექუსშთასაველედსა» «ექუსკეცი» უმართლე არს, ვინაჲთგან ექუსგზის დაწერა ყოველი სიტყუაჲ მასუე და ერთს» წიგნსა შინა. და თჳთ ბერძულად ცხადად «ექუსკეცენი» პრქჳან მათ წიგნთა, ხოლო «ექუსშთასაველი» თუ სადაჲთ არს, არა ვიცი, ნუუკუე და სხჳსა რომელსამე გარემოსა ენისგან» (ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოღრაფი გიორგი მონაზონისა, გვ. 23). მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნემდე, როდესაც არსენი ამ სიტყვებს წერდა, ორიგენის პეგზაპლები საქართველოში ცნობილი იყო «ექუსშთასაველედის» სახელით, არსენს კი ამის ნაცვლად «ექუსკეცი» შემოუღია.

[2] მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, III, გვ. 46 — 51.

საც აინტერესებდა და ისინიც თვალყურს ადევნებდნენ მის ეხსნა-განმარტებას. ჩვენი მწერლობის პირველსავე პერიოდში ჩვენებს შეგვნებული ჰქონიათ — რა არის კ ა ნ ო ნ ი კ უ რ ი და ა რ ა კ ა ნ ო ნ ი კ უ რ ი წიგნები. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა «ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანნი, არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა» (გვ. ლთ). აქ «დაბეჭდულად» და «დაუბეჭდველად» იგულისხმება კანონიკური და არაკანონიკური წიგნები. საყურადღებოა ამ მხრივ სინას მთის ერთი ქართული ხელნაწერი მეათე საუკუნისა, სადაც ჩამოთვლილია «დაბეჭდულნი» წიგნნი ძველისა და ახალი აღთქმისა[1]. «წიგნნი ბეჭდულნი ძუელისა შჯულისანი: დაბადებაჲ, რომელ არს შობათაჲ, გამოსლათაჲ, ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორჱ შჯული, ისუ ნავჱსი, რუთისი, მეფეთაჲ ა, ბ, გ, დ, ნეშტთაჲ, ა, ბ, ეზრაჲ გ, დანიელი და ესთერ ბარტოკე, ფსალმუნთაჲ, იგავთაჲ და მრავალმასწავლელისა, ზირაქის წიგნი, ეკლესიასტჱ, ათორმეტთა წინაჲსწარმეტყუელთაჲ, ესაიაჲ, იერემიაჲ, ბარუქ და გოდებანი, ეზეკიელი, იობი; ახლისა აღთქუმისანი: სახარებაჲ ოთხთაჲი — მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე. პავლჱ ებისტოლჱ იდ, საქჰჱ მოციქულთაჲ და კათოლიკენი»[2]. ხელნაწერში, რომელიც ასომთავრულადაა ნაწერი, შემდეგ ნუსხა-ხუცურით შეტანილია შესწორებანი და დამატებანი. თვითონ ეს ნუსხა მეტად საყურადღებოა ჯერ ერთი იმით, რომ აქ წიგნები ჩამოთვლილია არა საზოგადოდ მიღებული წესით, არამედ ცოტა არეულად, მეორე — დ ა ბ ე ჭ დ უ ლ წიგნთა რიცხვში აქ შეტანილია წიგნი ზირაქისა და ბარუქისა, რომელნიც საზოგადოდ დ ა უ ბ ე ჭ დ ე ლ ად ითვლებიან, ხოლო ახალ აღთქმის წიგნთა შორის მოხსენებული არაა ა პ ო კ ა ლ ი პ ს ი ან გ ა მ ო ც ხ ა დ ე ბ ა იოანესი, რომელიც ქართულად ითარგმნა მხოლოდ მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში.

დასასრულ, საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ მოკლე ცნობები ქართული ბიბლიის გამოცემების შესახებ. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ მთლიანი ბიბლია დაიბეჭდებოდა, გამოიცა მისი სხვადასხვა წიგნი. მაგალითად, 1705 წელს მეფე არჩილმა მოსკოვის სახელმწიფო სტამბაში დაბეჭდა დავითონი, 1709 წელს ვახტანგ მეექვსემ დაბეჭდა თბილისის სტამბაში სახარება, მღვდელმონაზვნის ნიკოლოზ ორბელიანის მიერ გასწორებული, და სხვ. მთლიანი ბიბლიის გამოცემის თადარიგს შეუდგა არჩილ მეფე რუსეთში გადასახლების შემდეგ. მან შეაგროვა ქართული ნუსხები საღმრთო წერილის წიგნებისა, წესრიგში მოიყვანა ისინი, შეუდარა სლავურ ბიბლიას, მოსკოვში 1663 წელს გამოცემულს, საიდანაც მან ხელახლა გადმოთარგმნა ორი წიგნი: ისო ზირაქისა და მაკაბელთა, ვინაიდან ეს წიგნები ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა, და, სლავურისავე მიხედვით, თავებად დაყო ბიბლიური წიგნები. საფიქრებელია, ვახუშტიმ შესადარებლად გამოიყენა ის შესწორებანიც, რომელნიც თეოფილაქტე ლოპატინსკიმ შეიტანა 1663 წ. სლავურ ბიბლიაში მე-18 საუკუნის დამდეგს. თავისი შრომის დაბეჭდვა

[1] ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 57.
[2] სინ. № 34, ფ. 203.

ფეხის ხახარგბაი (XII ს.)

Фиг. 1 (XII) Чорфорин чорба

არჩილმა ვერ მოასწრო. ამ საქმის სისრულეში მოყვანა იკისრა ვახტანგ მეფის შვილმა ბაქარმა, რომელმაც მიანდო თავის განათლებულსა და ნასწავლ ძმას, ვახუშტი ბატონიშვილს, გადაეთვალიერებია არჩილის შრომა, შეედარებია ის ხელახლა სლავური ბიბლიისათვის და შეესწორებია ყველა დეფექტი, რაც არჩილის შრომას თანსდევდა. ვახუშტიმ ისეთივე ერთგულება და პეჯითობა გამოიჩინა ამ საქმეშიც, როგორიც მას ყველგან და ყოველთვის ახასიათებდა. მან შეასწორა თითქმის ყველა წიგნი, წიგნები დაყო თავებად და მუხლებად სლავურის მიხედვით და მოამზადა დასაბეჭდად. ვინაიდან რუსეთის მთავრობამ ბაქარს არ მისცა საჭირო თანხა ამ მონუმენტური ნაშრომის დასაბეჭდად, ბაქარმა თვით, საკუთარი ხარჯით, დაბეჭდა ის მოსკოვის მახლობელ სოფელ ვესესვიატსკოეში 1743 წ. იოსებ სამებელის მიერ გამართულ სტამბაში. ამ გამოცემას ეწოდება «ბაქარის ბიბლია» ან მოსკოვის გამოცემა[1]. მიუხედავად იმისა, რომ გამომცემელნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ გამოცემა უნაკლო ყოფილიყო, მაინც ვერ აიცილეს თავიდან ზოგიერთი მსხვილი დეფექტი. ჯერ ერთი, ისინი მეტად მონურად მისდევდნენ სლავურ ტექსტს და ქართული ენის ბუნებას ხშირად ღალატობდნენ. მეორე, რაც უფრო სავალალოა, მათ სლავური ენა არც ისე ზედმიწევნით იცოდნენ, ამიტომ ზოგიერთი ადგილი ვერ გაუგიათ სისწორით. მაგალითად: «цвет польный» (ქება-ქებათაჲ II, 1) მათ გაუგიათ როგორც полний და, «უყავილოჲ ველისაჲ»-ს მაგიერ, დაუბეჭდავთ «უყავილი სავსე»; 1 მეფ. XXVI, 1: «და მოვიდეს ზეფელნი ზ ნ ო ი ნ ი ს ა საულისა მიმართ», რაც უდრის სლავურ «изыдоша зифли от знойныя к Саулу», ძველებური არმაურის (A 51) მაგიერ. ისო ზირაქის XIII, 21, «ეგრეცა შესაპმელ არიან მდიდართა გლახაკნი», გადმოუციათ ასე: «ეგრეთვე პ ა ე ი თ ი[2] მდიდართა გლახაკნი», ვინაიდან სლავურში არის: «такожде пажити богатым убозии»; «ხოლო მისცეს პ ე ნ ა ზ ი ქვისმჭრელთა და ხუროთა» (1 ეზდრ. III, 7) — «и вдаша пенязи каменосечцем и древоделем». რაც უნდა იყოს, მოსკოვის ბიბლია მეტად მსხვილი და მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში.

1884 წელს თბილისში, ექეთ. ხ ე ლ ა ძ ი ს სტამბაში, მეორედ დაიბეჭდა მოსკოვის გამოცემა, რომელიც ბევრად ჩამორჩება პირველ გამოცემას, ვინაიდან, მოსკოვის გამოცემის დეფექტებთან ერთად, იმაში ჩვენ ვხედავთ ახალს, კორექტურულსა და ნებსითს, შეცდომებს. კრიტიკული გამოცემა ძველი ქართული ბიბლიისა შეადგენს ქართული მწერლობისა და მეცნიერების მორიგ კულტურულ საზრუნავ საგანს[3].

ბიბლიური «ძველი აღთქმის» წიგნები შეიცავს ებრაელების მითებს, გადმოცემა-თქმულებებსა და ლეგენდებს, მათი სოციალურ-პოლიტიკური, რელიგი-

[1] ამ გამოცემის შესახებ იხ. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს «რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში», «ლიტერატურული ძიებანი», X, გვ. 219 — 233.

[2] 1884 წ. გამოცემაში შეუცვლიათ «საძულელ»-ად, რაც დედანს სულაც არ უდგება.


[3] აკად. ა. შ ა ნ ი ძ ე მ წამოიწყო ოშკის ბიბლიის გამოცემა. ჯერჯერობით გამოცემულია ორი ნაკვეთი I ტომისა: დაბადებისა, გამოსლვათაჲ, ლევიტელთა, მსაჯულთა, რუთისა, იობისა, ფსალმუნი (1947 — 1948 წწ.).

ური და კულტურული ცხოვრების ისტორიას, ხოლო «ახალი აღთქმის» წიგნები აგვიწერს იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მისი მოძღვრების «მოციქულთა» ან მოწაფეთა მიერ გავრცელებას. ეს წიგნები, რომლებიც ყალიბდებოდა დაახლოებით ცამეტი საუკუნის მანძილზე, საფუძვლად დაედო ქრისტიანობას და ამიტომ მთელ საქრისტიანოში, კერძოდ ჩვენშიაც, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ცხადია, ამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში აღმოცენებულ წიგნებში ჩვენ ვერ ვიპოვით საერთო იდეოლოგიას, მაგრამ მათ სტრიქონებში ნათლად ჩანს მათი ავტორების მსოფლმხედველობითი მიმართულებანი და ისმის გამოძახილი იმ მწვავე კლასობრივი და იდეოლოგიური ბრძოლებისა, რომელნიც აღელვებდნენ მათ წარმომშობ ეპოქებს.

მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით ეს წიგნები ერთნაირი არ არიან, მათი დიდი ნაწილი «ლიტერატურის», როგორც მხატვრული შემოქმედების, გარეშე დგას, მაგრამ არის მათ შორის ისეთებიც, რომელნიც პოეზიის ნამდვილ ნიმუშებს შეიცავს. ამ მხრივ უფრო საინტერესოა კრებული ლირიკული ლექსებ-ფსალმუნებისა, რომელნიც ებრაელთა მეფის დავითის სახელს ატარებს («დავითნი»), და წიგნი «ქება-ქებათაჲ», ეს ნამდვილი ჰიმნი ქალისა და ვაჟის სიყვარულისა. ლიტერატურის ისტორიაში, როგორც ყველგან საერთოდ, ისე ჩვენშიც, ბიბლიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მან მისცა ძველ სასულიერო მწერლობას ნიმუშები ლიტერატურული ჟანრებისა, პოეტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქნილი, დახვეწილი პროზაული ენისა. ძველი მწიგნობრები ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვის ხერხებსა და შემოქმედების ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალური საქმიანობის განვითარებისათვის. ისინი ცალი თვალით იყურებოდნენ ბიბლიაში, სადაც პოულობდნენ საჭირო ნიმუშებს, მათ მეხსიერებაში ინახება ძველისა და ახალი აღთქმის ისტორიის სახეები, მათ მტკიცედ ახსოვთ ციტატები «საღვთო წიგნებისა», მათი შედარებანი და სტილისტიკური ფორმულები. ბიბლიური წიგნები იძლეოდა სიუჟეტებს არა მარტო ძველი, არამედ ახალი დროის ლიტერატურისათვისაც [1].

---

1 შეად. К. Кекелидзе, Конспективный курс истории древне-грузинской литературы, 1939 г., стр. 12.



2. აპოკრიფები

წარმოშობა აპოკრიფული მწერლობისა. ინდექსი ქართული აპოკრიფებისა მეათე საუკუნიდან. მისი განვითარება შემდეგ საუკუნეებში. ძველი აღთქმის აპოკრიფები ქართულად: ადამის წიგნი და ევრეთ წოდებული ნებროთის წიგნი. ახალი აღთქმის აპოკრიფები: ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს შესახებ; მოციქულთა აქტები: იოანესი, პეტრესი, თომასი, ანდრიასი, პავლესი, იაკობისი, მარკოზისი, ტიმოთესი. აპოკრიფული ცხოვრება-მარტვილობანი. აპოკრიფული მარგალიტი. აპოკრიფული ელემენტები ეკლოგიონში.

ბიბლიის დაბეჭდილსა და დაუბეჭდველ, ესე იგი კანონიკურსა და არაკანონიკურ, წიგნებთან დაკავშირებულია ევრეთ წოდებული აპოკრიფები. ბიბლიაში ბევრი ამბავი და მოთხრობა ამა თუ იმ პირის შესახებ მხოლოდ აღნიშნულია, ასე ვთქვათ, დაწყებულია, და დამთავრებული არაა. ეს გარემოება საღმრთო წერილის წიგნების მკითხველებს ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, მათში იწვევდა სურვილს — ამოესებული ყოფილიყო როგორმე ბიბლიაში ის ცარიელი ადგილები, რომელიც მათ ცნობისმოყვარეობას ასე აღიზიანებდა. მაგალითად, თუ ავიღებთ იესო ქრისტეს ცხოვრებას, 12 წლიდან მოყოლებული 30 წლამდე, როდესაც ის ნათლისღების შემდეგ, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა, მის შესახებ არაფერი არ ვიცით სახარებიდან. მორწმუნეთა შორის იმთავითვე აღმოჩენილან ისეთები, რომელთაც მოუსურვებიათ ფარდის ახდა ამ საიდუმლოებით მოცული პერიოდისათვის და, ვინაიდან სხვა არავითარი წყარო მათ არა ჰქონდათ, საკუთარი ფანტაზიის წყალობით შეუთხზავთ ქრისტეს ბავშვობის თავგადასავალი.

ამ გზით წარმოიშვა განსაკუთრებული დარგი მწერლობისა, რომელსაც აპოკრიფული მწერლობა ეწოდება და რომელიც თავისებური პროტესტია ფეოდალური საზოგადოებრიობის გარკვეული ფენებისა, ოფიციალურ-ეკლესიური ტრადიციების წინააღმდეგ მიმართული. ეს დარგი ყველაზე უფრო განვი-

თარდა მწვალებელთა სკოლებში; მწვალებლებმა აპოკრიფულ ნიადაგზე შექმნეს თავისებური რომანები და მოთხრობები, ადვილად საკითხავი და საინტერესო მათი «მასობრივი» და «ხალხური» ხასიათის გამო. ამ რომანებსა და მოთხრობებში, რომლებშიაც მოცემულია ფანტასტიკური, მიმზიდველი პოეტური სურათები, მათ შეეტანეს თავიანთი ტენდენციები, აზრები და თეორიები. ვინაიდან ასეთ საინტერესო წიგნებს მკითხველები ხარბად ეწაფებოდნენ, მწვალებელთა რელიგიური და სოციალური აზრები ადვილად ვრცელდებოდა საზოგადოებაში. ამას ყურადღება მიაქციეს თავის დროზე ეკლესიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა, რომელთაც მორწმუნეებს აუკრძალეს ასეთი წიგნების კითხვა. რადგანაც ყველას არ შეეძლო ადვილად გაერჩია აპოკრიფული წიგნი ნამდვილისაგან, ბევრმა არ იცოდა რომელი წიგნია აპოკრიფული და რომელი არა, ეკლესია დროგამოშვებით აქვეყნებდა მორწმუნეთა და მკითხველთა საყურადღებოდ აპოკრიფული წიგნების ინდექსს ან ნუსხას.

თვით სიტყვა ა პ ო კ რ ი ფ ი წარმოდგება ბერძნული ἀ-ὁκρυφος-გან, რაც დ ა ფ ა რ უ ლ ს, საიდუმლოს ნიშნავს (მ ა რ კ. IV, 22, ლ უ კ. VIII, 17, კ ო ლ. II, 3). ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფში, რომელიც ქართულად ექვთიმე ათონელს უთარგმნია, ავტორი ამბობს, რომ ამ წიგნში მე ცოტა რამეს შემოვიტან იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებაც «წმიდათა მახარებელთა და მოციქულთაგან, მერმე წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათაგან... და რაედენიმე დ ა ფ ა რ უ ლ თ ა წერილთაგან თუ ვთქუათ, იგიცა ჴეშმარიტ და უცთომელ არს. რომელი... მამათა შეიწყნარეს და დაამტკიცეს, რამეთუ ესრეთ იტყჳს ნეტარი გრიგოლ ნოსელი: ესრეთ აღმომიკითხავს წიგნსა შინა დ ა ფ ა რ უ ლ ს ა, ვითაომედ წარჩინებულ იყო მოქალაქობასა მას შინა რჩულისასა და სახელოვან ქველის საქმითა მამაჲ ყოველადწმიდისა ქალწულისა მარიამისი»[1]. მეორე აპოკრიფის ბოლოში, რომელსაც ეწოდება «საკითხაჲი ადამ და ევასი სამოთხით გამოსლვისაჲ», ჩვენ ვკითხულობთ ქართველი მთარგმნელის შემდეგ მინაწერს: «ამას წიგნსა ეწოდების ბერძულად ა პ უ კ ო რ ო ფ ა, რომელ არს სამოძღუროთა კითხვაჲ და არა ყოელისა ერისა საამჯნო ყოფაჲ, უცებთა და უმეცართა, არამედ მეცნიერთა, ვითარცა რჯულისა კანონი»[2]. ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ ქართულად აღნიშნული დარგის მწერლობას ეწოდებოდა ან ა პ უ კ რ ო ფ ა, რაც ბერძნული სიტყვის ქართული გამოთქმაა, ანდა, თარგმნით — დ ა ფ ა რ უ ლ ი წიგნი, რომ ეს წიგნები, ქართველთა შეგნებით, არ ყოფილა დანიშნული საჯარო საკითხავად, ყველა უმეცართა და შეუგნებელთათვის, არამედ მოძღვართათვის, ესე იგი იმათთვის, ვისაც შეეძლო მათი ჯეროვნად გაგება, მოხმარება და სხვათათვის გადაცემა. ამათ გვერდით ცნობილი იყო მეორე კატეგორია არაკანონიკური თხზულებებისა, რომელთაც, მათი ზღაპრული, ლეგენდური ხასიათის გამო, ექვთიმე ათონელის ტერმინოლოგიით, «ნატყუარნი» ეწოდებოდა. ბოლოს და ბოლოს ამათაც აპოკრიფთა ინდექსში ათავსებდნენ.

აპოკრიფები ორგვარია: ძველისა და ახალი აღთქმისა, იმისდა მიხედვით—

[1] A 40. ფურც. 5a–b.
[2] A 153, გვ. 54.

ეკუთვნის ის ძველი თუ ახალი აღთქმის ავტორს, ანდა ძველი თუ ახალი აღთქმის ამბებს გადმოგვცემს. აპოკრიფული წიგნები და ადგილები მოიძებნება ჯერ კიდევ ბიბლიაში. დონ ბრუნო ქულ ლაკომბი თელის ძველი აღთქმიდან 115 აპოკრიფს, ხოლო ახლიდან — 99. ძველი აღთქმიდან აპოკრიფულად მიჩნეულია: მესამე და მეოთხე წიგნი ეზდრასი, მესამე და მეოთხე წიგნი მაკაბელთა, წიგნი ენუქისა, სოლომონის ფსალმუნები, იუბილეთა წიგნი, ანდერძი ათორმეტთა მამათმთავართა, ხილვა ისაიასი და სიბილას წიგნები. ახალი აღთქმის წიგნები ბევრია და იყოფა ოთხ კლასად: სახარებანი, საქმე მოციქულთა, ეპისტოლენი და აპოკალიპსები. ამათ გარდა, წმიდათა ცხოვრებიდან დაწერილა და შენახულა ბევრი აპოკრიფული თხზულება და თქმულება, რომლებშიაც ამა თუ იმ წმიდანის შესახებ ისეთი დაუჯერებელი ამბებია გადმოცემული, რომ ადამიანს ნამდვილ ზღაპარს მოაგონებს. ზოგიერთი აპოკრიფული ამბავი და ცნობა შემოდიოდა ჩვენში პილიგრიმთა და მოგზაურთა მეშვეობით. მაგალითად, ასეთი ცნობები საკმაოდ ფართო საზომით გვხვდება ჩვენ ტიმოთე გაბაშვილისა და იონა გედევანიშვილის «მიმოხილვა-მოგზაურობაში».

მომეტებული ნაწილი ქართულ ენაზე შენახული აპოკრიფებისა, როგორც დოკუმენტებიდანა ჩანს, შემოსულა ჩვენს მწერლობაში მისი ისტორიის პირველ პერიოდში. ასე რომ, უკვე მეათე საუკუნემდე ჩვენ საკმაოდ მდიდარი აპოკრიფული მწერლობა გვქონია.

მეათე საუკუნის გასულს ეს დარგი მწერლობისა ქართველებს თეორიულად, შეცნიერულადაც კი აინტერესებდა. ამის დამამტკიცებელია, სხვათა შორის, ის პასუხი, რომელიც ექვთიმე ათონელს მიუცია ერთ-ერთი პირის შეკითხვაზე ათონიდან საქართველოში. ეს დოკუმენტი გამოსცა პირველად მ. საბინინმა შემდეგი სათაურით: «თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ევთიმისი მთაწმიდელისა... ესე მცირედი კითხვა-მიგებაჲ მოსცა თეედორე ხუცესსა საბაწმიდელსა, რომელ იყო იგიცა მღუდელი კეთილი ქართველივე» [1]. ეს დოკუმენტი, საბინინის რედაქციით, ჩვენ ვიცით ხელნაწ. ინსტიტ. ორ სხვა ხელნაწერში (ფონდი A): ერთი XVI ს. № 450, მეორე—XIX ს. № 381. უკანასკნელს ბოლოში შენიშვნა აქვს: «ესე კითხვა-მიგებაჲ წმიდისა მამისა ევთიმე ქართველისაგან ნათქუამი რუსეთში ენახა იერომონახს ტარასი ალექსიევს ერთს ძველს ქელნაწერ კურთხევანში, რომელიც ყოფილიყო რუისის ღვთაების ეკლესიისა ავალიშვილის მროველისაგან დაგდებული და მეფეს არჩილს გადაჰყოლოდა რუსეთს და იქიდამ გადმოეწერა» [2]. მეორე რედაქცია ამ დოკუმენტისა, რომელიც პირველად ხელში ჰქონია განსვენებულ დ. ბაქრაძეს [3] და დაწერილია ტყავზე მეცამეტე საუკუნეში, გამოსცა თ. ჟორდანიამ [4]. ამ ორ რედაქციას შორის თვალსაჩინო განსხვავებაა როგორც შინაარსის, ისე ადრესატის სახელის მხრივ. ეს ადრესატი, საბინინის რედაქციით,

[1] «საქართე. სამოთხე», გვ. 432 — 436.

[2] К. Кекелидзе. Древнегрузинский Архиератикон, стр. VI, прим. 1.

[3] «საქართველოს ისტორია». გვ. 134, შენ. 1.

[4] «ქრონიკები», II, 82 — 83.

არის ხუცესი ან მღვდელი თეოდორე საბაწმიდელი [1], ბაქრაძე-ჟორდანიას რედაქციით კი — «დიდი ბერი გიორგი». უკანასკნელი უფრო უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს და, თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვებს: «მოეწერა მუნით (ესე იგი ჰყონდიდით) სტეფანე ეპისკოპოსსა, ჰყონდიდელსა», გიორგი ბერი უნდა იყოს, როგორც ჟორდანია სამართლიანად ფიქრობს, გიორგი ჰყონდიდელი. ამ გიორგის, მაშასადამე, ჰყონდიდიდან ათონზე წერილი მიუწერია ექვთიმესათვის და უთხოვნია განმარტება, რასაკვირველია, ბერძნული პრაქტიკის მიხედვით, ზოგიერთი საცილობელი და საკამათო ლიტურგიკული და სამონასტრო-დისციპლინარული საკითხისა, რომელიც, ჩანს, მაშინ საქართველოში გაუგებრობას იწვევდა. ეს მომხდარა, როგორც დოკუმენტიდანა ჩანს, იოანე ათონელის გარდაცვალებიდან, ესე იგი 1005 წლიდან, «შემდგომად მრავლისა ჟამისა», მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. ექვთიმეს თავის მოვალეობად ჩაუთვლია პასუხი გაეცა ამ შეკითხვაზე. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს რედაქციაში ეს დოკუმენტი მოყვანილია კითხვა-მიგების სახით, ესე იგი ჯერ მოყვანილია გიორგის კითხვა, მერე ექვთიმეს პასუხი, ბ ა ქ რ ა ძ ე-ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს რედაქციაში კი — მარტო ექვთიმეს საპასუხო წერილია. გიორგი, პირველ ყოვლისა, ექვთიმეს აძლევს სწორედ იმ ისტორიულ-ლიტერატურულ შეკითხვას, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს. ის სწერს: «გეევედრები შენ, ღმერთშემოსილო მამაო, მაუწყე — თუ რომელნი წიგნნი არიან, რომელთა იგი წმიდამან კათოლიკე ეკლესიამან არა შეიწყნარების». აი, პასუხი ექვთიმესი, რომელსაც ჩვენ ორივე რედაქციით მოვიყვანთ:

ბაქრაძე-ჟორდანია

წიგნნი, რომელთა კათოლიკე ეკლესიამან არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ აღიწერნეს: ორიგინე მწვალებელსა მრავალნი წიგნები აღუწერია და არა შესაწყნარებელ არს. და კუალად ევსევი პამფილელისა წიგნი არს, მრავალთა რათმე საქმეთა და თხრობათა წარმოიტყუს თჳოსახეთა, რომელ მრავლითა ფილოსოფოსობითა დაწერილ არს იგი, არამედ წვალებანი მრავალნი ჩაურთავნ მასუე და ამისთჳს არ შეიწყნარებს ეკლესიამ; იგი ქართულად ვისმე უთარგმნია. და უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესა ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესსა, მოეწერა ქართულოთ სტეფანეს, ეპისკოპოსსა ჰყონდიდისასა, და ეკითხა ვითარმედ შესაწყნარებელ არსა კითხვაი წიგნისა ამის ანუ თუ არა? ხოლო ჩუენ მიუწერეთ მას ვითარმედ არა შესაწყნარებელ არს, მაგრა კარგნიცა საქმენი მრავალნი სწერიან, გარნა ღუარძლნიცა წვალებასა თანა შთაურთავს და მით უხმარ არს იგი. და ვითარმედ «ანტიოქიისა მოქცევაი» არა შესაწყნარებელ არს, ჰეშ-

საბინინი

წიგნნი, რომელთა ეკლესიამ არა შეიწყნარებს, არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაიწერნეს.

ოროგინეს მწვალებელსა მრავალი წიგნი დაეწერა და არა შეიწყნარებს ეკლესიამ.

«ევსები პამფილი» წიგნი არის და მრავალთა საქმეთა წარმოიტყუს და თხრობათა თჳოსახეთა, ფილოსოფოსობითა დაწერილი, გარნა წვალებანი ჩაურთავნ ამისთჳს არა შეიწყნარებს ეკლესიამ. იგი ქართულად უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესავე მამისა ჩემისა, მოეწერა მუნით სტეფანე ეპისკოპოსსა და ეკითხა, თუ შესაწყნარებელ არს? კარგიცა მრავალი სწერია, გარნა ღუარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უკმარ არს.

«ანტიოქიისა მოქცევაი» არა შესაწყნარებელ არს. და სხუაი რაჲმე არს [რომელსა შინა სწერია] თუ «[თო]მაჲსა სა-

[1] აქ მოხსენებული საბაწმიდის მონასტერი ყოფილა კახეთში ანაგასა და კარდანახს შუა.

მარიტი «ანტიოქიისა მოქცეაჲ» იგი არს, ვითარ-ცა კლემენტოს იტყჳს. და «პავლეს ცათა მოხილ-ეაჲ» ნატყუარიეე არს. და სხუაჲ რაჲმე, რომელ-სა შინა წერილ არს თუ «თომას სახარებაჲ», იგიცა უცხოჲე არს ეკლესიისაგან. და წიგნი «აბოკროფა» უცხოთა რათმე საქმეთა მეტყუე-ლებს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყ-ნარებს. და სხუაჲ რაჲმე არს «ადამის ცხორე-ბაჲ» და არცა მას მიითუალჳს ეკლესიაჲ, და ვითარმედ სხუაჲ არს წიგნი «სიყრმე უფლისაჲ»[1] და არცა იგი შასაწყნარებელ არს. და «მოციქულ-თა ცხორებანი» რომელნიმე გარყუნილ არიან მწჳალებელთაგან: წმიდისა მათე მახარებლისაჲ და წმიდისა ანდრიასი. კუალად «წმიდისა გიორ-გისა არს წამებაჲ» უცხო და უცხონი რაჲმე საქ-მენი სწერიან, რომელსა «დადიანესი» ეწოდე-ბის, ხოლო წამებაჲ ჴეშმარიტი წმიდისა გიორგი-სა, რომელი ეკლესიათა შინა იკითხების, იგი არს, რომელი დეოკლიტიანეს მიერ იწამა. და წმიდისა «კჳრიკეს წამებაჲ», ვითარმედ სხუათა ვიეთმე დასწერეს წამებაჲ კჳრიკესი, უცხოჲ სჯულისაგან ქრისტიანეთასა. და სხუანი რომელი ესეეითარიმე ნატყუარნი, მრავალ არიან სახელ-ბი მათნი, არა საქმარ არს ესეითარი. აწ რომე-ლიმე სხუათა მწჳალებელთა დაუწერია და თუთ-ვე საცნაურ არს. ხოლო ესე «მოციქულთაჲ და მოწამეთაჲ» მას დაწყეულსა იულიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლისა და ყოველთა წმიდათა, მან გარყუნა, რათმცა ნაცილად შერაცხნეს ყო-ველნი და არამცა ვის სარწმუნო უჩნდა წამებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ გინა თუ მოწამეთაჲ, არა-მედ უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან სახელ-მისი აჰყოსა; ხოლო წმიდათა საკსენებელი, ვი-თარცა მზე, გამოაბრწყინვა ყოველსა სოფელსა შინა, რომელთა თანა არსმცა ნაწილი და სამკჳ-დრებელი შენი და ჩუენი, წმიდაო მამაო-ხარებაჲ», იგიცა უცხო არს. წიგნი, რო-მელსა «აბუკროფაჲ» პრქჳან, ვჰგონებ თუ წჳალებაჲ ცხადი რაჲმე სწერია, გარნა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყუელ არს და ეკლესიაჲ საბერძნეთისაჲ არა შეიწყ-ნარებს. და სხუაჲ რაჲმე არს «ადამის ცხორებაჲ» და არცა მას შეიწყნარებს, და სხუაჲ არს წიგნი «სიყრმე უფლისაჲ»[1] და არცა მას შეიწყნარებს, და «მოცი-ქულთა ცხორებანი» ზოგნი განრყუნილ-ნი არიან მწჳალებელთაგან: წმიდისა მა-თე მახარებელისა სხუაჲ რაჲმე არს და წმიდისა ანდრიაჲსი. წმიდისა «გიორგისი» არს წამებაჲ ჴეშმარიტი, რომელი ეკლე-სიათა შინა იკითხების, და კუალად სხუაჲ რაჲმე არს უცხოჲ და უცხონი რაჲმე საქმენი სწერიან და არა შესაწყნა-რებელ არს. და წმიდისა «კჳრიკეს წამე-ბასა» სწერია, ვითარმედ სხუაჲ ვიეთმე დაწერეს წამებაჲ, უცხოჲ ქრისტიანეთა წესისაგან, და სხუანი ესეეითარნი რაჲმე ნატყუარნი, ზოგისა სახელები არა ვიცი.

აწ ესეეითარიმე, რომელი სხუათა მწჳა-ლებელთა დაუწერია, იგი თჳთ სცნან, რაჲ არიან. ესე კუალა «მოციქულთაჲ და მოწამეთაჲ» მას წყეულსა იულიანეს განზრახჳით განურყუნიან, რათამცა ყო-ველი ნაცილად შეჰრაცხეს და აღა-რამცა სარწმუნო უჩნდეს წამებანი წმი-დათანი, გინა მოციქულთანი. გარნა უფალმან მისი საკსენებელი აღჰყოა და წმიდათა სახელნი ბრწყინავენ, ვი-თარცა მზე.

ამ დოკუმენტში დასახელებულია 11 თხზულება, რომელთაც, ექვთიმეს სიტყვით, ეკლესია არ შეიწყნარებს. ესენია: 1) ორიგენის და 2) ევსევი პამფი-ლის ან პამფილელის თხზულებანი; ესენი სიაში მოყოლილა როგორც მწვალებ-ლობის ღვარძლით აღსავსენი. მართლაც, ძველ საეკლესიო მწერლობაში, მაგალი-თად, ეგრეთ წოდებულ გელასი პაპის დეკრეტალებში, აპოკრიფულ წიგნებად

[1] სინას მთის ხელნაწერში № 68 (ფ. 40) ვკითხულობთ: «რამეთუ წიგნი იგი, რომელ ირჩუ-მის «სიყრმე ქრისტესი» არა შესაწყნარებელ არს, არამედ უცხო არს კათოლიკე ეკლესიისა და წი-ნაამდგომი წმიდათა მახარებელთა მიერ თქმულისა და მბრძოლ ჴეშმარიტებისა. უგუნურთა ვი-ეთმე და მეზღაპრეთა მიერ აღწერილი» (Н. Марр, Описание грузин. рукоп. Синайского монастыря, стр. 173).

მიჩნეულია მწვალებელთა თხზულებანიც [1]; 3) ანტიოქიის მოქცევაჲ; 4) პავლეს ცათა მოხილვაჲ, რომელ საც ბაქრაძე-ჟორდანიას რედაქცია არ იხსენიებს, შეიძლება იქ გადამწერლის მიერ იყოს გამოტოვებული; 5) თომას სახარებაჲ; 6) წიგნი აბოკროფა ანუ აბუკოროვა, რომელიც «უცხოთა საქმეთა მეტყუელ არს». რა წიგნი უნდა იყოს ეს წიგნი, წარმოადგენდა იგი სხვადასხვა აპოკრიფის კრებულს, თუ აქ იგულისხმება ერთი რომელიმე აპოკრიფი? «აბოკროფა», «აბუკოროვა» ამ კითხვა-მიგებისა, «აპუკოროფა» ადამის წიგნისა (ფონდი A 153, გვ. 54), «აპოკოროფა» ანდრია სალოსის ცხოვრებისა, «პოკროფა» 1810 წლის კატალოგისა (№ 155) ერთი და იგივე ტერმინია, რომელშიაც იმალება ბერძნული სიტყვა ἀπόκρυφος. აკად. ნ. მ ა რ ი სამართლიანად უნდა ფიქრობდეს, როდესაც ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ერთ-ერთი აპოკრიფული წიგნის სპეციალურ სახელწოდებასთან [2]. ეს აპოკრიფი, რომელმაც სახელი მისცა მთელ წიგნს, უნდა იყოს კარგად ცნობილი საეკლესიო მწერლობის ისტორიაში «ცხოვრებაჲ ანდრია სალოსისაჲ» [3], რომელსაც A ფონდის ხელნ. № 311-ში შემდეგი შენიშვნა აქვს: «ამა წიგნსა ეწოდების ბერძნულად აპოკროფა», არა იმიტომ, რომ მას ხელნაწერში ეწოდება «აპოკოროფა» [4], ასეთი სახელი სხვა აპოკრიფებსაც ეწოდება, არამედ შემდეგი მოსაზრებით: ანდრია სალოსი იყო მოღვაწე X საუკუნისა, გარდაიცვალა ის 939 — 960 წლებში. მისი ცხოვრება დაუწერია მეათე საუკუნის გასულს მის მოწაფეს ნიკიფორე ხუცესს, მაგრამ მას იგი არ გამოუქვეყნებია. მის შემდეგ ეს ნაშრომი ხელში ჩავარდნია ვიღაც უცნობს, რომელსაც შიგ შეუტანია ბევრი აპოკრიფული ელემენტი. ასე რომ, ნიკოდიმე მთაწმიდელი თავის თხზულებაში ს ვ ნ ა ქ ს ა რ ი ს ტ ი, 28 მაისის ქვეშ, პირდაპირ შენიშნავს, რომ ამ ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი ბევრი რამ ძნელად მისაღებიაო (ვით ფრიად ეჭვიანი). მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს ვრცელი აღწერილობა სამოთხისა სხვადასხვა გრძნობადი სურათით, აგრეთვე წინასწარმეტყველება ქვეყნის აღსასრულის შესახებ, რომელიც მოგვაგონებს მეთოდი პატრელისა [5] და დანიელ წინასწარმეტყველის ხილვას. ანდრიას სწამს, რომ ენუქი, ილია და იოანე ღვთისმეტყველი არ მომკვდარან, ისინი ჯერ კიდევ ქვეყნად იმყოფებიან და მეორედ მოსვლის წინ გამოჩნდებიანო, აგრეთვე ისიც, რომ კონსტანტინოპოლის მტრები ვერ აიღებენ, ქვეყანა იარსებებს მხოლოდ 7000 წ. და სხვა ამგვარი რამ [6]. სწო-

[1] Thiel, Epist. Rom. Pont., t. I, p. 461—469; Mansi, Conc. ann. 494, t. VIII col. 162—172.

[2] Н. Марр, Армяно-грузинские материалы для истории душеполезной повести о Варлааме и Иоасафе, «Зап. Восточ. Отдел. Русского Археол. Общ.», т. XI, стр. 53, прим. I.

[3] A 311, 794, 832; იერუს. ხელნ. № 26; S 244, 1117, 1498, 3635, 3636 და სხვ.

[4] Проф. Л. Меликсет-Бегов. К вопросу о Феодоре Абукуре в древне-грузин. литературе. «Известия» КИАИ, IV, 50.

[5] აქვე შევნიშნავთ, რომ მეთოდი პატრელის ან ოლიმპელის აპოკრიფულ-ესქატალოგიურ თხზულებას ქართველები X — XI საუკ. იცნობდნენ, თუ უფრო ადრე არა (ს. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ღვთისმეტყველის ლიტერატურული წყაროები. «თბილ. უნივერ-ტის მოამბე», III, 51 — 52).

[6] Арх. Сергий, Святый Андрей Христа ради юродивый и праздник Покрова пресвятыя Богородицы, «Странник», 1898 г., Сентябрь, стр. 28 — 32.

რედ იმ დროს, როდესაც ექვთიმე თაის საპასუხო წერილს სწერდა ქართველ ადრესატს, ბიზანტიაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წიგნის შესახებ და ამ მითქმა-მოთქმის უშუალო ზეგავლენით ის აუცილებლივ მოიხსენიებდა აღნიშნულ თხზულებასაც, რომელიც ქართულადაც უთარგმნიათ, და უთარგმნიათ, სტილის მიხედვით, იმავე ათონის ლიტერატურულ სკოლაში ექვთიმეს სიცოცხლეშივე. ეს იქიდან ჩანს, რომ მელქისედეკ კათოლიკოსი თაის 1040 წლის სიგელში იმ წიგნთა შორის, რომელნიც მას მცხეთისათვის შეუწირავს, სხვათა შორის, ანდრია სალოსის წიგნსაც აღნიშნავს [1]. 7) ადამის ცხოვრებაჲ; 8) სიყრმე უფლისაჲ; 9) მოციქულთა ცხოვრებანი, სახელდობრ: მათე მახარებლისა და ანდრიასი. 10) წამებაჲ წმიდისა გიორგისი, რომელსაც, ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს რედაქციით, დ ა დ ი ა ნ ე ს ი ეწოდების. 11) წამებაჲ წმიდისა კვრიკესი. აქ ჩამოთვლილ აპოკრიფთაგან ზოგი უკვე ექვთიმეს დროსვე ყოფილა ქართულად ნათარგმნი, როგორც, მაგალითად, ევსევი პამფილის თხზულებანი, რომელთა შესახებ სტეფანე ჭყონდიდელს, ჩვენი გამოკვლევით, სანანოძისა, ცნობილ მთარგმნელსა და ჰიმნოგრაფს [2], ჯერ კიდევ იოანე ათონელის დროს ჰქონია მთაწმიდელებთან მიწერ-მოწერა, ზოგი კი არა; მაგალითად, მის შემდეგაა ნათარგმნი წვიდა გიორგის წამება, რომელსაც «დადიანესი» ეწოდება. მაშასადამე, არც გიორგი ჭყონდიდელს, როდესაც ის ექვთიმეს შეკითხვას აძლევდა, არც ექვთიმეს, როდესაც პასუხს ამზადებდა, მხედველობაში არ ჰქონიათ ქართულ ენაზე არსებულ აპოკრიფთა სია, იმათ სურდათ გაერკვიათ — რა წიგნებს არ იწყნარებს კ ა თ ო ლ ი კ ე, ან უფრო კონკრეტულად, ბიზანტიის ეკლესია. ბერძნული დედანი ექვთიმეს ინდექსისა, როგორც ჩანს, მონათესავე ყოფილა პაპი გელასის ინდექსის დედნისა [3].

ქართული აპოკრიფული მწერლობის განვითარება პირველ პერიოდში არ დამთავრებულა; მიუხედავად იმ კრიტიკული ნაკადისა, რომელსაც გზა გაუკაფა ამ დარგში ექვთიმეს ზემომოყვანილმა პასუხმა, აპოკრიფები მეათე საუკუნის შემდეგაც ითარგმნება ჩვენში.

საკვირველი ისაა, რომ ექვთიმე ათონელს, რომელიც სხვებს აფრთხილებდა, თვითონ შესამჩნევი კვალი დაუტოვებია აპოკრიფული ლიტერატურის განვითარებაში ქართულ ენაზე. მის მოღვაწეობას ამ მხრივ ჩვენ უკვე შევეხეთ თავის ალაგას, სადაც აღვნიშნეთ ექვსამდე აპოკრიფი, ექვთიმეს მიერ გადმოთარგმნილი. უთარგმნია ორიოდე აპოკრიფი აგრეთვე გიორგი მთაწმიდელსაც, როგორც ზემოთ დავინახეთ. უთარგმნიათ აპოკრიფები მეთორმეტე საუკუნეშიც. მაგალითად, პეტრიწონის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთ მიმდევართაგანს გადმოუთარგმნია წმ. გიორგის ცხოვრება, დ ა დ ი ა ნ ე ს ი ს სახელით ცნობილი, რომელიც მოთავსებულია გელათის მეტაფრასულ კრებულში (№ 7, ფ. 320 — 340). ის აპოკრიფები, რომლებიც თავდაპირველად ლიტერატურული გზით წარმოიშვა, შემდეგ დროში, განსაკუთრებით საშუალო საუკუნეებში, ზეპირგადმოცემასა და თქმულებაში თავის პირვანდელ სახეს კარგავენ და მრავალი ვარია-

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 183.

[2] «Monumenta hagiographica Georgica» t. I. p. XIII — XIV.

[3] R i c h t e r, Corpus jur. canonici., Lipsiae, 1836.

ციით ვრცელდებიან; ბოლოს ეს ვარიაციებიც ჩაიწერა. XVIII — XIX საუკუნეებში სომხური ენიდან ქართულად უთარგმნიათ მრავალი აპოკრიფული ვარიანტი ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებისა, მაგალითად, კაინის მიერ აბელის მოკვლა. სეითის შობა, ნოეს კიდობნის აშენება, წარღვნა, სოლომონ მეფე, აბრამიანი და სხვ. ამ მხრივ ცნობილია, მაგალითად, დ ო ს ი თ ე ო ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი, რომელსაც სომხურიდან უთარგმნია «სიყრმე უფლისა» [1]. ახლა ჩვენ შევუდგებით იმის მიმოხილვას, თუ რა აპოკრიფები ყოფილა ქართულად ნათარგმნი.

ბიბლიური წიგნებიდან, რომელნიც აპოკრიფებად არიან ცნობილი, მაკაბელთა წიგნები, საფიქრებელია, ქართულად არასდროს ყოფილა თარგმნილი, ვინაიდან მოსკოვის ბიბლიის გამომცემელნი იძულებული იყვნენ თვით კანონიკური წიგნი მაკაბელთა სლავური ენიდან ეთარგმნათ. რაც შეეხება ეზდრას მესამე და მეოთხე წიგნს, რომელთაგან პირველი დაწერილია ქრისტეს დაბადებამდე მეორე საუკუნეში, ხოლო მეორე — ქრისტეს შემდეგ მეოთხეში, — იმათ ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ «იერუსალიმის წინასწარმეტყველთა» კრებულში და მერე ათონის 978 წლის ბიბლიაში «წიგნი ეზდრა სალათიელისა»-ს სათაურით. ეს წიგნი, ნ. მ ა რ ი ს აზრით, რომელსაც ის გადმოუწერია და შეუსწავლია, ნათარგმნია სომხური ენიდან არაუგვიანეს მეშვიდე საუკუნისა [2].

ძველი აღთქმის აპოკრიფთაგან ჩვენამდე შენახულა «საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსვლისაჲ», რომელიც იწყება ასე: «და იყო — გამოვიდა ადამ და ევა, ცოლი მისი, სამოთხით გამოვიდეს, სამოთხის აღმოსავლეთით კერძო ქმნა ადამ ტალავარი საყუდელად თჳსა» [3]. აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ აპოკრიფთან, რომელიც ცნობილია «ადამის წიგნის» ან «ადამის ცხოვრების» სახელით და რომელიც გადმოგვცემს ადამისა და ევას შეცოდების შემდეგ სამოთხიდან გამოძევებას, შვილების გაჩენას, კაინის მიერ აბელის მოკვლას, ადამის სიკვდილსა და დასაფლავებას. დედანი ამ აპოკრიფისა, რომელსაც ბერძნულად ეწოდება: «Διήγησις καὶ πολιτεία Ἀδὰμ καὶ Εὔας τῶν πρωτοπλάστων» [4] სხვადასხვა ვარიაციით წარმოდგენილია მრავალი ერის საქრისტიანო მწერლობაში, მაგალითად, ლათინურში [5], ძველ სლავურსა [6] და სომხურში [7]. გერმანული

---

[1] А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, стр. 165 — 181; вып. III, стр. 396—420.

[2] «Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме...», стр. 14—15, გამოცემული შესწავლილია ის პროფ. R. B l a k e-ს მიერ: The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript («Harvard Theological Review», XIX, 4, 1926) და The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos MS. («Harv. Theolog Rev.», XXII, 1, 1929).

[3] A 153, 1 — 54; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 3 — 13.

[4] T i s c h e n d o r f, Theologische Studien und Kritiken, 1851, I, 432—439.

[5] *W.* M e y e r, Abhan. d. bayr. Ak. d. Wissen., philol.-philos. Kl. XIV, 3, 1875. 185 ff.

[6] J a g i c, Denkschr. d. Wien. Ak. d. Wissen., phil.-hist. Kl. XIII, 1893 I, ff. Н. Т и х о н р а в о в, Памятники отреченной русской литературы, I, 1—15, 298—304.

[7] C o n y b e a r e, Jewisch Quart. Rev. VII, 1895, 216 ff.

თარგმანი ამ რეცენზიებისა გამოსცა პროფ. Kautzsch-მა[1]. ქართული თარგმანი წარმოადგენს შეზავებულ რედაქციას, რომელსაც საფუძვლად უდევს ტიშენდორფის ბერძნული და მეიერის ლათინური რეცენზია, თავში ის მისდევს, თითქმის სიტყვასიტყვით, ლათინური ტექსტის 1—44 §§-ს[2], გამოტოვებულია მხოლოდ §§ 25 — 29, მერე კი ბოლომდე — ბერძნულ რეცენზიას[3], მხოლოდ ბოლო აპოკრიფისა, სადაც მოთხრობილია ევას აღსასრული და დასაფლავება (§§ 42 — 43), ქართულში უფრო მოკლედაა გადმოცემული. ამ აპოკრიფში ჩვენ უნდა გვქონდეს ექვთიმე ათონელის მიერ დასახელებული «ადამის ცხორებაჲ», რომელსაც, მისი სიტყვით, «ეკლესია არ შეიწყნარებს». მისი არქაიზმები გვაფიქრებინებს, რომ ის ნათარგმნია მეათე საუკუნემდე, შეიძლება სომხური ენიდანაც, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ის უახლოვდება სომხურ ვერსიას იმ ადგილებში, რომლებშიაც ის განსხვავდება ბერძნულ-ლათინური რედაქციებისაგან. ამ აპოკრიფიდან უნდა მომდინარეობდეს ის ვერსიები კაენის მიერ აბელის მოკვლისა და სეთის შობის შესახებ თქმულებათა, რომლებიც ქართულ მწერლობაში ჩნდება XVIII—XIX საუკ.[4].

მეორე აპოკრიფი, რომელიც ქართულ მწერლობაში შენახულა და ძველი აღთქმის ამბებს ეხება, არის «თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი, — თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცუალებაჲ ნათესავთაჲ, ვითარ ეპოეთ ნათესაობაჲ ქრისტესი ჯორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა, ადამისაგან ყოველთა მამათა, ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღმრთისა ჩუენისა». ამ აპოკრიფს კავშირი აქვს ეგრეთ წოდებულ ნებროთის წიგნთან, რომლის არსებობას დაჟინებით უსვამს ხაზს ზოგიერთი ჩვენი წყარო და რომელიც ჯერჯერობით არავის უნახავს[5] და არავის წაუკითხავს, ამიტომ ამ ნაწარმოებთან ერთად განვიხილავთ. დაბადებაში, იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია წარღვნის შემდეგ ნოეს შვილთა შთამომავლობა, ნათქვამია, რომ ქამის შვილმა ხუსმა «მვა ნებროთ: ამან იწყო გმირყოფად ქუეყანასა ზედა; ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა, ამისთჳს თქუეს, რამეთუ ნებროთ გმირი მონადირე წინაშე უფლისა. და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა: ბაბილონი, ორექი, არქადი და ხალანი, ქუეყანა ზენაარისა. ქუეყანისა მისგან გამოვიდა ასურ და აღაშენა ნინევი და ქალაქი რომოთი და ხალანი და დასენი საშუალ ნინევისა და საშუალ ხალანისა; ესე არს ქალაქი დიდი» (შესაქმეთა, თავი X, მუხლი 8 — 12). ეს ნებროთი, რომელიც, როგორც ნათქვამიდან ჩანს, ყოფილა გმირი, მონადირე და პირველი მეფე ქვეყანაზე და რომლის სამეფო შეიცავდა

[1] «Die Apokryphen und Pseudepigraphen des Alten Testaments», II, Tübingen, 1900, 509 - 528.

[2] Kautzsch, S. 512—520.

[3] Tischendorf. §§ 15—43.

[4] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, стр. 165—170.

[5] ის არ უნახავს არც ზ. ჭიჭინაძეს, რომელიც ეითომცდა პლ. იოსელიანს დაურწმუნებია, რომ «ნებროთიანი» მეთორმეტე საუკუნის ნახევარს უნდა იყოს დაწერილიო («ქართული მწერლობა XIII — XVI საუკ.», გვ. 14). ეს საეჭვოა, სხვა არა იყოს, იმიტომ, რომ ამ წიგნს უკვე მეთერთმეტე საუკუნის ისტორიკოსი ასახელებს.

მთელ შუა-მდინარეთს ან მესოპოტამიას, არაიშვიათად იხსენიება სხვადასხვა ბიბლიური თქმულების ნიადაგზე აღმოცენებულ აპოკრიფებში[1]. კიდევ, ძველი ქართული მწერლობა გვამცნობს, რომ თითქოს არსებობდა საგანგებო ნებროთის წიგნი ან, მოკლედ, ნებროთიანი. ისტორიკოსი ლეონტი მროველი მეფეთა ცხოვრებაში გადმოგვცემს, რომ, როდესაც ნინომ მიუთხრა მეფე მირიანს მაცხოვრის გამოჩინება, მისი სწავლა და ცხოვრება, «მირიან მეფე განკჳრდა და იწყო გამოძიებად სჯულსა ქრისტესსა და მარადის ჰკითხავნ ჰურიაყოფილსა მას აბიათარს, [მოძღუარსა] ძუელთა და ახალთა წიგნთასა, და იგი აუწყებდა ყოველსა. და წიგნიცა, რომელი ჰქონდა მირიან მეფესა, ნებროთისი, მას წიგნსა შინა პოვა წერილი ესრეთ: აღშენებასა მას გოლგოთასა კმა იყო ზეცით ნებროთის მიმართ, რომელი [ეტყოდა]: მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავლისასა; განვედ ქალაქით მაგით. რამეთუ ღმერთი დაჰფარავს, ხოლო უკუანაჲსკნელთა ქამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა, რომლისა შენ გნებაეს ხილვაჲ, შეურაცხი ერსა შორის შეურაცხსა; შიშმან მისმან განაქარვნეს გემონი სოფლისანი. მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა, მან გიხილოს პირსა შინა და გიკურნას შენ. მაშინ გულისხმა ყო მეფემან მირიან, რამეთუ ძუელნი წიგნნი და ახალნი ემოწმებოდეს და ნებროთის წიგნიცა დაამტკიცებდა, და შეექმნა სურვილი ქრისტეს სჯულისაჲ»[2]. ამავე ცნობას, მხოლოდ ნებროთის ბიოგრაფიის თანდართვით, იმეორებს ვახტანგ გორგასალიც, რომელსაც ისტორიკოსი ათქმევინებს: «მამათა ჩუენთა დაფარულად ეპყრა წიგნი ესე» ნებროთისაო[3]. ასეთი წიგნი არ შენახულა არც სხვა რომელიმე ენაზე და, როგორც ირკვევა, ის არც არსებობდა. ნამდვილად ცნობას ნებროთის წიგნის შესახებ საფუძვლად დაედო ზემოდასახელებული აპოკრიფი ფსევდოეფრემისა. ეს აპოკრიფი, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია თავის დროს[4], წარმოადგენს ასურული თხზულების, განძთა ქვაბის[5], ერთ-ერთი რედაქციის თარგმანს. როგორც ქართულ თარგმანში, ისე ასურულ ტექსტსა და აგრეთვე ბიზანტიურ მწერლობაში ეს თხზულება ეფრემ ასურს მიეწერება, თუმცა ის ნამდვილად გა-

---

[1] F. Kautzsch, Die Apokryphen und Pseudepigraphen des Alten Testaments, II, S. 490.

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 86 — 87.

[3] იქვე, გვ. 140 — 142. ეს ადგილები «ქართლის ცხოვრებისა» წარმოადგენს «სიბილას წინასწარმეტყველებას», რომელიც შეტანილია ფსევდოეფრემის აპოკრიფშიც. ასე რომ, «ნებროთის წიგნი» ჩვენი მემატიანისა შეიძლება «სიბილას წიგნსაც» გულისხმობდეს (კ. კეკელიძე. ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში, «ეტიუდები», II, 135 — 136, 148 — 150).

[4] «Государственный строй древней Грузии и древней Армении» т. I, стр. 19—27; მასივე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოც. I, გვ. 112 — 126.

[5] K. Bezold. Die Schatzhöhle; I. Dilmann, Christliche Adambuch des Morgenlandes («Jahrbücher d. bibl. Wissenschaft», 5 Jahr. 1852 –1853. S. 1—35); Migne Dictionnaire des apocriphes. I. 298—388. ქართული მისი ვერსია განხილულია ზ. ავალიშვილის მიერ ჟურნალში «Revue de l'Orient chrétien», t. VI, (XXVI), 1927—1928, № 3et 4, p. 381—405.

ცილებით უფრო გვიან, VI საუკუნეში, უნდა იყოს დაწერილი. მას დიდი გავლენა ჰქონდა საშუალო საუკუნეთა ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქრონოგრაფებზე, რომელნიც თავიანთ შრომებში უხვად სარგებლობდნენ იმით. სხვათა შორის, ამ თხზულებით უსარგებლნია ჩვენ ისტორიკოსსაც, ლეონტი მროველს. თავისი საისტორიო შრომა მას აუგია ამ აპოკრიფის ნიადაგზე, ეს ნაჩვენებია უკვე ერთ ჩვენ სპეციალურ შრომაში [1], ამიტომ აქ აღარ გაეიმეორებთ. ამ აპოკრიფსა და ლეონტი მროველის საისტორიო შრომას შორის ჩვენ ვამჩნევთ ნათესაობას არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ სტილის მხრივაც; ენით ეს აპოკრიფი ნამდვილი პირია ლეონტის თხზულებისა. ყველა ამ მოსაზრებით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის გადმოთარგმნილია თვით ლეონტი მროველის მიერ. ამით აიხსნება, ალბათ, ისიც, რომ მარიამ დედოფლის «ქართლის ცხოვრების» ვარიანტში ეს აპოკრიფი წინ უძღვის ლეონტის შრომას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ლეონტი მროველმა განიზრახა დაეწერა უძველესი ისტორია თავისი ერისა, ამ ისტორიას ის ვერ ღაიწყებდა, როგორც იტყვიან, ex abrupto, მას უნდა ეჩვენებია ქართველებისათვის ადგილი კაცობრიობის ოჯახში და ქართველთა ისტორია, თანახმად ქრონოგრაფთა ტრადიციებისა, მსოფლიო ისტორიასთან, ესე იგი მაშინდელი თვალსაზრისით, ბიბლიურ ისტორიასთან უნდა დაეკავშირებია. ამისათვის მისთვის საჭირო იყო ისეთი ნაწარმოები, რომელიც ამ მიზნისათვის გამოსადეგი იქნებოდა და რომელიც ამავე დროს ზოგიერთ უმთავრეს დებულებებს მისცემდა მას. ასეთია სწორედ დასახელებული აპოკრიფი, რომელიც, როგორც გამამართლებელი და დამამტკიცებელი მისი ისტორიული შრომისა, მისი, ასე ვთქვათ, შესავალი და პროპედევტიკული ნაწილი, თვით ლეონტიმ გადმოთარგმნა და მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

ეს აპოკრიფი, რომელშიაც მესიაზე ან მაცხოვარზედაცაა ლაპარაკი და ნებროთის გმირობაზეც, მ. ჯანაშვილს მიაჩნია ნებროთის წიგნად[2]. მაგრამ ეს შეცდომაა, დასახელებული აპოკრიფი არაა ნებროთის წიგნი, ვინაიდან ის თვითონ უჩვენებს ნებროთის წიგნს (გვ. 835), რომელსაც ამნაირად ახასიათებს: «ხოლო იგი წიგნი, რომელიც ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღუართა ეკლესიისათა, ამისათვს, რამეთუ ვარსკულავთრიცხუაჲ არს, არამედ სპარსნი უწოდენ ღირსად წმიდად, ხოლო ბერძენნი უწოდენ ვარსკულავთრიცხუად წიგნსა მას, ხოლო მოგუნი ფედ საჴელსდებენ, რომელ არს წიგნი სიტყჳსა; ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღურებაჲ ეშმაკთა სიბილწისაჲ, და უმეცარნი იტყჳან, ვითარმედ ჭეშმარიტ არსო, ხოლო არს კარი გრძნებისა და შეგინებისაჲ»[3].

ნუთუ, მაშასადამე, მართლა სამუდამოდ დაიკარგა ეს «ნებროთის წიგნი»? ჩვენ გვგონია, რომ არავითარი ნებროთის წიგნი იმ სახისა და შინაარსისა, რომელიც წარმოდგენილი აქვს ლეონტი მროველს, არ არსებობდა არც ქარ-

[1] კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივერ. მოამბე», III, გვ. 44 — 55.

[2] «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», вып. XXIX, стр. 19, 43, 44 et pass.

[3] A 153, გვ 141 — 142. მარიამისეული ქართ. ცხოვრების გამოცემას, ხელნაწერის სათანადო ფურცლების დაკარგვის გამო, ეს ადგილი აკლია.

თულ, არც სხვა რომელიმე ენაზე. «ნებროთის წიგნის» არსებობას არ სცნობდა არც დ. ბაქრაძე, «ნებროთის წიგნად» მას მიაჩნდა ან «ადამის ცხოვრება», ან «ენუქის წიგნი» [1]. თქმულება ნებროთის წიგნის შესახებ შეთხზულია ლეონტი მროველის მიერ. ეს თქმულება, როგორც სხვაც ბევრი რამ თავის საისტორიო შრომაში, ლეონტის შეუთხზავს აღნიშნული აპოკრიფის ნიადაგზე, იქიდან ამოუღია მას ის ელემენტები, რომლებიდანაც მას შეუკოწიწებია ლეგენდა რაღაც საგანგებო ნებროთის წიგნის შესახებ. პირკელ ყოველისა, თვით სახელწოდება, წიგნი ნებროთისა, ამოღებულია ამ აპოკრიფიდან. აქ ნათქვამია: «და ისწავა ნებროთ იონიტანისაგან წიგნი სიბრძნისა, ხოლო წიგნი იგი, რომელ ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღუართა ეკლესიისათა» [2], მოგვებმა «წარიკითხეს წიგნი ხილეათა ნებროთისი» [3]. აქ პირდაპირაა დასახელებული ნებროთის წიგნი, მაგრამ, იგულისხმება არა ლეონტის წიგნი, რომელშიაც თითქოს საგანგებოდ ლაპარაკი იყო ნებროთ გმირისა და იესო ქრისტეს შესახებ, არამედ ვარსკვლავთმრიცხველობის, ასტროლოგიური თხზულება. აპოკრიფის ავტორი მოგვითხრობს, როგორ წარმოიშვა ნებროთის დროს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახე კერპთაყვანისმცემლობისა. სხვათა შორის, მის დროს «გამოჩნდა ცეცხლი აღმოსავლეთით», ესე იგი სპარსეთით, თაყვანისცა მას ნებროთმა და «დაადგინნა მღდელნი, რათა თაყუანისცემდენ და აკუმევდენ გუნდრუკსა». იქვე იყო «წყარო წყლისა», სადაც საღმრთო განბანაც სრულდებოდა. ამ წყაროსთან ნებროთმა პოვა ვიღაც გრძნეული იუნიტან ან იონიტანი, რომლისგანაც მან ისწავლა წიგნი სიბრძნისა. ამ წიგნის საშუალებით ნებროთი სიბრძნისმეტყველებდა და ყველას აკვირვებდა. ეს სიბრძნე შეშურდა ანდიბან მღვდელს ან მოგვს, რომელიც დადგინებული იყო მის მიერ საღმრთო ცეცხლის მსახურად, და მან, ეშმაკთა დახმარებით, შეიგნო ეს სიბრძნე, რის შემდეგ «იწყო მან ვარსკულავთრიცხვაჲ, და გრძნებაჲ, და ბედის თხრობაჲ და მისნობაჲ, და ზღაპრობაჲ» [4]. ერთი სიტყვით, აპოკრიფის ავტორი გვითვალისწინებს, როგორ წარმოიშვა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობა და ის ვარსკვლავთმრიცხველობა ან ასტროლოგია, რომელიც შეადგენდა სპარსეთის ჭურუმთა ან მოგვთა სპეციალობასა და ხელობას. ამ სპეციალობით, რომელიც წარმოდგენილი იყო ნებროთის მიერ იუნიტანისაგან მიღებულ წიგნში და რომელიც მათ საშუალებას აძლევდა მომავალი ამბები წინასწარ შეეტყოთ, მოგვებმა, როდესაც მათ დაინახეს ცაზე უცხო ვარსკვლავი, სცნეს, რომ უნდა აღმოსავლეთში დაბადებულიყო მეფე დიდებული [5], და ვარსკვლავის წინაძღოლობით ისინი მივიდნენ იერუსალიმსა და ბეთლემს. ერთი სიტყვით, აქ გავრცობილია და შემკობილი აპოკრიფული ელემენტებით სახარების თქმულება ბეთლემის მოგვთა შესახებ, რომელთაც ვარსკვლავთმრიცხველობის საშუალებით ახლად დაბადებული ქრისტე იპოვეს. აპოკრიფის ასტროლოგიური წიგნისა-

[1] «ისტორია საქართველოსი», გვ. 169.
[2] A 153, გვ. 140.
[3] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 835.
[4] A 153, გვ. 139 — 141.
[5] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 839.

თვის, რომელიც ნებროთმა გრძნეული იუნიტანისაგან მიიღო, ლეონტის დაურქმევია ნ ე ბ რ ო თ ი ს წ ი გ ნ ი, რომელშიაც ვითომცდა წარმოდგენილი იყო ნებროთის გმირობა და იესო ქრისტეს შობა და თავგადასავალი.

მიქაელ ანგელოზსა და ნებროთის ბაასში, რომელშიაც გამოსჭვივის დანიელ წინასწარმეტყველის აპოკალიპტიკა (თავი X—XII), იმავე სპარსთა კულტურულ-ისტორიულ სფეროში აღმოცენებული, და რომელიც შედგენილია ამ აპოკრიფის პირველ ნაწილთან დაკავშირებულ «ადამის წიგნის» ზეგავლენითაც, არეულია ერთმანეთში ადამი და ნებროთი. მართლაც, ადამს და არა ნებროთს აღუთქვა ღმერთმა თავის ძის მოვლინება მხსნელად მისა: «ოდეს განსრულდეს ჟამი იგი, რომელი განვაწესე შენზედა, ეუბნება ღმერთი ადამს, მოგივლინო შენ ძე ჩემი, რომელი გარდამოჴდეს და გიჴსნეს შენ» (გვ. 791). სიტყვები: «მოვიდეს მეფე იგი ცისა შეურაცხი», ნათქვამია მოგვების ზეგავლენით, რომელნიც «განკჳრვებულ იყვნეს, რაჟამს არა ეგეთითარი იხილეს» ბაგასა შინა, «რომელსა ჰგონებდეს ძისა თანა მეუფისა» (გვ. 837). ხოლო ფრაზა — «შიშმან მისმან განაჴარენეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა», შედგენილია აპოკრიფის ცნობის მიხედვით, ვითომც მოგვნი, რომელთაც დაუტევეს ქვეყანა თვისი და «მოიღეს ძღუენი. ესე, მეფენი იყვნეს და შვილნი მეფისანი, ესენი მეფენი სპარსნი იყვნეს; ვითარ აღმოვიდეს, შეძრწუნდა ყოველი ქუეყანაჲ წინაშე მათსა და შეშინდეს ყოველნი მეფენი ძლიერნი, რამეთუ იყო საქმე მათი ფიცხელი ფრიად» (გვ. 836).

ამნაირად, ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მიედივართ: 1) ლეონტი მროველის შიერ მოხსენებული ნ ე ბ რ ო თ ი ს წ ი გ ნ ი, რომელშიაც ვითომცდა ლაპარაკი იყო ნებროთის გმირობა-თავგადასავალისა და ქრისტეს დაბადების შესახებ, არ შენახულა არცერთ ენაზე; 2) ასეთი თხზულება ან წიგნი არც ყოფილა არასოდეს; 3) თქმულება ამ წიგნის შესახებ შეუთხზავს ლეონტის მის მიერ ნათარგმნი აპოკრიფის მიხედვით, რომელსაც ეწოდება «თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳს» და რომელშიაც მოხსენებულია ასტროლოგიური «წიგნი ხილვათა ნებროთისათა»; 4) ამ აპოკრიფიდან ამოუღია ლეონტის როგორც სახელწოდება წიგნისა, ისე მის მიერ მოყვანილი სიბილინური ცნობები მისი შინაარსის შესახებ [1].

ახალი აღთქმის აპოკრიფთაგან ზოგი ეხება ღვთისმშობელს, ზოგი იესო ქრისტეს და ზოგი მოციქულებს. ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფთაგან ჩვენამდე შენახულა შემდეგი:

1) «თქუმული მამათმთავართაჲ სახარებისაგან სულისა წ[ი]დისა მიერ მათ[ჲ] და ლუკაჲსაგან»; ეს აპოკრიფი, რომელიც შენახულა მეათე საუკუნის პარხლის მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ შ ი [2], ნათარგმნია ძველად, მასში მოყვანილია შთამომავლობითი ხაზი იოაკიმე და ანასი. აპოკრიფი იწყება ასე: «წმიდაჲ ქალ-

[1] უფრო სრულად იხ. ჩვენი შრომა ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილ. უნივ. მოამბე», III, გვ. 42 — 47.

[2] A 95, 421 — 422; № 691, 238 — 241; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია, I, გვ. 13 — 14.

წული, რომელმან შვა უფალი და ქალწულებასავე დაადგრა, რომელი იგი ასული იყო იოვაკიმჱსი, ხოლო დედაჲ მისი ანნა, ხოლო იოვაკიმ ძჱ ძეთა ბარჱსთაჲ, რომელ̃ია ზედანართულად მეორედ სახელედვა პათეროს».

2) «თქუმული ღმრთისმშობლისა შობისათჳს», შენახულია სინას მთის ხელნაწერში № 6 და მოგვითხრობს არა მარტო შობას, არამედ ტაძრადმიყვანებას, ხარებას, ქრისტეს შობასა და მოგვთა თაყვანისცემასაც. იწყება ის ასე: «ახილვასა მას ათორმეტთა ტომთასა იყო იოვაკიმ მდიდარ ფრიად და შესწირვიდა მსხუერპლთა მრჩობლთა და იტყოდა გულსა თჳსსა» [1].

3) ეს აპოკრიფი შეტანილია, როგორც შემადგენელი ნაწილი, მეორე ვრცელ აპოკრიფში ან, უკეთ, ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფთა კრებულში, რომელიც ქართულად გადმოუთარგმნია ექვთიმე ათონელს 980 —990 წლებში და იწოდება: «ქებაჲ და დიდებაჲ, შესხმაჲ და გალობაჲ ყოვლად წმიდისა უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისაჲ და მარადის ქალწულისა მარიამისა და უწყებაჲ უბიწოჲსა მის და სანატრელისაჲ მოქალაქობისა მისისაჲ შობითგან მიცვალებამდე, აღწერილი ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებლისაჲ» (ფონდი A, № 40). ამ უზარმაზარ აპოკრიფში, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი და რომელშიაც ვრცლად მოთხრობილია დაბადება ღვთისმშობლისა, მისი ტაძრადმიყვანება, ხარება, მაცხოვრის შობა, მირქმა, ნათლისღება, ვნება მისი და მიძინება ღვთისმშობლისა, ესე იგი თითქმის მთელი სახარების ისტორია, ჩვენ უნდა გვქონდეს ეგრეთ წოდებული იაკობ მოციქულის პირველსახარება, რომელიც, თუ მთლიანად არა, მისი პირველი ნაწილი, რომელიც ზემოდასახელებულ სინას მთის ხელნაწერშია მოთავსებული, თავდაპირველად, ნ. მ ა რ ი ს აზრით, სომხურიდანაა ნათარგმნი [2]. ეს აპოკრიფი სხვა რომელიმე ენაზე ცნობილი არაა, ცნობილია მხოლოდ მისი მეტაფრასული რედაქცია, რომელიც სვიმეონ მეტაფრასტს ეკუთვნის [3], და ქართული თარგმანი უკანასკნელისა [4].

4) «მიმოსელა ღვთისმშობლისა ადგილთა ტანჯვისათა», თითქმის ყველა საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი აპოკრიფი, შენახულა ორ ხელნაწერში [5].

5) ეგრეთ წოდებულ სვანურ მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი ნ [6] შენახულა ერთი აპოკრიფი: «აღსარებაჲ თევდოსისი ჰურიათა მთავრისაჲ, რომელი აღწერა ფილიპე, განკაცებისათჳს ქრისტჱს ღმრთისა ჩუენისა და ვითარ იქმნა იგი მღდელ». აქ,

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 184 — 193.

[2] «Предварительный отчет...», стр. 20.

[3] В. Л а т ы ш е в, Menologii Anonymi byzantini saeculi X quae supersunt, II, 347—383.

[4] გელათის ხელნაწ. № 1, ფ. 410 — 438.

[5] A 70, 260 263 თავში აკლია H 1432. ბერძნული ტექსტი დაბეჭდილია პროფ. ი. ს რ ე ზ ნ ე ვ ს კ ი ს ა («Древние памятники русского письма и языка», стр 204—217) და ა. ვ ა ს ი ლ ი ე ვ ი ს («Anecdota graeco-byzantina», 125 sq.). ხოლო სლავური ნ. ტ ი ხ ო ნ რ ა ვ ო ვ ი ს ბიერ «Памятники отреченной русск. литературы», II, 23—30); ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია, I, 15 — 19.

[6] A 19, 318 — 330.

თუმცა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, თითქოს იესო ქრისტეზეა ლაპარაკი, მაგრამ შინაარსი მისი უფრო ღვთისმშობელს შეეხება. ურიათა მღვდელნი მოიწვევენ მარიამ ქალწულს და გამოჰკითხავენ მას, თუ როგორ იშვა მისგან იესო ქრისტე. ვინაიდან მათ არა სჯერათ უთესლოდ შობა, მოიწვევენ აღმქუმელს ან ბებიაქალს და გააშინჯვინებენ მას. როდესაც დარწმუნდებიან, რომ მარიამი მართლა ქალწულად დარჩენილა, ისინი დაიჯერებენ მარიამის ნათქვამს და იესო ქრისტეს მღვდლად აირჩევენ. ავტორი ამ ამბისა არის ვინმე თ ე ვ დ ო ს ი ჰურია, რომელმაც ეს უამბო ვინმე ფილიპეს ძველი გუჯრებიდან, ხოლო იყუნენ ისინი თითქოს იუსტინიანე დიდის თანამედროვენი [1].

6) «საკითხავი საიდუმლოთაჲ დაფარული, თარგმანი გარდაცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა. ისმინმ ლოცვაჲ და ვედრებაჲ დედისა შენისა მარიამისი, რომელი ღაღადებს შენდამი, ძეო და ღმერთო...» (A 144, გვ. 380 — 382).

აქ ჩამოთვლილ აპოკრიფებში, უმეტეს ნაწილად, ჩვენ გვაქვს სხვადასხვა თქმულება, რომელნიც შეუნახავს ბერძნულ ენაზე შემდეგ თხზულებებს: Ιστορία Ἰακωβου περὶ γεννήσεως Μαρίας, Ἐρωτήσεις Μαρίας μεγάλοι, Ερωτήσεις Μαρίας μικραὶ, Ἰέννεε Μαρίας, Ἐυαγγέλιον κατὰ Μαριάμ და სხე.

7) ჩამოთვლილთ გარდა ცნობილია ერთი აპოკრიფი, რომელშიაც ღვთისმშობელზეა ლაპარაკი, ეს არის მოთხრობა ლუდიის ეკლესიის აშენების შესახებ. მას ასეთი სათაური აქვს: «წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიმათიელმან, ჰოწაფემან უფლისაჲ ჩუენისაჲ იესოჳ ქრისტჱსმან, და თხრობაჲ აღშჱნებისათჳს ეკლესიისაჲ, რომელი იგი არს ლუდიას შინა, ქალაქსა წმიდისა დედუფლისაჲ ჩუენისაჲ მარიამ ღმრთისმშობლისასა» [2]; გამოცემულია ეს აპოკრიფი ნ. მ ა რ ი ს მიერ [3], გადმოთარგმნილია ის VIII—IX სს. ასურულიდან ან არაბულიდან, დედანი მისი არ შენახულა, ის ამჟამად მხოლოდ ქართული წყაროებითაა ცნობილი. მეორე რედაქცია ამ აპოკრიფისა უთარგმნია, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმიდელს.

იესო ქრისტეს შესახებ აპოკრიფები ზოგი შეეხება მისი ბავშვობის პერიოდს, ზოგი მისი მოღვაწეობის ხანას და ზოგი კიდევ მისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. პირველი კატეგორიის აპოკრიფთაგან ქართულ ენაზე უთარგმნიათ ჯერ კიდევ მეათე საუკუნემდე ეგრეთ წოდებული «სიყრმჱ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსი», რომელიც იწყება ასე: «ყრმაღა იყო ხუთწლად მოდგებოდა იესუ...». ამ აპოკრიფისაგან დარჩენილა მხოლოდ თავი, სხვა სულ დაკარგულა, ის გამოცემულია ჩვენ მიერ [4]. ამ აპოკრიფს კავშირი აქვს ცნობილ «თო-

[1] A. Vassiliev Anecdota graeco-byzantina. p. 59 — 72; Н Тихоправов, Памятники отреченной русской литературы, II, 164 — 171; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 20 — 26.

[2] ათონ. ხელნაწ. № 69, 154 — 164; A 144, 182 — 193; № 249, 1 — 17; № 339; № 395.

[3] «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», кн. II.

[4] «Monumenta hagiographica Georgica». I, p. 115 — 117; გამოცემულია ის აგრეთვე ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ს მიერ: «Христ. Восток». VI, в. 3, стр. 317 — 320; იქვე, გვ. 343 — 347. იხ. შენიშვნები ნ. მარისა ამ გამოცემის შესახებ. მისი ლათინური თარგმანი გამოსცა Garitte ს თავის Le fragment géorgien de l'Evangile de Thomas (Revue d'histoire ecclesiastique, vol. 51 (1956), № 2, p. 516—520.

მას სახარებასთან», რომელსაც, როგორც დავინახეთ, ექვთიმე ათონელიც ასახელებს და ბერძნულად Τὰ πεῖσκὰ τοῦ Κυρίου ეწოდება, აგრეთვე იმ აპოკრიფთან, რომელიც ცნობილია როგორც «არაბული სახარება იესო ქრისტეს სიყრმისა»[1]. გადმოთარგმნილი უნდა იყოს არა უგვიანეს VII საუკუნისა.

მეორე კატეგორიის აპოკრიფთაგან უნდა დავასახელოთ «კითხვა-მიგებაჲ იესუჲსი და განრღუეულისაჲ», რომელიც ნათარგმნი უნდა იყოს ძველადვე, არაუგვიანეს მეათე საუკუნისა[2], დ ა ამნაირად იწყება: «ოდეს შევიდა იესუ იერუსალიმად, მუნ იდვა განრღუეული, რომელი წვა ცხედარსა ზედა და კუნესოდა განჭრილი შეუსუენებლად. ვითარცა მიეახლა მას იესუ, ჰრქუა: რომლისა სალმობისა უფალი ხარ?». აქ მოყვანილია სცენა სილოამის საბანელთან იესო ქრისტესა და განრღვეულს შორის, რომელიც სახარებაში შედარებით მოკლედაა გადმოცემული.

მესამე კატეგორიის აპოკრიფთაგან, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს «ავგაროზი», ან მიწერ-მოწერა იესო ქრისტესა და ედესის მეფის ავგაროზს შორის. ეს ავგაროზი ჩვენამდე შენახულა ორი შემდეგი დროის რედაქციით, რომელთაგან ერთი ექვთიმე ათონელს ეკუთვნის და მეორე — გიორგი მთაწმიდელს. მათ შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, როდესაც აღნიშნულ პირთა სამწერლო მოღვაწეობას ვარკვევდით[3]. მეორე ამავე კატეგორიის აპოკრიფს, რომელიც ჩვენამდე შენახულა, ეწოდება: «დიღსა პარასკევსა საკითხავი ვნებათათჳს და სიკუდილისა, მოსაკსენებელი მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, თქუმული ანანია ებრაელისა დასისაგან შჯულისა მეცნიერთაჲსაჲ»[4]. ეს აპოკრიფი, რომელიც წარმოადგენს ნ ი კ ო დ ი მ ო ს ი ს ს ა ხ ა რ ე ბ ა ს, იწყება ასე: «რამეთუ ვცან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი წიგნთაგან საღმრთოთა და სარწმუნოებით გულსმოდგინედ ვისწრაფე და აღვწერენ მოსაკსენებელნი, რაჲ იგი თქუეს ჰურიათა ღმრთისათჳს პონტოელისა პილატესზე მსაჯულისაჲ». შეიცავს მოთხრობას, თუ როგორ გაასამართლა იესო ქრისტე პილატემ, როგორ მიუსაჯეს მას სიკვდილი, ჯვარს აცვეს და მოკლეს, ხოლო ხელნ. ინსტიტ. ხელნაწერში A 71 მიმატებულია იოსებ მართლის ნალაპარაკევი იესო ქრისტეს აღდგომისა და მოწაფეთადმი გამოცხადების შესახებ. ამ აპოკრიფში, რომელსაც, როგორც სათაურიდან ჩანს, თითქოს ეკლესიაშიც კითხულობდნენ წითელ პარასკევს, შენახულა უძველეს დროიდან ცნობილი Acta Pilata, პილატეს აქტები, რომელთაც იხსენიებენ წმ. იუსტინე და ტერტულიანე, აგრეთვე ევსე-

---

[1] E. Hennecke. Handbuch zu den neutestamentlichen Apokriphen S. 132—133. Tübingen. 1904. Charles Michel, Evangiles Apocriphes I. 162—180 Paris. 1924.

[2] A 70, 263 — 264; № 153, 292 — 296; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია, I, 26 — 27.

[3] ეს ძეგლი ათონელთა პერიოდამდეც იყო ქართულად ცნობილი. ყოველ შემთხვევაში ის შემონახულია ე. წ. ჯრუჭის 936 წლის სახარებაში (H 1665).

[4] სინ. ხელნაწ. № 78, 266—275; A № 70, 304—313; № 674, 201—208; № 71, 21—47; ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Евангелие Никодима, «Древности Восточные», т. III, вып. I; გამოცემულია ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ: «სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა», გვ. 193—199.

ბი კესარიელი და ეპიფანე კვიპრელი [1]. გადმოთარგმნილია ის ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდში, როგორც აკად. ნ. მ ა რ ი ფიქრობდა, შეიძლება სომხური ენიდანაც, ვინაიდან ქართულ თარგმანში შენახულა მრავალი სომხური სიტყვა და ტერმინი [2]. ამაზე ციკლს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე აპოკრიფები და ლეგენდები იმ ჯვარის შესახებ, რომელზედაც იესო ქრისტე მიაკრეს, აგრეთვე ლურსმნებისა და კვართის შესახებაც. ჯერ კიდევ თითქოს ელენე დედოფალმა იპოვა ლურსმნები, რომელთაგან კონსტანტინე დიდმა ცხენის ლაგამი გააკეთა. ქართულ ენაზე შენახული კ ი რ ი ლ ე ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ი ს სახელით «საკითხავი ჯუარისათჳს და პოვნად წმიდათა სამშჳალთად», რომელიც უძველეს დროშია გადმოთარგმნილი, შეიძლება პირდაპირ ასურული ენიდან, ვინაიდან ის გვხვდება ჯერ კიდევ 864 წლის მ რ ა ე ა ლ თ ა ვ შ ი [3] და «მესია» გადმოცემულია იქ სირიული მ ა შ ი ა-დ [4]. რაც შეეხება მაცხოვრის კვართს, ბევრი ქრისტიანი ერი აცხადებს იმაზე პრეტენზიებს: სხვათა შორის, ქართულ ენაზედაც შენახულა ლეგენდა ამ კვართის ჩვენში მოტანის შესახებ; ეს ლეგენდა ერცლად აქვს გამოკვლეული აკად. ნ. მარს [5].

განსაკუთრებით ბევრი აპოკრიფი დარჩენილა მოციქულთა შესახებ; უნდა შევნიშნოთ, რომ საქრისტიანო მწერლობაში მოციქულთა ის აქტებიც კი, რომელნიც საიმედოდ არიან მიჩნეული, წარმომდინარეობენ უძველესი აპოკრიფებიდან, ასე რომ, ბოლოსდაბოლოს, მოციქულთა არც ერთ აქტს წმინდა ისტორიული ხასიათი არა აქვს. აქ ჩვენ დავასახელებთ შემდეგ აქტებს, რომელნიც ქართულ ენაზე შენახულან და რომელთაც ან სრულიად, ან ნახევრად მაინც, აპოკრიფული ხასიათი აქვთ. საჭიროდ ვთვლით წინასწარ აღვნიშნოთ ერთი ზოგადი ხასიათის აპოკრიფი მოციქულთა შესახებ: «ნათლისღებისათჳს წმიდათა მოციქულთასა და ღმრთისაჲ და ნათესავთმეტყუელებისა ქრისტეს ქადაგისა და მახარებელისაჲ», რომელიც პეტრიწონულ სკოლაშია ნათარგმნი და იწყება ასე: «გამომეძიებელთა შრომისმოყუარეთათჳს უკუეთუ ვითარ და ვის მიერ ნათელიღეს წმიდათა მოციქულთა ვპოეთ მოსაკსენებელთა შინა წმიდისა სოფრონისათა სხუანიცა ვიდრემე მრავალნი ღირსნი ჴსენებულნი...» [6].

იოანე მახარებელი ან ღვთისმეტყველი. იოანეს აქტებთაგან ქართულად, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ «საქმენი და სწავლანი იოვანე მოციქულისა და ღმრთისმეტყუელისანი და პროხორე, მოწაფისა მისისანი», რომელიც იწყება ასე: «და იყო შემდგომად ჟამთა რაოდენთამე შემდგომად ამაღლე-

---

[1] E. H e n n e c k e, Handbuch zu den neutestamentlichen Apokriphen, S. 143—153.

[2] Армянские слова в грузинских «Деяниях Пилата», «Зап. Восточн. Отдел. Русск. Археол. Общества», т. XVII.

[3] არის აგრეთვე საქართ. მუზეუმის მ რ ა ე ა ლ თ ა ე ბ შ ი ა ც: A 95, 399 — 401 და A 144, 288 — 296.

[4] H. M a r r, Предварительный отчет, стр. 20. შეად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები, I, 67 — 68.

[5] «Хитон Господень в книжных легендах. Армян, Грузин и Сирийцев», Петербург., 1897 г.

[6] A 1040, 63—66.

ბისა უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსა ძისა ღმრთისა ზეცად. შეკრბეს ყოველნი მოციქულნი გეთსემანიას და თქუა პეტრე მათა მიმართ...» (A 19, 211—262). შედგება ეს აქტები შვიდი თავისაგან: I ლაპარაკობს იოანეს ეფესოში ყოფნისა და მოქმედების შესახებ, II — «მირონისათჳს, რომელი იქმნა და ყოველისათჳს სახლისა მისისა», III — «ბასილისათჳს და ცოლისა მისისა და ვითარ პრწმენა ქრისტჱ სასწაულითა იოვანჱსითა», IV — «მგლისათჳს, რომელი გამოუჩნდებოდა მყოფთა ქალაქისათა», V — «ნოიტიანოჲსათჳს და ყოველისა სახლისა მისისა», VI — «გამოცხადებისათჳს იოვანჱსისა», VII — «საკითხავი სახარებისა იოვანჱს თავისა და ვითარ გამოთქუა იოვანე და რაჲსათჳს და რომელსა ადგილსა და რომელსა ჟამსა». ეს აქტები ცნობილია როგორც ბერძნულ [1], ისე სომხურ ენაზე [2], და, სტილის მიხედვით, ნათარგმნი უნდა იყოს შედარებით ადრე, ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს მერვე საუკუნისა.

მეორე რედაქცია ამავე აქტებისა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ქართულ ენაზეა ცნობილი, გადმოუთარგმნია ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ს მეათე საუკუნის გასულს და საერთოდ იმავე შინაარსისაა, როგორისაც უკვე დასახელებული [3], მას ეწოდება: «ცხოვრებაჲ და ქადაგებაჲ წმიდისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყუელისაჲ, აღწერილი პროხორეს მიერ, მოწაფისა მისისა, ერთისა ჴუთაგანისა, ძმისწულისა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა». ამაში არაა მეოთხე და მეექვსე თავი პირველი რედაქციისა, ზოგიერთი ეპიზოდი აქ უფრო ვრცლადაა გადმოცემული, ზოგიერთი კიდევ შემოკლებულია, ზოგი რამ სრულიად ახალია, ასე რომ, პროხორეს შრომა, ჩანს, ბერძნულ ენაზე ორი სხვადასხვა რედაქციით არსებობდა.

ერთი ეპიზოდი ამ რედაქციისა ცალკეც გვხვდება ჩვენს ხელნაწერებში შემდეგი სათაურით: «საკითხავი წმიდისა და ყოველად ქებულისა მოციქულისა და მახარებელისა იოანე ღმრთისმეტყუელისაჲ და კუნოპისათჳს და ყოველისა გრძნებისა და ბოროტადკეთილოვნებისა მისისათჳს» (A 370, გვ. 545 — 549, ბოლო აკლია). ეს ეპიზოდი შეესატყვისება დაბეჭდილ გამოცემაში («ათონ. კრებ.») 146—150 გვერდებს და განირჩევა მისგან მხოლოდ ცალკე სიტყვებისა და წინადადებების ვარიაციებით.

იოანეს აქტების დასახელებულ რედაქციებს ბოლოში აქვს ცალკე ეპიზოდი, რომელიც დაბეჭდილ გამოცემაში შეერთებულია მოთხრობასთან, ხოლო ხელნაწერში A 19 წარწერილია ამნაირად: «საკითხავი თქუმული ოქროპირისა იოვანე მახარებელისათჳს» (გვ. 262 — 266). ეს არის იოანეს გნოსტიკური აქტები, რომელთაც ბერძნულად Μετάστασις ეწოდება [4], ხოლო ერთ-ერთ ქარ-

[1] M. Veander. Κατήχησις Μαρτείνου τοῦ Λουθέρου ἡ μικρὰ καλουμένη (Basileae, 563), 526—662; Амфилохий, Хождение апостолов по вознесении господа нашего Иисуса Христа, Москва, 1878 г., 1—67.

[2] Tsherakhian, Libri apostolorum spurii, 190—292 («Bibliotheka hagiographica Orientalis», Bruxellis 1910, p. 104—105).

[3] გამოცემულია 1074 წ. ხელნაწერით «ათონის კრებულში», გვ. 111 — 175.

[4] R. Lipsius, Die Apokryphen Apostelgeschichten und Apostellegenden, I, S. 489—541.

თულ ხელნაწერში — «განსუენებაჲ იოვანჱსი». ამ უკანასკნელში ეს ეპიზოდი ცალკე საკითხავადაა დადებული აპრილის 29 [1]; A 19-თან შედარებით ეს ცოტათი განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს, უფრო ძველს, უდავოდ სომხურიდან ნათარგმნს [2], რაც შეეხება დაბეჭდილ გამოცემას («ათონ. კრებ.», გვ. 172 — 175), ამაში ეს «განსუენება» შემოკლებით და გადაკეთებულადაა შეტანილი. ქართველ მთარგმნელს სპეციფიკური გნოსტიკური ელემენტები გამოუტოვებია თავის შრომაში.

პეტრე მოციქული. პეტრეს შესახებ ქართულ ენაზე საკმაოდ ვრცელი აპოკრიფები შენახულა, რომელთა საზოგადო სახელია Κήρυγμα Πέτρου-პეტრეს ქადაგებანი. ამ აპოკრიფს მეორე საუკუნეში იხსენიებს ჰერაკლეონი და ის შეიქნა წყაროდ მთელი ფსევდოკლემენტური ლიტერატურისა, რომელსაც სახელად ეწოდება Homiliae Clementinae, Recognitiones და სხვ. ეს «კლემენტინები» ქართულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს შემდეგი სათაურით: «თქუმული წმიდისა და ნეტარისა მღდელმოწამისა კლემენტოს ჰრომთა პაპისა და წმიდისა მოციქულისა პეტრესი მოწაფისაჲ, თუ ვითარ სახედ დაემოწაფა იგი წმიდასა მოციქულსა პეტრეს, რომელი ესე მიუწერა ჰრომით იერუსალჱმს წმიდისა იაკობის მიმართ ძისა უფლისა ბრძანებითა წმიდისა მოციქულისა პეტრესითა». იწყება ასე: «კლემენტოს იაკობს უფალსა ჩემსა და ებისკოპოსსა და ებისკოპოსთა ებისკოპოსსა, მწყემსსა იერუსალჱმისსა» [3]. ექვთიმე თავის საპასუხო წერილში, აღნიშნავს რა «ანტიოქიის მოქცევის» მიუღებლობას ეკლესიაში, შენიშნავს, რომ «ჴეშმარიტი ანტიოქიის მოქცევაჲ იგი არს, ვითარცა კლემენტოს იტყჳსო». ეს მიმატება — «ვითარცა კლემენტოს იტყჳსო», ეუცხო არ ტოვებს, რომ ექვთიმეს მიერ ნათარგმნ ზემოდასახელებულ «კლემენტინებში» იგულისხმება «ანტიოქიის მოქცევა», სადაც მოთხრობილი ყოფილა სამისიონერო მოღვაწეობა პეტრესი ანტიოქიაში. «ანტიოქიის მოქცევა» ნ. მარს უნახავს და გადმოუწერია კიდეც სომხურ ენაზე იერუსალიმის ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში; აქ ლაპარაკი ყოფილა პეტრეს, იოანესა და პაველეს სამისიონერო მოღვაწეობისა და თავგადასავალის შესახებ. მარს შესაძლებლად მიაჩნია წამოაყენოს საკითხი: ხომ არ ჰქონდა რაიმე კავშირი ძველ ქართულ მწერლობაში მოხსენებულ «ანტიოქიის მოქცევას» ამ სომხურ აპოკრიფთანაო? [4].

პეტრეს მოღვაწეობას ეხება აგრეთვე «ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და მოციქულთა სწორისა ბაგრატისი მღდელმოძღურისა ტავრომენელთა ქალაქისა ჭალაკისა მის სიკილიისა, რომელი აღწერა ევაგრე ეპისკოპოსმან, მოწაფემან მისმან»; ეს აპოკრიფი, რომელიც მთლიანად ბერძნულ ენაზე არ შენახულა და ალ. ხახანაშვილის მიერაა გამოცემული [5],

---

[1] გამოცემულია ჩვენ მიერ: «Monumenta hagiographica Georgica», t. I. p. 198 — 201.

[2] არსებობს რუსული თარგმანიც სომხური ტექსტისა, რომელიც ემინს ეკუთვნის (Переводы и статьи Н. О. Эмина, Москва, 1897 г., стр. 27—31).

[3] A 70. 36 — 83; ათონ. ხელნაწ. № 50. 169 — 249; № 73, 131 — 154.

[4] «Предварительный отчет», стр. 19—20.

[5] Баграт, епископ тавроменийский. «Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским Институтом восточных языков», вып. XIX.

იწყება ასე: «მოწევნულ არს ჟამი, საყუარელნო, ჴელყოფად თხრობასა ამას კეთილსა სულთა სარგებელსა»[1]. ის გადმოთარგმნილია ქართულად ექვთიმე ათონელის მიერ[2].

თომა მოციქული. თომას შესახებ ქართულად დარჩენილა: 1) «საკითხავი საკჳრეელებათათჳს, რომელი იკითხების ოკდონბერსა ჱ და იჳლისსა ზ: მას ჟამსა შინა იყვნეს ყოველნი მოციქულნი იწ´ლიმს და განიყვეს ყოველი სოფლები და განიყვეს წილი, რათა თჳთეულმან მათგანმან ქადაგოს სახარებაჲ. წილიგდეს და ხვდა თომას მარჩჩივსა ჰინდოეთი, რომლისა იგი ეგულებოდა წარსვლაჲ, არამედ იტყოდა: ვერ ძალმიცს ტჳრთვად»[3]. 2) მეორე რედაქცია, ამისი იწყება ასე: «შევიდა ნეტარი იგი თომა მოციქული სახლსა ვეჟმინისსა ძისა მის მეფისა ჰინდოელთაჲსა ღამე და დიდითა ნათლითა განათლდა ყოველი»[4].

ანდრია მოციქული. ქართულ ენაზე უთარგმნიათ სამი რედაქცია ანდრიას აქტებისა, ერთი მთგანი გამოცემული აქვს მ. საბინინს[5], მეორე მოთავსებულია A ფონდის ხელნ. № 395, 71 — 96 და იწყება ასე: «ოდეს აღმაღლდა უფალი ჩუენი და ღმერთი იესო ქრისტე ზეცად, მაშინ აღთქუმაჲ იგი სულისაჲ წმიდისაჲ აღუსრულდეს წმიდათა მოციქულთა». მესამე რედაქცია, ნამდვილი აპოკრიფული, რომელიც მოგვითხრობს ანდრიას მოღვაწეობას «სოფელსა კაცს მჴამელთასა», ალბათ, არის ის, რომელსაც ექვთიმე ათონელი «გარყუნილს» უწოდებს. ეს არის «მიმოსლვაჲ მოციქულთაჲ, ოდეს იგი წარავლინა უფალმან მოციქული ანდრიაჲ სოფელსა მას კაცის მჴამელთასა გამოყუანებად მათესა საპყრობილითა»; იწყება: «მათ ჟამთა, ოდეს იყვნეს მოციქულნი ყოველნი ერთად შეკრებული და განყოფდეს თითოეულად თავისა მათისა სოფლებსა ყოველსა»[6]. პირველი აქ აღნიშნული რედაქციათაგან, როგორც მისი გადმომთარგმნელი ექვთიმე მთაწმიდელი მოწმობს, «შეკრიბა პირველ წერილისა მოსაკსენებელთაგან ნიკიტა ღირსმან მონაზონმან და ფილოსოფოსმან» (A 1103), ესე იგი ნიკიტა-დავით პაფლაღონელმა[7], თუმცა ექვთიმეს უსარგებლნია ეპიფანე მონაზონის რედაქციითაც[8].

პავლე მოციქული. ქართულად შენახულა ეგრეთ წოდებული «პავლეს აპოკალიპსი», რომლის შესახებ ნეტარი აგვისტინე ამბობს, რომ ზღაპრებითაა აღსავსეო. ქართულად მას ასეთი სათაური აქვს: «წმიდისა და ნეტარისა მოციქულთა თავისა პავლესი, რომელმან სახედ მზისა მოვლო და განანათლა ყოველი ჭუეყანაჲ, რომელი სულისა მიერ წმიდისა აღტაცებულ იქმნა სამოთხედ და აღიწია სამცამდე და ესმნეს სიტყუანი უთქუმელნი და იხილნა საყოფელნი მარ-

[1] A 382, 151 — 185; № 134, 424 — 591; № 610; ათონ. ხელნაწ. № 50, 1 — 102.

[2] ქ. ა ლ ა ქ ნ ი ა, რომანი «ტავრომენიანი» ძველ ქართულ ლიტერატურაში («ლიტერატურული ძიებანი», I, 2 — 16).

[3] A 649, 26 — 30.

[4] H 341.

[5] «სჱმ. სამოთხე», გვ. 24 — 47; A 188, 88 — 104.

[6] A 674, 7 — 8.

[7] M i g n e, PG. t. 105, col. 53 — 80.

[8] M i g n e, PG. t. 120, col. 216 — 260; В. В а с и л ь е в с к и й, Хождение ап. Андрея в стране Мирмидонян, «Труды», т. II, 1909 г., стр. 213—245.

თალთა და ცოდვილთანი»; იწყება ასე: «იტყჳს ნეტარი პავლე, ნესტჳ ბრწყინვალე ეკლესიისაჲ, ჰმამაღალი ქადაგი სოფლისაჲ: ხოლო აღსლვასა ჩემსა სამცამდე ვკითხე ანგელოზსა მას, რომელი მიძღოდა»[1]. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, როგორ მოვლო პავლემ «სამი ცა», და აგრეთვე კეთილთა და უკეთურ სულთა ბედისა და მდგომარეობის შესახებ საიქიოს. ეს აპოკრიფი უნდა იყოს «პავლეს ცათა მოხილვაჲ», რომელიც, ექვთიმე მთაწმიდლის სიტყვით, «ნატყუარი» არს. ბერძნულ[2], სლაუერს[3] და რამდენადმე სირიულ[4] ვერსიებთან შედარება გვარწმუნებს, რომ ქართულ თარგმანს, რომელიც შესრულებული უნდა იყოს მეთერთმეტე საუკუნემდე, საფუძვლად უდევს დღემდე უცნობი რედაქცია, რომელიც, ჩამოთვლილებთან შედარებით, უფრო მოკლე ყოფილა და რომელშიაც «ხილვის» ეპიზოდები სხვა თანმიმდევრობით ყოფილა დალაგებული.

იაკობ, ძმა უფლისა. იაკობის აქტები, რომელიც იწყება ასე: «და იყო, მასჟამს ნებითა უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსითა სცვალებდა ტაძარსა მას, რომელ იყო იჱრ-ლჱმს», მოთავსებულია X — XI საუკუნის მრავალთავებში[5], მაშასადამე, გადმოთარგმნილი უნდა იყოს შედარებით ადრე.

მარკოზ მახარებელი. მარკოზის შესახებ ქართულად დარჩენილა «წამებაჲ ალექსანდრია ქალაქსა შინა», რომელიც ბერძნულიდან უნდა იყოს ნათარგმნი, როგორც ჩვენ ეს უკვე გარკვეული გვაქვს[6].

ტიმოთე, მოწაფე პავლე მოციქულისა და პირველი ეპისკოპოსი ეფესელთა ეკლესიისა. მისი აქტებიც, რომელიც ქართულად შენახულა, ერთ-ერთ უძველეს აპოკრიფულ ნაშთად უნდა ჩაითვალოს ქართულ ენაზე; გამოცემულია ჩვენ მიერ[7].

პავლე მოციქულის სახელთან დაკავშირებულია ორი აპოკრიფი, რომლებშიაც მოჰმედ პირებად გამოდიან თეკლა პირველმოწამე და დიონისე არეოპაგელი. პავლესა და თეკლას აპოკრიფი, რომელიც ცნობილია კარგად ეკლესიურ მწერლობაში, ქართულად იწყება ასე: «მირაჲეიდოდა პავლე იკონია ქალაქსა შემდგომად დევნულებისა მისისა, თანამოგზაურად შეუდგეს დემა და ერმოგინე პილენძის მოჭმედნი, რომელნი სავსე იყუნეს სიღრმითა მანკიერებისაჲთა»[8]. დიონისე არეოპაგელის, პავლე მოციქულის მოწაფის, პიროვნებისა და სახელის გარშემო შეთხზული ბევრი ლეგენდა, რომელთაც ქართულ მწერლობაშიაც უპოვნიათ ადგილი. ქართულად შენახულა: 1) «ცხორე-

---

[1] A 153, 268—292

[2] Tischendorf, Apocalypses Apokryphae, Lipsiae, 1866, P. 34—69, XII—XVII.

[3] Н. Тихонравов, Памятники отреченной русской литературы. II, 40 - 59.

[4] H. Brandes. Visio s. Pauli, Halle, 1885.

[5] A 19, 100 — 109.

[6] K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica. I, p. 193—197. A 370, 534—540; A 95, 94n—97a, გამოცემულია ჩვენ მიერ: «კიმენი», 11, 93—100.

[7] «Monumenta...». I, 103—106: A 370, 541—514.

[8] S 341. გამოცემულია ილ. აბულაძის მიერ: მარტვილობა თეკლასი, ენიმკის «მოამბე», VIII, 71 — 137.

ბაჲ წმიდისა დიონისიოსისა ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო ძჱ სოკრატისა და მთავარი ათენელთაჲ, რომელსა ეწოდა ქალაქი ბრძენთაჲ» [1]; 2) «ებისტოლე წმიდისა დიონისიოსისი ბრძენთმთავრისაჲ და ათენელთა ეპისკოპოსისაჲ, რომელი მიუწერა ტიმოთეს საყუარელსა თჳსსა და მოწაფესა ჰოძღურისა თჳსისა პაულჱსსა» [2]. ორივე დოკუმენტში თვით დიონისე მოგვითხრობს თავის თავგადასავალს და ბევრ ლეგენდარულ მასალასაც იძლევა; ქართულად ეს დოკუმენტები ნათარგმნია ჩვენი მწერლობის უძველეს ხანაში, ასე რომ, 880 წელს ვაღიაც იოანე აქიმს ქართულიდან (ქხასტაწ-ს) ის სომხურად უთარგმნია იერუსალემჱი [3].

ბევრი დარჩენილა აგიოგრაფიული ხასიათის აპოკრიფი, რომელიც შეეხება წმინდანებისა და მათი ცხოვრების აღწერილობას. სხვადასხვა დროის მწვალებლებს, სექტანტური მოსაზრებითა და მიზნით, ძველიდანვე დაუწყვიათ ცხოვრება-მარტვილობათა შერყვნა და დამახინჯება. ისინი ან თვითონ თხზავდნენ ცრუ და ყალბ აქტებს, ანდა უკვე არსებულში შეჰქონდათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც აგიოგრაფიულ ნაწარმოებს, საზოგადოდ, სახელს უტეხდა. მეექვსე მსოფლიო კრებამ 63-ე კანონით დაადგინა, რომ ასეთი ნაწარმოებნი დაეწვათ. ამნაირად, მეშვიდე საუკუნის გასულს შემოღებულ იქნა აგიოგრაფიული ცენზურა, რომლის გამოძახილს საქართველოში, შედარებით გვიან, მეათე საუკუნეში მოუღწევია ჩვენამდე ექვთიმე ათონელის ზემოაღნიშნულ სიაპასუხო წერილში. ამით აიხსნება, რომ ქართულ ენაზე ბევრი შენახულა ისეთი «ცხოვრება», რომელიც სავსეა ასეთი ფანტასტიკური და დაუჯერებელი ამბებით და რომლის დედანი, ალბათ, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, დაკარგულია. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მარტვილობა ზოსიმესი [4]. ასეთი ც ხ ო ვ რ ე ბ ა ნ ი ექვთიმესაც აქვს დასახელებული, მაგალითად: მოციქულების ცხოვრებანი, წმ. გიორგის წამება, წამება წმ. კვირიკესი და «სხუანი რომელნიმე ესევითარიმე ნატყუარნი, მრავალ არიან სახელები მათი». რამდენიმე ასეთი ც ხ ო ვ რ ე ბ ა გამოვეცით ჩვენ, მაგალითად: იოანე ურჰაელისა [5], აგათანგელე დამასკელისა [6], ფილეტტიმონისა [7], პანსოფი ალექსანდრიელისა [8], ბასილი კესარიელისა [9], ნისიმესი [10]. ეს აპოკრიფები

[1] A 19, 177—180; № 395, 14—16; ათონ. № 57, 51—57. გამოცემულია P. P e e t e r s-ის მიერ: La Version ibéro-arménienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite («Analecta bollandianna», t. XXXIX, 277—315), მისივე, La version géorgienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite. Anal. Bollan. t. 31, p. 5—10. მ ი ს ი ვ ე. La vision de Denys l'Areopagite à Hieropolis. Anal. Bol. t. 29, p. 302—322. აგრეთვე ი ლ ა ბ უ ლ ა ძ ის «ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X ს.», გვ 133—147.

[2] A 19, 184—186; № 95, 157—168; ათონ. № 57, 57—64; გამოცემულია გრ. ფ ე რ ა ძ ის მიერ, ჟურნალში 'Ελπις, გვ. 3—35, ვარშავა, 1937.

[3] P e e t e r s. La Version géorgienne de l'autobiographie de Denys l'Aréopagite Analecta Bollandiana», t. 31, p. 1—10, t. 39, p. 280—290.

[4] გამოცემულია კ. კ ე კ ე ლ ი ძ ის მიერ, ეტიუდები III, 166—176.

[5] «Христианский Восток», т. II, 306—343.

[6] «Христ. Вост.», т. IV, 346—383.

[7] K. K e k e l i d z e, Monumenta hagiographica Georgica. t. I, p. 153—160

[8] ო ქ ვ ე, გვ. 48 — 59.

[9] ო ქ ვ ე, გვ. 1 — 5.

[10] ო ქ ვ ე, გვ. 202 — 214.

ნათარგმნია ქართულად მეათე საუკუნემდე ბერძნული, სომხური და ასურული ენებიდან. ამათ გარდა, საყურადღებოა აპოკრიფი «შიშუელმართალთათჳს», რომელიც ორი რედაქციით შენახულა: 1) «ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ შიშუელმართალთაჲ, რომელთამი წარვიდა ზოსიმე»[1], რომელშიაც მოთხრობილია ცხოვრება ერთ უდაბნოში «შიშუელმართალთა», ესე იგი ისეთ ადამიანთა, რომელნიც ანგელოზებრივ ცხოვრებას ატარებდნენ, ამიტომ არც ტანისამოსი სჭირდებოდათ და არც სხვა რამე, რაც ადამიანისათვის აუცილებელია. სასწაულებრივ მათ წრეში ჩავარდნილა ზოსიმე, რომელსაც მათი ცხოვრება აუწერია[2]. 2) «შიშუელმართალთათჳს თხრობაჲ წმიდისა ბასილისი ეგბოლოს მიმართ მოძღუარისა მისისა და ქუეყანის საზომისათჳს აღმოსავალითგან ვიდრე დასავლეთადმდე»[3]; აქაური «შიშუელმართალნი» ჩვენ მიერ გამოცემულ პანსოფი ალექსანდრიელის ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი მოყვანილი არიან, როგორც ს ა ნ ა ტ რ ე ლ ნ ი მამანი. ეს აპოკრიფიც უძველესი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ვინაიდან ის მოთავსებულია სინას მთის ხელნაწერში № 71, რომელიც 983 წელს შ ე უ მ ო ს ი ა იოანე ზოსიმეს, მაშასადამე, გადაწერილი და გადათარგმნილი ის გაცილებით ადრე იქნებოდა. ბერძნულ, სლავურ და სხვა მწერლობაში შ ი შ უ ე ლ მ ა რ თ ა ლ თ · ეწოდებათ ნ ე ტ ა რ ნ ი, ბ რ ა ხ მ ა ნ ე ბ ი, რ ე ქ ა ვ ი ტ ე ბ ი, ჰ ი მ ნ ო ს ო ფ ი ს ტ ე ბ ი და სხვ. ამავე ტიპის აპოკრიფს წარმოადგენს «ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ მაკარი რომაელისაჲ, რომელი იპოვა მახლობელად სამოთხისა ოცსა მილიონსა», ის განხილული და გამოცემულია ჩვენ მიერ[4].

აღარ ვჩერდებით უამრავ მოკლე თუ ვრცელი აპოკრიფების ჩამოთვლაზე, რომელთაც ვხვდებით სხვადასხვა დროის ხელნაწერებში; აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ქართულ ენაზე არსებობს აპოკრიფების ერთი საგანგებო კრებული, რომელსაც მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ეწოდება. ჩვენ ვიცით შემდეგი ნუსხები ამ კრებულისა: ხელნაწ. ინსტიტ. A ფონდის № 1369, H ფონდის № 1296[5], S ფონდის № 3529[6] და № 1536, 1775 წლისა. კრებულს შემდეგი სათაური აქვს: «სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი წმიდათაგან წიგნისაგან მ ა რ გ ა რ ი ტ ი ს ·

---

[1] გამოცემულია ჩვენ მიერ: გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში, «ეტიუდები», II, 122—127. ეს აპოკრიფი სლავურ ენაზედაც არსებობს. იხ. Н. Тихонравов. Памятники отреченной русской литературы, т. II, стр. 78—92.

[2] A 395, 136 — 143; № 161, 136 — 147.

[3] A 65, 350 — 351; იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 846—849; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში, «ეტიუდები», II, 127 — 129.

[4] ძველი ქართული ავანტიურული რომანი, «ეტიუდები», II, 34—63.

[5] აღწერილია კრებულში: «Сборник для описания местностей и племен Кавказа вып. XXIV, стр. 22—24.

[6] Е. Такайшвили, Описание I, 519 — 520. ამათ გარდა არსებობს კიდევ შემდეგი ნუსხები ამ კრებულისა: ლ ო ბ ა ტ ი ნ ს კ ი ს ა («Сборн. для опис. мест. и племен «Кавк.», вып. XXIV, стр. 20—21). ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს ა (А Хаханов. Очерки по истории груз. слов., вып. III, стр. 428—429) და A 381, 658. ყველა ჩამოთვლილი ნუსხა გადაწერილია მეცხრამეტე საუკუნეში, გამონაკლისს შეადგენს A 1369, რომელიც გადაწერილია ასტრახანს 1788 წელს.

და დაბადებისაგან ღმრთისა». აქედან ჩანს, რომ კრებული თვითონ კი არაა მ ა რ გ ა ლ ი ტ ი, — ასეთი სახელი, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, ეწოდება იოანე ოქროპირის მოძღვრებათა ერთ-ერთ კრებულს, — არამედ იმაში შეტანილია მასალა მ ა რ გ ა ლ ი ტ ი დ ა ნ ა ც. ძირითადი ნაწილი ამ კრებულისა შედგება შემდეგი სტატიებისაგან, რომლებიც უმეტეს ნაწილად კ ი თ ხ ვ ა-მ ი გ ე ბ ი ს სახით არის წარმოდგენილი: 1) შექმნისათჳს ცისა და ქუეყანისა: აქ გარკვეულია ზოგიერთი საკითხი ბიბლიური კოსმოგონიისა, წარმოდგენილია მოციქულების სახელები და გენეალოგია ზოგიერთი წმინდანისა და ბიბლიური პერსონაჟისა; შეიცავს სულ 52 კითხვა-მიგებას. 2) თარგმანებაჲ წმიდისა იპოლიტესი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს იპოლიტეს ქ რ ო ნ ი კ ი ს აპოკრიფულ ფრაგმენტებს, შეიცავს ბიბლიური ქრონოლოგიის ცდას ქრისტეს დაბადებიდან ღვთისმშობლის მიცვალებამდე. 3) რაოდენნი ნათესაენი არიან ქუეყანასა ზედა,—ჩამოთვლილია 75 ეროვნება და მათ შორის: ფერელნი, ქართველნი, აფხაზნი, სვანნი, მეგრელნი, დვალნი, აგრეთვე — დიდრნი, ლეკნი, ჯიქნი, პაჭანაკნი, სომეხნი, რუსნი, წითლოსანნი, ბრანჯნი, ყიჩაყნი. 4) სიტყუა დაბადებისა: ადამისათჳს და სამოთხისა შუენიერებისა და ანგელოზთა დაბადებისათჳს, — ჲოანისე არეოპაგელისა. აქ მოთხრობილია ამბავი ქვეყნის გაჩენისა, ადამ და ევას დაბადებისა, მათი სამოთხეში ცხოვრებისა, შეცოდებისა და იქიდან გამოძევებისა, აწერილია სამოთხე, მერე ვრცელი ლაპარაკია ანგელოზთა შესახებ და წარმოდგენილია ესქატოლოგიური მოძღვრება კეთილი და ბოროტი ადამიანის შესახებ. 5) სწავლანი სულიერნი, გამოკრებულნი თჳთოსაჲეთა წიგნთაგან, შედგება 90 კითხვა-მიგებისაგან. აქ განმარტებულია ფაქტები, სახელები და სხვადასხვა საგანი ძველისა და ახალი აღთქმის ისტორიისა; მაგალითად, კითხვა: წინასწარმეტყველი ვინ მოკვდა სამგზის? მიგება: იონა. ვინ იყო, რომელი ეძიებდა ერთსა და სამი პოვა? ელენე დედოფალი, რომელიც მაცხოვრის ჯვარს ეძებდა მხოლოდ, სამი კი იპოვა. აქვე ახსნილია ზოგიერთი ადგილი და მუხლი საღმრთო წერილისა, აგრეთვე მთელი იგავები, მაგალითად, უძღები შვილის, ტალანტის და მოწყალე მეფის შესახებ. ძველი აღთქმიდან უფრო ხშირად დ ა ვ ი თ ი დ ა ნ აა მოყვანილი ადგილები. როდესაც საღმრთო წერილიდანაა მოყვანილი ადგილი, კითხვა-მიგების მაგიერ ნახმარია ტერმინი ი გ ა ვ ი, თ ა რ გ მ ა ნ ი; ხშირად წერია უ თ ა რ გ მ ა ნ ო, რაც «ა ქ ს ი ო მ ა»-ს უდრის. 6) სახისმეტყუელებითი სიტყჳსგებაჲ წმიდათა მღდელთმოძღუართა ბასილისი და გრიგოლისი, — სულ სამი ჯგუფია კითხვა-მიგებათა; აქ ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული რეცენზია იმ აპოკრიფული კითხვა-მიგებისა, რომელიც სლავურ ენაზე შენახულა და რომელსაც ეწოდება «Беседа трех святителей» [1]. ჩვენი რეცენზია უფრო ვრცელია, კითხვა-მიგებათა რიცხვი იმაში მეტია; სლავურსა და ჩვენს რეცენზიაში შემდეგი 20 საერთო საკითხია: რა ხელოვნება დაბადა ღმერთმა უწინარეს ყოვლისა, რისგან დაბადა პირველი კაცი, რაოდენი ხანი დაყო ადამმა სამოთხეში შეცოდების შემდეგ, სიმართლე ვინ თქვა და წარ-

[1] Н. Тихонравов, Памятники отреченной русской литературы, т. II, стр. 429—438. ერთი მისი ფრაგმენტი იხ. A t25, ფ. 12—15.

წყმდა, ვინ ახადა მეოთხედი ნაწილი ქვეყნისა, ვინ დადო სამი და ნახევარი, რამდენი თვე დაყო უფალმა ეგვიპტეში, ვის სახლში ცხოვრობდა იქ, რომლისა პურები ჭამა უფალმა, ოთხი სახარება სად დაიწერა, როგორ იდიდება სამება, ვინ იყო რომელი არ შობილა და მოკვდა, ვინ არიან ორნი მარადის მბრძოლნი, ვინ მართალთაგანმა არა თქვა ცხრა თვე, ვინ მოკვდა ორჯერ, რა ეწოდებოდა სახელი: პეტრეს მამხილებელ მხევალს, მაცხოვრის გვერდის ლახვრით განმგმირველს, ანგელოზს, რომელმაც ღოდი გადააგორა, მოგვებს, რომელთაც ძღვენი მიართვეს მაცხოვარს, და ავაზაკებს, რომელნიც ჯვარს აცვეს მასთან ერთად? 7) კითხვა-მიგება გრიგოლი ღვთისმეტყველისა ანგელოზის მიერ; აქ ნამდვილად იგულისხმება გრიგოლ პართელი, სომეხთა განმანათლებელი, და არა ღვთისმეტყველი [1]. 8) ათანასე ალექსანდრიელისა თქმულნი, სულ 40 კითხვა-მიგებაა მორალური და ესქატოლოგიური ხასიათისა. 9) სიტყუანი წმიდათა მამათანი; აქ ახსნილია 18 იგავი სახარებიდან: მოწყალე სამარიტელისა, ვენახ'ში მომუშავეთა, დაკარგულ დრაქმათა, მეფის შვილის ქორწილისა, მარგალიტის მაძებარი ვაჭრისა, ტალანტთა, ზღვაში გადასროლილი ბადისა, დაბმული კვიცისა, მორჩილისა და ურჩი შვილისა, ახალი ღვინის და ძველი თხიერისა, მაცხოვრის სერობისა ლაგვინით წყლის მტვირთველისა, ურცხვი და უშიში მ'საჯული'ა, უნაყოფო ლეღვისა, ყანაში დაფარული საუნჯისა, უნაყოფო ხისა, რომლის ძირში ცული ძევს, დედაკაცის საფუვარისა და მდოგვის მარცვლის შესახებ. 10) კითხვა-მიგება წმიდათა მამათა; აქ 30 კითხვა-მიგებაში ახსნილია სხვადასხვა მუხლი და საგანი ძველისა და ახალი სჯულისა, მაგალითად: რაოდენი არიან ცანი, რამდენი წელიწადი იყო დაფარული ჯვარი მაცხოვრისა, რამდენი წყართა იყო ნოეს კიდობანი, ვინ იყო რომელი არ შობილა და მოკვდა? შემდგომად სიკვდილისა ვინ შევიდა მუცლად დედისა? აქვე ჩამოთვლილია შვიდნი ცოდვანი კაენისანი. 11) სიტყუანი გამოკრებულნი სახარებათაგან წმიდათა მამათა მიერ, — სულ 31 კითხვა-მიგებას შეიცავს. 12) სოლომონისა კითხვა-მიგებანი, — 20 კითხვა-მიგებაა; ბაასი წარმოებს ვინმე ზაქარიასა და სოლომონს შორის ძველისა და ახალი აღთქმის თემებზე. 13) ხრონოღრაფი, სიტყუან მეორედ მოსლვისათჳს და აღსასრულისა, პატრელაისონი; აქ ჩვენ გვაქვს მეთოდი პატრელის ან ოლიმპელის ფსევდოეპიგრაფიკულისა და აპოკრიფული ქრონიკის შემოკლებული რედაქცია, რომლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა, როდესაც ლეონტი მროველის ლიტერატურულ წყაროებს ვირკვეოდით [2].

---

[1] А Хаханов, Очерки по истории груз. словесности, вып. I, стр 222—224.

[2] «თბილ. უნივ. მოამბე», III, 51 — 52. გარდა ამ 13 ძირითადი სტატიისა, კრებულში არის დამატებითი არააპოკრიფული სტატიები: 1) სიტყვისგება ექვთიმე გრძელისა და სოსთენს შორის («საქართველოს სამოთხე», გვ. 615 — 621), 2) უწყება პეტროს მკაწვრელისა, ალაჯორისა და ალაჯორთა მარხვისა (იქვე. გვ. 629—631), 3) უწყება სუბალისძისა სუფსარქისისათვის (იქვე, გვ. 631—633), 4) თარგმანება სომეხთა წვალებათათვის და თუ რომლითა პირითა შეიჩვენებიან სომეხნი (იქვე, გვ. 636—638), 5) «განგება საიდუმლოთა კათოლიკე ეკლესიისთა და სახისმეტყუელებისა წესთა მისთა», — ეს არის გერმანე კონსტანტინოპოლელის სახელით ცნობილი «განმარტება საღმრთო ლიტურღიისა» (Проф. Н. Красносельцев. Сведения о некоторых литург. рукописях Ватиканской библиотеки стр. 322 — 375),

ასეთია საერთოდ შინაარსი და ხასიათი ამ აპოკრიფული კრებულისა. უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი და იგივე კითხვა ჩვენ გვხვდება სხვადასხვა სტატიაში, მაგალითად: იმ ავაზაკთა სახელები, რომელნიც მაცხოვართან აცვეს ჯვარს. გვხვდება მეხუთე და მეექვსე სტატიაში, მაცხოვრის ჯვარის ჯამომთლელის სახელები—5, 6, 10 და 12 სტატიაში, მოგვთა სახელები—5, 6 და 12 სტატიაში, სახელი და მნიშვნელობა მოგვების მიერ მოტანილი ძღვნისა — 5 და 6 სტატიაში, სახელი პეტრეს ცამხილებელი მხევლისა — 6 და 10 სტ., სამჯერ მომკვდარი წინასწარმეტყველის სახელი — 5 და 8 სტ., სახელი იმ კაცისა, რომლის სახლში ცხოვრობდა იესო ქრისტე ეგვიპტეში — 6 და 10 სტ. და სხვ. მაშასადამე, ეს არის კრებული სხვადასხვაგვარი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, აპოკრიფული კ ი თ ხ ვ ა-მ ი გ ე ბ ი ს ა, რომლებიც ბიზანტიურ ლიტერატურაშიც არის ცნობილი შემდეგი სახელებით: ἐρωτήσεις, πεύσεις καὶ ἀποκρίσεις, ἀπορίαι καὶ ὑσεις და სხვ.

ის გარემოება, რომ ამ კრებულის 1775 წელზე ადრინდელი ნუსხა არ მოიძებნება, გვაფიქრებინებს, რომ ის დაახლოებით ამ დროს ითარგმნა ქართულად. S ფონდის ნუსხას № 1296 ბოლოში ასეთი მინაწერი აქვს: «ესე წიგნი მდებარე ბერძნულისაგან გადმოითარგმნა, ბერძნის იოანესაგან, მიხაილის ძის პაპუწაიშვილის ქსიფილინოსისაგან, თთუესა ოკტომბერსა, დღესა 17, წელსა 1785, ქალაქსა ტფილისს, ხოლო ქართულსა ხმასა ზედა შეწყობით ოსეს ძის მღუდლის იოანესაგან»; ამიტომ გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრებული 1785 წელსაა თარგმნილი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს შენიშვნა ეკუთვნის არა მთელ კრებულს, არამედ მის უკანასკნელ სტატიას «ქორწინებისა თავთავსს»-ს, რომელიც, როგორც დავინახეთ, მართლაც იოანე ქსიფილინოსს უთარგმნია. ამ მინაწერით თავდება ეს შრომა ყველა დღემდე ცნობილ ნუსხაში, მაშასადამე, აპოკრიფულ კრებულშიაც ის ამავე შენიშვნით შესულა. მართლაც, შემადგენელი ნაწილები ამ კრებულისა ქართულად რომ მეთვრამეტე საუკუნემდე გაცილებით ადრე ყოფილა, ეს შემდეგიდანა ჩანს; 1) არის ნიშნები იმისა, რომ კრებულის უძველეს ნუსხებშიაც კი სტატიები სხვა ნუსხიდანაა გადაწერილი: მაგ., A 1369-ში ასეთ შენიშვნებს ვხვდებით: «ასე ეწერა დედაჲ» (ფ. 161ᵃ, 204): ამ გადაწერისას იქნებოდა შესაძლებელი ისეთი შეცდომები, როგორიცაა: «ჰოდ» ლოდის მაგიერ, «ძეობა» ზეობა-ს მაგიერ (ფ. 179ᵃ, 114) და სხვ. 2) ძეგლში გვხვდება უძველესი ტექსტების არვენიზმები: დრაუენი, დროშანი, პასენაკი (ფ. 83), არქაიზმები: გნებავს ცნობის (133, 148), პატიჟი (=სასჯელი, 141), სათრომელი (=ბადე, 153), სამჭედური (=ანკესი, 97). 3) ზოგიერთი კითხვა ამ კრებულისა ჩვენ გვაქვს წინადროის ძეგლებშიაც, ასეთებია: «რაჲ არს სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ — ცისკარი იგი, რომელი ურბიოდა მზესა», «რაჲ არს იგი, რომელი იტყჳს: საროსა, ნაძუსა

---

6) სწავლანი წმიდათა მამათანი: იოანე ღვთისმეტყუელისა, ეფრემ ასურისა, ბასილი დიდისა. იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელისა და მაქსიმე აღმსარებლისა, 7) სხვადასხვა კანონიკური სტატია: ეპისტოლენი ტიმოთე ალექსანდრიელისა და მეთოდი კონსტანტინოპოლელისა, მსოფლიო კრებათა ისტორია, მარხვათათვის, სიმბოლო სარწმუნოებისა, ათი მცნება, შვიდი საიდუმლო, მომაკუდინებელნი ცოდვანი და სათნოებანი, ქორწინების ბარისხნი და სხვ.

და ფიჭუსა ზედა», «ვინ იყო, რომელი ეძიებდა ერთსა და სამნი პოვნა»; ეს კითხვები უფრო ვრცელი და ძველი რედაქციით, ვიდრე აქ, ჩვენ გვაქვს XVII საუკუნის ხელნაწერში[1]. 4) მეექვსე სტატია, «სახისმეტყუელებითი სიტყჳსგებაჲ წმიდათა მღდელთმოძღუართა ბასილისი და გრიგოლისი», გვხვდება XII—XIII სს. ძეგლებში, ხოლო მეორე რედაქცია ამ აპოკრიფისა, რომელიც უფრო ახლოს დგას სლავურ «Беседа трех святителей»-სთან, გვაქვს X — XI საუკუნის მრავალთავებში[2]. 5) აქ ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ისეთი სტატია, რომელიც ექვთიმე მთაწმიდლის მიერ არის გადმოთარგმნილი; ასეთია, მაგალითად, გეოგრაფიული აღწუსხვა იმ ტერიტორიისა, რომელიც ერგო ნოეს შვილებს (ფ. 177—178); ეს გადმოკეთებულია ექვთიმეს მიერ ნათარგმნი მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი თხზულებიდან[3]. 6) მეათე სტატიაში, «კითხვა-მიგება წმიდათა მამათა», გვაქვს ასეთი კითხვა: «პირველი სასწაული რომელი ქმნა უფალმან?» მიგება: «კელი სალომესი განკურნა, განკმა რა, ოდეს ურწმუნო იქმნა იგი შობასა მას უფლისასა». ამას ტექსტში მისდევს ასეთი შენიშვნა: «ესე თუ ვის დაუწერია, არა ვიცი, გარნა უკუეთუ პირველსა მას სასწაულსა ეძიებდეს ვინ ქრისტესსა, ესე არს, რომელ უთესლოდ შევიდა საშოსა ქალწულისასა და უხრწნელად იშვა და შემდგომად შობისა განუხრწნელად ქალწულად დაიცვა წმიდაჲ იგი დედაჲ თჳსი; ესე არს პირველი და ბუნებათა უაღრესი სასწაული, — განკაცება სიტყჳსა ღმრთისაჲ და უხრწნელება ყოვლად წმიდისა მის ქალწულისაჲ. ამას მე გლახაკი ეფთჳმე გაუწყებ, მონანო ღმრთისანო, შემინდევით და ლოცვა ყავთ» (A 1369, ფ. 162). აქედან ცხადია, რომ ეს სტატია უთარგმნია ექვთიმე ათონელს, რომელსაც თარგმანში თავისი წვლილიც შეუტანია. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ ამავე სტატიაში კითხვაზე: «რომელნი არიან შჳდნი ცოდვანი კაენისნი ანუ რანი არიან შჳდნი შურისგებანი», ჩამოთვლილია შვიდი ცოდვა კაენისა (ფ. 162—163). ექვთიმეს ბიოგრაფიიდან ჩვენ ვიცით, რომ მას უთარგმნია, სხვათა შოროის, «ბასილის თქუმულნი კაენის შჳდთა შურისგებათათჳს»[4], რომელიც არსად, არც ერთ ძეგლში, არ გვხვდება ცალკე. უნდა ვიფიქროთ, ის თუ მთლიანად არა, in extenso შეტანილია ამ სტატიაში. შეიძლება, ექვთიმეს ამ კრებულის სხვა სტატიაც ეთარგმნოს, მაგალითად, მეექვსე, მაგრამ ამისი დამამტკიცებელი საბუთი არ გვაქვს.

ამნაირად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ კრებულის შემადგენელი ნაწილები უძველესი დროიდანვე ყოფილა ცნობილი ქართულ ენაზე; მაგრამ კრებული, როგორც ასეთი, შეიძლება, მართლაც შედარებით გვიან გაჩენილიყო. ვიღაც უცნობ რედაქტორს თავი მოუყრია ყველა იმ სტატიისათვის, აპოკრიფულისა თუ არააპოკრიფულისათვის, რომელნიც კითხვა-მიგების სახით არსებობდა ქართულ მწერლობაში. ამავე დროს, რათა ეს საინტერესო მასალა უფრო გა-

[1] დაბეჭდილია ჩვენ მიერ: Житие Агафангела, католикоса Дамасского, «Христиан. Восток», т. IV, вып. 3, стр. 253—255.

[2] A 19, ფ. 306 — 318; № 95, გვ. 212 — 224.

[3] A 636, ფ. 91 — 92. იხ. ჩვენი: ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები, ეტიუდები I, 168 — 182.

[4] «ათონის კრებული», გვ. 29.

საგები გაეხადა მკითხველი მასისათვის, მას გაუეულგარებია ენა და სტილი ზოგიერთი სტატიისა. მაგალითად, აქ ჩვენ გვხვდება ასეთი სტილისტიკური ვულგარიზმები (არას ვამბობთ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურზე): დააყენეს (=დაადგინეს, ფ. 12ᵛ), იისფერით მოსილი (12ᵛ), უწინ (2ᵛ, 13ᵃ, 51ᵛ), შიგან (13ᵛ), ამაჩს მიცვალებაზე (13ᵛ), კიდეე (29ᵛ) დაორსულდა (29). სიცრუე აგიხდა (30ᵛ), ამხანაგი (71ᵛ), მიასწავლა (84ᵛ), და სხვა მრავალი ამგვარი.

ამით ვათავებთ ქართული აპოკრიფული მწერლობის ზოგად მიმოხილვას. ეგრეთ წოდებულ ევქოლოგიონში (ან კურთხევანში) ხშირად გეხვდება სხვადასხვაგვარი შელოცვები, რომელნიც წარმოადგენენ აპოკრიფების ცალკე დარგს. ასეთებია, მაგალითად, «ლოცვა სეტყვისაჲ, შელოცვა ბოსტნისაჲ, ლოცვაჲ წმიდისა დიდებულისა მოწამისა ტრიფონისი ყოველისავეთჳს ყანისა, ვენაჯისა და ბოსტანისა, ოდეს ჴია ავნებდეს, ლოცვაჲ კალისაჲ, ლოცვაჲ თუალცემულისაჲ» და სხვ. [1].

აპოკრიფებთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ასტროლოგიური სტატია, რომელსაც ქართულად ეწოდება «სიბრძნისაგან ფილოსოფოსთაჲსა წინასწარმეტყუელებად ქამთა და შჱნებათა წელიწდისა მოწევნათათჳს, თუ ვითარი იყუნენ» და «კალანდაჲ, თქუმული ეზრა წინაჲსწარმეტყუელისაჲ» [2]. ეს უკანასკნელი პირველად გეხვდება ჩვენ იოანე-ზოსიმეს მიერ 949 წელს საბას ლავრაში გადაწერილ მანუსკრიპტში. მაშასადამე, ეს საკმაოდ ძველი ნაწარმოებია ქართულ ენაზე. შინაარსი ამ აპოკრიფებისა არის აღნუსხვა ნიშნებისა, თუ როგორი ტაროსი და მოსავალი იქნება ამა თუ იმ წელს იმისდა მიხედვით—რომელ დღეს მოდის ახალი წელიწადი, ან რამდენია ზედნადები. დედანი «ეზრას კალანდაჲსი» ბერძნულ ენაზედაც არის ცნობილი და ეწოდება «Γοῦ προφήτου Ἔσδρα Διάγνωσις» [3]. ქართულ ენაზე გვაქვს კიდევ სხვა რედაქცია ამ «კალანდაჲსა» და აგრეთვე ამის მსგავსი სხვა თხზულებები, როგორიცაა «ძრვისა და ქუხილისა გამოცხადებაჲ, მთოვარისა დღენი სათვალავნი» [4] და სხვ., რომელნიც, ჩვენ ვფიქრობთ, იოანე პეტრიწს უნდა ეთარგმნოს.


---

[1] ამათი რუსული თარგმანი იხ. ჩვენს თხზულებაში: «Литургические грузинские памятники», стр. 115, 116, 120, 138, 150, 161.

[2] დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 236; ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 28 — 29.

[3] А. Хаханов, Очерки по истории груз. словесности, вып. I, стр. 304—305

[4] ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 31.



8. ეგზეგეტიკა

ეგზეგეტიკური მწერლობის წარმოშობა. დასაწყისი ქართული ეგზეგეტიკისა. მისი პერიოდები და წარმომადგენლნი. ქართული კ ა ტ ე ნ ე ბ ი და მათი ნიშნები.

საქრისტიანო მწერლობამ იმთავითვე გამოყო განსაკუთრებული დარგი, რომელსაც ეგზეგეტიკა ეწოდება. მისი საგანია ბიბლიური ტექსტის ახსნა-განმარტება. განმარტება სამგვარია: ერთი — ტექსტისა და მისი შინაარსის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა და მოთხრობა, მეორე — მისი შეგნების გაადვილება კომენტარების საშუალებით, მესამე—ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება. ტექსტის შინაარსის გადმოცემა, მისი კომენტარები და უცხო ენიდან დედაენაზე გადმოღება ერთსა და იმავე მიზანს აღწევს. ამით აიხსნება, ალბათ, ის გარემოება, რომ ძველ ქართულ მწერლობაში თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა აღნიშნავს როგორც კომენტარებს, ისე ერთი ენიდან მეორეზე გადმოღებას, ხოლო თარგმანი—როგორც გადმოთარგმნას ერთი ენიდან მეორეზე და ახსნა-განმარტებას კომენტარების საშუალებით, ისე ამა თუ იმ მოთხრობის შინაარსის გადმოცემას უბრალოდ და გასაგებად[1]. თ ა რ გ მ ა ნ ი ქართულად ეწოდება ამავე დროს იმ ადამიანსაც, რომელსაც ხელობად ჰქონდა როგორც კომენტირება ტექსტისა, ისე მისი გადმოღება ერთი ენიდან მეორეზე (მაგალითად, ექვთიმე თ ა რ გ მ ა ნ ი).

ზოგიერთი აქ აღნიშნული მნიშვნელობით თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა ჯერ კიდევ ძველმა ებრაელებმა შემოიღეს; როდესაც მათ დაივიწყეს დედაენა და ქალდეურ-არამეულზე დაიწყეს ლაპარაკი, საჭირო შეიქნა მათთვის ბიბლიის ტექსტის

[1] მაგალითად, ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ერთ-ერთ აპოკრიფულ ნაწარმოებს, რომელიც ძველი აღთქმის ისტორიის უბრალოსა და მარტივ მოთხრობას წარმოადგენს, ქართულად ეწოდება «თ ა რ გ მ ა ნ ი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისათჳსა» (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 786).

ქალდეურ-არამეულად თარგმანება. ეს თარგმანება, თავდაპირველად ზეპირი, შემდეგ ჩაიწერა და აქედან წარმოდგა არამეული თარგუმები, რომელიც უფრო პარაფრაზია, ვიდრე ნამდვილი თარგმანი ტექსტისა. თარგუმისტი ამ შემთხვევაში დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს და სცვლის კიდევაც.

პირველუოფილ ქრისტიანთა საზოგადოებაში, რომელიც პროზელიტიზმით იკვებებოდა, აუცილებლივ საჭირო შეიქნა როგორც კომენტარები ტექსტისა, ისე გადმოთარგმნა მისი ერთი ენიდან მეორეზე, ამისათვის იქ განსაკუთრებული არაიერარქიული თანამდებობის პირებიც კი იყვნენ.

ეგზეგეტიკის ისტორიამ სამი პერიოდი განვლო: დასაწყისი, პირველი სამი საუკუნის განმავლობაში, კლასიკური, მეოთხე და მეხუთე საუკუნეებისა, და დაქვეითების, რომელიც მეექვსე საუკუნიდან იწყება და თითქმის მეთხუთმეტე საუკუნემდე გრძელდება.

მეექვსე საუკუნის შემდეგი დროის ეგზეგეტები უფრო იმას ზრუნავენ, რაც შეიძლება მეტი ციტატები მოიყვანონ «მამათა და მოძღუართა» თხზულებებიდან. აქედან წარმოიშვა ეგრეთ წოდებული ეგზეგეტიკური კატენები ან კრებულები (Catenae, Σειραί), რომელთა წყალობით მკითხველს შეძლება აქვს სულ ადვილად გაითვალისწინოს, თუ როგორ ესმოდათ ესა თუ ის ადგილი წინა დროის მწერლებსა და მამებს. კატენები ასე იწერებოდა: ქაღალდის ან ეტრატის შუაგულში წერდნენ ბიბლიურ ტექსტს, რომელსაც ქართულად კიმენს (Κειμένον) უწოდებდნენ, ხოლო აშაიზე — მის განმარტეას ან სქოლიოს, რომელიმე მწერლის თხზულებიდან ამოღებულს, ისე კი, რომ ამ მწერლის სახელი იქვე უნდა აღნიშნული ყოფილიყო, თუკი ის ცნობილი იყო. თუ ამ ტექსტის შესახებ რამდენიმე სხვადასხვა განმარტება არსებობდა, იმათაც პარალელურად მოიყვანდნენ ხოლმე. როდესაც სქოლიო დიდი იყო, მაშინ ჯერ ტექსტს მოიყვანდნენ სტრიქონის გასწვრივ და მერე თანმიყოლებით, და არა აშიაზე, თვით სქოლიოს. ზოგიერთი კატენის ავტორები პირველწყაროებით სარგებლობდნენ ხოლმე, ზოგიერთნი კი მზამზარეული კრებულებით.

ქართულ საეკლესიო მწერლობაში ეგზეგეტიკას საპატიო ადგილი უკავია. საღმრთო წერილის ახსნა-განმარტება, როგორც ჩანს, აუცილებელ და მნიშვნელოვან საქმედ ყოფილა მიჩნეული, ვინაიდან ამაზე იყო დამოკიდებული ქრისტიანული რელიგიისა და მორალის ჯეროვანი და საფუძვლიანი შეთვისება მორწმუნეთა მიერ. ამიტომ შესაფერ თხზულებათა თარგმნისათვის შედარებით ადრე მიუყვიათ ხელი. პირველ ქართულ თარგმანს, ამ სიტყვის პრიმიტიული მნიშვნელობით, ჩვენ ვპოულობთ ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში, რომელიც მეექვსე საუკუნეშია დაწერილი. არქიდიაკონი სამუილი უთარგმნის ევსტათის საღმრთო წერილის, ესე იგი ძველისა და ახალი აღთქმის, ისტორიას. თარგმანება სამუილისა მდგომარეობს ამ ისტორიის თავისუფლად და თავისებურად გადმოცემაში, სამუილი მონურად არ მისდევს ბიბლიურ ტექსტს, ხანდახან აკლებს, უმატებს, ანდა სცვლის ამა თუ იმ ადგილს. ამ მხრივ საყურადღებოა სახარების ინტერპრეტაცია, აქ შეცვლილია იესო ქრისტეს მსახურების თანდათანობა: სახარებით, ნათლის ღების შემდგომ, იესო ქრისტე ქა-

დაგებას იწყებს გალილეაში, ევსტათის მარტვილობით კი იერუსალიმში. შეცვლილია წესი სასწაულთმოქმედებათა: სახარებით, გალილეას კანაში სასწაული პირველი სასწაული იყო იესო ქრისტესი, მარტვილობით კი მეხუთე. შეცვლილია თხრობა თვით სასწაულთა შესახებ; მაგალითად, ეშმაკთა ლეგეონი, რომელიც ქრისტეს თხოვდა, «რათა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვად» (ლ უ კ., VI, 31), გაგზავნილ იქნა ღორების ჯოგში, რომელიც მერე ზღვაში შეიჯრა და დაიხრჩო (მ ა რ კ., V, 1 — 14; ლ უ კ., VIII, 27 — 34), ხოლო მარტვილობით «ქრისტემ უბრძანა ქუეყანასა და განეღო და დანთქა ეშმაკი იგი და შთახდა ჯოჯოხეთად ქუესკნელად» («საქართვ. სამოთხე», გვ. 319). ჯვარზე გაკრული ქრისტე, სახარებით, ამბობს: «მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან» (ლ უ კ., XXIII, 34), მარტვილობით კი—«მამაო ჩემო, ყოველივე აღვასრულე და ისრაილმან არა ისმინა ჩემი და ესევითარი ტანჯვა მოაწიეს ჩემზედა» («საქართვ. სამოთხე», გვ. 320). ამ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ა შ ი ჩვენ გვაქვს ერთგვარი ქალდეურ-არამეული თ ა რ გ უ მ ე ბ ი ს ე ბ უ რ ი ნაწარმოები, რომელსაც ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ უ მ ი.

უძველესი, ჩვენამდე შენახული და დღეს ცნობილი საეგზეგეტიკო თხზულებანი მოთავსებულია ეგრეთ წოდებულ შ ა ტ ბ ე რ დ ი ს კ რ ე ბ უ ლ შ ი და ნათარგმნია სომხურიდან არაუგვიანეს მეცხრე საუკუნისა. ესენია თხზულებანი ი პ ო ლ ი ტე რ ო მ ა ე ლ ი ს ა და ე პ ი ფ ა ნ ე კ ვ ი პ რ ე ლ ი ს ა. იპოლიტეს თხზულებათაგან შენახულა:

1) «განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსჱსთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა» (გვ. 251 — 284); აქ იგულისხმება მეორეშჯულის XXXIII თავის თარგმანება, რომლის ბერძნული დედანი დაკარგულია; შენახულა მხოლოდ სომხური თარგმანი, საიდანაც მომდინარეობს ქართული ვერსია[1].

2) აღნიშნული თხზულების დასაწყისიდან ჩვენ გვებულობთ, რომ იპოლიტეს დაუწერია აგრეთვე «ნეტარისა ისაკისა კურთხევანი ძეთა მიმართ თჳსთა», რომელშიაც უნდა იგულისხმებოდეს შესაქმეთა წიგნის XXVII, 27 — 29, 39 — 40 განმარტება, რომლის არც დედანი შენახულა, არც თარგმანი.

3) «თქუმული კურთხევათა მათთჳს იაკობისთა, ვითარ ათორმეტნი ნახეტნი აკურთხნა» (გვ. 284 — 314); აქ იგულისხმება შესაქმეთა წიგნის XLIX თავის განმარტება, რომლის სომხური თარგმანი, ქართული ვერსიის დედანი[2], გამოცემულია.

4) «დავითისათჳს და გოლიათისათჳს განმარტებაჲ» (გვ. 315 — 327); ეს თხზულება, რომელშიაც განმარტებული უნდა ყოფილიყო მეფეთა პირველი წიგნის XVII თავი, გარდა ქართულისა, შენახულა სომხურ ენაზედაც[3].

5) «თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲსაჲ» (გვ. 327—357); ეს თხზულება ცნობილია როგორც ბერძნულ, ისე სხვა ქრისტიან ერთა ენებზე, კერძოდ სომხურზედაც,

---

[1] Н. М а р р, Ипполит—Толкование Песни Песней, «Тексты и разыскания по армяно-груз. филологии», кн. III, стр. XXIII.

[2] იქვე, стр. XXIII.

[3] შეად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს — ციტატი იპოლიტე რომაელიდან გიორგი მერჩულის შრომაში (აკად. მოამბე, ტ. IV, № 5).

საიდანაც ის ქართულად უთარგმნიათ [1]. მაგრამ ქართულ თარგმანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მას, სხვა ვერსიებთან შედარებით, უფრო ვრცლად შეუნახავს ეს თხზულება [2].

ეპიფანე კვიპრელის საეგზეგეტიკო თხზულებათაგან იმავე შატბერდის კრებულში შენახულა შემდეგი:

1) «თარგმანებაჲ დაւითის ფსალმუნებისაჲ» (გვ. 515 — 576); ის უთარგმნია სომხური ენიდან ვინმე დ ა ჩ ი ს და მიუძღვნია «განსაკითხავად» ცნობილ სტეფანე მტბევრისათვის, რომელიც მეათე საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწეა. იმ წერილიდან, რომელიც თარგმანთან ერთად გაუგზავნია დაჩის სტეფანესთვის [3], ჩვენ ვგებულობთ, რომ დაჩის 150 ფსალმუნიდან მხოლოდ რამდენიმე ფსალმუნის განმარტება «გამოუხუამს», დანარჩენი, თუ საჭიროდ დაინახო, შენ განასრულეო, — სწერს ის მას. აღნიშნულ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს განმარტება 1, 2, 3, 4, 5, 6, 9, 44, 45, 46, 47, 48, 49 და 50 და 67 ფსალმუნებისა.

2) «ათორმეტთა თუალთათჳს» (გვ. 122 — 214), ახსნილია თვისებანი იმ თორმეტ თუალთა ან ძვირფასი ქვებისა, რომელნიც ამკობდნენ ებრაელთა მღვდელმთავრის სამოსლის გულმკერდს. ეს თხზულება ორი რედაქციით შენახულა: მოკლეთი და ვრცელით. ვრცელი რედაქცია მხოლოდ ლათინურ ენაზე შენახულა [4]. ქართულ თარგმანში შენახულა სწორედ ვრცელი რედაქცია, მაგრამ არა სიტყვასიტყვით: პირველ ნაწილში ის ახლოს დგას ლათინურ თარგმანთან, მეორეში კი წარმოადგენს ცოტა განსხვავებულ რედაქციას, რომელსაც უფრო უნდა შემოენახოს დაკარგული ბერძნული დედანი. ქართული თარგმანის არმენიზმები ამეღავნებს, რომ ეს თხზულება სომხურიდანაა გადმოღებული [5].

3) «საზომთათჳს და საწყაულთაჲ» (გვ. 239 — 255); ეს თხზულება, რომელსაც ბერძნულად ეწოდება «Περὶ μέτρων καὶ σταθμῶν» [6], შენახულა ნაკლულევნად, მისი დეფექტები რამდენადმე შეავსო დ ე ლ ა გ ა რ დ ი ა ასურული წყაროებით. ქართული თარგმანი წარმოადგენს განსაკუთრებულ ვერსიას ამ თხზულებისას. რა ენიდანაა გადმოღებული ის, სომხურიდან თუ ბერძნულიდან, კატე-

---

[1] H. Marr, Ипполит—Толкование Песни Песней, «Тексты и разыскания по армяно-груз. филологии», кн. III, стр. XV.

[2] «ქება-ქებათაჲ»-ს განმარტება გამოსცა აკად. ნ. მ ა რ ი, ხოლო 1, 3 და 4 თხზულებები გამოსცა გერმანულ ენაზე, ცუდად შესრულებული რუსული თარგმანიდან, პროფ. N. Bonwetsch-მა («Texte und Untersuchungen zur Geschichte d. altchristlichen Literatur», XXVI, Leipzig, 1904). 1954 წ. პარიზში გამოიცა 1 და 3 თხზულება M. Briere-ს მიერ—Hippolyte de Rome; Sur les benedictions d' Isaak, d' Iakob et de Moisse (Patrologia Orientalis, t. XXVII, Fas. 1et 2).

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 99—102.

[4] Migne, PG. t. 43, col. 22—366.

[5] მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Драгоценные камни, их названия и свойства («Сбор. материалов для описания местностей и племен Кавказа», XXIV, 1—72); რეცენზია ნ. მ ა რ ი ს: «Византъ Временникъ», т. IX, № 3—4. მეორე მისი გამოცემა ეკუთვნის პროფ. R. P. Blake-ს: Epiphanius de Gemmis, London, 1934

[6] Migne, PG. t. 43, col. 237—294.

გორიულად ამისი თქმა ძნელია. თუ პირდაპირ ბერძნულიდანაა თხზულება გადმოთარგმნილი, მთარგმნელს უნდა სცოდნოდა არაბული ან ებრაული, როგორც ეს ჩანს ზოგიერთ ებრაულ ასოთა ქართული გამოთქმიდან [1].

4) საეკლესიო მწერლობის ისტორიკოსები საეგზეგეტიკო თხზულებათა ჯგუფებში ათავსებენ ერთ, ძველ მწერლობაში მეტად პოპულარულ ნაწარმოებს, რომელიც შეიცავს ბიბლიურ მხეცთა და ცხოველთა თვისებების შესახებ დაკვირვებას მისტიკური და ზნეობრივი ხასიათის შენიშვნათა თანდართვით; ეს არის Φυσιολόγος ან, ქართულად, სახისმეტყველი. ეს თხზულება, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული, ნ. მარის, მისი მეცნიერულად გამომცემლის, გამოკვლევით, გადმოთარგმნილია სომხურიდან ტაო-კლარჯეთში მერვე საუკუნის გასულს [2]. აღნიშნული თხზულება თავდაპირველად ანონიმური, უსახელო ყოფილა; მერე ჩნდება ისეთი ნუსხები, რომელნიც მას მიაკუთვნებენ პეტრე ალექსანდრიელს, ბასილ დიდს და უფრო ხშირად ეპიფანე კვიპრელს. ეპიფანეს. მიაწერენ ზნეობრივ-მისტიკურ და საეგზეგეტიკო ხასიათის შენიშვნებსა და განმარტებებს, მხეცთა თვისებების აღნუსხვა კი გეხვდება ორიგენის თხზულებაში, საიდანაც ის გადასულა უცნობი ავტორის ასურულ რეცენზიაში. ქართული ვერსია სათაურით, მართალია, ბასილ კესარიელს მიეკუთვნება, მაგრამ ხელნაწერთა ტრადიციას თუ ვიქონიებთ მხედველობაში, ის ეპიფანეს თხზულებად იგულისხმება. ეს შემდეგიდანაცა ჩანს: შატბერდის კრებულში, რომელშიაც ბასილის არც ერთი თხზულება არაა, სახისმეტყველი მოთავსებულია ეპიფანეს თხზულებათა შორის; ასევეა S ფონდის ხელნ. № 384 და A ფონდის №№ 6, 165.

არაუგვიანეს მეცხრე საუკუნისა უთარგმნიათ ქართულად ათანასე ალექსანდრიელის თხზულებანიც: 1) «თქუმული ნეტარისა ათანასე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისაჲ, ვითარ იგი დიდითა წადიერებითა გულსმოდგინე ყოფილ არს გამოკულევად ძალსა ფსალმუნთაჲსა და უპოვნია ვინმე მოხუცებული ერთი მარტოდ მყოფი, სავსჱ მადლითა სულისა წმიდისაჲთა და მისგან ზედმიწევნულ არს ძალსა ფსალმუნთასა დავითისთა გულისხმის ყოფად». ეს თხზულება მოთავსებულია A ფონდის 904 წლის დავითნში (№ 38) და ექსცერპტების სახით გამოცემულია მ. ჯანაშვილის მიერ [3]. ამ თხზულებაში ჩვენ გვაქვს ათანასეს ცნობილი ეპისტოლე მარკელინესადმი ფსალმუნთათვის [4], რომელშიაც ლაპარაკია ფსალმუნთა ღირსებისა და მათი დაყოფის შესახებ, აგრეთვე გარკვეულია, რომელი ფსალმუნი ადამიანის რომელ სულისკვეთებას შეეფერება და ბოლოს დარიგებაა, თუ როგორ უნდა ვგალობდეთ ფსალმუნებს.

---

[1] მ. ჯანაშვილი, მწერლობა IX — X სს. «სასწაელო წიგნი», გვ. 118 — 136; რეცენზია ნ. მარისა: « изв. Времен.», т. X. № 3—4.

[2] Физиолог: «Тексты и разыскания по армяно-грузинск. филологии», кн. VI, Петерб., 1904 г. Th. Kluge, Die georgische Uoerseizung des Physiologus, WZKM, 18, S. 119 - 148.

[3] «ქართული მწერლობა», I, 144 — 163.

[4] Migne, PG. t. 27, col. 11—46.

2) ათანასეს მიეწერება აგრეთვე «ფსალმუნთა განმარტებაჲ» («Interpretatio in psalmos»), რომელიც ნამდვილად ეკუთვნის ევსუქი იერუსალიმელს[1]. ექსცერპტები და ციტატები ამ თხზულებიდან შეუტანია ეფრემ მცირეს თავის შრომაში «თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ», რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი[2].

მეათე საუკუნემდეა ნათარგმნი გრიგოლ ნოსელის «ქაცისა შესაქმისათჳს, რომელი მიუწერა ძმასა თჳსსა პეტრეს, ეპისკოპოზსა სებასტიელსა»[3]. ეს თხზულება მოთავსებულია შატბერდის კრებულში[4], რომელშიაც ის გადმოუწერიათ «დედითა იშხნისაჲთა». თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ კრებულში მოთავსებული პატრისტიკული ტექსტები, აკად. ნ. მარის გამოკვლევით, უმეტეს ნაწილად გადმოთარგმნილია სომხურიდან VIII — IX სს., შეგვიძლია ვიფიქროთ, ეს თხზულებაც ამავე დროს და ამავე ენიდან უნდა იყოს ნათარგმნი.

აღნიშნულსავე ეპოქაში ნათარგმნი ყოფილა ბასილი დიდის ეგზეგეტიკური თხზულება «ექუსთა დღეთათჳს»[5]. ეს თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა, მაგრამ მის არსებობას ადასტურებს ამ თხზულების მეორედ მთარგმნელი, გიორგი მთაწმიდელი, შემდეგი სიტყვებით: «ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, კელი აღმიპყრეს»[6]. «პირველნი თარგმანნი», რომელთა ნაშრომს გიორგისათვის სარფა აღმოუჩენია, გიორგის ტერმინოლოგიით, ნიშნავს ძველი დროის მთარგმნელებს. თუ ეს ძველი თარგმანი, რომელშიაც, ალბათ, გიორგი დროგამოშვებით იხედებოდა, როდესაც ის თარგმანს შეუდგა, სომხურიდან იყო გადმოღებული, ეს გარემოებაც, სხვათა შორის, აიძულებდა გიორგის ხელმეორედ ეთარგმნა ის.

მეორე პერიოდში ქართველ ეგზეგეტთა მწყობრი იწყება ექვთიმე ათონელით, რომელსაც, როგორც თავის ალაგას ვრცლად გავარკვიეთ, უთარგმნია შემ-

---

[1] P. Batiffol, La littérature grecque, 3 ed., p. 275, შენ. 1.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 128. როგორც ათანასეს, ისე ეპიფანე კვიპრელის თხზულებათაგან ციტატები მოჰყავს მეცხრე საუკუნის მწერალს არსენი კათოლიკოსს თავის საისტორიო-საპოლემიო თხზულებაში, რომელსაც ეწოდება «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა». იმის დასამტკიცებლად, რომ ეკქარისტიულ ღვინოში წყალი უნდა იქნას შერეული, ის ამბობს «დიდი ათანასი იტყჳს, ფსალმუნსა განმარტებს: სასუმელი კელთა შინა უფლისათა ურწყული სავსე არს სხმელითა, ურწყოჲ ღუთებასა მოასწავებს და სხმელი იგი კაცებასა. ესე არს წყალი, რამეთუ პირველი სიმდაბლე ღმრთეებასა თანა შერევნაჲ იყო უძლურისა ბუნებისა ჩუენისაჲ. და ესე მოასწავებს ორსა ბუნებასა. ღმრთეებისა და კაცებისა ქრისტესისა, და ამით ჯერ არს განმარტებაჲ ღუინისაჲ და ეპიფანე კვიპრელი მ[ო]ასწავებს ამავე სახესა, რომელ იტყჳს: შენ ხარ მღელე უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქიზედეკისსა. რამეთუ მელქიზედეკ პურსა და ღუნოსა შესწირვიდა არა უცომოსა და ურწყოსა და ამისთჳს ვსცანთ მისი მღდელობისა სახე» (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 323). ესეც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნულ ავტორთა თხზულებანი მეცხრე საუკუნემდე გადმოუთარგმნიათ ქართულად.

[3] Περί κατασκευῆς ἀνθρώπου: Migne, PG. t. XLIV, 21—1.8.

[4] გვ. 1 — 121, აგრეთვე A 6, 53 — 82; A 165, 349 — 459.

[5] Εἰς τὴν ἑξαήμερον: Migne, PG. t. 29.

[6] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 292; «Описание», I, 44. ვ. კახაძე ძველი, პირველი თარგმანის არსებობას უარყოფს (ბასილი დიდის «ექუსთა დღეთაჲ» გვ. 074—076), მაგრამ ასეთი უარყოფა დამყარებულია გაუგებრობასა და გიორგის «ანდერძის» არასწორ წაკითხვაზე.

დეგი ეგზეგეტიკური თხზულებანი: 1) «თარგმანებაჲ იოანე მახარებელის ხილვისაჲ» ანდრია კესარიელისა, 2) «თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ» იოანე ოქროპირისა; 3) «თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ» ოქროპირისავე, 4) «თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ» ბასილი დიდისა, 5) «თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისაჲ» გრიგოლ ნოსელისა, 6) «წმიდისა მამაო ჩუენოჲსა თარგმანი», 7) «წმიდისა მოსე წინაჲსწარმეტყუელისა თარგმანი», 8) «გამოცხადებისათჳს მელქისედეკისა», 9) გრიგოლ ღვთისმეტყუელის «სიტყუათა მათთჳს წმიდისა სახარებისათა: რომელმან მეთევზურნი წინაჲსწარე იჩინნა იესოჳ ქადაგად სიმართლისა და ჰეშმარიტებისად», 10) მაქსიმე აღმსარებლის «თალასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისისა მრავალთა მონასტერთაჲსა სიტყუათათჳს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა ნეტარისა მაქსიმესაგან»[1], 11) «სიტყუანი სახარებისანი, გამოკრებულნი წმიდათა მამათა მიერ წმიდისა მაქსიმეს თქუმულთაგან».

ექვთიმეს შემდეგ თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული ეგზეგეტიკის ისტორიაში გიორგი მთაწმიდელს. მას, როგორც თავის ალაგას გვქონდა ლაპარაკი, უთარგმნია ამ დარგში: 1) «ექუსთა დღეთათჳს» ბასილი დიდისა, რომელიც ძველადაც ყოფილა თარგმნილი[2]; 2) «კაცისა შესაქმისათჳს» გრიგოლ ნოსელისა, ესეც ძველადვე ყოფილა გადმოღებული; 3) იმავე გრიგოლის «თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲსაჲ»; 4) «განმარტებაჲ მომიჯსენისაჲ», 5) «დაბადებისა თარგმანი» იოანე ოქროპირისაჲ, «რომელ არს ცხოვრება აბრაჰამისი».

მეთერთმეტე საუკუნის ეგზეგეტთა შრომას აგრძელებს ეფრემ მცირე, რომელმაც მხედველობაში მიიღო დეფექტები იმდროინდელი ქართული ეგზეგეტიკისა და გადმოთარგმნა: 1) «განმარტებაჲ პაულე მოციქულის ეპისტოლეთა» იოანე ოქროპირისა; ეს იმდენად პირდაპირი თარგმანი არაა, რამდენადაც გადაკეთება ოქროპირის შრომისა. 2) ეფრემს შეუდგენია აგრეთვე «თარგმანებაჲ დავითნისაჲ», რომელიც წარმოადგენს დავითნის კათენებს, ათანასესა და კირილე ალექსანდრიელის, ბასილი დიდის, ევსუქი იერუსალიმელის, ასტერი ამასიელისა და იოანე ოქროპირის ხელძღვანელობით დაწერილს (Q 37). ამას გარდა ეფრემს უთარგმნია: 3) «მეტაფრასი ეკლესიასტესი» გრიგოლ საკვირველთმოქმედისა და 4) «მეტაფრასი ეზეკიელისა», რომელიც ხელნაწერებში გრიგოლ ღვთისმეტყუელის თხზულებათა შორის არის ხოლმე მოთავსებული.

შატბერდის 1035 წ. გადაწერილ ბასილი დიდის «ფსალმუნთა განმარტებას», რომელიც ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა, თან მისდევს სხვა «განმარტებაჲ ფსალმუნთაჲ»[3], რომელსაც შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: «ხოლო

[1] ეს თხზულება ხელმეორედ გადმოუთარგმნიათ XII ს. პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში შემდეგი სათაურით: «მაქსიმე მონაზონისაჲ თალასის მიმართ ღირსისა ხუცისა და წინამძღურისა თითოსახეთა უღონოებათათჳს წმიდისა წერილისათა» (გელ. ხელ. № 14).

[2] გამოცემულია მ. ჯახაძის მიერ (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, 1947 წ.).

[3] ▲ 135, ფურც. 428 — 498.

აქედან წაღმართ დავითთა შინა ვპოვე თჳთო მუხლსა ზედა თარგმანი, ხოლო სახელი არა ეწერა, თუ ვისი თარგმნილი არს, მეცნიერთა უწყიან. მე დავით ჯიბისძემან... ამის წიგნისა ბოლოს ჩავსწერე». აქ ჩვენ გვაქვს თითო-ოროლა მუხლის განმარტება შემდეგი ფსალმუნებისა: 16, 17, 18, 21, 29, 34, 42, 43, 44, 46, 51, 54, 55, 56, 57, 59, 60, 64, 67, 71, 83, 88, 97, 103. 104, 110, 131, 147, 150.

XI — XII საუკ. უნდა იყოს თარგმნილი კირილე ალექსანდრიელის ეგზეგეტიკური თხზულებანი: 1) «მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ», — ლექსიკონი [1], სადაც ახსნილია ანბანურ რიგზე საკუთარ სახელთა მნიშვნელობა, მაგალითად: «ბართოლომეოს — ძე დამოკიდებული წყალთაჲ. ბედსაჲდა — სახლი საიფქლე» და სხვ. 2) ეგზეგეტიკურ კატენებში გვხვდება ნაწყვეტები შესაქმეთა თარგმანებიდან, რომელსაც, ბერძნულის მიხედვით, ღლაფჳრა ეწოდება. 3) ათონის ერთ-ერთ ხელნაწერში (№ 79) პროფ. ა. ცაგარელი უჩვენებს პაულე მოციქულის ეპისტოლეთა შემოკლებულ თარგმანებას, თუმცა სხვა ხელნაწერებში ამის მსგავსს ვერას ეხვდებით [2]. 4) XI — XII სს. უთარგმნიათ ენიანუენოს ღაზელის, მეხუთე საუკუნის მწერლის, დიალოღი, «უკუდავებისათჳს სულისა», რომელიც ჩვენამდე არ შენახულა და რომლის ავტორს, დიონისე არეოპაგელთან ერთად, ხშირად იხსენიებენ XII — XIII სს. ქართველი ავტორები, როგორც, მაგალითად, «თამარიანის» ავტორი ჩახრუხაძე [3]. შესამჩნევად გამდიდრებულა ქართული ეგზეგეტიკური მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, განსაკუთრებით პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში.

ამ დროსა და სკოლას ეკუთვნის გადმოღება ბერძნული ენიდან თეოფილაკტე ბულღარელის თხზულებათა: «განმარტება მარკოზის სახარებისა, განმარტება ლუკას სახარებისაჲ», რომელიც გადმოუთარგმნია ფილოსოფოსს იოანე ჴიმჴიმელს. ამავე დროს უნდა იყოს ნათარგმნი თეოფილაკტესავე «განმარტება იოანეს სახარებისაჲ»-ც, რომელიც შენახულა ერთადერთ ხელნაწერში (A 52).

იოანე ჴიმჴიმელსავე უნდა ეთარგმნოს, როგორც ჩვენ ვარკვევთ ერთს სპეციალურ გამოცემაში [4], «თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ» ოლიმპიოდორე ალექსანდრიელისა და მიტროფანე, სმირნელ მიტროპოლიტისა, რომელთაგან უკანასკნელი ბერძნულ ენაზე არ შენახულა და მხოლოდ ქართული თარგმანის საშუალებით ხდება ახლა ხელმისაწვდომი. პეტრიწონული სკოლიდან, საფიქრებელია თვით იოანე პეტრიწის ხელიდან, გამოსულა თარგმანი მიქაელ ფსელოსის

[1] შეად. კ. კეკელიძე, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველესი ქართული დავითნის ტერმინოლოგიისა და ტექსტუალური თავისებურებისა, ეტიუდები III, 120 — 126.

[2] «Сведения», I, 93. ბერძნულად ცნობილია თარგმანება რომაელთა, კორინთელთა და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეთა (Migne, PG. t. LXXIV, 773 — 1006).

[3] H. Марр, Древне-грузинские одописцы, стр. ר, 41, прим.

[4] კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე, ზმჳრნელ მიტროპოლიტისაჲ.

განმარტებისა რომაელთა VIII, 29: «ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს იჩინა ყოფად»[1] და აგრეთვე უსახელო ავტორის «ქება-ქებათაჲ»-ს განმარტებისა, რომელიც მოთავსებულია A ფონდის 1188 წელს მხედრულად გადაწერილ ხელნაწერში № 65 (ფ. 373 — 111)[2]. განმარტება წარმოადგენს მოკლე სქოლიებს პარაფრასტული ხასიათისას; ეტყობა, შედგენილია სხვადასხვა ეგზეგეტიკური თბზულებების გამოყენებით, ვინაიდან მეექსე თავის მერვე მუხლის განმარტების შეძდეგ («ერთ არს ტრედი ჩემი») ტექსტში ასეთი შენიშვნაა: «ვიდრე აქამდე თარგმანი ნოსელისაჲ წითლად დაიწერების».

მეთორმეტე საუკუნეში ქართულ ენაზე გამოსულა შესანიშნავი ეგზეგეტიკური კ ა ტ ე ნ ე ბ ი, რომლების ერთადერთი ცალი, თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ ნაპოვნი ქუთაისში, დღეს ხელნაწ. ინსტიტ. კეთნილებას შეადგენს (A 1108). ხელნაწერი დაზიანებულია და არის ნიშნები იმისა, რომ თავდაპირველად ის შეიცავდა ტექსტსა და კომენტარებს ძველი აღთქმის ყველა წიგნისას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ე. წ. ოქტატევქისა და წინასწარმეტყველებისას, რომელთაგან დღეს დარჩენილია მხოლოდ «ლევიტიდან რუთამდე» და თვით «წინასწარმეტყველები». მაშასადამე, ეს ყოფილა ისეთი მთლიანი და სრული კატენები, რომელთა მსგავსი ბიზანტიის მწერლობაშიაც არ მოიპოვებოდა. აქ მოყვანილ სქოლიოთაგან ზოგი ანონიმურია, ზოგი კიდეე წარწერილი; უკანასკნელთაგან ეკუთვნის: კირილე ალექსანდრიელს, რომლის «ღლაფჳრაცაა» ერთხელ მოხსენებული, 92 სქოლიო, თეოდორიტე კჳრელს — 91, ევსევი კესარიელს — 20, სეჳერ ანტიოქიელს — 16, ოქროპირს — 10, ისიდორე პელუზიელს — 2, დიდჳმოს ალექსანდრიელს — 2, ორიგენს — 3, ბასილი კესარიელს — 2, ირინეოსს — 2, ფილონ ებრაელს — 2, გრიგოლ ნოსელს — 1, ღენნადის — 1, ოლიმპიოდორე ალექსანდრიელს — 1. როგორც დაკვირვება გვარწმუნებს, ქართველ მწერალს ხელთა ჰქონია მზამზარეული კატენები, რომელნიც მას პირდაპირ უთარგმნია. ასე რომ, იმას არ უშროშია ავტორებისა და ცხსალის შერჩევისათვის, როგორც ეს ეფრემ მცირეს ჩაუდენია დავითნის კატენების შედგენისას. ეს მით უფრო საეჭვებელია, რომ ბევრ იმ მწერალთაგანს, რომლებითაც ის სარგებლობს, ამ დროს ის ბერძნულ ენაზედაც ვერ იპოვნიდა. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ მას ამასთანავე ბიბლიური ტექსტი, რომელსაც აქ ჩვეულებისამებრ, კ ი მ ე ნ ი ეწოდება, ახლად უთარგმნია.

პროფ. R. P. Blake-ი, რომელიც ამ ხელნაწერებს სწავლობდა, ამბობს, რომ ეს კომენტარები ეკუთვნის ეფრემ მცირესო[3]. ჩვენი აზრით, ეს მართალი არ უნდა იყოს. ეფრემი იოანე დამასკელის «გარდამოცემაჲ»-ს თარგმანის შესავალში ამბობს: «ვაქებ წესსა საწინაჲსწარმეტყუელოთა წიგნთა მთარგმნელი-

[1] S 1463. ფ. 267ბ — 288 ა; გელ. ხელნ. № 23. ფ. 361 — 364.

[2] გამოცემულია პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ: თარგმანებაჲ ქებასა ქებათაჲსაჲ. «პალეოგრაფიული რეცენზია», თბილისი, 1924.

[3] О древне-грузинских версиях ветхого завета, «Известия Кавказск. Отдел. Московск. Археол. Общества», VI, 1921 г.; ᲛᲘᲜᲔᲕᲘ, Ancient Georgian Versions o the Old Testament (Harvar. Theolog. Review», XIX, 1926).

სასა», რომლის მიერ «სიტყუაჲ სიტყჳსა ნაცვალი შედარებულია ბერძულისა»[1]. ეჳვი არაა, რომ აქ იგულისხმება სწორედ ჩვეული კრებული, რომელიც, მაშასადამე, ცნობილი იყო, როდესაც ეფრემი დამასკელს თარგმნიდა[2]. ჩვენ გვგონია, რომ ეს კატენები, რომელნიც ულტრაპეტრიწონული ენითაა დაწერილი, უნდა ეკუთვნოდეს იოანე პეტრიწს. ამისი საბუთია: 1) რადგანაც ეს კატენები ცნობილი ყოფილა მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე, ის მხოლოდ იოანე პეტრიწს შეეძლო შეედგინა ამ დროს; 2) ტექნიკა კრებულის შედგენისა ისეთივეა, როგორიც ყოფილა პეტრიწის მიერ შედგენილი და თარგმანებული «კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი» პროკლე დიადოხოსისა: შუაში ტექსტი, რომელსაც ეწოდება «კიმენი», ხოლო ამიებზე კომენტარები.

მეთორმეტე საუკუნეში ნიკოლოზ კათოლიკოსს, როგორც აღვნიშნეთ, უთარგმნია მ ა ქ ს ი მ ე ა ღ მ ს ა რ ე ბ ლ ი ს სამი ეგზეგეტიკური შრომა, რომელიც მოთავსებულია გელათის მონასტრის ხელნაწერში № 14: 1) «თალასეს მამართ ყოვლად ღირსისა ხუცისა და წინამძღუარისა თითოსაჰეთა უღონოებათათჳს წმიდისა წერილისათა», 2) «სიტყჳს დაწუებაჲ პატივსა შინა გუერდით მდებარეთა სხოლიოთათჳს», 3) «ლოცვისათჳს მამაო ჩუენოჲსა ქრისტეს მოყუარისა ვისმე მიმართ თარგმანებაჲ შემოკლებული».


მეთორმეტე საუკუნეში, ქსიფილინოსის აგიოგრაფიულ კრებულთან ერთად, გადმოუღიათ თ ე ო დ ო რ ი ტ ე კ ჳ რ ე ლ ი ს «თარგმანებაჲ მიქაჲს წინაასწარმეტყუელისაჲ» (გელათ. № 1, 389 — 410) და ამოსისაჲ (გელათ. № 3, 157 — 175 (აქ თეოდორიტე წოდებულია ტჳროსის ეპისკოპოსად), აგრეთვე ზაქარია, ამბაკო და სოფონიასი (№ 4, 5).

მეთორმეტე საუკუნეში, შეიძლება ითქვას, დამთავრდა ქართული ეგზეგეტიკის განვითარება, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მას არა შემატებია რა. მეთვრამეტე საუკუნეში კათოლიკოსმა ანტონი პირველმა დაწერა «განმარტებაჲ მიწყალესი» ან ორმოცდამეათე ფსალმუნისა, რომელმაც თვალსაჩინო როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, და აგრეთვე «თარგმანებაჲ რომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ». მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ცნობილ ი ო ნ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ს, როგორც მის თხზულებათა ბიბლიოგრაფიული შენიშვნებიდან ჩანს, უთარგმნია განმარტება თითქმის მთელი ძველი აღთქმისა, ალბათ, რომელიმე რუსული ეგზეგეტიკური კრებულიდან; სამწუხაროდ, ამ შრომის ნუსხები ჯერჯერობით ცნობილი არაა.

---

1 ს. გ ო რ გ ა ძ ი ს გამოცემა, კრებული «მიმომხილველი», I, 183 — 184.

2 სხვა მოსაზრებანი ამის შესახებ იხ. ჩვენს გამოცემაში «თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმურნელისაჲ» გვ. XXVIII — XXIX; ისინი ახლა უნდა უარვყოთ.



4. დოგმატიკა

დოგმატიკური მწერლობის წარმოშობა. ქართული დოგმატიკური მწერლობა მეათე საუკუნემდე, მეათედან მეცამეტემდე და მეთერამეტეში. ხასიათი და მნიშვნელობა მისი.

გამოვიდა თუ არა ქრისტიანობა ისტორიის ასპარეზზე, მის წინააღმდეგ გაილაშქრა წარმართობამ და ებრაელობამ. ქრისტიანობას არ თვლიდნენ რელიგიის სახელწოდების ღირსად; მას უყენებდნენ მრავალგვარ ბრალდებას როგორც იდეურს, ისე მორალურს, და ქრისტიანებს პირდაპირ ეუბნებოდნენ: non licet vos esse, — თქვენ ნება არა გაქვთ არსებობისაო. ქრისტიანობის წიაღში, განსაკუთრებით მეოთხე საუკუნიდან, როდესაც ის ნებადართულ სარწმუნოებად გამოცხადდა, თავი იჩინა მწვალებლობამ და სექტანტობამ, რომელიც ყოველნაირად ამახინჯებდა ოფიციალურ მოძღვრებას. ამ გარემოებამ, აგრეთვე სრულიად ბუნებრივმა მოთხოვნილებამ—გარკვეული ყოფილიყო ქრისტიანებისა და არაქრისტიანებისათვისაც—თუ რას წარმოადგენდა ეს მოძღვრება, აიძულა ეკლესიის მამანი და მოძღვარნი გარკვეულ ფორმულებში ჩამოეყალიბებიათ ქრისტიანობის დებულებანი; ამ ფორმულებს სახელად დაერქვა დოგმატი. ამნაირად, წარმოიშვა საგანგებო დარგი საეკლესიო მწერლობისა, რომელიც ცნობილია დოგმატიკური მწერლობის სახელით. ამ მწერლობაში გამოხატულია ქრისტიანობის იდეური მხარე, მისი, ასე ვთქვათ, ფილოსოფია.

თავდაპირველად ჩვენში უნდა ესარგებლნათ იმ მასალითა და თხზულებებით, რომელთაც იძლეოდა სხვა ქრისტიან ერთა მწერლობა, უფრო კი, რასაკვირველია, ბერძნებისა. და, მართლაც, ქართული დოგმატიკური მწერლობა უფრო ნათარგმნია. თარგმნას ამ დარგში ქართველები შედგომიან ადრე; ეს იქიდანაც ჩანს, რომ პირველი პერიოდის ორიგინალურ, წმინდა ქართულ ნაწარმოებში, ჩვენ ვხედებით ამა თუ იმ საეკლესიო მწერლის თხზულების სახელს და ხშირად

ციტატებსაც მისგან, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს თხზულება უკვე ცნობილი იყო ქართულ ენაზე. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია, რომ გრიგოლმა ზეპირად იცოდა «სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოძღუროჲ» (გვ. 8) და «წმიდათა მოძღუართა თქუმულნიო» (გვ. ლ0)), მოხსენებულია კირილე ალექსანდრიელის (თავი ო.ე), გრიგოლ ღვთისმეტყველის (იქვე) და ეფრემ ასურის (გვ. ჲზ) თხზულებანი. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჩვენამდე შენახულა რამდენიმე ისეთი თხზულება, რომელიც ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ი პ ო ლ ი ტ ე რ ო მ ა ე ლ ი ს თხზულებანი: 1) «აღსასრულისათჳს ჟამთაჲსა, თქუმული წიგნთაგან წმიდათა ქრისტჱსათჳს და ანტექრისტჱსათჳს»[1]. ამ თხზულებას, რომლის ბერძნული დედანი შენახულია, უფრო ხშირად ეწოდება «ანტექრისტესათჳს». თავში იპოლიტე არკვევს ორ საკითხს: როგორ ცხადდებოდა ხოლმე ს ი ტ ყ ვ ა ღ ვ თ ი ს ა განხორციელებამდე და როგორ შეიქმნა მონად განხორციელებული სიტყვა ღვთისა? მერე ის ლაპარაკობს თვით ანტექრისტეს შესახებ და არკვევს შემდეგ საკითხებს: ვინ იქნება ანტექრისტე, როგორ მოვა ის და როგორ შეაცდენს ხალხს. განმარტავს ნაბუქოდონოსორის ხილვას, ისაიას წინასწარმეტყველებას ბაბილონის შესახებ და იოანე ღვთისმეტყველის ხილვას. აგვიწერს — როგორ მოვა ანტექრისტე, როგორ შეკრებს ხალხს, შეავიწროებს ეკლესიას და მერე როგორ დაიღუპება. ბოლოს აგვიწერს ქვეყნის აღსასრულს, უკანასკნელ მსჯავრსა და სასუფეველს. იპოლიტეს მიაწერენ ორ რედაქციას იმ თხზულებისას, რომელიც ცნობილია «აღსასრულისათჳს ქუეყნისა»-ს სახელით; ქართულ ენაზე ნათარგმნია არა ყალბი, არამედ ნამდვილი თხზულება იპოლიტესი. აკად. ნ. მ ა რ ს შეუდარებია ეს თარგმანი სლავურ თარგმანთან და იმ დასკვნამდე მისულა, რომ ქართული თარგმანი უახლოვდება სლავურს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უკანასკნელი განსხვავდება ბერძნული ტექსტისაგან[2]. ნათარგმნია ეს თხზულება ბერძნულიდან, უნდა ვიფიქროთ, VIII — IX სს.

2) «სიტყუაჲ წმიდისა იპოლიტჱსი სარწმუნოებისათჳს» (S 1141, გვ. 390 — 410). ამ თხზულებაში ლაპარაკია ნათლისღებისა და სამების შესახებ, იპოლიტეს თხზულებათა შორის ის ცნობილი არაა. ეს თხზულება ახლა ქართული ვერსიით, გამოცემულია პროფ. ნ. ბ ო ნ ვ ე ჩ ი ს მიერ გერმანულად[3].

მეორე, მეათე საუკუნემდე ნათარგმნი, ავტორი არის ცნობილი ჰომილეტი მეოთხე საუკუნისა, «სპარსეთის ბრძენი» ა ფ რ ა ა ტ ი, რომლის შრომებიდან ქართულად გადმოღებულია «სახჱ აღთქუმისაჲ»[4]. თხზულებაში ლაპარაკია ამ ქვეყნიდან განშორების შესახებ. ამას გარდა, ვრცელი ტრაქტატია ღვთისა და

---

[1] S. 1141, გვ. 357—390.

[2] «Тексты и разыскания», III. стр. XXIV — XXVI.

[3] Die unter Hippolyts Namen überlieferte Schrift «Über der Glauben» nach einer Übersetzung der in einer Schatberder Hs vorliegenden georgischen Version». Leipzig. 1907. Texte und Untersuchungen, III, Reihe I, Bd. 2. შად. «Byzant. Zeits», XVI, Bd. 3—4. Heft. S. 188.

[4] (S. 1141, გვ. 410—433) გამოცემულია N. Bonwetsch-ის მიერ: Texte und Untersuchungen, XXXI, 2 Heft, 1907.

მკვდრეთით აღდგომის შესახებაც. ეს შრომა ამდენ ხანს მიეწერებოდა იპოლიტე პრომაელს. ვინაიდან ის ქართულ ხელნაწერებში იპოლიტეს სახელით შენახულა, ნამდვილი მისი ავტორი მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოირკვა.

ქალკედონის კრების ისტორიაში და მის დოგმატიკურ ფორმულაში დიდი როლი ითამაშა პაპის ლეონ დიდის ეპისტოლემ, რომელსაც ტომოსი ეწოდება[1]. ეს «ტომოსი» შეიქმნა შემდეგ დროში საცილობელ საგნად იმ ორ პარტიათა შორის, რომელნიც ამ კრების გარშემო ყველაფერს იკლებდნენ. სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცილობის ისტორიაში მეშვიდე საუკუნის დამდეგს ეს დოკუმენტიც მოხსენებულია. სომხის კათოლიკოსი აბრაამი სწერს ქართლის კათოლიკოსს კირიონს: «მეფეთა-მეფის კობადის დროს დაისვა საკითხი ჩვენი ქვეყნისა და იმ ბერძენთა აღსარების შესახებ, რომელთაც შეიწუნარეს ქალკედონის კრება და ეპისტოლე ლეონისა, მაგრამ ჩვენი და თქვენი ქვეყნების მოძღვრებმა და მთავრებმა უარყვეს მათთან ერთობაო»[2]. უეჭველია. ეს დოკუმენტი ქართულადაც იქნებოდა ნათარგმნი ჯერ მაშინ, როდესაც ქართველები სომხებთან ერთად მისი წინააღმდეგი იყვნენ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ქართველები ქალკედონიზმს მიემხრნენ და ამ დოკუმენტის საფუძველზე დადგნენ. სამწუხაროდ, ეს ძველი თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა. ჩვენ დღეს გვაქვს მისი თარგმანი, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის და მის დოგმატიკონშია მოთავსებული[3].

სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცილობის ისტორიიდანვე ცნობილია, რომ კათოლიკოს კირიონს მიწერ-მოწერა ჰქონია მაშინდელ რომის პაპ გრიგოლ დიდთან, რომლისთვისაც მას მიუმართავს სხვადასხვა მწვალებლის, კერძოდ ნესტორიანთა, საკითხის გამო. ის ეკითხება გრიგოლს: როგორ უნდა ვიიღონ ეკლესიაში მონანულნი ნესტორიანნი — ხელდასხმით, მირონცხებით, აღსარების წარმოთქმით თუ ნათლისღებითო? ჩვენამდე შენახულა პასუხი გრიგოლ დიდისა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტრაქტატს წარმოადგენს იესო ქრისტეს პიროვნების შესახებ ნესტორიანთა და მონოფიზიტთა წინააღმდეგ. აქ მოხსენებული არიან სხვა მწვალებელნიც, მაგალითად, ბონოსიელები, კათოფრიგელები და მონტანისტები[4].

საეკლესიო მწერლობაში ცნობილია, როგორც ნაყოფიერი მწერალი. კირილე ალექსანდრიელი (გარდ. 444 წ.), რომლის სახელი დაკავშირებულია მესამე მსოფლიო კრებისა და ნესტორიანობის ისტორიასთან. ნესტორიანულ მოძრაობას გამოუწვევია, სხვათა შორის, ერთი მისი შესანიშნავი თხზულება. რომელსაც ბერძნულად ეწოდება «ἡ βίβλος τῶν θεσαυρῶν περὶ τῆς ἁγίας καὶ ὁμοουσίου τριάδος»[5]. ეს თხზულება, რომელიც საუკეთესო სახელმძღვანელოს შეადგენს ტრიადოლო-

[1] O. Bardenhewer, Patrologie³, S. 451—453.

[2] ეპისტოლეთა წიგნი. 164=უხტანესი, 75.

[3] A 265, 465 — 467; № 205, 368 — 378; № 267, 206 — 211; № 64, 132 — 137; გელ. № 24, 270 — 277.

[4] გ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 24 — 26, 575 — 577.

[5] Migne, PG. t. 75, 9—656, Bardenhewer, S. 293.

გიური საკითხების გარკვევაში, ძალიან გავრცელებული იყო ძველად. ის ქართულადაც უთარგმნიათ, უნდა ვიფიქროთ, პირველ პერიოდში. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ გრიგოლი სამების სამგვამოვნებას დასამტკიცებლად უჩვენებდა გ ა ნ ძ ს: «და განძსა წერილ არს ყოველი ჴეშმარიტებითა» (გვ. ՈՀԹ). მაშასადამე, გრიგოლის დროს ამ თხზულებას ქართულად «განძი» ეწოდებოდა; სახელის მიხედვით საფიქრებელია, რომ ის სომხურიდან იყო ნათარგმნი, ვინაიდან სომხურადაც მას გ ა ნ ძ ი ეწოდება[1]. ეს თხზულება ანტიქალკედონიტურ სომხებშიაც ცნობილი და პატივცემული იყო, ვინაიდან საკითხი იესო ქრისტეში ორი ბუნების შესახებ აქ ბუნდოვნადაა წარმოდგენილი და, მაშასადამე, მონოფიზიტებს შეეძლოთ გამოეყენებიათ ის. ეს ძველი თარგმანი ჩვენამდე შენახულა იოანე-თორნიკეს შეკვეთით 981 წელს გადაწერილ ნუსხაში[2]. მეთვრამეტე საუკუნეში ანტონ კათოლიკოსს ბევრი უძებნია ის, მაგრამ ვერ უპოვნია და ამიტომ ხელმეორედ გადმოუღია სომხურიდან მღვდლის ფილიპე უაითმაზაშვილის დახმარებით და საკუთარი სქოლიები დაურთავს მისთვის; ამ თარგმანს ეწოდება არა «განძი», არამედ «საუნჯე», რაც იმავე აზრს გამოხატავს.

მეცხრე საუკ. საეკლესიო მწერლობაში შესამჩნევი კვალი დასტოვა იოანე დამასკელის მოწაფემ ხარანელმა ეპისკოპოსმა თ ე ო დ ო რ ე აბ უ კ უ რ ა მ. რომელიც არაბი იყო და არაბულად წერდა. ის ნაყოფიერი მწერალი იყო და უწერია მონოფიზიტთა, ნესტორიანთა, თეოპასქიტთა, იაკობიტთა, სარკინოზთა და იუდელების წინააღმდეგ. არაბულიდან მისი თხზულებანი ბერძნულად უთარგმნიათ[3]. აბუკურას შესამჩნევი როლი უთამაშნია სომეხთა მონოფიზიტობის ისტორიაშიც. მეცხრე საუკუნეში სომხეთში ქალკედონიტობა და ანტიქალკედონიტობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს, ვერც ერთმა პარტიამ აღგილობრივი ბელადი ვერ გამოიყვანა ამ ბრძოლაში და ისინი იძულებული იყვნენ საზღვარგარეთიდან გამოეწვიათ ბელადები. ქალკედონიტებმა მოიწვიეს ხარანის ეპისკოპოსი თეოდორე აბუკურა, რომელიც სომხეთში მისულა, სომეხთა ისტორიკოსების ცნობით, 821 წელს და უცდია მოექცია ქალკედონიტობაზე სომხეთის მაშინდელი მთავარი აშოტ ბაგრატიდი. ანტიქალკედონიტებს მის წინააღმდეგ მოუწვევიათ ასურეთის იაკობიტთა ეკლესიის წარმომადგენელი არქიდიაკონი ნ ა ნ ა ან ნ ო ნ ი. მათ შორის გამართულა მწვავე პაექრობა, რომელშიაც თითოეული პარტია თავის ბელადს მიაწერს გამარჯვებას[4]. აბუკურას თხზულებათაგან შეგვიძლია საუკუნემდე ქართულად უთარგმნიათ ერთი ტრაქტატი: «საკითხავი მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათა

---

[1] Н. Марр, Житие Григория Хандзтийского, стр. IX.

[2] P. Peeters, Un colophon géorgien de Thornik le maie, Analecta Bollandiana, T. 60, p. 259–260, 1942.

[3] Migne, PG. t. 97, 1468–1609; G. Graf, Die arabischen Schriften des Theodor Abuqurra, Bischof von Harran (c. 740–820). 910, აგრეთვე მისივე Geschichte der christlichen arabischen Literatur II, 7–25, 1947.

[4] Н. Марр, Аркаун, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах-халкедонитах, «Визант. Времен.», т. XII, 1905, стр. 8 — 11.

თათვს»[1]. თხზულება, როგორც ვხედავთ, მიმართულია იქითკენ, რომ დაამტკიცოს «ორი ბუნება», მაშასადამე, დიოფიზიტურია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეპოქაში მისი თხზულებებიდან ამოურჩევიათ საგანგებოდ ის, რაც უფრო შეესაბამებოდა მაშინდელ აზროვნების მიმართულებას ჩვენში.

განსაკუთრებით გამდიდრდა ქართული დოგმატიკური მწერლობა მეორე პერიოდში. ამ პერიოდში, პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა დავასახელოთ ე ქ ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე კაპიტალური დოგმატიკური თხზულება გადმოთარგმნა, როგორიცაა: მიქელ სჳნკელოზის სიმბოლო, გრიგოლ ღვთისმეტყველის «სარწმუნოებისათჳს» და 3, 4, 5 სიტყუანი მისი შესანიშნავი თხზულებისა, რომელსაც ეწოდება «ღმრთისმეტყუელებისათჳს», აგრეთვე «თავისი ათხუთმეტნი» მაქსიმე აღმსარებლისა; გრიგოლ ნოსელის «ძიება სულისათჳს» და იოანე დამასკელის «ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა» და «წინამძღუარი», რომელიც წარმოადგენს შემოკლებას დამასკელის თხზულებებისას, უფრო კი იმისას, რომელიც ცნობილია ქართულ მწერლობაში «გარდამოცემის» სახელით.

არანაკლები შრომა გაუწევია ამ დარგში გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს ა ც, რომელსაც როგორც თავის ადგილას ვნახეთ, უთარგმნია: ჰიპოლიტე კიპრიანე კონსტანტინოპოლისა, გრიგოლ ნეოკესარიელისა, პატრიარქი ფოტისა და ათანასე ალექსანდრიელისა, მისივე «ქალწულებისათჳს», იოანე დამასკელის «აღიტყუა ღმრთისმეტყუელებისათჳს» და ეგნატე ღმერთშემოსილის 12 ეპისტოლე. რომელთაგან შვიდი ნამდვილია და ხუთი ყალბი.

გიორგის შემდეგ თ ე ო ფ ი ლ ე ხ უ ც ე ს მ ო ნ ა ზ ო ნ ს უთარგმნია იეოდორიტე კჳრელის «აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ», რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დარგში ე ფ რ ე მ ც ი რ ე მ, რომელმაც, გრიგოლ ღვთისმეტყველის დოგმატიკური სიტყვების გარდა, თარგმნა იოანე დამასკელის შესანიშნავი «გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ» არა შემოკლებით, როგორც ექუთიმე ათონელმა, არამედ სრულად, გამოუშვა მხოლოდ მესამე ნაწილი. ეს თხზულება მერე თარგმნა კიდევ იმავე შემადგენლობით, როგორითაც ეფრემმა, ა რ ს ე ნ ვ ა ჩ ე ს ძ ე იყალთოელმა და თავის დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ში შეიტანა.

ყველაზე მეტი შრომა დოგმატიკური მწერლობის დარგში გაუწევია სწორედ არსენ ვაჩესძეს, რომელსაც შეუდგენია საგანგებო კრებული დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებებისა, როგორც აღვნიშნეთ, დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ად სახელდებული. აქ 16 წმინდა დოგმატიკური ნაწარმოებია: იოანე დამასკელის «გარდამოცემაჲ», «ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳსებათა», «გამოკრებანი წმინდათანი» (Sacra parallela), კირილე ალექსანდრიელის «თარგმანებაჲ ათორმეტთა თუალთაჲ», მისივე ეპისტოლენი, თეოდორე ფილოსოფოსის «ქრისტიანობითისა აღსარებისათჳს», ეპისტოლენი პეტრე მმურკვნელის, ანტიოქელთა ეპისკოპოსის, მიმართ, თეოდორე აბუკურას «განგებულებისათჳს და განკორციელებისა» და «საღმრთოთა სახელ-

[1] A 144, 353—358.

თათჳს საზოგადოთა სამებისათა და განთჳსებულად თჳთეულისა გუამისა», ნიკიტა სტითატის «სიტყუაჲ სულისათჳს კაცობრიებისა», ძისიცე «სიმოთხისათჳს» და ეპისტოლენი ნიკიტა ხარტოფილაქსისადმი, მისივე «წინასწარცნობისა და განჩინებისათჳს», «საზღვარი წმიდისა და მსოფლიოჲსა კრებისა ქალკიდონისა» და «ტომოსი» პაპის ლეონ დიდისა.

მეთორმეტე საუკუნეში ნიკოლოზ გულაბერიძეს უთარგმნია, როგორც თავის ალაგას აღვნიშნეთ, რამდენიმე დოგმატიკური ნაწერმოები მაქსიმე აღმსარებლისა. ამავე დროს პეტრიწონის სკოლიდან გამოსულ ერთ მთარგმნელს გადმოუღია ბერძნულიდან ანასტასი ანტიოქელის «კითხვა-მიგება» კატეხიზმოს მსგავსი [1], რომელიც უნდა შეიცავდეს Compendiaria orthodoxae fidei explicatio-ს [2]. აღნიშნულ მეორე პერიოდში ათონის სალიტერატურო სკოლიდან უნდა იყოს გამოსული თარგმანი ბასილი დიდის სამი დოგმატიკური ტრაქტატისა: «სარწმუნოებისათჳს სამებისა ერთარსებისა და ორთათჳს ბუნებათა ქრისტესთა», «ორთათჳს ბუნებათა ქრისტესთა შეერთებისა» და «სარწმუნოებათჳს კორცთა შესხმისა» [3]. უკანასკნელ, მეოთხე პერიოდში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსი მწერლის, პეტრე მოგილას, თხზულებას — «აღსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ», რომელიც არჩილ მეფეს გადმოუთარგმნია რუსულიდან, აგრეთვე ანტონ კათოლიკოსის «სამნაწილედ ღვთისმეტყუელებას», რომლის დაწერისას აეტორს უსარგებლნია აგრეთვე ფრანგული სალვთისმეტყველო ენციკლოპედიით, თითქმის ყველა დოგმატიკური თხზულებანი ნათარგმნია რუსული ენიდან, ანდა დაწერილია რუსული თეოლოგიის ზეგავლენით, ასეთია: «კატეხიზმო» თბილელ მიტროპოლიტის ნიკოლოზისა [4], «კატეხიზმო» ანტონ კათოლიკოსისა, «ღვთისმეტყუელება» პლატონ მიტროპოლიტისა და თხზულებანი ამბროსი მედიოლანელისა, გაიოზ რექტორის მიერ ნათარგმნი. «ღვთისმეტყუელება» ბერის იონა ხელაშვილისა, «ეპისტოლენი აღმოსავლეთისა პატრიარქთანი მართლისა სარწმუნოებისათჳს», ტარასი არქიმანდრიტის მიერ ნათარგმნი და სხვ. რუსულისავე ზეგავლენით უნდა იყოს შედგენილი «ნაცვალსიტყუაობა», რომელიც დაუწერია 1801 წელს მეფე ერეკლეს კარის არქიმანდრიტს გერონტი სოლოღაშვილს [5], მისი სიტყვით, იმიტომ, რომ ჩვენში ბევრი იყო სოფლის მღვდელი, რომელთაც არ იცოდნენ არც საღმრთო წერილი, არც ფილოსოფია და არც ღვთისმეტყველება. მიზეზი ამისა არისო, ამბობს ის, უკანონობა და წესუდებლობა ჩვენი და მრავალგზის აოხრება ჩვენი სპარსთა და ლეკთაგანო. თხზულება შედგება სამი ნაწილისაგან: გუამი და ბუნება იესო ქრისტესი, შეიდთა საიდუმლოთათჳს და შეიდთა მსოფლიოთა კრებათა. ამავე დროს დოგმატიკური თხზულებანი უთარგმნიათ აგრეთვე სომხური ენიდანაც, ხშირად პოლემიკური მიზნით, სომეხთა კატეხიზმოს განსაქიქებლად. ასე იქცეოდა, მაგალითად, ანტონ კათოლიკოსი. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ასეთ

[1] A 128.
[2] Migne, PG. t. 89, col. 1399 — 1408.
[3] A 735, ფ. 34 — 38.
[4] ნამდვილად ეს არის საბა ორბელიანის «სამოთხის კარის» გადამუშავება.
[5] A 640; S 152I.

თხზულებებს თარგმნიდნენ ყოველივე ტენდენციისა და პოლემიკური მოსაზრების გარეშეც. მაგალითად, ჩვენ უკვე გახსოვდეთ ერთი ასეთი თხზულება, რომელიც ანტონ ჭყონდიდელს უთარგმნია და რომელსაც ეწოდება «შემოკლებითი წიგნი ჭეშმარიტებითისა ღვთისმეტყველებისა».

ქართული დოგმატიკური მწერლობის მიმოხილვისას ჩვენ უნდა მოვიგონოთ სულხან-საბა ორბელიანის შრომა, რომელსაც ეწოდება «საქრისტიანო მოძღვრება», სხვანაირად «სამოთხის კარი». ეს არის მოკლე კატეხიზმო, რომელშიაც დიალოგური ფორმით «მოძღვარი», ესე იგი მასწავლებელი, «ყრმას», ანუ მოწაფეს ქრისტიანული ეკლესიის ძირითად დოგმებს უხსნის. საბამ, როგორც ცნობილია, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში, რომის ეკლესიის მოძღვრება, კათოლიკობა, აღიარა, ამიტომ, ბუნებრივია, ამ მოძღვრების კვალს მის მიერ დაწერილ საეკლესიო ხასიათის თხზულებებში უნდა ეჩინა თავი. როგორც მკვლევარმა ი. ლოლაშვილმა დაადგინა, არსებობს ოთხი რედაქცია ამ შრომისა, ამათგან ორი თვით საბას ეკუთვნის. პირველი რედაქცია, რომელიც დაწერილი ყოფილა 1701 წელს, ნეიტრალურ პოზიციაზე დგას, იმაში ისეთს ვერას იპოვნი, რაც კათოლიკობას აშფოთებდეს; სამაგიეროდ მეორე რედაქციაში, რომელიც საბას ხელით გადაწერილ ნუსხაში შემონახულა, პირველი რედაქცია გადამუშავებულია, ევროპაში გამგზავრების წინ, კათოლიკური მოძღვრების შესასამისად. საბა აქ პირდაპირ აცხადებს: «რომანელთა ეკლესიისა სარწმუნოება მართალი და ჴეშმარიტი არს, და ვისაც არა რწამს, არ ცხონდებაო», ამ რედაქციაში გაშიშვლებული სახით მოცემულია კათოლიკური ეკლესიის ორი მთავარი დოგმატი: filioque და რომის პაპის პრიმატობა. აქ ნათქვამია: «და სული წმიდა მაძისაგან და ძისა გამოვალს».

«ჯერ არს მორჩილება რომის პაპისა, რომელი (ქრისტემან) დაადგინა გამგედ ეკლესიისა და შემდგომად ქრისტესა ქვეყანასა ზედა მჯდომარე არს». საბას კატეხიზმომ ქართველ მართლმადიდებელთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა და მღელვარება გამოიწვია, ანტონ კათოლიკოზი მას «ჯოჯოხეთის ბეჭეს» უწოდებდა. ამასთან ერთად ყველა გრძნობდა, რომ, თუ ამ თხზულებიდან ამორეცხილი იქნებოდა კათოლიკური ტენდენციები, ის დიდად სასარგებლო იქნებოდა მართლმადიდებელთათვისაც. ამიტომ საბას გარდაცვალების შემდეგ მოსკოვში ეს თხზულება გადაუმუშავებიათ, კათოლიკური ტენდენციებისაგან გაწმენდის ხაზით და მიმართულებით, ჯერ საბას ძმას ნიკოლოზს, მერე — ვახუშტი ბატონიშვილს. ამათ ხელში დასახელებულ შრომას მიუღია მართლმადიდებლობისათვისაც მისაღები სახე.

5. პოლემიკა

ზოგადი ხასიათი ქართული პოლემიკური მწერლობისა. პოლემიკა ანტიმაზდეისტური, ანტიიუდაისტური და ანტიმაჰმადიანური. ლიტერატურული ბრძოლა ნესტორიანობის, აგვისტინიზმის, მონოფელიტიზმის, კათოლიციზმისა და მონოფიზიტიზმის წინააღმდეგ. ქალკედონიზმი და ანტიქალკედონიზმი საქართველოში.

როდესაც ქრისტიანობა საკმაოდ მოღონიერდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ის ნებადართულ და სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადდა, ის არამცთუ იგერიებდა გარეშე და შინაურ მტრებს, არამედ თვითონ გადავიდა იერიშზე და ლიტერატურული კამათი დაიწყო არაქრისტიანულ რელიგიებსა და სხვადასხვა ქრისტიანულ მწვალებლობასთან. ამ კამათის მიზანი იყო გაბათილება მოწინააღმდეგეთა და მათი მოძღვრების სიყალბის დამტკიცება. ამნაირად წარმოიშვა ეგრეთ წოდებული პოლემიკური მწერლობა, რომელსაც მიზანში ჰყავდა ამოღებული არაქრისტიანული რელიგიებიდან უმთავრესად წარმართობა, ებრაელობა და მაჰმადიანობა, ხოლო ქრისტიანულ მწვალებლობათაგან — არიანობა, ნესტორიანობა. მონოფიზიტობა, მონოფელიტობა, ხატთმბრძოლობა, კათოლიკობა და სხვა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მწვალებლობა. საქართველოში ეს დარგი მწერლობისა შედარებით ადრე დაწყებულა, რაც იმით აიხსნება, რომ ის, ერთი მხრით, გარშემორტყმული იყო არაქრისტიანებისაგან, მეორე მხრით. ხშირად ხდებოდა ასპარეზად სხვადასხვა ქრისტიანულ მწვალებლობათა შეტაკებისა: ამიტომ ის იძულებული იყო თვითონაც ეწარმოებინა ლიტერატურული პოლემიკა უცხოეთიდან შემოტანილი იარაღით თუ საკუთარი შემოქმედებით.

პირველი პერიოდის განმავლობაში მეათე საუკუნემდე, როდესაც ქართულ ქრისტიანობას კავშირი ჰქონდა უმთავრესად ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ქრისტიანობასთან, მას ბრძოლა უხდებოდა ისეთ მწვალებლობასთან, რომელმაც ბუდედ გა-

იხადა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი — ნესტორიანობასა და მონოფიზიტობასთან. თუმცა ამ ეპოქიდან ბევრი ამგვარი თხზულება ჩვენამდე არც კი შენახულა, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა ყოფილა წარმოებული. მეორე პერიოდში აღნიშნულ მოტივებს მიემატა ანტიმაჰმადიანური პოლემიკა. გადათვალიერებულ და გადასინჯულ იქნა წინა ეპოქების მიღწევანი და ისეთი ღირსშესანიშნაი პოლემიკური კრებული გაჩნდა ქართულ ენაზე, რ ო გ ო რ ი ც ა ა რ ი ს ვ ა ჩ ე ს ი ძ ს დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი, რომელშიაც, უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, 31 პოლემიკური შრომაა. უკანასკნელ, აღორძინების პერიოდში პოლემიკური მწერლობა შეადგენს ერთ-ერთ მთავარ დარგს ჩვენი საეკლესიო ლიტერატურისას და განსაკუთრებით მონოფიზიტთა და ლათინთა გარშემო ტრიალებს. ქართული პოლემიკური მწერლობის უფრო დაწვრილებით მიმოხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს.

ბ რ ძ ო ლ ა წ ა რ მ ა რ თ ო ბ ა ს თ ა ნ. ახლად დანერგილ ქრისტიანობას ჩვენშიც ისე უხდებოდა ბრძოლა წარმართობასთან, როგორც რომის იმპერიაში. ამას თითქოს ადასტურებს გიორგი ათონელის «დიდი სვინაქსარის» ერთი ნუსხის (სინ. 4) [1] ცნობა, რომ ნინომ დაითმინა «მრავალგზის წამებანი მირიან უღმრთოდ სა ქელმწიფისაგან» [2]. ეს ცნობა გამოძახილია ლეონტი მროველის მატიანისა, რომელშიაც მირიანი ამბობს: «აწ ასე არის განზრახვაჲ ჩემი, რათა ბორკილად მოვსრნე ყოველნი მოსავნი ჯუარცმულისანი» და «ვაიძულო ნინას, ცოლსა ჩემსა, დატევებად სჯულისა ჯუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავიეწყო სიყუარული მისი და სხუათაევე თანა წარვწყმიდო იგიო» [3]. და თუ ეს ასეა, ცნობა საეჭვოა. რადგანაც ჯერ კიდევ ამ მუქარის წარმოთქმამდე, თვით ლეონტის სიტყვით, მირიანს «აქუნდა სურვილი ქრისტეს რჯულისაჲ... და არა დააბრკოლებდა იგი ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა»[4]. სამაგიეროდ ჩვენ მოგვეპოვება ამ ბრძოლის დამადასტურებელი სხვა ფაქტი. ასეთია, პირველ ყოვლისა, ის პატარა თხზულება, რომელსაც «მარტჳლობაჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ» ეწოდება და რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის ამ შემთხვევაში მეექვსე საუკუნის თხზულება «მარტჳლობაჲ ევსტატი მცხეთელისა»: იმაში გამოყენებულია მეორე საუკუნის ათინელი ფილოსოფოსის არისტიდეს ა პ ო ლ ო გ ი ა [5]. ამ აპოლოგიაში განქიქებულია წარმართობის სხვადასხვა სახე, როგორც, მაგალითად, რელიგია ქალდეველთა, ეგვიპტელთა, ელლინთა, ბაზდეიზმი, ასტრალური კულტი და სხვ.

არაქრისტიანულ რელიგიათაგან ქართულ ქრისტიანობას ყველაზე მეტად თავის დროს ბაზდეიზმი ან ცეცხლთაყვანისმცემლობა ებრძოდა, ებრძოდა როგორც ფიზიკურად, ისე ლიტერატურულად. შემატიანე გადმოგვცემს, რომ არა-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის აღწერილობით, გვ. 166.

[2] ეს ცნობა გამორჩენილია ნინოს სვინაქსარში, რომელიც ჰელიშერ ვარიანტს შემოუნახავს Такайшвили, Е., Описание II, 812).

[3] ქ.-ცხოვრ. მარიამისეული რედაქცია, გვ. 250 — 251.

[4] იქვე, გვ. 240.

[5] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში, «ეტიუდები» III, გვ. 42 — 60.

ჩილ მეფემ დასვა ეპისკოპოზი, სახელით მობიდანი, რომელიც იყო «მოგვ[1] უსჯულოჲ და შემშლელი წესთაჲ... რომელიც ფარულად სწერდა წიგნებსა ყოველსა საცთურისასაო»[2]. მეხუთე საუკუნეში ქართველები ლიტერატურულად ჯერ კიდევ ვერ უპასუხებდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას, ამიტომ მის წინააღმდეგ ისინი უფრო ფიზიკურად იბრძვიან: როდესაც ძალას მოიკრეფდნენ, მის მოძღვრებს ისინი ან «განასხამდნენ», ესე იგი, გააძევებდნენ ქართლიდან, ანდა მათ თხზულებებს პირდაპირ აუტოდაფეს უმართავდნენ. მაგალითად, ისტორიკოსის სიტყვით, მობიდანის თხზულებებს სწორედ ასეთი ბედი ეწვია: «შემდგომად დაწუა ყოველი წერილი მისი ჴეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქელმაო», ამბობს ის[3]. მაგრამ მეექვსე საუკუნიდან უკვე ლიტერატურული ბრძოლა დაუწყიათ მაზდეანობის წინააღმდეგ და ამ მიზნით ეესტათი მცხეთელის წამების ავტორს ზემოთდასახელებული არისტიდეს აპოლოგიისათვის მიუმართავს. ევსტათიოს მარტვილობაში მოყვანილია მთელი დიალოგი, რომელშიაც ნაჩვენებია, როგორ ამართლებს ევსტათი ქრისტიანობას და რა საფუძველზე უარყოფს ის ცეცხლთაყვანისმცემლობას. ამ დიალოგში გამოყენებულია არისტიდეს აპოლოგია არა მარტო აზრობლივად, არამედ ზოგ შემთხვევაში სიტყვიერადაც[4]. შემდგომში ეს აპოლოგია გამოუყენებია აბიბოს ნეკრესელის მეტაფრასული მარტვილობის ავტორს, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის მეშვეობით[5].

ებრაელობის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა საქართველოში, კერძოდ მცხეთაში, ბევრი ებრაელი იყო, მაგრამ ისინი არამცთუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ქრისტიანობას, პირიქით, ნიადაგიც კი მოუმზადეს მას: პირველი პროზელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში პოვა და ისინი ხელს უწყობდნენ მის გავრცელებას, როგორც, მაგალითად, აბიათარი, სიდონია და სხვები. საერთოდ ქართველი ებრაელები ისეთ კულტურულ ძალას არ წარმოადგენდნენ, რომ მათ შეძლებოდათ სახელმწიფოებრივი რელიგიისათვის მეტოქეობა და წინააღმდეგობა გაეწიათ ჩვენში; ამიტომ არც ქართველებს ჰქონდათ საბაბი, რომ მათ წინააღმდეგ დამოუკიდებელი ლიტერატურული ბრძოლა ეწარმოებინათ. ამით აიხსნება, რომ ქართული ანტიებრაული სარწმუნოებრივი პოლემიკა მთლიანად ნათარგმნია, ის გამოძახილია იმ იდეური ანტაგონიზმისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულად იუდაიზმსა და ქრისტიანიზმს შორის ყველგან. ამგვარ თხზულებათაგან შეგვიძლია დავასახელოთ პირველყოვლისა, პაექრობა მიქაელ საბაწმიდელისა «სჯულთამეცნიერ ურიასთან ხალიფა აბდ-ელ-მალიქის დროს

---

[1] ეს მობიდანი, თუ «მოგვი» არ იყო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველ შემთხვევაში წარმომადგენელი იყო ისეთი მწვალებლობისა, რომელშიაც ადგილი ჰქონდა მაზდეიზმის ელემენტებს.

[2] ჭ.-ცხოვრ. მარიამისეული, გვ. 120.

[3] იქვე.

[4] ამის შესახებ დაწერილებით იხ. კ. კეკელიძის «ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში», ეტიუდები III, 42 — 60.

[5] იქვე, გვ. 53 — 57.

(VII ს.) [1] და იოანე ედესელისა ურია ფინეეზთან ხალიფა არონ-რაშიდის დროს (IX ს.) [2]. ასეთი შრომები განსაკუთრებით მეორე პერიოდიდან იჩენენ თავს, არსენ ვაჩესძის დოგმატიკონში მოთავსებულია: 1) «წინაგანსაწყობელად ჰურიათა წამებანი წერილებრნი, ვითარმედ სამებასა შინა ღმრთეებაჲ საღმრთოთა წერილთა მიერ საიდუმლოდ იქადაგების» [3], რომელშიაც მოყვანილია ციტატები საღმრთო წერილიდან სამების დასამტკიცებლად. 2) სიტყვსგება ჰურიათა მიმართ, რომელიც იწყება ასე: «ღმერთსა მიენდობოდედ საღმრთონი, ხოლო კაცთა კაცობრივი» [4]. 3) «სიტყუსგებისაგან ქრისტეანისა და ჰურიისა. წამებანი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთჳს წმიდათა წერილთაგან», კითხვა-მიგების სახით [5], 4) «თუ ვითარ ჯერ არს შეწყნარებაჲ, რომელნი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუხდებოდის» [6] — მოკლე და სრული, ნახევრად პოლემიკური, ნახევრად ლიტურგიკული, რომელიც «დოგმატიკონში» არსენის შემდეგაა შეტანილი [7]. 5) «სიტყუსგებაჲ ჰურიისა მიმართ» თეოდორე აბუკურასი იმ შრომაში, რომელიც მას მიუწერია «მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა» [8]. XVIII ს. გასულს, 1786 წ., დიმიტრი ბაგრატიონს უთარგმნია რუსულიდან ურიათა მიმართ სიტყვისსაგებელი თხზულება სამოელ რაბინისა, რომელსაც «ოქროს ალნაქვსი» ეწოდება და რომელიც შეიცავს იმის მტკიცებას, რომ იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი, ძე ღვთისა, მოსული ქვეყნად. ჩამოთვლილთ გარდა ანტიიუდაისტური თხზულებანი ქართულ ენაზე ცნობილი არაა

რაც შეეხება მაჰმადიანობას, ის, დღიდან მისი გამოჩენისა, ისტორიულ მტრად გადაექცა საქართველოში ქრისტიანობას და ქართველებს მისგან ჩასდროს მოუსვენიათ. შინაარსი ჩვენი ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა არის გარეშე მტრებთან მუდმივი ბრძოლა, უმთავრესად ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის ბრძოლის სახით. ამიტომ ქართულ პოლემიკურ მწერლობაში სამაჰმადიანო დარგი, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური, შედარებით საკმაოდაა წარმოდგენილი. თუმცა უნდა შევნიშნოთ. რომ პირველ პერიოდში, თუ მხედველობაში არ მიეიღებთ აბო თბილელის მარტვილობას. რომელშიაც მაჰმადიანობა იდეურად არის შეფასებული, ამ დარგიდან არაფერი გვაქვს, ალბათ, იმიტომ, რომ თვით ბერძნულ ენაზე სისტემატური ლიტერატურული ბრძოლა ისლამის წინააღმდეგ მხოლოდ მერვე-მეცხრე საუკუნიდან იწყება (იოანე დამასკელი, თეოდორე აბუკურა). ანტიმაჰმადიანური პოლემიკა, მაშასადამე, ჩვენში უნდა დაწყებულიყო მეორე პერიოდში.

მართლაც, არსენ ვაჩესძის დოგმატიკონში ჩვენ გვაქვს შემდეგი ამ-

---

[1] კ. კეკელიძე, კიმენი I. გვ. 168 — 169, 1918 წ.

К. Кекелидзе, Житие Иоанна, католикоса Урһгйского, Христианский Восток, т. II, вып. 3. стр; 301—348, 1914 г.

[2] S 1463, გვ. 179 — 181.

[3] იქვე, გვ. 226 — 246.

[4] იქვე, გვ. 246 — 251; გელ. ხელნაწ. № 23. გვ. 203 — 222; A 65, გვ. 280 — 311.

[5] S 1463. გვ. 304 — 305; გელ. ხელნაწ. № 23. 425 — 429.

[6] Migne, PG. I, 1455—1461; Проф. А. Дмитриевский, Богослужение в русской церкви в XVI в., прил., გვ. 68 — 82.

S 1463, გვ. 289 — 294; გელ. № 23, 368 — 386.

გვარი ნათარგმნი თხზულებანი: 1. «სარკინოზთა მიმართისა სიტყვსგებისაგან ნეტარისა თეოდორე ავუკურაჲსი», რომელშიაც რვა სტატიაა: ა) ჟამად-ჟამად შემთხუეულნი ეკლესიისადა კუეთებანი მწუალებელთანი, ბ) სხუაჲ ქადაგებაჲ, ვითარმედ მუჰამედ არ არს ღმრთისაგან, გ) გამოჩინებაჲ ჴეშმარიტი მაგალითისა მიერ, ვითარმედ მტერი იყო ღმრთისაჲ მუჰამედ და ვითარმედ ეშმაკისა მიერ იგუემებოდა, დ) აღსარებაჲ და დამტკიცებაჲ ქრისტეანობისაჲ უკნინესთაგან ქადაგებისათა, ე) სხუაჲ სიტყუსგებაჲ გამომაჩინებელი, ვითარმედ ჯორცი ქრისტესი არს შეწირული იგი და კურთხეული პური, ვ) სხუაჲ სიტყუსგებაჲ ერთგზის ქორწინებისათჳს, ზ) არცა ვნებასა მისსა დაიკსნა გუამი ქრისტესი, ჱ) გამოჩინებაჲ, ვითარმედ აქუს ღმერთსა ძე თანაარსი, თანადაუსაბამოჲ და თანასამარადისოჲ [1]. 2. არის ერთი კითხუა-მიგება ქრისტიანსა და მაჰმადიანს შორის იმ სიტყვისგებაშიც, რომელიც თეოდორე აბუკურას მიუწერია «მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა» [2]. 3. აქვეა ნახევრად პოლემიკური, ნახევრად ლიტურგიკული «წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან წმიდისა მიმართ და ჴეშმარიტისა სარწმუნოებისა ჩუენ ქრისტიანეთაჲსაჲ» [3]. ეს შრომა, როგორც აღვნიშნეთ, გადმოთარგმნილია არსენის დროს, მაგრამ არა არსენის მიერ, და შეტანილია მის კრებულში შემდეგ. ის, როგორც ლიტურგიკული, «კურთხევანშიაც» არის მოთავსებული.

იმავე დოგმატიკონის ზოგიერთ ნუსხაში და ცალკეც ჩვენ გვხვდება ერთი ანტიმაჰმადიანური საპოლემიკო თხზულება, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: «ჴსენებაჲ სიტყუსგებისაჲ და სასჯელისაჲ სჯულისათჳს ქრისტიანეთაჲსა და სარკინოზთაჲ»; იწყება ასე: «და იყო, რაჟამს მოიწია კელმწიფე, რომელსაც ერქუა იამამე, ქალაქად ტფილისად, სარჯმან იყო წინაშე მისსა დიდი და შეკრბა ერი მრავალი ქრისტიანეთაჲ და სარკინოზთაჲ; იყო მუნ ბერიცა ვინმე ერთი მონაზონი, რომელი წარჩინებულთაგანი იყო ერისკაცობასა მისსა». აი, ამ ბერსა და სარკინოზთა შორის ამ კრებაზე მომხდარა პაექრობა, რომელიც აღწერილია დასახელებულ თხზულებაში. ბერს ჯერ შეკამათებია თვით იმამე ხელმწიფე; ის რომ ვერას გახდა, მისი ადგილი დაიკავა ვინმე მოგვმა ვარსკვლავთმრიცხველმა. ესეც რომ ძლეულ იქნა, მოუწოდეს კაცსა ვისმე «მოძღუარსა და სიტყჳს მეცნიერად საგონებელსა», რომელიც თითქოს უფრო მომზადებული იყო საპაექროდ. კამათი წარმოებდა შემდეგი საკითხების შესახებ: აზრი და მნიშვნელობა ქრისტიანთა ბერ-მონაზვნობისა, იესო ქრისტეს ღვთაება და განხორციელება, მუჰამედი არაა ჴეშმარიტი წინასწარმეტყველი. ბერს თავისი არგუმენტები მოჰყავს როგორც საღვთო წერილიდან, ისე ყურანიდან, რომელიც მას, მისი სიტყვით, ზეპირად სცოდნია. შედეგი კამათისა, რომელიც კითხუა-მიგების სახითაა წარმოდგენილი, იყო ის, რომ ბერმა სძლია ყველა მუხლში თავის ოპონენტებს, რომელნიც «შეკდიმებულ და სირცხვილეულ» დარჩნენ. ეს თხზულება ორიგინალური ქართული ნაწარმოები უნდა იყოს, როგორც თვით ზემოამოწერილი დასაწყისი სიტყვები-

[1] S 1463, გვ. 298 — 301; A 65, 311 — 329; გელ. № 23, 413 — 415.

[2] S 1463, გვ. 289 — 294; გელ. № 23, 368 — 386.

[3] Migne, PG. t. CXL, col. 121—135.

დანაც ჩანს. რასაკვირველია, აზრები და არგუმენტაცია ამოღებულია იმ თხზულებებიდან, რომელნიც იმდროინდელ პოლემიკურ მწერლობაში ტრიალებდნენ. მაგრამ კომპოზიცია და იდეური დამუშავება ქართველს ეკუთვნის. თხზულებიდან არ ჩანს, როდის მოხდა ეს კამათი, ან ვინ იყო ის იაბამე ხელმწიფე, რომელსაც თბილისი აუღია. არც ის ვიცით, ვინ იყო ის ქრისტიანე ქართველი ბერი, რომელსაც ასე გაუწბილებია მოკამათენი. ეს კამათი მოხსენებულია აგრეთვე კალმასობაში, რომელშიაც ჩვენ გვაქვს ცნობები «ჭაბისა ქრისტედულე ოსად წოდებულისათვს». ამ ცნობათა მიხედვით «მაშა ქრისტედულე მონაზონი იყო კეთილშობილთა ძირთგან აღმოსრული ქართველი და არაბულთა და სპარ[ს]ულთა წერილთა შინა გამოცდილი, რომელმანც ზედმიწევნით უწყოდა ენაჲ მათი და ესწავა ყურანიცა; ეს იყო ფილოსოფოსი და საღმრთოთა წერილთა შინა გამოცდილი. დროსა ამისსა, ოდეს მოვიდა მხედრობითა იამამან სპარსთა ხელმწიფე, უომრად შეურიგდნენ ქართველნი და შემოვიდა ტფილისსა შინა, ქართველთა მოექცა კეთილად და მრავალთა მიანიჭა საბოძვარნი»; მერე მოკლედ გადმოცემულია ზემოაღნიშნული კამათის შინაარსი [1]. ამავე ფაქტს გადმოგვცემს ანტონ კათოლიკოსიც თავის წ ყ ო ბ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა შ ი, მაგრამ ამ მონაზონის სახელი მან არ იცის (სტროფი 759 — 761). საიდან ამოიღო კალმასობის ავტორმა, იოანე ბატონიშვილმა ცნობა, რომლითაც ამ ბერს ქრისტედულე ერქვა, ძნელია თქმა, ყოველ შემთხვევაში, ეს ბერი რომ ოსი არ ყოფილა, ჩანს იქიდან, რომ თვით ავტორის სიტყვით, ქრისტედულე იყო «კეთილშობილთა ძირთაგან აღმოსრული ქ ა რ თ ვ ე ლ ი». ალბათ, ძველ ხელნაწერებში იქნებოდა ეს სახელი ბერძნული ფორმით წარმოდგენილი — ქრისტედულოს, შემდეგი დროის უმეცარმა გადამწერლებმა დაბოლოება Ოს მოაცალეს მას და შეთხზეს ქრისტედულე, ოსად წოდებული. პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი შენიშნავს ამ ბერის შესახებ, რომლის სახელი არც იმან იცის, რომ ის «ცხოვრობდა თემურლანგისა დროსა, ესე იგი 1402 წელსა. სიტყუა-გებითნი მისნი თქმანი, დროთა ჩუენთათჳს მოსათხრობელად უშუერნი, აღუწერია არა მას, არამედ სხუასა შემდგომად მისსა» [2]. საიდანაც არ უნდა ჰქონდეს ავტორს ამოღებული ეს ცნობა, მას ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ნუსხები აღნიშნული თხზულებისა ჩვენ გვხვდება, ყოველ შემთხვევაში, მეცამეტე საუკუნის ხელნაწერებში. თუ მხედველობაში მივიღებთ თხზულების სტილს, რომელსაც ახასიათებს პეტრიწონის სალიტერატურო სკოლის ნორმები, უნდა ვიფიქროთ, რომ ის დაწერილია მეთორმეტე საუკუნეში და ვიღაცას შეუტანია შემდეგ არსენ ვაჩესძის დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ შ ი, სადაც, როგორც ვიცით, პოლემიკური შრომებია თავმოყრილი.

შემდეგს საფეხურს ქართული ანტიმაჰმადიანური მწერლობის ისტორიაში შეადგენს მეთექვსმეტე საუკუნეში ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ დაწერილი «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ», რომელიც XVII საუკუნის გასულს, თუ მეთვრამეტის დამდეგს, გაულექსავს შემოქმედის მიტროპოლიტს იაკობ დუმბაძეს. ამ ნაწარმოების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი

[1] «კალმასობაჲ», II, 176 — 177.

[2] «წ ყ ო ბ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა» ანტონ კათოლიკოსისა, გვ. 140, შენიშვნა.

იქ. სადაც დასახელებული პირის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვეხებოდით [1]. მეთერამეტე საუკუნეში მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილს დაუწერია პოლემიკური შრომა მაჰმადიანთა წინააღმდეგ, რომელიც შეადგენს მეცხრე თავს მისი, უკვე ზემოგანხილული (გვ. 359 — 360), დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებისას.

დასასრულ, უნდა დავასახელოთ ერთი ორიგინალური ანტიმაჰმადიანური თხზულება, რომელსაც ეწოდება «ამბავი მაჰმადისი, თარგმანთა შინა ფსალმუნთასა შემოხმული და წიგნთაგან მაჰმადიანთასა გამოღებული, და ნათესაობა მათი» [2]. თეიმურაზ ბატონიშვილის სიტყვით, ეს არის «წიგნი სიტყვსსაგებელი მოჰმედიანთა მიმართ, ოთხოცდა მეორისა ფსალმუნისა განმარტება და აღმოჩინება აგარიანთა და ისმაიტელთა ზედა. თუ ვინაჲთ იწყო სეკტი მოჰმედიანთა, ანუ ვინ იყვნეს მახლობელნი და თანაშემწენი მოჰმედისანი; მოთხრობათა მათთა სრულიად დაწუღილებით დარღვევა და გამტყუნება ცუდმორწმუნეობისა მათისა» [3]. მართლაც. თხზულება წარმოადგენს 82 ფსალმუნის მუხლობრივ განხილვასა და განმარტებას ანტიმაჰმადიანური თვალსაზრისით და გზადაგზა მაჰმადიანთა დოგმატიკის, მორალისა და ზნე-ჩვეულების, ყოველდღიური ცხოვრების განქიქება-დარღვევას. აქ წარმოდგენილია აგარიან-ისმაიტელთა და, კერძოდ, მაჰმადის, გენეალოგია, მათი ისტორია მოკლედ, ყურანის წარჟოშობის ამბავი, მაჰმადიანთა შეხედულება მოსეს, დავითისა და იესოს შესახებ, მოძღვრება მათი ჭორწინების, სამოთხის, ბედისწერისა და სხვა საგნების შესახებ. რასაკვირველია, 82 ფსალმუნი პირდაპირ არ შეიცავს მასალას ყველა აქ აღძრული საკითხის გასარკვევად. ამიტომ თარგმანება მისი უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურია, მაგრამ ავტორს მაინც გამოუყენებია ის და თავი მოუყრია თხზულებაში ყველა იმ წერილობითი და ზეპირგადმოცემითი მასალისათვის, რასაც ის პოულობდა თანამედროვე ანტიმაჰმადიანურ ლიტერატურასა და მორწმუნეთა საზოგადოებაში. ავტორი გაჟღენთილია ზიზღით მაჰმადიანთა მიმართ, ამით აიხსნება, რომ მას შეუტანია თავის თხზულებაში პირდაპირ პამფლეტები მათ წინააღმდეგ, როგორიცაა, მაგალითად, მტკიცება იმისი, ვითომც მაჰმადიანთა სქესობრივი «უძღებება» იქამდის მიდის, რომ ისინი «ოცდა ოთხსა ჟამსა შინა 264-ჯერ შეეყოფიან» თავიანთ ცოლებსო. თავის პიროვნების შესახებ ავტორი ამბობს: «მრავალი ამის უბოროტესი მასმია ყურით ჩემით მათგან თქმული, არამედ არად სახმარ იყო წერა მათიო, მე დიდითა გამოწვლილვითა და მრავლითა ჭირითა მიპოვნიან, რამეთუ მრავალნი მოყუარენი მყუანდეს საცთურითა ამით დაბნელებულნი და მათგან გამოვიკვლიე, რომელიმე დამიფარვიდენ და სხუანი მეტყოდენო». მაშასადამე, ავტორს თვითონაც, დამოუკიდებლივაც შეუგროვებია საჭირო მასალა. ვინ არის

[1] ზ. ჭიჭინაძე თავის თხზულებაში «ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე» გადმოგვცემს, რომ მ ა კ ა რ ი მ ღ ვ დ ე ლ მ ო ნ ა ზ ო ნ მ ა, რომელიც ცხოვრობდა 1302 წელს, აღწერა «დარღვევა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა» ლექსადო (გვ. 17), ხოლო თ ე ვ დ ო რ ე ე პ ი ს კ ო პ ო სმ ა (1415 — 1470 წწ.) შეთხზა ქადაგებანი, პირდაპირ მაჰმადიანების წინააღმდეგ მიმართულიო (გვ. 21); მაგრამ ასეთ რამეს ჩვენამდე არ მოუღწევია, არც ამ ავტორებს ეცნობათ.

[2] A 349; S 1512, გვ. 1126—1174; «Описание», стр. 201.

[3] А. Цагарели, Сведения, III, стр. 157, № 147.

ეს ავტორი? თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ამბობს, რომ ავტორი ამ თხზულებისა, ი ო ს ე ბ ი, ხუცესი და მოძღუარი, ცხოვრობდა ჟამსა ღირსსახსოვარისა, სრულიად იერიის, ზემოჲსა და ქუემოჲსა საქართველოჲსა და აფხაზთა მეფისა თჳთმპყრობელისა ბაგრატ მეოთხისაო [1]. ჩვენ არ ვიცით, საიდან ამოიღო თეიმურაზმა ასეთი ცნობა, არ ვიცით არაფერი არც იოსებ ხუცის შესახებ, მაგრამ ერთი ცხადია: ბაგრატ მეოთხის დროს ეს თხზულება ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან: 1) ავტორს უსარგებლია ისეთი შრომებით, რომელნიც ბაგრატის შემდეგ იქნენ ცნობილნი, ასეთია ზემოაღნიშნული მაჰმადიანთა შემოერთების წესი და რამდენადმე ქ რ ი ს ტ ე დ უ ლ ე ს ა და ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ტრაქტატები. 2) ენა თხზულებისა გაცილებით უფრო ახალია, ვიდრე ბაგრატის დროისა, იმას აზის ბეჭედი აღორძინების ხანის სტილისა. 3) ერთ ადგილას ავტორი ჩამოთვლის იმ წმინდა ადგილებს, რომელნიც მაჰმადიანთ უპრავთ, და ამბობს, რომ, სხვათა შორის, «მთაწმიდა ხარკსა ქუეშე» მათსა არსო [2]. რასაკვირველია, ბაგრატის დროისათვის ეს ანაქრონიზმია. ასე რომ, აღორძინების ხანაზე ადრე ეს თხზულება დაწერილი ვერ იქნებოდა.

ანტიმაჰმადიანური პოლემიკა მოითხოვდა, რომ ქართველებს მაჰმადიანთა ყ უ რ ა ნ ი გაცნობილი ჰქონოდათ. მართლაც, ჩამოთვლილ ორიგინალურ თხზულებათაგან ჩანს, რომ მათ ავტორებს ის ზედმიწევნით ცოდნიათ. უეჭველია, ამ მიზნით ყ უ რ ა ნ ი ადრე იქნებოდა გადმოთარგმნილი ქართულად, გაცილებით ადრე XVII—XVIII სს., როდესაც, ზ. ჭიჭინაძის სიტყვით, ის გადმოაქართულეს სპარსეთში მყოფ ქართველ მაჰმადიან ბატონიშვილებმა [3].

• • •

არანაკლები შრომა გაუწევიათ ჩვენ წინაპართ იმ თხზულებათა თარგმნაში, რომელნიც მიმართულია ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებულ სხვადასხვა წვალების წინააღმდეგ. აი, ეს წვალებანი:

ა რ ი ა ნ ო ბ ა და მისი სხვადასხვა ფრაქცია. დღეს უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს (350 — 356 წლებში), იმპერატორ კონსტანტის დროს, იბერიაში ოფიციალურად დამყარდა ქრისტიანობა არიანული ფრაქციისა [4]. ეს ფრაქცია აქ მალე დამარცხდა. მეხუთე საუკუნის პირველ მეოთხედში იბერიის მეფემ ბაკურ დიდმა მის ადგილზე გააბატონა ნიკიის კრების (325 წ.) ორთოდოქსია [5]. მაშასადამე, ბრძოლა არია-

[1] А. Цагарели, Сведения, III, стр. 157.

[2] А 349, ფ. 39ბ.

[3] «ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში», გვ. 36.

[4] კ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, «მნიმომხილველი», I, 1—53; I. Markwart, Die Bekehrung Iberiens (Caucasica VII, III—167.

[5] ბაკურის ეს საქმიანობა მისი შვილიშვილის (ქალის ბაზით), პეტრე იბერიელის, სირიულ ენაზე დაწერილ ბიოგრაფიაში (R. Raabe, Petrus der Iberer, Leipzig, 1895) ისეა გადმოცემული, თითქოს ბაკური იყო ქრისტიანობის ზოგადად შემომტანი ქართლში და პირველი ქრისტიანი მეფე.

ნობის გადანაშთების წინააღმდეგ სრულიად ბუნებრივი და მოსალოდნელი იქნებოდა ჩვენში. ამ ხაზით პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ აქ უძველეს კრებულში (A 19, 95) შენახული მოკლე ნაწარმოები, რომელიც ნინოს მიეკუთვნება და რომელსაც ეწოდება: «საკითხავი ნათლისღებისათჳს უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსა». აქ გარკვეულია ტრიადოლოგიური თემა, რომ ღმერთი არის სამება, ერთარსება და ერთბუნება. ნათქვამია, რომ სამებისა «ღმრთეებაჲ ერთს არს, ბუნებაჲ იგივე არს და ძლიერებაჲ დაუსრულებელი. ქელმწიფებითა თჳთ უფალ არიან: პეტრბაჲ ერთ არს, მეუფებაჲ ერთი ოჲ გჳრგჳნი დაუსრული... ყოვლისა მპყრობელობაჲ ერთარსებით აქუს, რამეთუ სრული ღმერთი არს მამაჲ და სრული ღმერთი არს ძჱ და სრული ღმერთი არს ყოვლად წმიდაჲ სული. ბუნებაჲ ერთი არს და იგივე ღმრთეებაჲ და არა განჳკუეთო. ხოლო ერთარსებაჲ არს უკუდავი, გარნა თჳსთჳსებაჲ განეყო: რამეთუ მამაჲ მარადის მამა არს და არა იცვალების ძედ, გინათუ სულად. და სული მარადის სული არს და არა იცვლების მარად, გინათუ ძედ, რამეთუ სული არა მშობელ არს და არცა შობილ, არამედ სული ღმრთისა პირისაჲ არს და შთაბერვა ქრისტჱსი. ითქუმის და არს გამოდინებაჲ სამარადისოჲ და დაუწყუედელი» [1]. ეს ტრაქტატი წარმოაჯგენს ქადაგებას, ნათლისღება დღეს წარმოსათქმელს, და იმდენად პოლემიკური ხასიათისაა, რამდენადაც დოგმატიკურისა. ის მიმართულია ყველა იმ წვალებათა წინააღმდეგ, რომელნიც სამების წინააღმდეგ ილაშქრებენ, უფრო კი არიანობის. ის ფსევდოეპიგრაფიკულია და, თავისთავად ცხადია, ნინოს არ ეკუთვნის. მას საფუძვლად უდევს პირველი მსოფლიო კრების დოგმატიკური ფორმულა და ზოგიერთ ცნობილ მამათა ტრიადოლოგიური ტრაქტატები. შედგენილია ის, თუ მთლიანად თარგმანს არ წარმოადგენს, რომელიმე მწერლის ჩვენამდე არშენახული ნაწარმოებისას, სომეხ-ქართველთა საეკლესიო და ლიტერატურული ურთიერთობის ხანაში, არაუგვიანეს პირველი პერიოდის ნახევრისა. ამას ცხადყოფს როგორც აზრები, რომელთაც აზის ბეჭედი უძველესი თეოლოგიისა, ისე ენა, არმენიზმების შემცველი, როგორც, მაგალითად, პეტრბა და სხვ. სხვა ანტიარიანულ თხზულებათაგან ქართულ ენაზე უნდა დავასახელოთ გრიგოლ ღვთისმეტყველის «საკითხავი თქუმული... სამხილებელი არიანოზთა და ევნომიანოსთაჲ ბოროტად უწესეობისაჲ». ეს თხზულება სამჯერ ითარგმნა ქართულად: პირველად მეათე საუკუნის გასულს გრიგოლ ოშკელის მიერ სომხური ენიდან, მერე ბერ. ძნელიდან — ექვთიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის მიერ.

ნესტორიანობა. ნესტორიანობა, რომელმაც ფეხი მოიდგა აღმოსავლეთში, საქართველოშიაც არ იყო უცნობი, ის ქართლს აწვებოდა ასურეთიდან. სპარსეთში ქრისტიანების დევნისას არა ერთ და ორ ნესტორიანს უპოვნია ჩვენში თავშესაფარი და, ალბათ, მიმდევარნიც, განსაკუთრებით მეხუთე საუკუნის გასულიდან, როდესაც, თუ ასე მანის ცნობას დავუჯერებთ, ქართლში ნესტორიანთა საეპისკოპოსოც კი დაარსებულა [2]. მაგრამ საერთოდ ყვე-

[1] М. Джанашвили, История грузинской церкви, кн. I, Тбилиси, 1898 г., стр. 89.

[2] Brosset, Hist. de la Géorg., I, 194.

ლასაგან ის აქ შეწყნარებული არ ყოფილა. პირიქით, მეხუთე საუკუნეში უკვე მის წინააღმდეგ იერემია ქართველი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს [1]. ბრძოლას მის წინააღმდეგ თავდაპირველად ქართველები სომხებთან ერთად აწარმოებდნენ, როგორც ეს ჩანს სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების გამო ატეხილი მიწერ-მოწერიდან. კერძოდ, მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კათოლიკოსი კირიონი, რომელსაც ამ წვალების შესახებ ლაპარაკი ჰქონდა პაპი გრიგოლ დიდისადმი მიწერილ წერილში, როგორც ეს უკანასკნელის საპასუხო წერილიდან ჩანს. ძველადვე, VIII — IX სს., უთარგმნიათ ერთი თხზულება, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: «ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჱ და რამეთუ ღმრთისმშობელი არს წმიდაჲ ქალწული მარიამ და რომელი იგი იშვა მისგან—ღმერთი და იგივე კაცი» [2]. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს თხზულება მიმართულია ნესტორიანთა დოქტრინის წინააღმდეგ. ის ბერძნულ ენაზედაც შენახულა შემდეგი სათაურით: « Περὶ τῆς σαρκώσεως τοῦ θεοῦ λόγου» [3]. ბერძნულ დედანშიაც და ქართულ თარგმანშიაც ეს თხზულება მიეწერება ათანასე ალექსანდრიელს, მაგრამ, ვინაიდან ათანასეს დროს ნესტორიანობა ჯერ კიდევ ლიტერატურული ბრძოლის საგნად გამხდარი არ იყო, მეცნიერები უარყოფენ ათანასეს ავტორობას და აღნიშნულ თხზულებას ა პ ო ლ ი ნ ა რ ი ლ ა ო დ ი კ ი ე ლ ს მიაწერენ [4]. არსენ ვაჩესძეს თავის დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ შ ი შეუტანია რამდენიმე ანტინესტორიანული პოლემიკური თხზულება: 1) ორი ტრაქტატი ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა: «სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს, დასამხობლად ნესტორიანთა», და «სიტყუაჲ, დასამხობელი ნესტორიანთაჲ»; 2) თ ე ო დ ო რ ე ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი ს (აბუკურა?) «ნესტორიანთა მიმართ სიტყჳსგებაჲ» და 3) თ ე ო დ ო რ ე ა ბ უ კ უ რ ა ს ნესტორიანთა მიმართ ოთხი «სიტყჳსგება», რომელიც შედის «მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა» სიტყჳსგებაში» [5]. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ანტონ კათოლიკოსის მ ზ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, რომლის პირველ თავში დარღვეულია ნესტორიანთა წვალება (გვ. 1 — 20).

ო რ ი გ ე ნ ი ზ მ ი. გამოჩენილი ქრისტიანი მოაზროვნისა და ფილოსოფოსის ორიგენის პიროვნებისა და მოძღვრების გარშემო დიდ მითქმა-მოთქმას ჰქონდა ადგილი თავის დროს. ეს მითქმა-მოთქმა მეექვსე საუკუნეში გადაიქცა ნამდვილ ბრძოლად, არა ლიტერატურულად მარტო, არამედ, როგორც, მაგალითად, პალესტინაში — საბას ლავრაში, ფიზიკურადაც. პალესტინაში ამ ბრძოლის მოწამენი და მონაწილენი ქართველებიც იყვნენ. ამით აიხსნება, რომ ორიგენისტობა საქართველოში ცნობილი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მოგვეპოვება მისი განმაქიქებელი ლიტერატურა. პირველ ყოელისა აქ უნდა დავასახელოთ არსენ ვაჩესძის დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ შ ი მოთავსებული «მეტყუელთა მიმართ,

[1] კ. კეკელიძე, იერემია იბერიელი, «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე», IX, გვ. 187—198. ე ტ ი უ დ ე ბ ი, I, 51—62.

[2] A 19, 41 — 52, № 95, 46 — 59.

[3] Migne, PG. t. 28, col. 25—30.

[4] Bardenhewer, Patrologie, S. 213. A. Altaner, Patrologie, S. 271.

[5] S 1463, 289 — 294; გელ. № 23, 368 — 386.

ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყვნეს ჴორცთასა»[1], რომელშიაც დარღვეულია ორიგენის აზრი სულის წინასწარარსებობის შესახებ. S ფონდის ორ ხელნაწერ პოლემიკურ კრებულში მოთავსებულია აგრეთვე «მოთხრობაჲ საწუალობელისა ფილასოფოსისა ორიგენისი»[2] და «ნეტარისა თეოდორე აეუკარი[ა]ს სიტყჳსგებაჲ ორიგენიანისა მიმართ»[3]. ენის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ტრაქტატები ნათარგმნია, თუ დოგმატიკონთან ერთად არა, ყოველ შემთხვევაში, არაუადრეს მისა. საფიქრებელია, რომ ამგვარი თხზულებანი მეათე საუკუნემდეც იყო ქართულად. ყოველ შემთხვევაში. V საუკუნის მწერლის ანთიპატროს ბოსტრელის პოპულარობა უძველეს ქართულ ჰომილეტიკურ მწერლობაში იძლევა იმის საბუთს, რომ ჩვენში ეცოდინებოდათ მისი ანტიორიგენისტული თხზულებანიც[4].

აგვისტინიზმი. ჩვენს ძველ მწერლობაში შენახულა ერთი ვრცელი ტრაქტატი, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება და რომელსაც ეწოდება «თქუმული ბადებულისათჳს და წინაჲსთვეგანჩინებულისა კაცს ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა, ვითარმედ არარაჲ არს»[5]. ეს თხზულება, რომელიც გამოცემულია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ[6], გადმოთარგმნილია ბერძნულიდან მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე და შეიცავს ტრაქტატს ნებას თავისუფლების შესახებ, რასაც უარყოფდა ნეტარი აგვისტინე. მას მიზნად აქვს დაამტკიცოს, რომ არ არსებობს წინასწარგანჩინება ღვთისა, რომლის ძალით ადამიანი ან კეთილი უნდა იყოს, ან ბოროტი. თემა მეტად სერიოზულია, და მის შესახებ გაცხარებით კამათობდნენ ეგრეთ წოდებულ ორიგენისტთა და პელაგიანისტთა მწერლობაში. იოანე ოქროპირის თხზულებათა შორის ბერძნულ ენაზე ასეთი თხზულება ჯერ ცნობილი არაა.

მონოფელიტობა. მონოფელიტობის ისტორია რამდენადმე დაკავშირებულია ჩვენ ქვეყანასთან, კერძოდ, ლაზიკასთან ან დასავლეთ საქართველოსთან, სადაც ერეკლე იმპერატორმა პოვა მხურვალე თანამოაზრე, თანამგრძნობი და ცხოვრებაში გამტარებელი თავისი უნიონალური პოლიტიკისა, — ფაზისის მიტროპოლიტი კვიროსი, შემდეგ ალექსანდრიაში პატრიარქად დანიშნული, და სადაც დალია უკანასკნელი დღეები მონოფელიტიზმის წინააღმდეგ თავგამოდებულმა მებრძოლმა მაქსიმე აღმსარებელმა[7]. ამიტომ ქართულ ენაზე უთარგმნიათ, რასაკვირველია, შემდეგ დროში, მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიმონოფელიტური მწერლობისაც. მაგალითად, ექვთიმე მთაწმიდელმა თარგმნა «სიტყჳსგებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მაქსიმესა და პიროს კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა მწუალებელისა», რომელშიაც

---

[1] S 1463. ფ. 301 — 305; გელ. № 23, 415 — 427.

[2] № 312, ფ. 19 — 20.

[3] № 312, ფ. 20 — 24, № 248, 48 — 58.

[4] Migne, PG. t. 25, col. 1753 — 1796.

[5] სინას მთის X ს. ხელნ. № 36/14; A 56, 43 — 44, № 126, 185 — 194.

[6] «Христ. Восток», II, 276—280.

[7] К. Кекелидзе. Сведения грузинских источников о препод. Максиме Исповеднике, «Труды Киевской духовной Академии», 1912 г., Сентябрь—Ноябрь.

დარღვეული და განჭიქებულია მონოფელიტური ქრისტოლოგია. შემდეგ არსენ ვაჩესძეს უთარგმნია და დოგმატიკონში შეუტანია იოანე დამასკელის «ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა და სხუათა ბუნებითთა თჳთებათა, გარნა შემოკლებული, და ორთა ბუნებათათჳს და ერთისა გუამისა» [1]. დასასრულ, «დოგმატიკონის» შედგენის შემდეგ, მეთორმეტე საუკუნეში, ნიკოლოზ გულაბერიძეს ქართულად უთარგმნია, უკვე ექვთიმე ათონელის მიერ წინათ თარგმნილი, მაქსიმე აღმსარებლის სიტყჳგება პიროს კონსტანტინოპოლელთან შემდეგი სათაურით: «აღნიშნჳა ქჳნილისა მის ძიებისაჲ აღძრულთა მათ საეკლესიოთა რწმენათა ძლით მუნ ყოფასა გრიგოლ კეთილმსახურისა პატრიკოსისა და მის თანა პოვნილთა ყოვლად ღირსთა ეპისკოპოსთა და სხუათა ღმრთისა მოყუარეთა და დიდებულთა კაცთასა პჳროჲს მიერ პატრიარქქჳნილისა კონსტანტინეპოლის და მეგისტე კეთილმსახურისა მონაზონისა თთუესა იელისსა ინდიკტონსა. სამსა» [2], და აგრეთვე მაქსიმესავე თხზულება—«Opuscula theologica et polemica» [3], რომელშიაც მოთავსებულია პატარ-პატარა ტრაქტატები მონოფელიტთა წინააღმდეგაც.

ხ ა ტ თ მ ბ რ ძ ო ლ ო ბ ა. ხატთმბრძოლობის წინააღმდეგ მიმართული პოლემიკური ხასიათი აქვს ერთ, ლიტურგიკული მნიშვნელობისა და დანიშნულების, ძეგლს, რომელსაც ქართულად ეწოდება «ძეჳლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინოპოლს შეკრებილთა წმიდათა ხატთა თაყუანისცემისათჳს, რომელ ესე წარიკითხვის სოფიაწმიდას პირველსა კჳრიაკესა წმიდათა მარხვათასა». ეს ძეგლი უთარგმნია ბერძნულიდან ექვთიმე მთაწმიდელს მეათე საუკუნის გასულს, ის წარმოდგენს შემოკლებას აკად. თ. უსპენსკის მიერ გამოცემული ტექსტისას [4]. შემოკლება მდგომარეობს იმაში, რომ დატოვებულია დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი მხოლოდ ხატთმბრძოლობის წინააღმდეგ, სხვა კი გამოტოვებულია. მეთორმეტე საუკუნეში ეს ძეგლი ხელმეორედ უთარგმნიათ ქართულად იმავე შემადგენლობით, როგორც ექვთიმე ათონელს, მხოლოდ ეს მეორე თარგმანი უფრო ახლოს დგას ბერძნულ ტექსტთან, რომელსაც ის სიტყვასიტყვით მისდევს, ვიდრე ექვთიმესი. ლიტურგიკულ პრაქტიკაში შენახულა ექვთიმეს რედაქცია, მეორე კი გვხვდება მხოლოდ ერთადერთ ხელნაწერში [5]. წმინდა პოლემიკურ თხზულებათაგან ამ დარგში ქართულად შენახულა მხოლოდ იოანე დამასკელის ორი შრომა: «სიტყუაჲ წმიდათა ხატთათჳს, თავი მეორე» [6] და «სიტყჳსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა» [7]. ორიე თარგმანი გადმოსულია პეტრიწონის სალიტერატურო სკოლიდან XII საუკუნეში.

[1] S 1463, ფ. 128—138; გელ. № 23, 36—52, A 205, 431—448.

[2] გელ. მონასტ. ხელნ. № 14.

[3] Migne, P. j. t. 91, col. 9—266.

[4] «Синодик в неделю православия. Сводный текст с примечаниями», Одесса 1893 г.

[5] К. Кекелидзе. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, стр. 33—36, 466—467.

[6] A 162, 138 — 142; გელათ. № 8, ფ. 147—156.

[7] გელ. № 8, ფ. 156—174.

კ ა თ ო ლ ი ც ი ზ მ ი. მეცხრე საუკუნეში ატყდა სასტიკი ცილობა-კამათი და ბრძოლა რომისა და კონსტანტინოპოლის სამღვდელოებათა შორის, რომელიც 1054 წელს დასრულდა საბერძნეთისა და რომის ეკლესიათა ერთმანეთისაგან განშორებით. ამიერიდან ბერძნები რომაელებს ისე აღარ იხსენიებენ, თუ არა ურწმუნოებად, უკეთურებად და მწვალებელ-სქიზმატიკებად. ამ ცილობა-კამათობისას მოწინააღმდეგე მხარეებს არა ერთი და ორი თხზულება დაუწერიათ ერთიმეორის განმაქიქებელი და დამარღვეველი. საქართველოში თავდაპირველად არ იზიარებდნენ საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატულ-რიტუალურ შეხედულებას რომაელთა ეკლესიის შესახებ. აქ ბატონობდა მეორე მიმართულება, ლიბერალურ-სპირიტუალური, რომლის მკვეთრად გამომხატველია გიორგი მთაწმიდელი. სწორედ იმ ხანებში, როდესაც საბერძნეთი და რომი ეკლესიურად საბოლოოდ სცილდებოდნენ ერთმანეთს. გიორგი მთაწმიდელს საუბარი ჰქონდა კონსტანტინოპოლში იმპერატორ დუკიწთან საეკლესიო წესებისა და რიტუალის შესახებ. იმპერატორის ერთ-ერთ შეკითხვაზე, რომელსაც მიზნად ჰქონდა რომის ეკლესიის გაკრიტიკება, გიორგიმ უპასუხა: «ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა პირველ და მრავალგზის მიდრკეს... ხოლო ჰრომთა ვინაჲთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცაოდეს წვალებაჲ შემოსულ არს მათ შორის... და არარაჲ არს მას შინა განყოფილებაჲ, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს» [1].

ბერძნული შეხედულება კათოლიკობის შესახებ ჩვენში მყარდება გაცალებით გვიან, ვიდრე რომისა და საბერძნეთის გაყოფა მოხდა, და ისიც თანდათანობით, თან ამ შეხედულებას ისეთი უკიდურესი ხასიათი და გონჯი სახე არ მიუღია აქ, როგორც საბერძნეთში. ამით აიხსნება, რომ ანტიკათოლიკურ თხზულებათაგან ქართულად უთარგმნიათ მხოლოდ ერთი, სახელდობრ—მეთერთმეტე საუკუნის გასულისა და მეთორმეტის დამდეგის მწერლის ე ვ ს ტ რ ა ტ ი ნ ი ე ლ მიტროპოლიტის (გარდ. 1117 წ.) [2] «მოსაკსენებელი შემოკლებული, თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი და რაჲსათჳს საღმრთოთა აღმოსავლისა ეკლესიათაგან განიჭრნეს». ეს თხზულება, რომელიც შემდეგ დროში არსენ ვაჩესძის დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ შ ი ც შეუტანიათ, შეიცავს არა მარტო ისტორიასა და მიზეზებს რომისა და აღმოსავლეთის განხეთქილებისას, არამედ ნუსხას რომის ეკლესიის დოგმატიკურ-პრაქტიკულ თავისებურებათა, რომელნიც აქ ბერძნული თვალსაზრისითაა შეფასებული და განქიქებული [3]. მეთვრამეტე საუკუნეში კათოლიკეთა პროპაგანდა იმდენად გაძლიერდა ჩვენში, რომ მის ქსელში ებმებოდა მაღალი სამღვდელოებაც კი, როგორც, მაგალითად, ეს ვიცით ანტონ კათოლიკოსის თაყვადასავლიდან. ამ გარემოებამ

[1] «ათონის კრებული», გვ. 332; «საქართვ. სამოთხე», გვ. 474 — 475.

[2] ეს ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, მოწაფე მიქელ ფსელოსისა და ოთხი იტალისა, ერთ ხანს აწუნებულიც იყო ოფიციალურ ბიზანტიურ წრეებში (Ф. У с п е н с к и й, Очерки по истории византийской образованности, Петерб. 1892 г., стр. 191—200).

[3] ბერძნული დედანი ამ თხზულებისა, როგორც ევსტრატის სხვა მრავალი ნაწარმოები, ჯერ გამოცემული არაა.

საფიქრებელში ჩააგდო მამაპაპური მართლმადიდებლობის გულშემატკივარნი. რომელთაც კათოლიკობასთან საბრძოლველად ხელში აიღეს კალამი. ამგვარ მოღვაწეთა ტიპიურ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს ბესარიონ კათოლიკოსი, რომელმაც ლათინთა წინააღმდეგ დაწერა ზემოთ უკვე დასახელებული და განხილული თხზულება «გრდემლი». ეს თხზულება შინაარსით და საპოლემიკო მეთოდით არ ჩამოუვარდება ბერძნულ ენაზე დაწერილ ბევრ ამგვარ თხზულებას. კათოლიციზმის წინააღმდეგ გაულაშქრნია ანტონ კათოლიკოსსაც, რომელსაც თავისი კაპიტალური შრომის «მზამეტყველების» მესამე წიგნში შეუტანია ცალკე თავი (XVII), რომელსაც ეწოდება: «ლათინთა მიმართ, რომელ არიან პაპისტნი, მოკლედ წინაგანწყობაჲ, თუ რაჲსათჳს ერთი სასუმელისაგან საღმრთოჲსა არა მისცემენ უკუდავსა სისხლსა სიტყჳსა გახკრიელებულისასა»[1]. მეთვრამეტე საუკუნის გასულს ანტონ კათოლიკოსის ბრძანებით პორფილე ბაგრატიონმა გადმოთარგმნა რუსი მღვდელმთავრის თეოფანე პროკოპოვიჩის თხზულება «ისტორია თჳს დაწყებისა განხეთქილებისა შორის ბერძენთა და რომაელთა თჳს გამოსლვისა სულისა წმიდისა». თეოფანემ ეს შრომა ლათინურად დაწერა, მერე ის თარგმნა რუსულად მ. სოკოლოვმა და ამ თარგმანიდან გადმოღებულ იქნა ქართული ტექსტი[2].

მონოფიზიტობა. ყველა წვალებათაგან, რომელთა კვალი დარჩენილა ქართულ პოლემიკურ მწერლობაში, ჩვენ წინაპრებს ამოძრავებდა უფრო მონოფიზიტობა და მისი ფრაქციები, როგორიცაა იაკობის (აქედან იაკობიტნი), პეტროსის, სეეროზის, თეოდოსის, გაიანეს და სხვების მიმდევარნი, განსაკუთრებით კი სომეხთა ანტიქალკედონიტობა. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად ქართლის ეკლესია, სომხებთან ერთად, მონოფიზიტურ ან ანტიქალკედონიტურ ქრისტოლოგიას იზიარებდა, მეექვსე საუკუნის მიწურულიდან კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მან ქალკედონიტური დოგმატიკურ-ეკლესიური ორიენტაცია მიიღო და მეშვიდე საუკუნის დამდეგს საბოლოოდ ჩამოშორდა სომხეთს, მონოფიზიტობის ან ანტიქალკედონიტობის მედგარ დამცველს. თავისთავად ცხადია, ამ გარემოებას, ერთი მხრით, და სომხებთან ეკლესიურ-პოლიტიკურ სიახლოვესა და მეზობლობას, მეორე მხრით, ხელი უნდა შეეწყო ჩვენში ანტიმონოფიზიტური მწერლობის შექმნა-განვითარებისათვის. და მართლაც, სხვებთან შედარებით, ეს დარგი პოლემიკური მწერლობისა უფრო მდიდრადაა ქართულ ენაზე წარმოდგენილი—მისი ზრდა-განვითარება არ შეწყვეტილა მეთვრამეტე საუკუნის გასულამდე. ვიდრე ამ მწერლობის მიმოხილვას დავიწყებდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ენაზე ეს დარგი ორი კატეგორიის ძეგლებს გვაძლევს: საზოგადოდ — მონოფიზიტურს და კერძოდ — სომხურ-ანტიქალკედონიტურს.

პირველი კატეგორიის, საზოგადო მონოფიზიტური, მწერლობის ძეგლთაგან პირველად უნდა დავასახელოთ ერთი მოკლე ტრაქტატი, რომელიც ორ

[1] «მზამეტყველება», გვ. 522—527.

[2] Проф. А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письменности, III, 205.

უძველეს კრებულშია მოთავსებული[1] და რომელიც წმინდა ნინოს . მიეწერება. ეს არის «თქუმული წმიდისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტჱ ქართლს შინა, შობილი წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან»[2]. ამ ნაწარმოებში, რომელიც წარმოადგენს შობადღეს სათქმელ ქადაგებას, ლაპარაკია იმაზე, რომ იესო ქრისტე არის არა მარტო ჰეშმარიტი ღმერთი, არამედ ჰეშმარიტი კაციც, «მან შეიერთა ჰეშმარიტად თჳსი დაბადებული ჴორცი და კაცად გამოაჩენშმარიტა გამოუთქუმელითა ძლიერებითა და შეუერყეველითა სულითა... ცხრისა თთჳსა ჟამთაჲთა სიტყუაჲ განორძნდა და შეუშფოთებელად გაჩჴორციელდა... ჰეშმარიტად მიიხუნნა ჩუენნი ჴორცნი, გარნა უზჲშთაჱსნი ჩუენსა, რამეთუ დაიტალავრა ჴორცთა შინა განუშორებელად და განუყოფელად მარადის მამულისა არსებისაგან და დიდებისა და საკერობინოთა საუდართაგან»[3]. როგორც ვხედავთ, ქადაგება მიმართულია მონოფიზიტობის წინააღმდეგ, რომელიც იესო ქრისტეში ერთ ბუნებას, ღვთაებას, აღიარებდა და კაცობას უარჰყოფდა. ის ისევე ფსევდოეპიგრაფიკულია, როგორც უკვე განხილული ანტიარიანული ნათლისღების დღეს წარმოსათქმელი ქადაგება. ნინოს ვერც ეს მიეკუთვნება, ვინაიდან, სხვა რომ არა იყოს რა, მის დროს მონოფიზიტობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. თუ ის მთლიანად თარგმანს არ წარმოადგენს რომელიმე მწერლის ჩვენამდე არშენახული ნაწარმოებისას, ყოველ შემთხვევაში, კომპილაციაა, რომელიც ნათელყოფს ავტორის მიერ საეკლესიო მწერლობის, უფრო კი დოგმატიკურ-პოლემიკურის, ცოდნას. დაწერილი უნდა იყოს ის, თუ ენასა და სტილს ვიქონიებთ მხედველობაში, პირველი პერიოდის ნახევარში.

ამგვარ შრომებს განეკუთვნება ერთი ანტიმონოფიზიტური კრებული, რომელიც შემონახულა ჩვენამდე უმნიშვნელო ფრაგმენტის სახით მეათე საუკუნის ხელნაწერში (Q 209); აქ თავმოყრილია ციტატები ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებიდან. ამ ციტატების (მოყვანილნი არიან ცალკე თავების სახით) მიზანია გაგვითვალისწინონ, რომ ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნებაა: ღვთაებრივი და კაცობრივი. კრებულს თავიც აკლია და ბოლოც, თავში დაკარგულია 36 ციტატა (სათვალავი თვით კრებულშია), რამდენს უდრის დაკარგული ციტატების რიცხვი ბოლოში, ძნელია თქმა. შემონახულა ათი ციტატა (37—46) შემდეგი მწერლების თხზულებებიდან: კელესტინე პაპისა (422—432 წ.), აეტი კონსტანტინოპოლელისა[4], ათანასე ალექსანდრიელისა (326—373 წ.), ამბროსი მედიოლანელისა (374—397 წ.. ორი ციტატა), აგვისტინე იპონელისა (V ს.), იოანე ოქროპირისა (318—404 წ.), კირილე ალექსანდრიელისა (412—444 წ.) და ტიმოთე კონსტანტინოპოლელისა (460—482 წ.) მისი წერილიდან ლეონტი იმპერა-

[1] A 19. 95.

[2] М. Джанашвили, История грузинской церкви, книга I, стр. 80—86.

[3] იქვე, გვ. 82.

[4] იგულისხმება აეტი, კონსტანტინოპოლის არქიდიაკონი, რომელიც 451 წლის კრებაზე დიდ როლს თამაშობდა. არქიდიაკონი ძველად იყო persona grata, წარმომადგენელი თავისი ეპისკოპოსისა კუბებებზე და მემკვიდრე მისი კათედრაზე (В. Болотов, История древней церкви, III, 165—167, IV, 186—290).

ტორის (457—474 წ.) მიმართ. დარჩენილი ნაწილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კრებულში გამოყენებულნი ყოფილან წინაქალკედონური ეპოქის (326—474 წ.) მწერლები, რადგანაც მათი მოწმობა საცილობელი საკითხის გარშემო უფრო ობიექტურად მიაჩნდათ, ვიდრე მონოფიზიტურ ბრძოლაში უშუალოდ ჩაბმული შამებისა. პოლემიკის გაადვილების მიზნით ავტორს კრებულისათვის მიუცია თავისებური Compendium-ის, ან ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ, «მზამეტყველების» ხასიათი. კრებული ორიგინალური წარმოშობისაა, მსგავსად არსენ იყალთოელის «დოღმატიკონისა». ის შედგენილი უნდა იყოს შიდარებით ადრე. არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა; ამას გვიკარნახებს შემდეგი მოსაზრება: შერჩეულია IV—V საუკუნის მწერლები, რომელთა თხზულებები მთლიანი სახით მერვე საუკუნემდი ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი. საყურადღებოა, რომ კრებულის ავტორს გამოუყენებია არა მარტო აღმოსავლური მწერლების თხზულებები, არამედ დასავლურისაც (კელესტინე პაპი, ამბროსი მედიოლანელი, აგვისტინე).

შესამჩნევად წაიწია წინ ამ დარგმა მეორე პერიოდში. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის არსენ ვაჩესძეს; რომელმაც თავის დოგმატიკონში მოათავსა შემდეგი, მის მიერ ნათარგმნი, თხზულებანი: 1) ანასტასი მონაზონისა (სინელისა) «სარწმუნოებისათჳს და განსაზღურებისა საღმრთოთა წერილთა შინა მდებარეთა ლექსთაჲსა». ეს თხზულება, რომელსაც ჩვეულებრივ წინამძღუარი (Ὁδηγός) ეწოდება, მიმართულია მონოფიზიტობისა და მისი სხვადასხვა ფრაქციის წინააღმდეგ. 2) იოანე დამასკელის «სიტყუაჲ დასამკობელად ღმრთისმოძაგებულისა წვალებისა იაკობთაჲსა». 3) «თითოსაჴეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხვათა აღსწნაჲ ქრისტესმიმართისა კეთილადმსახურებისათჳს და თანად მხილებაჲცა და უკურღუეჲაჲ ღმრთეებისა მიმართ და კაცებისა ქრისტესისა უთაოთა ურთიერთას წინააღმდგომისა წვალებისაჲ ნესტორისაგან და სევეროზისა ბოროტად მსახურთაჲსა და სიტყჳსგებაჲ უარისმყოფელთა მიმართ წმიდისა კრებისა ხალკიდონისათაჲ». აქ აღნიშნული თემა განმარტებულია კითხვა-მიგების სახით, სულ 17 კითხვა-მიგებაა. 4) «განრჩევაჲ და განჳმარიტებაჲ ფილოსოფოსთა მიერ მოკსენებულთა ჭმათაჲ და მხილებაჲ უთაოთა სევერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა სულთგანმხრწნელისა წვალებისაჲ». 5) «შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცაჲ». ეს ნახევრად პოლემიკური, ნახევრად ლიტურგიკული ნაწარმოებია, რომელიც უფრო ხშირად კურთხევანში გეხვდება. დაახლოებით იმავე დროს, როდესაც არსენ ვაჩესძე დოგმატიკონი შეადგინა, უნდა იყოს გადმოღებული ფილაქიანოზ პრეპენელი ეპისკოპოსის, თხზულება: «პეტროსის მიმართ, ეპისკოპოსისა ანტიოქელისა, თუ ვითარ ჯერ არს უარის ყოფაჲ არიოზისი წმიდისა სამებისა ერთსწორებისა და უკუდავი იგი სიტყუაჲ თქუმად ჯუარცმულად და არცა ორთა ბუნებათაგან ერთი ბუნებაჲ ქრისტესი» [1].

ქართული ანტიმონოფიზიტური პოლემიკა უფრო ხშირად მიმართულია

[1] A 735, ფ. 30—34.

სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ. ბრძოლა ამ ფრაქციასთან უფრო ინტენსიური და ხანგრძლივი იყო, ვიდრე მონოფიზიტობასთან ბრძოლა საზოგადოდ. ამ მხრივ ქართველებს არამცთუ უთარგმნიათ ის, რაც სომხების წინააღმდეგ ბერძნებს დაუწერიათ მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული, არამედ თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანიათ ამ დარგში და თვითონაც უწარმოებიათ დამოუკიდებელი ლიტერატურული ბრძოლა. პოლემიკა მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ან ქალკედონიტთა და ანტიქალკედონიტთა შორის გამწვავდა თვით სომხეთში. საკითხი უმთავრესად ქალკედონის კრების გარშემო ტრიალებდა. მართლმადიდებელ ან ქალკედონიტ სომეხთა შორის განვითარდა ერთგვარი საისტორიო ხასიათის მწერლობა, რომელშიაც გარკვეული იყო ისტორია ქალკედონის კრების შედეგებისა სომხეთში და ყველა ის პერიპეტია, რაც ამ კრებამ განიცადა სომეხთა შორის. რასაკვირველია, საკითხი გარკვეული იყო დიოფიზიტური თვალსაზრისით; სომხებმა უარყვეს ქალკედონის კრება, ისინი განუდგნენ კათოლიკე ეკლესიის აღსარებასო. ამ ხასიათის თხზულებებს სომხურად ერქვა პატიმოთინი ან, როგორც ზოგიერთ ქართულ ძეგლშია, პატიმონითი. ეს პატიმოთინი ქართულად უთარგმნიათ ძველადვე, მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე, სომხებთან კამათის დროს სახელმძღვანელოდ. ერთი ნაწყვეტი ამ თხზულებიდან ჩვენამდე შენახულა, ის გამოუცია თ. ჟორდანიას[1]. ჩვენამდე შენახულა დოკუმენტი სომხებთან პაექრობისა, რომელშიაც ქართველთა წარმომადგენელს გამოუყენებია კამათში სწორედ ეს პატიმოთინი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს «სიტყვსგება ექვთიმე გრძელისა სოსთენის მიმართ, სომეხთა მოძღურისა». ექვთიმეს თავისი არგუმენტები მოჰყავს პატიმოთინისაგან, რის გამო ძლეული სოსთენი ეუბნება: «წყეულ იყავნ რომელმან გასწავა შენ პატიმოთინა და აღგჳურვა მით ბრძოლაღ სარწმუნოებისა ჩუენისაო»[2]. ამავე პოლემიკური მიზნით მართლმადიდებელი, ქალკედონიტ-სომხები ადგენდნენ ისეთ თხზულებებს, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ სომხების განდგომილება მართლმადიდებლობისაგან წინასწარ იყო მოსწავებული, რომ ეს განდგომილება შეიქმნა მიზეზი მათზე მოწევნული ყოველგვარი უბედურებისა, როგორც სარწმუნოებრივი, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივისა. ასე, მაგალითად, ყოფილა დაწერილი «ხილვაჲ გრიგოლ განმანათლებელისა, რომელ აუწყა მას», არსენ საფარელის სიტყვით, «სულმან წმიდამან, ვითარმედ რომელნიმე ცხოართაგანი უკუნიქცეს და მგელ იქმნეს და ზედამიეტევნეს ცხოვართა და დაბძარნეს უწყალოდ»[3]. ეს «ხილვა» გამოუყენებია თავის სიტყვისგებაში ექვთიმე გრძელსაც, რომელიც ეუბნება სოსთენს: «ვითარ იგი წერილ არს ხილვასა შინა გრიგოლ განმანათლებელისასა, რომელსა იგი გამოუცხადა ღმერთმან მყის გარდაქცევა თქუენი რეცა სარწმუ-

[1] «ქრონიკები», I, 336 — 341. ამისი უშუალო წყაროა «Narratio de rebus Armeniae», განსაკუთრებით ის ნაწილი მისი, რომელსაც ეწოდება Διήγησις ἀπὸ τοῦ ἁγίου Γρηγορίου μέχρι τοῦ νῦν (ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკ., 1944 წ., გვ. 0.46—0.47).

[2] «სჳაჭართუ. სამოთხე», გვ. 618.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 332.

ნოსა მისგან ცხოვართასა წყალთა მათ შინა დაშავებისთა სახე თიკანთა მრომედ შეცვალებითა»[1]. როგორც აქედან ჩანს, გრიგოლის «ხილვა» ან «ჩუენება» ქართულად ნათარგმნი ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, IX—X საუკ., თუმცა დღეს ეს თხზულება პირვანდელი სახით ჩვენამდე არ შენახულა. ცნობილი ყოფილა აგრეთვე «წინაჲსწარმეტყუელება ნერსე დიდისა, სომეხთა კეშმარიტისა მის მთავარეპისკოპოსისა»[2], რომლის დედაზრი ანტონ კათოლიკოსს ასე აქვს გადმოცემული: «დამდაბლდეს სამეფოჲ თქუენი მსგავსად სამეფოთა ისრაილისათა და ქუეყანაჲ თქუენი მიეცეს კელთა უცხოთა მტერთასა, მიეცნეთ შიშსა და ტყუეობასა მწარესა და აღარა იყოს თავისუფლებაჲ თქუენი უღლისაგან ძმისა და ნათესავთა მიერ უცხოთა მოგებული ოფლითა თქუენითა შეიჯაბოს წინაშე თუალთა თქუენთა. იქმნნეთ თქუენ მსგავსად ფურცელთა მიმოდაბნეულ და დავიწყებული, ვითარცა წყალი დათხეულ; მიჴეღოს თქუენ მეფობაჲ და მღდელობაჲ და უუფლონი მიმოხვიდოდეთ ადგილითი ადგილად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი; განხვიდეთ სარწმუნოებისაგან და მამათმთავარნი თქუენნი არღარა გესვისყე ჟამთა გრძელთა; აღიფხურათ ძირისაგან თქუენისა და კედელნი თქუენნი ძლიერნი დარღეულ იქმნნეს კელთაგან წარმართთასა»[3]. ამათ გარდა, ცნობილია კიდევ «ჩუენებაჲ წმიდისა საჯაისი, რომელ იხილა ბირთჳ ოქროჲსა და ინაფორი ზედა წმიდასა საკურთხეველსა; რამეთუ აღკოცასა თანა მეფობისა არშაკთაჲსა აღეღო მღდელობაჲცა წმიდისა, გრიგოლის ნათესავისაჲ»[4]. ეს აპოკრიფული «ჩუენება», რომელსაც მიზნად აქვს დაარწმუნოს, რომ სომხეთის მეფობის მოსპობა და მღვდელობის შეწყვეტა შედეგია ჰეშმარიტი სარწმუნოების უარყოფისა, ქართულად იმთავითვე ყოფილა თარგმნილი. მას იხსენიებს და მით სარგებლობს ექვთიმე გრძელი სოსთენ სომეხთან პაექრობისას[5]. ეს აპოკრიფი ჩვენამდეც შენახულა მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერში[6]. ამნაირად, ზემოჩამოთვლილი აპოკრიფები, რომელნიც პოლემიკური მიზნით შეთხზული იქნენ ქალკედონიტ სომეხთა წრეში, იმავე პოლემიკური მიზნით ქართულადაც უთარგმნიათ მეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე.

ერთ-ერთ საცილობელ და საკამათო საკითხად ქალკედონიტთა და ანტიქალკედონიტთა შორის საზოგადოდ, და სომხეთში კერძოდ, შეიქნა საკითხი იესო ქრისტეს შობისა და მასზე დამოკიდებულ დღესასწაულთა შესახებ. ეს დღესასწაული თავდაპირველად ყველგან ერთსა და იმავე დროს არ სრულდებოდა: რომსა და საზოგადოდ დასავლეთში ის სრულდებოდა 25 დეკემბერს, აღმოსავლეთში კი — 6 იანვარს, ნათლისღებასთან ერთად. შემდეგ

---

[1] «საქართვ. სამოთხე», გვ. 618.

[2] S 3236.

[3] ანტონ კათოლიკოსი, მზამეტყველება, გვ. 113—114; თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 341.

[4] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 322.

[5] «საქართვ. სამოთხე», გვ. 618.

[6] A 735, გამოცემულია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ: «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე», II, 207—217.

აღმოსავლეთიც შეუთანხმდა დასავლეთს და რომის პრაქტიკა შეითვისა, თუმცა არა ერთბაშად: კონსტანტინოპოლსა და ანტიოქიაში, როგორც იოანე ოქროპირის 386 წელს წარმოთქმული ქადაგებიდან ჩანს, ის მიუღიათ 376 წელს, იერუსალიმში კი მეექვსე საუკუნეშიც ძველ პრაქტიკას მისდევდნენ. მონოფიზიტებსა და, კერძოდ, სომხებს ეს ძველი პრაქტიკა სამუდამოდ შერჩათ, ამის გამო. მათთან საპოლემიკო ლიტერატურაც კი წარმოიშვა. ეს ლიტერატურა თავმოყრილი იყო საგანგებო კრებულში, რომელიც შეიცავდა მსოფლიო ეკლესიის მწერალთა თხზულებებს იმის შესახებ, რომ შობა 25 დეკემბერს უნდა ეზიდღესასწაულოთო. ასეთი კრებული ქართულ ენაზე გაჩენილა შედარებით ადრე, ვინაიდან მას ჩვენ ვპოულობთ ორ უძველეს მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ შ ი[1], რომლებიც ტაო-კლარჯეთის რაიონში აღმოცენებულა. ამ კრებულში ჩვენ გვაქვს ოთხი დოკუმენტი აღნიშნული საკითხის შესახებ: «ბრძანებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ კლემენტოსის მიერ მიძღვანებული ყოველთა მიმართ სამოციქულო კათოლიკჱ ეკლესიათა სიტყჳსაგან და წამებისა და დღესასწაულისათჳს». ამ თხზულებაში, რომელიც წარმოადგენს მ ო ც ი ქ უ ლ თ ა დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი ს (Institutiones apostolorum) მეხუთე წიგნის მეცამეტე თავს, ჩვენ ვკითხულობთ: «ვითარმედ დღენი დღესასწაულთა თქუენთანი დაიცევენით. პირველად შობაჲ უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსი, რომელი იგი ჯერ არს ჩუენდა ყოფად ოცდა ხუთსა მეცხრისა თთჳსასა. ხოლო არს მეცხრჱ თთუჱ მსგავსად საღმრთოა. წიგნთა: პირველად აპრილი თთუჱ და მეცხრჱ არს დეკემბერი. და მისა შემდგომად ცხად თქუენდა იყავნ პატიოსანი იგი დღჱ განცხადებისაჲ, რომელიცა იგი უფალმან გამოუცხადა ყოველთა ღმრთეებითა თჳსითა და იყავნ ესე ექუსსა თთჳსასა, რომელ არს იანვარი, და აღირაცხეთ ოცდახუთითგან დეკემბერისაჲთ და ჰპოვოთ მეორმოცჱ იგი განწმედისაჲ მსგავსად შჯულისა თთუესა ფებერვალსა ორსა» [2].

მეორე დოკუმენტი, რომელიც ამ საკითხს ეხება, არის გრიგოლ ნოსელის თქმული «შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსა და წმიდისა სტეფანჱსათჳს». ეს არის პატარა, რამდენიმე სტრიქონისაგან შემდგარი, დარიგება, რომელიც ასე თავდება: «ოცდამეშჳდესა დღესა თთჳსა დეკემბრისასა აღესრულების დღესასწაული წმიდისა სტეფანჱსი იერუსალჱმს, სადაცა იგი პატიოსანნი ნაწილნი მისნი სხენან, და ესე ცხად არს ყოველთა და ამისგან ჩანს: ოცდახუთსა დეკემბრისასა არს შობაჲ უფლისაჲ ჩუენისაჲ იესოჳ ქრისტჱსი და მიერითგან მეორმოცჱ დღჱ არს მიგებებაჲ უფლისაჲ: და თთუესა ფებერვალსა აღესრულების მეორესა დღესა» [3].

მესამე დოკუმენტს წარმოადგენს ანტიოქიაში 386 წელს წარმოთქმული იოანე ოქროპირის ზემოხსენებული ქადაგება, რომელშიაც ის ამბობს, რომ 10 წელიწადი გავიდა, რაც აღმოსავლეთში (ანტიოქია-კონსტანტინოპოლში) შობის უქმობა 25 დეკემბერს დაიწყეთ, და ამტკიცებს ასეთი პრაქ-

[1] A 19, 95.
[2] A 19, 52—56, № 95, 59—60.
[3] A 19, 53—54, № 95, 60.

ტიკის სამართლიანობას[1]. ზოგი რამ ამ ქადაგებაში შემდეგი დროის ინტერპოლაციაა, მაგალითად, მესამე და მეოთხე კრების დადგენილებებიდან საბუთები, რომელთაც, ცხადია, ოქროპირი ვერ უჩვენებდა[2].

მეოთხე დოკუმენტი არის «საკითხავი დღესასწაულთათჳს: ხარებისა და შობისა, მიგებებისა და ნათლისღებისა, რომელი მიუწერა იერუსალჱმს იუსტინიანე, მართლმადიდებელმან მეფემან»[3]. აქ სხვადასხვა მოსაზრებითა და წმ. მამათა თხზულებებიდან ციტატებით მტკიცდება, რომ შობა უნდა ვიდღესასწაულოთ 25 დეკემბერს, ხარება 25 მარტს, მიგებება 2 თებერვალსა და ნათლისღება 6 იანვარსო. თხზულება ფსევდოეპიგრაფიკულია, იუსტინიანეს ის არ ეკუთვნის, მაგრამ დამატიცებელია იმისა, რომ იერუსალიმში შობის უქმობა 25 დეკემბერს მართლაც მეექვსე საუკუნეში, იუსტინიანეს დროს, დაიწყეს, რასაც მხარს უჭერს ერთი სომხური დოკუმენტიც: «ეპისტოლე გრიგოლისა, არწრუნელ ეპისკოპოსისა, იერუსალიმის სომეხთა მიმართ»[4].

ამნაირად, აღნუსხულ დოკუმენტებში მტკიცდება, რომ შობა ცალკე უნდა ვიდღესასწაულოთ, 25 დეკემბერს, და არა ნათლისღებასთან ერთად, 6 იანვარს, და ამასთანავე ირკვევა დრო იმ დღესასწაულებისა, რომელნიც შობაზე არიან დამოკიდებული: ხარებისა და მიგებებისა. ყოველივე ეს საცილობელი იყო მონოფიზიტთა პრაქტიკაში და წრეში.

შემდეგი საცილობელი და საკამათო საგანი, რომლის გამო სომხების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ მართლმადიდებელი ბერძნები და ქართველები, არის ალაჯორის ანარაჯორის, resp. არაჯვორის (ἀρτζηβούριος) მარხვა. ამ მარხვას ჰკიცხავენ ჯერ არსენ დიდი კათოლიკოსი (IX ს.) თავის საპოლემიკო თხზულებაში, რომლის შესახებ თავის ადგილას უკვე გვქონდა ლაპარაკი, მერე—ექვთიმე ათონელიც, რომელმაც მეექვსე მსოფლიო კრების კანონთა თარგმანში საგანგებო მუხლებიც კი შეიტანა ამ მარხვის განსაჩქებლად[5], აგრეთვე ექვთიმე გრძელი (XI ს.) სოსთენთან პაექრობის დროს. მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ამ მხრივ ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება «პეტრე მკაწვრალისაჲ და ალაჯორისათჳს თხრობაჲ», და მისი გაგრძელება: «უწყებაჲ სუბულის ძისა სარგისისათჳს»[6]. ეს თხზულება წარმოადგენს ბერძნული ენაზე დაწერილ შრომის «λόγος στηλιτευτικὸς κατὰ Ἀρμενίων

---

[1] Migne, PG. t. 49, col. 357—362.

[2] A 19, 54—57, № 95, 61—66. ამავე საკითხს ეხება მეორე საკითხავი ოქროპირისა, რომელიც გამოცემულია ილ. აბულაძის მიერ ენიმკის მოამბეში, ტ. XIV, 290—293.

[3] A 19, 71—77, № 95, 65—72. გამოცემულია ორჯერ: კ. კეკელიძისა («ჯომენი», II, 64—71) და ილ. აბულაძის მიერ (ენიმკის «მოამბე», XIV, 302—307). ის თარგმნილია რუსულადაც კ. კეკელიძის მიერ («Труды Киевской Духов. Академии», 1905 г., № 1).

[4] К. Кекелидзе, К вопросу о времени празднования рождества христова в древней церкви, «Труды Киевской Духовной Акалемии», 1905 г., Январь.

[5] А. Хаханов, Правила VI вселенского собора, «Древности Восточные», т. II, вып. 3, стр. 91—92.

[6] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ 629—673: Л. Меликсет-Бекова Грузинский извод сказания о посте «Араджавор», «Христ. Восток», т. V, вып. 2, стр. 85—96.

მე-14 და 27-ე თავის[1] გადმოკეთებულ თარგმანს. ბერძნული შრომის ავტორად ითვლება სომეხთა კათოლიკოსი ისააკი, რომელსაც მერე მართლმადიდებლობა მიუღია და, ბერძნული წყაროებით, ცნობილია, როგორც მიტროპოლიტი ნიკიისა იოანე, XI ს.[2]. ქართულად ეს ნაშრომი გადმოღებული უნდა იყოს, ენის მიხედვით, იმ დროსვე, როდესაც არსენ ვაჩესძე თავის დოგმატიკონს ადგენდა, შეიძლება ის მისგანაც იყოს გადმოკეთებული, ვინაიდან, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისეთი ხელნაწერები, რომლებშიაც დოგმატიკონიდან ამოღებულ სტატიებთან ერთად ესეც გვხვდება[3]. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნულ ენაზე სომხების საწინააღმდეგო პოლემიკურმა მწერლობამ, რომელიც მეცხრე საუკუნიდან იწყება, განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო XI—XII საუკ. ახლა თავს უყრიან ყველა იმ საეკლესიო-სარწმუნოებრივ ზნე-ჩვეულებას, რომლებითაც სომხები ბერძნებისაგან განირჩევიან, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ მათ და ხშირად ისეთ პამფლეტებს სთხზავენ, როგორიცაა თხრობა ალაჯორის შესახებ. ზოგიერთი ამგვარი თხზულება ქართულადაც უთარგმნიათ. ჯერ კიდევ არსენ ვაჩესძეს გადმოუღია და თავის დოგმატიკონში შეუტანია შემდეგი თხზულებანი: 1) «თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი»[4]; 2) «ეპისტოლე, მჭონებელი წმიდისა და უბიწოჲსა სარწმუნოებისაჲ, წარცემული ნეტარისა თომაჲს მიერ, იერუსალიმელ პატრიარქისა, სასომხეთოჲსა მწვალებელთა მიმართ, არაბულად ვიდრემე თეოდორეს მიერ, აბუკურად სახელდებულისა, ხარანელთა ეპისკოპოზისა, აღწერილი და ჩემ უნდოჲსა მიერ, მიხაილ ხუცისა და სამოციქულოჲსა იერუსალიმისა საყდრისა სჯნკელოსისა მიერ ბერძნულად თარგმანებული, რომელსა შინა განცხადებულად ჩანს, ვითარმედ მხოლოდ ხალკიდონს ოდენ შეკრებულისა კრებისაჲ ჴეშმარიტ არს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა ძლით განსაზღვრული სარწმუნოებისა სიტყუაჲ[5]; 3) ნიკიტა მონაზონისა და ხუცისა სტუდიელთა მონასტრისა სტითატისაჲ «სიტყუაჲ განსაჭიქებელი მგმობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსა», — ხუთი სიტყვაა[6]. ამათ გარდა, ქართულ ენაზე არსებობს კიდევ: «სიტყჳსაგებაჲ სომეხთა მიმართ ყოვლად ნეტარისა თეოდორესი [აბუკერა?][7], მაქსიმესი «სომეხთა მიმართ[8] და თუ რომელთა პირთათჳს შეაჩუენებს სომეხთა წმიდაჲ კათოლიკე ეკლესიაჲ»[9]. ეს თხზულებანიც, რომელთაგან უკანასკნელი არის ნაწილი სააკ კათოლიკოსის სახელით ცნობილი ზრომისა—«Quomodu recipiendi sunt Armenii haeretici»[10],

[1] Migne, PG. t. CXXII, col. 1197—1204, 1233—1234.
[2] Проф. И. Мансветов, О постах православной восточной церкви, Москва, 1886 г., стр. II.
[3] S 312.
[4] S 1463, ფ. 224—226, A 205, 272—280.
[5] S 1463, ფ. 252—254; A 65, 207—220; № 205, 203—216; გელათ. № 23, 227—235.
[6] S 1463, 256—264; A 65, 220—272; № 205, 322 —368; გელათ. № 23, 239—318.
[7] S 248, 179—182; № 312, 67—68.
[8] S 312, გვ. 70.
[9] S 312, 68—70; «საქართველოს სამოთხე», გვ. 633—635.
[10] Migne, PG. t. CXXXII, col. 1255—1266.

ნათარგმნია დაახლოებით დოგმატიკონისავე შედგენის დროს, შეიძლება თავდაპირველად ისინიც მის ნაწილს შეადგენდნენ.

როგორც ვთქვით, ქართველები დამოუკიდებელ პოლემიკასაც აწარმოებდნენ სომხების წინააღმდეგ და თვითონაც ეკამათებოდნენ მათ. ჯერ კიდევ კათოლიკოსი კირიონი (VI — VII სს.) ებრძოდა თავგამოდებით მათ და მათთან ცილობა-კამათის დროს, ჩანს, ბევრი რამ საყურადღებო მოსაზრება გამოუთქვამს, თუმცა, სამწუხაროდ, ყველა მისი წერილი ჩვენამდე არ შენახულა. მეცხრე საუკუნეში, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, არსენ საფარელს დაუწერია მათ წინააღმდეგ მეტად საყურადღებო და შინაარსიანი ისტორიულ-პოლემიკური თხზულება, რომელსაც ეწოდება «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა»[1]. XI საუკუნეში ბაგრატ IV-ის დროს, 1046 წელს, ღრტილას კრებაზე არტანუჯში, მომხდარა სომეხ-ქართველთა ეკლესიურ-სარწმუნოებრივი პაექრობა, რომლის დროს ქართველთა მხრივ გამოსულა ექთიმე გრძელი ან იერუსალიმელი, ხოლო სომეხთა მხრივ სოსთენი. ოქმები ამ პაექრობისა მოკლედ, in extenso, შენახულა ჩვენამდე[2] და საკმაოდ საყურადღებო პოლემიკურ ნაწარმოებს წარმოადგენს; ისინი ჩაწერილი უნდა იყოს პაექრობის შემდეგ, პეტრიწონული სკოლის რომელიღაც მიმდევრის მიერ[3]. პაექრობა სომხებთან შემდეგაც არ ყოფილა იშვიათი მოვლენა, აღსანიშნავია განსაკუთრებით ორი ფაქტი. ერთხელ ასეთი პაექრობა დავით აღმაშენებლის დროს მომხდარა. ამ პაექრობას დასწრებია მრავალი სომხის ეპისკოპოსი და წინამძღვარი, ქართველების მხრივ იოვანე კათოლიკოსი, არსენ იყალთოელი ან, ჩვენი აზრით, ვაჩესძე, და თვით მეფე დავითი. კამათს მეტად მწვავე ხასიათი მიუღია, ის გაგრძელებულა «ცისკრითგან ცხრაჟამამდე, იყო ორკერძოვე ძლევისმოყუარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა, რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა». კამათში მონაწილეობა მიუღია დავით მეფეს, რომელსაც მოწინააღმდეგენი გაუმტყუნებია. სამწუხაროდ, ოქმები ამ მეტად საინტერესო პაექრობისა ჩვენამდე არ შენახულა[4]. მეორე ასეთივე პაექრობა მომხდარა თამარ მეფის დროს; ეს პაექრობა გაგრძელებულა «მიმწუხრამდე» და ქართველების მხრივ თავი უსახელებია კათოლიკოს იოანეს, რომელიც თავის მოწინააღმდეგეებს «აღუჭსნიდა და ბრძნად მიუგებდა თქუმულთა მათთა უკურღუევად, ხოლო თჳსისა დამამტკიცებელად»[5]. განსაკუთრებით ქართულ-სომხური საეკლესიო პოლემიკა გაცხოველდა მეთერამეტე საუკუნეში. ეს გამოიწვია ამ დროს ჩვენში სომხური მონოფიზიტური პროპაგანდის გაძლიერებამ, რამაც ბევრი ქართველი საეკლესიო მოღვაწე აიძულა შეესწავლა სომხური ენა და სომხური ღვთისმეტყველება, რომ მუდამ მზად ყოფილიყვნენ ჯეროვანი პასუხისათვის. ტიპიური გამომხატველი ამ დარგში

[1] თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 313—332.

[2] «სჳაქართველოს სამოთხე», გვ. 615—621; თ. ქორდანია, ქრონიკები, 126—127.

[3] კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში, «ჩვენი მეცნიერება», № 2 — 3, გვ. 108 — 114, ეტიუდები IV, 90 — 104.

[4] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 325—327.


[5] იქვე, გვ. 481—494.

ლიტერატურული შემოქმედებისა არის ანტონი კათოლიკოსის მ ზ ა მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, რომლის ორი ნაწილი სპეციალურად მონოფიზიტობასა და სომხობას ეხება. ეს უზარმაზარი, კაპიტალური შრომა, რომლის ანალიზი უკვე წარმოდგენილია ზემოთ, პირდაპირ გვირგვინად უნდა ჩაითვალოს ანტიმონოფიზიტური პოლემიკისა არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის საზომით [1].

ასეთია საერთოდ ხასიათი და ისტორია ქართული პოლემიკური მწერლობისა, რომლის გასაცნობად მკვლევარს დიდ სამსახურს გაუწევს არსენ ეჩესძის დ ო გ მ ა ტ ი კ ო ნ ი და სხვადასხვა პოლემიკური კრებული, რომელთა ზოგადი სათაურია «სიტყჳსგებაჲ მართლმადიდებელთა აღსარებისაჲ» (S 248, 312, 3728, 3236; A 658 და სხვ.).

---

[1] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე აღნიშნავს რამდენიმე თხზულებას, რომლებიც ქართველებს დაუწერიათ სომეხთა წინააღმდეგ, მაგალ.: 1) მელქისედეკ კათოლიკოსს (XVI ს.) აღუწერია «სომეხთა ეკლესიის გამამტყუნებელნი საბუთნი», რომელსაც დიდი შფოთი გამოუწვევია სომხებში («ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტემდე», გვ. 31); 2) მაქსიმე ბერს (გარდ. 1670 წ.) დაუწერია თხზულება «სომხის ეკლესიის წინააღმდეგ» («ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში», გვ. 11—12); 3) ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (1670 წ.) დაუწერია «შეჩევნება და დამხობა სომეხთა ეკლესიისა» (იქვე, გვ. 29 — 30); 4) მელქისედეკ ბერს (1656 წ.) დაუწერია სომეხთა ეკლესიის წინააღმდეგ თხზულება «სამგუამოვნებითი ბუნებაჲ» (იქვე, გვ. 37); 5) არსენ არქიმანდრიტს (1670 წ.) შეუდგენია «სიტყვისგება სომეხთა ეკლესიის წინააღმდეგ»· 6) ზებედე ხუცესს (1670 წ.) დაუწერია «დარღეევა სომეხთა ეკლესიისა» (იქვე, გვ. 38). საკვირველია, რომ თითქმის ყველა აქ ნაჩვენები ავტორი 1670 წ. ცხოვრობდა, ეს სამართლიან ეჭვს იწვევს ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს მიერ მოტანილი ცნობების სისწორეში. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩამოთვლილი თხზულებები ჩვენამდე არ შენახულა და ჩვენ პირადად მათ შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობებიც არ შეგვხვედრია. ამიტომაც ქართული პოლემიკური მწერლობის მიმოხილვაში ჩვენ მათ ადგილს ვერ მივუცემდით.



6. აგიოგრაფია

ზოგადი მიმოხილვა ქართული საეკლესიო-ისტორიული მწერლობისა, მისი ხასიათი. დასაწყისი ქართული აგიოგრაფიული მწერლობისა. ნათარგმნი აგიოგრაფია—მეათე საუკუნემდე და შემდეგ. კ ი მ ე ნ ი. მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი. «სიბრძნე ბალავარისაჲ». მეტაფრასული აგიოგრაფია საზოგადოდ და ჩვენში. ორიგინალური აგიოგრაფია და მისი რვადაკეცები: 1) ლ ი ტ ო ნ ი: მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა. [საკითხი ყრმათა კოლაელთა შესახებ]. კონსტანტი კახისა და ნინოს შატბერდული ცხოვრება. 2) მ ე ტ ა ფ რ ა ს უ ლ ი: ცხოვრება ათაკმეტთა მამათა, მარტვილობა დაჲით და კონსტანტინეს, რაჟდენ პირველმოწამისა და არჩილ მეფისა. 3) ს ვ ნ ა ქ ს ა რ უ ლ ი: ცხოვრება ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დეკელისა.

იმ ქრისტიან ერებს, რომლებთანაც კულტურული კავშირი და ურთიერთობა ჰქონია ჩვენს ქვეყანას, საკმაოდ მდიდარი საეკლესიო-ისტორიული მწერლობა შეუქმნიათ. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ქართველები ამ სფეროშიაც ისეთ შემოქმედებას გამოიჩენდნენ, როგორსაც ყველა სხვა დარგში. მაგრამ, თუ თვალს გადავაყრებთ ქართულად ნათარგმნ საეკლესიო-საისტორიო მწერლობას, აქ ცოტა სხვანაირი მდგომარეობა გვაქვს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია შემდეგი ნაწარმოებნი აღვნიშნოთ:

1. ქართულად პირველ პერიოდში ყოფილა ნათარგმნი ე ვ ს ე ვ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს «საეკლესიო ისტორია», როგორც ეს ჩანს ექვთიმე ათონელის პასუხიდან იმ შეკითხვაზე, რომელიც მას მიუღია საქართველოდან «აღკრძალული» წიგნების შესახებ[1]. ეს თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა.

2. «ებისტოლჱ მოციქულთათჳს, თუ სადა ქადაგეს, და სახელი სამეოცდა ათთა მოციქულთაჲ», ი პ ო ლ ი ტ ე ჰ რ ო მ ა ე ლ ი ს ა[2]. ეს თხზულება, მეათე

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. კიმენი, II, 90—92.
[2] A 445, გვ. 316, 321.

საუკუნემდე ნათარგმნი, რომელშიაც წარმოდგენილია მოციქულთა სამისიონერო მოღვაწეობა და მათ მიერ ქრისტიანობის გავრცელების ისტორია [1], ეპვმიუტანლად იპოლიტეს არ მიეწერება. მას მიაკუთვნებენ მეოთხე საუკუნის მწერალს, დოროთეოზ ტვირელს, რომელსაც დაუწერია ეგრეთ წოდებული სჯნოპსისი 12 მოციქულთა და 70 მოწაფეთა შესახებ; ეს შრომა ქართულად უთარგმნიათ პირველ პერიოდში შემდეგი სათაურით: «ერთობით აღწერილი საეკლესიოჲ [თხრობაჲ] სამეოცდა ათთა მათთჳს მოწაფეთა უფლისათა» [2]. დოროთეოზის ეს შრომა მეორედ უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს და თავის დიდ სჯნაქსარში შეუტანია შემდეგი სათაურით: «მოწაფეთა მათთჳს უფლისათა».

§ 3. მეათე საუკუნემდე უთარგმნიათ აგრეთვე «საქმენი წმიდათა წინაჲსწარმეტყუელთანი, ვინაჲ იყვნეს ანუ სადა მწყსიდეს, ანუ სადა დაეფლნეს» [3], რომელიც ეპიფანე კვიპრელს მიეკუთვნება, მაგრამ მერვე საუკუნეში უნდა იყო დაწერილი [4] დოროთეოზ ტვირელის თხრობის დახმარებით [5].

4. ამავე ეპოქიდან შენახულა ჩვენამდე თარგმანი კირილე იერუსალიმელის სამი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებისა: ა) «გამოჩინებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ, რომელი ზეცით გამოუჩნდა კონსტანტინე მეფესა», რომელშიაც მოთხრობილია ბრძოლა კონსტანტინე დიდისა მაქსენტიოსთან და ამ დროს ჯვარის გამოცხადების ამბავი. ამ თხზულებას კითხულობდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს 7 მაისს [6], ვინაიდან ამ დღეს ქართველები იხსენიებდნენ და დღესასწაულობდნენ მცხეთის ჯვარის ამაღლებას, ანდა 29 იანვარს კიდევ [7]. ბ) «გამოჩინებისათჳს ჯუარისა, რომელი იქმნა წმიდასა შინა ქალაქსა იერუსალჱმს მეფობასა კოსტაჲსსა, ძისა დიდისა კონსტანტინჱსსა» [8]. გ) «საკითხავი ჯუარისათჳს», რომელშიაც მოთხრობილია ჯვარის პოვნისა და მისი ამაღლების ამბავი ელენე დედოფლის დროს [9]. ორი უკანასკნელი თხზულება საფუძვლად დადებია ჩვენი უძველესი მემატიანის შრომას, რომელშიაც მოთხრობილია მცხეთის და მის არემარეში, მირიან მეფის დროს, ჯვრების აღმართვის ამბები [10], მაშასადამე, VI I — IX საუკ. ეს თხზულებანი, ყოველ შემთხვევაში, უკვე ყოფილან ქართულად ნათარგმნი.

5. მეათე საუკუნეში გადმოუთარგმნიათ არაბული ენიდან საბაწმიდის

---

[1] Combefis, Auctor., t. II, Paris, 1698.

[2] A 95, გვ. 156 — 161; № 144, გვ. 320 — 334.

[3] A 691, გვ. 92—112.

[4] Migne, PG. t. 43, col. 393—413, 415—428.

[5] Bardenhewer, Patrologie [3], S. 291.

[6] A 144, გვ. 280—288.

[7] A 19, გვ. 487—488 (აქლია) და № 95, გვ. 391—399.

[8] A 38., გვ. 483—482. სინას მთის № 92: Migne, PG. t 33, col. 1165—1176.

[9] A 144, გვ. 290—296; ნაწილი ამ თხზულებისა «პოვნაჲ წმიდათა სამშჳალთაჲ» მოთავსებულია სინას მთის 864 წლის მრავალთავში. გამოცემულია ა. შანიძის მიერ მის «ქრესტომათიაში» I, 46 — 54.

[10] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в., стр. 239—245.

მოღვაწის, ანტიოქე სტრატიგის, თხზულება «წარტყუენვაჲ იერუსალჳმისაჲ», რომელშიაც მოთხრობილია იერუსალიმისა და წმ. ადგილების აღების ამბავი სპარსთა მიერ 614 წელს [1]. ის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის ომიანობის ისტორიისათვის. ანტიოქე ყოფილა თანამედროვე ამ ამბისა და ეს ფაქტი ვრცლად და სისწორით აქვს აღწერილი. მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში დაწერილი ბერძნული დედანი VIII—IX სს. უთარგმნიათ არაბულად საბას ლავრაში, ხოლო არაბულიდან მეათე საუკუნეში ქართულად გადმოუღიათ. ბერძნული ტექსტი თხზულებისა არ შენახულა, ეკანასკნელ დროს აღმოჩნდა მხოლოდ არაბული თარგმანი მისი [2]. ქართულად ამ თხზულებას კითხულობდნენ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს 20 მაისს, როდესაც დადებული ყოფილა ხსენება იერუსალიმის აღებისა სპარსთაგან. ამნაირად, მეათე საუკუნემდე ამ ნახევრად ისტორიულ, ნახევრად აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა გარდა არც ერთი წმინდა საისტორიო თხზულება არ მოგვეპოვება ქართულ ენაზე ნათარგმნი, ასე რომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, საიდან ამოიღო განსვენებულმა ალ. ხახანაშვილმა ცნობა, ვითომც საეკლ. მუზეუმის (ახლა ხელნ. ინსტიტ. A ფონდი) ერთ-ერთ X—XI სს. ხელნაწერში შენახული იყოს იოანე მალალას ქრონიკის თარგმანი [3].

არც მეორე პერიოდში გაკეთებულა ბევრი რამ ამ მხრივ. ამ ეპოქიდან შეგვიძლია დავასახელოთ, პირველ ყოვლისა, «თხრობაჲ კონსტანტინოპოლის მოცვისა» სკვითთა და არაბთა მიერ 626 წელს, რომლის სამი რედაქციაა ქართულად: მცირე, მოკლე — სტეფანე სანანოძისა, და ვრცელი — გიორგი მთაწმიდლისა. ამას გარდა დარჩენილა ჩვენამდე კიდევ «ხრონოგრაფი» გიორგი ამარტოლისა, არსენ იყალთოელის მიერ გადმოთარგმნილი [4], და იოსებ ფლავიოსის «მოთხრობანი იუდებრივისა სიტყუადასაბამობისაჲ», რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი. თუ იმას აღარ გავიმეორებთ, რაც თავის ალაგას ვთქვით ეფრემ მცირის თხზულების «უწყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისათაჲ»-ს შესახებ, ამაღე პერიოდში შეგვიძლია დავასახელოთ კიდევ დასაბამითგან 6661, ესე იგი 1153 წელს თარგმნილი «ყოველად საჭიროჲ და ფრიად სათანადოჲ შჯდთა კრებათა მოთხრობაჲ, უწყებაჲ, თუ ვიეთ ძჯნად ანუ რომელთა მეფეთა და პატრიარხთა ბრძანებითა შემოკრებეს ღმრთივმოგრილნი წმიდანნი მღდელმოძღუარნი» [5], აგრეთვე — «უწყებაჲ და

[1] გამოცემულია ნ. მარის მიერ: Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами в 614 г., «Тексты и разыскания», IX, 1909 г.; მეორე ცალი ამ თხზულებისა ინახება პოდლეს წიგნსაცავში (P. Peeters, De codice hiberico bibliothecae Bodleianae. «Analecta Bollandiana». t. XXXI, 1912; Archim. Kallistos, Νέα Σιών IX (1909), 81 ff.; G. Graf, Das heilige Land (1925), 19—29.

[2] P. Peeters, Un nouveau manuscrit arabe du récit de la prise de Jérusalem, par les Perses, en 614, «Analecta Bollandiana». t. XXXVIII, 1920; Cf. P. Peeters, La Prise de Jérusalem par les Perses, Beyrouth, 1923.

[3] K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur², S. 239.

[4] გამოცემულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბილისში 1920 წ.

[5] S 2397, ფურც. 82—83.

თხრობაჲ აღშენებისათჳს დიდებულისა სიბრძნისა ღმრთისა ჲია სოფიას ტაძრისაჲ»[1].

უკანასკნელ პერიოდში, მეთვრამეტე საუკუნეში, არჩილ მეფესა და ბაგრატ სოლოღაშვილს გადმოუთარგმნიათ «ხრონოღრაფი დასაბამითგან სოფლისა კონსტანტინე პოლეოლოღ მეფემდე», ხოლო ანტონ კათოლიკოსს სომხურიდან «ისტორია ეფესოჲსა კრებისა». 1787 წლის 16 ნოემბერს გაიოზ არჭიმანდრიტს ქ. კრემენჩუგს დაუმთავრებია რუსულიდან თარგმნა თხზულებისა — «საეკლესიო ისტორია, დაწყებული პირველის წლით შობითგან მაცხოვრისა, თუ ვისგან იწყო წვალება და თუ ვითარ და თუ სადაჲთ იწყო წმიდამან შჳდმან მსოფლიომან კრებამან და ადგილობითთა კრებათა აღმართვაჲ და რომელნი და ვითარნი მწვალებელნი შეაჩუენნეს და განხადეს ეკლესიით და სახელდობრ რომელნი იყვნენ ჴეშმარიტნი მოღუაწენი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისანნი» (A 2). თხზულება წარმოადგენს პირველი რვა საუკუნის, 800 წლამდე, მატიანეს და გაყოფილია რვა ნაწილად, რვა საუკუნის მიხედვით. 1835 — 1838 წლებში დავით დადიანის მოძღვარს დ ა ვ ი თ ი ნ ა შ ვ ი ლ ს, 42-ე «იეგერის პოლკის» მოძღვარს, გადმოუთარგმნია რუსულიდან ი ო ს ი პ ო ს ფ ლ ა ბ ი ო ს ი ს ყველა ისტორიულ-არქეოლოგიური შრომა[2].

აი, ყველა ნათარგმნი საეკლესიო-ისტორიული შრომა ქართულ ენაზე. ასეთი სიმცირე აიხსნება არა იმით, რომ ქართველებში გემოვნება ისტორიისადმი განვითარებული არ იყო, არა იმით, რომ ისინი მოკლებული იყვნენ ისტორიულ ალღოს, ამის წინააღმდეგ შეიძლება წამოვაყენოთ ის უდიდესი და უმდიდრესი, მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოდ ისტორიული ლიტერატურა, რომელიც მათ საკუთრივ, ორიგინალურად, შეუქმნიათ და რომელშიაც ისინი თავისი სამშობლოს ეკლესიურსა და პოლიტიკურ ვითარებას მოგვითხრობენ და არკვევენ[3], — არამედ იმით, რომ ქართველები საეკლესიო მწერლობიდან უფრო ეწაფებოდნენ ისეთი ძეგლებისა და დარგების გადმოთარგმნას, რასაც პირდაპირი მნიშვნელობა ჰქონდა მათი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი წარმატებისა და ქრისტიანობის შინაარსის შეგნებისათვის. ამ მხრივ უცხოელთა საისტორიო ლიტერატურა მათ, შედარებით, ბევრს ვერაფერს მისცემდა.

---

[1] Bibl. Teubneriana. Scriptores originum Constantinopolitanarum, rec. Th. Preger fasc. 74 — 108: «Описание», I. 585 — 600, 601 — 703. უძველესი ნუსხა ამ თხზულებისა მოთავსებულია A 70, ფურც. 125—215. ხოლო დაბეჭდილი («Описание», I) გამოცემა წარმოადგენს მე-19 საუკუნის გასულს აღ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ გადმოცემულ შინაარსს ამ თხზულებისას, რაც ნათლად ჩანს მისი ლექსიკონიდან. მეორე რედაქცია ამ თხზულებისა გადმოუთარგმნია რუსულიდან მე-19 საუკუნეში ი ე რ ო ნ ი მ ე ა ლ ე ქ ს ი-მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს («Описание», I, стр. 600—601).

[2] მე-19 საუკ. ვიღაცას, კათოლიკეთა წრიდან გამოსულს, უთარგმნია ლათინურიდან ს ა ე კ ლ ე ს ი ო ი ს ტ ო რ ი ა (ჩვენ შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა მეორე ნახევარი მისი, 12 წიგნად, საუკუნეთა მიხედვით დაყოფილი); თხზულება გაჟღენთილია პაპისტური ტენდენციებით.

[3] ამ მწერლობაზე ჩვენ არ ვჩერდებით, ვინაიდან ის ამომწურავად მიმოხილულია ბატონ. ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. იხ. მისი «ძველი ქართული საისტორიო მწერლობაჲ», მეორე-მესამე შევსებული გამოც., 1945 წ.

ამასთან ერთად იმათ ისტორიულ ცნობისმოყვარეობას რამდენადმე ის მდიდარი აგიოგრაფიული ლიტერატურა აკმაყოფილებდა, რომელიც წარმოადგენს, საკუთრივ, ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგს და რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წმინდა ისტორიულ მწერლობას. აგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც წმინდათა ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და ცნობები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონისტებსა და ძვმატიანეთ უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე. გადავალთ ახლა მწერლობის ამ დარგის მიმოხილვაზე.

ქართული აგიოგრაფიის დასაწყისი ჩვენ უნდა ვეძიოთ, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში ქართულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღების ხანაში. ეს იმიტომ, რომ, საღმრთო წერილის წიგნებთან ერთად, წმინდათა ცხოვრება-მოქალაქობის კითხვაც თავიდანვე ღვთისმსახურების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტად იქნა მიჩნეული. მაშასადამე, მეხუთე საუკუნეში ჩვენში უკვე უნდა ყოფილიყო თარგმნილი წმინდათა ცხოვრებანი. მართლაც, შუშანიკის მარტვილობაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ, როდესაც ის წაიყვანეს პიტიახშ ვარსქენთან, მან «თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი და წ მ ი დ ა ნ ი ი გ ი წ ი გ ნ ნ ი მ ო წ ა მ ე თ ა ნ ი». ამ დროს ჯერ არ ყოფილა არც ქართველ, არც სომეხ მოწამეთა წიგნები, არც ისაა საფიქრებელი, რომ შუშანიკს თან დაჰქონდა საკითხავად მარტვიროლოგიური წიგნები ბერძნულ ენაზე, აქ უნდა ვიგულისხმოთ მსოფლიო ეკლესიის მოწამეთა წიგნები, რომლებიც შუშანიკას დროს უკვე ყოფილა ქართულად თარგმნილი.

ქართული აგიოგრაფია დასაწყისს პერიოდში უმთავრესად პალესტინაში დამუშავებულა. ეს ჩანს, პირველ ყოვლისა, იქიდან, რომ ძველ აგიოგრაფიულ ძეგლებში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე მინეოლოგიური ტიპი ან რიგი წმიდათა ხსენების დალაგება-შეწყობისა, სახელდობრ — იერუსალიმურ-პალესტინური. შერე, ჩვენ დრომდე შენახულა ეგრეთ წოდებული პ ა ლ ე ს ტ ი ნ ი ს პ ა ტ ე რ ი ქ ი ს თარგმანი[1], რომელიც შესრულებულია პალესტინაში, საბას ლავრაში. აქ. საბას ლავრაში, ნათარგმნი უნდა იყოს ს ე ი თ ი ს მიერ უმეტესი ნაწილი იმ აგიოგრაფიული მასალისა, რომელსაც შეიცავს ეგრეთ წოდებული მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი, რომლის ერთ-ერთი უძველესი, 864 წლის, ნუსხა გადაუწერია გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს მაკარის.

მერვე-მეცხრე საუკუნიდან ტაო-კლარჯეთში ფეხს იდგამს ქართული სამონასტრო კოლონია; აქ გაიფურჩქნა ქართული საეკლესიო მწერლობა, კერძოდ, აგიოგრაფიაც. იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი, ხანძთა, ოპიზა და სხვა სავანეები, უმეტესად გრიგოლ ხანძთელის და მის მოწაფეთა მიერ აშენებულ-გამშვენებულნი, გადაიქცნენ ქართული მწიგნობრობის აკვნად. უეჭველია, აქ უფრო გაფართოება შინაარსი და მოცულობა მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი ს და დამზადდა პარხალური (A 95) და სვანური (A 19) ნუსხები მისი[2]. მართა-

[1] ბრიტანეთის მუზ. Addit. 1189.

[2] მრავალთავის ნუსხები: სინას მთის № 11 (X ს.), № 62 (X ს.): H 341 და 535 (XI ს.); ჯ რ ო ხ რ ე ს ი (P. Peeters, De codico hiberico bibliothecae Bodleianae Oxoniensis, «Analecta Bollandiana», t. 31). საკითხავები: 864 წლისა სინას მთაზე, A 9, 95, 1109; ათონის № 57.

ლია, ქართული აგიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა, მაგრამ ის ცოტა რამ, რაც გაეეთებულა ამ დარგში, საკმაოდ ნათელჰყოფს, რომ ქართველებს ძველად, პირველ პერიოდში, წმინდათა ცხოვრებანი უთარგმნიათ ყველა საქრისტიანო მწერლობის ენიდან, როგორც, მაგალითად, სომხური, არაბული, ასურული და ბერძნული. მეათე საუკუნემდე მათ გადმოუთარგმნიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ ცხოვრება-მარტვილობათა არა მარტო საბერძნეთის ეკლესიისა, არამედ ქალკედონიტ-სომხების წმინდანებისაც[1]. ამ დროს მათ გადმოუღიათ «ცხოვრებანი», სხვათა შორის, ისეთი წმინდანებისაც, რომელნიც მოღვაწეობდნენ იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილში, — სპარსეთსა და დამასკო-ბაღდადის სახალიფოში, რის გამო ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილი, ანდა მალე მიეცნენ დავიწყებას. ერთი სიტყვით, აღნიშნულ ხანაში ქართული აგიოგრაფიული მწერლობა საკმაოდ მდიდრდაა წარმოდგენილი, და ამით აიხსნება ის ინტერესიც, რომელსაც ბოლო დროს იჩენს ამ დარგისადმი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულება, სხვათა შორის, ბოლანდისტთა კოლეგია და აწ განსვენებული აგიოლოგი P. Peeters-ი.

ძველ, პირველ პერიოდში ნათარგმნ, რედაქციას წმიდათა ცხოვრებისას, ეფრემ მცირის ცნობით, ქართულად კიმენი ერქვა. ეფრემის სიტყვით, სვიმეონ ლოღოთეტმა, როდესაც ის წმინდათა ცხოვრების გადაკეთებას შეუდგა, «წინა დაიდვა ძუელი იგი [წიგნი] მოწამეთაჲ, რომელსა კიმენ უწოდიან, ესე იგი არს მდებარე». ერთ-ერთი აგიოგრაფიული ტექსტის ბოლოში იტ შენიშნავს, რომ «კიმენი ეწოდების პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა». იოანე ქსიფილინოსის კრებულის წინასიტყვაობაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ მასალა ამ კრებულისა ამოღებულია «ძუელისა კიმენისაგან» ან «ძუელთაგან კიმენთა». სიტყვა «კიმენი», რომელიც განსვენებულ თ. ჟორდანიას V—VI სს. მთარგმნელის სახელწოდებად მიაჩნდა, არის ბერძნული κείμενον, რაც, როგორც თვით ეფრემ მცირე ამბობს, «მდებარეს» ნიშნავს. მაშასადამე, «კიმენად» იწოდებოდა ძველ მარტვილობა-ცხოვრებათა ხელშეუხებლად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტებელი ტექსტი, რომელიც «შემოკლებით და ლიტონად აღწერილი იყო პატიოსანთა და ღირსთა ჯაცთაგან, სხუებრ სიტყუათათჳს არა მოღუაწე ქმნილთა». კიმენის რედაქციის აგიოგრაფიული მასალის თარგმნა დამთავრდა მეათე საუკუნის გასულს ექვთიმე ათონელისა და მის თანამედროვეთა ძალით.

ამა თუ იმ აგიოგრაფიულ კრებულში მარტვილობა-ცხოვრებათა გარდა შეჰქონდათ ხოლმე აგრეთვე მოწამეთა და წმინდათა დღეობის დროს წარმოსათქმელი ქადაგება-შესხმანი, ეგრეთ წოდებული ენკომიები: თვითეული წმინდანის ცხოვრება ან მის სახელზე წარმოთქმული შესხმა ასეთ კრებულში ცალკე თავად ითვლებოდა, ასე რომ კრებულში იმდენი თავი იყო, რამდენიც

---

[1] ესენი მოთავსებულია ათონ. ივერიის ხელნაწ. № 57, გამოცემულია ა. ხახანაშვილისა («Материалы по грузин. агиологии», Москва, 1910 г.) და ი. აბულაძის («ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში») მიერ.

წმინდანის ცხოვრება[1]. აი, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მნიშვნელობა ერთი ტერმინისა, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება. ეს ტერმინია მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი, ბერძნულად πολυκέφαλος. ივერიის მონასტრის მეათე საუკუნის ხელნაწერში № 50[2] ვკითხულობთ ასეთ შენიშვნას: «თთუესა სეკდენბერსა ძბ: წამებაჲ ზაქარიაჲსი. ჰპოოთ მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ს ა». გიორგი მთაწმიდლის სჳნაქსარით ამაღლების შემდეგ ცისკარზე იკითხება «საკითხავი მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ი ს ა გ ა ნ» ამ ამონაწერებიდანაც ჩანს, რომ «მრავალთავად» ისეთი წიგნი იგულისხმება, რომელიც წმინდათა ცხოვრება-მარტვილობას შეიცავს. ეს უფრო ცხადია იოანე ქსიფილინოსის სიტყვებიდან, რომელიც თავისთავს «შჳდთა თთუეთა შინა მოკჳნებულთა წმიდათა ცხორებათა და მოქალაქობათა და წამებათა და ღუაწლთა ძუელისა კიმენისაგან, რომელსა ვიეთნიმე მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ა დ ც ა უწოდენ», გარდამმეტაფრასებელს ეძაბის, ხოლო თავის შრომას — იმ საკითხავთა, «რომელნი მოჰქონან ძუელთა კიმენთა, ესე იგი არს მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ა დ წოდებულსა წიგნსა შინა შემოკლებით და ლიტონად აღწერილთა წამებათა», გადამეტაფრასებას. მაშასადამე, «მრავალთავი» წმინდათა მარტვილობა-ცხოვრების კრებულს ეწოდება. ასეთი სახელი იმიტომ დარჩენილა ამ კრებულს, რომ იმაში არა ერთი «ცხოვრება» და შესხმაა, არამედ «მრავალი». ჩვენ დღეს ვიცით ათამდე ხელნაწერი, რომელიც ან პირდაპირაა სახელდებული მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ ა დ, ანდა მრავალთავის ტიპისა და შედგენილობისაა[3].

რ ოდესაც აგიოგრაფიულ კ რ ებულთა შედგენას მიჰყოფდნენ ხოლმე ხელს, ხშირად მ ა მ ა თ ა ცხოვრებას ცალკე წიგნად გამოუშვებდნენ, ხოლო დ ე დ ა თ ა ცხოვრებას ცალკე. პირველს ეწოდებოდა პ ა ტ ე რ ი კ ი, მეორეს — მ ა ტ ე რ ი კ ი, რაც ქართულად მ ა მ ა თ ა და დ ე დ ა თ ა ცხოვრების წიგნებს ნიშნავს. ეს ჩვეულება ჩვენშიაც ჰქონიათ, რაც შემდეგიდანა ჩანს: პარხალის მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ შ ი (A 95), რომელშიაც მ ა მ ა თ ა ცხოვრებაც არის მოთავსებული და დ ე დ ა თ ა ც, 1222—1223 გვერდზე ტექსტის ხელით მიწერილია: «პირველად, ოდეს ამას წიგნსა დავიწყე, ესრეთ მედვა გულსა, ვითა დ ე დ ა თ ა წამებაჲ და ცხორებაჲ ოდენ დავწერო. და ვიხარკე დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა, ვძებნე დედაჲ და ესთენ ვპოვე, ვერღარა შემეძლო ძებნაჲ; მერმე ესე მ ა მ ა თ ა ცხორებაჲ, რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე და მით გავასრულე». ბ ო დ ლ ე ს წიგნსაცავის ქართულ მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ შ ი ა ც, რომელიც ძველი კ ი მ ე ნ ი ს აგიოგრაფიულ ტექსტებს შეიცავს, პირველ ნაწილში მოყვანილია თითქმის სულ მამათა ცხოვრება, ხოლო მეორე ნაწილში, 126 გვერდიდან, — «დედათა» ცხოვრებანი, რომელთაც შემდეგი წარწერა აქვთ:

---

[1] ე ვ ს ე ვ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს აგიოგრაფიული კრებული, «Συναγωγή λόγων» ოც თავად იყო გაყოფილი.

[2] რამდენიმე აგიოგრაფიული ტექსტი ამ «მრავალთავიდან» გამოსცა აკად. ნ. მ ა რ ი, R. Graffin — F. Nau, Patrologia Orientalis, XIX, fasc. 5, Le Synaxaire Géorgien. Redaction ancienne l'Union armeno-georgienne, Paris, 1926.

[3] K. Kekelidze. Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. XI — XII. «მრავალთავის» გამოცემა წამოიწყო ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ (ენიმკ-ის «მოამბე», XIV, 241—316).

«ცხორებანი წმიდათა და სანატრელთა მოწესეთა და მოღვაწეთა დედათანი», (Peeters, Anal. Bolland. t. 31, p. 315).

აგიოგრაფიაში ცნობილია, რომ მწვალებლებს, სექტანტური მოსაზრებითა და მიზნით, ძველი დროიდანვე დაუწყიათ მარტვილობათა და ცხოვრებათა შერყვნა-დამახინჯება. ისინი ან თვითონ ადგენდნენ ცრუ და ყალბ აქტებს, ანდა უკვე არსებულში შეჰქონდათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც აგიოგრაფიულ ნაწარმოებს საზოგადოდ სახელს უტეხდა. ამის შესახებ ეფრემ მცირე შემდეგს გადმოგვცემს: «რომელნი იგი მაშინ, ვითარცა ჟამი მისცემდა, თხრობის სახედ აღიწერნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანადახუთომილისა ვისგანმე და არა ხოლო ლიტონობასა მას და სიმარტივესა შინა დაშთეს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირყუნესცა ქაცთა მიერ ბოროტთა მწვალებელთა, რომელთა დრკუნი იგი სიტყუანი მათნი თანაშეჰრინეს ლიტონობასა მას თხრობისასა და ცრუჲთა მით მართალიცა შეარღვეს და საეჭუელ ყვეს». ამ გარემოებამ გამოიწვია მეექვსე მსოფლიო კრების (691 წ.) 63 კანონი, რომელიც ასე იკითხება: «რომელნი იგი მტერთა მიერ ჴეშმარიტებისათა ნატყუარნი წამებანი წმიდათანი შეწმახნეს, რათა მოწამენიცა ქრისტესნი უპატიო იყუნენ და ურწმუნოებისა პატივითა დასაჯნენ მსმენელნი, ვბრძანებთ, რათა არავინ შემოიხუნეს საერთოდ ეკლესიასა შინა, არამედ ცეცხლითა გამოიკურვნენ იგინი. ხოლო შემწუნარებელთა მათთა ანუ ვითარცა ჴეშმარიტებისა მიმთუალეელთა და მრწმუნებელთა შევაჩუენებთ». ამნაირად, მეშვიდე საუკუნის დასასრულს ეკლესიაში დამყარდა ერთგვარი აგიოგრაფიული ცენზურა. ამ ცენზურის გამოძახილს საქართველოში შედარებით გვიან, მეათე საუკუნის გასულს, მოეღწევია. ის ჩვენ გვესმის ექვთიმე ათონელის პასუხში გიორგი ჭყონდიდელის შეკითხვაზე იმის შესახებ, თუ რა და რა წიგნებს არ შეიწყნარებს კათოლიკე ეკლესიაო? (იხ. ზემოთ). როგორც ამ პასუხიდან ჩანს, მეათე საუკუნეში მწვალებელთა მიერ შერყვნილი ცხოვრება-წამებანი უკვე იმდენად შესამჩნევი ყოფილა ჩვენში, რომ განსაკუთრებული ყურადღებაც კი დაემსახურებიათ. ექვთიმე ხაზს უსვამს შემდეგ ცხოვრებას: მათე მახარებლისა და ანდრია მოციქულისას, კვირიკესა და გიორგისას. მისი პასუხის საბინინის რედაქცია აღნიშნავს გიორგის ყალბ ცხოვრებას, რომელსაც დადიანესი ეწოდება. ეს რედაქცია ქართულად მეთორმეტე საუკუნეშია ნათარგმნი და ეკუთვნის ნიკიტა-დავით პაფლაღონელს. კიდევ სხვაც ბევრი არის ასეთი შერყვნილი «ცხოვრებანი», მაგრამ მე მათი სახელები არ მახსოვს, ისინი თვით იცნობებიანო, — სწერს ექვთიმე. ამ «შერყვნილი» კატეგორიიდან უნდა იყვნენ, სხვათა შორის, ის ფანტასტური, დაუჯერებელი სასწაულებით აღსავსე აპოკრიფული «ცხოვრებანი» და «წამებანი», რომელნიც ქართულ ენაზე შენახულან მხოლოდ და რომელნიც გამოცემულია ჩვენ მიერ, სახელდობრ: იოანე, ურჰაელ კათოლიკოსისა [1], აგანთაგელე, დამასკელ კათოლიკოსისა [2], ფილეკტიმონისა [3] და პანსოფი ალექსან-

[1] «Христиан. Восток», т. II, 301—348.
[2] იქვე т. IV, 246 - 284.
[3] «Monumenta hagiographica Georgica», t. I, p. 133—160.

დრიელისა [1], ზოსიმე კილიკიელისა [2] და სამთა ძმათა მაკარი რომაელის ცხოვრებაში [3]. ბოლოს ექვთიმე უმატებს: «ხოლო ესე მოციქულთა და მოწამეთაჲ ძაბ დაწყებულსა იელიანეს, ვითარცა იყო მტერი უფლისა და წმიდათაჲ, მან განრყუნა, რათამცა ნაცილად შერაცხნეს ყოველნი და არმცა ვის სარწმუნო უჩნდა წამებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ, გინათუ მოწამეთაჲ», ესე იგი წმინდათა ცხორება-მარტვილობა პირველად იელიანე განდგომილმა შერყვნა და გაყფუჭაო. ეს სრულიად ახალი ლიტერატურული ცნობაა, რომელიც სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იელიანეს მართლაცდა მტრულ განწყობილებას ქრისტიანობისადმი.

მეათე საუკუნის გასულს აგიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. ძველი კიმენის რედაქცია, როგორც ზემოთა ვთქვით, ადრევე შეირყვნა მწვალებელთა მიერ; თან, «ლიტონად და მარტივად აღწერილი და ენითა მსოფლელთაჲთა შეწყობილი», ის ვეღარ აკმაყოფილებდა იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელმაც მეცხრე საუკუნეში თავი იჩინა ბიზანტიაში და მეათეში უმწვერვალესად განვითარდა. ამიტომ საბერძნეთის ეკლესიაში იწყეს ძველი ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შემკობა. ამნაირად, აგიოგრაფიაში წარმოიშვა ახალი, მეტაფრასული, რედაქცია. «საქმე ესე უპირატეს მოიგონა კაცმან ვინმე ფრიად სიტყვერმან»... ძველ ცხორებათა «ლექსითა და შეწყობითა პირად-პირადად და ჴელოვნად თავისა თჳსისა მიერ შემამკობელმან და უკეთილსათქუმელად და უმჯობესად აღმწერელმან» [4]. ეს იყო ბიზანტიის გამოჩენილი მწერალი სვიმეონ ლოღოთეტი, მეტაფრასტად წოდებული. საკითხი სვიმეონის მეტაფრასული მოღვაწეობის ხასიათისა და დროის შესახებ, ამდენ ხანს მეცნიერებაში საცილობელი, საბოლოოდ გამოირკვა 1910 წელს ქართული მასალების საშუალებით. ჩვენს ხელნაწერებში აღმოჩნდა ორი დოკუმენტი: ერთი, რომელსაც ეწოდება «მოსაკსენებელი მცირე სჳმეონისათჳს ლოღოთეტისა, თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხაეთა თარგმანისაათჳს», ეკუთვნის ეფრემ მცირეს [5], ხოლო მეორე [6] — იოანე ქსიფილინოსს. ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ სვიმეონ ლოღოთეტს გადაუმეტაფრასებია შეუოდგომა-ზამთრია (სექტემბერი—იანვარი) თვეთა წმინდანების ცხოვრება-მარტვილობანი და თავისი შრომა 982 წელს დაუწყია. ქართველებს ეს მსხვილი ლიტერატურული ფაქტი, რასაკვირველია, ვერ გამოეპარებოდათ. ისინი იმთავითვე შედგომიან მეტაფრასული აგიოგრაფიის თარგმნას, ასე რომ მეათე საუკუნის გასულს

---

[1] «Monumenta hagiographica Georgica», t. I, p. 48—59.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები III, 166—177.

[3] კ. კეკელიძე, ეტიუდები II, 34—63.

[4] К. Кекелидзе, Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христиан. Восток», т. I, стр. 344—345.

[5] К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам, «Труды Киевской Духовной Академии», 1910 г., февраль: «Analecta Bollandiana», t. XXXIX p. 357—359. მისივე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია «თბილ. უნივერსიტეტის შრომები», XXX/I в, 37—41.

[6] К. Кекелидзе, Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христ. Восток», т. I, вып. 3, стр. 325—347.

ქართულ აგიოგრაფიაში საფუძველი დადებია მეტაფრასულ ჟანრს ექვთიმე ათონელის ხელით. როგორც ეფრემ მცირის მოწმობისა და ხელნაწერთა მინაწერებიდან ვგებულობთ, სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასები, ექვთიმეს გარდა, ქართულად უთარგმნიათ: დავით ტბელს, სტეფანე სანანოძეს, გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, თეოფილე ხუცესმონაზონს, არსენ ვაჩესძესა და იოანე პეტრიწს. თუ რა მეტაფრასები თარგმნეს დასახელებულმა პირებმა, ამის შესახებ ლაპარაკი იყო ზემოთ, მათი სამწერლო მოღვაწეობის მიმოხილვისას [1]; ყველაზე მეტი შრომა ამ შემთხვევაში ეფრემ მცირეს გაუწევია.

სვიმეონ ლოღოთეტმა თავისი შრომა, როგორც ვთქვით, იანვრის თვით გაათავა. მეცნიერებამ მეტაფრასული მწერლობის შესახებ მეტი არა იცოდა რა. 1912 წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთი ქართული დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ დანარჩენი შვიდი თვე გადაუმეტაფრასებია იოანე ქსიფილინოსს, რომელიც თავის შრომას 1081 წელს შედგომია [2]. ეს ცნობა სრულიად ანაზდეული აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ წრეებში [3]. ყველაზე საყურადღებო შეიქნა ის, რომ ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება ბიზანტიის საშუალო საუკუნეების მწერლობის ისტორიის ერთ-ერთი მსხვილი დეფექტის შევსება. ქართულად ეს მეტაფრასები უთარგმნიათ მეთორმეტე საუკუნეში, მეფე დიმიტრის დროს (1125—1154 წწ.), საფიქრებელია, გელათის მონასტერში. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ვინ გადმოთარგმნა ეს კაპიტალური შრომა, მაგრამ, თუ თარგმანის ხასიათს გავითვალისწინებთ [4], დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გამოსულია პეტრიწონის სალიტერატურო სკოლიდან და იოანე პეტრიწის ერთ-ერთ მახლობელ შეგირდს ეკუთვნის.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მაკარი მესხის მიერ მეცამეტე საუკუნეში ასურული ენიდან ნათარგმნ თუ გადმოკეთებულ პეტრე მაიუმელის ცხოვრებას, ანდა XVII—XVIII სს. არქიმანდრიტის იოაკიმე მთაწმიდლის მიერ

---

[1] იხილ ამჟამად ჩვენი «Monumenta hagiographica Georgica», I, p. XVII—XXV.

[2] Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христ. Восток», т. I, вып. 3, стр. 325 — 347.

[3] Акад. В. Латышев, Четьи-Минеи Иоанна Ксифилина, «Известия Акедемии Наук», 1913 г., стр. 221—240; Житие св. епископов херсонских в грузинской Минее, «Известия Археологической Комиссии», вып. 49, стр. 75 — 83; Византийская царская Минея, «Записки Акад. Наук по истор. филолог. отд.», т. XII, № 7, Петерб., 1915 г., стр. 20 — 27, 100 — 117.

[4] იხ. ამის შესახებ ჩვენი «Monumenta hagiographica Georgica», t. I. p. XXVI — XXX. აქ ჩვენ ვამტკიცებდით, რომ მთარგმნელი ამ შრომისა არის იოანე პეტრიწი, მაგრამ ახლა უნდა უარვყოთ ეს: პეტრიწის დროს ითარგმნებოდა ჩვენში სვიმეონ ლოღოთეტის შრომა, იოანე ქსიფილინოსი კი ჯერ ცნობილი არ იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში თავის პროლოღს, რომელსაც საფუძვლად სვიმეონის მეტაფრასები უდევს, იოანე პეტრიწი არ შეუწყობდა ხელს, რომელზედაც შეუწყობია თავისი მეტაფრასები სვიმეონსაც, არამედ ბოლომდის განაგრძობდა. თან პეტრიწი დიმიტრის მეფობას არ უნდა მოსწრებოდეს.

ბერძნული ენიდან გადმოღებულ თეოდორე სალოსის (სერბიელის) ცხოვრებას [1], შეიძლება ითქვას, ქსიფილინოსის კრებულით დამთავრდა ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ისტორია. მერე არაფერი მნიშვნელოვანი ამ დარგში ქართულ მწერლობას არ შესძენია, ვინაიდან თვით ბიზანტიის აგიოგრაფიის ისტორიაც მეტაფრასული პერიოდით დამთავრდა და XI — XII საუკუნეების შემდეგ იქაც არაფერი ახალი აღარ გაკეთებულა.

როგორც ყველა ქრისტიან ერებს, ქართველებსაც გამოუჩნდათ თავისი საკუთარი წმინდანები; ამათი «ცხოვრებანი» და «მოქალაქობანი» აღუწერიათ თვით ქართველებს, აგრეთვე თხრობანი ამა თუ იმ ქართული დღესასწაულის შესახებ. ასე რომ, ჩვენშიაც შექმნილა ყველა ის პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო ორიგინალური აგიოგრაფიის აღმოცენებასა და განვითარებას. ეს დარგი თითქმის თანამედროვეა ქართული საეკლესიო მწერლობის დასაწყისისა, თუმცა არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენში საკუთარ ქართველთა წმინდანების ცხოვრების აღწერისათვის, როგორც ჩანს, თავდაპირველად მაინცდამაინც არ ზრუნავდნენ. ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი, გიორგი მერჩული, სწუხდა, რომ კლარჯეთის წმინდა მამათა «სიმკჳდ მოთმინებისაჲ და სიწმიდით შრომაჲ უფლისა სათნოჲ და სასწაულთა მათთა სიმრავლენი ჭეუყანასა მათ ქართლისასა აღუწერელობითა დაშჳრდესო» და ამისთვის «სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასაო» (გვ. ბ). რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრების ავტორი ამბობს: საქართველოში იმდენი წმინდანი გამობრწყინდა, რომ «დამაკლებს მე ჟამი აღრიცხვად სიმრავლესა მათსა»; ზოგი მათგანი «აღწერილ არიან წიგნსა შინა უწყებისა მათისასა», მაგრამ არიან ისეთნიც, «რომელნი ჩუენ არა უწყით და ზეცას აღწერილ არიან წიგნსა შინა ცხოველთასაო» [2]. უფრო მეტ ცრემლებს ღვრის აგიოგრაფიული გულგრილობისათვის კათოლიკოსი ნიკოლოზ გულაბერიძე (1150 — 1178). ბერძენთა შორისო, ამბობს ის, დღესაცა «იხილვების ესეეითარი საქმე, რამეთუ რაჲცა რაჲმე უცხოჲ და საკჳრველი საქმე საცნაურ იქმნეს, მყის მასვე ჟამსა შინა მეყსეულად აღწერენ, და ესრეთ სიმტკიცედ. და საკჳსენებელად მომავალთა ნათესაეთათჳს ძეგლად წარუწყმედელად დაუტოვებენ. ხოლო უკუეთუ საღმრთოთა მოქმედებათათჳს გინათუ ხატთაგან იქმნეს რაჲ, ანუ თუ ჯუარისა, გინათუ ნაწილთაგან წმიდათასა, ანუ თუ სხეულსავე შორის მყოფთა წმიდათა კაცთაგან, რაღღა უკუე საკმარ არს სათქუმელად, თუ ვითარ კნინოდენსაცა არარას დაუტოვებენ აღუწერელად და არცა ვიდრემე მისცემენ უფსკრულსა დავიწყებისასა. ხოლო, ვითარცა მრა-

[1] Е. Такайшвили, Описание. I, 584, II, 244; Ф. Жордания, Описание, I, 355.
[2] «საქართ. სამოთხე», გვ. 171.

ვალგზის ვთქვ, ესევითარისა მოქმედებისაგან ყოველად უცხონი არიან და უმეცარნი ნათესავნი ესე ქართველთანიო». სვეტიცხოველისაგან იმდენი სასწაულები ქმნილაო, განაგრძობს ის, რომ, «უკუეთუმცა ვის აღეწერნეს, ვითარცა არს ჩუეულებაჲ ბერძენთა ნათესავისაჲ, არამცა უკუე დაიტია სოფელმან ყოველმან აღწერილი წიგნებიო» [1]. მიუხედავად ასეთი მოვლენისა, ქართული ორიგინალური აგიოგრაფია მეტად საყურადღებო დარგია ჩვენი ძველი მწერლობისა, რომელსაც, წმინდა აგიოგრაფიულ ინტერესს გარდა, თან ახლავს უაღრესი შემეცნებითი ისტორიული მნიშვნელობა [2] და მხატვრული თხრობის ზემოქმედება.

* * *

პირველი და უძველესი ორიგინალური ნაწარმოები ქართული აგიოგრაფიისა არის «წამებაჲ შუშანიკისაჲ», რომელიც დაწერილია მეხუთე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შუშანიკის თანამედროვისა და მოძღვრის იაკობ ცურტაველის მიერ. ამ ძეგლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი უკვე გვქონდა, როდესაც იაკობის ლიტერატურულ მოღვაწეობას ვარკვევდით, ამიტომ მასზე ახლა აღარ შევჩერდებით.

მეორე უძველეს ორიგინალურ აგიოგრაფიულ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ «მარტჳლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ».

სპარსთა მეფის ხუასრო ანუშირვანის (531—579) მეფობაში ქართლში მოსულა და მცხეთაში დასახლებულა ოცდაათი წლის კაცი, სახელით გვიროზანდაკი, ეროვნებით სპარსი, ქალაქ განძაკიდან და არშაკეთის პროვინციიდან. ის იყო მეცილი მოგვისა, რომელიც მას მოგვობას ასწავლიდა და მოგვად ამზადებდა. გვირობანდაკის გულში ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნისას დაწუებულა ერთგვარი სარწმუნოებრივი დუღილი და ჭეშმარიტების ძიება. დაეჭვებული მამაპაპეული მაზდეიანობის სიმართლეში, უეჭველია განძაკში მყოფ ქრისტიანთა და ურიათა ზეგავლენით, ის უშუალოდ და სამოელ არქიდიაკონის დახმარებით, გაცნობია ქრისტიანობასაც და ურიათა სჯულსაც, საბოლოოდ ქრისტიანობის მხარეზე გადახრილა და, მისდამი სიმპათიებით გამსჭვალული, მოსულა მცხეთაში, სადაც იმ დროს ბევრი მისი თანამემამულე იყო, მათ შორის ქრისტიანებიც. მცხეთაში გვირობანდაკს დაუწყია მეხამლეობის ან მეჩექმეობის შესწავლა, დაახლოებია ქართველ ქრისტიანებს, მათი

---

[1] ვ. ქარბელაშვილი, საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა, საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა, გვ. 102—103; «საქართ. სამოთხე», გვ. 104—105; კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, ცხოვრება იღარიონ ქართველისა, «თბილისის უნივერსიტეტის მოამბე», I, გვ. 42—43.

[2] აკად. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე გამოცემა, გვ. XIII—XIV.

ქალი ცოლად შეურთავს. აქ ის თვალყურს ადევნებდა «რჩულსა ქრისტიანეთასა და მსახურებასა ქრისტჱსსა და წმიდისა ჯუარისა (=მცხეთის) ძალისა ჩინებასა», ამიტომ უფრო მეტად «შეიყუარა რჩული ქრისტიანობისაჲ», უფრო მეტად «ჰრწმენა ქრისტჱ» და ბოლოს მოინათლა კიდეკაც ხელითა მცხეთის კათოლიკოსის სამოელისა, რომელსაც მისთვის ევსტათი დაურქმევია. მამეული რჯულიდან განდგომისათვის, რაც მას დემონსტრაციულად უჩვენებია თავის თანამემამულეთათვის მათს მთავარ დღესასწაულში მონაწილეობაზე უარის თქმით, მცხეთელ სპარსელებს ევსტათი დაუბეზღებიათ ადგილობრივი ციხისთავის უ ს ტ ა მ ი ს წინაშე, რომელსაც ის, სხვა შვიდ ქრისტიანთან ერთად, წარუგზავნია თბილისს მარზპან არევან გუშნასპისათვის. აქ ის ციხეში ჩასვეს, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა ექვსი თვის შემდეგ არვახდ გუშნასპის მიერ, მისი სპარსეთში გამგზავრების წინ, კათოლიკოსისა და დიდებულთა თხოვნით. სამი წლის შემდეგ, როდესაც ქართლში ახალი მარზპანი, ვეჟან ბუზმირი, შემოვიდა, მცხეთელ სპარსელებს ევსტათი მის წინაშეც დაუბეზღებიათ; ვეჟანი ბევრსა ცდილობდა ევსტათი მამეულ რჯულზე გადაებრებია, მაგრამ ამაოდ; ის მტკიცედ იდგა ქრისტიანობაზე, რისთვისაც მას სიკვდილი მიუსაჯეს და თავი მოჰკვეთეს.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ თხზულებისა, რომლის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული, ხელნაწერი (H 341) ეკუთვნის მეათე საუკუნის გასულს თუ მეთერთმეტის დამდეგს[1] (სხვები ყველა მე-18 საუკუნისაა). თხზულება სამჯერაა გამოცემული: მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს («საქართველოს სამოთხე», გვ. 313 — 322), ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ა («საისტორიო მოამბე», III, 1928, გვ. 76—94) და ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს («ქრესტომათია», I, 44—54) მიერ. გერმანულად თარგმნა იგი ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, ხოლო ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარებით შეამკო პროფ. A. H a r n a c k-მა[2].

თხზულების შესწავლისას, პირველ ყოვლისა, საჭიროდ ვთვლით გარკვეულ იქნას ევსტათის ქრონოლოგია: როდის მოვიდა ის მცხეთაში და როდის აწამეს ის? პირველ საკითხზე პასუხი თვით თხზულებაშია მოცემული: «წელსა მეათესა ხუასრო მეფისასა» მოვიდა გვირობანდაკ-ევსტათი მცხეთასო; მაშასადამე. ევსტათი მცხეთას მოსულა 540 წლის 12 ივნისსა და 541 წლის 12 ივნისს შუა. რამ გამოიწვია მისი აქ მოსვლა? ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქრისტიანთა წინააღმდეგ იმ დევნულობით, რომელიც მოგვებმა ასტეხეს სპარსეთში აღნიშნულ ხვასროს მეათე წელს და რომლის შედეგად ქრისტიანები მიმოდაბნეულან და თავი სხვადასხვა ქვეყანაში შეუფარებიათ. ამის შესახებ გრიგოლ მოწამის ასურულ აქტებში ნათქვამია: პეროზის მეფობიდან მოყოლებული ხვასროს მეფობის მეათე წლამდე სპარსეთში ქრისტიანები მოსვენებით, უშებლად და თავისუფლად ცხოვრობდნენ, ხოლო ამ წელს მოგვებმა

[1] იხ. ჩვენი შენიშვნა კრებულ «მიმომხილველში», I, 1926 წ., გვ. 280—281.

[2] Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzcheth'a, «Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin», 1901, XXXVIII.

მათ დევნულობა აუტეხეს [1]. უნდა ვიფიქროთ, გვირობანდაკი, მართალია, ჯერ კიდევ მოუნათლავი, მაგრამ რწმენით ქრისტიანი, ამ დევნულობისაგან არც თავისთვის მოელოდა კარგ რამეს, ამიტომ გამოქცეულა შორეულ მცხეთაში,—, საქრისტიანო ქვეყანაში, — სადაც მას, მისი ფიქრით, იმდენად არ იცნობდნენ და ვერც იმდენად მიაქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც მის სამშობლო ქალაქში.

ახლა მისი წამების თარიღის შესახებ. Á. Harnack-ისა და ი. ჯავახიშვილის ზემოდასახელებულ შრომაში ევსტათის წამების თარიღად აღიარებულია 544—545 წელი. ვფიქრობთ, ეს სწორი არ უნდა იყოს, და აი რატომ. როგორც აღვნიშნეთ, ევსტათი მცხეთაში მოსულა 541 წელს; აქ დასახლების შემდეგ ის სწავლობს მეხამლეობას, შეისწავლა ის და მერე შეირთო ცოლი, ეყოლა მას შვილები (მეორედ თბილისს წასვლის წინ ის ელაპარაკება, სხვათა შორის, «შვილთა» თვისთა), უფრო გულმოდგინედ სწავლობდა ქრისტიანობასა და ქრისტიანთა ზნე-ჩვეულებას და ბოლოს მოინათლა. ის დააბეზღეს ჯერ უსტამ ციხისთავთან, მერე წარგზავნეს მარზპან არვანდ გუშნასპთან თბილისს; აქ ექვსი თვე ციხეში დაყო, განთავისუფლდა საპყრობილიდან, სამი წლის შემდეგ დააბეზღეს ახალ მარზპან ვეჟან ბუზმირთან, რომელმაც ის გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, არ ჩაეტევა ოთხი წლის ფარგლებში, ამისათვის გაცილებით მეტი დრო იქნებოდა საჭირო. მით უმეტეს, რომ ევსტათი აწამეს სამი წლის შემდეგ, რაც მარზპანი ქართლისა არვანდ გუშნასპი ქართლიდან გაიწვიეს, არვანდი კი 546 წელსაც ქართლშია მარზპანად; ეს ჩანს გრიგოლ მანაჭირის მარტვილობიდან, სადაც ნათქვამია, რომ, თანახმად სპარსთა მეფის ხვასროს ბრძანებისა, რომელიც გამოიცა მისი მეფობის მეთხუთმეტე, ესე იგი 546 წელს, გრიგოლი, როგორც ქრისტიანი, შეპყრობილ იქნა და დიდად ტანჯული ქართველთა მარზპანისაგან, რომელსაც ერვანდ ეშნასპი ერქვაო [2]. ამ ბრძანების შესახებ მარტვილობაში ნათქვამია: «მეხუთმეტესა წელსა მეფობისა ხვასრო სპარსთა მეფისა, გამოიცა მეფისაგან ბრძანება თავის საჯრძანებლის ყველა ქვეყნისადმი, რომ ვინც სპარსთა ტომისაგანი ქრისტეს აღმსარებელი აღმოჩნდება, შეიპყრონ, ციხეში დაამწყვდიონ, მკაცრი ტანჯვით ღვთისმსახურების დატევება აიძულონ და მზესა და ცეცხლს თაყვანი აცემინონ». ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მცხეთელი მოგვები ამ ბრძანების ნიადაგზე აუმხედრდნენ პირველად ევსტათის, როდესაც ის უსტამ ციხისთავთან დააბეზღეს. სანამ ეს ბრძანება ქართლში მოაღწევდა, ევსტათის და სხვა მის თანამემამულე ქრისტიანებს მცხეთაში არ აწუხებდნენ, ბრძანების მოსვლის შემდეგ კი მათ ხმა ამოიღეს. საბაბად ამისათვის მათ გამოიყენეს თავიანთი «შუება», «ტოზიკობა», დიდი დღესასწაული, როდესაც ისინი «ცეცხლსა გამოსცემდნენ» ყოველი ნიშნებით — ახალწლის დღესასწაული, ნავროზობა, რომელშიაც

[1] Hoffman, Auszüge aus syrischen Akten persischer Märtyrer, S. 78.

[2] სომხური ტექსტი მარტვილობისა, საჭირო გამოკვლევით, გამოცემულია 1901 წელს გ. ტერ-მკრტიჩიანის მიერ ჟურნალ «არარატში», გვ. 468—474.

ევსტათიმ მონაწილეობა არ მიიღო. ის თანამემამულეებს ეუბნება: «მე ქრისტჱს ზატიკა ვზატიკობ... და ბნელსა მაგას განშორებულ კარ». თუ მხედველობაში გვექნება, რომ თხზულებაში ზოგადად დღესასწაულის აღსანიშნავად ხმარებულია ტერმინი «დღესასწაული», სიტყვებში «ზატიკა ვზატიკობ» იგულისხმება არა დღესასწაული ზოგადად, არამედ ერთ-ერთი სახე მისი, რომელსაც ძველ საქართველოში «ზატიკი» ერქვა, სახელდობრ აღდგომის დღესასწაული[1]. აქედან, მაშასადამე, ჩვენ ვგებულობთ, რომ, როდესაც მცხეთელი სპარსელები ნავროზობას დღესასწაულობდნენ, ქრისტიანები, კერძოდ ევსტათიც, თავის აღდგომას დღესასწაულობდნენ, ესე იგი იმ წელს ქრისტიანთა აღდგომა ემთხვეოდა ცეცხლთაყვანისმცემელთა ნავროზობას. მახდეინთა ახალი წელი, ნავროზობა, დადებული იყო გაზაფხულის დამდეგს, ის გრძელდებოდა 22 მარტიდან 28-მდე (სხვათა შორის, ქრისტიანთა აღდგომის წითელი კვერცხი ხმარებაში იყო მახდეიანთა ამ დღესასწაულზედაც), ქრისტიანთა აღდგომა 22 მარტიდან 28-მდე მოდიოდა 547 წელს (ამ წელს ის 24 მარტს მოდიოდა), მაშასადამე, პირველად ევსტათი 547 წელს დაუბეზღებიათ და ამ წლიდან დაწყებულა მისი მარტვილობა, 546 წლის ბრძანების ნიადაგზე გამოწვეული. 547 წლის მარტის ბოლოს თუ აპრილში ევსტათი პირველად მოუთავსებიათ ციხეში, ექვსი თვის შემდეგ, მაშასადამე, იმავე წელს ოქტომბერში, გაუნთავისუფლებიათ (აქედან — არვანდ გუშნასპი ქართლიდან 547 წელს გაუწვევიათ) და სამი წლის შემდეგ, ესე იგი 550 წლის ბოლოს, ის ხელახლა დაუბეზღებიათ ახალი მარზპანის, ვეჟან ბუზმირის, წინაშე. აქედან ის აუცილებელი დასკვნა უნდა იქნას გამოტანილი, რომ ევსტათი აწამეს არა უადრეს 551 წლისა.

თხზულება დაწერილია თანამედროვისა და თვითმხილველის მიერ, მაგრამ არა უმალ, იმწამსვე, არამედ საკმაო ხნის შემდეგ. ეს ჩანს ავტორის სიტყვებიდან, რომელიც ევსტათის თანპყრობილ ქრისტიანთა შესახებ შენიშნავს: «რომელმანმე მათგანმან ნებითა ღმრთისაჲთა შეისუენა ჟამად-ჟამად, და რომელნიმე ცოცხალ არიან». ამის მიხედვით, თხზულება დაწერილი უნდა იყოს მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში, არაუგვიანეს ამ საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისისა. ყოველ შემთხვევაში, თხზულების შინაარსი არ იძლევა არავითარ საბუთს არამცთუ მეშვიდე საუკუნეში, მეექვსის უკანასკნელ წლებში გადატანილ იქნას ის, როგორც ამას Harnack-ი სჩადის[2]. ვერც იმ აზრს გავიზიარებთ ჩვენ, თითქოს პირვანდელი რედაქცია თხზულებისა შემდეგ (ი. ჯავახიშვილის აზრით, მეექვსე საუკუნის დასასრულს თუ მეშვიდის დამდეგს) შეცვლილიყოს იმ მიზნით, რომ ევსტათი სპარსეთის ეკლესიის შვილად არ ყოფილიყო გამოყვანილიო. ერთადერთ საბუთად ამისათვის ასახელებენ (Harnack-ი, ჯავახიშვილი) ვითომცდა თხრობის წინა-

[1] К. Кекелидзе, Иерусалимский Кanопарь VII в., стр. 328.

[2] ის რომ მეექვსე საუკუნის უკანასკნელ ათეულებში იყოს დაწერილი, იმაში უეჭველია გამოძახილს პოებდა სპარსელ-ბიზანტიელთა ამ დროის ურთიერთობის ამბები, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ქართლის პოლიტიკურსა და შინაურ ცხოვრებაზე.

აღმდეგობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ევსტათი ხან სპარსეთის ჭალაქ განძაკში ღებულობს ქრისტიანობას, ხან მცხეთაში. თუ ვისმეს მართლა აზრად ჰქონდა წარეხოცა კვალი ევსტათის სპარსეთის ეკლესიის შეილობისა, რა მიზნითაც ეს არ უნდა ყოფილიყო, ამისათვის ის პირველად მოსპობდა იმ ცნობებს, რომელნიც მის სპარსულ სადაურობას ამჟღავნებენ. ეს ორი, თითქოს ერთიმეორის საწინააღმდეგო, ცნობა ასე უნდა გვესმოდეს: ევსტათიმ სპარსეთში, სამოელ არქიდიაკონის კატეხიზატორული მოძღვრებითა და ზეგავლენით, ირწმუნა ქრისტე, გაქრისტიანდა რწმენით, ხოლო მცხეთაში სამოელ კათოლიკოსის ხელით მ ო ი ნ ა თ ლ ა და ფორმალურადაც ქრისტიანი გახდა.

ვინ არის ავტორი თხზულებისა, დანამდვილებით არ ვიცით, არავითარი ცნობა ამის შესახებ არ შენახულა. A. H a r n a c k-ი და ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ფიქრობენ, რომ ავტორი თხზულებისა არის ევსტათის თანამემამულე გაქრისტიანებული სპარსელი. ამის მთავარ საბუთად ასახელებენ შემდეგ გარემოებას: თხზულებაში ნათქვამია: «წინაჲთ სპარსთა რჩული იყო... მერმე ღმერთმან ჰურიანი გამოირჩინა და სათნო იყვნა და მისცა მათ რჩული და მცნებაჲ». ეს გამორჩევა და რჯულის მიცემა მოხდა აბრაამის სახით: «კაცი ერთი იყო უბიწოჲ და ღმრთის მოყუარჱ სოფელსა სპარსთასა და ქალაქსა ბაბილონელთასა და სახელი ერქუა მას აბრაჰამ, და ეჩუენა მას ღმერთი და ჰრქუა». სპარსთა რჯულის თავდაპირველ რელიგიად გამოცხადება, აბრაამის სპარსეთის მოქალაქედ, ხოლო ბაბილონის სპარსეთის ქვეყნად აღიარება მხოლოდ სპარსელს შეეძლო, როგორც სპარსული ეროვნული თვალსაზრისის გამომხატველსო. აქ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. სპარსთა რჯულის თავდაპირველ რელიგიად გამოცხადება არის არა შედეგი თხზულების სპარსული ეროვნული თვალსაზრისისა, არამედ უძველესი აპოკრიფების გამოძახილი, რომ გმირი ნებროთი (შესაქ. X, 8—9), რომელიც გაცილებით ადრე ცხოვრობდა აბრაამამდე, იუნიტან გრძნეულისაგან სწავლობს სპარსთა გრძნებასა და მოგვობას, მათ ვარსკვლავთმრიცხველობას, სიბილწესა და ზღაპრობას... ერთ-ერთი ასეთი აპოკრიფი, რომელსაც ეწოდება «დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა და ადამისთჳს» ან ქართულად «ნებროთის წიგნი», ჩვენ ძველ ლიტერატურაშიც შემონახულა; იმით უხვად სარგებლობდნენ ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ხრონოგრაფები[1]. ასევე უნდა ვთქვათ აბრაამის სამშობლოს, ქალდეასა და ბაბილონის, შესახებ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ბიბლიურ ტრადიციასთან: ბიბლიაში ბაბილონის ქვეყანას ქალდეველთა ქვეყანაც ეწოდება, ხოლო ორივენი ხშირად გაიგივებული არიან სპარსეთთან. მაგალ., სპარსეთის მეფეს დარიოზს ქალდეველთა მეფე ეწოდება (დან. IX, 1), ხოლო ზემოდასახელებულ აპოკრიფში სპარსეთი იწოდება «ნებროთის», მაშასადამე, ქალ-

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ლონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, «თბილისის უნივერსიტ. მოამბე», III, გვ. 18—23.

დეველთა ქვეყნად [1]. ისეთი ფრაზები, როგორიცაა: «მოიწია კაცი ერთი სპარსეთით», «მოვიდა იგი ქალაქად მცხეთად», «მოიწია მწოდებელი სპარსეთით», «შეიჭოვიდა ქართლსა მარზაპანად», ეუბს არ ტოვებენ, რომ თხზულება დაწერილია ქართლში, ქალაქ მცხეთაში. ხოლო წმინდა, ბუნებრივი ქართული სტილი თხზულებისა, მისი დახვეწილი, დარბაისლური ენა შეუძლებელს ხდის მოსაზრებას, რომ თხზულება იყოს ან ნათარგმნი უცხო ენიდან (თუ ის, ქართული ენის უცოდინარობის გამო, გაქრისტიანებული სპარსელის მიერ დაწერილი იყო თავდაპირველად სპარსულ ენაზე), ანდა დაწერილი ქართულად უცხოელის მიერ; თან ის ღრმა პატრიოტული გრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია თხზულება, საეჭვოდ ხდის მოსაზრებას, რომ მისი ავტორი არის არა ქართველი, არამედ უცხოელი, სპარსელი, თუგინდ ქრისტიანიც.

თუმცა ჩვენთვის დაფარულია თხზულების ავტორის ვინაობა, მაგრამ იმაში საკმაოდ ნათლად ჩანს მისი სარწმუნოებრივი იდეოლოგია: ის არის მიმდევარი მ ო ნ ო ფ ი ზ ი ტ უ რ ი დოქტრინისა. ეს მოსალოდნელია a priori. საქმე ისაა, რომ მეექვსე საუკუნეში ქართლში ჯერ კიდევ მტკიცე იყო მონოფიზიტობა. ამიტომ ცხადია, რომ ქართლის ეკლესიის წევრები, მათ შორის, უეჭველია, ეპისტათიც, შეიძლება ყოფილიყვნენ მიმდევარნი ამ დოქტრინისა. ცნობილია, რომ მეექვსე საუკუნეში ჩვენთან თავშესაფარს პოულობდნენ აღმოსავლეთიდან ლტოლვილი მონოფიზიტები [2], საკვირველი არ არის, რომ მონოფიზიტური ქართლის ეკლესია მათ იფარებდა. თავისთავად ცხადია, რომ ავტორი ეპისტათის მარტვილობისა იქნებოდა მონოფიზიტი. ეს აპრიორული მოსაზრება თხზულებითაც მტკიცდება. აქ ერთ ადგილას ეკითხულობთ სამოელ არქიდიაკონის შემდეგ სიტყვებს: ქრისტე «სამოსისაგან (ქალწულისა) გამოვიდა და ღ მ რ თ ე ბ ა ჲ ქ ო რ ც ი თ ა გ ა დ ა ი ფ ა რ ა; უკუეთუმცა ღ მ რ თ ე ბ ა ჲ ქ ო რ ც ი თ ა ა რ ა დ ა ე ფ ა რ ა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა». დიოფიზიტური მოძღვრებით ქრისტე არის არა მარტო ს რ უ ლ ი ღმერთი, არამედ ამავე დროს ს რ უ ლ ი კაციც, მან მიირქვა სრული კაცობრივი ბუნება, ერთარსი ჩვენი ბუნებისა, რომელსაც დამოუკიდებელი, სუბსტანციური არსებობა ჰქონდა. ზემომოყვანილი სიტყვებით კი მისი ხორცი იყო არა ხ ო რ ც ი ს რ უ ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა, კაცისა, რომელიც შეურევნელად, შეუცვლელად და განუყრელად იყო გაერთიანებული ღვთაებასთან, არამედ მხოლოდ ს ა ფ ა რ ე ლ ი ღვთაებისა. ეს მონოფიზიტური შეხედულებაა [3], რომელიც უარყოფს

[1] ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლ. ვარიანტი. გე. 875. გრიგოლ ნაზიანზელის, «ღვლიანეს განმაქიქებელის პირველი სიტყვის» «კომენტარებში ნონნე (VI ს.) ამბობს: «Χαλδαῖ δὲ ἔθνος Περσικὸν—Chaldei autem Persika est natio (Migne, P. t. 36. col. 1013, B).

[2] ამის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსელის შესახებ. «თბილ. უნივ. მოამბე», VI, გე. 82—107. ეტიუდები I, 19—50.

[3] მონოფიზიტობის წინამორბედი აპოლინარი ლაოდიკიელი ამბობდა: «его человечество состоит лишь в наружном покрове божества, было одеждой, облекавшей бога слово». ეს შეხედულება, რომელსაც თავდაპირველად ზოგიერთი «მამებიც» იზიარებდნენ, მაგალითად გრიგოლ ნოსელი, მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე «მამათა» მიერ უარყოფილი იყო. «მოქცევაჲ ქართლისაჲს» პირველწყაროებში «ქორცითა გადაიფარა»-ს უდრის «ქორცნი შთაიცუნა», მაგრამ ღუკიანეს მარტვილობის «ქორცნი შეემოსნეს» (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კიმენი II, 9) სულ სხვა, მართლმადიდებლობაშიც მიღებული ტერმინია.

ქრისტეში ნამდვილი, სრული ადამიანის ხორციელ ბუნებასა და მის ვიპოსტასში მხოლოდ ღვთაებას ხედავს. საყურადღებოა, რომ შემდეგ საუკუნეთა დოგმატიკური დუღილის პროცესშიაც კი ვერ შეუმჩნევიათ ჩვენში ეს დეტალი თხზულებისა და ვერ შეუსწორებიათ იგი, თუმცა თხზულებას შესწორება უეჭველად განუცდია.

თხზულება, რომელსაც აზის ბეჭედი მოწამეთა აქტების უძველესი რედაქციისა. შედარებით სხვა, უძველესი დროის, თხზულებებთან, მთლიანი სახითაა ჩვენამდე დაცული, მხოლოდ ბოლოში. სიტყვებს შუა: «დაიკსნა და განქარდა უწესოჲ იგი საქმჱ... ხოლო ამას გეედრები უფალო ჩუენო» («საქართვ. სამოთხე», გვ. 321, სტრიქ. 25), უეჭველად აკლია რაღაც დღევანდელ ნუსხებს. მისი ავტორი, ჩანს, იცნობს მისი დროის აგიოგრაფიულ ლიტერატურას. ამას ადასტურებს ევსტათის ლოცვის შემდეგი ადგილი: «უფალო ღმერთო... რომელმან ისმინე ლოცვაჲ პირველთა მათ მოწამეთაჲ, რომელნი პირითა მახჳლისაჲთა მოსწყდეს, რომელნი ტბასა შინა ყინულითა, რომელნიმე ზღუათა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მკეცთა მიერ შეიჭამნეს» («საქართვ. სამოთხე», გვ. 322, სტრიქ. 5—9). ამ ზოგადი ხასიათის გამოთქმებში სიტყვებით: რომელნიმე ტბასა შინა ყინულითა მოსწყდეს», ნაგულისხმევი არიან 40 სებასტიელი მოწამენი, რომელნიც, როგორც ბასილი კესარიელი გადმოგვცემს [1], ყინულიან და ცივ ზამთარში შიშველნი ტბაში ჩაყარეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა გამოყენება ავტორის მიერ ბიბლიის, ძველი აღთქმის წიგნებისა და სახარების, შინაარსისა. სამოელ არქიდიაკონი, ებრაელთა რჯულისა და ქრისტიანობის გაცნობის მიზნით, ევსტათის უყვება ძველი და ახალი აღთქმის ისტორიას. შინაარსი ამ ისტორიისა ზუსტად არ უდგება კანონიკურ წიგნთა შინაარსს, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სახარების შესახებ. პროფ. A. Harnack-ი, რომელიც ამ საკითხს შეეხო, ფიქრობდა, რომ ავტორს სახელმძღვანელოდ აღებული აქვს დეკალოგის ან ათის მცნების გადმოცემისას ცნობილი «დიდახე», ხოლო სახარების ამბებისა — ტატიანეს (II ს.) «დიატესარონი». განსხვავება კანონიკურ რედაქციასთან იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ იმ ორიოდე მაგალითით «დიდახე» და «დიატესარონთან» დამთხვევისა, რომელიც Harnack-ს მოჰყავს, ძნელია ამ თეზის დამტკიცება. ჩვენ გვგონია, რომ სამოელ არქიდიაკონის გადმოცემაში საქმე გვაქვს ე. წ. თარგუმებთან, ან სირიულთან, ან სპარსულთან. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საქმე გვქონდეს ქართულ თარგუმებთანაც, რომელთა არსებობა ივარაუდა ჯერ კიდევ განსვენებულმა აკად. ნ. მარმა [2]. ცნობილია, რომ «თარგუმი» უფრო პარაფრაზია, ვიდრე ზუსტი გადმოცემა

[1] სინ. ხელნაწ. № 86; ბოდლ., ფ. 12—20, H 341; იერუს. № 4; ეჩმიაძ. № 2; Migne, t. 31.

[2] О кавказской версии Библии в грузинских палимпсестных фрагментах, «Тексты и разыскания по кавказской филологии», т. I, Ленинград, 1825 г., стр. 63 — 64.

ტექსტისა: თარგუმისტი ჩვეულებრივ დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს, ხან ცვლის კიდეცა [1].

თხზულება მეტად შინაარსიანია; ის ჩვენ გვითვალისწინებს საქართველოს პოლიტიკურ, საეკლესიო და კულტურულ ისტორიასა და მდგომარეობას მეექვსე საუკუნეში. როგორც აქედან ჩანს, ქართლში ამ დროს მეფობა უკვე გაუქმებულია და ქვეყნის უზენაეს გამგედ ითვლება სპარსეთის მარზპანი, რომელიც თბილისში ცხოვრობს. მცხეთაში მჯდარა ამ დროს ციხისთავი, რომელიც იქაურ საქმეებს განაგებდა. ვინაიდან ქართლში სპარსელები ბატონობდნენ, სპარსელები ბლომად იყვნენ როგორც თბილისში, ისე მცხეთაში, სადაც ისინი სხვადასხვა ხელობას მისდევდნენ, როგორიცაა, მაგალითად, მეხამლეობა და მეჯადაგობა. მათ ჰქონდათ აქ თავიანთი კულტის, ცეცხლთაყვანისმცემლობის, შესასრულებლად საკუთარი სიწმიდენი, რომლებშიაც ისინი «ზოტიკობდნენ» ან დღესასწაულებს ასრულებდნენ. მიუხედავად სპარსეთის ბატონობისა, შინაურ საქმეებს განაგებდნენ დიდებულნი აზნაურნი, რომლებიდანაც, ალბათ, თვით სპარსელები ნიშნავდნენ სხვადასხვა მოხელეს. მაგალითად, მარტვილობაში მოხსენებულია: 1) მთავარნი ქართლისანი, 2) მამასახლისი ქართლისა (გრიგოლი) და 3) პიტიახში ქართლისა (არშუშა). სარწმუნოებრივი მდგომარეობაც ქართლისა საკმაოდაა დახასიათებული ამ მარტვილობაში. აქედან, პირველ ყოვლისა, ჩვენ ვგებულობთ, რომ ჩვენში პროზელიტიზმი ძლიერი ყოფილა: ქართლის ეკლესიას იმდენი ძალა ჰქონია, რომ ქრისტიანობას ხშირად ღებულობდნენ, მთელი ჯგუფობით, სხვა სარწმუნოების მიმდევარნი, მაგალითად, ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროზელიტიზმი სპარსეთის უზენაესი გამგისაგან აკრძალული ყოფილა. ეს რომ ასეა, იქიდანა ჩანს, რომ ევსტათის გარდა მარტვილობა სხვა შვიდ ქრისტიანს იხსენიებს სპარსთაგან, რომელთა სახელებია: გუშნაკ. ბახდიად (ბახტიარ), ბურზო, პინაგუსნასპ, პეროზაკ. ზარმილ (სამოელ) და სტეფანე. უკანასკნელის, სტეფანეს, ცოლშვილი, დედმამა და დაძმანიც ქრისტიანები ყოფილან. ამათ სტანჯავენ და აწვალებენ იმიტომ, რომ მიატოვეს «მამული რჯული», ქრისტიანობა მიიღეს, მაშასადამე, ქრისტიანობის მიღება და გავრცელება აკრძალული ყოფილა. ქრისტიანობა იმდროს ძლიერი ყოფილა თვით სპარსეთის ქალაქ განძაკში. ევსტათი ეუბნება უსტამ ციხისთავს: «განძაკს ქალაქსა ქრისტიანენი უფროჲს არიან და ეპისკოპოსნი და მღდელნი, და მათგან ყოველსა ზედა მოვიწიე». განძაკში იმ დროს ბლომად ყოფილან ებრაელებიც, რომელთაც თავიანთი სამლოცველო ჰქონიათ. აქედანვე ჩანს, რომ ქრისტიანთა ღვთისმსახურება სრულდებოდა ღამეც, ალბათ, ეგრეთ წოდებული აგრიპნები ან ღამისთევანი, და ევსტათი ღამით დადიოდა ტაძარში, რადგან ეშინოდა — დღისით სპარსელებმა არ დაშინახონო. ღვთისმსახურების დაწყების წინ ქრისტიანებს ჩვეულება ჰქონიათ «დაპრეკონ ეკლესიად», ესე იგი რეკდენ, რასაკვირველია, არა ზარს, არამედ ეგრეთ წოდებულ «ძელს».

[1] თარგუმების შესახებ იხ. «Archivio di Litteratura biblica», t. V, 1883, p. 262—281.

■ ■
■

შემდეგი დროის უძველესი ნაწარმოები, რომელიც ჩვენ გვაქვს ათორის მეათე საუკუნის მ რ ა ვ ა ლ თ ა ვ შ ი (№ 57) და რომელსაც ორიგინალურ ძეგლად თვლიან ზოგიერთები, არის «წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ, რიცხჳთ ცხრათაჲ, რომელნი იყუნეს სულითა ძმანი ნათლის ღებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყუნეს თავისთავისაგან დედისა თჳსისა»[1].

მტკვრის სათავეში, ხევში, რომელსაც კ ო ლ ა ერქვა ცხოვრობდნენ ერთად ქრისტიანებიცა და წარმართებიც. უმეტესობას უკანასკნელნი შეადგენდნენ, ხევის მთავარიც კი წარმართი ყოფილა. ქრისტიან ბავშვებთან ერთად თამაშობდა ხოლმე წარმართთა ცხრა ბავშვი, 7—9 წლისა. ამათ გადმოიღეს და შეითვისეს ქრისტიან ამხანაგების ზნე-ჩვეულებანი, კერძოდ, დარეკდნენ თუ არა ეკლესიაში და ქრისტიანი ბავშვები გაემართებოდნენ თუ არა ეკლესიისაკენ, ეს წარმართებიც უკან მისდევდნენ, მაგრამ მათ ეკლესიაში აღარ უშვებდნენ, — მოინათლეთ და მაშინ შეგიშვებთო. — ეუბნებოდნენ. ბავშვებმა მართლაც ჩუმად, დედ-მამის ნებადაურთველად და შეუტყობინებლად, ნათელიღეს ღამე მდინარე მტკვარში, ვინაიდან დღისით მღვდელი ვერ გაბედავდა ამას წარმართთა შიშით. მშობლებმა რომ გაიგეს, შესჩივლეს ადგილობრივ მთავარს, —წარმართს, იმან უთხრა: თქვენი შვილებია და, როგორც გინდათ, ისე მოეპყარითო. მშობლებმა მიიყვანეს თავიანთი შვილები იმ ადგილას, სადაც მათ ნათელიღეს, ამოთხარეს ორმო, შიგ ჩაყარეს ბავშვები და ქვებით თავი დაუხეთქეს.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ პატარა თხზულებისა, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებოა: აქ წარმოდგენილია სურათი მტკვრის სათავის რაიონში ცხოვრებისა; მოხსენებულია ორი ადმინისტრაციული ერთეული: დიდი—ხ ე ვ ი, და მცირე — ს ო ფ ე ლ ი, რომლის გამგედ ითვლებოდა მ თ ა ვ ა რ ი. ხაზგასმულია ერთი მხარე სოციალ-იურიდიული ცხოვრებისა, რომლითაც მშობლები სრული ბატონ-პატრონი ყოფილან თავიანთი შვილებისა, იქამდის, რომ მათ ნება ჰქონდათ, თუ საჭიროდ დაინახავდნენ, სიკვდილითაც კი დაესაჯათ ისინი. აღნიშნულია ისიც, თუ როგორ ეპყრობოდნენ დამხაშავეთ, არსებული კანონების დამრღვეველთ: მათ სცემდნენ, ჭრონებას წაართმევდნენ და სოფლიდანაც განდევნიდნენ, როგორც, მაგალითად, მოექცნენ ადგილობრივ მღვდელს წარმართი ბავშვების მონათლისათვის. საყურადღებოა აქ იმ ურთიერთობის აღნიშვნა, რომელიც იმ დროს დამყარებული ყოფილა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის მტკვრის სათავეში. წარმართობა აქ ჯერ კიდევ ძლიერი ყოფილა; ყოველ შემთხვევაში, წარმართთა რიცხვი სჭარბობდა ქრისტიანები-

[1] H. M a p p, Тексты и разыскания, V, 53—61; დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, ხუცური ანბანი, გვ. 11—17; ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX—X ს., გვ. 184—186; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, კრესტომათია, I, 72—73.

სას. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აბსოლუტურად აკრძალული არ ყოფილა, ეს ჩანს იქიდან, რომ ქრისტიანთა და წარმართთა შორის იმდენად მეზობლური განწყობილება არსებობდა, რომ მათი ბავშვები ერთმანეთს არ ერიდებოდნენ და ერთად თამაშობდნენ. მაშასადამე, მშობლები ამას არ უშლიდნენ მათ. ქრისტიანებს ჰქონიათ ეკლესია, რომელშიაც ისინი თავისუფლად და რეგულარულად ასრულებდნენ ღვთისმსახურებას, იქამდის, რომ ეკლესიაში რეკვით (იგულისხმება ძელის) მოუწოდებდნენ ხოლმე მლოცველთ. თუმცა ქრისტიანებს, როგორც ჩანს, არ სდევნიდნენ და არ ავიწროებდნენ პირადი რწმენისათვის, მაგრამ პროზელიტიზმი, ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება წარმართთა შორის, სასტიკად აკრძალული ყოფილა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ სოფლის ხუცესი ბავშვებს ნათელსა სცემს ღამით, «რამეთუ დღისით ვერ იკადრებდეს ნათლისცემასა მათსა შიშისაგან წარმართთაჲსა». როდესაც გამომეღავნდა წარმართი ბავშვების მონათლის ამბავი, იმას არ აკმარეს ქონების წართმევა, სცემეს თითქმის სასიკვდილოდ და სოფლიდან გაძევეს, ხოლო სხვების შესაშინებლად, «რათა სხუანი არა ჰბაძდენ და ქრისტიანე იქმნენ», ბავშვები უწყალოდ დახოცეს. ამნაირად ჩანს, რომ ქრისტიანებს არ უშლიდნენ ქრისტიანები ყოფილიყვნენ, თავისუფლად შეესრულებიათ თავიანთი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი და თავიანთ წრესა და ოჯახში ქრისტიანული რეჟიმი დაემყარებიათ, მაგრამ წარმართთა გადმობირების ნება მათ არ ჰქონიათ.

არავითარი თარიღი თხზულებაში არ მოიპოვება იმის გამოსარკვევად, თუ როდინდელი ამბავია აქ აღწერილი, მაგრამ შინაარსისა და ზოგიერთ სხვა მოსაზრებათა მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ აქ წარმოდგენილია სურათი ქრისტიანობის უძველესი ხანისა, არაუგვიანეს მეექვსე საუკუნისა.

ამის მაჩვენებელია უაღრესი სიმარტივე ღვთისმსახურებისა, კერძოდ, ნათლისღების წესისა, რომელიც ძეგლშია წარმოდგენილი (გვ. 58), და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საზოგადოდ ღვთისმსახურების აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი ყ ა მ ო ბ ა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშიაც. ყველაზე მეტად ამ ძეგლში წარმოდგენილი სურათის სიძველეს ხაზს უსვამს მასში შენახული ფრაგმენტი პირველყოფილი ქრისტიანობის პრაქტიკისა, რომლის მიხედვით ქრისტიანები, მსგავსად იესო ქრისტესა, თუ პირდაპირ იორდანეში არა, მდინარეში მაინც ცდილობდნენ ნათელეღოთ: წარმართი ბავშვების მოსანათლად «წარვიდა მღდელი იგი თავსა ზედა მდინარისა მის ღიდისა... და შთაჰხდეს ყრმანი იგი ედინარესა მას და ნათელსცა ხუცესმან მათ» [1].

---

[1] აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს აქ წარმოდგენილი სურათის სიძველის დასამტკიცებლად მოჰყავს კიდევ ის გარემოება, რომ ბავშვები მოინათლენ, მსგავსად იესო ქრისტესა, ა) ზ ა მ თ ა რ შ ი, ბ) ღ ა მ ე და გ) ანგელოზებმა, მონათლის შემდეგ მათ ვითომც «სამოსელნი სპეტაკნი შეჰმოსესო» («ძველი ქართული საისტორიო მწერლობა», გამოც. 2, გვ. 34—36). ყველაფერი ეს საყურადღებოა, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას არ შეიძლება ჰქონდეს. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ლეგენდურ ამბავს

საყურადღებოა, რომ ამ ძეგლს ძალიან ენათესავება როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით, «მარტვილობა დავით და ტირიჭანისა», რომელიც იმავე ხელნაწერშია (ათონის № 57) მოთავსებული [1].

გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ: სტილი მათი ერთი და იგივეა, ტერმინოლოგიაც ერთია, როგორც, მაგალითად, ადმინისტრაციული ერთეულები: დიდი — ხ ე ვ ი, მცირე — ს ო ფ ე ლ ი, გამგე სოფლისა — მ თ ა ვ ა რ ი, ტერმინი ს ო ფ ე ლ ი — ნაცვლად დ ა ბ ი ს ა. ეს მაჩვენებელია მათი ქრონოლოგიურად ნათესაობისა. შ ი ნ ა ა რ ს ი ს მ ხ რ ი ვ: მოქმედება ორსავე ძეგლში ერთსა და იმავე, ტაოს, რაიონში წარმოებს, სიუჟეტიც თითქმის ერთია: დავით და ტირიჭანი არიან ძმები და მცირეწლოვანი ყრმანი, კოლაელნი სულიერი ძმები არიან და ყრმანი მცირეწლოვანნი; იმათაც და ამათაც ჰკლავენ ქრისტიანობისათვის [2] უახლოესი ნათესავები: დავით-ტირიჭანს — მკვიდრი ბიძა, კოლაელ ყრმებს — მშობლები. ამ ორი ნაწარმოების ასეთი ნათესაობა გვაფიქრებინებს, რომ ისინი: 1) ან ორივე ორიგინალური ქ ა რ თ უ ლ ი ნაწარმოებია, არაუადრესი მეცხრე საუკუნისა, და ამით აიხსნება, რომ ისინი, კერძოდ დავით-ტირიჭანის მარტვილობა, სომხურად არ შენახულან, ანდა 2) ორივე ორიგინალური ს ო მ ხ უ რ ი ნაწარმოებია, ქართულად ნათარგმნი არაუადრეს მეცხრე საუკუნისა.—სომხურად ისინი განგებ მოუსპიათ, როგორც არასასიამოვნო დოკუმენტი ქრისტი-

---

ქრისტეს მონათლის შესახებ ზ ა მ თ ა რ შ ი ჰქონდა ადგილი (ამისათვის ის ზომ არ კმარა, რომ ნათლისღებას 6 იანვარს დღესასწაულობენ?), არ შეიძლება იმის თქმა, რომ ძველი ქრისტიანები ზ ა მ თ რ ო ბ ი თ ინათლებოდნენ: ინათლებოდნენ ისინი, გარემოებათა მიხედვით, ყოველთვის, ღრო კი შობას. ნათლისღებას, აღდგომასა და სულწოდიდს ¸მოსელას. ღ ა მ ე მონათლის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მართალია, არსებობდა ძველად ტრადიცია, რომელსაც ადოგრაფიც აღნიშნავს, რომ იესო ქრისტემ «ღამ# ნათელიღო». მაგრამ ამ შემთხვევაში მღდელს ბაშვები ღ ა მ ე ძველი ტრადიციის მიხედვით კი არ მოუნათლავს, არამედ იძულებით, «შიშისაგან წარმართთაჲსა». რაც შეეხება ს ა ე ტ ა კ ი ტ ა ნ ი ს ა მ ო ს ი ს ჩ ა ც ა ს, ეს ნათლისღების აუცილებელი პროცესუალური მხარეა, სიმბოლური მნიშვნელობისა, რომელსაც ადგილი აქვს შემდეგი დროის პრაქტიკაშიაც. ადოგრაფი აქ ხაზს უსვამს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ, ვინაიდან ღამე, მდინარეში, კონსპირაციულად მოქმედ მღვდელს სპეტაკი ტან.სამოსი არ ექნებოდა, ეს აუცილებელი მოთხოვნილება ნათლისღების წესისა სასწაულებრივ იქნა შესრულებული ანგელოზების მიერო.

[1] დავითისა და ტირიჭანის წამებას ადგილი უნდა ჰქონოდა მეოთხე საუკუნეში, არშაკ მეფის (363—396) და კათოლიკოსის ნერსეს დროს, და არა მეშვიდეში, ერეკლე კეისრის მეფობაში (ერეკლეს სახელი მარტვილობაში, შეიძლება, ქართეელი მთარგმნელის მიერაც იყოს ჩამატებული მეშვიდე საუკუნის კათოლიკოს ნერსესთან დაკავშირებით). საქმე ისაა, რომ ერეკლეს დროის, მეშვიდე საუკუნის, მონოფიზიტ სომეხ მარტვილს დიოფიზიტი ქართველები თავის საეკლესიო კალენდარში ვერ მიიღებდნენ.

[2] აკად. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, «დავით და ტირიჭანი იმდენად ქრისტიანობის გამო არ დაიღუპნენ, რამდენადაც ბიძის ზრახვით, რომ მცირეწლოვანნი დისწულნი, მემკვიდრეობითი უფლებების ეითომცდა შესაძლებელნი მისნი შეიქმნებოდნენ, მოესპო» (ძველი სომხური საისტორიო მწერლობა», გვ. 37). თუ ბავშვების დახოცის მიზეზი მემკვიდრეობითი მოსაზრება იყო და არა სარწმუნოებრივი, რაღა აზრი ჰქონდა მათი გაწარმართების ცდას, ნუთუ გაწარმართებული დისწულები არ შეეცილებოდნენ ბიძას მამულის საკითხში? საერთოდ, მოსაზრებანი ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს, რომ ეს ორი თხზულება არ უახლოვდება ერთიმეორეს სტილისტურად და შინაარსობლივად (ი ქ ვ ე, გვ. 37), გაუგებრობის შედეგია.

ახობისა და წარმართობის ბრძოლისა სომეხთა შორის [1], ქართულად კი შეუნახავთ, ვინაიდან მათში აღწერილი ამბავი მოხდა ქართველთა ტერიტორიაზე, ტაოს რაიონში, და არამცთუ შეუნახავთ, მათი მიხედვით და მათ საფუძველზე ქართველებს ამ მცირეწლოვან მარტვილთა დღესასწაული-სახსენებელი დაუდგიათ და ლიტურგიკული ჰიმნებიც დაუწერიათ [2].

საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ კოლაელ ყრმათა მარტვილობას სიუჟეტურად უახლოვდება დასაწყისი ნაწილი ერთი უძველესი აგიოგრაფიული ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება «მარტვილობა აბდალ მესიასი» (იერუსალიმის ქართული ხელნაწერი № 20, ფ. 260—282). აბდალ მესია წარმოშობით იყო ებრაელი, ეწოდებოდა მას ასერ და ცხოვრობდა შომბლებითურთ ქ. ბიგარისში. ეს იყო უმცროსი შვილი (12 წლისა) მდიდარი მშობლებისა, რომელთა დავალებით ის მამის ხარებს აძოვებდა. ყოველდღე, გარკვეულ დროს, ის ჩარეკდა ხოლმე საქონელს წყალზე, სადაც ამ დროს თავს იყრიდნენ აგრეთვე სხვა მწყემსი ბავშვები: ქრისტიანები და მოგვნი. ესე იგი — ზოროასტრელები. ისინი აქ ჯერ შეეჩეხოდნენ, მერე დასხდებოდნენ პურის საჭმელად: ქრისტიანები ცალკე, ზოროასტრელები ცალკე, ასერი კი იჯდა განცალკევებული. ზოროასტრელები ალბათ არ მოსწონდა მას, ქრისტიანებს კი ვერ უერთდებოდა, რადგანაც აკრძალული იყო ქრისტიანებისა და ებრაელების ერთად პურის ჭამა. ასერი სცდილობდა დაახლოებოდა ქრისტიან მწყემსებს, ისინიც არ გაურბოდნენ ამას და ყოველი მოხერხებული შემთხვევით სარგებლობდნენ გავლენა მოეხდინათ იმაზე. ერთხელ, როდესაც ისინი პურის ჭამად ისხდნენ, ასერი მივიდა მათთან და ჰკითხა: რა უნდა ვქნა, რომ მე თქვენთან პურის ჭამა შემეძლოსო? იმათ უპასუხეს: ირწმუნე ქრისტე, მოინათლე და ჩვენი საზოგადოების წევრი გახდებიო. კარგი, ამბობს ასერი, მე მზად ვარ მოვინათლო, წყალიც ხომ აქაა, რაღა გვიშლის ხელსო? არა, ეუბნებიან ქრისტიანები, ეს უნდა ეკლესიაში სრულდებოდეს მღვდლის მიერო. კი მაგრამ, ეუბნება ასერი, ეკლესია შორსაა, აქ მე ვერ გამოვჩნდები მშობლებისა და ჩვენიანებას შიშითო; ის მათ არწუნებს: თუ ქრისტე მართლა ისეთია, როგორც თქვენ ამბობთ, ის დაკმაყოფილდება ჩემი სურვილით და თქვენს საქმიანობას არ უარჰყოფს, მოდით, მომნათლეთ თქვენო! ქრისტიან ბავშვებს ჭკუაში დაუჯდათ ეს საბუთი, სამჯერ ჩაუშვეს ის წყალში და მართლა მონათლეს, მერე ამოიყვანეს და შემოსეს მას ახალი ტანისამოსი. სახელად ასერს ეწოდა «აბდალ მესია, რომელ ითარგმანების ქრისტედღილე (χριστόδουλος), ხოლო ქართულად მონაჲ ქრისტესი» (279). ეს ამბავი მისმა მამამ რომ გაიგო, უწყალოდ დაკლა ის (ამით ამოიწურება სიუჟეტური მსგავსება ამ ორი ძეგლისა).

[1] ყოველ შემთხვევაში, ასე ხსნის, ნ. მარი დავით-ტირიჭანის მარტვილობის გაჭრობას სომხურ მწერლობაში («Из поездки на Афон», ЖМНПр. 1899 г., Март. стр. 21—22).

[2] ერთი ცხადია, რომ ორივე მარტვილობა ერთი და იმავე სერიის ნაწარმოებია, იმ სერიისა, რომელიც შენახულა ივერიის მონასტრის მრავალთაგან № 57.

საფიქრებელია, კოლაელ ყრმათა მარტვილობის ავტორს, ვინც არ უნდა იყოს ის, ხელთ ჰქონდა აბდალ მესიას დასახელებული მარტვილობა.

მერვე საუკუნის გასულსავე იოანე საბანისძეს დაუწერია აბოთბილელის მარტვილობა, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ.

მეცხრე საუკუნეში შედგენილია «ცხოვრებაჲ და წამებაჲ კონსტანტი კახისაჲ»[1]. მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში ცხოვრობდა ერისთავი, სახელით კონსტანტი, «რომელსა ეწოდა კახი სახელად მამეულისა მის ქუეყანისა». ეს ის დრო იყო, როდესაც თბილისის ამირა საჰაკ ისმაილის ძე განუდგა თავის ხალიფას და იმის დასასჯელად მუტევაკილ ხალიფამ წარმოგზავნა დიდი ჯარი ბუღა თურქის მეთაურობით. ამ უკანასკნელმა სძლია საჰაკ ისმაილის ძეს, მოკლა იგი და 853 წლის 5 აგვისტოს თბილისი დაწვა. ამ დროს აფხაზეთის მეფე და მისი მხედრობა საჰაკს ეშხრობოდა, ხოლო ბაგრატ კურაპალატი — ბუღა თურქს. უეჭველია, აფხაზთა მეფის ბანაკში ყოფილა ერისთავი — კონსტანტი კახი, ის საჰაკის დამარცხების შემდეგ დაუპერიათ 26. აგვისტოს და მოუყვანიათ თბილისში ბუღასთან, რომელსაც საპყრობილეში ჩაუსვამს. მისგან მოუთხოვიათ მაჰმადიანობის მიღება, მაგრამ, ვინაიდან უარი განუცხადებია, გაუგზავნიათ ბაბილონის ქალაქ სამარაში[2], სადაც 853 წ. მისთვის თავი მოუკვეთიათ.

ბიოგრაფის სიტყვით, ეს ამბავი მოხდა «მეფობასა ღმრთისმსახურისა თეოდორა დედოფლისასა, რომელი იგი მეფობდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე იგი ყრმაღა იყო ძე მისი მიხეილ». ამ კონსტანტის მარტვილობისათვის ვიღაც აგიოგრაფს საგანგებო თხზულება უძღვნია; ეს არის მოკლე ნაწარმოები, რომლის შესახებ ავტორი ამბობს: «ესე მრაველისაგან მცირედი აღიწერა სიმკნეთაგან წმიდისა კონსტანტისა, რათა იყოს თქუმული ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითაო». თავში ავტორი აგვიწერს კონსტანტის ვინაობას და თვისებებს, მერე მის შეპყრობას და თავის წარკვეთას. ღასასრულ მოყვანილია ის წერილი, რომელიც იმპერატრიცა თეოდორას მიუწერია კონსტანტის შვილებისა და ნათესავებისათვის და რომელშიაც ის, აქებს რა მათ ღვთისნიერებას, ულოცავს მათ, რომ კონსტანტის სახით მათ გამოუჩნდათ მეოხი წინაშე ქრისტესა, და რჩევას აძლევს: «გულაპყრობით იყაცით ჩემდა მიმართ... და უღელსა ქუეშე ჩუენსა ქრისტჱს მიერსა ქედნი თქუენნი წარუპყრენით და სუბუქისა ტკრთისა ჩუენისა აღკიდებაჲ მკართა თქუენთა ზედა

[1] «საქართვ. სამოთხე». გვ. 363 — 370; «Acta Sanctorum», Novembris, Bruxellis, 1925; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 74—80.

[2] ქ. სამარას გაშენება დაიწყო ხალიფა მუტასიმმა (833—842), ხოლო დაამთავრა ხალიფა მუტევაქილმა (847—861); იარსება მან ას წელზე ცოტა მეტი.

არა გარეწარ იცოდეთ». თან დასძენს: «ამას არა თუ თქუენ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩუენ კერძო და ჴელთა ქუეშე ჩუენთა არიან ქართველნიო». ეს წერილი დამახასიათებელია როგორც გაშიშვლებული ნიმუში ბიზანტიური დიპლომატიისა, რომელსაც მიზნად აქვს არაბობასთან ბრძოლაში თავის მხარეზე იყოლიოს აღმოსავლეთის ქრისტიანები, კერძოდ ქართველებიც, და მხარზე აკიდოს «მსუბუქი ტვირთი» თავის ბატონობისა.

ავტორი არის თანამედროვე კონსტანტისა, რაც შემდეგი მისი სიტყვებიდან ჩანს: «მეცა არაღირსმან... აღვწერე ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთაო». მაშასადამე, თუ კონსტანტი აწამეს 853 წელს, ხოლო «ცხოვრება» მისი აღუწერიათ მაშინ, როდესაც საბერძნეთის სამეფოს განაგებდა მცირეწლოვანი მიხეილის მაგიერ მისი დედა თეოდორა, ეს მარტვილობა უნდა იყოს დაწერილი 853 — 856 წლებში[1]. ვინ არის ავტორი, არ ვიცით; თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ის კონსტანტის წამებას ათარიღებს ბერძენთა იმპერატორის მეფობით და თან მთელი ეპისტოლე მოჰყავს მისი, სადაც ხაზგასმულია ბერძენთათვის სასურველი ურთიერთობა ქართველებთან, რომ ის დაწვრილებით არ აგვიწერს არამცთუ საქართველოს მდგომარეობას კონსტანტის 85 წლის სიცოცხლეში, არამედ თვით მის ამბავსაც ძალიან მოკლედ გადმოგვცემს, — შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარტვილობის ავტორი არის საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი, ანდა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში, მკვიდრი რომელიმე მწერალი[2]. ამ შრომის შედგენისას აგიოგრაფს უსარგებლნია წმ. იოანე ოქროპირის «ცხოვრებით», რომელიც დაწერილი ალექსანდრიის პატრიარქის გიორგის (616—630 წწ.) მიერ[3]; ქართული თარგმანი ამ ცხორებისა შენახულა ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერში № 52[4], რომელიც გადაწერილია ოშკის ლავრაში იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზვაჩესთვის, მამასახლისობასა საბაჲსსა, ხელითა იოანე ჩირაქსითა 977—980 წლებში[5]. კონსტანტი კახის მარტვილობის ავტორს ხელთა ჰქონია ეს «ცხოვრება»; ეს იქიდან ჩანს, რომ შესავალი კონსტანტის მარტვილობისა წარმოადგენს ექსცერპტს იოანეს ცხოვრებისას: აქაც და იქაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა საღმრთო წერილის წიგნები, მოსეს დროიდან მოყოლებული, და მათ შემდეგ წმინდათა ცხოვრებანი, რომელთა

---

[1] გამომცემელი ამ თხზულებისა «Acta sanctorum»-ში (Novembris. 1925). P. Peeters-ი ამტკიცებს, ყოველგვარი სერიოზული მოსაზრების გარეშე, რომ ის დაწერილია დაუყოვნებლივ შენებლისა და თამარ დედოფლის შემდეგო (ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, კონსტანტი კახის ვინაობა და მარტვილობა. «თბილ. უნივერ. მოამბე». VII, 160—173). ეტიუდები I, 133—146.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გამოცემა მე-2, გვ. 52—58.

[3] H Savilius, San. Ioannis Chrysostomi opera omnia VIII, 157—165.

[4] ჩვენ ხელთა გვქონდა მღვდელ-მონაზონ ილიას ნუსხა, რომელიც ახლა ხელნაწ. ინსტ. ეკუთვნის. A 1144 (№ 2 ბ ე ი კ ი ს კატალოგით).

[5] არსებობს მისი მეორე ნუსხაც 968 წლისა, რომელიც ეკუთვნოდა ლენინგრადის საჯარო წიგნსაცავს (Новая серия № 13) და ახლა საქართველოშია დაბრუნებული (H 2124).

მიბაძვით იწყებენ გიორგი პატრიარქი და ჩვენი უცნობი ავტორი თავიანთი წმინდანების ცხოვრებათა აღწერას.

იმავე მეცხრე საუკუნეში დაუწერიათ «სწავლანი, ნიშნი და სასწაულთმოქმედებანი ღირსისა მამისა ჩუენისა მიქაელ პარეხელისა». კლარჯეთისა და სამცხის მოღვაწეთა შორის მეცხრე საუკუნეში ცნობილი და სახელგახმაურებული ყოფილა ვინმე მიქელი, რომელიც უფროსი თანამედროვე იყო გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელისა. ცნობები მის შესახებ ჩვენამდე შეხაბულა აღნიშნულ. მამათა ცხოვრებაში. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: «რაჟამს ხანძთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სიხარულევან სულიერთა შვილთაგან, მას ჟამსა მიძნაძორაჲთ ხანძთად მოვიდა დიდი მეუდაბნოჲ მიქელ მამაჲ, რომელიცა დაემკჳდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა და ეძიებდა მარტოდ მყოფობასა და პოვა თავისა თჳსისა სამკჳდრებელი ბერთის პარეხთა და განზრახვითა ამის წმიდისაჲთა დაემკჳდრა მათ შინა და კეთილად წარემართა სათნოებათა მიმართ უფლისათა... ხოლო იყო ნეტარი მიქელი ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიელისაჲ, და მიძნაძოროს მონაზონ იქმნა. ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რაჲ-ესრულა მუნვე დაეშარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა პარეხთა მკჳდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა მიჰმადლებენ, რომელნი სარწმუნოებით მივლენან მათდა» [1]. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში სწერია: «აღეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით [მიქელ] და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლდოანსა და უკლასა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველთმოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა» (გვ. 150, გამოც. მე-2). მიქელს ჰყავდა მოწაფეები, სხვათაშორის, სერაპიონი და ძმა მისი იოანე, ბასილი და მარკელაოზი; მან გაგზავნა სერაპიონი და მისი ძმა იოანე, ოთხ სხვა მოწაფესთან ერთად (სულ ექვსი კაცი), სამცხეს მონასტრის ასაშენებლად, თვალყურს ადევნებდა სერაპიონის მოღვაწეობასა და აღმშენებლობითს მუშაობას, თავისთანაც გაიწვია ზარზმიდან, რომ დაწვრილებით მოესმინა მისგან ყოველივე. ერთი სიტყვით, ხელმძღვანელობას უწევდა მას სამონასტრო და საბერმონაზვნო ცხოვრებაში. უეჭველია, გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების მიქელი ერთი და იგივე პირია: ორივე «ცხოვრების» მიქელს ჰყავს მოწაფე ბასილი, ორივე «ცხოვრების»

[1] «ცხორება გრიგოლ ხანძთელისა», გვ. ლზ—ლთ.

მიქელი აშენებს პარეხს, სადაც სიკვდილის შემდეგ იმარხება კიდეც. ამას არ ეწინააღმდეგება ის მცირეოდენი განსხვავება, რომელიც ამ ორი ცხოვრების თხრობათა შორის არის: სერაპიონის ცხოვრების თქმით, მიქელი პირველად მოღვაწეობდა ოპიზაში და აქედან დაემკვიდრა იგი პარეხს, გრიგოლის ცხოვრებაში კი ოპიზა ამ შემთხვევაში სულაც არაა ნახსენები,—მიქელი მიძნაძორს შემდგარა ბერად, იქედან ხანძთას მისულა გრიგოლთან, რობლის განზრახვით და რჩევით პარეხს დამკვიდრებულა. საქმე ისაა, რომ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი მიქელის შესახებ მოგვითხრობს იმას, რაც მას გაუგონია სხვებისაგან, — «ესე სიტყვაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდაო», ამბობს ის, და ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გარდამოცემითს თქმულებაში რაიმე არეულ-დარეული იყოს და ისეთი ანაქრონიზმებიც შეპარულიყოს, როგორიცაა ცნობა ვითომც მიქელი მოწაფე იყო შიო მღვიმელისაო. გიორგი მერჩულს, გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფს, როგორც ხანძთის მოღვაწეს, უფრო ნამდვილი ცნობები ჰქონია. ეს მიქელი სერაპიონზე უფრო ადრე უნდა გარდაცვლილიყო, არაუადრეს მეცხრე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისისა. «სწავლანი, ნიშნი და სასწაულთმოქმედებანი მისნი», ესე იგი ცხოვრება მისი, ამბობს ბასილ ზარზმელი, «აღწერეს მოწაფეთა მისთაო». ეს ცხოვრება ხელთა ჰქონია ბასილს, როდესაც ის სერაპიონის ცხოვრებას წერდა და იქიდან რამდენიმე ცნობა ამოუღია; უეჭველია, ხელთ ექნებოდა ის გიორგი მერჩულსაც, როდესაც ის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას წერდა.

სამწუხაროდ, ის ჩვენამდე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა, რაც დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იმაში იმგვარივე ცნობები იქნებოდა სამცხე-კლარჯეთის პოლიტიკურო-საზოგადოებრივი და საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრების შესახებ, როგორიც გვაქვს გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის «ცხოვრებაში». ვინაიდან, როგორც ვთქვით, მიქელის ცხოვრება ხელთა ჰქონია ბასილ ზარზმელს, ის დაწერილი უნდა იყოს მეცხრე საუკუნეში, მის მეორე ნახევარში.

•

•

მეცხრე საუკუნეში დაუწერიათ ეგრეთ წოდებული მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ, რომელიც შეიცავს ქართველთა განმანათლებლის, ნინოს, ერცელ ბიოგრაფიას [1]. ქართველთა მოქცევის ან გაქრისტიანების შესახებ იმთავითვე ორგვარი თქმულება არსებობდა: ერთი — ბერძნული, ისტორიკოსის გ ე ლ ა ს ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ა, რომელიც მერე რ უ ფ ი ნ უ ს ს უთარგმნია და მის შრომაში შენახულა მხოლოდ [2]. ამ თქმულებით ქართველები გაანათლა ვიღაც ტყვე ქალმა (ქართული ტრადიციით ნინომ) და საბერძნეთიდან მოწვეულმა სამ-

[1] მე-18 საუკ. ხელნაწერში A 1779 მოთავსებულია გალექსილი რედაქცია ნინოს «ცხოვრებისა».

[2] A. Glas. Die Kirchengeschichte Gelasios von Kaisareia die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins. 19.4: იხ. ს. ყაუხჩიშვილის რეცენზია ამ შრომის შესახებ კრებულში «ჩვენი მეცნიერება», № 6—7.

ღვდელოებამ; მეორე — სომხური, აგათანგელოსისა, რომლითაც ქართველები გრიგოლ განმანათლებელს მოუქცევია[1]. ამ ორი თქმულების სინთეზს წარმოადგენს ბოსე ხორენელის სახელით ცნობილი ავტორის თქმულება, რომლითაც ქართველები მოაქცია რიფსიმე-გაიანეს ამხანაგთაგანმა დედაკაცმა ნუნემ, რომელიც მოქმედებდა გრიგოლ განმანათლებლის ხელმძღვანელობით და დირექტივებითო. უფრო ძლიერი ყოფილა თქმულება ქართლის სოფხთა მისიონერების საშუალებით გაქრისტიანების შესახებ. ამ თქმულებას ქართველები იზიარებდნენ არა მარტო მაშინ, როდესაც სომეხთა და ქართველთა შორის ეკლესიური ერთობა არსებობდა, არამედ მაშინაც კი, როდესაც მათ შორის განხეთქილება დაიწყო[2], და განხეთქილება-განყოფის შემდეგაც, თითქმის მეცხრე საუკუნის გასულამდე, — მაგალითად, არსენ კათოლიკოსი (860—887 წ.) თავის თხზულებაში «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა», ქართველთა განმანათლებლად გრიგოლსა თჳლის. ეკლესიათა გაყოფის შემდეგ სარწმუნოებრივი დამოკიდებულება და ურთიერთობა ქალკედონიტ ქართველებსა და ანტიქალკედონიტ სომეხთა შორის თანდათან მწვავდებოდა. მათ შორის ამ ნიადაგზე ხშირი და მწვავე კამათი და პაექრობა იმართებოდა. ქართველები, ეკლესიურ ნაციონალიზაციასთან ერთად, თანდათან იმ შეგნებამდე მივიდნენ, რომ მათთვის უხერხულია თავისი თავი აღიარონ იმ პირის მიერ მოქცეულად, რომელმაც მწვალებელი სომხები მოაქცია, ამიტომ მათთვის საჭირო შეიქნა ახალი, სომხებისა და მათი ეკლესიისაგან სრულებით დამოუკიდებელი, ჭოტღვარი და განმანათლებელი მოეძებნათ. ამ საჭიროებამ თავი იჩინა განსაკუთრებით მეცხრე საუკუნეში, როდესაც ქალკედონიტობა და ანტიქალკედონიტობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლენ ერთმანეთს სომხეთსა და მის მახლობელ არემარეში, ასე რომ ორივე პარტიამ საზღვარგარეთიდან, ასურეთიდან, გამოიწერა ბელადი ამ ბრძოლისა: ქალკედონიტებმა ცნობილი თეოდორე აბუკურა, ხოლო ანტიქალკედონიტებმა — არჩიდიაკონი ნანი. აი სწორედ ამ ნიადაგზე და ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად უნდა დაწერილიყო ქართულად ის თხზულება, რომელსაც მოქცევაჲ ქართლისაჲ ეწოდება და რომლის უძველესი ნუსხა მოთავსებულია 973—976 წლებში გადაწერილ ეგრეთ წოდებულ შატბერდის კრებულში (S 1141). ეს თხზულება წარმოადგენს ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი, შედარებით პატარა, არის საკუთრივ მოქცევაჲ ქართლისაჲ; აქ მოკლედ მოთხრობილია ქართლის გაქრისტიანება და აღნიშნულია უმთავ-

[1] მ. თარხნიშვილს წამოუყენებია თავისებური მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ დაივიწყეს ქართველებმა ნინოს სახელი და მისი როლი გრიგოლ განმანათლებელს დაკავებიეს. ამისი მიზეზი ვითომ იყო ის გარემოება, რომ ნინო იყო ტყვე ქალი და ქართველების ნაციონალური გრძნობა ვერ ურიგდებოდა მის ასეთ სოციალურ ვინაობასო, იმ დროს ქალი, მაშაკათან შედარებით, დაბალი კატეგორიის არსებად ითვლებოდა («Byzantinische Zeitschrift». B. IV, 1, Leipzig — Berlin, 1940). მისი მოსაზრებანი ნინოს ვინაობისა და ხსენების შესახებ ლიტერატურულ ძეგლებში» ძველად (Geschichte der kirchl. georgisch. Literatur, ს. 303) გადაისინჯეს თხზულობენ.

[2] მაგალითად, კირიონ კათოლიკოსი ხაზს უსვამს თავის მიწერ-მოწერაში სომხებთან, რომ ქართველებსა და სომხებს გრიგოლ განმანათლებელმა მოგვცა ჰეშმარიტი სარწმუნოება,

რესი მომენტები მისი თანდათანობითი ქრისტიანიზაციისა. მეორე, შედარებით უფრო დიდი ნაწილი, წარმოადგენს იმ პირის ცხოვრებას, რომელსაც ქართლი მოუქცევია, — ნინოისას.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რომლის მკვეთრი გამომხატველი ს. კაკაბაძეა[1], აღნიშნული ორი ნაწილი ამ თხზულებისა წარმოადგენს ორს, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელ, ნაწარმოებს, რომელთა შორის ვამჩნევთ არამცთუ არსებით განსხვავებას დეტალების მხრივ ქრონოლოგიურ თარიღებში, არამედ პირდაპირ წინააღმდეგობასაც. მაგალითად, ამბობს ს. კაკაბაძე, პირველ ნაწილში ნინო უბრალო ტყვე ქალია, მეორეში— ცნობილის ზაბილონ კოლასტელის ასულიო. ჩვენი აზრით, ასეთი დაცალკევება უმართებულოა: ისინი წარმოადგენენ, როგორც ვთქვით, ერთი მთლიანი თხზულების ნაწილებს, რომელიც ერთი და იმავე პირის მიერ ერთსა და იმავე დროს უნდა იყოს დაწერილი და რომელსაც «მოქცევაჲ ქართლისაჲ» ეწოდებოდა. ორივე ნაწილი გენეტიურადაა ერთმანეთშორის დაკავშირებული: პირველ ნაწილში მხოლოდ მოხსენებულია ქართველთა განმანათლებელი და აღნიშნულია მისი სამისიონერო მოღვაწეობა, მეორე ნაწილი, რომელიც უშუალოდაა გადაბმული პირველზე, მოგვითხრობს უკვე მის დაწერილებითს ბიოგრაფიას, რაც სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ იქ, სადაც ნინო იწყებს მოთხრობას თავისი ვინაობის შესახებ, შატბერდის კრებულში სათაურია — «ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოჲსი», მეორე ვარიანტში კი, ეგრეთ წოდებულს ჭელიშისაში, არც ასეთი სათაურია. შატბერდის კრებულში, ამ თხზულების ბოლოს, სადაც თავდება ნინოს ცხოვრება, შენიშნულია: «წიგნი ქართლის მოქცევისაჲ... ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული, შეჰდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთო». აქედან ჩანს, რომ «მოქცევაჲ ქართლისაჲ», რომელიც სათაურად აქვს ამ ნაწარმოებს, არის სახელი ორივე ნაწილისა და არა პირველისა მარტო, რაც გულისხმობს ამ ნაწილთა ერთობას, მათგან ერთი მთლიანი თხზულების შედგენილობას. ამასვე ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ პირველი ნაწილი ამ თხზულებისა, რომელსაც საკუთრივ ეძახიან «ქართლის მოქცევას», შატბერდული ვარიანტის აღრიცხვით, უნდა შეადგენდეს პირველს თავს, სულ თხზულება დაყოფილი ყოფილა 16 თავად. რაც შეეხება განსხვავება-წინააღმდეგობათ ამ ნაწილთა შორის, უნდა შევნიშნოთ შემდეგი: განსხვავება დეტალებში მართლაც არის, მაგრამ ასეთი განსხვავება, და უფრო მეტიც, არსებობს არამცთუ ამ ნაწილებს შორის, რომელთაც სხვადასხვა მიზნები აქვთ, არამედ ერთსა და იმავე ნაწილებს შორის ორი სხვადასხვა ვარიანტით, შატბერდულით და ჭელიშურით. კერძოდ, ეს უნდა ითქვას ქრონოლოგიურ მონაცემთა შესახებ. მაგალითად, ნინოს ქართლში მოსვლისა და სიკვდილის შესახებ: ნინო ქართლში მოსულა, პირველი ნაწილის ერთი გამოანგარიშებით, 310+10+4=324 წელს, მეორე გამოანგარიშებით — 338 — 15=232 წ.; ხოლო მეორე ნაწილის გამოანგარიშებით: ჭელიშური ვარიანტით — 311+7+33+1=352 წ., შატბერდულით — 352 და

[1] «О древне-грузинских летописцах XI в.», Тбилиси, 1912 г., стр. 32 — 36.

358 წ. მომკვდარა ნინო: პირველი ნაწილის ერთი გამოანგარიშებით: 5638 — 5500 = 338 წ., მეორე გამოანგარიშებით — 334 + 15 = 349 წ., მეორე ნაწილის გამოანგარიშებით: ჭელიშური ვარიანტი — 334 + 15 = 349, ხოლო შატბერდული — 327 + 15 = 342, ანდა 358 + 15 = 373 წ. როგორც ვხედავთ, თარიღები მეტად არეულ-დარეულია და ერთი და იგივე ნაწილიც კი ერთსა და იმავე ფაქტს სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად აღნიშნავს. რაც შეეხება წინააღმდეგობას, მაგალითად, ნინოს ვინაობის შესახებ, არც ეს არის მართალი: ნინო ტყვე ქალადაა დასახელებული არა მარტო პირველ ნაწილში, არამედ მეორეშიაც. მაგალითად, აქ ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ ჩვენ: «რასა იტყჳ ტყუეობასა; ვითარ იტყჳ, ვითარმედ ტყუე ვარი მე? შოვიდა ნინო პირველ ვითარცა ტყუე». მირიანი ლოცულობს ღმერთს, «რომელი გურწამს ტყჳსა ამის მიერ». ნინოს დიდგვაროვნობა არა მარტო მეორე ნაწილშია წარმოდგენილი, არამედ პირველშიაც, სადაც ნათქვამია: «და იყო იგი ჰრომი მთავარი» (შატბერდული), ან «ჳსგავს შვილთა მთავართასა» (ჭელიშური).

ამნაირად, «მოქცევაჲ ქართლისაჲ» წარმოადგენს ერთ მთლიან თხზულებას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი არ არის «სამოქალაქო» საისტორიო ნაწარმოები, როგორც ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ამბობს[1]. ეს თავისთავად ცხადია: თხზულება, რომელსაც ეწოდება «მოქცევაჲ ქართლისაჲ», რომელსაც მიზნად ჰქონია ქართლის გაქრისტიანების გადმოცემა, «სამოქალაქო» საისტორიო ნაწარმოებად ვერ ჩაითვლება, თუგინდ იმაში წარმართი მეფეებისა და ღმერთების ნუსხაც იყოს წარმოდგენილი. პირველ ნაწილს მიზნად აქვს აღნიშნოს უმთავრესი მომენტები და ეტაპები ქართლის გაქრისტიანებისა. ამ მიზნის განსახორციელებლად ის ჯერ აღნიშნავს საიდან ან როდის დაემკვიდრნენ ქართველები დღევანდელ ქართლში. ჩამოთვლის წარმართული ეპოქის ქართლის მეფეებს და მათ მიერ აღიარებულ ღმერთებს. მერე აღნიშნავს ბერძენთა მოქცევის დროს, რომელსაც ის უკავშირებს ქართველთა მოქცევის დასაწყისს, მოიხსენებს სახელს ქართველთა განმანათლებელისას, მის მცხეთაში მოსვლას, მცხეთელებისა და მეფის ოჯახის მონათლვას, იქ ტაძრისა და ჯვარის აღმართვას, აგრეთვე ქართლის სხვადასხვა კუთხის მოქცევას, მერე აღნიშნავს მირიანიდან მოყოლებული მეფეთა და კათოლიკოსთა სახელებს და მათი დროის მნიშვნელოვან საეკლესიო ფაქტებს, ანდა სამოქალაქოს, რომელთაც საეკლესიო ისტორიისათვის მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგალითად ერეკლე კეისრის ლაშქრობას. მეორე ნაწილში მოთხრობილია ვრცელი ბიოგრაფია ქართველთა განმანათლებლისა, რომელიც ჩაწერილია თითქოს თანამედროვეთაგან თვით ნინოს კარნახით, და საუბარი პირველი პირითაა მოყვანილი.

ავტორი თხზულებისა საკმაოდ ნაკითხი ყოფილა როგორც საღმრთო წერილში, ისე სხვადასხვა საისტორიო და უფრო კი აპოკრიფულს ლიტერატურაში, უნდა სცოდნოდა მას აგრეთვე სპარსული და ასურული ენებიც, ვინაიდან მის თხზულებაში მთელი წინადადება გვხვდება ახალ სპარსულსა და

[1] «ძველი ქართული საისტორიო მწერლობა», გამ. 2, გვ. 85.

ასურულს ენებზე; ეცოდინებოდა, უეჭველია, მას ბერძნული და სომხური ენებიც. მისი თხზულება წარმოადგენს იმ მასალების კომპილაციას, ისტორიულისა თუ აპოკრიფულისას, რაც მას უპოვნია ქართულს, სომხურს, ასურულს, სპარსულსა და ბერძნულ ენაზე და რაც თავის მიზნებისათვის გამოსადეგად მიუჩნევია. პირველი ნაწილის შედგენისას ავტორს ხელთა ჰქონია: 1) ერთერთი ბერძნული რედაქცია ფსევდოკალისთენის აპოკრიფული რომანისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. 2) ცნობები, წერილობითი თუ ზეპირი, ქართველთა თავდაპირველი ბინადრობის შესახებ. 3) სია წარმართული ხანის მეფეებისა. 4) გადმოცემანი ქართული წარმართული პანთეონის შესახებ, თუმცა, როგორც აკად. ნ. მ ა რ ი ს გამოარკვია, წერილობითი წყაროებით სარგებლობაც შესაძლებელია ამ შემთხვევაში. მაგალითად, ცნობანი არმაზისა და ზადენის შესახებ სპარსული წყაროებიდან უნდა იყოს ამოღებული, გაცი და გაიქ შემოსულან ლიტერატურული გზით სემიტური წყაროებიდან, კერძოდ, საღმრთო წერილის ნიადაგზე, აგრეთვე ითრუჯანი[1]. ამ წყაროების მიხედვით ავტორს შეუდგენია პირველი განყოფილება პირველი ნაწილისა, სადაც ლაპარაკია წარმართული დროის ქართველების შესახებ. მცხეთელების, მეფის ურჯახისა და ქართლის სხვადასხვა კუთხის გაქრისტიანების შესახებ მოთხრობა, რომელიც შეადგენს მეორე განყოფილებას ამ ნაწილისას, მას შეუდგენია იმ თხზულების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილი ყოფილა «მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა, გრიგოლ დიაკონისა მიერ აღწერილსა», როგორც ნათქვამია ჰელიშურს ვარიანტში (შატბერდულში შესაფერი ადგილი ამოგლეჯილი და დაკარგულია). ეს მეორე განყოფილება თავდება სიტყვებით: «ნეტარ არიან, რომელნი ღირსულებენ ჴსენებასა მისსა, რამეთუ დიდსა მადლსა ღირს იქმნებიან[2]. მესამე განყოფილება ამ ნაწილისა აღნიშნავს უმთავრეს მომენტებს ქართლში ქრისტიანობის ისტორიისას, ჩამოთვლის მეფეებს და კათოლიკოსებს მირიანიდან გუარამ კურაპალატამდე. ამ ნაწილის შედგენის დროსაც ავტორს ხელთა ჰქონია რაღაც ჩვენამდე არშენახული წერილობითი წყაროები, ვინაიდან ის შენიშნავს: «ესე აღწერილი გამოკრებილად არსო»[3]. მეოთხე განყოფილება პირველი ნაწილისა შეიცავს ერეკლე კეისრის ომიანობის აღწერას ჩვენს ტერიტორიაზე და თავდება სტეფანოზ II დროით; აქაც, უეჭველია, მას ხელთ ექნებოდა წერილობითი წყაროები, ან ბერძნული ან ქართული, ერეკლეს შესახებ. სტეფანოზიდან მოყოლებული აშოტ კურაპალატამდე ჩვენ გვაქვს უკანასკნელი

[1] «Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам», С.-Петерб., 1901 г. «ითრუჯანი» არა სემიტური, არამედ ირანული ღმთაებაა; ამის შესახებ ხ. ჯ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ითრუჯანი (ცდა მისი ეტიმოლოგიის გარკვევისა), ე ტ ი უ დ ე ბ ი I, 266 — 270. დღეს უკვე გარკვეულია, რომ «არმაზი» არ არის ირანული ორიგინალი, ამ სახელით ცნობილი ყოფილა ზეთური მთვარის ღმთაება: G. Furlani, La religione degli Hittiti, Bologna, 1936, 59—60; И. Е а л т у ш о в а, К вопросу об Армази (Вестник древней истории, 2, стр. 257, 1949). M. Tarchnischwili, Der Mondgott Armazi und das Werk des L. Mroveli («ბედი ქართლისა», X, გვ. 19—22, Paris, 1951).

[2] Е. Т а к а й ш в и л и, Описание рук. общества распр. грамоти., II, 719.

[3] ი ქ ვ ე, 724.

მეხუთე, განყოფილება, რომელიც მხოლოდ მშრალ ნუსხას წარმოადგენს ერისთავებისა და კათოლიკოსებისას. ჩანს, ავტორს ფაქტიური მასალა ხელთ აღარა ჰქონია, აშოტის შემდეგ დროის კათოლიკოსთა სია, არსენ მეორემდე, მიმატებულია უკვე შატბერდის კრებულის გადამწერთაგან.

მეორე ნაწილი ამ თხზულებისა წარმოადგენს ნინოს ვრცელ ბიოგრაფიას. მისი შედგენისას ავტორს, გარდა მრავალი ლეგენდისა, რომელიც მანამდინაც ყოფილა ქართულ საზოგადოებაში, და თვითონაც, უნდა ვიფიქროთ, უხვად შეუთხზავს, უსარგებლია წერილობითი წყაროებითაც. 1) პირველ ყოვლისა. მას გამოუყენებია ის წყაროები, რომელნიც პირველი ნაწილის შედგენისას ჰქონდა მას ხელთ, ეს ნათლად ჩანს იმისაგან, რაც ამ ორ ნაწილს საერთო აქვს ერთმანეთში. 2) სცოდნია მას წმინდა გიორგის მარტვილობა, ვინაიდან ამ მარტვილობით სურს მას დათარიღოს ქართველთა ქრისტიანობის ისტორიის დასაწყისი. 3) 451 წელს კამპანიის შალონში მომხდარი ომის შესახები ცნობები, რომელიც მას კონსტანტინე იმპერატორის «ბრანჯებთან» ომიანობად მოუნათლავს; ეპიზოდები ამ «ბრანჯების» გაქრისტიანებისა ავტორს სცოდნია რომელიღაც ასურული წყაროდან, სადაც ლაპარაკი ყოფილა გალიაში ან დღევანდელ საფრანგეთში (ბრანჯი — ფრანგი) ქრისტიანობის გავრცელების შესახებ [1]. ხელთა ჰქონია მას კიდევ: 4) გელასი — რუფინუსის, აგათანგელოსის და მოსე ხორენელის თქმულებანი ქართველთა მოქცევის შესახებ. 5) კონსტანტინე კეისრის მოქცევის ლეგენდური ისტორია და, კერძოდ, თხრობა აღმართვისათვის პატიოსნისა ჯუარისა მის დროს. 6) კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე კონსტანტი კეისრის მიმართ გამოცხადებისათვის პატიოსნისა ჯუარისა იერუსალიმს [2]. 7) ცნობები იესო ქრისტეს გასამართლების, ჯვარცმისა და კვართის შესახებ ამოღებულია, მხოლოდ თავისებურად გადაკეთებული, სახარებიდან [3].

ეს ნაწილი დაყოფილია თავებად. შატბერდულ ვარიანტში სათვალავი იწყება მეოთხე თავიდან: «თავი დ, აღწერილი მისივე სალომე უჟარმელისაჲ» [4]; ცხადია, პირველ თავს შეადგენდა «ქართლის მოქცევის» ქრონიკა ან პირველი ნაწილი თხზულებისა [5]; მეორეს — შესავალი ნინოს ცხოვრებისა, რომელიც ჭელიშის ვარიანტში უფრო ვრცელია, ვიდრე შატბერდისაში (727—732) [6]; მესამეს — ნინოს ცხოვრება სალომე უჟარმელისა (736—742). მეხუთე თავის სათაური აღნიშნული არაა, მაგრამ ის, უნდა ვიფიქროთ, იწყებოდა სიტყვებიდან: «ოდეს მოხედა უფალმან საბერძნეთსა და ჰრწმენა მეფესა კონსტანტინეს»

---

[1] H. Marr, Деяния трех св. благовестников: Спевсиппа, Елеазара и Меласиппа, «Зап.-Восточ., отд. Русск. Археол. общ.», т. XVII, стр. 322 — 323.

[2] [1] Кекелидзе, Иерусалимский Капонарь, VII в., стр. 239—245.

[3] შეად. კ. კეკელიძე, «მოქცევაჲ ქართლისაჲს» შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ეტიუდები I, 63—88, 1956.

[4] E. Такайшвили, Описание, II, 742.

[5] იქვე, стр. 708 — 727.

[6] [1] «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს შატბერდული და ჭელიშური რედაქციების შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილის სტატია «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს ჭელიშური რედაქცია», თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები XI, 1940 წ., გვ. 91 — 101.

(746); ეს თავიც სალომე უჟარმელის უნდა იყოს. თავი მეექვსე, იმავე სალომე უჟარმელისა, შეიცავს თხრობას ნინოს მცხეთად მოწვევის შესახებ (750—759). თავი მეშვიდე, აღწერილი სიდონიას მიერ, მოგვითხრობს მცხეთელ ურიათა და მათ პალესტინასთან დამოკიდებულების ამბავს (759—767). თავი მერვე (ჭელიშისაში შეცდომით მეექვსედ აღნიშნული), თქმული სიდონიასივე, მოგვითხრობს ნინოს სასწაულთმოქმედებას მცხეთაში: განკურნებას ნანა დედოფლისა და სპარსელ მოგვის ხუარაძას (767—772). თავი მეცხრე, სიდონიასივე აღწერილი, გადმოგვცემს, თუ როგორ დაუბნელდა მირიანს მზე ნადირობის დროს (772—775). მეათე თავი, სიდონიასივე, შეიცავს მოთხრობას ეკლესიის აღშენების შესახებ (775—781). თავი მეთერთმეტე, სიდონიასივე თქმული, — სვეტიცხოელის სასწაულების აღწერას (781—783). მეთორმეტე თავი (ჭელიშურით 9), აბიათარის მიერ აღწერილი, მოგვითხრობს, თუ როგორ მიიღო მან ქრისტიანობა (783—787). თავი მეცამეტე, იაკობ ხუცისა და იოანე მთავარეპისკოპოსის მიერ აღწერილი, შეიცავს თხრობას «აღმართებისათჳს პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა» (787—793). თავი მეთოთხმეტე (ჭელიშურში არაა) შეიცავს თხრობას «აღმართებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ მცხეთისაჲ და კუალად გამოჩინებაჲ» (793—798). ცალკე, მეთხუთმეტე, თავს (ჭელიშისაში 10) შეადგენს «წიგნი, რომელი დაწერა მირეან მეფემან ქართლისამან ჟამსა სიკუდილისასა, აღიწერა კელითა იაკობ მთავარებისკოპოსისაჲთა და მოსცა სალომეს უჟარმელსა, ძის ცოლსა თჳსსა, რომელი მეცნიერ იყო ყოელისავე ჴელაშარიტად» (798 — 804). უკანასკნელს, მეთექვსმეტე, თავს, მართალია, წარუწერელს, წარმოადგენს «ანდერძი მირეან მეფისაჲ ძისა თჳსისა მიმართ რევისა და ცოლისა თჳსისა ნანაჲსა» (804—806).

როგორც ვხედავთ, თავების სათვალავი ამ თხზულებისა (ორივე ვარიანტში) ზოგან გამოტოვებულია, ზოგან არეული; არეული უნდა იყოს არა მარტო თავების სათვალავი, არამედ მოთხრობის წესიც.

ვინ არის ავტორი ამ თხზულებისა? თუ სხვადასხვა თავის წარწერას დავუჯერებთ, ეს თხზულება წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა პირთა მიერ აღწერილი ეპიზოდებისას ქართლის მოქცევის ისტორიიდან, და ყველა ეპიზოდი თვით ნინოსაგან მომდინარეობს. სიკვდილის წინ, როდესაც წმ. ნინო სულთმობრძავი იდვა სარეცელზე, მასთან მისულან მისნი მახლობელნი და პატივისმცემელნი, რათა მისი ვინაობა გაეგოთ. «ვინაჲ ანუ ვითარ მოშუერ შენ ჭუეყანასა ჩუენსა», ეკითხებიან მას ისინი, «მაცხოვრად ჩუენდა. ანუ სადამე იყო აღზრდაჲ შენი დედოფალო»; «მაუწყე ჩუენ საქმჱ შენი. რაჲსა იტყჳ ტყუეობასა, ტყუეთა მჳსნელო სანატრელო?» (634). ნინომაც თანხმობა განაცხადა ამაზე და «მაშინ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჟარმელისნ და სიენიელმან პეროეავრი, და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს» (735). გამოდის, რომ ყოველივე ის, რაც ჩვენ ამ თხზულების, ყოველ შემთხვევაში, მეორე ნაწილში გვაქვს, ნაკარნახევია ნინოსაგან და სიტყვასიტყვით ჩაწერილი ორი ადამიანის — სალომე უჟარმელის და პეროეავრ სიენიელის მიერ. მაგრამ ეს ცნობა ბევრ გაუგებრობას იწვევს მკითხველსა და მკვლევარში. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ერთ-ერთ თავის გა-

მოკლევაში, ყოველად წარმოუდგენელია, რომ ქართველებს მანამდის 15 წლის განმავლობაში, ერთხელაც არ მოსვლოდათ აზრად ნინოს ვინაობის გაგება და მხოლოდ ახლა, სიკვდილის წინ, მოჰგონებოდათ ეს [1]; აკი ცხოვრებაში სწერია, რომ გაცილებით ადრე სიკვდილამდე, ქართლში მოსვლის დასაწყისშივე, ვიღაც სეფე-ქალს შრომანას გამოუკითხნია ნინოსაგან «ყოველი გზაჲ მისი» და ნინოსაც უცნობებია მისთვის «ყოველი საქმჱ» მისი (756). მეორე—ნინომ ყოველივე უამბო სალომე უჟარმელს და პეროჟავრ სიენიელს, მათ «მოიხუნეს» საწერ-კალამი და ჩაწერეს ნინოს ნაკარნახევი; მაგრამ თხზულებაში, თავების ზედწარწერაში, პეროჟავრ სიენიელის სახელს ჩვენ ვერსად ვერ ვხვდებით, მის მაგიერ ჩნდება სულ სხვა სახელები, როჟელნიც არამცთუ მონაწილეობას არ იღებდნენ ჩაწერაში, თითქოს არც კი დასწრებიან ამ პროცესს, ესენი არიან აბიათარი, სიდონია და იაკობი. ვთქვათ, ესენიც იყვნენ მომაკვდავი ნინოს სარეცელთან და ამათაც ჩაწერეს მისი თავგადასავალი. რა ჩაუწერიათ მათ? ეს პირები დაბეჯითებით გვარწმუნებენ, რომ მათ მიერ ჩაწერილი ამბები მათ საკუთარი თვალით ნახეს; ნამდვილად კი ისინი ისეთ რამეებს მოგვითხრობენ, რასაც ვერ ნახავდნენ, ვინაიდან რამდენიმე საუკუნით არიან დაშორებულნი იმ ლეგენდური ამბებისაგან, მაგალითად — სიდონია იესო ქრისტეს გასამართლებისა და მისი კვართის საქართველოში მოტანის თვითმხილველი ვერ იქნებოდა. ანდა იმის შესახებ, რის თვითმხილველობასაც გვარწმუნებენ, თვითონ შენიშნავენ, როგორც, მაგალითად, იაკობ მღვდელი, «ვითარცა სმენით ვიცითო». აქედან ცხადია, ეს ნაწარმოებნი ან, უკეთ რომ ვთქვათ, თავები, არის ფსევდოეპიგრაფიკული, ცრუ და ყალბი, და ნამდვილად იმ პირთა მიერ მოთხრობილი და ჩაწერილი არაა, ვისი სახელიც აწერია მათ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა ლეგენდის, ზეპირის ან წერილობითის, კრებულთან, რომლისათვის ვიღაც უცნობ რედაქტორს თავი მოუყრია, უცხო ცნობებით შეუზავებია და საკუთარი ფანტაზიითაც შეუვსია. ვინ არის ეს რედაქტორი, ამის შესახებ ჯერჯერობით, მასალების უქონლობის გამო, ვერას ვიტყვით.

როდისაა დაწერილი ეს თხზულება? მხედველობაში გვაქვს მთლიანი თხზულების, კრებულის, შედგენის დრო და არა შემადგენელი მისი ნაწილებისა, რომელთაგან, შეიძლება ზოგიერთი მართლაც შედარებით ძველი იყოს. ამ მხრივ კი ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: 1) თხზულებაში დასახელებულია ქალაქი ბაღდადი, როგორც დედაქალაქი სასანელთა მეფეებისა, ბაღდადი კი, ჩვენ ვიცით, აგებულია 762 წელს. 2) სია მეფეთა ერისთავებისა მოყვანილია აშოტ კურაპალატის (გარდ. 826 წ.) და მისი შვილის გუარამის (გარდ. 882 წ.) დრომდე, ესე იგი მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრამდე. 3) თხზულებაში გვხვდება მთელი წინადადება ახალ სპარსულ ენაზე (გვ. 755), რომელსაც მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე ადგილი ვერ ექნებოდა. 4) თხრობა აღმართებისათვის პატიოსნისა ჯვარისა და კი-

[1] ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, «მოამბე», 1900 წ., №№ 5, 6.

რილე იერუსალიმელის ეპისტოლე, რომლებითაც, როგორც ვთქვით, აეტორს უსარგებლნია, ქართულ მწერლობაში შემოსული უნდა იყოს არაუადრეს ჩვენე საუკუნის გასულის ან მეცხრის დამდეგისა, ვინაიდან პირველად ისინი გვხვდება ჩვენ სინას მთაზე დაცულ 864 წლის «მრავალთავში». მაშასადამე, ამაზე ადრე ეს კრებული ვერ დაიწერებოდა. 5) თხზულების მიზანია, როგორც აღვნიშნეთ, დაამტკიცოს, რომ ქართველებს თავისი საკუთარი განმანათლებელი ჰყავს, რომელიც სომხის მისიონერებისაგან, კერძოდ, გრიგოლ განმანათლებლისაგან, სრულიად დამოუკიდებელია. კათოლიკოსი არსენ დიდი თავის თხზულებაში «განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა» ქართველთა განმანათლებლად კიდევ გრიგოლსა თელის და ნინოს სახელს არსად არ იხსენიებს, მაშასადამე, მის დროს (860—887) ეს თხზულება ჯერ კიდევ არ არსებობდა, თორემ შეუძლებელია ის არსენის არ სცოდნოდა. 6) თხზულებაში ჩანს წმ. გიორგის კულტი, რომელიც განმტკიცდა ჩვენში არაუადრეს IX საუკუნის ნახევრისა. 7) აქ ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში შემოვიდა ჩვენში. 8) თხზულებამ იცის პანოდორე ალექსანდრიელის წელთაღრიცხვა, რომელიც აგრეთვე მეცხრე საუკუნეში იდგამს ფეხს ჩვენში. ყველა ამ მოსაზრების გამო ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრებული შედგენილია არაუადრეს მეცხრე საუკუნისა, დაახლოებით მის უკანასკნელ მეოთხედში. შედგენილია ტაო-კლარჯეთში, შატბერდის მონასტრის მოღვაწის მიერ. ამ თხზულებამ, რომელიც ეკლესიაში საკითხავადაა დაწერილი, შექმნა ჩვენში ნინოს კულტი, მისი ლიტურგიკული თაყვანისა და პატივისცემა, — მეათე საუკუნის ძეგლებში ჩვენ ვხვდებით ნინოს არა უბრალო სახელს, არამედ საგალობლებსაც. მაგალითად, მიქელ მოდრეკილი უგალობს მას: «სძალსა ქრისტჱსსა ნინოს, ქართლისა ქადაგსა, ვარსკულავსა მნათობსა საღმრთოჲთა მით ნათლითა, კერპთა სიბნელისა მაოტებელსა, მოვედით შევამკობდეთ»-ო [1]. რაც შეეხება თხზულების შინაარსს, უმეტესი ნაწილი აქ მოყვანილი ფაქტებისა პირდაპირ ლეგენდურ-აპოკრიფული ხასიათისაა [2]. ამდენად ეს ძეგლი უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია, ვიდრე წმინდა ისტორიული. იმაში უფრო მეტად ჩანს პუბლიცისტიკური სულისკვეთება მისი ავტორისა, ვიდრე მკაცრი ისტორიული მეთოდი სერიოზული მემატიანისა. აქ შეკრებილ ლეგენდებსა და აპოკრიფულ თქმულებებშე წითელი ზოლივით გატარებულა ავტორის ეროვნული ტენდენცია. რომელიც

[1] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. სნდ.

[2] F. C. [illegible] გამოთქვა ვარაუდი, რომ ნამდვილი ავტები წმ. ნინოსი თავდაპირველად შედგენილი უნდა ყოფილიყო ასურულ ენაზეო. ამას ამტკიცებს: 1) ავტორის მიერ ასურული მასალების გამოყენება; 2) მთელი წინადადება ასურულს ენაზე (გვ. 753); 3) სიდონიას სახელი იწერება როგორც სიდინია, სიდუნია, სიდონია, რაც იქიდან წარმოდგება, რომ ასურულ წერაში ხმოვნები გრაფიკულად არ აღინიშნებიან; 4) ტექსტში ხშირად გვხვდება სახელი Niophora [მიაფორი (გვ 736. 741. 744), ნიაფორი (735, 741), ნეაფორი (744)]. რაც. მისი სიტყვით, უდრის ბერძნულ [illegible], მაგალითად, ბერანიკეს ტაძრისა, მასში სისუფთავისა და წესიერების დამცველი, გადამახინჯებული სირიულ ნიადაგზე ორი ასოს კ და დ ოთმა ითში არევით გალ (Life of st. Nino, Studia biblica et ecclesiastica. Oxford, 1900, V/1).

გამოიხატება მშობლიური ქვეყნის განდიდებისა და მისი ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის დაცვის სურვილში. ის მოხერხებულად ებრძვის ბიზანტიელების აგრესიულ ზრახვებს და ამხელს მათს გაზვიადებულ წარმოდგენას თავისთავზე [1].

მეათე საუკუნის დამდეგს სტეფანე მტბევარს დაუწერია, როგორც დავინახეთ, გ ო ბ რ ო ნ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, მის პირველ მესამედში შედგენილა ბასილ ზარზმელის მიერ ს ე რ ა პ ი ო ნ ზ ა რ ზ მ ე ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ხოლო 951 წელს გიორგი მერჩულის მიერ — გრიგოლ ხანძთელისა. ცოტახნის შემდეგ კათოლიკოს არსენი მეორეს დაუწერია ა ს უ რ ე ლ მ ა მ ა თ ა ცხოვრების ძველი რედაქცია. მეათე საუკუნის გასულს ექვთიმე ათონელმა შეადგინა, ბერძნულ-ქართული წყაროების მიხედვით, ი ლ ა რ ი ო ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ცხოვრება [2]. მეთერთმეტე საუკუნის პირველს ნახევარში გიორგი მთაწმიდელს დაუწერია ცხოვრება ე ქ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი ს ა, მეორე ნახევარში: ლეონტი მროველს — ც ხ ო ვ რ ე ბ ა ნ ი ნ ო ს ი და წ ა მ ე ბ ა ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ი ს ა, გიორგი მცირეს — ც ხ ო ვ რ ე ბ ა გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა. დაახლოებით ამავე დროს უნდა იყოს დაწერილი ჯვარის მონასტრის მაშენებლის პ რ ო ხ ო რ ე ს ცხოვრება, რომლის სვინაქსარული რედაქცია შენახულა ჯრუჭის 1155 წლის ხელნაწერში [3].

ამნაირად, უკვე X — XI სს. დაუწერიათ ყველა მანამდის ცნობილ ქართველ წმინდათა «ცხოვრებანი». ეს არის უმეტეს შემთხვევაში მარტივად და ლიტონად დაწერილი რედაქციები, რომელთა ავტორებს უფრო შინაარსი და ფაქტების სისწორით გადმოცემა აინტერესებთ. როდესაც ჩვენში მეტაფრასული მიმდინარეობა დამყარდა, ის ორიგინალურ აგიოგრაფიასაც შეეხო. ახლა დაუწყიათ გამშვენება და გადაკეთება იმ ძეგლებისა, რომელნიც მანამდის იყო დაწერილი. ამ გადაკეთება-გამშვენების პროცესში ზოგიერთი ძველი რედაქცია, როგორც, მაგალითად, დავით და კონსტანტინესი, აგრეთვე სერაპიონ ზარზმელისა, სრულიად გამქრალა და დაკარგულა. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ვინაობა და მოღვაწეობის დრო ყველა ასეთი მეტაფრასტისა, თუმცა შე-

[1] დაწერილებით ამის შესახებ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ნარკვევი: «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს შედგენილობა. წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ეტიუდები I, 63—83. 1956.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, «თბილ. უნივერ. მოამბე». I, 48—52. ეტიუდები IV, 134—158.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 523—524. მეორე გამოცემა ეკუთვნის დ. უ ი ფ შ ი ძ ეს («Изв. Кавказск. Истор.-Археолог. Института в Тифлисе», II, 56—60), 1927 წ).

იძლება დანამდვილებით ითქვას, პროცესი მათი მეტაფრასული მუშაობისა მეთორმეტე საუკუნის გასულს უკვე დამთავრებული იყო. განვიხილოთ ახლა მოკლედ ჩვენამდე შენახული, უფრო მნიშვნელოვანი, ორიგინალური მეტაფრასული შრომები.

ცხოვრება ათაწმიდელ ასურელ მამათა. ამ მამათა ცხოვრების ძველი, კიმენური რედაქცია ჩვენ უკვე განვიხილეთ, როდესაც ლაპარაკი გვქონდა კათოლიკოსების არსენი პირველისა და მეორის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. (იხ. ზემოთ). იქ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მეტაფრასული, საბინინის მიერ «საქართველოს სამოთხეში» გამოცემული, სრული რედაქცია იოანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, აბიბოს ნეკრესელისა და დავით გარეჯელის ცხოვრებისა, აგრეთვე სვინაქსარული, შემოკლებული რედაქცია ისე წილკნელის, იოსებ ალავერდელის და ანტონ მარტყოფელის მოქალაქობისა არის შემდეგი დროის გამშვენებულ-გადაკეთებული რედაქცია. მართლაც, ამას ადასტურებს არა მარტო აღნიშნა მეტაფრასტის მიერ ძველი თქმულება-მოთხრობისა, არამედ მათი გეგმა, — ვრცელი შესავალი, ენაწყლიანობა. სასწაულების აღწერა, — და სტილი: ასეთი სიტყვები, როგორიცაა — «ზრქელი (გვ. 123, 196, 279), გრძნობადი (194, 208, 252), უსაკუთრესი (195), მიწად დამზიდველნი ნივთნი (195), წინააღრჩევა (195), ძლით (196, 199, 207, 232, 234, 266, 277, 270), ვიდრემე (201, 266); უსიტყჳ (204); თეატრონი (215, 252), ტრფიალნი (219), მებრვე (219, 228). ქუედამზიდველი (267), სტკჳნი» (211) და სხვ., შემოდიან ხმარებაში მეორე პერიოდში, უმთავრესად მეტაფრასული მწერლობის საშუალებით.

აღნიშნული მეტაფრასული ცხოვრებანი რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფში შედის დავით გარეჯელის ცხოვრება, რომელშიაც გვხვდება ჩვენ ფორმა იისოჳ (272) და წინადადებათა შემოკლება მიმღეობის საშუალებით, მაგალითად: «ამღებელი, მიმღებელი, მტკრთველი, მჩუენებელი, მომეაჭრებელი (267), მნებებელი (268), მიმყვანებელი (277), სრულმყოფელი (278)». ასეთი ფორმები სხვა ასურელ მამათა ცხოვრებაში ან არ გვხვდება, ან ძალიან მცირე რაოდენობით. მაშასადამე, დავით გარეჯელის მეტაფრასული «ცხოვრება» ეკუთვნის ვიღაცა სხვა მწერალს, რომელიც გამოსულია პეტრიწონული სალიტერატურო სკოლიდან. ვინ არის ეს მეტაფრასტი, არ ვიცით. თავისი შრომის დასაწყისში ის ამბობს, რომ ამ შრომას ის წერს «იძულებითა სულთა-მწყემსისა ონოფრესითა» («საქართვ. სამოთხე», გვ. 266). ამის მიხედვით, ივ. ჯავახიშვილს «ებადება გრძნობა», რომ მეტაფრასტის მაიძულებელი «ეგების იყოს ონოფრე მაჭუტაძე, წინამძღვარი» დავით გ რეჯისა, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის გასულის და მეთვრამეტის დამდეგის მოღვაწედ ჩანს (ქართველი ერის ისტორია, I ³, გვ. 335—336). ამ ონოფრე მაჭუტაძეს 1699 წელს გადაუწერინებია აგიოგრაფიული კრებული, რომელშიც შეღის საბინინის მიერ გამოცემული რედაქცია დავით გარეჯელის ცხოვრებისაც (ხელნაწ. ინსტიტ. A 160; ეს კრებული მოხსენებულია 1712 წლის გუჯარშიაც, რომელიც გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ: «ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები», გვ. 58). მაგრამ ყოველად შეუძლებელია ეს ონოფრე

ვიგულისხმოთ ჩვენ იმ პირად, რომელმაც აიძულა მეტაფრასტი დაეწერა — შეეთხზა მეტაფრასული რედაქცია დავით გარეჯელის ცხოვრებისა, ვინაიდან ეს რედაქცია არსებობდა გაცილებით ადრე მის დრომდე, რაც იქიდანაც ჩანს, რომ 1699 წელს ის მან გადააწერინა თავის მონასტრისათვის. თუ მეტაფრასტის მაიძულებელ ო ნ ო ფ რ ე დ ჩვენ დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვარს ვივარაუდებთ (ეს ასეც უნდა იყოს), უფრო ახლო ვიქნებით ჯუმბარიტებასთან, თუ ამ ონოფრედ მივიჩნევთ «დიდსა ბერსა და მოძღუარსა ონოფრე გარეშჯელსა», რომლის ხელით დავით აღმაშენებლის დროს მოხსენებულის არიშიანის ძმას იოანე კოჯიხიძეს შესაწირავი გაუგზავნია ათონის ივერთა მონასტრისათვის (ათონის აღაპები № 143, 54). ამ შემთხვევაში მეტაფრასტი მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერლად უნდა მივიჩნიოთ, და ამას ზედმწევნით უდგება პეტრიწონული ხასიათიც თვით შრომისა.

მეორე ჯგუფში შედის იოანე ზედაზნელის «ცხოვრება». რომელიც ორი რედაქციითაა ჩვენამდე მოღწეული. ერთი შენახულა ე. წ. «ანასეული ქართლის ცხოვრების» ხელნაწერში [1]. ავტორი ამ რედაქციისა ამბობს: «პირველი იგი ცხორებაჲ და საქმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ არს მეორედ აღწერადო» (გვ. 18). მაშასადამე, თხზულება მეტაფრასული ნაწარმოებია, ის მატარებელია მეტაფრასული აგიოგრაფიის ყველა სტილისტური ნიშნებისა. დაწერილია ის ვიღაც უცნობი ავტორის მიერ ზედაზნის მონასტრის წინამძღვრის მიქელის თხოვნით, რომელსაც მისთვის გაუგზავნია «ქარტაჲ წულილი», მომთხრობელი იოანეს საქმეთა [2]. შედგენილია ეს რედაქცია არაუგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა, როდესაც ჩვენში ფეხს იკიდებს განვითარებული ფორმები მეტაფრასტიკისა, რომელთაც ჩვენ აქ ვპოულობთ. ზედაზნელთ, ჩანს, არ აკმაყოფილებდათ მოკლე არჭეტიპული რედაქცია კათოლიკოზის არსენი მეორისა. მათ გემოვნებას არ ეგუებოდა შედარებით «მოკლედ და ლიტონად» დაწერილი მოკლე «ცხოვრება», მათ მოინდომეს გალამაზებული, გავრცობილი მეტაფრასული რედაქცია თავისი სულიერი პატრონის «ცხოვრებისა». ამისათვის მიმართეს ვიღაც უცნობ მეტაფრასტს დაეწერა ასეთი შრომა. ჩანს, არც ამ უკანასკნელის მიერ დაწერილმა შრომამ დააკმაყოფილა ზედაზნელები, რადგანაც 1) ეს შრომა, თავმომაბეზრებელი, განყენებული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მსჯელობით გაჟღენთილი, არსენი ბერის (XII ს.) სიტყვით რომ ვთქვათ, «საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო და მსმენელთათჳს უკმარ და ვერ საცნაური» უნდა ყოფილიყო. 2) ამ შრომაში არ იყო აღწერილი «მუნ», სირიაში, მომხდარი «საქმენი» იოანესნი და აქ გატარებული ცხოვრება მისი. ამით, სხვათა შორის, უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ნუსხები ამ შრომისა არ შენახულა, ვიცით მხოლოდ ერთადერთი დეფექტური ნუსხა მისი, რომელიც, როგორც ვთქვით, შენახულა ანასეული

[1] გამოცემული ილ. აბულაძის მიერ: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 2—58, 1955 წ.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, გვ. 44—47, 1956 წ.

მატიანის ხელნაწერში, რომელშიაც, ფურცლების დაკარგვის გამო, ვერ ეპოულობთ თხზულების მეორე ნაწილს.

ზედაზნელებისავე, უნდა ვიფიქროთ, რუდუნებით და მეცადინეობით ეს რედაქცია იოანეს «ცხოვრებისა» შეუცვლია მეორე ახალ მეტაფრასულ რედაქციას, რომელსაც ვულგატის ხასიათი მიუღია, ის მრავალი ხელნაწერით გავრცელებულა და პირველად გამოცემულა მ. საბინინის მიერ «საქართველოს სამოთხეში» [1].

ამ რედაქციის ავტორი ამბობს: იოანეს მშობლების შესახებ ვერაფერს გეტყვით, «გარნა მხოლოდ ესე მოცემულ არს ჩუენდა უწინარესვე აღმწერელთაგან ცხოვრებისა მისისათა, ვითარმედ ქუეყანით შუამდინარისაჲთ მოაქუნდა ჭორციელი ნათესაობაჲ, მახლობელად ანტიოქიასა მყოფისა რომლისამე დაბისა» (გვ. 13, აბულ.). ის ასეთ შენიშვნას აკეთებს: «რომელიმე წიგნთაგან ამოვიკითხეთ და რომელიმე მამათაგან სმენილ იყო საქმეთათჳს მათთა და აღვწერეთ ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდათა მათ მამათაჲ» (A 170, გვ. 238). ვინ არიან «უწინარეს აღმწერელნი ცხოვრებისა მისისანი» და რა წიგნებია ის წიგნები, რომელთაგან ამოუღია მას საჭირო მასალა? ეს წიგნებია, ეჭვს გარეშე, ძველი არქეტიპული და ანასეულ ხელნაწერში შენახული რედაქციები იოანეს «ცხოვრებისა», რომელთაგან პირველი ეკუთვნის კათოლიკოზს არსენი მეორეს, ხოლო მეორე უცნობ მეტაფრასტს. პირველის გამოყენება დადასტურებულია შიოს «ცხოვრებაშიც», სადაც ნათქვამია: «ზედაზენის მთაზე იოანესა და შიოს ლოცვით მრავალნი განიკურნებოდეს, «ვითარცა წერილ არს ვრცელსა შინა ცხორებასა ნეტარისა იოანესსა», ესე იგი — მეტაფრასულში.

მართლაც, ჩვენ აქ ვკითხულობთ: იოანე შიოვლინა მცხეთაში, რათა იქმნეს «სარგებელ და მკურნალ ყოველთათჳს მყოფთა ქალაქისა ამის ჩუენისა, რომელნი ხადიან მას, რომელი მცირედ შემდგომად მიგეთხრ-სო» (გვ. 27—28). სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვეცნობით ამ მკურნალობის ამბავს, რადგანაც მეორე ნაწილი ნაშრომისა, სადაც მოთხრობილი იქნებოდა ეს ამბავი, როგორც აღვნიშნეთ, დაკარგულია. თავის მოწაფეების სხვადასხვა კუთხეში დაგზავნის წინ იოანე ასწავლიდა მათ, «ვითარცა წერილ არს ცხორებასა შინა მისსა» (გვ. 91), მართლაც, ამ «ცხოვრების» 30 — 37 გვერდებზე (აბულ. გამოც.) მოყვანილია ეს მოძღვრება.

ნათქვამის გათვალისწინებით, მეორე მეტაფრასული რედაქცია იოანეს «ცხოვრებისა» დაწერილი უნდა იყოს მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში. პირველთან შედარებით ის უფრო მოკლე და მარტივი ჩანს, ეს გარემოება ჩვეულებრივი მკითხველისათვის უფრო მიმზიდველს ხდიდა მას.

ჩვენ არ ვიცით ავტორი არც ამ მეორე რედაქციისა. მართალია, როგორც პირველის, ისე მეორის სათაურში წერია: «განაახლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათოლიკოზმანო», მაგრამ ამ წარწერის ფსევდოეპიგრაფიკული ხასიათი ცხადია: მეტაფრასულ რედაქციებზე გადმოეტანიათ სახელი კათოლიკოზის არსენი მეორისა, რადგანაც ამ უკანასკნელის შრო-

[1] მეორე გამოცემა ეკუთვნის იქ. ა ბ უ ლ ა ძ ე ს: «ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნის ძველი რედაქციები», გვ. 13—68.

მას, რომელიც გამოყენებულია მეტაფრასულ რედაქციებში, აწერია: «აღწერა არსენი კათალიკოზმანოს».

შ ი ო მ ღ ვ ი მ ე ლ ი ს «ცხოვრება». თუ ძველს, არსენი მეორის შრომაში შიო მღვიმელის ამბავი შეტანილია როგორც ორგანული ნაწილი იოანეს «ცხოვრებისა», მომდევნო საუკუნეებში ის გამოუყვიათ აქედან და დაუწერიათ საგანგებო «ცხოვრება». ის გამოცემულია ორჯერ: პირველად მ. საბინინის მიერ «საქართველოს სამოთხეში» და მეორედ ილ. აბულაძის მიერ (გვ. 69—143). ეს შრომა მეტაფრასული ხასიათისაა, მეტაფრასული ავიოგრაფიის ლიტერატურული ნორმების დაცვით. იმაში გამოყენებულია როგორც ზეპირი სამონასტრო გარდამოცემანი, ისე წერილობითი ძეგლები: არსენი მეორის არქეტიპი და იოანე ზედაზნელის «ცხოვრება», რომელსაც ავტორი პირდაპირ ასახელებს: «ვითარცა წერილ არს ვრცელსა შინა ცხორებასა ნეტარისა იოანესსა» (გვ. 86 აბულ.), «ვითარცა წერილ არს მისთჳს მას შინა ცხორებასა» (90), «ვითარცა წერილ არს ცხორებასა შინა მისსა» (91).

ვინ არის ავტორი ამ ნაწარმოებისა? შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს შრომაც იმავე პირის მიერაა დაწერილი, რომელმაც იოანე ზედაზნელის მეორე მეტაფრასული «ცხოვრება» დაწერა. საქმე ისაა, რომ შიოს «ცხოვრებაში» გამეორებულია ზოგიერთი ადგილი იოანეს «ცხოვრებისა». ასე, მაგალითად, 1) იოანეს «ცხოვრებაში» ვკითხულობთ: «დამდებელი კელსა ერქუანსა ზედა» (გვ. 195 საბ.), რომელიც გამეორებულია შიოს «ცხოვრებაში» ამგვარად: «რამეთუ დასდეე კელი ერქუანსა» (223 საბ.); 2) იმავე «ცხოვრებაში» ვკითხულობთ: «ახალნერგ არს ჭეუეანაჲ ესე» (გვ. 199 საბინინის გამ.); ეს გამეორებულია შიოს «ცხოვრებაშიც»: «რამეთუ ახალნერგ იყუნეს მაშინ ქართველნი» (გვ. 223, საბ.). იმავე «ცხოვრებაში» ასეთი შედარებაა: «ესე სასწაული მრავლად ზესთა ჰმატს დანიელისსა» (204, საბ.); ამის მსგავსი შედარება შიოს «ცხოვრებაშიც» არის: «ესე სასწაული არა უდარეს არს, ძმანო, სასწაულსა მას, რომელი იქმნა წინაჲსწარმეტყუელისა და ღმრთის მხილველისა მოსეს კუერთხისა მიერ» (233, საბ.), ანდა მეორე ადგილას: «ესე სასწაული, ძმანო, მიმსგავსებულ არს გარდამოსლვასა სულისა წმიდისასა» (225, საბ.). იოანეს «ცხოვრებაში» ვკითხულობთ: «ხოლო პირველჴსენებული ესე პატიოსანი სუეტი ზეჰაერთა შინა ჩამოკიდებულ არს უხილავად საღმრთოჲთა წამისყოფითა» (198, საბ.); ესევე იკითხება შიოს «ცხოვრებაშიც» შემდეგნაირად: «ღრთისა ჩინებითა აღემართა საკჳრველებით სუეტი იგი დიდებული, რომელი მდგომ არს ჰაერთა შინა თჳნიერ კელთა კაცობრივთა» (226, საბ.). მაგრამ ასეთი ადგილები უჩვენებენ არა ერთსა და იმავე ავტორს, არამედ იმას, რომ შიოს «ცხოვრების» ავტორს კელთა ჰქონია და უკითხავს იოანეს «ცხოვრება». არ შეიძლება ეს ორი ნაწარმოები ერთსა და იმავე ავტორს მიეკუთვნოს, რადგანაც ზოგ რამეში ისინი ეროთმეორეს ეწინააღმდეგებიან. მაგალითად, იოანე ზედაზნელის «ცხოვრებაში» ნათქვამია, რომ იოანემ თვითონ განიზრახა «უცხოთა ქუეყანათა წარსლვაჲ» (გვ. 197, საბ.), ხოლო შიოს «ცხოვრებით» მან «ზეგარდამო მოიღო ბრძანებაჲ» ამის შესახებ (223, საბ.). იოანეს «ცხოვრებით», ქართლში მოსვლის შემდეგ, ზედაზნის მთა მისცა სამოღვაწეოდ მას ღმერთმა უჩუენა (გვ. 198, 199), ხოლო შიოს «ცხოვრე-

ბით» — კათოლიკოზმა და მეფემ. იოანეს «ცხოვრებით», იოანემ თვითონ წარმოიყვანა თავისი მოწაფეები (197—198), ხოლო შიოს «ცხოვრებით» — იმან მიიღო ათორმეტი ქარტა, რომელსაც ეწერა ათორმეტთა ძმათა სახელი, რომელნი იგი უფალმან გამოირჩივნა (224). იოანეს «ცხოვრებით», თავისი მოწაფეები იოანემ თვითონ დაგზავნა ქართლ-კახეთის სხვადასხვა ადგილას (გვ. 29. აბულ.), შიოს «ცხოვრებით» კი — ნინოს ბრძანებით (91, აბულ.), რასაკვირველია, ასეთი წინააღმდეგობანი ერთი და იმავე პირისაგან მოსალოდნელი არაა. შიოს «ცხოვრების» სათაურში ვკითხულობთ: «აღწერა ღირსმან მარტვრი, პირველ რომელსა ეწოდა იოანე, რომელი იყო მოწაფეთაგან წმიდისა იოანესთა კონსტანტინოპოლითა». ამის მიხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, და კიდეც უფიქრია ასე მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ს [1], რომ შიოს «ცხოვრების» ავტორი არის ეს მარტვირი კონსტანტინოპოლელი, რომელიც მას გაუგიგებია მარტვირი საბაწმიდელთან, რომელსაც დაუწერია ასკეტიკური თხზულება «სინანულისა და სიმდაბლისათჳს» [2]. ლაპარაკი ზედმეტია, რომ ასეთი შეხედულება გაუგებრობის ნაყოფია. ჯერ ერთი, იოანე ზედაზნელის მოწაფე კონსტანტინოპოლელი ვერ იქნებოდა, რადგანაც ყველა მისი მოწაფე ან შუამდინარელი იყო, ან ქართველი, ქართლში მოპოვებული. მეორე, რაც მთავარია, შიოს «ცხოვრება», რომელსაც ასეთი სათაური აქვს, როგორც ვთქვით, მეტაფრასული ნაწარმოებია, რომელშიაც გამოყენებულია იოანე ზედაზნელის მეათე და მეთერთმეტე საუკუნეთა «ცხორებანი». იოანე ზედაზნელის მოწაფე, რომელიც მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა, ვერ დაწერდა მეტაფრასული ხასიათის შრომას, რადგანაც მეტაფრასული მიმართულება ბიზანტიაშიც კი მეათე საუკუნის მიწურულიდან იწყება. ასე რომ საკითხი შიო მღვიმელის «ცხოვრების» ავტორის შესახებ ღიად უნდა დარჩეს.

თხზულება დაწერილი უნდა იყოს არაუადრეს მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა. ამაზე ადრე ჩვენში განმტკიცებული ვერ იქნებოდა ტიტული «პატრიარქი» (გვ. 123, აბულ.) «კათოლიკოზის» მაგიერ [3].

აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა. ამ თხზულების თავდაპირველი, კომენური რედაქცია დაუწერია, როგორც ვამბობდით, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში კათოლიკოზ არსენი დიდს საფარელს [4]. სამწუხაროდ, ეს შრომა არ შენახულა იმ სახით, როგორითაც ის არსენის ხელიდან გამოვიდა. შემდეგში ის გადაუკეთებიათ და გადაუმუშავებიათ იმდროს გაბატონებული ლიტერატურუ-

---

[1] Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, S. 88, 109.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, მარტვირი ქართველი (VI—VII ს.) და მისი შრომა «სინანულისა და სიმდაბლისათჳს», «ლიტერატურული ძიებანი», ტ. III, 261—311. მ ი ს ი ე ე, ძველი მწერლობის ისტორია I [3], გვ. 110—111.

[3] პ ა რ დ ა რ გაუგებრობაცაა აგრეთვე შეხედულება მ. ფ ე რ ა ძ ი ს (Die Anfänge Monchtums in Georgien) დ ა მ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს (Geschichte der kirchlichen georgischen Literatur. S. 411, Anmer. 2), რომ იოანე ალავერდელის «ცხოვრება», დაწერილი XVIII ს. მაკრინე იოანელი I ასულის მიერ, შეკვეცილია XI საუკუნემდეო, რადგანაც იქაში არაფერია ნათქვამი ანტიოქიელ ს ქართლში ჩადგომის შესახებ.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია I [3], 124.

ლი გეპოვნებისა და მიმართულების შესაბამისად. გადამკეთებელს, მეტაფრასტს თავდაპირველი რედაქცია ალაგ-ალაგ შეუმოკლებია, ზოგი რამ დაუმატებია მისთვის, მაგალითად, თავში პროლოგი, ბოლოში ეპილოგი და შუაში მსჯელობა იმის შესახებ, რომ ცეცხლი არაა ღმერთი[1]. ეს უკანასკნელი, მეტაფრასული რედაქცია მარტვილობისა პირველად გამოსცა მ. საბინინმა «საქართველოს სამოთხეში», მეორედ ილ. აბულაძემ[2].

ვინ არის ავტორი მეტაფრასული რედაქციისა? ამას ჩვენ ვტყობილობთ თხზულების შესავლიდან, სადაც ნათქვამია: «ჩემი არს მოწამე ესე და არა სხჳსაჲ, ჩემისა ამის საყდრისა ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩემდა მომღებელი». მაშასადამე, ავტორი ამ რედაქციისა არის ნეკრესის რომელიღაც ეპისკოპოსი, რომელიც აბიბოსს თელის თავისი საყდრის ან ეპარქიის მშვენიერ ნაყოფად. მარტვილობაში მოხსენებული და გამოყენებული «წიგნი აბიბოსის წამებისა» არის თხზულება კათოლიკოზის არსენი დიდის საფარელისა; ეს რომ ასეა, ჩანს სათაურიდან: «თქუული არსენი დიდისა, ქართლისა კათალიკოსისაჲ», ეს სათაური ძველი რედაქციიდან გადმოსულა აქ.

თხზულება შედგენილია არაუადრეს მეთორმეტე საუკუნისა[3].

მარტვილობა დავით და კონსტანტინესი[4]. დავით და კონსტანტინე, არგვეთის მთავარნი, ეწამნენ არაბთა მეორედ შემოსევისას (737—741 წწ.). «დასაბამთაგან წელთა ექუსი ათას ორას ორმეოცდა ცხრასა, მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისაეროჲსა ხატთამბრძოლისასა». (გვ. 330), არაბთა ლაშქრის სარდლის მურვან ყრუს მიერ. მათი ღვაწლი და მოთმინება ძველადაც ყოფილა აღწერილი, ეს აგიოგრაფის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: «ვითარცა გჳსწავიეს ესე ძუელთა უწყებათაგან, იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი სანახებისაგან არგუეთისაო» (გვ. 324). «ძუელნი უწყებანი» საისტორიო თხზულებას არ უნდა გულისხმობდეს, ვინაიდან დავით და კონსტანტინეს არ იხსენიებს არც ერთი ქართველი არაბთა შემოსევის ისტორიკოსი — არც ჯუანშერი და არც სუმბატი, მაშასადამე, ავტორს მხედველობაში აქვს ძველი რედაქცია დავით და კონსტანტინეს მარტვილობისა, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა და რომელიც მას გამოუყენებია თავისი მეტაფრასული შრომის შედგენისას. ავტორს ხელთა ჰქონია კიდევ «წარტყუენეაჲ იერუსალიმისაჲ» (გვ. 323) ანტიოქე სტრატიგისა, რომელიც მეათე საუკუნეშია ნათარგმნი, და ჯუანშერის საისტორიო თხზულება, საიდანაც მას ამოუღია მოთხრობა მურვან ყრუს შემოსევის შესახებ ყველა მისი დეტალით. ხელთა ჰქონია მას აგრეთვე ერთი იმ ანტიმაჰმადიანურ-პოლემიკურ თხზულებათაგანი, რომელნიც არსენ ვაჩესძის დოგმატიკონშია მოთავსებული. ამისდა მიხედვით შესა-

[1] კ. კეკელიძე, ანტიმაზდეისტური პოლემიკის დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 53—56).

[2] ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გვ. 188 — 196.

[3] იხ. კ. კეკელიძე. საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსელის შესახებ (ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 47—50).

[4] «საქართვ. სამოთხე», გვ. 323—330; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 233—240.

ძლებელია ვიფიქროთ, რომ მას თავისი შრომა დაუწერია არაუადრეს მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა.

ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა. სამწუხაროდ, ეს შრომა არ შენახულა იმ სახით, რა სახითაც ის გამოვიდა მისი ავტორის, ბასილის, ხელიდან (იხილ. ზემოთ). როდესაც ქართულ მწერლობაში ფეხი მოუდგამს ე. წ. მეტაფრასულ მიმართულებას, ბასილის შრომასაც განუცდია ამ მიმართულების გავლენა: ვიღაც მეტაფრასტს უკისრია მისი შეკეთება და განახლება. ეს რომ ასეა, შემდეგი გარემოებიდანაც ჩანს. პირველი: სიტყვები — «თჳთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისაჲ აღწერა და იტყჳს», ანდა: «ამისსა შემდგომად ბასილი მიითუალა წინამძღურობაჲ, რომელმან კეთილად იღუაწა ჟამ რაჲოდენმე», არ შეიძლება თვით ბასილს ეკუთვნოდეს. მეორე: ციტაცია, რომელსაც ადგილი აქვს თხზულებაში; სერაპიონის ცხოვრებასა და სასწაულთმოქმედებას ავტორი, თანახმად მეტაფრასული ტრადიციისა, პარალელს უძებნის სხვადასხვა მეუდაბნოისა და წმინდანის ცხოვრებაში, როგორც, მაგალითად, მაკარი ეგვიპტელი, ექვთიმე, საბა და გერასიმე, ბესარიონ ბერი, თეოდოსი დიდი, გრიგოლ საკვირველთმოქმედი, გრიგოლ აკრაკანტელი და სხვ. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, თხზულების გადაკეთების ქრონოლოგიის თვალსაზრისითაც, ხსენება გრიგოლ აკრაკანტელისა, რომლის ცხოვრება, ბერძნულად მე'შვიდე საუკუნის გასულს (688 წ.) დაწერილი, ქართულად მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს თარგმნა დავით ტბელმა. ეს ციტაცია არ შეიძლება თხზულების ავტორს, ბასილს, ეკუთვნოდეს. ჩვენ არ ვიცით, ვინაა გადამკეთებელი ცხოვრებისა და რა ეკუთვნის მას ამ თხზულებაში. ერთი კი შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ცხოვრების ფაქტობრივი მხარისათვის მას ხელი მაინცდამაინც არ უხლია. ამით აიხსნება, რომ იმ ადგილები, რომელნიც ბასილს პირველი პირით ჰქონდა მოთხრობილი სერაპიონის თანამგზავრთა და თანამოღვაწეთაგან, მეტაფრასტსაც უცვლელად, პირველი პირით, გადმოუცია. მეტაფრასტის ხელი ჩანს თხზულების შემდეგ სიტყვებში: «ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუენდა; რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველთმოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ჭეუეყანასა ქართლისასა» (გვ. 150). ბასილისაგან, რომელიც არც ისე დიდად იყო დაშორებული თავისი ბიძის დროიდან, გაუგებარი იქნებოდა განცხადება: ეს ცნობა მამათა მიერ მოვალს ჩუენდაო. ეს გასაგები იქნებოდა მეტაფრასტისაგან, რომელიც, როგორც, უდავოდ მეთერთმეტე საუკუნის ნახევრის მოღვაწე, მეტი თუ არა, ერთი საუკუნით მაინც იყო დაშორებული სერაპიონის დროიდან. მეტაფრასტს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე პროლოგი (თ. 1) და ეპილოგი (თ. 20) თხზულებისა, ისინი მეტაფრასული მწერლობის უტყუარ კვალს ატარებენ. ზედმეტია, რასაკვირველია, ლაპარაკი თხზულების ენის შესახებ, რომელიც ვერაფითარ შემთხვევაში მეთერთმეტე საუკუნეზე ადრინდელად ვერ ჩაითვლება.

• •
•

ჩამოთვლილთ გარდა ჩვენ გვაქვს კიდევ ორი მეტაფრასული აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ჩვენ მიერ უკვე განხილულია; ერთია ნინოს ცხოვრება, რომელიც არსენ ბერს დაუწერია, და მეორე — ილარიონ ქართველისა, რომელიც თეოფილე ხუცესმონაზონს უნდა ეკუთვნოდეს [1].

ასეთია ისტორია ქართული მეტაფრასული აგიოგრაფიისა, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში დამთავრებულა; საერთოდ კი ქართული აგიოგრაფიული მწერლობა, იგულისხმება ორიგინალური, მერეც არ შეწყვეტილა. მაგალითად, მეცამეტე საუკუნის გასულს ან მეთოთხმეტის დამდეგს დაწერილი უნდა იყოს «ცხორებაჲ წმიდისა ლუკა იერუსალიმელისაჲ», რომელიც შენახულა სვინაქსარული სახით გიორგი მთაწმიდლის დიდი სვნაქსარის იერუსალიმის წუსხაში № 104 [2]. ლუკა იყო ქართველი, შვილი მუხა აბაშიძისა. ქვრის გარდაცვალების შემდეგ ლუკას დედას მიუტოვებია შვილები და იერუსალიმს წასულა, სადაც ის მონოზნად აღკვეცილა და, ალბათ, ერთ-ერთ იქაურ ქართულ დედათა მონასტერში მოღვაწეობა დაუწყია. ოცი წლის რომ შეიქნა, ლუკამ მიატოვა ძმები და მამული და იერუსალიმს წავიდა წმინდა ადგილთა მოსალოცავად და დედის სანახავად. ისიც აქ დარჩა, ბერად აღიკვეცა და დიაკვნადაც ეკურთხა; მან შეისწავლა არაბული ენა. როდესაც ყველასათვის ცხადი შეიქმნა მისი «ორკერძოვანე სიბრძნე» და სიწმინდე, ის აირჩიეს ჯვარის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობაზე, რომელსაც ის ასრულებდა სამი წლის განმავლობაში. ამ დროს გამოჩნდა იქ ერთი უკეთური «სპარსი», რომელსაც შეხკიდარ ეწოდებოდა და დიდი გავლენა ჰქონდა სულტან ფუნდუხტ ან ფუნდრუხტინზე. სულტანისაგან მან გამოითხოვა ჯვარის მონასტერი და, რაც კი ებადათ ძმებს, ყველაფერი ჩამოართვა მათ და მერე მონასტრიდან გააძევა. ლუკა, როგორც წინამძღვარი, წავიდა სულტანთან საჩივლელად და საშუამდგომლოდ. ქრისტიანებმა უთხრეს მას, რომ შეხკიდარს შენი მოკლა განუზრახავს და ამიტომ გაიქეცი და დაიმალეო. ლუკამ არამცთუ უარადღება არ მიაქცია ამ გაფრთხილებას, პირიქით, მივიდა შეხკიდართან «და უთხრა, რათა განუტეოს ძმანი და მისგან ითხოვოს რაიცა უნებს». შეხკიდარმა მას მოსთხოვა ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება, რისთვისაც აღუთქვა ამირობა და «ტაძრისა თავადობა», ესე იგი სასახლის გამგეობა. ლუკამ უარი თქვა, ამისათვის შეხკიდარმა მას თავი წარკვეთა და გვამი მისი ცეცხლში დაწვა. ლუკა ეწამა 27 ივნისს «სულტანობასა ფუნდრუხტანის» ან ფუნდუხტისასა, რომელიც ცნობილია ზახირა

[1] კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, «თბილ. უნივერსიტეტის მოამბე», I, 52 — 57.

[2] გამოცემულია დ. ყიფშიძის მიერ: «Известия Кавказского Историко-Археологического Института», т. II, 1927, გვ. 60—62. ს. ყუბანეიშვილი, კრესტომათია I, გვ. 253 — 254.

რუკნედინ-ბეიბარს-ბუნდუკდარის სახელით და სულტნობდა 1260 — 1277 წლებში.

ეს ცხოვრება, რომელიც, ალბათ, დაწერილია იქვე ჯვარის მონასტერში, საყურადღებოა ქართველთა სამონასტრო ახალშენის ისტორიისათვის პალესტინაში და, საზოგადოდ, პალესტინოლოგიისათვის. კერძოდ, საინტერესოა ცნობა იმის შესახებ, რომ ეცამეტე საუკუნეში ჯვარის მონასტერი ქართველებისათვის წაურთმევიათ მამლიუკებს, რასაც ამოწმებენ არაბი ისტორიკოსებიც. როგორც, მაგალითად, იბნ-ქესირი (გარდ. 1373 წ.). ეს მონასტერი მერე უკანვე დაუბრუნებია მეფეთა-მეფე დავით მეექვსეს (1292—1310 წწ.), როგორც ეს ჩანს ჯვარის მონასტრის აღაპებიდან, ხელნაწერში (№ 288) ამის თაობაზე ნათქვამია: «ამაღე დღეს წირვაჲ და აღაპი საუკუნოჲ დავით მეფეთა მეფისაჲ და მეორედ აღმაშენებელისაჲ წმიდის ამის მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუენული მონასტერი და ეკლესიაჲ, მიზეითად შეცვალებული, ეკლესიადეე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავსა ქართველთასაო»[1]. ხასიათი სვინაქსარული რედაქციისა გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად არსებობდა ვრცელი ცხორება ლუკასი, რომელიც ან დაიკარგა, ან ჯერ აღმოჩენილი არაა. ეს ვრცელი ცხორება შეუმოკლებიათ და შეუტანიათ გიორგი მთაწმიდლის დიდ სეინაქსარში მსგავსად სხვა ქართველი წმინდანების ხსენებისა.

მეთოთხმეტე საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი «ცხოვრებაჲ წმინდისა ნიკოლოზ დვალისაჲ», რომელიც სვინაქსარული რედაქციით შენახულა უკვე დასახელებულ იერუსალიმის ხელნაწერში № 104[2]. ნიკოლოზი იყო დვალი, ესე იგი დვალეთიდან, «სოფლისაგან, რომელსა ეწოდების წაჲ». 12 წლისა ის მონაზვნად აღიკვეცა და «მცირედსა ხანსა» კლარჯეთის უდაბნოებში მოღვაწეობდა. აქედან ის წავიდა იერუსალიმს და დაემკვიდრა ჯვარის მონასტერში. ვინაიდან მას სურვილი ჰქონდა ქრისტესთვის მოწამეობისა, «პოვა თარგმანი სპარსი ვინმე კაცი და მოტყუებით ყადისსა მიიყვანა»; აქ მან აღიარა ქრისტე და დაგმო მაჰმადიანობა, რისთვისაც ის დაატუსაღეს. მისდა უნებურად მონასტრის ძმებმა ის გამოიხსნეს და კვიპროსის კუნძულზე წარგზავნეს. კვიპროსზე ის კარგა ხანს დარჩა, აქედან განიზრახა ათონზე წასვლა, მაგრამ «ჩვენებით ბრძანება მოიღო» იერუსალიმს წასულიყო და ერთ ქართველ ბერს დამოწაფებოდა. ნიკოლოზი ასეც მოიქცა, მოვიდა იერუსალიმს, მოძებნა ის ბერი, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დამასკოს წარგზავნა, რათა «ღირს იქმნეს საწადელსა მისსა, სიკუდილსა ქრისტესთჳს». დამასკოში მან აღიარა ქრისტე და დაგმო მაჰმადიანობა, რისთვისაც მას ჯერ სცემეს და მერე საპყრობილეში ამოაყოფინეს თავი. იქაურმა ქრისტიანებმა ის გაანთა-

[1] H. Marr, Синодик Крестного монастыря в Иерусалиме, «Bibliotheca Armeno-Georgica», III. Петерб., 1914, стр. 72, № 288.

[2] გამოცემულია დ. ყიფშიძის მიერ: «Известия Кавказского Историко-Археологического Института», т. II, 1927, გვ. 63—65. ს. ყუბანეიშვილი. ქრესტომათია I, გვ. 254—255. ჯვარის მონასტრის «ჯამნი» XIV ს. (Blake, № 143) გადაუწერია ვინმე მიქელ დეაკს.

ვისუფლეს და იერუსალიმში უპირებდნენ წარგზავნას, მაგრამ ნიკოლოზმა ხელმეორედ აღიარა სჯაროდ ქრისტე და შეურაცხყო მაჰმადიანობა. ამისთვის მას ხუთსი შოლტი დაარტყეს და საპყრობილე მიუსაჯეს, რომელშიაც ორი თვე დაჰყო. ქრისტიანებმა კიდევ გაანთავისუფლეს ის და კვლავ იერუსალიმში უპირებდნენ გაგზავნას, მაგრამ ამ დროს აქ იყო ქალაქის ამირა, რომელმაც იცნო ნიკოლოზი; მან შეიპყრო ის და გაუგზავნა ამირათა ამირას დ ე ნ გ ი ზ ს, რომელმაც მოინდომა მისი გამაჰმადიანება. ვინაიდან ნიკოლოზმა ურჩობა გაუწია, მას თავი მოჰკვეთეს და გვამი მისი ცეცხლით დასწვეს. ეწამა ნიკოლოზი ოკტომბერსა 19, დღესა სამშაბათსა, ჭორონიკონსა ორსა, და წმინდათა მოწამეთა თანა შეირაცხა. მისი ცხოვრება ჩვენამდე შენახულა მოკლე, სვინაქსარული რედაქციით, მაგრამ მაინც დიდად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ გვიხატავს ნამდვილ, რეალურ სურათს ქართველთა მდგომარეობისას აღმოსავლეთში მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეში. ნიკოლოზის სოფელს ერქვა წაჲ. მართალია, თერგის ოლქში ცნობილია ზემო და ქვემო წეი, მაგრამ საეჭვოა აქ თერგის ოლქი იგულისხმებოდეს, მით უმეტეს, რომ ნიკოლოზი იყო დ ვ ა ლ ი. ესე იგი დვალეთიდან, დიდი ლიახვის ხეობიდან, ოსეთიდან [1]. ყოველ შემთხვევაში, ეს ძეგლი საინტერესოა იმით, რომ ცნობებს გვაწვდის ოსების ქრისტიანიზაციისა და ქართიზაციის შესახებ. ნიკოლოზი იერუსალიმიდან გაუგზავნიათ კვიპროსის კუნძულზე, ალბათ, იმიტომ, რომ ქართველთა მონასტერი ამ კუნძულზე, რომელიც მოხსენებულია ჩვენს მატიანეში და რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, მაშინაც იყო. ეწამა ნიკოლოზი «ქორონიკონსა ორსა», რასაკვირველია, მეთოთხმეტე მოქცევისას, ესე იგი 1314 წელს, როდესაც დამასკოს «ამირათა ამირად» ყოფილა დენგიზ ან დანგიზი. ეს არის არაბი ისტორიკოსების მიერ ხშირად მოხსენებული ტ ე ნ ქ ი ზ ი, რომელიც იყო მამლუკთა სულტანის ა ლ-მ ე ლ ი ქ-ა ნ ნ ა ს ი რ მ უ ჰ ა მ ე დ-ი ბ ნ-ქ ა ლ ა უ ნ ი ს [2] მოადგილე სირიაში და გარდაიცვალა 1340 წელს. ის მართლაც ცნობილია ქრისტიანთა მიმართ სიძულვილით.

უკანასკნელს, მეტად საყურადღებო, საფეხურს ქართული აგიოგრაფიის ისტორიაში მეთვრამეტე საუკუნე წარმოადგენს. ამ საუკუნეში ბესარიონ ქათოლიკოსს (1730 — 35) დაუწერია მოთხრობა-ისტორია რაჟდენის, არჩილ და ლუარსაბ მეფისა, ისე წილკნელისა და ბიძინა — შალვა — ელიზბარისა. გრი-

---


[1] ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს დვალების ეთნოგენეზის საკითხი, რომლის შესახებ, ანტიკურ მწერალთა და ვახუშტი ბატონიშვილის ბუნდოვანი მონაცემების საფუძველზე, ვ. გ ა მ რ ე კ ე ლ ი თავისებურ დასკვნებს აკეთებს (О племени Двалов, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, 179—210). საკმარისია ვიცოდეთ, რომ XIV საუკუნის დამდეგს (ნიკოლოზ დვალი გარდაიცვალა 1314 წ.) დვალები უკვე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, ოსების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ (ვ. გამრეკელი, გვ. 185) და, როგორც ნიკოლოზის თავგადასავლიდან ვტყობილობთ, ქართული კულტურულ-ეკლესიური კოლექტივის წევრები არიან.

[2] 1293—1341 წლებში, Лэн-Пуль, Мусульманские династии, перев. Бартольда стр. 63.

გოლ დოდორჭელს შეუთხზავს მარტვილობა ქეთევან დედოფლისა, ხოლო ანტონ კათოლიკოსს — ცხოვრება ნეოფიტე ურბნელისა, წამება ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფისა და აგრეთვე მ ა რ ტ ი რ ი კ ა, რომელიც შეიცავს მოკლედ ღვაწლსა და ცხოვრებას 19 ქართველი წმინდანისას. ამავე საუკუნის დამდეგს, ეფიქრობთ კათოლიკოსის დომენტი III-ის (1704—1729) ინიციატივით, დაუწყიათ შედგენა ქართველ[1] წმინდათა ცხოვრება-მარტვილობათა «მრავალთავისა», რომლის ყველაზე ადრინდელ ნუსხას წარმოადგენს ხელნაწერი A 130 (1713 წ.).

---

[1] შეად. ნუსხები A 170 (1733 წ.), 176 (1734—1736) და H 2077 (1736 წ.).



7. ასკეტიკა და მისტიკა

ქართული ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა მეათე საუკუნემდე. პატერიკები და აპოფთეგმები. ქართული ორიგინალური მისტიკა — მარტვილი საბაწმიდელი. ასკეტიკა და მისტიკა XI — XIII და XVIII სს., მისი ხასიათი.

სამონასტრო ცხოვრებისა და იდეოლოგიის განვითარებამ ხელი შეუწყო ეგრეთ წოდებულ ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის წარმოშობას. საქართველოში სამონასტრო ცხოვრება იწყება «ათაცამეტ ასურელ მამათა» მოსვლის შემდეგ მეექვსე საუკუნის ნახევრიდან. მანამდის ასკეტიკურად განწყობილი ქართველები საზღვარგარეთ პოულობდნენ თავშესაფარს და ზოგიერთი მათგანი შესამჩნევ კვალსაც ტოვებდა. ასე, მაგალითად, გამოჩენილ პეტრე ქართველზე (V ს.) რომ არ ვილაპარაკოთ, არ შეგვიძლია არ დავასახელოთ ცნობილი ევაგრე პონტოელი (346—399), რომლის ქართული წარმოშობა ბერძნულ და კოპტურ ლიტერატურაშიც კია დადასტურებული, მოვიგონოთ აგრეთვე 13 სირიელი მამები. მეცხრე-მეათე საუკუნეში სამონასტრო ცხოვრება საქართველოში ძალზე განვითარდა, ეს საუკუნეები იყო ჩვენში ეპოქა ბერ-მონაზონთა შეუზღუდველი და შეუკავებელი ბატონობის პრეტენზიებისა ცხოვრების ყოველ დარგსა და სფეროში. სამონასტრო ცხოვრების განვითარებამ საქართველოში შექმნა ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა, რომელიც, ძირითადად ჯერჯერობით ნათარგმნი იყო. მეშვიდე საუკუნიდან გვაქვს ერთი ძეგლი, ესაა მარტკრი მონაზონის საბაწმიდელის თხზულება «სინანულისათჳს და სიმდაბლისა» [1]. ამ თხზულებაში ჩვენ გვაქვს

[1] A 56, 239 — 280; სინას მთის ხელ. № 36 — 84, ფ. 89—103. იხ. კ. კეკელიძე, მარტვილი ქართველი და მისი შრომა «სინანულისათჳს და სიმდაბლისა» («ლიტერ. ძიებანი», III, 261—315). მართლია. ამ თხზულებას ევროპაში ზოგიერთი მკვლევარი სირიულიდან ნათარგმნ შრომად თვლიდა, მაგრამ, რადგანაც ეს ჯეროვნად დასაბუთებულად არ მიგვაჩნია, იმას ქართულ ნაწარმოებად ვთვლით (იხ. ზემოთ მარტვილი საბაწმინდელი).

ქართული ასკეტიკის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში. მართალია, პირველი პერიოდიდან ჩვენამდე ბევრი ლიტერატურული ძეგლი არ შენახულა, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ უკვე მეათე საუკუნემდე ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობა საკმაოდ დამუშავებული ყოფილა ჩვენში. ამ დროს ნათარგმნ ასკეტიკურ-მისტიკურ თხზულებათაგან ზოგი ისეთია, რომელნიც და რომელთა ავტორები მწერლობის ისტორიაში ცნობილი არ არიან. ასეთებია: 1) პიმენი, რომლის «სწავლანი», შენახულა სინას მთის 979 წ. ხელნაწერში № 81. 2) საჰაკ მონაზონი, რომლის 31 «თქუმული» შემოუნახავს Q, 36. ჩვენ არ ვიცით, ვინაა ეს საჰაკ მონაზონი, ისააკ ასურელი (VII ს.) თუ ანტიოქელი (გარდ. 460 წ.). 3) აბრაჰამ მონაზონი; სინას მთის X—XI საუკ. ხელნაწერში № 80 მოთავსებულია, სხვათა შორის, ამ აბრაჰამის «სწავლანი», მაგრამ რამდენი — არ ვიცით; ერთი მისი «თქუმული» მოთავსებულია A 56, 443 — 444.

საკმაოდ შენახულა ამ პერიოდიდან ცნობილ ასკეტთა და მისტიკოსთა თხზულებანიც, რომელთაგან, ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით, შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი: 1) ანტონი დიდი (გარდ. 356 წ.); შემომღებელი ეგრეთ წოდებული დაყუდებითი, ან განშორებითი, მწირული მოღვაწეობისა. ანტონისაგან დარჩენილა, სხვათა შორის, შვიდი ეპისტოლე[1], რომელიც მას მიუწერია ეგვიპტის სხვადასხვა მონასტრისათვის. დაწერილია ისინი კოპტურ ენაზე, საიდანაც მერე სხვა ენებზედაც უთარგმნიათ. კოპტურ ენაზე ახლა ცნობილია მხოლოდ მეოთხე ეპისტოლე, ბოლო მესამისა და დასაწყისი მეხუთისა, აგრეთვე მეშვიდე. უძველესი თარგმანი შვიდივე ეპისტოლეთა შენახულა ლათინურ ენაზე. ქართულად ანტონის ეპისტოლენი უთარგმნიათ ძველადვე, იმათ ჩვენ ვხვდებით, რიცხვით შვიდს, არც მეტს, არც ნაკლებს, სინას მთის X—XI სს. ხელნაწ. № 80. ამას გარდა, ანტონისაგან დარჩენილა ქართულად აუარებელი აფორიზმი და დარიგება, რომელნიც შესულან საგანგებო ასკეტიკურ-მისტიკურ კრებულებში; მათ შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. 2) ამბა ამონა, 3) მარკოზ მონაზონი ან განდეგილი, 4) არსენ ჰრომაელი[2], 5) სვიმეონ მესვეტე[3], 6) იოანე მოსხი, რომლის თხზულებას — Λειμών τοῦ Πράτου, ქართულად ეწოდება სამოთხე, 7) იოანე სინელი, რომლის Κλῖμαξ-ი, ქართულად კიბე, ხუთჯერ ყოფილა ქართულად თარგმნილი (ექვთიმე ათონელის დრომდე, ექვთიმე ათონელის, იოანე პეტრიწის, პეტრე გელათელისა და ანტონ კათოლიკოსის მიერ), 8) მაკარი მეგვიპტელი, რომლის ორი ეპისტოლე და 28 სწავლანი[4] უთარგმნია ექვთიმე ათონელს[5],

[1] Migne, PG. t. 40, col. 977—1000 G. Garitte, Les lettres saint Antoine en Géorgien. Muséon, t. 64, 3—4. p. 267—278.

[2] G. Garitte, Une lettre de s. Arséne en géorgien (Muséon, t. 68, p. 259—267, 1955).

[3] K. Kekelidze, Monumenta..., I. XLVI—XLVII. 228—230.

[4] А. Цагарели, Сведения, I, 83—84, II, 35; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 70, ჭეთ. სახელმწ. ისტორიული მუზეუმი, № 181.

[5] ქართული თარგმანი ბერძნული ტექსტისაგან განსხვავდება. იხ. О. Шушанія, Мистика Макарія Египетскаго, Киевъ, 1914 г.

9) ეფრემ ასური, რომლის თხზულებანი ძველად, მეათე საუკუნემდე, ორ ჯგუფად უთარგმნიათ: ერთი შეიცავს 16 თავს [1], მეორე — 25-ს [2]; მერე, მეათე საუკუნიდან, მისი თხზულებანი, როგორც დაეინახეთ, უთარგმნიათ ექვთიმე ათონელს და ეფრემ მცირეს. 10) სწავლად სტეფანე მძოვრისა საბა წმიდელისად, რომელი ზღუასა ზედა ვიდოდა [3].

მეათე საუკუნემდეე გადმოუღიათ ქართულად საგანგებო კრებულები ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის აფორიზმებისა და სენტენციებისა, რომელთაც ეწოდება Ἀνδ̣ῶν Ἁγίων Βί̣βλος და Ἀποφθέ̣γματα τῶν ἁγίων γεροντῶν. ბავშვები სწავლობენ უფროსებისაგან, კაცობრიობა აწინდელი დროისა სწავლობს წარსულისაგან, — ისტორიისაგან; ამისათვის ის მუდამ ცდილობდა შეენახა ნაყოფი თავისი გამოცდილებისა, რა სახითა და ფორმითაც უნდა ყოფილიყო ის. მაგრამ ლიტერატურულ ფორმათაგან ან გამოცდილების შესანახად ანდაზებსა და აფორიზმებს არც ერთი არ შეედრება, ამიტომ მოკლე და ჩამოსხმული თქმულებანი, ან უკეთ — ნაკვესები დიდი ადამიანებისა, მუდამ ავტორიტეტით იყო მოსილი, იმათ სერიოზულად ეპყრობოდნენ, გულდადებით და ბეჯითად სწავლობდნენ. შეიქმნა მთელი განძი ასეთი აფორიზმებისა, რომლებიც პირველხნობით ზეპირად ინახებოდა საზოგადოებაში და მერე ჩაიწერა კიდეეაც. ამ განძიდან, ამ წყაროდან, ყველა იღებდა იმას, რაც მისთვის საჭირო იყო ამა თუ იმ შემთხვევაში. ამ გზით წარმოდგა, მაგალითად, სხვადასხვა კრებული ფილოსოფიური აზრებისა და სენტენციებისა. ამგვარივე ხასიათისაა ასკეტიკურ-მისტიკური კრებული, რომელშიაც თავმოყრილია უძველესი დროის, არაუგვიანეს მეხუთე საუკუნის, გამოჩენილ და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილ მოღვაწეთა თქმულებანი, სენტენციები, ნაკვესები და აფორიზმები. ამ კრებულებს დიდი გასავალი ჰქონია ბერ-მონაზონთა წრეში, ისინი შეადგენდნენ დაუშრეტელ წყაროს მათი გონებრივი და ზნეობრივი აღორძინებისა და წარმატებისას. ასეთი კრებული შეიცავს ხშირად არა მარტო აფორიზმსა და ნაკვესს. არამედ მოკლე მოძღვრებას ამა თუ იმ ასკეტისას, ხანდახან რჩეულ ასკეტთა მთლიან მსჯელობას ამა თუ იმ ზნეობრივ თემაზე. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ აფორიზმს სრულიადაც ვერ ვამჩნევთ, იმის მაგიერ ვკითხულობთ ან ადგილისა და დროის აღწერილობას, სადაც და როდესაც წარმოთქმული იყო ესა თუ ის აფორიზმი, ანდა მთელს ზნეობრივი ხასიათის მოთხრობასა და თქმულებას რომელიმე ასკეტის ღირსება-მოღვაწეობის შესახებ. ამნაირად, დასახელებული ნაწარმოებები წარმოადგენს კრებულს არა მარტო აფორიზმებისას, არამედ ამ აფორიზმებისა და ამა თუ იმ ასკეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ თქმულება-მოთხრობებისას. ბერძნულსა და სხვა (ლათინურ, არაბულ, კოპტურ, სომხურ და სლავურ) ენებზე შენახულა ბევრისბევრი ასეთი კრებული. ბერძნულ-ლათინური ტექსტი რამდენიმე ასეთი კრებულისა გამოცემულია Migne-ს «პატროლოგიის» 73 — 74 ტომში Vitae

[1] ათონ. № 69; სინას მთის № 36 — 84; A 56, 1179.

[2] სინას მთის № 78 (ცაგარელის კატალოგით).

[3] გამოცემულია G. Garitte-ს მიერ (Muséon, t. 67, S. 71—92, 1954).

Patrum-ის სახელით. ტიპიურია აქ ის რედაქცია, რომელიც ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნიათ მეექვსე საუკუნის პირველ მეოთხედში რომის დიაკონს პელაგისა და კერძოდიაკონს იოანეს. ეს რედაქცია შედგენილია ბერძნულ ენაზე მეხუთე საუკუნის ნახევარში; შემდეგ საუკუნეებში ის თანდათანობით შეუცვლიათ, ასე რომ მეცხრე საუკუნეში ფოტი პატრიარქს ხელთ ჰქონია ეს კრებული შემდეგი სათაურით: Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος. ხასიათი და შედგენილობა ამ კრებულისა ასეთია: ის ორ ნაწილად განიყოფება, პირველში წარმოდგენილია აფორიზმები ისეთი ასკეტებისა, რომელთა სახელები ცნობილია. ეს ნაწილი 20—23 თავადაა დაყოფილი, თითოეულ თავში ლაპარაკია ერთ რომელიმე ზნეობრივი ხასიათის საგანზე ან თემაზე, მაგალითად, სიყვარულზე, სინანულზე, ღვთისმოშიშობაზე და სხვ. მეორე ნაწილი შეიცავს უსახელო ან ანონიმურ აფორიზმებს. თავისთავად საფიქრებელია, რომ ამ კრებულს, რომელიც ყველა ენაზე იყო ცნობილი და რომელსაც ჰყავდა ფართო წრე მკითხველებისა, ქართულადაც სთარგმნიდნენ. მართლაც, ის სამჯერ, სამი სხვადასხვა რედაქციით, უთარგმნიათ ქართულად, ორი მათგანი ნაკლულევანადაა შენახული. პირველი რედაქცია, რომლიდანაც მხოლოდ ერთი თავი შენახულა, ნათარგმნია ვეათე საუკუნეზე გაცილებით ადრე [1]. აქ ჩვენ გვაქვს მეორე თავი იმ თხზულებისა, რომელსაც სათაურად აქვს «სწავლანი ანტონისანი»: «ჯდა ოდესმე წმიდაჲ ანტონი უდაბნოსა გარე, ურვასა შევარდა და მრავალსა სიბნელესა გულისსიტყუათასა, და იტყოდა ღმრთისა მიმართ». მეორე რედაქცია ეკუთვნის ექვთიმე ათონელს და მეათე საუკუნის გასულს არის ნათარგმნი; ის შენახულა ერთადერთ ხელნაწერში (A 35), რომელსაც მეორე ნახევარი მოგლეჯილი აქვს; ამის გამო აღნიშნული თხზულებიდან დარჩენილა მხოლოდ 13 თავი. დარჩენილი ნაწილიდანაც ვხედავთ, რომ ექვთიმეს ეს თხზულებაც ისე უთარგმნია, როგორც მრავალი სხვა: ის მას დედანთან შედარებით შეუმოკლებია, რის გამო იმაში უფრო ნაკლები რიცხვია როგორც მოღვაწე-მამებისა, ისე მათი თქმულება-აფორიზმებისა. მესამე რედაქცია ამ თხზულებისა ეკუთვნის თეოფილე ხუცესმონაზონს [2] და წარწერილია ასე: «წიგნი წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხოვრებისათჳს და მოქალაქობათა». ეს რედაქცია ამნაირად იწყება: «სიტყუაჲ შესავალი: რომელი იგი არს პირველითგან ღმრთისა თანა, ღმრთისა სიტყუაჲ (Ὁ ὢν ἐν ἀρχῇ πρὸς Θεὸν Θεὸς λόγος)». მაშასადამე, ეს არის პროლოგი ან შესავალი, რომელსაც მერე მოჰყვება 24 თავი. უკანასკნელი (25) თავი შეიცავს კითხვა-მიგებას ახალგაზრდასა და თებელი ბერის შორის: «ვითარ ჯერ არს მონაზონისა ყოფაჲ სენაკსა შინა?» მაშასადამე, ამ ხელნაწერებში აღნიშნული თხზულება შენახულა არა იმ სახით, როგორც მას იცნობდა პატრიარქი ფოტი [3], არამედ როგორც ის

[1] A 95, 324—330; № 1109, ფ. 9.

[2] A 168, 169, 528, 688, 1105.

[3] Migne, PG. t. 103, col. 664—665.

შენახულა მოსკოვის სინოდის წიგნსაცავის ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში, მაგალითად № 163 [1].

პირველი პერიოდიდან შენახულა ერთი ასკეტიკური კრებული, რომელიც Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος-ის თავისებურ რედაქციას წარმოადგენს. ეს კრებული მოთავსებულია ივერიის მონასტრის მეათე საუკუნის ხელნაწერში № 50 [2] და ეწოდება: «გამოკრებულნი სადაჲთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი». კრებული გაყოფილია 38 თავად, თითოეულ თავში — ზოგი მოკლეა, ზოგი მოზრდილი — ლაპარაკია რაიმე ზნეობრივ თემაზე. მამათა რიცხვში მოხსენებულია იოანე ოქროპირი, ნილოსი, ანტონი, კლემაქსი, ეფრემი, პაფნუტი, მარტკვრი, ამონა, გრიგოლ ღვთისმეტყველი, პახომი, თეოდორე აბუკურა, მამა ილარიონ ჯუანშერი, ალბათ სხვა მრავალნი, რომელთა სახელები მ ა რ ი ს აღწერილობაში, რასაკვირველია, ყველა არ იქნება. აქ, ალბათ, ჩვენ გვაქვს Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος-ის უვრცელესი რედაქცია, რომელსაც პატრიარქი ფოტი «დიდს ლიმონარს» უწოდებს (Τοῦ μεγάλου καλουμένου λείμωνος βίβλος) და რომლიდანაც, მისი აზრით, უნდა წარმომდგარიყო Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος-ი, თუმცა პროფ. ტ რ ო ი ც კ ი ს აზრით «დიდი ლიმონარი», პირიქით, თვითონ წარმოიშვა მოკლე რედაქციებისაგან [3].

მეხუთე საუკუნის გასულს კრებულიდან Ἀνδρῶν ἁγίων βίβλος ვიღაც რედაქტორს ამოუღია ის აფორიზმები, რომელთა ავტორები ცნობილია და ანბანის რიგზე, თავებად დაუყოფლად, მოუთავსებია ცალკე კრებულში, რომელიც ცნობილია Ἀποφθέγματα τῶν ἁγίων γερόντων-ის სახელით (M i g n e, PG. t. 65). ამ კრებულში 130 ასკეტის სახელია მოყვანილი, თითოეულ მათგანს მიეწერება 1—52 აფორიზმი, მხოლოდ ერთს, პიძენს, 127; სულ ამ კრებულში მოთავსებული აფორიზმების რიცხვი უდრის 945, თუმცა ყველა რედაქციაში ერთი და იგივე რიცხვი არაა არც ასკეტებისა, არც მათი აფორიზმებისა. ზოგან გამოტოვებულია, ზოგან მიმატებულია სახელი, ზოგან რამდენიმე აფორიზმი შეერთებულია, ზოგან ერთი და იგივე აფორიზმი რამდენიმე აფორიზმადაა გაყოფილი. ეს თხზულებაც რამდენიმე რედაქციით ყოფილა ქართულად ნათარგმნი მეათე საუკუნემდე; ერთი რედაქცია მისი მოთავსებულია ნაკლულევნად სინას მთის X—XI სს. ორ ხელნაწერში [4]. მეორე რედაქცია შენახულა ათონის ივერიის მონასტრის XI ს. ხელნაწერში № 51 [5]. ათონის რედაქცია უფრო ვრცელია, ვიდრე სინას მთისა, რამდენადაც ეს შეიძლება გათვალისწინებულ იქნას არსებული აღწერილობებით. ათონის რედაქცია ნ. მ ა რ ს შეუდარებია ბერძნულ დედანთან და აღმოჩენილა, რომ ქართული რედაქცია, ბერძნულთან შედარებით, უფრო მოკლეა, მოღვაწე-მამათა რიცხვი

---

[1] Проф. И. Т р о й ц к и й, Обозрение источников начальной истории египетского монашества, Сергиев-Посад., 1906 г., стр. 326 — 329.

[2] Н. М а р р, Агиографические материалы, I. 9—15.

[3] «Обозрение источников начальной истории египетского монашества». стр. 328—329.

[4] №№ 76, 80, Проф. А. Ц а г а р е л и, Сведения, II, стр. 87, 88, 90, 91.

[5] Н. М а р р, Агиографические материалы, I, 16 — 36.

ქართულში ნაკლებია და თან მათი ჩამოთელის რიგიც სხვაა. რაც ქართული ანბანის რიგზეა დამოკიდებული. რა ენიდანაა ნათარგმნი ეს თხზულება ქართულად, საბოლოოდ ამას ნ. მარი ვერ სჩრის [1].

მეათე საუკუნისავე წინა დროიდან ქართულ ენაზე შენახულა კიდევ ერთი ასკეტიკური კრებული, რომელიც შეიცავს მოკლე მოთხრობებს ამა თუ იმ მოღვაწეთა შესახებ. ეწოდება მას «თხრობანი წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათანი». ამაში სულ 66 თხრობაა, 43 უსახელო და 23 წარწერილი, რომლებშიც მოხსენებული არიან: ბესარიონ და მისი მოწაფე, დანიელი (4-ჯერ), ანდრონიკე და მისი ცოლი ათანასია, ეულოგი, მარკოზ მონაზონი, სოფრონი და იოსები, ანტონი (2-ჯერ), სერაპიონი, პიმენი (3-ჯერ), ზენონი, მაკარი (2-ჯერ), პავლე წრფელი, სპირიდონი, მოსე, სარა, პაფნუტი, ფოკა და იაკობი, სისოი, ლოთი, კასიანე და არსენი. ეს კრებული მოგვაგონებს Patrum vitae-ს იმ სერიას, რომელიც ცნობილია «Narrationes de Daniele Scetiota»-ს სახელით [2].

მეორე პერიოდშიაც ბევრი უთარგმნიათ ასკეტიკურ-მისტიკური მწერლობის დარგში, განსაკუთრებით კი ექვთიმე ათონელს. ეს ასეც უნდა მოვხდარიყო: ექვთიმეს შრომითა და მეცადინეობით შეიქმნა ათონის ივერიის მონასტერი და იქ ჩამოყალიბდა ქართული საბერმონაზვნო ინსტიტუტი. ბერმონაზონთათვის კი აუცილებელ სულიერ საზრდოს შეადგენდა ასკეტიკურ-მისტიკური ლიტერატურა, რომლის გამდიდრებისათვის იმავე ექვთიმეს უნდა ეზრუნა.

ექვთიმეს შემდეგ ამ დარგში უმუშავნიათ სტეფანე ათონელს, რომელსაც გადმოუთარგმნია იოანე ოქროპირის ერთი კრებული, რომელსაც «ფუტკარი» ეწოდება, და თეოფილე ხუცესმონაზონს; მას გადმოუღია ერთ-ერთი რედაქცია 'Ανδρῶν ἀγίων βίβλος-ისა და იოანე ოქროპირის «ასკეტიკონი». «ასკეტიკონის» სახელით ცნობილია ბასილი დიდის კრებულიც, რომელიც ქართულად ორჯერ უთარგმნიათ მეთერთმეტე საუკუნეში: ვინმე პროკოპი მღვდელს და ეფრემ მცირეს. ეფრემ მცირეს, როგორც თავის ადგილას დავინახეთ, სხვაც უთარგმნია ამგვარი თხზულებანი. ეფრემ მცირის შემდეგ ქართულ ასკეტიკურ-მისტიკურ მწერლობას შეემატებია კიდევ დიადოხოს ფოტიკელის «თავნი ასკეტიკანი ასნი» [3], და ნილო სინელის; ა) «ღონმნი სწავლათანი სარგებლად სულისა» [4], ბ) «ღონმნი განმაყენებელნი განხრწნადთაგან და შემაერთებელნი უხრწნელთა თანა» [5], გ) «ეპისტოლენი» რიცხვით

[1] შემდეგ. XIX ს. დამდეგს ან XVIII ს. გასულს, აპოფთეგმები რუსულიდანაც უთარგმნიათ ქართველებს (А. Цагарели, Сведения, III, стр. 255, № 57).

[2] К. Кекелидзе, Житие Агафангела, католикоса Дамасского, «Христианский Восток», т. IV, вып. 3, стр. 252.

[3] A 60, 87—137: Migne. PG. t. 65, col. 1141 — 1148, 1167 — 1212: Проф. К. Попов, Блаженный Диадох, епископ Фотики древнего Эпира и его творения, Киев, 1903 г.

[4] A 60, 285—291; № 67, 84—88.

[5] A 60, 291 — 294; № 67, 88—91.

343[1]; ბერძნულ ენაზე შენახულა სულ 997 ეპისტოლე ოთხ წიგნად[2], მაშასადამე, ქართულად გამოკრებით უთარგმნიათ ის, დ) «ლოცვისათჳს თავნი რნბ»[3], რომლის შესავალი ქართულად უთარგმნელად დაუტოვებიათ[4]. ვის მიერაა ეს თხზულებანი ნათარგმნი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ენის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ნათარგმნი არიან ისინი არაუადრეს XII საუკუნისა.

ამავე პერიოდში უთარგმნიათ «თქუმული სიყუარულისათჳს და სულიერისა ცხოვრებისა პავლე მღდელისა მიმართ», რომელიც ეკუთვნის თალასე მონაზონს[5]. ეს თხზულება ნათარგმნი უნდა იყოს არაუგვიანეს XI საუკუნისა ათონის სალიტერატურო წრეებში[6] და ოთხ ნაწილად იყოფა, რომელთაც «ასეული» ეწოდებათ. «ასეული პირველი, რომლისა თავნი ამას იტყჳან ბერძულად, მაგრა ჩუენ ქართულად არა თაეედად გვითარგმნიან, რამეთუ არად საკმარ იყო თავთათჳს სიტყჳსა წარწყმედაჲ და არცა მოჰვიდოდა, რამეთუ ასის თავისა აკროსტიხოჲ ბერძულად ამას იტყჳს: სულიერსა და საყუარელსა ძმასა, უფალსა პავლეს, თალასი, ჩემებით დაყუდებული, ხოლო ჭეშმარიტებით მოფარდული, ცუდადმზუაობრობისაჲ». მერე მიჰყებება «ასეული» მეორე, მესამე და მეოთხე, და თითოეულისათვის აღნიშნულია: «რომლისა თავნი ბერძულად ამას იტყჳან». შეიძლება თხზულება ნათარგმნი იყოს გიორგი მთაწმიდლის მიერ.

უკანასკნელ პერიოდში, მეთვრამეტე საუკუნეში, გაბრიელ მცირეს, როგორც დავინახეთ, შეუდგენია შვიდი ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის კრებული. ამავე პერიოდში გაჩენილა ქართულ ენაზე კიდევ ერთი კრებული, ამავე ხასიათისა, «წიგნი სასურველი», რომელიც, როგორც ბოლოსიტყვაობაშია აღნიშნული, შედგენილი ყოფილა რუსთა მეფის მიხეილ თეოდორესძის დროს და მისი ინიციატივით. ეს თხზულება რუსულიდან გადმოუთარგმნიათ პეტრე დიდის დროს ან არჩილ მეფეს, ან მის შვილს ალექსანდრეს, რომელსაც უთარგმნია, ამ თხზულებასთან ერთად მოთავსებული, სვიმეონ პოლოცკის «სიტყუა მიცვალებისათჳს ღმრთისმშობელისა»[7]. ეს არის საკმაოდ მოზრდილი თხზულება, რომელშიაც თვეების რიცხვთა თანმიმდევრობით (სექტემბრიდან 15 აგვისტომდე) აღნიშნულია, თუ ვისი ხსენებაა ამა თუ იმ დღეს, მოყუანილია მოკლე ბიოგრაფია ყველა დღის წმინდანებისა და ამასთან ერთად «სწავლისა» და «მოძღურების» სახით წარმოდგენილია ექსცერპტები მამებისა და ასკეტების თხზულებათაგან, უფრო კი ისეთი კრებულებიდან, როგორიცაა სამოთხე იოანე მოსხისა და Ἀνθῶν ἀγίων βίβλος. სულ თხზულება შეიცავს 609 ამგვარ ექსცერპტს ან სტატიას.

---

[1] A 60, 141 — 270.

[2] «Христианское Чтение», 1858 г., кн. I, 1859 г., кн. 1 — 2.


[3] A 60, 270 – 285.

[4] «Христианское Чтение», 1858 г., кн. I, стр. 114 — 200.

[5] Migne, PG. t. 91, col. 1427—1470.

[6] A 55, 395 — 403; № 66, 175—193.

[7] A 112, გვ. 719—727; ჭუთაისის სახელმწ. ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი, № 66.



8. ჰომილეტიკა

დასაწყისი ქართული ჰომილეტიკისა. კრებულები მ რ ა ე ლ თ ა ვ ი და მ ა რ გ ა რ ი ტ ი. ცნობილ და უცნობ ჰომილეტთა თხზულებანი ქართულ ენაზე მეათე საუკუნემდე. ქართული მეტაფრასული და ორიგინალური ჰომილეტიკა. მისი წარმომადგენელნი.

ჰ ო მ ი ლ ი ა, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა ჰ ო მ ი ლ ე ტ ი კ ა, ეფრემ მცირის განმარტებით, «არს ზეპირად პირისპირ თქუმა»[1] და აღნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს, რომელთაც, მორწმუნეთა დასამოძღვრად, სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში, და სხვადასხვა პირი, უმეტეს წილად, რა-საკვირველია, სამღვდელონი, წარმოთქვამდნენ ხოლმე. ქადაგება-მოძღვრებას ან თვით ავტორი წერდა ხოლმე, ანდა წარმოთქმის დროს ჩასწერდნენ მას მა-შინდელი სტენოგრაფები, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით, როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ჰომილეტიკური მწერლობის განვითარებას, რომელიც პირდაპირ უსაზღვრო ოკეანეს წარმო-ადგენს. შინაარსის მხრივ ქადაგება შემდეგ დარგებად იყოფა: 1) სადღესას-წაულო ქადაგებანი, რომელთაც წარმოთქვამდნენ ხოლმე საუფლო-საღვთის-მშობლო და ცნობილ წმინდანთა დღესასწაულებზე და რომელთაც უფრო ხშირად დოგმატიკური ხასიათი აქვთ. 2) პანეგირიკები ან ხოტბა-შესხმანი, ეგრეთ წოდებული ე ნ კ ო მ ი ე ბ ი, მოწამეთა და წმიდათა სახელობისა, რომელ-თაც აგიოგრაფიული საფუძველი აქვთ. 3) ე პ ი ტ ა ფ ი ე ბ ი ან სასაფლაოზე და მიცვალებულის ცხედართან წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიაც ბიო-გრაფიულ ელემენტს საგრძნობი ადგილი უჭირავს. 4) საკუთრივ ქადაგება ან

---

1 A 292, ფ. 319.

ჰომილია. რომელშიაც განმარტებულია კვირა-უქმეებში წასაკითხავი ადგილი საღვთო წერილიდან და რომელსაც ეგზეგეტიკურ-მორალისტური ხასიათი აქვს.

თავისთავად ცხადია, ეს დარგი საეკლესიო მწერლობისა ქართულ ენაზედაც უნდა შემუშავებულიყო და განვითარებულიყო, ამას მოითხოვდა ქართველთა ქრისტიანიზაციის პროცესი. მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჰომილეტიკური მწერლობა ერთ-ერთი უძველესი დარგია, იმდენად ძველი, რომ უკვე მეათე საუკუნემდე ის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია იმ მხრივ, რომ უდიდესი ნაწილი მნიშვნელოვან ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა მეათე საუკუნემდე გადმოღებულია ქართულად. ამ დროს ნათარგმნი ქადაგებანი ჩვენ გვხვდება სხვადასხვა კრებულში, რომელთაც სხვადასხვა სახელი აქვთ. ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც ამგვარი კრებულები ცნობილია, არის მრავალთავი, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ ამ კრებულში მრავალი თავი ან სტატიაა [1].

მეორე სახელი არის მარგარიტი. ამ კრებულის ბერძნულ წარმომდინარეობას გვიდასტურებს როგორც სახელი, რაც ბერძნული სიტყვაა (Μαρ ὀρίται), ისე ეფრემ მცირე, რომელიც ამბობს: «სხუანი წიგნნი გამოკრებულნი, ვითარ იგი არს მარგალიტი და ყუავილკრებულნი და სხუანი მსგავსნი მათნი, ბერძულად ეგრეთვე გამოკრებულნი არიანო» [2]. ამ კრებულში, რომელიც ცნობილია თითქმის ყველა ენაზე, უმეტეს ნაწილად ათავსებდნენ იოანე ოქროპირის ქადაგებებს, რომელთა რიცხვი სხვადასხვა ნუსხაში სხვადასხვაა. ქართულ ენაზე შენახული რედაქცია შედგება 20 თავისაგან. მას შემდეგი წარწერა აქვს: «ამას წიგნსა ეწოდების მარგალიტი, რომელ არს შეკრებული მრავალთაგან თქუმულთა იოანე ოქროპირისათა». მაგრამ, როგორც გიორგი ათონელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მეათე საუკუნის მარგალიტიდან ჩანს, ამ კრებულში სხვა ავტორთა ქადაგებებსაც ათავსებდნენ ხანდახან, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილ დიდის და სხვებისას [3]. ქადაგებათა კრებულს წარმოადგენდა, ალბათ, ის ყუავილკრებული ც, რომელიც ეფრემ მცირის ზემოამოწერილ მოწმობაშია მოხსენებული და რომლის პროტოტიპი ბერძნულ ენაზედაც ყოფილა ცნობილი.

იმ ნაშრომთა მიხედვით, რომელნიც ჩვენამდე შენახულა და ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამჟამად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის ყველა ცნობილი მქადაგებელი, მთლიანად თუ არა, შერჩეით მაინც, ითარგმნა ქართულად პირველ პერიოდში; და არამცთუ ცნობილ ჰომილეტთა ქადაგებანი, ბევრი

---

[1] მრავალთავის შესახებ იხ. K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, t. I, p. XI—XII.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 218.

[3] იქვე, 130; А. Цагарели. Сведенія, I, стр. 93, № 77, II, стр. 94. № 85; ლენინგრ. აღმოსავლეთმცოდნეობის მუზ. Georg. № 150 ბ. სინას მთის ხელნაწერში № 51 «მარგალიტი» შეიცავს 43 სტატიას ოქროპირისას, ერთს ეფრემ ასურისას (იხ. Garitte, Catalogue 173—187).

ისეთიც შენახულა, რომლის ავტორი საეკლესიო მწერლობის ისტორიაში ცნობილი არაა და მხოლოდ ქართულ ძეგლებშია აღნიშნული. აქ ჩვენ ჩამოვთვლით იმ ჰომილეტებს ქრონოლოგიურად, რომელთა ნაწარმოებნი ჩვენამდე შენახულა, ჯერ ისეთებს, რომელნიც მწერლობის ისტორიაში ცნობილი არიან და მერე უცნობთ.

ასეთებია: გრიგოლ საკვირველთმოქმედი, რომლის მოძღვრებანი 864 წლის მრავალთავშია შენახული. ევსევი ყამთაღმწერელი, რომლის ერთი მოძღვრების—«ქებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ»-ს შესახებ ქართულში ნათქვამია, რომ ის არის «თქუმული საეკლესიოჲსაგან უწყებისა»[1]. ეფრემ ასური, რომლის თქუმულთა-საკითხავთა გრიგოლ ხანძთელი «ზეპირად გოდებით ტირილსა შინა იტყოდა, თჳსით აგარაკით მარტოჲ ხანძთას შთამოვიდოდა რა» («ცხორება», გვ. ჲგ—ჲზ). ათანასე ალექსანდრიელი, რომლის ქადაგებათაგან უძველესი დროიდან შენახულა სამი. ბასილი დიდი, რომლის ქადაგებანი გვხვდება სხვადასხვა მრავალთავში. კირილე იერუსალიმელი, რომლის მოძღვრებათაგან უძველეს ძეგლებში 9 ნაწარმოებს ეხვდებით (A 19, 95, 144; ათონ. № 80). გრიგოლ ღვთისმეტყველი, მელეტი ანტიოქელი, რომლის სახელით ძველ ძეგლებში[2] ათი ქადაგებაა, გრიგოლ ნოსელი, ეპიფანე კვპრელი და იოანე ოქროპირი, რომლის ოთხმოცზე მეტი ქადაგება-მოძღვრება გვხვდება ძველ მრავალთავებსა[3] და კრებულებში, რომელთაც ეწოდება მარგალიტი, ფუტკარი, ოქროჲს წყაროჲ, კლიტე, ასკეტიკონი და სხვ. სევერიანე გაბაონელი, რომლის ქადაგებანი უმთავრესად სომხურ ენაზე შენახულა[4]; მის ქადაგებათაგან ქართულად უძველესი დროიდან გვაქვს სამი. ლუკიანე ხუცესი, ევსუბი ჰიერუსალიმელი, კირილე ალექსანდრიელი, ევსები ალექსანდრიელი, ნიკიერი მქადაგებელი[5], რომლის ნაწარმოებთაგან ძველ მრავალთავებში ცხრამდე ქადაგება გვაქვს. პროკლე კონსტანტინოპოლელი, ანტიპატროს ბოსტრელი, იოანე დამასკელი, იაკობ ბატნანელი, რომლის ერთ-ერთი თხზულება ქართულად გამოცემულია ჩვენ მიერ[6]. ჩამოთვლილთ გარდა მეათე საუკუნემდე ჩვენ გვხვდება რამდენიმე მქადაგებლის სახელი, რომელნიც საეკლესიო მწერლობაში ცნობილი არ არიან:

1) ტიმოთე ხუცესი იერუსალიმისაჲ, რომლის ერთი ქადაგება «თქუმული უფლისა ჩუენისა იესოჳ ქრისტჱსთჳს შემდგომად შობისა მეორმოცისა დღისათჳს, ვითარ იგი მოიყუანეს ტაძრად მარიამ დედამან და ქალწულ-

[1] ტექსტი გამოცემულია, იხ. კ. კეკელიძე, კიმენი, II, 101—107.

[2] სინ. მთის 864 წ. მრავალთავი, A 95, 1147.

[3] ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, თბილ. უნივ. მოამბე, ტ. VI, გვ. 98—159.

[4] Aucher, Severiani sive Seberiani Gabalorum episcopi Emesensis homiliae Venet, 1828 G. Garitte, Un fragment géorgien de l'homelie IX de Sévérien de Gabala (Muséon, t. 66, p. 97—102, 1953.

[5] Migne, PG. t. 86. col. 313—462.

[6] «Monumenta hagiographica Georgica», I, p. 174—188.

მან და იოსებ, რაჟამს იგი აკურთხევდა მას წმიდაჲ სჳმეონ», მოთავსებულია სინას მთის 864 წლის მრავალთავში და A 95, გვ. 405—411.

2) პეტრე მთავარეპისკოპოსი იერუსალიმისა; პეტრე, ეპისკოპოსი იერუსალიმისა, ისტორიამ იცის, ის მღვდელმთავრობდა, მიღებული ქრონოლოგიით, 524 — 544 წლებში [1], ხოლო ქართული წყაროებით 548 — 568 წლებში [2]. ბოლოდ ეს პეტრე საეკლესიო მწერლობაში ცნობილი არაა. პეტრეს სახელით ქართულ ენაზე შენახულა ერთი ქადაგება — «შობისათჳს უფლის იესოჳ ქრისტჱსა» [3].

3) იოვიანე ტაბია ქალაქის გალატიაში ეპისკოპოსი, მონაწილე 449 და 451 წლების კრებებისა. ქართულად შენახულა ერთი მისი ქადაგება «ნათლისღებისათჳს იესოჳ ქრისტჱსა» [4], რომელსაც მიზნად აქვს დაამტკიცოს, რომ იესო ქრისტე იყო არა ღმერთი მხოლოდ, არამედ კაციც, და რომ მან «ჴორცნი შეისხნა». მაშასადამე, ის დიოფიზიტური ტენდენციითაა გამსჭვალული და დაწერილი უნდა იყოს ქალკედონის კრების შემდეგ.

4) თეოდულა ხუცესი, რომლის სახელით ათონის მეათე საუკუნის მრავალთავში (№ 57, 267—271) შენახულა «ქებაჲ წმიდისაჲ გიორგისი»; ცნობები მის შესახებ არ მოიპოვება.

5) გრიგოლ ანტიოქიელი ხუცესი, რომლის სახელით მეათე საუკუნის მრავალთავებში შენახულა ორი ქადაგება: «თქუმული წმიდისა პირველმოწამისა სტეფანჱსთჳს» [5] და «ქებაჲ პირველმოწამისა წმიდისა სტეფანჱსი» [6]. შეიძლება, ეს ის გრიგოლი იყო, რომელიც პატრიარქობდა ანტიოქიაში 570 — 590 წლებში [7], მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც მწერალი, ცნობილი არაა.

6) ალექსანდროს მონაზონი კვპრელი, რომელი იყო ქალაქისა ამათონტონისაჲ. მისი სახელით იმ ქართულ ხელნაწერში, რომელიც ეკუთვნის Bibliotecae Bodleianae Oxoniensis, მოთავსებულია: «საკითხავი პოვნისათჳს ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარის· და ქებაჲ შესხმისაჲ, რომლისათჳს ეუედრნეს მას მრავალგზის» (ფ. 390—419) [8].

7) ევფსვიხი ხუცესი, მკუდრეთით აღდგომისათჳს უფლისა (ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი).

ჩვენ არ გვაქვს საშუალება გავარკვიოთ აღნიშნულ ქადაგებათაგან რომელი სად, როდის ან ვისგან ითარგმნა, ერთი ცხადია მხოლოდ, რომ ყველა

---

[1] Арх. Сергий, полный месяцеслов Востока, т. II, 1901 г.

[2] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, стр. 192.

[3] A 19, 77—93. გამოცემულია ილ. აბულაძის მიერ (ენიმკის «მოამბე», XIV, 307 — 316).

[4] K. Kekelidze, Monumenta haglographica Georgica, t. I, p. 10—15.

[5] A 95, 108 — 115; ათონ. № 57, 17—21.

[6] A 95, 115 — 120; ათონ. № 57, 21—25.

[7] Bardenhewer, Patrologie³, S. 496, 497.

[8] P. Peeters, De codice Hiberico bibliothecae Bodleianae Oxoniensis, «Analecta Bollandiana», t. XXI, p. 314.

ისინი მომდინარეობენ ისეთი წყაროებიდან, როგორიცაა სინას მთის 864 წლის «მრავალთავი». ეს კრებული გადაუწერია პალესტინაში გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს მაკარის, მაშასადამე, საბას ლავრაში და, საზოგადოდ, პალესტინის ქართველ მწიგნობართა წრეში. ამ დროს უკვე ყოფილა ნათარგმნი ის ტექსტები, რომლებიც 864 წელს მაკარის დასახელებულ კრებულში შეუტანია. ეს ტექსტები, უნდა ვიფიქროთ, მომეტებულ ნაწილად ნათარგმნია თვით პალესტინაში, VIII—IX საუკუნეებში.

როდესაც შინაარსის მხრივ ვითვალისწინებთ ამ ქადაგება-მოძღვრებებს, შემდეგი სურათი გვეშლება. კვირიაკე დღეთა ქადაგებანი სრულიად არაა, ალბათ, იმიტომ, რომ ეს ქადაგებები იმ დროსაა ნათარგმნი, როდესაც საეკლესიო წელიწადში ჯერ კიდევ არ მომხდარა სავსებით კვირიაკე-შვიდეულთა დიფერენციაცია იმ სახით, როგორც ეს მიღებულია საეკლესიო-ლიტურგიკულ პრაქტიკაში. უმეტესი ნაწილი ქადაგებებისა მოდის დღესასწაულებზე, რომელთაგან ყველაზე მეტი საუფლო დღესასწაულებია. ამ უკანასკნელთა კატეგორიიდან შედარებით მეტია შობისა და ნათლისღების ქადაგებანი, რაც უნდა აიხსნებოდეს უფრო დოგმატიკურ-პოლემიკური მოსაზრებით, — ქრისტოლოგიური და ეორტალოგიური საკითხების სიმწვავით. შობის ქადაგება ამ უძველეს ეპოქიდან ჩვენ თხუთმეტამდე შეგვიძლია დავთვალოთ, ხოლო ნათლისღებისა — თოთხმეტამდე. საუფლო დღესასწაულების შემდეგ მეტია წმინდანთა სახელობის ქადაგებანი, ალბათ, ესეც იმიტომ, რომ განემტკიცებიათ წმინდანთა კულტი, რომელსაც ხატთმბრძოლობა სასტიკად არყევდა საზოგადოდ ეკლესიაში. უკანასკნელი კატეგორიიდან თორმეტამდე ქადაგება ხოტბა-პანეგირიკებს წარმოადგენს. ოცამდე გვაქვს ზნეობრივი თემების ქადაგებანი, უფრო კი სინანულის შესახებ. ამნაირად, უკვე მეათე საუკუნემდე გვქონლა ჩვენ გარკვეული ჰომილეტიკური ბიბლიოთეკა, რომლითაც შესაძლებელი იყო მაშინდელ ლიტურგიკულ და რელიგიურ-ზნეობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

მეათე საუკუნემდე ნათარგმნ ჰომილეტიკურ ნაწარმოებთ ახასიათებს უბრალო და მარტივი ან, ძველი ტერმინოლოგიით, «ლიტონი» ენა. მეორე პერიოდიდან ან, უფრო სწორად, მეთერთმეტე საუკუნის ნახევრიდან, თეოფილე ხუცესმონაზონის დროიდან, იწყება მ ე ტ ა ფ რ ა ს უ ლ ი პომილეტიკა, რომელსაც მიზნად დასახული აქვს ამ ნაწარმოებთა გალამაზება და გამშვენება ენის მხრივ. ასეთ ქადაგებათა სტილი ხელოვნურია და ისე ადვილად ისინი უკვე აღარ იკითხებიან, როგორც ძველად გადმოთარგმნილი. მეტაფრასული ჰომილეტიკა უფრო განვითარდა მეტაფრასულ აგიოგრაფიასთან ერთად, რომლის შესახებ ლაპარაკი თავის ადგილას გვქონდა, და მის ცენტრად განსაკუთრებით პეტრიწონული ლიტერატურული სკოლა ითვლებოდა. ამ, ასე ვთქვათ, მეტაფრასულ პერიოდში არამცთუ გაუგრძელებიათ წინანდელი მუშაობა და ახალ-ახალი ქადაგება-მოძღვრებანი გადმოუღიათ, არამედ ხელმეორედ უთარგმნიათ ბევრი ძველად გადმოქართულებული ქადაგებანი, ვინაიდან მათი ენა ახლა ბევრს აღარ აკმაყოფილებდა. თან, როგორც ირკვევა, ერთი და იგივე მქადაგებელი რამდენიმე სხვადასხვა პირს უთარგმნია იმისდა მიხედვით, თუ

ვის რა სჭირდებოდა მის მოძღვრებათა კრებულიდან. ამ პერიოდში ჰომილეტიკურ დარგში უმოღვაწნიათ: დავით ტბელს, ექვთიმე ათონელს, გიორგი მთაწმიდელს, თეოფილე ხუცესმონაზონსა და ეფრემ მცირეს. რა უთარგმნიათ მათ, ამას მკითხველი ზემოთ ნახავს, სადაც ლაპარაკია მათი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ პერიოდში ბევრი ისეთი მეტაფრასული ქადაგება-მოძღვრებანი გვხვდება, რომელთა მთარგმნელებს, ცნობების უქონლობის გამო, ჩვენ პირდაპირ ვერ დავასახელებთ. ასეთი ნაწარმოებნი ჩვენ სხვადასხვა ხელნაწერში გვხვდება, მაგრამ ყველაზე სრული და სისტემატური კრებული მათი ჩვენ გვაქვს სვიმეონ ლოღოთეტისა და იოანე ქსიფილინოსის აგიოგრაფიულ-მეტაფრასულ კრებულში, რომელიც ჩვენ მიერაა აღმოჩენილი [1]. ამ კრებულში ამა თუ იმ დღეს, უფრო კი დღესასწაულზე, აგიოგრაფიული ტექსტის გარდა, მოყვანილია რომელიმე მჭადაგებლის მოძღვრება, სიტყვა და შესხმა. ასეთი სიტყვა-მოძღვრებანი ჩვენ გვაქვს: იანვარში 20, თებერვალში 12, მარტში 9, აპრილში 1 (მაისი არ მოიპოვება), ივნისში 7, ივლისში 2, აგვისტოში 5, სექტემბერში 12 (ოქტომბერში არაა), ნოემბერში 8, დეკემბერში 22. მაგრამ ყველაზე მეტი ასეთი ნაწარმოები ჩვენ გვაქვს იმ კრებულში, რომელშიაც თავმოყრილია დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდის სამოძღვრო მასალა (გელ. ხელნაწ. № 8); აქ ჩვენ ვპოულობთ 60-ზე მეტ ქადაგება-მოძღვრებას. ამ პერიოდში ნათარგმნ ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა კრებულმა, რომელნიც ეკუთვნიან უმთავრესად იოანე ოქროპირს, ბასილ დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, გრიგოლ ნოსელს, იოანე დამასკელს, ანდრია კრიტელს, ათანასე ალექსანდრიელს, ასტერი ამასიელს, ბასილი სელევკიელს, გიორგი ნიკომიდიელს, თეოდოტე ანკვირელს, მეთოდი პატრელს, სოფრონ იერუსალიმელს, ნიკიტა ფილოსოფოსს და სხვ., მიიღო სპეციალური ტექნიკური სახელწოდება «მეტაფრასი», ვინაიდან იმაში მოთავსებულია მეტაფრასული რედაქციის ტექსტები.

შემდეგ პერიოდებში ამ დარგს ახალი არა შემატებია რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ილია მ ი ნ ი ა ტ ი ს (გარდ. 1714) ორ ნაწარმოებს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში უთარგმნიათ რუსულიდან, სახელდობრ: 1) «თქუმული მაცხოვარებითსა ვნებასა ზედა, რომელიცა წარიკითხვის დიდსა ხუთშაბათსა ვნებისა კეირიაკისასა შემდგომად სერობისა ლოცვისა», სამ ნაწილად [2], და 2) «წმიდასა და დიდსა პარასკევსა მაცხოვარებითსა ვნებასა ზედა», ესეც სამნაწილედი [3].

ქართულ ენაზე შენახულა არა მარტო ნათარგმნი ჰომილეტიკა, არამედ ორიგინალურიც, მაგრამ ეს ორიგინალობა დაწყებულა არა უადრეს VIII—IX სს.; მანამდის ორიგინალური შემოქმედებისათვის ამ სფეროში ნიადაგი საკმაოდ არ იყო განმტკიცებული, თან ჩვენები, ალბათ, შეგნებულადაც გაურბოდნენ

[1] К. К е к е л и д з е, Симеон Метафраст по груз. источникам, «Труды Киев. Духов. Академии», 1910 г., февраль, стр. 172 — 191; Иоани Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста, «Христиан. Восток», I, 325 — 334.

[2] A 381, 457—479, № 544.

[3] A 593, 1—54, № 68.


ასეთ შემოქმედებას: ისინი, უეჭველია, სავალდებულოდ თელიდნენ თავისთვის მეექვსე მსოფლიო კრების მე-19 კანონს, რომელიც ავალებს «წინამძღუართა ეკლესიისათა ყოველსა შინა დღესა, ხოლო უფროსღა კჳრიაკეთა, ყოველისა ერისა სწავლად სიტყუათა კეთილმსახურებისათა», მაგრამ არა თავისი მოსაზრებით, არამედ «ვითარ იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თჳსთა მიერ გარდამოსცეს». ისინი ვალდებულად თელიდნენ წარმოეთქვათ სხვისი ქადაგებანი, რომელნიც ეკუთვნოდნენ ცნობილსა და ავტორიტეტად მიჩნეულ მსოფლიო მოძღვრებს. მართალია, ჩვენამდე შენახულა ორი ქადაგება, შობისა და ნათლისღებისა, რომელთაც წარწერა ნინოს მიაკუთვნებს, მაგრამ მათი ფსევდოეპიგრაფიკული ხასიათი ჩვენ უკვე დავინახეთ; თუ ისინი ორიგინალურია, დაწერილი უნდა იყვნენ არა უადრეს VIII—IX სს. პირველი ორიგინალური მქადაგებელი, რომლის ნაწარმოები ჩვენ დრომდე შენახულა, არის იოანე ბოლნელი. იმისი ქადაგებანი ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოთ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მეორე პერიოდში ჩვენ არა ერთი და ორი გამოჩენილი მქადაგებელი გვეყოლებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ნაწარმოებთ ჩვენამდე არ მოუღწევიათ, ანდა ჯერ აღმოჩენილი არაა. სხვა არა იყოს რა, მატიანედან ვიცით, რომ თამარ მეფის ცხედარზე სიტყვები წარმოუთქვამთ ცნობილ იოანე ჭიმჭიმელსა და ვინმე დავითს [1]. უეჭველია, ამ დიდებულ მომენტს აღბეჭდავდა თავისი გამოსვლით შესაფერი და არა საშუალო დონის ორატორი. ორიგინალური ჰომილეტიკა განსაკუთრებით განვითარებულა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში. ამ დროს ჩვენ გვხვდება მთელი რიგი ცნობილ და ნიჭიერ მქადაგებელთა, როგორიც არიან: ნიკოლოზ რუსთველი, იობ პიტარეთელი, გერმანე მონაზონი, ბესარიონ კათოლიკოსი, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ კათოლიკოსი, გაიოზ რექტორი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, ვარლაამ მიტროპოლიტი, იონა ხელაშვილი და სხვანი. ამათგან ზოგიერთის მოღვაწეობა ჩვენ თავის ადგილას განვიხილეთ.

ახლა ორიოდე სიტყვა სულხან-საბა ორბელიანის ჰომილეტიკურ ნაწარმოებთა შესახებ. საბასაგან დარჩენილა ქადაგება-მოძღვრებათა მთელი კრებული, რომელსაც ეწოდება «სწავლანი» (ყველაზე უკეთესი ნუსხა A 479). ამ კრებულში შენახულია 46 ქადაგება, რომელიც დაწერილი და წარმოთქმულია დავით-გარეჯის უდაბნოში, სადაც საბა მოღვაწეობდა, მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელს და მეთვრამეტის პირველ წლებში (დაახლოებით 1698—1710 წწ.). ამ კრებულში არის განყენებული, მშრალი დოგმატიკური ხასიათის ქადაგებანი, მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა საგანია უმთავრესად იმდროინდელი სავალალო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა. საბა, ძველ წინასწარმეტყველთა მსგავსად, ცეცხლივით მწველ სიტყვით, ამხელს ქართველების პოლიტიკურ, სოციალურ და მორალურ სენს, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყნის აშლილობით. ის დაუნდობლად ამთარახებს საზოგადოების მაღალ ფენას, ფეოდალურ კლასს, რომელიც ტყავს აძრობს გლეხობას, მდიდრებს, რომელნიც გულქვაობას იჩენენ ღარიბებისადმი,

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 533—535.

სამღვდელოებას, რომელიც იმის მაგიერ, რომ სულიერი ხელმძღვანელობა გაუწიოს სამწყსოს, თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს. მძაფრად, შეუბრალებლად ამხელს საზოგადოებაში გავრცელებულ უარყოფით მოვლენებს, როგორიცაა ლანძღვა-გინება, სხვისი შეურაცხყოფა, ამპარტავნება-ზეიადობა, მემთერალეობა, ანგარება-ვერცხლისმოყვარება და სხვ. საბა მგზნებარე პატრიოტია, რომელსაც გული შესტკივა დაცემულ-დაკნინებული და მტრებისაგან გათელილი სამშობლოსათვის. ის მოუწოდებს მსმენელებს — მტკიცედ იდგნენ მამაპაპეულ რჯულზე; დაიცვან ქრისტიანობა, რომელიც, მისი აზრით, ქვაკუთხედია ქვეყნის კეთილდღეობისა. ხედავდა რა მუსლიმანობის გამხრწნელ გავლენას საზოგადოებაში, ის გულისტკივილით სთხოვს თანამემამულეებს — ნუ გათათრდებითო.

საბა თავის ქადაგებებში ჩანს როგორც გამოჩენილი, სწორუპოვარი ორატორი, რომელიც, მსმენელებზე ზედმეტი გავლენის მიზნით, ჭარბად იყენებს მხატვრული სიტყვის მდიდარ აქსესუარს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მხატვრული სახეები, მეტაფორა-შედარებანი; ისინი ამჟღავნებენ მის უდავოდ დიდ პოეტურ ნიჭს, რომელიც მან გამოიჩინა სხვა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში.



ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲔᲡᲔ. ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲙᲐ

ნომოკანონი ან სჯულისკანონი. ქართული კანონიკური მწერლობა მეათე საუკუნემდე. მიმოხილვა ქართული ნათარგმნი კანონიკისა. ორიგინალური კანონიკური მწერლობა: კანონიკური ეპისტოლენი, სამოქალაქო ხასიათის საკოდიფიკაციო შრომები და ადგილობრივი კრებების დადგენილებანი. სიგელგუჯრები.

მართვა-გამგეობისა და ცხოვრების იურიდიულ ნორმებზე აგებისას ეკლესია ხელმძღვანელობს თავისი საკუთარი კოდექსით, რომელშიაც შედის მოციქულებისა და მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონები, ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიკური ეპისტოლენი და განმარტებანი, აგრეთვე სამოქალაქო კანონმდებლობა ეკლესიის საქმეთა გამო. ამ კოდექსს ბერძნულად ეწოდება Νομοκάνων, ხოლო ქართულად სჯულისკანონი. საეკლესიო სამართლის ისტორიაში ჩვენ რამდენიმე ასეთი კრებული ვიცით; მაგალითად, მეექვსე საუკუნემდე შედგენილი ყოფილა ეგრეთ წოდებული სამოცტიტლოვანი კრებული, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება. მეექვსე საუკუნეში პატრიარქს იოანე მმარხველს ან სქოლასტიქოსს შეუდგენია ორმოცდაათტიტლოვანი კრებული. იმავე მეექვსე საუკუნეში ვიღაც უცნობ ავტორს დაუწერია სხვა, თოთხმეტტიტლოვანი, კრებული, რომელმაც ხმარებიდან განდევნა ყველა წინადროისა და მისი თანამედროვე კრებული და თვითონ, როგორც უფრო ვრცელმა და ხმარებისათვის გამოსადეგმა, მათი ადგილი დაიკავა. ეს თოთხმეტტიტლოვანი კრებული თანდათანობით ივსებოდა და უმჯობესდებოდა. მეცხრე საუკუნეში ფოტი პატრიარქმა მას გაუკეთა უკანასკნელი და საბოლოო რედაქცია, რის გამო მან მიიღო სახელწოდება ფოტი პატრიარქის «დიდი სჯულისკანონისა». ეს კოდექსი სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული მთელი აღმოსავლეთის საქრისტიანოში.

მეათე საუკუნის ბოლომდე ქართულ ენაზე არ შენახულა არამცთუ რაიმე კანონიკური კრებული, არამედ ცოტად თუ ბევრად ეპემიუტანელი და კატეგორიული ცნობა ასეთი კრებულის არსებობის შესახებ D-r G. Peradze-ს ცნობით, კონსტანტინოპოლში ყოფილა ქართული თარგმანი ე. წ. «დიდაქესი» ანუ «ათორმეტთა მოციქულთა მოძღვრებისა», რომელიც კანონიკური მწერლობის ერთ-ერთ ადრინდელ (IV ს.) ძეგლად ითვლება. ამ თარგმანის შესახებ ის ლაპარაკობს ვინმე ფეიქრიშვილის მიერ 1923 წელს გადმოღებული ნუსხის მიხედვით. ავტორი, აღნიშნავს რა იმაში ხან — დაჰაე — მეტობის სისტემატურად ხმარების მაგალითებს, ასკვნის, რომ ის არის ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ძეგლი ქართულ ენაზე, რომელიც გადმოთარგმნილია ბერძნულიდან თითქოს მეხუთე საუკუნის მოღვაწის იერემია იბერიელის მიერ [1]. ეს იერემია, ამბობს ის, თავისთავს ასე უწოდებს: «იერემია ურჩაელი, ქართველი მართლმადიდებელი, ყარიბობის გამო თავისიანებსა და სამშობლოს დაშორებული» [2]. ავტორს, სამწუხაროდ, არ მოჰყავს საბუთები იმისა, თუ რატომ უეჭველად ეს იერემია უნდა იყოს მთარგმნელი ამ თხზულებისა და არა სხვა ვინმე იერემია, მით უმეტეს, რომ მეხუთე საუკუნის იერემია ურჩაელი არ ყოფილა და არც უმოღვაწნია ურჩაში. თარგმანი რომ ძველი არაა, ამას ამჟღავნებს ისეთი ახალი ლექსიკური ფაქტები, როგორიცაა: «საარსებო, თანამცხოვრები, პირფერი, გარყვნილება, თვალთამთხრელი, პატიება, საზრდო პური, სინამდვილე, თვითშეგნება» და სხვ. ხან-ჰაე-მეტობაც კლასიკურ ნორმებს ხშირად ღალატობს და რაღაც ხელოვნურად შეთხზულის თუ რომელიღაც დიალექტიკური მოვლენის ნიშნებს ატარებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს თარგმანი შესრულებულია უახლოეს საუკუნეებში, ერთ-ერთი ქართველი მწიგნობრის მიერ თვით კონსტანტინოპოლში ან ათონის მთაზე, შესაძლებელია, მას შემდეგაც, რაც ფილოთეოს ბრიენიოსმა აღმოაჩინა და გამოსცა მისი ბერძნული ტექსტი კონსტანტინოპოლში [3].

ერთადერთი ადგილი, რომლის მიხედვით შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომ მსოფლიო კრებათა დადგენილებანი ნათარგმნი იყო ძველადვე ქართულად, მოიპოვება კირიონ კათოლიკოსისა და სომეხთა მწყემსმთავრის აბრაამის შორის მიწერ-მოწერაში (VI—VII სს.). უხტანესის გადმოცემით [4], კირიონი სწერს აბრაამს: «იქნება თქვენ მოისურვოთ გამოძიება და გაცნობა ჩვენი სარწმუნოებისა, — ამისათვის მე ვათარგმნინე და მოგართვით თქვენ წიგნები (resp. წერილი, գիրք) ოთხთა კრებათა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ჰრომნი და რომელიც ანასტასია-წმიდასა და წმიდა სიონში იქადაგების». მო-

[1] ამ იერემიას შესახებ იხ. კ. კეკელიძე. იერემია იბერიელი, ანტინესტორიანი მოღვაწე მეხუთე საუკუნისა, «თბილ. უნივერ. მოამბე», IX, 1928 წ., 187 — 198.

[2] Zeitschrift f. d. neutestam. Wissenschaft. XXXI. 1932. S. 111—116: Die «Lehre der zwölf Apostel» in der georgischen Überlieferung.

[3] ამის შესახებ იხ. ი. კვაჭაძის «შენიშვნები «დიდაქეს» ქართული თარგმანის შესახებ» («ლიტერატურული ძიებანი»), III, 375—377).

[4] მისი ისტორიის გვ. 87 — 88.

ყუანილ ამონაწერში გაუგებარია, პირველ ყოვლისა, რა ათარგმნინა კირიონმა, რას წარმოადგენდა ეს წ ი გ ნ ი თუ წ ე რ ი ლ ი: რაიმე წერილს ან ტრაქტატს ოთხ მსოფლიო კრებათა შესახებ, თუ წ ი გ ნ ს, კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იყო დადგენილებანი და აქტები ამ ოთხთა კრებათა? მერე — რა ენაზე ჰქონდა ეს «წერილი» თუ «წიგნი» კირიონს, ქართულზე თუ ბერძნულზე, ესე იგი რა ენიდან ათარგმნინა იგი კირიონმა სომხურად? ჩვენ გვგონია, რომ აქ იგულისხმება წიგნი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ოთხთა კრებათა დადგენილებანი, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ დოგმატიკური ხასიათისა, ეგრეთ წოდებული სარწმუნოებრივ-აღსარებითი ფორმულები, ან ს ი მ ბ ო ლ ო ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა, რომელიც სწორედ ოთხ კრებაზე ჩამოყალიბდა საბოლოოდ და რომელიც აღნიშნულ მომენტში შეადგენდა საცილობელ საგანს ქართველთა და სომეხთა შორის. აქ რომ სწორედ სარწმუნოებრივ-აღსარებითი ან დოგმატიკური ფორმულები იგულისხმება, ეს ნათლად ჩანს სიტყვებიდან: «რომელიც ანასტასია-წმიდასა და წმიდა სიონში ი ქ ა დ ა გ ე ბ ი ს». ყველაფერი, რასაც ჩვენ გვერთ, ამბობს კირიონი თავის წერილში, «კრებათა წიგნთაგან ამოღებულიაო», იგულისხმება «ძეგლის წერათა წიგნები», მაგრამ არა კ ა ნ ო ნ ი კ უ რ ი ხასიათისა, როგორც აკად. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს მიაჩნდა («ქართული სამართლის ისტორია», I, 28), არამედ სწორედ სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი ხასიათისა, დოგმატიკური ფორმულები. ასეთი ფორმულები კი, რასაკვირველია, იმთავითვე იქნებოდა ქართულად ნათარგმნი, მაგრამ ეს უფრო დოგმატიკური მწერლობის ძეგლია, ვიდრე კანონიკურისა.

საგულისხმოსა და მნიშვნელოვანს არაფერს წარმოადგენს ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ რ ი ს სიტყვებიც, რომელიც გობრონის «ცხოვრებაში» იკითხება, სახელდობრ: სომხებმა «მოძღუართა მიერ წმიდათა კრებათა ღმრთისულიერთა განწესებული კანონი საეკლესიოჲ შეურაცხყვესო» [1]. ამ სიტყვებს სტეფანე იმ შემთხვევაშიაც ადვილად იტყოდა, თვალითაც რომ არ ენახა «კანონი საეკლესიოჲ» ქართულ ენაზე.

ამნაირად, ჩვენ გვგონია, რომ პირველ პერიოდში კიდევ არ ყოფილა თარგმნილი ქართულად რაიმე კანონიკური კრებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ექვთიმე ათონელს მეათე საუკუნის გასულს უთარგმნია ქართულად იოანე სქოლასტიკოსის პენიტენციალური კრებული და მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილებანი. ექვთიმე, რომელიც მოუცელობის გამო ღრმით თარგმნიდა წიგნებს დიდი შერჩევით, არ გადმოიღებდა ამ ძეგლებს, რომ ან ესენი, ან, მით უმეტეს, თოთხმეტტიტლოვანი კრებული ქართულად მის დრომდე ნათარგმნი ყოფილიყო. ექვთიმეს ეს შრომა იყო შემკრებლობითი ხასიათისა, მას მიზნად ჰქონდა დაკმაყოფილება იმდროინდელი კანონიკური კოდექსის მოთხოვნილებისა. ეს ჩანს ექვთიმეს სიტყვებიდან: «ყოველივე პირი და სახე სხუათა მათ პირველთა მამათა მიერ აღწერილისა რჩულისაკანონისაჲ აქა მეძოკრებულ არსო». მაშასადამე, ქართული საეკლესიო-იურიდი-

[1] «საქართვ. სამოთხე», გვ. 394.

ული მწერლობა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მეათე საუკუნის გასულიდან უნდა დავიწყოთ.

პროფ. ვლ. ბენეშევიჩი ფიქრობს, რომ, ყოველ შემთხვევაში, მეათე საუკუნეში ქართულ ენაზე უკვე არსებობდა დიდი, თოთხმეტტიტლოვანი სჯული სკანონი პატრიარქი ფოტისაო[1]. თავის მოსაზრებას ის შემდეგზე ამყარებს: 1) ჩვენ ვიცითო, ამბობს ის, რომ სინას მთის ქართულ წიგნსაცავის კატალოგში, რომელიც მეათე საუკუნეს ეკუთვნის (№ 92), მოხსენებულია, სხვათა შორის, «ერთი დიდი კანონიო». მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონად იქ იგულისხმება არა «სჯულისკანონი», არამედ ლიტურგიკული კანონი, რომელიც ცნობილია «იერუსალიმის განჩრების და განწესების» სახელით[2]. ეს წიგნი, მართლაც, ორი რედაქციით არის ცნობილი სინას მთაზე: დიდით, მთლიანით ან სრულით, და შემოკლებულით, შერჩეულით ან მცირით. 2) მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს, ამბობს ბენეშევიჩი, ექვთიმე მთაწმიდელმა გადმოთარგმნა მეექვსე მსოფლიო კრების სჯულისკანონი, რომელსაც ის უწოდებს «მცირე სჯულის კანონს» და ამით, მაშასადამე, ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებობდა მეორე, უფრო ვრცელი სჯულისკანონიო. მეექვსე მსოფლიო კრების სჯულისკანონი ნაწილია დიდი სჯულისკანონისა, მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ წიგნს, რომელიც შეიცავს მხოლოდ ნაწილს მთელისას, ვან მცირე უწოდა. ექვთიმე ამ შემთხვევაში ისევე მოიქცა, როგორც სვინაქსრის გადმოთარგმნისას: მან გადმოიღო შემოკლებული, გამოკრებული სვინაქსარი, რომელსაც მან უწოდა «მცირე» სვინაქსარი, განსასხვავებლად სრული სვინაქსრისაგან, რომელიც ითარგმნა შემდეგ გიორგი მთაწმიდლის მიერ. 3) მელქისედეკ კათოლიკოსის 1040 წლის სიგელში, სადაც ჩამოთვლილია მის მიერ სვეტიცხოვლისადმი შეწირული წიგნები, მოხსენებულია, ამბობს პროფ. ვ. ბენეშევიჩი, «სჯულისკანონი ახალი ერთი». სიტყვა «ახალი» კიდევ არ ნიშნავს რომელიმე ახალ რედაქციას ან კრებულს; მელქისედეკს შეეძლო ასე ეწოდებია ექვთიმეს მიერ ნათარგმნ კრებულისათვის, რადგანაც ის ნათარგმნი იყო რაღაც 30—35 წლის წინათ (მისი მამის, იოანეს, გარდაცვალების შემდეგ). სწორედ ამავე ხანებში ექვთიმეს მიერ ნათარგმნ მაკარი მეგვიპტელის «ებისტოლეთა» წიგნს XI საუკუნის ნახევრის ერთ «ანდერძში» ეწოდება «ახალთარგმნილი» (ხელნაწ. ქუთ. მუზ. № 181. ფ. 256 ბ).

საკითხს იმის შესახებ, თუ როდის ითარგმნა ქართულად სჯულისკანონი, ეხება აკად. ი. ჯავახიშვილიც თავის «ქართული სამართლის ისტორიაში»[3]. ისიც იმ აზრისაა, რომ სჯულისკანონი ქართულად გადმოთარგმნილი იყო გაცილებით ადრე არსენ იყალთოელამდე, თუ უფრო ადრე არა, მერვე-მეცხრე საუკუნეებში მაინც: «არსენ იყალთოელის თარგმანი პირ-

[1] Грузинский Великий Номоканон по спискам Тифлисского церковного музея, «Христиан. Восток», т. II, стр. 350 — 351.

К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в., Грузин. версия.

[2] წიგნი პირველი, თბილისი, 1928 წ., გვ. 19—30.

ველი ქართული თარგმანი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უკანასკნელი თუ არა, მეორე მაინცო» (გვ. 24). ამის დასამტკიცებლად, ვ. ბენეშევიჩის მოსაზრებათა გარდა, მას თავისი არგუმენტებიც მოყავს, თუმცა «საფიქრებელია», «ალბათ» და «მგონია»-ს სახით. მთავარ არგუმენტს მას ჩვენ მიერ გამოქვეყნებული[1] გრიგოლ ჩახრეხაძის «ანდერძი» აძლევს, სახელდობრ, შემდეგი სიტყვები: «არარაჲს სხჳსთჳს მოვიჴსენე წერაჲ ამისი, თჳნიერ რომელ სიყუარული მჭონდა ცალკერძ წმიდისა მონასტრისა პატიოსნისა ჯუარისაჲ და მერმე ამის წმიდისა წიგნისაჲ. და ესე დავიდევ გონებასა ჩემსა, ვითარმედ უკუეთუ ღირს მყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატიოსნისა ჯუარისსა შინა შეიწყნარონ, მაშა თჳთ კეთილ, და ვიდრე ცოცხალ ვიყო, არა დავაკლდები ხილვასა ამისსა; და თუ არა, ვიდრე ცოცხალ ვიყო, მე მჭონდის, და შემდგომად ჩემსა, სადაცა ღმერთმან ინებოს». გრიგოლ ჩახრეხაძეს, ამბობს აკად. ი. ჯავახიშვილი, «ჰშინებია, რომ მის მიერ გადაწერილი არსენ იყალთოელის თარგმანი შეიძლება ჯუარის მონასტერში არ მიეღოთ, არსენ იყალთოელის შრომა რომ დიდი სჯულისკანონის პირველი ქართული თარგმანი ყოფილიყო, დაუჯერებელია, რომ გრიგოლ ჩახრეხაძეს შიში ჰქონოდა, ვაჲ თუ ჩემი გარდანაწერი არ მიიღონო. პირიქით, ის დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მის საჩუქარს ორთავე ხელით მოეჭიდებოდნენ. სამაგიეროდ ამგვარი ეჭვი ბუნებრივად გვეჩვენება, თუ წარმოვიდგენთ, რომ არსენის შრომა ხელახალი თარგმანი იყო და ამაზე წინათაც ამ ძეგლის ქართული თარგმანი არსებობდა» (გვ. 24). კატეგორიულად შეკვეძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი ეს გაუგებრობაზეა აგებული. არავითარ შიშს — ვაი თუ არსენ იყალთოელის თარგმანი ჯვარის მონასტერში არ მიიღონო — არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა, თუ მხედველობაში გვექნება გრიგოლ ჩახრეხაძის ანდერძის ის ადგილი, სადაც ის არსენის თარგმანს უწოდებს «სულთა განმანათლებელს, ქრისტეანეთა წინამძღუარს და სჯულთა მასწავლელ წიგნს», ხოლო თვით არსენს — საუკუნოდ მოკსენებულს და ჩუენ ქართველთათჳს ფრიად ჭირთა თავსმდებელს». არსენის შრომები ქართველთა შორის ყოველგვარ ეჭვს გარეშე იდგა. ამით აიხსნება, რომ საქართველოში დამკვიდრდა იოანე დამასკელის «წყარო ცოდნისა»-ს ის თარგმანი, რომელიც ეკუთვნის არსენ იყალთოელს, და არა ეფრემ მცირისა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ, როგორც ირკვევა, ანდერძის ზემომოყვანილ სიტყვებში ლაპარაკია არა არსენ იყალთოელის თარგმანის მიღებაზე ჯვარის მონასტერში, არამედ თვით ანდერძის დამწერის, გრიგოლ ჩახრეხაძისა. საქმე ისაა, რომ ერთადერთი ნუსხა ამ ანდერძისა, რომელიც გელათის ხელნაწერში № 25 (ფ. 296) გვაქვს, წარმოადგენს არა გრიგოლის ავტოგრაფს, არამედ მის პირს. გადაწერისას ამ «პირში» დაშვებულია არა ერთი შეცდომა. ერთ-ერთ ასეთ შეცდომას წარმოადგენს «შეიწყნარონ» ნაცვლად «შემიწყნარონ»-ისა. გრიგოლის ავტოგრაფში ყოფილა: «უკუეთუ ღირს მყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა ჯუარისსა შინა შემიწყნარონ, მაშა თჳთ კეთილ, და ვიდრე ცოცხალ ვიყო, არა დავაკლდები ხილვასა ამისსა; და თუ არა,

[1] «Христианскій Востокъ», V, 120 — 122.

ვიდრე ცოცხალ ვიყო, მე მჭონდის, და შემდგომად ჩემსა, სადაცა ღმერთმან ინებოს». გრიგოლი, რომელსაც სურვილი ჰქონია ჯვარის მონასტერში ბერობისა, ამბობს: ეს წიგნი მე მიტომ გადავწერე, რომ, ერთი მხრით, სიყვარული მჭონდა ჯვარის მონასტრისა, მეორე მხრით, თვითონ ამ წიგნისა. თუ ღმერთი მაღირსებს და მე ჯვარის მონასტერში შემიწყნარებენ, ვიმიღებენ ბერაღ, ხომ კარგი: სანამ ცოცხალი ვიქნები, ეს წიგნიც იქ იქნება და მე, როგორც ამ მონასტრის ბერს, ის მუდამ თვალწინ მექნება. ხოლო თუ არ მიმიღებენ, ვაშინ, იგულისხმება, არ შევწირავ მას და წიგნი ჩემთან დარჩება ჩემს სიცოცხლეში, ჩემი სიკვდილის შემდეგ კი იქ იყოს, სადაც ღვთის ნება იქნებაო. ანდერძში რომ თავდაპირველად «შემიწყნარონ» იყო და არა «შეიწყნარონ», ამას ადასტურებს სიტყვები «უკუეთუ ღირს მ ყ ო ს ღმერთმან»; აქ როა წიგნზე ყოფილაო ლაპარაკი, ნათქვამი იქნებოდა: «ღირს ყოს» ან «იჩინოს».

მეორე დამამტკიცებელ საბუთად თავის მოსაზრებისა ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს მოყავს ის გარემოება, რომ, გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრებით», ერთ-ერთ საეკლესიო კრებაზე გუარამ მამფალი და გრიგოლ ხანძთელი თაკილნთი აზრის სიმართლის დასამტკიცებლად მიუთითებენ «წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელთმოძღუართაგან გასასღვრებულსა კანონსა», ბათი დასაყრდენია «კანონი შჯულისაჲ» (გვ. 24). მაგრამ ასეთი მითითება კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს «კანონი» მათ დროს ქართულად იყო. მაშინდელ ქართლში, რასაკვირველია, საეკლესიო კანონებს იცნობდნენ და იყენებდნენ კიდევაც მათ, თუმცა ისინი ჯერ კიდევ თარგმნილი არ იყო. ისე როგორც, მაგალითისათვის, სახარებას იცნობდნენ და მისი მოძღვრებით ხელმძღვანელობდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის გადმოთარგმნილი არ იყო.

ასე და ამრიგად, პირველ პერიოდში ჩვენში ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი ჯერ კიდევ არ უოფილა ნათარგმნი.

კანონიკურ კრებულთა თარგმნისათვის პირველად ხელი მოუკიდია ექვთიმე ათონელს. როგორც მას ჩვეულებად ჰქონდა, ამ შემთხვევაშიაც, გადმოსათარგმნ ძეგლთა შერჩევისას, სახელმძღვანელო პრინციპად მან აიღო პრაქტიკული, ყოველდღიური მნიშვნელობა ცხოვრებისათვის ამა თუ იმ ნაწარმოებისა და თან ისიც გადმოთარგმნა არა იმ სახით, როგორც ის დედანში იყო, არამედ მისი შედგენილობისა და რედაქციის ცოტაოდენი შეცვლით ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით.

მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, რუის-ურბნისის კრების შემდეგ, ´ართულად ითარგმნა პატრიარქი ფოტის თოთხმეტტიტლოვანი «დიდი ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი». მთარგმნელი მისი არის, როგორც მტკიცედაა დამოწმებული თვით ნუსხებით, არსენ იყალთოელი. არსენის თარგმანი შემდეგში შეუუსიათ სხვადასხვა სტატიით. მაგალითად, შეუტანიათ შიგ მოციქულების პეტრესი და პაულეს კანონები, რომლებიც, მართალია, ბერძნულ დედანში არის, მაგრამ არსენის არ გადმოუღია, აგრეთვე ერთი საკმაოდ ვრცელი დამატებითი სტატია, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: «კანონი მეექუსე კართაგენს შინა შეკრებულთაჲ მამათაჲ». ეს სტატია საინტერესოა მით, რომ ბერძნულ ენაზე ის არ შენახულა; ის წარმოადგენს კრებულს, რომელშიაც განმარტებულია მეტად ვრცლად კარ-

თაგენის კრების არა მარტო მეექვსე, არამედ მეშვიდე და ორმოცდა მესამე კანონი, აგრეთვე მოციქულთა 69, ღანღრის კრების 19, პეტრე ალექსანდრიელის 15 კანონი, მოყვანილია შიგ ციტატები სხვადასხვა მამათა თხზულებებიდან, წარმოდგენილია ვრცელი ტრაქტატი სინანულისა და მარხვის შესახებ და სხვ. რედაქცია კანონებისა და ენა თარგმანისა სხვაა, ვიდრე თვით ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ შ ი, ასე რომ ისიც ნათარგმნია პეტრიწონული ლიტერატურული სკოლიდან გამოსული მწერლის მიერ, მაგრამ გაცილებით გვიან, ვიდრე თვით «სჯულისკანონი»[1].

მეთორმეტე საუკუნეში უნდა იყოს გადმოთარგმნილი ბერძნულიდან «კითხვანი მონაზონისა ვისნიმე, რომელთა აჴსნა გამოსცა პეტრე პატრიარქმან ხარტოფილაქსმან»[2]. ეს თხზულება, რომელიც სჯულისკანონში არ შესულა, წარმოადგენს მორწმუნეთა საეკლესიო-სარწმუნოებრივი ცხოვრებიდან სხვადასხვა კაზუსის განმარტებას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ ადგენდნენ სხვადასხვა პატრია კრებულს, რომელშიაც გათვალისწინებულია ესა თუ ის საკითხი მორწმუნეთა საეკლესიო-პრაქტიკული მოთხოვნილებისა. ასეთ კრებულს ქართულადაც თარგმნიდნენ. ჩვენამდე შენახულია, მაგალითად, «კითხვანი იოანე ოქროპირისა», სადაც შემდეგ საკითხებზეა პასუხი გაცემული: «მორწმუნისაგან ოდეს ჯერ არს აღსარება ანუ კაცთა ყოველთა? რომელი სათნოება უმჯობეს არს ყოველთა სათნოებათა? რომელი ცოდვა უბოროტეს არს?» აქ, სხვათა შორის, შედარებით ვრცლადაა ლაპარაკი «კაცთა გამსყიდველთა» შესახებ. ჩანს, ეს ტრაქტატი მაშინაა ნათარგმნი, როდესაც ჩვენში აღნიშნულმა სენმა განსაკუთრებით იჩინა თავი, ენაც მისი სწორედ ამ ეპოქისაა[3]. მეორე კრებული ამგვარივე ხასიათისაა «სახსნილონი სულმცირენი დიდთა რჯულისკანონთაგან გამოცემულნი»[4]. აქ ლაპარაკია საქრისტიანო ეკლესიის მარხვათა შესახებ, აღნიშნულია მათი რაოდენობა და დრო. სხვათა შორის, ნათქვამია: «ალაჯორისა კჳრიაკე მსგეფსამდი ხსნილი არს ყოველთა კაცთა ქრისტიანეთაგან და ვინც იმარხვიდეს ერისკაცი ჴორცითა, მოწესენი წუელითა და კუერცხითა, კრულ. წყეულ და შეჩვენებულ იყუნენ შჯდთა კრებათა მაღლითაა». მარხვათა შესახებ სადისციპლინო საკითხები ხშირად გვხვდება ხოლმე სხვადასხვა კრებულში, როგორც კანონიკურში, ისე ლიტურგიკულში, მაგრამ კრებულები ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო და თან მათში საჭირო საკითხთა განმარტების მოძებნაც გაძნელებული იყო, ამიტომ წარმოიშვა ამგვარი სახელმძღვანელოები.

ყველზე უფრო მწვავე და საჭირბოროტო იყო მორწმუნეთა ცხოვრებაში საკითხი ქორწინებაში «ნათესაობითი ხარისხის» შესახებ, საჭირო იყო ყველას სცოდნოდა — შესაძლებელია თუ არა ამა თუ იმ პირთა შორის ქორწინება და

---

[1] გამოცემა კართაგენის კრების ამ კანონისა დიდი მონაპოვარი იქნებოდა მეცნიერებისათვის.

[2] Проф. Влад. Бенешевич, Ответы Петра Хартофилакса, конца XI в., «Записки Академии Наук», т. VIII, № 14, 1909 г.

[3] A 1096, ფ. 46 в — 48 а.

[4] A 85, ფურც. 481 — 484; № 712, ფ. 43 — 50; N 1096, ფ. 50 в — 56 а.

ჯვრისწერა. ამ საკითხის შესახებ საბერძნეთის ეკლესიაში მთელი ლიტერატურა და კანონმდებლობა არსებობდა როგორც საეკლესიო, ისე მასთან შეთანხმებული სამოქალაქო, სხვადასხვა პატარა თუ მოზრდილ კრებულთა სახით. ზოგიერთი ასეთი კრებული ქართულადაც უთარგმნიათ. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში კალიგრაფს გიორგი კარგარეთელს გადაუწერია ერთი ასეთი კრებული [1], რომელიც, როგორც ენისა და შედგენილობიდან ჩანს, გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს ნათარგმნი. ამ კრებულს ეწოდება: «დაყენებულთა და უჯეროთა ქორწინება-მზახლობათათჳს და განგდებულთა». ის ორი ნაწილისაგან შედგება: პირველს აწერია «ტინტლოსი მეშვიდე» და ამოღებულია მართლაც ბასილი მაკედონელის ეგრეთ წოდებული პ რ ო ხ ი რ ო ნ ი ს მეშვიდე ტიტლოსიდან. აქ გარკვეულია სამი სახე სისხლითა ნათესაობისა—«აღმართი, შთამართი და მჳუერდილობითი», ნაჩვენებია ის პირნი, რომელთა შორის არსებობს ასეთი ნათესაობითი ურთიერთობა, და შეუძლიათ თუ არა მათ ერთმანეთთან შეუღლება. აგრეთვე ლაპარაკია ნათლისღებითი და შვილობილობითი ნათესაობის შესახებაც. მეორე ნაწილს აწერია: «ხარისხთათჳს ნათესაობისათა მესამისაგან წიგნისა ანასტიტუტონთასა»; აქ უნდა იგულისხმებოდეს მესამე წიგნი იუსტინიანე დიდის ი ნ ს ტ ი ტ უ ც ი ე ბ ი ს ა, იმაში აღნიშნულია ექვსი ხარისხი თითოეული ზემოდასახელებული სისხლითი ნათესაობის სამი სახისა. მეთვრამეტე საუკუნის გასულს იოანე მიხეილის ძე ქსიფილინოს-პაპუწიშვილს გადმოუთარგმნია ბერძნულიდან მანუილ ქ'აანთინოსის რედაქცია ნათესაობითი ხარისხისა, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ჩამოთვლილთ გარდა, წმინდა საეკლესიო-იურიდიულ ნათარგმნ ძეგლთა შორის ჩვენ გვაქვს კიდევ ანტონ კათალიკოსის მიერ 1776 წელს სომხურიდან გადმოღებული პირველ სამ მსოფლიო კრებათა აქტები (A 618) [2]. რაც შეეხება საეკლესიო-სამოქალაქო ხასიათის იურიდიულ კოდექსებს, ისინი იმ სახით, რა სახითაც ბერძნულად ვიცით, ქართულად მაინცდამაინც არ უთარგმნიათ. დაახლოებით ამგვარ კოდექსს წარმოადგენს მეფის ვახტანგ მეექვსის იურიდიული კრებული, რომელშიაც მოთავსებულია, სხვათა შორის, «სომხური კანონები», ესე იგი, იმპერატორი ვასილისკოს (V ს.) იურიდიული შრომა, მეხითარ გოშის მიერ გადმოკეთებული, და «ბერძნული კანონები», ან მ ა თ ე ბ ლ ა ს ტ ა რ ი ს შემოკლებული «სინტაგმა», არმენოპულოს «ექუსწიგნთაგანი» შევსებული. ვახტანგის კოდექსს მეცხრამეტე საუკუნეშიაც არ დაუკარგავს დიდხანს მნიშვნელობა და პოპულარობა [3].

ამით ამოიწურება ნათარგმნი კანონიკური მწერლობა ქართულ ენაზე. საქართველოს ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობდა აგრეთვე საკუთარი, ადგილობრივი კანონმდებლობით, რომლის ორგანოდ და წყაროდ ითვლებოდა: ა) კერძო პირთა განმარტებანი, ბ) კათოლიკოს-პატრიარქთა ეპისტო-

[1] A 85, ფურც. 48ბ — 50ა (ჩამატებული შემდეგ).

[2] განხ-ლულია Dr. Ign. Rücker-ის შრომაში: «Ephesinische Konzilsakten in armenisch-georgischer Überlieferung». München, 1930.

[3] პროფ. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ მეექვსის ბრძანებით, თბილისი, 1927.

ლენი, გ) სამოქალაქო ხასიათის იურიდიული კოდექსები და დ) ქართულ ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი. როდესაც ეკლესიაში წამოიჭრებოდა ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრისას საინტერესო იყო საბერძნეთის პრაქტიკა, ჩვენი წინაპრები მიმართავდნენ ხოლმე საზღვარგარეთულ ქართულ მონასტერთა ავტორიტეტულ წარმომადგენლებს და განმარტებას სთხოვდნენ. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ექვთიმე ათონელის დროს, რომლისთვისაც მიუმართავს სხვადასხვა საკითხის გამო გიორგი ჭყონდიდელს. ექვთიმეს პასუხი და განმარტებანი [1], რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, შედგენილია სტოდიელთა მონასტრისა და ათონის პრაქტიკის ზეგავლენით და ის ამ მხრივაც საყურადღებოა. «კანონიკურ ეპისტოლეთაგან» ჩვენამდე დარჩენილა მხოლოდ ერთი, კათოლიკოს ანტონ პირველისა, რომელიც გამოუცია მას, ერეკლე მეფის ნებართვით, 1767 წელს. ეს ეპისტოლე შეიცავს 15 მუხლს: 1) მღვდლად დასადგენნი უნდა «სწავლულ იყვნენ შვიდთა საიდუმლოთა», 2) საეკლესიო წიგნთა «უცოდნელად მღვდელობა არა ჯერ არს, 3) მწყემსნი მოვალენი არიან სამწყსოს ასწავლონ «წმიდაო ღმერთო, მამაო ჩუენო, მიწყალე და მრწამსი», აგრეთვე პირჯვრისწერა და აღსარების თქმა, 4) ეკლესია წმინდად უნდა იყოს დაცული, შიგ უნდა იყოს ყველა სიწმინდის სამსახურებელი ჭურჭელი, საღვთისმსახურო წიგნები და უმნიშვნელოვანესი ხატები, 5) მწყემსნი უნდა ერიდონ მთვრალობასა და ნაყროვნებას, 6) ბავშვებს ეკლესიაში უნდა ნათლავდნენ ნორმალურ პირობებში, 7) მისანთა და მწამულელთა შესახებ, 8) ხეთა და ძელთა, ნიშთა და ძეგლთა თაყვანისმცემელთა შესახებ, 9) კვირა-უქმე და დღესასწაულთა გატარების შესახებ, 10) პირუტყვის ბოროტის სიტყვით შეგინება, 11) ეკლესიის მამულის გაცემა-გაყიდვის შესახებ, 12) ეკლესიები უნდა იძენდნენ მხატვართაგან დამზადებულ ხატებსა და სტამბაში გამოსულ წიგნებს [2]. ამ საინტერესო დოკუმენტს ერეკლე მეფე შემდეგ სიტყვებს ურთავს: «ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თაყადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთათა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგანმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს — ან მომწამლველნი, ან კაცის შემკრველნი, ან სიყუარულისა და სიძულვარის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მოუტევებელის ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქნელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზოს ჯაჯაებით დაიხოცნენ. და ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ» [3]. საყურადღებოა ეს დოკუმენტი იმის გასათვალისწინებლადაც, თუ რა სასჯელს უნიშნავდნენ ხოლმე კანონთა დამრღვეველთ;

---

[1] «საქართველოს სამოთხე», გვ. 432 — 436; თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 83 — 87.

[2] პ. ქ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 179 — 185; A 317. ფ. — 179 — 186.

[3] იქვე. Ф. Жордания, Описание, I, стр. 315.

მღვდელს — მღვდლობისაგან გადაყენებას, მღვდელმსახურების, გარდა წირვისა, აღკრძალვას, მრევლის ჩამორთმევას, ხოლო ერისკაცს — ორმოცი ჯოხის დაკვრას, დარბევას და განსაკუთრებულ შემთხვევაში სიკვდილით სასჯელს.

კანონიკური ეპისტოლეს ხასიათი აქვს იმ «სასჯულო მცნებას», რომელიც XV საუკუნეში მიუცია აფხაზეთის საკათოლიკოსოსათვის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქს მიხაილს იოაკიმე ბედიელის აფხაზეთის კათოლიკოსად დადგინების გამო[1]. უეჭველია, პატრიარქი მიხაილი ამ «მცნებას» ბერძნულ ენაზე დაწერდა. მაგრამ, ვინაიდან ის, ალბათ, ქართულად გამოქვეყნდა, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, ქართველებისადმია უშუალოდ მიმართული, მას ჩვენ ვთვლით ქართულ საეკლესიო კანონმდებლობითს ძეგლად. «ეს ქარტა თქუენთვის აღვსწერეო», — ეუბნება მიხაილი ქართველებს ამ «მცნების» წინასიტყვაობაში, რომელშიაც გამოსჭვივის ძველი ანტიოქიური ტენდენცია ქართლისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოთა ანტიოქიის საყდარზე დამოკიდებულების შესახებ და რომელშიაც განსაზღვრულია აფხაზეთის საკათოლიკოსოს ტერიტორია: «ეპისკოპოსნი ლიხთამერეთს: ჭოროხს აქეთ, ოსეთსა აქეთ, ზღუა პონტოს აქეთ, სადა დიდისა ბიჭვინთისა საზღუარი მიაწევეს», აფხაზეთის კათოლიკოსისაგან იკურთხეოდიანო, ამბობს ის. ძეგლი გამომცემელს, თ. ჟორდანიას, 19 მუხლად დაუყვია, თუმცა რაიმე გარკვეული სისტემა აქ არ არსებობს. მ ც ნ ე ბ ა შ ი გათვალისწინებულია შემდეგი საგნები: 1) «უხეედრი ან უკანონო ქორწინება», — ვინც ირთავს სვინას ანუ მეყუჱს, სძალს, ბიძის ცოლს. ძმის ცოლს, ცოლის ასულს, ცოლის დედას, დობილს, დედობილს, თუ დედა-შვილი მამა შვილმა შეირთოს, გინა ორხი დანი ორთა ძმათა, ნატაცები ცოლქმრობა, ორცოლიანობა (§§ 1, 2, 13, 15, 18, 19); 2) «მრუშობა», — ხუცის. დიაკჱნისა და მთაევარდიაკვნის ცოლთან, დედისნაცვალთან და დედობილთან (§ 1. 3); 3) «მარხვის შერჱვა», — მოციქულთა, ოთხშაბათ-პარასკევთა, მიძინების, ალაჯორი და ყველიერის კჳრიაკე (§§ 5, 17. 18); 4) «უქმეთა დარღუევა ან ახალის შემოღება», — კერძოდ, ვინც შაბათს ცხრაჟამითგან ორშაბათს განთენებამდე მუშაობდეს ან პარასკევსა მიწასა რევდეს» (§§ 5, 16), — უკანასკნელი შენიშვნა უნდა იყოს შემდეგი დროის ინტერპოლაცია, ოსმალოთა ზეგავლენით ჩადენილი; 5) «მღვდელმსახურთა ზნეობრივი თვისებანი და მოვალეობანი», — ეპისკოპოსთა, მღვდელთა, მოძღვართა დ- ხუცესთა (§§ 2, 9, 10, 11, 13); 6) «ადამიანის მკვლელობა» (§ 14); 7) «სამოსნასტოო და საეკლესიო მამულთა მიტაცება» (§ 14); 8) «საეკლესიო კანონებისა და სამღვდელოებისადმი მორჩილება» (§§ 6. 7, 8, 12).

სამოქალაქო ხასიათის საკოდიფიკაციო შრომათაგან ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის მნიშვნელობას არაა მოკლებული არც გიორგი ბრწყინვალის ძ ე გ ლ ი ს დ ე ბ ა და არც ბექა-აღბუგას ს ა მ ა რ თ ა ლ ი[2]; თუმცა ისინი სამოქალაქო კანონმდებლობის კოდექსს წარმოადგენენ, მაგრამ ალავ-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 294 — 297.

[2] მანდატურთუხუცესი ბექა 1285 — 1306, აღბუგა ათაბაგი, შვილისშვილი ბექასა, XVI საუკუნის მეორე ნახევრისა. ამათ შესახებ იხ. ი. დ ო ლ ი ძ ე, «ძველი ქართული სამართალი» და «გიორგი ბრწყინვალის სამართალი».

ალაგ შიგ ლაპარაკია ეკლესიისა და მის მსახურთა შესახებაც. გიორგი ბრწყინვალის ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს ის შესანიშნავი ძეგლი ჩვენი იურიდიული მწერლობისა, რომელსაც «კელმწიფის კარის გარიგება» ეწოდება[1]. ეს ძეგლი, სხვადასხვა დროის მასალების მიხედვით შედგენილი, საბოლოოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, გამომცემლის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალის დროს გელათის მონასტერში. თუმცა ნაკლულობის გამო საეკლესიო და სასულიერო დაწესებულებათა შესახებ ამ ძეგლში სრული ცნობები არ შენახულა, მაგრამ ზოგიერთი საეკლესიო ინსტიტუტი მაინც საკმაოდ რელიეფურადაა აქ წარმოდგენილი, მაგალითად, ჭყონდიდელი და მოძღვართ-მოძღვარი. საეკლესიო და სასულიერო საქმეების გამგე, ამ ძეგლით, არის ჭყონდიდელი; გელათის მონასტრის გარდა, ყველა საყდარი, ეკლესია და მონასტერი, ხუცესი, მონაზონი და საეკლესიონი დასნი მისი ს ა კ ე ლ ო ჲ ა ნ ი იყვნენ, ვეზირთა შორის მას პირველი ადგილი უკავია. აქ მოხსენებული არიან მცხეთისა და აფხაზეთის კათოლიკოსი და ეპისკოპოსები: ჭუთათელი, ბედიელი, იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი და გოლგოთელი, და არათუ უბრალოდ არიან მოხსენებული, მათი იერარქიული უპირატესობაც არის აღნიშნული; მათ შორის ყველაზე მეტი პატივი იშხნელსა და ჭუთათელს აქვს. ამ მუხლში ეს ძეგლი შესამჩნევად განსხვავდება იმ დოკუმენტისაგან, რომელსაც ეწოდება «წესი და განგება კურთხეისათჳს მეფისა თუ ვითარ დასხდენ ბღუდელთმთავარნი სრულიად საქართველოჲსანი» ან «აღსავალთათჳს სამღუდელთმთავროთა საყდართა», რომელიც «კარის გარიგების» შემდეგ უნდა იყოს შედგენილი. საკმაოდ ვრცლადაა «კარის გარიგებაში» ლაპარაკი «მოძღუართმოძღურის» შესახებ. ის ყოველთვის პირველად იხსენიება ოთხ დიდხარისხოვან ბერთა ან მონაზონთა შორის, რომლებიც არიან: მოძღვართმოძღვარი, ჭყონდიდელი და კათოლიკოსნი ქართლისა და აფხაზეთისა, მას მეტი პატივი აქვს, თუმცა ის უბრალო ეპისკოპოსია, ვიდრე კათოლიკოსებს, პატივი მისი ზოგჯერ ჭყონდიდელის პატივსაც აჭარბებს. მეფე დარბაზობისას მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა[2]. «კარის გარიგებაში» ამასთანავე აღწერილია განცხადებისა და აღდგომის დარბაზობის წესი, აგრეთვე ზოგიერთი მონასტრიდან, კერძოდ, დავითგარეჯიდან, მეფისათვის ძღვნის მირთმევა. საზოგადოდ, აქ საყურადღებო მასალაა წარმოდგენილი საეკლესიო და სამოქალაქო-სახელმწიფო ხელისუფალთა ურთიერთ დამოკიდებულებისა.

ჩვენი საეკლესიო სამართლის გასათვალისწინებლად, რასაკვირველია, მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ადგილობრივ ქართულ საეკლესიო კრებათა დადგენილებებს. ჩვენს ისტორიაში ხშირია მაგალითები საეკლესიო კრებათა მოწვევისა სხვადასხვა საჭიროების გამო. ამ კრებებზე გამოქვრქვდათ დადგენილებანი, რომელნიც სავალდებულო იურიდიული ნორმების ხასიათს ღებულობდნენ ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში. სამწუხაროდ, ყველა კრების დადგენილებანი ჩვენამდე არ შენახულა. ჩვენ ხელთა გვაქვს დღესდღეობით ორი ამგვარი დოკუმენტი: რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) «ძეგლის-წერა» და ეგრეთ წოდებული

[1] «Monumenta Georgica», IV, Leges, თბ., 1920 წ., გამოც. ე. თაყაიშვილისა.

[2] ე. თაყაიშვილი, გვ. XXVII — XXX.

«საკათოლიკოზო კანონები»; უკანასკნელნი შეუდგენია მეთექვსმეტე საუკუნეში მოწვეულ კრებას იმერეთში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასე აგვიწერს რუის-ურბნისის კრების მოწვევის საბაბს და მის კანონმდებლობითს მოქმედებას: «წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნულ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროჲს, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროჲსნი საეპისკოპოსონი, არა კარით მწყემსებრ, ერდოთ შესრულნი, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა ღმრთისათა პყრობისა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა, და თჳთ სახლით უფლისაჲთ და მღდელთაგან გამოვიდოდა უსჯულოებაჲ, რომლითა თუალი ღმრთისაჲ, მხედველი ყოველთაჲ, ესეოდნად რისხუად აღზრულ იყო. ამათ უკუე დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრბა კრება ერმრავალი. რამეთუ სამეფოჲსა თჳსისა კათოლიკოსნი, მღდელმთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა, ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა, და მრავალღღე გამოწულილვითა ფრიადითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომილი განმართეს და კეთილწესიერებაჲ ყოველითურთ დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხიენეს საყდართაგან, დაღათუ არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა, და მათ წილ ჴეშმარიტნი მწყემსნი დაადგინნეს და ძ ე გ ლ ი შეუნიერი [ჴეშმარიტისა სარწმუნოებისაჲ] აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათაჲ»[1]. ამ კრების დადგენილებებს ეწოდება «ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისაჲ»[2]. «ძეგლისწერა», როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ კიდეც. შედგენილი უნდა იყოს ა რ ს ე ნ ბ ე რ ი ს მიერ და შეიცავს სამ ნაწილს: 1) პროლოგს ან შესავალს, რომელშიაც გათვალისწინებულია ეკლესიის დაარსება საზოგადოდ და საქართველოში კერძოდ, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა საკანონმდებლო მოქმედება და მათ მსგავსად ამ, რუის-ურბნისის, კრების მოწვევა; 2) რუის-ურბნისის კრების კანონმდებლობას და 3) სინოდიკონს, რომელშიც რედაქტორი ეუბნება ცოცხლებს (მეფე-დედოფლებს, კათოლიკოს-მღვდელმთავრებს და ცნობილ სასულიერო მოღვაწეთ) «მრავალჟამიერს», ხოლო მიცვალებულებს — «საუკუნო ხსენებას». კრებას «დაჴსხამს» და დაუდგენია 15 კანონი: 1) უღირს მღვდელმთავართა განკვეთის აუცილებლობა; 2) ასაკი ხელდასხმადთა და დრო მათი ხელდასხმისა; 3) გიორგი მთაწმიდლის «კურთხევანის» სანქცია; 4) ეგრეთ წოდებული სიმონია ან ხელდასხმისათვის ქრთამის მიღება; 5) სამღვდელოთა ჭურჭელთა და ეკლესიისადმი შეწირულთა სიწმიდეთა, თვინიერ მათი დანიშნულებისა, მოხმარების დაუშვებლობა; 6) გვირგვინის კურთხევა; 7) ასაკი დასაჭორწინებელთა; 8) იერარქიულ პირთა ჯეროვანი მომზადება; 9) მონასტრების მოძღვართათვის, მათი რიცხვი და ხარისხი; 10) მონასტრებში ვაჭრობის უადგილობა; 11) სად, როგორ და როდის უნდა სრულდებოდეს მიცვალებულთა და ცოცხალთა მოსახსენებელი ჟამისწირვა და ლოცვა? 12) მართლმადიდებლობად მომავალნი სომეხნი უნდა ნათლღებულ იქმნენ, ვითარცა წარმართნი; 13) მართლმადიდებელთა და წარ-

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი გვ. 290 — 292.

[2] «საქართვ. სამოთხე». გვ. 518 — 530; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II. 56 — 72.

მართთა შეუღლება აკრძალულია; 14) კიდისკიდე და არა ერთგან კურთხევა გვირგვინისა დაუშვებელია; 15) სოდომის ცოდვის შესახებ. «ძეგლის წერა» მეტად საყურადღებო ნაშთია ქართული იურიდიული მწერლობისა და არა მარტო ქართულის, არამედ საზოგადოისაც, რამდენადაც იმაში აღიბეჭდა საზოგადო საეკლესიო-იურიდიული ნორმები [1].

«საკათალიკოსო კანონები» ან «სამართალი კათალიკოსისა» არის ძეგლი მეთექვსმეტე საუკუნისა. 1543—1549 წლებში ქართლის კათოლიკოსის მალაქიასა (1531 — 1549) და აფხაზეთის კათოლიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის (1543 — 1578) დროს, იმერეთში მომხდარა საეკლესიო კრება, რომელსაც დასწრებიან, აღნიშნულ კათოლიკოსთა გარდა, ქუთათელი სიმეონი, გენათელი ანტონი. ჭყონდიდელი, ბედიელი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოსმანი, ხონელი ზაქარია, ნიკორწმიდელი იოაკიმე და წაიშელი კირილე. მათ გაუთვალისწინებიათ ის უწესოებანი და არანორმალური მოვლენანი, რომელთაც ფესვი გაედგათ მაშინდელ საზოგადოებაში, როგორც, მაგალითად, მკვლელობა, ტყეეთა ყიდვა-გაყიდვა, ეკლესიათა ძარცვა-გლეჯა, არაკანონიერი ქორწინებანი და სხვ., და «დაუსხამთ» 22 კანონი, რომელშიაც ყველა ამ უჯერო მოქმედებათათვის შესაფერისი სასჯელია დადებული [2]. კანონები, როგორც ისინი ამბობდნენ და როგორც მართლა მათი შინაარსიდანაც ჩანს, დამყარებულია «სჯულის კანონზე», — დიდსა და არა ექვთიმეს მიერ ნათარგმნ «მცირე სჯულის კანონზე», როგორც ბაქრაძე-ფრენკელსა ჰგონიათ [3]. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდა ჩვენში ამ დროს არა მარტო სასულიერო-საეკლესიო საქმეები და პირნი, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულებანიც [4].

საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ კრებათა დადგენილებებს, რომელნიც მეთვრამეტე საუკუნის ორმოციან-სამოციან წლებში მოუწვევიათ აღმოსავლეთ-საქართველოში. ესენია: ა) საეკლესიო კრება 1748 წლისა [5], ბ) 1755 წლის 16 დეკემბრისა და 1756 წლის 4 აპრილისა ანტონ I საქმესთან და პიროვნებასთან დაკავშირებით, გ) 1762 წლისა ირაკლი II და კათოლიკოზის იოსების მიერ მოწვეული.

როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ქართული საეკლესიო მართვა-გამგეობისა

---

[1] ნ. ურბნელი, საეკლესიო სჯულმდებლობა, ძეგლის წერა, «იერია», 1888 წ., №№ 38, 46, 75, 270, 271.

[2] «Сборник законов грузин. царя Вахтанга VI», изд. Френкеля, стр. 120—133.

[3] იქვე, გვ. 129. შენიშვნა მე-2.

[4] იხ. ნ. ურბნელის გამოკვლევა: ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათოლიკოსისა, «მოამბე», 1898 წ., №№ 3, 4. ყურადღების ღირსია, როგორც მაჩვენებელი იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების დეფექტებისა, აქტები იმ კრებისა, რომელიც მოუწვევიათ მეფე ერეკლეს და კათოლიკოს იოსებს 1762 წელს. აქტები შეიცავენ 11 მუხლს მღვდელმთავართა და მღვდელთა მოვალეობის შესახებ (ვ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 157 — 160.


[5] ელ. მეტრეველი, 1748 წლის საეკლესიო კრების დადგენილება (საქარ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 413—429).

და კანონმდებლობის ძეგლებს, არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ იმ დოკუმენტთა შესახებ, რომელთაც სიგელი და გუჯარი ეწოდება. ამ სახელებით აღინიშნებიან სხვადასხვაგვარი ხასიათისა და შინაარსის აქტები, როგორიცაა მეფე-დიდებულთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, მღვდელმთავართა და სხვა კერძო პირთა მიერ გაცემული წყალობის, ნასყიდობისა თუ შეწირულობის დოკუმენტები. შემოვიდა თუ არა ქრისტიანობა ჩვენში და ჩამოყალიბდა თუ არა საეკლესიო ორგანიზაცია, მეფეებმა ეკლესიის უზრუნველსაყოფად დაიწყეს შეწირვა მამულებისა და სხვადასხვა ღირებულებისა, ანდა მინიჭება ეკლესიისა და მის მსახურთათვის სხვადასხვა უფლება-პრივილეგიებისა. ასეთი აქტების გამომხატველია ის იურიდიული ძეგლები, რასაც სიგელ-გუჯარი ეწოდება. სიგელ-გუჯრებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთშორის დამოკიდებულების გაშუქებისათვის. საეკლესიო სამართლის, მფლობელობისა და ბატონ-პატრონობის გასათვალისწინებლად. ისინი ხშირად შეიცავენ მთელ კანონმდებლობითს კოდექსს ეკლესიის საქმეთა გამო, მაგალითად, ბიჭვინთის გუჯარი[1]. მათი დაწერილებითი, მეცნიერული შესწავლა ჩვენ წარმოგვიდგენს საეკლესიო-სამოქალაქო კანონმდებლობის მთლიან სურათს. ასეთი შესწავლა ჯერ არც კი დაწყებულა, ვინაიდან ამ მხრივ ჯერჯერობით მხოლოდ შემკრებლობითს ხასიათს ვიმყოფებით[2].

---

[1] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891 წ., გვ. 130 — 134; მისივე, Очерки по исторiи груз. словесности, III, 358—362.

[2] Brosset, Voyage archeologique, p. 1 — 50; Histoire de la Géorgie, liv. 2, p. 450—562; Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары; Грузинские дворянские грамоты; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I და II წიგნი, «ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები», «ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა»; ალ. ხახანაშვილის «გუჯრები», ს. კაკაბაძის «დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები», წიგნი I, II, თბილისი, 1921 წ., განსაკუთრებით «საქართველოს ისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების» გამოცემანი.



10. ლიტურგიკა

დასაწყისი ქართული ლიტურგიკული მწერლობისა. ტ ჯ პ ო ს ი და მისი სხვადასხვა რედაქცია. კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ს გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა. საბაწმიდური ტჯპიკონი. კტიტორული ტჯპიკონები. ათაკოსები. ღვკლიონარები. ლიტურგიარიონები და ევკოლოგიონი. გულანი.

ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს შეადგენს ლიტურგიკული მწერლობა, რომელიც წარმოშვა ქართულად ღვთისმსახურების შესრულების აუცილებლობამა და საჭიროებამ; მაშასადამე, ის თანამედროვეა ქართულ ენაზე ღვთისმსახურების დასაწყისისა. როდის დაიწყო ქართულად ღვთისმსახურების შესრულება? ქრისტიანობის შემოღებისთანავე ქართულად ღვთისმსახურებას ვერ შეასრულებდნენ, ამისთვის საჭირო იქნებოდა მომზადებული პირები და ლიტურგიკული წეს-ების გაღმოქართულება, ეს კი არც ისე მალე და ადვილად შეიქმნებოდა. ყოველ შემთხვევაში, თითქმის მთელი საუკუნე ქრისტიანობის შემოღებიდან, დაახლოებით მეხუთე საუკუნის, ნახევრამდე, ქართულად ღვთისმსახურება ვერ შესრულდებოდა. თავდაპირველად, როგორც საზოგადოდ ყველგან, ისე ჩვენშიაც, საკმარისი იქნებოდა, თუ საღმრთო წერილს, ესე იგი სახარებას მაინც, წაუკითხავდნენ ხალხს ქართულად ღვთისმსახურების დროს. მეხუთე საუკუნის გასულსა და მეექვსის დასაწყისს ღვთისმსახურება უკვე სრულდებოდა ქართულად, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ ს ა ბ ა გ ა ნ წ მ ე დ ი ლ ი (გვრდ. 532) თავის ა ნ დ ე რ ძ ი პირდაპირ ამბობს: «იევრიელებსა და ასურელებს ნება არა აქვთ ჟამისწირვა შეასრულონ თავიანთ ეკლესიაში (რომელიც საბას მონასტერში იყო); იქ მათ შეუძლიათ წარმოქუან ჟამნობა, შეასრულონ სამხრობა და წარიკითხონ თავიანთ ენაზე სამოციქულო და სახარებაჲ». აქედან ჩანს, რომ ამ დროს ქართველებს თავიანთ ენაზე ჰქონიათ არა მარტო სამოციქულო და სახარება, არამედ ჟამნობა,

სამხრობა და ჟამისწირვაც. მეექვსე საუკუნის გასულს, კირიონ კათოლიკოსის დროს, როგორც ჩანს სომეხ-ქართველთა იერარქების ურთიერთშორის მიწერ-მოწერიდან ეკლესიური ცილობა-კამათის გამო, საქართველოს ეკლესიის 35 ეპარქიაში ღვთისმსახურება, გარდა ერთისა — ცურტავისა, ყველაში ქართულად სრულდებოდა. დროთა განმავლობაში ღვთისმსახურება შეიქნა უმთავრეს ფაქტორად საქართველოს განაპირა პროვინციების გაქართულებისა და მათში ქართული სახელმწიფოებრიობის დამყარება-განმტკიცებისა. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, მართალი იყო გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი, გიორგი მერჩული, როდესაც ამბობდა: «ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად «უფალო წყალობა ყავ» გინათუ «უფალო შეგჳწყალენ» [1].

ეკლესიამ თავიდანვე უურადღება მიაქცია ღვთისმსახურებაში თვითნებობის ალაგმვას, მან შექმნა გარკვეული და ყველასათვის სავალდებულო წესი ღვთისმსახურებისა. ამ «წესს» ბერძნულად ჰქვია Τύπος, რაც «სახეს, ხატს მაგალითს» ნიშნავს. ეკლესიაში ცნობილია შემდეგი ამგვარი ტჳპოსი ან წესი: სამრეველო ან მსოფლიო და სამონასტრო. თავის მხრივ ცნობილია ორნაირი სამრეველო ტჳპოსი: იერუსალიმისა ან ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლისა, — აიასოფიის ან დიდი ეკლესიისა. სამონასტრო ტჳპოსი სამი ვიცით: პალესტინაში — საბაწმიდისა, კონსტანტინოპოლში — სტოდიელთა მონასტრისა და ათონზე — მთაწმიდისა. ის წიგნი, რომელშიაც ჩაწერილი იყო ეს სახოგადო წესი ღვთისმსახურებისა ან ტჳპოსი, ცნობილია სალიტურგიკო მწერლობაში «ტჳპიკონის» სახელით. ტჳპიკონი ითვლება ღვთისმსახურების რეგულატორად, მისი საერთო სულისა და მიმართულების გამომხატველად. ეს არის ერთგვარი წესდება, ყველა მღვდელმსახურისათვის სახელმძღვანელო. ღვთისმსახურების ისტორიაში ამა თუ იმ ტჳპიკონის არსებობა მაჩვენებელია იმისა, თუ რომელი ეკლესიის ან მონასტრის პრაქტიკას უერთდებოდა ესა თუ ის ერი. საქართველოს ეკლესია მეათე საუკუნემდე უმთავრესად პალესტინის ლიტურგიკულ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ამ დროს მას ღვთისმსახურებაში პალესტინის ტჳპიკონი უნდა ჰქონოდა ხმარებაში. მართლაც, ეს აპრიორული მოსაზრება გამართლდა ამ რამდენიმე ხნის წინათ, როდესაც აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული «განჩინებაჲ და განწესებაჲ მოძღუართა მიერ მართლმორწმუნეთაჲ, რომელსა ჰყოფენ იერუსალჳმს» [2]. ეს არის მთელი თხზულება, რომელიც შეიცავს ქრისტეს საფლავზე შემუშავებულ იერუსალიმის რედაქციის ტჳპიკონს, «კანონად» სახელდებულს [3]. ჩვენი აზრით, ამ კ ა ნ ო ნ შ ი შენახულა ქრისტეს საფლავიხ

[1] ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, გვ. ᲛᲗ. თაკი ᲛᲠ. სტ. 5 — 8.

[2] К. К е к е л и д з е, Иерусалимский Канонарь VII века, Грузинская версия, Тбилиси, 1912 г.

[3] სინას მთის მეათე საუკუნის სამონასტრო კატალოგის «ერთი დიდი კანონი» (Проф. В. Б е п е ш е в и ч, Грузинский Великий Номокапон, «Христ. Восток», т. II, стр. 350) «ღნიშნავს არა «დიდ ნომოკანონს» ან რჯულისკანონს, არამედ მთლიან წიგნს დასახელებული იერუსალიმის კანონისას; საქმე ისაა, რომ არსებობდა მეორე, «მოკლე» ან მცი-

ტუპიკონი მე-VIII საუკუნის რედაქციისა, რომელიც ქართულად უნდა იყოს ნათარგმნი, როგორც ამას ადასტურებს ახლადაღმოჩენილი პალიმფსესტური ფრაგმენტიც მისი[1], არაუგვიანეს მერვე საუკუნისა. თხზულება ნათარგმნია ბერძნული ენიდან, მისი მთავარი ფუძე მეხუთე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც ამაში გვარწმუნებს ჩვენ სომხური ლექციონარები, რომელთა ერთი რედაქცია გამოსცა 1905 წელს ინგლისელმა არმენისტმა ფ. კონიბერმა[2]. ამ ლექციონარებში იგივე დღესასწაულები და ხსენებანია, აგრეთვე იგივე სისტემა «საკითხავებისა», რაც ჩვენს კანონში. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ თავდაპირველად როგორც სომხები, ისე ქართველები, ხელმძღვანელობდნენ იერუსალიმის ან ქრისტეს საფლავის «კანონით», ესე იგი ტუპიკონით, რომელიც მერე სომხებსაც შეუფარდებიათ თავიანთი ეკლესიის საჭიროებათათვის და ქართველებსაც. «იერუსალიმის კანონი» ჩვენში ხმარებაში იყო მეათე საუკუნის დამლევამდე[3].

როდესაც ათონზე ფეხი მოიკიდეს ქართველებმა, მათ თარგმნეს ახალი რედაქცია ტუპიკონისა, ეგრეთწოდებული აიასოფიის ან კონსტანტინოპოლის «დიდის ეკლესიის» ტუპიკონი, რომელიც ფეხი მოიდგა ჩვენში და «იერუსალიმის კანონი» თანდათან განდევნა პრაქტიკიდან. აიასოფიის ტუპიკონი, რომელსაც ქართულად «სჳნაქსარს» (Συναξάριον) უწოდებდნენ, შემოკლებული რედაქციით[4] თარგმნა ექვთიმე ათონელმა[5]. ვინაიდან ექვთიმეს მიერ ნათარგმნი «მცირე სჳნაქსარი» იმდროინდელ რთულ ლიტურგიკულ მოთხოვნილებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა, გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა «დიდი სჳნაქსარი», ესე იგი მთლიანი, სრული რედაქცია აიასოფიის ტუპიკონისა, რომელშიაც შეტანილია ელემენტები სტოდიელთა სავანისა[6] და ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკისა[7]. ეს ტუპიკონი ერთადერთი იყო, რომელიც განაგებდა ქართულ საღ-

---

რე კანონი» (იმავე სინას მთაზე, № 37; პროფ. ალ. ცაგარლის აღწერილობით № 30), რომელიც შეიცავდა ამ ტუპიკონს არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ: სახელდობრ: განგებას შობისას. ნათლისღებისას, ბზობისას, ენების კვირიაკისას და აღდგომისას (გამოცემულია აკად. ჯავახიშვილის მიერ: «სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა». გვ. 83—101). შეად. კ. კეკელიძე «მცირე კანონი იოანე ზოსიმესი, ეტიუდები III, 127—133.

[1] ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, «თბილ. უნივერ. მოამბე», III, 363 — 365, 358.

[2] «Rituale Armenorum». Oxford, p. 507—532.

[3] მისი კვალი გვაქვს აგრეთვე XI საუკუნის დამდეგის კალენდარში, რომელიც გამოსცა Dr H. Goussen-მა: «Die georgische Drücke und Handschriften. die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerusalems betreffend», 1923.

[4] «სჳნაქსარი საწელიწდოჲ უმცროსისჲ», ათონის კრებული», გვ. 28.

[5] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в., стр. 297 — 310.

[6] ჩვენში სტოდიტთ სავანეგან «ტუპიკონი, რომელ არს სჳნაქსარი სტოდიელთა მონასტრისაჲ. რომელი იწყების თჳსსა სეკდენბერსა და აღსრულების განსრულებასა აგჳსტოსისაჲ თჳთსასა». ის შენახულია XV საუკუნის პერგამენტის ხელნაწერში № 655. რომელიც ქუთაისის მუზეუმში ინახება. თუმცა. შინაარსის მიხედვით ის შეიცავს სტოდიელთა ტიპიკონის სჳნაქსარულ ნაწილს და არა ტიპიკარულს.

[7] კ. კეკელიძე, Грузинские литургические памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, стр. 228 — 366, 483 — 500.

ვითისმსახურო პრაქტიკას მეთორმეტე საუკუნემდე, თუმცა საბოლოოდ განდევნილ იქნა ის ხმარებიდან მხოლოდ XIV — XV საუკ.

მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დროს, ჩვენში შემოსულა ახალი რედაქცია ტუპიკონისა, ეგრეთ წოდებული «საბაწმიდური», — პალესტინისა. ეს ტუპიკონი პირველად შემოუღიათ შიომღვიმის ლავრაში სვიმეონ საკვირველთმოქმედის მონასტრიდან (ანტიოქიის მახლობლად) დავით აღმაშენებლის თანამედროვე და დაახლოებულ ბერებს არსენისა და იოანეს [1]. ყოველ შემთხვევაში, თაძარ მეფის დროს ამ ტუპიკონით ხელმძღვანელობდნენ არათუ სამრეკლო ეკლესიებსა და მონასტრებში, მეფის კარის ეკლესიაშიც კი; ამაში გვარწმუნებს მემატიანეს შემდეგი სიტყვები: «საეკლესიო ღმერთსა და წესი ღმერთსაჲ დაუკლებელად აღსრულებოდის [ვითარცა] ტუპიკონი მოასწავებდა.—განწესებაჲ პალესტინისა მონასტრისაჲ, — ყოველი სრულიად» [2]. თავდაპირველად ჩვენში შემოვიდა «სვიმეონწმიდის» რედაქცია პალესტინის ან საბაწმიდის ტუპიკონისა, რომელშიაც შემდეგ ადგილი მოიპოვა ათონის მონასტერთა ლიტურგიკული პრაქტიკის ელემენტებმა, ასე რომ საბოლოოდ ჩვენში დამყარდა «მთაწმიდის» რედაქცია აღნიშნული ტუპიკონისა [3]. ეს რედაქცია პალესტინის ტუპიკონისა უცვლელად იყო ჩვენში მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე, როდესაც ის შეუსწორებია სლავური ტუპიკონის მიხედვით ანტონ კათოლიკოსს რუსეთში ყოფნისას; ამით დამთავრდა ჩვენში ტუპიკონის ისტორია და ევოლუცია.

საქრისტიანო ქვეყნებში ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ დიდგვაროვანი და შეძლებული მორწმუნენი მთელ თავის ქონებას ახმარდნენ მონასტრის აშენებასა და გამშვენებას, რომელსაც ისინი განსაზღვრულ სამონასტრო წესსა და კანონს უჩენდნენ. ისიც ხდებოდა, რომ, ცხოვრებამობეზრებულნი, თვითონაც იღებდნენ ბერობას და მათს მონასტერში აფარებდნენ თავს. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა ეგრეთ წოდებულ «კტიტორულ» მონასტრებს, რომელთა რიცხვი განსაკუთრებით მეცხრე საუკუნიდან მატულობს. მათ საქართველოშიც ჰქონდათ ადგილი, რაც, სხვათა შორის, ილარიონ ქართველის ცხოვრებიდანაც ჩანს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ილარიონი ექვსი წლისა იყო, იმ დაბაში, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, მამამ «შეუქმნა მას მონასტერი და

---

[1] Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, данное Шиомгвимской лавре в 1123 году, стр. 10 — 11, Тифлис, 1895 г. საბაწმიდური ტუპიკონი განეითარდა იმ სამონასტრო წესის ნიადაგზე, რომელიც განუჩინა საბამ თავის ლავრას. ეს სამონასტრო წესი, თუ უფრო ადრე არა, მეცხრე საუკუნეში უკვე იყო ცნობილი ჩვენში. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ მან «იერუსალემს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჰკედრა საბაწმიდისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ». როდესაც გრიგოლი საბერძნეთიდან დაბრუნდა, «მაშინ იერუსალემით მოიწია კაცი, რომელმაც მოართუა საბაწმიდისა განგებაჲ დაწერილი» (ნ. მარის გამოცემა, გვ. 101—ა). ამ წესდების საფუძველზე გრიგოლმა. როგორც ამბობს მისი ბიოგრაფი, «განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ». უნდა ვიფიქროთ, ეს „წესი" შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ ჩვენში და, ყოველ შემთხვევაში, ტაო-კლარჯეთში სხვა მონასტრებიც მიიღებდნენ მას სახელმძღვანელოდ.

[2] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 580.

[3] К. Кекелидзе, Грузинские литургические памятники, стр. 313—347, 506—511.

შეკრბეს მუნ ძმანი რიცხვთ ვითარ ათექუსმეტნი ოდენ»[1]. მერე, დაბრუნდა თუ არა ის იერუსალიმიდან, დაქვრივებული დედისა და დისათვის «აღაშენა მონასტერი დედათათჳს მოწესეთა ადგილსა კეთილსა და შუენიერსა და შეწირნა სოფელნი რავდენიმე, ვითარ შემძლებელ იყო, და განუწესა წესი და კანონი, ვითა ჯერ არს მონასტერსა შინა ყოფისაჲ, ლოცვისა და მარხვისა და ყოველისაჲვე წესიერად ქცევისაჲ[2]. და კუალად აღაშენა სხუაჲ მონასტერი მამათათჳს და შეკრიბა ჰას შინა ძმანი ვითარ სამეოცდაათექუსმეტნი... და განუწესა მათცა წესი და კანონი, სიმჴნისა მათისა შემსგავსებული, და აღუშენა ეკლესიაჲ და შეამკო ყოველითავე სამკაულითა და მოუგნა წიდანი წიგნნი და დასხნა მას შინა და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყვნეს მამულისაგან თჳსისა»[3]. კტიტორები იმ წესს, რომელსაც ისინი «განუჩდნენ» თავიანთ მონასტერს, დასწერდნენ ხოლმე და ამნაირად წარმოიშვა მრავალი კ ტ ი ტ ო რ უ ლ ი ტჳპიკონი. უეჭველია, კტიტორული ტჳპიკონები ჩვენშიაც იქნებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, შენახულა ცოტა. გრიგოლ ხანძთელმა მის მიერ აშენებულ მონასტრებს მისცა თავისი წესი, რომლიდან მის ბიოგრაფიაში მხოლოდ ექსცერპტებია მოყვანილი[4]. კტიტორული ტჳპიკონი მისცა თავდაპირველად ექვთიმე ათონელმა ივერიის მონასტერს[5]. ეს ტჳპიკონი, რომელიც რეგლამენტაციას უკეთებს ბერმონაზონთა შინაურ სამონასტრო ცხოვრებას, შედგენილია საერთო სამონასტრო და უფრო კი მთაწმიდელთა პრაქტიკის მიხედვით. კტიტორული ხასიათის ტჳპიკონს წარმოადგენს «անდერძი დავით აღმაშენებელისა», რომელიც მას მიუცია შიომღვიმის ლავრისათვის სიკვდილის წინ[6] და რომელშიც გარკვეულია შინაური წესწყობილება აღნიშნული ლავრისა და მისი დამოკიდებულება შეფე-კათოლიკოსთან. კტიტორული ტჳპიკონი მიუცია 1034 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძეს მის მიერ აშენებული პეტრიწონის მონასტრისათვის. ეს ტჳპიკონი, რომელიც დაწერილი ყოფილა ქართულ და ბერძნულ ენაზე (ამდენ ხანს ცნობილი იყო მხოლოდ ბერძნული ტექსტი)[7], შედგენილია ვიმე «ყოვლადწმიდის» მიერ აშენებულ მონასტრის (Μονὴ Παναγίου) ტჳპიკონის მიხედვით. ის ითვალისწინებს მონასტრის აშენების ისტორიას, მის შინაურ წესებს, ბერმონაზონთა ყოფაცხოვრებას და მონასტერთან არსებული სემინარიის ორგანიზაციას. ტჳპიკონი მეტად საყურადღებოა, სხვათა შორის, ქართველთა საზღვარგარეთული სამონასტრო კოლონიზაციის დასახასიათებლად.

[1] «ათონის კრებული», გვ. 71.

[2] იქვე, გვ. 78.

[3] იქვე, გვ. 78 — 79.

[4] ნ. მარი ს გამოცემა, გვ. ძა; К. Кекелидзе, Литургические грузин. памятники, стр. 477, прим. 13.

[5] „ათონის კრებული», გვ. 35 — 52.

[6] Ф. Жорданния, Завещание Давида Возобновителя. данное Шиомгвимской лавре в 1123 году, Тбилиси, 1895 г.; მისივე, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 14 — 19.

[7] Louis Petit: «Византийский Временник», т. XI, 1904 г. ახლახან აღმოჩნდა ქართული ტექსტიც, რომელიც გამოსცა მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ მ ა: Typikon Gregorii Pakuriani, Lovanii, 1954.

თითქმის იმავე დროს, მეთორმეტე საუკუნის გასულს და მეცამეტის დამდეგს, 1204 — 1234 წლებში, დაწერილია კიდევ ერთი კტიტორული ტუპიკონი, სახელდობრ: «განგება ეაჰანის ქუაბთა მონასტრისა» ასპინძის რაიონში, ვარძიის ცოტა ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე [1], რომელიც მიუცია ვინმე მხარგრძელს «თჳსის მონასტრისათვის», სახელდობრ ეაჰანის ქვაბთა წმიდა გიორგისათვის. სამწუხაროდ, ძეგლი მეტად დაზიანებულია, მაგრამ ისიც, რაც დარჩენილა მისგან, მეტად საყურადღებო და დამახასიათებელია ქართული კტიტორული ტუპიკონებისა და სამონასტრო ცხოვრებისათვის.

ღვთისმსახურება, რომელსაც წესს უჩენს ტუპიკონი, სამი უმთავრესი ელემენტისაგან შედგება: საკითხავები საღმრთო წერილიდან, ლოცვები, რომელთაც წარმოთქვამს მღვდელმსახური, მკითხველი ან მორწმუნე, და საგალობელი ჰიმნები. საღვთისმსახურო წიგნებიც ამისდა მიხედვით სამ უმთავრეს დარგად იყოფა და თითოეულ დარგს რამდენიმე სხვადასხვა წიგნი ამოსწურავს. საღმრთო წერილიდან ღვთისმსახურების შესრულებისას კითხულობენ ახალი აღთქმიდან — სახარებასა და სამოციქულოს, ხოლო ძველი აღთქმიდან — პროფიტოლოგიონსან პარემიონს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა წიგნიდან, უფრო კი წინასწარმეტყველებიდან, ამოკრებილ ადგილებს. განსაკუთრებულ ხმარებაშია აგრეთვე დავითონი, ან ფსალმუნთა კრებული. საეკლესიო პრაქტიკამ ღვთისმსახურებისას საჭირო ახალი აღთქმის ბიბლიური ტექსტებისათვის ცალკე კრებული შეიმუშავა, ეგრეთ წოდებული ეპრაკოსები [2], სადაც საეკლესიო წელიწადის წესით მოყვანილია სახარებიდან და სამოციქულოდან მხოლოდ ის საკითხავები, რომელნიც ღვთისმსახურებისას იხმარება. მეათე საუკუნემდე ჩვენ ვერ ვხვდებით განცალკევებულ «ეპრაკოსებსა» და «პროფიტოლოგიონებს», მათ მაგიერ გვაქვს ეგრეთ წოდებული ლექციონარები, რომელშიაც თითოეული კვირიაკისა ან დღისა და დღესასწაულისათვის მოყვანილია «საკითხავი» სახარება-სამოციქულოსა და საწინასწარმეტყველოსაგან. ასეთ ლექციონარს წარმოადგენს, სხვათა შორის, იერუსალიმის რედაქციის ის კანონიც, რომლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ზემოთ. არაიშვიათად თვით სახარება-სამოციქულოს ხელნაწერთა არშიებზე აღნიშნავდნენ ხოლმე, როდის იკითხება ესა თუ ის ადგილი, როგორც, მაგალითად, ეს ჩა-

---

[1] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძეგლი ეაჰანის ქვაბთა, გვ. 28—44. ეაჰანის ქვაბთა განგება, გამოც. ლ. მუსხელიშვილისა, გვ. 9—11, 11—16.

[2] «ეპრაკოსი» ბერძნული სიტყვაა, მაგრამ, როგორც ტერმინი, ბერძნებისაგან არ მომდინარეობს, წარმოდგება სიტყვისაგან πρᾶξ- [აქედან πρᾶξαπόστολος, — «საქმე მოციქულთა»]; genelivus ამ სიტყვისა უარყოფითი ნაწილის α-ს მიმატებით მოგვცემს ἀπραχος, რაც ამის მაჩვენებელია, რომ წიგნი, რომელსაც ეს სახელი აქვს, არ არის πρᾶξ-ი, : საქმე მოციქულთა, არამედ სხვა, კონკრეტულად — სახარება. მართლაც, ეპრაკოსებად უფრო სახარებები იწოდება. ასეთი ტერმინი სლაუურ ნიადაგზე უნდა შეეხსნელიყო (პროფ. Н. Глубоковский, Греческий рукописный Евангелистарий из собрания И. Тройцкого «Христиан. Чтение», за 1897 г., т. CCIV, часть I, стр. 29, примеч. 12). ქართულად «ეპრაკოსი» არ იხმარება, ამის შესატყვისად ჩვენებს უხმარიათ «სახარება საწელიწდო გამოკრებული» ან «სამოციქულო გამოკრებული».

უდენია შატბერდის, ან ადიშის სახარების გადამწერს. უფრო ხშირად კი ხელნაწერთა ბოლოში მოათავსებდნენ ეგრეთ წოდებულ «საძიებელს» საკითხავებისას, რომელშიაც ყოველი კვირიაკისა, დღისა თუ დღესასწაულისა და კერძო შემთხვევისათვის აღნიშნულია ხოლმე «დასაწყისი» ამა თუ იმ საკითხავისა. ასეთი «საძიებელნი» მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვინაიდან ისინი გვირკვევენ—რომელ პრაქტიკასა და ტრადიციას იცავდნენ ამა თუ იმ შემთხვევაში საქართველოში. მნიშვნელოვან ეკლესიებსა და ადგილებს ჰქონდათ თავიანთი საკუთარი სისტემა საკითხავებისა და, მაშასადამე, «საძიებელისაც». ცნობილია, მაგალითად, საბაწმიდის, იერუსალიმის, სინას მთისა და საბერძნეთის ან სოფიაწმიდის სისტემა. ჩვენამდე შენახულ «საძიებელთა» ხელნაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ჩვენ გექონია პირველ პერიოდში «საბაწმიდის» და «სინას მთის» სისტემა, უკანასკნელი გადაუწერია 978 წელს იოანე-ზოსიმეს[1]. გექონია აგრეთვე იერუსალიმის, ან წმიდა საფლავის სისტემა, რომელიც მოთავსებულია ზემოგანხილულ «კანონში». მეთერთმეტე საუკუნეში ეს სისტემა იმდენად გამოსულა ხმარებიდან და იმდენად დავიწყებულა, რომ ქართველებს აღარ ახსოვთ მისი იერუსალიმისაგან წარმომდინარეობა და მას უკვე «ქართულ კანონს» უწოდებენ სხვა სისტემისაგან გასარჩევად. მაგალითად, 1048 წელს გადაწერილ სახარებას დართული აქვს «საძიებელი», რომლის შესახებ გადამწერი თუ რედაქტორი შენიშნავს: «ესე წესი და განგებაჲ საბაწმიდისაჲ არს ბერძული, ვის ქართული უნდეს, კანონსა მიუდგეს და მისგან ისწავეს; რომელ დედასა ეწერა, მე იგი დამიწერია, წმიდაჲ და ჴეშმარიტი წესი საბაწმიდისაჲ»[2]. როგორც ვხედავთ, «ქართულს» ან იერუსალიმის «კანონს» ის უპირისპირებს საბაწმიდისას.

ასეთივე განსაკუთრებული სისტემა «საკითხავებისა» მიღებული იყო დავითწმიაც. დავითნი შედგება 150 ფსალმუნისაგან, რომლებიც იყოფა 20 ნაწილად, ამ ნაწილთ ეწოდება «კანონი»; თითოეული «კანონი» იყოფა სამ ნაწილად, რომელთაც «დიდება» ეწოდება. როგორც სახარება-სამოციქულოსი, ისე ფსალმუნების კითხვის წესიც შემუშავებული იყო ეკლესიაში და, მაშასადამე, იმათთვისაც ადგენდნენ ხოლმე «საძიებელს». ასეთი «საძიებელი» ყოფილა საბაწმიდური, ბერძნული, იერუსალიმური და ქ ა რ თ უ ლ ი. ეს, სხვათა შორის, ჩანს 904 წლის დავითნიდან[3], სადაც ვკითხულობთ: «ხოლო განყოფაჲ კანონთაჲ სამად გალობასა შინა, სადა დიდებაჲ ითქუმის, ესრჱთ ცან, ვითარ ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი განჰყოფენ; სადა წერილ იყოს ესე ვითარმედ თ ა ყ უ ა ნ ი ს ც ე მ ა ჲ, ცაღლა მუნ დ ი დ ე ბ ა ჲ ითქუმის და მუნვე წითლითა წილქანი ზის. და ესე ფსალმუნთაჲ. ხოლო კანონთა თავი თჳთ საცნაურ არს და თანავე ჩამოწერილ არს. ხოლო ვითარ ბ ე რ ძ უ ლ ნ ი და ი ე რ უ ს ა ლ ი მ ე ლ ნ ი განჰყოფენ, ესრჱთ იხილე და ცან: სადა ჰყოფენ თავსა კანონთასა, წითლითა ზის თავი და სადა ფსალმუნთა დიდებასა ჰყოფენ. და არიან რომელნიმე ერთფერად და სწორად იჱრუსალიმელთაჲ და ქართველთაჲ კანონიცა და ფსალმუნიცა»[4]. ეჭვს

[1] H. Марр, Предварительный отчет, стр. 26 — 27.

[2] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь, стр. 37.

[3] А 38.

[4] მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, I, 190 — 191.

გარეშეა, რომ აქ. თუმცა ლაპარაკია «იერუსალიმელთა» და «ქართველთა» განყოფის შესახებ ცალ-ცალკე, მაგრამ ერთი და იგივე წესი იგულისხმება: ქართველთა «განყოფილება» იგივე იერუსალიმელთა «განყოფილებაა» არს.

მეორე დარგი საღვთისმსახურო წიგნებისა, რომელნიც შეიცავენ სხვადასხვა ლოცვას, ბერძნულად ცნობილია როგორც Εὐχολόγιον, ესე იგი ლოცვანი. ამ სახელით აღინიშნება განსაკუთრებით ორი წიგნი: ერთში მოთავსებულია წირვის წესი, ხოლო მეორეში — ადამიანის ცხოვრებაში სხვადასხვა შემთხვევის გამო წარმოსათქმელი ლოცვები, როგორც, მაგალ., ნათლისღებისას, ჯვრისწერისას, დასაფლავებისას და სხვ. იმ წიგნს, რომელშიაც წირვის წესია მოთავსებული, ეწოდება ბერძნულად Λειτουργιάριον, ხოლო ქართულად კონდაკი ან ჟამისწირვა. სახელწოდება კონდაკი წარმოდგა თვით ამ წიგნთა ფორმისაგან: ძველად წირვის წესს წერდნენ ხოლმე მომეტებულ ნაწილად გრძელ, ერთიმეორეზე გადაკერებულ, ეტრატის ვიწრო ფურცლებზე; ეს ფურცლები დახვეული იყო ჯოხზე, რომელსაც თავი დამრგვალებული ჰქონდა ლურსმნის მსგავსად. ამ ხვეულს ან გრაგნილს ბერძნულად ერქვა Εἰλητάριον, ხოლო ქართულად კონდაკი, ვინაიდან იმ მოკლე ლურსმნისებურ ჯოხს ბერძნულად κόντος-ს ეძახდნენ, აქედან წარმოდგა κοντάκιον, მაშასადამე, კონდაკიც ბერძნული სიტყვაა. ჟამისწირვა სპეციალური ქართული ტექნიკური ტერმინია, რომელიც აღნიშნავს წმინდა მსხვერპლის ან ეკლარისტიის შეწირვას განსაზღვრულ ჟამსა და დროს. ვინაიდან ის მღვდელმოქმედება, რომელსაც ჩვენ წირვას ვეძახით, უმთავრესად ეკლარისტიის შეწირვას წარმოადგენს, ასეთი სახელი ადვილი გასაგებია. ისტორია ქართულ ენაზე «კონდაკის» თარგმნისა არის ისტორია იმისა, თუ რა და რა რედაქციის წირვის წესი იყო ქართულად ხმარებაში. ცნობილია რამდენიმე რედაქცია წირვის წესისა: მოციქულთა ლიტურგია, უფრო იაკობის, მარკოზისა და პეტრესი, და კონსტანტინოპოლური ლიტურგია: ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა და პირველშეწირული (დიდმარხვისა). რომელი რედაქცია იყო ჩვენში მიღებული? საერთოდ აღმოსავლეთში მიღებული იყო და გავრცელებული, თითქმის მეთორმეტე საუკუნემდე, მოციქულთა ლიტურგიები, განსაკუთრებით იაკობისა, ხოლო ბიზანტიაში ან კონსტანტინოპოლის რაიონში—ბასილი დიდისა და ოქროპირისა. ჩვენში ძველადვე ორივე რედაქცია იყო თარგმნილი, ეს, სხვათა შორის, ჩანს ექვთიმე ათონელის პასუხიდან გიორგი ჭყონდიდლის მიმართ. გიორგის შეკითხვაზე — «რაჲ არს ჟამის წირვაჲ იაკობისი, ჴელშმარიტ არს ანუ არაჲ»? — ექვთიმე უპასუხებს: «წმიდისა იაკობის ჟამისწირვაჲ უეჭველად ჴელშმარიტი არს და პირველად იგი იყო ეკლესიათა შინა საბერძნეთისათა და ჩუენთა. ხოლო ოდეს წმიდამან ბასილი და ნეტარმან იოანე ოქროპირმან ჟამისწირვანი გამოთქუნეს, სიმოკლისათჳს ერმან იგი აღირჩია და წმიდისა იაკობისი მივიწუყდა და ყოველნი ოქროპირისასა სწირვენ და დიდთა მარხვათა ბასილისასა, და ოდესაც ვის უნდეს, ყოვლადვე კეთილ არს იაკობისი და პეტრესიცა» [1]. ამ სიტყ-

[1] К. Кекелидзе, Древне-грузинский Архператикон, стр. VI—VII.

ვებიდან ჩანს, რომ მეათე საუკუნის გასულს საქართველოში ორივე რედაქციის ლიტურგიები ყოფილა, მათში ერთგვარი მეტოქეობა დაწყებულა, ასე რომ საჭირო გამხდარა ავტორიტეტული განმარტება მათი ღირსება-კანონიერებისა. ვინაიდან მეათე საუკუნემდე ჩვენი ეკლესია უმთავრესად ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს საეკლესიო ტრადიციებს იზიარებდა, იქ კი იაკობის ლიტურგია იყო ხმარებაში, ჩვენშიაც, ეჭვი არაა, ეს ლიტურგია იქნებოდა მიღებული. მართლაც, მეათე საუკუნეზე ადრე ჩვენში არ დარჩენილა კონსტანტინოპოლის რედაქციის ლიტურგიები, იაკობის კი შენახულა. დღეს ცნობილია იაკობის ჟამისწირვის რამდენიმე რედაქცია.

იაკობის ჟამისწირვა, როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში თანდათან იცვლიდა ხოლმე სახეს: იმაში შეჰქონდათ ახალი ლოცვები, ძველებიდან ზოგიერთს აგდებდნენ ხოლმე, რიგი და თანმიმდევრობა ლოცვებისა იცვლებოდა, ტექსტში შეჰქონდათ სხვადასხვა ხასიათის «განგებანი» და ა. შ. ამ პროცესს, ჩანს, თვალყურს ადევნებდნენ ჩვენშიაც და ამიტომ არის, რომ ქართულ ხელნაწერებში შენახულა ოთხი სხვადასხვა რედაქცია იაკობის ჟამისწირვისა. ერთერთი რედაქციის გადამწერელი, იოანე-ზოსიმე, ამბობს: «ამის ჟამისწირვისა დედასა მრავალი განგებაჲ და ლოცვები და სიტყუები აკლდა თავითგან ვიდრე დასასრულამდე ვითა მე ვიცოდე მოძღუართაგან და ჩემთა ჟამისწირვათა შინა ეწერა, და ვერ დიად ჩემისაჲ გულისაჲ იყო; ხოლო ეინ მაწუხრიებდა, მეეჭდრებოდა ფრიად, რაჲთა რაჲ მაგას შინა სწერია, იგიაჲ ოდენ დამიწერეო. აწ იგიაჲ ოდენ დამიჩხრეკია» [2]. აქედანაც ჩანს, რომ ამ ჟამის წირვას ჩვენშიაც არაერთი ცვლილება განუცდია. იმ ოთხ რედაქციათაგან, რომელნიც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთია გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა (გამოტანილია სინას მთიდან) და გამოცემულია მ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ [3]. ის დამზადებულია იოანე ზოსიმეს მიერ (985 წელს, როგორც თვითონ უჩვენებს), რომელიც აქ მოხსენებულია არა მარტო ცოცხლებში (გვ. 18 თარხნიშ.), არამედ რატომღაც მიცვალებულთა შორისაც (იქვე, გვ. 21). მეორე რედაქცია, აგრეთვე მეათე საუკუნისა, მოთავსებულია სინას მთის ხელნაწერში [4]. მესამე რედაქცია, გამოცემული ჩვენ მიერ, მოგებულია კათოლიკოზის სვიმეონის მიერ მეთერთმეტე საუკუნის დამ-

---

[1] Проф. А. П е т р о в с к и й, Апостольские литургии древней церкви, стр. 25—78, 1897 г.

[2] შ ა ნ ი ძ ე ა. ქართული ხელნაწერები გრაცში, თბილ. უნტ-ის მ ო ა მ ბ ე, IX, 345 — 347, 1929.

[3] Liturgia Ibericae Antiquiores (Corpus scriptorum christianorum Orientalium, Vol. 122, Iberica, Series I — Tomus I (ქართული ტექსტი), Volum. 123, ლათინური თარგმანი, ავტორი რატომღაც ა. შანიძის ზედნაჩვენებ შრომას აქ არ ასახელებს.

[4] M a r r H., Описание грузинских рукописей Синайского монастыря, стр. 77—79, № 53. ეს ხელნაწერი, რომელიც 1902 წ. სინას მთაზე იყო, არ უნდა ავურიოთ პირველი რედაქციის შემცველ ხელნაწერთან, რომელიც სინას მთიდან გამოტანილია მე-19 საუკუნის მიწურულში. ეს რედაქცია, სამწუხაროდ, ჯერ გამოცემული არაა.

დეგს [1]. მეოთხე რედაქცია შენახულია ვატიკანის ბიბლიოთეკის XIII — XIV საუკუნის ერთ ხელნაწერში და გამოცემულია მ. თარხნიშვილისავე მიერ [2]. ამ რედაქციის დედანი, თუ მხედველობაში მივიღებთ აქ ჩამოთვლილ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს, მეცხრე საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ბერძნული დედანი ყველა ამ რედაქციებისა ჩამოყალიბებულია მეექვსე მსოფლიო კრების შემდეგ მეშვიდემდე.

იმავე დროს, რა დროსაც იაკობის ლიტურგია უთარგმნიათ, ნათარგმნი უნდა იყოს, ენის მიხედვით, პეტრე მოციქულის ლიტურგიაც, რომლის ორი, ერთი და იმავე რედაქციის, ცალი შენახულა ჩვენამდე, ერთი მათგანი, ვატიკანის ბიბლიოთეკის XIII — XIV საუკუნის ხელნაწერში შენახული, გამოცემულია მ. თარხნიშვილის მიერ [3], ხოლო მეორე, ჩვენ მიერ გამოცემული რუსულ ენაზე [4], შენახულა მეთვრამეტე საუკუნის დამდეგის ხელნაწერში A 81; ის გადმოწერილი ყოფილა, როგორც ანდერძიდან ჩანს, კათოლიკოზის დომენტის (1705—1729) ბრძანებით ძველი ნუსხიდან. იყო თუ არა ის ჩვენში ხმარებული, დანამდვილებით თქმა არ შეგვიძლია; თუ ექვთიმე ათონელის პასუხს დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ იყო [5].

ქართულ ენაზე შენახულა ორი მეტად საინტერესო წესი «სიწმიდის განახლების» ლიტურგიისა. ერთი მათგანი მოთავსებულია სინას მთიდან ქ. გრაცში მოხვედრილ ხელნაწერში, რომელიც იოანე-ზოსიმეს გადაუწერია 985 წელს [6]. ის გამოცემულია მ. თარხნიშვილის მიერ [7], მაშასადამე, ეს ლიტურგია თარგმნილია მეათე საუკუნემდე. მეორე მეტად იშვიათი, unicum რედაქცია. მისი შენახულა გელათის მონასტრის XVI საუკუნის ეტრატის გრაგნილში (ილიტარიონი); მისი რუსული თარგმანი გამოცემულია ჩვენ მიერ [8]. ესეც საკმაოდ ძველი თარგმანი უნდა იყოს, თუმცა ვერ ვიტყვით, როდისაა შესრულებული ის. ეს ორი რედაქცია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რედაქციაა, პირველი ხელნაწერში ატარებს გრიგოლ დიალოღონის სახელს, მეორე კი — ბასილი დიდისას.

კონსტანტინოპოლის რედაქციის ლიტურგიები (ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირისა) ჩვენში შემოვიდნენ, ალბათ, მას შემდეგ, რაც ქართველები ბიზანტიას დაუახლოვდნენ, მაშასადამე, არაუადრეს მერვე საუკუნისა. ყოველ შემ-

---

[1] Древнегрузинский Архиератикон, Тбилиси 1912 г. რუსული თარგმანი — Грузин. литургич. памятники, стр. 1—22; ინგლისური თარგმანი მისი, რომელსაც მ. თარხნიშვილი არ იხსენიებს, ეკუთვნის კ ო ნ ი ბ ე რ ს ა და უ ო რ დ რ ო პ ს.

[2] Liturgiae Ibericae Antiquiores, p. 35—63.

[3] Ibid., p. 84—92.

[4] Грузинские литургические памятники, стр. 201 — 206.

[5] G o u s s e n, Die georgische Petrusliturgiae (Orlens Christianus, III, 5—6, 1913. P e r a d z e G., Zur forbyzantinischen Liturgie Georgiens, 1928, და Les monuments liturgiques prebyzantins en langue Georgienne, 1933.

[6] შ ა ნ ი ძ ე ა. ქართული ხელნაწერები გრაცში, თბილ. უნივერ. შ რ ო მ ე ბ ი, IX, გვ. 347.

[7] Liturgiae Ibericae Antiquiores, p. 93 –101.

[8] Грузинские литургические памятники, стр. 102 — 106.

თხვევაში, თუმცა მათი ნუსხები, როგორც ზემოთაც ვთქვით, ჩვენამდე პირველი ორი პერიოდიდან არ შენახულა [1], მაგრამ გვაქვს ისეთი დოკუმენტი, რომელიც გვარწმუნებს, რომ ქართველები ამ რედაქციას იცნობდნენ მეცხრე საუკუნეში. არსენი დიდი, საფარელი, თავის ისტორიულ-პოლემიკურ ტრაქტატში «განყოფისათჳს ქართლისა და სომხთისა», ამბობს, რომ მანასკერტის კრებაზე სომხებმა დააკანონეს არამცთუ «უცომოჲას» ხმარება, არამედ ეკლარისტულ ღვინოში წყლის შეურევნელობაცო. ასეთი პრაქტიკის უკანონობას არსენი ასაბუთებს ბასილი დიდის სიტყვებით, რომელიც წმინდათა საიდუმლოთა შინა იტყჳს: «აღიღო პური და ამაღლებული მიგიპყრა შენ ღმერთსა მამასა, აკურთხა, განტეხა და მისცა მოწაფეთა. აგრეთვე სასუმელი მოსთულებული ვენახისა აღიღო, განზავა და მისცა კურთხეული მოწაფეთა თჳსთა» [2]. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვები ამოღებულია ბასილი დიდის ჟამისწირვიდან, რომელიც, მაშასადამე, ამ დროს უკვე ცნობილი იყო ჩვენში. ყოველ შემთხვევაში, იაკობის ჟამისწირვას საგრძნობელ მეტოქეობას კონსტანტინოპოლის რედაქციის ჟამისწირვა მეათე საუკუნის ბოლომდე ვერ გაუწევდა და, შეიძლება ითქვას, ამ დრომდე ის ბატონობდა ჩვენში. ხოლო მას შემდეგ, რაც ქართველები ათონის მონასტრის საშუალებით ბიზანტიას დაუახლოვდნენ, იაკობის ჟამისწირვა თანდათან დავიწყებას მიეცა და ბოლოს სულ ერთიანად ხმარებიდანაც გამოვიდა. ამით აიხსნება, რომ მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელს მოუცია ახალი თარგმანი კონსტანტინოპოლის რედაქციის (ბასილისა და ოქროპირის) ლიტურგიისა, რომლის ტექსტი თანდათან იცვლებოდა და ამიტომ დროგამოშვებით სწორდებოდა. უფრო მსხვილი და მნიშვნელოვანი ცვლილება და შესწორება მისი იქ მოახდინა XIV საუკუნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ფ ი ლ ო თ ე ო ს მ ა, რომელმაც ამ მიზნით დაწერა ეგრეთ წოდებული Διάταξις τῆς ἱεροδιακονίας, ანდა Ordo. ჩვენში ფილოთეოსის რედაქციის ლიტურგია შემოვიდა მხოლოდ XVII საუკუნის გასულს, თუმცა ერთბაშად ყველგან ის მიღებული არ იქნა: ახალ ნუსხებს მეთვრამეტე საუკუნეში იღებდნენ როგორც შეუსწორებელი, ისე ფილოთეოსის მიერ შესწორებული რედაქციებიდან (პირველად ის დაიბეჭდა ვახტანგ მეფის მიერ 1716 წ.). უკანასკნელი ცვლილება ამ ლიტურგიისა მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში, ანტონ კათოლიკოსის დროს, რომელმაც ის შეასწორა სლავური «კონდაკის» მიხედვით [3].

ის ხელნაწერი, რომელშიაც იაკობის ჟამისწირვა შენახულა ჩვენამდე (A 86), წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ არ ქ ი ე რ ა ტ ი კ ო ნს ან «სამღვდელთმთავრო კონდაკს», მაშასადამე, მეათე საუკუნეში დიფერენციაცია «კონდაკისა» სამღვდელოდ და სამღვდელთმთავროდ უკვე ფაქტი იყო. ეს მით უფრო საყუ-

[1] ვ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ს გამოუცია ერთი რედაქცია იოანე ოქროპირის ლიტურგიისა (Liturgiae Ibericae antiquiores, p. 64—83), შეად. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხელნაწერები გრაცში (თბილ. უნივერსიტ. მ ო ა მ ბ ე, IX, 348), რომელსაც ის X — XI საუკუნეებს აკუთვნებს, მაგრამ ეს მართალი არაა: ხელის მიხედვით (იხ. ფოტოსურათი ა. შანიძის აღწერილობაში) და შინაარსის გათვალისწინებით, ის XII საუკუნეზე უადრესი არ შეიძლება იყოს.

[2] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 323.

[3] К. К е ̀ к е л и д з е, Литургические грузинские памятники, стр. XIII — XVI.

რადღებოა, რომ «არქიერატიკონი» საბერძნეთის ეკლესიაშიც შედარებით გვიან მოვლენაა. იქ წინათ მღვდელმთავარნიც იმავე Εἰλητάριον-ებით, Εὐχολόγιον-ებითა და Τάκτικον-ებით სწირავდნენ, რომლებითაც მღვდლები; ნამდვილი «არქიერატიკონი» კი ჩნდება დაახლოებით XVII საუკუნის ნახევრიდან. ჩვენ კი უკვე XI საუკუნის დამდეგს გვაქვს პროტოტიპი ამ წიგნისა. ეს რომ ასეა, ჩანს როგორც ხელნაწერის შედგენილობიდან, — აქ წარვის წესს გარდა მოთავსებულია ქიროტონია-ქიროტესიათა წესები, რომელნიც მღვდელმთავრის პრეროგატივს შეადგენენ, — აგრეთვე ხელნაწერის «მომგების» სიტყვიდან: «მე ქრისტჱს მიერ სჯმიონ ქართლისა კათალიკოსმან დავწერენ წმიდანი ესე ჟამისწირვანი სამღუდელთმოძღუროდ საწირავადო»[1].

მეორე დარგი «ევქოლოგიონისა» არის ის წიგნი, რომელსაც ქართულად «კურთხევანი» ეწოდება. ეს სახელი წარმოდგება «კურთხევისაგან», ვინაიდან შინაარსი მისი არის სხვადასხვა «კურთხევათა» ან ლოცვათა საშუალებით განწმედის წესი. თავისთავად იგულისხმება, «კურთხევანიც» ადრინდელი მოვლენა უნდა იყოს ჩვენს მწერლობაში. «კურთხევანი», ისე როგორც «კონდაკი», მუდამ ხმარებაში იყო, იმას ხელიდან არ უშვებდნენ მღვდელთმსახურნი, ამიტომ ისინი იცვითებოდა და ამით აიხსნება, რომ პირველი პერიოდიდან მათი ცალები ჩვენში ძალიან ცოტა დარჩენილა. მხოლოდ სინას მთაზე შენახულა ეტმი ცალი მისი, რომელიც, მართალია, მერვე საუკუნის კი არაა, როგორც, პროფ. ცაგარელი ფიქრობს[2], არამედ მეათისა, მაგრამ უძველესი რედაქცია კია. იმ მოკლე აღწერილობითაც, რომელიც აკად. ნ. მარს აქვს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს კურთხევანი არის «აღმოსავლურის» ან იერუსალიმ-პალესტინური რედაქციისა, რომელშიაც თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა დათმობილი პირუტყვთა და ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის ლოცვებს[3]; ამ ლოცვებს აღნიშნულ ხელნაწერშიც ვპოულობთ[4].

მეორე პერიოდის დასაწყისში ექვთიმე ათონელმა მოგვცა ახალი რედაქცია კ უ რ თ ხ ე ვ ა ნ ი ს ა. ეს უნდა ყოფილიყო შემოკლებული «კურთხევანი», რომლის შემადგენელი ნაწილები ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, როდესაც ლაპარაკი იყო ექვთიმეს ლიტურგიკული მოღვაწეობის შესახებ. ვინაიდან ექვთიმეს შემოკლებული «კურთხევანი» იმდროინდელ ლიტურგიკულ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა, გიორგი მთაწმიდელმა გადმოთარგმნა უკვე «დიდი კურთხევანი», რომელშიაც მოთავსებული იყო ყველა ის წესი, რომელიც მის თანამედროვე პრაქტიკაში შემუშავებული იყო. მთლიანი ნუსხები ამ «კურთხევანისა» უძველეს დროიდან საქართველოში არ გვხვდება; ყველაზე უძველესი ნუსხა ამ წიგნისა, XIII — XIV ს., ინახება სინას მთაზე[5]. გიორგის «კურთხევანი» შე-

---

[1] К. Кекелидзе, литургические грузинские памятники, стр. XIII — XVI, Древне-грузинский Архиератикон, стр. I—III, რმბ—რმბ.

[2] «Сведения», II, № 37.

[3] Н. Марр, Описание грузин. рукоп. Синайского монастыря, стр. 152 — 162.

[4] К. Кекелидзе, Литургические грузин. памятники, стр. 471 — 472.

[5] № 38, ე. ცაგარელის აღწერილობით და № 73, იე. ჯავახიშვილის აღწ.

იცავს, აღნიშნული ხელნაწერით, 126 სტატიას, რომელიც ეხება: ნათლისღებასა და მის გარშემო თავმოყრილ მშობიარისა და შობილის ლოცვებს, ქორწინებას, ბერად აღკვეცას, შესვენებულის დაფლვასა და პანაშვიდს, ეგრეთ წოდებულ «ასმატიკონს» ან კვირაძალთა განგებას, წყლისკურთხევას, ფერხთბანას, მარტვილიის განგებას, სხვადასხვა შემთხვევის გამო ლოცვებს, მართლმადიდებლობაზე მოქცეულთა მიღების წესს, ქიროტონია-ქიროტესიასა და ეკლესიის კურთხევას. გიორგის კურთხევანმა საქართველოში მიიღო კანონიკური მნიშვნელობა და მას სანქცია მისცა რუის-ურბნისის კრებამ [1]. გიორგის შემდეგ «კურთხევანი» სხვადასხვაგვარ ცვლილებას განიცდიდა ბერძნულ ნიადაგზე, ზოგიერთი მათგანი გამოძახილს პოულობდა ჩვენშიაც, ამით აიხსნება, ალბათ, ის გარემოება, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს «ქართველთა მნათობს» ნიკოლოზს უთარგმნია ბერძნულიდან ზოგიერთი სტატია «კურთხევანისა» [2], მაგრამ საერთოდ ეს «კურთხევანი» უცვლელად დარჩენილა ჩვენში მეჩვიდმეტე საუკუნის გასულამდე. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს კვიპრიანე სამთავნელს ხელახლა უთარგმნია ქართულად ბერძნულიდან «კურთხევანი» და ამით ქართული ლიტურგიკული პრაქტიკა დაუახლოებია იმდროინდელ ბერძნულ პრაქტიკასთან. კვიპრიანეს თარგმანი ორი რედაქციით ვრცელდებოდა ჩვენში — ვრცელითა და შემოკლებულით, სლავურ კურთხევანზე ის არ შეუსწორებიათ და 1713 წელს პირველად დაბეჭდეს კიდეეც. ამით დასრულდა ქართული «კურთხევანის» ევოლუცია.

მესამე დარგი საღვთისმსახურო წიგნებისა შეიცავს ეგრეთ წოდებულ ჰიმნოგრაფიულ ელემენტს, იმ საგალობლებს, რომელნიც შეასხმენ ან შეამკობენ დღესასწაულებსა და წმინდანთა ხსენებას. ესენია: ოქტოიხოსი, მარხვანი, ზატიკი და თთუენი. ამ წიგნებში თავმოყრილია ნაყოფი საეკლესიო-პოეტური შემოქმედებისა, ამიტომ მათი ანალიზი და ისტორია წარმოდგენილი იქნება ქვემოთ, როდესაც ლაპარაკი გვექნება საეკლესიო პოეზიის შესახებ.

აქ აღვნიშნავთ, დასასრულ, ერთ წიგნს, რომელიც ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკას შეუმუშავებია, მას სახელად გ უ ლ ა ნ ი ეწოდება. ის ისეთივე ხასიათის კრებულია, როგორც ბერძნული პ ა ნ დ ე კ ტ ი, მაგრამ სხვა შინაარსისაა: გულანი არის კრებული ყველა საღვთისმსახურო წიგნისა, კრებული უზარმაზარი, რომელსაც ხელშიაც კი ვერ დაიჭერს კაცი. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში იყო, ამ წიგნს, როგორც ჩანს, განცვიფრებაში მოუყვანია. ის ამბობს: «თითოეულ ქართულ ეკლესიაში იმყოფება უზარმაზარი წიგნი, რომელიც ჯორის საპალნის ცალს მაინც უდრის. ეს წიგნი ძევს კლიროსზე, ანალოიზე, დი დაფარულია ტილოთი ან მაუდით; იმაში თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რომელნიც მორწმუნეთ სჭირიათ და რომელთაც კითხულობენ წლის განმავლობაში. სახელდობრ: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თთუენი ათორმეტნი, მარხვანი და ზატიკი, საწინასწარმეტყველო, დავითნი, ჟამნი, სჯნაქსარი, ტკპიკონი, სიტყვანი და ცხოვრებანი, რომელთაც დიდ დღესასწაულებში კითხულო-

[1] «საქართველოს სამოთხე», გვ. 524.

[2] A 198; К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 57 — 74.


ბენ, წიგნი თეოდორე სტოდიელისა და სხვა ძვირფასი და მშვენიერი წიგნები»[1]. მაკარი მხოლოდ ერთში აპარბებს: გულანი, მისი სიტყვით, თითქოს ყველა ეკლესიაში იყო, ნამდვილად კი იმისი შეძენა შეეძლო მხოლოდ მდიდარსა და დიდ ეკლესია-მონასტერს. ჩვენ ვიცით ამჟამად შემდეგი გულანი: კაცხის, ციხის, ერკეთის, შემოქმედის, გელათის, მარტვილის, წაიშის, ბედიის, ალავერდის, მცხეთის, ჭალის, ანჩისხატის, ხობისა და დავითგარეჯის. ყველა გულანი ერთი შედგენილობის არაა, შემოკლებულ რედაქციას ეწოდება «ჟამნგულანი» და შეიცავს «ჟამნსა» და მოკლე სჳნაქსარულ ცნობებს; ცნობილია ყანჩოეთისა და რუისის ეკლესიის «ჟამნგულანი»[2]. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ «გულანი» ორიგინალური ქართული კომპოზიციაა, სხვა ეკლესიას ამისი მსგავსი არა აქვს რა.

სხვა დარგებიდან მკვლევარსა და მკითხველს მხედველობაში უნდა ჰქონდეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი ძველი მწერლობისა, საისტორიო; იმას ჩვენ აქ არ გამოვყოფთ, რადგანაც შესაფერისი ავტორები და მათი საისტორიო-საეკლესიო შრომები განხილული გვაქვს თავთავის ადგილას.

---

[1] «Грузия в XVII веке по изображению патриарха Макария», перевод с арабского П. К. Жузе, «Православный Собеседник», Май, 1905 г., стр. 75.

[2] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XIX.



11. პოეზია

ორი დარგი ძველი ქართული სასულიერო პოეზიისა I. პოეზია ლიტურგიკული. ჰიმნოგრაფიული ელემენტი ღვთისმსახურებაში. დასაწყისი ქართულ ჰიმნოგრაფიისა. მისი სისტემა. აკროსტიქი. ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული კრებულები: ოქტოიხოსი, ხუედრნი [მარხუანი და ზატიკნი], იადგარი, resp. თთუენი, ორიგინალური ჰიმნოგრაფია. მისი თანდათანობითი განვითარება. დამახასიათებელი თვისება მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფებისა. ქართული სემიოგრაფია. მეხური ჰიმნები. II. პოეზია სამოძღვრო-მოთხრობითი. მისი ორი დარგი: აგიოგრაფიულ-ეორტალოგიური და ბიბლიოგრაფიულ-ისტორიული. ამ პოეზიის წარმოშობა და განვითარება. აპორიტანი გრიგოლ ღვთისმეტყველისა და მისი ლირიკა ქართულად. აღორძინების ხანის სასულიერო პოეზია. სილაბურ-ტონური ლექსი ამ პოეზიაში. ანბანთქების სისტემა და მისი წარმომადგენელნი.

ჩვენ მიმოვიხილეთ, შეძლებისდაგვარად, ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგი, რომელიც პროზული ფორმით გადმოუციათ ჩვენთვის ჩვენს წინაპრებს. მაგრამ ამით არ ამოიწურება ეს მწერლობა: მსგავსად ყველა კულტუროსანი ხალხისა, ქართველებს ჰქონიათ აგრეთვე საკმაოდ მდიდარი და საინტერესო სასულიერო ან საეკლესიო პოეზია, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

ქართული საეკლესიო პოეზია ორგვარია: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითი; პირველი შეიცავს ლიტურგიკულ, საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებთ, საეკლესიო ჰიმნოგრაფიას, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ხოლო მეორე — ისეთ ნაწარმოებთ, რომელნიც ღვთისმსახურებაში სახმარებლად არ არიან განკუთვნილი და გამოსატავენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აზრებს, ავტორის გრძნობებს და სულიერ განცდათ, ანდა აგვიწერენ რომელიმე ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენი მწერლობის ისტორიის პირველი პერიოდის ნახევარს, როდესაც პოეზია ჯერ კიდევ

არ იყო, და აგრეთვე მესამეს — დაცემის ხანას, თანდათანობითი განვითარება და ურთიერთობა პოეტური მწერლობის ორიეე დარგისა ასე წარმოგვიდგება: პირველი პერიოდის მეორე ნახევარში არამცთუ სჭარბობდა, მხოლოდ და მხოლოდ ლიტურგიკული პოეზია ვითარდებოდა, მეორეში — ლიტურგიულთან ერთად, მეთორმეტე საუკუნიდან, თავი იჩინა არალიტურგიკულმა საეკლესიო პოეზიამ, ხოლო უკანასკნელს, მეოთხე, პერიოდში არალიტურგიკული პოეზია თითქმის სჭარბობდა კიდეც ლიტურგიკულს.

A. ლიტურგიკული პოეზია

ლიტურგიკულ პოეზიას მიეკუთვნება, როგორც ვთქვით, ეგრეთ წოდებული საეკლესიო ჰიმნოგრაფია, ის საგალობლები ან ჰიმნები, რომელნიც შეადგენენ ღვთისმსახურების ერთ-ერთ აუცილებელ მასალას. გალობა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია ღვთისმსახურებისა. გრძნობის, კერძოდ რელიგიური გრძნობის გამოხატვა გალობით სრულიად ბუნებრივი მოვლენაა და, მაშასადამე, საკვირველი არაა, თუ ეკლესიაში გალობამ იმთავითვე შესაფერი ადგილი დაიკავა, ისე, როგორც ეკავა მას ეს ადგილი ებრაელთა სინაგოგურ ღვთისმსახურებაში. თავდაპირველად საქრისტიანო ღვთისმსახურებაში სჭარბობდა ფსალმუნური ელემენტი, ესე იგი გალობდნენ ფსალმუნებს ანუ დავითნის სხვადასხვა მუხლს, მერე კი, დაახლოებით მეხუთე-მეექვსე საუკუნიდან, შემოდის ჰიმნოგრაფიული ელემენტი, ესე იგი გაჩნდა poetice compositum სხვადასხვა მწერლისა, ჰიმნები ან საგალობლები, რომლებშიაც გამოთქმული იყო ღრმა რელიგიური გრძნობები. უნდა შევნიშნოთ, რომ მონასტრები თავდაპირველად გაურბოდნენ ჰიმნების ხმარებას, იქ უფრო ფეხგადგმული იყო ფსალმუნური ელემენტი. ბერების შეგნებით, ჰიმნები, საერო ან მსოფლიო, სამრევლო ეკლესიათა საქმეა, ბერებსა და მონასტრებს ის არ შეშვენის. მაგრამ დროთა განმავლობაში ჰიმნოგრაფიამ იმათშიაც გაიკაფა გზა და შექმნა ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი ბერძნული პოეზიისა, სახელდობრ — სასულიერო ან საეკლესიო პოეზია. ამ პოეზიას არაფერი საერთო არ ჰქონია კლასიკურ პოეზიასთან, არც ფორმით, არც შინაარსით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასეთ ნაწარმოებთა პოეტური ხასიათის შეგნება დაკარგეს როგორც ბერძნებმა, ისე მათი მწერლობის მკვლევართაც. «პოეზიას», ამბობს ერთი მათგანი, «ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ბიზანტიელები არ იცნობდნენ, ის მათ არასდროს ჰქონიათ; საშუალო საუკუნეთა საბერძნეთი, რომელიც სქოლასტიკის ბორკილებით იყო შებოჭილი, მოკლებული იყო პოეტურ განწყობილებას, გემოვნებასა და შეგნებას კეთილშობილი ხელოვნებისა და ფორმების სიმარტივისა»[1]. კლასიკური პოეზია მ ე ტ რ უ ლ ი სისტემისაა, ის დამყარებულია გრძელი და მოკლე მარცვლების მწყობრ პერიოდულ თანმიმდევრობაზე; ამ საზომით ბერძნულ საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში დაწერილია მხოლოდ სამი ნაწარმოები იოანე დამასკელისა:

[1] Bernhardy, Grundriss der griechischen Literatur³, II, 2 (1880), S. 771.

ქრისტესშობის, ნათლისღებისა და სულიწმიდის მოსვლის კანონი. დანარჩენი საგალობლები, რომელნიც თავის რაოდენობით პირდაპირ უსაზღვრო და უფსკრულ ოკეანეს წარმოადგენენ, დამყარებულია ტ ო ნ უ რ სისტემაზე, რომელიც მდგომარეობს მარცვალთა რაოდენობის თანასწორობასა და მაღალი და დაბალი მარცვლების თანმიმდევრობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული ტაეპი ან სტრიქონი შეიცავს მარცვლების ერთსა და იმავე რიცხვს და თითოეულ მათგანში ხმის აწევა ან ამაღლება ერთი და იმავე გარკვეულ ალაგას მოდის. რითმა სავალდებულო არაა ასეთ ჰიმნებში და, თუ აქვს იმას ადგილი, ის მეტად ღარიბია, უმეტეს შემთხვევაში ისინი ურითმოა და მათი ტაეპი იწერება ვანუწყვეტლივ. გაბმით, როგორც პროზის სტრიქონები, მხოლოდ წერტილებით, უფრო ხშირად წითურით, განიყოფება ერთიმეორისაგან. ამით აიხსნება, რომ არც ბერძნები, არც მათი მწერლობის მკვლევარნი ასეთ ჰიმნებს პოეზიად არ თვლიდნენ და კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ სამუალო საუკუნეების ბიზანტიამ პოეზია არ იცისო. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში კარდინალმა პ ი ტ რ ა მ იპოვა გასაღები ამ საიდუმლოებისა და დაანახა ყველას, რომ ბერძნული საეკლესიო ჰიმნოგრაფია წარმოადგენს მეტად მდიდარ და თან საინტერესო პოეტურ ნაწარმოებთა დარგს[1]. ბერძნულ ჰიმნებს ძალიან ხშირად დართული აქვს ეგრეთ წოდებული აკროსტიქი ან «კიდურწერილობა», რომელიც რამდენიმე გვარისაა: ხშირად აკროსტიქი შეიცავს ბერძნული ანბანის ასოებს A-დან მოყოლებული Ω-მდე, ხან კიდევ ავტორის სახელს, შინაარსს ან დამოუკიდებელ ლექსს.

თავისთავად ცხადია, ჰიმნოგრაფიული მწერლობა ქართულ ენაზედაც უნდა შექმნილიყო, ამას მოითხოვდა, სხვა არა იყოს რა, ლიტურგიკული საჭიროება და პრაქტიკა. დაიწყო ქართული ჰიმნოგრაფია დაახლოებით მეშვიდე საუკუნიდან, რაც შემდეგიდან ჩანს. ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინოლოგია, რა საკვირველია ძველი, შედარებით ღარიბია: ერთი და იგივე ტერმინი იხმარება რამდენიმე სხვადასხვა ჯ უ რ ის ლიტურგიკული ცნების გამოსახატავად, მაგალ., «დასდებელი, იბაკოჲ, წარდგომაჲ» და სხვ.[2]; არ ჩანს განსხვავება «ტროპარსა, სტიქარონსა» და სხვა საგალობელთა შორის. ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია დაწყებულია მაშინ, როდესაც, საზოგადოდ, საღვთისმსახურო ტერმინოლოგია ჯერ საკმაოდ განვითარებული არ ყოფილა, როდესაც «სტიქარონი» იწოდებოდა «ტროპარად» და «ტროპარი» «სტიქარონად»; ამას კი ადგილი არ ჰქონია მეშვიდე საუკუნის შემდეგ. მერე — საგალობელთა სხვადასხვა ჯ გ უ ფი, რომელსაც ახლა სპეციალური სახელწოდება აქვს: «კანონი», დასდებელნი უფალი ღაღატყავსა, სტიქარონთა და აქებდითსა ზედა», ძველად აღინიშნებოდნენ დასაწყისი სიტყვებით სხვადასხვა ფსალმუნისა, რომელთაც მათთან კავშირი აქვთ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია მაშინ დაწყებულა, როდესაც საქრისტიანო ღვთისმსახურებაში სჭარბობდა ფსალ-

[1] Проф. А. В а с и л ь е в, О греческих церковных песнопениях, «Византийский Временник», т, III, вып. 3 и 4, стр. 592 — 633; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, 383 — 389.

[2] იხ. ლიტურგიკული ლექსიკონი ჩ ე ნ ს გამოცემაში: «Иерусалимский Канонарь VII века», стр. 323 — 342.

ეუნური ელემენტი, ესე იგი, როდესაც ღვთისმსახურება ამოიწურებოდა, ლოცვებისა და საღმრთო წერილის გარდა, ფსალმუნებით, რომელთაც მერე, ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდეგ, დაუწყეს მიმატება ან მიდება (აქედან — დასდებელი) სხვადასხვა საგალობლებისა; ეს დრო კი მეშვიდე საუკუნეს ვერ გადასცილდება[1]. თავდაპირველად ჩვენი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია ნათარგმნი იყო, ქართველები თარგმნიდნენ იმ ჰიმნებსა და საგალობლებს, რომელთაც ისინი სხვა ენაზე პოულობდნენ, უფრო კი ბერძნულზე. რასაკვირველია, აქ ჩვენ გვაქვს უბრალო პროზული თარგმანი, სადაც ბერძნული ჰიმნოგრაფიის ზემოაღნიშნული თვისებები დაცული არაა, გარდა აკროსტიქისა. რას წარმოადგენს და რაზეა დამყარებული ქართული ჰიმნოგრაფიული საზომი?

საკითხი ისმის, მაშასადამე, ჰ ი მ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი და არა ყოველგვარი პოეზიის შესახებ. ერთი სახე ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, რომელსაც იამბიკური ეწოდება, დიდიხანია ცნობილია, იმის შესახებ ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი. საკითხი ეხება იმ ჰიმნებს, რომელნიც ხელნაწერებში წარმოდგენილია არა პოეტური ფორმით, არამედ გაბმული სტრიქონებით, მსგავსად პროზული ნაწარმოების სტრიქონებისა; გარეგნულად ისინი პოეტური ნაწარმოების შთაბეჭდილებას არ სტოვებენ, ისე, როგორც არ სტოვებდნენ ასეთ შთაბეჭდილებას მეცხრამეტე საუკუნემდე, პ ი ტ რ ა ს დრომდე, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ძეგლებიც.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით, ასეთ ჰიმნებშიაც შეინიშნება შინაგანი პოეტური კანონზომიერება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ეს ჰიმნები, უფრო ხშირად კი ის კომბინაცია მათი, რომელსაც «კანონი» ეწოდება, შედგება ცალკეული სტროფებისაგან (რაოდენობა მათი სხვადასხვაა), სტროფში შეიძლება იყოს სხვადასხვა რაოდენობის ტაეპი, ტაეპში კი სხვადასხვა რაოდენობა მარცვლებისა. ამ შემთხვევაში ერთი რომელიმე სტროფი, ცალკე აღებული, არ შეადგენს ლექსს, რადგანაც იმაში არაა არც მეტრი, არც რიტმი, არც რითმა და არც სხვა რამე თვისება, რომელიც ლექსსა ჰქმნის. მაგრამ ამ სტროფის მომდევნო სტროფებში ჩვენ გვაქვს თვითეულში იმდენი ტაეპი და ტაეპში იმდენი მარცვალი, რამდენიც დასაწყისს სტროფში. ერთი სიტყვით, ლექსს წარმოადგენს არა რომელიმე ცალკეული სტროფი, არამედ კომპლექსი ერთი და იმავე საზომის სტროფებისა. ასეთი მდგომარეობა ყოფილა თურმე ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიაშიც, საიდანაც ის ქართველებს შეუთვისებიათ[2].

მაგრამ იმ ნაწარმოებებში, რომელთაც პ. ინგოროყვა უჩვენებს ასეთი «ლექსის» ნიმუშად, ყოველთვის ვერ ვხედავთ მარცვალთა ერთსა და იმავე რაოდენობას, ასე რომ იძულებული ვხდებით ტაეპში ჩავუმატოთ თუ გამოვაკლოთ მარცვალი, და არა მარტო მარცვალი, სიტყვებიც კი. ბიზანტიური ანალოგია აქ არ გამოდგება. ბიზანტიურ რიტმიულ პოეზიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა, სილაბიზმის გარდა, აქვს აქცენტიანობას, ესე იგი, ხმის ამაღლებას გარკვეუ-

[1] იხ. ლიტურგიკული ლექსიკონი ჩ ე ნ ს გამოცემაში: «Иерусалимский Канонарь VII века», стр. 321 — 322.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა. გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, 1955 წ.

ლი თანმიმდევრობით, რაც ჩვენი პოეზიისათვის დამახასიათებელი არაა. ლექსის რიტმიულობა, როგორც ცნობილია, ენის ბუნებრივ თვისებებს ემყარება, ბუნებრივი თვისება ქართული და ბერძნული ენისა ერთი და იგივე არაა. მეცხრე-მეათე საუკუნეებში, როდესაც ქართული ჰიმნოგრაფია განვითარების უმაღლეს წერტილზე ავიდა, ქართველი ჰიმნოგრაფები ბერძნული წარმოშობის ლიტურგიკულ კრებულებში ბერძნულ ელემენტს გვერდს უვლიან და საკუთარ, ქართულ შინაარსს სდებენ ორიგინალური ჰიმნების სახით; ნუთუ ასეთ პირობებში რიტმი თავისი ჰიმნებისა ბერძნულიდან ისესხეს?

როგორ შეიძლება ასეთი «ლექსის» ტაეპებზე ლაპარაკი, როდესაც ის ტაეპებად კი არაა განლაგებული, არამედ გაბმული პროზული სტრიქონებითაა წარმოდგენილი ხელნაწერებში? «ტაეპს» თურმე აქ შეადგენს ის სიტყვები, რომელიც მოთავსებულია სტრიქონებში დასმულ წითელ თუ შავ წერტილებს შუა, ესე იგი, ტაეპი მყღავნდება პუნქტუაციის საშუალებით, მაშასადამე, გამოდის, რომ პუნქტუაციას მიზნად აქვს ტაეპები გამოგვიყოს სტრიქონებში. მაგრამ რა ვუყოთ იმ საგალობლებს, რომელთა სტრიქონები აგრეთვე შეკუმშულნი არიან წერტილებით, მაგრამ იმათგან ვერავითარ ლექსს, რიტმიულს თუ სხვაგვარს, ვერავითარი კომბინაციით ვერ მიიღებთ? ასეთი საგალობლები კი ამოუწურავი რაოდენობით შენახულან ძველ ხელნაწერებში. მეორე: ჩვენ გვაქვს გაბმული პროზაული სტრიქონებით დაწერილი საგალობლები, რომელნიც სტრუქტურულადაც და მათი ავტორის განცხადებითაც ჩვეულებრივი ტიპის იამბიკოა (მაგალითად: «განუკუეთელი განიკუეთა ქუეყანაჲ» იოანე მინჩხისა, პ. ინგოროყვა, გვ. 592). წერტილები სიტყვებს შუა აქაც გვაქვს, თუმცა ტაეპის გასარკვევად ისინი საჭირონი არ არიან. ეს საგალობელი რომ წერტილების მიხედვით გავაწყოთ, მივიღებთ არა მინჩხის იამბიკოს ხუთ ტაეპს, თვითეულში 12 მარცვალს, არამედ სულ სხვა რამეს, ასე რომ ის იამბიკოს სახესაც დაკარგავს და სხვა რომელიმე ლექსის ნიშანს ვერ მოიპოვებს. ერთი სიტყვით, მინჩხის განცხადებით, წერტილები მის საგალობელში არაა ტაეპის აღმნიშვნელი ნიშანი. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ წერტილებში მოქცეული ნაწილი სტრიქონისა არაა სალექსო ტაეპი. უნდა ვიფიქროთ, წერტილები სტრიქონებში არის არა პროსოდიული, არამედ მუსიკალური მჯღილოდ ნიშანი.

ამრიგად, საკითხი ქართული რიტმიული ჰიმნოგრაფიის შესახებ გადასინჯვას თხოულობს [1].

სამაგიეროდ კარგადაა გარკვეული და ცნობილი მეორე სახე ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, ეგრეთწოდებული იამბიკო, რომელიც დამყარებულია ტაეპში მარცვალთა რაოდენობაზე, ვინაიდან მაღალი და დაბალი მარცვალი იმ სახით, როგორც ბერძნულშია, ქართულში არ მოიპოვება. იამბიკო დაყოფილია ცალკეულ სტროფებად ან მუხლებად, რომელიც შედგება ხუთი სალექსო სტრიქონის ან ტაეპისაგან. თითოეული ტაეპი შეიცავს 12 მარცვალს

[1] ამის შესახებ დაწერილებით იხ. ჩვენი წერილი «ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ». «ლიტერატურული ძიებანი», ტ. XI.

ან, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, შ ე ტ ყ უ ე ბ ას[1], ასე რომ სტროფში ან მ უ ხ ლ ში, არის სულ 60 მარცვალი ან შ ე ტ ყ უ ე ბ ა. ამიტომ ჩვენს ჰიმნოგრაფიულ მწერლობაში ასეთ წინადადებას ვსვდებით ხოლმე: «დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი. უგალობდითსა. ყოველსა მუკლსა ჲ შეტყუებაჲ აქუს. ე ჯერ იბ» (გვ. ია), ან «ყოველსა მუკლსა ჲ შეტყუებაჲ არს. ე ჯერ იბ»[2]. მარცვალთა თვლისას სათვალავში, როგორც ცალკე მარცვალი (ხმოვნისა და თანხმოვანისაგან შემდგარი ჯგუფი) არ მიიღება ჲ დაუ, რომელიც უ-სა და ვ-ს შუათანად გამოითქმის, მაგალითად, «სიტყუა»-ში. თორმეტმარცვლოვანი ტაეპი ან სალექსო სტრიქონი მახვილით ან ცეზურით, რომლის მაგივრობას ტექსტში წერტილი ასრულებს, იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში ხუთი მარცვალია, მეორეში შვიდი[3]. ანდა პირუკუ: 7+5. რითმა ასეთ იამბიკოებში სავალდებულო არაა, თუმცა ხანდახან, ძალიან იშვიათად, რითმის ჩანასახი, მართალია ღარიბი, მაგრამ მაინც არის. მაგალითად, მიქელ მოდრეკილის ერთ საგალობელში ვკითხულობთ:

უსხეულოჲთა. საღმრთოჲთა ბუნებითა
ევე უხრწნელად. ქრისტე ღმრთისა ს ი ტ ყ ვ ა ო.
რაჟამს დაიდევ. საფლაჲსა შ ე უ ც ა ვ ო,
მოჰკალ სიკუდილი სიკუდილითა უ კ უ დ ა ვ ო
და აღდგინენ მკუდარნი საფლაჲისაგან[4].

უფრო მდიდარი რითმა გვხვდება სტეფანე სანანოძის მიერ შედგენილ სტეფანე პირველმოწამის საგალობელში, რომელიც ექვსი სტროფისაგან შედგება. პირველში გარითმულია: «ლისანი, სანი, ანი, ნი», მეორეში — «ებითა, ითა», მესამეში — «მან», მეოთხეში — «ებენ, ბენ», მეხუთეში — «ამან», მეექვსეში — «ებოდა»[5]. საყურადღებოა რითმის მხრივ ერთი დასდებელი იოანე მტბევრისა, რომელშიაც ის მიმართავს წმ. კლიმის შემდეგი სიტყვებით:

შენ აღმოგვიცენე ჩვენ, მორწმუნეებს,
სასუმელი ტკბილი უკუდავებისაჲ
და გუასუ ჩუენ ღუინოჲ გულისხმისყოფისაჲ,
მახარებელი გულისაჲ,
უკუდავმყოფელი სულისაჲ
და მომცემელი ნეტარებისაჲ[6].

ასეთია მუდმივი, ჩამოყალიბებული ტიპი ქართული იამბიკოებისა, თუმცა სხვადასხვა გამონაკლისი აქაც არაიშვიათია.

მეთერთმეტე საუკუნეში, უკეთ — მის მეორე ნახევარში, იამბიკოში შეჭრილა, შეიძლება ხალხური პოეზიის ზეგავლენითაც, ნამდვილი, გამართული

---

[1] ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ია. საბ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. ტათ.

[3] ზოგიერთ იამბიკოში ორივე ეს ნაწილი ცალ-ცალკე სტრიქონს წარმოადგენს, მაგ., გიორგი მთაწმიდელის ქრისტესშობის ღამისთევის კ ა ნ ო ნ შ ი.

[4] ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გვ. ტო, VIII.

[5] ი ქ ვ ე, გვ. რნვ — რნზ.

[6] ი ქ ვ ე, რაა

რითმა. ეს ჩანს სვანეთში, ლენჯერის საზოგადოებაში, მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროპედილი ხატის წარწერიდან, რომელიც ბაგრატ IV-ის მეუღლეს ბორენას ეკუთვნის (MAK, X, пр. 37 — 38. აქ ეს იამბიკო დაბეჭდილია სტრიქონების დაუყოფლად და დამახინჯებული სახით, აღდგენილია ჩვენ მიერ). ის ასე იკითხება:

რომელმან ევე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქვი რა გაბრიელს: «ვარ უფლისა მკევალი
მე, შენი სამსტუვრე [1], ქეეყნად მაეალი»,—
დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალი.
ქალწულო, მიჰსენ ბორენა ჰირმრავალი

[იმიტაცია ამ იამბიკოსი, ცნობილის ალექსი ბაქრაძის მიერ შესრულებული მე-19 საუკუნეში, მოთავსებულია ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერებში № 38ჰ, ფ. 9 V].

მეთორმეტე საუკუნეში დიმიტრი მეფეს დაუწერია ორი ამგვარი რითმოვანი იამბიკო.

უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლებში აკროსტიქი, აკროსტიქები გვხვდება არა მარტო იამბიკოებში, არამედ პროზულ ჰიმნებშიაც. აკროსტიქის როლს ასრულებს ხშირად რომელიმე ასო. მაგალითად, მთელ რიგ სტროფებისას იწყებს ასო მ და ნ [2]; ან მთელ ჯგუფში საგალობლებისა ცალ-ცალკე სტროფებს იწყებს ასოები: ღ, მ, ბ, ს, შ, ი, რ, ტ, დ, ბ, ნ [3]; შ; უ, ნ, თ, ვ, ს, მ, ც, უ [4]. რას ნიშნავს ასეთი აკროსტიქი, ძნელია თქმა, შეიძლება ავტორის სახელის პირველ ასოს წარმოადგენდეს. არის ისეთი შემთხვევა, როდესაც აკროსტიქად წარმოდგენილია ქართული ანბანი ა-ნიდან ჶ-მდე, ასეთ აკროსტიქს ეწოდება «ანბანისანი» [5]. ხშირად აკროსტიქი აღნიშნავს ავტორის სახელს, მაგალითად: სტეფანე სანანოჲსძის ერთ საგალობელს აკროსტიქად აქვს ს ტ ე ფ ა ნ ე [6], ან კიდევ — ე ზ რ ა [7], კ უ რ დ ა ნ ა ჲ [8]. არის ისეთი შემთხვევაც როდესაც აკროსტიქში აღნიშნულია საგალობელთა, ალბათ, შემკვეთელნი, მაგალითად, «ქრისტე, ადიდე საურმაგ და ძეჲ მისი მირეან. ამენ» [9], აღნიშნულია აკროსტიქში ხასიათი და სახელწოდება საგალობლისა, მაგალითად, გ ე რ ნ ი [10]. უფრო ხშირად აკროსტიქში აღნიშნულია სახელი დღესასწაულისა. მაგალითად, ა ბ ო [11], «მამასა მამათასა ანტონის უგალობდეთ ერნო» [12], «სილიბისტროს, რომთა ვარსკულავსა, ვაქებდეთ ერნო», «დიდებულსა მაქსიმისს უგალობდით», «გიხაროდენ იუდა მოციქულო» (სინ. № 59). შობისა—«ქრისტე იშვების. უგალობდეთ ერნო სიხარულით» [13]; ნათლისღების—«აჰა კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი» [14]; «რომელი იორდანეს გამოსცხადენ, უფალო, დიდებაჲ შენდა» [15]; «ქრისტემან ნათელ იღო და სოფელი განანათლა» [16];

---

[1] სამსტუვრე||სამსტოვრე ოგივეა, რაც გოდოლი, სადარაჯო. ეს ერთ-ერთი ეპითეტია ღვთისმშობლისა სასულიერო მწერლობაში.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ უ ა, გვ. სა, სბ. სნწ — სჲ, ტჟთ. — ჯა; [3] ი ქ ე ე, გვ. სკთ — სღდ; [4] ტი — ტიზ; [5] სლე—სლთ; [6] სინ. №№ 1, 65, 6, რნვ—რნზ; [7] რხწ—რაგ; [8] რადჲ—რაე; [9] რხწ—რაგ; [10] საბ—საგ; [11] სოთ; [12] სმ—სმვ; [13] რჟე—რჟთ; [14] სე — სიბ; [15] სიგ—სიწ; [16] ტპე—ტჟწ;

აღდგომის—«აღდგა» [1], «გიხაროდენ ერნო, ქრისტე აღდგა, სიხარული ყოველთაჲ» [2], «ქრისტე აღდგა მკუდრეთით, ვიხარებდეთ მორწმუნენო» [3], «ქრისტეს აღდგომასა ვიხარებდეთ» [4], «აღდგომასა მაცხოვრისასა უგალობდეთ მორწმუნენო და აღდგომასა ვაქებდეთ» [5], «გალობით უგალობდეთ ნათლით შემოსილსა ქრისტეს აღდგომისა» [6], «რომელი აღსდეგ მკუდრეთით, უფალო, დიდებაჲ შენდა» [7], «ქრისტე აღდგა» [8]; ყოველთა წმიდათა: «შეოხ მეყუენით ყოველნო წმიდანო წინაშე მეუფისა დღესა მას განკითხვისასა» [9]. აკროსტიქი ხანდახან აღნიშნულია ფრაზით: «თავნი იტყჳან», ხან მათ დართული აქვთ ეპითეტი—«აღბეჭდულნი» [10]; რას ნიშნავს ეს ტერმინი, ძნელია თქმა, ერთი კი ცხადია, რომ ამ სახელით მონათლულია მთელი ჯგუფი საგალობლებისა. საგალობელთავე აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი «მოკაზმულნი» [11], რომელიც შეიცავს მწუხრის, ცისკრისა და წირვის საგალობლებს. საგალობლების აღსანიშნავადვე იხმარება ერთი უცხო ტერმინი «სპადუქნი». მაგალითად: «სპადუქნი უცხონი ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით: მსგავსი მსგავსებითა და თითოეული განთჳსებით» [12], ანდა: «აღბეჭდულნი სპადუქნი» [13].

მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეიმუშავა ლიტურგიკული ჰიმნების რამდენიმე სხვადასხვა კრებული. ჰიმნები სხვადასხვანაირია: ზოგი განკუთვნილია შეიდეულის (ორშაბათი — კვირა) დღეებისათვის, ზოგი დიდმარხვისა და აღსვებას (აღდგომიდან სულიწმიდის მოსვლამდე) პერიოდისათვის, ზოგი კიდევ დღესასწაულებისა და წმიდათა ხსენებისათვის.

იმ წიგნს ან კრებულს, რომელშიაც მოთავსებულია შვიდეულის დღეთა საგალობლები, ბერძნულად ეწოდება Ὀκτώηχος, რაც «რვა ჴმას» აღნიშნავს. ოკტოიხოსის ჩამოყალიბება დაიწყო მერვე საუკუნეში, იოანე დამასკელის დროს, და დამთავრდა IX — X სს. იოანემდე საბერძნეთში ყველა საგალობელი დაწერილი იყო ოთხ ხმაზე, იოანემ ამ ოთხ, ძირითად, ხმას მიუმატა ოთხი სხვა, ასე რომ მან შექმნა «რვა ჴმის» სისტემა, და თითოეულ ხმას, რომელიც მთელ კვირას გრძელდება, თავისი საკუთარი საგალობლები აქვს მიჩენილი.

ბერძნულად, Ὀκτώηχος ეწოდება საკუთრივ მხოლოდ «კვირა დღის» ჰიმნებს, «სადა» დღის (ორშაბათი — შაბათი) ჰიმნების კრებულს კი — «პარაკლიტონი». ქართულადაც ამ ჰიმნების კრებული ორ წიგნად ყოფილა ძველად დაყოფილი, მაგრამ არა ისე, როგორც საბერძნეთში: კვირა დღეებისა (ოკტოიხოსი) ცალკე და «სადა» დღეებისა (პარაკლიტონი) ცალკე, — არამედ პირველში მოთავსებული ყოფილა პირველი ოთხი ხმის ჰიმნები (კვირისაც და «სადა» დღეებისაც), ხოლო მეორეში — დანარჩენი ოთხი ხმისა. თუმცა ორსავე წიგნს ქართულად ერთი საზოგადო სახელი შერჩენია (პარაკლიტონი), მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი სპეციფიკური სახელწოდებაც აქვს. პირველ წიგნს ეწოდება «ჴმანი», ხოლო მეორეს — «გუერდინი», რაც უდრის ბერძნულ πλάγιος-ს.

როდის ითარგმნა ქართულად პარაკლიტონი ან ოკტოიხოსი? მეცხრე საუკუნის საგალობელთა კრებულში (H 2123) ოკტოიხოსის ჰიმნები ჯერ კიდევ

[1] ჲ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გვ. იზ—იმ; [2] რაჲ — როე; [3] სოლ—სპე; [4] სპე — სყ; [5] სყ—ტვ; [6] ტა—ტლ; [7] ტლ — ტნ; [8] ტოვ — ტოს; [9] სმზ — სნზ; [10] სკე, სმ, სყ, ტაგ; [11] ათ; [12] საგ; [13] რაჲ.

არ ჩანს; სამაგიეროდ მეათე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მწერალი მიქელ მოდრეკილი თავის კრებულში ამბობს, რომ მის მიერ შეგროვილი ჰიმნები, მათ შორის ოკტოიხოსისაც, გაბნეული იყო მთელ საქართველოშიო. მაშასადამე, ეს ჰიმნები ქართულად უთარგმნიათ მეცხრე-მეათე საუკუნეში. ოკტოიხოსის ჰიმნები იოანე დამასკელისა პოეტური საზომითაა დაწერილი. ქართულად, რასაკვირველია, ეს საზომი არ დაუცავთ და ისინი პროზით უთარგმნიათ. ბერძნული პარაკლიტონიდან ექვთიმე ათონელს უთარგმნია იოანე დამასკელის მიერ შეთხზული «სავედრებელნი და ლოცვანი» შვიდეულისა და «სადა» დღეებისა, სამშაბათიდან შაბათამდე, საკუთრივ იმ წმიდანებისა და სიწმიდისა, რომელთა ხსენებისათვის განკუთვნილია შვიდეულის ესა თუ ის დღე. მთლიანი, ვრცელი რედაქცია პარაკლიტონ ოკტოიხოსისა, რომელიც მიღებული იყო თანამედროვე ბერძნულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში, უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს. გიორგის თარგმანი დამკვიდრდა ჩვენში, მის შემდეგ სხვას არ უთარგმნია ეს წიგნი, მხოლოდ ანტონ კათოლიკოსმა მეთვრამეტე საუკუნეში შეასწორა ის იმდროინდელ ბერძნულ-სლავურ პარაკლიტონთა მიხედვით.

ის წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია დიდმარხვის პერიოდის საგალობელნი, ცნობილია «მარხუანი»-ს სახელით, ხოლო იმ წიგნს, რომელშიაც მოთავსებულია აღვსების ან აღდგომის პერიოდის საგალობელნი და რომლებიც გაგრძელებას წარმოადგენს პირველისას, ეწოდება «ზატიკი». თავისთავად ნათელია, თუ საიდან წარმოდგა სახელი «მარხუანი», რაც შეეხება «ზატიკს», ფიქრობენ, რომ ასეთი სახელი მიიღო ამ წიგნმა იმიტომ, რომ ის იწყება აღდგომის საგალობლებით, ხოლო აღდგომას სომხურად «ზატიკ» ეწოდებაო, მაშასადამე, ეს სახელწოდება სომხური უნდა იყოსო. ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი «მარხუანი» და «ზატიკი» დასახელებული დროის ჰიმნთა აღსანიშნავად ჩვენში ხმარებაში შემოდის მეორე პერიოდში, მანამდე კი ორივე წიგნი, არსებობდა ისინი ერთად, მსგავსად ზოგიერთი ბერძნული ძეგლებისა, თუ ცალ-ცალკე, ატარებდა ერთ ზოგად სახელს — «ხუედრნი». საეჭვოა, რომ მეთერთმეტე საუკუნეში შემოეღოთ სომხური ტერმინი, როდესაც, როგორც ვიცით, ქართულ ეკლესიაში ყოველივე სომხურისადმი ულტრა-უარყოფითი განწყობილება იყო დამყარებული. თან ძველად, განსაკუთრებით მეათე საუკუნემდე, «ზატიკი» იწყებოდა არა აღდგომის საგალობლებით, არამედ ბზობის. «ზატიკი» წარმოდგება «ზატ»-ისაგან, რაც ტიპიკარულ-ლიტურგიკულ ენაზე ნიშნავს «თავისუფალ» დღეს, ესე იგი დღესასწაულს, როგორც განთავისუფლებასა და დაცადებას შრომისა და მუშაობისაგან. ძველ ქართულ მწერლობაში «დღესასწაული» იწოდება «ზატიკად»; მაგალითად, 1 კორინ. V, 8 ὥστε ἑορτάζωμεν — თარგმნილია «რათა ვზატიკობდეთ». მაშასადამე, «ზატიკი», როგორც ტექნიკური ტერმინი, აღნიშნავს ისეთ წიგნს, რომელშიაც მოთავსებულია «დღესასწაულთა» საგალობლები. ასეთი სახელი კი სავსებით შეეფერება ამ წიგნს, ვინაიდან ის, ერთი მხრით, შეიცავს უდიდესი დღესასწაულების, აღდგომა-ამაღლება-მარტეილიის, ჰიმნებს, ხოლო, მეორე მხრით, მთელი ის პერიოდი, რომელიც შეადგენს მისს შინაარსს, საქრისტიანო-ეკლესიური შეგნებით, არის მთლიანი, განუწყვეტელი დღესასწაული, რის გამო უძველეს ქართულ ძეგლებში ამ პერიოდს «ზატიკი»

ეწოდება. რაც უნდა იყოს, «მარხუანი» და «ზატიკი», როგორც საკუთარი მნიშვნელობის ტერმინი, ხმარებაში შემოდის მეთერთმეტე საუკუნიდან, მანამდის კი ორივე წიგნს ერქვა «ხუედრნი», რაც შემდეგაც დარჩა ხმარებაში, როგორც სპეციალური ტერმინი საგალობელთა ერთი ჯგუფისა. «ხუედრნი» კი აღნიშნავს ლიტურგიკულ კანონს, სამი «გალობისაგან» შემდგარს (აქედან ბერძნული Τριῳδίον) იმისდა მიხედვით, თუ რომელ დღეს «ხუდება» ან შეხვედება მაოი შერჩევა, მაგალითად: კვირას — 1, 8, 9 გალობა, ორშაბათს — 2, 8, 9, სამშაბათს — 3, 8, 9, ოთხშაბათს — 4, 8, 9, ხუთშაბათს — 5, 8, 9, პარასკევს — 6, 8, 9, შაბათს — 7, 8, 9.

პირვანდელი ფორმა «ხუედრისა» ან მარხვან-ზატიკისა ჩვენ გვაქვს ზემოდასახელებულ მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერგამენტის კრებულში. აქაური ჰიმნები უფრო ძველია, ვიდრე ეპოქა თეოდორე სტოდიელისა (გარდ. 826), რომლის სახელთან დაკავშირებულია «მარხუანის» ისტორია. ის ძალიან მოკლეა და თეოდორეს ჰიმნებს არ შეიცავს. ამ კრებულმა არ იცის არამცთუ ახლანდელი კვირიაკეები დიდმარხვისა, არამედ ისინიც კი, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ სტოდიისა და იერუსალიმის რედაქციის უძველეს «მარხუანში». აქ ჯერ კიდევ არაა გამოყოფილი მესამე კვირიაკე, როგორც საგანგებო, ჯვართაყვანისცემის კვირიაკე[1]. თუ სიტყვები «დასდებელნი მარხუათანი სრულიად» გულისხმობენ მთელ «მარხუანს», უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი უთარგმნია ექვთიმე ათონელს, ყოველ შემთხვევაში, თუ მთლად არა, ზოგიერთი ნაწილი მისი მაინც; ამას «მარხუანის» ერთი ცალიც[2] ადასტურებს. ექვთიმეს შემდეგ გიორგი მთაწმიდელს უთარგმნია «დიდნი მარხუანი და ზატიკნი», ესე იგი მთლიანი რედაქცია მათი, როგორიც მიღებული იყო მის დროს საბერძნეთში. გიორგის შემდეგ არსენ ბერს გადმოუღია თუ მთლიანი «მარხუანი» არა, ზოგიერთი მისი საგალობელი მაინც, როგორც, მაგალითად, ხორცთა აღების შაბათისა, ყველიერის ხუთშაბათისა და ანდრია კრიტელის «დიდი კანონი». ძველი ქართული «მარხუანი» და «ზატიკი» სტოდიის რედაქციისაა, იერუსალიმის რედაქცია ამ წიგნებისა შემოსულა ჩვენში XV — XVI სს. 1728 წელს ნიკოლოზ თბილელს მოსკოვში გადაუწერინებია «მარხუანი» გიორგი ებიტაშვილისათვის, რომელიც ამბობს, რომ «წესი და რიგი რუსისა დავწერეთო»[3], მაშასადამე, ცერემონიული ნაწილი ამ წიგნისა რუსულის მიხედვით შეუსწორებიათ. 1738 წ. მოსკოვის სტამბაში იოსებ სამებელსა და მღვდელმონაზონს ქრისტეფორე გურამიშვილს დაუბეჭდავთ «ზატიკი», ხოლო 1741 წ. «მარხვანი», ერთიც და მეორეც წინასწარ სლავურ ზატიკზე შეუსწორებიათ[4].

მესამე წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია სხვადასხვა წმინდანისა და დღესასწაულის საგალობლები. ცნობილია თ თ უ ე ნ ი ს სახელით. ეს სახელი ხმარებაში შემოდის მეთერთმეტე საუკუნეში, გიორგი მთაწმიდლის დროიდან,

[1] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XX—XXI, 351—352.
[2] A 568, ფურც. 6.
[3] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I. გვ. 114.
[4] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. XXII—XXIII.

რომელმაც, მისი ბიოგრაფის სიტყვით, გადმოთარგმნა ბერძნულიდან «თთუენი ათორმეტნივე»; მანამდის კი, პირველ პერიოდში, ამ კრებულს სხვადასხვა სახელი ერქვა. პირველ ყოველისა, მას ეწოდებოდა «ზატიკი», რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღესასწაულთა წიგნს ნიშნავს. ეს რომ ასეა, ჩანს მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერგამენტის ჰიმნოგრაფიული კრებულიდან, რომელშიაც ვკითხულობთ: «ესე აბოჲსნი დასდებელნი ზატიკსა სწერიან», ანდა: «მწუხრი (7 იანვრის) ზატიკისანი». ცხადია, აქ ვერ ვიგულისხმებთ «ზატიკად» აღდგომის პერიოდის ჰიმნებს, რომლებიც 6 და 7 იანვარს არასდროს მოდის. ჩანს, «ზატიკი» ძველად აღნიშნავდა საერთოდ ღღესასწაულთა ჰიმნებს, მათ შორის აღდგომის პერიოდისასაც. მერე, მეთერთმეტე საუკუნიდან, ეს სახელი მხოლოდ აღდგომის პერიოდის საგალობელთა აღსანიშნავად დარჩენილა. მეორე სახელი ამ წიგნისა არის ი ა დ გ ა რ ი. ეს ტერმინი, რომელიც საგალობელთა აღსანიშნავად მანიქეველებსაც ჰქონდათ [1], გულისხმობს ს ა მ ა ხ ო ვ რ ო დოკუმენტს, ისეთ აქტს, რომელიც შედგენილია რაიმეს დასახსომებლად. ასეთი სახელი ადვილად მიეცემოდა იმ წიგნს, რომელშიაც წმინდანთა «ხსენებაა» აღნუსხული. ქართულ ენაზე «იადგარი» შედარებით ადრე უნდა ეთარგმნათ. პირველი ფორმაცია მისი ჩვენ გვაქვს დასახელებულ მეცხრე საუკუნის პაპირუს-პერგამენტის კრებულში. ამავე საუკუნეში გრიგოლ ხანძთელს შეუდგენია თავისი საკუთარი იადგარი, როგორც გვარწმუნებს მისი ბიოგრაფი: «რამეთუ აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა (გრიგოლის) დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან» [2]. მეათე საუკუნეში ჩნდება ვრცელი და სრული «იადგარი», რომელიც გვაქვს მიქელ მოდრეკილის კრებულში. ამ კრებულიდან ჩანს, რომ მეათე საუკუნეში ქართული ჰიმნოგრაფია მეტად დაწინაურებულა: გამოჩენილა მთელი რიგი შესანიშნავი ჰიმნოგრაფებისა, რომელნიც, მართალია, ჰიმნების ბერძნულ პოეტურ საზომს ვერ იცავენ, მაგრამ მაინც მეტად ხელოვნურად და მოხდენილად თარგმნიან, განსაკუთრებით აკროსტიქურ სფეროში ისინი შეუდარებელი არიან [3]. მეორე პერიოდში დამთავრდა «თთუენის» გადმოქართულება. ექვთიმე ათონელს გადმოუცია «მრავალთა წმიდათა გალობანი» [4], შეიძლება «სეკდენბრის თთუენი», რომელიც, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის სიტყვით, ექვთიმეს «თჳთო გალობითა ეთარგმნა» და რომელიც მერე გიორგიმ «სრულ ყო» [5]. ექვთიმეს შემდეგ ამ დარგში უმუშავნია გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც გადმოუღია «თთუენი ათორმეტნივე სრულიად ღმრთივბრწყინვალედ» [6]. შედგენილობა, ხასიათი და მნიშვნელობა ამ შესანიშნავი, პირდაპირ კაპიტალური შრომისა ჩვენ უკვე გავითვალისწინეთ, როდესაც გიორგის ლიტურგიკული მოღვაწეობის შესახებ ვლაპარაკობდით, ამიტომ აქ იმას აღარ დაეუბ-

---

[1] C. Salemann, Manichäische Studien, I, С.-Петербург, 1908, стр. 52.

[2] ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, გვ. ლთ.

[3] К. Кекелидзе, Литургические груз. памятники, стр. XXIII—XXVI, 372—381.

[4] «ათონის კრებული», გვ. 29.

[5] იქვე, გვ. 298.

[6] იქვე, გვ. 311.

რუნდებით. მოვიტანთ მხოლოდ ერთ ახლადმოპოვებულ (დოც. ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს მიერ) ცნობას, რომელიც თვით გიორგის ეკუთვნის: «გულსავსებით უწყოდეთ, რომელ არღარა რომელსა საბერძნეთისა ეკლესიასა არა იპოვოს ამისი უკეთესი «სათუეე», სრული და უნაკლულოჲ; პეტრე-წმიდისა დიდისა ეკლესიისა «სათუეე» და სჳმეონ-წმიდისაჲ მჭონდეს და სოფია-წმიდისა «სტიქარონნი», და ყოველი, ვითა ნათელი მზისაჲ, ეგრეთ გამოგჳკრებია და ერთი გჳრგჳნი კათოლიკე ეკლესიისაჲ, შემკული ლალითა და ანთრაკითა და ყოვლითაჲ ქვითა პატიოსნითა, შეგვითხზავს. და ვიდრე აქამომდე ჩუენგან დაფარული ცაჲ, მრავალფერითა მთიებითა მიერ აღსავსე, საჩინოდ ყოველთა ქართველთა ზედა არა ჩუენ, არამედ ღმრთსა გარდმოურთხამს, რათა ნათობდეს კიდით-კიდემდე ქუეყანისა ნათესავსა ჩუენსა» (S 4999). გიორგის შრომა ერთადერთი იყო ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში და შინაარსის მხრივ მაინცდამაინც თვალსაჩინო ცვლილება არ განუცდია მეთვრამეტე საუკუნემდე, როდესაც გამოვიდა სამი რედაქცია თთუენისა. ერთი, სიონის დეკანოზის შვილის ნიკოლოზის მიერ გადაწერილი 1746 წ. (A 1454), დამყარებულია ძველ რედაქციაზე, ხოლო ორი შესწორებულია სლავურ «თთუენზე», ეგულისხმობთ დეკანოზის ალექსი მესხიშვილისა და ანტონ კათოლიკოსის შრომებს, რომელთა შესახებ საუბარი უკვე გვქონდა. ამათგან ლიტურგიკულ პრაქტიკაში ბატონობა მოიპოვა ანტონის შრომამ. «თთუენის» დაბეჭდვისათვის ზრუნვას იმთავითვე შედგომიან ქართველები. მაგრამ მათ მხოლოდ «სამი თვის» დაბეჭდვა მოუხერხებიათ[1], ასე რომ მთელი წლის «თთუენი» ქართულად არასოდეს დაბეჭდილა. მის მაგიერობას ჩვენში სწევდა «გამოკრებული თთუენი», რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე ბერძნულ-რუსული «სადღესასწაულო»[2]. აი, ყველა ის წიგნი ან კრებული, რომლებშიაც წარმოდგენილია ქართული ნათარგმნი ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია[3]. უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაპრებს ამ დარგში უთარგმნიათ ყველაფერი, რაც კი ღირსი იყო ყურადღებისა, და დარწმუნებული ვართ, რომ ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში მკვლევარი აღმოაჩენს ისეთი ავტორების ჰიმნებს, რომლებიც დღეს ბერძნულად დაკარგული არიან.

ქართული ლიტურგიკული ჰიმნოგრაფია მდიდარია არა მარტო ნათარგმნი ძეგლებით, არამედ ორიგინალური შემოქმედებითაც. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია იწყება მერვე საუკუნის გასულიდან. პირველ ასეთ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს «ქებაჲ წმიდისა მოწამისა **ჰაბოჲსი**», რომელიც შეადგენს მე-

---

[1] ის ჩვენ გვაქვს იმ «თთუენში», რომელიც «ქართულ წიგნში» ნაჩვენებია 41 ნომრით, გვ. 52.

[2] ის პირველად 1805 წელს დაიბეჭდა მოსკოვში, მეორეჯერ მოსკოვშივე 1865 წ.

[3] ჩვენ არაფერს ვამბობთ კერძოდ იმ წიგნზე, რომელშიაც შეგროვილია ამ კრებულებიდან ამოღებული «ძლისპირები», ბერძნულად—ი რ მ ო ს ე ბ ი, და რომელსაც ი რ მ ო ლ ო გ ი ო ნ ი ეწოდება. პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ამ კრებულის შედგენას აწერს მეცამეტე საუკუნის მოღვაწეს საბა სვინგელოზს, ქარის ეპისკოპოსს («Описание древностей г. Тифлиса», стр. 138). მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ერთი ცალი ამ წიგნისა მეათე საუკუნის გასულიდან (A 603); ის ეტრატზეა დაწერილი და ნოტები აქვს დართული. მერე ირმოლოგიონი თარგმნა გიორგი მთაწმიდელმა.

ოთხე თავს იოანე საბანისძის მიერ აღწერილი აბოს ბიოგრაფიისას[1]. ეს არის პროზით, საზომის დაუცველად, დაწერილი «ქება» ან «ხოტბა» და წარმოადგენს ნიმუშს ეგრეთ წოდებული «გიხაროდენისას» (მუხლი 2, 3, 7). იმაში გარკვეულია სიდიადე აბოს ღვაწლისა და იდეური მნიშვნელობა მისი მაშინდელი ქართველებისათვის, რომელნიც «აღერიენენ ერსა უცხოსა... ნათესავსა, საწუთროჲსა ამის მოყუარესა». ეს «ქება» აგებულია იმ სააგიოგრაფიო მასალაზე, რომელიც მოუტანია ავტორს პირველ სამ ნაწილში, ერთი დეტალის მიმატებით, სახელდობრ: აბოსთან საპყრობილეში იტანჯება ერთი სხვა ქრისტიანიც, რომელმან ვერ გაუძლო ტანჯვათა სიმძაფრეს და ქრისტე უარყო. «ქებაში» ჩვენ ვხვდებით ისეთ პოეტურ ადგილებსა და შედარებებს, როგორიცაა: «ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია; შენ, ველური ეგე ზეთისხილი, მოგიღო ქრისტემან და მტილსა მას შინა თჳსსა სამკჳდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა»[2]. მეორე ადრინდელ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს აბოსავე საგალობელი, რომელიც მოთავსებულია პაპირუს-პერგამენტის «სადღესასწაულოში»; ეს საგალობელი, რომელიც დღეს უკვე გამოცემულია[3], დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეცხრე საუკუნის დასაწყისისა; უნდა ვიფიქროთ, აბოს სადიდებლად ბიოგრაფიასთან ერთად საგალობლებიც დაუწერიათ. შეიძლება ეს საგალობლებიც იმავე იოანე საბანისძის მიერ იყოს შედგენილი, ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ჰიმნოგრაფს ბეჯითად და გულუხვად უსარგებლნია აღნიშნული ბიოგრაფიით, ხშირად ბიოგრაფიის სიტყვებისა და ფრაზების შენარჩუნებითა და დაცვით.

თავის განვითარების კულმინაციურ პუნქტზე ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია შემდგარა მეათე საუკუნის მეორე ნახევარში; ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო წრეში გამოჩენილა მთელი რიგი შესანიშნავი ჰიმნოგრაფებისა, რომელთაც ღრმამეცნიერებითი, პოეტური ფერადებითა და მოხდენილი სიტყვებით შეუმკიათ არამცთუ მარტო ქართველი წმინდანები და დღესასწაულები, არამედ მსოფლიო ეკლესიისაც. ტაო-კლარჯეთში ასეთი საქმისათვის თითქმის მთელი საუკუნე მზადდებოდა ნიადაგი. ჩვენ ვიცით, რომ აქ სამონასტრო და სალიტერატურო მოღვაწეობას საფუძველი ჩაუყარა გრიგოლ ხანძთელმა, რომელიც «წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად». იქ, ხანძთას, იყო «კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი»[4], ესე იგი საგალობელთა კრებული. ამ კრებულმა განამტკიცა აქ ჰიმნოგრაფიული ტრადიცია და ნიადაგი მოამზადა ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შემდგომი განვითარებისათვის. ორიგინალური ჰიმნები, რაც მეათე საუკუნემდე ჩათვლით დაწერილა,

---

[1] პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ა — გ.

[2] იქვე, გვ. 3. სტრიქ. 117 — 121.

[3] К. Кекелидзе, Литургические грузин. памятники, стр. 357, прим., I; მისივე. ახალნი საგალობელნი აბო თბილელისა, ჟურნ. «მწყემსი», 1905 წ., № 13 — 14, გვ. 3—6; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. ზ—ი.

[4] ნ. მარის გამოცემა, გვ. ლთ.

საგანგებოდ თავმოყრილია მიქელ მოდრეკილის ცნობილ კრებულში[1]. აქ წარმოდგენილ ზოგიერთ ორიგინალურ ჰიმნს ტექნიკური სახელწოდებაც კი აქვს — ქ ა რ თ უ ლ ი, უცხო და ნათარგმნ, ბ ე რ ძ ნ უ ლ საგალობელთაგან გასარჩევად, რაც უფრო საყურადღებოა, ჰიმნები უმეტეს ნაწილად წარწერილია და ამ მხრივ ისინი ჩვენ გვაძლევენ ძვირფას ისტორიულ-ლიტერატურულ მასალასაც. ასეთი ავტორებია: იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქელ მოდრეკილი, ეზრა, იოვანე ქონქოზისძე, კურდანაძ. სტეფანე ჰყონდიდელი სანანოსძე და სხვანი. მათი პიროვნებისა და ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ უკვე გვქონდა ჩვენ ლაპარაკი, ამიტომ ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მეცხრე-მეათე საუკუნეთა ქართველი ჰიმნოგრაფები იმდენად დაწინაურებულან საეკლესიო მწერლობის ამ დარგში, რომ ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან იმდროინდელ ბერძენ ჰიმნოგრაფებს. ამ გარემოებას და მასთან ერთად ჩვენში ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის მძლავრ გაღვიძებას ისინი დაუყენებია ღვთისმსახურებისა და ჰიმნოგრაფიულ კრებულთა ნაციონალიზაციის გზაზე. მათ განუზრახავთ იმ კრებულებში, რომელნიც ბიზანტიაში ჩამოყალიბდა, ჩაედგათ თავისი საკუთარი ორიგინალური, ქართული შინაარსი, სახელდობრ — პარაკლიტონ-ოქტოიხოსში, მარხვან-ზატიკსა და თთუენში. მართლაც, მიქელ მოდეკილს შეუთხზავს თავისი რ ვ ა ჯ მ ა ან ოქტოიხოს-პარაკლიტონი, იოანე მინჩხს — მარხუანი და ზატიკი, ხოლო «თთუენში» ან «იადგარში», როგორც მაშინ ეძახდნენ, მათ შეუტანიათ საკუთარი საგალობლები როგორც ქართველი წმინდანებისა, მაგალითად ნინოსი (სინ. № 59, 69) და დღესასწაულებისა, ესე, რაც საყურადღებოა, მსოფლიო ეკლესიისა. მაგ., ენკენიასი (19 სექტ.). (სინ. 59) და საბასი (სინ. 65). ერთი სიტყვით, მათ მოუნდომებიათ საქართველოს ეკლესია სრულიად დამოუკიდებელ გზაზე დაეყენებიათ ამ მხრივ და, ვინ იცის, რა შედეგებს მიაღწევდნენ, მომდევნო პერიოდს ასეთი კულტურულ-ლიტერატურული სეპარაციისათვის გარდაუვალი კედელი რომ არ აღემართა წინ. მართალია, ორიგინალური შემოქმედება ჰიმნოგრაფიულ სფეროში შემდეგაც არ შეწყვეტილა, მაგრამ ეს შემოქმედება, უმეტეს ნაწილად, ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა ახალ საგალობელთა შეთხზვაში მდგომარეობდა.

მეთერთმეტე საუკუნეში ათონის მოღვაწეს, ვინმე ზოსიმეს, დაუწერია საგალობლები ილარიონ ქართველისა და ექვთიმე ათონელისა, «უღირსს ეზრას» — იოანე ათონელისა, ხოლო ვიღაც უცნობ ჰიმნოგრაფს — გიორგი მთაწმიდლისა. გიორგის დაუწერია საგალობელნი ექვთიმე ათონელისა (H 1710). მეთორმეტე საუკუნეში ნიკოლოზ გულაბერიძეს დაუწერია საგალობლები «სუეტის: ცხოველისა და კუართისა საუფლოისა», დავით აღმაშენებელს შეუთხზავს ანდრია კრიტელის «დიდი კანონის» მიბაძვით «გალობანი სინანულისანი», ხოლო იოანე პეტრიწს — «გალობანი ყოველთა წმიდათანი» და ზოგიერთი დღესასწაულის «აქებდითსა» ზედა დასდებელთა «აწდაჲ». მეთორმეტე საუკუნის გასულს თუ მეცამეტის დამდეგს იოანე შავთელს შეუდგენია იამბიკოდ «გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი», ხოლო იოანე ანჩელს «გალობანი ანჩის-

[1] S 425.

ხატისანი». მეცამეტე საუკუნეში კათოლიკოს არსენ ბულმაისიმიძეს შეუდგენია საგალობლები ღვთისმშობლისა, ქართველ წმინდანთა, კერძოდ აკროსტიქული ჰიმნები წმ. ნინოსი, და ხელთუქმნელი ხატისა, ხოლო საბა სვინგელოზს — «გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი». მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს ნიკოლოზს, «ქართველთა მნათობს», უწერია «მრავალნი კანონნი», სხვათა შორის, «უზომოდ წკმისა გარდამოსლვის დასაყენებელი». ქართველ წმინდანთა საგალობლები იწერებოდა, როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, XIV — XVII საუკუნეებშიაც, მაგრამ ამ დროის ჰიმნოგრაფებს ჩვენ არ ვიცნობთ. ორიგინალური ჰიმნოგრაფია განსაკუთრებით XVIII საუკ. აყვავებულა: მღვდელმონაზონს გრიგოლ ეახვახისძე დოდორქელს დაუწერია ქეთევან დედოფლის ღვაწლი და აკოლოთია[1]. ვახტანგ მეექვსის მამას, მეფე ლევანს, შეუდგენია «ვედრებაჲ» იოანე ნათლისმცემლისა, პეტრე-პავლესა და სხვა წმინდანებისადმი. თეიმურაზის დას, მეფის ასულ მაკრინას, შეუთხზავს საგალობლები იოსებ ალავერდელისა და იოანე ზედაზნელისა. იესე, ქსნის ერისთავს, შეუდგენია «აკოლოთია» შალვა, ელიზბარ და ბიძინასი [2], აკროსტიქული შესხმა ისე წილკნელისა («საქართვ. სამოთხე», გვ. 211 — 212) და გაულექსავს ასოთა სახელები სიბას ლექსიკონში (H 1740). «აკოლოთიის» შემთხზველი ყოფილა აგრეთვე ნიკოლოზ რუსთველიც; მას დაუწერია საგალობლები დოდოსი. ნაყოფიერი ჰიმნოგრაფი ყოფილა ნიკოლოზ თბილელიც, მას შეუთხზავს, როგორცა ვთქვით, იამბიკოდ «აქებდითსა ზედა», დასდებელთა «დიდებაჲ» თითქმის ყველა ქართველი წმინდანისა და სრული «დასდებელი აქებდითსა ზედა» აბოსი, ევსტათი მცხეთელისა და მეფეების—არჩილ და ლუარსაბისა, ხოლო ბესარიონ კათოლიკოსს—კანონი მღვდელმთავრისა (2 დეკემბერი), სვეტიცხოველისა და რაჟდენ პირველმოწამისა. ყველაზე მეტი შრომა ამ დარგში გაუწევია ანტონ კათოლიკოსს, რომელმაც შეადგინა საგალობლები თითქმის ყველა ქართველი წმინდანისა და დღესასწაულისა, რომელთაგან «აქებდითსა ზედა დასდებელი» იამბიკოდაა აღწერილი.

ლიტურგიკული ჰიმნები დანიშნულია ღვთისმსახურებაში სახმარებლად, იმათ გალობენ ხოლმე და ამიტომ ქართულად «გალობანი» ან «საგალობელი» ეწოდებოდათ. მათი თარგმნისას ბერძნული დედნის საზომის თავისებურებათა დაცვა ადვილი საქმე არ იყო, და ეს ისეთ დახელოვნებულ ჰიმნოგრაფსაც კი, როგორიც გიორგი მთაწმიდელი იყო, ხანდახან მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ხოლმე. მაგალითად, გიორგის აქვს ქრისტესშობის კანონი, რომლის აკროსტიქი ამბობს: «ქებითა და გალობითა ყოველადწმიდითა ქრისტჱს ღმრთისა ჴორციელად ზეშთა ცნობისა ბრწყინვალესა შობასა ყოველი სოფელი იხარებს და ანგელოზთა თანა წყალობათა მისთა ადიდებს და შეჰსხამს დღეს» [3].

[1] ტ. რ უ ხ ა ძ ე, ახლად აღმოჩენილი ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, «ლიტერატურული ძიებანი», V, 229—267.

[2] S 3269, ფ. 224—225.

[3] S 379, გვ. 219 — 220, 3 — 6. ეს კანონი ასე იწყება: «ქალწულისაგან ეშვილოჲ განკაცნა, ||ბუნებით სწორი მამისა და სულისა|| იშვა კორციით თჳსთა დაბადებულთაჲ» (ს. უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ჯრუჭის ხელნაწერები, I, 353 — 355). გიორგისაც ეკუთვნის კანონი ნათლისღებისა, რომელსაც შემდეგი აკროსტიქი აქვს: «დღეს იორდანეს ქრისტეს ნათლისღებასა ყოველი სოფელი განნათლდა, სამებისა წმიდისა თაყუანისცემაჲ განცხადნა, იხარებენ ერთბამად ანგე-

ამის შესახებ მთარგმნელი შენიშნავს: «სხუანი გალობანი ამისვე დღისანი, თავედნი, წმიდისა იოანე დამასკელისა იამბიკონნი ამას გუარსა ზედა არიან, თჳნიერ რომელ მათ ყოველსა დასდებელსა ხუთი თავი უზის, ხოლო ამათ უმრავლესნი თავნი სხენან და ამას უფროჲსი ჰირი უნდა, და ვინაჲთგან ამათი თარგმნაჲ უღონო არს ყოვლადვე და შეუძლებელი, ამისათჳს მე გლახაკმან გიორგი, რეცა თარგმანმან, ქართულად აღვწერენ ესე გალობანი დიდითა შრომითაო»[1]. სხეა იამბიკური საგალობელი იოანე დამასკელისა, მაგალითად, ნათლისღების, გიორგის უთარგმნია ჩვეულებრივი ქართული იამბიკოთი, ხოლო ქრისტესშობის საგალობელთა შესახებ, როგორც ვხედავთ, ის ამბობს, რომ ამის თარგმნას «უფროჲსი ჰირი უნდა», ვინაიდან დამასკელის შესაბამისს იამბიკურ საგალობელში «ყოველსა დასდებელსა (=იამბიკური სტროფი) ხუთი თავი (=ხუთი ტაეპის ხუთი აკროსტიქული ასო) უზის, ხოლო ამათ (=ჩემს თარგმანს) უმრავლესნი თავნი სხენანო».

საგალობელთა ჯგუფში ერთი მათგანი, პირველი, ჩვეულებრივ უჩვენებს დანარჩენებს კილოსა და საზომს, ესე იგი მისი მიმყოლი საგალობლები არამცთუ მის კილოზე უნდა იქნენ შესრულებული, არამედ მისივე საზომით ან მარცვალთა რაოდენობით დაწერილი. პირველს ეწოდება «ძლისპირი»[2], თუთავაჯი», ვინაიდან მას საკუთარი «ავაჯი», ესე იგი კილო ან ხმა აქვს, ხოლო სხვებს «ტროპარი, მუკლი», ანდა «დასდებელი». ამ მხრივ არამცთუ ბერძნულ-ქართულ ვერსიფიკაციაში, თვით ქართველ ჰიმნოგრაფთა შორისაც ხანდახან მძიმე მდგომარეობა იჩენდა ხოლმე თავს. «არა მცირედი ღუაწლი არსო», ამბობს ანტონ კათოლიკოსი, «რათა ძლისპირის კილოსა ზედაცა სწორედ იყო მუკლი და აზრიცა სიტყჳსა უცუალებლად ეგოს». ამიტომ მას ხარების კანონის გადაკეთებისას 1 — 7 გალობაში მუხლები, როგორც იყო, შეუფარდებია ძლისპირისათვის, 8 — 9 გალობაში კი ეს ვერ მოუხერხებია, ვინაიდან «მუკლნი მათნი უგრძე იყვნეს ძლისპირთა და მრავლისა მოკლება დასჭირდა და მრავლისა მოკლებისა თანა ჰაზრიცა წარწუმდებოდა სიტყჳსა»[3]. ამ გარემოებამ გამოიწვია გიორგი მთაწმიდლის შენიშვნა დიდი პარასკევის «შუაღამის» დასდებელთა შესახებ: «ესე უძლისპიროდ გვეთარგმნეს და უგემურად მოვიდოდა, ბერძულად თვითავაჯნია და მათ იციან; და ჩუენ თუმცა ავაჯი დაგუეძია, ვინ დაისწაელიდა? აწ შეწევნითა ღმრთისაჲთა ძლისპირსა ზედა ვთარგმნეთ, რაჲცა ძლისპირი მოუვიდოდა, რომელი ძუელითაგან ვიცით, იგი ეგრეთვე ითქუმოდისო»[4].

ლოზნი და კაცნი» (S 379, გვ. 6 — 11). იწყება ასე (ს. უ ს პ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქრესტომათია, I, 352 — 353):

დაუსაბამო ძე და სიტყუა მამისა,
ღმერთი ყოველთა, მოვიდა ნათლისღებად
ემბაზსა ზედა იორდანისასა დღეს
სიმდაბლით ჩუენთჳს და აცხოვნა სოფელი.

[1] სინას მთის ხელნაწ. № 2, ფ. 129, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის აღწერილობით.
[2] განმარტება იხ. ჩ ვ ე ნ ს გამოცემაში: «Иерусалимский Канопарь», стр. 340—341.
[3] ქ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიო მოღვაწეობიდან, გვ. 12 — 13.
[4] A 339, გვ. 115.

ჰიმნების გალობით შესრულებისას სახელმძღვანელოდ საეკლესიო პრაქტიკამ შედარებით ადრე, იოანე დამასკელის დროიდან, შეიმუშავა საგანგებო ნიშნები, რომლებიც ხმის აწევ-დაწევასა და გაგრძელებას უჩვენებენ. ერთი სიტყვით, თანამედროვე ნოტების ფუნქციებს ასრულებენ. უნდა შევნიშნოთ, რომ, ებრაელთა საღვთისმსახურო პრაქტიკის მიხედვით, ქრისტიანებიც თავიანთ ეკლესიებში ჰგალობდნენ არა მარტო ჰიმნებს, არამედ საღმრთო წერილსაც — სახარებას, სამოციქულოსა და პარემიას ან საწინასწარმეტყველოს. ყოველ შემთხვევაში, ეს თუ ნამდვილი გალობა არ იყო, არც ჩვეულებრივი კითხვა იყო: ხმის აწევ-დაწევითა და მოდულაციით მკითხველი თითოეულ სიტყვას აგონებდა მსმენელს და შესაფერ გრძნობებს უღვიძებდა მას გულში. ამ შემთხვევისათვის საგანგებო ნიშნები ყოფილა შემუშავებული და ეს ნიშნები ქართველებსაც სცოდნიათ, კერძოდ გიორგი მთაწმიდელს, რომელსაც მის მიერ ნათარგმნი სახარებისათვის დაურთავს ის ბოლოში[1] შენიშვნით: «ამათ ნიშანთა ზედა იკითხვენ ბერძენნი სახარებასა და სამოციქულოსა»:

ოქსიე = Ὀξεῖα	ჯაკრისის = Ὑπόκρισις
	კრემმასტე = Κρεμαστή
ვარიე = Βαρεῖα	აპესო ოქსოო = Ὀξέα
	ოქსია კე ტელია = Ὀξέα καὶ τελεία
კათისტე = Καθιστή	აპოსტროფოს, აპოსტროფოს, აპოსტროფოს
სჯრმატიკი = Συρματική	სჯნემბა კე ტელია = Συνέμβα καὶ τελεία
კე ტელია = Καὶ τελεία	
პარაკლიტიკი კე ტელია = Παρακλιτική καὶ τελεία	კენტიმატა = Κεντήματα
	ოქსიე დიპლე
	დიპლე ვარიე
	კენტიმატა კე აპოსტროფი.

რაც შეეხება საკუთრივ ჰიმნებს, იმათაც თავიანთი ნიშნები ჰქონდათ. ქართველებს ეს ნიშნები გაცილებით უფრო ადრე შემოუღიათ, ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ «ნიშნების» წერა ან «სემიოგრაფია», ყოველ შემთხვევაში, მეათე საუკუნემდე უნდა ყოფილიყო განვითარებული. საქმე ისაა, რომ ასეთ «ნიშნებს» ჩვენ ვპოულობთ უკვე მეათე საუკუნის ხელნაწერებში, როგორიცაა, მაგალითად, მიქელ მოდრეკილის კრებული, ათონის ერთ-ერთი ხელნაწერი, A 603 და სხვ. ამ ნიშნებს სწავლობდა გამოჩენილი ისტორიკოსი მუსიკისა Thibaut[2], მაგრამ, სამწუხაროდ, მას ვერ მოუძებნია მათი გასაღები, ვინაიდან ისინი განირჩევიან ანალოგიური ბერძნულ-ასურული «ნიშნებისაგან»[3].

---

[1] გელათ. სახარება XII ს. № 39, ფურც. 278 a; იგივე ნიშნები გუხვდება შიომღვიმის მონასტრის ტიბიკონში (H 1349, ფ. 116 в).

[2] «Monuments de la notation ekphonetique et hagiopolite de l'Eglise Grecque», 1913.

[3] იხ. მისი მოხსენება ჟურნალში «Христианский Восток», III, 207 — 212.

თუმცა ყველა ჰიმნი, როგორცა ვთქვით, საგალობლადაა განკუთვნილი, მაგრამ ნამდვილად ყველა ჰიმნს კი არ გალობდნენ, არამედ ზოგიერთს, სხვებს კი კითხულობდნენ ხოლმე. ამის შესახებ ანტონ კათოლიკოსი შენიშნავს: «არა არს საჭიროება, თუნიერ საუფლოთა და ღუთისმშობლისა დღესასწაულთა, ძლისპირსა ზედა მუკლთა გალობად, და არა სადა ჰგალობენ ყოველთა მუკლთა, მით რამეთუ, უკეთუმცა იგალობოს წესისაებრ ყოველნი მუკლნი, არამცირედი შრომა არს და ნიადაგ არა ბრძანებულ არს შრომა იგი»[1]. იმ ჰიმნებს, რომელნიც გალობით უნდა ყოფილიყვნენ შესრულებული, ქართულად საგანგებო ტერმინით აღნიშნავდნენ ხოლმე. თავის ღირსშესანიშნავ კრებულში მიქელ მოდრეკილს, როგორც თვითონ ამბობს, შეუგროვებია «საგალობელნი მ ე ხ უ რ ნ ი». რას ნიშნავს სიტყვა მ ე ხ უ რ ი? ამ სიტყვის გაგებას მთელი ისტორია აქვს. პირველად მას ყურადღება მიაქცია მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა, რომელიც 1891 წელს წერდა: «მეხური» უნდა იხმარებოდეს მაგიერ «სომხურისა». ის შემოკლებულია სიტყვიდან «სომხური»[2]. მაშასადამე, ამ ინტერპრეტაციით, მიქელს შეუკრებია ქართული, ბერძნული და სომხური საგალობლები. ასეთი განმარტება უარყო აკად. ნ. მ ა რ მ ა, რომელიც 1902 წელს ამტკიცებდა[3], რომ მ ე ხ უ რ ი აღნიშნავს «მესხურს», მაშასადამე, მიქელს შეუკრებია ბერძნული, ქართული და მესხური საგალობლები. 1912 წელს მან უარყო თავისი განმარტება და განაცხადა: от м е х о образовано прилагательное м е х у р и, которое, в качестве церковного термина в применении к песнопению, противополагаемому грузинскому и греческому, очевидно, давно следовало понимать в значении а р м я н с к о г о[4]. მაშასადამე, თუ ეს ასეა, რად უარჰყოფდა ის წინათ ჯანაშვილის ინტერპრეტაციას? ამ უხერხულობას გრძნობდა, ალბათ, თვით ნ. მარი და აღნიშნულ ადგილას დაურთო: мысль такая высказывалась и раньше г. Д ж а н а ш в и л и, но, в виду несостоятельности доказательств, мною отвергалась. ერთი წლის შემდეგ, 1913 წ., ნ. მარმა კიდევ იცვალა აზრი და м е х у р ш и დაუწყო ძებნა с о н-м е с х е б ს ან, უფრო მარტივად, м е с х е б ს. ესე იგი დაუბრუნდა პირველდელ აზრს[5]. ამნაირად, ეს ტერმინი ესმით როგორც ეთნოგრაფიული, ეროვნების აღმნიშნელი: ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს — სომხებისა, ნ. მ ა რ ს — მესხებისა, ერთიცა და მეორეც მიუღებელია. საქმე ისაა, რომ მიქელს არამცთუ შეუკრებია ეს საგალობლები, არამედ ღუთისმსახურებაში სახმარებლადაც განუწესებია, ის ამბობს: «იხილე მღდელო ღმერთშემოსილო, კნინაკი ესე ნამუშაკევი, რაჟამს უშრომელად აღმოივსო საღმრთოჲსა ამისგან წყაროჲსა». ყოველად წარმოუდგენელია, რომ მეათე საუკუნის გასულს მიქელ მოდრეკილს შეეგროვებიოს ანტიქალ-

---

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ანტონ კათოლიკოსის სალიტურგიკო მოღვაწეობიდან, გვ. 13.

[2] «საუნჯე მეათე საუკუნისა», გვ. 39 — 43.

[3] Древне-грузинские одописцы, «Тексты и разыскания», IV, стр. 53—54; «Христ. Восток», I, 118.

[4] История термина А б х а з («Извест. Акад. Наук», 1912 г., стр. 705).

[5] «Христ. Восток», II, стр. 22, прим. 4; К дате эмиграции Мосохов из Армении в Сванию, «Известия Академии Наук», 1916 г., стр. 1620.

კედონიტ სომეხთა ეკლესიის საგალობელნი (ქალკედონიტ სომხებს კი თავისი საკუთარი საგალობლები არ ჰქონიათ, ეკლესიურად ისინი დენაციონალიზაციის პროცესს განიცდიდნენ უკვე ამ დროს) და დაეცალებიოს ქართველი მღვდლისათვის ამისაგან «წყურვილი აღმოიცვეო». ისიც წარმოუდგენელია, რომ მიქელ მოდრეკილს მ ე ს ხ ე ბ ი ს, მაშასადამე, იმავე ქართველების, საგალობლები ქართულისათვის დაეპირისპირებიოს, მესხებს ღვთისმსახურებაში ჰქონდათ ის წიგნები და საგალობლები, რაც ყველა ქართველს, ასე რომ, ქართველებისა და მესხების ლიტურგიკულად დაპირისპირება შეუძლებელია. თან ამ კრებულში მოთავსებულია მხოლოდ ბერძნული და ქართული საგალობლები, სხვა რამ, არც სომხური და არც მ ე ს ხ უ რ ი, იქ არაა. იმ წიგნთა შორის, რომელნიც კათოლიკოს მელქისედეკს შეუწირავს მცხეთის სვეტიცხოველისათვის 1040 წლის გუჯარით, მოხსენებულია «იადგარი მ ე ხ უ რ ი, რომელსა შიგან სწერია განგებაჲ საწელიწდოჲ» [1]. აქედან ცხადია, რომ ეს ტერმინი აღმნიშნველია საღვთისმსახურო წიგნისა, რომელსაც ი ა დ გ ა რ ი ჰქვია, ხოლო იადგარი აღნიშნავს კრებულს ჰიმნებისას ან წმინდანთა საგალობლებისას.

ამ ბოლო ხანს წარმოიშვა ერთი კიდევ ახალი თეორია «მეხურის» შესახებ (გ ი ვ ი ე ო რ დ ა ნ ი ა, მეხურელნი, თბილისი, 1956). ამ თეორიით «მეხური» წარმომდგარი უნდა იყოს უძველესი აღმოსავლეთის ხურის ქვეყნის ხალხთა, ხურიტების, სახელწოდებიდან (მე+ხური), ისე, როგორც, მაგალითად, მეგვიპტელი, მეგრელი და სხვ. მიგვინდვია ენათმეცნიერთათვის გარკვევა იმისა, რამდენად კანონზომიერია და ამდენად მისაღები მეხურის ხურისაგან წარმოშობა მეგვიპტელისა და მეგრელის ანალოგიით, სადაც ე ფუძისეულია, ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა გაგება, ხური-სთან დაკავშირებით, მეხური საგალობლებისა. ავტორი არ იზიარებს არც ერთს დღემდე არსებულ გაგებას ამ ტერმინისას, კერძოდ. ნ. მ ა რ ი ს აზრს, რომ «მეხური» «მესხურს» ნიშნავს, თუმცა სავსებით შესაძლებლად თვლის «მესხურის» დაპირისპირებას ქართულთან (ეს ჩვენი მოსაზრების წინააღმდეგ), რადგანაც «ქართული» აქ ნიშნავს ქართულს არა დღევანდელი გაგებით, არამედ იბერულსაო. რა უნდა იყოს, მისი მოსაზრებით, მეხური? რადგანაც ხური ქვეყნის ხალხებს, ხურიტებს, კულტურული გავლენა ჰქონდათ ჩვენს წინაპრებზე, «მეხური» უნდა ნიშნავდეს «ხურულს», «ხურიტულს», და მიქელ მოდრეკილის ცნობილი გამოთქმა უნდა განვმარტოთ ასე: «შეკრიბენ საგალობელნი ხურულნი (ხურიტულნი), ბერძნულნი და ქართულნიო» (გვ. 72). რა გასაკვირველიაო, განაგრძობს ის, რომ ხურის ქვეყნის საგალობელნი აეღოს ქართველ ჰიმნოგრაფსო, მით უმეტეს, რომ ალბათ მათსა და ქართველთა ძველ მუსიკას შორის ერთგვარი სიახლოვე იქნებოდა კიდეცო (74) [2]. გამოდის, რომ მიქელ მოდრეკილმა მეათე საუკუნის გასულს შეკრიბა მეორე ათასეულ წლებში (ჩვენ წელთაღრიცხვამდე) ცნობილი ხურიტების საგა-

[1] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 31—37.

[2] სიტყვები — «შეკრიბენ საგალობელნი» ნიშნავს არა მუსიკალური ჰანგების შეკრებას, არამედ სიტყვებში ჩამოსხმულ საგალობელთა ტექსტს.

ლობლები, მერე რა საგალობლები? ქრისტიანული! ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია!! ჩვენი ავტორი ამ ტერმინის სხვანაირ გაგებასაც იძლევა. ხურიტები ერთ დროს დღევანდელი დასავლეთ-საქართველოს ტერიტორიაზედაც ბინადრობდნენ; შემდეგში ისინი აქ გაითქვიფნენ კოლხებში, ასე რომ მეათე საუკუნეში ტერმინი «მეხური» უკვე ნიშნავდა არა «ხურულს», არამედ «დასავლურ ქართულსო», მაშასადამე, გამოდის, რომ მიქელ მოდრეკილს ერთმანეთისათვის დაუპირისპირებია სამი სახის საგალობელნი: ბერძნული, ქართული, ესე იგი, აღმოსავლეთ ქართულნი, იბერულნი, და «მეხურნი», ესე იგი. ხურულნიო, გადატანით, დასავლეთ ქართულნი, კოლხურნიო» (76). ამრიგად, ყოველად დაუშვებელი «ხურული» ან «ხურიტული» რომ გამოვრიცხოთ, «მეხური», ჩვენი ავტორის აზრით, შეიძლება ნიშნავდეს მესხურსაც და კოლხურსაც, ესე იგი, მეათე საუკუნის ტერმინოლოგიით, მეგრულსაც. ავტორს ავიწყდება რეალური კულტურული ვითარება მეათე საუკუნის გასულის საქართველოსი, როდესაც «ქართულად» იწოდებოდა როგორც ქართულ-იბერული, ისე მესხური და კოლხურ-ლაზურ-მეგრული. ეს კულტურული ვითარება მეათე საუკუნეში ასეა ჩამოყალიბებული: «ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების». ეს არ უნდა დავიწყებოდა ჩვენს ავტორს, მას არ ჰქონდა მეცნიერული უფლება დაპირისპირებია ერთმანეთისათვის ქართების (ქართული), იბერების, მესხების და მეგრელების საეკლესიო საგალობლების ტექსტი, რადგანაც იმ დროს ყველა ამ ტომს საგალობლების ერთი და იგივე ტექსტი ჰქონდა და ერთი და იგივე ლიტერატურულ-საღვთისმსახურო ენა.

ჩვენი აზრით, ეს ტერმინი არის მუსიკალური და აღნიშნავს კილოს საგალობლისას, ესე იგი იმას, რომ მ ე ხ უ რ ა დ წოდებული ჰიმნი უნდა გალობით იქნას შესრულებული და არა წაკითხვით[1]. ამნაირად, მ ე ხ უ რ ნ ი საგალობელნი არიან ისეთი ჰიმნები, რომელნიც გალობით უნდა იქნან შესრულებული და ამ მიზნით მათ ხშირად ნ ი შ ნ ე ბ ი ან ნოტებიც აქვთ დართული. მაშასადამე, მიქელი ამბობს: მე შევკრიბე, რაც კი ვიპოვე ჩვენს ენაზე, ჰიმნები მ ე ხ უ რ ნ ი — ქართულნი და ბერძნულნიო. ასეთი უნდა იყოს რეალური მნიშვნელობა ამ ტერმინისა[2]. რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას, ამაზე გადაჭრით ვერას ვიტყვით. შეიძლება, ტერმინი წარმომდგარი იყოს ბერძნული ϰιθάρα-ისაგან, რაც ხ მ ა ს ნიშნავს (მ+ ϰιθ +ური), და ზედმეტად ხაზს უსვამდეს, რომ მ ე ხ უ რ ი საგალობელი ხ მ ი თ ან გალობით უნდა იყოს შესრულებული.

---

[1] «მეხური» რომ კილოს ნიშნავს, ამას გვიდასტურებს თვით მიქელ მოდრეკილის სიტყვები: «საყუარელნო, უკუეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კ ი ლ ო ც ერთი ორგვარად იყოს, ნუ უცხო გიჩნს, რამეთუ რომელიმე ძლისპირისა ერთი კ ი ლ ო ც ორგუარად არს მ ე ხ უ რ ა დ» («ქრონიკები», I, 112).

[2] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, стр. 372, прим. 2. მ ი ს ი ვ ე, Иерусалимский Канопарь, стр. 332.

B. სამოძღვრო-მოთხრობითი პოეზია

ქართული სასულიერო პოეზიის მეორე დარგს წარმოადგენს ისეთი პოეზია, რომელსაც პრაქტიკული, საღვთისმსახურო, მიზნები არა აქვს დასახული, როგორც პირველს; ის არის ნაყოფი მორწმუნე ადამიანის სულის ზეაღფრენისა, და შინაარსის მხრივ ორ უმთავრეს შტოს გვაძლევს: აგიოგრაფიულ-ეორტალოგიურს, რომელიც სხვადასხვა წმინდანისა და დღესასწაულისადმია მიმართული, და ბიბლიოგრაფიულ-ისტორიულს, რომელსაც საგნად აქვს სხვადასხვა თხზულება, უფრო კი ბიბლიური წიგნები და ისტორიული ფაქტები. ფორმის მხრივ ეს პოეზია ორნაირია: ტიპიური იამბიკოები და რითმოვანი ლექსები, ქართულ პოეზიაში ცნობილი სტიქომეტრიული საზომებით დაწერილი. ამ დარგშიაც ჩვენ გვაქვს როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ნაწარმოებნი; ნათარგმნი თხზულებანი წარმოადგენენ ან პოეტურ ნაწარმოებთა გადმოქართულებას, ანდა პროზულ ნაშრომთა გალექსვას.

არალიტურგიკული პოეზია ჩვენი მწერლობის ისტორიის პირველ პერიოდში და განსაკუთრებით მეორესა და უკანასკნელს, მეოთხე, პერიოდში განვითარებულა. პირველი პერიოდიდან გვაქვს ორი პატარა ლექსი მეათე საუკუნისა: ერთი ეკუთვნის იოანე-ზოსიმეს და დაწერილია ვიღაც გიორგის სახელზე, აქ ლაპარაკია იოანეს მიერ მოგებული კრებულის შესახებ. მეორე ეკუთვნის ვიღაც ფილიპეს, დაწერილია 16-მარცვლოვანი სილაბურ-ტონური საზომით პრიმიტიული რითმის დაცვით და შეაქებს ღვთისმშობელს. უფრო საყურადღებოა ამ მხრივ შემდეგი ლიტერატურული ფაქტი. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბერძნული სასულიერო პოეზიის ტაეპები ხელნაწერებში წარმოდგენილია განუწყვეტლივ, გაბმით, როგორც პროზის სტრიქონები, მხოლოდ წერტილებით იყოფიან ერთიმეორისაგან; ეს გარემოება აძნელებდა მათში პოეტური ტაეპის ამოცნობას. ამგვარივე მოვლენას ჩვენ ვპოულობთ ქართულ მწერლობაშიც. ქართულ ენაზე შენახულია ერთი აგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც ნათარგმნი უნდა იყოს არაუადრეს მეათე საუკუნისა და რომელიც ჩვენ მიერაა გამოცემული, სახელდობრ: «წამებაჲ მიქაელ საბაწმიდელისაჲ»[1]. ის ხელნაწერში წარმოდგენილია ჩვეულებრივი სახით, როგორც მოთხრობა, სტრიქონი სტრიქონს მიპყვება, აბზაცი აბზაცს. მაგრამ, როგორც შემდეგში მკვლევარმა პ. ინგოროყვამ მიაქცია ჩვენი ყურადღება და საგანგებო საჯარო მოხსენებაშიაც აღნიშნა, ამ თხზულებაში ჩვენ გვქონია რითმოვანი პოეზიის ნამდვილი ნიმუში. ის, რამდენიმე ტაეპი, მისი უკანასკნელი

[1] კ. კეკელიძე, კიმენი, გვ. 165 — 173. ეს თხზულება, თანამედროვე ქართულზე, «ძველი ხელნაწერებიდან გადმოღებული», გამოცემული ყოფილა თბილისში ცალკე წიგნაკად 1903 წელს. არც გადმომღებელი, არც ხელნაწერი, საიდანაც გადმოღებულია ის, ნაჩვენები არაა. გამოცემას ეწოდება «წამება წმიდა მიქელ ტიბერიელისაჲ».

თავებიდან, რომელიც საბას ლავრის შექებას წარმოადგენს. აეტორი თხზულებისა, ბასილი, ამბობს, რომ მე ეს დავწერე

მამისა საბაჲს საკსენებელად,
საქებელად და სადიდებელად,
რ~ ყო უდაბნოჲ ურწყული,
ვითარცა ქალაქი განთქმული,
მტერთაგან გარემოცული,
არავისდა მინდობილი,
არცა კაცთა შეევედრებული,
არამედ ღვთისაგან განგებული,
მის მიერ დაწესებული...

ამის წმიდისა სამებისა მონამან,
და დიდისა ეფთიმის მოწაფემან,
და წმიდისა თევდოსის მეგობარმან,
და მრავალთა მარტვილებულთა მამამან.—
რომელი ლავრასა სწავლითა რწყვიდა
და დაფარულსა მონაზონთასა ჰხედვიდა,
და სიწმიდით იერიქოს მოწაფესა სცვიდა...[1]

მეათე საუკუნესვე (963 — 969 წლებს) ეკუთვნის ათონზე დაცული «სამოციქულოს» (№ 11, ცაგარლით, და 42, ბლეიკით) ბიბლიოგრაფიული სტრიქონები, რომელნიც, მართალია, თანმიყოლილად, პროზული სტრიქონების სახით არიან წარმოდგენილი, მაგრამ ნამდვილად ხუთმარცვლოვან ლექსს შეიცავენ:

მე მიქელ მღდელმან.
ზეკეპე ბერმან,
ჭუაბისა შეილმან,
ბერთას აღზრდილმან,
ესე წმიდაი
პაველე მოვიგე[2].

აქ, ისე როგორც ფილიპეს ლექსში, ჩვენ საქმე გვაქვს უკვე არა საეკლესიო იამბიკოსთან, არამედ შემდეგი დროის საერო პოეზიის საზომებთან.

მეორე პერიოდში ამ პოეზიის ისტორია ექვთიმე და გიორგი მთაწმიდლებიდან უნდა დაიწყოთ. თუ ის ცნობა საეჭვოა, ვითომც ექვთიმე და გიორგი ბერძნულ ენაზე წერდნენ ლექ'სებსო, ქართულ ენაზე მათი ამგვარი შემოქმედება ეჭვსგარეშე უნდა იყოს, ამის საწინდარია მათი მრავალმხრივი ნაყოფიერი შემოქმედება ლიტურგიკული პოეზიის დარგში. ყოველ შემთხვევაში, გიორგი მთაწმიდლისაგან დარჩენილა ერთი პატარა იამბიკო ბიბლიოგრაფიული ხასია-

[1] კ. კეკელიძე. კრებნი, გვ. 172; 173; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 350 — 351, ზემოდასახელებულ 1903 წლის გამოცემაში ეს თავები ლექსადაა წარმოდგენილი.
[2] ილ. აბულაძე, საქმე მოციქულთა, გვ. 021.

თისა, რომელიც მის მიერ ნათარგმნ სახარებას აქვს დართული მისი სახელის აღნიშვნით აკროსტიქში; ეს იამბიკო ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ კიდეევაც. ნამდვილად კი ამ პოეზიის მამამთავრად ეფრემ მცირე უნდა ჩაითვალოს. როგორც სხვა ყოველ დარგში, ეფრემს აქაც საკმაოდ დაუჩენია თავისი კვალი, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შენახულა ყველა ის, რაც მას შეუქმნია ამ დარგში. აქ უნდა დავასახელოთ, პირველ ყოვლისა, ორი მისი იამბიკო ბიბლიოგრაფიული ხასიათისა, რომელშიაც ლაპარაკია «სამოციქულოს» შესახებ. ერთი მათგანი, მისი საკუთარი, ორიგინალური, ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზემოთ, ხოლო მეორე, «აღმრიცხველი წმიდათა წიგნთა», ნათარგმნია, ის შედგება 6 მუხლისაგან და იწყება ასე:

აღემართების წიგნი ესე რჩეული
სუეტად უძრავად ბრძნისა ეკლესიისა,
სიტყჳთ მოუთხრობს მეგობართა რწმუნებით,
საქმესა დიდსა ქრისტეს მოციქულთასა
და ამას მისცემს მთად დიდად ჩრდილოვნად[1].

მეორე ნაწარმოები ეფრემისა ამ დარგში, იამბიკოთი გადმოღებული, ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნის მწერალს, სერონის მიტროპოლიტს ნიკიტას და იწოდება: «ეპიტაფიად ბასილისსა სტიხოსნი იროიკონი პარაფრასნი ნიკიტა ფილოსოფოსისანი»[2]. აქ გადმოკეთებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის «სიტყუა ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს» 12 მუხლად, იწყება ასე: «ეპა ქრისტეს მოუუარეო და მსახურო და მონაო მისო ერთგულო ვასილი». უფრო მეტი მასალა მოუცია ეფრემისათვის ამ დარგში გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს. აქ მას უთარგმნია, პირველ ყოვლისა, «მუხლები იამბიკოჲ სასწაულოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენა ქრისტეანენი იელიანე განდგომილმან, ზედაწარწერილი თჳთ მისი: გრიგოლის ვარ მე ტკივილთნამუშაკევი, ოთხმუკლედისა პინდურისა დამცველ ვარ მისაცეშელად ცნობათა სულიერთა და სიბრძნისა მის ყოველად ჭეშმარიტისა მოსაკსენებელ ღირსებით მოსწაელეთა», ან «ასეული იამბიკოთაგანი წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისნი». იწყება ასე:

დასაბამისა კეთილისა უკეთეს
იქნების კეთილყოფაჲ აღსასრულისა...[3]
(იხ. გვ. 249).

აქ ეფრემს მოუცია მეორე, უფრო ვრცელი რედაქცია იმ თხზულებისა, რომელიც Billius-ის 1630 წლის პარიზის გამოცემაშია მოთავსებული (t. II, p. 156 — 159).

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანში, რომელიც ეფრემს

[1] S 379, გვ. 189 — 191; A 137, 16в — 17в; № 482; ს. ყუბანეიშვილი, კრესტომათია, I, 364 — 365.

[2] A 16, 109, 292; გელ. № 9, ფ. 87 — 89.

[3] A 109, გვ. 527 — 534; № 711, ფ. 83 — 87; № 85; S 348, 3731; ს. ყუბანეიშვილი, კრესტომათია, I, 365 — 372.

ეკუთვნის, მოთავსებულია ერთი სიტყვა გრიგოლისა «მათდა მიმართ, რომელთა დასაბამსავე შემდგომად ხუცობისა მიუწოდეს მას აღსებისათჳს და არა წინა-დაემთხჳნეს მას» [1]. ამ «სიტყჳსათჳს» ეფრემს დაურთავს ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელშიაც ის გვაცნობს ჩვენ — თუ როგორ უთარგმნია ის ძველად ექვთიმე ათონელს და რატომ გადმოთარგმნა მან მეორედ ის. ამ შენიშვნას ის ასე ათავებს: «კჳრიკე ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მმძლავრა და კადნიერ მყო მე ახლად თარგმნად ათექუსმეტთა სადღესასწაულოთა და ამას ერთსა აპორიტათაგანსა, რომელნი ესე არა ქართულისა შუენებითა, არამედ ბერძულისა შედარებითა გვაქმნეიეს... ხოლო ათცხრამეტნი იგი აპორიტათაგანი, პირველ ჩემგანვე თარგმნილნი სიტყუადართჳთ, მისვე მამისა და მოძღურისა (ექვთიმეს) კუალსა შედგომითა ითარგმნეს ჩემგან, თჳნიერ ამათ, ხოლო განყოფილად მათგან, რომელ არცა სხჳსა საკითხავსა სხუასა ჩავრთო, არცა ჯერჩინებით და ნებისით უთარგმნელი სიტყუაჲ დავაგდო» [2]. აქედან ჩანს, რომ ეფრემს უთარგმნია ცალკე წიგნად («განყოფილად» სხვა თხზულებათაგან) «ათცხრამეტნი აპორიტანი». «აპორიტანი» არის ბერძნული სიტყვა ἀπόρητα. ასეთი სახელი ეწოდებოდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსთა ერთ ჯგუფს, უფრო დოგმატიკური შინაარსისას, რომელთა რიცხვი სხვადასხვა ძეგლში სხვადასხვაა (Billius-ით, მაგალითად, 18). ეფრემ მცირე «აპორიტად» თვლის ზემოდასახელებულ «სიტყუასაც», თუმცა ბერძნულში ის არამცთუ «აპორიტათა» ჯგუფს არ ეკუთვნის, ლექსადაც არ ითვლება. მაგრამ, ჩანს, ეს «სიტყუა» მუხლებად ყოფილა დაყოფილი. ქართული თარგმანის ბოლოში მას ასეთი შენიშვნა აქვს: «მუკლი რმბ». მაშასადამე, ფორმა ჰქონია პოეტური ნაწარმოებისა და ამიტომ ეფრემს, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, გრიგოლის ყველა ლექსს «აპორიტად» თვლიდა, ისიც ამათ რიცხვში მოუქცევია. ყოველ შემთხვევაში, 19 ლექსი მას ცალკე წიგნად უთარგმნია, თან «სიტყუადართჳთ», ესე იგი სქოლიოებით. სამწუხაროდ, ამ კრებულს ჩვენამდე არ მოუღწევია. მართალია, როგორც თავის ადგილას დავინახავთ, გრიგოლის ლექსების კრებული შენახულა ჩვენამდე, მაგრამ ეს სულ სხვა კრებულია, ამათში არც ერთი ლექსი არაა «აპორიტას» სახელით ცნობილი. ეს მოვლენა დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ქართულ სასულიერო პოეზიის ისტორიაში.

დასასრულ, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანისათვის ეფრემს დაურთავს თავისი საკუთარი, ორიგინალური ერცელი იამბიკო, რომლის «კიდურწერილობა» ან აკროსტიქი (მარცხნივ და მარჯვნივ) გვაძლევს: «ჲ ფრიადო მოძღურებისა უფსკრულთაგან სრულითა მით საზომითა სრულქმნილითა შემწე ჩემდა იქმენ დღეს განსჯისასა, რომლისათჳს გხადი უნდოდ მცირე ეფრემ» [3]. ამ იამბიკოში შესხმულია გრიგოლ ღვთისმეტყველი და მისი თხზულებანი.

ეფრემის დროს, მეთერთმეტე საუკუნის გასულს, დამთავრდა თითქმის თარგმნა სვიმეონ ლოღოთეტის მეტაფრასებისა, რომელთა შორის ცნობილია ამ-

---

[1] A 292 ფ. 281 — 282, Billus, t, I, p. 46 — 49.

[2] A 292, ფ. 282b; თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 226.

[3] ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 363 — 364.

ბერკი იერაპოლელის (ოქტომბრის 22) ცხოვრებაც[1]. ამ ცხოვრებაში[2] მოყვანილია «იამბიკო ხუთმუკლედი ამბერკის საფლავსა ზედა წარწერილი»:

რჩეულსა მის მკვდრმან ქალაქისამან
ესენი შეეკმენ ვიდრეღა ცოცხალ ვიყავ.

ეს იამბიკო, რომელიც ცალკე, ცხოვრებიდან ამოღებულიც, გვხვდება ხელნაწერებში, გამოცემულია[3].

იამბიკოთა წერაში და თხზვაში უეარჯიშნია არსენ იყალთოელსაც: როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ და მოვიყვანეთ კიდეეაც, არსენს დაუწერია იამბიკოდ ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა და ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ნიკიტა სტითატის ერთი თხზულებისა, რომლის აკროსტიქი იძლევა ნიკიტასა და არსენის სახელს. მის ორიგინალურ იამბიკოთაგან უფრო საყურადღებოა «იამბიკონი, აღმრიცხველნი წმიდათა წიგნთანი», რომლის აკროსტიქი ამბობს: «წიგნი სამოციქულო»[4]. აქ წარმოდგენილია, როგორც თავის ალაგას დავინახეთ, შემადგენლობა და მნიშვნელობა «სამოციქულოსა». ეს უკანასკნელი იამბიკო მას დაუწერია, ალბათ, მის მიერ ნათარგმნი დიდი რჩულსაკანონის მიხედვით, რომელშიაც ორი სტატიაა ამგვარიევე ხასიათისა. ამ სტატიებში, რომლებიც არსენის, თანახმად დედნისა, იამბიკოდვე გადმოუღია, ჩამოთვლილია ძველისა და ახალი აღთქმის ბიბლიური წიგნები. ესენია: გრიგოლ ღვთისმეტყველის «განზომილთაგან სიტყუათა» ან «მუკლედი აღრიცხვა წმიდათა წიგნთა», რომელიც შემდეგნაირად იწყება:

რათა უცხოთა არ მიგიპარონ წიგნთა,
რიცხუსა გაუწყებ ჩუენთასა, მეგობარო[5].

მეორე — «ამფილოქესი იამბიკო სელევკოს მიმართ», რომელიც ასე იწყება:

არამედ უფროს ამისი სწაელა შენდა
საქმარ, ეითარმედ არა ყოველნი წიგნნი
უცთომელ, არცა რაოდენ საქებელი,
წერილობისა მოუგიეს სახელი,
ვინაჲთგან სახელმტყუარნიცა არიან[6].

დიდი ნაყოფიერება გამოუჩენია ამ პოეზიის დარგში იოანე პეტრიწს, რომელსაც, როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, გაულექსავს იოანე სინელის კ ლ ე მ ა ქ ს ი და, სამ პატარა იამბიკოს გარდა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, დაუწე-

[1] Migne, PG. t. 115, col. 1212 — 1248.

[2] S 1276, გვ. 167 — 207; გელ. № 4, ფ. 534a — 555a.

[3] Е. Такайшвили, Описание, II, 317.

[4] S 379, გვ. 193; A 137, ფ. 17 — 18.

[5] S 379, გვ. 188 — 189; A 124, გვ. 532 — 533 და «რჩულის კანონის» ნუსხები; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 377 — 378.

[6] A 124; გვ. 534 — 536 და «რჩულის კანონის» ნუსხები; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 378 — 379.

რია იამბიკოდ ორი პროლოგი: გამოკრებული ან შემოკლებული, სექტემბერ-დეკემბრისა, და ერცელი, სექტემბერ-იანვრისა, რომელიც ასე იწყება:

ინდიკტიონსა სადასბამობს დღენდელი,
ესე იგი არს აწსა თავად თუსადსა
დიდისა მზისა სჯმეონ ყოელადისა
სამყარო სუეტი ეკობების ცათა.

ჩვენ აღარ შევჩერდებით XII — XIII სს. ჰიმნოგრაფებზე, როგორიც არიან ეზეკიელი, დიმიტრი მეფე, იოანე შაეთელი, არსენ ბულმაისიმისძე და პეტრე გელათელი, ვინაიდან მათ შესახებ ლაპარაკი გვქონდა ზემოთ, როდესაც მათ სამწერლო მოღვაწეობას ვარკვევდით საზოგადოდ; შევჩერდებით აქ მხოლოდ სამიოდე მწერლის ნაწარმოებზე, რომელიც მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს გადმოთარგმნილი. ესენია:

«იამბიკონი იოანე ოქროპირისანი, სამი მუხლისაგან», რომელშიაც ლაპარაკია ამქვეყნიური ცხოვრების არარაობაზე. იწყება ამნაირად:

ყრმა საშოჲთგან და მუცლით შთამოსრული
პირველსა ქმასა ტირილით განუტევობს,
ყოველთასავე ვითარ პირველის ქმისა
მსგავს მტირალობისა ინებებს ბრძენი ვინმე
გლოჲთ, რამეთუ არს შემოსული საწუთოდ[1].

მეორე, «იამბიკონი წმინდათა მოციქულთა აღსრულებისანი, თქმულნი იოვანიკე მონაზონისა», რომელიც მეცხრე საუკუნეში მოღვაწეობდა, შედგება ორი მუხლისაგან, რომელთაგან პირველი ასე იკითხება:

ჯუარს აცუამს პეტრეს თავდამოღმართ რომას ნერონ,
არ მკუდარი ცოცხლებს მომკუდარი იოანე,
მშჯიდობით მოკუდა ლუკა აღსრულებული,
პატრელნი კაცნი ჯუარს შემსჭუალვენ ანდრიას,
მახჳლი განჰკეთს სრბათა იაკობისთა,
აკუდენს ლახუარი თომას ინდოეთს შინა[2].

დასასრულ, უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლექსების თარგმნა ქართულად. ჩვენამდე შენახულა სულ 24 ლექსი გრიგოლისა, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერშია მოთავსებული[3]. აი, ეს ლექსები:

1. გრიგორის შრომა ვარ ოთხმუკლს დამცველი
სიბრძნის საკსოვნად სწავლათა რიცხუთა[4].

[1] S 379, გე. 194; A 67, ფ. 92ბ.
[2] S 379, გე. 193 — 194.
[3] S 379, 348, 2568; A 711.
[4] S 379, გე. 103 — 119, 215.

ეს არის მეორე რედაქცია, უფრო მოკლე, იმ ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება «მუკლები იამბიკოჲ სასწაულოჲსა წილ წარმართთაჲსა» და რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირემ გადმოთარგმნა[1]. არსებული ბერძნული ტექსტი უდგება ამ მეორე რედაქციას[2], რომელსაც თანდართული აქვს ნიკიტა პაფლაღონელის, ანუ, უფრო სწორად, სერონელის (XI ს.) თარგმანება[3].

2. ფილოსოფოსთათჳს:

თქუნა ვინმე ესე ოჭროსა მოყუარემან[4].

3. ბოროტისა მიმართ:

მოხუედ, ბოროტო, არამედ დაეყენე,
კუამლად გიხილე და ეიგრძენ ცეცხლისაც[5].

4. თავისა მიმართ თჳსისა და მოშურნეთაცა:

აჰუს რაამე ღიაღთა ჩუენდა აწ განცხრომასი
იამბიკოთათ სხუა საზომი იშუების
თავთწარმელელმან სცნა ესე განცხადებით[6].

5. ლოცვა ცისკრისაჲ:

ლოცეთა მიგცევ ღმერთსა ჩემსა მარჯუეთა[7].

6. საზღვარნი ზრქელკერძოობითნი იამბიკონი:

ღმერთი არს არსება პირველი კეთილი
სოფელი შეკრვა ხილულთა გონიერთა[8].

7. სწავლანი:

მაგინებელ არს სიმაძღრე, ჴ რჩეულნო,
ხოლო მე მნებავს შენდა ქონება საქმედ[9].

8. მრავალმეტყუელებისათჳს და დუმილისა:

ღუმილის მოყუარე მიეახლების ღმერთსა[10].

9. ტყუვილისათჳს:

არ უწყის ჩჩულმან ტყუვილი, არც სულმან[11].

---

[1] ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 365 — 372.
[2] Billius, l. II, 156 — 159.
[3] Krumbacher, Geschichte der byzant. Lit., 2 Aufl. S. 137, 211.
[4] S 379, გვ. 121 — 123.
[5] იქვე, გვ. 123—126.
[6] იქვე, გვ. 125 — 126.
[7] იქვე, გვ. 126 — 127.
[8] იქვე, გვ. 127 — 129; A 711, 87—89.
[9] იქვე, გვ. 139 — 144; A 711, 89 — 90.
[10] იქვე, გვ. 147.
[11] იქვე.

10. ყოვლადგანთქმულისათჳს დედოფლისა ბოროტის მუცლისა:

ნაყროვნება არს ნოვაგობათ შემოქმედ [1],

11. უხრწნელისათჳს გახრწნადთა შორის შრომათაგან და ოფლთა სიწმიდისათჳს და მრავალცნობისათჳს:

ეიეთმე ჰნებავს ბუნებით საჴურისთა[2].

12. ცუდდიდებისათჳს:

ნუ შეიწყნარებ მომგონებელს შენსა მას[3].

13. ვნებათწარმწყმედელისა მაღლისა მდაბალმზრახელობისათჳს უხილავითა გრძნობითა:

ღელე არს სული დამდაბლებული შორის
შრომის მთათა და სათნოებისათა[4].

14. განსჯისათჳს გულისსიტყუათა და ვნებათა და სათნოებათათჳს:

ზესთსახიერი მეუფე და უფალი[5].

15. ქუეყანისზედაჲსათჳს წმიდისა ღმრთისმსგავსისა უვნებელობისა და სისრულისა და აღდგომისა სულისა პირველ ზოგადის აღდგომისა:

არ შემტკიცნების დიადიმა სამეფოჲ[6].

16. თქმული იამბიკოდ რიცხუსა ზედა ბერძნულისა ანბანისა ალფავიტაჲსა:

საწყის ყოველთა და სასრულ ღმერთი იყაე
წარგებად მარად საწუთოს სარგებელსა[7].

17. ლოცვა:

უწყობ შენსა, უწყობ ჩემსა, ქრისტე[8].

18. მუკლედი აღრიცხვა წმიდათა წიგნთა ძველისა ვიდრემდე სჯულისათა რიცხვთ 22, ხოლო ახლისა მადლისათა 27, ჯუმეულად ყოველთა 49 (ან A 342 — «განუზომელთაგან სიტყუაჲ»):

რათა უცხოთა არ მიგიპაროს წიგნთა,
რიცხუსა გაუწყებ ჩუენთასა, მეგობარნო[9].

---

[1] S 379, გვ. 147 — 148.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 149 — 150.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 150 — 151.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 152.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 153.
[6] ი ქ ვ ე, გვ. 154.
[7] ი ქ ვ ე, გვ. 187; B i l l i u s, t. II, p. 186.
[8] ი ქ ვ ე, გვ. 188.
[9] ი ქ ვ ე, გვ. 188 — 189; B i l l i u s, p. 98.

19. ზესთმჩენობისათჳს:

უკეთუ სხჳსა ენებისა როს თჳნიერ[1].

20. სიმშჳდისათჳს და სიმარტიჳისა და უმანკოებისა და სიბორ:ოტისა:

ისწავეთ ჩემგან, იტყჳს, მშჳდ ვარ მე[2].

21. თანშემკურელისათჳს სათნოებიანისა სამობისა სათნოებათა შინა:

მნებებელმან თქუმად ღმრთის სიყუარულისთჳს[3].

22. მწყემსისა მიმართ:

მკურნალთა შორის რეტარ ანავსიან[4].

23. სხუანი ორმუკლედი იამბიკონნი კეთილ'სიტყუოანნი:

საწყის კეთილის კეთილსაცა ბოლოსა
მართლად შეპრაცხუენ ყოფად საქმეთ საზღუარნი
საწყის კეთილსა ძოპ კაცად დაეასრულაა[5].

24. ესენი ითქუნეს მაშინ, რაჟამს უკანაჲსკნელთა იფშუნჯდა:

ანგელოზმთავარნო, უწდომოს მომგრგუალებასა
სამმნათ ღმრთეებრის ერთელეისა გარმდგომნო
გრიგორ შეიტკბეთ უღირსი, გარნა მღუდელი[6].

ჩამოთვლილ იამბიკოთაგან მეთერამეტე, როგორც აღვნიშნეთ, უთარგმნია არსენ იყალთოელს რ ჩ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი, რაც შეეხება სხვებს, მათ მთარგმნელთა შესახებ არაეითარი ცნობა არ მოგვეპოვება. შეიძლება ისინი ეკუთვნოდნენ, როგორც ვთქვით ზემოთ, პეტრე გელათელს, შეიძლება ნიკოლოზ კათოლიკოსს, თუ რაიმე საფუძველი აქვს ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ცნობას, რომ ნიკოლოზმა თარგმნა, სხვათა შორის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანიო[7]. შეიძლება, ყველა არსენ იყალთოელს გადმოეღოს.

თუ მეორე პერიოდის ქართული საეკლესიო პოეზია არსებითად დამოუკიდებლივ ვითარდებოდა ამ პერიოდში აღმოცენებული და გაფურჩქნილი საერო პოეზიისაგან, ეს აღარ ითქმის უკანასკნელის, აღორძინების, პერიოდის პოეზიის შესახებ. საეკლესიო პოეზია ახლა უკვე აღარ კმაყოფილდება ისტორიულად შემუშავებული პოეტური ფორმით — იამბიკოთი, და უხვად სარგებლობს ყველა იმ ფორმით, რომელიც შეიმუშავა საერო პოეზიამ, უფრო ხშირად კი თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური რუსთველური ლექსით. შინაარსის მხრივაც ჩარჩო საეკლესიო პოეზიისა შესამჩნევად გაფართოვდა ამ პერიოდში. პო-

[1] S 379, გვ. 215 — 216.
[2] იქვე, გვ. 215 — 217.
[3] S 348, გვ. 112 — 113.
[4] იქვე, გვ. 113 — 117.
[5] S 2568; Billius, t. II, p. 153 — 155.
[6] S 379, გვ. 221.
[7] «ქართული მწერლობა XII ს.», გვ. 26 — 27.

პულარიზაციის მიზნით ახლა უპირატესად ლექსით სარგებლობენ, შემუშავდა განსაკუთრებული დარგი პოეტურ ნაწარმოებთა, ეგრეთ წოდებული «ანბანთქება», რომელშიაც ვარჯიშობს ყველა: მეფე და დედოფალი, კათოლიკოსი და ეპისკოპოსი, მღვდელი, ბერი და ერი. «ანბანთქება» უწერიათ: მეფეებს — არჩილს, თეიმურაზ I, თეიმურაზ II, ვახტანგ VI, დავით იმამყულიხანს[1]; კათოლიკოსს ანტონ პირველს[2]; ეპისკოპოსებს — ნიკოლოზ თბილელს, ონოფრე ბოდბელს, იოსებ თბილელს, დოსითეოს ნეკრესელს [3]; ერისკაცებს — იოსებ გაბაშვილს, ვახტანგ ყაფლანიშვილს,, პეტრე სიონის მგალობელს, დიმიტრი ორბელიანს, მაია გაბაშვილისას და სხვ. [4]. ამ «ანბანთქებაში» გარკვეულია სხვადასხვა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი თემა და დებულება, რომლებიც ამ ფორმით უფრო ადვილად იკაფავდა გზას მკითხველ საზოგადოებაში. ივაჟის პოპულარიზაციის მიზნით გაულექსავთ: 1) «საღმრთო ისტორია» — პაატა ბატონიშვილს, 1709 წელს, და პეტრე ლარაძეს[5]; პეტრე ლარაძის შრომაში[6] გალექსილია ძველი აღთქმა მეფე დავით და სოლომონის დრომდე და მერე საქართველოს ისტორია დავითის შთამომავლის გვარამ ბაგრატიდის მოსვლიდან ჩვენში დიმიტრი თაყაიშვილამდე. 2) «ბიბლიის ცალკე წიგნები და თავები»: მაგალითად, მეფე ირაკლის მდივანბეგს დავით ჩოლოყაშვილს გაულექსავს «იობის წიგნის» მე-40 და 41-ე თავები, აგრეთვე «წინასწარმეტყველთა» წიგნები ოა 145 ფსალმუნი[7]; ანდა ესა თუ ის «ეპიზოდები» როგორც, მაგალითად, «ადამის სამოთხიდან ეკსორიობა» — დავით ბაგრატიონს, «ქუეყნის შექმნისათჳს და ადამის კელთწერილი და მეორედ მოსლვისათჳს»—უცნობ ავტორს[8], დავით გურამიშვილს თავის «დავითიანში» — ადამის გოდება, გოდება ღვთისმშობლისა, გოდოლის აღშენება და ენათა აღრევა, ღვთისმშობლის მიძინება. 3) ლექსად იწერება «შესხმა ან ქება სხვადასხვა დღესასწაულისა», მაგალითად: «თქმულნი ხარებისათჳს, შობისა, მიგებებისა, ჯუარცმისა, აღდგომისა, ამაღლებისა, სულისწმიდის მოსლვისა და მიძინებისა». დიმიტრი ორბელიანისა, «ქება სუეტისა ცხოველისა» და «შესხმა ფერისცვალებისა» მირიან ბატონიშვილისა[9]; აგრეთვე «სხვადასხვა წმიდათა ცხოვრება»: ქეთევან დედოფლისა (მღვდელმონაზონ კოზმანს, რომელიც ლექებმა მოკლეს 1735 წ.; თეიმურაზ პირველს, დიმიტრი ბაგრატიონს), წმ. ალექსისა (იოსებ თბილელს, გრიგოლ დოდორქელს) [10], მარინესი [11] (იოსებ თბილელს), გიორგისი (იქვე), დათუნა ქვარიანის მიერ გალექსილი, წმ. ნინოსი [12], და სხვ. ახლა

[1] S 426, 1547.

[2] S 1512.

[3] S 1547, 1512.

[4] S 1203, 1512.

[5] «ივერია», 1899, №№ 12, 13; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924 წ., 378 — 381.

[6] ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის წიგნსაც. და S 155.

[7] А. Цагарели, Сведения, III, XL.

[8] S 101, გვ. 31 — 35.

[9] S 3723, გვ. 312 — 313.

[10] S 1512; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 395 — 406.

[11] S 1203, 1512.

[12] A 1779.

ალექსება, ყოველ შემთხვევაში, იწერება, ხალხური თქმულებანი და აპოკრიფები აბრაამისა და ისაკის შესახებ [1]. ლექსად სხვის თხზულებებსაც კი აკეთებენ, როგორც, მაგალითად, იაკობ შემოქმედელს გაულექსავს ბაგრატ მუხრან-ბატონის პოლემიკური თხზულება მაჰმადიანთა წინააღმდეგ, ანტონ კათოლიკოსს იოანე სინელის კ ლ ე მ ა ქ ს ი. ლექსად იწერება აგრეთვე მთლიანი ისტორიული შრომა, როგორიცაა იესე ტლაშაძის კ ა თ ო ლ ი კ ო ს-ბ ა ქ ა რ ი ა ნ ი და ანტონ კათოლიკოსის წ ყ ო ბ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა. ფორმისა და შინაარსის სიმდიდრესთან ერთად ამ პერიოდში ჩვენ ვამჩნევთ პოეტურ ასპარეზზე მუშაკთა წრის გაფართოებას და მათი რიცხვის გამრავლებას. ჩვენ ვხედებით პოეტებს ყველა წრიდან და წოდებიდან, ამათგან შეგვეძლია დავასახელოთ აქ: თეიმურაზ I, არჩილ მეფე, იაკობ შემოქმედელი, იოსებ თბილელი, მღვდელი ტლაშაძე, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ თბილელი, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი, ანტონ კათოლიკოსი, იოანე ოსესძე, ბატონიშვილები იოანე, დავითი, მირიანი, ბაგრატი და სხვ. განსაკუთრებით ნაყოფიერება გამოუჩენია ანტონ კათოლიკოსს, რომელმაც, კ ლ ე მ ა ქ ს ი ს და წ ყ ო ბ ი ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი ს გარდა, დაწერა პ რ ო ლ ო ღ ი მაის-ოგვისტოს თვეებისა, დაურთო წინასიტყვაობა იამბიკოდ კირილე ალექსანდრიელის ს ა უ ნ ჯ ი ს თარგმანს [2] და იოანე ოსესძეს დააწერინა ასეთივე წინასიტყვაობა «საზღვარნი სარწმუნოებისანნი»-ს [3] თარგმანისათვის.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი თხზულება თეიმურაზ ბატონიშვილისა, რომელსაც ს ა მ ო ც ე უ ლ ი ეწოდება [4]. ხასიათი და შინაარსი მისი გარკვეულია თვით სათაურში, სადაც ვკითხულობთ: «ვალობა ყოვლადწმიდისა ღმრთის მშობელისა მიმართ ქართულის ლექსის რ ვ უ ლ ი ს გვარზე თქმული, რომლისაცა თჳეული სტიხი ოთხ-ოთხი ტაეპი არს და ყოვლისავე თჳთეულისა მათგანსა აქუს რვა-რვა რიფმი (ესრეთ არიან საშუალებით დაბოლოებით თანასწორის რიფმებით გალექსილნი); კარგის კელოვნებით არიან შეწყობილნი და სინანულის მუკლების გვარზე ქმნილნი, რომელსა შინა შემოიტანებიან იგანი ძუელისა და ახლისა აღთქმისანი, ადამისითგან უფლისა ჩუენისა იესო ქრისტეს განკორციელებამდე, ენებად, ჯუარცუმად, დაფლვად, აღდგომად და ამაღლებამდე».

ასეთია მოკლე ისტორია ჩვენი სასულიერო პოეზიისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე აღწევს.

---

[1] S 2363.
[2] A 3, ფურც. 1 — 2.
[3] A 226, ფურც. 5 — 13.
[4] H 2225.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

პირთა და ტოპთა სახელები *

ა

აბაზაგი ძენი 217.
აბაზ ბაკურიანისძე (ეს უნდა იყოს გრიგოლ ბაკურიანისძის ძმა — ასპაზი) 105.
აბდალ მალიქი ხალიფა (685 — 705 წწ.) 190, 191, 476.
აბდალ მესია, ქრისტედულე 519, 520.
აბელი (ბიბლ.) 224, 436, 437.
აბელ ბაშბეუქოვი 287.
აბენესი, აბენირ („ბალავარიანი") 188.
აბენირ ნ. აბენესი.
აბიათარი (წმ. ნინოს ცხოვრების მიხედვით მისი თანამედროვე) 312, 438, 476, 529, 530.
აბიბოსი, აბიბო (წმ. მოწამე, 15 ნოემბრისა) 121, 134, 142, 274, 276.
აბიბოს ნეკრესელი, აბიბოსი 141, 158, 159, 347, 381, 476, 533, 537, 538.
აბო თბილელი, ჰაბო, აბო 120 — 182, 168, 176, 180, 242, 346, 347, 477, 520. 593, 597, 599, 601.
აბრაამ (ბიბლ.), აბრაჰამ, აბრაჰამ ჰურია 224. 261, 304, 337, 347, 463, 512, 617.
აბრაამ ეპისკოპოსი 329.
აბრაამი (სომეხთა კათოლიკოსი) 67, 469. 560.
აბრაჰამ მონაზონი (აეტ. „სწავლანისა") 545.
აბრაჰამ სტუმრის მოუარე (ექვთიმე ათონელის მეგობარი) 186.
აბუკურა ნ. თეოდორე აბუკურა.
აბულაძე ილ. პროფ. 82, 113, 114, 115, 117, 119, 121, 122, 127, 133, 143, 156, 158, 162, 188, 234, 240, 281, 283, 334, 412, 415, 416, 449, 450, 490, 493, 502, 503, 516, 534 — 538, 554, 608.
აბულ-კასიმი (არაბთა სარდალი, 914 წ. მოუძღოდა არაბთა ჯარებს საქართველოში) 145 — 146.
აბუსერ აბუსერიძე 326 — 330.
აბუსერიძე ვარდან ნ. ვარდან აბუსერიძე.
აბუსერიძე ტბელი 330 — 331.
აბუპარბი (იოანე ათონელის სიმამრი) 99.
აგათანგელე დამასკელი 134, 450, 455, 504.
აგათანგელოსი 239, 240, 524, 528.
აგარი (ბიბლ.) 359.
აგარიანნი 237, 238, 270, 357.
აგვისტინე (ნეტარი) 296, 448, 484, 488, 489.
ადამი (ბიბლ.) 168, 224, 246, 283, 337, 362, 430, 433 — 437, 440, 441, 452, 512. 616, 617.
ადანელი ნ. სამუელ ადანელი.
ადარნასე (აშოტ I კურაპალატის ძე) 156.
ადარნასე კურაპალატი, ადარნასე დავითის ძე (დავით I კურაპალატის ძე, ადარნასე II, ქართველთა მეფე 881 — 923 წწ.) 95, 154.
ადარნასე ხოსროიდი 242.
აეტი კონსტანტინოპოლელი 488.
ავალიშვილი გიორგი 71, 552.
ავალიშვილი ზ. 438.
ავალიშვილი — მრეველი 431.
ავარები 230.
ავგაროზი (ედესის მეფე) 195, 223, 444.
ავეტიქ ეპისკოპოსი 365, 366.
ავინდელი პამფილე 282.
ავიტაბელე პეტრე (მოგზ.) 77.
ავუკურა ნ. თეოდორე აბუკურა.
ავქსენტი 208.

*საძიებლები შეადგინა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა რ ო მ ა ნ მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ მ ა.

აზარია (ბიბლ.) 134.
ათანასე ათონელი 207, 208.
ათანასე ალექსანდრიელი (ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსი 326 — 373 წწ.) 196, 200, 206, 225, 257, 258, 417, 453, 461 — 463, 471, 483, 488, 553, 556.
ათანასია 549.
ათანასი კოლიზმელი (წმ.) 134.
ათენელები 450.
ათონელები, ათონელი მამები 215, 216, 380, 444. ნ. აგრ. ათანასე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი (ათონელი), ექვთიმე ათონელი, თორნიკე ათონელი (იოანე-თორნიკე), იღარიონ ათონელი, იოანე ათონელი, სტეფანე ათონელი.
ათცამეტი ასურელი მამანი, ასურელი მამები, სირიელი მამები, მოღვაწენი 88, 157, 158, 160, 161, 269, 270, 345, 352, 497, 532, 533, 538, 544.
აკეფსიმა (წმ.) 207.
აკვილა 419, 425.
აკვილა (ტბეთის ეპისკოპოსი) 95.
აკაკი 265.
აკაკიოს 246.
აკინიანი ნ. 124.
ალავერდელი ნ. იოსებ ალაელრდელი.
ალანნი 38.
ალბანელნი 140.
ალბერტ დიდი ბოლშტედელი (1243 — 1280, არისტოტელეს კომენტატორი) 385.
ალექსანდრე (არჩილ მეფის ძე) 550.
ალექსანდრე ეპისკოპოსი 378.
ალექსანდრე მაკედონელი (356 — 323 წწ. ძე. წელთაღრ.) 382, 527.
ალექსანდრე V (იმერეთის მეფე) 340, 341, 354.
ალექსანდრე ნეველი 75, 388, 404, 407.
ალექსანდრე პირველი (პავლე პირველის ძე, რუსეთის იმპერატორი) 86, 404,
ალექსანდრიელი ნ. ათანასე, დიონისე, დიდ-ჴმოს. ევსები, იოანე, ისიქი, კირილე, კჳრილე, კლიმაკე, ოლიმპიოდორე, პანოდორე, პანსოფი, პეტრე, ტიმოთე ალექსანდრიელები.
ალექსანდროს მონაზონი კჳპრელი 554.
ალექსი (წმ.) 616.
ალექსიევი ტარასი 431.
ალექსი კომნენი (იმპერატორი) 105, 245.
ალექსი მესხიშვილი იერონიმე 70, 258, 315, 355, 801—804, 380, 381, 500, 598.
ალექსისძე მიხეილ ნ. მიხეილ ალექსისძე.
ალექსიშვილი იერონიმე ნ. იერონიმე ალექსიშვილი.
ალექსიძე-მესხიშვილი დავით ნ. დავით რეჭტორი.
ალმასხანი ნ. ეახტანგ_ალმასხანი.
ალ-რაშიდი 242.
ალ-მელიქ-ანნასირ-მუჰამედ-იბნ-კალაუნი, მამლუკთა სულთანი 542.
Altaner A. 483.
Alter Fr. K. 421.
ალფერდი 368, 394, 395.
ალფიოს (წმ.) 207.
ალფარსლან სულტანი (1063 — 1072), 239.
ამარტოლი ნ. გიორგი ამარტოლი.
ამასიელი ნ. ასტერი ამასიელი.
ამბაკო (ბიბლ. წინასწარმეტყველი) 466.
ამბერკი იერაპოლელი 611.
ამბროსი მედიოლანელი 155, 389, 472, 488, 489.
ამბროსი ნეკრესელი (მიქაძე) 370, 385, 890 — 891, 557.
ამბროსი პოდობედოვი (პეტერბურგის მიტროპ. 1800 — 1816 წწ.) 404.
ამირანაშვილი შ. პროფ. 195, 223.
ამირა ყრუ 242.
ამმონიოს ერმისი (ნეოპლატონიკოსი V — VI სს.) 308.
ამონა (ოპიზის მაშენებელი, მონაზ.) 93, 522.
ამონა (ასკეტი) 545, 548.
ამფილოქე იკონიელი 207, 266, 611.
Амфилохий 446.
ანა, ანნა (ბიბლ.) 245, 441, 442.
ანა ჩოლოყაშვილი (ერეკლე I-ის მეუღლე) 342, 343, 403.
ანა (იმერეთის დედოფალი) 405.
ანა დედოფალი (ქართა მეფის ალექსანდრე I-ის [1476 — 1511] მეუღლე, მისი ბრძანებით გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ანასეული ვარიანტი) 160 — 162, 136, 535.
ანა კომნინა (ბიზანტიის კეისრის ასული, XII ს.) 104.
ანანია (ბიბლ.) 134, 444.
ანასტასია (წმ.) 134.
ანასტასია (ანტონ I-ის და) 372.
ანასტასი ანტიოქელი 74, 270, 472.
ანასტასი მონაზონი ნ. ანასტასი სინელი.
ანასტასი სინელი (ანტიოქიის პატრიარქი VII ს.) 98, 202, 245, 266, 275, 278, 280, 295, 297, 379, 489.

ანატოლი (სპასპეტი) 141, 227.
ანატოლი პატრიარქი 358.
ანგელი (სომეხთა მოძღვარი) 379.
ანდიბან მღვდელი 440.
ანდრეა ნ. ანდრია მოციქული.
ანდრია, ანდრეა (ოპიზის მაშენებელი, მონაზ.) 93, 522.
ანდრია იერუსალიმელი 266.
ანდრია კესარიელი (VI საუკ.) 186, 198, 463.
ანდრია კრიტელი (VII ს.) 204, 206, 209, 228, 313, 314, 556, 596, 600.
ანდრია მოციქული, ანდრეა, ანდრია პირველწოდებული 67, 197, 206, 244, 262, 263, 311, 313, 323, 333, 335, 342, 350, 429, 433—435, 448, 504, 530, 537, 612.
ანდრიანე (წმ.) 227, 351.
ანდრია პირველწოდებული ნ. ანდრია მოციქული.
ანდრია სალოსი (გარდაიცვალა დაახლ. 939—960 წწ.) 434, 435.
ანდრონიკაშვილი იასტო (XVIII საუკ.) 88.
ანდრონიკე 549.
ანთიმო (წმ.) 207.
ანთიმოზ (წმ.) 288.
ანკვირელი ნ. თეოდოტე ანკვირელი, კლიმი ანკვირელი.
ანნა (ბიბლ.) ნ. ანა.
ანტეონოს არსენელი 282.
ანტექრისტე 360, 377, 468, 484.
ანტიოქელი ნ. ანასტასი, ესტატე, ევგატი, ისააკ, მელეტი, პელაგია, სეუეროზ ანტიოქიელები, მიხაილი (ანტიოქია — იერუსალიმის პატრიარქი).
ანტიოქელნი 225, 263, 471.
ანტიოქე სტრატიგი (სამაწმიდის მოღვაწე) 499, 538.
ანტიპატროს ბოსტრელი 553.
ანტონ I, ანტონი, ანტონ კათოლიკოსი, 69—76, 79, 85, 86, 186, 187, 214, 215, 234, 243, 253, 263, 287, 289, 290, 291, 301, 306, 307, 308, 314, 315, 329, 331, 332, 336, 340, 341, 343, 344, 346, 350, 351, 353—355, 360, 361—370, 372—386, 387, 388, 390, 391, 392, 396, 397, 398, 466, 470, 472, 473, 479, 483, 486, 487, 491, 496, 500, 543, 545, 547, 548, 549, 557, 566, 567, 571, 576, 583, 593, 595, 598, 601, 602, 604, 616, 617.
ანტონ II (კათოლიკოსი) 385, 398.
ანტონ გენათელი (XVI ს.) 571.
ანტონ თუმანიშვილი 77.
ანტონი, ანტონ ღვერთშემოსილი (ხახულის მოღვაწე, გიორგი მთაწმიდელის თანამედროვე) 214.
ანტონი ლიპარიტყოფილი 220.
ანტონი (ოპიზის მონასტრის წინამძღვარი, არსენ ბერის ძმა) 309.
ანტონი (ამბა ანტონი?) (სეიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში იერუსალიმიდან მისული ქართველი) 89.
ანტონი კოვიდი ლევმოაკელი 366, 368, 371, 391.
ანტონი დიდი (გარდაიცვალა 356 წ.) 176, 208, 545, 547.
ანტონი მწათი 332.
ანტონ კათოლიკოსი ნ. ანტონ I.
ანტონ მარტყოფელი 158, 327, 341, 346, 347, 533.
ანტონ მროველი (ეპისკოპოსი) 143.
ანტონ საღირისძე (ქუთათელი მთავარეპისკოპოსი) 209, 322, 323.
ანტონ ტბელი 95, 102, 247, 253, 259, 261, 268.
ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელი, ანტონ ცაგერელი, ანტონ ჭყონდიდელი 74, 86, 364—368, 371, 891—895, 473, 557.
ანტონ ჯარდინი (პატრი) 78.
ანჩელი 569.
ანჩელი ნ. ზაქარია (ანჩელი ეპისკოპოსი), იოანე ანჩელი.
ანძიაძორელი ნ. გრიგორ ანძიაძორელი.
აპოლინარი ლაოდიკიელი 483, 513.
აპოლონიადოს ფავსტეს 282.
არაბები, არაბნი 92, 94, 97, 102, 103, 129, 131, 145, 146, 147, 149, 153, 178, 230, 238, 242, 270, 429, 470, 521, 538, 541, 542.
არაბიელი თეოდორე პეტრა არაბიელი 261.
არაგვის ერისთავნი 338.
არეოპაგელი ნ. დიონისე არეოპაგელი, ფსევდოდიონისე არეოპაგელი.
არვანდ გუშნასპი, ერვანდ გუშნასპი (მარზპანი) 509—511.
არიანოსი 258.
არიმათიელი ნ. იოსებ არიმათიელი.
არიოზი 299, 357, 358, 489.
არისტიდე აპოლოგეტი (ათენელი ფილოსოფოსი II საუკ.) 187, 475, 476.
არისტოტელე, არისტოტელელი (დიდი ბერძენი ფილოსოფოსი და სწავლული, 384—

322 წწ. ძვ. წ. ა.) 85, 292 — 294, 298, 299, 304, 365 — 368, 371, 383, 384, 388.
არიშიანი 534.
არკადი კეისარი, არკადი IV (395 — 408) 141, 415.
არმაზი (ქერპი) 359, 527.
არმენოპულო 566.
ჰარონ-რაშიდი ხალიფა 477.
არსენ არქიმანდრიტი (XVII ს.) 496.
არსენ ბერი ნ. არსენ იყალთოელი.
არსენ ბერი 209, 240, 284, 309—314, 322, 534, 540, 570, 576, 596.
არსენ ბულმაისიმისძე (კათოლიკოსი XIII საუკუნისა) 67, 139, 284, 320 — 329, 332, 333, 381, 601, 612.
არსენ I დიდი, არსენ დიდი, არსენ დიდი საფარელი, არსენ კათოლიკოსი (ქართლის კათოლიკოსი 860 — 887 წწ.) 66, 120, 130 — 142, 153, 154, 159 — 161, 239, 270, 277, 279, 280, 311, 462, 493, 495, 524, 531, 533, 538, 583.
არსენ II კათოლიკოსი, არსენი, არსენ II (955 — 980 წწ.) 139, 157 — 168, 528, 532 — 536.
არსენ დიდი საფარელი ნ. არსენ I დიდი.
არსენ ვაჩესძე ნ. არსენ იყალთოელი.
არსენ თარგმანი ნ. არსენ იყალთოელი.
არსენი (ს. კაკაბაძის მოსაზრებით VII საუკუნის დღემდე უცნობი კათოლიკოსი) 38.
არსენი (იოანე მტბევარის მამა) 173.
არსენი (გრიგოლ ხანძთელის მოწაფე) 91.
არსენი (ექვთიმე ათონელის მეგობარი) 186.
არსენი (მოხსენებული ასკეტიკურ კრებულში „თხრობანი წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათანი“) 549.
არსენი გოგოფაძ (სინას მთის მოღვაწე) 204.
არსენი პირველი (ს. კაკაბაძის მოსაზრებით VII საუკ. ქართლის კათოლიკოსი, რომელმაც 660 — 700 წლებში აღწერა ასურელ მამათა ცხოვრების არქეტიპები) 160.
არსენ იყალთოელი, არსენ ვაჩესძე, არსენ თარგმანი, არსენ ბერი, დაახლ. 1050—1125 წწ.) 82, 83, 98, 138, 187, 243, 253, 259, 270, 272, 278 — 284, 292, 295, 297, 298, 306, 307, 309, 311, 332, 379, 425, 469, 471, 475. 477 — 479, 483, 485, 486, 489, 494 — 496, 499, 506, 538, 562 — 564, 611, 615.
არსენ კალიაოსელი (XI საუკ.) 101, 102, 273, 277.
არსენ ნინოწმიდელი, არსენ ეპისკოპოსი (ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწე, ექვთიმე ათონელის მეგობარი, გარდაიცვალა დაახლ. 1018 წ.) 186, 216, 280.
არსენ საფარელი ნ. არსენ I დიდი.
არსენ ჰრომაელი 545.
არსიონელი ნ. ანტეონოს არსიონელი.
არტავაზ ერისთავი 147.
არტემი (წმ. მოწამე) 179, 181.
არქანჯელო ლამბერტი, 68.
არშაკ მეფე (IV საუკ). 141, 518.
არშუშა, აშუშა (პიტიახში ქართლისა V ს.) 48, 515.
არჩილ მეფე, არჩილი, არჩილ ქართველი (V ს.) 168, 236 — 239, 242, 346, 347, 351 — 353, 363, 476, 542, 601.
არჩილ მეფე, არჩილ, არჩილ მეფე (ვახტანგ V შაჰნავაზის ძე, მეფობდა იმერეთში 1664 — 1675 წწ. ცნობილი პოეტი) 75, 212, 348, 426, 427, 431, 472, 500, 550, 616, 617.
ასათიანი ლ. 344.
ასელა (ბიბლ.) 200.
ასემანი 482.
ასერ ნ. აბდალ — მესია.
ასიმ ნ. ჰიუმ მძლავრი.
ასკლიპიადოს ტრალელი 282.
ასკულანელი კუნტიანე 282.
ასპაზი (ძმა გრიგოლ ბაკურიანისძისა) 105: ნ. აბაზ ბაკურიანისძე.
ასტერი (წმ.) 134.
ასტერი ამასიელი 257, 463, 556.
ასურელი, ასური, იაკობნი 138, 141, 220, 315, 335, 437, 573; ნ. აგრეთვე ისააკ ასურელი, ეფრემ ასური.
ასურელი მამები ნ. ათაკმეტი ასურელი მამანი.
Aucher 553.
აფოცი (შუშანიკ დედოფლის კარის ეპისკოპოსი) 114.
აფრაატი 468.
აფრიკანელი ნ. იულიოს აფრიკელი.
აფხაზნი, აფხაზები, აფხაზი 248, 262, 263, 285, 452, 481, 520.
აქვინელი ნ. თომა აქვინელი.
აღაპატე კონსტანტინოპოლელი (არქიდიაკონი VI საუკ.) 73.

აღბუღა ათაბაგი (XIV ს.) 568.
აშოტ ბაგრატიდი 470.
აშოტ ერისთავთა-ერისთავი ნ. აშოტ კუხი.
აშოტ კურაპალატი (აშოტ I, ადარნასე I-ის ძე, გარდ. 836 წ.) 93, 94, 137, 153—156, 214, 527, 528, 530.
აშოტ კუხი, აშოტ ერისთავთა-ერისთავი (გარდ. 918 წ.) 95, 142, 145, 153, 173.
აშუშა ნ. არშუშა.

ბ

ბაბილა (წმ.) 288.
ბაგრატ III, ბაგრატი (სრულიად საქართველოს მეფე 980—1014 წწ.) 96, 153, 182, 214, 235, 250.
ბაგრატ IV, ბაგრატი (სრულიად საქართველოს მეფე 1027 — 1072 წწ.) 103, 216, 217, 220, 235, 248, 249, 251, 481, 495, 593.
ბაგრატ ბატონიშვილი, ბაგრატ მუხრანბატონი (XVI საუკ.) 16, 179, 337 — 338, 387, 389, 398, 399, 403, 405, 479, 481, 617.
ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი 152, 177.
ბაგრატიდი ნ. აშოტ ბაგრატიდი, გვარამ ბაგრატიდი.
ბაგრატიონი დავითი 616.
ბაგრატიონი დიმიტრი 386, 477.
ბაგრატიონი პორფილე 75, 487.
ბაგრატიონნი, ბაგრატიონები, ბაგრატოანი 154, 235, 242.
ბაგრატ კურაპალატი (ბაგრატ I, აშოტ I კურაპალატის ძე, გარდ. 876 წ.) 94. 520.
ბაგრატ მუხრანბატონი ნ. ბაგრატ ბატონიშვილი.
ბაგრატიონი ბასილი ნ. ბასილი (ბაგრატ III ძე).
ბაგრატ მღვდელმოძღვარი 447.
ბაგრატ სოლოღაშვილი 73, 500.
ბაგრატ ტავრომენიელი 206.
ბაკაკა ნ. დავითი (მღვდელი).
ბაკური დიდი, ბაკურ მეფე (იბერიის მეფე V საუკ.) 81, 481.
ბაკურდუხტი (ბაკურ დიდის ასული) 334.
ბაკური ნ. ვარაზ-ბაკური.
ბაკურიანისძე აბაზ, ნ. აბაზ ბაკურიანისძე.
ასპაზი.
ბაკურიანისძე გრიგოლ ნ. გრიგოლ ბაკურიანისძე.
ბალაჰვარი, ვარლაამი („სიბრძნე ბალაჰვარისი") 187, 188, 189, 434.
Балтушов И. 527.
ბარათაშვილი (ზოგ მკლევარს გაიოზ რექტორის გვარად მიაჩნია) 387.
ბარათაშვილი ნ. (დიდი ქართველი პოეტი) 136.
ბარათაშვილი-ორბელიშვილი ბესარიონ ნ. ბესარიონ კათოლიკოსი.
ბარამიძე ალ. პროფ. 5.
ბარბარე (მოწამე) 288.
ბარბაროზნი 230.
ბარდა სკლიაროსი 95, 99, 100, 186, 250, 418.
Bardenhewer O. 469, 483, 498, 554.
